

**გალაკტიონ ტაბიძის**

**ცხოვრებისა და შემოქმედების  
ბიოგრაფიული და ინტერდისციპლინური  
კვლევები**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის FR-21-964 – „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე (ორენოვანი გამოცემა)“ ფარგლებში.

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia under grant No. FR-21-964, “New Textual Scholarship Investigations and the Chronology of Galaktion Tabidze’s Life and Work (Bilingual Edition).” All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

უფასო გამოცემა

რედაქტორები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები:  
**მაია წინიძე და თეიმურაზ დოიაშვილი**

ISBN 978-9941-9956-2-0(PDF)

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და  
ციფრული ჰუმანიტარის ასოციაცია

თბილისი  
2025

## წინასიტყვაობა

ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანების ანუ ბიობიბლიოგრაფიების შედგენის პროცესში ფართომასშტაბიანი ტექსტოლოგიური კვლევების ინტეგრირებამ არაჩვეულებრივი შედეგები გამოიღო. „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების“ მატრიანე უკვე მეოთხე წიგნია, რომელიც ამ პრინციპით შეიქმნა და მკითხველი თავად დარწმუნდება, რამდენად ნაკლები იქნებოდა ეს წიგნი მასალის ატრიბუციის, ინფორმაციის დაზუსტების, ტექსტებისა და ბიოგრაფიული დეტალების დათარიღებებისთვის ჩატარებული ამ კვლევების გარეშე.

თითოეული მწერლის „მატიანეზე“ მუშაობისას იკვეთებოდა სხვადასხვა სახის სირთულეები, რომლებიც წიგნის ავტორებისგან ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. გალაკტიონ ტაბიძის მატრიანეზე მუშაობისას სირთულეს წარმოადგენდა არა მხოლოდ მასალის ძალიან დიდი მოცულობა და დღემდე უცნობი ავტოგრაფების სიმრავლე, არამედ პოეტის მიერ გაკეთებული ჩანაწერების სპეციფიკა. მათი უმრავლესობა, თითქოს, დღიურის ტიპის ჩანაწერებია, მაგრამ უხვად არის დაუმთავრებელი აზრები, მინიშნებები და სიტყვათა შემოკლებები. ასეთი ტიპის მასალიდან სრულყოფილი ინფორმაციის ჩაოსაყალიბებლად და ანოტაციის დასაწერად მრავალმხრივი კვლევაა საჭირო და მიზნის მიღწევა ყოველთვის ვერც კი ხერხდება. მსგავსი ტიპის არასრული ინფორმაციის შესავსებად ხშირად ვიყენებდით კორპუსულ კვლევებს, რაც საშუალებას გვაძლევდა ნაბიჯ-ნაბიჯ შეგვევსო ინფორმაცია იმ კუთხით, რომელიც ჩანაწერში ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი.

ჩანაწერებს გალაკტიონი უმრავლეს შემთხვევაში თავისი კონკრეტული ქმედებების, გეგმებისა და განწყობების დასაფიქსირებლად აკეთებდა. მათი დიდი უმრავლესობა სწრაფად არის ნაწერი და უზუსტობები ძალზე ხშირია. ასეთი ტიპის შეცდომები, ჩვეულებრივ, ვლინდება, როდესაც ჩნდება წინააღმდეგობა ორ ჩანაწერს ან ჩანაწერსა და რაიმე სხვა დოკუმენტურ წყაროს შორის. ასეთი შემთხვევების კვლევამ თავიდან აგვაცილა არაერთი ლაფსუსი, რომელიც შეიძლებოდა მატრიანეში აღმოჩენილიყო.

წარმოებულ კვლევათა უდიდესი ნაწილი ორიენტირებული იყო მატრიანის შესადგენად მასალის მომზადებაზე და ტექსტოლოგიური ხასიათისა იყო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სწორედ ამ კვლევით ირკვეოდა ისეთი დეტალები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზისთვის, შემოქმედებითი ისტორიისა თუ სხვა ასპექტების გასარკვევად. ამიტომ წიგნში შევიტანეთ რამდენიმე ისეთი სტატიაც, რომლებიც სცდება ტექსტოლოგიურ ჩარჩოებს და ემყარება ინტერდისციპლინურ ანალიზს.

რამდენადაც მონოგრაფიისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: დათარიღება, ინფორმაციის დაზუსტება და პირთა იდენტიფიკაცია პროექტის ყველა მონაწილე მუშაობდა, მაგრამ განსხვავებულ მასალასა და წყაროებზე დაყრდნობით, წიგნში ამა თუ იმ თავის საერთო სათაურების ქვეშ ავტორთა გვარებით არის წარმოდგენილი მათი ინდივიდუალური კვლევები ამ მიმართულებით. რაც შეეხება თავად ინდივიდუალური ნაშრომების სტრუქტურას, რამდენადაც ისინი მსგავსი ტიპის (დათარიღება, დაზუსტება, იდენტიფიკაცია) ათობით კონკრეტული ამოცანის გადაჭრაზეა ორიენტირებული, ისინი ერთმანეთისაგან გამოვყავით სიმბოლური ნიშნით ♪.

წიგნში გამოყენებულია შემოკლებები და აბრევიატურები:

**„თხუთმეტტომეული“** – გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად.

**„თორმეტტომეული“** – გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად.

**სგ** – გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად.

**ქლმ** – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

**მკს** – მწერალთა კავშირის საქმეები


**გტცა** – გალაკტიონ ტაბიძის ციფრული არქივი, რომელიც დაცულია ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარის ასოციაციაში.

მაია ნინიძე

# მოძიებული ინფორმაციის გადამოწმება

## ინფორმაციის დაზუსტება მაია ნინიძე


◇ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან შესადგენად ინფორმაციის უდიდესი ნაწილის მოპოვება ხდება ამავე ავტორის ავთენტური წყაროებიდან, მაგრამ ხშირად ეს არცთუ ისე იოლი პროცესია, რადგან ბევრი რამ წერია შემოკლებებითა და მინიშნებებით. მაგალითად, 1930 წლის 12 ოქტომბრის დღიურში გალაკტიონ ტაბიძეს უწერია წინადადება, რომლის ბოლო ორი სიტყვა „წიგნი გამოსულია“ გარკვევით იკითხება, მაგრამ გაურკვეველია, რა გრაფემები თუ



ციფრები წერია მის წინ. მსგავსი სახით პოეტი წერდა რიცხვ „1“-საც „ს“-საც და „ე“-საც.

1930 წლის ავტოგრაფებში რეგულარულად გვხვდება ასეთი ერთიანი [redacted], ასეთი „ს“ [redacted] და ასეთი „ე“ [redacted]. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ამოუცნობი ნიშანი საწერი სივრცის შუა და ზედა ნაწილშია განფენილი, დაახლოებით ისე, როგორც ამოკითხული ფრაზიდან „წ“, „მ“, „ნ“, „ს“, მეორე კი უფრო შუა ხაზზე და მის ქვემოთ არის, როგორც „გ“, „უ“ და „ლ“ და თუ დავუშვებთ, რომ საქმე გვაქვს გრაფემებთან, ისინი

შეიძლება იყოს „ს“ და „ე“ გაზეთ



„კომუნისტის“

1930 წლის სწორედ ამ დღის (12 ოქტომბრის) ნომრის<sup>1</sup> გადათვალთვალებამ საფუძველი მოგვცა გვეფიქრა, რომ საუბარი უნდა იყოს სანდრო ელის რჩეული ნაწერების კრებულის პირველ ტომზე.

<sup>1</sup> „სხვადასხვა“, გაზ. „კომუნისტი“, 1930, 12 ოქტომბერი, N239, გვ. 3.

რამდენადაც ინფორმაცია ეხება პირველ ტომს, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ჩანაწერში პოეტ სანდრო ეულის მხოლოდ სახელის ინიციალი ჰქონდეს ნაგულისხმევი და მეორე ნიშანი იყოს პირველი ტომის აღმნიშვნელი ერთიანი. ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარია სანდრო ეულის პირველ ტომზე.

◇ 2020 წელს მამუკა შელეგიას მიერ გამოცემულ „გალაკტიონის მატთანეში“ ვკითხულობთ, რომ ჟურნალ „ტარტაროზის“ 1930 წლის პირველ ნომერში „გ. ტაბიძის ხელმოწერით დაიბეჭდა ნაწყვეტი პოემიდან „ეპოქა“ და ნათქვამია, რომ სინამდვილეში მისი ავტორი გრიგოლ ცეცხლაძე იყო<sup>1</sup>. მკითხველისთვის ალბათ ძნელი აღსაქმელია, თუ ეს იყო ნაწყვეტი გალაკტიონის პოემიდან „ეპოქა“, მაშინ „სინამდვილეში“ გრიგოლ ცეცხლაძის როგორ იყო. ჩვენც ცოტა გაგვიჭირდა ამ საკითხის გარკვევა, რადგან დასახელებული ტექსტი აღმოჩნდა ჟურნალ „ტარტაროზის“ არა პირველ, არამედ მეორე ნომერში<sup>2</sup>. წყარო ასევე არასწორად არის მითითებული ფსევდონიმების ლექსიკონში, სადაც გრიგოლ ცეცხლაძის ფსევდონიმი – „გაიოზ ყირიმელია“ გახსნილი. ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტი არ არის ნაწყვეტი გალაკტიონის პოემიდან. ეს არის პაროდია ამ პოემაზე, დაბეჭდილია რუბრიკაში „ლიტერატურული დომხალი“ და სათაურად აწერია „გალაქტიონ ტაბიძე პოემიდან „ეპოქა“. პაროდიაში ვკითხულობთ: „მინდვრათ ბალახია, ბალახში ცხენია, / ეს ბუნებრივია, ეს მე არ მწყენია. / რევოლუცია მოხდა, / დელავდა პეტერბურგი, / მე მახსოვს მაქსიმ გორკის / უღვაშები და ზურგი“ და ა. შ. ამ პაროდიამ, რომელსაც, როგორც ჩანს, პოეტი გამოქვეყნებამდე გაეცნო, ისე გაანაწყენა გალაკტიონი, რომ იმავე წლის 8 იანვარს დღიურში ჩანაწერი გააკეთა სათაურით „ინტრიგები - ეპოქის გარშემო. დევნისა და შურისძიების მომენტები“ და ჩამოწერა იმ პირთა სია, ვისგანაც მოდიოდა ეს ინტრიგები, დევნა და შურისძიება. მათ შორის არიან ჟურნალ „ტარტაროზის“ რედაქტორი სანდრო ეული, პაროდიის ავტორი გრიგოლ ცეცხლაძე და შეურაცხმყოფელი რუბრიკის ავტორი სიმონ წეველი. ამავე სიაში შეიტანა ივანე მაჭავარიანი და დავით

---

<sup>1</sup> მ. შელეგია, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“, გვ. 268.

<sup>2</sup> გაიოზ ყირიმელი, „გალაქტიონ ტაბიძე პოემიდან „ეპოქა“, ჟ. „ტარტაროზი“, 1930, 12 იანვარი, N2, გვ. 11.

ნაცვლიშვილი (დონი), რომლებმაც პოეტი ამ პუბლიკაციის შესახებ ამბის გავრცელების შემდეგ შეხვედრისას გააქილიკეს. გალაკტიონს არ გამოჰპარვია არც ტიცთან ტაბიძის რეაქცია ამ პაროდიაზე და აქვე ისიც ჩაიწერა, რომ მის მტრებს მეორე ბანაკიდან: ცისფერყანწელებს, ფედერალისტებსა და არიფიონელებს „ალბათ სიხარული აქვთ: აჰა, ესეც შენაო!“. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, რა თქმა უნდა, „მატეანეში“ მნიშვნელოვანი იყო იმის დაზუსტება, თუ რა ტექსტი გამოქვეყნდა „ტარტაროში“.

◇ ოთარ ჭილაძის მოგონების მიხედვით გალაკტიონმა ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი<sup>1</sup>. რა ლექსი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს? საგულისხმოა, რომ ლექსს „სტიროდა ზეცა“ ციკლიდან „ეპოქა“ ავტოგრაფში თავდაპირველ სათაურად ჰქონდა „ვაჟას სურათზე“ („ცის კამარაში ნისლის თეთრი...“). რამდენადაც 1955 წელს ჩარგალში აღინიშნებოდა ვაჟას გარდაცვალების იუბილე, ეს ლექსი, რომელიც მთის სიყვარულით ზეციდან დაღვრილი ცრემლების შესახებ არის, კარგად ესადაგებოდა იმ დღეს:

„მაგრამ ჰა, ციდან დედამიწას

ცრემლი დაეცა...

და ყველამ იგრძნო, რომ იქ, მაღლა

სტიროდა ზეცა...“

◇ 1948 წლის 8 მაისის ჩანაწერში გალაკტიონი „საცოდაობად“ იხსენიებს ბესო ჟღენტის რეცენზიას გრიგოლ ორახელაშვილის კვლევაზე<sup>2</sup> და, სავარაუდოდ, ეს შეფასება ეხება თავად კვლევასაც. ამიტომ, ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ნაშრომზეა საუბარი. გ. ორახელაშვილის კვლევათაგან წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კატალოგებში გვხვდება 1965 წლის ერთადერთი პუბლიკაცია „კაცია ადამიანის“ შესახებ<sup>3</sup>, ისიც, თუ დავუშვებთ, რომ თბილისის საღამოს ცვლის მე-17 საშუალო სკოლის ეს მასწავლებელი სწორედ გრიგოლ

<sup>1</sup> ო. ჭელიძე, გალაკტიონი ჩარგალში, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 81.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 39; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 292.

<sup>3</sup> გ. ორახელაშვილი, ათეისტური აღზრდის საკითხები „კაცია-არამიანის“ სწავლებასთან დაკავშირებით, სკოლა და ცხოვრება, 1965, N3, გვ.27-30.

ორახელაშვილია. მეორე მხრივ, გალაკტიონის არქივში დაცულია გრიგოლ ორახელაშვილის სამი წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის წერდა ნაშრომს გალაკტიონის შესახებ და პერიოდულად უგზავნიდა გასასწორებლად. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დისერტაცია, რადგან ნაშრომის მხოლოდ ერთი თემა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ 70 გვერდის მოცულობის იყო. ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ვიცით, რომ იგი გაჯერებული უნდა ყოფილიყო გალაკტიონის ბიოგრაფიული ელემენტებით („თქვენი ბიოგრაფიული ელემენტები 1925 წლიდან 1933 წლამდე ინდუსტრიალიზაციაში გამოყენებულია, რასაც ეს თემა საჭიროებდა. დანარჩენი ბიოგრაფიული ელემენტები 1925 წლიდან 1933 წლამდე მოთავსებული იქნება კულტურულ რევოლუციაში“<sup>1</sup>). ამავე წერილებიდან ჩანს, ისიც, რომ ავტორს გალაკტიონზე თავისი ნაშრომის წიგნად გამოცემის განზრახვაც აქვს („გადაწყვეტილი მაქვს, ადრე იქნება თუ გვიან, თქვენზე ერთ კარგ წიგნს მაინც დავწერ...“) და ეშინია, რომ იდეები არავინ მოჰპაროს („მხოლოდ გთხოვთ, რომ ჩემს განზრახვას თქვენზე (რა განხრით ვმუშაობ) თემას და ქვეთემებს ნურავის ეტყვი. სხვებიც მუშაობენ თქვენზე, არ მინდა, მათ იცოდნენ ჩემი მოსაზრებანი შრომის საბოლოო დამთავრებამდე“). ჩვენთვის უცნობია, რამდენად აქტიურად იყო გალაკტიონი ჩართული ამ პირის კონსულტირებაში („თუ გეცლებათ. კონსულტაცია გამიწიე დღემდე დამუშავებულ ქვეთემებში“) ან მისი ნაშრომის სწორებაში („მალიან გთხოვთ, გამისწოროთ ეს თემა. თუ არ წაშლით შიგნით რაიმეს, ძლიერ მეწყინება. რაც მეტს წაშლით, მით უფრო დავფიქრდები.“), მაგრამ, როგორც ამ ნაშრომის რეცენზიის შეფასებიდან („საცოდაობაა“) ჩანს, დიდი ენთუზიაზმით არ უნდა ყოფილიყო განწყობილი.

◇ 1921 წლის 15 ივნისის გაზეთ „კომუნისტი“ „სანდროს“ ფსევდონიმით დაბეჭდილ სტატიაში<sup>2</sup> ნათქვამია, რომ იოსებ გრიშაშვილის გამოსვლა ტაბიძის საღმრთოზე თავის ლექსით, რომელშიც ფრაზა „ლამაზი ფეხები“ „რუსის ჩექმებით“ ჩაანაცვლა და დარბაზი აცინა, იმის მაჩვენებელია, რომ მისი პოეზია გახრწნას განიცდის“. პუბლიკაციაში არ არის დაკონკრეტებული, რომელი ტაბიძის

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 311-312.

<sup>2</sup> სანდრო, „პოეზია პოეზიის გარეშე“, გაზ. „კომუნისტი“, 1921, №84, გვ. 3.



სადამოზეა საუბარი, ტიციანის თუ გალაკტიონის, მაგრამ ნოე ზომლეთელის ლექსს „გრიშაშვილს“, რომელიც ამავე თემას ეძღვნება და გაზეთის ამავე ნომერში ამ სტატიის ზემოთ არის დაბეჭდილი, ახლავს მინაწერი „თბილისი, 12 ივნისი, 1921“, ამ დღეს კი სწორედ გალაკტიონ ტაბიძის სადამო ტარდებოდა. ანონიმი ავტორის სტატიაში არ წერია, რომ გრიშაშვილის მიერ თავის ლექსში ფრაზის შეცვლამ დარბაზში ხარხარი და ოვაციები გამოიწვია, მაგრამ ეს ჩანს ზომლეთელის ლექსში: „რადაც ქარაგმით გადაკვრით რომ წიხლი ჩაკვარი / ბრბო მოსისინე ტაშს უკრავდა აზრსა მდაბალს შენს, / გამოიწვიე წუთიერი მასში ხარხარი...“

◇ 1955 წლის 1 სექტემბრის ჩანაწერში<sup>1</sup> პოეტი წერს, რომ უნდა შეხვდეს სანდრო გორგაძეს<sup>2</sup>. მასთან შეხვედრას ახსენებს ამავე წლის 14 აგვისტოს შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერშიც. სანდრო (შაქრო) გორგაძე მოქანდაკე იყო და აკადემიაში ჩამომსხმელად მუშაობდა. 1959 წელს მან ჩამოასხა გალაკტიონ ტაბიძის სახის ნიღაბი. 1955 წლის ჩანაწერებში ეს პირი სადამოს მოწყობასთან დაკავშირებულ ჩანაწერებშია ხოლმე მოხსენიებული და შესაძლოა პოეტს სადამოსთვის რაიმე დეკორაციის მომზადებაში ეხმარებოდა.

◇ 1955 წლის 1 სექტემბრის კიდევ ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ ორ სიტყვას „წერილი ბეჟიტაშვილის“. სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ლეონ ბეჟიტაშვილის ამავე წლის 28 აგვისტოს წერილი. ეს პირი მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და ლიტერატურული გაზეთის რედაქტორს მიმართავდა წინადადებით, რომ პოეტების ისეთივე შეხვედრა მკითხველებთან, როგორც 11 სექტემბერს იყო დაგეგმილი მოსკოვის წიგნის 18 მაღაზიაში, ჩატარებულიყო საქართველოს ქალაქებშიც. მისი აზრით, ასეთი შეხვედრისას სასურველი იყო არა ის, რომ პოეტებს წაეკითხათ თავიანთი ლექსები, არამედ მკითხველის ცოცხალი საუბარი მათთან. წერილის ბოლოს ავტორი ამბობდა, რომ პირადად მას ძალიან აინტერესებდა გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა.


---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 198.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 198.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ ჩანაწერში (დ-129)<sup>1</sup> ნათქვამია, რომ ვალერიან გაფრინდაშვილთან ყოფნისას მათ ბევრი ისაუბრეს „ირაკლი აბაშიძესა და ბონდო კეშელავას შორის მომხდარ ინციდენტზე“. აქ დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ შესაძლოა საუბარი იყოს კეშელავას მიერ აბაშიძის ცემაზე, რადგან 1950 წლის ერთ-ერთ დღიურში (დ-261)<sup>2</sup> ვკითხულობთ: „ბონდო კეშელავა ფიცხი კაცია და შეიძლება ისევე მიზეგვოს ირაკლი აბაშიძე, როგორც ეს მოხდა ორი-სამი წლის წინად მწერალთა კავშირში“. მართალია, 1950 და 1940 წლებს შორის სხვაობა ათი წელია და არა „ორი-სამი“ ვერც იმას გამოვიციხავთ, რომ ამ ორ ადამიანს შორის დაპირისპირებები სხვა დროსაც ყოფილიყო, მაგრამ რადგან გალაკტიონმა და ვალერიანმა ამ თემაზე ბევრი ილაპარაკეს, როგორც ჩანს, საქმე მართლაც სერიოზულ „ინციდენტს“ ეხებოდა.

◇ 1955 წლის 1 სექტემბრის ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე დღიურში ინიშნავს, რომ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ იყო სერგი ჭილაიას წერილი, მაგრამ არ იცის, როდის<sup>3</sup>. ამ თარიღთან მიახლოებულ პერიოდში „ლიტერატურნაია გაზეტაში“ სერგი ჭილაიას წერილი არ გამოქვეყნებულა. 1955 წლის 21 ივლისის ნომერში (N86) დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსულ ენაზე გამოვიდა სერგი ჭილაიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, რომელშიც საუბარია რეალისტური მოტივების განვითარებაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სიმბოლიზმის გავლენის ქვეშ მყოფი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ სერგი ჭილაიას ნარკვევის მიხედვით, საბჭოთა ეპოქაში გალაკტიონში უცებ იფეთქა ტალანტმა და მოხდა დიდი ცვლილება: სევდის მოტივები,



<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 28-29.


<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 121.

<sup>3</sup> ქლმ, დ-345, გვ. 1; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 198.

დაკარგულ ილუზიებზე მოთქმა და „უსაფუძვლო ოცნებები“ შეცვალა პატრიოტულმა თემებმა, ოპტიმიზმმა და ახალი ცხოვრების სიხარულმა. რამდენადაც ჩანაწერში ნახსენებია „ჭილაიას წერილი“, ეს კი სხვის მიერ დაწერილი ინფორმაციაა ჭილაიას წიგნის შესახებ, შესაძლოა, გალაკტიონ ტაბიძეს ემღებოდეს ჟურნალის დასახელება და გულისხმობდეს სერგი ჭილაიას წერილს, რომელიც გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკაში“ 1955 წლის 22 აპრილს<sup>1</sup>.

◇ 1955 წლის 1 სექტემბრის დღიურში<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძე ინიშნავს, რომ სანახავია ეთერ შერაშენიძე. აქ გვარი არასწორად არის ჩაწერილი. პიროვნების გვარს და გალაკტიონის დაინტერესებას მასთან შეხვედრით აზუსტებს 14 აგვისტოს ჩანაწერის შემდეგ მოცემული ინფორმაცია<sup>3</sup>. აქ გვარი სწორად წერია „ეთერ შარაშენიძე“ და მითითებულია მისი ნაშრომი „1905 წლის რევოლუციის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“. საბოლოო სახით წიგნი 1959 წელს გამოიცა და ერქვა „ქართული მწერლობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში“. როგორც ჩანს, გალაკტიონს სურვილი ჰქონდა, რომ ამ წიგნში მის შესახებაც ყოფილიყო ინფორმაცია და მასალის მიწოდებას ფიქრობდა ავტორისთვის, მაგრამ, რამდენადაც გადავამოწმეთ და ვნახეთ, რომ ამ წიგნში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, როგორც ჩანს, ან შეხვედრა არ შედგა, ან მისი მასალის შეტანა რაიმე მიზეზით არ მოხერხდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1939 წლის 8 იანვრის ჩანაწერში<sup>4</sup> ნახსენებია, რომ „საქვილგეთს“ გალაკტიონ ტაბიძის საღამოდან მიაქვს შემოსავლის 30 პროცენტი და ბილეთები. გაურკვეველია აბრევიატურის ბოლო ორი მარცვლის მნიშვნელობა, მაგრამ Росфил, Грузфил (ანუ „საქვილ“) და სხვ. იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სახელმწიფო საკონცერტო



<sup>1</sup> Чилая, С., В. И. Ленин в грузинской советской поэзии, Заря Востока, Тб., 1955, 22 апреля.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 198.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 164.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-122, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 545.

ორგანიზაციების („რუსეთის ფილარმონია“, „საქართველოს ფილარმონია“ და სხვ.) დასახელებათა აბრევიატურები.

◇ მიხეილ ბოჭორიშვილის 1911 წლის 12 სექტემბრის წერილიდან გალაკტიონისადმი, ჩანს, რომ ვიღაც „კოწია“ სამსახურის დატოვებას აპირებს და თუ გალაკტიონს მუშაობის დაწყება უნდა, სასწრაფოდ ჩავიდეს<sup>1</sup>. აბესალომ ტაბიძის მიერ ძმისთვის 23 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მას 10 დღით („კვირანახევარი“) ადრეც გაუგზავნია ძმისთვის წერილი და თან „კოლხიდის“ რედაქციაში<sup>2</sup>. შესაბამისად, ამ რედაქციაში მუშაობა პოეტს დაახლოებით 13 სექტემბერს მაინც უნდა დაეწყო. „კოწია“ შეიძლება სხვა ვინმეც ყოფილიყო, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ კონსტანტინე გამსახურდია იგულისხმებოდეს, რადგან მან სწორედ 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია და, შესაძლოა, ცოტა ხნით „კოლხიდის“ რედაქციაშიც ემუშავა, სანამ საზღვარგარეთ წავიდოდა.

◇ აბესალომ ტაბიძის მიერ ძმისთვის 1936 წლის 9 აპრილს გაგზავნილ წერილში<sup>3</sup> ვკითხულობთ: „დისკუსია ფორმალიზმსა და ნატურალიზმზე უთუოდ დამთავრებული იქნება.“ ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა ნატურალიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ, რასაც ეძღვნებოდა გაზეთ „კომუნისტის“ 3 და 4 აპრილის ვრცელი მიმოხილვები სათაურით „დისკუსია მწერალთა სასახლეში“. იქვე ნათქვამია: „წავიკითხე გაზეთში შანშიაშვილის გამოსვლა შენს წინააღმდეგ.“ ამ გამოსვლაში ალბათ იგულისხმება წერილის დაწერის წინა დღეს, 8 აპრილს „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული მწერალთა კავშირის სხდომის მიმოხილვა, რომელშიც სანდრო შანშიაშვილის გამოსვლაზეც არის საუბარი.

◇ 1941 წლის 26 მარტის ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე ამბობს, რომ მწერალთა კავშირში საუბრობდნენ გოტჰოლდ ლესინგის პიესაზე, რომელშიც ერეკლე მეორეა ნახსენები<sup>4</sup>. სავარაუდოდ, იგულისხმება კომედია „მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯარისკაცული ბედნიერება“. ეს

---

<sup>1</sup> გტცა №849.

<sup>2</sup> გტცა 1277, 1-5.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 164, 165.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 217-218.

კომედია 1937 წელს ითარგმნა და გამოიცა რუსულად<sup>1</sup> და ქართველი მწერლებისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. ძნელი სათქმელია, რას საუბრობდნენ მწერალთა კავშირში ამ პიესაზე, მაგრამ თავისთავად საინტერესოა, რა სახით შემოდის კომედიურ პიესაში ერეკლე მეორის სახე. ლესინგი (1729-1781) ერეკლე მეფის (1720-1798) თანამედროვე იყო და, როგორც ჩანს, სმენოდა მის შესახებ. მისი სახე ჰეროიკულად გაიელვებს პიესაში, მაგრამ კურიოზულ კონტექსტში. ერთ-ერთი პერსონაჟი, სამხედრო პირი, დაცვის უფროსი (вахмистр) პაულ ვერნერი იმდენად ფანატიკურად განადიდებს ერეკლე მეორეს, რომ მას სპარსეთის აღებასაც კი მიაწერს: („Слыхал ты про князя Ираклия?.. Неужто ты ничего не знаешь о великом герое Востока?.. Не знать князя Ираклия? Смелчака, что завоевал Персию? И через день-другой взорвет Оттоманскую порту?.. я еду в Персию, чтобы под началом его королевского высочества князя Ираклия хоть разок-другой принять участие в турецких походах“... Виват! Да здравствует князь Ираклий!).

◇ 1941 წლის 26 მარტს გალაკტიონს თავისი სტომატოლოგი, გვარად ჰეინე, უყვება, რომ როდესაც მოსკოვში სწავლისას მისი შვილი ვიდაცას ეცნობოდა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და უთხრა „ჰეინე“, იმას კი ხუმრობა ეგონა და საპასუხოდ თავად გაეცნო, როგორც პუშკინი. გალაკტიონი ამბობს, რომ ეს აგონებს ილიასა და აკაკის ამბავს. ვერ მოვიძიეთ იდენტური შემთხვევა, მაგრამ, შეიძლება გულისხმობდეს იმას, ილიას რომ ჰკითხეს: რატომ არის, რომ აკაკი შენზე სულ ძვირს ლაპარაკობს და შენ კი მუდამ აქებო! და ილიამ რომ უპასუხა, ორივე ვცდებითო.

◇ 1941 წლის ჟურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა ლექსი „საიუბილეო“. მითითებული არ არის, რის იუბილეზეა საუბარი, მაგრამ ლექსის ბოლოს სიტყვები: „აკადემია! ამ დიად დღეს მივესალმები!“ მიგვანიშნებს, რომ იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას უნდა ეძღვნებოდეს 1941 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების 20 წლის თავზე<sup>2</sup>.

---


<sup>1</sup> Лессинг Г. Э. Драммы: Мина фон-Барнхельм. Эмилия Галотти. Натан Мудрый, Academia, 1937.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძე, „საიუბილეო“, ჟ. „მნათობი“, 1941, N2, გვ. 63-67.

◇ 1941 წლის 27 მარტის ჩანაწერში საუბარია სოსლანის, შალვა სოსელიას რომანზე, მაგრამ სათაური დასახელებული არ არის. 1941 წელს სოსელიამ გამოაქვეყნა თავისი რომანის „ოქროს საწმისი“ ნაწყვეტი, თავად რომანი კი დაუმთავრებელი დარჩა, რადგან 1941 წელს ფრონტზე წავიდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. შესაბამისად, ჩანაწერში ეს რომანი იგულისხმება.

◇ 1948 წლის 2 აგვისტოს ჩანაწერში ნახსენებია გიორგი ჯიბლაძის წიგნი, რომელშიც არაერთგან ყოფილა ნახსენები გალაკტიონი<sup>1</sup>, მაგრამ წიგნის სათაური არ არის მითითებული. 1948 წელს გიორგი ჯიბლაძემ გამოსცა წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“<sup>2</sup>.

◇ 1921 წლის 11 ივნისს ორ სხვადასხვა გაზეთში: „კომუნისტი“ და „სოციალისტ-ფედერალისტი“ ნახსენებია გალაკტიონის სამი წიგნი და იქვე დაკონკრეტებულია, რომ მესამეში იგულისხმება „Grüne aux fleurs artistiques“<sup>3</sup>. ის ვარაუდი, რომ ტექსტი შეიძლება შეედგინა ისეთ ადამიანს, რომელიც ამ საკითხში კარგად გარკვეული არ იყო, გამორიცხებულია, რადგან განცხადება



თავად ავტორის შედგენილია და მის უბის წიგნაკში არის შემორჩენილი<sup>4</sup>. 1921 წლისთვის გალაკტიონს რეალურად მხოლოდ ორი წიგნი ჰქონდა გამოცემული, მაგრამ შესაძლოა პირველ წიგნად მოიაზრებდეს იმ წიგნს, რომლისთვისაც 1911 წელს შეაგროვა ხელმოწერები და თანხა გამოსაცემად არ იყო. როგორც ჩანს, ამ სადამოუხე აპირებდნენ ისეთი ლექსების წაკითხვასაც, რომლებიც არ იყო შეტანილი 1914 და 1919 წლებში რეალურად გამოცემულ ორ წიგნში, მაგრამ იყო პირველში.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი. ქლმ. დ-213, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>2</sup> გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, თბ. საბჭოთა მწერალის გამომცემლობა და სტამბა, 1948.

<sup>3</sup> გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, №83, გვ. 2; გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 81, გვ. 3.

<sup>4</sup> განცხადების ტექსტი, ქლმ, დ-572-10.

◇ არქივში დაცულ ერთ-ერთ ბლოკნოტში უთარილოდ არის ჩაწერილი ლექსი „რა არის 12 დეკემბერი?“<sup>1</sup> ფრაზა „ოცი ცხარე წლის“ მიგვანიშნებს, რომ რაღაც ღირსშესანიშნავი მოვლენიდან გასულია 20 წელი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ლექსი ეძღვნება 1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა კავშირში ჩატარებულ უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს.

◇ ერთ-ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონ ტაბიძეს ჩაწერილი აქვს ლექსი „მამალი – მთარგმნელი“, რომელთანაც ავტორად მითითებულია პავლე შადური, ლექსის ბოლოს კი წერია „დონბასი“ და წყარო „10 დეკ. 1951 Лит газета“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, გალაკტიონმა ეს ლექსი წაიკითხა რუსულად და თავად თარგმნა, რადგან მასაც ძალიან აწუხებდა უხარისხო და თან ამბიციური მთარგმნელების პრობლემა. იმაზე, რომ ლექსს პოეტი რუსულად გაეცნო, მიგვანიშნებს ორი რამ. წყაროდ მითითებულია რუსული გაზეთი და თან ქართული ტექსტი საკმაოდ ნასწორებია. გალაკტიონს რომ ქართული წყაროდან გადმოეწერა იგი, ბუნებრივია, ამდენ ცვლილებებს არ შეიტანდა. კვლევის შედეგად გავარკვიეთ, რომ ლექსის ავტორია უკრაინელი პოეტი და მეიგავე პაველ იაკობის ძე შადური. როგორც ჩანს, იგი მართლაც დონბასის გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ დაიბეჭდა. ამ დასათაურების თბილისში გამომავალი გაზეთის 10 დეკემბრის ნომერი არც არსებობს. 8 დეკემბრის შემდგომი ნომერი გამოვიდა 11 დეკემბერს.

◇ 1958 წლის 21 მარტს მოსკოვში გაკეთებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ დაურეკვს გაზეთის „ვეჩერნაია მოსკვა“ რედაქციიდან, რაღაცეები ჩაიწერეს და უთხრეს, რომ გაზეთის მეორე დღის ნომერში იქნებოდა. ბუნებრივია, დავინტერესდით, მართლა გამოქვეყნდა თუ არა ინტერვიუ გალაკტიონთან. ზოგადად, მწერლებთან შეხვედრები, მათი ტექსტები და მათ შესახებ



<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 83; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 238.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 40; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 191-192.



ინფორმაცია დეკადის მსვლელობის დროს ნაკლებად შუქდებოდა. მთელი აქცენტი გადატანილი იყო თეატრალურ, საოპერო და საბალეტო წარმოდგენებზე და კონცერტებზე. 22 მარტს გამოქვეყნებული ერთი სტატია მართლაც პირდაპირ იწყება გალაკტიონ ტაბიძის სახელისა და გვარის ხსენებით<sup>1</sup>, მაგრამ გარდა იმისა, რომ ის ცნობილი ქართველი მწერალია და დეკადას ესწრება, სხვა არაფერია ნათქვამი. ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით დეკადის დროს ამ გაზეთში 21 მარტს დაიბეჭდა იოსებ გრიშაშვილის სტატია „ერთობა და მეგობრობა“ და ფრიდონ ხალვაშის ლექსი „სამშობლო“, 22 მარტს – ნაწყვეტი შალვა დადიანის რომანიდან „გვირგვინიანების ოჯახი“ და იოსებ ნონეშვილის ლექსი „სალამი მოსკოვს“, 25 მარტს კი – მოკლე ინფორმაცია შალვა დადიანისა და ალექსანდრე ქუთათელის რომანების განხილვის შესახებ. გალაკტიონისთვის, ალბათ, გულდასაწყვეტი იქნებოდა, რომ მისდამი სათანადო ყურადღებას არ იჩენდნენ.

◇ 1911 წლის 26 სექტემბრის წერილში უცნობი ადრესატისადმი გალაკტიონ ტაბიძე საუბრობს რაღაც ლეგენდაზე, რომელიც ხუთი წლის წინ დაწერა<sup>2</sup>. 1906 წლის ტექსტებიდან ეს ყველაზე დიდი ალბათობით შეიძლება ეხებოდეს პოემას „სატანა“<sup>3</sup>, რომლის თავდაპირველი სათაური იყო „ძველი კოშკი“.

◇ ზოგჯერ დღიურის ჩანაწერის გადამოწმებისთვის ჩატარებული კვლევა საინტერესო ფაქტებს ავლენს. მაგალითად, 1941 წლის 21 თებერვლის ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ გალაკტიონმა გაზეთ კომუნისტს გამოსაქვეყნებლად მისცა ლექსი<sup>4</sup>. თუ საბჭოთა პერიოდის პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ეს იქნებოდა 25 თებერვლისადმი მიძღვნილი ლექსი და ის უნდა დაბეჭდილიყო ამ დღისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში, რომელიც ორჯერ დიდი მოცულობისა გამოდიოდა. როგორც გაზეთის ამ ნომრის<sup>5</sup> დათვალიერებამ გვაჩვენა, მასში დაიბეჭდა არაერთი ლექსი: სანდრო შანშიაშვილის „შენ

---

<sup>1</sup> Их сердечно приветствуют Москвичи, „Вечерняя Москва“, 1958, 22 Марта, №22, стр. 1.

<sup>2</sup> ჩანაწერი, გტცა, № 35, გვ. 2

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, N336, გვ. 1-14, გტცა N366, გვ.2, გტცა N376, გვ.1.

<sup>4</sup> ქლმ. დ-143, 44; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 184.

<sup>5</sup> გაზ. „კომუნისტი, 1941, N47, 25 თებერვალი, გვ. 7, 8.



სტალინის აღზრდილი ხარ“, სანდრო ეულის „საქართველო (ოცი წლისთავისათვის)“, გიო კანანელის „განახლდა ჩვენი ქვეყანა“, გიორგი ლეონიძის „სამშობლოს“, ალექსანდრე აბაშელის „ფორთოხლის ბაღში“, პავლე ლევიშვილის „საბჭოთა საქართველოს“ და მარიჯანის „ჩემს ასულს“, მაგრამ არ არის არაფერი გალაკტიონისა. დღიურის ჩანაწერიდან რომ არ გვცოდნოდა, რომ მასაც ჰქონდა გაგზავნილი ლექსი, ვერ მივხვდებოდით, რომ ესეც იყო მისი იგნორირების კიდევ ერთი მცდელობა და რომ ის აბსოლუტურად სწორად აცნობიერებდა, რომ ლიტერატურულ წრეებში ებრძოდნენ. მართალია, გალაკტიონის მნიშვნელობის მქონე პოეტის ლექსი ლოგიკური იყო, რომ სწორედ საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებულიყო, მაგრამ მაინც გადავავლეთ თვალი გაზეთის წინა და მომდევნო ნომრებსაც. 23 თებერვლისაში დაიბეჭდა ს. მამაცაშვილის ლექსი „შვილს – წითელარმიელს“<sup>1</sup>, 24 თებერვლისაში – პლატონ ზუმბაძის „გიმლერი, ჩემო სამშობლოვ“ და ახალქალაქელი კ. მალრადის „სამუდამო გაზაფხული“<sup>2</sup>. გალაკტიონის ლექსი არც წინმსწრები და არც მომდევნო დღეების ნომრებში არ გამოქვეყნებულა.

◇ 1958 წლის 7 აგვისტოს ჩანაწერში საუბარია პირველი ტომის დაკარგვასა და შემდეგ აღდგენაზე<sup>3</sup>. ჩანაწერში ნათქვამი არ არის, რის პირველ ტომზეა საუბარი, მაგრამ 1957 წლიდან გალაკტიონი მუშაობდა თავისი აკადემიური გამოცემის ტომებზე და 9 დეკემბერს პირველი ტომი უკვე მზად ჰქონდა<sup>4</sup>. შესაბამისად, აქაც მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის გამოცემაც მის სიცოცხლეში ვერ განხორციელდა.

◇ 1951 წლის 11 ოქტომბრის დღიურში ვკითხულობთ: „კ. კაპანელი გვპირდება წერილს“<sup>5</sup>. მართალია, არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ, სავარაუდოდ, იგულისხმება წერილი გალაკტიონის შესახებ, რადგან კაპანელის გარდაცვალების შემდეგ (1952 წლის 10 დეკემბერი)

---

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი, 1941, N45, 23 თებერვალი, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი, 1941, N46, 24 თებერვალი, გვ. 3.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.130.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 285.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.160.

გალაკტიონი იხსენიებს მის მიერ დაწერილ მონოგრაფიას გალაკტიონის შესახებ<sup>1</sup>.

◇ 1951 წლის 17 ოქტომბერს პოეტს უბის წიგნაკში გაკეთებული აქვს ამონაწერები მწერალთა კავშირის მდივნის, სერგი ჭილაიასა და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტის, რაფიელ აგლაძის მოხსენებებიდან, რომლებიც ეხება კანდიდ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებას<sup>2</sup>. ჩვენ, ბუნებრივია, დავინტერესდით, რა საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და როდის. ლოგიკური იყო გვეფიქრა, რომ ეს მოხსენება ჩანაწერამდე არცთუ დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო გაკეთებული, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ თავად კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება, რომელზეც ჩანაწერშია საუბარი, გაკეთდა თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე 1951 წლის 10 იანვარს<sup>3</sup>, ხოლო რაც შეეხება სერგი ჭილაიასა და რაფიელ აგლაძის გამოხმაურებებს<sup>4</sup>, ისინი ეხებოდა კანდიდ ჩარკვიანის 10 იანვრის გამოსვლას და 17 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთში „კომუნისტი“. შესაბამისად, 1951 წლის 17 ოქტომბერს გალაკტიონს წინ ედო იანვრის გაზეთები და იქიდან აკეთებდა ციტირებებს.

◇ 1951 წლის 16 დეკემბრის ჩანაწერში საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო გამომცემლობა აპირებს გალაკტიონის წიგნის გამოცემას, მაგრამ წიგნი მითითებული არ არის<sup>5</sup>. უახლოეს პერიოდში, 1952 წელს, სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გალაკტიონის თხზულებათა მეხუთე ტომი და, სავარაუდოდ, საუბარი იმაზე უნდა იყოს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2006, გვ.77-78.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 269, გვ. 1-3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.162-166.

<sup>3</sup> Отчет Тбилисского городского комитета КП (б) Грузии, Доклад секретаря ТК КП (б) Грузии товарища К. Чарквиани 10 января 1951 года, XX Тбилисская городская партийная конференция, Заря востока, Тбилиси, 1951, 14 января.

<sup>4</sup> კამათი საქართველოს კპ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო : [ა. გაბუნიას, ა. თევზაძის, ი. ჩოჩიას და ს. ჭილაიას სიტყვები] : თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია, გაზ. „კომუნისტი, 1951, N14, 17 იანვარი, გვ. 3.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.171.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ უბის წიგნაკში ვრცელი ამონაწერია 1951 წლის ჟურნალ „მნათობის“ მერვე ნომრიდან<sup>1</sup>. ვნახეთ ეს წყარო და აღმოჩნდა, რომ ამონარიდი გაკეთებულია მოწინავე სტატიიდან „პარტიის სიბრძნით გაშუქებული გზით“<sup>2</sup>, ამ დროს კი ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ირაკლი აბაშიძე და, გავრცელებული პრაქტიკით, მოწინავე წერილი მას უნდა ეკუთვნოდეს. საგულისხმოა, რომ ამ ამონარიდებს წინ უსწრებს 12 მუხლად ჩამოწერილი პათეტიკური იდეოლოგიური სენტენციები, რომელთა ქვეშ პოეტს მიუწერია: „რა ჩამორჩენაა?“ საგულისხმოა, რომ ეს სენტენციებიც, რომლებთანაც წყარო მითითებული არ არის, ამოღებულია იმავე მოწინავე წერილიდან.



◇ 1951 წლის 22 დეკემბრის ჩანაწერში ნახსენებია ლევან ასათიანის წერილი გაზეთ „კომუნისტში“ და იმავე დღეს „ზარია ვოსტოკაში ივანე წულუკიძის გამოქვეყნებული წერილი მის შესახებ<sup>3</sup>. სტატიების სათაურები და თემა დაკონკრეტებული არ არის. გავარკვეით, რომ საუბარია 1951 წლის 21 დეკემბრის პუბლიკაციებზე „ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა მწერლებისადმი“<sup>4</sup> და Грузинская революционная поэзия<sup>5</sup>, რომელიც არის ვანო წულუკიძის რეცენზია ლევან ასათიანის წიგნზე Л. Асатиани, рабочая революционная поэзия в нелегальной и легальной большевистской прессе 1901-1907 г.г. ეს წიგნი 1951 წელს გამოსცა „ზარია ვოსტოკამ“. ლევან ასათიანის წერილში საუბარია სტალინის პირად წერილებზე რუსი მწერლებისადმი: დემიან ბედნისადმი, მაქსიმ გორკისადმი, ალექსანდრ ბეზიმენსკისადმი, ბილ-ბელოცერკოვსკისა და ფელიქს კონისადმი. გალაკტიონი სტატიაზე ამბობს, რომ „ცოტა პროვოკაციული ხასიათისაა“. ვფიქრობთ, ასეთი შეფასება შეიძლებოდა გამოეწვია იმას, რომ მასში საუბარია

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 20-23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.182.

<sup>2</sup> „პარტიის სიბრძნით გაშუქებული გზით“, ჟ. მნათობი, გვ. 3-8.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.185.


<sup>4</sup> ლ. ასათიანი, ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა მწერლებისადმი, კომუნისტი, 1951, 21 დეკემბერი.

<sup>5</sup> В. Цулукидзе, Грузинская революционная поэзия, [Рецензия] Заря Востока, 1951, 21 декабря.

დეკადენტურ და პესიმისტურ გადმონაშთებზე, უიდეობასა და აპოლიტიკურობაზე.

◇ 1940 წლის 9 ივლისამდე გაკეთებულ ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „აღმოვაჩინე 100 ლექსი პოეტების“<sup>1</sup>. თუ რა ლექსებზე უნდა იყოს საუბარი, ჩანს იმავე წლის ერთი რუსულენოვანი ჩანაწერიდან „100 поэтов Грузии - О Галактионе Табидзе“<sup>2</sup> სხვაგან გვხვდება ამ ავტორთაგან ზოგიერთების ჩამონათვალიც და ლექსების სათაურებიც.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ რეჟელში 1951 წლის ნოემბრის (გვ. 68) ჩანაწერსა და ამავე წლის 16 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტიდან“ (გვ. 71) გაკეთებულ ამონაწერს შორის მოთავსებულია ავტორის მიერ ოთხ მუხლად ჩამოწერილი სურვილები და სამოქმედო გეგმა, რომლის მეორე მუხლში იკითხება: „2. მე მაქვს ატესტატი რეჟისორისა. კარგი



იქნება, ჩამოყალიბდეს ლირიკის თეატრი, ან...“<sup>3</sup> თუ რას შეიძლება გულისხმობდეს პოეტი ლირიკის თეატრის ალტერნატიულ სათაურად, რაც ამ ჩანაწერში მრავალწერტილით აქვს მინიშნებული, ვფიქრობთ, მჟღავნდება ამავე წელს სხვაგან ჩაწერილ ფრაზაში: „გალაკტიონის თეატრი“<sup>4</sup>. როგორც ჩანს, პოეტს სურვილი ჰქონდა დაეარსებინა თავისი სახელობი ლირიკის თეატრი. რადგან ჩანაწერში თავის სარეჟისორო ატესტატს ახსენებს, სავარაუდოა, რომ თეატრის ხელმძღვანელობას თუ არა, მის მუშაობაში ქმედით მონაწილეობას მაინც აპირებდა.

◇ 1950 წლის 3 დეკემბრის ჩანაწერში, რომელიც საავადმყოფოშია გაკეთებული, გალაკტიონი საუბრობს რაღაცის გადანერგვაზე. ექიმი აღდადანოვი ეუბნება, ექიმი ხუნდაძე, რომელმაც ეს ოპერაცია უნდა

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-133, 6; გ. ტაბიძე, ს. გ. 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 73.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, ს. გ. 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 173.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი. ქლმ. დ-270, გვ. 69; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 214.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 63.

შეასრულოს, 10 დეკემბრისთვის დაბრუნდება შვებულებიდან და მაშინ გაგიკეთებთო<sup>1</sup>. გალაკტიონს რამდენიმე თვის წინ მოტეხილი ჰქონდა ფეხი და ძალიან გაურთულდა ძვლის შეხორცების პროცესი. გადანერგვაც, სავარაუდოდ, ეხებოდა მოტეხილ ფეხზე ძვლის რაღაც ნაწილის გადანერგვას, რადგან 1950 წლისთვის საქართველოში ჯერ კიდევ არ ტარდებოდა შინაგანი ორგანოების გადანერგვის ოპერაციები.

◇ გალაკტიონის 1908 წლის ერთ რვეულში ჩაწერილია მოგონება მისი ბავშვობის შესახებ<sup>2</sup> და ნახსენებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის დასრულება. ეს მოხდა 1904 წელს. მართალია, ტექსტი აქ წყდება, მაგრამ შეიძლება მას მომდევნო 4 წლის შესახებ გაგრძელებაც ჰქონოდა, რომელმაც უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

◇ 1957 წლის 13 იანვრით დათარიღებული ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი აპირებს თავისი ნაწერების სიის შედგენას, გადასაწერი მასალის გადარჩევას და გადასაბეჭდების ცალკე გადაწყობას<sup>3</sup>. აშკარაა, რომ მუშაობს რომელიღაც წიგნის გამოცემაზე. ამავე წლის 25 იანვრამდე გაკეთებული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში პოეტი მუშაობდა თავისი თხზულებების მეცხრე ტომის გამოცემაზე<sup>4</sup>. შესაბამისად, 13 იანვარსაც ამავე ტომის გეგმაზე იმუშავებდა.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ქართველი კრიტიკოსები ყველანი მელანქოლიურები არიან და იქვე დასძენს, რომ ენციკლოპედიაში კარგად არის განმარტებული სიტყვა მელანქოლია<sup>5</sup>. დავინტერესდით, როგორ იყო ეს სიტყვა განმარტებული დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში და, შესაბამისად, რა თვისებებს მიაწერდა გალაკტიონი ქართველ საბჭოთა კრიტიკოსებს. ვფიქრობთ, ყველაზე მეტად სიტყვის განმარტებიდან მას უნდა მოსწონებოდა კრიტიკული ფრაზები:

„...характеризуется пониженным настроением, интеллектуальной и психомоторной затормаженностью. Большое место занимают бредовые идеи...“ გალაკტიონის კრიტიკული დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ ამავე კონტექსტში ის ახსენებს

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, დ-261, 47; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 104.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №1130, გვ. 1.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-226, გვ. 19; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 442.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-360, გვ. 16; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 310.

<sup>5</sup> ქლმ. დ-238, გვ. 6; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 524.

ალექსეი კრუჩონიხის წიგნს «Малохолия в капоте». მის სათაურში მელანქოლიურობასთან შერწყმულია სიტყვა малохоличный, რომელიც აღნიშნავს სუსტს, სულელს, არანორმალურს, უცნაურობებისა და გადახრების მქონეს.

◇ გალაკტიონის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ, თითქოს გიორგი ლეონიძე, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმს ხელმძღვანელობდა, მისულა ავადმყოფ დარია ახვლედიანთან და შეუთავაზებია აკაკი წერეთლის შესახებ მისი მოგონების შექმნა, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ხელნაწერიდან ამოიღებდა მონაკვეთს, რომელშიც აკაკის მიერ გალაკტიონის ქება იყო წარმოდგენილი. აქვე ნათქვამია ისიც, თითქოს გიორგი ლეონიძემ რომელიღაც მწერლისგან მუზეუმისთვის შეიძინა დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, დომინიკა ერისთავის, ია ეკლადის, ზაქარია ჭიჭინაძისა და შიო მღვიმელის გამოხმაურებები გალაკტიონის შესახებ და მუზეუმში შენახვის ნაცვლად გააქრო<sup>1</sup>. რამდენადაც მწერლის სახელი მითითებული არ არის, ეს უკანასკნელი ფაქტი ძნელი გადასამოწმებელია, მაგრამ რაც შეეხება დარია ახვლედიანის მოგონებას, ლიტერატურის მუზეუმში დაცული ეგზემპლარიდან აკაკის მიერ გალაკტიონის ქების ამოღება არ დასტურდება. გალაკტიონს ეს ჭორი შეიძლება დაეჯერებინა იმიტომ, რომ გიორგი ლეონიძემ 1942 წელს მის მიერ მომზადებულ „ლიტერატურის მატეანეში“, რომელიც საგანგებოდ აკაკი წერეთელს ეძღვნებოდა, 23 ავტორის მოგონება გამოაქვეყნა აკაკი წერეთელზე და არ შეიტანა დარია ახვლედიანისა. გალაკტიონი, სავარაუდოდ, ფიქრობდა, რომ ეს მან სწორედ გალაკტიონთან კონკურენციის გამო გააკეთა და ვიღაცის მიერ გავრცელებული ჭორიც დაიჯერა მოგონებიდან ხსენებული ეპიზოდის ამოღების შესახებ.

◇ გალაკტიონის ერთ უბის წიგნაკში ძალიან ბევრი ფაქტი მინიშნებებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, სიმონ ჩიქოვანზე ნათქვამია, რომ „მან უხამსად გამოიყენა (შარას დახმარებით) მოსკოვის დეკადა 1944 წ.“. საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ამ წელს სტალინურ პრემიაზე წარდგენილი იყო გალაკტიონის „რჩეული“ და, როგორც ჩანს, მოსკოვის დეკადაზე სიმონ ჩიქოვანმა კომისიის ყურამდე

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-625, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 187-189

მიიტანა, გალაკტიონს სტალინზე მხოლოდ ერთი ლექსი აქვს, ბერიაზე კი არცერთი და პრემია სიმონ ჩიქოვანს მიანიჭეს პოემისთვის „დავით გურამიშვილი“. იქვე გალაკტიონი წერს: „მან მომიწყო 1945 წ. ინციდენტი მწერალთა კავშირში“. 1945 წელს სიმონ ჩიქოვანმა არათუ უბრალოდ სხდომაზე, მწერალთა პლენუმზე საშინლად გააკრიტიკა გალაკტიონის წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და მას „უსაგნო ლირიკა“ უწოდა<sup>1</sup>.

◇ გალაკტიონის ერთ-ერთ უბის წიგნაკში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება მიეწოდოს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის 2000 წევრს ბარათები, რა დაჯდება „ჰაეროთი“ გაგზავნა და რა - ფოსტით<sup>2</sup>. რამდენადაც გალაკტიონი ფასებსაც ანგარიშობს, ეს ბარათები უშუალოდ მას უნდა უკავშირდებოდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩანაწერი სექტემბერშია გაკეთებული და ნოემბრისთვის გალაკტიონი ემზადებოდა თავისი დაბადებიდან 60 წლის იუბილესთვის, „ბარათებში“, სავარაუდოდ, იუბილეზე დასასწრებად დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათები უნდა იგულისხმებოდეს.

◇ 1929 წლის 7 მაისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ცოტა ხნის შემდეგ შესრულდება 15 წელი კაცობრიობის ტრანშეებში ცხოვრებისა“<sup>3</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მინიშნებული უნდა იყოს პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროზე – 1914 წლის 28 ივნისზე, როდესაც მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი, წყაროში საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ომს შედეგად ოთხი იმპერიის დაშლა მოჰყვა: ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და რუსეთის, რამაც ჯაჭვური რეაქციის სახით გამოიწვია როგორც სამოქალაქო ომები, ისე ქვეყნებს შორის დაუსრულებელი კონფლიქტები.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი ჩანაწერიდან<sup>4</sup> ირკვევა, რომ 1917 წელს თებერვლის რევოლუციამდე ის ქუთაისში ცხოვრობდა თეოდორ

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის საღამო, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, N25 (78), 2 აგვისტო, გვ. 2.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 280, გვ. 319; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 285.

<sup>3</sup> ქლმ, დ-628, 24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 300.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, „თებერვლის ერთი დღე ქუთაისში“, გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 216-217.

ჩუდეცკისთან ერთად, პაოლო იაშვილის მამის – ჯიბო იაშვილის სახლში. შესაბამისად, ის სანდო ადამიანი, რომლის სახლშიც შ. ფორჩხიძის მოგონების მიხედვით გალაკტიონი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მთელ თვეს არალეგალურად ცხოვრობდა, უნდა ყოფილიყო ჯიბო იაშვილი და ბაგრატის ტაძრის ნანგრევიდან წამოღებული ქვის ორნამენტიც, რომელიც ამავე მოგონებაშია ნახსენები<sup>1</sup>, იმ სახლის მაგიდაზე უნდა სდებოდა.

◇ ოლია ოკუჯავას მიერ 1937-1941 წლებში გადასახლებიდან გაგზავნილ წერილებს ზოგს აწერია იაროსლავლი, ზოგს ვლადიმირი, ზოგთან კი მისი მისამართი ნახსენები არ არის და, შესაძლოა, მის მითითებას უკრძალავდნენ კიდეც. შესაბამისად, მატიანეშიც ვუთითებთ მხოლოდ იმას, რომ ეს წერილები გადასახლებიდან არის გაგზავნილი.

◇ ოლია ოკუჯავას მიერ 1931 წლის 24 დეკემბრის შემდეგ გალაკტიონისთვის სახლში დატოვებულ ერთ ბარათზე გვერდულად მიწერილია სიტყვები, რომლებშიც გარკვევით იკითხება: „Принесла Стройку“ ბუნებრივია, საუბარი ვერ იქნება „მშენებლობის“ მიტანაზე



და „Стройка“ რაღაცის სახელი უნდა იყოს. გავარკვეეთ, რომ 1930-1931 წლებში საბჭოთა მწერალთა გაერთიანების ფედერაციის ლენინგრადის განყოფილება გამოსცემდა ამ დასახელების ყოველკვირეულ ილუსტრირებულ ჟურნალს, რომელშიც იბეჭდებოდა ლიტერატურული, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები და ბარათში მის ერთ-ერთ ნომერზე უნდა იყოს საუბარი.

◇ ვარლამ ჟურულის 1940 წლის 1 თებერვლის წერილში გალაკტიონისადმი<sup>2</sup>, საუბარია რომელიღაც გაზეთის რედაქციაზე, რომელსაც უნდა დაებეჭდა გალაკტიონის ლექსები, მაგრამ ვერ დაბეჭდა. ვარლამ ჟურული აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთთან

---

<sup>1</sup> შ. ფორჩხიძე, პოეტური სიტყვის ხუროთმოძღვარი, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ.1973, გვ.109.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ელმ, 24551-467; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 284-285.



„ახალგაზრდა კომუნისტი“ და ვფიქრობთ, აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს.

◇ სოსიკო ფანცხავას 1945 წლის 20 მაისის წერილიდან ჩანს, რომ ის გალაკტიონს რაღაც მოგონების დაწერას სთხოვს<sup>1</sup>. რამდენადაც იოსებ ფანცხავა მუშაობდა რომანოზ ფანცხავას ვრცელი ბიოგრაფიის შედგენაზე<sup>2</sup>, ეს მოგონებაც, სავარაუდოდ, მის შესახებ უნდა ყოფილიყო.

◇ სოსიკო ფანცხავას 8 თებერვლის წერილში ნახსენებია სალამო. გალაკტიონის 1953 წლის 7 თებერვლისთვის დაგეგმილი სალამო 7 მარტისთვის გადაიდო და ამ დღესაც არ ჩატარებულა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აქ საუბარი უნდა იყოს აკაკი წერეთლის სალამოზე, რადგან არსებობს გალაკტიონის მიერ სწორედ 8 თებერვალს დაწერილი სიტყვა აკაკი წერეთლის სალამოსათვის<sup>3</sup>.

◇ ერთ-ერთ გვიანდელ ჩანაწერში გალაკტიონი იხსენებს: „მე და მესხიშვილს რომ ქართული გაზეთის გამოცემა გვინდოდა 1918-ში. სომეხმა მესტამბემ უარი გვითხრა შრიფტზე (დაშნაკი იყო, თურმე. აქ, საქართველოში, თურმე, ომი იყო მენშევიკებსა და სომეხებს შორის)“<sup>4</sup>. ბუნებრივია, დავინტერესდით, რომელ ომზე იყო საუბარი. გალაკტიონი 1918 წლის 5 ოქტომბერს უკვე თბილისში იყო და სომეხ მესტამბესთან ამის შემდეგ მოსკოვში მოლაპარაკებებს ვერ გამართავდა, ომი კი ქართველებსა და სომეხებს შორის 1918 წლის 5 დეკემბერს დაიწყო. მიუხედავად ამისა, საზღვრის დემარკაციასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყნებს შორის დამაბული ვითარება ომის დაწყებამდე თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა და ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ზაფხულში ქვეყნდებოდა მწვავე სტატიები ქართულ და სომხურ პრესაში. აღწერილი ფაქტიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პოეტს, სავარაუდოდ, აღარ ახსოვდა, ომის გამო უთხრა დაშნაკმა მესტამბემ უარი გაზეთის გამოცემაზე თუ პოლიტიკური დამაბულობის გამო, რომელსაც შემდეგ ეს ომი მოჰყვა.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-471; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 295.

<sup>2</sup> ს. ფანცხავა, გალაკტიონი, გაზ. ალაზნის განთიადი, 1982, 7 დეკ., N144, გვ.4.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 45-46.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 130.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1940 წლის 31 მარტის ჩანაწერში<sup>1</sup> იკითხება, რომ ხელახლა გადაათვალიერა „ლირიის 14 ტომი“ და მისთვის საინტერესო ბევრი მასალა აღმოაჩინა. ამ ფრაზას მოსდევს სიტყვები, რომ ახლა მთელი ენერგია სადამოს და გაზეთის გამოშვებას უნდა მოახმაროს. 1940 წელს არც გალაკტიონ ტაბიძისა და არც სხვა რომელიმე პოეტის ლირიკა ქართულ ენაზე 14 ტომად გამოცემული არ ყოფილა. თან საფიქრებელია, რომ სადამოს მოსაწყობად პოეტს სწორედ საკუთარი მასალა დასჭირდებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც სრულდება მისი ლირიკის მესამე ტომის გამოცემა და ამზადებს ან უკვე მზად აქვს მეოთხე. საარქივო მასალაზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ დღიურის ჩანაწერებში აზრობრივი შეუსაბამობა უმეტეს შემთხვევაში მექანიკური შეცდომით ან კალმისმიერი ლაფსუსით არის ხოლმე გამოწვეული. ტომების ნომერაციას პოეტი ხან სიტყვიერად წერდა („მესამე ტომი“, „მეოთხე ტომი“<sup>2</sup>), ხან რომაული ციფრით III/IV/V... ტომი<sup>3</sup>, ხან პრეფიქსითა და არაბული ციფრით (მე-4 ტომი)<sup>4</sup>, ხან კი აფიქსითა და რომაული ციფრით. („მე-III ტომი“)<sup>5</sup>. ეს უკანასკნელი ვერსია მართლწერის წესებს ეწინააღმდეგება, მაგრამ გალაკტიონთან ყველაზე ხშირია.

საარქივო მასალის ამოკითხვისას ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტექსტს. სწორედ კონტექსტი გვეხმარება ხოლმე მექანიკური შეცდომების აღმოჩენაში. ამ შემთხვევაში ყველაზე ლოგიკურია, რომ იგულისხმებოდეს გალაკტიონის პოეზიის მეოთხე ტომი, რომელიც ზუსტად ამ პერიოდში, მისი მზადებისას არაერთხელ ექნებოდა გადაათვალიერებული პოეტს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთხელ კიდევ „ხელახლა“ გადაათვალიერა სადამოსა და გაზეთისთვის მასალის ამოსაკრებად. ვფიქრობთ, პოეტმა ჯერ რომაული ოთხიანის წერა დაიწყო, ვერტიკალური ხაზი ჩამოუსვა, მაგრამ შემდეგ არაბულით დაასრულა ან მოუხერხებლად დაწერა ნიშანი V-ის მარცხენა ნაწილი.

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42, 142, 173, 176,

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 30, 37, 72, 111, 201, 204, 250, 507

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 111

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 141, 215, 243, 446, 478, 504, 514, 518

როდესაც საქმე კალმისმიერ ლაფსუსებთან გვაქვს, ვერასდროს ვიტყვით, რამ გამოიწვია ეს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვეძიოთ ლოგიკურად ყველაზე მეტად დასაშვები ვარიანტი, რადგან ის, რაც ფაქტობრივად წერია, კონტექსტს არ შეესაბამება და სწორი ვერ იქნება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს პოეტის ლექსების მეოთხე ტომზე. 1940 წლის 22 ოქტომბრის დღიურის შემდეგ მოთავსებული ჩანაწერიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონი უკვე ანგარიშობს მეოთხე ტომის სტრიქონებისა და ფორმების რაოდენობას და საჭირო თანხას, 1941 წლის 17 თებერვალს კი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ტომის გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობის გეგმაში შეტანილი არ არის. გალაკტიონის ამ ტომის გამოცემა 1947 წლამდე შეფერხდა და, როგორც ჩანს, იგი მთლიანად შეიცვალა 1941-1945 წლებში დაწერილი ლექსებით. ამიტომ, ძნელი სათქმელია, როგორი შედეგნილობის იყო 1940 წელს მომზადებული ვარიანტი.

◇ 1927 წლის 15 ივლისს ვარლამ რუხაძემ ჟურნალში „ქართული მწერლობა“ უარყო გალაკტიონისთვის ლექსის მიძღვნის ფაქტი. ის წერს, რომ გამოსაქვეყნებლად გალაკტიონისთვის გადაცემულ ჩვეულებრივ ლექსს სათაური შეუცვალეს და ისე გამოაქვეყნეს, თითქოს მას ეძღვნებოდა<sup>2</sup>. როგორც ამავე ჟურნალის ივნის-ივლისის ნომერში გამოქვეყნებული საპასუხო წერილიდან ჩანს, გალაკტიონ ტაბიძეს ამ გაზეთის გამოცემაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ვარლამ რუხაძეს კი გაზეთის მომზადებლებისგან სცოდნია, რომ ლექსი გალაკტიონისადმი მიძღვნილ გაზეთში დაიბეჭდებოდა<sup>3</sup>.

◇ გალაკტიონის ციფრულ არქივში დაცულ ერთ ფურცელზე საუბარია ვილიე დე-ლილ ადანის პიესაზე „თავისუფლება“<sup>4</sup>. ამ სათაურის პიესა ფრანგი მწერლისა და დრამატურგის შემოქმედებაში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, რამდენადაც გალაკტიონის ჩანაწერში მითითებული იყო, რომ პიესა დაიდგა 1887 წელს პარიზში, ელისეის სასახლის სახვითი ხელოვნების დარბაზის სცენაზე (Passage de l'Élysée

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 111.

<sup>2</sup> ვ. რუხაძე, „მცირე განმარტება“, ჟ. „ქართული მწერლობა“, 1927, #5, გვ. 182.

<sup>3</sup> ვ. რუხაძის მცირე განმარტების გამო, ჟურნ. „ქართული მწერლობა,“ (ივნისი-ივლისი), გვ. 312-313.

<sup>4</sup> გტცა N891, გვ. 1.

des Beaux-Arts) და ინტერნეტის საძიებო სისტემების მეშვეობით გავარკვეით, რომ ამ წლის 12 ოქტომბერს ამ ავტორის პიესა, რომელიც ამ სცენაზე დაიდგა, იყო L'Évasion. ემთხვევა მოქმედ პირთა სახელებიც: Pagnol, Lucien, Le petit père Mathieu, Un brigadier de gendarmerie, Premier gendarme, Marianne, La mère Yvonne. ბუნებრივია, რადგან გალაკტიონმა პიესის თარგმნა გადაწყვიტა, ის ქართულად თარგმნილი არ უნდა ყოფილიყო და პოეტს რუსულიდან უნდა ეთარგმნა. მიუხედავად იმისა, რომ თავად თარგმანის ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია და არც ვიცით, განახორციელა თუ არა ის პოეტმა, იმის დადგენა მაინც შეუძლებელია, ვისი რუსული თარგმანის გამოყენებას აპირებდა. ვილიე დე-ლილ ადანის დრამა «L'Évasion» მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსულ ენაზე სამჯერ თარგმნეს, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებული სათაურებით: სათაურით «Свобода» 1909 წელს იგი თარგმნა ა. მ. მოსიევეამ და ნ. გ. ჩულკოვამ, სათაურით «Пробуждение» 1915 წელს ი. ე. სპივაკმა და სათაურით «Освобождение» - 1920 წელს ს. ა. პოლიაკოვამ<sup>1</sup>. რამდენადაც გალაკტიონმა სათაურად აიღო „თავისუფლება“ და არა „გამოღვიძება“ ან „გათავისუფლება“, ვფიქრობთ, რომ მას ზემოხსენებულთაგან პირველი რუსული თარგმანი უნდა ჰქონოდა ხელთ. გრაფემატული მახასიათებლების მიხედვით ჩანაწერი გაკეთებულია 1911 წელს ან შემდეგ<sup>2</sup>. ტექსტის მეორე რუსული თარგმანი უკვე გამოცემული რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, გალაკტიონი იმით იხელმძღვანელებდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 1915 წლამდე.

◇ ტიციან ტაბიძის მიერ გალაკტიონისთვის 1908 წლის 23 თებერვალს გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 8 იანვარს აკაკი წერეთლის საიუბილეოდ ქუთაისში გამართულ საღამოზე მოსწავლე აკაკი შანიძის გამოსვლამ დირექცია გაანაწყენა<sup>3</sup>. საღამოზე აკაკი შანიძემ აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემებზე საუბრისას წარმოთქვა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები მე-19 საუკუნეში განვითარდა არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ერეკლე მეფის მიერ

---

<sup>1</sup> Studia Litterarum (Литературные исследования), Институт мировой литературы имени А.М. Горького, том 4 #3 2019, Москва, 75.

<sup>2</sup> მ. ნინიძე, „დროის მოკლე ინტერვალში დადასტურებული მახასიათებლების გამოყენება“, წიგნში „გრაფემატული კვლევა“, თბ., 2025, გვ. 115.

<sup>3</sup> ნოდარ ტაბიძე, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, თბ., 2008, გვ. 185.

დადებული ხელშეკრულებით, არამედ...“ ამ სიტყვაზე მან მრავლისმეტყველი პაუზა გააკეთა, მოხსენება გადაფურცლა და მომდევნო საკითხზე გადავიდა. დარბაზში ძლიერი ტაშის ხმა გაისმა და გამოსვლამ ცარიზმის პოლიტიკის საწინააღმდეგო სახე მიიღო. ამის გამო გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ აკაკი შანიძეს მკაცრი საყვედური გამოუცხადა და ყოფაქცევაში სამიანი დაუწერა.

◇ 1930 წლის დღიურში გალაკტიონი იწერს ერთ-ერთი ცეხის შესახებ გასარკვევ საკითხებს: „1. სახელწოდება ცეხის. 2. რამდენი ხანია არსებობს...“<sup>1</sup>. იმავე წლის 7 ოქტომბერს სხვა დღიურში წერს, რომ განაწილებულია სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხების მწერალთა IV ბრიგადაში<sup>2</sup>, 18 ოქტომბერს კი, აღნიშნავს, რომ ის მიემაგრა სამჭედლო ცეხს.<sup>3</sup> შესაბამისად, ჩანაწერი ეხება სამჭედლო ცეხის საკითხებს.

◇ 1931 წლის 10 მაისს დღიურში წერს: „იყო მწერალთა წმენდა. გასწმინდეს კარგად“<sup>4</sup>. იგულისხმება მწერალთა ფედერაციის საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომის დადგენილება – „ჩატარდეს წმენდა მემარჯვენე რეაქციული მწერლებისაგან“, რომლის თანახმადაც ჩატარდა მწერალთა ფედერაციის წმენდა. შერჩეულმა კომისიამ ფედერაციის სამდივნოს 9 მაისს წარუდგინა ოქმი, რომელიც დამტკიცდა 17 მაისს და როგორც მემარჯვენეები, გარიცხეს პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე გამსახურდია.<sup>5</sup> იმ დროისთვის მწერლების ნაწილი მიიჩნეოდა მემარცხენეებად, ანუ პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურულ თანამგზავრებად, ნაწილი კი მემარჯვენე, ანუ ბურჟუაზიული ფრთის წარმომადგენლებად.

◇ 1931 წლის 11 სექტემბერს დღიურში წერს: „მემარჯვენეების ისტორია სამუდამოდ გათავდა. პროლეტმწერლობამ შეიძლება ჩემზე მოიტანოს იერიში. იყო მათი პლენუმში კომუნისტში მუშიშვილის წინააღმდეგ, მე გადამკრეს“<sup>6</sup>. 1931 წლის 3-5 სექტემბერს ჩატარდა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმი, სადაც ბენიტო ბუაჩიძემ თავის მოხსენებაში გაილაშქრა მემარჯვენე მწერლების – ყოფილი აკადემიური ასოციაციის წევრებისა და ცისფერყანწელების წინააღმდეგ, გალაკტიონ ტაბიძე კი დაასახელა

<sup>1</sup> ქლმ. დ-54, 13, 15-16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 180-181.

<sup>2</sup> ქლმ. დ-53, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 94-98.

<sup>3</sup> ქლმ. დ-53, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 111.

<sup>4</sup> ქლმ. დ-53, 34; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 123.

<sup>5</sup> რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 128.

<sup>6</sup> ქლმ. დ-53, 34; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 123.

მოკავშირედ და თანამგზავრად.<sup>1</sup> გრიგოლ მუშიშვილის (ხოფერია) შესახებ გაზეთის „კომუნისტი“ ინფორმაციაში იგულისხმება 6 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია „საქ. პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის პლენუმი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ პლენუმის დროს კამათში გამოსულმა მწერლებმა გრიგოლ მუშიშვილს მიუთითეს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შეფასებისას დაშვებულ იმ შეცდომაზე, როდესაც ამტკიცებდა, რომ თითქოს ის ჯორჯ გორდონ ბაირონია და უნდა გახდეს ვლადიმერ მაიაკოვსკი“<sup>2</sup>.

◇ 1932 წლის 25 ივნისს დღიურში წერს: „კონფერენცია დღეს უნდა შემდგარიყო, იგი გადაიდვა 27-სათვის (ჯერ 15, მერე 20, მერე 25, ეხლა კი 27-სათვის). თვითონ ეს ფაქტი თავისთავად ლაპარაკობს იმ გარემოებაზე, რამდენად მოუმზადებლად ხვდებიან 23 აპრილის დადგენილებას“<sup>3</sup>. საუბარია 1932 წლის 27 ივნისს მწერალთა სასახლეში გახსნილ საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო პირველ ყრილობაზე. მანამდე მწერალთა ფედერაციაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პროლეტარული და არაპროლეტარული მწერლები, რის გამოც კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 23 აპრილის დადგენილებით, გააუქმა მწერალთა ცალკეული ორგანიზაციები და გამოიწვია ამ ყრილობის გამართვა.<sup>4</sup>

◇ 1932 წლის 26 სექტემბრის შემდეგ დღიურში წერს: „რა უქნეს ცისფერ ყანწელებს? – აი, რა უქნეს: ერთმანეთს შეაჯახეს, მიიყვანეს ტყავტრესტში, გამოაცვლევინეს ფორმა: გალსტუკები, ჩოხები, სონეტი წაართვეს, რითმა მიუნგრის, ასსონანსი შეაძულეს, არ გაბედო – უთხრეს და.. დააწერინეს ლექსი, რომლისაც თვითონ ეშინია. და.. წერტილიც დაუსვეს“<sup>5</sup>. საუბარი უნდა იყოს პროლეტმწერლებზე, რომელთა ასოციაციის გამგეობის VI პლენუმი ჩატარდა 1931 წლის 3-5

---

<sup>1</sup> სეა (ლხცსა), 38-1-148; რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 89.

<sup>2</sup> „საქ. პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის პლენუმი“, გაზ. „კომუნისტი“, 1931, 6 სექტემბერი, #205, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-68, 11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 275-276.

<sup>4</sup> რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 136-137.

<sup>5</sup> ქლმ. დ-53. 64; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 144.

სექტემბერს და ბენიტო ზუაჩიძემ თავის მოხსენებაში დაგმო მემარჯვენე მწერლები, მათ შორის, ცისფერყანწელები<sup>1</sup>.

◇ 1932 წლის 25 ნოემბერს დღიურში აღნიშნავს: „პანტელეიმონ ჩხიკვაძე... ამბობდა, რომ 10 დეკემბერს მოხდება პლენუმი, რომ იგი დაიბარეს ცეკაში, და ჰკითხეს მისი აზრი“<sup>2</sup>. იგულისხმება მწერალთა ჯგუფობრიობის წინააღმდეგ მიმართული, 1932 წლის 25-31 დეკემბერს ჩატარებული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი პლენუმი, რომელიც გაიხსნა სანდრო ეულის მოხსენებით „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობა და მომავალი ამოცანები“<sup>3</sup>.

◇ 1933 წლის 11 ოქტომბერს უბის წიგნაკში წერს: „დილით 12 საათზე ტიხონოვთან. ზედმიწევნით ზრდილობიანი“<sup>4</sup>. საუბარი უნდა ყოფილიყო მოსკოვში გამოსაცემი წიგნის თაობაზე, რომელიც ნიკოლაი ტიხონოვის რედაქტორობით, დაიბეჭდა მოგვიანებით, 1937 წელს<sup>5</sup>.

◇ 1933 წლის 11 ოქტომბრის შემდეგ უბის წიგნაკში წერს იმ პირთა სიას, რომლებსაც შეუძლიათ ლექსების თარგმნა და ასევე, ჩამოთვლის ცნობილ მთარგმნელებს.<sup>6</sup> 1933 წელს ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე დაბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსები“<sup>7</sup>, რომელსაც ხელი მოეწერა გამოსაცემად 20 ივნისს, ამიტომ ამ კრებულზე ვერ იქნება საუბარი. შესაძლებელი იყო გვევარაუდა, რომ მთარგმნელების სიას ამზადებდა 1935 წელს იმავე გამომცემლობის მიერ თბილისში დაბეჭდილი მეორე წიგნისთვის „ლექსები და პოემები“<sup>8</sup>. მაგრამ მომდევნო ჩანაწერში ვკითხულობთ: „პ. დადვაძე. ლექსები. დაახლოვებით 5-6 стихотв. 500 სტრიქონი რუსეთში წასაღებად. იქ დიდი წიგნი გამოდის“<sup>9</sup>. ამიტომ უნდა იგულისხმებოდეს

---

<sup>1</sup> სეა (ლხცსა), 38-1-148.

<sup>2</sup> ქლმ. დ-71, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 292.

<sup>3</sup> სეა (ლხცსა), 6-1-271, რ. კვერენჩხილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 144.

<sup>4</sup> ქლმ. დ-81, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 397.

<sup>5</sup> Галактин Табидзе, Избранные стихи, М., 1937.

<sup>6</sup> ქლმ. დ-81, 12-14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 399-400.

<sup>7</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, Тифлис, Загиз, 1933.

<sup>8</sup> Табидзе Г. В., Стихи и поэмы, 2-е изд., Тифлис, Загиз, 1935.

<sup>9</sup> ქლმ. დ-81, 15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 400.



მოსკოვში მოგვიანებით, 1937 წელს გამოცემული რჩეული ლექსების კრებული.

◇ 1934 წლის 29 მარტს უბის წიგნაკში წერს: „სულით და გულით!!! ჩემს ოლიას: ადამიანს, ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით, ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს. გალაკტიონ ტაბიძე (ს. ს. რესპუბლიკის სახალხო პოეტი). ტფილისი, 29 მარტი, 1934“<sup>1</sup>. 1932 წელს ოლიას ჰპირდება, რომ მომდევნო წიგნს მას უძღვნის, როგორც ცხოვრების თანამგზავრს<sup>2</sup>. 1933 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რჩეული თარგმანები<sup>3</sup>, მაგრამ რადგან ჩანაწერი 1934 წლისაა, ვფიქრობთ, რომ მეუღლისთვის 1934 წელს სრულიად საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობისთვის ლენინგრადში დაგეგმილი გამოცემის მიძღვნას აპირებდა, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა 21 თებერვალს გაზეთში „კომუნისტი“<sup>4</sup>. 21 მარტს წერილს იღებს ლენინგრადის მწერალთა ლიტერატურული ფონდის დირექტორისგან – ხასკინისგან, რომელიც სთხოვს თარგმანებისა და პწკარედების გაგზავნას<sup>5</sup>. აღნიშნული 29 მარტის ჩანაწერის შემდეგ უბის წიგნაკში ჩამოთვლის ლენინგრადის ჟურნალ-გაზეთების სიას, ლენინგრადის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მისამართს, მარშრუტს – თბილისი-ლენინგრადი, სადაც ოლია ოკუჯავას ჩანაწერის მიხედვით, სასწრაფოდ გაემგზავრა ლექსების რუსული თარგმანის გამოსაცემად<sup>6</sup>. შესაბამისად, ჩვენს ვარაუდს ეს გარემოებებიც ამყარებს.

◇ 1934 წლის 7 აგვისტოს დღიურში წერს მთარგმნელების სიას: „1. გაფრინდაშვილი, 2. Богдановский, 3. Петренко, 4. Сандро Канчели, 5. Шалыгин“<sup>7</sup>. იმ პერიოდში თარგმანებს უნდა ამზადებდეს ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი მისი ნაწარმოებების რუსული თარგმანების მეორე წიგნისთვის, რასაც გვიდასტურებს ოლია ოკუჯავას იმავე დღიურში 22 აგვისტოს

<sup>1</sup> ქლმ. დ-84, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 421-424.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 283-284.

<sup>3</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, Тифлис, Закиз, 1933.

<sup>4</sup> „მზადება მწერალთა კავშირის ყრილობისთვის“, გაზ. „კომუნისტი“, 1934, N44, გვ. 4.

<sup>5</sup> ქლმ. 24551-131-ბ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 62.

<sup>6</sup> ქლმ. დ-73, 63; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 333.

<sup>7</sup> ქლმ. დ-73, 89; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 337.

ჩანწერილი ტექსტი<sup>1</sup>, რომ „ზაკვიზის“ წიგნის დაბეჭდვა გადაწყდა იმ წლის შემოდგომაზე, თუმცა, უნდა გამოცემულიყო 1934 წლის 17 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით მოსკოვში ჩატარებული საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისთვის. წიგნი დაიბეჭდა მოგვიანებით, 1935 წელს<sup>2</sup>.

◇ 1934 წლის 26 სექტემბერს რუსულ გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ნიკოლაი ტიხონოვისეული თარგმანი „Осень в траншеях“<sup>3</sup>, რომელიც ნათარგმნია „პაციფიზმის“ ციკლში შემავალი ლექსიდან „და სისინებდენ, და სისინებდენ ჩალის ღერები“.

◇ 1940 წლის 17 მარტს დღიურში აღნიშნავს: „საბლიტგამი: 1. წიგნის გადაცემა. 2. ჰონორარის შესახებ“<sup>4</sup>. ამ წელს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ (საბლიტგამი) დაბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „ლირიკა“, რომლის შესახებაც იმავე წლის არაერთ ჩანაწერშია მოცემული ინფორმაცია. 9 აპრილს დღიურში წერს: „საბლიტგამის ჩემს წიგნს უნდა დაერქვას: რჩეული ლირიკა! ან ლირიკა!“<sup>5</sup> 14 აპრილს ვკითხულობთ: „ალკა სულავამ: წიგნი აწყობილია და მე მგონია, ორ-სამ დღეში უკვე ბეჭდვას დავიწყებთო (საბლიტგამი)“<sup>6</sup>. 1 მაისს დღიურში წერს: „მ. თაბუკაშვილთან. გაკეთებულია დიდი საქმე „ლირიკის“ რედაქციისა. წიგნი დღეს გადაეცემა სტამბას“<sup>7</sup>.

◇ 1940 წლის უბის წიგნაკში 24 მარტამდე წერს, რომ ალექსანდრე აბაშელს მხარს უჭერენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე სულავა და შალვა რადიანი<sup>8</sup>. საუბარი უნდა იყოს კრებულებში ავტორების ალფაბეტის მიხედვით ბეჭდვისა და ამ საკითხში კონსტანტინე გამსახურდიას თანადგომის შესახებ, რაც აღნიშნულია პოეტის 1941 წლის 17 იანვარის ჩანაწერში: „ს. აბაშელი

<sup>1</sup> ქლმ. დ-73, 101; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 339.

<sup>2</sup> Табидзе Г. В., Стихи и поэмы, 2-е изд., Тифлис, Загкиз, 1935.

<sup>3</sup> „Литературная Газета“, 1934, №129, გვ. 3.

<sup>4</sup> ქლმ. დ-499, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 7.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 35.

<sup>6</sup> ქლმ. დ-129, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>7</sup> ქლმ. დ-129, 4-6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>8</sup> ქლმ. დ-128, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 21.

აღარ ხუმრობს. ის შეტევაზე გადმოდის; კ. გამსახურდიას სიტყვა-სიტყვით ასე დააწერინა: შეხედეთ ს. აბაშელს, რა ყოჩაღიაო. სულ ერთი წლის განმავლობაში ამ პატარა წიგნაკით მოწინავე საბჭოთა პოეტებს გვერდით ამოუდგაო (იგულისხმეთ, გალაკტიონსაც უცებ გვერდით ამოუდგა ს. აბაშელი, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში დემონსტრატიულად სდუმდა... მან ეხლა გამოატყვერინა ძველი „ცისარტყელა“-ს დროინდელი ალფაბეტის წესი. ეს საშუალებას მისცემს მას, გვერდით კი არ იდგეს, არამედ ყველაზედ წინ იდგეს. ვითომ და რა ალფაბეტიო. იწყებო ანით. რომელიაო წინ? აბა. ამავე წესით ააწყობინა ბორის სერებრიაკოვს მოსკოვში გამოსაცემი ქართული პოეზიის ანთოლოგია<sup>1</sup>. ფიქრობს, რომ რადგან ის, ანთოლოგიის სარედაქციო კოლეგიის წევრია, იქაც გაიყვანს ალფაბეტის წესს, მწერალთა კავშირის კრებულშიც გამოიყენებს, რომელიც თებერვალში უნდა გამოვიდეს და წიგნი გაიხსნება სანდრო აბაშელის ლექსით. აღნიშნავს, რომ მანამდე ყველა წიგნი, ყველა ჟურნალი და კრებული იხსნებოდა მისი ლექსებით. აინტერესებს, რითი დამთავრდება ეს დუელი მასსა და ალექსანდრე აბაშელს შორის<sup>2</sup>.

◇ 1940 წლის უბის წიგნაკში 24 მარტამდე აღმანახიდან „აკაკი“ უსათაუროდ და უავტოროდ იწერს ლექსის სტროფებს<sup>3</sup>. ლექსის სათაურია „მეცხრამეტე საუკუნის რუსთველს, აკაკის“ და ავტორია ვარლამ რუხაძე<sup>4</sup>.

◇ 1940 წლის უბის წიგნაკში 24 მარტს წერს, რომ კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებითა და შალვა რადიანის წერილით მის შესახებ გამოვიდა „ლიტერატურული საქართველოს“ მორიგი ნომერი<sup>5</sup>. ამ დღეს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ დაიბეჭდა კანდიდ ჩარკვიანის 1940 წლის 16 მარტის მოხსენების „საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის დასასრული – მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის აღმავლობა“, რომელშიც ნათქვამია, რომ სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისთვის შემოქმედებითად

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 2; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 159-160.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 2; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 160.

<sup>3</sup> ქლმ. დ-128, 20; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 21.

<sup>4</sup> საიუბილეო სურათებიანი აღმანახი „აკაკი“, თბ., 1908, გამოც. 1, გვ. 2.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 1-2; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 28-29.

იაქტიურა გალაკტიონ ტაბიძემ და ქართული პოეზია გაამდიდრა ბელადსა და მის მშობლიურ ქალაქზე ოსტატურად დაწერილი ლექსებით<sup>1</sup>. ბიბლიოგრაფიაში „რა არის ახალი ჟურნალებში“ აღნიშნულია „მნათობში“ გამოქვეყნებული შალვა რადიანის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“<sup>2</sup>.

◇ 1940 წლის 24 და 31 მარტისა და 12 აპრილის ჩანაწერებში<sup>3</sup> სასკოლო წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, იგულისხმება კრებული „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XX საუკუნე, საშუალო სკოლის X კლასისათვის“ (შემდგენლები: შ. რადიანი, პ. კეკელიძე, რედაქტორი: ბ. კიზირია), რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „მე და დამე“, „სტალინი“, „პირველი მაისი“, „მთაწმინდის მთვარე“, „დროშები ჩქარა“, „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „დაჰკარ, ორკესტრო“, „რევოლუციურ საქართველოს“, „კოლხიდის დაბლობზე“.

◇ 1940 წლის 31 მარტს დღიურში წერს: „პორტრეტის საქმე კიდევ ვერაა კარგად: ის გორდეზიანი რაღაცას ემშაკობს. მაგრამ, მგონი, ვერ გაუვიდეს“<sup>4</sup>. ამ დროს გალაკტიონის პორტრეტებს ხატავდნენ დავით გველესიანი და კორნელი სანაძე, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია იმავე დღიურის 24 მარტისა და 7 აპრილის ჩანაწერებში. დაუსრულებელ პორტრეტში უნდა იგულისხმებოდეს დავით გველესიანისეული პორტრეტი, რომელიც უნდა დართვოდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა III ტომს. ამის შესახებ 24 მარტის ჩანაწერში აღნიშნავს: „მე-III ტ. ორ-სამ დღეში მოთავდება – მომართვა. ბეჭდვაც უთუოდ მალე დაიწყება. პორტრეტის საქმე (დ. გველესიანი) ჯერ გამოურკვეველია“<sup>5</sup>. დავით გველესიანის შესრულებულ სხვა პორტრეტებთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში ინახება ამ პერიოდის გრაფიკული ნამუშევარიც, რომელიც, სავარაუდოდ, დათარიღებულია 1940-იანი წლებით და ალბათ, ამ პორტრეტზეა საუბარი და ჩანაწერის მიხედვით, შესაძლებელია, მისი 1940 წლით დათარიღება. თუმცა, პოეტის თხზულებათა III ტომს ერთვის სხვა

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, 24 მარტი, #29, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, 24 მარტი, #29, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 2-3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 29-30.

<sup>4</sup> ქლმ. დ-129, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 29.

პორტრეტი ავტორის ინიციალებით „Н. Ч.“ – ნიკოლოზ ჩერნიშოვი, რომელსაც გალაკტიონი იხსენიებს დღიურებში, როგორც მისი პორტრეტების ავტორს (არნიშნავს, რომ 1935 წლის რუსულ გამოცემას ერთვის მისი შესრულებული პორტრეტი; 1940, 1941 და 1943 წლებში მოიხსენიებს მისი პორტრეტების ავტორების სიებში).

◇ 1940 წლის 1 მაისს დღიურში წერს: „შ. თაბუკაშვილთან. გაკეთებულია დიდი საქმე „ლირიკის“ რედაქციისა. წიგნი დღეს გადაეცემა სტამბას“<sup>1</sup>. იგულისხმება „საბლიტგამის“ (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა), რომლის მთავარი რედაქტორი იყო შალვა თაბუკაშვილი, 1940 წლის 11 ივლისის შემდეგ (დღიურის ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით<sup>2</sup>) გამოცემული წიგნი „ლირიკა“. იმავე დღის ჩანაწერში აღნიშნავს: „სახელგამში არავითარი ნიშანი წინსვლის: არც გორდუზიანი აკეთებს რამეს, ავადმყოფობს ასოთამწყობიც. ამ საქმეს რა ეშველება, არ ვიცი“<sup>3</sup>. საუბარია „სახელგამის“ (სახელმწიფო გამომცემლობა), რომლის სახვითი ხელოვნების გამგე იყო ბენო გორდუზიანი, 1940 წლის 30 დეკემბრამდე („ლიტერატურული საქართველოს“ ინფორმაციის მიხედვით<sup>4</sup>) გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა III ტომზე.

◇ 1940 წლის 6 აპრილის ჩანაწერში აღნიშნავს: „ამ სერგო კლდიაშვილს რაღა უნდა? ჩამცივებია, მოსკოვში გამოსული შენი რუსული წიგნი მათხოვეო“<sup>5</sup>. 1940 წელს, 4 ივნისამდე მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილება „მხატვრული ლიტერატურა“ („Художественная Литература“, „Гослитиздат“) ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის წიგნს „რჩეული ლექსები“ „Избранные стихотворения“<sup>6</sup>. პოეტის სხვა ჩანაწერის მიხედვი, ის მოსკოვიდან წიგნს იღებს 9 ივლისს<sup>7</sup>. ამდენად, 6 აპრილს ამ გამოცემაზე ვერ იქნება

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 4-5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>2</sup> ქლმ. დ-133, 9. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 5-6. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 31.

<sup>4</sup> „გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა III ტომი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, #36, გვ. 3.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. 2008, გვ. 33.

<sup>6</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, 4 ივნისი, N16, გვ. 4.

<sup>7</sup> ქლმ. დ-133, 9. გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 75.

საუბარი. უნდა იგულისხმებოდეს მანამდე, 1937 წელს, მოსკოვში გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების თარგმანების წიგნი<sup>1</sup>.

◇ 1940 წლის 6 აპრილს დღიურში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს აკაკი წერეთლის კრებულს და ათ დღეში მან უნდა გადასცეს ასი ან მეტი სტრიქონი<sup>2</sup>. იგულისხმება აკაკი წერეთლის დაბადებიდან ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, რომელიც იხსნება ორდენოსანი პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „აკაკი წერეთელი“<sup>3</sup>.

◇ 1940 წლის 11 აპრილს დღიურში წერს: „იწყება საქმე წიგნი შეცდომის გაშვების გამო („ბორკილებს“ – „ბრძოლებს“ მაგიერ). გუშინ განსახკომზე იხილავდენ მთელი საღამოს განმავლობაში...“<sup>4</sup>. იგულისხმება ქართული ლიტერატურის ქრესტომათია საშუალო სკოლის X კლასისთვის, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიული ცნობები და ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“, „სტალინი“, „პირველი მაისი“, „მთაწმინდის მთვარე“, „დროშები ჩქარა“, „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „დაჰკარ, ორკესტრო“, „რევოლუციურ საქართველოს“, „კოლხიდის დაბლობზე“<sup>5</sup>. შეცდომა გაპარულია ლექსში „პირველი მაისი (ლექსი წარმოთქმული არალეგალურ საღამოზე 1908 წელს პირველ მაისს): „სალამი იმ დღეებს, / საღამი იმ ბორკილებს, / იმ ნათელ გაწევას, / იმ პირველ მაისებს“<sup>6</sup>.

◇ 1940 წლის 11 აპრილს დღიურში ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში დაშვებული შეცდომის შესახებ აღნიშნავს: „შეცდომა

---

<sup>1</sup> Г. Табидзе, Нар. Поэт Грузии, Избранные стихи, Пер. под ред. Н. Тихонова, Вступ. статья Б. Турганова, Москва, Сов. писатель, 1937.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 8; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 34.

<sup>3</sup> კრებ. „აკაკი წერეთელი“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1940, გვ. 1-2.

<sup>4</sup> ქლმ. დ-129, 13; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 38.

<sup>5</sup> ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XX საუკუნე, საშუალო სკოლის X კლასისათვის, შემდგ.: პ. კეკელიძე, შ. რადიანი, რედ.: ბ. კიზირია; სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1940, გვ. 217-25.

<sup>6</sup> ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XX საუკუნე, საშუალო სკოლის X კლასისათვის, შემდგ.: შ. რადიანი, პ. კეკელიძე, რედ.: ბ. კიზირია; სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1940, გვ. 222.

რჩება შეცდომად... მეტაფორად ამ სიტყვებს („ბორკილებს“ – „ბრძოლების“ მაგიერ) ვერ მივიღებთ, ვინაიდან ლექსში დარღვეულია რიტმი (და არის შიგ ერთი ზედმეტი მარცვალი), ყოველი მასწავლებელი ამაში ადვილად გაერკვევა, აგრეთვე მოწაფეც, ვინაიდან ამ ლექსს გადიან 10 კლასში, სადაც მოწაფეები გაცნობილნი არიან ლექსთწყობას. ვისაც ეს ესმის, რაიმე ბოროტ განზრახვას აქ ვერ დაინახავს. კორექტურული შეცდომები კი თვით პირველხარისხოვან გამოცემებში გვხვდება-მეთქი<sup>1</sup>. იმავე თარიღით უნდა დათარიღდეს ცალკეული ფურცელზე დაწერილი უთარილო ტექსტი: „შეცდომა რჩება შეცდომად: მეტაფორად ამ სტრიქონის მიღება არ იქნება, ვინაიდან ლექსში დარღვეულია რიტმი (და არის შიგ ერთი ზედმეტი მარცვალი). ყოველი მასწავლებელი ამაში ადვილად გაერკვევა. აგრეთვე მოწაფეც, ვინაიდან ამ ლექსს გადიან მე-10 კლასში, სადაც მოწაფეები გაცნობილნი არიან ლექსთწყობას. ვისაც ეს ესმის, რაიმე ბოროტ განზრახვას აქ არ დაინახავს. კორექტურული შეცდომები თვით პირველხარისხოვან გამოცემებშიაც გვხვდება“<sup>2</sup>.

◇ 1940 წლის 12 აპრილის დღიურში იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში დაშვებული შეცდომა (ბორკილები/ბრძოლები) დიდი შეცდომა არ არის, წერს: „თითქო სახელმძღვანელოში დაბეჭდვამდის სამჯერ არ ყოფილა დაბეჭდილი ჩემი ლექსი ჯერ „მნათობში“, მერე წიგნში და შემდეგ კიდევ საშკოლო ბიბლიოთეკის წიგნში! არასდროს!“<sup>3</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს ჟურნალში „მნათობი“<sup>4</sup>, შემდეგ 1935 წელს თბზულებების II ტომში და „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიით სახელგამის მიერ 1937 წელს გამოცემულ ლექსების წიგნში.

◇ 1940 წლის 13 აპრილს დღიურში წერს, რომ შალვა რადიანმა აცნობა კომისიის შექმნისა და ცეკაში საკითხის დასმის ამბავი და ინტერესდება, მისთვის ხომ არაფერი უთქვამთ სახელგამში<sup>5</sup>. უნდა

<sup>1</sup> კლმ. დ-129, 13; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 38.

<sup>2</sup> კლმ. დ-575-10, 1; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 390-391.

<sup>3</sup> კლმ. დ-129, 13; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 40.

<sup>4</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1933, მაისი, #5, გვ. 113.

<sup>5</sup> კლმ. დ-129, 15; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 40.

იგულისხმებოდეს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ქრესტომათია საშუალო სკოლის X კლასისათვის, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „პირველი მაისი“ დაშვებულია შეცდომა – „ბრძოლებს“ ნაცვლად წერია „ბორკილებს“ და ეს ამბავი ცეკამდე მივიდა.

◇ 1940 წლის 13 აპრილს დღიურში აღნიშნავს: „თავადის საკითხი: სთქვაო, თუ რა გვეჩქარებო, მით უმეტეს, დრო ბევრი გვაქვს წინო... მასზე არის დამოკიდებულიო, როდესაც შეიძლება, თვითონ იტყვისო“<sup>1</sup>. საუბარია გალაკტიონ ტაბიძის საღამოს გამართვაზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამის შესახებ იმავე დღიურში 10 აპრილს წერს, რომ ბენიამინ გოგუა წინააღმდეგი არ იქნება 19 მაისს საღამოს გამართვის, თუ ეს ამბავი შეთანხმებულია ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან – ილია თავაძესთან, რომელმაც უნდა გასცეს განკარგულებაო<sup>2</sup>. ილია თავაძე 1938-1943 წლებში იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და ის წყვეტდა ამგვარ საკითხებს.

◇ 1940 წლის 13 აპრილის ჩანაწერში ნათქვამია, რომ წიგნი მთლიანად შეკრულია და ათვალეირებს იამანიძე.<sup>3</sup> იგულისხმება „საბლიტგამში“ (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა) დასაბეჭდი გალაკტიონ ტაბიძის „ლირიკა“, რომლის გამომცემელი იყო გიორგი იამანიძე.

◇ 1940 წლის 14 აპრილს დღიურში წერს: „გივი გაჩეჩილაძე: რა საღამო იყო თქვენი საღამო ხელოვნების სასახლეშიო... (იანვარში, არა?). იგი რომანტიულად იგონებს.. საღამო გადასცეს რადიოთი“<sup>4</sup>. იანვარში ხელოვნების სასახლეში პოეტის მიერ საღამოს ჩატარების შესახებ რაიმე ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, საუბარი იყოს თვეების ან წლების წინ ჩატარებულ საღამოზე.

◇ 1940 წლის 15 აპრილს დღიურში აღნიშნავს: „შალვამ: იგივე აზრი თავადისა: ჯერ კიდევ არ მოვლაპარაკებია ვარ კანდიდსო...“<sup>5</sup>. იგულისხმება ოპერის თეატრში 19 მაისისთვის დაგეგმილი გალაკტიონ

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 15; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 40.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 12; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 36.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 15. გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 40.

<sup>4</sup> ქლმ. დ-129, 16; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 17; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.



ტაბიძის საღამო (ამავე დღიურის 10 და 15 აპრილის ჩანაწერების მიხედვით), რომელიც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს – ილია თავაძეს უნდა შეეთანხმებინა ცენტრალურის კომიტეტის პირველ მდივანთან – კანდიდ ჩრკვიანთან.

◇ 1940 წლის 15 აპრილს დღიურში ვკითხულობთ: „დარიკო ახვლედიანის მოგონება აკაკიზე პირველ ადგილს იჭერს კრებულშიო, – უთქვამს ლეონიძეს. ალბად, მოსათაფლავად, რომ ჩემს შესახებ შლის სტრიქონებს...“<sup>1</sup>. უნდა იგულისხმებოდეს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, ლიტერატურის მუზეუმის კრებული „ლიტერატურის მატთანე“, რომელიც მოგვიანებით, 1942 წელს, გამოიცა გიორგი ლეონიძის რედაქტორობით<sup>2</sup>. აღმინახში არ არის შეტანილი დარია ახვლედიანის მოგონება, მაგრამ ის დაცულია ლიტერატურის მუზეუმში. მოგონებაში აღნიშნულია, რომ დარია ახვლედიანის კითხვაზე, თქვენ შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ახალგაზრდებშიო, აკაკი წერეთელი პასუხობს: „ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძეს უსათუოდ კარგი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაში“. სხვა ჩანაწერების მიხედვით, პოეტი ფიქრობს, რომ სწორედ ამ სტრიქონების გამო არ შევიდა კრებულში დარია ახვლედიანის მოგონება.

◇ 1940 წლის 15 აპრილს დღიურში წერს: „ბოგდანოვსკის დაუწყია, მაგრამ რა? დამიძახა, 7 საათზე ვიქნებო, შვიდ საათზე კი ნახევარიც არა ჰქონდა მზად.. მივეცი მირზა გელოვანის ლექსი და 20 მანეთი – ფული – ბაჯალლო“<sup>3</sup>. იგულისხმება გალაკტიონის ლექსების 1000 სტრიქონი, რომელიც იმავე დღიურის 7 აპრილის ჩანაწერის მიხედვით, კონსტანტინე ბოგდანოვსკისთვის უნდა გადაეცა სათარგმნად<sup>4</sup>. სავარაუდოდ, მთარგმნელს მიუტანა მირზა გელოვანის მისადმი მიძღვნილი ლექსიც, რომელიც ძალიან მოსწონებია. 1951 წლის დღიურში აღნიშნავს: „ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი პოეტი მირზა გელოვანი, იყო ჩემი პატრიოტი... ფრონტიდან მან გამოგზავნა ჩემდამი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი“<sup>5</sup>. მირზა გელოვანი ფრონტზე გაიწვიეს

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 17; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>2</sup> კრებ. „ლიტერატურის მატთანე“, წ. 3-4, თბ., 1940.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 18; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>4</sup> ქლმ. დ-129, 9; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 35.

<sup>5</sup> ქლმ. დ-272, 12; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 235.

1939 წელს და გალაკტიონისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსიდან ერთ-ერთს გამოაგზავნიდა 1940 წლის აპრილამდე.

◇ 1940 წლის 9 ივნისს დღიურში აღნიშნავს: „ლიტ. საქართველო“ გამოვიდა. არის ქრონიკა ჩემს შესახებ (აკაკი). პირველად წამოსცდათ სიტყვა „სახალხო პოეტი“<sup>1</sup>. გაზეთში „ლიტერატურულ საქართველო“ 1940 წლის 3 ივნისს დაიბეჭდა ინფორმაცია „გ. ტაბიძის რჩეული ლექსები რუსულად“<sup>2</sup>, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის „სახელმწიფო გამომცემლობამ“ გამოსცა საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები რუსულად, სამ განყოფილებად – რევოლუციამდელი, რევოლუციის პერიოდის და ახალი ლექსები. ჩამოთვლილია მთარგმნელების ნაწილი. ამ ცნობით ზუსტდება, რომ კრებული გამოიცა 4 ივლისამდე, იმავე დღიურში ჩანაწერის მიხედვით კი, გალაკტიონმა წიგნი მიიღო 9 ივლისს. რაც შეეხება ქრონიკასთან ფრჩხილებში მითითებულ აკაკის, გაზეთის იმავე ნომრის იმავე გვერდზე მოცემულია აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ჟურნალის „მნათობი“ 1940 წლის მეხუთე-მეექვსე ნომრის შინაარსი, რომელშიც სხვა ავტორებს შორის, აკაკი წერეთლის შემდეგ პირველ ადგილზე წერია სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“.

◇ 1940 წლის 9 ივლისის დღიურში ვკითხულობთ: „ეულმა გააჭივრა საქმე თავისი „ნიანგით“ და მე და აკაკით: როდის გამოვა მაინც!“<sup>3</sup>. იმ დროს ჟურნალს „ნიანგი“ რედაქტორობდა სანდრო ეული. აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილ ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ ცეცხლადის პასკვილი „საიუბილეო სიზმარი“<sup>4</sup>, რომელშიც ავტორი წერს, რომ დაესიზმრა, თითქოს იუბილეს მისალოცად აკაკის წარუდგნენ მწერლები, მაგრამ იუბილარი დაავიწყდათ და თავიანთი თავის შესახებ ტრაბახს მოუწოდნენ. მათ შორის ასახელებს გალაკტიონ ტაბიძესაც: „თუმცა ლექსი ბევრს უჩმახავს, / უმსგავსო და შორი-შორი, / საქართველოს მგოსანთ მეფე / ერთი ჰყავს და არა ორი. / თავი ყველას ნუ ჰგონია / მელექსეთა დიდთა სწორი“.

<sup>1</sup> ქლმ. დ-133, 6; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 74.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1940, 3 ივნისი, N16, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-133, 9; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 75.

<sup>4</sup> ჟურნ. „ნიანგი“, 1940, ივლისი, #7, გვ. 5.

◇ 1940 წლის 11 ივლისს დღიურში წერს: „გაზ. კომუნისტში მოთავსებულია წერილი „მწერლები საქ. გასაბჭოების ოცის წლის თავისთვის“<sup>1</sup>. სტატიის სათაური არასწორად აქვს მითითებული და გამოქვეყნებულია სათაურით: „მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის“.<sup>2</sup>

◇ 1940 წლის 9 ივლისის ჩანაწერში ნათქვამია: „ყველა მეუბნება, რომ ფედერაციას არ აქვს უფლება, ასე მომექცეს. არსებობს კანონი. ასევე მეუბნებიან „მნათობის“ შესახებაც“<sup>3</sup>. ამ ჩანაწერიდან არ ჩანს, მაგრამ სხვა დღიურების მიხედვითაც ირკვევა, რომ ჰონორარებს სრულად არ აძლევდნენ და, სავარაუდოდ, აქაც ეს უნდა იგულისხმებოდეს. ჰონორარები კი ეკუთვნოდა მწერალთა კავშირის გამომცემლობის „ფედერაცია“ დაბეჭდილ წიგნში „აკაკი წერეთელი“ და ჟურნალში „მნათობი“ დაბეჭდილ პოემაში „აკაკი წერეთელი“.

◇ 1940 წლის 9 აგვისტოს დღიურში აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირში დაუბრუნეს ორდენი<sup>4</sup>. იგულისხმება ლენინის ორდენი, რომელიც დაკარგა 1938 წელს, რის შესახებაც ამავე წლის 18 დეკემბერს წერს: „ხომ უთქვამს კანდიდს ალიოსთვის: გალაქტიონს ჩვენ იუბილეს არ გავუმართავთ, ლენინის ორდენის დაკარგვის გამო თავზე ხელს არ გადავუსვამთ“<sup>5</sup>.

◇ 1941 წლის 24 იანვარს დღიურში წერს, რომ ალიო მაშაშვილს შეუპოვლებია „მნათობისთვის“ გადაცემული მისი ლექსი „ლენინი“<sup>6</sup>. იმავე დღიურში 25 იანვარს<sup>7</sup> აღნიშნავს, რომ „მნათობს“ გადასცა მასალა. ორივე შემთხვევაში იგულისხმება ჟურნალის „მნათობი“ იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „ლენინის ხსოვნას“<sup>8</sup>.

◇ 1941 წლის 24 იანვრის ჩანაწერში<sup>9</sup> აღნიშნავს, რომ საჭიროა მონტაჟი ყველა წიგნის, რაც ბოლო ოც წელს გამოცემულა. იგულისხმება

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-133, გვ. 9; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1940, 11 ივლისი, #158 (5859) გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-133, 6, გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 74-75.

<sup>4</sup> ქლმ. დ-135, 2; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 81.

<sup>5</sup> ქლმ. დ-121, 5; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XV, თბ., 2008, გვ. 527.

<sup>6</sup> ქლმ. დ-143, 9; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 165.

<sup>7</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>8</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, #1, გვ. 9-10.

<sup>9</sup> ქლმ. დ-143, 10; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

საქართველოს გასაბჭოებიდან 20 წლის მანძილზე გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის წიგნები: „ჯონ რიდი“ (თბილისი, 1924), ლექსები (თბილისი, სახელგამი, 1927), „პაციფიზმი“ (თბილისი, 1930), „ეპოქა“ (თბილისი, 1930), „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“ (თბილისი, 1931), ლექსები – 1908-XXV-1933 (თბილისი, 1933), „Избранные стихотворения“ (თბილისი, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, 1933), თხზულებანი, ტ. 2 (თბილისი, სახელგამი, 1935), თხზულებანი, ტ. 1 (თბილისი, სახელგამი, 1937), „Избранные стихотворения“ (თბილისი, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, 1938), თხზულებანი, ტ. 3 (თბილისი, სახელგამი, 1940), „ლირიკა“ (თბილისი, საბლიტგამი, 1940), „აკაკი წერეთელი“ (1940), „Избранные стихотворения“ (მოსკოვი, გამომცემლობა „გოსლიტიზდატ“, 1940).

◇ 1941 წლის 25 იანვრის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირის კრებულს დასაბუჟდად გადასცა მასალა<sup>1</sup>. პოეტი ამის შესახებ წერს რამდენიმე ავტობიოგრაფიაში: „1941 წ. – ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, იხსნება ქართველი მწერლების – საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. ესევე ლექსი ითარგმნება და იბეჭდება „Правда“-ში“; 1941 წ. – ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“ იხსნება ქართველი მწერლების – საქართველოს გასაბჭოების XX წლის თავისადმი მიძღვნილი კრებული“<sup>2</sup>; იგულისხმება კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“ (თბილისი, გამომცემლობა „ფედერაცია“, 1941, რედ.: ილია თავაძე, ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, რაჟდენ გვეტაძე).

◇ 1941 წლის 25 იანვრის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მასალები გადაცემულია სერებრიაკოვის წიგნისთვის<sup>3</sup>. იგულისხმება ქართველი პოეტების ლექსების ბორის სერებრიაკოვისეული თარაგმანების კრებული „Поэты Советской Грузии“, რასაც გვიდასტურებს 1941 წლის 9 მარტის ჩანაწერი: „გამოვიდა წიგნი: „Поэты Советской Грузии“, სერებრიაკოვის თარგმანი. „ზარია ვოსტოკას“ გამოცემა. 1941 წ. აქ ყველაზე მეტი ლექსი მოთავსებულია თვით რედაქტორის –

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>2</sup> ქლმ. დ-659, 7; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 463.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

გაფრინდაშვილის (6 ლექსი), შემდეგ მაშაშვილის და ჭიჭინაძის (ოთხ-ოთხი ლექსი), შემდეგ ჩენი – აზაშელის, აფხაიძის, გრიშაშვილის, ლეონიძის, ტაბიძის, ჩიქოვანის (სამ-სამი ლექსი)...<sup>1</sup>. მართლაც, კრებულში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსის თარგმანი: „В Самой Радостной Стране“ (\*\*\*) „ნაძვის ხეებს ელვარება...“ ციკლიდან „რევოლუციონური საქართველო“, 1931), „Революционная Грузия“ („საქართველოს კარებს გასცდა“..., 1934), „Украина и Белоруссия“ („ორი სამყარო“, 1935-1944)<sup>2</sup>.

◇ 1941 წლის 25 იანვარს წერს: „გაკეთებულია მე-18 კონფერენციის...“<sup>3</sup>. იგულისხმება მოსკოვში 1941 წლის 15-20 თებერვალს ჩატარებული კ. პ. (ბ) სრულიად-საკავშირო XVIII კონფერენციისადმი გალაკტიონ ტაბიძის მისალმება, რომელიც ჩაწერილია იმავე დღიურში 27 იანვარს სათაურით „მეთვრამეტე კონფერენცია“<sup>4</sup>.

◇ 1941 წლის 25 იანვრის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მასალები გადაცემულია სამხრეთ ოსეთის ანთოლოგიისთვის<sup>5</sup>. ამავე წლის 1 იანვრის ჩანაწერის მიხედვით, იგულისხმება სამხრეთ ოსეთში გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა ანთოლოგიის გამოცემა: „ზარია ვოსტოკაში“... მეოთხე გვერდზე კი, ცნობა იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში გასაბჭოების 20 წლისთავზე გამოდის ქართველი მწერლების წიგნი. დასახელებულია მწერლები, სულ პირველად მე, მთელი სახელითა და გვარით, შემდეგ კი სხვები ასე: შ. დადიანი და სხვები“<sup>6</sup>. გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაბეჭდილი ინფორმაციის მიხედვით, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირი ამზადებს ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას, რომელშიც შევა თანამედროვე ქართველი მწერლების – გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ალიო მაშაშვილის, ილო მოსაშვილის, კარლო კალაძისა და სხვათა ნაწარმოებები; ანთოლოგია

<sup>1</sup> ქლმ. დ-144; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 198.

<sup>2</sup> „Поэты Советской Грузии“, თბ.: გამომც. „Заря Востока“, 1941, გვ. 100-108.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 167.

<sup>4</sup> ქლმ. დ-143, 13-18; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 168-170.

<sup>5</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>6</sup> ქლმ. დ-141, 1; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 140.

კი გამოიცემა თებერვალში, საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

◇ 1941 წლის 25 იანვარს დღიურში წერს, რომ დასამზადებელი აქვს წიგნი „ფედერაციისთვის“<sup>2</sup>. უნდა იგულისხმებოდეს წიგნი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც გამომცემლობამ „ფედერაცია“ 1942 წელს დაბეჭდა. სხვა გამომცემლობებისთვის დასამზადებელ მასალებთან ერთად ინიშნავს უნივერსიტეტის გაზეთისთვის გადასაცემ ლექსს. იგულისხმება ლექსი „შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ (1941, 25 თებერვალი, გვ. 1). ამავე დღეს წერს, რომ უნდა გადასცეს მასალა „საბლიტგამის“ წიგნს. 1941 წელს საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავთან დაკავშირებით „საბლიტგამმა“ (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა) გამოსცა მხატვრული კრებული „XX წელი“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ახალი თბილისი“ (გვ. 17-28).

◇ 1941 წლის 27 იანვარს დღიურში წერს ტექსტს „მეთვრამეტე კონფერენცია“<sup>3</sup>. იგულისხმება კ. პ. (ბ) სრულიად საკავშირო XVIII კონფერენცია, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1941 წლის 15-20 თებერვალს. ამ პროზაული ტექსტის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძემ 1 თებერვალს დაწერა ლექსი „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“, რომელიც მეორე დღეს გამოქვეყნდა გაზეთში „კომუნისტი“<sup>4</sup>.

◇ 1941 წლის 17 თებერვალს დღიურში აღნიშნავს, რომ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ მოთავსებულია ბესო ჟღენტის საზიზღარი წერილი. იგულისხმება 14 თებერვალს გამოქვეყნებული სტატია „ქართული საბჭოთა მწერლობის ნოვატორული თვისებანი“<sup>5</sup>, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს საქართველოს გასაბჭოებიდან 20 წლის მანძილზე ქართველი მწერლების შემოქმედების განვითარების გზას. გალაკტიონ ტაბიძე ნახსენებია იმ პოეტთა შორის, რომლებიც

<sup>1</sup> „Произведения писателей на осетинском языке“, გაზ. „Заря Востока“, 1941, 1 იანვარი, N1, გვ. 4.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 167.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 13-18; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 168-170.

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1941, 2 თებერვალი, #27, გვ. 2.

<sup>5</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, #7 (166), გვ. 2.

ესწრაფიან ისტორიული ანალოგიები გამოუნახონ იმ გმირულ ბრძოლებს, რომლითაც საბჭოთა კავშირი აშენებს ახალ კომუნისტურ ცხოვრებას.

◇ 1941 წლის დღიურში 17 თებერვლის ჩანაწერის შემდეგ ადგენს სიას: „აკაკი წერეთელი, აკადემიკოსი ნიკო მარრი, დავით კლდიაშვილი, ვალერიან გუნია, დომინიკა ერისთავი (განდევილი), შიო მღვიმელი, ტ. რამიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ია ეკალაძე, ნარკანი, ეთიმ გურჯი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინა გაბაშვილისა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი... აბაშელი, შანშიაშვილი, ქუჩიშვილი“<sup>1</sup>. აკაკი წერეთელთან დაკავშირებით, უნდა იგულისხმებოდეს პოეტის მიერ გალაკტიონზე გამოთქმული აზრი დარია ახვლედიანის მოგონებიდან; ნიკო მარის შესახებ უთარილო დღიურში პოეტი აღნიშნავს: „მსოფლიო სახელის მქონე აკადემიკოს ნიკო მარის უკანასკნელი მეტისმეტად საინტერესო შრომა (გამოიცა პეტროგრ. სამეცნიერო აკადემიის მიერ სახელწოდებით: Труды Яфетического семинария, т. V. Петр. 1926). ეს შ. იწყება უშუალოდ ქართული სასაუბრო ენის ძეგლებით და თავდება ჩვენი თანამედროვე სახელოვანი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ნიმუშებით“<sup>2</sup>. აღნიშნული წიგნის ბოლო თავს „ახალი და ძველი მწერლობის ძეგლებიდან“ ავტორი ასრულებს გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ ნაწყვეტით<sup>3</sup>. ალექსანდრე აბაშელთან დაკავშირებით, იგულისხმება სტატია „ყვითელი ფოთოლი“<sup>4</sup>. სხვა ავტორების სტატიები და ლექსები გამოქვეყნებულია ბიულეტენში „გალაკტიონი“<sup>5</sup>: დავით კლდიაშვილის „შვენება და სიამაყე ქართული ღირიული პოეზიის“, ვალერიან გუნიას „ტემპერამენტი“, განდევილის (დომინიკა ერისთავი) „სადღეისო“, შიო მღვიმელის „მებაღე“, ტრიფონ რამიშვილის „სასიქადულო, დიდათ ნიჭიერი“, ზაქარია ჭიჭინაძის „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ“, ია ეკალაძის „მწერლებს“, ნარკანის (ნიკო კურდღელაშვილი) „მკრთალი პორტრეტი“, ალექსანდრე შანშიაშვილის „დიდი ღირიკოსი“, გიორგი ქუჩიშვილის „გალაკტიონს, ხალხისგან განდიდებულს“, ვასილ ბარ-

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 173.

<sup>2</sup> ქლმ. დ-522-12, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 279.

<sup>3</sup> Марр Н, Труды Яфетического семинария, т. II. Лен., 1926, გვ. 96-99.

<sup>4</sup> გაზ. „შადრევანი“, 1915, 19 იანვარი, #5, გვ. 2.

<sup>5</sup> სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, ტფ. 1927, გვ. 1-3.

ნოვის „გალაკტიონ ტაბიძე“. დარია ახვლედიანის, იეთიმ გურჯის, ეკატერინე გაბაშვილის, ანასტასია ერისთავი-ხომტარიას პუბლიკაციებს ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ, 1941 წლის დღიურის ჩანაწერის მიხედვით, სავარაუდოდ, გულისხმობს გამოუქვეყნებელ მასალას: „დაუბეჭდავი მასალები: დ. ახვლედიანის, ლ. მაჭავარიანის, ეთიმ გურჯის, აბალაურის, ეკ. გაბაშვილის“<sup>1</sup>. 1940 წელს ფურცელზე იწერს დარია ახვლედიანის მოგონებას ხელნაწერიდან, რომელშიც გადმოცემულია აკაკი წერეთლის აზრი გალაკტიონზე: „ახალგაზრდებში გალაქტიონ ტაბიძეს უსათუოდ კარგი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაშიო“.<sup>2</sup> 1925 წლის დღიურში წერს: „ლექსები – 7. იეთიმ გურჯი – ნახტომი ვის... 23. ეთიმა გურჯი – გ. ტ. წერილები – 35. ეკატერინე გაბაშვ. – წერილი“<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ გალაკტიონის 1933 წლის უბის წიგნაკში იეთიმ გურჯს ჩაწერილი აქვს გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები: „პოეტს გ. ტ.“, „გალაკტიონ ტაბიძეს“, „ძვირფას მგოსანს გ. ტაბიძეს“<sup>4</sup>. იმავე წლის სხვა უბის წიგნაკში არის ეკატერინე გაბაშვილის მიერ ჩაწერილია ტექსტი გალაკტიონისადმი, რომელშიც ნიჭს უქებს და იდეალურ პოეტს უწოდებს.<sup>5</sup>

♦ 1941 წლის 12 თებერვალს დღიურში აღნიშნავს: „იყო ფოსტალიონი.. მან მოიტანა მოსკოვიდან გადმოგზავნილი ფული – 96 მანეთი ასეთი წერილით: თქვენი წერილისთვის, რომელიც მოთავსებული იყო „სალიტერატურო გაზეთი“-ს 20/IV-37 წელს, გერგებათ ასი მანეთი... ასე, ოთხი წლის შემდეგ მიგზავნიან ჰონორარს...“<sup>6</sup>. რუსულ გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეთა“ დაბეჭდილია პაველ ანტოკოლსკის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლენინი“<sup>7</sup>. რადგან გაზეთის ამ ნომერში არ არის გამოქვეყნებული გალაკტიონ ტაბიძის წერილი, ვფიქრობთ, რომ ჰონორარი გადაუხადეს ლექსისთვის.

<sup>1</sup> ქლმ. დ-141; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 145.

<sup>2</sup> ქლმ. დ-537-4, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>3</sup> ქლმ. დ-19; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 243.

<sup>4</sup> ქლმ. დ-75, 2, 3, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 351-352.

<sup>5</sup> ქლმ. დ-81; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 401-402.

<sup>6</sup> ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>7</sup> გაზ. „Литературная Газета“, 1937, 20 აპრილი, #21, გვ. 1.



◇ 1941 წლის დღიურში 12 თებერვალს წერს: „ჟენტი თანახმაა, დაიბეჭდოს წიგნი“<sup>1</sup>. დღიურის მომდევნო 13 თებერვლის ჩანაწერის („ირაკლი აბაშიძემ მითხრა: ჟენტი ვერ გიბედავს თქმას, თორემ... „კავკასიონის ქარი“-ს ამბავი გაჭიანურდა“)<sup>2</sup> და იმავე წლის სხვა დღიურის 3 მარტის ჩანაწერის („საერთოდ „კავკასიონის ქარი“-ს დაბეჭდვა შეიძლება მოხერხდეს ცალკე ლექსებად“)<sup>3</sup> მიხედვით, უნდა იგულისხმებოდეს „კავკასიონის ქარის“ წიგნად გამოცემა.

◇ 1941 წლის 12 თებერვალის დღიურის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სტამბაში ვნახეთ ჩემი ლექსი – მწერალთა კავშირის კრებულში გამოცემული, დიდებულადაა დაბეჭდილი“<sup>4</sup>. იგულისხმება კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“<sup>5</sup>.

◇ 1941 წლის დღიურის 2 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სალამოთი მოვიდა „Правда“-ს 25 თებერვლის ნომერი. ახალი სიხარული: შიგ ჩემი ლექსის თარგმანია“<sup>6</sup>. გაზეთში „პრავდა“ დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ვლადიმირ დერჟავინისეული თარგმანი „Страна родная моя“.

◇ 1941 წლის 3 მარტს დღიურში წერს: „მთაწმინდაზე. ავედიტ უკრაინის დელეგაციასთან ერთად. აკაკი წერეთლის საფლავზე ყვავილები დაადვეს უკრაინელებმა. გადაღებულ იქნა ფოტოსურათი“. მთაწმინდაზე გადაღებული ფოტო დაიბეჭდა გაზეთში „Заря Востока“<sup>7</sup>. ფოტოზე გამოსახულნი არიან: ანდრეი რუსკო, ანდრეი მალიშკო, მიკოლა ბაჟან, ვიკტორ გოლცევ, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, ალექსანდრ კორნეიჩუკ, პავლო ტიჩინა და ირაკლი აბაშიძე.

◇ 1941 წლის 4 მარტს ალიო მამაშვილის შესახებ დღიურში წერს: „მის მიერ შედგენილ „ქართულ ანტოლოგიის“ (რუსულ ენაზე) გამო რამდენი თავის მტვრევა სჭირდება ეხლა ცეკას, რომ როგორმე საქმე

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>4</sup> ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>5</sup> „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, თბ., გამომც., „ვედერაცია“, 1941გვ. 1-6.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>7</sup> გაზ. „Заря Востока“, 1941, 4 მარტი, #53 (5279), გვ. 2.

გამოაკეთოს (ტყუილია, თითქო მასზე მხოლოდ გოლცევი მუშაობდა)<sup>1</sup>. წინა დღეს იმავე დღიურში აღნიშნავს, რომ მოსკოვში გამოსაცემი ქართული პოეზიის ანთოლოგიასთან დაკავშირებით, წიგნში არსებული ბევრი შეცდომის გამო, დიდი არეულობაა და ვიკტორ გოლცევის საქმე ცუდად არის<sup>2</sup>. მანამდე, 17 იანვარს წერს, რომ რადგან სანდრო აბაშელი მოსკოვში გამოსაცემი ქართული პოეზიის ანთოლოგიის სარედაქციო კოლეგიის წევრია, იქაც გაიყვანს ავტორების ალფაბეტის მიხედვით ბეჭდვის წესს და ამავე გზით მიდიან ვიკტორ გოლცევი, ალიო მამაშვილი და სიმონ ჩიქოვანი.<sup>3</sup> ქართული პოეზიის ანთოლოგია რუსულ ენაზე, ვიკტორ გოლცევის რედაქტორობით, უნდა გამოცემულიყო საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავთან დაკავშირებით 1941 წელს, მოსკოვში. მაგრამ არც ამ წელს და არც მომდევნო უახლოეს წლებში არ დაბეჭდილა, სავარაუდოდ, არსებული შეცდომების გამო. მოსკოვსა და ლენინგრადში რუსულ ენაზე ვიკტორ გოლცევისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით ანთოლოგია „საქართველოს პოეზია“, რომელიც მხატვრულად გაფორმებულია ირაკლი თოიძის მიერ და ახლავს ქართველ პოეტთა ლექსების რუსული თარგმანების მოკლე ბიბლიოგრაფია, გამოიცა 1949 წელს.<sup>4</sup> ვფიქრობთ, ალიო მამაშვილზე ჩანაწერში სწორედ ამ წიგნზე უნდა იყოს საუბარი, რომელიც ასე დაგვიანებით გამოქვეყნდა, რადგან 17 იანვრის ჩანაწერში ვიკტორ გოლცევს, სიმონ ჩიქოვანსა და ალიო მამაშვილს ერთად მოიხსენიებს.

◇ 1941 წლის 4 მარტს დღიურში წერს: „ს. აბაშელმა წინადადება მომცა, წარვადგინო ლექსები, რომლებიც წიგნად უნდა გამოსცეს „Заря

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 196.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 2; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 160.

<sup>4</sup> Поэзия Грузии, Антология, Ред. В. Гольцев и С. Чиковани; Примеч. В. Гольцева, Груз. поэты в рус. переводах: (Краткая библиогр.) В. Гольцев, Ил.: И. Тоидзе, Москва ; Ленинград, Гослитиздат, 1949.

Востока“-მ“<sup>1</sup>. საუბარია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსულად ნათარგმნ კრებულზე „მშობლიური ჩემო მიწა“.<sup>2</sup>

◇ 1941 წლის 6 მარტს დღიურში იწერს სატელეფონო საუბარს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან – ილია თავაძესთან, რომელსაც სთხოვს თანხმობასა და მხარდაჭერას ფართომასშტაბიანი ლიტერატურული სადამოს მოსაწყობად ოპერის სახელმწიფო თეატრში. ილია თავაძე პასუხობს, რომ მომდევნო დღეს ამის შესახებ აცნობებს მწერალთა კავშირის იმდროინდელ მდივანს, ირაკლი აბაშიძეს.<sup>3</sup> ოპერის თეატრში მისი დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავი სადამოს გამართვაზე პოეტი ზრუნვას იწყებს ჯერ კიდევ 1940 წელს. 6 აპრილის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მხიბლავს ოცნება ოპერის თეატრისა. იქ გამარჯვება ღირს გამარჯვებად, თუ ეს მოხდა აკაკის დღეების წინ...“<sup>4</sup>. 13 აპრილს დღიურში იწერს შალვა რადიანის ნათქვამს: „თავადის საკითხი: სთქვაო, თუ რა გვეჩქარებაო, მით უმეტეს, დრო ბევრი გვაქვს წინო.. ერთის სიტყვით, აწი მასზე არის დამოკიდებულიო, როდესაც შეიძლება, თვითონ იტყვისო. და... ამნაირად... საქმე ჩაფუშულია, თუ სხვა გზით არ მოვუარე როგორმე. არ მოვეშვები არასგზით. სადამო, სადამო ოპერის თეატრში!!!“<sup>5</sup> 1941 წლის 6 მარტის საუბრის შემდეგ 9, 12, 15 და 17 მარტს ინიშნავს, რომ ილია თავაძისგან პასუხი არ არის, 31 მარტს კი წერს: „ამავე თვეში იყო ისეთი დამარცხებები, რომელთაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ და ჩემმიერ მათი უგულვებლყოფა დიდი სისულელე იქნებოდა: 1. ოპერის თეატრისთვის ბრძოლის წაგება“.<sup>6</sup> სადამო არც ამ და არც მომდევნო წელს არ გამართულა. გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 და სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე ოპერის თეატრში ჩატარდა 1943 წლის 29 ნოემბერს.<sup>7</sup>

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>2</sup> Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 4-5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>4</sup> ქლმ. დ-129, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 34.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 40.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 4-5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 196.

<sup>7</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943, 26 ნოემბერი, №6, გვ. 3.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში წერს: „სალიტერატურო გაზეთში“ არის დაგვიანებული ქრონიკა „მწერლები საარტილერიო სასწავლებელში“ (ცნობა ისე, სხვათა შორის, რომ მეც გამოვედი).<sup>1</sup> მწერალთა კავშირის ორგანო „სალიტერატურო გაზეთი“ 1931 წლიდან 1934 წლამდე გამოდიოდა ამ სახელწოდებით, შემდეგ დაერქვა „ლიტერატურული გაზეთი“ (1934-1935), ამ ჩანაწერის დროს კი, ეწოდებოდა „ლიტერატურული საქართველო“ (1936-1943), მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე გაზეთს ინიშნავს მისი პირველი სახელწოდებით „სალიტერატურო გაზეთი“. საარტილერიო სკოლის საღამო გაიმართა 14 თებერვალს, შესავალი მოხსენების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა წაიკითხა ლექსები – ქართულად „მთაწმინდის მთვარე“ და რუსულად „იდეა“.<sup>2</sup> იქვე წერს: „ამავე ნომერში ვიღაცა „მკითხველს“ ცამდი აჰყავს ბაჟანი“<sup>3</sup>. ბიბლიოგრაფიის რუბრიკაში „მკითხველის“ ფსევდონიმით იბეჭდება ინფორმაცია „მიკოლა ბაჟანი – ლექსები“, რომელშიც განხილულია „ფედერაციის“ მიერ დაბეჭდილი უკრაინელი პოეტის ქართულად ნათარგმნი ლექსების წიგნი. იმ პერიოდში „მკითხველის“ ფსევდონიმით წერდნენ ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე და გიორგი ნატროშვილი. ვფიქრობთ, რომ სტატია უნდა ეკუთვნოდეს ლევან ასათიანს, რომელიც იკვლევდა უკრაინულ ლიტერატურას, 1941 წლის მარტის დასაწყისში სხვა მწერლებთან ერთად მასპინძლობდა უკრაინის დელეგაციას, ქართველ და უკრაინელ მწერლებთან ერთად აკაკი წერეთლის საფლავთან გადაღებული აქვს ფოტო, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ და ფოტოს უძღვის ლევან ასათიანის სტატია „პოეტების საუბარი“ აკაკი წერეთლისა და უკრაინელი პოეტის – ტარას შევჩენკოს შესახებ<sup>4</sup>. იმავე ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს: „კარგი წერილია გამსახურდიას წერილი: „აკადემიის“ შესახებ... მაყვალა მრევლიშვილის ლექსში „აკადემია“ არის ჩემი ძველი რითმა ტეოფილ გოტიესადმი – „აკადემია – ნაკადებია“. კარგია ბარამიძის წერილი კორნელი კეკელიძის შესახებ“<sup>5</sup>. გაზეთში განთავსებული სტატიები – კონსტანტინე

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 27; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 176.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>4</sup> გაზ. „Заря Востока“, 1941, 4 მარტი, #53 (5279), გვ. 2.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

გამსახურდიას „საქართველოს სსრ აკადემია“ (გვ. 3-4) და ალექსანდრე ბარამიძის „აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე“ (გვ. 3), რომლებიც პოეტს მოეწონა, გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1941 წლის 25 თებერვალს დაარსებასთან დაკავშირებით. მაყვალა მრევლიშვილიც ამ მოვლენას უძღვნის ლექსს „საქართველოს აკადემია“ (გვ. 3), რომელშიც გამოყენებულია გალაკტიონ ტაბიძის რითმა. ლექსი „გოტიეს“ დაწერილია 1920 წელს და ეს რითმა გვხვდება მესამე სტროფში: „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია, / ირგვლივ ნაკადებია მსუბუქი და ფარული. / მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია, გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული“, მაყვალა მრევლიშვილის ლექსში კი, მეორე სტროფში: „ხსოვნა გელათის, იყალთოს, გრემის / თანა სდევს ქართულ აკადემიას, / ვერ სძლია მტერმა იმათი ნგრევით / ხალხის გულს უკვდავ ნაკადებთან“.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში აღნიშნავს, რომ ემზადებიან მიხაილ ლერმონტოვის იუბილესთვის<sup>1</sup>. ღონისძიებების თანმიმდევრობას იწერს გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ სტატიიდან „მზადება მ. ლერმონტოვის საიუბილეო დღეებისთვის“<sup>2</sup> და აკეთებს კომენტარებს.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში წერს: „დღეს მივიღე აკადემიის გამოცემები – ჰუმკინის ორი ტომი. აქ გუშინ ვადარებდი „არზრუმში მოგზაურობის“ – დაბეჭდილსა და ხელნაწერ ტექსტებს. საინტერესო მუშაობაა“.<sup>3</sup> იგულისხმება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ალექსანდრე ჰუმკინის თხზულებების 16-ტომეულის (1937-1949) მე-8 ტომის პირველი (1938) და მეორე (1940) წიგნები. მეორე წიგნში დაბეჭდილია ნარკვევი „მოგზაურობა არზრუმში“<sup>4</sup>. ჩანაწერის მიხედვით, ტომები მიიღო 12 მარტს, ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერის შედარება კი დაიწყო წინა დღეს, 11 მარტს. ვფიქრობთ, რომ ტომები არა 12 მარტს, არამედ წინა დღეს, 11 მარტს მიიღო და შეცდომით წერს მიღების თარიღად 12 მარტს.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 6. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, 7 მარტი, #10 (168), გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>4</sup> Полное собрание сочинений Пушкина в 16 томах, т. 8, к. 2, Путешествия, Москва, 1940.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში აღნიშნავს: „ვიყავი ფილარმონიაში: გადაწყდა საღამოს მოწყობა. უნდა შედგენილ იქნას პროგრამა – 14 მარტისთვის“<sup>1</sup>. საუბარია გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვაზე, რომლისთვის ზრუნვას ჯერ კიდევ 1940 წელს იწყებს. ამ წლის 9 აპრილის ჩანაწერის მიხედვით, ათვალიერებს ფილარმონიას და სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს<sup>2</sup>. საღამო ფილარმონიაში 1941 წლის არც მარტში და არც შემდეგ გამართულა. 31 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მომავალი თვის გეგმებში პირველი ადგილი უჭირავს წიგნებს (Заря Востока, ფედერაცია, საბლიტგამი), მეორე – საღამოებს (ცეკავშირში, მასწავლებლის სახლში, საჯარო ბიბლიოთეკაში, რადიოში, ფილარმონიაში)“<sup>3</sup>. 14 აპრილის ჩანაწერში „იდეა საღამოებისა“ კვლავ იხსენიებს ფილარმონიას<sup>4</sup>. 1945 წლამდე ჩანაწერებში ფილარმონია აღარ ფიგურირებს და არც სხვაგან გვხვდება ცნობები იქ საღამოს გამართვის შესახებ.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში წერს: „მწერალთა კავშირის კრებული „სამშობლო“ – ამაზეც ღირს დაფიქრება“<sup>5</sup>. იგულისხმება კრებული, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსი: „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“ და „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“<sup>6</sup>. პოეტი ფიქრობს ამ კრებულზე, რადგან 17 იანვრის ჩანაწერის მიხედვით<sup>7</sup>, ალექსანდრე აბაშელის ინიციატივით, კრებული შედგენილია ავტორების ალფაბეტით განლაგების წესით, იხსნება არა მისი ლექსებით, როგორც ტრადიციულად ყველა ჟურნალი და წიგნი იხსნებოდა, არამედ ალექსანდრე აბაშელის ლექსებით.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 9; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 35.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

<sup>4</sup> ქლმ. დ-146; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 244.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 201.

<sup>6</sup> ქართველი საბჭოთა მწერლები, „სამშობლო“, თბ., „სახელგამი“, 1941, გვ. 167-168.

<sup>7</sup> ქლმ. დ-143, 2; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 159-160.

◇ 1941 წლის დღიურში 15 მარტს წერს: „დღეს საღამოთი მქონდა შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში მოსწავლეებთან... ბავშმა კაიშაურმა წაიკითხა ჩემი პროლოგი 500 ლექსის“<sup>1</sup>. ამ სათაურით ლექსი არ გამოქვეყნებულა, 1925 წელს დაწერილი ლექსის სათაურია „პროლოგი 100 ლექსის“. სხვა ცალკეულ ჩანაწერში საღამოს გამართვის თარიღად უთითებს 16 მარტს<sup>2</sup>. მასში უფრო დეტალურად აღწერს საღამოს და, სავარაუდოდ, მეორე დღეს უნდა იყოს დაწერილი, შეხვედრის თარიღი კი შეცდომით აქვს მითითებული. აღნიშნავს, რომ შეხვედრა გაიმართა ილია ჭავჭავაძის სახელობის III სკოლაში და ლია კაიშაურმა წაიკითხა „პროლოგი 100 ლექსის“.

◇ 1941 წლის დღიურში 15 მარტს წერს: „სალიტერატურო გაზეთში მოთავსებულია აბაშელზე ისეთი წერილი, როგორც მას ეკუთვნის: არც გინებაა, არც ქება. უწოდებენ ცივ პოეტს, „აზრი“-ს პოეტს. მაგრამ ეს სულელი რადიანი – რას მახსენებს გრიშაშვილის გვერდით, ვერ გამიგია.“. საუბარია „ლიტერატურულ საქართველოში“ (გალაკტიონ ტაბიძე გაზეთს თავდაპირველი სახელწოდებით „სალიტერატურო გაზეთი“ მოიხსენიებს) დაბეჭდილ შალვა რადიანის სტატიაზე „ალექსანდრე აბაშელი“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „კარგა ხანია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა ეს შეხედულება, რომ აბაშელი უმთავრესად „აზრის“ პოეტია, წინააღმდეგ ისეთი პოეტებისა, როგორნიც არიან გალ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი და სხვები, რომელთა შემოქმედებაში სჭარბობს გრძნობის სტიქია, უშუალობა, ლირიკული გაქანება“<sup>3</sup>.

◇ 1941 წლის დღიურში 17 მარტს აღნიშნავს: „ეხლა მთავრობის პრემიები ურიგდებათ – ჩემს მტრებს“<sup>4</sup>. მთავრობის პრემიაში იგულისხმება სტალინური პრემია, რომელიც დაწესდა 1939 წელს და გაცემა დაიწყო 1941 წლიდან. პრემიები 1941 წლის დასაწყისში მიიღეს გიორგი ლეონიძემ სტალინზე დაწერილი პოემისთვის „ბავშვობა და ყრმობა“ (1936) და ლეო ქიაჩქელმა რომანისთვის „გვადი ბიგვა“ (1936-1937). გალაკტიონ ტაბიძე სტალინის პრემიის მისაღებად არ

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 203.

<sup>2</sup> ქლმ. დ-611-1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 65.

<sup>3</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, 14 მარტი, #11, გვ. 3.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 204.

წარუდგენიათ. ამის შესახებ 1940 წლის 6 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრამდე დღიურში აკეთებს ჩანაწერებს<sup>1</sup>, რომ იონა ვაკელმა უთხრა, პრემია გაიცემა მხოლოდ 1940 წელს დაწერილი წიგნისთვის და არა მთელი შემოქმედებისთვის; ფიქრობს, რომ ჰყავს მტრები, რომელთაც არ უნდათ, რომ მან პრემია მიიღოს; პრემიაზე კანდიდატის წარდგენის ვადამდე ერთი კვირით ადრე ესაუბრება მწერალთა კავშირის მდივანს – ირაკლი აბაშიძეს, მაგრამ ის არაფერს პასუხობს. აღნიშნავს, რომ თავისი თხზულებების III ტომის გამოცემა დააგვიანეს იმიტომ, რომ პრემიაზე არ წარედგინათ. 19 ოქტომბერს გაზეთებიდან იგებს, რომ კანდიდატად წარდგენილია გიორგი ლეონიძე, რომლის ეპოპეა დაწერილია არა 1940, არამედ 1939 წელს (თარიღი ეშლება, დაწერილია 1936 წელს). ასკვნის, რომ გაიმარჯვა უსამართლობამ.

◇ 1941 წლის 24 მარტს დღიურში წერს: „Красная Новь“-ში მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ჩემი წიგნის შესახებ... როდის ვაცხადებდი მე თავს სიმვოლისტად?... გაფრინდაშვილს და გოლცევს სურდათ თავიანთი სიმვოლიზმის გამართლება... უნდა გამოსულიყო 1937 წელს და გამოვიდა 1939 წ. ორი წელიწადი დააგვიანეს! დააგვიანეს ისევე, როგორც საქართველოში მე-III ტომის. ყველაფერი ეს – ხელს უწყობდა გარემოებას, რომ მე პრემია არ მიმეღო“<sup>2</sup>. თარიღი ამ შემთხვევაშიც ეშლება, რუსული თარგმანების წიგნი გამოიცა 1940 წელს.<sup>3</sup> ამავე დღიურში აღნიშნავს: „2. IV ტომის გამოცემა გეგმაში არ შეიტანეს... 3. „კავკასიონის ქარი“-ს გამოცემისთვის ხელი შემიშალეს (არ გამოსცეს). 4. წამოიწყეს ალფაბეტი (ს. აბაშელის არმია)... 6. ირ. აბაშიძეს არ მისცეს საშუალება...“<sup>4</sup>. გალაკტიონმა IV ტომის მომზადება დაიწყო 1940 წელს, მაგრამ 1941 წლის დღიურის 17 თებერვლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სახელგამის გეგმაში არაა შეტანილი ჩემი წიგნი, მეოთხე ტომი (აქ გადაწყვეტილება მიიღეს: ირაკლი აბაშიძემ, ნიკო კიკნაძემ, ჭიიშვილმა, ბობოხიძემ)“<sup>5</sup> თხზულებების IV ტომი გამოიცა 6 წლის შემდეგ, 1947 წელს. 1941 წლის 1 იანვარს დღიურში

<sup>1</sup> ქლმ. დ-98; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XV, თბ., 2008, გვ. 305-308.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 215.

<sup>3</sup> Табидзе Г. В. Избранные стихотворения, Пер. с груз. под ред. В. Гаприндашвили и В. Гольцева, Москва, Гослитиздат, 1940.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 204.

<sup>5</sup> ქლმ. დ-143, 21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 173.



აღნიშნავს, რომ მისი მთავარი საზრუნავია „კავკასიონის ქარი“.<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით, 6 იანვარს განცხადებით მიმართავს ირაკლი აბაშიძეს: „მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ამხ. ირაკლი აბაშიძეს. გთხოვთ, გამოცემულ იქნას ჩემი ნაწარმოები „კავკასიონის ქარი“ – საქ. გასაბჭოების ოცი წლის თავისთვის“.<sup>2</sup> 13 თებერვალს დღიურში წერს, რომ ირაკლი აბაშიძემ აცნობა, რომ ბესარიონ ჟღენტი ვერ უბედავს თქმას, თორემ „კავკასიონის ქარის“ ამბავი გაჭიანურდა.<sup>3</sup> „კავკასიონის ქარი“ ცალკე წიგნად არ გამოცემულა. ალფაბეტის წამოწყების შესახებ ჩანაწერში გულისხმობს ალექსანდრე აბაშელის ინიციატივას, რომ კრებულებში ავტორები განთავსდნენ ანბანურად, რის შედეგადაც წიგნები იხსნება არა მისი ლექსებით, როგორც ტრადიციულად ხდებოდა, არამედ ალექსანდრე აბაშელის ლექსებით. ჩანაწერის მე-6 პუნქტის აზრს არ ასრულებს და არ ხსნის, რისი საშუალება არ მისცეს ირაკლი აბაშიძეს, მაგრამ წინა და შემდეგი თარიღების არაერთი ჩანაწერის მიხედვით, იგულისხმება მისი საიუბილეო საღამოს გამართვა ოპერის თეატრში. ამ საკითხზე 1940 წლის აპრილიდან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ირაკლი აბაშიძესთან და ილია თავაძესთან, მაგრამ დადებითი პასუხი ვერ მიიღო. 1941 წლის 20 აპრილს წერს: „ირაკლი აბაშიძემ ტელეფონით მითხრა: „საქმე ცუდათაა. ილიამა სთქვა, რომ ეს საქმე ვერ მოხერხდებაო“. ჩემს შეკითხვაზე, რა სთქვა მიზეზად-მეთქი – ირაკლიმ ვერაფერი მიპასუხა... ასე დამთავრდა ეს ამბავი... არ მიშვებენ ოპერის თეატრში, ოპერის თეატრის ახლო; მათ ეშინიათ დიდი სახალხო დემონსტრაციის, განსაკუთრებით ეხლა“<sup>4</sup>. მართლაც, ოპერის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის საღამო არ გამართულა 1943 წლის ნოემბრამდე.

◇ 1941 წლის დღიურში 19 მარტს წერს: გამოქვეყნდა დადგენილება სსრ კავშირის კომისართა საბჭოსი – სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ<sup>5</sup>. დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთში „კომუნისტი“, სადაც აღნიშნულია, რომ მხატვრული ლიტერატურის დარგში სტალინური მეორე ხარისხის პრემია მიეკუთვნა ლეო ქიაჩელს

<sup>1</sup> ქლმ. დ-141, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 140.

<sup>2</sup> ქლმ. ბ-24551-142. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 106.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 207.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 206.

რომანისთვის „გვადი ბიგვა“, პოეზიის დარგში სტალინური მეორე ხარისხის პრემია კი – გიორგი ლეონიძეს პოემისთვის „ბელადის ყრმობა“.<sup>1</sup>

◇ 1941 წლის დღიურში 20 მარტს აღნიშნავს: „გუშინ ტროლეიბუსში ორი ქალი საუბრობდა: ქიაჩელი? ათიათასი მანეთი პრემიად იმ მკითხველს უნდა მისცემოდა, რომელიც ამ რომანს ბოლომდე წაიკითხავდაო...“<sup>2</sup>. თანხას არასწორად ასახელებს, რადგან გაზეთის „კომუნისტი“ ცნობით, ლეო ქიჩელმა რომანისთვის „გვადი ბიგვა“ მიიღო მეორე ხარისხის სტალინური პრემია 50000 მანეთის ოდენობით.<sup>3</sup>

◇ 1941 წლის 20 მარტს დღიურში წერს: „3 მარტს ჩემს მიერ დასმულ წინადადებაზე – თავადისაგან პასუხი მივიღე დღეს 20 მარტს. ირაკლი აბაშიძემ ტელეფონით მითხრა: „საქმე ცუდათაა. ილიამა სთქვა, რომ ეს საქმე ვერ მოხერხდებაო. ჩემს შეკითხვაზე, რა სთქვა მიზეზად-მეთქი – ირაკლიმ ვერაფერი მიპასუხა. ილიამა სთქვაო: რომ „გალაკტიონს არ ვაწყენინოთ, ფედერაციას წინადადება მივსცეთ მისი წიგნის გამოცემისო“.<sup>4</sup> საუბარია გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 და სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის გამო ოპერის თეატრში საიუბილეო საღამოს გამართვაზე, რომლის შესახებ აღნიშნავს 1940 წლის 6 და 13 აპრილის, 1941 წლის 6, 9, 12, 15 და 17 მარტის ჩანაწერებში. საღამო არც ამ და არც მომდევნო წელს არ გამართულა. გალაკტიონ ტაბიძის იუბილე ოპერის თეატრში გაიმართა 1943 წლის 29 ნოემბერს.<sup>5</sup> ფედერაციისთვის წიგნის გამოსაცემად წინადადების მიცემაში უნდა იგულისხმებოდეს გამომცემლობის „ფედერაცია“ მიერ 1942 წელს დაბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

◇ 1941 წლის დღიურში 20 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „წიგნების საქმე ასეა: აბაშელი: – ველი ცეკასგან გეგმის დამტკიცებას დაახლოებით 10 დღეში და როგორც კი დაამტკიცებენ – პირველ რიგში ხელშეკრულებას შენთან დავდებთო. გვეტაძე: – ერთ ათ დღეს მომიცადე, და ხელშეკრულებასაც დაგიდებთ – ცეკასგან გეგმის დამტკიცებას ველიო. ჭანტურიშვილი: – მომითმინეთ ათი დღე – და

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1941, 28 მარტი, #64, გვ. 2.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 208.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1941, 28 მარტი, #64, გვ. 2.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 207.

<sup>5</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943, 26 ნოემბერი, N6, გვ. 3.

ყველაფერს გავაფორმებთო... ცეკამ უნდა დაამტკიცოსო...“<sup>1</sup> ამავე დღიურში 3 მარტს ინიშნავს: „წიგნები: ...საბლიტგამი, „ზარია ვოსტოკა“, ფედერაცია“<sup>2</sup>. ალექსანდრე აბაშელთან დაკავშირებით, ამავე დღიურის 4 მარტს წერს: „ს. აბაშელმა წინადადება მომცა, წარვადგინო ლექსები, რომლებიც წიგნად უნდა გამოსცეს „Заря Востока“-მ“<sup>3</sup>, იგულისხმება წიგნი – Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942. რაჟდენ გვეტაძე 1935–1942 წლებში იყო გამომცემლობის „ფედერაცია“ ხელმძღვანელი და შესაბამისად, უნდა იგულისხმებოდეს „ფედერაციის“ მიერ 1942 წელს გამოცემული წიგნი „მშობლიური ჩემო მიწავ“. რაც შეეხება კონსტანტინე ჭანტურიშვილს, ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, ის მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში, გალაკტიონის ჩანაწერის მიხედვით: „საბლიტგამი: 2. კოწია ჭანტურიშვილი“<sup>4</sup>. „საბლიტგამს“ 1940 წლის 6 დეკემბერს უგზავნის განცხადებას: „გთხოვთ, 1946 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოთ ჩემი წიგნი „პოეზიის ხელოვნება“ (ლექსები თანამედროვე პოეზიის დანიშნულების შესახებ, ცალკე პოეტებზე. მაგ., აკაკის, ილიას, ვაჟას პორტრეტები), [Ars poetique] დაახლოებით 5–6 ათასი სტრიქონი... ასეთი წიგნი არ არსებობს ქართულ ენაზე და დიდ საჭიროებას წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის“<sup>5</sup>. 1941 წლის დღიურის 3 მარტის ჩანაწერშიც მოჰყავს ეს განცხადება: „საბლიტგამს ჯერ ისევ 1940 წლის 6 დეკემბერს მე მივეცი ასეთი განცხადება: „გთხოვთ, 1946 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოთ ჩემი წიგნი: „პოეზიის ხელოვნება“<sup>6</sup>. ვფიქრობთ, კონსტანტინე ჭანტურიშვილთან დაკავშირებით იგულისხმება ეს წიგნი, რომელიც არ გამოცემულა.

◇ 1941 წლის 22 მარტს დღიურში აღნიშნავს: „ლაინეს ამბავი გამოვარკვით: მას ვუშოვე აბასთუმანში ორი თვის საგზური კიდეც – შვიდი თვე ხომ არის. ნეტავი ეშველება რამე თუ არა მას?“<sup>7</sup>. მეორე

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 208.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>4</sup> ქლმ. დ-470-2. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 264.

<sup>5</sup> ქლმ. 24551-140-ბ. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 68.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>7</sup> ქლმ. დ-144, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 210.

ცოლის – ოლგა დარიუსის დისშვილის შესახებ, 1940 წლის 16 აპრილის ჩანაწერის მიხედვით ვიგებთ, რომ ლაინე ტუბერკულოზით დაავადდა და მას შემდეგ აბასთუმანში მკურნალობდა.<sup>1</sup>

◇ 1941 წლის 22 მარტს დღიურში წერს: „მუსიკის შესახებ: დიმიტრი არაყიშვილს ჰქონია ჩემს სიტყვებზე არა ერთი, არამედ სამი ნაწარმოები“<sup>2</sup>. 1921 წელს დიმიტრი არაყიშვილმა გალაკტიონ ტაბიძის ლექსისთვის „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ დაწერა მუსიკა, რომელიც შესრულდა მწერალთა სასახლეში „პოეზიის დღის“ აღსანიშნავ საღამოზე.<sup>3</sup> დანარჩენ ორ სიმღერას ვერ მივაკვლიეთ.

◇ 1941 წლის 24 მარტს დღიურში აღნიშნავს, რომ შალვა დემეტრაძეს აცნობა ცენტრალური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება მისი წიგნის დაბეჭდვის შესახებ<sup>4</sup>. იმავე დღიურის 20 მარტის ჩანაწერის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ელოდება სხვადასხვა გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი სამი წიგნის თაობაზე.<sup>5</sup> ამ შემთხვევაში, იგულისხმება გამომცემლობაში „ფედერაცია“ მიტანილი წიგნი „მშობლიურო ჩემო მიწავ!“; რასაც გვიდასტურებს 8 აპრილის ჩანაწერი: „წამოვიღე გადასათვალთვალად „ფედერაციიდან“ აკ. გაწერელიას და შ. დემეტრაძის მიერ შერჩეული მასალები – ჩემი წიგნისა – ძირითადად წიგნი კარგადაა. უნდა დაემატოს ახალი ლექსები“<sup>6</sup>.

◇ 1941 წლის 24 მარტს დღიურში წერს: „Красная Новь“-ში მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ჩემი წიგნის შესახებ (მოსკოვის გამოცემა)... წიგნი უნდა გამოსულიყო 1937 წელს და გამოვიდა 1939 წ. ორი წელიწადი დააგვიანეს!“<sup>7</sup>. საუბარია მოსკოვში გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების თარგმანების წიგნზე, რომლის შესახებაც შეცდომით აღნიშნავს გამოცემამ ორი წლით დაიგვიანა და

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 211.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 214.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 208.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 25; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 233.

<sup>7</sup> ქლმ. დ-144, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 214-215.

გამოიცა 1939 წელსო. სინამდვილეში, დაიბეჭდა 3 წლით გვიან, 1940 წელს<sup>1</sup>.

◇ 1941 წლის 27 მარტს დღიურში აღნიშნავს: „მარლემანის სურათი „აწყური“ ... სურათს ყველამ მიაქცია ყურადღება. იდეა იგივეა, რაც ჩემი „ვენეციის ხიდი“, „ავტო და ურემი“. პირველ ლექსში, სავარაუდოდ, იგულისხმება 1941-1945 წლებით დათარიღებული ლექსი „იმ ვენეციურ ხიდზე“, მეორეში კი – 1930 წლით დათარიღებული ლექსი „ავტომობილი და ურემი“ ციკლიდან „რევოლუციონური საქართველო“.

◇ 1941 წლის 27 მარტს დღიურში წერს: „რამდენი ჟურნალი გახსნილა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩემი ლექსით, რამდენი კრებული, რამდენი წიგნი. ყველა ესენი რომ შეიკრიბოს და გამოიფინოს, უპირველესი დოკუმენტი იქნება – იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ არის დღეს ქართულ მწერლობაში ცენტრალური ფიგურა. მაგრამ ამას ხომ არავინ არ უარყოფს, უნდათ, მხოლოდ ემშაკობით წამართვან ეს პირველი ადგილი ჟურნალებში და კრებულებში: ს. აბაშელს – ალფაბეტით, მაშაშვილს – კომკავშირელობით, ი. გრიშაშვილს – რითი, ვერ გამოგია, მაგრამ რომ თავდადებით იბრძოდა ამ ადგილისათვის (მაგალითად, მწ. კავშ. კრებულის XX წლის თავის აღსანიშნავად), ცხადია, ჯერ-ჯერობით აქა-იქ იმარჯვებს მხოლოდ ალფაბეტი, ერთხელ გაუღიმა მაშაშვილს ბედმა (ეს იყო თხუთმეტი წლის წინად – ვალია ბახტაძემ მისი ლექსი „ჩიმჩაირა“ მოათავსა ჩემზე პირველად)<sup>2</sup>. სანდრო აბაშელთან დაკავშირებით, იგულისხმება კრებული „სამშობლო“<sup>3</sup> 17 იანვრის ჩანაწერის მიხედვით<sup>4</sup>, ალექსანდრე აბაშელის ინიციატივით, კრებული შედგენილია ავტორების ალფაბეტით განლაგების წესით, იხსნება არა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით, როგორც ტრადიციულად ყველა ჟურნალი და წიგნი იხსნებოდა, არამედ ალექსანდრე აბაშელის ლექსებით, მისი ორი ლექსი კი – „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“, „ყველა წითელარმიელი

<sup>1</sup> Табидзе Г. В. Избранные стихотворения, Пер. с груз. под ред. В. Гаприндашвили и В. Гольцева, Москва, Гослитиздат, 1940.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 219.

<sup>3</sup> ქართველი საბჭოთა მწერლები, „სამშობლო“, თბ., „სახელგამი“, 1941.

<sup>4</sup> ქლმ. დ-143, 2; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 159-160.

იდგეს როგორც ლომი“ – დაბეჭდილია 167-168 გვერდებზე. იოსებ გრიშაშვილზე ჩანაწერში იგულისხმება საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი, 1941 წელს გამოცემული მწერალთა კავშირის კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, რომელიც გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (გვ. 1-6). რაც შეეხება ალიო მამაშვილის ლექსს, ვალია ბახტაძე მიხეილ კახიანთან ერთად „მნათობის“ რედაქტორი იყო 1924 წლიდან 1930 წლამდე. ამ პერიოდში, მართლაც, ერთადერთი შემთხვევაა, 1941 წლამდე 15 წლით ადრე, გალაკტიონ ტაბიძის ლექსით რომ არ იხსნება ჟურნალი. 1926 წლის პირველ ნომერში, ჯერ დაიბეჭდა ალიო მამაშვილის ლექსი „პატარა“, შემდეგ კი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პოემა ვეფხისა“<sup>1</sup>. ვფიქრობთ, ალიო მამაშვილის ლექსის სათაური გალაკტიონ ტაბიძეს ან ეშლება, ან ირონიულად მოიხსენიებს „ჩიმიჩაირად“.

◇ 1941 წლის 27 მარტს დღიურში აღნიშნავს: „ამ ფრონტზე დღემდე გამოსვლას შეგნებულად გაურბის გ. ლეონიძე. აი, იგი ემზადება, შეიძლება... მაგრამ რომელი მხრიდანაა მოსალოდნელი მისი გამოსვლა? აჰა, გამახსენდა... ვაჟა-ფშაველა! ეხლავე საჭიროა მზადება. ლერმონტოვიც... საჭიროა მზადება“<sup>2</sup>. იგულისხმება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება და მიხეილ ლერმონტოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. 12 მარტის ჩანაწერის მიხედვით, დავით ყიფშიძე, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჯანაშია მიხეილ ლერმონტოვის საიუბილეო კრებულს ამზადებენ, ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე კი გამოფენას აწყობენ ლიტერატურულ მუზეუმში<sup>3</sup>.

◇ 1941 წლის 27 მარტს დღიურში წერს: „საჯარო წიგნთსაცავში ვეძებდი „Українські Комсомолец“-ს. სერებრიაკოვმა მითხრა, რომ 25 თებერვლის ნომერში მოთავსებულია ჩემი ლექსი... გაზეთი აქ ჯერ არ ჩამოსულა“<sup>4</sup>. 1 აპრილის ჩანაწერის მიხედვით, კიევში, გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლეც“ რედაქციას სთხოვს, გაუზავნონ გაზეთის

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, იანვარი, #1, გვ. 5, გვ. 6-9.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 220.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 220.

ორი ეგზემპლარი<sup>1</sup>. სხვა დღიურში მოჰყავს ამ წერილის ტექსტი: „კიევი, რედ. „კომს. უკრაინი“, პატივცემულო რედაქტორო, გადმომცეს, რომ თქვენს გაზეთში 1941 წლის 25 თებერვალს მოთავსებულია ჩემი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწა“ („Bitvizi“) (თარგ. მ. ნაჩიბიდის). გამომიგზავნეთ ამ გაზეთის ორი ნომერი და თუ მეკუთვნის, ჰონორარიც. პატივისცემით, გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, ორდენოსანი“<sup>2</sup>.

◇ 1941 წლის 27 მარტს დღიურში წერს: „სოსლანის რუსული რომანის კითხვა – ფიასკოთი დამთავრებულა... სახელმძღვანელოების ავტორები – ვინ არიან? მათი წიგნების ბეჭდვა, ალბად, მალე დაიწყება. „მნათობის“ მეორე ნომერი გამოვა ამ დღეებში. მესამესი კი – არ იციან. აწყობილი კია. ორივე ნომერში ჩემი ლექსებია“.<sup>3</sup> შალვა სოსლანთან დაკავშირებით საუბარია დაუსრულებელ რომანზე „ოქროს საწმისი“, რომლის ნაწყვეტები გამოქვეყნდა 1941 წელს. იმ დროისთვის რომანი რომ დაუსრულებელი იყო, იგივე ჩანაწერი გვიდასტურებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს უთქვამს, 10 წლის მუშაობის შემდეგ შეიძლება კარგი ნაწარმოები გამოვიდესო. სახელმძღვანელოებში იგულისხმება ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებშიც იბეჭდებოდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. 1941 წლის 6 იანვრის შემდეგ დღიურში ჩამოწერს 1940 წლის სახელმძღვანელოების ავტორებს, წიგნებში მოთავსებული ლექსების სათაურებსა და სტრიქონების რაოდენობას: „1. ქართული ლიტერატურის ქრესტომატია ი. კაკაბაძის და ოდიშარიასი, მე-7 წელი (მწერვალები. ახალი შუქი. ჩვენი ჯარი ძლიერია). 2. ქართ. ლიტ. ქრესტ. (თაბუკაშვილი, გაჩეჩილაძე). 248 სტრ. 3. ლიტ. სახელმძღვ. (თაბუკაშვილი, შარაბიძე). 28 სტრიქონი. 248 + 80 + 28 = 356. სულ 356“<sup>4</sup>. ჟურნალის „მნათობი“ მეორე ნომრისთვის დასაბეჭდად გადაცემული ჰქონდა საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავთან დაკავშირებით

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

<sup>2</sup> ქლმ. დ-145, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 220.

<sup>4</sup> ქლმ. დ-142; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 155.

ლექსი „საიუბილეო“<sup>1</sup>, მესამე ნომრისთვის კი – პარიზის კომუნის 70 წლისთავის აღსანიშნავი ლექსი „პარიზის კომუნა“<sup>2</sup>.

◇ 1941 წლის 28 მარტს დღიურში აღნიშნავს: „ჩემი წიგნის რედაქტორობა მინდობილი აქვს გარრი ბებუთოვს“<sup>3</sup>. საუბარია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების წიგნზე „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც გამოიცა 1942 წელს.<sup>4</sup>

◇ 1941 წლის 28 მარტს დღიურში წერს: „როგორი უნდა იქნეს ჩემი რუსული წიგნი?.. საბლიტგამში – ერთი წიგნი „ვარდების“... „ფედერაციაში“ „რჩეული ლექსები“<sup>5</sup>. რუსულ წიგნში იგულისხმება – 1942 წელს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ დაბეჭდილი „Страна моя родная“, გამომცემლობის „ფედერაცია“ წიგნში კი – 1942 წელს დაბეჭდილი „მშობლიურო ჩემო მიწავ“. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის წიგნი „ვარდების“, უნდა იყოს 1946 წლისთვის დაგეგმილი გამოცემა „პოეზიის ხელოვნება“, რომელშიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ლექსები თანამედროვე პოეზიის დანიშნულებისა და აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა პოეტების შესახებ<sup>6</sup>, მაგრამ ამ სახით წიგნი არ გამოცემულა. ფრაზა „წიგნი – „ვარდების“ გამოწვეული უნდა იყოს გიორგი ლეონიძის ლექსის სტრიქონებით. 1941 წლის 28 მარტის დღიურში ვკითხულობთ: „ადარ გვინდა საქართველო – ვარდ-ბულბულის ქვეყნად“ – სწერს ლეონიძე...“. დიმიტრი ბენაშვილი შენიშნავს: „სრულ უგემოვნობას და პოეტურ კონტროლის გრძნობის უქონლობას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, რას ერჩის პოეტი ვარდსა და ბულბულს? რამ გამოიწვია ყოველივე ეს? უპირველეს ყოვლისა, არა სერიოზულმა დამოკიდებულებამ ამ ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო თემისადმი... მაგრამ ყოველივე ეს კერძო ხასიათის შეცდომებია“. ჰმ... პირიქით: ეს ხაზია. ლეიტმოტივია. ამგვარად ახსნა, მართლაც, „უპირველეს ყოვლისა, არის არა სერიოზული დამოკიდე-

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, თებერვალი, №2, გვ. 63-67.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, მარტი, №3, გვ. 7-9.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 221.

<sup>4</sup> Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 222.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 194.



ბულება“ კრიტიკისა – თანამედროვე პოეზიისადმი. ლეონიძის მხრით კი ეს პირველი არ არის, გაიხსენეთ - აკაკი წერეთლის გამოფენა, სადაც ლეონიძე განზრახ ჩრდილავდა დიდი პოეტის მიღწევებს<sup>1</sup>. ციტატა მოყვანილია გიორგი ლეონიძის უსათაურო ლექსიდან: „თქვენ მოდიხართ ყრილობაზე...“, რომელსაც იწერს იმავე წლის დღიურში 6 იანვრის შემდეგ: „თქვენ მოდიხართ ყრილობაზე, / თქვენ მტკიცე ხართ პირობაზე. / თქვენ ბარაქის ბარდანები / მოგაქვთ ყველა მხრიდან. / ზოგი ქარხნის ბოლს უშვებდით, / ზოგი მადანს თხრიდა. / თქვენ გვიძლოდით ყოველდღიურ, / თქვენ გვასწავლეთ შეხლა. / აღარ გვინდა საქართველო / ვარდ-ბულბულის ქვეყნად!“<sup>2</sup> ჩანაწერისა და ლექსის მიხედვით გიორგი ლეონიძე ესალმება თანამედროვე მიღწევებს და უარყოფს წარსულის პოეზიას, რაც გალაკტიონისთვის მიუღებელია. შემდეგი დღის ჩანაწერში ვკითხულობთ: „დავსწერე ახალი ლექსი „ვარდები“ – რომელიც მინდა შევუერთო ლექსს ქუთაისის შესახებ. „ვარდები“ ერთგვარი პასუხი იქნება იმ პოეტებისადმი, რომლებიც ამბობენ – „აღარ გვინდა საქართველო ვარდ-ბულბულის ქვეყნად“<sup>3</sup>. 2 აპრილს კი, დღიურში წერს: „წიგნების შესახებ ჯერ კიდევ პასუხი არ არის არსაიდან. დღეს განვაგრძობდი პოემის „საუბარი ვარდების შესახებ“ წერას. ჯერჯერობით შესანიშნავი გამოდის. საინტერესოა სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“. ამგვართვე სურს მას, დაამუშავოს წიგნი ჩემს შესახებ და ეს ძალიან კარგი იქნება“<sup>4</sup>. 1940 წელს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ დაბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის „ლირიკა“ და მას შემდეგ უახლოეს მომავალში პოეტის სხვა წიგნი არ გამოუცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან გალაკტიონი გეგმავდა წიგნის გამოცემას თანამედროვე პოეზიაზე, რომელიც უნდა განეხილა ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ლექსების მაგალითებზე და რომელთა შემოქმედებას გიორგი ლეონიძემ უწოდა „ვარდ-ბულბულის ენა“, ასევე დიმიტრი ბენაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით დაადანაშაულა თანამედროვე პოეზიისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში, „საბლიტგამის“ წიგნში უნდა

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 222.

<sup>2</sup> ქლმ. დ-142, 22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 156.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 222.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 226.

იგულისხმებოდეს წიგნი „პოეზიის ხელოვნება“ შეცვლილი სათაურით „საუბარი ვარდების შესახებ“. სათაური ასევე წარმოადგენს ინტერპრეტაციას გალაკტიონის პოემისა „საუბარი ლირიკის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“ 1940 წლის თებერვალში.<sup>1</sup>

◇ 1941 წლის 29 მარტს დღიურში წერს: „ვცდილობ, დავაზუსტო გამოსაცემი წიგნების შინაარსი. მეტად საჭირო საქმეა. მაგრამ ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული გეგმები ცეკას მიერ“. სხვა ჩანაწერების მიხედვით, უნდა იგულისხმებოდეს სამი წიგნი: გამომცემლობის „ფედერაცია“ მიერ 1942 წელს დაბეჭდილი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ 1942 წელს დაბეჭდილი „Страна моя родная“ და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობისთვის განსაზღვრული წიგნი „პოეზიის ხელოვნება“, რომელიც არ გამოქვეყნებულა.

◇ 1941 წლის 30 მარტს დღიურში აღნიშნავს, რომ სერებრიაკოვი ელის ჰონორარს მოსკოვის გამოცემისაგან. იგულისხმება 1940 წელს მოსკოვში გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები.<sup>2</sup>

◇ 1941 წლის 30 მარტს დღიურში წერს: „მიკვირს, რისთვის ვერ ვიყენებ ფოტოებს და გაზეთს – „გალაკტიონი“. საუბარია პოეტის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად 1927 წელს გამოცემული ბიულეტენზე „გალაკტიონი“.

◇ 1941 წლის 31 მარტს დღიურში წერს: „ველაპარაკე ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლას: ბავშვები მიმზადებენ ალბომს“<sup>3</sup>. გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის III სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა 15 მარტს.<sup>4</sup>

◇ 1941 წლის 31 მარტს დღიურში წერს: „ველაპარაკე ბებუთოვს მომავალი წიგნის შესახებ“<sup>5</sup>. 28 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჩემი წიგნის რედაქტორობა მინდობილი აქვს გარრი ბებუთოვს. აბაშელმა სთქვა: ამას წინად ჩემთან მოვიდა Степан – და შენი ლექსების თარგმნა მთხოვაო. მე მივასწავლე ბებუთოვთანო. ბებუთოვს კი გული მოსვლია,

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „საუბარი ლირიკის შესახებ“, ჟურნ. „მნათობი“, 1940 №2, გვ. 3-19.

<sup>2</sup> Табидзе Г. В. Избранные стихотворения, Пер. с груз. под ред. В. Гаприндашвили и В. Гольцева, Москва, Гослитиздат, 1940.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 223.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 203.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 223.

რას მიგზავნიან აქ „ხალტურშჩიკებს“<sup>1</sup>. ალექსანდრე აბაშელმა, 4 მარტის ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძეს შესთავაზა გამომცემლობისთვის „ზარია ვოსტოკა“ ლექსების წარდგენა წიგნად დასაბეჭდად<sup>2</sup>. შესაბამისად, გარი ბებუთოვი რედაქტორობდა „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცემულ რუსულ წიგნს „მშობლიური ჩემო მიწავ“<sup>3</sup>.

◇ 1941 წლის 31 მარტს დღიურში წერს: „მივიღეთ ლაინეს წერილი – რომ ის უკეთესადაა“<sup>4</sup>. 1940 წლის 16 აპრილის ჩანაწერის მიხედვით, თავისი მეორე ცოლის დისშვილი, ლაინე ბარტელსი ტუბერკულოზით გახდა ავად და აბასთუმანშია მას მერე“<sup>5</sup>, 1941 წლის 22 მარტის ჩანაწერში კი ვკითხულობთ, რომ კიდევ 2 თვით უშოვა აბასთუმანში საგზურირ<sup>6</sup>.

◇ 1941 წლის 31 მარტს დღიურში ჩამოწერს მარტის თვის მიღწევებს, მათ შორის, სტეპანეს თარგმანს<sup>7</sup>. იმავე დღიურში 4 აპრილს პლექხანოვის სახელობის კლუბში ჩატარებულ საღამოს აღწერისას აღნიშნავს, რომ ალექსანდრე სტეპანოვი (სტეპანემ) წაიკითხა შესავალი „კავკასიონის ქარის“ თარგმანისა<sup>8</sup>.

◇ 1941 წლის 31 მარტს დღიურში წერს: „მწერალთა კავშირის დათმობა სხვებისთვის, ეს ჩემი მხრით დიდი დათმობა იქნება და არც ჩავიდენ არასოდეს. უთუოდ მალე მოხდება დიდი შეჯახება... ხუთეულის გამაგრება ეს უბრალო წყალის ნაყვია, აქ ყველა თავისკენ მიითვლის!“<sup>9</sup>. ვფიქრობთ, ხუთეულში უნდა იგულისხმებოდეს შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე, რადგან 4 აპრილს ნაძალადევაში, პლექხანოვის სახელობის კლუბში გამართული ლიტერატურულ-მხატვრული საღამოს შესახებ ჩანაწერში აღნიშნავს: „არ ინებეს მოზრძანება

---

<sup>1</sup> კლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 221.

<sup>2</sup> კლმ. დ-144, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>3</sup> Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942.

<sup>4</sup> კლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 224.

<sup>5</sup> კლმ. დ-129, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>6</sup> კლმ. დ-144, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 210.

<sup>7</sup> კლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 224.

<sup>8</sup> კლმ. დ-144, 22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 229.

<sup>9</sup> კლმ. დ-144, 19; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

საღამოზე: შ. დადიანმა, ი. გრიშაშვილმა, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა. დადიანს ეთქვა: დღეს ლიბრეტოზე ვმუშაობთო. გრიშაშვილმა – სიცხე მაქვს, თავი მიბრუნისო. ჩიქოვანმა: თუ მოსკოვში არ წავედიო – (არ წასულა). ირაკლი აბაშიძემ თვითონ შეიტანა თავისი სახელი და გვარი პროგრამაში, საღამოზე კი არ გამოცხადდა... ლეონიძესაგან არ მოველოდი მოსვლას და მოვიდა. ესენი კი... ეს ოთხი ჟულიკი – განაგრძობენ ჟულიკობას“.<sup>1</sup>

◇ 1941 წლის 1 აპრილს დღიურში წერს: „გავაგზავნე წერილი კიევში „უკრაინის კომკავშირელის“ რედაქციას: მე მათ ვთხოვ, გამომიგზავნონ ორი ეგზემპლარი გაზეთისა და...“.<sup>2</sup> სხვა დღიურში მოჰყავს ლექსის უკრაინული თარგმანი<sup>3</sup> და ამ წერილის ტექსტი, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ გაზეთის 25 თებერვლის ნომერში დაიბაჭდა მიკოლა ნაჩიბიდის ნათარგმნი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“.<sup>4</sup>

◇ 1941 წლის 1 აპრილს დღიურში აღნიშნავს, რომ სამი დღის შემდეგ უნდა მივიდეს კონსტანტინე ჭანტურიშვილთან ხელშეკრულების გასაფორმებლად<sup>5</sup>. კონსტანტინე ჭანტურიშვილი მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში. „საბლიტგამისადმი“ 1940 წლის 6 დეკემბრის განცხადების მიხედვით, 1946 წელს სურდა გამოეცა წიგნი „პოეზიის ხელოვნება“<sup>6</sup>. ვფიქრობთ, იგულისხმება ის წიგნი, რომელიც არ გამოცემულა.

◇ 1941 წლის 2 აპრილის დღიურში ვკითხულობთ: „წიგნების შესახებ ჯერ კიდევ პასუხი არ არის არსაიდან“<sup>7</sup>. საუბარი უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის საგამომცემლო გეგმაში შესატან წიგნებზე – გამომცემლობის „ფედერაცია“ წიგნზე „მშობლიურო ჩემო მიწავ“<sup>8</sup>, გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ რუსული თარგმანების წიგნზე

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 229.

<sup>2</sup> ქლმ. დ-142, 23-29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 157-158.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

<sup>4</sup> ქლმ. დ-145, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>7</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>8</sup> გალაკტიონ ტაბიძე, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, თბ., ფედერაცია, 1942.

„მშობლიური ჩემო მიწავ“<sup>1</sup> და საბავშვო გამომცემლობის წიგნზე „პოეზიის ხელოვნება“.

◇ 1941 წლის 2 აპრილს დღიურში წერს: „ვკითხულობდი მაქს ნორდაუს წიგნს. ამ წიგნში ბევრი რამაა ისეთი, რომელიც პირადათ მე მეხება. „გენია თავისი ინტელექტუალური ძალღონით, იმ ძალღონით, რომელიც მხოლოდ მისი თვისებაა, გადაამუშავებს გარეგან შთაბეჭდილებებს ხელოვნების ნაწარმოებად, ყველა დანარჩენ ხალხისთვის გასაგებ ნაწარმოებად...“<sup>2</sup>. ვფიქრობთ, კითხულობდა მაქს ნორდაუს წიგნს „გენიისა და ტალანტის ფსიქო-ფიზიოლოგია“, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურგში 1908 წელს.<sup>3</sup>

◇ 1941 წლის 4 აპრილს ნაძალადევეში, პლენხანოვის სახელობის კლუბში გამართული ლიტერატურული-მხატვრული საღამოს შესახებ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ გრიგოლ ტაბატაძემ წაიკითხა ლექსი, რომელიც მანამდე წაკითხული ჰქონდა „ზარია ვოსტოკას“ საღამოზე<sup>4</sup>. იგულისხმება გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ 1941 წლის 24 იანვარს მოწყობილ საღამოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კედლის გაზეთის რედაქტორის – გრიგოლ ტაბატაძის მიერ წაკითხული გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი.<sup>5</sup>

◇ 1941 წლის 4 აპრილს დღიურში წერს: „ეხლა იწყება გორის ეპოპეა! მეშინია ამ საღამოებმა არ გადამახვევინოს გზიდან: წიგნების დამზადებიდან... საცაა, შეიძლება დაამტკიცონ გეგმები..“<sup>6</sup> 2 აპრილის ჩანაწერის მიხედვით, იგულისხმება გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში 12 აპრილს მშრომელთათვის გასამართი ქართული საბჭოთა პოეზიის

---

<sup>1</sup> Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>3</sup> Нордау Макс, „Психо-физиология гения и таланта“, Перевод М. Н. Тимофеевой, СПб., 1908.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 229.

<sup>5</sup> Встреча рабкоров с народным поэтом Грузии т. Галактионом Табидзе, газ. „Заря Востока“, 1941, 29 января, #23 (5249), ст. 3.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 23; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 230.

დიდი საღამო, რომელშიც სთხოვენ მონაწილეობას<sup>1</sup>. გორში საღამო 12 აპრილის ნაცვლად მოეწყო 14 აპრილს.

◇ 1942 წლის 11 თებერვალს დღიურში წერს: „1. საჭიროა, შეძენილ იქნას წიგნები „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ და „ჩვენ გავიმარჯვებთ“... 2. კარგია პლაკატი „შვილო, სამშობლო გეძახის“. ქალს თითებში უჭირავს ქალადი „ფიცი“... 3. კარგია ყდა წიგნისა „Москва“. გამოდგება გამოფენისათვის“.<sup>2</sup> ლექსების კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით, გამომცემლობამ „ფედერაცია“ დაბეჭდა 1941 წელს. ლექსების კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“ იმავე წელს გამოსცა „სახელმწიფო გამომცემლობამ“ („სახელგამი“). პლაკატში „შვილო, სამშობლო გეძახის“ უნდა იგულისხმებოდეს ირაკლი თოიძის მიერ 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის თემაზე შესრულებული პლაკატი „დედა-სამშობლო გეძახის“, რომელმაც სტალინის დიდი მოწონება დაიმსახურა. პლაკატზე გამოსახულია რუსი ქალი, რომელსაც ხელში უჭირავს სამხედრო ფიცის ტექსტი საბჭოთა კავშირის მოღალატეთა დასჯის შესახებ. გამოფენასთან დაკავშირებით, საუბარია პოეტის დაბადებიდან 50 წლის საიუბილეო გამოფენაზე, რომლის გამართვასა და მომწყობი კომიტეტის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ 1941 წლის 17 თებერვლის შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერში აღნიშნავს<sup>3</sup>, მაგრამ საიუბილეო გამოფენა არ მოწყობილა 1948 წლამდე.

◇ 1941 წლის დღიურში 16 აპრილის შემდეგ იწერს ლექსების სტრიქონების რაოდენობას სათაურების მიხედვით<sup>4</sup>. მანამდე, 1941 წლის 6 მარტის ჩანაწერის შემდეგ დღიურში აღნიშნავს: „სტრიქონების რიცხვი წამოღებული წიგნიდან... უნდა დაემატოს კიდევ 3543“.<sup>5</sup> სხვა დღიურში 8 აპრილს წერს: „წამოვიღე გადასათვალეიერებლად „ფედერაციიდან“ აკ. გაწერელიას და შ. დემეტრაძის მიერ შერჩეული მასალები – ჩემი წიგნისა – ძირითადში წიგნი კარგადაა. უნდა დაემატოს ახალი ლექსები“<sup>6</sup>. გამომცემლობიდან „ფედერაცია“

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>2</sup> ქლმ. დ-145, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 238.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 26; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 176.

<sup>4</sup> ქლმ. დ-146, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 248-249.

<sup>5</sup> ქლმ. დ-146, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 243.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 25; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 233.

წამოღებული წიგნი, რომელსაც უნდა დამატებოდა სტრიქონები არის „მშობლიური ჩემო მიწავ“, რომელიც გამოიცა 1942 წელს. სწორედ ამ წიგნისთვის ჩამოწერს ლექსებს და ითვის მათ სტრიქონებს.

◇ 1941 წლის დღიურში 16 აპრილის შემდეგ წერს ლექსს „საპირველმაისო მისალმება შოთა რუსთაველს“<sup>1</sup>. 1940 წლით დათარიღებული ლექსის ვარიანტი მკვეთრი ცვლილებებით გამოქვეყნდა სათაურით „ისევ მესხის გამოხედვა“ 1944 წლის რჩეულში.<sup>2</sup>

◇ 1941 წლის დღიურში 16 აპრილის შემდეგ წერს: „1. პეტრენკოს რვეული – ცალკე. 2. ლენინგრადის საღამო. 3. „პოდსტროჩნიკები“. 4. დაუბეჭდავი თარგმანები. 5. თარგმანები გაზეთებში. 6. ლენინის ორდენის საქმეები. 7. ბორის ბრიკი. 8. „პრავდის“ ნომერი სურათით. 9. მაქსიმ გორკი ცალკე. 10. ცალკე წიგნების ისტორია (I, II, III ტ., ეპოქა და სხვ.)“<sup>3</sup>. გალაკტიონ ტაბიძე ამ პერიოდში ამზადებს თარგმანებს რუსული გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ გამოსაცემი წიგნისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ“, რომელიც დაიბეჭდა 1942 წელს<sup>4</sup>. პეტრენკოს რვეულში უნდა იგულისხმებოდეს პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანების რვეული. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძეს რვეულზე დაჰქონდა დალაგებული სხვადასხვა ტიპის მასალა: „ლომისის რვეული, „ჟურნალის“ რვეული, 1933 წლის რვეული, პეტრენკოს რვეული, რუს მთარგმნ. რვეული, „პოეტ. მ-ს“ რვეული, ყველა ლექსების რვეული, მუსიკის რვეული, მხატვრობის რვეული, მსახიობთა რვეული, ფოტოების რვეული, ცალკეული საღამოების რვეულები, ქრონოლოგიების რვეული, აკაკი წერეთლის რვეული, მ. გორკის რვეული“<sup>5</sup>. 1935 წელს თბილისში გამოცემული რუსული წიგნის „ლექსები და პოემები“<sup>6</sup> გეგმიდან, რომელსაც პოეტი 1933 წელს უგზავნის „ზაკვიზის“ რედაქტორს – ფოლიანს, ჩანს, რომ პოეტი უპირატესობას ანიჭებს ბორის ბრიკისა და პანტელეიმონ

<sup>1</sup> კლმ. დ-146, 20-21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 251-252.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944, გვ. 89.

<sup>3</sup> კლმ. დ-147, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 255-256.

<sup>4</sup> Табидзе Г. В. Страна моя родная: Стихи, Пер. с груз., Тбилиси, Заря Востока, 1942.

<sup>5</sup> კლმ. დ-548; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 247.

<sup>6</sup> Табидзе Г. В., Стихи и поэмы, 2-е изд. – Тифлис, Закиз, 1935.

პეტრენკოს თარგმანებს. წერს, რომ წიგნში უნდა შევიდეს 12 პოემა და 120 ლექსი, 12000 სტრიქონის მოცულობით. მთარგმნელებად შერჩეული ჰყავს 600 სტრიქონისთვის – ბორის ბრიკი, 300 სტრიქონისთვის კი – პანტელეიმონ პეტრენკო, დანარჩენ 300-ს კი მუშაობის პროცესში გამოავლენს.<sup>1</sup> ლენინგრადის სალამოში იგულისხმება 1934 წლის 17 ივნისს, იოსებ მეგრელიძის მოგონების თანახმად, ლენინგრადის ხელოვნების აკადემიასა და მეტყველების კულტურის ინსტიტუტში გამართული გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო სალამო.<sup>2</sup> პოეტი კი ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში წერს: „1934 წ. – ლენინგრადში ენათმეცნიერების ინსტიტუტი აწყობს ჩემთან საზეიმო შეხვედრას“.<sup>3</sup> ლენინის ორდენის საქმეების შესახებ საუბარი უნდა იყოს 1936 წელს ორდენის მიღებაზე, 1938 წელს დაკარგვაზე და 1940 წელს აღდგენაზე. „პრავდის“ ნომერში სურათით იგულისხმება რუსულ გაზეთში დაბეჭდილი ფოტო წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით“.<sup>4</sup>

◇ 1943 წლის 22 ივნისს უბის წიგნაკში წერს: „კაცმან კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს“ – გაბრიელი“.<sup>5</sup> იგულისხმება გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ 1860 წლის 8 სექტემბერს გელათის ტაძარში წარმოთქმული ქადაგებიდან პავლე მოციქულის მოხმობილი სიტყვები: „კაცად-კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს“.

◇ 1944 წლის 10 იანვარს დღიურში წერს: „ასეთივე იყო ვანო იოსელიანი. მან მისცა დიდი თანხა ხომლელს ჟურნალის გამოსაცემად“<sup>6</sup>. უნდა იგულისხმებოდეს სამეცნიერო, ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი „განთიადი“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში რომანოზ ფანცხავას (ხომლელი) რედაქტორ-გამომცემლობით და ჟურნალში თანამშრომლობდა გალაკტიონ ტაბიძეც.

---

<sup>1</sup> ქლმ. ხ-24551-280; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 101-102.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1973, №10, გვ. 133.

<sup>3</sup> ქლმ. დ-659, ავტობიოგრაფია-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 461.

<sup>4</sup> გაზ. „Правда“, 1936, 4 სექტემბერი, №244, გვ. 1.

<sup>5</sup> ქლმ. დ-158, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>6</sup> ქლმ. დ-165, 11-12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 381.



◇ 1944 წლის 18 იანვარს დღიურში ინიშნავს: „გიგო ზაზიაშვილი. პორტ“<sup>1</sup>. გიგო ზაზიაშვილის შესრულებული პორტრეტი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პოეტი რომ ნამდვილად დახატული ჰყავს გვიდასტურებს 1941 და 1950 წლების – ჩანაწერები: „სხვადასხვა პირთა ხელშია: 1. პორტრეტი ზაზიაშვილისა...“<sup>2</sup>, „მნათობის“ მეცხრე ნომერში მოთავსებულია მეორე წერილი მამია დუდუჩავასი, „ახალი ქართული ხელოვნება“. არჩევს რა იაკობ ნიკოლაძის, გიგო ზაზიაშვილის, გრიგოლ მესხის, სიდამონ-ერისთავის, დავით კაკაბაძის და სხვ. ნამუშევრებს, ის სრულიად არ ახსენებს მათ მიერ დახატულ ჩემს პორტრეტებს, ესკიზებს და სხვ.“<sup>3</sup> პირველი ჩანაწერის მიხედვით, პორტრეტი დახატულია 1941 წლამდე და სავარაუდოდ, 1940 წელს, როდესაც პოეტს გიგო ზაზიაშვილთან და მიხაილ ვაძბოლსკისთან ერთად გადაღებული აქვს ფოტო.

◇ 1944 წელს უბის წიგნაკში წერს: „От 23 февр. Красной Армии. ჩემი ლექსია. ვისი? რანაირი? მთარგმნელი ხელს არ აწერს!“<sup>4</sup> ჩანს, რომ ლექსი მასთან შეუთანხმებლად ითარგმნა და დაიბეჭდა, რადგან იმასაც კი ეჭვობს, მისია თუ არა. თარგმანი დაიბეჭდა გაზეთში „Заря Востока“<sup>5</sup>, როგორც სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ნათარგმნი ქართულიდან, მთარგმნელის მიუთითებლად. ლექსის ორიგინალს ვერ მივაკვლიეთ.

◇ 1944 წელს უბის წიგნაკში წერს: „22/V на радио в Москве в 9 ч. 30 м. читались стихи Галактиона Табидзе: 1. Каждый имеет любовь свою (перевод Н. Тихонова). 2. Присяга (перевод С. Шервинского). 3. Привет герою (перевод А. Адалис). 4. Великая армия (перевод С. Олендера). 5. Как-же мне не дорожить тобою, О, Казбег... (перевод Спасского)... 18/V в 22 ч. 30 м. стихи Г. Табидзе читались В. И. Качаловым и арт. Н. Першиным. В. Н. Качалов читал стихи Г. Табидзе: „О, родина, тебя любя“ и „Как-же мне не дорожить тобою, о, Казбек“. Арт. Першин читал стих „Каждый имеет любовь свою“.“<sup>6</sup> რადიოგადაცემები მოეწყო მოსკოვში 13-26 მაისს

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 381.

<sup>2</sup> ქლმ. დ-141, 25; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 149.

<sup>3</sup> ქლმ. დ-261, 77; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVIII, თბ., გვ. 123.

<sup>4</sup> ქლმ. დ-159, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>5</sup> გაზ. „Заря Востока“, 1944, 23 თებერვალი, #38, გვ. 3.

<sup>6</sup> ქლმ. დ-163, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 369.

გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სადამოებთან დაკავშირებით<sup>1</sup>. 22 მაისის გადაცემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია თბილისის რუსულენოვან გაზეთში „ზარია ვოსტოკა“<sup>2</sup>, 18 მაისის გადაცემასთან დაკავშირებით, ცნობას ვერ მივაკვლიეთ. ნიკოლაი ტიხონოვის „Каждый имеет любовь свою“ არის თარგმანი ლექსისა „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, სემიონ ოლენდერის „Великая армия“ – „ჯარი სიმღერით მიდის“, სერგეი სპასკის – „Как-же мне не дорожить тобою, о, Казбек?“ ორი ლექსის – „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“ გაერთიანებული თარგმანი, სერგეი შერვინსკის „Присяга“ – „ფიცო“, ადელინა ადალისის „Привет герою“ – „სევასტოპოლის დამცველს“, „О, родина, тебя люблю“ – „მამულო საყვარელო“.

◇ 1944 წლის უბის წიგნაკში წერს: „Комсом. Правда“, Воскр. 21 мая. ლექსი „ფიცო“, თარგმ. ს. სპასსკისა“<sup>3</sup>. პოეტს ლექსის სათაური ემღება, რადგან 1944 წლის 21 მაისს რუსულ გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“<sup>4</sup> და შემდეგ რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“<sup>5</sup> იბეჭდება სერგეი სპასკის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი სათაურით „ყაზბეგი“. ამ სათაურით პოეტს ლექსი არ გამოუქვეყნებია. თარგმანი შესრულებულია 1943 წლის 6 ნოემბერს გაზეთის „კომუნისტი“ სააგიტაციო ფურცელში სათაურით „სალამი XXVI“<sup>6</sup> დაბეჭდილი ლექსის მიხედვით, რომელიც აერთიანებს ყაზბეგის თემაზე ცალ-ცალკე გამოქვეყნებულ ორ ლექსს – „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“. რაც შეეხება ლექსს „ფიცო“ – „Присяга“, ნათარგმნი აქვს არა სერგეი სპასკის, არამედ სერგეი შერვინსკის.

---

<sup>1</sup> „Вечера грузинской литературы“, გაზ. „Литература и Искусство“, 1944, 20 მაისი, #21, გვ. 1.

<sup>2</sup> „Выступления Грузинских писателей и работников искусств в Москве“, გაზ. „Заря Востока“, 1944, 26 მაისი, #104, გვ. 1.

<sup>3</sup> ქლმ. დ-163, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 367.

<sup>4</sup> Г. Табидзе, „Казбек“, газ. „Комсомольская Правда“, пер. С. Спаского, 1944, 21 мая, #120, ст. 3.

<sup>5</sup> Г. Табидзе, „Казбек“, газ. „Заря Востока“, пер. С. Спаского, 1944, 28 мая, #106, ст. 2.

<sup>6</sup> გაზ. „კომუნისტი“, სააგიტაციო ფურცელი, 1943, 6 ნოემბერი, №28, გვ. 1.

◇ 1945 წლის 2 იანვარს დღიურში წერს: „1. სახელგამი, წიგნი მალე გამოვა. 2. საბლიტგამი – გასაკეთები. 3. უცნობლობა „Заря“. 4. უცნობლობა მოსკოვისა“<sup>1</sup>. სახელმწიფო გამომცემლობის წიგნში იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძის რჩეული,<sup>2</sup> რომელიც გამოიცა 1945 წლის 14 მარტის შემდეგ. „ზარია ვოსტოკას“ წიგნში – გიორგი ცაგარლის მიერ ნათარგმნი კრებული „ლირიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1945 წლის 24 აგვისტოს შემდეგ. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობისა და მოსკოვის წიგნების შესახებ 1946 წლის მაისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „შევუთანხმდი ბ. ჟღენტს – მალე უნდა შევარჩიოთ მასალები რუსული წიგნისთვის. „საბლიტგამი“ მპირდება საბავშვო ლექსების კრებულის გამოცემას, კრებული კი მზად არა მაქვს: რა იქნება, ერთ დღეს ჩავუჯდე და გავათავო ეგ საქმე? 3000 სტრ“<sup>3</sup>. მოსკოვის გამოცემის შესახებ ინფორმაცია დაბეჭდილია გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1945 წლის 8 მარტის ნომერში. აღნიშნულია, რომ გიორგი ცაგარლის ნათარგმნი ლექსების გამოცემა „ზარია ვოსტოკას“ გარდა, ასევე განზრახული აქვს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობას – „გოსლიტიზდატს“<sup>4</sup>. „საბლიტგამს“ წიგნი არ გამოუცია, მოსკოვში კი გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები, იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით, გამოქვეყნდა 1950 წელს<sup>5</sup>.

◇ 1945 წლის 31 მარტს დღიურში ინიშნავს: „უნდა დაიწეროს პოემის არა ნაკლებ 800 სტრიქონისა – 22 აპრილამდე...“<sup>6</sup>, ჩანაწერის სქოლიოში კი აღნიშნავს: „პოემის გეგმა 7 აპრილსავე შეიცვალა, 24 აპრილისათვის დაწერილ იქნეს – 1760 სტრ. ამის შესაძლებლობა არის! დღეში არანაკლებ ასი სტრიქონისა“<sup>7</sup>. კალენდრის 7 აპრილის გვერდზე

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 376-377.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>3</sup> ქლმ. დ-177, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVIII, თბ., გვ. 515-516.

<sup>4</sup> „გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ლექსთა კრებული რუსულ ენაზე“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, 8 მარტი, №9, გვ. 1.

<sup>5</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, пер. с груз, под ред. И. Поступальского, Москва, Гослитиздат, 1950.

<sup>6</sup> ქლმ. დ-165, 55; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 389.

<sup>7</sup> ქლმ. დ-165, 55; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 389.

ვკითხულობთ: „ახალი გეგმით! 200 სტრიქონი დღეში“<sup>1</sup>. საუბარია პოემაზე „მშვიდობის წიგნი“, რომელიც სავარაუდოდ დათარიღებულია 1945-1956 წლებით. მოსაზრებას გვიმყარებს ლიტერატურის მუზეუმში დაცული პოემის ერთ-ერთი არასრული ვარიანტი, რომელიც დათარიღებულია 1945 წლის 8-9 და 16 აპრილით<sup>2</sup>. პოემა რომ 1945 წელს დაწყებული ჰქონდა, ასევე მიგვანიშნებს 1957 წლის ჩანაწერი: „მშვიდობის წიგნზე“ ვმუშაობდი არა ნაკლებ 12 წლისა. ემჩნევა თუ არა ეს ნაწარმოებს? სჩანს თუ არა ავტორის გულმოდგინე შრომა ნაწარმოებზე?“<sup>3</sup>

◇ 1945 წლის 3 აპრილს დღიურში წერს: „გერმანელები რაღაც საეჭვოდ აბარებენ ქალაქს-ქალაქებზე ინგლისელებს. უკრაინა და ბელორუსია მიწვეულნი არიან სან-ფრანცისკოში“<sup>4</sup>. იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) დამფუძნებელი ორმოცდაათი სახელმწიფოს კონფერენცია, რომელიც საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მიერ გაეროს წესდების ტექსტის საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად მიმდინარეობდა 1945 წლის 25-26 ივნისამდე სან-ფრანცისკოში და მიწვეულნი იყვნენ ბელორუსიისა და უკრაინის მთავრობები.

◇ 1945 წლის 4 აპრილს დღიურში წერს: „დაველაპარაკე კალანდაძეს და იამანიძეს (კიდეც საჭიროა)“<sup>5</sup>. ლავროსი კალანდაძე და გიორგი იამანიძე იყვნენ სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლები და სატელეფონო საუბარი უნდა ჰქონოდა სახელგამის მიერ გამოსაცემი „რჩეულის“ შესახებ, რადგან წინა ჩანაწერის მიხედვით, რადიომ 2 აპრილს გამოაცხადა, რომ გამოდის სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ნაწერები!“<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 60; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 390.

<sup>2</sup> ქლმ. ა-2205-5777 - გვ. 1-28, 46-47, 60-61; 439 - გვ. 30-43; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., გვ. 409.

<sup>3</sup> ქლმ. დ-611-7, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., გვ. 69.

<sup>4</sup> ქლმ. დ-165, 58; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 390.

<sup>5</sup> ქლმ. დ-165, 59; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 390.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 57; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 389.

◇ 1945 წლის 4 აპრილს დღიურში ვკითხულობთ: „უკანასკნელი სიტყვები ჯავახიშვილისა იყო „საჭ...“ (საჭიროა?) და დაეცაო – ჰყვება გვრიტიშვილი“<sup>1</sup>. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს, ხელოვნების მუშაკთა სახლში ლექციის კითხვის დროს და დავით გვრიტიშვილის მონათხრობი ეხება ამ ფაქტს.

◇ 1945 წლის 16 აპრილს დღიურში წერს: „ხელახლა გადავიკითხე ა. ცაგარელი. რას მიედ-მოუდება გრიშაშვილი?“<sup>2</sup>. უნდა იგულისხმებოდეს 1936 წელს „ფედერაციის“ მიერ გამოცემული ავქსენტი ცაგარლის კომედიების კრებული, იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით.

◇ 1945 წლის 16 აპრილს დღიურში წერს: „გიორგი მოსკოვშია. თარგმანები მოსწონებიათ. იმედოვნებს, რომ სტალინის პრემიასთან დაკავშირებით ჩემი გონორარი გადიდდება“<sup>3</sup>. იგულისხმება გამოცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ 1945 წლის 25 აგვისტოს შემდეგ გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის რუსული კრებულისთვის „ლირიკა“<sup>4</sup> გიორგი ცაგარლის ნათარგმნი ლექსები. სტალინური პრემია ენიჭებოდათ საბჭოთა მოქალაქეებს მეცნიერებასა და ტექნიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის 1941-1954 წლებში. გალაკტიონ ტაბიძეს ეს პრემია არ მიუღია.

◇ 1945 წლის 23 აპრილს დღიურში წერს: „ბერლინის ამბებია“<sup>5</sup>. იგულისხმება 21 აპრილიდან 2 მაისამდე ბერლინის ასაღებად მიმდინარე ბრძოლები, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით დასრულდა.

◇ 1945 წლის 24 აპრილის ჩანაწერში აღნიშნავს: „პოემის გეგმა შესრულებულია გადამეტებით. დღეს უნდა მქონოდა 1760 სტრიქ. მაქვს – 2.500 სტრიქონი. პოემას დღეს მივუმატე 100 სტრ. ამიერიდან მრჩება ერთად-ერთი მეგობარი – „წიგნი“<sup>6</sup>. მიუხედავად იმისა, რომ პოემის სათაურს არ ასახელებს, იგულისხმება პოემა „მშვიდობის წიგნი“,

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 66; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 392.

<sup>2</sup> ქლმ. დ-165, 69; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 393.

<sup>3</sup> ქლმ. დ-165, 72; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

<sup>4</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>5</sup> ქლმ. დ-165, 72; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

<sup>6</sup> ქლმ. დ-165, 73; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

რომლის წერა დაიწყო 1945 წელს საავადმყოფოში და რეგულარულად ინიშნავდა დაწერილი სტრიქონების რაოდენობას. ამ ფაქტზე მიგვანიშნებს ლიტერატურის მუზეუმში დაცული პოემის ერთ-ერთი არასრული ვარიანტი, რომელიც დათარიღებულია 1945 წლის 8-9 და 16 აპრილით<sup>1</sup> და ვარიანტში აღნიშნული ერთადერთი მეგობრის სახელწოდება „წიგნი“.

◇ 1945 წლის 29 აპრილს დღიურში წერს: „ვანო შადური „პეტერბურგი და ქართული კულტურა“. „მნათობი“ (1943 (?) წ.) ჩემ შესახებ“.<sup>2</sup> ვანო შადურის სტატია სათაურით „ლენინგრადი და ქართული კულტურა“, რომელშიც საუბარია გალაკტიონის პოეზიის შესახებ და განხილულია ლექსი „ლენინგრადი“, გამოქვეყნდა ჟურნალის „მნათობი“ 1943 წლის აგვისტოს ნომერში.<sup>3</sup>

◇ 1945 წლის 29 აპრილს დღიურში ინიშნავს: „Заря.“ Отд. Литер. и искусство. 3-16-27. შ. დავითაშვილი, არა აბაშელი“.<sup>4</sup> სავარაუდოდ, გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ განყოფილებაში უნდა დაერეკა თავისი ლექსების გიორგი ცაგარელისეული თარგმანების წიგნის „ლირიკა“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიცა 1945 წლის 24 აგვისტოს შემდეგ<sup>5</sup>. ვფიქრობთ, დავითაშვილის სახელის ინიციალს „შ.“ შეცდომით წერს, რადგან ამ პერიოდში „ზარია ვოსტოკას“ სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელი იყო მიხეილ დავითაშვილი, რომელსაც აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებული აქვს სტატია „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“.<sup>6</sup>

◇ 1945 წლის 24 მაისს დღიურში წერს: „ვერიკო ანჯაფარიძეს თავის იუბილეზე შესანიშნავად წაუკითხავს ჩემი ლექსი „გამარჯვება“. აუდიტორია აღტაცებაში მოუყვანია“<sup>7</sup>. უნდა

---

<sup>1</sup> ქლმ. ა-2205-5777 - გვ. 1-28, 46-47, 60-61; 439 - გვ. 30-43; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., გვ. 409.

<sup>2</sup> ქლმ. დ-165, 75; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

<sup>3</sup> ვ. შადური, „ლენინგრადი და ქართული კულტურა“, „ჟურნ. „მნათობი“, 1943, აგვისტო, №8, გვ. 123-154.

<sup>4</sup> ქლმ. დ-165, 75; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

<sup>5</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>6</sup> М. Давиташвили, „Новые стихи Галактиона Табидзе“, გაზ. „Заря Востока“, 1941, №12, გვ. 4.

<sup>7</sup> ქლმ. დ-165, 76; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

იგულისხმებოდეს 1945 წლის 9 მაისით დათარიღებული ლექსი „დილა გამარჯვებისა“, რადგან იმავე დღიურის მომდევნო გვერდზე წერს ამ ლექსის პირველ სტროფს.<sup>1</sup>

◇ 1945 წლის 24 მაისს დღიურში აღნიშნავს: „სამხ. აკადემიის ენტუზიასტები: ტარიელ ვარდაძე, ეთერი ანდრონიკაშვილი. შენახული იქნება აფიშები, მოსაწვევი ბარათები და სხვ“<sup>2</sup>. საუბარია მეორე დღისთვის სამხატვრო აკადემიაში დაგეგმილი საღამოს შესახებ, რასაც გვიდასტურებს იმავე დღიურის 25 მაისის ჩანაწერი: „საღამო სამხატვრო აკადემიაში“<sup>3</sup> და 1945 წლის სხვა დღიურის ჩანაწერი: „ამა წლის 25 მაისი. სამხატვრო აკადემიაში მოხდა ჩემი შეხვედრა – აკადემიის კოლექტივთან. რომ არ ველოდი – ისე კარგად ჩატარდა, დიდებული იყო ბესო ჟღენტი.. აგრეთვე აკადემიის სტუდენტები. ის მასალა (სტენოგრაფია) ცალკე რომ გამოვიდოდეს, რა კარგი იქნება“<sup>4</sup>.

◇ 1945 წლის 2 აგვისტოს დღიურში წერს: „ვარლამისთვის წიგნი, დონდუასთვის“<sup>5</sup>. საუბარი უნდა იყოს 1945 წლის ივნისში გამოცემულ „რჩეულზე“<sup>6</sup>, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ამ პერიოდის ჩანაწერებში ხშირად აღნიშნავს, რომ წიგნის მრავალი მთხოვნელი ჰყავს.

◇ 1946 წლის 1 აპრილის შემდეგ დღიურში წერს ლექსების სათაურებსა და სტრიქონების განმარტებებს.<sup>7</sup> იმავე ლექსების სათაურებს იწერს 1948 წლის დღიურში სათაურით „თხზულებები, ტ. IV“<sup>8</sup>. შესაბამისად, ლექსებს ამზადებს თხზულებების IV ტომში შესატანად, რომელიც გამოიცა, მომდევნო, 1947 წელს.

◇ 1946 წლის დღიურში 16 ივლისის შემდეგ წერს წიგნის გეგმას: „I. წინასიტყვაობა (ოქროს ქნარი). უნდა ჩამატება. II. ზღვის ლირიკა. III. აფხაზეთი ისტორიული ძეგლებით. IV. აფხაზეთის აწმყო. V. ერთა მეგობრობის მოტივები. VI. ფოლკლორისებური. VII. ხელოვნების

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 77; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 395.

<sup>2</sup> ქლმ. დ-165, 87; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 396.

<sup>3</sup> ქლმ. დ-165, 88; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 396.

<sup>4</sup> ქლმ. დ-167, 11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 402.

<sup>5</sup> ქლმ. დ-168, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 424.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>7</sup> ქლმ. დ-173, 16-21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 453-454.

<sup>8</sup> ქლმ. დ-207, 35-37; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 328-329.

მოტივები. VIII. ხელოვნებაზე ცალკე. *Ars longa vita brevis*. პოემები: IX. 1. ჟუგა და ასინდა. X. 2. ბამბურა. X. მერხელა. XI. დასასრული: „მშობლიურო ჩემო მიწავ“. 1. ნუმერაცია ლექსებისა რომაულ ციფრებით – მიყოლით თავ. ბოლომდე. 2. დატები და ადგილები - პეტიტით. დასასრული: XII. მადლობა აფხაზეთს<sup>1</sup>. ჩანაწერი მოსდევს თხზულებების IV ტომისთვის 16 ივლისს ჩამოთვლილი ლექსების სიას სათურით „თითქმის მზა მასალები“ და შეიძლება გვევარაუდა, რომ ეს გეგმა ამ ტომისთვის იყო შედგენილი, რომელშიც შეტანილია აფხაზეთის თემაზე ლექსების ნაწილი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია წიგნზე „ზღვა ახმაურდა“, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ 1948 წელს გამოსცა სოხუმში. ამას გვიდასტურებს ის ფაქტი, რომ თხზულებების IV ტომისგან განსხვავებით, ლექსების ნუმერაცია აღნიშნულია რომაული ციფრებით, წიგნის დასასრულს მოთავსებულია ლექსი „მადლობა აფხაზეთს“, შემდეგ მოსდევს პოემა „ჟუგა და ასინდა“ და გამოცემა სრულდება ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

◇ 1946 წლის 3 სექტემბერს სათაურით „გეგმა ლიტერატურული მასალებისთვის“ აღნიშნულია: „მონოგრაფია ბიბლიოფილზე – 1921“. ამ შემთხვევაში, რომელ წიგნს თუ პოემას გულისხმობს პოეტი ვერ მივაკვლიეთ, თუმცა, 1941 წლის ჩანაწერშიც აღნიშნავს: „მონტაჟი ყველა წიგნების, რაც ამ ოც წელიწადში გამოცემულა. „ბარკადებზე იბრძოდა ქალი“. „დიდი ბიბლიოფილი“<sup>2</sup>. 1921 წლიდან ზუსტად 20 წელია გასული, მაგრამ ამ წელს გალაკტიონ ტაბიძის არც ერთი წიგნი არ გამოცემულა, ასევე არც პოემა დაუწერია, 1921-1924 წლების შუალედით არის დათარიღებული მხოლოდ პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ პოემის თავდაპირველი სათაური ყოფილიყო „დიდი ბიბლიოფილი“. შესაძლებელია, პოემა მართლაც ჰქონდა დაწერილი, მაგრამ აღნიშნული სათაურით ჩვენამდე არ მოღწეულა. ასევე არ გამოქვეყნებულა შემდეგ პუნქტებში მოხსენიებული პოემები ამ სათაურებით: „43. ფიქრები მერხელასთან... 45. ციხის საიდუმლო. 46. კაფე სამი პალმა“<sup>3</sup>. პირველი

<sup>1</sup> ქლმ. დ-174, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 459.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>3</sup> ქლმ. დ-174, 40-41; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 478.



მათგანს რომ ნამდვილად ამ სათაურით წერდა, გვიდასტურებს უთარილო ჩანაწერი: „პოემა „ფიქრი მერხეულასთან“ – 2.000 სტრ. 7.200“<sup>1</sup>. სხვა ორ პოემასთან დაკავშირებით, რომლებიც ამ სათაურებით ასევე არ გამოქვეყნებულა, 1946 წლის ნოემბერს დღიურში პოეტი წერს: „სახელგამისა და აფხაზეთის წიგნებიდან, რაც რედაქტორებმა ამომიშალეს, უნდა გადათვალიერდეს და აირჩეს მასალები სათარგმნელად. პოემები: ...3. „ციხის საიდუმლო“. 4. „სამი პალმა“...“<sup>2</sup>. შესაბამისად, ამ სათაურებით, იმ დროისთვის პოემები დაწერილი იყო, მაგრამ არ გამოქვეყნდა.

◇ 1946 წლის 3 სექტემბერს დღიურში სათაურით „გეგმა ცალკეული მასალებისთვის – ლექსების ისტორიისთვის“ წერს: „4. Lart poetique: 57 ლექსი დიდი წიგნიდან. 5. Lart poetique. I, II და მე-III ტომიდან... 7. Lart poetique. აფხაზეთის წიგნიდან. 8. Lart poetique. აჭარის წიგნიდან. 9. Lart poetique: პოეზიის დღე, ლომისი, ჩემი ჟურნალი და სხვ.“<sup>3</sup>. დიდ წიგნში იგულისხმება 1927 წელს გამოცემული 542-გვერდიანი ლექსების კრებული, პოეტის მიერ წოდებული – „ზარნიშიანი“ წიგნი. შემდეგ მოსდევს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების 3 ტომი, დაბეჭდილი 1935, 1937 დ 1940 წლებში. აფხაზეთის წიგნში იგულისხმება 1948 წელს დაბეჭდილი „ზღვა ახმაურდა“, რომელსაც იმ პერიოდში ამზადებდა გამოსაცემად, აჭარის წიგნში კი – 1944 წელს გამოცემული წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. მე-9 პუნქტში აღნიშნულია გაზეთი „პოეზიის დღე“, ჟურნალი „ლომისი“, რომლებშიც იბეჭდებოდა გალაკტიონის ლექსები. ჩემს ჟურნალში კი, გულისხმობს 1922-1923 წლებში გამოსულ თავის ჟურნალის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ ცხრა ნომერში გამოქვეყნებულ ლექსებს.

◇ 1946 წლის 5 ნოემბრის შემდეგ დღიურში<sup>4</sup> ინიშნავს ქართულ მოტივებზე დაწერილი მისი ლექსების გიორგი ცაგარლისეულ თარგმანებს 1945 წელს გამოცემული რუსული წიგნისთვის „ლირიკა“<sup>5</sup>,

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-493, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 450.

<sup>2</sup> ქლმ. დ-177, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 516.

<sup>3</sup> ქლმ. დ-174, 42-43; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 478.

<sup>4</sup> ქლმ. დ-174, 62-64; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 489-490

<sup>5</sup> Табидзе Г. В. Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тбилиси, Заря Востока, 1945.

ლექსებს 1937<sup>1</sup> და 1940<sup>2</sup> წლებში დაბეჭდილ რუსულ რჩეულებსა და 1942 წლის კრებულში „მშობლიურო ჩემო მიწავ“<sup>3</sup>. ამავე დღიურში შავად წერს მოსკოვში ლიტერატურის სახელმწიფო გამოცემლობის დირექტორისადმი, სოფია ხითაროვასადმი გასაგზავნ მიმართვას, თავისი ლექსების რჩეულის გამოცემის შესახებ<sup>4</sup>, რომელიც დაიბეჭდა მოგვიანებით, 1950 წელს<sup>5</sup>. შესაბამისად, ნათარგმნი ლექსების სათაურებს უნდა იწერდეს ამ გამოცემისთვის, რადგან 1946 წლიდან 1950 წლამდე მოსკოვში გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანები არ გამოცემულა.

◇ 1946 წლის 21 დეკემბერს დღიურში წერს გორში გამართული საღამოს მონაწილეების, მასპინძლების, ბანკეტის წევრების სიას და მათ შესახებ შთაბეჭდილებებს<sup>6</sup>. ინფორმაციას ამ საღამოს შესახებ ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ უნდა გამართულიყო სტალინის დაბადების დღის თარიღთან, 21 დეკემბერთან დაკავშირებით.

◇ 1946 წლის 8 სექტემბერს დღიურში წერს: „პარმენ ლორიას სიტყვიდან: საკვირველი იყო ის სენსაციები, რომელიც წინდაწინ მოუწყვეს ახალგაზრდა მწერალს ანა კალანდაძეს და ეს მაკვირვებს მით უფრო, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც იყო ილია, ვაჟა და სადაც არის გალაკტიონი“<sup>7</sup>. 1946 წელს მწერალთა კავშირში გაიმართა 22 წლის ანა კალანდაძის პირველი საღამო, რასაც მოჰყვა მისი საყოველთაო აღიარება. 1946 წლის 7-11 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობაზე მთავარმა მომხსენებელმა, 1943-1948 წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის

---

<sup>1</sup> Табидзе Г. В., Избранные стихи, нар. поэт Грузии, Пер. под ред. Н. Тихонова, Москва, Сов. писатель, 1937.

<sup>2</sup> Табидзе Г. В. Избранные стихотворения, Пер. с груз. под ред. В. Гаприндашвили и В. Гольцева, Москва, Гослитиздат, 1940.

<sup>3</sup> Табидзе Г.В. Страна моя родная: Стихи, Пер. с груз., Тбилиси, Заря Востока, 1942.

<sup>4</sup> ქლმ. დ-174, 46-47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 480.

<sup>5</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, пер. с груз, под ред. И. Поступальского, Москва, Гослитиздат, 1950.

<sup>6</sup> ქლმ. დ-167, 53; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 419-420.

<sup>7</sup> ქლმ. დ-175, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 502.

საქმეთა მდივანმა – პეტრე შარიამ<sup>1</sup> გამოსასვლელ სიტყვაში გააკრიტიკა ანა კალანდაძის პოეზია. ჩანაწერში უნდა იგულისხმებოდეს მწერალ პარმენ ლორიას სიტყვა ყრილობის მეორე დღეს, 8 სექტემბერს.

◇ 1946 წლის 24 სექტემბერს დღიურში წერს: „აფხაზეთის და სახელგამის წიგნი. ჩვენს განკარგულებაში დავიტოვოთ 7 დღე, ე. ი. (25 სექტ. 1 ოკტომ. სამშაბათი). 1. ერთხელ კიდევ გადათვალაიერება და შემოკლება აფხაზეთის წიგნის მასალის... 3. ჩაემატოს ახალი ლექსები. მეორე საქმე პარალელურად. შედარება VI ტომის დედანთან. 5. კიკნაძე – საქმე ხელშეკრულების და წი. (ზევიდან დაფუძახოთ).“<sup>2</sup>. აფხაზეთის წიგნში იგულისხმება „ზღვა ახმაურდა“, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა 1948 წელს. რაც შეეხება VI ტომს, ვფიქრობთ, რომ ტომის ნომერი შეცდომითაა მითითებული და უნდა იგულისხმებოდეს თხზულებების IV ტომი, რომელიც სახელგამმა გამოსცა მომდევნო, 1947 წელს და არა 1949 წელს გამოცემული VI ტომი. ჩანაწერში ნახსენები სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი – ნიკო კიკნაძე, რომელთანაც აპირებს ხელშეკრულებას გაფორმებასა და წიგნზე მოლაპარაკებას, IV ტომის გამოცემასთან იყო დაკავშირებული, რასაც გვიდასტურებს პოეტის არქივში დაცული განცხადება მისადმი: „ვინაიდან ჩვენ შორის სადავო საკითხში ჩამოვარდნილ უთანხმოებას ბოლო არ ედება, მე კი ეს საკითხი მიმაჩნია მხოლოდ და მხოლოდ ჩემი და რედაქტორის საქმედ, იძულებული ვარ, ავკრძალო ჩემი წიგნის (მე-IV ტომის) თქვენ მიერ გამოცემა“<sup>3</sup>.

◇ 1946 წელს, 1-15 ნოემბერს დღიურში წერს: „შევუთანხმდი ბ. ჟღენტს – მალე უნდა შევარჩიოთ მასალები რუსული წიგნისთვის... მოსკოვი? Москва, как много в этом звуке... საჭიროა ბევრი სიტყვა-სიტყვითი თარგმანები. მთავარია რუსული წიგნი! ასოცდა ხუთი ლექსი რომ ითარგმნოს, 5.000 სტრიქონი ახალი გვექნება რუსული წიგნისათვის... საჭიროა მთარგმნელთა კადრები. მათი გამოძებნა და დაჩქარება – საქმის. „რჩეულიდან“ რა შეიძლება ითარგმნოს?“<sup>4</sup>. საუბარი უნდა იყოს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე, რომელის

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1946, 18 სექტემბერი, #188, გვ. 3.

<sup>2</sup> ქლმ. დ-176, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 507.

<sup>3</sup> ქლმ. ხ-24551-254, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 111.

<sup>4</sup> ქლმ. დ-177, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 515-516.

ხელშეკრულება გაფორმდა ჯერ კიდევ 1944 წლის მაისში<sup>1</sup>. მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანების წიგნი მოსკოვში 1944 წლიდან 1950 წლამდე არ გამოქვეყნებულა, 1950 წელს კი გამოქვეყნდა „რჩეული ლექსები“, იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით<sup>2</sup>.

◇ 1946 წელს, 1-15 ნოემბერს დღიურში წერს: „აფხაზეთის წიგნი? ქალაქია საქმე (აქ გოგი ჯიბლაძე თუ დაგვეხმარება). ეჰ, არავისი იმედი არა მაქვს, გარდა ჩემის თავისა“<sup>3</sup>. იგულისხმება აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1948 დასაბეჭდი წიგნი „ზღვა ახმაურდა“, რომლის რედაქტორი იყო გიორგი ჯიბლაძე.

◇ 1946 წელს, 15-20 ნოემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მოსკოვის წიგნის საქმე მიაბიტად იწყება.. საჭიროა მეტი სიტყვა-სიტყვითი თარგმანები. მთავარია რუსული წიგნი!!! „Слух обо мне пройдет по всей Руси великой“.<sup>4</sup> საუბარია 1950 წელს იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით მოსკოვში გამოქვეყნებულ „რჩეულ ლექსებზე“<sup>5</sup>.

◇ 1946 წლის დღიურში აღნიშნავს, რომ 1936 წლის „მნათობში“ არ დაბეჭდილა მისი ლექსები, ეს „გასაგებია ა. თათარიშვილის წერილის შემდეგ „ხალხთა მეგობრობაზე“.<sup>6</sup> ჟურნალში „მნათობი“ 1936 წელს დაბეჭდილ საქართველოს განათლების სახალხო კომისრის, აკაკი თათარიშვილის სტატიაში „ხალხთა მეგობრობის პოეზია“, განხილულია საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავთან დაკავშირებით ქართული პოეზიის მიღწევები, მენშევიკური დემოკრატიის სამარცხვინო წლების გამოხმაურებად პირველ ადგილას მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პრესა“ ვრცელი ციტატა ციკლიდან „რევოლიუციონური საქართველო“<sup>7</sup>.

◇ 1935 წლის 21 ივნისის შემდეგ დღიურში რუსულ ენაზე წერს, რომ უნდა დაათვალიეროს ძველი გამოცემიდან და შეარჩიოს ლექსები

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-174, 46-47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 480.

<sup>2</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, пер. с груз, под ред. И. Поступальского, Москва, Гослитиздат, 1950.

<sup>3</sup> ქლმ. დ-177, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 516.

<sup>4</sup> ქლმ. დ-177, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 518.

<sup>5</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, пер. с груз, под ред. И. Поступальского, Москва, Гослитиздат, 1950.

<sup>6</sup> ქლმ. დ-179, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 526-527.

<sup>7</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1936, დეკემბერი, №12, გვ. 138-139.

ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისთვის, მოსკოვის გამომცემლობას გაუგზავნოს შერჩეული 3-4 ათასი სტრიქონი<sup>1</sup>. ძველ გამოცემაში იგულისხმება ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1933 წელს დაბეჭდილი რუსული თარგმანების წიგნი „რჩეული ლექსები“<sup>2</sup>, სამომავლო გამოცემაში კი, იმავე გამომცემლობის მიერ 1935 წელს დაბეჭდილი „ლექსები და პოემები“<sup>3</sup>. მოსკოვში 1937 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსები“<sup>4</sup>.

◇ 1941 წლის დღიურში 13 თებერვლის შემდეგ წერს ლექსს „სტალინს საქართველოსაგან“<sup>5</sup>. ლექსის მეორე და მესამე სტროფების ვარიანტია ლექსი სათაურით „საქართველოს ვარსკვლავი“<sup>6</sup>.

◇ 1941 წლის 17 თებერვლის შემდეგ დღიურში წერს უსათაურო ლექსს „შენ გაზაფხულის დამეზე მღერი...“<sup>7</sup>. ლექსის მეორე სტროფის ვარიანტია 1940-იანი წლებით დათარიღებული უსათაურო ლექსი „ნავი არ უნდა გასწირო შენი...“<sup>8</sup>, მესამე სტროფის ვარიანტი კი – 1947-1950 წლებით დათარიღებული ლექსი „თენდება... გათენდა!“ პირველი სტროფი“<sup>9</sup>.

◇ 1941 წლის 25 თებერვალს დღიურში წერს: „ჩემი ლექსებია „კომუნისტში“, „Заря Востока“-ში. ჩემს შესახებ წერილი „З. В.“<sup>10</sup>. გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაიბეჭდა ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მშობლიური ჩემო მიწავ!“ ნაწყვეტი სათაურით „С нами Сталин“<sup>11</sup>. აღნიშნული ლექსი პოეტს დაწერილი აქვს 1940 წელს და მასში სტალინი ნახსენები არ არის.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-67, 18-19; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 267-268.

<sup>2</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, Тифлис, ЗагГИЗ, 1933.

<sup>3</sup> Табидзе Г. В., Стихи и поэмы, 2-е изд., Тифлис, Заггиз, 1935.

<sup>4</sup> Галактин Табидзе, Избранные стихи, М., 1937.

<sup>5</sup> ქლმ. დ-143, 30-31, 34-41; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 179-187.

<sup>6</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, #1, გვ. 63; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VI, თბ., 2005, გვ. 159.

<sup>7</sup> ქლმ. დ-143, 23; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 174.

<sup>8</sup> ქლმ. ა-1583, გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2008, გვ. 219;

<sup>9</sup> ქლმ. ა-1173, გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VII, თბ., 2008, გვ. 224.

<sup>10</sup> ქლმ. დ-143, 44; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190.

<sup>11</sup> გაზ. „Заря Востока“, 1941, 25 თებერვალი, #47, გვ. 7.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ლექსის სრული თუ არასრული 13 ვარიანტი. ერთ-ერთი ვარიანტის სათაურია „ოცი – დიდი წელიწადი“<sup>1</sup>, რაც გულისხმობს საქართველოს გასაბჭოების 20 წელს, რომელიც საყოველთაოდ აღინიშნა 1941 წელს და გალაკტიონ ტაბიძემ ამ თარიღს მიუსადაგა ეს ვარიანტი. არქივში დაცულ სხვა ვარიანტში პოეტი იხსენიებს სტალინს, მაგრამ არ არის თანმხვედრი ბორის სერებრიაკოვის ნათარგმნი ვარიანტის: „თუ ნახევრად დამსხვრეული დღეს ძლიერი გახდა ქნარი / და აწ ბევრად ძლიერია განახლების ნიაღვარი, / თუ წარმტაცი განახლება ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს, / ეგ მიტომ, რომ ჩვენ სტალინი – ახალ გზისკენ მოგვიწოდებს – / მშობლიურო ჩემო მიწავ...“<sup>2</sup>. სავარაუდოდ, არსებობდა კიდევ სხვა ვარიანტი, რომელიც გალაკტიონმა მიაწოდა მთარგმნელს.

◇ 1943 წლის დღიურში 1 ოქტომბრამდე წერს ლექსს „წერილი მეგობარ ექიმს“<sup>3</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს თხზულებების II ტომში უსათაუროდ „თუმც ცოცხალი ვარ...“<sup>4</sup>. ახალი ვარიანტს ამუშავებს 1944 წლის „რჩეულისთვის“<sup>5</sup>.

◇ 1943 წლის დღიურში 6 ოქტომბერს ვკითხულობთ: „1. წიგნის საბოლოოდ გადახედვა. 2. „მხარძლიერი“ (ხარკოვის ცას). 3. ახალი ლექსებით შევსება. 4. გამოტოვება სუსტი ადგილების. 5. „კვლავინდებურად ამოდის მზე და ისევ ჩადის“<sup>6</sup>. იგულისხმება სახელგამის მიერ 1944 წლის მარტის შემდეგ გამოცემული „რჩეული“. ლექსი „მხარძლიერი (ხარკოვის ცა)“ რჩეულში გამოქვეყნდა სათაურით „სიცხადე“<sup>7</sup>. ლექსი „კვლავინდებურად ამოდის მზე და ისევ ჩადის“ გამოქვეყნდა 1943 წლის კრებულში „მამულო სიცოცხლეო“ სათაურით „არაგვის ქარი“<sup>8</sup>.

---

<sup>1</sup> ქლმ. ა-815-7.

<sup>2</sup> ქლმ. ა-815-9.

<sup>3</sup> ქლმ. დ-157, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 342-343.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები, ტ. II, თბ., 1935, გვ. 596.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944, გვ. 242.

<sup>6</sup> ქლმ. დ-156, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 335.

<sup>7</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944, გვ. 44.

<sup>8</sup> გ. ტაბიძე, „მამულო სიცოცხლეო“, თბ., 1943, გვ. 22.

◇ 1945 წლის 27 მარტს დღიურში წერს: „დავიწყე ლექსი **მეთევზეები**“<sup>1</sup>. ლექსი ამ სათაურით არ გამოქვეყნებულა. გამოყენებული აქვს 1945-1956 წლებში დაწერილ პოემაში „მშვიდობის წიგნი“, რასაც გვიდასტურებს 1956 წლის ჩანაწერი: „თავი I. 16 – წიგნი, მშვიდობის წიგნი!.. VI. 72-92 - მეთევზეები“.<sup>2</sup>

◇ 1945 წლის 27 მარტს დღიურში წერს: „დაწერე ლექსი, **მერცხალი**“ (იმ მერცხალზე, ჩვენს ბაღში, 24/III)<sup>3</sup>. ამ სათაურით ლექსი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ 1945 წლის 9 მაისით დათარიღებული ლექსის „დილა გამარჯვების“ პირველი ვარიანტი უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ლექსის სტრიქონები: „მოჰყევ, შავო მერცხალო: რა მზე, რა ჰაერია... აჰიკვიკვი, მერცხალო...“ და იმავე წლის 24 მაისის ჩანაწერი – „ჩვენს ბაღში დღეს აჰიკვიკვიდა გაზაფხულის პირველი მერცხალი. იყო დილის 7 საათი. მზიანი დღე გამოვიდა“<sup>4</sup>.

◇ 1945 წლის 26 მაისს დღიურში უსათაუროდ წერს ლექსის ერთ სტროფს: „**გახსოვს წინად, შარშან წინ**“<sup>5</sup>, რომელიც 1945 წლის 9 მაისით დათარიღებული ლექსის „დილა გამარჯვების“ პირველი სტროფია.

◇ 1946 წლის 1 აპრილის შემდეგ დღიურში წერს ლექსს „**გიორგის**“, რომლის პირველი სტროფია: „ვერსად როს ვერ დავიჯერებ/ მითხრეს, გამხდარხარ ავადო/ ბულბულო მეგობრობისა, / და პოეზიის თავადო!“<sup>6</sup> ლექსი ეძღვნება გიორგი ქუჩიშვილს, რომელთანაც გალაკტიონ ტაბიძე მეგობრობდა და გარდაიცვალა 1947 წლის იანვარში.

◇ 1946 წლის 5 ნოემბრის შემდეგ დღიურში წერს უსათაურო ორსტროფიან ლექსს „**სამოცი წელი, მერე, როგორი!**“<sup>7</sup>. ლექსი მიძღვნილი უნდა იყოს გიორგი ქუჩიშვილისადმი, რომელიც იმ წელს შესრულდა 60 წლის (დაბადებულია 1886 წლის 29 ოქტომბერს). ამასთან, მეორე სტროფი წარმოადგენს ქუჩიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის „პოეტი – ტრიბუნი“ ბოლო სტროფის ვარიანტს.

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 50; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 387.

<sup>2</sup> ქლმ. დ-358, 21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., გვ. 287.

<sup>3</sup> ქლმ. დ-165, 53; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 388.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 387.

<sup>5</sup> ქლმ. დ-165, 77; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 395.

<sup>6</sup> ქლმ. დ-173, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 451-452.

<sup>7</sup> ქლმ. დ-174, 48; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 481.

◇ 1946 წლის დღიურში წერს უსათაურო ლექს „აქრე სინათლე, აქრე...“<sup>1</sup>. ლექსი დაწერილია 1929 წლის მნათობში გამოქვეყნებული ჭოლა ლომთათიძის მოთხრობის „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!...“<sup>2</sup> „მთაგონებით“.

### ნათია სიხარულიძე

◇ 1955 წლის 20 იანვარს გალაკტიონი ხვდება ილია აროსიას, რომელიც პოეტს აცნობებს, რომ იბეჭდება მისი წიგნის, „რჩეული“, უკანასკნელი ფორმები და მეორე, განსხვავებული ფერის გარეკანის მქონე ეგზემპლარებიც. აროსიას ინფორმაციით, წიგნის ბეჭდვის პროცესი, სავარაოდ, თებერვლამდე გასტანს: „1. ილია აროსია: ა. ხელმძღვანელობა შემოქმედებაში. ბ. გუშინ რადიოთი მეგრულად უმღერიათ ჩემი ლექსი „მხარი მხარს“. მამ, ჩემი წიგნის იმედი უნდა ვიქონიოთო. „რა თქმა უნდა-მეთქი“. წიგნის საქმე - იბეჭდება უკანასკნელი ფორმები და მეორე ფერიც. ასე რომ, მგონი, თებერვლამდე გასტანოსო. გადატანილიაო“<sup>3</sup> გალაკტიონის ჩანაწერში არ არის დაკონკრეტებული, რომელი წიგნის ბეჭდვის შესახებ აწვდიან ინფორმაციას. ვფიქრობთ, უნდა იგულისხმებოდეს 1954 წლის „რჩეული“, რომლის გამოცემაც, როგორც ჩანს, წინა, 1954 წელს დაგვიანდა და ამიტომ მომდევნო, 1955 წლის დასაწყისში ელოდებოდა ავტორი.

◇ 1957 წლის დეკემბერში გალაკტიონი უბის წიგნაკში ყოველგვარი კომენტარის გარეშე ინიშნავს რამდენიმე ადამიანის სახელსა და გვარს, ასევე, მათი ტელეფონის ნომრებს: „3-01-20 - მიხეილ ალექსანდრეს ძე კვესელავა. 5-03-86 - ციცო ჯიშპარიანი. 3-72-06 - ისიდორე დოლიძე. 3-93-49 - ჭილაია - სამსახურის, 3-88-54 - სახლის.“<sup>4</sup> სერგი ჭილაია იმ დროისათვის ცნობილი კრიტიკოსი იყო, გარდა ამისა, მწერალთა კავშირის მდივანიც გახლდათ და, შესაბამისად, მასთან გალაკტიონს ხშირად უხდებოდა ურთიერთობა. მიხეილ კვესელავა კი ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე იყო, კულტურასა და მწერლობასთან დაკავშირებულ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა სწორედ მას ევალებოდა. ამის გათვალისწინებით,

<sup>1</sup> ქლმ. დ-179, 3'; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 522-523.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1929, აგვისტო-სექტემბერი, #8-9, გვ. 17-19.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 5.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 477



გასაგებია, რის გამოც ჩაინიშნავდა ამ ორი პიროვნების ტელეფონის ნომრებს პოეტი. ვინ არიან დანარჩენები – გალაკტიონის მიერ ნახსენები ციციო ჯიშკარიანი და ისიდორე დოლიძე? როგორც პოეტის სხვა ჩანაწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, ისინიც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები არიან.

გალაკტიონის 1958 წლის 3 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში კვლავ ვხვდებით ამ ადამიანების სახელებსა და გვარებს, ასევე, მათი ტელეფონის ნომრებს. საყურადღებო ისაა, რომ ამ შემთხვევაში მათი სახელებისა და გვარების გვერდით, ფრჩხილებში პირდაპირ არის მიწერილი „ც.კ.“ ანუ იმ დაწესებულების სახელწოდება, სადაც ეს პიროვნებები მუშაობენ: „დოლიძე ისიდორე სამსონის ძე (ც. კ.) - 3-29-37 (ბინა); 3-72-06 (ც. კ.). ჯიშკარიანი ციციო (ც. კ.) - 5-03-86. კვესელავა მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძე (ც. კ.) - 3-01-20“.<sup>1</sup> 1957 წლის დეკემბერსა და 1958 წლის იანვარში გალაკტიონი აქტიურად ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო. სავარაუდოდ, სწორედ დეკადისთვის სამზადისს უნდა უკავშირდებოდეს ეს ჩანაწერებიც. პოეტი უბის წიგნაკში იწერს ც.კ.-ს წარმომადგენლების: მიხეილ კვესელავას, ციციო ჯიშკარიანისა და ისიდორე დოლიძის ტელეფონის ნომრებს, ასევე ინიშნავს სერგი ჭილაიას სახლისა და სამსახურის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ ადამიანებთან დეკადისათვის მზადების პროცესში აუცილებლად მოუწევს ურთიერთობა და სატელეფონო საუბარი.

◇ 1958 წლის 11 სექტემბერს გალაკტიონი დილიდანვე ემზადება წინა დღეს წამოწყებული საქმეების მოსაგვარებლად, მიდის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, სადაც უნდა შეხვდეს ალექსანდრე ჩოგოვაძეს. რადგან ჩოგოვაძე არ ჩანს, პოეტი მეორე სართულზე, ერთ-ერთ მაგიდასთან ჯდება. იქვე შენიშნავს გაზეთების „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტის“ ნომრებს და კითხვას იწყებს. კითხულობს ირაკლი აბაშიძისა და იოსებ გრიშაშვილის სტატიებს. უბის წიგნაკში ინიშნავს: „დაგვიწყია ცდა, გადაგვიშლია გაზეთები. წაგვიკითხავს ირაკლი აბაშიძის სატრაბახო წერილი „Заря“ -ში „Событие мирового значения“. გრიშაშვილის ამავე ხასიათის შაითან

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 491

ბაზრის წერილი კამანისტში“.<sup>1</sup> თავდაპირველად, ბუნებრივია, ჩნდება ვარაუდი, რომ პოეტმა 11 სექტემბრის ან წინა დღის, 10 სექტემბრის გაზეთები წაიკითხა. თუმცა გაზეთების ამ ნომრების გადათვალთვალებისას აღმოჩნდა, რომ დასახელებული ავტორების სტატიები 10 და 11 სექტემბერს არ დაბეჭდილა. შესაბამისად, გაჩნდა აზრი, რომ პოეტმა იქვე, დერეფანში (თუ აღმასკომის რომელიმე ოთახში) დალაგებული გაზეთების ის ძველი ნომრები შენიშნა, რომლებიც მოსკოვში ჩატარებულ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადას ეძღვნებოდა და ამით გალაკტიონის ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, პოეტს უნდა წაეკითხა „ზარია ვოსტოკაში“ 1958 წლის 21 მარტს დაბეჭდილი ირაკლი აბაშიძის წერილი სათაურით „ლიტერატურული საქართველო“, ასევე, იოსებ გრიშაშვილის 1958 წლის 5 აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია „ჩვენ პოეზიის სიყვარულმა დაგვამეგობრა“. ამ წერილების პათოსს მართლაც შეემლო გალაკტიონში გამოეწვია შთაბეჭდილება, რომ ავტორები თავს იწონებენ, ტრახახობენ მიღწევებით.

◇ გალაკტიონის 1957 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ჩანაწერებს შორის გვხვდება ერთი, სამსიტყვიანი ფრაზა: „5 ნოემბერი. დავრაზმობთ“.<sup>2</sup> ამ ჩანაწერის შინაარსი გასაგები გახდება, თუ გადავხედავთ აღნიშნული პერიოდის დღიურებს და გავარკვევთ, რას აპირებდა პოეტი ხუთი ნოემბრისთვის. მაგალითად, ერთგან იკითხება: „5 ნოემბერი სახელგამში“.<sup>3</sup> შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი გეგმავდა, ხუთ ნოემბერს მისულიყო სახელმწიფო გამომცემლობაში, „დაერაზმა“ თანამშრომლები, რათა სათანადოდ მომზადებულიყვნენ მისი შემოქმედებითი სადამოსთვის, რომელიც 15 ნოემბრისთვის იყო დანიშნული.

◇ 1957 წლის 30 მაისს, როდესაც რკინიგზელთა სახლში დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებულ დეტალებს აგვარებდა, გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „ბესო ჟღენტი... მზადაა“.<sup>4</sup> რას უნდა ნიშნავდეს ეს სამი სიტყვა? უშუალოდ უკავშირდება თუ არა დაგეგმილ ღონისძიებას და თუ უკავშირდება, კონკრეტულად, რა

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-406, გვ. 14.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 435

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 427.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 411.

მზაობას გულისხმობს პოეტი კრიტიკოსის მხრიდან? ამ კითხვაზე პასუხს გვცემს გალაკტიონის 1957 წლის იანვრით დათარიღებული ჩანაწერი, რომელშიც პოეტი კვლავ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე წერს, ინიშნავს ბესარიონ ჟღენტის სახელსა და გვარს, ასევე სათაურს „1917 წელი გალაკტიონის შემოქმედებაში“.<sup>1</sup> ვფიქრობთ, სწორედ ამ მოხსენების წაკითხვისთვის მზაობას უნდა გულისხმობდეს გალაკტიონის მიერ ჩაწერილი, ზემოთ ციტირებული ფრაზა: „ბესო ჟღენტი... მზადაა“.

◇ 1957 წლის 16 ნოემბერს პოეტს ჩაუნიშნავს: „სვანი მხატვარი - გიორგი კირილეს ძე მექოშვილი. სტუდენტი პოეტი. მოთხრობებსაც სწერს. 1957, 16 ნოემბერი“.<sup>2</sup> ამ ჩანაწერის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს გიორგი მექოშვილი სვანი მხატვარია, რომელიც ამავე დროს



არის სტუდენტიც და წერს ლექსებსაც და მოთხრობებსაც. გალაკტიონის სხვა ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ რეალურად აქ საუბარია ორ სხვადასხვა პიროვნებაზე, რომელთაგან ერთი, გიორგი მექოშვილი, პოეტია, ხოლო მეორე – სვანი – მხატვარია, მაგრამ მოთხრობებსაც წერს: „იმ დღესვე იყვენ: 1. გიორგი კირილეს ძე მექოშვილი, პოეტი. 2. სვანი (მხატვარი), მოთხრობებსაც სწერს“.<sup>3</sup>

◇ 1958 წლის 21 მარტს გალაკტიონი მოსკოვში ჩავიდა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. რკინიგზის სადგურში მას საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია და რუსეთში მოღვაწე მწერალი – მიხეილ ქვლივიძე დახვდნენ. პოეტი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მოსკოვში, სადგურზე, შეგვხვდნენ ამხანაგები (ჭილაია, ქვლივიძე). მე მომიტანეს ყვავილები. რა მშვენიერი თაიგულია, - მეუბნებოდნენ სადგურზე. საუცხოო თაიგულია, - მითხრეს სასტუმრო მოსკოვში. მოსამსახურემ იშოვა ვაზა

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 370.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 458

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 472.

და ეხლა ეს თაიგული ამშვენებს ჩემს ოთახს - სასტუმროში. დიდი სამსახური გამიწია სადგურზე ჩემოდანის გადმოტანაში: მძიმე ჩემოდანია. შიგ წიგნები აწყვია“.<sup>1</sup> ამ ჩანაწერის მიხედვით, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ის, ვინც პოეტს მატარებლიდან მძიმე, წიგნებით სავსე ჩემოდნის გადმოტანაში დაეხმარა, ან სერგი ჭილაია უნდა იყოს, ან კიდეც – მიხეილ ქვლივიძე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ ქვლივიძე ამ დროისათვის 33 წლის ახალგაზრდა კაცი იყო, თან გალაკტიონის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ მისკენაა მიმართული პოეტის მაღლიერება. თუმცა, გალაკტიონის იმავე უბის წიგნაკში არსებული სხვა ჩანაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ კაცი, რომელიც პოეტს დაეხმარა, არც მიხეილ ქვლივიძე ყოფილა და არც სერგი ჭილაია. გალაკტიონის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სასტუმროში შემხვდა სიმჰატიური კაცი: Вы меня не помните, - მითხრა, - Я Вас в 1935 году отправлял в Париж. - აჰ, - გავიფიქრე, - ეს ძვირფასი ადამიანი. მაშინ მან კოსტიუმიც შემამძინა, საკმარისი თანხაც მიშოვნა, ბილეთების საქმე გაჩარხა. ერთის სიტყვით, ძალიან დამეხმარა. გუშინაც რკინისგზის სადგურზე დამხვდა. მძიმე ჩემოდანი ავტომობილამდის მიიტანა. Я и сейчас в союзе писателей работаю, - დაუმატა მან. აჰ, აჰ...“.<sup>2</sup> ვფიქრობთ, პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება დაახლოებით მაინც გვიქმნის წარმოდგენას, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს უცნობი, სიმჰატიური ადამიანი და რატომ დატოვა საიდუმლოდ გალაკტიონმა მისი სახელი და გვარი.

◇ 1958 წლის 9 ივლისს გალაკტიონი იმყოფება წყნეთში, ალაგებს საკუთარ არქივს, თან ათვალეიერებს სხვადასხვა დროს შენახულ მასალას. მის ყურადღებას იპყრობს მიხეილ ვადბოლსკის სტატია. პოეტის ჩანაწერის მიხედვით, ის ხუთი წლის წინ დაიწერა, მაგრამ მის გამოქვეყნებაზე უარი თქვა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მაშინდელმა რედაქტორმა დავით ჩხიკვიშვილმა. კონტექსტიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ვადბოლსკის სტატია გალაკტიონს ეძღვნებოდა, სწორედ ამის გამო, პირად არქივში ამ სტატიის აღმოჩენისას პოეტს რედაქტორის მიმართ წყენა განუახლდა და უბის წიგნაკში ჩაინიშნა,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 491

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 496

რომ ამ საქციელის გამო ჩხიკვიშვილი ოდესმე პასუხს აგებდა: „ნაპოვნია მ. ვადბოლსკის წერილი, დაწერილი ხუთი წლის წინად, რომელიც არ დაბეჭდა „Заря Востока“-ს რედაქტორმა ჩხიკვიშვილმა (რისთვისაც ის როდისმე პასუხს აგებს)“.<sup>1</sup>

პოეტი ამ სტატიის აღმოჩენის შემდეგ არ წყვეტს ფიქრს მასზე, გეგმავს, ეს ტექსტი საბეჭდ მანქანაზე 100 ეგზემპლარად გადააბეჭდვინოს, რათა საჭირო ხალხს წააკითხოს, უპირველესად კი – კულტურის მინისტრს აჩვენოს. ასევე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ამ მართლაც მნიშვნელოვანი სტატიის შესახებ თათბირის გამართვაც.<sup>2</sup> რატომ იყო ეს სტატია ასე მნიშვნელოვანი გალაკტიონისთვის? როგორც ცნობილია, მიხეილ ვადბოლსკის გალაკტიონთან პოეტის სიცოცხლის ბოლო წლებში არცთუ იშვიათი ურთიერთობა ჰქონდა. ვადბოლსკის მოგონებებმა, რომლებიც სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულში „გალაკტიონოლოგია“ დაიბეჭდა, ბევრ საყურადღებო ფაქტთან ერთად ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხიც შემოგვინახა.

გალაკტიონის მიერ 1958 წელს წყნეთის არქივში აღმოჩენილი სტატიის დაწერის ისტორიას ვადბოლსკი ასე მოგვითხრობს: „მოგვიანებით, როდესაც გალაკტიონი კვლავ კონცერტმა გაიტაცა, მე შეუმჩნევლად ჩავიხატე მისი პროფილი. როდესაც სახლში ვაცილებდი, მან მოულოდნელად შემახსენა ოდესღაც მიცემული პირობა – დამეწერა საგაზეთო სტატია, რომ პოეტის საიუბილეოდ აუცილებელია **თბილისში დაარსდეს გალაკტიონის მუზეუმი, თანაც მუდმივმოქმედი**. შევთანხმდით, რომ სტატიას ერთ კვირაში მივუტანდი, მერე ერთად წავიდოდით „ზარია ვოსტოკას“ **რედაქტორთან**. მეორე დღეს დილიდანვე დავჯექი სამუშაოდ. ცოლი მხარს არ მიჭერდა, დარწმუნებით მიწინასწარმეტყველებდა, რომ სტატიას არ დაბეჭდავდნენ. მე მაინც დავწერე, გადავბეჭდე სამ ეგზემპლარად და გალაკტიონს მივუტანე. კითხვის დროს ის ძალიან ახლოს მოიწია, თითქოს ეშიზოდა, რამე არ გამომეპაროსო. სტატიით კმაყოფილი დარჩა, არაფერი შეუსწორებია. შევთანხმდით – მეორე დღეს „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მისაღებში შევხვედროდით. –

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 528.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 530.

ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, – თქვა მან, – ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორედ ეხლა და დაუყოვნებლივ გადასაჭრელი.“<sup>1</sup>

ამის შემდეგ მიხეილ ვადბოლსკი აღწერს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში ვიზიტს გალაკტიონთან ერთად, რედაქტორთან საუბარს და შემდეგ ყოველდღიურ მოლოდინს, რომ სტატია დაიბეჭდებოდა. როგორც გალაკტიონის ჩანაწერიდან ვიგებთ და ვადბოლსკის მოგონებაც ადასტურებს, ეს სტატია არ გამოქვეყნებულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1958 წლის ივლისში, ანუ იმ დროს, როცა საკუთარ არქივში ვადბოლსკის სტატია იპოვა, გალაკტიონი უმთავრესად თავისი გამოფენის მოწყობისა და მუდმივი საგამოფენო სივრცის მოძიებით იყო დაინტერესებული, მაშინ ცხადი გახდება ის რეაქცია, რაც მას მიხეილ ვადბოლსკის სტატიის აღმოჩენისას ჰქონდა: თავის დროზე ეს ტექსტი რომ გამოქვეყნებულიყო და სტატიის ავტორის (რეალურად კი, პოეტის) სურვილი სინამდვილედ ქცეულიყო, ახლა ხომ საგამოფენო ფართის მიება აღარ დასჭირდებოდა და ბევრ სირთულეს აარიდებდა თავს.

◇ 1958 წლის 7 ნოემბერს გალაკტიონი ფიქრობს სამომავლო გეგმებზე, უბის წიგნაკში ჩამოწერს, თუ რა უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა მოაგვაროს მომდევნო სამი წლის განმავლობაში. მრავალფეროვან ჩამონათვალს შორის ერთ-ერთი პუნქტი ასეთია: „შვიდი წიგნის ძეგლი კომკავშირის მოედანზე“.<sup>2</sup> რას უნდა ნიშნავდეს ეს ფრაზა? რომელი შვიდი წიგნის ძეგლის დადგმა სურს პოეტს? გალაკტიონის 1950-იანი წლების შემოქმედების, კონკრეტულად კი, შვიდი უდიდესი ქართველი პოეტის შესახებ 1958 წელს დაწერილი ამ ლექსის გათვალისწინებით შეგვიძლია ვუპასუხოთ ჩვენთვის საინტერესო კითხვას:

„შოთასი, დავითიანის, ბარათასი,  
ილიასი, აკაკის და ვაჟას ჩანგის  
უკვდავია ქვეყნად ფასი.  
გრგვინავს ზარი სიონის  
ხმა ჰქუხს გალაკტიონის“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კრებ. „გალაკტიონოლოგია“, III, 2004, გვ. 296-297.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-408, გვ. 1

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, 6922.

ვფიქრობ, გალაკტიონს სურდა, კომკავშირის მოედანზე დაედგათ შვიდი წიგნის ძეგლი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა შვიდი უდიდესი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემოქმედებას. რაც შეეხება ძეგლისთვის შერჩეულ ადგილს – კომკავშირის მოედანს: პოეტი, სავარაუდოდ, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობის წინ არსებულ ტერიტორიას უნდა გულისხმობდეს. ეს შენობა მწერალთა კავშირთან მდებარეობდა და ამგვარი ძეგლისთვისაც შესაფერისი ადგილი უნდა ყოფილიყო.

◇ გალაკტიონის უბის წიგნაკებში ბოლო თარიღიანი ჩანაწერები 1959 წლის 7-9 თებერვლით თარიღდება. ამ ჩანაწერებში ბევრი რამეა საგულისხმო, მით უფრო, რომ ეს ტექსტები პოეტის უკანასკნელი სურვილებისა და თუ ფიქრების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. აღნიშნული ჩანაწერები უბის წიგნაკის მხოლოდ სამ არასრულ გვერდს შეადგენს. ამ მცირე მოცულობის, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტის შესწავლა პოეტის ბიოგრაფიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ერთ საყურადღებო საკითხს ააშკარავებს. გავეცნოთ ფრაგმენტს გალაკტიონის 1959 წლის 6 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერიდან: „საბლიტგამი (ხუტა ბერულავა) მთხოვს ავტობიოგრაფიას წიგნისთვის, რომელიც გამოვატანე. დავპირდი რამეს დილისთვის. წიგნს რედაქტორობს, თუ არა ვცდები, ყურჩალა. საჭიროა ყურადღება“.<sup>1</sup>

ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ გალაკტიონს საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორის – ხუტა ბერულავასთვის გამოსაცემად გადაუცია წიგნის მაკეტი, ხოლო ხუტა ბერულავას სურს, წიგნს პოეტის მიერ დაწერილი ავტობიოგრაფია დაურთოს და სთხოვს მას, რომ მოამზადოს ავტობიოგრაფიის ტექსტი. როგორც მომდევნო ორი დღის ჩანაწერებიდან ჩანს, გალაკტიონი ვერ პოულობს ავტობიოგრაფიას. თუმცა მნიშვნელოვანი აქ სხვა რამეა: დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით ითვლება, რომ გალაკტიონის ბოლო ავტორიზებული გამოცემა არის ვახტანგ ჯავახიძის რედაქტორობით მომზადებული 1959 წლის „რჩეული“,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-414, გვ. 1.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ ჯავახაძის მოგონებები ადასტურებს ამ „რჩეულის“ მომზადებაში პოეტს მონაწილეობა არ მიუღია. იგი რედაქტორის ყოველ ცვლილებას განუსჯელად ეთანხმებოდა.

პარალელურად, როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ გალაკტიონს მოუმზადებია მცირე ზომის „რჩეული“, რომლის შედგენაში არავინ ჩარეულა იმდენად, რომ წიგნის გადაცემის შემდეგაც კი პოეტმა ზუსტად არ იცის რედაქტორის ვინაობა. ეს მცირე ზომის „რჩეული“ 1959 წელსვე გამოიცა. წიგნის სათაურია „ასი ლექსი“. რატომღაც მისი არსებობისთვის ყურადღება დღემდე არ მიუქცევიათ. მოხდა ისე, რომ 1961 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ, ქუთაისში დაბეჭდილ იმავე სათაურის კრებულზე გაკეთდა აქცენტი. საინტერესოა, რომ 1959 წელს გამოცემულ ამ წიგნზე არაფერს ამბობს ვახტანგ ჯავახაძე, თუმცა საუბრობს 1961 წელს გამოქვეყნებულ იმავე სათაურის კრებულზე.<sup>1</sup> ვფიქრობ, ყოველივე ეს განაპირობა იმანაც, რომ არ იყო ცნობილი, პოეტმა თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში წიგნი რომ მოამზადა და თვითონვე გადასცა გამომცემლობას.

როგორც 1959 წელს გამოქვეყნებული „ასი ლექსის“ შესწავლა ცხადყოფს, პოეტს ამ წიგნში შეუტანია ყველასათვის ცნობილი შედეგები, კრებულის ძირითად ნაწილს შეადგენს 1910-20-იან წლებში შექმნილი ლექსები. მასში ორი გამონაკლისის გარდა საბჭოთა ეპოქისთვის ნიშანდობლივი ტექსტები არ გვხვდება. როგორც ზემოთ ციტირებული ჩანაწერი ცხადყოფს, პოეტი ფიქრობს საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემულ საკუთარ პოეტურ კრებულზე და მიიჩნევს, რომ საჭიროა წიგნის გამოცემის პროცესს თვალი მიადევნოს. აქ იგი სავარაუდო რედაქტორად ასახელებს ვინმე „ყურჩალას“.

„ყურჩალა“ დიალექტური ფორმაა და სმენადაქვეითებულს, ყრუს ნიშნავს. იმდროინდელ გამომცემლობებში მომუშავე რედაქტორთაგან ერთ-ერთი – რევაზ ორჯონიკიძე, დაბადებიდან სმენადაქვეითებული იყო და ყველას აოცებდა იმით, რომ ეს ფაქტი მას მუშაობაში ხელს არ უშლიდა. ვფიქრობ, სწორედ მას უნდა გულისხმობდეს პოეტი. რევაზ ორჯონიკიძეს გალაკტიონთანაც ჰქონდა გარკვეული კონტაქტი –

---

<sup>1</sup> იხ. ვ. ჯავახაძე, „უცნობი“, 2013, გვ. 80-81.



პოეტის თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის (1957) რედაქტორი იყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ ადამიანთან ურთიერთობის გამოცდილება აფიქრებინებდა პოეტს, რომ წიგნის გამოცემის პროცესისთვის ყურადღება უნდა მიექცია.

გალაკტიონის მიერ მომზადებული ბოლო წიგნი – „ასი ლექსი“, რომელსაც შეგვიძლია პოეტის ბოლო ავტორიზებული გამოცემა ვუწოდოთ, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. კრებულს პოეტის ავტობიოგრაფია არ ერთვის, წამდღვარებული აქვს ირაკლი აბაშიძის მცირე ზომის წინასიტყვაობა, ხოლო რედაქტორი – ხუტა ბერულავაა.

◇ 1955 წლის 9 იანვარს გალაკტიონი ხვდება კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც პოეტს უზიარებს შთაბეჭდილებებს რაღაც „ანტოლოგიის“ შესახებ. კოლეგა-პოეტთან საუბრის შემდეგ გალაკტიონი ამ ფაქტს უბის წიგნაკში ინიშნავს: **„კ. ჭიჭინაძე ანტოლოგიით უკმაყოფილოა. ცაგარლის თარგმანები მოსწონს. ჩემი ლექსებით კმაყოფილია“**.<sup>1</sup>

ჩანაწერში არ ჩანს, კონკრეტულად, რომელი „ანტოლოგიის“ შესახებ ისაუბრეს, თუმცა, ტექსტში არის მინიშნება: ნახსენებია „ცაგარლის თარგმანები“. მწერალი გიორგი ცაგარელი ქართულიდან რუსულად თარგმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს და, ბუნებრივია, მისი თარგმანები რუსულ წიგნში, რუსულ ენაზე გამოცემულ ანთოლოგიაში უნდა დაბეჭდილიყო. ამავე ფაქტზე ირიბად მიგვანიშნებს სიტყვა „ანტოლოგია“ (და არა „ანთოლოგია“).

რადგან გალაკტიონის ჩანაწერი 1955 წლის 9 იანვრით თარიღდება, აშკარაა, რომ ახალი წლის დღეებში, 9 იანვრამდე, წიგნი ვერ გამოიცემოდა. შესაბამისად, რუსულ ენაზე დაბეჭდილი ქართველ ავტორთა ანთოლოგია, სავარაუდოდ, 1954 წელს უნდა გამოქვეყნებულიყო (უფრო ადრინდელ, 2-3 ან მეტი წლის წინ გამოცემულ წიგნზე კონსტანტინე ჭიჭინაძე – ადამიანი, რომელსაც გალაკტიონი არცთუ იშვიათად ხვდებოდა, ვფიქრობთ, არ გაუზიარებდა პოეტს შთაბეჭდილებებს).

რუსულ ენაზე გამოცემულ ქართველ მწერალთა წიგნების შესაბამის კატალოგში ძიებისას გაირკვა, რომ ჩვენი ვარაუდი რეალობას შეესაბამებოდა. 1954 წელს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-327, გვ. 2.

გამოუქვეყნებია ანთოლოგია – „ქართული საბჭოთა პოეზია“ („Грузинская советская поэзия“, Тб., „Заря Востока“, 1954). წიგნში შეტანილია ქართველ პოეტთა, მათ შორის, გალაკტიონის მიერ 1934-1954 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებების – ლექსებისა და პოემების რუსული თარგმანები. როგორც ანთოლოგიის ანოტაციაშია ნათქვამი, წიგნისათვის საგანგებოდ შეირჩა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა ყოფას, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდს ირეკლავდა. კრებულში შეტანილი არაერთი ლექსის მთარგმნელი სწორედ გიორგი ცაგარელი გახლავთ. ვფიქრობთ, სწორედ ამ ანოტაციის შესახებ ესაუბრებოდა კონსტანტინე ჭიჭინაძე გალაკტიონს.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „თეიმურაზ ჯანგულაშვილი. 7 თებერვალს ოპერის თეატრში!“<sup>1</sup> აშკარაა, რომ ციტირებული სიტყვები 7 თებერვალს ოპერის თეატრში ჩასატარებელი საღამოს მოლოდინს გამოხატავს. რა აკავშირებს ამ საღამოსთან თეიმურაზ ჯანგულაშვილს? როგორც პოეტის სხვა უბის წიგნაკში არსებული, 1955 წლის 3 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერები ცხადყოფს, ეს მწერალი გალაკტიონის დიდი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზების პროცესში იყო ჩართული, კერძოდ, მას დავალებული ჰქონდა მოსაწვევების ტექსტის მომზადება და პრესაში ღონისძიების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის განთავსება: „ჯანგულაშვილიც მოსაწვევ ბარათებში არ ასახელებდა საქართველოს სახალხო პოეტს, გაუუსწორე. თავს იგდებს ძალიან... მოსაწვევ ბარათებს ხელთ ჩაიგდებს ჯანგულაშვილი. საინტერესოა, სად დააბეჭდვინებს...“<sup>2</sup>

◇ გალაკტიონის 1955 წლის 1 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ახალქალაქის გაზეთი (მთელი გვერდი) დიდებულია“.<sup>3</sup> როგორც პოეტის მიერ ჩანიშნული ინფორმაციიდან ჩანს, ახალქალაქში გამოსული გაზეთი მთელ გვერდს უთმობს გალაკტიონს და ეს იწვევს მის სიხარულს. რომელ გაზეთს ან რომელ ლექსს გულისხმობს გალაკტიონი? 1955 წელს ახალქალაქში გამოდიოდა გაზეთი „ოქტომბრის დროში“. ამ გაზეთის ათი აგვისტოს

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 4.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 1.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 198

ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონის ვრცელი ლექსი „მესხეთ-ჯავახეთი“. როგორც ჩანს, სწორედ „ოქტომბრის დროში“ გამოუგზავნეს პოეტს სექტემბრის დასაწყისში.

◇ 1955 წლის 2 სექტემბერს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „საინტერესოა კულტურის სამინისტროს კედლის გაზეთი. ფოტო – მწყემსებთან. ტექსტი უნდა გადმოვიწერო“.<sup>1</sup> პოეტი არ მიუთითებს მწყემსებთან ერთად ვინ არის ფოტოზე, ან რა წერია სტატიაში, თუმცა, ვფიქრობთ გალაკტიონის ამგვარი ინტერესი და კედლის გაზეთიდან ტექსტის გადმოწერის სურვილი უნდა გამოეწვია იმას, რომ სურათიც და სტატიაც პირადად მას შეეხებოდა. ჩანაწერის გაკეთებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, 28 ივლისს, პოეტი იმყოფებოდა ახალქალაქში, მოინახულა თავფარავნის ტბა, შეხვდა ადგილობრივ მწყემსებს და ფოტოებიც გადაიღო. ვფიქრობთ, სწორედ ამ მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათი უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული კედლის გაზეთში საინფორმაციო ხასიათის სტატიასთან ერთად.

◇ გალაკტიონის 1955 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერში არის ერთი ფრაზა, რომლის შინაარსი გაუგებარია: „თეიმურაზ ჯანგულაშვილს ძალიან გაუხარდა. გულწრფელი მადლობა გვითხრა“.<sup>2</sup> აქ არ ჩანს, გალაკტიონთან ერთად კიდეც ვის გადაუხადა მადლობა ახალგაზრდა პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა და, რაც მთავარია, გაურკვეველია ისიც, თუ რა იყო მადლიერების მიზეზი. ამ საკითხის დაზუსტებაში გვცხმარება პოეტის მიერ იმავე წლით დათარიღებულ სხვა უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერი, რომელიც შინაარსობრივი და ქრონოლოგიური დამთხვევის გამო ზემოხსენებულ თემას უნდა ეხებოდეს: „ნოდარ გურეშიძე – თეიმურაზ ჯანგულაშვილს სურათი ძალიან გაუხარდა, გულწრფელი მადლობა გვითხრა“.<sup>3</sup> ამ ჩანაწერის მიხედვით უკვე გასაგებია, რაც მოხდა: ახალგაზრდა პოეტს, ნოდარ გურეშიძეს გალაკტიონისთვის უთქვამს, რომ მის კოლეგას, პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილს ძალიან გახარებია სურათის ნახვა (თუ ჩუქება?) და გულწრფელი მადლობაც უთქვამს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 200

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-345, გვ. 6

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 48

თუ რომელი ფოტოსურათს გულისხმობს პოეტი, ამის დადგენის შესაძლებლობას კიდევ ერთი, იმავე 1955 წლით დათარიღებული 29 აგვისტოს ჩანაწერი გვაძლევს. გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „ფოტოებში გამოირჩევიან: ვ. გურგენიძე, ვ. გვეტაძე, ა. შანიძე, ლ. კალანდაძე, ნ. გურეშიძე, ვ. რაზიკაშვილი, ვ. წულუკიძე, ალ. ბეგაშვილი, ვ. არაბული, თ. ჯანგულაშვილი, ლოლობერიძე“. <sup>1</sup> გალაკტიონი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ნოდარ გურეშიძე და ამ ჩანაწერში მოხსენიებული სხვა პირები 29 აგვისტომდე ანუ ჩანაწერის გაკეთებამდე ორი კვირით ადრე, 14 აგვისტოს ერთად იყვნენ ვაჟაობაზე, ჩარგალში და ფოტოც იქ უნდა გადაეღოთ. ამ მოსაზრებას ადასტურებს გალაკტიონის არქივში დაცული ორი ფოტოსურათი, ორივე მათგანი 14 აგვისტოსაა გადაღებული ჩარგალში. პირველ ფოტოზე გალაკტიონი და თეიმურაზ ჯანგულაშვილი ალექსანდრე შანიძესთან, ვახტანგ გურგენიძესა და ლავროსი კალანდაძესთან ერთად არიან გადაღებული<sup>2</sup>, ხოლო მეორე ფოტოზე – ნოდარ გურეშიძესთან, ვასილ გვეტაძესთან, ვახტანგ გურგენიძესთან, ოთარ კუპრავეასთან, როსტომ ბეჟანიშვილთან, ალექსანდრე შანიძესა და ნოდარ გურაბანიძესთან<sup>3</sup>.

რადგან მეორე ფოტოზე გალაკტიონთან და თეიმურაზ ჯანგულაშვილთან ერთად ჩანაწერში ნახსენები ნოდარ გურეშიძეც არის, სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ფოტოს ეგზემპლარი გადასცა ნოდარ გურეშიძემ თეიმურაზ ჯანგულაშვილს. ბუნებრივია, გალაკტიონთან გადაღებული სურათის მიღების შემდეგ პოეტი გახარებული და მადლობელი იქნებოდა. როგორც ჩანს, უმცროს კოლეგას ფოტო თავად გალაკტიონმა გაუგზავნა, ამაზე მიგვანიშნებს ნოდარ გურეშიძის მიერ მრავლობითის ფორმის გამოყენება გალაკტიონთან საუბრისას: „მადლობა გვითხრა“.

◇ 1955 წლის 4 სექტემბერს გალაკტიონი ვერის ხიდიდან (ამჟამად გალაკტიონის ხიდი) ჩელუსკინელების ხიდამდე (ამჟამად თამარ მეფის ხიდი) ათვალიერებს მტკვრის სანაპიროს, ძალიან მოსწონს ეს ტერიტორია და კარგ გუნებაზეა, რადგან, მართალია, კვირა დღეა და მუშები არსად სჩანან, მაგრამ მათი შრომის კვალი ირგვლივ ყველაფერს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 45

<sup>2</sup> <https://galaktion.ge/?page=Photo&id=3133>

<sup>3</sup> <https://galaktion.ge/?page=Photo&id=3134>

ეტყობა. გასეირნების ამბავი იმავე დღეს ჩაუნიშნავს პოეტს უბის წიგნაკში<sup>1</sup> და ჩანაწერშიც თითქოს უჩვეულო არაფერია, რომ არა ერთი დეტალი: გალამაზებულ სანაპიროსა და მუშებზე ფიქრისას პოეტს რატომღაც ახსენდება „არსენას ლექსის“ ფინალური მონაკვეთი და ამ ნაწარმოების ერთ ფრაზას, გარკვეული ცვლილებით, იწერს რვეულში: „ჩემი ათასი მანეთი ნაპირთ ერთ დიდ კლდეში დევსა!“. რეალურად, „არსენას ლექსის“ შესაბამის მონაკვეთში სტრიქონი ასეთი სახით იკითხება: „ჩემი შვიდასი თუმანი კასპის ერთ დიდ კლდეში დევსა“.<sup>2</sup> რატომ ცვლის გალაკტიონი ამ სტრიქონს? ან, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, რატომ ახსენდება მუშებსა და განახლებულ სანაპიროზე ფიქრისას პოეტს „არსენას ლექსი“?

ამ კითხვებს პასუხი შესაძლებელია გაცივს გალაკტიონის 1943 წლით დათარიღებული ჩანაწერის გათვალისწინებით. აქ პოეტი ვრცელ ტექსტს უძღვნის „არსენას ლექსს“ და აქცენტს სწორედ ჩვენთვის საინტერესო სტრიქონზე აკეთებს: „არსენას ლექსი: „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ ქვაში დევსა“ ... ეს იყო სახალხო გმირის, ხალხის საყვარელი არსენას უკანასკნელი სიტყვები. „კასპის ერთი დიდი კლდე“ – აქ ერთ-ერთი იმ კლდეთაგანია, რომელზედაც არაერთხელ მიმსხვრეულა ქართველი ერის მტერთა ძლიერი ურდოები. „კასპის ერთი დიდი კლდე“ – სიმბოლოა უდიდესი მოძღვრების და მომაკვდავი არსენას სიტყვით, აქ მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობს. არსენა უფრო ადრე იქნა მოკლული, მას წაკითხული არ ჰქონდა „კომუნისტური მანიფესტი“-ს დიადი სტრიქონები, კარლ მარქსი დაბადებულიც არ იყო, ენგელსიც. და მუშათა და გლეხთა დიად კავშირზე - შემდეგში ლენინმა გაშალა ხარტია უუდიდესი რევოლუციის. დიადი დროშა, რომელიც „კასპის ერთ დიდ კლდე“-ზედაც აფრიალდა. „კასპის ერთ დიდ კლდეში“ გადანახული ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრე, თვითონ ხალხს დაუბრუნდა, სწორედ ღარიბებსა და ღატაკებს!“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, „არსენას ლექსს“ გალაკტიონი ღარიბ-ღატაკების, გლეხთა და მუშათა უფლებების კონტექსტში განიხილავს, მისთვის ეს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 202

<sup>2</sup> <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/184796/1/Arsena.pdf>

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-155, გვ. 20-21

ტექსტი სწორედ ამ ასპექტითაა საინტერესო. რამდენად მართებულია „კომუნისტურ მანიფესტთან“ ქართული ზეპირსიტყვიერების აღნიშნული ნიმუშის დაკავშირება და იყო თუ არა ტენდენციური გალაკტიონი, როდესაც ამგვარ პარალელებს ავლებდა, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, ერთი რამ კი აშკარაა: მტკვრის სანაპიროს დათვალიერებისას, მუშების შრომის შედეგების ხილვისას „არსენას ლექსის“ სტრიქონი („ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ ქვაში დევსა“) ხალხური ტექსტის სწორედ ასეთი, მისეული გააზრების გამო ახსენდება პოეტს და რადგანაც მტკვრის **სანაპიროზე** იმყოფება (და არა კასპში), ფრაზასაც შესაბამისად ასხვაფერებს: „ჩემი ათასი მანეთი **ნაპირთ** ერთ დიდ კლდეში დევსა!“.

◇ 14-15 სექტემბრით (1955 წ.) დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მნათობის“ მეშვიდე ნომერი“. <sup>1</sup> იმის გასაგებად, თუ რის გამო აპირებდა გალაკტიონი მოემეზნა და წაეკითხა დასახელებული ჟურნალი, „მნათობის მითითებული ნომერი გადავათვალიერეთ. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებიდან პოეტისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო ოთარ ჩხეიძის რომანის „ბურუსის“ პირველი ნაწილი. ამ დროისათვის გალაკტიონს უკვე ჰქონდა ინფორმაცია ედიშერ ყიფიანისგან, რომ ოთარ ჩხეიძის ტექსტში ნახსენები იყო მისი სახელი. 29 აგვისტოს ჩაუნიშნავს კიდეც: „ედიშერ ყიფიანი. სწერს, სწერს, სწერს. იპოვა „მნათობი“-ს მე-7 ნომერში „გალაკტიონი“.“ <sup>2</sup>

◇ 14-15 სექტემბრის (1955 წ.) ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ფიქრობს 20 სექტემბერს მწერალთა კლუბში დაგეგმილი პოეზიის საღამოს შესახებ და ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ამასაც აღნიშნავს: „ლექსი „ახალი სანაპირო“ – მომხსენებელს“ <sup>3</sup> ცხადია, თავისი ლექსის მომხსენებლისთვის გადაცემას გეგმავს, სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილოს ამ ნაწარმოებზე. <sup>4</sup>

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 204

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 181

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 204

<sup>4</sup> ვფიქრობთ, მომხსენებელში არ უნდა იგულისხმებოდეს თამარ ანდლულაძე. მართალია, გალაკტიონი უტოვებს მას დასახელებული ლექსის ავტოგრაფს, მაგრამ, როგორც მომდევნო პერიოდის ჩანაწერებიდან ჩანს, ხელნაწერი ქალს სხვისთვის გადასაცემად ჩააბარა. გარდა ამისა, გალაკტიონი წერს, რომ იმ

ამავე დღეს გაკეთებულ კიდეც ერთ ჩანაწერში ნათქვამია: „ავტოგრაფი ლექსისა „სანაპირო“ ჩავაბარე თამარ ანდლულაძეს“.<sup>1</sup> ვფიქრობთ, გალაკტიონი ერთსა და იმავე ნაწარმოებს მოიხსენიებს ორი განსხვავებული სახელწოდებით. მაგრამ რომელ ლექსს გულისხმობს პოეტი? ნაწარმოებს, სათაურით, „ახალი სანაპირო“ („სანაპირო“) გალაკტიონის ლექსებს შორის არ ვხვდებით. ცალკეული ნაწარმოებების ვარიანტებში რამდენჯერმე კი დასტურდება ამგვარი სათაური („ახალი სანაპირო“), მაგრამ ქრონოლოგიური დისტანციისა და შინაარსობრივი შეუსაბამობის გამო, ვფიქრობთ, პოეტი ამ ტექსტებს არ გულისხმობდა.

გალაკტიონის დღიურების შესწავლა გვამღევეს საშუალებას, ითქვას, რომ პოეტი აპირებდა მომხსენებლისთვის გადაეცა ლექსი, რომელსაც დღეს ვიცნობთ სათაურით „წიგნები ხალხს“. ამას ადასტურებს არა მხოლოდ ლექსის თემატიკა (სანაპიროსთან დაკავშირებული პოეზიისა და წიგნების იდეა), არამედ ისიც, რომ ლექსი სწორედ 1955 წლის სექტემბრის პირველ ნახევარშია დაწერილი. გარდა ამისა, აღნიშნული ვარაუდის მართებულობას ამტკიცებს პოეტის ერთი ჩანაწერი, რომელშიც იგი მუშაობს 1955 წლის სექტემბერში ჩასატარებელი ღონისძიების შესავალ სიტყვაზე და ტექსტში ჩართავს რამდენიმე ვარიანტს ლექსისა „წიგნები ხალხს“.<sup>2</sup> აქ ერთგან ამ ლექსს გალაკტიონი მოიხსენიებს კიდეც სათაურით „ახალი სანაპირო“.

◇ 1957 წლის სექტემბერში, სოხუმში ყოფნისას, გალაკტიონს რუსულ ენაზე დაუწერია სახუმარო ლექსი, რომელიც აგებულია სიტყვების „Гулия“ და „Гуляние“ თამაშზე: Гулия – не / Гуляние. / Гулия – аж / Гуляш - / Гулия - но не / Нуля...<sup>3</sup>. ტექსტი დასრულებული არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, გალაკტიონის სხვა ჩანაწერების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეტი აპირებდა აფხაზი მწერლის, დიმიტრი გულიასათვის მიემღვნა ეს სახუმარო

---

მომხსენებლის გვარი არ ახსოვს, ვისაც ავტოგრაფი უნდა გადასცეს, თამარ ანდლულაძის გვარი კი, სავარაუდოდ, არ დაავიწყდებოდა იმდენად ხშირად ჰყავს იგი ნახსენები სახელითაც და გვართაც უახლოესი დღეების ჩანაწერებში.

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 205

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-661, გვ. 3-5

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 421.

ლექსი. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვამძლევს იმავე 1957 წელს გალაკტიონის მიერ ჩანიშნული სტრიქონები, სადაც კვლავ გვარი „გულია“ არის სიტყვათა თამაშისთვის გამოყენებული, ამჯერად, ქართულადაც და რუსულადაც და მითითებულია მწერლის სახელიც: „ჭქუხს დიმიდრი გულიაში / ყაურმა და გულიაში. / ეს გულია / დიმიტრია? ტიმიტრია? / Гулия - не - / Гуляние“.<sup>1</sup>

◇ 1957 წლის 28 სექტემბერს გალაკტიონი იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ხვდება კონსტანტინე გამსახურდიას. იწყებენ საუბარს. უბის წიგნაკში პოეტი ამ საუბრის ფრაგმენტს ინიშნავს: „აკადემია. მხვდება კოწია გამსახურდია. - გახსოვს, - ვუთხარი... - გალაკტიონი რომ არ იყოს ლიტერატურაში, ადგილი ნესტორ ტაბიძეს დარჩებოდაო“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი კონსტანტინეს შეახსენებს ოდესღაც ხუმრობით ნათქვამს, ქართულ მწერლობაში გალაკტიონი რომ არ ყოფილიყო მის ადგილს ნესტორ ტაბიძე დაიკავებდაო.

ვინ იყო ნესტორ ტაბიძე? ამის შესახებ გალაკტიონის ერთი ჩანაწერიდან ვიგებთ:

„ნესტორა ტაბიძეც ისე მაღალი იყო, რომ ცხენზე შეჯდომისას უზანგში ფეხის გაყოფა და ცხენის ზურგზე მოხტომა სრულებით არ სჭირდებოდა: იგი პირდაპირ მიწიდან გადაალაჯებდა მარჯვენა ფეხს და უკვე ცხენზე იჯდა, მაგრამ ისე, რომ ცხენის თოხარიკიდან გაქანებაზე გადასვლის შემდეგ, ნესტორი იძულებული იყო, ფეხები მოეკაკვა და ისე გაქანებულიყო. როდესაც ხალხი ამ პოზაში შეხედავდა ნესტორს, უნებურად იხსენებდა ლექსს:

ეს ჩვენი მამასახლისი,  
მაღალია ხესავითა,  
პრისტავი რომ დაიბარებს,  
მაშინ წავა თხლესავითა...“<sup>3</sup>

იგი, ასევე, ნახსენებია პოეტის უსათაურო ლექსის „თუმცა ნაცნობებს ბევრს ვიგონებ ავალიანებს“ ვარიანტშიც:

ელვარებს კაფე „ჭიდოსნური სალამურები“,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 407-408.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 431.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 358.



თუთუნის ბოლნი მიმოდინ, ვით ამურები,  
რისი ამური, აქ ნესტორა ტაბიძის მკლავი,  
გაიშლება და აიშლება ჭერს ღამურები!  
ისე ვით თეფშებს, აქ ნესტორა ისვრის მაგიდებს,  
პიანინოებს ადგილიდან ჭერზე აჰკიდებს...<sup>1</sup>

პოეტის ჩანაწერისა და ლექსის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ფრაზა, რომელსაც გამსახურდიასთან იხსენებს გალაკტიონი, ქართულ მწერლობაში, კერძოდ, პოეზიაში არსებულ იმ სიცარიელეზე მიგვანიშნებს, რაც მის გარეშე დამკვიდრდებოდა – შეიქმნებოდა ისეთი სიტუაცია, რომ გალაკტიონის ნაცვლად მის ადგილს კომიკური ფიგურა, ნესტორ ტაბიძე დაიკავებდა. როგორც ჩანს, კონსტანტინე გამსახურდიას გაგონილი ჰქონდა ნესტორ ტაბიძის შესახებ (საფიქრებელია, თავად გალაკტიონისგან) და სწორედ ამას ემყარებოდა მის მიერ ოდესღაც ხუმრობით ნათქვამი ფრაზა.

◇ 1956 წლის 4 აგვისტოს გალაკტიონი ადგენს რვა პუნქტიან გეგმას, რომელშიც ერთდროულადაა შეტანილი მოსაგვარებელი საქმეები და გასარკვევი საკითხები. გეგმის მესამე პუნქტი ასეთია: „3. საჯაროში: 31 მაისის ნომრები“<sup>2</sup>. რომელი პერიოდული გამოცემის ნომრები აინტერესებს პოეტს? ან – რა ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს იგი საჯარო ბიბლიოთეკაში? ამ კითხვებზე პასუხს აღნიშნულ ჩანაწერში ვერ ვიპოვით. ვფიქრობთ, იგი ცდილობს მოიძიოს ინფორმაცია სომხური კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ, გაარკვიოს, რა პროგრამა ჰქონდათ სომხებს სადეკადოდ. ამ თვალსაზრისის მართებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დასახელებული დეკადა მოსკოვში ჩატარდა 1-13 ივნისს და, ლოგიკურია, ღონისძიების დაწყების წინა დღეს, 31 მაისს, პერიოდულ პრესაში წარმოდგენილი იქნებოდა ამ დეკადის პროგრამა, დეტალური ინფორმაცია დეკადის შესახებ. ამ ვარაუდს განამტკიცებს ისიც, რომ იმ უბის წიგნაკის ბოლოს, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო გეგმაა ჩაწერილი, პოეტს ჩაუნიშნავს:

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-262, გვ. 10.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 6.

„საჯაროში: 1. სომხეთის დეკადის შესწავლა (პარალელურად ჩვენი მიზნების ცოდნა). დაახლოებით 2 საათი. იქ ჩვენი არმიის დარაზმვა“.<sup>1</sup>

◇ გალაკტიონის 1957 წლის 31 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „გადავეცი „ხელოვნებას“ ლექსი „ო, ნანა, ნანა, ნანა“. რამდენი ხანია ამ ლექსს მთხოვდა ოთარ ეგაძე (შემდეგ გამომიგზავნეთო შესწორებული, ჰმ).“<sup>2</sup> გალაკტიონის ამ ჩანაწერიდან სრული ინფორმაციის მისაღებად არაერთი დეტალია დასაზუსტებელი. უპირველესად, უნდა ითქვას, რომ პოეტის მიერ ნახსენები „ხელოვნება“ არის ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, ხოლო ოთარ ეგაძე, ვინც გალაკტიონს დაჟინებით სთხოვდა გადაეცა ლექსი „ო, ნანა, ნანა, ნანა“ ამ ჟურნალის რედაქტორი იყო.

ჩანაწერის მომდევნო მონაკვეთში ვკითხულობთ: „ხელოვნებაში“ მიჩვენეს ჩემი ფოტო. გუშინწინ ოპერის თეატრში ჩუმად რომ გადაულა ახალგაზრდა ფოტოგრაფს“.<sup>3</sup> აქედან ირკვევა, რომ პოეტი თვითონ მისულა რედაქციაში, საფიქრებელია, რედაქტორმა იქვე წაიკითხა ლექსი, რომლის მიტანაც ამდენჯერ სთხოვა ავტორს და, როგორც ჩანს, გარკვეული შესწორებების შეტანა და ნაწარმოების ახალი ვერსიის მოგვიანებით გაგზავნაც სთხოვა. ამ შეთავაზებამ გალაკტიონი დააფიქრა და ირონიულადაც განაწყობ, რასაც ცხადყოფს შორისდებული „ჰმ“: „შემდეგ გამომიგზავნეთო შესწორებული, ჰმ“.<sup>4</sup>

როგორ განვითარდა მოვლენები რედაქციაში ვიზიტის შემდეგ, ჩანაწერიდან არ ჩანს და, შესაბამისად, დღიურის მიხედვით გაურკვეველი რჩება, პოეტი განაწყობდა და ლექსის პუბლიკაცია გადაიფიქრა თუ არა. ამ კითხვაზე პასუხს გვცემს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1957 წლის დასაწყისის ნომრების გადათვალიერება. ირკვევა, რომ ამ ჟურნალის მეორე-მესამე ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსი სათაურით „ნანა“<sup>5</sup> (ეს არის ვარიანტი უსათაურო ლექსისა „ო, ნანა, ნანა, ნანა“).

◇ 1957 წლის 31 იანვარს შალვა ფორჩხიძე გალაკტიონს სჩუქნის წიგნს წარწერით. გალაკტიონს მოსწონს ახალგაზრდა პოეტის საქციელი და

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 62.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 25.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 26.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 26.

<sup>5</sup> ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, N2-3, გვ. 80.

აღნიშნავს, რომ შალვა ფორჩხიძე ძალიან ზრდილობიანი კაცია.<sup>1</sup> სამახსოვრო წარწერით ახალგაზრდა პოეტს გალაკტიონისთვის, რა თქმა უნდა, საკუთარი წიგნი უნდა ერუქებინა. მაგრამ რომელი? ამ დროისათვის შალვა ფორჩხიძე უკვე რამდენიმე კრებულის ავტორი იყო.

ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ, რომ იგი პოეტს ყველაზე ბოლო წიგნს აჩუქებდა, არამარტო იმიტომ, რომ ეგზემპლარების რაოდენობა ჯერ კიდევ ექნებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ბოლო კრებულში უახლესი ლექსები იქნებოდა შეტანილი. ამის გათვალისწინებით, შალვა ფორჩხიძეს გალაკტიონისთვის უნდა ერუქებინა თავისი კრებული „ცისფერ გზაზე“, რომელიც 1954 წელს გამოქვეყნდა.

◇ 1955 წლის 7 მარტის ჩანაწერში გალაკტიონი საუბრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციაში გამართულ დიდ კამათზე<sup>2</sup>, რომელშიც მონაწილეობენ: ლავროსი კალანდაძე, სერგო კლდიაშვილი, თამარ ანდლულაძე, მარიამ ტყემალაძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, გიორგი შატბერაშვილი. გალაკტიონი უსმენს ამ კამათს და ფიქრობს, რომ მალე ეს დისკუსია მთელ საქართველოს მოედება. ჩანაწერში ნახსენებია ვინმე „ქვაჯახია“: „მალე ეს დისკუსია მოედება მთელ საქართველოს, თუ რა ჰქნა ამ ქვაჯახიამ.“<sup>3</sup>

პოეტის დღიურებში „ქვაჯახია“ გარდა ამ ჩანაწერისა, ერთხელ კიდევ არის ნახსენები: „...ლავროსი კალანდაძე, სერგო კლდიაშვილი, თამაზ ანდლულაძე, მარიჯანი, ჯანგულაშვილი, შატბერაშვილი, ქვაჯახია, ბ. ჟღენტე, ეთ. შუშანია, ილია ბახტაძე“<sup>4</sup>

პოეტის ჩანაწერები არ გვამღვეს საშუალებას, დავაზუსტოთ, თუ ვინ არის „ქვაჯახია“. თუმცა, ზოგადლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ის, ვისაც გალაკტიონი ზედმეტსახელით („ქვაჯახია“) მოიხსენიებს, უნდა იყოს მკვლევარი, ფილოსოფოსი ვენორი ქვაჩახია. 1955 წლის დასაწყისისთვის ახალგაზრდა ფილოსოფოსებს შორის გაიმართა პირველი გახმაურებული დისკუსია მეცნიერებისა და შემოქმედების საკითხებზე. კამათი ეხებოდა ფორმალიზმის საკითხებსაც, ამიტომ იგი,

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 27.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 15.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 15.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 59.

როგორც ჩანს, საინტერესო აღმოჩნდა პოეტებისთვის, მათ შორის, გალაკტიონისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვენორი ქვაჩახიამ 1955 წლის დასაწყისში, 17 თებერვალს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია „მეცნიერული სკოლების შესახებ“, რომელსაც ეხმაურება გალაკტიონის კიდევ ერთი ჩანაწერი, სადაც ასევე ყურადღება გამახვილებული კამათის საკითხზე და ნახსენებია გვარის – „ქვაჩახია“ კიდევ ერთი ვარიანტი „კვაჭახია“: „რა ყოფილა ეს მარიჯანი. სამი კაცი დაეხვია (ლავროსი, სერგო, თამარი) და ვერაფერი დააკლეს. მე როგორ ვიქნები. რა ყოფილა? რა ყოფილა. ნეტავი ხვალვე დაიხვეს, თუ არა? არ დაიხვეს. მისი სახით ლაპარაკობს ბევრი. კვაჭახია“.<sup>1</sup>

◇ გალაკტიონის ერთ-ერთ ჩანაწერში გვხვდება ასეთი ფრაზა: „1956. 1 ენკენისთვე. ოსების გამოფენა“.<sup>2</sup> ამ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული მასალის გადასინჯვამ ცხადყო, რომ თბილისში მოეწყო „ჩრდილო ოსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა“. ამ გამოფენას ვრცელი მიმოხილვითი ხასიათის სტატია მიუძღვნა იგორ ურუშაძემ სათაურით „ჩრდილო ოსეთის სახვითი ხელოვნება“<sup>3</sup>

◇ 1956 წელს გალაკტიონი წერს ლექსს სათაურით „მაია წყნეთელი“<sup>4</sup>. ამ ლექსის ხელნაწერის მომდევნო გვერდზე ჩანახატია, რომელიც 1956 წლის 10 იანვრით არის დათარიღებული<sup>5</sup>. როგორც ჩანაწერი, ისე ჩანახატი ერთი და იმავე მელნითაა შესრულებული. ვფიქრობთ, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 10 იანვრამდე. სავარაუდოდ, ამ ლექსის შთაგონების წყარო უნდა გამხდარიყო მარჯანიშვილის თეატრში ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „მაია წყნეთელი“, რომლის პრემიერაც 1955 წლის 1 მარტს შედგა. 1955 წლის 8 მარტს გალაკტიონი გაეცნო რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ გამოქვეყნებულ მურმან კიკვაძის რეცენზიას სათაურით „სპექტაკლი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 22.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-370, გვ. 12;

<sup>3</sup> ი. ურუშაძე, ჩრდილო ოსეთის სახვითი ხელოვნება, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1956, #6, გვ. 18-21.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 26.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 27.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 17.

ხალხის გმირ ქალიშვილზე“<sup>1</sup>, რომელიც სწორედ აღნიშნულ სპექტაკლს ეძღვნებოდა და საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულებაც გამოხატა უბის წიგნაკში ამ რეცენზიის მიმართ<sup>2</sup>. როგორც ჩანს, მოგვიანებით პოეტმა ნახა ეს სპექტაკლი და ჰეროიკული კომედიისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ლექსის სახე მისცა. ლექსი დაწერილია სონეტის ფორმით, რაც საგულისხმო ფაქტია, რადგან ეს ფორმა (ისევე, როგორც სხვა ევროპული სალექსო ფორმების უმრავლესობა) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანდათან იშვიათი გახდა ქართულ პოეზიაში.

◇ 1955 წლის 19 მაისს გალაკტიონს ჩაუწერია: „გამოვიდა ჟურნ. „დროშის“ მორიგი ნომერი მორიგი ინტრიგით (გრო აბაშიძე. რა იცის მან მონტესკიესი?).“ პოეტი უნდა გულისხმობდეს ჟურნალ „დროშის“ მეხუთე ნომერს, რადგან სწორედ აქ არის დაბეჭდილი სტატია სათაურით „მონტესკიე“. ეს სტატია ხელმოწერის გარეშეა გამოქვეყნებული, მაგრამ, როგორც ჩანს, გალაკტიონმა იცოდა, რომ იგი ჟურნალის რედაქტორს, გრიგოლ აბაშიძეს ეკუთვნოდა.

◇ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით ვერ მოხერხდა დაზუსტება, ნამდვილად აპირებდა თუ არა „საერთაშორისო წიგნი“ გალაკტიონის კრებულის ევროპაში გავრცელებას, როგორც ეს პოეტის ჩანაწერშია ნათქვამი<sup>3</sup>. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ფაქტს საეჭვოდ მიიჩნევს პოეტის შემოქმედების მკვლევარი ვახტანგ ჯავახიძე.<sup>4</sup>

◇ 1955 წლის 15 ივლისს გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „15 ივლისს ვიყავი ამხ. გურგენიძესთან, ვახტანგთან. მომცა აფიშა“. ვფიქრობთ, ეს აფიშა უნდა იყოს ივლის-აგვისტოში მესხეთ-ჯავახეთში დაგეგმილი გალაკტიონის შემოქმედებითი სადამოების აფიშა, მით უფრო, რომ ვახტანგ გურგენიძემ მესხეთ-ჯავახეთში გალაკტიონთან ერთად იმოგზაურა.

---

<sup>1</sup> М. Киквадзе, „Спектакль о героической дочери народа“. газ. „Заря Востока“, 1955, N56, 8 март, стр.3.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 17.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-340, გვ. 2.

<sup>4</sup> ვ. ჯავახიძე, „უცნობი“, 2013, გვ. 122.

◇ 1955 წელს გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „მნათობი“ №7. ალექო შენგელია“.<sup>1</sup> ჩანაწერი 2 ივნისით დათარიღებულ ტექსტებთან ერთად არის წარმოდგენილი, რის გამოც, ვფიქრობთ, ისიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერი ივლისში გამოვიდა და მასში ალექო (ალექსანდრე) შენგელიას არცერთი ნაწარმოები არაა დაბეჭდილი. რას გულისხმობს პოეტის ჩანაწერი ამკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, „მნათობის“ ეს ნომერი რატომ იყო გალაკტიონისთვის საინტერესო. ჟურნალის აღნიშნულ ნომერში იბეჭდება ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“, სადაც პროზაიკოსი ახსენებს გალაკტიონს. როგორც ჩანს, ამ ფაქტის შესახებ წინასწარ იცოდა ალექო შენგელიამ და ეს ინფორმაცია მიაწოდა პოეტს, რომელმაც უბის წიგნაკში ჩაინიშნა ცნობა.

◇ 1955 წლის 27 ივლისით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი მოგვითხრობს, როგორ გაემგზავრა მატარებლით ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად ბორჯომისკენ. ჩანაწერი, რომელსაც დღიურის დაახლოებით ორი გვერდი ეთმობა, მეღნიტ არის შესრულებული. პირველი გვერდის დასასრულს ტექსტი, სადაც ვაგონისა და მგზავრების შესახებ გვესაუბრება პოეტი, წყდება. მეღანს ფანქარი ანაცვლებს, ამბის შინაარსიც იცვლება: ვაგონიდან მთხრობელი დარბაზში გადაინაცვლებს<sup>2</sup>. შემდეგი გვერდის მეორე ნახევრიდან კვლავ მეღნიტ ნაწერი გრძელდება და ისევ მატარებლით მგზავრობის ამბებია გადმოცემული. პოეტი თვითონვე მიგვანიშნებს, რომ ფანქრით ნაწერი ჩანართი სხვა დღის, კერძოდ, წინა დღის ამბებს მოგვითხრობს. „ოთხშაბათია დღეს. გუშინ ბევრი საქმეები გავაკეთე“<sup>3</sup> – ეს არის ორგვერდიანი ჩანაწერის პირველ გვერდზე მეღნიტ დაწერილი ბოლო ფრაზა. 1955 წლის 27 ივლისი მართლაც ოთხშაბათი იყო, ხოლო მოგზაურობის წინა დღეს, 26 ივლისს, როგორც ჩანაწერის შინაარსიდან ჩანს, პოეტი თავის მომავალ თანამგზავრებთან ერთად იმყოფებოდა მთავრობის სახლში: „Правительственный зал“. უზარმაზარი 3 ოთახია, 4. გივი. „მთავრობის მოსაცდელ დარბაზში“ ვართ“<sup>4</sup>. ამავე ჩანაწერში არაერთხელ არის ნახსენები სიტყვა „ჟენევა“: „ჟენევის სული, ჟენევის

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 32.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 33-34.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 33.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 33.

სული, ჟენევის სიმფონია, ჟენევის სიმფონია“. რატომ გაახსენდა პოეტს მთავრობის სახლში ყოფნისას შვეიცარიის ქალაქი ჟენევა, ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ 1955 წლის ივლისის მსოფლიო პოლიტიკის ამბებს, კერძოდ, იმას, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი ბულგანინი, უმაღლესი პრეზიდენტის წევრი ნიკიტა ხრუშჩოვი, თავდაცვის მინისტრი გიორგი ჟუკოვი და უმაღლესი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ შვეიცარიაში, ჟენევაში, „ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე“. ამ თათბირის შედეგებს საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს. რასაც გალაკტიონის ჩანაწერიც ადასტურებს. პოეტი, როგორც ჩანს, პოზიტიურადაა განწყობილი ამ პოლიტიკური მოვლენის მიმართ და ფიქრობს, რომ მთავრობის მოსაცდელ დარბაზშიც კი იგრძნობა ჟენევის თათბირის – ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარების სურვილი და განწყობილება.

◇ გალაკტიონის უბის წიგნაკში ჯერ რუსული გაზეთიდან „ლიტერატურნაია გაზეტა“ ამოწერილ ტექსტს ვკითხულობთ,<sup>1</sup> შემდეგ კი ქართული ტექსტია.<sup>2</sup> ეს ტექსტი, პოეტის ცნობით, წარმოადგენს ვინმე ლეონ ბეჟიტაშვილის წერილს, რომელიც მას მწერალთა კავშირში გაუგზავნია. არასაკმარისი ფაქტობრივი მასალის გამო, შეუძლებელია, ზუსტად ითქვას, ეს ნამდვილად რეალური პიროვნების წერილია თუ გალაკტიონისეული მისტიფიკაცია. უბის წიგნაკში ჩანაწერების თანმიმდევრობის, მათი შინაარსის, ასევე, წერილისადმი გალაკტიონის მიერ გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესის გამო, ვფიქრობთ, რომ, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო პოეტის ერთგვარი მისტიფიკაცია. მან, როგორც ჩანს, წაიკითხა რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია, მოეწონა იქ არსებული ინფორმაცია „პოეტის დღის“ მოწყობის თაობაზე და გაუჩნდა სურვილი, მსგავსი ღონისძიება ქართველი პოეტებისთვისაც მოეწყობა. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელისთვის ამ იდეის უშუალო შეთავაზებას, რატომღაც ამჯობინა, ინიციატივა უცხო ადამიანის – მკითხველის სახელით ყოფილიყო გამოხატული.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 41.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 42-43.

◇ 1948 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ დღიურში<sup>1</sup> გალაკტიონი წერს, რომ მისი ავადმყოფი ძმის მოსანახულებლად მოვიდა კორნელი თავისი ცოლით, მინადორათი. იგი არ აღნიშნავს კორნელის გვარს, არც სხვა რაიმე მინიშნებას არ გვაძლევს. მის ჩანაწერებში სახელი კორნელი, არაერთხელ გვხვდება, ძირითადად იგულისხმებიან აკადემიკოს კორნელი კეკელიძე და მხატვარი კორნელი სანაძე. ასეთ შემთხვევებში, თუკი რომელიმე მათგანი გვარის გარეშე არის მოხსენიებული მათი ვინაობის გარკვევა კონტექსტით არის შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში კორნელის მეუღლის სახელის მიხედვით ირკვევა, რომ აბესალომ ტაბიძის მოსანახულებლად მისულა კორნელი კეკელიძე და მისი მეუღლე მინადორა კასრაძე.

◇ 1948 წლის 22 აგვისტოს ჩანაწერში<sup>2</sup> გალაკტიონი ირაკლი აბაშიძეს სახელითა და გვარით არ მოიხსენიებს, იგი წერს „მნათობელა“ ირაკლი“, როგორც ჩანს ეს ირაკლი აბაშიძის ზედმეტსახელია, რადგანაც ჟურნალ „მნათობს“ 1947–1953 წლებში რედაქტორობდა ირაკლი აბაშიძე. 1948 წლის 20 სექტემბერს გალაკტიონი ირაკლი აბაშიძეს უკვე განცხადებით მიმართავს (ბ-24551-170), რომელშიაც ითხოვს ჟურნალში „მნათობი“ დაიბეჭდოს მისი ლექსები: 1. „ახალგაზრდობას“, 2. „ისევ ახალგაზრდობას“, 3. „რიდ-ფარმი“, 4. „ახალგაზრდა ქალი მოხვეის“, 5. „ეგ არის და გორის ციხე“ და ჰონორარის ანგარიშში ხუთი ათასი (5.000) მანეთის გამოწერას.

ამავე ჩანაწერში ირაკლი აბაშიძესთან და კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან ურთიერთობის შესახებ გალაკტიონი ახსენებს მაჟინოს, იგი წერს „უნდა მოვუაროთ მაჟინოს“, „მოვუაროთ მაჟინოს“. მაჟინოს ხაზი (ფრანგ. la Ligne Maginot) იყო ფრანგული თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი გერმანიის საზღვარზე, ააგეს 1929-1934 წლებში გერმანიის აგრესიის მოგერიების მიზნით. კონსტრუქცია განლაგებული იყო იტალიის, შვეიცარიის, გერმანიისა და ლუქსემბურგის საზღვრებთან საფრანგეთის მხარეზე. 1940 წელს გერმანიამ არდენის გავლით სწრაფად მოუარა მაჟინოს ხაზს

<sup>1</sup> კლმ. დ-217, გვ. 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 405.

<sup>2</sup> კლმ. დ-215, გვ. 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 380-381.



ჩრდილოეთიდან საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ მაჟინოს გარნიზონი დანებდა. ზოგ ჩანაწერში გალაკტიონი რეალურ „მაჟინოს ხაზს“ ახსენებს, მაგრამ აქ, ვფიქრობთ, გადატანითი მნიშვნელობით ამბობს. ის ბევრი კოლეგისგან გრძნობდა ფარულ აგრესიას და არაერთხელ აღნიშნავდა, რომ სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. ვფიქრობთ, გალაკტიონის მაჟინოს ხაზი სწორედ ეს სიფრთხილე და სიფხიზლე უნდა ყოფილიყო უამრავი არაკეთილგანწყობილი ადამიანის გარემოცვაში. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს იგი მოიხსენიებს როგორც ფუქსს რომელიც ირაკლის ეხმარება. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვკითხულობთ: „ფუქს-ი [გერმ. Fuchs მელია], ბილიარდში: შემთხვევით მოგებული (ლუზაში ჩადგებული) ბურთი“. სავარაუდოდ, გალაკტიონი კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ამ ჩანაწერში მელიას უწოდებს.

◇ 1948 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი ახსენებს სანდრო შანშიაშვილსა და რაჟდენ გვეტაძეს და ციტირებს მათდამი მიძღვნილ ლექსს, რომელშიც ნათქვამია, რომ ერთი მძახალი მეორეს ჰპირდება წიგნის გამოცემას და მაღალი ჰონორარის მიცემას. შანშიაშვილი და გვეტაძე მართლაც მძახლები იყვნენ, სანდრო შანშიაშვილის შვილი ცისია შანშიაშვილი რაჟდენ გვეტაძის ვაჟიშვილის, რამაზის მეუღლე იყო. აქვე გალაკტიონი ახსენებს წინასაიუბილეო ამბებს, მაგრამ არ წერს ვისი იუბილე იგულისხმება. ამავე დღიურის დასაწყისში, ნათქვამია, რომ მწერალთა კავშირი ემზადება სანდრო შანშიაშვილის 40 წლის იუბილეს გადასახდელად და ამიტომ ცდილობენ გალაკტიონის შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლის 40 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნას ხელი შეუშალონ.

◇ 1948 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებულ ჩანაწერში<sup>2</sup> გალაკტიონი წერს მცირე მოგონებას ცისფერყანწელებსა და ათიანი-ოციანი წლების მწერლობასა და ლიტერატურულ დაჯგუფებებზე. იგი ახსენებს კორექტურული შეცდომებით გაბუნდოვანებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს „ვირების მესია“ და „დრუმო“, თუმცა არ ახსენებს, რომ ამ ნაწარმოებების ავტორები რაჟდენ გვეტაძე და გიონ

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369-370.

<sup>2</sup> ქლმ. დ-213, გვ. 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 371.

საგანელი არიან. ტექსტში ალექსეი კრუჟონიხი მხოლოდ გვართ არის მოხსენიებული.

◇ 1921 წელს საქართველოში ორი სხვადასხვა ჟურნალი „ხელოვნება“ იბეჭდებოდა, ორივე ჟურნალში არის გალაკტიონის პუბლიკაციები. პირველი არის ყოველთვიური ჟურნალი „ხელოვნება“, რომლის გამომცემელი იყო იოსებ (სოსო) ასლანიშვილი და 1919 წელს დაარსდა ქუთაისში. ჟურნალი იბეჭდებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში; ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წელს სახელწოდებით „თეატრი და მუსიკა“ და ამ ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის მცირე პიესა: „თეატრები“ (რეჟისორის, ჰამლეტისა და ოფელიას პოლემიკა)<sup>1</sup>. 1920 წელს ჟურნალის სახელწოდება შეიცვალა და ჟურნალის მეორე ნომერი დაიბეჭდა განსხვავებული სახელწოდებით „ხელოვნება“. ჟურნალის უკანასკნელი, მესამე ნომერი ამავე სახელწოდებით დაიბეჭდა 1921 წლის იანვარში. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი ყოველთვიური უნდა ყოფილიყო სამი წლის მანძილზე სულ გამოვიდა სამი ნომერი. როგორც ჩანს, ჟურნალის უკანასკნელი, მესამე ნომერი, სავარაუდოდ, უსახსრობის გამო დაგვიანებით გამოიცა, ამიტომ მიხეილ ბოჭორიშვილის რეცენზიაც გალაკტიონის ლექსების მეორე კრებულის შესახებ გვიან დაიბეჭდა, გალაკტიონის კრებული „Cräne aux fleurs artistiques“ 1919 წლის 24 მაისამდეა გამოცემული<sup>2</sup>. ამის შემდეგ ქუთაისში გამომავალი ჟურნალი „ხელოვნება“ აღარ გამოცემულა, მაგრამ ამავე, 1921 წლის მაის-ივნისში განათლების სახალხო კომისარიატმა (განსახკომმა) დააარსა სახალხო განათლების კომისარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტის ლიტერატურული განყოფილების ორგანო ორკვირეული სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალი „ხელოვნება“. ჟურნალი გამოდიოდა სარედაქციო კოლეგიის რედაქტორობით. ამ ჟურნალთან თანამშრომლობა გალაკტიონს 1921 წლის მაის-ივნისშივე შესთავაზა პედაგოგმა და მწერალმა მიხეილ აბრამიშვილმა, რომელთანაც პოეტს მეგობრული ურთიერთობა

---

<sup>1</sup> „თეატრები“, ჟურნ. „თეატრი და მუსიკა“, 1919, №1, გვ. 19-20.

<sup>2</sup> ჟურნ. „ხელოვნება“, 1921, №3, გვ. 28.

აკავშირებდა. ჟურნალში დაიბეჭდა მასალები გალაკტიონ ტაბიძის შესახებ<sup>1</sup>.

◊ 1947 წლის იანვრით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>2</sup>, რომელიშიც პოეტი გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალებით და მისი დამკრძალავი კომისიის მუშაობით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს წერს, იგი აღშფოთებულია, რომ თანამდებობის პირები უხეშად იჭრებიან ოჯახებში. ტექსტის ბოლოს აღნიშნავს: „ამიერიდან საქართველოში მე არ მეგულება არც ერთი პატიოსანი ოჯახი!.. რა უნდათ მათ, რისთვის, რისთვის იჭრებიან ოჯახებში?“. ამ ჩანაწერს ეხმიანება 1956 წლის 18 თებერვით დათარიღებული უსათაურო ლექსის „ტრფობას სამშობლოსადმი“ სტრიქონები: „წყლული ვით მოშუშდება / საამო მოშუშებით, /მწერლობა, ოჯახები / აივსო ჯაშუშებით“. პოეტი საკუთარ სახლში მცხოვრებ ადამიანებსაც ხშირად ეჭვის თვალით აკვირდება და ფიქრობს, რომ მოგზავნილები არიან.

---

<sup>1</sup> ჟურნ. „ხელოვნება“, 1921, №1, გვ. 16. ჟურნ. „ხელოვნება“, 1921, №2, გვ. 8.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-180, გვ. 7-9. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 8, 9.

## ინფორმაციის დაზუსტება მეორეული წყაროებიდან თეა თვალავაძე

◇ პაოლო იაშვილის მიერ იოსებ გრიშაშვილთან გაგზავნილ 1915 წლის 20 მარტის წერილში ვკითხულობთ: „ეს წუთია, მივიღე შენი მოულოდნელი ცნობა გ. ტაბიძის შესახებ. შენს წერილში ერთი საოცრება არის. მწერ: „ეს სულ შენ შემძღვენი. რა გინდოდა ჩემგან“. მწერ იმ გვარად, თითქოს დიდი უბედურება გწვევოდეს. შენ მეტად დიდ ყურადღებას აქცევ ამ გვარ ამბებს. ამაში ერთგვარი უნებობა არის. შენ კარგათ იცი, რა მოსაზრებით დაგაწერიე გ. ტაბიძე: ის იყო ჩვენი მეგობარი, აქამდის მაინც. მაგრამ სჩანს, ახლა სხვა მეგობრები გაჩენია და რა გზახედაც დაუყენებიათ მათ, იგი ამ შემთხვევიდანაც სჩანს. „თანამედროვე აზრში“ მოთავსებულ წერილს ჯერ არ ვიცნობ. დღესვე წავიკითხავ, და, შენი თხოვნისგვარად, წერილსაც მოვიწერები შენ სახელზე. შენ დაბეჭდე, სადაც გასურს“<sup>1</sup>. საუბარია გაზეთში „თანამედროვე აზრი“ 18 მარტს რუბრიკაში „წერილები რედაქციის მიმართ“ გალაკტიონ ტაბიძის გამოქვეყნებულ განცხადებაზე, რომელშიც განმარტავს, რომ ხშირად ხვდება მასთან შეუთანხმებლად აფიშებზე მიწერილ თავის სახელსა და გვარს. ასახელებს „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ განცხადებას იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული სადამოს შესახებ, რომელშიც თითქოს უნდა მიეღო მონაწილეობა, და ფიქრობს, რომ ეს არის მის წინააღმდეგ მიმართული შანტაჟი.<sup>2</sup> გაზეთში „სამშობლო“ სადამოს შესახებ განცხადება გამოქვეყნდა 4 მარტს<sup>3</sup>, შესაბამისად, პაოლო იაშვილმა იოსებ გრიშაშვილს სადამოს აფიშაში გალაკტიონის გამოცხადება ურჩია ამ თარიღამდე. რაც შეეხება პაოლო იაშვილის მიერ ახალი წერილის მიწერას, რომელიც გრიშაშვილს უნდა დაებეჭდა რომელიმე პერიოდულ გამოცემაში, იგულისხმება გაზეთში „თანამედროვე აზრი“ რუბრიკაში „წერილები რედაქციის მიმართ“ 9 აპრილს გამოქვეყნებული პაოლო იაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის განცხადება, რომელშიც პაოლო იაშვილი განმარტავს, რომ იოსებ გრიშაშვილს მან ურჩია 5 მარტის სადამოზე გამომსვლელთა შორის

<sup>1</sup> ცისფერყანწელების მიმოწერა, წ. I, თბ., 2018, გვ. 27.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 18 მარტი, №15, გვ. 4.

<sup>3</sup> გაზ. „სამშობლო“, 1915, 4 მარტი, №26, გვ. 2.

გალაკტიონ ტაბიძის გვარის შეტანა, რადგან ის ყოველთვის სიამოვნებით კითხულობდა ლექსებს მის სადამოზე, თან სურდათ მისი პატივისცემა და შანტაჟს ადგილი არ ჰქონდა. იოსებ გრიშაშვილი კი ამატებს, რომ რადგან გალაკტიონ ტაბიძე ვეღარ ინახულეს, მისი სახელი ამოშალეს განცხადებიდან და მის ნაცვლად მიიწვიეს კონსტანტინე ჭიჭინაძე<sup>1</sup>.

◇ 1917 წლის 2 იანვარს ტიცვიან ტაბიძე მოსკოვიდან ვალერიან გაფრინდაშვილს სწერს: „გალაკტიონის სადამომ როგორ ჩაიარა, „მეგობარში“ წავიკითხე რეცეზია, თითქო ძალიან საინტერესოა, მაგრამ გიტარის რომანსებს იმის გარდა, რომ პროვინციის სუნი უდის, ისედაც მიუღებელია, მე მგონია“<sup>2</sup>. საუბარია ქუთაისის თეატრში 23 დეკემბერს გამართულ გალაკტიონ ტაბიძის სადამოზე, რომლის შესახებ გაზეთში „ჩვენი მეგობარი“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ამ საინტერესო სადამოს ბევრი ხალხი უნდა დასწრებოდა<sup>3</sup>.

◇ 1927 წლის 8 თებერვალს კოლაუ ჩერნიავესკი გალაკტიონ ტაბიძეს უღვნის ლექსების წიგნს წარწერით: „Королю Грузинских поэтов, Колау Чернявский, 8/февр-27“ („ქართველი პოეტების მეფეს, კოლაუ ჩერნიავესკი, 8 თებერვალი, 27“)<sup>4</sup>. გალაკტიონ ტაბიძე წიგნის ტიტულზე წერს ლექსს: „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, / არ-არსებობად წასულან რიგნი – / უკმაყოფილო და კმაყოფილი... / რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი... გ. ტაბიძე, 1945, გაზაფხული“. ლექსზე წლის ბოლო ციფრი არ იკითხება, მაგრამ უდავოა, რომ 1945 წელს დაიწერა, რადგან ამავე წლის 23 მაისს წერს ლექსის სრულ უსათაურო ვარიანტს „მე შენი წიგნი შემხვდა შემთხვევით...“, მიძღვნით – „ჩერნიავესკის“<sup>5</sup>. საგულისხმოა, რომ გალაკტიონის ამ ლექსის შინაარსისა და თარიღის მიხედვით, ზუსტდება, რომ კოლაუ ჩერნიავესკი უნდა გარდაცვლილიყო სწორედ 1945 წელს, და არა სხვადასხვა წყაროში მითითებულ სავარაუდო წლებში: 1947, 1942 ან 1943 წლებში.

<sup>1</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 9 აპრილი, №31, გვ. 4.

<sup>2</sup> ცისფერყანწელების მიმოწერა, წ. I, თბ., 2018, გვ. 70.

<sup>3</sup> NN, „გალაკტიონ ტაბიძის სადამო“, გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, 25 დეკემბერი, 242, გვ. 3.

<sup>4</sup> ქლმ. ტ-708, Колау Чернявский, Письма (стихи), Тифлис, 1924.

<sup>5</sup> ქლმ. ა-997. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VI, თბ., 2005, გვ. 291.

◇ მიხეილ ჯავახიშვილი გალაკტიონ ტაბიძეს ჩუქნის თავის წიგნს „კურკას ქორწილი“ წარწერით: „ძვირფას არიფს, გალაქტიონ ტაბიძეს – ავტორი მ. ჯავახიშვილი, 7/V. 1927“. არიფში იგულისხმობა წევრი სალიტერატურო ჯგუფისა „არიფიონი“, რომელიც შეიქმნა 1927 წელს და ამ ჯგუფის წევრებიც იყვნენ როგორც მიხეილ ჯავახიშვილი, ისე გალაკტიონ ტაბიძე.

◇ 1935 წელს რუსი მწერალი ილია ერენბურგი ჩუქნის წიგნს წარწერით: „Поэту Галактиону Табидзе от всего сердца за память о нашем встрече в Париже“<sup>1</sup>. („პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს მთელი გულით პარიზში ჩვენი შეხვედრის მოსაგონრად“). გალაკტიონ ტაბიძე პარიზში დაესწრო მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ საერთაშორისო კონგრესს, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ილია ერენბური და ჩატარდა 1935 წლის 21-25 ივნისს. ვფიქრობთ, წიგნი გადასცა სწორედ ამ პერიოდში.

---

<sup>1</sup> ქლმ. ტ-471, [Илья Эренбург](#), „Виза Времени“, Берлин: Петрополис, 1930.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თორმეტტომეულის პირველ ტომში დაბეჭდილია ოთხსტროფიანი უსათაურო ლექსი „დიდად მჭევრმეტყველებენ“:

„დიდად მჭევრმეტყველობენ,  
მაგრამ დიდად ცდებიან:  
გვითხარითო, წარსული  
აწ რა კაპიტალია?  
მაგრამ მკვდრები იგრძნობენ,  
მკვდრები წამოდგებიან,  
და წამოვლენ, წამოვლენ,  
როგორც ზღვა ან კალია.  
იგი მამა და პაპა,  
პაპის პაპა, ბებია -  
ყველა გამძაფრებული  
რისხვა და გრიგალია.  
აბა, მაშინ კი - თავი  
რომელს მოსძულებია,  
რომ არა თქვას: ცცდებოდით, -  
უგონობის ბრალია...!“

ლექსი პირველად 1957 წელს გამოცემულ გ. ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომში დაიბეჭდა. ავტორმა იგი პუბლიკაციისას 1916 წლით დაათარიღა. როგორც ჩანს, ავტორისეული დათარიღების გათვალისწინებით შეიტანეს ტექსტი გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემის თორმეტტომეულის პირველ ტომში, პოეტის ადრეულ ნაწარმოებებთან ერთად. ორმოცწლიანი სხვაობა ლექსის დაწერისა და გამოქვეყნების თარიღებს შორის ეჭვს აღძრავს და აჩენს ვარაუდს, რომ ლექსი 1910-იან ან თუნდაც 20-იან წლებში არ უნდა იყოს შექმნილი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ არც შინაარსობრივად და არც სტილის მხრივ გალაკტიონის 1910-იანი წლების ლექსებთან ეს ნაწარმოები კავშირს არ ამჟღავნებს. ჩვენამდე მოღწეულია ამ

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1966, გვ. 378.

ლექსის სამი ავტოგრაფი, რომლებიც, რა თქმა უნდა, შევისწავლეთ, თუმცა ხელნაწერებზე დაკვირვება ლექსის თარიღის დადგენის მიზნით უშედეგო აღმოჩნდა. გალაკტიონის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, მათ შორის მის თარგმანებზე დაკვირვებამ კი ცხადყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსი ენობრივად და შინაარსობრივად ახლოს იყო პოეტის მიერ გილბერტ კით ჩესტერტონის (Gilbert Keith Chesterton) ნაწარმოებიდან შესრულებული თარგმანის ერთ მონაკვეთთან. შევადაროთ გალაკტიონის თარგმანი და პოეტის 1916 წლით დათარიღებული ორიგინალური ლექსის – „დიდად მჭევრმეტყველობენ“ – მეორე-მესამე სტროფები. ჩესტერტონის ტექსტის გალაკტიონისეული თარგმანი:

„ჭაობიან ქალაქში, სადაც ყველა მკვდარია,  
პარლამენტი ჰკითხულობს: შინ მიდიხარ თუ არა,  
სდუმს სახლი და ტაძარი: შინ ვის მიუხარია,  
თუ სიკვდილმა მთელ ქალაქს თავზე გადაუარა?  
**მაგრამ მკვდრები იგრძნობენ, მკვდრებიც წამოდგებიან,  
და წამოვლენ, წამოვლენ, როგორც ზღვა ან კალია;  
იგი მამა და პაპა, პაპის პაპა, ბებია,  
ყველა გამძაფრებული რისხვა და გრიგალია.**

ჰეი, მკვდრეთით აღმდგარნო, შინ მიდიხართ თუ არა?  
ჰერალდო და მებუკვე, შინ მიდიხართ თუ არა?  
მომყეთ! ვისაც იმედის შუქი ეალუბლება  
და სწყურია უფლება. შინ მიდიხართ თუ არა?!”

გალაკტიონის ლექსის – „დიდად მჭევრმეტყველობენ“ შესაბამისი მონაკვეთი:

„მაგრამ მკვდრები იგრძნობენ,  
მკვდრები წამოდგებიან,  
და წამოვლენ, წამოვლენ,  
როგორც ზღვა ან კალია.  
იგი მამა და პაპა,  
პაპის პაპა, ბებია –  
ყველა გამძაფრებული

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 665.



რისხვა და გრიგალია.<sup>1</sup>“

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საინტერესოა, ერთი მხრივ, ის, რომ პოეტის ორიგინალური ლექსი „დიდად მჭევრმეტყველებენ“ შთაგონებული ყოფილა ინგლისელი ავტორის იმ ტექსტით, რომელიც თვითონვე თარგმნა, მაგრამ, მეორე მხრივ, რაც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნათარგმნი ტექსტი გალაკტიონის მიერ ზუსტადაა დათარიღებული: „24 დეკ., 1931“. ვფიქრობთ, ნათარგმნი ტექსტისა და ორიგინალური ლექსის სტრიქონების სიახლოვე (თარგმანისეული ფრაზების თითქმის უცვლელად განმეორება) აშკარად მეტყველებს, რომ ორიგინალური ლექსი 1931 წლის 24 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი, ანუ იმის შემდეგ, რაც პოეტმა ჩესტერტონის ნაწარმოები თარგმნა. დათარიღების პარალელურად გავარკვიეთ ამ თარგმანის წყაროს რაობაც. გალაკტიონს ხელნაწერში, ტექსტის დასაწყისში მიუთითებია „ჩესტერტონი“, ხოლო ტექსტის ბოლოს მიუწერია „მე და ოლიამ ვთარგმნეთ“.<sup>2</sup>

ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი, გილბერტ კით ჩესტერტონი (1874-1936) რამდენიმე ათეული წიგნის ავტორია, იგი წერდა რომანებს, ესეებს, ლექსებს, დრამებს. როგორც მის პოეტურ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, გალაკტიონის მიერ შესრულებული თარგმანი ჩესტერტონის ლექსებთან სიახლოვეს არ ამჟღავნებდა. სამაგიეროდ, შედეგიანი გამოდგა მწერლის პროზაულ თხზულებათა გადასინჯვა. აღმოჩნდა, რომ ჩესტერტონის რომანში „The Flying Inn“ („მფრინავი სამიკიტნო“// „მფრინავი დუქანი“) არის რამდენიმე პოეტური ჩანართი და მათ შორისაა ის ტექსტიც, რომელიც გალაკტიონისეული თარგმანის წყაროს უნდა წარმოადგენდეს:

In the city set upon slime and loam  
They cry in their parliament „Who goes home?“  
And there is no answer in arch or dome,  
For none in the city of graves goes home.  
Yet these shall perish and understand,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1966, გვ. 378.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, 4178.

For God has pity on this great land.  
Men that are men again; who goes home?  
Tocsin and trumpeter! Who goes home?  
For there's blood on the field and blood on the foam,  
And blood on the body when man goes home.  
And a voice valedictory – Who is for Victory?  
Who is for Liberty? Who goes home?”<sup>1</sup>

გალაკტიონისეული თარგმანი შინაარსობრივად იმდენად ახლოსაა პირველწყაროსთან, რომ შესაძლებელია, დამატებითი არგუმენტი აღარც კი იყოს საჭირო, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ: 1930 წლით დათარიღებულ ერთ უბის წიგნაკში პოეტს ჩაუწერია ჩესტერტონის დასახელებული რომანის რუსული სახელწოდება: „Дж. Честертон - „Перелетный кабак“ და იქვე საუბრობს ამ რომანის შინაარსზე: „ენტუზისტი პოეტი, როგორც ჩანს, ჩესტერტონის რომანიდან, ბევრი რამის შემძლებელია. მოხეტიალე პოეტი ახდენს აჯანყებას, და იმარჯვებს კიდევ...“<sup>2</sup>

◇ გალაკტიონის 1957 წლის 17 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „შოთა ლომსაძე. ლექსები. „მნათობი“. №4. \*\*\*ჩემი სიცოცხლის ძალა და ემზი. მესხური სადღეგრძელო. მგზავრობა თოვლში. ადრიაწე. მოგონება“...<sup>3</sup> ამ სტრიქონებს უბის წიგნაკში მოსდევს რამდენიმე ფრაგმენტი შოთა ლომსაძის სხვადასხვა ნაწარმოებიდან. რადგან გალაკტიონის ტექსტს დასაწყისშივე, ზუსტად იმავე კალმით მიწერილი აქვს „მნათობი“, N4“, ბუნებრივია, პირველი ვარაუდი, რაც ჩნდება, არის ის, რომ პოეტს ჟურნალის მითითებული ნომრიდან უნდა ამოეწერა შოთა ლომსაძის ეს სტრიქონები. თუმცა „მნათობის“ ამ ნომრის გადათვალთვალების შედეგად გაირკვა, რომ აქ შოთა ლომსაძის ნაწარმოებები არ გამოქვეყნებულა. არათუ მეოთხე ნომერში, არამედ ზოგადად 1957 წელს ამ პოეტს არცერთი ლექსი არ დაუბეჭდავს დასახელებულ ჟურნალში. რას უნდა ნიშნავდეს გალაკტიონის ჩანაწერში ჟურნალსა და მის ნომერზე მითითება? ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის, რომ „მნათობი“

---

<sup>1</sup> G. K. Chesterton, „The Flying Inn“

<https://www.gutenberg.org/cache/epub/59239/pg59239-images.html>

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-57, გვ. 5-6.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 379-380.

თვეში ერთხელ გამოდიოდა და ჟურნალის მეოთხე ნომერი აპრილში უნდა დაბეჭდილიყო. თუ გავიხსენებთ, რომ გალაკტიონის უბის წიგნაკში ჩანიშნული ტექსტი 17 თებერვლით არის დათარიღებული, ცხადი გახდება, პოეტი უკვე არსებულ პუბლიკაციაზე ვერანაირად ვერ მიგვანიშნებდა.

სავარაუდოა, რომ ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც იმ დღეებში სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად ხვდებოდა გალაკტიონს<sup>1</sup>, თავისი ლექსები წააკითხა და, შესაძლებელია, „მნათობში“ ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია თუ დახმარებაც სთხოვა. გალაკტიონმა იცოდა, რომ იმ დროისათვის უახლოესი ნომერი, რომელშიც ლექსების პუბლიკაცია მოხერხდებოდა „მნათობის“ მეოთხე ნომერი იყო და ამიტომაც ჩაინიშნა ასეთი სახით ეს ინფორმაცია თავის უბის წიგნაკში. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: იმავე 1957 წელს შოთა ლომსაძემ გამოსცა ლექსების კრებული სათაურით „მესხეთის ბუხრები“, რომელშიც, გალაკტიონის მიერ ციტირებულ ტექსტებთან ერთად რამდენიმე ათეული სხვა ნაწარმოებიც არის შეტანილი.

შესაძლებელია, გვევარაუდა, რომ პოეტმა ლექსების სტრიქონები უშუალოდ კრებულიდან ამოიწერა, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია 1957 წლის დასაწყისში ახალგაზრდა პოეტის წიგნი უკვე გამოქვეყნებული ყოფილიყო, მაშინ, როდესაც, როგორც არაერთი ფაქტი ადასტურებს, საგამომცემლო გეგმა თითქმის ყოველთვის დაგვიანებით სრულდებოდა და ახალი წლის დასაწყისში იბეჭდებოდა წინა წლით დათარიღებული წიგნები.

ამ გაურკვევლობაში სიცხადე შეაქვს შოთა ლომსაძის პოეტური კრებულის ბოლო, საინფორმაციო ხასიათის გვერდს, სადაც ნათქვამია, რომ წიგნი წარმოებას გადაეცა 1957 წლის 20 ივლისს, ხოლო მისი დაბეჭდვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 30 ნოემბერს. ამდენად, გალაკტიონი თებერვალში ამ წიგნს ვერ გაცნობოდა. სავარაუდოა, რომ იგი გაცნო მხოლოდ ხელნაწერ ტექსტებს და გადაწყვიტა, რეკომენდაცია გაეწია შოთა ლომსაძისთვის ჟურნალ „მნათობში“ მათ გამოსაქვეყნებლად. შემდეგ რა მოხდა, ცნობილი არ

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად: გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 379.

არის, მაგრამ ფაქტია: „მნათობის“ 1957 წლის მეოთხე ნომერში ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებები არ დაბეჭდილა.

◇ პოეტის არქივში დაცულ ერთ-ერთი თორმეტფურცლიანი რვეულის გარეკანზე ვკითხულობთ: „...3 სადამო. შეხვედრა. 1. 1500 წლის თავი დაფუძნების. 2. დიდი ოქტომბრის დროშა. 3. 50 წლის აღსანიშნავად. (ოქტომბერში)“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, პოეტს ჩაუნიშნავს ინფორმაცია უახლოეს პერიოდში დაგეგმილი სამი შემოქმედებითი სადამოს შესახებ: პირველი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს, მიემდღვნება თბილისის დაარსების 1500 წლისთავს, მეორე – ოქტომბრის რევოლუციას, მესამე კი – მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა „ოქტომბერი“ მიგვანიშნებს, რომ ეს ღონისძიებები ოქტომბრის თვეში უნდა ჩატარებულიყო.

აშკარაა, რომ ჩანაწერი ოქტომბრამდე, უფრო ზუსტად კი, ღონისძიებების ჩატარებამდე უნდა იყოს გაკეთებული. თუმცა ვფიქრობ, რვეულში გაკეთებული სხვა ჩანაწერები ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტების საშუალებას გვამძლევს. მაგალითად, იმავე რვეულის მეორე-მესამე გვერდებზე ვკითხულობთ: „ქ. ტბილისის მთავარი არქიტექტორი. ინჟ. გორსკი... Горский. 1 სენტ. 2 საათზე. Горский. 4 საათზე.“<sup>2</sup> როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, გალაკტიონი აპირებს 1 სექტემბერს შეხვდეს ინჟინერ გორსკის. მომდევნო ჩანაწერები კი უკვე 10, 11 და 12 სექტემბრითაა დათარიღებული. რადგან ჩანაწერების უმრავლესობა ერთი და იმავე საწერი საშუალებითაა შესრულებული და თან ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია, ვფიქრობთ, რვეულის გარეკანზე არსებული ტექსტი უნდა დავათარიღოთ ასე: „პირველ სექტემბრამდე“.

საინტერესოა, რომ ამავე უბის წიგნაკში არსებული ერთი უთარიღო და ფრაგმენტული ჩანაწერი გარეკანზე არსებულ ინფორმაციას შინაარსობრივად ავსებს: „ვარლამ თავაძე. ტელ. - 3-57-81. 39 საშუალო სკოლა (მახარაძის ქ. №4). სადამო დაუკავშირდება დატას - 1.500 წელი თბილისის დაფუძნებისა. აკად. სადამო. ჰყვება თბილისი სხვადასხვა

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-406, გვ. 1

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-406, გვ. 2-3

ჰანგებს. 49. „რჩეული“. VI ტ. „სანაპიროები“.<sup>1</sup> აქ ნახსენებია ის სკოლა, რომელშიც პოეტის მიერ დასახელებული სამი ღონისძიებიდან ერთ-ერთი – თბილისის დაარსების 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო – უნდა ჩატარებულიყო. აქვეა ნახსენები თბილისის 39-ე სკოლის დირექტორის სახელი და გვარი და მინიშნებულია ისიც, რომ პოეტს უკვე დაწყებული ჰქონდა ფიქრი 39-ე საშუალო სკოლაში ოქტომბრის თვეში ჩასატარებელი თემატური საღამოს შესახებ და აპირებდა კიდევ ამ ღონისძიებისთვის შეერჩია შესაბამისი ლექსები თავისი შემოქმედებიდან, კერძოდ, გეგმავდა, წაეკითხა ლექსი „ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“ ასევე, ნაწარმოებები დედაქალაქის სანაპიროების შესახებ, რომლებიც თავის თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომში აქვს შეტანილი.

◇ 1957 წლის ერთ-ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუწერია: „1957. 27 თებერვალი. „Заря“<sup>2</sup>, ამავე უბის წიგნაკში ასეთივე შინაარსის ჩანაწერი კიდევ გვხვდება: „1957. 27 თებერვალი. „Заря Востока“<sup>3</sup>. მითითებული გაზეთის 27 თებერვლის ნომრის დეტალური შესწავლის მიუხედავად გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ ჩაინიშნა საგანგებოდ ამ პერიოდული გამოცემის სახელწოდება პოეტმა. სამაგიეროდ, შედეგიანი აღმოჩნდა წინა „ზარია ვოსტოკას“ 27 თებერვლამდე გამოცემული ნომრების გადათვალიერება. გაირკვა, რომ გაზეთის 1957 წლის 24 თებერვლის ნომერი (#47) საქართველოს გასაბჭოების 36 წლისთავს მიემდვნა და გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსის „საბჭოთა საქართველოს“ (ქვესათაურით: „ფრაგმენტი პოემიდან „სამშობლოს“) ბორის სერებრიაკოვის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი. სავარაუდოდ, სწორედ ამ პუბლიკაციაზე მიაჩინებდა, როდესაც 1957 წელს უბის წიგნაკში ჩაიწერა გაზეთის სახელწოდება და გამოქვეყნების თარიღი მცირე ცდომილებით (24 თებერვალი / 27 თებერვალი). გარდა ამ ფაქტისა, საინტერესოა ისიც, რომ გალაკტიონს ამ პერიოდში – 1957 წელს (და არც მანამდე) არ დაუწერია პოემა „სამშობლოს“. ამდენად, ქვესათაურში არსებული მინიშნება ვერ

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, 541.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 388.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 390.

გვენმარება რუსული თარგმნის ქართული დედნის მოძიებასა და დაზუსტებაში. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში არაერთი საკვანძო სიტყვაა (რუსთაველი, მრავალჯამიერი და სხვ.), რომლებიც თარგმანსა და ორიგინალს საერთო უნდა ჰქონდეთ, ვერ ხერხდება დედნის დადგენა.

ვფიქრობ, ამ კონტექსტში საინტერესოა გალაკტიონის ერთი ჩანაწერი აღნიშნული ლექსის მთარგმნელის შესახებ: „ბ. სერებრიაკოვი ტექსტს აღარ აბრუნებს: აი, ხათა. 24/II-57“.<sup>1</sup> აქ მითითებულია ზუსტად ის თარიღი, როდესაც ლექსის თარგმანი „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა. ეს ჩანაწერი გვაფიქრებინებს, რომ გალაკტიონს დედნის (თუ პწკარედის) უკან დაბრუნება უნდოდა იმის გამო, რომ მას სერებრიაკოვისათვის გადაცემული ტექსტის ასლი არ ჰქონდა. შესაძლოა, ჩვენც სწორედ ამიტომ ვერ ვიპოვეთ მისი ქართული ვარიანტი. აქვე გთავაზობთ ამ ლექსის რუსულენოვან პუბლიკაციას.

◇ 1958 წლის 21 ივნისს გალაკტიონი უბის წიგნაკში ინიშნავს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ქართული ფილიალის



<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 386.

მისამართს, ასევე ამავე ინსტიტუტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დირექტორის – ვარლამ ესაიაშვილის ტელეფონის ნომრებს: „Грузинский филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС – Руставели 29. Подстанция – 3-05-60. Директор, добавочный ап. Секретарь – 3-25-08. Пом. директора по адм. хоз. части - 3-36-69. Партбюро – 3-05-62. Г. Ж. б. 3-13-29. Директор – Варлам Георгиевич Эсаиашвили (Университетская 24. 2-25-48. 2-25-48 - ბინის ტელეფ.)“<sup>1</sup> პოეტის იმავე პერიოდის სხვა ჩანაწერების გათვალისწინება გვადლევს საშუალებას, დავაზუსტოთ, თუ რა მიზნით ჩაიწერა მან ეს ინფორმაცია. იმავე უბის წიგნაკში კვითხულობთ ფრაზას: „სადამო მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში. მეტონ.“<sup>2</sup> გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, იქვეა პოეტის 1958 წლის ივნისით დათარიღებული იმ განცხადების მონახაზი, რომლითაც იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორს – ვარლამ ესაიაშვილს მიმართავს: „მაქვს [ხვალ] დღეს სადამო, 30 ივნისი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. 2. მინდოდა, მოვსულიყავი თქვენთან ამ საკითხზე. 3. ვინაიდან ცოტა დრო იყო, ორგანიზაციებს სასწრაფოდ დაურიგდა. საქ. უნივერსიტეტის პროფესურას, კიროვის ინსტიტუტის პროფესურას, პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესურას, სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის პროფესურა, ორთქლმავალ შემკეთებელ ქარხანაში – 3000 კოლექტ. სტალინის სახელობის მოწინავე მუშებს“...<sup>3</sup>

ამ ჩანაწერებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პოეტი გარკვეული მიზნით ინიშნავს უბის წიგნაკში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ქართული ფილიალის მისამართს, ასევე ამავე ინსტიტუტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დირექტორის – ვარლამ ესაიაშვილის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ დაწესებულების წარმომადგენლებთან ღონისძიებებისათვის მზადების პროცესში ურთიერთობა მოუწევს.

საინტერესოა, აგრეთვე ზემოთ ციტირებული განცხადების თარიღის საკითხი: ტექსტის მიხედვით, სადამო უნდა ჩატარდეს 30

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 526.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 527.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 527.

ივნისს, ამდენად, იგი წინა დღეს უნდა იყოს დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში სიტყვა „ხვალ“ გადახაზულია და წერია „დღეს“. ღონისძიების ჩატარების დღეს ამგვარი განცხადების დაწერა აზრსმოკლებული იქნებოდა, რადგან მასზე რეაგირება, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდებოდა.

◇ 1958 წლის 25 მარტს, რუსული გაზეთის – „იზვესტიას“ პირველ გვერდზე იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ანდრო პატარაის მიერ შესრულებული თარგმანი.<sup>1</sup> ამ ფაქტის შესახებ პოეტი მიუთითებს თავის უბის წიგნაკში: „დღეს „Известия“-ს პირველ გვერდზე ჩემი ლექსია“.<sup>2</sup> გალაკტიონის ლექსების რუსული თარგმანების ქართული შესატყვისის დადგენა ზოგჯერ არცთუ მარტივია. ბუნებრივია, დედნის რაობის დაზუსტებას ართულებს თარგმნისას განხორციელებული ცვლილებები. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ზოგჯერ პოეტი სათარგმნად ლექსის ახალ ვარიანტსაც (სათარგმნ ვერსიას) ქმნიდა ხოლმე. მართალია, ჩვენთვის საინტერესო ლექსთან თარიღი არ არის მიწერილი, მაგრამ წარმოდგენილი ტექსტი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, 1957 წელს უნდა იყოს დაწერილი: ლექსში საუბარია ოქტომბრის რევოლუციის (1917) ორმოცი წლისთავზე.

თავდაპირველად დედნის დადგენა რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ლექსის სათაურის გადმოქართულებული ვარიანტების – „ფერი თხუთმეტ მოძმე დროშის“// „თხუთმეტ მოძმე დროშის ფერი“// „თხუთმეტი ძმური დროშის ფერი“ გამოყენებით ვცადეთ. ორიგინალის დადგენის ამგვარი ცდა წარუმატებელი გამოდგა, აღმოჩნდა, რომ ამგვარი სათაურის მქონე ლექსი გალაკტიონს არ დაუწერია. ამის შემდეგ ტექსტში გამოყენებული იმგვარი სიტყვების (ორმოცი წელი, ოქტომბერი, ლენინური, ხალხთა მეგობრობა, დროშა...) მიხედვით დავიწყეთ ძებნა გალაკტიონის მხატვრული ნაწარმოებების სრულ კორპუსში, რომელთა შეცვლაც თარგმანისას ნაკლებად მოსალოდნელი იყო და, შესაბამისად, დედნის ძიებასაც გაგვიმარტივებდა.

---

<sup>1</sup> გაზ. „Известия“, N72, 25 март.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-395, გვ. 10.



აღმოჩნდა, რომ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული ხუთსტროფიანი ლექსის ფინალური ნაწილი ემთხვევა გ. ტაბიძის საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულის მეშვიდე ტომში დაბეჭდილ ნაწარმოებს „ორმოცი წელი“:

„ორმოცი წელი - გზნება ათას ცხრაას  
ჩვიდმეტი წლის ჰანგზე იწყებს ბაასს.  
ლენინის გზით - ფერებს იწვევს სხვა ასს  
ფერი ძმობის და მშვიდობის დროშის.  
მზიან დღეში, გრიგალში თუ თოშში,  
ამ ქარბუქში, ამ ატომის დროში  
დეე, სივრცედ მიუძღოდეს ფერი,  
ფერი თხუთმეტ რესპუბლიკის დროშის!“<sup>1</sup>

ამ ლექსს რამდენიმე ხელნაწერი აქვს. ავტოგრაფები მნიშვნელოვან განსხვავებებს ამჟღავნებს ძირითად ტექსტთან მიმართებით. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ხელნაწერებში იკითხება დამატებითი, განსხვავებული სტროფებიც. რუსული თარგმანის ცალკეულ მონაკვეთებთან, როგორც ტექსტის სისრულის, ისე შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისით შედარებით ახლოს არის პოეტის 1957 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში ჩაწერილი ტექსტი სათაურით „40 წელი!“<sup>2</sup>, რომელსაც თარიღიც აქვს მითითებული: 1957 წლის ოქტომბერი:

ჟღერს ეს წელი... იგი ათასცხრაას  
ჩვიდმეტი წლის ჰანგზე იწყებს ბაასს,  
ორმოცი წლის გზებით იწვევს სხვა ასს  
ფერი თექვსმეტ რესპუბლიკის დროშის.  
მზიან დღეში, გრიგალში თუ თოშში,  
ჭრაქის, კვესის და ატომის დროში,  
მთელ მსოფლიოს, წინ მიუძღვის ფერი  
ფერი თექვსმეტ რესპუბლიკის დროშის.  
აღმოსავლის ცისკარი შლის ალამს,  
აქ მგზნებარე ჩაქუჩს, გრდემლს თუ კალამს  
მზე უგზავნის უმხურვალეს სალამს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. VII, თბ., 2005, გვ. 389.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-385, გვ. 9.

ფერი თექვსმეტ რესპუბლიკის დროშის!  
მზიან დღეში, გრიგალში თუ თოშში,  
ჭრაქის, კვესის, თუ ატომის დროში,  
და მსოფლიოს წინ მიუძღვის ფერი,  
ფერი თექვსმეტ რესპუბლიკის დროშის.  
ლენინის გზით ანკარა და წმინდა  
გვწყურია ცა, და მშვიდობა გვინდა.  
ორმოცი წლის გამარჯვების ლხინთა  
ლენინის გზით...  
ლენინის გზით გვინდა.  
მზიან დღეში, გრიგალში თუ თოშში,  
ჭრაქის, კვესის, და ატომის დროში  
მთელ მსოფლიოს წინ მიუძღვის ფერი,  
ფერი თექვსმეტ რესპუბლიკის დროშის“.

პოეტის საარქივო გამოცემის მონაცემებსა და მის ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგად სავარაუდო გახდა, რომ გალაკტიონმა ქართულ ენაზე ლექსის მოკლე, ორსტროფიანი ვარიანტი გამოაქვეყნა, ხოლო რუსულ ენაზე სათარგმნად საგანგებოდ შექმნა ვრცელი, ხუთსტროფიანი ვარიანტი. ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად თითქმის ყველა მონაცემი არსებობდა, თუმცა ვრცელი დედნის ძიება მაინც გავაგრძელებთ.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის საარქივო გამოცემის მეშვიდე ტომში, სადაც დაბეჭდილია ორსტროფიანი ლექსი „ორმოცი წელი“ მითითებული იყო<sup>1</sup>, რომ ძირითად ტექსტად აღებული ჰქონდათ ლექსის პირველი პუბლიკაცია – გაზეთ „კომუნისტში“ 1957 წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნებული ტექსტი, მაინც გადავწყვიტეთ პირველწყარო გადაგვემოწმებინა. გაირკვა, რომ „კომუნისტის“ დასახელებულ ნომერში მართლაც არის დაბეჭდილი გალაკტიონის ლექსი სათაურით „ორმოცი წელი“, ოღონდ იგი ექვსი სტროფისაგან შედგება და არა – ორისგან, როგორც ეს საარქივო გამოცემის კომენტარშია აღნიშნული.

ვფიქრობთ, სწორედ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ტექსტი გადასცა გალაკტიონმა მთარგმნელსა და პოეტს – ანდრო პატარაიას. ის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. VII, თბ., 2005, გვ. 389.

ცვლილებები კი, რომლებსაც რუსული თარგმანი ამჟღავნებს დედანთან მიმართებით, მთარგმნელის მუშაობის შედეგი უნდა იყოს. რაც შეეხება სათაურს, სავარაუდოა, რომ ლექსის სახელწოდება გალაკტიონთან შეთანხმებით შეიცვალა – ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავის თემა 1958 წელს უკვე აქტუალური აღარ იყო, ხოლო ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში დასაბეჭდი ლექსისთვის სრულიად შესაფერისი იქნებოდა ლექსი, რომლის სათაურშიც აქცენტი გაკეთდებოდა სსრკ-ში შემავალი მოძმე რესპუბლიკების დროშებზე. ამრიგად, გაირკვა, რომ რუსულ გაზეთში „იზვესტია“ 1958 წლის 25 მარტს დაბეჭდილა გალაკტიონის ლექსის – „ორმოცი წელი“ თარგმანი, სათაურით – „ვერი თხუთმეტ მოძმე დროშის“.

◇ გალაკტიონის უბის წიგნაკებში არცთუ იშვიათად არის ნახსენები „მასსაჩუხეტი“. როგორც ამ სიტყვის გამოყენების სხვადასხვა კონტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, ეს რომელიღაც კონკრეტული ადგილისთვის პოეტის მიერ შერქმეული ადგილის სახელი უნდა იყოს. სავარაუდოდ, პოეტი ამ სახელით უნდა მოიხსენიებდეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობას, რადგან 10 და 11 სექტემბერს, როდესაც პოეტი ალექსანდრე ჩოგოვაძეს აღმასკომში ელოდება, აღნიშნავს, რომ იმყოფება „მასსაჩუხეტში“: „1. „მასსაჩუხეტში“; 2. გორსკის მოადგილე. ჩოგოვაძე ალექსანდრო – არა სჩანს. ვუცდი „მასსაჩუხეტში“ აგერ მთელი საათია. სადაა?“<sup>1</sup>. „გვითქვამს: განვაგრძოთ გზა მასსაჩუხეტისაკენ, სადაც უნდა ალექსანდროც მოსულიყო. მისვლევართ მასსაჩუხეტში. ალექსანდრო



<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, 541.

იქ არა დაგვხვედრია. გვიფიქრია თუ, რატომ ალექსანდრო არა სჩანს-მეთქი. გაგვიარ-გამოგვიარნია მეორე სართულის დერეფანში“...<sup>1</sup>

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1938 წლით დათარიღებულ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი ჩამოთვლის თბილისში არსებულ კაფეებს და მოიხსენიებს მათ მის მიერ შერქმეული სახელებით: „1. Выпивона. 2. Закусона. 3. ბურსსაკები. 4. მასსაჩუხეტი. 5. ბელატების კაფე. 6. ქურდების კაფე. 7. Кафе жуликов. 8. Кафе мелких жуликов. 9. Кафе крупных жуликов. 10. Кафе "Хучурма". 12. ახოსპირელის კაფე. 13. Кафе короля поэтов.“<sup>2</sup> როგორც ჩანს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობასთან 1930-იან წლებში იყო კაფე, რომელსაც პოეტმა მხოლოდ მისთვის ცნობილი ასოციაციით „მასსაჩუხეტი“ დაარქვა, შემდეგ კი ეს სახელი მთელ შენობასაც უწოდა.

◇ გალაკტიონის 1958 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „Шламбург. 70 сантиметров. შლიამბურგი. მელაძე. ტაქსი. ძერჟინსკი. სტალინის ქარხ. ყველა წასულა. მანქანა დავიბ. გაბრუნების ცდა. დარაჯის დახმ. კრება. კეთილის მსურ. 1 სექტ. გავიარეთ მთელი ქარხანა 15 წუთში! რკინისგზა. მექანიკური ცეხი. კბილაძე (ცეხის გამგე)“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, ქარხნისა და ცეხის შესახებ პოეტის მიერ ჩანიშნული ამ ინფორმაციის შინაარსი თითქმის გაურკვეველია. ჩანაწერის მიხედვით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი პირველ სექტემბერს სტალინის სახელობის ქარხანაში იმყოფებოდა. თუმცა რა მიზნით, ეს ბუნდოვანია. ამ ფრაგმენტული ტექსტის შინაარსი გასაგები გახდება თუ პოეტის იმავე პერიოდის სხვა ჩანაწერების მიხედვით აღვადგენთ გალაკტიონის ქარხანაში მისვლის მიზეზს.

1958 წლის 11 სექტემბერს პოეტი ცდილობს, გაარკვიოს, მოხერხდება თუ არა ძერჟინსკის ქუჩაზე არსებულ, მის მიერ შერჩეულ ორსართულიან შენობაზე საგამოფენო დარბაზისთვის მესამე სართულის დაშენება. ამის დასადგენად გალაკტიონი მიდის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ინჟინერ გორსკის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, 542.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-118, გვ. 54;

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 539.

მოადგილესთან, რომელიც მოითხოვს, პოეტმა კედლის გასახვრეტი აპარატი – შლამბურგი იშოვოს და ასე შემოწმდეს სახლის კედლების მდგრადობა. რადგან პრობლემის მოგვარების სხვა გზა არ არსებობს, გალაკტიონი იწყებს შლამბურგის ძებნას რკინიგზის სახელოსნოებსა და ქარხანაში. ბევრი წვალეების შემდეგ შოულობს ამ ხელსაწყოს და უკან ბრუნდება.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერში ნახსენებია კედლის გასახვრეტი აპარატი – შლამბურგი, რომლის შოვნაც პოეტს 11 სექტემბერს სთხოვეს. სწორედ ამ შლამბურგის მოსაპოვებლად წავიდა იგი ქარხანაში. ამდენად, ქარხანაში მისვლის მიზეზი ნათელია, მაგრამ რატომ არის ტექსტში ნახსენები 1 სექტემბერი? ვფიქრობ, სინამდვილეში აქ 11 სექტემბერი უნდა ეწეროს და არა „1 სექტემბერი“. 11 სექტემბრამდე პოეტს ამ უცნაური ხელსაწყოს – შლამბურგის შესახებ არაფერი ჰქონდა გაგონილი.

◇ გალაკტიონი 1958 წლის 9 ივლისს წყნეთის სახლში არსებული საკუთარი არქივის დალაგებისას აღმოაჩინა გრიგოლ გორგაძის მიერ 1923 წლის 1 სექტემბერს გამოგზავნილ პირად წერილს: „ნაპოვნია გრიშა გორგაძის წერილი ჩემდამი (1 ენკენისთვე, 1923 წ.). არჩევს ჩემს ჟურნალს, გამოცემულს ბათუმში – მაშინ“.<sup>2</sup> ასეთი წერილი პოეტის საარქივო მასალებში არ აღმოჩნდა, რის გამოც, მისი შინაარსი უცნობი დარჩა, მაგრამ შევძელით დაგვედგინა კონკრეტულად ჟურნალის რომელი ნომრის შესახებ უზიარებდა იგი გალაკტიონს საკუთარ შთაბეჭდილებებს: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ნომრების პუბლიკაციის თარიღებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა ყოფილიყო 1923 წლის 12 აგვისტოს, ბათუმში გამოქვეყნებული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომერი.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუწერია: „ჩავრიოთ საქმეში აკადემია - ჩვენი მამია დუდუჩავა და სხვ.“<sup>3</sup> ამ ფრაგმენტული ჩანაწერის შინაარსს გასაგებს ხდის იმავე წლის 11-17 თებერვლის ჩანაწერები: „ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორს. ...გთხოვთ დაეთმოს სახელმწიფო ოპერის

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 545.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 530.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 2.

თეატრი ა. წ. 7 მარტისათვის. საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მოსაწყობად... 1955 წ., 11 თებერვალი; ...17 თებერ. დღეს ვიყავი ვახტანგ ქოჩორაძესთან ც.კ.-ში. ძალიან კარგად მიმიღო. ის ტელეფონით უკვე დაკავშირებია აკადემიას (კერძოდ, გაჩეჩილაძეს). ამის შემდეგ ვიყავი აკადემიაში... იქ იყო მამია დუდუჩავაც“...<sup>1</sup>

ჩანს, რომ პოეტს დაგეგმილი ჰქონდა ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი შემოქმედებითი საღამოს ჩატარება, ამ ღონისძიების მოსაწყობად არაერთი ფორმალური საკითხის მოგვარება იქნებოდა საჭირო, რის გამოც სურდა, საქმეში ჩაერთო მეცნიერებათა აკადემია და ოპერის თეატრის ყოფილი დირექტორი – მამია დუდუჩავა. ჩანაწერი უთარიღოა, თუმცა, რადგან იგი შესრულებულია ზუსტად იმავე ფერის მელნით და ხელწერით, რომლითაც უბის წიგნაკის წინა გვერდზე წარმოდგენილი ხელნაწერი, ვფიქრობთ, ორივე ტექსტი ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს შესრულებული. ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერის წინა გვერდზე არსებული ტექსტი კვლევის შედეგად ასე დავათარიღეთ: „1955 წლის 25 იანვრის შემდეგ“ (იხ. აქვე, გვ. ... ). შესაბამისად, ამ ჩანაწერსაც იმავენაირად ვათარიღებთ.

♦ 1955 წელს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „პაპუკაშვილი. გვაქვს ფორმები წიგნისა: 2, 3, 5, 6, 7, 8, 10, 12, 13. გვაკლია: 1, 2, 3, 4, 9, 11, 16“.<sup>2</sup> ჩანაწერი უთარიღოა და მისი შინაარსიც ბუნდოვანი. ამ ტექსტის სათქმელს გასაგებს ხდის ამავე უბის წიგნაკში არსებული სხვა ჩანაწერი, რომელიც 20 იანვრითაა დათარიღებული: „1. ილია აროსია.. წიგნის საქმე - იბეჭდება უკანასკნელი ფორმები და მეორე ფერიც. ასე რომ, მგონი, თებერვლამდე გასტანოსო. გადატანილიაო“.<sup>3</sup> როგორც კვლევამ გვიჩვენა, აქ გალაკტიონის 1954 წლის „რჩეული“ იგულისხმება (იხ. აქვე, გვ. ...). ამავე „რჩეულსა“ და ფორმებზე უნდა საუბრობდეს გალაკტიონი ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერში.

გალაკტიონის მიერ ნახსენები პაპუკაშვილი – ზაქარია პაპუკაშვილი უნდა იყოს, რომელიც გამომცემლობაში მუშაობდა და წიგნების ბეჭდვის პროცესზე იყო პასუხისმგებელი. ამ ინფორმაციის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 11.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 2.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 5.

გათვალისწინებით, ასევე, აროსიას ზემოთ ციტირებული საუბრიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ზაქარია პაპუკაშვილი გალაკტიონს აწვდის ინფორმაციას წიგნის ბეჭდვის პროცესის შესახებ. პოეტი კი ამ საუბრის შემდეგ უბის წიგნაკში ინიშნავს „რჩეულის“ რომელი ფორმებია უკვე მზად და რომელი – ჯერ კიდევ დასაბეჭდი.

◇ გალაკტიონს 1955 წელს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „ვახტანგ ქოჩორაძე – 3-47-67“. ჩანაწერი უთარილოა და არც ისაა მინიშნებული, თუ რის გამო ჩაიწერა პოეტმა ამ პიროვნების სახელი და გვარი. ამ საკითხზე წარმოდგენას გვიქმნის გალაკტიონის სხვა უბის წიგნაკში არსებული ტექსტი, რომელიც 1955 წლის 17 თებერვლითაა დათარიღებული ავტორის მიერ: „...დღეს ვიყავი ვახტანგ ქოჩორაძესთან ც.კ.-ში. ძალიან კარგად მიმიღო. ის ტელეფონით უკვე დაკავშირებია აკადემიას (კერძოდ, გაჩეჩილაძეს). ამის შემდეგ ვიყავი აკადემიაში... იქ იყო მამია დუდუჩავაც“...<sup>1</sup> ცხადია, გალაკტიონმა ნომერი იმიტომ ჩაინიშნა, რომ ვახტანგ ქოჩორაძეს დაკავშირებოდა და შეხვედრა ეთხოვა. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი ასე დავათარიღეთ; „17 თებერვლამდე“.

1955 წლის 17 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერის კონტექსტიდან ირკვევა ისიც, რომ პოეტი ვახტანგ ქოჩორაძესთან იმყოფებოდა თავისი დიდი შემოქმედებითი სადამოს ჩატარების ნებართვის მისაღებად. როგორც ცნობილია, გალაკტიონს სურდა, ეს სადამო 7 თებერვალს მოეწყო, მაგრამ რადგან ვერ მოახერხა, 7 მარტისთვის გადადო, სავარაუდოდ, სწორედ ფორმალური მხარის მოუგვარებლობის გამო.

◇ 1955 წელს გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „1. შვიდტომეულის გადიდება. 2. VII ტომის გადიდება. 3. ერთი დიდი პორტრეტის გაკეთება (ფოტოდან). 4. ცხრაას ჩვიდმეტში ქუთაისში (შეიძლება ქუთაისის ძველი თეატრის სურათი ექნეს თეატრალურ მუზეუმს: თებერვლის რევოლიუცია). 5. სმონში ერთი დიდი სურათი“.<sup>2</sup> როგორც ჩანს, პოეტი ცდილობს შეაგროვოს მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტომასალა. აშკარაა, ეს მასალა მას გამოფენის მოსაწყობად სჭირდება. ჩანაწერი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 11.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 17.

უთარილოა. იგი შესრულებული უნდა იყოს 26 დეკემბრამდე, რადგან წინ უსწრებს დღიურში ჩაწერილ, 26 დეკემბრით დათარიღებულ ლექსს „თეთრი კამური“<sup>1</sup>. ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ ორივე ტექსტი ერთი და იმავე ხელწერით და საწერი საშუალებით – ფანქრით არის შესრულებული.

ზუსტად ამავე დროს, 1955 წლის 26 დეკემბრამდე უნდა იყოს შესრულებული გალაკტიონის კიდევ ერთი ჩანაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ პოეტი გამოფენისთვის მზადებას აგრძელებს: „მოინახოს – დიმიტროვის სახ. ქარხანაში ჩატარებულ საღამოზე სურათი. საჭიროა ფოტოსურათები: 1. 1908 - არის. 2. 1914. ბალმონტთან – არის. 3. 1918. სტუდენტებთან – არის. 4. 1923 - არის. 5. 1928 - არის. 6. 1933 – არის №6. 7. 1938 - არის (ცინკ.) 8. 1943 – არის №6. 9. 1948 – არის (ჯგუფი). 10. 1953 – არის (ია ეკ.) შვიდტომეულზე ია ეკალადის წარწერა“. როგორც ვხედავთ, აქ ნახსენებია თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ჩატარებული საღამოზე გადაღებული სურათი. გალაკტიონის დღიურები არ იძლევა საშუალებას, დავადგინოთ, კერძოდ, როდის ჩატარდა ეს საღამო, თუმცა, რადგან ქარხანა 1941 წლის 20 დეკემბერს დაარსდა, ცხადია, ეს საღამო 1942 წელს ან უფრო გვიან უნდა ჩატარებულიყო.

◇ 1955 წლის უბის წიგნაკში გალაკტიონს ფანქრით ჩაუწერია ერთსტროფიანი, უსათაურო ლექსის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტის საწყისი სტრიქონია „რა მშვენიერი და რა საამო“, ხოლო საბოლოო ასე იწყება: „თითქო სიახლე ჰქროდა საამო“. როგორც ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, პოეტი ფიქრობს თემაზე „1905 წელი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. ამაზე მიანიშნებს ლექსის პირველი ვარიანტის საწყის სტრიქონებამდე არსებული ფრაზა: „ჩვენ მოვიგონოთ ის ცხრაას ხუთი!“. სავარაუდოდ, ლექსი 1905 წელს ჩატარებული საღამოებს ეძღვნება. ტექსტს დასრულებული სახე აქვს.

„თითქო სიახლე ჰქროდა საამო,  
ასე: ფერი ფერს რომ შეახამო,  
და შექმნა ერთი მთლიანი წიგნი.  
ასეთი არის ჩვენი საღამო.“

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 20.



ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, შესაძლებელია, ეს ერთსტროფიანი ლექსი პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს შორის დაიბეჭდოს.

◇ 1932 წელს ჟურნალ „მნათობის“ 5-6-ე ნომერში იბეჭდება გიორგი ყურულაშვილის სტატია „საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 23/IV-ის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები“.<sup>1</sup> ჟურნალში შეტანილი კულტურის სიახლეების მიმოხილვაში ნათქვამია, რომ 20 ივლისს მწერალთა კლუბში გაიმართა ღონისძიება: „საუბარი ამხ. გრონსკისთან“.<sup>2</sup> ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ „მნათობის“ ეს ნომერი 20 ივლისის შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო.

◇ 1955 წლის ივლისში ისტორიკოს გივი კილურაძეს გალაკტიონისთვის უთქვამს, რომ შალვა რადიანი 1937-38 წლებში გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიაში აღტაცებას გამოთქვამდა კალე ფეოდოსიშვილის სტრიქონების გამო: „მე დედას მოვკლავ, მამას დავადრჩობ, რევოლუციამ თუ კი მიბრძანოს!“.<sup>3</sup> ეს მონათხრობი გალაკტიონს საინტერესოდ მოსჩვენებია და უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს, თან იქვე მიუწერია: „28 ივლისი, 1955, მატარებელი“.<sup>4</sup> გალაკტიონმა გივი კილურაძესთან და ვახტანგ გურგენიძესთან ერთად მატარებლით იმგზავრა 27 ივლისს. 28 ივლისს იგი უკვე სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდა. ამის გათვალისწინებით, ფაქტი 27 ივლისით დავათარიღეთ.

---

<sup>1</sup> გ. ყურულაშვილი, „საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 23/IV-ის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები“, ჟურნ. „მნათობი“, 1932, N5-6, გვ. 276-302.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1932, N5-6, გვ. 329.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 26.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 26.

◇ 1935 წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერში პოეტი მიუთითებს, რომ წიგნი სტამბიდან ლიტერატურისა და საგამომცემლო მთავარ სამმართველოში წაიღეს და მას მალე გადაეცემა საავტორო ეგზემპლარები.<sup>1</sup> ჩანაწერში არაა დაკონკრეტებული, რა წიგნზეა საუბარი, თუმცა აშკარაა, რომ პოეტი გულისხმობს თხზულებათა მეორე ტომს, რომელიც 1935 წელს გამოიცა.

◇ ერთ დაუთარიღებელ ჩანაწერში პოეტი აღნიშნავს, რომ მგზავრობისას პავლო ტიჩინა მის ლექსებს უკითხავდა ალექსანდრ შჩერბაკოვსა და ბორის პასტერნაკს.<sup>2</sup> დასახელებული პირები გალაკტიონთან ერთად პარიზში, მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესზე, იმყოფებოდნენ 1935 წლის ივნისში, თუმცა ფაქტის დათარიღებისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, ეს რუსეთიდან საფრანგეთში მგზავრობისას მოხდა, ანუ, კონგრესის დაწყებამდე, 21 ივნისამდე, თუ პარიზიდან დაბრუნებისას, ივნისის შემდეგ. დროის დაზუსტების საშუალებას გვამძლევს ერთი დეტალი. როგორც ცნობილია, ბორის პასტერნაკი სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად არ გამგზავრებულა კონგრესზე. იგი სტალინის უშუალო ბრძანებით 20 ივნისს გაამგზავრეს პარიზში, შესაბამისად, მოგონებაში გადმოცემული ფაქტიც ივნისის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა საბჭოთა დელეგაციის წევრები ერთად ბრუნდებოდნენ საფრანგეთიდან.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იხსენებს, როგორ ილხენდა ვანო სარაჯიშვილთან ერთად დუქანში.<sup>3</sup> ჩანაწერი 1935 წლის 11 თებერვლითაა დათარიღებული, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი სინამდვილეში იმავე წლის მარტში იყოს გაკეთებული და დათარიღებისას ავტორმა მეორე თვე მექანიკურად მიუთითა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ უბის წიგნაკის წინა გვერდებზე გაკეთებული ორი ჩანაწერი 1935 წლის 11 მარტსაა გაკეთებული და ამაზე ადრინდელი თარიღიანი ჩანაწერები ბლოკნოტში არ გვხვდება. ამასთანავე, ჩანაწერი უბის წიგნაკის ზედა

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>2</sup> ქლმ, დ-97, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 127.

<sup>3</sup> ქლმ, დ-92, 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 24.

მარჯვენა კუთხეშია მიწერილი, სადაც ცოტა ადგილია და რიგობით რიცხვით სახელს ზედა ვერტიკალური ხაზიც აკლია.

◇ 127-ე უბის წიგნაკში ვხვდებით მოგონებას იროდიონ ევდოშვილზე, რომელშიც აღნიშნულია, თუ როგორ სთხოვდა იგი გალაკტიონს, მონაწილეობა მიეღო მის სალამოში.<sup>1</sup> ფაქტის დათარიღება შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ იროდიონ ევდოშვილის ლიტერატურული სალამო, რომელშიც გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო, 1914 წლის 7 ივნისს გაიმართა. საუბარიც გალაკტიონსა და ევდოშვილს შორის ამ დრომდე უნდა შემდგარიყო.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იგონებს, როგორ ილხენდა ვანო სარაჯიშვილთან და დათიკო პავლიაშვილთან ერთად რესტორან „კახეთში“<sup>2</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ ვანო სარაჯიშვილი 1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა, ფაქტიც მანამდე უნდა მომხდარიყო.

◇ 1958 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა გევორქ ემინის სტატია „ამაღლევებელი საკითხები“, რომელშიც ავტორი საუბრობს სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე და აღნიშნავს, რომ სომეხ მკითხველს ძალიან უყვარს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა.<sup>3</sup> გ. ემინის პუბლიკაციას ერთვის ცნობა, რომ იგი წარმოადგენს 1958 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერს. მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა დაიწყო 1958 წლის 12 აპრილს. შესამაბისად, ხსენებული სიტყვა ავტორს ამ თარიღის შემდეგ უნდა წარმოეთქვა.

◇ 1956 წლის 1 აგვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ნინასთან ერთად ითვლიდა პოემის სტრიქონებს და 6000-მდე დაითვალებს.<sup>4</sup> აქვე პოეტი მიუთითებს, რომ კიდევ ცოტა იქნება დასამატებელი. ამ პერიოდში გალაკტიონი მუშაობდა პოემა „მშვიდობის წიგნზე“. 1956 წლის იანვარში მას ჩაუნიშნავს, რომ მზად აქვს „მშვიდობის წიგნის“ 6064 სტრიქონი.<sup>5</sup> შესაბამისად, 1 აგვისტოს ჩანაწერშიც პოემა „მშვიდობის წიგნი“ უნდა იყოს ნაგულისხმევი.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-127, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 608.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 111; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 266.

<sup>3</sup> გ. ემინი, ამაღლევებელი საკითხები, ჟურნ. „ცისკარი“, 1958, №7, გვ. 103.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-467, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 236

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-355, გვ. 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 272.

◇ 489-ე უბის წიგნაკში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირის დარბაზში იზოვა ჩანაწერი, რომელშიც აღნიშნულია მისი ზეგავლენის შესახებ თანამდეროვე პოეზიაზე.<sup>1</sup> იქვე მითთებულია, რომ გუმინ, 1940 წლის 25 მაისს, აქ გაიმართა კონსტანტინე ჭიჭინაძის საღამო. შესაბამისად, ფაქტი მეორე დღეს, 26 მაისს უნდა მომხდარიყო.

◇ 1940 წლითაა დათარიღებული გალაკტიონის რუსულ ენაზე დაწერილი დასკვნა კონსტანტინ ბოგდანოვსკის თარგმანებზე.<sup>2</sup> პოეტი წერს, რომ მთარგმნელს მოუხერხებია აკაკი წერეთლის პოემების წარმატებით თარგმნა, თუმცა ნაწარმოებთა სათაურები არაა დასახელებული. 1940 წელს გამოიცა აკაკის პოემების „თამარ ცბიერისა“ და „პატარა კახის“ ბოღგანოვსკისეული თარგმანები. შესაბამისად, გალაკტიონსაც ეს თხზულებები უნდა ჰქონდეს მხედველობაში.

◇ 1956 წლის 8 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერში პოეტი მიუთითებს, რომ შეიძინა ვიქტორ გაბესკირიას ის წიგნი, რომელზედაც შალვა რადიანმა წერილი გამოქვეყნა.<sup>3</sup> ცნობილი კრიტიკოსი 1956 წლის 3 თებერვალს „ლიტერატურულ გაზეთში“ რეცენზიით გამოეხმაურა ვიქტორ გაბესკირიას წიგნს „ერთტომეული“ (თბილისი, 1955). გალაკტიონი სწორედ ამ წიგნს უნდა გულისხმობდეს.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იხსენებს, როგორ იდგა პაოლო იაშვილთან ერთად ქუთაისის თეატრის ფოიეში, როდესაც მათ დათიკო ქებაძე მიუახლოვდა და პაოლოს სარკასტული ფრაზა ესროლა<sup>4</sup>. პოეტი იქვე მიუთითებს, რომ „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერი ჯერ არ იყო გამოცემული. ჟურნალის მეორე ნომერი 1916 წლის დეკემბერში დაიბეჭდა,<sup>5</sup> შესაბამისად, ფაქტი მანამდე უნდა მომხდარიყო.

◇ გალაკტიონის ერთ უთარილო ჩანაწერში აღნიშნულია, რომ შეხვდა მიხეილ ჩიქოვანი, რომელმაც უთხრა, რომ ანთოლოგიაში მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალები დაიბეჭდა, ჰონორარი კი არ მიუღია, რასაც იგი სიმონ ჩიქოვანის ოინებს აბრალებს. მას ასევე უცნობებია პოეტისათვის, რომ იგეგმება ანთოლოგიის პრეზენტაცია მეცნიერებათა აკადემიაში. გალაკტიონი კი აღნიშნავს, რომ წიგნს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-489, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 428

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-621, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 151.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-624, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 174;

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-624, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 181.

<sup>5</sup> ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი - 125, თბილისი, 2017, გვ. 82.

საგულდაგულოდ უმაღლეს ვართო საზოგადოებას და ახლო ხანში მისი განხილვა არ არის მოსალოდნელი.<sup>1</sup> ჩანაწერის ცალკეული რეაქციები გვამღევეს საშუალებას გავარკვიოთ, თუ რომელ წიგნზეა საუბარი და როდის უნდა შემდგარიყო დიალოგი გალაკტიონსა და მიხეილ ჩიქოვანს შორის. „ანთოლოგიაში“, რომლის შედგენაშიც მიხეილ ჩიქოვანს მიუღია მონაწილეობა, რომელშიც დაბეჭდილია ქართული პოეტური ფოლკლორის ნიმუშები და რომლის შემდგენილიცაა სიმონ ჩიქოვანი, უნდა იგულისხმებოდეს 1949 წელს გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურის“ მიერ მოსკოვში გამოცემული დიდტანიანი კრებული „საქართველოს პოეზია“ (შემდგენლები სიმონ ჩიქოვანი და ვიქტორ გოლცევი). წიგნში დაბეჭდილია ქართული პოეზიის ნიმუშები უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის 40-იან წლებამდე, მათ შორის – გალაკტიონის რამდენიმე ლექსი. წიგნზე თან დართული ტექნიკური ცნობიდან ირკვევა, რომ იგი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1949 წლის 2 ივლისს. შესაბამისად, საუბარი გალაკტიონსა და მიხეილ ჩიქოვანს შორის ამ დროის შემდეგ უნდა შემდგარიყო.

◇ პოეტის არქივში ინახება პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე გამოსასვლელი სიტყვის მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი.<sup>2</sup> 1935 წლის 22 მაისს გალაკტიონს ჩაუნიშნავს, რომ მოსამზადებელია ღონისძიებაზე გამოსვლის ტექსტი.<sup>3</sup> შესაბამისად, პოეტის სიტყვა ამ დროის შემდეგ უნდა იყოს მომზადებული.

◇ ერთ ჩანაწერში პოეტი მიუთითებს, რომ მას პარიზში ჩასვლისთანავე გადასცეს კონგრესის პროგრამა<sup>4</sup>. ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო 1935 წლის 17 ივნისამდე, რადგან სხვა ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ამ დღეს პოეტი უკვე პარიზშია.<sup>5</sup>

◇ 1938 წლის 28 მარტით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი მიუთითებს, რომ პირველად მაქსიმ გორკის 1917 წელს შეხვდა, მეორედ კი 11 წლის შემდეგ, თბილისში, როდესაც ქართველმა მწერლებმა

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-469, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 270.

<sup>2</sup> ქლმ, დ-660, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 506-510.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-481, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>4</sup> ქლმ, დ-660, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 522.

<sup>5</sup> ქლმ, დ-98, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 161.

დახვედრა მოუწყეს დიდ რუს პროზაიკოსს.<sup>1</sup> მამასადამე, ფაქტი უნდა მომხდარიყო 1928 წელს. დროის უფრო მეტად დაზუსტების საშუალებას გვაძლევს ფოტო, რომელიც მაქსიმ გორკის ქართველ მწერლებთან ერთად გადაუღია და რომელზეც გალაკტიონიცაა აღბეჭდილი. ფოტო 1928 წლის 24 ივლისსაა გადაღებული. იმავე დღეს უნდა შემდგარიყო საუბარი გალაკტიონსა და გორკის შვილს, მაქსიმს, შორის<sup>2</sup>.

◇ უთარიღა პოეტის ჩანაწერი „ტეხნიკურად რა არის ამ წიგნში ახალი?“, რომელშიც იგი მსჯელობს თავის ერთ-ერთ წიგნზე და ჩამოთვლის იმ სიახლეებს, რომლითაც იგი არის გამორჩეული.<sup>3</sup> კონკრეტულ ნაწარმოებთა შორის დასახელებულია ლექსები: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მთვარის ნამბობიდან“, „მთებში“, „გორი“, ევროპისადმი მიძღვნილი ციკლი და პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“. ყველა დასახელებული ტექსტი დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა მესამე ტომში. წიგნი 1940 წლის 9 ივლისის შემდეგ გამოიცა. ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ პოეტის არქივში აღმოჩნდა საბეჭდო მანქანაზე გადაბეჭდილი განცხადების ტექსტი, რომელიც იუწყება გალაკტიონისადმი მიძღვნილი სადამოს გამართვას მარჯანიშვილის თეატრში. განცხადება გალაკტიონს საკუთარი ხელით შეუსწორებია, შეუცვლია თარიღი (ორშაბათი, 8 ნოემბერი ჩაუნაცვლებია მომდევნო დღით), ასევე ჩაუსწორებია საკუთარი სახელი და წოდება. ღონისძიების იდენტიფიცირებისათვის გვქონდა რამდენიმე დეტალი: ე. ი. იგი გამართულა მარჯანიშვილის თეატრში, 9 ნოემბერს, სამშაბათ დღეს, 1933 წლის შემდეგ (გალაკტიონი „სახალხო პოეტადაა“ მოხსენიებული). ყველა რეალიის მიხედვით ეს უნდა იყოს 1948 წლის 9 ნოემბერს, სამშაბათს მარჯანიშვილის თეატრში გამართული სადამო, რომელიც კინლამ ჩაიშალა და დიდი ნერვიულობა შეამთხვია პოეტს.<sup>4</sup> მამასადამე, ამ ღონისძიების განცხადების ტექსტი გალაკტიონს უნდა შეესწორებინა 1948 წლის 9 ნოემბრამდე.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 131; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 131; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>3</sup> ქლმ, დ-127, 11-12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 607.

<sup>4</sup> იხ. ა. ხინთიბიძე, „მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ., 2009, გვ. 313.

◇ 1950 წლით არის დათარიღებული გალაკტიონის წერილის მონახაზი ვინმე ნიკოს სახელზე, რომელსაც სთხოვს მეექვსე ტომის დარჩენილი ჰონორარის გადარიცხვას.<sup>1</sup> იმის გათვალისწინებით, რომ გალაკტიონის დასახელებული წიგნი „სახელგამმა“ გამოსცა, წერილის ადრესატი ნიკო უნდა იყოს გამომცემლობის დირექტორი ნიკოლოზ კიკნაძე. რაც შეეხება წერილის თარიღს, იგი 1950 წლის 27 აგვისტომდე უნდა დაეწერა პოეტს, რადგან სხვა ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ აფხაზეთში იგი ამ დროს ჩავიდა.<sup>2</sup> ზემოდასახელებულ წერილს ნიკო კიკნაძისადმი ერთვის დეპეშების მონახაზი სოხუმის სასტუმრო „რიწას“ დირექტორის და სოხუმშიმშენის გამგის ლეონიდ გვათუასადმი. ერთ დეპეშაში იგი ადრესატს ატყობინებს, რომ 24 რიცხვში იქნება სოხუმში, მეორეში კი ჩასვლის თარიღად 25 რიცხვს ასახელებს. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა იგულისხმებოდეს 24 და 25 აგვისტო. მაშასადამე, დეპეშების მონახაზი 1950 წლის 24 და 25 აგვისტომდეა შექმნილი.

◇ პოეტის ერთი ჩანაწერში ჩამოწერილია 24 მარტს გასაკეთებელი საქმეების ნუსხა. მათ შორის აღნიშნულია დეკადის პროგრამის გაგება; „სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობაში“ მისვლა; ხითაროვასათვის მადლობის გადახდა; წიგნის ეგზემპლარების გაგზავნა მოსკოვიდან თბილისში და ა. შ.<sup>3</sup> აშკარაა, რომ ჩანაწერის გაკეთებისას გალაკტიონი თბილისში არ იმყოფება. იგი მოსკოვში უნდა იყოს, რადგან გეგმავს „სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობაში“ (რომელიც მოსკოვში მდებარეობდა) სტუმრობას და აქ მოღვაწე რედაქტორის, სოფია ხითაროვას ნახვას. ნახსენებია დეკადის პროგრამაც. გასარკვევია, რომელ დეკადას უნდა გულისხმობდეს გალაკტიონი. ყველა რეალიის შეჯერებით გამოირკვა, რომ პოეტს მხედველობაში აქვს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც 1958 წლის 22 მარტს დაიწყო მოსკოვში. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩანაწერი 1958 წლის 24 მარტამდე პერიოდით დათარიღდა.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-603, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 23.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 256, გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 68.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-614, 24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 85.

◇ 1956 წლის 4 დეკემბრითაა დათარიღებული ჩანაწერი, რომელშიც გალაკტიონს რამდენიმე კითხვა ჩამოუყალიბებია. ჩანაწერიდან ჩანს, რომ პოეტი გეგმავს ეს კითხვები დაუსვას იმ პირს, რომელიც მის შესახებ მონოგრაფიაზე მუშაობს.<sup>1</sup> შეკითხვების ადრესატის იდენტიფიკაცია შესაძლებელია პოეტის იმავე პერიოდის სხვა ჩანაწერთა გათვალისწინების შედეგად. 1956 წლის 11 თებერვლის ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეხვდა შალვა რადიანს, რომელიც მუშაობს გალაკტიონის შემოქმედების შესახებ გამოკვლევაზე. მონოგრაფია მზადდება მოსკოვის ქართველ მწერალთა დეკადასთან დაკავშირებით.<sup>2</sup> ნინო კვირიკაძის 1956 წლის 4 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერში კი აღნიშნულია, რომ შალვა რადიანმა გალაკტიონს მეხუთედ სთხოვა ავტობიოგრაფია და მასალის ჩამოსატანად წყნეთში ავიდნენ.<sup>3</sup> აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გალაკტიონის მიერ ჩამოწერილი შეკითხვების ადრესატი შალვა რადიანი უნდა იყოს.

◇ 1938 წლის 16 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში<sup>4</sup> პოეტს გადმოცემული აქვს ალექსანდრე აბაშელთან სატელეფონო საუბრის შინაარსი. აბაშელს გალაკტიონისთვის უთქვამს, რომ მისი წიგნი ძალიან დაიბეჭდება, ოღონდ ორი ლექსი ამოუღიათ და მათ ნაცვლად უმატებენ სერებრიაკოვის თარგმანებს. ამკარაა, რომ საუბარია გალაკტიონის რუსულენოვან წიგნზე, მთარგმნელის გვარი კი გვაძლევს ინფორმაციის დაზუსტების საშუალებას. ბორის სერებრიაკოვის თარგმანები დაბეჭდილია წიგნში „რჩეული ლექსები“ (Г. Табидзе, Избранные стихи, Тбилиси, „Заря Востока“, 1938). ალექსანდრე აბაშელთან სწორედ ამ წიგნის გამოცემის ამბები უნდა დაეზუსტებინა გალაკტიონს.

◇ 1936 წლის 2 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ აწუხებს გული, არის სტაციონარში, უღებენ სისხლის ანალიზს და 9-დან 11 საათამდე უნიშნავენ აბაზანებს.<sup>5</sup> ჩანაწერში ასევე

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-618, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 142.

<sup>2</sup> ქლმ, დ-624, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>3</sup> ნ. კვირიკაძის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 523.

<sup>4</sup> ქლმ, დ-110, 61; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 453.

<sup>5</sup> ქლმ, დ-96, 37-42. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 105-107.




ნახსენებია დაავადება „მიაკორმიტი“ (ორივე მხარეს), მაგრამ ასეთი დაავადება არ არსებობს და, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს „მიოკარდიტი“ – მიოკარდიუმის ანთება. ჩანაწერიდან პირდაპირ არ ჩანს, რომ ეს ყველაფერი მას ეხება, მაგრამ ამ პერიოდის სხვა ჩანაწერებშიც არაერთგან არის ნახსენები ექიმები და გულის ავადმყოფობა, 3 აპრილიდან კი რეგულარულად იწერს საკუთარ წონას ხალათით და უხალათოდ.

◇ 1948 წლის 6 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ სოხუმში დაიწყო მისი წიგნის ბეჭდვა.<sup>1</sup> იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ წელს სოხუმში გალაკტიონის კრებული „ზღვა ახმაურდა“ გამოიცა, პოეტი სწორედ ამ წიგნს უნდა გულისხმობდეს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-490, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 433.

◇ მიმრქმელი მღვდელი თადეოზ ნამიჭეიშვილი ახალშობილს მართლმადიდებლური ტიპიკონის მიხედვით მისი დაბადების დღეს, 5 ნოემბერს, ამ დღეს მოსახსენიებელი ემესელი (ფინიკიელი) წმინდანის – გალატიონის სახელს ურჩევს.<sup>1</sup> ჭყვიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის 1892 წლის მეტრიკული წიგნში მღვდლის სტეფანე ტაბიძის მიერ ჩაწერილია წმინდანის სახელის ნაკლებად ცნობილი ფორმა – გალატიონი. 1887 წელს საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული პალადი რაევის განკარგულებით სასულიერო პირებს ნათლობისას ბავშვებისათვის ქართული სახელების ნაცვლად ბერძნული უნდა დაერქმიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი დაჯარიმდებოდა (კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბილისი, 2010, გვ. 249). საქართველოს სამღვდლოება სარგებლობდა იმხანად პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული „ყოველ დღეზე დაწყობილი ყოველთა წმინდანთა სიით“, რომელშიც ქართველ წმინდანთა სახელები სწორედ პალადი რაევის გამო არ შეუტანიათ. აღსანიშნავია, რომ სახელის არც ბერძნულ და არც რუსულ ფორმაში არ გვხვდება გრაფემა ქ, სახელი კ გრაფემით გამოიყენება Γαλακτιών – Галактион – გალაკტიონ. სამღვდლოება და მოსახლეობა კი რუსულიდან თავისებურად აქართულებდა ბერძნულ სახელებს, ამის გამო საქართველოში წმინდა გალაკტიონის სახელის რამდენიმე ფორმა გავრცელდა – გალაკტიონი, გალაქტიონი და გალატიონი. გარდა ამისა, არსებობს წმინდანის სახელის კიდევ ერთი ნაკლებად ცნობილი ფორმა: ღალაკტიონი. ბერძნულიდან სახელი გალაკტიონი ითარგმნება როგორც „რძისა“. მესამე საუკუნეში ფინიკიაში, ქალაქ ემესაში მცხოვრები წმინდა გალაკტიონის ცხოვრება აღწერილი აქვს



<sup>1</sup> ჭყვიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის 1892 წლის მეტრიკული წიგნი, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №303, ანაწერი №1, საქმე №1183, საქართველოს სსრ „მმაჩის“ რესპუბლიკური არქივი, ვანი, 21.

ბიზანტიელ მწერალს სვიმეონ მეტაფრასტს<sup>1</sup>. ზემოხსენებულ ნუსხაში წლის თითოეული დღის მოსახსენიებელში რამდენიმე წმინდანის სახელი ეწერა და აქ უკვე არჩევანი მიმრქმელზე იყო. 5 ნოემბერს (ძველი სტილით) მოიხსენიებიან წმინდანები: მოწამენი გალაკტიონი და მეუღლე მისი ეპისტიმია (III ს.); მოციქულნი 70-თაგანნი: პატრობი, ერმე, ლინოსი, გაიოზი და ფილოლოგე (I ს.); გრიგოლ ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი (IX ს.) და იონა, ნოვგოროდელ მთავარეპისკოპოსისა (1470); როგორც ჩანს, გალაკტიონის დეიდის ქმარს, მღვდელ თადეოზ ნამიჭეიშვილს ამ ჩამონათვალიდან განსაკუთრებით მოსწონდა სახელი „გალაკტიონი“, რადგან ვიდრე მას თავისი ცოლისდის შვილს დაარქმევდა, საკუთარ ვაჟსაც დაარქვა, რომელიც, როგორც ჩანს, ასევე მოწამე გალაკტიონის ხსენების დღეს იყო დაბადებული. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კიდევ ერთი წმინდა მოწამე სახელად გალაკტიონი, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებისთვის ზღვაში დაახრჩვეს და 5 ივლისს (22 ივნისს) მოიხსენიება.

◇ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ 1905 წელს აღტაცებული იყო გურიაში განვითარებული მოვლენებით<sup>2</sup>. გურიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1905 წლის დამდეგს. ფაქტობრივი ხელისუფლება რევოლუციურ კომიტეტმა ჩაიგდო ხელში. 1905 წლის დასაწყისში ყველა სოფელში შეიქმნა გლეხთა ასეულები. გავრცელდა 70 ათასი პროკლამაცია „გურიის გლეხობას“. 1905 წლის 23 მარტის ნომერში ეწერა, რომ ოზურგეთის მაზრა მზადაა რევოლუციისთვის და მას შეუძლია 15 000 შეიარაღებული პირის გამოყვანა. გურიაში აირჩიეს საკუთარი მოსამართლეები და ჩამოაყალიბეს სასოფლო თემები. გლეხმა ქალებმა მიიღეს რეზოლუცია მამაკაცებთან თანასწორად. 1905 წლის 20 ოქტომბერს გლეხთა ასეულებმა ნასაკირალთან კაზაკების შენაერთი გაანადგურეს. მალევე აიღეს ფოსტა, ტელეგრაფი, ოზურგეთის რკინიგზა და გურიის რესპუბლიკის დაარსება ოფიციალურად

---

<sup>1</sup> <http://karibche.ge/tsmindanebi/motsameni/8592-tsminda-motsameni-galaqtionida-meughle-misi-epistimia-emeselni-iii-khseneba-05-18-noembers.html>

<sup>2</sup> ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 281.

გამოაცხადეს. მხოლოდ 1906 წლის იანვარში მოახერხა მეფის ჯარმა აჯანყების ჩახშობა და გურიის რესპუბლიკის მოსპობა. ვინაიდან პროკლამაციების ბეჭდვა და გავრცელება 1905 წლის მარტში დაიწყო, ანოტაციას ვათარიღებთ გაზაფხულით ან შემდგომი პერიოდით.

◇ 1917 წლის 22 იანვარს მხატვარი ვასილი კროტკოვი ასრულებს გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტის ხატვას<sup>1</sup>, რასაც პოეტი პორტრეტზე თავისი ავტოგრაფით ადასტურებს: „მსგავსებას ამ სურათისას ჩემს სახესთან ვამოწმებ. გალაკტიონ ტაბიძე“. ამ პორტრეტის შესახებ არსებობს ცნობა გალაკტიონის 1958 წლის ჩანაწერებში: „ერთმა მხატვარმა მითხრა, რომ მას ჰქონდა ვ. კროტკოვის მიერ დახატული ჩემი პორტრეტი, და რომ ის პორტრეტი, არა მე, არამედ მუზეუმს ჩააბარა, მხატვართა მუზეუმს.“ (დ-395). ნახატი ამჟამად დაცულია ხელოვნების მუზეუმში და პირველად გამოქვეყნდა წყაროში მითითებულ ალბომში.



◇ 1947 წლის უბის წიგნაკში გალაკტიონ ტაბიძეს ორი ერთმანეთის მსგავსი ჩანახატი აქვს გაკეთებული. ორივეგან არის გრძელი გემი




წარწერით „ავრორა“, ერთგან  $19-\frac{1}{1}-47^2$  და მეორეგან  $19-\frac{2}{2}-47^3$ , რაც თარიღების მიხედვით ნიშნავს, რომ პირველი გემი მან 1947 წლის 1 იანვარს, ხოლო მეორე ამავე წლის 2 თებერვალს ჩაიხატა. პოეტის სხვადასხვა ჩანაწერებზე დაკვირვებამ

<sup>1</sup> მ. ციციშვილი, ნ. ჭოდოშვილი, „ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბილისი, 2013, გვ. 220.


<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანახატი და ჩანაწერი, ქლმ. დ-188, გვ. 4;

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანახატი და ჩანაწერი, ქლმ. დ-188, გვ. 5;

მოგვცა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გემს გალაკტიონი უწოდებდა პრესაში თავისი ნაწარმოებების პუბლიკაციებზე და წიგნებზე მხოლოდ თავისი სახელის სწორი ფორმის „გალაკტიონი“ მოწერას, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ გალაკტიონის არქივში არსებობს უბის წიგნაკის 15 იანვრით დათარიღებული ჩანაწერები სათაურით „გემი „გალაკტიონი“ (დ-629-4), რომელშიც პოეტი აღწერს ამ საკითხზე საუბრებს სხვადასხვა პირებთან.



ლაპარაკია პოეტის სურვილზე, რომ „მნათობის“ პუბლიკაციასა და მისი ახალი წიგნის ყდაზე მხოლოდ მისი სახელი მოთავსდეს, გვარის გარეშე და აღწერილია ის წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვას პოეტის დიდი ძალისხმევა სჭირდება. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ჟურნალის „მნათობი“ და ახალი კრებულის რედაქტორებმა ალიო მაშაშვილსა და ირაკლი აბაშიძეს იმდენად არ სურდათ პოეტის სახელის გვარის გარეშე ბეჭდვა, რომ



ეს საკითხი კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღძრეს: „უბრალო საკითხს, დაეწეროს თუ არ წიგნს „გალაკტიონი“, ის სვამს ცეკაში!!!“. არსებობს მუზეუმში დაცული ამ ჩანაწერის გაგრძელება, რომელიც კერძო



კოლექციაში აღმოჩნდა და გამოქვეყნებული არ არის, ამიტომ ტექსტი მოგვყავს სრულად: „გემი გალაკტიონი – მეორე დღე. დემნა შენგელაიამ მთხოვა ფაქსიმილე წიგნისთვის, რომელსაც სცემს საბლიტგამი („საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა“). მე დავუწერე გალაკტიონი. მან სთქვა: დღეს შენ ხელი გიკანკალებს და ხელს კარგად ვერ აწერო. სახლში დასწერე და მომიტანეო. მე გამეცინა: ეშინია კაცს ამ გალაკტიონის, ამასთან ერთად მას სწყყურია ტაბიძეც. ჩემი ხელის კანკალი კი აქ არაფერ შუაში იყო. კოტე მყავანაძე საღამოთი შემხვდა და მითხრა: წიგნი გამოვა ისე, როგორც შენ გინდა და სათაურად ექნება „გალაკტიონი“. მან რაღაც დაბეჯითებითა სთქვა. ასეთ დაბეჯითებას

ვამჩნევ ლ. კალანდაძეში, გრ. აბაშიძეში. სადამოთი ვნახე ჩემი წიგნის აწყობილი შრიფტი, გვერდებთან შეკრული. მომეწონა ასომთავრულები (აკაკი წერეთლის წიგნიდან, ვანომ ააწყო! საამკინძაოში წიგნს არ დავაგვიანებო!“. ეს ჩანაწერები 1942 წლის დეკემბრის და 1943 წლის იანვრის უნდა იყოს (ლიტერატურის მუზეუმში დაცული ჩანაწერი „გემი „გალაკტიონი“, 15 იანვრით თარიღდება) სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა ჟურნალში 1942 წლის ჟურნ. „მნათობი“ № 11-12 და 1943 წლის № 1 და გალაკტიონის ლექსები მხოლოდ მისი სახელის, გალაკტიონის მითითებით. ჟურნალის რედაქტორი იმხანად ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) იყო, მანვე მიაკითხა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმის დასაზუსტებლად შეიძლება თუ არა გალაკტიონის პუბლიკაციას მხოლოდ მისი სახელი მოეწეროს. ამის შესახებ გალაკტიონი წერს 1948 წლის ივლისით დათარიღებულ ჩანაწერში, რომელიც მისი სახელის სწორი ფორმით დაბეჭდვას ეხება: გალაკტიონი და არა გალაქტიონი (დ-209, გვ. 6). გალაკტიონი წერს, რომ პრობლემები დაიწყო მას შემდეგ, რაც ალიო მაშაშვილმა ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტში გაიტანა: „ეს დაიწყო მაშაშვილმა, ც. კ.-ში რომ საკითხი დასვა“. 1942–1943 წლებში გალაკტიონის ორი კრებული გამოიცა: 1942 წელს რაჟდენ გვეტაძის რედაქტორობით გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცა მისი ლექსების პატარა კრებული „მშობლიურო ჩემო მიწავ“, კრებულზე მიწერილია პოეტის სახელი და გვარი „გალაკტიონ ტაბიძე“. ხოლო 1943 წლის 11 თებერვალს ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი იწყებს გალაკტიონის კრებულის „მამულო, სიცოცხლეო“ ბეჭდვას. სწორედ ეს კრებულია გაფორმებული დეკორატიული ასოებით, რომელიც მოსწონს გალაკტიონს, მაგრამ ყდაზე მისი სურვილის და გამომცემლობის თანამშრომელთა დაპირებების მიუხედავად გამოტანილია პოეტის სახელი და გვარი „გალაკტიონ ტაბიძე“. პოეტის სურვილი მის კრებულზე გვარის გარეშე მხოლოდ მისი სახელი ყოფილიყო დაბეჭდილი, შესრულდა 1944 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელგამის მიერ გამომცემულ წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ამშვენებს პოეტის ფაქსიმილე „გალაკტიონი“. სამწუხაროდ ეს ერთადერთი კრებულია, რომელსაც პოეტის სურვილისამებნ მხოლოდ მისი სახელი აქვს მოწერილი. 1946 წლამდე ჟურნალში „მნათობი“ გალაკტიონის არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა,

ხოლო 1946 წელს ჟურნალის მე-9-10 და მე-11 ნომრებში დაიბეჭდა ლექსები საერთო სათაურით „ზღვა ახმაურდა“ და ავტორის მხოლოდ სახელის „გალაკტიონი“ მითითებით. 1948 წლის თებერვალში ამავე სათაურით „ზღვა ახმაურდა“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელგამმა გამოსცა კრებული. აფხაზეთში გამოსაცემ წიგნზე მუშაობა პოეტმა 1947 წლისთვის დაასრულა, მაგრამ წიგნი მხოლოდ 1948 წლის იანვარში გამოიცა და მის ყდაზე პოეტის სახელი და გვარია დაბეჭდილი. არსებობს 1948 წლის 30 იანვრით დათარიღებული გალაკტიონის წერილი აფხაზეთის სახელგამის გამომცემლობის რედაქტორის, ვინმე პისჩიკის სახელზე, რომელშიც პოეტი მას დაბეჯითებით სთხოვს, თვალყური ადევნოს წიგნზე წარწერილ მის სახელს, რომ უნდა იყოს „გალაკტიონ ტაბიძე“ და არა „გალაქტიონ“, კ და არა ქ.1; ამ დროისათვის პოეტმა დაკარგა იმედი, რომ შეიძლებოდა წიგნის ყდაზე მისი მხოლოდ სახელი დაბეჭდილიყო და იმაზელა ზრუნავდა, რომ წიგნზე სახელი სწორი ფორმით დაბეჭდილიყო.

ავრორა – განთიადის (ცისკრის) ქალღმერთია რომაულ მითოლოგიაში, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს კრეისერს „ავრორა“, რომელიც წარმოადგენს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ სიმბოლოს, მან გასროლით მისცა სიგნალი ზამთრის სასახლეზე შეტევის დაწყებას. საგულისხმოა, რომ 1947 წელი იყო ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო – 30-ე წელი. საფიქრებელია, რომ გალაკტიონი ამ გემების დახატვისას აფხაზეთში გამოსაცემ წიგნზე „ზღვა ახმაურდა“ თავისი სახელის გვარის გარეშე გამოქვეყნებაზე ფიქრობს და გამარჯვების იმედი აქვს.

◇ 1948 წლის ივლისით და აგვისტოთი დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>2</sup> გალაკტიონი წერს, რომ ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა



<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-192, გვ. 32–34; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 205.

<sup>2</sup> ქლმ. დ-209, გვ. 5, 6. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 338-339.

საქართველოს“ მიერ გამოიცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ კონსტანტინე ჭიჭინაძის, რაჟდენ გვეტაძისა და ალექსანდრე გომიაშვილის რედაქტორობით, რომელშიც დაბეჭდილია – გალაკტიონ ტაბიძე. პოეტი ანთოლოგიის სათაურს არაზუსტად აღნიშნავს, დასახელებული პირების რედაქტორობით გამოიცა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 1947 წლის 22 ოქტომბერს, მაგრამ მოგვიანებით, 1948 წლის დასაწყისში დაიბეჭდა. პოეტი ძლიერ განიცდის ანთოლოგიაში თავისი სახელის არასწორი ფორმით დაბეჭდვას და ამის გამო ვარაუდობს დაწეროს საჯარო წერილი, რომელშიც განხილული იქნება მისი სახელის სწორი ფორმით ბეჭდვის აუცილებლობა. უბის წიგნაკში ამოწერილი აქვს მარიამ ალექსიძე-ტყემალაძის ფსევდონიმი მარიჯანი. ათვალეიერებს რა ანთოლოგიის სარჩევს, მის ყურადღებას იპყრობს მარიამ ალექსიძე-ტყემალაძის ფსევდონიმი მარიჯანი და მას უბის წიგნაკში იწერს შენიშვნით, რომ ავტორს უფლება აქვს მოაწეროს თავისი სახელი და გვარი ისე, როგორცა სურს. ამ წინადადებაში ის გულისხმობს თავის სურვილს, რომ მის ნაწერებს მხოლოდ თავისი სახელი მოაწეროს. რის სურვილიც მას გაუჩნდა 1942-43 წლებში, როდესაც სურდა საიუბილეო კრებულზე და მნათობის პუბლიკაციებზე მიეწერათ მხოლოდ მისი სახელი გალაკტიონი, გვარის გარეშე, რის შედეგადაც ჟურნალის „მნათობი“ რედაქტორმა, ალიო მამაშვილმა (მირცხულავამ) ეს საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღძრა და კრებულის რედაქტორის ირაკლი აბაშიძის ჩარევით კრებულზე გალაკტიონის სახელი და გვარი დაიბეჭდა. ჟურნალში დართეს ნება პუბლიკაციის გვერდებზე მიეწერათ მხოლოდ სახელი გალაკტიონი, თუმცა სარჩევში მაინც გალაკტიონ ტაბიძე დაიბეჭდა. სავარაუდოდ, ამის გამო მიიპყრო მისი ყურადღება მარიამ ალექსიძე-ტყემალაძის ფსევდონიმმა - მარიჯანი. ამავე უბის წიგნაკში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ანთოლოგიაზე მისი სახელის არასწორად დაბეჭდვა უკავშირდება ალიო მამაშვილს: „N. B. ეს დაიწყო მამაშვილმა, ც. კ.-ში რომ საკითხი დასვა“.

◇ 1947 წლის 1 ივლისს<sup>1</sup> რვეულში წერს რამდენიმე ლექსს, რომელთაგან ზოგი დაუთარილებელია, ზოგს ათარილებს 1945 წლით

---

<sup>1</sup> კლმ. დ-190, გვ. 49; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 154.



და 1945 წლის მარტით, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. ლექსებისთვის თარიღები სხვა ფერის მელნით არის მიწერილი, ხოლო ეს ლექსები ამავე უბის წიგნაკის ჩანაწერის მიხედვით 1947 წლის ივლისის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ლექსები თავის სიცოცხლეში პოეტს არ გამოუქვეყნებია. ეს ლექსებია: უსათურო „ჩემებრ პოეტი უცებ იცნობა...“, ამ ლექსში ნახსენები გიორგი, უნდა იყოს აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, რომელსაც ეძღვნება შემდეგი დაუსრულებელი ლექსი. უბის წიგნაკში ამ ლექსის 2 შავი დაუსრულებელი ვარიანტი და ერთი მოკლე თეთრად გადაწერილი ვარიანტია წარმოდგენილი. ამ ლექსის წარწერას პოეტი გიორგი ახვლედიანისთვის საჩუქრად მირთმეულ მეოთხე ტომზე ვარაუდობდა, რაც ამავე ლექსის შინაარსიდან ჩანს. აქვე, უბის წიგნაკში წარმოდგენილია პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ფუნაგორია „ორი და ჰყავს ტერ-ფსიქორეს...“, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე სიმონ ჩიქოვანსა და ნიკოლოზ ჩაჩავას ეხება. აქვე არის ჩაწერილი დაუსრულებელი უსათაურო ლექსი „მშობელი ქვეყნის ერთგულო – მგოსანთ მგოსანის ჰანგებით...“, რომელშიც ნახსენებია რაჭა-ლეჩხუმი, რაც გვამღვეს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს ლექსი გალაკტიონ ტაბიძემ შოვში დასვენების დროს, 1947 წლის 1–25 აგვისტოს, ან უფრო ადრე დაწერა, ვინაიდან უბის წიგნაკი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1947 წლის ივლისით თარიღდება, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი პოეტმა ამავე წლის 1–25 აგვისტოს მოინახულა. პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი უსათაურო ლექსები „იმ ომის დროს ჩვენ ყველანი“ და „საჩრდილობელი ცაცხვისა მგზავრს ისრებს მზისას არიდებს...“, უბის წიგნაკში მუქი ლურჯი მელნით არის დაწერილი და მოგვიანებით დათარიღებულია ღია იისფერი მელნით 1945 წლის 4 მარტით. ასევე ამავე უბის წიგნაკში ჩაწერილია ერთტაეპიანი დაუთარიღებელი სატირული უსათაურო ლექსი „ჩერჩილი „ე“-ნით ხმაურობს“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებული ლექსები 1947 წლის ივლის-აგვისტოთი უნდა დათარიღდეს.

◊1947 წლის 29 ივნისს უბის წიგნაკში<sup>1</sup> მუშაობს უსათაურო ლექსზე „მე რომ მკითხონ...“. ლექსს უბის წიგნაკშივე 1947 წლის

---

<sup>1</sup> კლმ. დ-188, გვ. 47,48; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 50-52.

ნაცვლად შეცდომით ათარილებს 1927 წლის 29 ივნისით, რაც აშკარად კალმისმიერი ლაფსუსია, ვინაიდან უბის წიგნაკის ყველა ჩანაწერი 1947 წლის არის.

◇ გალაკტიონის უბის წიგნაკის ჩანაწერების მიხედვით 1947 წლის 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე<sup>1</sup> გალაკტიონი ისვენებს შოვში, ამ პერიოდში მას იღებენ კინოქრონიკისთვის. თარიღის უფრო დაზუსტება ამ ეტაპზე არ ხერხდება, ამიტომ კინოქრონიკის გადაღებას ვათარილებთ ფართო თარიღით.

◇ ნინო კვირიკაძის 1948 წლის 22 აგვისტოს ჩანაწერიდან<sup>2</sup> ირკვევა, რომ გალაკტიონმა ა-ს სათარგმნელად ჩააბარა პოემა „ახალგაზრდა მოხევის ქალი“. სავარაუდოდ ა. უნდა იყოს მთარგმნელი არეთა ბახტაძე, რომელიც გალაკტიონის ლექსების პწკარედულ თარგმანებს ამზადებდა. ამავე უბის წიგნაკში ნინო კვირიკაძე რამდენიმეჯერ ახსენებს მას და მის სახელს წერს შემოკლებით, ჯერ არეთა ბ., შემდეგ არეთა და ბოლოს ა. საყურადღებოა, რომ წერისას ასე ამოკლებს სხვა სახელებსაც, მაგალითად გალაკტიონს აღნიშნავს ასო განით – გ.

1948 წლის 27-28 ივნისს გალაკტიონი ხვდება მთარგმნელ არეთა ბახტაძეს. არეთა ბახტაძე წყაროში სახელით და გვარის ინიციალით არის მოხსენიებული, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე მას სხვა უბის წიგნაკში სახელითა და გვარით მოიხსენიებს. არეთა ბახტაძის თარგმანები არ გამოქვეყნებულა, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ის ამზადებდა ბწკარედულ თარგმანებს. მის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

◇ 1948 წლის 28 აპრილს ან წინა დღეებში<sup>3</sup> ნიკოლაი ტიხონოვი გალაკტიონს აძლევს ფიოდორ გოლოვენჩენკოს მოსკოვის მისამართს, რომელსაც პოეტი დღიურში იწერს. ასევე გოლოვენჩენკოს გალაკტიონი ახსენებს 1948 წლის 28 აპრილის<sup>4</sup>, 30 აპრილის<sup>5</sup>, 11 მაისის<sup>6</sup>, 19 მაისის<sup>7</sup> ჩანაწერებში. ამ ჩანაწერებში ნახსენები ფიოდორ გოლოვენჩენკო არის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-195, გვ. 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 244.

<sup>2</sup> ქლმ. დ-200, 80; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 278.

<sup>3</sup> ქლმ. დ-203, გვ. 4; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

<sup>4</sup> ქლმ. დ-203, გვ. 4; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

<sup>5</sup> ქლმ. დ-201, გვ. 37; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 290.

<sup>6</sup> ქლმ. დ-204, გვ. 24; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 308.

<sup>7</sup> ქლმ. დ-206, გვ. 2-4; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 312-313.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, რომელიც 1945–1948 წლებში მუშაობდა საკავშირო გოსლიტიზდატის (სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის) დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო 1948 წლიდან ცკ სკპ(ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ. სწორედ მასზე იყო დამოკიდებული გალაკტიონის ნაწარმოებების რუსული თარგმანების წიგნის გამოცემის საკითხი.

◇1948 წლის 23 ივნისს ნინო კვირიკაძის ჩანაწერიდან<sup>1</sup> ირკვევა, რომ მოსკოვში გამოსაცემი თარგმანების წიგნისთვის ბჭკარედების დასამზადებლად გალაკტიონი მოლაპარაკებას აწარმოებს საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელ ნიკოლოზ აკერმანთან, რომელიც არ თანხმდება ავანსის გარეშე მუშაობის დაწყებას. წყაროში აკერმანის გვარი არასწორად არის მითითებული, ნინო კვირიკაძე წერს „ეკერმანი“. გალაკტიონის ერთ-ერთი ჩანაწერიდან გაირკვა, რომ აკერმანი საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელია, სწორედ ამ ჩანაწერის მიხედვით გახდა შესაძლებელი მისი ვინაობის გარკვევა. ნიკოლოზ აკერმანი (1908–1986), ბიბლიოგრაფი, ბიბლიოთეკარი. 1926 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკის (ახლანდელ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მთავარ ბიბლიოგრაფად. როგორც ნინო კვირიკაძის და გალაკტიონის დღიურებიდან ირკვევა, მუშაობდა ბჭკარედული თარგმანების მომზადებაზე.

◇ 1947 წლის 30 აგვისტოს გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“<sup>2</sup> გალაკტიონის ინიციატივით ქვეყნდება უჩა ჯაფარიძის მიერ 1943 წელს შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1943 წელს გაზ. „კომუნისტში“ (N246), იგივე პორტრეტს გალაკტიონი 1948 წლის იანვარში აფხაზეთში გამოცემული კრებულის „ზღვა ახმაურდა“ ყდის გასაფორმებლად ირჩევს.

◇1948 წლის 14 იანვრის კალენდრის ფურცელზე გაკეთებულ<sup>3</sup> ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს, რომ ბავშვობაში მას შინ ჰქონდა

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-200, 65; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 276.

<sup>2</sup> გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1947 წ., № 166, გვ. 2.

<sup>3</sup> ქლმ. დ-201, გვ. 11; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 284.

არალეგალური ჟურნალი „ბრძოლა“, რომელშიც მოთავსებული იყო მეტეხის ციხეში დაპატიმრებული ლადო კეცხოველის პორტრეტი და სამგლოვიარო წერილი მისი მოკვლის გამო. გალაკტიონის მოგონება უზუსტობას შეიცავს, ჟურნალი ასეთი სახელწოდებით არ გამოიცემოდა, 1901-1902 წლებში არალეგალურად გამოიცემოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირის ორგანო გაზეთი „ბრძოლა“, რომლის რედაქტორი იყო ლადო კეცხოველი. სულ გამოიცა ამ გაზეთის 4 ნომერი. გაზეთი იბეჭდებოდა ბაქოში, სადაც ლადო კეცხოველი 1902 წლის სექტემბერში დააპატიმრეს, რის შემდეგაც გადაიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში. 1903 წლის 17 აგვისტოს (ახ. სტილით 30 აგვისტო) იგი ციხის საკანში მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ 1903-1905 წლებში გაზეთი გამოიცემოდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით. დღეს ეს გაზეთები ბიბლიოგრაფიულ იმპიათობას წარმოადგენს.

◇ 1948 წლის 15 იანვრის ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს მახარობლიძეს, რომელსაც მისი ბავშვობისდროინდელი ნახატები მოსწონდა. გალაკტიონის უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გალაკტიონი კარგად იცნობს მხატვარს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ვარლამ ბესარიონის ძე მახარობლიძეს (1890–1972), რომელთანაც ერთად სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და ერთ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა<sup>1</sup>. საყურადღებოა 1941 წლის უბის წიგნაკის ჩანაწერი (დ-144), რომელშიც გალაკტიონი წერს, რომ მხატვარ მახარობლიძეს მისი ლექსის „ლურჯა ცხენები“ ილუსტრაცია იმერეთის მთების ფონზე დაუხატავს და ეს სურათი გამოფენილი იყო მასწავლებლის სახლში. საინტერესოა, რომ ლიტერატურის მუზეუმის ფონდში დაცულია ვარლამ მახარობლიძის ოთხი ნამუშევარი, სვანეთის თემატიკაზე შექმნილი ორი და გალაკტიონის ლექსების ორი ილუსტრაცია, 1922 წლის ილუსტრაცია ლექსისა „დომინო“ (სლმ გრ-2556), ხოლო მეორე 1924 წელს შექმნილი ილუსტრაცია ლექსისა „მგლოვიარე სერაფიმები“ – „მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები“ (სლმ გრ-2555). ეს ნამუშევრები მუზეუმმა 2015 წელს

---

<sup>1</sup> ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები. ო. ჭაბუკიანი, ნ. კოპალიანი, ცაგერის ისტორიული მუზეუმის დაარსება და ვარლამ მახარობლიძე, თბ., 2014, გვ. 5.

შეიძინა, სამწუხაროდ გალაკტიონის მდიდარ არქივში ვარლამ მახარობლიძის ნამუშევრები არ აღმოჩნდა. გალაკტიონის ჩანაწერებში ვარლამ მახარობლიძე კიდევ ერთხელ ფიგურირებს. გალაკტიონმა დიდი ინტერესით დაათვალიერა ვარლამ მახარობლიძის სურათების გამოფენა, რომელიც 1957 წლის ივნისში მოეწყო თბილისში, ქართველ მხატვართა კლუბში. მეგობრის სურათების დათვალიერების შემდეგ გალაკტიონმა შთაბეჭდილებათა წიგნში გამოფენის დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ლექსით გამოხატა. საყურადღებოა, რომ ამ ლექსის შავი ვარიანტი დაცულია გალაკტიონის უბის წიგნაკში (დ-381), თუმცა პოეტი თავის ჩანაწერებში არ ასახელებს ლექსის ადრესატს, უწოდებს მას „მხატვარი მთების“. უბის წიგნაკის



ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გალაკტიონს გამოფენა 2 ივნისს დაუთვალიერებია, 3 ივნისს უბის წიგნაკში ლექსი შავად დაუწერია, ხოლო შთაბეჭდილებათა წიგნში კი, რომელიც ვარლამ მახარობლიძის არქივშია დაცული, უკვე 7 ივნისს ჩაუწერია:

აქ ძვირფასი მოსჩანს ჩვენი სვანეთი  
 ლალი მთები, გამტანი ერთმანეთის,  
 ყველაფერი სხივითაა ნანთები,  
 კაცთა სახე, ხეობები და მთები.  
 აქ ჩვენს მხატვრებს საქართველოს ბუნება,  
 სულითა და გულით ესალბუნება.  
 ფერს ახალი მოაქვს მოსინათლობა  
 მადლობა მთებს, დიდზე დიდი მადლობა.

ლექსი პირველად დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლის 8 აპრილს, გაზეთში „სოფლის ცხოვრება“.

◊ 1948 წლის 3 აპრილის ჩანაწერიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონს წაუკითხავს ლაურეატების სია და ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს აზრს: „გამოქვეყნდა ლაურეატების სია: 1. ერენბურგი, 2. პავლენკო, 3. გრიბაჩოვი, 4. ნედოგონოვი, 5. სოსიურა, 6. სუდრაკალი, 7. ტანკი, 8. დურსუნ-ზადე, 9. ასახიევი (<Гликов>) და სხვ. პრემია არ მიუციათ არც ერთი ქართველისათვის, არც ერთი ასე თუ ისე ხეირიანი პოეტისათვის საკავშირო მასშტაბით. ვინაა გრიბაჩოვი? ნედოგონოვი მკვდარია; ტანკი, დურსუნ-ზადე სრულიად უცნობებია. ერთადერთი - რომელსაც ეკუთვნოდა პრემია - ილია ერენბურგია.“ ამ ჩანაწერიდან არ ჩანს, არც რომელი პრემიის ლაურეატები იგულისხმებიან, არც ის თუ რომელ წყაროში გამოქვეყნდა ცნობა, ამიტომ მოგვიხდა იმ დღეებში გამოქვეყნებული გაზეთების შინაარსის შესწავლა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ქართულ პრესაში ცნობა გამოქვეყნდა მხოლოდ 4 აპრილს გაზ. „კომუნისტი“<sup>2</sup> სათაურით: „1947 წელს ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის დარგში თვალსაჩინო ნაშრომთათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ“. ვინაიდან გალაკტიონი ამ ცნობის შესახებ წინა დღეს, 3 აპრილს წერს, განვაგრძეთ ძიება. პრესაში პუბლიკაციების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ პოეტმა ცნობა წაიკითხა საკავშირო რუსულ გაზეთში „პრავდა“<sup>3</sup>, № 93, 2 აპრილი, 1948 წელი, გვ. 1.

აღსანიშნავია, რომ გალაკტიონი უბის წიგნაკში თავიდან მხოლოდ პირველი ხარისხის პრემიებით დაჯილდოებული პირების გვარებს იწერს, მაგრამ პოეზიის დარგში მეორე ხარისხის პრემიებით დაჯილდოებული პოეტების გვარებსაც ამოიწერს, რომელთა ვინაობა მისთვის უცნობია, ამ პოეტების გვარები მას გაზეთიდან უზუსტობებით აქვს ამოწერილი, ასე მეორე ხარისხის პრემიების მფლობელი პოეტების გვარები: „6. სუდრაკალი“ – აღმოჩნდა ლატვიის სსრ სახალხო პოეტი იანს სუდრაბკალნი (არვის კარლის ძე პეინესი). ასევე, გალაკტიონის უბის წიგნაკში ჩაწერილი გვარი „დურსუნ-ზადე“,

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 25; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 288.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1948, №68, გვ.1.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/357496/1/Komunisti\\_1948\\_N68.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/357496/1/Komunisti_1948_N68.pdf)

<sup>3</sup> გაზ. „პრავდა“, № 93, 2 აპრილი, 1948 წელი, გვ. 1.  
<https://electro.nekrasovka.ru/books/6165457/pages/1>

არის ტაჯიკი პოეტი მირზო ტურსუნ-ზადე, ხოლო „9. ასახივეი (<ГЛИКОВ>)“, რომლის ამოკითხვა გალაკტიონის ჩანაწერში შეუძლებელი აღმოჩნდა და სავარაუდოა, არის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, აკადემიკოსი ასაფიევი ბორის ვლადიმერის ძე, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმია იგორ გლებოვი. მას ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში პირველი ხარისხის პრემია მიუღია. აღსანიშნავია, რომ მისი ფსევდონიმი არ არის აღნიშნული არც რუსულ და არც ქართულ გაზეთში, თუმცა გალაკტიონს, მიუხედავად იმისა, რომ გვარი არაზუსტად აქვს ამოწერილი, ასახივეი ასაფიევის ნაცვლად, იქვე ფრჩხილებში, მითითებული აქვს მისი ფსევდონიმი გლებოვი, რომლის ამოკითხვა დამატებითი ცნობების გარეშე შეუძლებელია. ჩანს, პოეტმა დაჯილდოებული მწერლების ვინაობა მის ხელთ არსებულ რომელიღაც ცნობარში გადაამოწმა. ეს გვამღევეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მან დაჯილდოებული მწერლების ბიოგრაფიებისა და იმ ნაწარმოებების გაცნობა დაიწყო, რომლისთვისაც მათ პრემიები მიენიჭათ.

◇ 1948 წლის 5 აპრილის ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი ახსენებს მწერალთა კავშირის გამომცემლობას „ფედერაცია“, რომელიც 1932 წელს დაარსდა და 1942 წლამდე არსებობდა. 1943 წლიდან გამომცემლობა „ფედერაცია“ სამ სხვადასხვა გამომცემლობად გარდაიქმნა: „საბჭოთა მწერალი“, „ზარია ვოსტოკა“ და „ხელოვნება“. გალაკტიონი გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ ძველებურად კვლავ „ფედერაციად“ მოიხსენიებს.

◇ მამია ასათიანის ერთ მოგონებაში გალაკტიონის სტუმრობაზე ქუთაისის სამეურნეო სკოლის დირექტორ ჯაჯუ ჯორჯიკიასთან<sup>2</sup>. წვეულებაზე, სხვებთან ერთად ასევე იმყოფება ვლადიმირ ჯიქია, რამდენადაც იგი 1936 წლის 11 ნოემბერს დააპატიმრეს და დახვრიტეს, ფაქტი 1936 წლის 11 ნოემბრამდე ან უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. მოგონებაში ნახსენებია გალაკტიონის გამოუქვეყნებელი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“, რომელიც 1938 წლის ნოემბერში იბეჭდება ჟურნალში „მნათობი“ სხვა რამდენიმე ლექსთან ერთად საერთო

<sup>1</sup> ქლმ. დ-201, გვ. 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 288.

<sup>2</sup> მ. ასათიანი, შეხვედრა, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 189-190.

სათაურით „პრელუდიები“. აღნიშნულ ლექსთან ერთად დაიბეჭდა ავტოგრაფში 1935 წლით დათარიღებული ლექსი „ფერად-ფერადი“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სათაურით პოეტმა რამდენიმე ადრე დაწერილი ლექსი გააერთიანა. უნდა აღინიშნოს, რომ 1936 წლის აპრილის ბოლოს გალაკტიონი ასრულებს მკურნალობას ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში და მაისში წყალტუბოში ორი კვირით სამკურნალოდ მიემგზავრება. სწორედ ამ დროს უნდა იყოს დაწერილი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“, ამიტომ მოგონებას 1936 წლის მაისით ვათარიღებთ.

◇ 1948 წლის 6 აპრილის ჩანაწერში პოეტი დღიურში იწერს, რომ მისი ლექსი გაზეთ „კომუნისტში“ ერთ კვირაში დაიბეჭდება<sup>1</sup>. გაზეთის 1948 წლის აპრილის ყველა ნომრის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ გაზეთ „კომუნისტში“ აპრილის თვეში არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა, ხოლო 1 მაისს დაიბეჭდა იოსებ ნონეშვილის ლექსი „სამაისო“. შესაბამისად, პოეტის იმედი არ გამართლდა, მისი ლექსი გაზეთში „კომუნისტი“ დროის მოცემულ მონაკვეთში არ გამოქვეყნებულა.

◇ ნინო კვირიკაძის 1948 წლის 5 – 25 აპრილის ჩანაწერებიდან<sup>2</sup> ირკვევა, რომ გალაკტიონი მოლაპარაკებებს აწარმოებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორთან ბორის ნანიტაშვილთან გაზეთში ლექსის „საქართველოს მდინარეები“ – „ხრამჭესი“ დაბეჭდვის შესახებ. ბორის ნანიტაშვილი გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი იყო 1944–1952 წლებში. 1948 წლის 5 აპრილს პოეტი გაზეთის „კომუნისტის“ რედაქციაში ბორის ნანიტაშვილისთვის გადასაცემად და გაზეთში დასაბეჭდად ტოვებს ლექსს, მაგრამ, როგორც მომდევნო ჩანაწერებიდან ჩანს, რედაქტორს არ სურს ლექსის სრული სახით გაზეთში გამოქვეყნება და გალაკტიონს სთავაზობს მის შემოკლებას. გალაკტიონი აღშფოთებულია ამ შეთავაზებით, რადგანაც სხვა პოეტების ვრცელი ლექსები გაზეთ კომუნისტში ხშირად იბეჭდება. საბოლოოდ იგი უარს აცხადებს ლექსის შემოკლებით დაბეჭდვაზე და ლექსი „ხრამჭესი“ გაზეთ „კომუნისტში“ არ იბეჭდება. ლექსი პირველად იბეჭდება 1949 წ., გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა VI ტომში, გვ. 97-109, ხოლო აკადემიურ გამოცემაში ლექსი თარიღდება

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-201, გვ. 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 289.

<sup>2</sup> ქლმ. დ-200, გვ. 39; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 273, 274.



გალაკტიონ ტაბიძისა და ნინო კვირიკაძის აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით.

◊ 1948 წლის 6 აპრილს სამაგიდო კალენდარში წერს, რომ აფხაზეთის ლექსს მიუმატა რამდენიმე ტაეპი და რომ „თუმცა დიდი ჭრილობით, ურემი მაინც წინ მიდის“<sup>1</sup>. ჩანაწერში ლექსის სათაური მითითებული არ არის, მაგრამ მომდევნო 7 აპრილის ჩანაწერში კვითხულობთ: „ასწლიანების“ საქმე ფერხდება, ძალიან ჭრილობით მიდის ურემი“. მოვიძიეთ ლექსი სათაურით „ასწლიანები“, ასეთი ლექსი არ აღმოჩნდა, მაგრამ ამ მინიშნიებიდან შესაძლებელი გახდა გარკვევა, რომ ამ ჩანაწერებში პოეტი გულისხმობდა ლექსს „ასის წლისანი“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1949 წელს პოეტის თხზულებათა VI ტომში 145-ე გვერდზე. ლექსის ავტოგრაფებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოეტს ნაწარმოებზე მუშაობა დიდხანს გაუგრძელებია და მასალების ნაწილი დამოუკიდებელ ნაწარმოებებად უქცევია, ასე ლექსი ცვლილებებით გამოყენებულია პოემის „სინათლის ყვავილი“ გამოუქვეყნებელ ვარიანტში. (პოემა „სინათლის ყვავილი“ თარიღდება 1948 წლით, თხზულებათა VI ტ. დასაბეჭდად ხელმოწერილია 1949 წლის 30 ივნისს) და ლექსში „ასი წლის ჭადარი“, რომლის ერთ-ერთ ვარიანტს თან ერთვის ლექსის დაწერის თარიღი – 1948 წლის 8 აგვისტო. მაშასადამე ამ ლექსზე მუშაობა პოეტს აგვისტომდე გაუგრძელებია.

◊ 1948 წლის 19 აპრილის ჩანაწერში<sup>2</sup> აღნიშნავს, რომ სემინარიაში გიორგი ლეონიძემ ნახა ბაირონის წიგნი გალაკტიონის წარწერით: „საქართველოში შენ ერთი მაინც“. წყაროში გიორგი ლეონიძე მოხსენიებულია გვართ, მაგრამ ცხადია, გალაკტიონი გიორგი ლეონიძეს გულისხმობს, რადგანაც სხვა ლეონიძეს თავის ჩანაწერებში არ ახსენებს, ხოლო გოგლას ხშირად მოიხსენიებს გვართ. გიორგი ლეონიძემ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა 1913 წელს დაიწყო და 1918 წელს დაასრულა. გალაკტიონის ლექსი „შენ ერთი მაინც“ პირველად გამოქვეყნდა 1919 წელს მის კრებულში „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, თუმცა 1927, 1937 და 1944 წლების

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 289.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 36; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 290.

გამოცემებში, ლექსი 1918 წლით არის დათარიღებული. ლექსის ავტოგრაფი, სამწუხაროდ, არ არის ცნობილი. გალაკტიონ ტაბიძე რუსეთიდან საქართველოში 1918 წლის ივლისში დაბრუნდა, თბილისში კი 1 ოქტომბერს ჩამოვიდა. სავარაუდოდ ლექსის სტრიქონი ბაირონის კრებულს სემინარიის პოეზიისმოყვარული სტუდენტის თხოვნით მიაწერა, საფიქრებელია, რომ ლექსს გამოქვეყნებამდე საჩუქრად არავის გადასცემდა. ასევე საეჭვოა, რომ გიორგი ლეონიძეს ლექსი სემინარიაში 1918 წლის შემდეგ ენახა, ვინაიდან სემინარია 1917 წლის რევოლუციამდე რუსული სასულიერო უწყების განკარგულებაში რჩებოდა, ხოლო შემდეგ მისი ფუნქციონირების შესახებ ცნობები არ შემონახულა. სავარაუდოდ, გიორგი ლეონიძემ ბაირონის წიგნზე მიწერილი ლექსი, სემინარიის რომელიღაც კურსდამთავრებულთან სემინარიაში სწავლის დასრულების შემდეგ ნახა.

◇ 1948 წლის 22 აპრილის ჩანაწერში<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ პოეტი ელაპარაკა გენადის, ხოლო 1948 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში (ქლმ. დ-204; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 310) გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ერთ კვირაში, 22 რიცხვში უნდა შეხვდეს გენადი მიხელიძეს. გენადი მიხელიძე გალაკტიონთან ერთად სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. მას გალაკტიონზე ვრცელი მოგონება აქვს გამოქვეყნებული 1962 წლის ჟურნალში „მნათობი“, 1962 წ., №11, გვ. 173–179<sup>2</sup>. თავის მხრივ, გალაკტიონი არაერთხელ ახსენებს გენადი მიხელიძეს თავის ჩანაწერებში.

◇ 1948 წლის უბის წიგნაკის<sup>3</sup> დაუთარიღებელი ჩანაწერი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამავე პერიოდის უბის წიგნაკის 27 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერს. ერთადერთი წინადადება, რომელიც არ მეორდება ეხება პოეტის ალექსანდრე გომიაშვილის სიტყვით გამოსვლას, რომელიც 1946–1950 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი იყო.

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 36-ა; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 290.

<sup>2</sup> [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18254/1/Mnatobi\\_1962\\_N11.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/18254/1/Mnatobi_1962_N11.pdf)

<sup>3</sup> ქლმ. დ-204, გვ. 2-3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

◊ 1948 წლის 28 აპრილის ჩანაწერში<sup>1</sup> ინიშნავს, რომ მისდამი მიძღვნილ ლექსებს მიემატა სამი ახალგაზრდის: ლევთერ ფარცვანიას, ნოდარ დუმბაძის და დავით კვიციანიას ლექსები. აღნიშნავს, რომ შეგროვებული აქვს 169 ავტორის მიძღვნილი ლექსი და საშუალოდ მას წელიწადში ხუთ ლექსს უძღვნიან. გალაკტიონ ტაბიძის არქივში ბევრია სხვადასხვა პირთა მისდამი მიძღვნილი ლექსი. გალაკტიონი ამ ლექსებს გულდასმით აგროვებდა. ზოგი ლექსი მის მიერ პასპარტუშია ჩასმული, რაც გვადლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ლექსები გამოფენაზე იყო ექსპონირებული. გარდა ამისა, მისი ჩანაწერები გვადლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მიძღვნილ ლექსებს გალაკტიონი მათ ავტორებს ან დეკლამატორებს აკითხებდა საკუთარ საღამოებზე, ამზადებდა საგამოფენოდ და ცალკე კრებულად დაბეჭდვასაც გეგმავდა. ახალგაზრდა პოეტების გვარებს ვხედავთ ამავე წლის 12 სექტემბერს პოეტის მიერ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დაგეგმილი შემოქმედებითი საღამოს მონაწილეთა სიაში (დ-479-10). 1948 წლის 29 აპრილის<sup>2</sup> ჩანაწერიდან ირკვევა, რომ საკუთარ არქივში საიუბილეო გამოფენისთვის აარჩევს მისდამი მიძღვნილ 14 ლექსს, რომელთა დაკავშირება შესაძლებელია 1908 წელთან. დღიურში იწერს ამ ლექსების ავტორების გვარებს. სავარაუდოა, რომ ლექსების გამოფენაზე ექსპონირებას გეგმავს. პოეტის არქივში გარდა მიძღვნილი ლექსებისა, ბევრია ლექსთა სიაც, ხან ცალკეულ ფურცლებზე, ხანაც ანბანურ ბლოკნოტებში, ან უბრალო რვეულებში. ახალგაზრდა პოეტების ლექსების სიას ადგენს 1950 წელსაც, წერს, რომ სია არასრულია (დ-252). 50-იანი წლებით დათარიღებულ საგანგებო რვეულში მიძღვნილი ლექსების სია უკვე სამასს აღემატება (დ-437).

ამავე ჩანაწერში<sup>3</sup> აღნიშნავს, რომ აღმოაჩინა 111 ლექსი და წერს, რომ სიაში მხოლოდ სათაურებია. ასეთი სია აღმოჩნდა პოეტის არქივში, ჩანაწერი უთარიღოა, მაგრამ ამ ჩანაწერის საფუძველზე შესაძლებელია მისი პირობითად 1948 წლის 28 აპრილამდე დათარიღება (დ-466).

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-203, გვ. 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

<sup>2</sup> ქლმ. დ-203, გვ. 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-203, გვ. 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს გალაკტიონისადმი მიძღვნილი ერთერთი ლექსის ავტორის, აფხაზეთის მკვიდრის, ლევთერ ფარცვანიას<sup>1</sup> ვინაობა. ცნობები მწირია, ლევთერ ფარცვანია დაიბადა 1926 წელს. ცხოვრობდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდღში. 1993 წელს 67 წლის ასაკში სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა და დაიღუპა.

◇ ნინო კვირიკაძის 1948 წლის 4 მაისის ჩანაწერში<sup>2</sup> აღნიშნულია, რომ 1947 წელს საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემული წიგნი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ (1819-1945)<sup>3</sup>, შეიცავს მთელ რიგ ტყუილებს ჟურნალებთან „ცისფერი ყანწები“ და „ოქროს ვერძი“ გალაკტიონის თანამშრომლობის შესახებ. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია რომ გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში გამომავალი ქართველი სიმბოლისტების ორგანოს სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ თანამშრომელია. ბიბლიოგრაფიაში „ოქროს ვერძის“ თანამშრომელთა შორის გალაკტიონ ტაბიძე დასახელებული არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას 4 მაისს ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ პირადად არ წაუკითხავს და სხვის მონათხრობს ეყრდნობა. „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემენა გალაკტიონმა 1948 წლის 8 მაისს შესძლო, რის შესახებაც დღიურში აკეთებს ჩანაწერს<sup>4</sup>. ის წიგნით ძალიან უკმაყოფილოა, ფიქრობს, რომ მისი ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ უმთავრეს თანამშრომლად წიგნში დასახელება უკავშირდება იოსებ გრიშაშვილს და მის „ოინებს“. 1948 წლის 8 მაისის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე იწყებს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ დაწვრილებით შესწავლა-დამუშავებას და უბის წიგნაკში იწერს მისთვის საინტერესო ინფორმაციას. ბიბლიოგრაფიიდან ამოწერილი აქვს ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ ანოტაცია, რომელშიც მითითებულია: „ცისფერი ყანწები“. 1916 წ. სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი (ქუთაისი). გამოვიდა თარიღებისა და

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-203, გვ. 4; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 301.

<sup>2</sup> ნინო კვირიკაძის ჩანაწერი, ქლმ. დ-200, 46; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 274;

<sup>3</sup> <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/374997>

<sup>4</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-201, გვ. 38; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 291.

ნუმერაციის აღუნიშნავად: 1916 წ. №1 (თებერვ.), №2 (?). თითო 24 გვ. 4<sup>o</sup>. ქართველი სიმბოლისტების ორგანო. თანამშრ.: კ. ნადირაძე, გ. ტაბიძე, ს. ცირეკიძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.<sup>1</sup> გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს: „ასეთია უკანასკნელი ბიბლიოგრაფიული კრებულის „განმარტება“... იდიოტიზმი ამაზე შორს ვერ წავა. „ც. ყ.“-ის უმთავრეს თანამშრომლად გამოვყავართ!“ გალაკტიონის აღშფოთება საფუძველს მოკლებული არ არის. ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ პირველი ნომრის სარჩევში დაბეჭდილია შემდეგ მწერალთა ნაწარმოებები: პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ელენე დარიანი, ივანე ყიფიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიტე (ტიციან) ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლელი ჯაფარიძე, ბალმონტი, ალექსანდრე ცირეკიძე, არისტო ჭუმბაძე და აკაკი ფაღავა, მეორე ჟურნალის სარჩევში კი: ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ელენე დარიანი, პაოლო იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, ივანე ყიფიანი, გრიგოლ ჯაფარიძე, ლელი ჯაფარიძე, ალექსანდრე ცირეკიძე, ალექსანდრე ჭუმბაძე, ტიტე ტაბიძე. ამ ჟურნალის პირველ ნომერში გალაკტიონმა თავისი ორი ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“ დაბეჭდა. ჟურნალის გამოსვლას საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. ამის შემდეგ მან გაწყვიტა ურთიერთობა ჟურნალთან და ჟურნალის მომდევნო ნომერში მონაწილეობა აღარ მიუღია. უფრო მეტიც, მას მოგვიანებით ჩამოყალიბებულ სიმბოლისტთა ჯგუფთან „ცისფერი ყანწები“ წლების მანძილზე არაერთი უთანხმოება ჰქონდა, რაც ჯგუფის წევრების მხრიდან მისდამი უარყოფითი დამოკიდებულებით იყო განპირობებული. ბიბლიოგრაფიაში ჟურნალის ძირითად თანამშრომლებად დასახელებულნი არიან კოლაუ ნადირაძე, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი, მაგრამ არ არის არც დასახელებული ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ დამაარსებელი და რედაქტორი პაოლო იაშვილი, რომელმაც 1937 წლის 22 ივნისს მწერალთა კავშირში მიმდინარე სხდომის დროს თავი მოიკლა, არც ამავე წლის 9 ოქტომბერს დაპატიმრებული და დახვრეტილი ტიციან ტაბიძე, არც ემიგრაციაში

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-204, გვ. 6, 9-12; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 303, 304.

წასული გრიგოლ რობაქიძე. ისინი, ცხადია, 1947 წელს გამოცემულ წიგნში პოლიტიკური რეპრესიების გამო არ არიან დასახელებულები, რადგან მათი სახელები და სახეები ამ დროისათვის არსებული ნაბეჭდი პროდუქციიდან და ფოტოებიდანაც კი გულდასმით ამოშალეს. გალაკტიონის შენიშვნა, რომ ეს იოსებ გრიშაშვილის ოინებია, შესაძლოა იმას უკავშირდება, რომ მისი გვარი, მიუხედავად ორივე ჟურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებებისა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ნახსენები არ არის. პოეტის რეაქციიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მთავრობის მხრიდან პოლიტიკური რეპრესიების გაგრძელებას ელოდება.

◇ უბის წიგნაკში<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ 1948 წლის 5 მაისს ჟენტიმა „ზარია ვოსტოკადან“ გაგზავნა დეპეშა მოსკოვში რიაზინინას სახელზე. 1946–1951 წლებში ბესარიონ ჟენტი მუშაობდა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. დეპეშის შინაარსი ირკვევა გალაკტიონ ტაბიძის რიაზინინასთან საუბრიდან, რომელიც მან უბის წიგნაკში 19 მაისს ჩაიწერა (დ-206, გვ. 1).

◇ 1948 წლის 5–11 მაისის<sup>2</sup> ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ემზადება მოსკოვში წასასვლელად. წერს რუს მწერალთა სიას. უბის წიგნაკში მოკლედ აყალიბებს საბჭოთა კავშირში ომის შემდეგ დაწყებულ მოვლენებს<sup>3</sup>, კერძოდ მთავრობის მკვეთრ დაპირისპირებას დასავლეთთან, რომელიც ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების და სხვა დარგების ცალკეული წარმომადგენლების კრიტიკაში გამოიხატა. დადგენილებების გამოქვეყნების შემდეგ იწყებოდა დარგის პარტიულ წარმომადგენელთა მიერ საკითხის განხილვა, რასაც მოგვიანებით დისკუსიები ეწოდა. გალაკტიონის ჩანაწერი ეხება 1946 წლის 14 აგვისტოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ წინააღმდეგ გამოტანილ გამანადგურებელ დადგენილებას, რომელიც ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებების ავტორებს უიდეო და

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-204, გვ. 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 306.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-204, გვ. 20, 21; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 306.

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-204, გვ. 22; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 307.

იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოებების პროპაგანდისტების ჰვიცხავდა. დადგენილებაში განსაკუთრებით მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებულები მწერალი მიხეილ ზომჭენკო და პოეტი ანა ახმატოვა. 1948 წლის 10 თებერვალს ასეთივე დადგენილება გამოვიდა კომპოზიტორების წინააღმდეგ. სტალინმა პირადად გააკრიტიკა კომპოზიტორ ვანო მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობა“, უწოდა მას ფორმალური ნაწარმოები. გალაკტიონი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ყოველივე ამას, რადგანაც უკვე არაერთხელ გამხდარა მსგავსი კრიტიკის ობიექტი. იგი თვლის, რომ ამ მოჩვენებით სირბილეს სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად მოჰყვება 1937-38 წლების რეპრესიების მსგავსი ქმედებები, და ეს „დისკუსიები“ მზადებაა რეპრესიებისთვის. სწორედ ამიტომ აღაშფოთა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ მისმა დასახელებამ რეპრესირებული მწერლების ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ უმთავრეს თანამშრომლად (დ-204).

◇ 1948 წლის 2 ივნისს<sup>1</sup> უბის წიგნაკში წერს ერთტაეპიან ლექსს რუსულ ენაზე და ათარიღებს 2/VI-48. საარქივო გამოცემაში 2-ის ნაცვლად არის 21, როგორც ჩანს ბეჭდვისას გამყოფი ხაზი / დუბლირებულია როგორც 1, რაც გამორჩენილია კორექტურის გასწორებისას.

◇ 1948 წლის 7-8 ივნისს<sup>2</sup> გალაკტიონი ათვალთქრებს ბესარიონ ბელინსკის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაქსიმ გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, გამოფენა გაიხსნა 7 ივნისს, რის შესახებაც ცნობა დაიბეჭდა გაზეთში „ვეჩერნიაია მოსკვა“, 7 ივნისი, № 133, გვ. 1.<sup>3</sup> გალაკტიონი დიდხანს და გულდასმით ათვალთქრებს გამოფენას, უბის წიგნაკში იწერს გამოფენილი მასალების სიას, იხატავს ექსპონირებული პორტრეტებისა და წიგნების განლაგებას, რასაც გამოფენის გახსნაზე დიდი რაოდენობის დამთვალთქრებელთა გამოვერ მოახერხებდა, ამიტომ, საფიქრებელია, რომ 7 ივნისს გახსნილი გამოფენა მან 8 ივნისს დაათვალთქრა. ჩანაწერი უთარილოა, მაგრამ

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-208, გვ. 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 331.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-208, გვ. 9–15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 331–333.

<sup>3</sup> <https://electro.nekrasovka.ru/books/6165073/pages/1>

უბის წიგნაკის (დ-208) ჩანაწერები ძირითადად 1–8 ივნისით თარიღდება, რაც ამავე თარიღებზე მიგვანიშნებს.

◇ 1948 წლის 8 ივნისს ან ადრე უბის წიგნაკში გაკეთებულ უთარილო ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი რუსულად წერს განცხადების შავ პირს, რომ 1918 წელს ერთი ბოლშევიკის მხურვალე რეკომენდაციით, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ მუშაობდა და რომლის სახელი არ ახსოვს, მიიღეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბოლშევიკების პარტიის წევრად. წერს, რომ პარტიის რაიკომი მაშინ მდებარეობდა ამჟამინდელი ძერჟინსკის მოედნის მიმდებარე ერთერთ ქუჩაზე. აინტერესებს, თუ არის შენახული 1918 წლის პარტიის წევრების სია და თუ არის იქ მითითებული გალაკტიონ ტაბიძე. იმ შემთხვევაში თუ სია შემონახულია და იქ მისი სახელი არის მითითებული, აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ამონაწერის მიღება. მნიშვნელოვანია, რომ 23 მაისს მოსკოვში გალაკტიონ ტაბიძის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით ჩავიდა გიორგი ჯიბლაძე, საქართველოს ცკკპ-ის მდივნის მოადგილე აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში. გალაკტიონს მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა, და როგორც ჩანს, ჯიბლაძემ მას კომუნისტური პარტიის წევრობა შესთავაზა. რაზეც გალაკტიონმა უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ იგი უკვე არის პარტიის წევრი, თუმცა მას ამის დამადასტურებელი საბუთი არა აქვს, და მისი ბოლშევიკების პარტიის წევრად მიღების ამბავი უამბო, რაზედაც, ჯიბლაძისგან, როგორც ჩანს, მიიღო რჩევა დაეწერა განცხადება და ამონაწერი მოეთხოვა. ამის შემდეგ გალაკტიონმა უბის წიგნაკში ეს ბუნდოვანი და ფრთხილი „განცხადება“ დაწერა. 1918 წელს გალაკტიონი მართლაც იმყოფებოდა მოსკოვში, რა დროსაც მუშაობდა იუსტიციის კომისარიატის კომისიაში, რომელსაც ევალეზოდა მოსკოვის მოსახლეობის აღწერა. ამავე დროს, ცხოვრობდა მოსკოვის ქართულ საზოგადოებაში, პოვარსკაიას ქუჩის 29 ნომერში. სწავლობდა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებულ პირველ ხუთთვიან სარეჟისორო კურსებზე. ამ პერიოდში მას აქვს მიმოწერა დედასთან და ძმასთან, მაგრამ არსად არ ახსენებს, რომ პარტიის წევრი გახდა. ასევე, ასეთი ცნობა არ არის ხსენებული მის არცერთ

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-208, გვ. 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 334.



ავტობიოგრაფიაში, ამიტომ საფიქრებელია, რომ თავისი პარტიულობის ამბავი მან მოსკოველ რედაქტორებთან (რომელთაც მოსკოვში დაწერილ რუსულ ლექსში ჯაჭვით დაბმულ ავ ძაღლებს უწოდებს) და გიორგი ჯიბლაძესთან ურთიერთობის შემდეგ შეთხზა.

◇ 1948 წლის 8 ივნისის ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი აღწერს 1909 წელს მოსკოვში ნიკიტას ბულვარში აღმართულ გოგოლის ძეგლს. მოქანდაკე ნიკოლაი ანდრეევი, არქიტექტორ ფიოდორ შეხტელი. ძეგლმა იმთავითვე კამათი გამოიწვია, რადგანაც ავტორმა გოგოლი იმპრესიონისტულ მანერაში და ღრმა სულიერი კრიზისის დროს გამოსახა. კვარცხლბეკზე განთავსებული გოგოლის ნაწარმოებთა პერსონაჟები თავისი ხასიათით დისონანსს ქმნიან მწერლის სასოწარკვეთილ და მწუხარე ფიგურასთან. 1930-იანი წლებიდან



სოციალისტურმა მოსკოვმა დაიწყო ძეგლის ცხარე კრიტიკა, რაც გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე აისახა. პრავდა წერდა, რომ ძეგლი ამახინჯებს დიდი მწერლის სახეს და მას ასახავს როგორც პესიმისტსა და მისტიკოსს, რომ დაუშვებელია მწერლის პესიმისტური სახის დამკვიდრება. 1936 წელს სსრკ ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტმა მიიღო ძეგლის შეცვლის გადაწყვეტილება და გამოაცხადა კონკურსი გოგოლის ახალი ქანდაკების შესაქმნელად, თუმცა ამ განზრახვას 1941 წელს დაწყებულმა ომმა შეუშალა ხელი. ძეგლი 1951 წლამდე დარჩა მოედანზე. გალაკტიონის

ჩანაწერიდან ჩანს, რომ პოეტი არ ეთანხმება მთავრობის დადგენილებას, მას მოსწონს ეს ქანდაკება და მისი აღწერისას

<sup>1</sup> კლმ. დ-208, გვ. 23, 24. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 335.

აღნიშნავს, რომ ქანდაკებაში არაფერი არ გამოხატავს ოპტიმიზმის და სიცოცხლის სიყვარულის ნასახსაც კი, მაგრამ ქანდაკების ძირითადი აზრი სწორედ კვარცხლბეკზე უხვად მიმოხეული უარყოფითი პერსონაჟების ჩვენებაა, მათი კონტრასტი მწერლის გამოსახულებასთან და ეს არის გოგოლის შემოქმედების რეალიზმი, უარყოფითი, საზიზღარი, მაგრამ რეალისტური.

აქვე წერს 1917 წლის მოგონებას, თუ როგორ ბრუნდებოდა ირაკლი ამირეჯიბთან ერთად „არბატს იქიდან“ ელენე დარიანთან სტუმრობის შემდეგ, სადაც შუალამემდე თბილისიდან ჩატანილ კონიაკს სვამდნენ, იგონებდნენ წარსულს და კითხულობდნენ ლექსებს. შემდეგ დაემშვიდობნენ ახალგაზრდა, ცოცხალ და განათლებულ დიასახლისს და შინისკენ წავიდნენ. გზად შეჩერდნენ გოგოლის ძეგლთან და დიდხანს უცქერდნენ მას, რადგანაც ძეგლი ორივეს მოსწონდა, ამ დროს საიდანღაც გაისმა სროლის ხმა. ირაკლი ამირეჯიბი წყაროში მოხსენიებულია გვართ ამირაჯიბი. მოგონებაში საყურადღებოა შორი გასროლის ხმა. ამ ამბავს უნდა უკავშირდებოდეს გალაკტიონის ლექსი ი. ა. რომლის სათაური მიძღვნაა და სწორედ ირაკლი ამირეჯიბის ინიციალებს წარმოადგენს. ლექსის სათაურად გატანილი ინიციალები „ი. ა.“, ვ. ჯავახაძის აზრით, უნდა გულისხმობდეს ირაკლი ამირეჯიბს, მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის მამას (კრ. „გალაკტიონოლოგია“, I, გვ. 93-94). ლექსი გალაკტიონის სურვილით დათარიღებულია 1915 წლით, თუმცა პირველად დაიბეჭდა კრებულში „არტისტული ყვავილები“. ამავე ისტორიას მოგვითხრობს პოეტი ლექსში „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1925 წელს და 1924 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი პოემის „ჯონ-რიდი“ ერთ ეპიზოდში:

კანონადა კი ისევ იზრდება

როგორც სიმსივნე.

სისხლის ძიებით სავსე

უცნობი

ცარციტ სწერს უცნობ

სახლის კედელზე:

„აქ ვიპოვეთ ჩვენ სწრაფი ტყვიით

გულგანგმირული

5 წლის ბავშვი, ოქროსთმიანი

გოგონა“  
და კანონადის  
კვლავ იზრდება  
ჭიაკოკონა.

ელენე დარიანი წყაროში მოხსენიებულია როგორც ელენე დ., ეს არის ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი (პირველი ქორწინების შემდეგ – ბერიშვილი და მეორე ქორწინების შემდეგ – ქართველიშვილი), რომელსაც, 10-იან და 20-იან წლებში, მეგობართა წრეში, იცნობდნენ, როგორც ელენე დარიანს. ელენე ბაქრაძეს ეკუთვნის 50-იან წლებში დაწერილი რამდენიმე მოგონება, რომლებშიც ის აღწერს პაოლო იაშვილის გაცნობისა და მასთან ლიტერატურული თანამშრომლობის ამბავს, აგრეთვე განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მისი მოგონებები გალაკტიონ ტაბიძეზე და მათი მიმოწერა, რომლის ნაწილი სწორედ ელენე ქართველიშვილის არქივშია დაცული. თავის მოგონებებში იგი გალაკტიონის ამ სტუმრობასაც აღწერს („ელენე ბაქრაძე. დარიანი“, 2021-2022).

◇ 1948 წლის 1 აგვისტოთი დათარიღებული ჩანაწერი<sup>1</sup> რომელიც დები იშხნელების სიმღერების და სულიკოს „საზიზღრად შესრულებულ“ რადიოგადაცემას ეძღვნება, უნდა უკავშირდებოდეს 26 ივნისს გამართულ მის საუბარს სახალხო გუნდის ლოტბართან მიხეილ კავსაძესთან, რომელიც მასთან საუბარში აღნიშნავდა, რომ პირები, ვისაც არაფერი გაეგება ხალხური სიმღერისა სპობენ ქართულ ეროვნულ სულს.

◇ 1948 წლის 19 აგვისტოს<sup>2</sup> ვინმე ნ. კიკნაძემ პწკარედების გასაკეთებლად წაიღო გალაკტიონის 7 ლექსი. ამის შესახებ გალაკტიონის უბის წიგნაკში წერს ნინო კვირიკაძე. ნ. კიკნაძის სახელის გარკვევა ვერ მოხერხდა. იგი გალაკტიონთან კალისტრატე კვირიკაძეს, ნინო კვირიკაძის ძმას მიუყვანია, რაზედაც დღიურში გალაკტიონი წერს: „ნ. კიკნაძე მოიყვანა კალისტრატემ. დავპირდი ლექსებს.“<sup>3</sup> და იქვე: „კალისტრატემ სთქვა: სახლში მივეყვი ნ. კიკნაძეს, მან აიღო და შენს წიგნს აკოცაო. კალისტრატე საღამოთი ბაღდათში წავიდა“<sup>4</sup>. 2

<sup>1</sup> ქლმ. დ-209, გვ. 3. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 337.

<sup>2</sup> ქლმ. დ-211, გვ. 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 352.

<sup>3</sup> ქლმ. დ-213, გვ. 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 364.

<sup>4</sup> ქლმ. დ-213, გვ. 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 365.

ავვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მოვიდა ნ. კიკნაძე და წაიღო რამდენიმე ლექსი სათარგმნად“.<sup>1</sup> სხვა დღიურში, რომელიც 1948 წლის ნოემბრით თარიღდება (დ-223), გალაკტიონი წერს: „ნ. კიკნაძე ხელს აწერს ხელშეკრულებას“, მაშასადამე მან ლექსების ბჭკარედების გაკეთებას თავი წარმატებით გაართვა. საინტერესოა კიდევ ერთი ჩანაწერი ცალკეულ ფურცელზე, რომელიც სავარაუდოდ 1950 წლით არის დათარიღებული (დ-469-19). მოსკოვში იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით მზადდება გალაკტიონის ლექსთა თარგმანების ახალი წიგნი და პოეტს ახალი ბჭკარედი თარგმანების დასამზადებლად გამოცდილი მთარგმნელები სჭირდება. როგორც ჩანს, მას ძველი ბჭკარედების გადაუთვალეიერებია და ნ. კიკნაძის თარგმანები მოეწონა, თუმცა არ ახსოვს ვინ იყო ეს მთარგმნელი. ფურცელზე გალაკტიონი წერს: „ნ. კიკნაძე. ვინ იყო? საიდან გაიგო, რომ წიგნი გამოდის?“, მას აღარ ახსოვს, რომ ნ. კიკნაძე მასთან კალისტრატე კვირიკაძემ მიიყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირი არ არის სახელგამის დირექტორი ნიკო კიკნაძე, რომელსაც გალაკტიონი არაერთხელ ახსენებს თავის ჩანაწერებში სახელის ინიციალითა და გვარით.

◇ 1948 წლის 3 ივლისის ჩანაწერებში<sup>2</sup> გალაკტიონი ინიშნავს მწერალთა კავშირში მიმდინარე საუბრებს, სხდომის დაწყების დროს და დამსწრეების ვინაობას, მაგრამ ამ ჩანაწერებიდან ძნელია გარკვევა, თუ რასთან გვაქვს საქმე. ჩანაწერების შინაარსის გარკვევაში გვეხმარება სხვა უბის წიგნაკში<sup>3</sup> (დ-209) 4 ივლისის ჩანაწერი, რომლიდანაც ირკვევა, რომ წინა დღეს მწერალთა კავშირის სხდომაზე დადებითად გადაწყდა 11 ოქტომბერს მისი საღამოს ოპერის თეატრში ჩატარების საკითხი. გალაკტიონი საღამოს ჩატარებას 25 სექტემბერს ვარაუდობდა, იმ დღეს, როდესაც პირველად დაიბეჭდა მისი ლექსები, მაგრამ სხდომაზე 11 ოქტომბერი დამტკიცდა. ამავე საღამოს შესახებ წერს სხვა უბის წიგნაკშიც (დ-213).

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-212, გვ. 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 355.

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-209, გვ. 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 343-344.

◇ 1948 წლის 27 ივლისის ჩანაწერში<sup>1</sup> პოეტი აღნიშნავს, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. გალაკტიონ ტაბიძის ლექსები პირველად გამოქვეყნდა 1908 წლის 28 სექტემბერს ჟურნალში „ჩვენი კვალი“ № 19, გვ. 298 უსათაურო ლექსი „სქელი ღრუბელი“ „გალ. ტაბიძის“ ხელმოწერით და გაზეთში „ამირანი“ № 169, გვ. 2, „გალ. ტ-ბ-ძე“-ს ხელმოწერით, ასევე უსათაურო ლექსს „მთვარე კაშკაშებს“. თარიღი 11 ოქტომბერი პოეტმა ახალი და ძველი კალენდარული სტილის გათვალისწინებით შეარჩია. პოეტი ამ თარიღის აღნიშვნის აუცილებლობას მთლიანად უძღვნის დღიურს (დ-213), რომლის წარმოებას 27 ივლისიდან იწყებს და 11 ოქტომბრით ასრულებს<sup>2</sup>. დღიურში აღნიშნულია, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას არ სურს მისი იუბილეს ღირსეულად აღნიშვნა და ყველანაირად ცდილობენ მას ხელი შეუშალონ. ღონისძიება გალაკტიონის დიდი მონდომების მიუხედავად 11 ოქტომბერს არ ჩატარებულა.

◇ 1948 წლის 29 ივლისის ჩანაწერში<sup>3</sup> გალაკტიონი ახსენებს გაზეთის „წითელარმიელი“ რედაქტორ ვანიონ დარასელიას. 1948 წლის 21 ივლისს გაზეთ „წითელი არმიელის“ რედაქციაში ვანიონ დარასელი ჰპირდება ომის პერიოდის გამოფენის მოწყობას ოფიცერთა სახლში<sup>4</sup>. ვანიონ დარასელი ფსევდონიმია, მისი ნამდვილი სახელია ივანე (ვანო) სხვა ვერსიით ვალერიან დარასელია, (1909–1954), დრამატურგი, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. გალაკტიონი აფასებს ვანიონ დარასელს, მათ კარგი ურთიერთობა აქვთ. 1933 წლის 5 ივლისს, გალაკტიონის იუბილესთან დაკავშირებით, გაზეთ „წითელარმიელის“ ერთი ნომერი მთლიანად მიეძღვნა გალაკტიონს.

◇ ამავე 1948 წლის 29 ივლისის ჩანაწერში ალერსიანად მოხსენიებული სიკუნა ხანთაძე უნდა იყოს ფოსტა-ტელეგრაფის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომელი სიმონ ხანთაძე, რომლის კოორდინატები და ვინაობა ჩაწერილი აქვს უბის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 359-360.

<sup>2</sup> ქლმ. დ-213, გვ. 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 359.

<sup>3</sup> ქლმ. დ-213, გვ. 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 363.

<sup>4</sup> ნინო კვირიკაძის ჩანაწერი, ქლმ. დ-200, 71; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 277.

წიგნაკის დ-212-ის ყდაზე „3-67-88 - ს. ხანთაძე. 9-12 საათი. Респуბლ. комит. профсоюза работников почтамта.“ სიმონ ხანთაძეს ახსენებს 1947 წლის დღიურში (დ-192.), რომელსაც ქუთაისში აწარმოებს.

◇ 1948 წლის 31 ივლისს დღიურში<sup>1</sup> წერს, რომ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის მდივანი, როსტომ შადური არის მოსკოვში და სავარაუდოდ 5 აგვისტოს დაბრუნდება თბილისში. წერს, რომ მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ალექსანდრე გომიაშვილმა და მწერალთა კავშირის პრეზიდენტმა უნდა გაიგონ, რომ შადური მის მხარესაა. 30 ივლისს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის კანცელარიაში შეაქვს განცხადება იმის შესახებ, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. განცხადების რეგისტრაციისას მდივანი მას აცნობებს, რომ საკითხი პირველივე სხდომაზე განიხილება.<sup>2</sup> გალაკტიონს იმედი აქვს, რომ შადური მწერალთა კავშირის მესვეურებს დადებითად გადააწყვეტინებს მისი იუბილეს აღნიშვნის საკითხს და ამიტომ ელოდება მის ჩამოსვლას მოსკოვიდან.

◇ 1948 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს ვინმე გაჩეჩილაძეს, წყაროში არ არის დასახელებული ამ პირის სახელი და პროფესია, მაგრამ 1948 წლის ივლისით დათარიღებულ სხვა უბის წიგნაკში (დ-212), ნახსენებია გაჩეჩილაძე, რომელიც პროპაგანდის სექტორში მუშაობს. „გაჩეჩილაძე. პროპაგანდირება. პროპაგანდის სექტორი“. გალაკტიონი ამ პიროვნებას კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ხვდება, სადაც მისულია ცკკპ-ის აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში მდივნის მოადგილესთან გიორგი ჯიბლაძესთან შესახვედრად და შესაბამისად, ეს პიროვნებაც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამავე განყოფილებაში მუშაობს, თუმცა მისი სახელი არც ამ და არც სხვა რომელიმე უბის წიგნაკში არ არის დასახელებული. ამავე ჩანაწერში ნახსენებია ვალოდია ჭიაურელი, რომელიც, როგორც ჩანს, ამავე სექტორის თანამშრომელია. ვვარაუდობ, რომ ეს არის ვლადიმერ

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 366.

<sup>2</sup> ქლმ. დ-213, გვ. 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 364.

ჭიაურელი, რომელიც გრძვეულ პერიოდში საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (საქდესი, რუსულად გრუზტაგი) ხელმძღვანელობდა.

◊ 1948 წლის 2 აგვისტოს დღიურში<sup>1</sup> წერს სერგი ჭილაიას მისდამი მიძღვნილი მონოგრაფიის მეორე ნაწილის შეფასებას. ივლისის და არც აგვისტოს „მნათობის“ ნომრებში (№№7 და 8) სერგი ჭილაიას წერილი არ დაბეჭდილა, მისი მონოგრაფიის მეორე ნაწილი დაიბეჭდა ივნისის ნომერში (№6), რომელიც, როგორც ჩანს, დაგვიანებით გამოიცა. სერგი ჭილაიას გალაკტიონისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის პირველი თავი დაიბეჭდა 1948 წლის ჟურნალ „მნათობის“ №1. გალაკტიონი წერს „ვერ გავიგე, ჭილაია აქ არის თუ სხვაგან? „მნათობში“ მისი წერილია და იმასვე ამბობს, რასაც ამბობდა, მაგრამ უფრო... სხვანაირად, რადიანის მხარეზე. მგონია, მღალატობს, ისარგებლა ერთი მომენტი... და ისევ იმათ მხარეზე გადადის. ეჰ, ყველაფერი ისე როდი იქნება, როგორც მე მინდა; მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის.“ გალაკტიონი არ წერს, რა იგულისხმება ღალატში და რატომ ფიქრობს, რომ ჭილაიამ მას უღალატა და რადიანის მხარეზე გადავიდა. ვვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება შალვა რადიანის მიერ გალაკტიონის ადრეული შემოქმედების შეფასება, რომელიც ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, გალაკტიონს საფრთხის შემცველად ეჩვენებოდა. 1946 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში (დ-179) პოეტი წერს შალვა რადიანის კრიტიკული წერილის შესახებ: „შალვა რადიანი. ორი პოეტი. „ცხრაას ხუთის დამარცხების პერიოდში გამოსულ მწერალთა შემოქმედება სხვადასხვა გზებით მიემართებოდა, მაგრამ საერთოდ მათგან უმეტესობას რევოლიუციისაგან გაქცევა ახასიათებდა. მთავარი გზები, რომლითაც მიემართებოდა ამ პერიოდში მწერლობა, იყო: პესიმიზმი (გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და სხვ.), ეროტიკა-პორნოგრაფია (ი. გრიშაშვილი და სხვ.), მსუბუქი ჟანრის პოეზია (ვ. მაყაშვილი და სხვ.). ამ გზებისაგან გამოირჩეოდა ერთი გზა, რომელსაც ახასიათებდა რევოლიუციასთან დგომა, ცხოვრების ყოველდღიურობის ასახვა, მშრომელი ხალხის დაცვა და კლასიური მოტივი. ამ უკანასკნელი გზის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი - გიორგი ქუჩიშვილია. (და ამ თავისი „კრედოს“

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369.

მიხედვით სთითხნიდა შალვა რადიანი ჩემს ტომებს. მე კი... ვცდებოდი, როდესაც ყურადღებას არ ვაქცევდი ამ გარემოებას)“.

გალაკტიონს არ მოსწონს მისი ადრეული შემოქმედების ტრაფარეტული შეფასება როგორც პესიმისტურის. იგი სიფრთხილით ეკიდება საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს, კერძოდ კი 1946 წლის 14 აგვისტოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ წინააღმდეგ გამოტანილი გამანადგურებელ დადგენილებას, რომელიც ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებების ავტორებს უიდეო და იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოებების პროპაგანდისთვის ჰკიცხავდა. 1948 წლის 10 თებერვალს ასეთივე დადგენილება გამოვიდა კომპოზიტორების წინააღმდეგ. სტალინმა პირადად გააკრიტიკა კომპოზიტორ ვანო მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობა“, უწოდა მას ფორმალური ნაწარმოები. გალაკტიონი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ყოველივე ამას, რადგანაც უკვე არაერთხელ გამხდარა მსგავსი კრიტიკის ობიექტი. იგი თვლის, რომ ამ მოჩვენებით სირბილეს სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად მოჰყვება 1937-38 წლების რეპრესიების მსგავსი ქმედებები, და ეს „დისკუსიები“ მზადებაა რეპრესიებისთვის, ამიტომ ის ცდილობს არ დაუმვას კრიტიკოსთა მხრიდან ისეთი შეფასებები, რომელიც მომავალში შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს.

◇ 1948 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი წერს, რომ „დადიანი გამოძახებული რომ იყო, ჩამობრძანებულა“. ჩანაწერში არ არის აღნიშნული დადიანის ვინაობა, არც ის, ვინ გამოიძახა დადიანი და არც ის საიდან უნდა დაბრუნებულიყო იგი, მაგრამ არსებობს გალაკტიონის ამავე წლის 30 ივლისით დათარიღებული ამავე დღიურის ჩანაწერი<sup>2</sup>, სადაც ნათქვამია, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების დელეგაცია (შალვა დადიანი, ლევან ასათიანი და ალექსანდრე ბარამიძე), გაემგზავრა უკრაინაში ქალაქ მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის სამირკვლის ჩაყრის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ დელეგაციას, რომელიც უკრაინაში ჩასულიც არ იქნებოდა მწერალთა

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-213, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>2</sup> ქლმ. დ-213, გვ. 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 365.



კავშირიდან დადიანის სახელზე სასწრაფო დეპეშა დაადვენეს რომ სასწრაფოდ დაბრუნდეს უკრაინიდან. გალაკტიონი წერს, რომ არ იცის, რამ ააფორიაქა სიმონ ჩიქოვანი და ვერ ბედავს გაფიქრებას და ვერც წარმოიდგენს რამ გამოიწვია ეს გამოძახება.

◇ 1948 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი წერს, რომ მწერლისა და მთარგმნელის დავით ნახუცრიშვილის ვაჟი გიორგი (გუგა) დავითის ძე ნახუცრიშვილი, ქართველი პროზაიკოსი და დრამატურგი, კარგი ადამიანი უნდა იყოს. გალაკტიონი დავით ნახუცრიშვილს სახელის ინიციალით მოიხსენიებს, ხოლო მისი შვილის სახელს არ ახსენებს. ასევე, ჩანაწერში არ არის მოხსენიებული მათი ვინაობა. დავით და გიორგი ნახუცრიშვილებს გალაკტიონი რამდენჯერმე ახსენებს თავის უბის წიგნაკებში, მაგრამ ეს ჩანაწერები უმნიშვნელოა, ისინი მოხსენიებულნი არიან სხვადასხვა სიებში. ამ ჩანაწერში კი გალაკტიონი წერს, რომ გიორგი ნახუცრიშვილმა მასზე რაღაც კარგი თქვა, არ აკონკრეტებს რა თქვა მასზე გიორგი ნახუცრიშვილმა, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ ამ მიზეზით არ თვლის ნახუცრიშვილის ვაჟს კარგ ადამიანად.

◇ 1948 წლის ოქტომბერში გალაკტიონი თავის უბის წიგნაკში წერს დაუსრულებელ მოგონებას 1918 წლის შესახებ<sup>2</sup>. მოგონებაში ის არ ახსენებს საიდან ჩავიდა თბილისში, არ აღნიშნავს თარიღს, არ წერს რას გულისხმობს „სრულიად სხვა განწყობილებაში“ რომელიც მას თბილისში დახვდა. წერს, რომ დაბინავდა სასტუმრო „პრიმას“ ზედა სართულში, ხოლო ქვედა სართულზე ამ დროს ცხოვრობდა ხალხოსანი მწერალი სოფრომ მაგლობლიშვილი. ამ ჩანაწერში გალაკტიონი აღწერს, თუ როგორ მოვიდა მის გასაჩხრეკად განთიადისას ერთი პოლიციელი და რა დიდხანს მოუნდა იგი ჩემოდნებში ჩაწყობილი უამრავი ხელნაწერის დათვალიერებას და ლექსის წაკითხვას, რის შემდეგაც პოეტს ჰკითხა, თუ რა არის „გემი „დალანდი“. ამ მოგონებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია 1925 წლით დათარიღებული ჩანაწერი (დ-480-5), რომელიც ადასტურებს მომხდარ ფაქტს. გალაკტიონს ჩამოთვლილი აქვს ჩხრეკის რამდენიმე შემთხვევა,

---

<sup>1</sup> კლმ. დ-213, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>2</sup> კლმ. დ-213, გვ. 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 373-374.

მათ შორის ჩხრეკა „ტფილისში მენშევიკების“ დროს: „ჩხრეკა. 1. სემიონოვის გორაზე, 2. ქუთ. სასტუმრო „გურიაში“, 3. რედაქციაში, 4. მოსკოვში, 5. ტფილისში მენშევიკების დრო.“ 1918 წელს გალაკტიონი რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოში, მისი საქართველოში დაბრუნების ზუსტი თარიღი უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ოდესიდან გამოემგზავრა გემით „დალანდი“, რომელიც ფოთის პორტში შევიდა. მაია ნინიძის კვლევაში აღნიშნულია, რომ „გერმანიის ყოფილი 200 ქართველი ტყვე, რომლებთან ერთადაც იმგზავრა გალაკტიონმა გემით, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, თბილისში 17 აგვისტოს ჩავიდა.“ მაგრამ გალაკტიონის თბილისში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის, ამავე კვლევაში მაია ნინიძე აღნიშნავს, რომ „არავითარი წერილობითი ფაქტი არ მოგვეპოვება იმის დასადასტურებლად, რომ თბილისში 5 ოქტომბერზე ადრე ჩავიდა, ამ დროს მის თბილისში ყოფნას კი ადასტურებს მონაწილეობა საღამოში.“ გალაკტიონი უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოვიდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. არჩევნებში „მენშევიკებმა“ გაიმარჯვეს, მაშინ, როდესაც რუსეთში ძალაუფლება ბოლშევიკურმა ფრთამ ჩაიგდო ხელში. ამიტომ რევოლუციით აღფრთოვანებული საქართველოს ნაცვლად, სადაც რუსეთის გარეშე დამოუკიდებლად არსებობაზე არავინ ფიქრობდა, სადაც ისმოდა შემახილები: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში“ და მსგავსი ლოზუნგები, მას დახვდა დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად არაერთი ბრძოლის გადატანა უხდებოდა. სწორედ ამიტომ წერს პოეტი, რომ მას განსხვავებული განწყობილებები დახვდა და არც პოლიციის ჩატარებული ჩხრეკა იყო გასაკვირი. ამ ჩანაწერში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი იჩენს თავს, პოლიციელი ჩხრეკისას კითხულობს ლექსს „გემი „დალანდი“ და ეკითხება პოეტს რა არის გემი „დალანდი“. როგორც ჩანს, მან გალაკტიონის ახლადშექმნილი ლექსის სათაური წაიკითხა, რადგანაც ლექსი „გემი „დალანდი“ გალაკტიონმა სწორედ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. გემი დალანდი ასევე ნახსენებია გალაკტიონის ამავე პერიოდში შექმნილ ლექსში „დაბრუნება“, მაგრამ ამ ლექსში ლენინი ნახსენები არ არის. ლენინი მოხსენიებულია ლექსში „გემი „დალანდი“:

„გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:

შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“

ლექსი დათარიღებულია 1918 წლით და ამ თარიღით პირველად დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის 1919 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „Crane aux fleurs artistique“. ამ ლექსის ავტოგრაფი ამ დრომდე გამოვლენილი არ არის. ამ ჩანაწერის მიხედვით შესაძლებელია ლექსის უფრო ზუსტად დათარიღება. ცნობილია, რომ გალაკტიონი საქართველოში დაბრუნდა 24 ივლისს, ხოლო თბილისში 5 ოქტომბრამდე ჩამოვიდა, ლექსის დათარიღება შესაძლებელია დროის მოცემული მონაკვეთით – 1918 წლის 24 ივლისი – 5 ოქტომბერი.

◇ ჩანაწერში<sup>1</sup> ნახსენებია, რომ ალიო მირცხულავას მწერლების კუთვნილი 400 მეტრი ქსოვილი მიუთვისებია. 1937-1939 წლებში ალიო მირცხულავა იყო მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, თუმცა ამ ფაქტს იგი არც მწერალთა კავშირში 1956 წელს შევსებულ ანკეტაში და არც 1952 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში არ ახსენებს. მუშაობის უკანასკნელ ადგილად დასახელებულია 1936–1946 წლებში ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა. ამის შემდეგ მას თანამდებობა აღარ დაუკავებია („მწერალთა ავტობიოგრაფიები“, ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2013 წ., გვ. 127-140).

◇ ჩანაწერში<sup>2</sup> ნახსენებია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის თარგმანების საქმე ცუდად არის. 1948 წლის 20 იანვარს ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა, მწერალთა კავშირში<sup>3</sup> ყაზბეგის იუბილეს აღნიშვნა იანვრის ნაცვლად დაგეგმა შემოდგომაზე<sup>3</sup>, რამაც გალაკტიონის 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნას მწერალთა კავშირის მხრიდან ხელი შეუშალა. ამასთანავე, ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეო ოთხტომეულის რუსულ ენაზე ახალი თარგმანების მომზადება ვერ მოესწრო და პრესაში გამოცხადდა, რომ ტომეულების გამოცემა 1949 წელსაც გაგრძელდებოდა.

◇ 1948 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>4</sup> მუქი იისფერი მელნით წერს მოსკოვის დიდი თეატრის სახელზე დეკემბის შავ ტექსტს, რომელშიც მწუხარებას გამოთქვამს საბჭოთა ოპერის მომღერლის

<sup>1</sup> ქლმ. დ-217, გვ. 5, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 404-405.

<sup>2</sup> ქლმ. დ-217, გვ. 5, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 404-405.

<sup>3</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, №195, 196, გვ. 1;

<sup>4</sup> ქლმ. დ-216, გვ. 35; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 404.

ანტონინა ნეჟდანოვას გარდაცვალების გამო. ჩანაწერი არ არის დათარიღებული, მაგრამ ცნობილია, რომ ნეჟდანოვა გარდაიცვალა 1950 წლის 26 ივნისს, რაც ამ ჩანაწერის დათარიღების საშუალებას გვაძლევს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამავე მელნით გალაკტიონი ასწორებს ამავე უბის წიგნაკში 1948 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩაწერილ პოემას „უჩა“ და „ბიკი“, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით „სოფლის სადამო“, რაც ამ სწორებების დათარიღების საშუალებასაც გვაძლევს.

◇ 1948 წლის 24 სექტემბერს უბის წიგნაკში აღწერს ღამის კომმარებს<sup>1</sup>. პოეტი სასოწარკვეთილი და შეურაცხყოფილია. იგი არ ასახელებს მიზეზს, რომელსაც მისი ასეთი უკიდურესი აღელვება შეიძლებოდა გამოეწვია, მაგრამ მომდევნო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მისი ძმა აბესალომ ტაბიძე მძიმედ არის ავად, მისი ძმისშვილი ვერაფერს ვერ აკეთებს, ხოლო ნუნუ არ არის კმაყოფილი უნივერსიტეტში მუშაობით. არც ერთი ამ მიზეზთაგანი, ცხადია, პოეტის ასეთ მძიმე სულიერ განწყობას არ გამოიწვევდა. ღამის კომმარების აღწერისას პოეტი ახსენებს საკუთარ შემოქმედებას, ლექსებს, რომელიც ასე უყვარდა ხალხს... ლექსებს, რომელსაც იგი დილით თითქოს გაუუცხოვდა. პოეტის დღიურებიდან ჩანს, გალაკტიონი მდგომარეობიდან გამოიყვანა მწერალთა კავშირის მესვეურების გულგრილმა დამოკიდებულებამ და მისი იუბილეს იგნორირებამ. 1948 წლის 20 იანვარს ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა, მწერალთა კავშირშია კი ყაზბეგის იუბილეს აღნიშვნა იანვრის ნაცვლად დაგეგმა 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით, რამაც გალაკტიონის 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნას მწერალთა კავშირის მხრიდან ხელი შეუშალა, გარდა ამისა მას მწერალთა კავშირში ოპერის თეატრში 11 ოქტომბერს საიუბილეო სადამოს ჩატარებაზე უარი უთხრეს.

◇ 1948 წლის პირველი ოქტომბრით<sup>2</sup> დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „კონიაკი, კვერცი, შაქარი, სუფრის მარლი“. ეს არის ინგრედიენტები, რომლისგანაც მზადდება გოგლი-მოგლი, ის კი, მისი აზრით, ხმისთვის ძალიან სასარგებლოა. ამის შესახებ გალაკტიონი ჯერ კიდევ 1922 წლის დღიურში (დ-11) წერს, როდესაც სალიტერატურო

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-217, გვ. 5, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 404-405.

<sup>2</sup> ქლმ. დ-217, გვ. 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 405.

სადამოსთვის ემზადება: „შაბათს სალიტერატურო სადამო. 1. ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი უნდა გავატარო სახლში (არაა საჭირო საზოგადოების ნახვა: საჭიროა დასვენება). 2. სამი დღის განმავლობაში საჭიროა მეტი კონიაკი для поднятия настроения. 3. გოგლი-მოგლი პარასკევსა და შაბათს – ხმისთვის. 4. მარილი – ხმისთვის. 5. კვერცხი – ხმისთვის. ერთხელ და უკანასკნელად დარწმუნდებიან ყველანი, თუ რა დიდი ძალა ვარ მე.“ როგორც ჩანს, 1948 წელს იგი იჭერს თადარიგს და ხმის აღსადგენად საჭირო ინგრედიენტებს უბის წიგნაკში ინიშნავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარიღი 1 ოქტომბერი დაწერილია გრაფიტის ფანქრით, ხოლო დანარჩენი ტექსტი სხვა რაკურსით და წითელი ფანქრით. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გალაკტიონის ძმა აბესალომ ტაბიძე 2 ოქტომბერს ღამით გარდაიცვალა, რის შესახებაც გალაკტიონი ამავე უბის წიგნაკში წერს იმავე გრაფიტის ფანქრით. საფიქრებელია, რომ ძმის გარდაცვალებით და სხვა გარემოებებით გამოწვეული სტრესის გამო გალაკტიონმა ხმა დაკარგა.

◇ 1948 წლის ორი ოქტომბრით დათარიღებული ჩანაწერის შემდეგ, რომელშიაც ძმის გარდაცვალების შესახებ წერს, იწყებს ძმის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსის წერას<sup>1</sup>. ამ უბის წიგნაკში ლექსის პირველი, დაუსრულებელი, ფრაგმენტული ვარიანტია წარმოდგენილი. შემდგომში პოეტმა ლექსი არაერთხელ გადაამუშავა, თუმცა იგი მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. სოლომონ ყუბანეიშვილის მოგონებიდან ცნობილია, რომ ლექსის საბოლოო რედაქცია გალაკტიონმა ძმის კუბოში ჩადო. იხ. ს. ყუბანეიშვილი, გალაკტიონი მშობლიურ სოფელში, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ.1973, გვ.286. ლექსი დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ აკადემიურ გამოცემაში 1968 წ., თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 114. მომდევნო ჩანაწერი, წარმოადგენს აბესალომ ტაბიძის ნეკროლოგს<sup>2</sup>, რომელიც არ არის დათარიღებული, ჩანაწერში კი ვკითხულობთ: „*პანაშვიდები კვირას, სამშაბათს და ოთხშაბათს სადამოს 7 საათზე. გამოსვენება 7 ოქტ. დღის 5 საათზე. მარჯანიშვილის ქუჩა №4.*“ მუდმივი კალენდრის მიხედვით 2 ოქტომბერი შაბათია, მაშასადამე პოეტმა ნეკროლოგი გაზეთში იმავე

<sup>1</sup> ქლმ. დ-217, გვ. 15-18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 406, 407.

<sup>2</sup> ქლმ. დ-217, გვ. 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 408, 409.

დღეს მიიტანა, ვინაიდან კვირა 3 ოქტომბერია, სამშაბათი 5, ოთხშაბათი 6, ხოლო დასაფლავების დღე ხუთშაბათი, 7 ოქტომბერია. გაურკვეველი მიზეზის გამო ჩანაწერში გალაკტიონმა პანაშვიდის დღეებში გამოტოვა ორშაბათი, რაც არსებითად არ ცვლის სურათს. გარდა ამისა ხსენებული ნეკროლოგი დაიბეჭდა გაზეთში „კომუნისტი“, სწორედ 3 ოქტომბერს. მამასადამე, ნეკროლოგიც და ლექსის პირველი ვარიანტიც პოეტს უბის წიგნაკში 2 ოქტომბერს ჩაუწერია.

◊ 1948 წლის ოქტომბრით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>1</sup> გალაკტიონი წერს მოგონებას 1915 წელს ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“ კონსტანტინე ბალმონტთან და ვარლამ რუხაძესთან ერთად ფოტოსურათის გადაღების შესახებ. ფოტოს გადაღების ფაქტი გამოქვეყნებულია 1915 წლის 10 ოქტომბრის გაზეთში „მეგობარი“ და ამავე წლის 7 ოქტომბრით თარიღდება, გალაკტიონის აღნიშნული ჩანაწერი კი დაუთარიღებელია. მომდევნო ჩანაწერში პოეტი წერს, რომ 11 ოქტომბერს ოპერის თეატრში მისი საიუბილეო საღამო უნდა მოეწყოს. სხვა უბის წიგნაკში (დ-213) 4 ივლისს გაკეთებული ჩანაწერიდან ვიცით, რომ 3 აგვისტოს მწერალთა კავშირის სხდომაზე დადებითად გადაწყდა საკითხი 11 ოქტომბერს მისი საღამოს ოპერის თეატრში ჩატარების შესახებ. გალაკტიონი იწყებს მასალების შეგროვებას იუბილესათვის, და, როგორც ჩანს, ამ დროს მოიძიებს ამ ფოტოსაც, რომელსაც ათვალიერებს და დაწვრილებით აღწერს უბის წიგნაკში. ამავე პერიოდში მან სხვა რამდენიმე მოგონებაც დაწერა, მათ შორის ერთი 12 ოქტომბერს. 11 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიება არ ჩატარდება (დ-213, გვ. 11), მაგრამ მოგონებას ბალმონტთან ფოტოს გადაღების შესახებ სწორედ 11 ოქტომბერს ჩასატარებელი ღონისძიების ჩანაწერი მისდევს. 2 ოქტომბერს გალაკტიონის ძმა, აბესალომ ტაბიძე გარდაიცვალა და ძმის გარდაცვალებით დამწუხრებული მგლოვიარე გალაკტიონი ამ თარიღის შემდეგ 11 ოქტომბრამდე ამ ჩანაწერს ვერ გააკეთებდა, ამიტომ ჩანაწერი 2 ოქტომბრამდე დათარიღდა. აღსანიშნავია, რომ დღიურის ჩანაწერებს გალაკტიონი გრაფიტის ფანქრით და წითელი მელნით ასრულებს. ამავე მელანს იგი იყენებს დღიურში დ-213, სადაც 11 ოქტომბრის საიუბილეო ღონისძიების შესახებ 28 ივლისიდან 3

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-219, გვ. 1-2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 412, 413.

ავგისტომდე მოვლენებს აღწერს. აქედან გამომდინარე, ჩანაწერის დათარიღება შეიძლება ფართო თარიღით 1948 წლის 3 აგვისტო - 2 ოქტომბერი. იმავე დათარიღებას ვაძლევთ უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერებსაც: „საიუბილეო საღამო მოეწყობა სახელმწიფო ოპერის თეატრში 11 ოკტომბერს. 1 ნაწილი. შესავალი სიტყვა (საიუბილეო კომიტეტი). ზაქარიამე. ილია ბახტამე. „ყაზბეგი და გალაკტიონი“. კინოში: 1. მე და აკაკი. 1. „ყაზბეგის იუბილეზე“. 2. ოპერის სეზონის გახსნაზე. 3. მარჯანიშვილის თეატრის სეზონის გახსნაზე.“ შესაძლოა ჩანაწერი „ყაზბეგი და გალაკტიონი“ გულისხმობდეს მწვერვალ ყაზბეგს (მყინვარწვერს) და არა მწერალ ალექსანდრე ყაზბეგს, საყურადღებოა, რომ არსებობს გალაკტიონის პორტრეტი სადაც იგი მყინვარწვერის - ყაზბეგის მწვერვალთან ერთად არის გამოსახული. ეს პორტრეტი გალაკტიონის თხოვნით შექმნილი აქვს თევდორე ჩუდეცკის და მოთავსებულია 1956 წელს გამოცემული ეთერ შუმანიას გალაკტიონის შესახებ დაწერილი წიგნის გარეკანზე.

◇ 1948 წლის სექტემბერ-ოქტომბრით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>1</sup> გალაკტიონი წერს სახუმარო სტროფს: „ბალი და კომში... ლექსს ვწერ ალბომში. ხუთი და ექვსი, აი სულ ლექსი.“ და ჩანახატებით აფორმებს მას. ჩანაწერი და ნახატები უნდა დათარიღდეს მომდევნო 1948 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით, რომელიც იმავე ფანქრით არის დაწერილი და ვადბოლსკისთვის მიცემულ რეკომენდაციას წარმოადგენს. ვვარაუდობ, რომ ლექსის სტროფიც, ნახატიც და ვადბოლსკისადმი მიძღვნილი ჩანაწერიც გალაკტიონმა ორჯონიკიძის სახელობის ბაღში გააკეთა, რომლის ხშირი სტუმარიც იყო. უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერები შესრულებულია მელნით და წითელი ფანქრით. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონს მითითებული აქვს თარიღი 12 ოქტომბერი, თარიღი საეჭვოდ გამოიყურება, ვინაიდან 2 ოქტომბერს გარდაიცვალა გალაკტიონის ძმა აბესალომ ტაბიძე, რაც გალაკტიონმა ძალიან მტკივნეულად განიცადა. გარდა ამისა ჩაიშალა 11 ოქტომბერს ოპერის თეატრში დაგეგმილი გალაკტიონ ტაბიძის 40 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის აღმნიშვნელი იუბილე. საეჭვოა, რომ 12 ოქტომბერს გალაკტიონი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ამ სახუმარო ჩანაწერების და

---

<sup>1</sup> კლმ. დ-220, გვ. 16,17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 417.

რეკომენდაციებისთვის მოიცლიდა. აღსანიშნავია, რომ ორჯონიკიძის სახელობის კლუბში 12 სექტემბერს ვადბოლსკის ძალისხმევით გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის გამოფენა და შეხვედრა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, რომელსაც ძირითადად ეძღვნება ამ უბის წიგნაკის ჩანაწერები. ვვარაუდობთ, რომ ჩანაწერი პოეტმა სწორედ 12 სექტემბერს გააკეთა და მექანიკურად დაწერა ოქტომბერი, რადგანაც 11 ოქტომბერს მისი იუბილეს აღნიშვნა იყო დაგეგმილი. შეცდომით დათარიღების მსგავსი უნებლიე შემთხვევები გალაკტიონის უბის წიგნაკებში სხვაგანაც გვხვდება, ამიტომ ჩანაწერებს 12 სექტემბრით ვათარიღებთ.

◇ 1948 წლის სექტემბერ-ოქტომბრით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>1</sup> გალაკტიონი მუქი იისფერი მეღვინით წერს ლექსის „მადლობა, დიდი მადლობა!“ შავ პირს. ლექსი დაუთარიღებელია, მაგრამ არსებობს ამავე ლექსის ავტოგრაფი (ა-1121), რომელიც ამავე ფერის მეღვინით არისნაწერი და თარიღდება 1948 წლის 18 სექტემბრით, მითითებულია დაწერის ადგილიც – ცხაკაია. ლექსი გალაკტიონს ქალაქ ცხაკაიაში (ამჟამად სენაკი), მისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს შემდეგ დაუწერია.

1948 წლის სექტემბერში ქალაქ ცხაკაიაში (ამჟამად სენაკი) ადგილობრივი რაიკომის ორგანიზებით გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები. 17 სექტემბერს ცხაკაიას საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ქალაქ ცხაკაიაში მცხეთის ქუჩას საქართველოს სსრ სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეწოდა. მეორე დღეს კულტურის სახლის საზაფხულო თეატრში გაიმართა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ პოეტის გამოსვლას. მან მადლობა გადაუხადა



<sup>1</sup> კლმ. დ-220, გვ. 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 418.



ცხაკაიას საზოგადოებას და რამდენიმე ახალი ლექსი წაიკითხა. გაზეთ „ავანგარდის“ გალაკტიონისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში გამოქვეყნებულია ლექსები: „ჩემი სიმღერა“, „სამშობლო“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“. საფიქრებელია, რომ



საღამოზე პოეტმა სწორედ ეს ლექსები წაიკითხა. (გაზ. „ავანგარდი“, „გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო“, 1948, N95/96, გვ. 1.). გულთბილი შეხვედრით ალტაცებულმა პოეტმა იმავე საღამოს დაწერა ლექსი „მადლობა, დიდი მადლობა“, რომელიც მეორე

დღეს ქალაქ ცხაკაიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ მოსწავლეებთან შეხვედრაზე წაიკითხა პირველად. ლექსი 23

სექტემბერს დაიბეჭდა ცხაკაიას რაიონულ გაზეთში „ავანგარდი“, აქვე იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ 19 სექტემბერს შედგა პიონერ-მოსწავლეთა შეხვედრა პოეტ გ. ტაბიძესთან, რომელზეც მან



ბავშვებს წაუკითხა ეს ლექსი და უამბო, რომ იგი წინა დღეს გამართული ლიტერატურული საღამოს დასრულების შემდეგ დაწერა (გაზ. „ავანგარდი“, 1948, N97/98, გვ. 1.). 19 სექტემბერსვე პოეტი რამდენიმე ფოტოს იღებს შეხვედრაზე დამსწრე ბავშვებთან, გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორთან ვლადიმერ (ილო) წირღვავასთან და მის შვილებთან მედეა და ვლადიმერ (აჩიკო) წირღვავებთან ერთად<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვლადიმერ წირღვავას არქივი; გ. ტაბიძის დღიურის ჩანაწერი, ქლმ დ-257, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008. გვ. 73.

გალაკტიონის ერთი მცირე, სექმატური ჩანაწერიდან, რომელიც მან 1951 წლის სექტემბერში უბის წიგნაკში გააკეთა, ცხადი ხდება, რომ პოეტს ეს ფოტომასალა 1951 წლამდე არ მიუღია, ის მოკლედ ინიშნავს უბის წიგნაკში: „ილო წირღვავა. ქ. ცხაკაია. ფოტოები.“<sup>1</sup> როგორც ჩანს, სოხუმში ის შეხვდა გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორს ილო წირღვავას, რომელმაც ფოტოების არსებობის შესახებ აცნობა და მიწოდება აღუთქვა. საფიქრებელია, რომ პოეტს აღნიშნული ფოტომასალა არც ამის შემდეგ არ მიუღია, რადგანაც მის არქივში, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში არის დაცული აღნიშნული ფოტომასალა არ ინახება. 1948 წლის 19 სექტემბერს გადაღებული ფოტომასალა გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორის ილო წირღვავას არქივიდან პირველად გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში მედეა წირღვავას და მისი შვილის გიორგი გარუჩავას პირად გვერდებზე 2023 წლის 17 ნოემბერს. იქვე აგრეთვე განათავსეს მოგონებები, ცნობები და სტატიები ვლადიმერ (ილო) წირღვავას შესახებ<sup>2</sup>.

◇ 1948 წლის 19-20 ნოემბრით დათარიღებულ<sup>3</sup> უბის წიგნაკში გალაკტიონი აღწერს მოსკოვში გამოსაცემი წიგნის საქმეებზე ჩასვლის ამბებს. სხვადასხვა ჩანაწერების შემდეგ<sup>4</sup> უბის წიგნაკში ჩაწერილია კანდიდ ჩარკვიანისადმი და პავლე შადურისადმი გასაგზავნი წერილების შავი პირები, საიდანაც ირკვევა, რომ პოეტს განზრახული აქვს 20 დეკემბერს ოპერის თეატრში გამართოს მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 40 წლის იუბილე. როსტომ შადურის სახელზე დაწერილი წერილის შავ პირში, აღნიშნულია, რომ სადამო უნდა ჩატარდეს 20 ნოემბერს, მაგრამ ეს მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც კანდიდ ჩარკვიანისადმი მიწერილი წერილის შავ პირზე სადამოს თარიღად ასახელებს 20 დეკემბერს. გარდა ამისა, 1948 წლის კალენდრის 22 ნოემბრის ფურცელზე ინიშნავს, რომ ამ დღეს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის დღიურის ჩანაწერი, დ-257, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008. გვ. 73.

<sup>2</sup>

<https://www.facebook.com/giorgi.garuchava.7/posts/pfbid035uXfzWauWdrMGirr9AsFsHKKzZ7HBMZ8gTouLwwB7hKwCRWWahka9ijKypH42qjkl>

<sup>3</sup> ქლმ. დ-223, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 429-432.

<sup>4</sup> ქლმ. დ-223, გვ. 2-4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 429, 430.

ჩატარდება იუბილე ოპერის თეატრში<sup>1</sup>. უბის წიგნაკში ჩაწერილი წერილების თარიღებიდან გამომდინარე 19 და 20 ნოემბერს პოეტი მოსკოვში იმყოფება, როსტომ შადურისადმი მიწერილ წერილში პოეტი აღნიშნავს, რომ თბილისში სამ დღეში დაბრუნდება. თარიღი უბის წიგნაკზე მოგვიანებით ამ წერილების საფუძველზე მიწერილი ჩანს, ამიტომ უბის წიგნაკის ჩანაწერები 1948 წლის 19 ნოემბრამდე უნდა დათარიღდეს.

◇ 1951 წლის 19 ივნისით დათარიღებულ უბის წიგნაკის ჩანაწერში<sup>2</sup> პოეტი აღნიშნავს, რომ ჟურნალი „მნათობი“ არ ბეჭდავს მის ლექსს „მშვიდობისათვის“, ხოლო გამომცემლობა „სახელგამი“ არ ბეჭდავს მის წიგნს. ლექსი „მშვიდობისათვის“, იგივე – „მშვიდობის მარში“ („გავკაფოთ გზა მშვიდობისა“) გალაკტიონ ტაბიძემ 1950 წლის 1-5 მაისს დაწერა, რასაც მის არქივში არსებული ამ ლექსის დათარიღებული ავტოგრაფები და ნაბეჭდი ვარიანტები ადასტურებს (ა-1160), ჟურნალ „მნათობში“ ლექსი დაახლოებით ამავე დროს გაგზავნა, მაგრამ 1950 წელს ლექსი ჟურნალში არ დაბეჭდილა. ჟურნალის „მნათობი“ 1950 წლის №12-ში, დაიბეჭდა „ჟურნალ „მნათობის“ 1950 წლის ნომრების შინაარსი“, საიდანაც ჩანს, რომ ამ წელს ჟურნალში პოეტის არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა. გარდა ამისა, არსებობს გალაკტიონის 1950 წლის დეკემბერში დღიურში გაკეთებული ჩანაწერი, (დ- 261, გვ. 76) რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ უკვე ნახევარი წელია, რაც ირაკლი აბაშიძეს გადასცა ლექსი „მშვიდობისათვის“ და ის ისე გათავზედდა, რომ არ ბეჭდავს. ლექსი პირველად დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა მეხუთე ტომში 1952 წ., გვ. 11 და, ამავე წელს, ჟურნალ „მნათობის“ მაისის ნომერში გვ. 33 გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის „მშვიდობისათვის“, როგორც ნაწყვეტი პოემიდან. 1950 წელსვე გალაკტიონმა შექმნა პოემა-ორატორია „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ა-2201), რომელშიც აღნიშნული ლექსი არ გამოუყენებია და რომლის გადათეთრება დაასრულა საავადმყოფოში 1950 წ. 2 დეკემბერს (დ-261). აღნიშნული ლექსი გალაკტიონს არც ერთ სხვა პოემაში არ გამოუყენებია. ეს ლექსი

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-200, გვ. 95; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 281.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-225, გვ. 5, 6; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 436, 437.

1957 წელს გალაკტიონმა თხზულებათა IX ტომში შეიტანა, სათაურით „მშვიდობის მარში“, ამის შესახებ მის ჩანაწერებში (დ-360) ვკითხულობთ: „მასალები IX ტომისათვის 1. მშვიდობის მარში (გაკვავოთ გზა მშვიდობისა)“.

◇ ამავე 1951 წლის 19 ივნისით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ გამომცემლობა „სახელგამი“ არ ბეჭდავს მის წიგნს. მართლაც, 1951 წელს სახელგამს გალაკტიონ ტაბიძის წიგნი არ გამოუცია, მიუხედავად იმისა, რომ 1950 წელს პოეტმა მოამზადა და სახელგამს დასაბეჭდად გადასცა თხზულებათა V ტომი. იგი ფიქრობს, რომ სახელგამის და მწერალთა კავშირის მესვეურებს სურთ ჩაშლონ მისი მოახლოვებული 60 წლის იუბილეს აღნიშვნა (გალაკტიონი 1891 წლის 17 ნოემბერს დაიბადა). უნდა აღინიშნოს, რომ 1950 წელს გალაკტიონის თხზულებათა მეშვიდე ტომი გამოიცა, ხოლო 1952 წელს დაიბეჭდა თხზულებათა V ტომი, რომლის საავტორო წიგნები გალაკტიონმა 14 მარტს მიიღო (დ-275). ერთი წლის დაგვიანებით, 1952 წელს ოპერის თეატრში აღინიშნა გალაკტიონის იუბილეს.

◇ ასევე, 1951 წლის 19 ივნისით დათარიღებულ ჩანაწერში პოეტი ახსენებს ივანე გიგინეიშვილის წერილს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 19 ივნისის №142-ის მეორე და მესამე გვერდებზე დაიბეჭდა. პოეტი ამ წერილს „საზიზღარს“ უწოდებს. რას შეიძლება აღეშფოთებინა გალაკტიონი ივანე გიგინეიშვილის მიერ დაწერილ სამეცნიერო მიმოხილვაში? მესამე გვერდზე დაბეჭდილ ტექსტში თვალსაჩინოებისთვის შეტანილია მაგალითები იმისა, თუ როგორია სიტყვის განმარტების აგებული ლექსიკონში და დამოწმებულია ამა თუ იმ ავტორის ციტატა. მოყვანილია ციტატები სტალინის, ი. გოგებაშვილის, დ. კლდიაშვილის, ა. ყაზბეგის, შიო მღვიმელის, ილია ჭავჭავაძის, ს. შანშიაშვილის, გ. ლეონიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, კ. კალაძის, გ. კაჭახიძის, შ. აფხაიძის, გ. აბაშიძის ნაწარმოებებიდან, მაგრამ არ არის მოყვანილი მაგალითი გალაკტიონის პოეზიიდან, რამაც მისი აღშფოთება გამოიწვია.

◇ უბის წიგნაკი დ-227<sup>1</sup> დაუთარიღებელია. მასში არსებული ჩანაწერების მიხედვით საარქივო გამოცემაში იგი დათარიღებულია

---

<sup>1</sup> კლმ. დ-227; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 442-448.

1948 წლით, მაგრამ ვინაიდან ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პოეტი რუსულ ენაზე ადგენს მოსკოვში გამოსაცემი თარგმანების წიგნის ახალ ქრონოლოგიურ გეგმას<sup>1</sup>, მისი დათარიღება შესაძლებელია 1948 წლის 19 მაისის შემდგომი პერიოდით. სწორედ 19 მაისს ალექსანდრა რიაზინინასთან საკუთარი ლექსების თარგმანების ახალი წიგნის გამოცემის შესახებ საუბრობს და ჰპირდება მას წიგნის ახალი გეგმის შედგენას<sup>2</sup>. ამავე უბის წიგნაკში წერს გალაკტიონი ლექსს ამირანზე, ამიტომ მას ამავე პერიოდით ვათარიღებთ და ვინაიდან გალაკტიონი მოსკოვში 18 მაისს ჩავიდა ლექსი მას 18 მაისის შემდეგ უნდა დაეწერა<sup>3</sup>.

◇ 1948 წლით დათარიღებულ საკანცელარიო რვეულში<sup>4</sup>, რომელიც პოეტმა თავისი პოპულარული ლექსის სტრიქონით „დროშები ჩქარა“ დაასათურა, იგი ამზადებს მასალებს მოსკოვის სახელგამში გამოსაცემი წიგნისთვის. მოსკოვში პოეტი 1948 წლის 18 მაისს მიემგზავრება, ამ დროისათვის მას უკვე გამზადებული აქვს სათარგმნი წიგნის მონახაზი და სათარგმნელი მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ 1947 წელს გალაკტიონს ჩაფიქრებული ჰქონდა რევოლუციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის „დროშები ჩქარა“ გამოცემა. ამ კრებულს და ჩეხოსლოვაკიაში ამავე სათაურით „დროშები ჩქარა“ დასაბეჭდად გამზადებულ „ქართველი მწერლობის ანთოლოგიას“ იგი ახსენებს 1947 წელს შოვში მკითხველებთან შეხვედრისთვის დაწერილ სიტყვაში: „ჩემს აქ ყოფნაში, ერთი თვის განმავლობაში, ჩემთვის რამდენიმე შესანიშნავ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მკათათვის დამლევს, ბუბასაკენ მიმავალ გზაზე შემხვედრმა მწყესებმა მიცნეს და წამიკითხეს გაზეთი (ლიტ. და ხელოვნება), რომელშიაც ეწერა, რომ ჩეხოსლოვაკიის მწერლები სცემენ ქართველი მწერლების ანტოლოგიას, რომლის საერთო სახელი იქნება – „დროშები ჩქარა“. ამ ანტოლოგიის ამზავი პირველად აქ გავიგე და დავინტერესდი, ვინაიდან „დროშები ჩქარა“ ხომ ერთ-ერთი ჩემი ლექსის სათაურია“... „ყველა ეს ლექსები – ცალკე წიგნად დავამზადე აქ, და შესაძლებელია გამოცემაც მოესწროს ოკტომბრის XXX წლისთავისათვის, თუმცა ძალიან ცოტა დრო დარჩა, სულ რაღაც ორი თვეა. წიგნის საერთო

<sup>1</sup> კლმ. დ-227, გვ. 3–5, 8, 10–13; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 443–448.

<sup>2</sup> კლმ. დ-206, გვ. 2–4; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 312–313.

<sup>3</sup> კლმ. დ-227, გვ. 7; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 446.

<sup>4</sup> კლმ. დ-228, გვ. 1; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 448–459.

სათაური იქნება „დროშები ჩქარა“, და ეხება მხოლოდ და მხოლოდ 1917 წელს.“ (დ-189). სავარაუდოა, რომ ამ საკანცელარიო რვეულში 1908 – 1917 წლებში დაწერილი ლექსების ქრონოლოგიურად დალაგება პოეტს ჯერ კიდევ 1947 წლის აგვისტოში დაუწყია და თუმცა ჩაფიქრებული კრებულის გამოცემა ვერ მოახერხა, ჩანაფიქრი განავრცო და რუსული კრებულის გამოცემა სწორედ ქრონოლოგიური წესით გადაწყვიტა. გარდა იმისა, რომ მან ამ სიებში წარმოდგენილ თითქმის ყველა ლექსს შეუცვალა თარიღი, რამდენიმე ლექსი და პოემა საგანგებოდ ამ მიზნით დაწერა და მათი გამოქვეყნება ადრინდელი „რევოლუციამდელი“ თარიღით სურდა. როგორც ჩანს, ამ ნაბიჯით პოეტი ვარაუდობდა კრიტიკოსების მხრიდან მისი შემოქმედების რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ ეტაპებად მოხსენიება-დაყოფის შეწყვეტას, მისი შემოქმედების ასე განხილვა მას თავზარს სცემდა, რადგანაც, მისი აზრით, ეს შემდგომში რეპრესიების მიზეზად შეიძლებოდა ქცეულიყო. ამის ვარაუდის საფუძველს იმხანად მიმდინარე „დისკუსიები“ აძლევდა. იმისთვის, რომ ლექსების ეს „ახალი“ დათარიღებები გაემყარებინა, გალაკტიონი იწყებს მოგონებების რიგის წერას და ამ საგანგებოდ შეთხზულ მის რევოლუციონერებთან და ბოლშევიკებთან ურთიერთობის „ისტორიებს“ სხვადასხვა შეხვედრებზე ყვება, თუმცა შიგადაშიგ შეთხზულს ურევს რეალურად მომხდარ ამბებსაც, მაგალითად ლექსის „დროშები ჩქარა“ დაწერის ამბავს.

საკანცელარიო რვეულში მუშაობის პერიოდში გაკეთებული სხვა ჩანაწერებიც<sup>1</sup> 18 მაისამდეა გაკეთებული. რვეულის ბოლოში, გალაკტიონმა გრაფიტის ფანქრით შავად დაწერა ერთტაეპიანი ლექსი სათურით „Ars Poetique“ - „პოეზიის ხელოვნება“<sup>2</sup>, რომელიც ამასთანავე ნახატით გააფორმა. ნახატზე მოჩანს გრძელწვერიანი მამაკაცის პროფილი, რომელსაც მოზრდილი ქოჩორიც აქვს. ამ მამაკაცის უკან სხვა ადამიანის სილუეტიც მოჩანს. უკან და გვერდიდან არსებული შტრიხები გვაფიქრებინებს, რომ ეს მამაკაცები ერთ რიგში სხედან და სხდომას ესწრებიან. ლექსში ნათქვამია: ესაა თავდასხმა, ესაა კრიტიკა,/ რომანი, პოემა - ლექსი თუ წერილი,/ სტრიქონი ყოველი - არის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-228, გვ. 11; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 454.

<sup>2</sup> ქლმ. დ-228, გვ. 17; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 459.

პოლიტიკა./ უთეთრეს ძაფებით - მიკერ-მოკერილი! უნდა აღინიშნოს, რომ 1928 წელს გალაკტიონმა ლექსი სათაურით „Ars Poetique“, რომელიც გადაამუშავა და გამოაქვეყნა სათაურით „ეპოქა იშვა და გაიზარდა“. ამ ლექსს მოცემულ სტროფთან არაფერი საერთო არა აქვს. ასევე აღსანიშნავია, რომ 1940 წლის 6 დეკემბერს პოეტმა განცხადებით მიმართა საბლიტგამს, რომელშიც გამომცემლობის ხელმძღვანელობას თხოვდა საგამომცემლო გეგმაში შეეტანათ მისი წიგნი „პოეზიის ხელოვნება“. ტექსტში ნახსენებია ფრანგული „Ars Poetique“, თუმცა შემდეგ გადახაზულია. პოეტის თქმით, ეს უნდა ყოფილიყო ლექსების კრებული თანამედროვე პოეზიის დანიშნულების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა პოეტებს, მაგალითად აკაკის, ილიას, ვაჟას პორტრეტებს მიეძღვნებოდა.

განცხადებაში პოეტი აღნიშნავს, რომ ასეთი წიგნი არ არსებობს ქართულ ენაზე და დიდ საჭიროებას წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის. სამწუხაროდ, წიგნი არ გამოცემულა და გალაკტიონის ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. საინტერესოა, რას გულისხმობს



გალაკტიონი, როდესაც თეთრი ძაფებით ნაკერ პოლიტიკაზე წერს. ამის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მისი სხვადასხვა დროს გაკეთებული რამდენიმე ჩანაწერი. 1937 წლის თებერვალში თავის დღიურში იგი ალექსანდრე აბაშელს უწყობა და თვლის, რომ მისი პოლიტიკა თეთრი ძაფებითაა ნაკერი. რადგანაც იგი კრებულებში მასალების ალფაბეტური წესის დასამკვიდრებლად იღწვის. 1941 წლის 4 აპრილს შედგა გალაკტიონის სადამო ნამალადევში, პლენარის სახელობის კლუბში. სადამომ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ გალაკტიონი მაინც არ არის კმაყოფილი. მას ჰგონია, რომ მის სადამოზე სხვა მწერალმა მსმენელთა სიმპატიებით

ზედმეტად ისარგებლა. დღიურში წერს: „აშკარადა სჩანს თეთრი ძაფებით ნაკერი პოლიტიკა – თანდათან ჩემი და სხვების სადამოების საშუალებით „გააძვრინონ“, მოუპოვონ პოპულიარობა ლეონიძეს“ (დ-144). 1949 წლის სექტემბერში გრიშაშვილის შესახებ წერს: „მზადა ვართ, შეგეჯიბროთო“. მაგრამ რომელ შეჯიბრებაზეა აქ ლაპარაკი? ვის უნდა შეეჯიბროს ის? გალაკტიონ ტაბიძეს, სანდრო შანშიაშვილს, ალექსანდრე აბაშელს? რაში უნდა შეეჯიბროს? ყველას ხომ თავისი ადგილი აქვს. აჰ, მოწინავეობა უნდა, უნდა დაანახვოს მის მფარველებს, შეხედეთ, როგორ ვამართლებ თქვენს ნდობასო, მაგრამ ეს ხომ პროვოკაციაა. ეს ხომ თეთრი ძაფებით ნაკერი პოლიტიკაა“ (დ-244). სამივე მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ გალაკტიონი არ გულისხმობს რეალურ პოლიტიკას, მას მხოლოდ პოეზიაში პირველობა და აღიარება აინტერესებს, რომელშიც სხვა პოეტები ეცილებიან. დავუბრუნდეთ დღიურში ჩაწერილ ტაქსს. როგორც ჩანს, მწერალთა კავშირში გამართულ მორიგ სხდომაზე, გალაკტიონს არ ესია მოვნა რომელიმე ჩინოსანი პოეტის გამოსვლა, რის შედეგადაც გაღიზიანებულმა ეს სტროფი დაწერა.

◇ 1948 წლით დათარიღებულ რვეულში<sup>1</sup> გალაკტიონი მკითხველებთან შეხვედრაზე გამოსვლისთვის მოგონების სახით წერს პოემის „ბამბურა მურა“ შინაარსს, რომელშიც ახსენებს, რომ ეს ამბავი მას შეემთხვა 1916 წელს და პოემაც მაშინვე, შემთხვევიდან მეოთხე დღეს დაწერა, ამხანაგებს წაუკითხა, მაგრამ მათ პოემა დაუწუნეს არაესთეტიურობის გამო და ამიტომ არ დაუბეჭდავს, ახლა კი პოემის დაბეჭდვა სურს როგორც ისტორიული დოკუმენტისა. პოემა პირველად დაიბეჭდა 1949 წელს, პოეტის თხზულებათა VI ტომში, 363-376 გვერდებზე. პოემა მოცულობით მცირეა, პოეტის არქივში ამ პოემის რამდენიმე ხელნაწერი და ნაბეჭდი ვარიანტია დაცული – ავტოგრაფი: №2191: ა. (ა-59). „ბაჯა და მურა“. სრული, ცვლილებებით, ნასწორები, მელანი (წითელი). დათარიღებულია - 1912 წ. აფხაზეთი. „ახალი ათონი“ - გადახაზულია. ბ. (820-821). \* \* \* (ყავახანას თუ დუქანს...). სრული, ნასწორები, მელანი (ლურჯი). გ. (1603-1608). \* \* \* (ყავახანას თუ დუქანს...). სრული, ნასწორები, მელანი (ლურჯი, წითელი). დ. (6626). \* \* \* (ჩემი ფიქრი კი ეხლა...). ნაწყვეტი, გრაფიტი. ნაბეჭდი: (818-819). \* \* \*

<sup>1</sup> კლმ. დ-230, გვ. 1-3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 463-464.



(ყავახანას თუ დუქანს...). სრული, ნასწორები ავტორის მიერ, დათარიღებულია - 1912 წ., აფხაზეთი, მელანი (ლურჯი). (3902-3903). „მეტეხის საიდუმლო“. სრული, ნასწორები ავტორის მიერ, დათარიღებულია - 1912 წ., აფხაზეთი, მელანი (იისფერი). ამ ვარიანტების შესახებ ჩანაწერები და ლექსის დაწერის ადგილი მიგვანიშნებს (დ-192, ლექსი: უსათაურო „აქ ხილულ ოცნებას“ – 1947, 21 ენკენისთვე, ახალი ათონი). პოემის ვარიანტების მიხედვით ჩანს, რომ პოეტს სურდა პოემის 1912 წლით დათარიღება, თუმცა მოგონებაში 1916 წელია ნახსენები. პოეტის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ პოემაზე მუშაობა მან 1946 წელს დაასრულა და მის ჩართვას აფხაზეთის სახელგამის მიერ 1948 წლის იანვარ-თებერვალში გამოცემულ წიგნში ვარაუდობდა (დ-174), ხოლო ახალ ათონში 1947 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ისვენებდა. ამ ვარიანტებში წარმოდგენილია აგრეთვე სხვა პოემების გმირები და მოვლენების ეპიზოდები (პერსონაჟები რატი და ევა, პოემა „ამირანი“). გალაკტიონის ეს „მოგონებაც“ ამ პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან საუბრების შემდეგ გარკვეული მიზნით შექმნილი მოგონებების წყების ნაწილია, რომელმაც გალაკტიონის რევოლუციამდელი შემოქმედება უნდა გადაასხვაფეროს.



ამ მხრივ საყურადღებოა იოსებ ლორთქიფანიძე წიგნში „გალაკტიონ ტაბიძე. ცხოვრების გზა და შემოქმედებითი ბიოგრაფია“ (თბ. 1988 წ. გვ. 84-85) ამ თემასთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითი. ი. ლორთქიფანიძე ახსენებს აკაკი თოფურიას მსჯელობას გალაკტიონის ლექსის „მე და ღამე“ შესახებ. საინტერესოა, რომ ეს მსჯელობაც გალაკტიონის ერთერთ მოგონებას ეფუძნება. იოსებ ლორთქიფანიძე წერს: „გასაზიარებელი არ არის აკაკი თოფურიას

მსჯელობა „მე და ღამის“ შექმნის შესახებ. თურმე „ირკვევა, რომ აქ („მე და ღამეში“ – ი. ლ.) ლაპარაკია არა რაღაც მისტიკურ, არამედ სულ სხვა ხასიათის საიდუმლოებაზე... რეალური ფაქტი, რომელიც თვით პოეტის მოგონებიდან ჩანს, ბიძგი გამხდარა „მე და ღამის“ შექმნისა რაც სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას... ნაცვლად დეკადენტური განწყობილებისა ჩვენს წინაშე დგება პოეტური ოსტატობით დახატული სახე ლირიკული გმირისა, რომელსაც მტკიცედ განუზრახავს ბოლომლე შეინახოს რევოლუციონერი ამხანაგის, მეგობრის საიდუმლო“ („ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“, ცხინვალი, 1969, გვ. 139–152).“ როგორც ამ ნარკვევიდან თვალნათლივ ჩანს, გალაკტიონმა ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ იოსებ ლორთქიფანიძე, რომელსაც შესწავლილი აქვს გალაკტიონის არქივი, ასე არ თვლის. იგი წერს: „სინამდვილეში გ. ტაბიძის ის მოგონება, რომელსაც ეყრდნობა ა. თოფურია, სხვა არაფერია თუ არა 1948 წელს დაწერილი პოემის „ბამბურა მურას“ შინაარსი. პოემის სავარაუდო წინასიტყვაობაში (არქ. დღ. 226) პოეტი დაწვრილებით აღწერს ქუთაისის ციხის მახლობლად მომხდარ ამბავს და წერს: „ბამბურა მურა“ პოემაა. ის დაკავშირებულია... ნამდვილ ამბავთან, რომელიც ერთხელ შემემთხვა 1916 წელს“, თუ ეს ამბავი 1916 წელს მოხდა, მაშ რა საერთო აქვს მას 1913 წელთან, „მე და ღამესთან“? სამწუხაროდ, პოეტური მისტიფიკაცია დამახასიათებელია გალაკტიონისათვის რასაც ზოგჯერ ანგარიში არ ეწევა.“ იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოგონება პოეტის მიერ შეთხზული ამბავია და თვითონაც ვერ დაუმტკიცა მყარი თარიღი, ის ხან 1912, ხან 1916 და ხანაც 1913 წლით დაუთარილებია, მატიანეში როგორც მომხდარ ფაქტს არ განვიხილავთ.

◇ 1949 წლის 15 თებერვლამდე<sup>1</sup> გალაკტიონი უბის წიგნაკში იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე“, უბის წიგნაკში ლექსი დაწერილია წითელი მეღვინით, ამავე მეღვინით არის დაწერილი ამ ლექსის ყველა სხვა ვარიანტიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ ლექსზე 1949 წლის თებერვალში მუშაობდა. ლექსი პირველად ამავე წელს პოეტის თხზულებათა მეექვსე ტომში დაიბეჭდა, თუმცა ამ ტომში ლექსი 1941 წლით არის დათარიღებული. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ უბის წიგნაკი,

---

<sup>1</sup> კლმ. დ-231, გვ. 9, 10; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 468,469.

რომელშიც პოეტი ლექსზე მუშაობას იწყებს მას მეუღლემ, ნინო კვირიკაძემ 1948 წლის 19 ოქტომბერს უსახსოვრა, ამიტომ ამ თარიღამდე უბის წიგნაკში ვერაფერს ვერ ჩაწერდა.

◊ უბის წიგნაკის ჩანაწერი კინოთეატრში ფილმის „ცხოვრება რემბრანდტისა“<sup>1</sup> ჩვენების შესახებ პოეტის მიერ დათარიღებულია 1948 წლის 10 მარტით, თუმცა წინა და მომდევნო ჩანაწერები ამავე უბის წიგნაკში 1949 წლის მარტით თარიღდება. ვვარაუდობთ, რომ პოეტმა მექანიკური შეცდომა დაუშვა, მექანიკური შეცდომები მის სხვა ჩანაწერებშიც დასტურდება.

◊ უბის წიგნაკში ჩაწერილი ამბავი რომელსაც გალაკტიონი შეესწრო მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც პეტრე შარიაშვილი დაცინვით ჰკითხა გიორგი ახვლედიანს, გული როგორ გაქვსო, უნდა მომხდარიყო 1949 წლის 2 მარტამდე. ჩანაწერი გაკეთებულია იისფერი მელნით. ამავე მელნით არის შესრულებული 1949 წლის 25 მარტით დათარიღებული ჩანაწერი ამავე უბის წიგნაკის 34-ე გვერდზე, რომელშიც ნათქვამია, რომ უკვე 24 დღე მკურნალობს კარდიოლოგიის ინსტიტუტში, ჩანაწერიდან გამომდინარე პოეტი სამკურნალოდ 2 მარტს დაწვა. ამავე მელნით შესრულებული კიდევ ერთი ჩანაწერი 26 მარტის ღონისძიების აფიშაა, ხოლო უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერები ფანქრებით და წითელი მელნით არის შესრულებული. შემთხვევა პოეტის საავადმყოფოში დაწოლამდე უნდა მომხდარიყო და ის პოეტს გულის ტკივილის ასოციაციით გაახსენდა, უბის წიგნაკში ასევე ჩაწერილია სხვა ტექსტი, რომელშიც გულის ტკივილი არის ნახსენები.

◊ უბის წიგნაკში ჩაწერილი ლექსი<sup>2</sup> რომელშიც ნახსენებია „ღრმა ტკივილები გულისა ჩემის“, ძლიერ ნასწორებია და არ არის გამოქვეყნებული ავტორის მიერ. ამ პერიოდში გალაკტიონი მკურნალობდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში.

◊ უბის წიგნაკში 1949 წლის 25 მარტით დათარიღებულ ჩანაწერში აღიშნავს, რომ უკვე 24 დღე სრულდება, რაც კარდიოლოგიის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-232, გვ. 15; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 475.

<sup>2</sup> ქლმ. დ-232, გვ. 37; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 479, 480.

ინსტიტუტში მკურნალობს<sup>1</sup>. ამ ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ გალაკტიონი კარდიოლოგიის ინსტიტუტში სამკურნალოდ 2 მარტს დაწვა.

◇ 1949 წლის თებერვალი-აპრილით დათარიღებულ უბის წიგნაკში პოეტი იწერს ნაკლებად ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის ანატოლი ნიკოლოზის ძე ლენსკის ლექსს „ევკალიპტი“<sup>2</sup>. ანატოლი ლენსკი 1908 წელს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ლომჟაში. პირველი მსოფლიო ომის დროს ოჯახი ყირიმში გადავიდა, 20 წლის ასაკში გადასახლდა შუა აზიაში, სადაც ბასმაჩებთან ბრძოლებში მონაწილეობდა. 1939 წელს საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, სადაც სამხედრო ფლოტში გაიწვიეს. მუშაობდა შავი ზღვის ფლოტის გაზეთებში. 1949 წელს გამოიცა მისი ლექსების ერთადერთი მცირე კრებული „მატროსები“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად იქცა. პოეტმა ლექსის გადაწერა იისფერი მელნით დაიწყო, მაგრამ მეექვსე სტრიქონის შუა ნაწილიდან წერა ფანქრით განაგრძო. მელნით დაწერილი უკანასკნელი ჩანაწერი ამავე უბის წიგნაკში 25 მარტს, საავადმყოფოდან გამოწერის დროს არის გაკეთებული. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ ლექსს იგი 25 მარტს ან შემდეგ იწერდა, საფიქრებელია, რომ პოეტს მელანი გაუთავდა და წერა ფანქრით განაგრძო, ან სხვისი კალმით სარგებლობდა. უბის წიგნაკში ამავე მელნით გაკეთებული ოთხი ჩანაწერია: ამბავი რომელსაც გალაკტიონი შეესწრო მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც პეტრე შარიამ დაცინვით ჰკითხა გიორგი ახვლედიანს, გული როგორ გაქვსო, 25 მარტით დათარიღებული ჩანაწერი საავადმყოფოდან გაწერის შესახებ, აღნიშნული ჩანაწერი და უბის წიგნაკის 55-ე გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის შესახებ, რომელიც 1949 წლის 26 მარტს შედგება<sup>3</sup>, ჩანს, ცნობა გამგეობის პლენუმის შესახებ პოეტმა გაზეთიდან ამოიწერა.

◇ უბის წიგნაკის ჩანაწერში არ არის აღნიშნული აკაკი ტარასის ძე ბალათურიას<sup>4</sup> ვინაობა, რომლის მისამართიც გალაკტიონმა უბის წიგნაკში ჩაიწერა, მაგრამ პოეტის არქივში აღმოჩნდა პატარა ზომის ფურცელი, რომელზეც მას გრაფიტის ფანქრით ჩაუწერია იგივე

<sup>1</sup> ქლმ. დ-232, გვ. 37, 38; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 480.

<sup>2</sup> ქლმ. დ-232, გვ. 39, 40; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 480, 481.

<sup>3</sup> ქლმ. დ-232, გვ. 55; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 483.

<sup>4</sup> ქლმ. დ-232, გვ. 42; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 481

პიროვნების მისამართი და ცნობა, რომ 10 მარტს კარდიოლოგიის ინსტიტუტში, მის პალატაში, რომლის ნომერიც არის 1, მოხდა შესანიშნავი შეხვედრა. ყველა პალატიდან მის პალატაში მოგროვდნენ მსმენელები. ბალათურამ შესანიშნავად წაიკითხა გალაკტიონის ლექსები. დამსწრეებმა პოეტს ოვაციები გაუმართეს. ამავე ფურცელზე პოეტი აღნიშნავს, რომ არასოდეს დაავიწყდება ეს შეხვედრა (დ-617-14). ჩანს, აკაკი ბალათურის მისამართი პოეტმა უბის წიგნაკში სწორედ ამ ფურცლიდან გადაწერა და სურვილი ჰქონდა ამ დაუვიწყარი შეხვედრის ორგანიზატორი დეკლამატორისთვის საკუთარი წიგნები საჩუქრად გაეგზავნა.

◊ უბის წიგნაკში გრაფიტის ფანქრით ჩაწერილი ორი ლექსიდან „დაბა იმერეთის სიცხე გაგანია“ და „მთაში მოკრეფილ ყვავილთა კონა“<sup>1</sup> დამოუკიდებელი სახით არცერთი არ არის გამოქვეყნებული. პირველი უსათურო ლექსი „დაბა იმერეთის სიცხე გაგანია“ ნასწორებია. ჩანაწერები დათარიღდა უბის წიგნაკში აღნიშნული უკანასკნელი თარიღით: 1 ივნისი, 1949 (სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 485).

◊ უბის წიგნაკში წერს: „გუმინ კინოში ვნახეთ ფილმი ვერდის შესახებ“<sup>2</sup>. აქ იგულისხმება საბჭოთა კავშირის კინოგაქირავებაში მოხვედრილი ეგრეთ წოდებული „საალაფო“ კინოფილმი „ერთი სიცოცხლის ისტორია“ (ჯუზეპე ვერდი), რომელიც 1938 წელს იტალიაში გადაიღო პროდიუსერმა და რეჟისორმა კარმინ



გალონემ. სცენარისტები კარმინე გალონე, ლუჩიო დამბრა, ოპერატორი მასიმო ტერზანო, მხატვარი გვიდო ფიორინო. მსახიობები ფოსკო ჯაჩეტი, გაბი მორლეტი, გერმანა პაოლიერი, კამილო პილოტო. ისტორია დიდი კომპოზიტორის ჯუზეპე ფორტუნინო ფრანჩესკო

<sup>1</sup> ქლმ. დ-232, გვ. 59, 60; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 483.

<sup>2</sup> ქლმ. დ-233, გვ. 2; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 486.

ვერდის (1813-1901) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ფილმი კინოგაქირავებაში შევიდა 1948 წლის 20 დეკემბრიდან რუსული სუბტიტრებით, თუმცა პოეტმა იგი 1949 წლის აპრილში ნახა.

◇ 1949 წლის უბის წიგნაკში<sup>1</sup> წერს, რომ აშენებს გარაჟს და რომ ეს მისი პირველი წამოწყებაა პრაქტიკული ხაზით. ჩანაწერი წითელი ფანქრით არის გაკეთებული და თავდაპირველად დათარიღებულია 1 ივნისით, ხოლო შემდეგ სიტყვაში ივნისი ამავე ფანქრით ჩასწორებულია ასო „ნარი“ და შეცვლილია „ლასით“, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩანაწერი 1 ივლისს არის გაკეთებული.

◇ 1949 წლის მაისით დათარიღებული უბის წიგნაკის<sup>2</sup> პირველ გვერდზე პოეტი წერს სამი ქალაქის სახელს: გორი, თბილისი და ქუთაისი და იწყებს პალინდრომების შექმნაზე მუშაობას. აღნიშნული სავარჯიშო მას არ გამოუყენებია რომელიმე დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნისას. ჩანაწერი თარიღდება უბის წიგნაკის მომდევნო დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით.

◇ 1949 წლის მაისით დათარიღებულ უბის წიგნაკის<sup>3</sup> მეორე გვერდის ჩანაწერი ვერის აღმართის შესახებ დაუთარიღებელია, ჩანაწერი თარიღდება უბის წიგნაკის მომდევნო დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით.

◇ 1949 წლის მაისით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>4</sup> ჩანაწერი ვასო გადელიასთან შეხვედრის შესახებ დათარიღებული არ არის, თარიღდება უბის წიგნაკის მომდევნო დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით. ჩანაწერში არ არის დაკონკრეტებული 1908 წლის რა გეგმას გადასცემს გალაკტიონი ვასილ გადელიას, მაგრამ ამავე უბის წიგნაკში იგი წერს 1917 წლის მოგონებების გეგმას და აღნიშნავს, რომ შეხვდა გენადი მიხელაძეს, რომელიც მასთან ერთად სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და დაწერილი აქვს მოგონებები, რომელიც სხვა მასალებთან ერთად გალაკტიონს გადასცა (იხ. დ-423, უბის წიგნაკი 1940-იანი წლებით არის დათარიღებული, ამ დღიურის ჩანაწერების მიხედვით მისი დათარიღება 1948-1949 წლებით არის შესაძლებელი).

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-233, გვ. 23; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 498.

<sup>2</sup> ქლმ. დ-235, გვ. 1; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 502.

<sup>3</sup> ქლმ. დ-235, გვ. 2; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 502.


<sup>4</sup> ქლმ. დ-235, გვ. 3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 503.

ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი მოგონებათა საღამოს მოწყობას აპირებდა.

◊ 1949 წლის მაისით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>1</sup> პოეტი სქემატურად ინიშნავს გამომცემლობებისგან „ზარია ვოსტოკა“ და „მოლოდოი სტალინეც“ მისი ლექსების თარგმანების გამოქვეყნებაში მისაღები ჰონორარების თანხას. ჩანაწერი თარიღდება უბის წიგნაკის მომდევნო დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით.

◊ 1949 წლის მაისით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>2</sup> გალაკტიონი წერს, რომ მხატვარმა შუხაევმა დაასრულა მისი პორტრეტის ხატვა დეკემბრის გამოფენისთვის. ვასილი შუხაევის შექმნილი გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი ამჟამად ინახება მოსკოვის თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში, მარჯვენა ქვედა კუთხეში არის აღნიშნული პორტრეტის შექმნის თარიღი – 1949 წლის 6 მაისი. ამის საფუძველზე გალაკტიონის ჩანაწერი თარიღდება 5 მაისით. პორტრეტი შექმნილია ქაღალდზე, ნახშირითა და სანგინით, ზომა: 38,5X27,7.

ამავე ჩანაწერის ნაწილია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გაკეთებული ჩანაწერები მხატვრების ალაბუევის და კალაძის შესახებ<sup>3</sup>, ამის საფუძველზე აღნიშნული ჩანაწერებიც 6 მაისით თარიღდება. მხატვარი, რომლის გვარი არის ალაბუევი, ცნობილი არ არის, სავარაუდოდ, გალაკტიონს გვარი არასწორად აქვს ჩაწერილი და ეს არის მხატვარი ბალაბუევი, რომელიც ნახსენებია გალაკტიონის 1957 წლის 12 თებერვლით დათარიღებულ მინაწერიან წერილში (დ-591-5), რომელსაც საბლიტგამის დირექტორი



ვიქტორ გაბესკირია უგზავნის მხატვარ თევდორე ჩუდეცკის. წერილში ნათქვამია, რომ გამომცემლობა „საბლიტგამის“ მიერ გამოცემული ეთერ შუშანიას წიგნის „გალაკტიონ ტაბიძე“

<sup>1</sup> ქლმ. დ-235, გვ. 3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 503.

<sup>2</sup> ქლმ. დ-235, გვ. 7; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 503.

<sup>3</sup> ქლმ. დ-235, გვ. 7; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 503.

ყდაზე მოთავსებული პორტრეტის ავტორი არის თევდორე ჩუდეცკი, ხოლო წარწერის ავტორი კი ბალაბუევი. 1921 წელს დაბადებული მხატვარი ალექსი ბალაბუევი წლების მანძილზე თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, მათ შორის კომუნისტის რედაქციაშიც, როგორც ჩანს, სწორედ მას გულისხმობდა გალაკტიონი. რაც შეეხება მხატვარ კალაძეს, იგულისხმება მხატვარი-გრაფიკოსი ი. კალაძე, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გრაფიკულ გაფორმებაზე და პლაკატების შექმნაზე მუშაობდა.

◇ 1949 წლის მაისით დათარიღებულ უბის წიგნაკში<sup>1</sup> პოეტი წერს უსათაურო ლექსის „ღვინოს არ ვსვამდი, ეხლა დავიწყე“ სამ ვარიანტს და ათარიღებს 1949 წლის 9 მაისით. ამ ლექსის პირველი სტრიქონი „ღვინოს არ ვსვამდი, ეხლა დავიწყე, ვარ სევდიანი და გულმავიწყი“ პოეტმა ჯერ კიდევ 1930 წელს გამოქვეყნებულ უსათაურო ლექსში „ატესტატის წყალობით“ გამოიყენა, რომელიც ციკლში „რევოლუციონურ საქართველოს“ გამოქვეყნდა. გარდა ნახსენებისა, პოეტის არქივში ამ ლექსის სხვადასხვა დროს დაწერილი კიდევ 3 ვარიანტი არსებობს. სიცოცხლეში პოეტს ეს ლექსი არ გამოუქვეყნებია, იგი პირველად დაიბეჭდა 1958 წლის თხზულებათა VI ტომში 254 გვერდზე სათაურით „უძილო ღამეები“. ვარიანტების შესახებ იხ. სგ, წ. VII, თბ., 2008, გვ. 318.

◇ საბინაო სამმართველოს სახელზე დაწერილი განცხადების შავი პირი<sup>2</sup>, რომელშიც ითხოვს ნებართვას ეზოში საწყობის აშენებაზე, დაწერილია იისფერი მელნით და დათარიღებულია 1949 წლის 29 აპრილით. იქვე, განცხადებაზე, წითელი ფანქრით მიწერილია თარიღი 5 მაისი, რომელიც პოეტმა შემოხაზა. ეს საბინაო სამმართველოში განცხადების შეტანის თარიღი უნდა იყოს. ამ განცხადებასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1949 წლის 1 ივლისით დათარიღებული გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი (ქლმ. დ-233, გვ. 23; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 498), რომელშიც იგი წერს, რომ გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები და აშენებს ავტოფარებს.

◇ ცალხაზიან საკანცელარიო რვეულში, რომელშიც გალაკტიონის სოხუმში ყოფნისას დაგროვილი მასალებია თავმოყრილი, პირველ

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-235, გვ. 12–14; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 504–506.

<sup>2</sup> ქლმ. დ-235, გვ. 24; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 509.



გვერდზე ლურჯი ფანქრით დაწერილი ლექსი „აკაკი და ილია ზღვისპირად“<sup>1</sup> დათარიღებული არ არის. ლექსი ნასწორებია ლურჯი და წითელი ფანქრებით, შემდეგ კი ლურჯი მელნით. არსებობს ამ ლექსის კიდევ ერთი ავტოგრაფი, რომელიც ამავე ფერის მელნით არის გადათეთრებული ამავე საკანცელარიო რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე. არც ეს ავტოგრაფი არ არის დათარიღებული. ლექსი პოეტს თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია, პირველად გამოქვეყნდა 1972 წელს, თხზულებათა აკადემიური გამოცემის VII ტომში, გვ. 106. დათარიღებულია ამავე საკანცელარიო რვეულის ჩანაწერების მიხედვით 1949 წლით, თუმცა ამავე საკანცელარიო რვეულის და მასთან დაკავშირებული სხვა ჩანაწერების მეშვეობით შესაძლებელია ამ თარიღის დავიწროვება. ამავე რვეულის მესამე გვერდზე პოეტს ჩაუწებებია თეთრ ფურცელზე მწვანე ფანქრით დაწერილი უსათაურო ლექსი „აფხაზეთის წვიმა მიყვარს...“<sup>2</sup>, არც ეს ლექსი არ არის დათარიღებული, მაგრამ დათარიღებულია ამავე ლექსის იმავე მწვანე ფანქრით დაწერილი მეორე გადათეთრებული ვარიანტი (5815): „26 აგვისტო, 1949 წ., სოხუმი, „განთიადი“, და ხელმოწერილია: გ. ტაბიძე. ლექსის ეს ვარიანტიც თეთრ ქაღალდზეა დაწერილი და ჩაწებებული ამავე საკანცელარიო რვეულში, თუმცა შემდგომში რვეულიდან ამოჭრილია. საკანცელარიო რვეულის ჩანაწერების დასათარიღებლად მნიშვნელოვანია დაკვირვება ამავე ლექსის მესამე, სრულ ვარიანტზე (7737), რომელიც პოეტმა 1957 წელს თხზულებათა VIII ტომის 160-ე გვერდზე გამოაქვეყნა. ლექსი დაწერილია იმავე ლურჯი ფერის მელნით, რომლითაც ნასწორებია დათარიღებული ავტოგრაფი (5815), გარდა ამისა, ისიც ამავე საკანცელარიო რვეულიდან ამოხეულ ფურცელზეა გადათეთრებული. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ლექსის საბოლოო ვარიანტი ნაწერია ერთი და იმავე ფერის მელნით ამავე რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე. ამავე საკანცელარიო რვეულის მეორე გვერდზე, იმავე ლურჯი ფერის მელნით გალაკტიონს ჩაუწერია ტექსტი სათაურით „ამპარტავანი თათარი ეზოში დადის მამალი“<sup>3</sup>. პოეტის ეს ჩანაწერიც დაუთარიღებელია, მაგრამ ყოველივე

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-236, გვ. 1; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 509, 510.

<sup>2</sup> ქლმ. დ-236, გვ. 3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 511.

<sup>3</sup> ქლმ. დ-236, გვ. 1; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 510, 511.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ისიც 1949 წლის 26 აგვისტომდე უნდა დათარიღდეს.

◇ საკანცელარიო რვეულში გალაკტიონის მიერ ჩაწებებული აფხაზეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალები<sup>1</sup> თარიღდება ამავე რვეულში ჩაკრული უსათურო ლექსის „აფხაზეთის წვიმა მიყვარს...“ დათარიღებული ავტოგრაფის მიხედვით<sup>2</sup>.

◇ ლურჯყდიანი უბის წიგნაკის<sup>3</sup> არც ერთი ჩანაწერი დათარიღებული არ არის, მაგრამ უბის წიგნაკის მერვე გვერდზე ჩაწერილია ლექსის „1950“ დასასრული, ლექსის ერთერთი ავტოგრაფი დათარიღებულია 1949 წლის 23 ნოემბრით. ამიტომ უბის წიგნაკის ჩანაწერებს ვათარიღებთ ლექსის თარიღის მიხედვით. საფიქრებელია, რომ ამ ვრცელ ლექსზე მუშაობა პოეტმა მომდევნო დღეებშიც გააგრძელა, ამიტომ ლექსის უკანასკნელ სტროფს ვათარიღებთ 23 ნოემბერი და შემდეგ. ასევე 23 ნოემბრის შემდეგ ვათარიღებთ უბის წიგნაკის მომდევნო ჩანაწერებს.

◇ უბის წიგნაკი დ-246 დაუთარიღებელია<sup>4</sup>, საარქივო გამოცემაში დათარიღებულია 1949 წლით მეექვსე ტომის გამოსვლის თარიღის მიხედვით. უბის წიგნაკის ჩანაწერების მიხედვით, მისი დათარიღება უფრო ზუსტადაც შეიძლება. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრ პუშკინისადმი მიძღვნილი გიორგი კრეიტანისეული თარგმანი ლექსისა „გულითადი მადლობა“ რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაიბეჭდა 1949 წლის 5 ივნისს. საყურადღებოა, რომ ქართულად არ არსებული ლექსების ჩამონათვალს გალაკტიონი სწორედ ამ ლექსის პირველი სტრიქონით ამთავრებს. უბის წიგნაკში მეექვსე ტომის დაბეჭდვა აღნიშნულია როგორც ფაქტი, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი გეგმავს ამ განცხადების გაზეთში გამოქვეყნებას. აგრეთვე საყურადღებოა, რომ გალაკტიონის თხზულებათა მეექვსე ტომი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1949 წლის 30 ივნისს, და მის დაბეჭდვას, სავარაუდოდ, 1 თვე დასჭირდებოდა. მეექვსე ტომის გამოსვლის ფაქტს თავის უბის წიგნაკში პოეტი მხოლოდ სექტემბერში აღნიშნავს, იოსებ გრიშაშვილის ახალი წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, სადაც

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-236, გვ. 3-8; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 511- 516.

<sup>2</sup> ქლმ. დ-236, გვ. 3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 511.

<sup>3</sup> ქლმ. დ-246, გვ. 8; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 563, 564.

<sup>4</sup> ქლმ. დ-246, გვ. 1- 3; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 566, 567.

წერს, რომ გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის წიგნი და ამის შესახებ ცნობა უკვე დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკასა“ და „ლიტერატურულ გაზეთში“ და უბის წიგნაკში ვრცლად წერს იოსებ გრიშაშვილის შესახებ მოგონებებს<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ იოსებ გრიშაშვილის შესახებ პოეტი ამ უბის წიგნაკშიც წერს, მამასადამე უკვე წაკითხული აქვს იოსებ გრიშაშვილის ახალი წიგნის შესახებ განცხადებები. ყოველივე ამის საფუძველზე, უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერების დათარიღება შესაძლებელია 22 სექტემბრის შემდგომი პერიოდით.

◇ 1914-15 წლებით დათარიღებულ რვეულში გალაკტიონმა დაიწყო სიული პრიუდომის ლექსის თარგმნა<sup>2</sup>. თავდაპირველად ლექსის სათაურად გამოიტანა „რომ ვიყო ღმერთი“, შემდეგ ეს სათაური გადახაზა და დაწერა „მე თავის თავს პოეტად ვთვლი“. ვინაიდან გალაკტიონმა არ იცოდა ფრანგული ენა და არც ფრანგულ წიგნებზე მიუწვდებოდა ხელი, ვივარაუდეთ, რომ თარგმნისას გალაკტიონს ლექსის რუსული თარგმანით უნდა ესარგებლა და რადგანაც რვეული, რომელშიც პოეტი თარგმნის სიული პრიუდომის ლექსს 1914-1915 წლებით თარიღდება, ვივარაუდეთ, რომ ლექსის რუსული თარგმანი 1914 წლამდე უნდა ყოფილიყო შესრულებული. კვლევისას აღმოჩნდა, რომ ფრანგი პოეტი და ესეისტი სიული პრიუდომი 1901 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა, რამაც მისდამი მსოფლიოს პოეტების და მათ შორის რუსი პოეტების ყურადღებაც მიიპყრო, მისი ნაწარმოებები არაერთმა პოეტმა თარგმნა და ამ მოვლენიდან 10 წლის თავზე 1911 წელს გამოიცა სიული პრიუდომის ლექსების კრებული რუსი პოეტების: ანდრეევსკის, ანენსკის, აპუხტინის, კ.რ.-ს, ლადიჟენსკის, მიხალოვსკის, პლემჩეევის, პოზნიაკოვის, თხორჟევსკის, ხვოსტოვის, ჩუმინას, ელისის, ენენგელგარდტის და იაკუბოვიჩის თარგმანებით. სამწუხაროდ, ამ კრებულის მოძიება პოეტის ბიბლიოთეკაში არ მოხერხდა, შესაძლოა, იგი, დაიკარგა, ან პოეტი სხვისი წიგნით სარგებლობდა, რადგანაც სწორედ ამ წიგნში დაბეჭდილი ოლგა ჩიუმინას თარგმანის მიხედვით თარგმნის სიული-პრიუდომის ლექსს „იდევები და ფორმები“,

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-244, გვ. 15-25; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 544-548.

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-1, გვ. 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 11.

რომელსაც ასათაურებს ლექსის პირველი სტრიქონით „მე თავის თავს პოეტად ვთვლი“.

აღსანიშნავია ამ თარგმანის პირველი, გადახაზული სათაური „რომ ვიყო ღმერთი!“. როგორც აღმოჩნდა ეს სათაური სიული პრიუდომის სხვა ლექსს ეკუთვნის, რომელიც ამავე კრებულის 47-ე გვერდზე, წიგნის მესამე განყოფილებაში: „ქალები“ არის წარმოდგენილი ივანე თხოროჟევსკის თარგმანით: „Будь я творцом“. სავარაუდოა, რომ გალაკტიონმა ეს ლექსიც თარგმნა, თუმცა ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პოეტის კიდევ ერთი ლექსის ავტოგრაფი: „მეფე რომ ვიყო“ (მიბაძვა სიული პრიუდომისა) (ა-2085). რომელიც ამავე დროს, ან ცოტა მოგვიანებით უნდა იყოს დაწერილი. აღსანიშნავია, რომ არც ასეთი სათაურის, და არც მსგავსი შინაარსის ლექსი სიული პრიუდომთან არ გვხვდება, მით უფრო, რომ ლექსი ქართულ რეალობას ეხება და მასში დასახელებულნი არიან ქართველი მოღვაწეები, ვვარაუდობთ, რომ ლექსი „მეფე რომ ვიყო“ გალაკტიონმა სწორედ ამ ლექსის „რომ ვიყო ღმერთი“ სათაურის მიბაძვით დაწერა, თუმცა როგორც პირველი, ასევე ეს ლექსიც არ გამოუქვეყნებია. როგორც ლექსის შინაარსიდან ჩანს, ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომლებს მისთვის სტიპენდიის ან ერთჯერადი დახმარების იმედი მიუციათ, თუმცა დანაპირები არ შეუსრულებიათ. ლექსში უარყოფით კონტექსტში ნახსენებნი არიან: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი კიტა აბაშიძე (მოხსენიებულია მხოლოდ სახელით), ყიფიანი (მხოლოდ გვართ, სავარაუდოდ ეს არის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის საბჭოს წევრი სამსონ ყიფიანი), მექი ფაღავა (ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე) და გველესიანი (მოხსენიებულია მხოლოდ გვართ, სავარაუდოდ გრიგოლ გველესიანი ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრი), რომელიც მექი ფაღავას „უმშვენებს გვერდს“, კრინიციები (მოიხსენიებიან მრავლობით რიცხვშია და შესაძლებელია იგულისხმებოდენენ ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრები ალექსანდრე იოსების ძე კრინიცი და ევგენი მიხეილის ძე კრინიცი), იაშვილები (მოიხსენიებიან მრავლობით რიცხვში, შესაძლოა იგულისხმებოდეს ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრი ირაკლი იოსების ძე იაშვილი), ასევე ახსენებს „პუდრით შემოთხიპნილ“ ქალებს, რომლებიც მუდამ ესწრებიან

კრებებს. 1914, 1915 და 1916 წლებში პოეტი უშედეგოდ ცდილობს მოიპოვოს სტიპენდია, რათა სწავლის გაგრძელება შესძლოს. ამის დამადასტურებელი ინფორმაცია გვხვდება მის არქივში დაცულ წერილებში: 1914 წლის 18 თებერვალს იგი წერს ოლია ოკუჯავას, რომ ძალიან დაწყდება გული, თუ წელსაც ვერსად წავა სასწავლებლად და რომ სტიპენდიაზე ფიქრიც კი ზედმეტია. 1915 წლის 5 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი ოლია ოკუჯავას წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე, რომელშიც იგი ითხოვს, რომ საზოგადოებამ ხელი გაუმართოს ახალგაზრდა, ნიჭიერ პოეტს, რომელმაც პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ უკვე დაიწყო მუშაობა მეორე წიგნზე და განათლების მისაღებად სურს რუსეთში წასვლა. იგი ითხოვს საზოგადოების გამგეობას ეს წერილი წაიკითხონ სხდომაზე, რომელიც 5 აპრილს უნდა გაიმართოს (ო. ოკუჯავას დღიური 13<sup>1</sup>). ყოველივე ზემომოყვანილის გათვალისწინებით, გალაკტიონის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსი „მეფე რომ ვიყო“ (მიბაძვა სიული პრუდომისა), შეიძლება დავათარილოთ 1915 წლის 5 აპრილის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამავე რვეულში პოეტი მუშაობს ლექსზე „აკაკის ლანდი“, რომელიც ამ რვეულში იმავე ფერის მელნით არის ნაწერი რომლითაც დაიწერა „მე თავის თავს პოეტად ვთვლი“ და 1915 წლის 31 მარტამდე თარიღდება, ვინაიდან ლექსი პოეტმა ქუთაისის თეატრში 31 მარტს გამართულ საღამოზე წაიკითხა. ამის საფუძველზე ამ თარგმანს 1915 წლის მარტით ვათარილებთ. ამავე რვეულში, ამავე მელნით გალაკტიონი რამდენიმე ჩანახატს აკეთებს<sup>2</sup>, რაც საშუალებას გვამლევს ეს ჩანახატები ამავე დროის მონაკვეთით დავათარილოთ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკი<sup>3</sup> დაუთარილებელია, მაგრამ მისი დათარიღება შესაძლებელია ლექსის „ატმის ყვავილები“ ავტოგრაფის და მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით. ლექსი „ატმის ყვავილები“ 1915 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-13, გვ. 1;

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-1, გვ. 5, 8, 9;

<sup>3</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-2, გვ. 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 17;

ცხოვრება“ №12, გვ. 9, საყურადღებოა, რომ ამავე უბის წიგნაკში<sup>1</sup>, ამავე ფანქრით იწყებს მუშაობას ლექსზე „მთაწმინდის მთვარე“, რომელსაც 1916 წლის 28 თებერვალს აქვეყნებს ჟურნალში „ცისფერი ყანწები“, ამიტომ ამ და მომდევნო ჩანაწერებსა<sup>2</sup> და ჩანახატებს<sup>3</sup> ვათარიღებთ 1915 წლის 22 მარტამდე პერიოდით.

◇ გალაკტიონის რვეულში ჩაწერილია მოგონება<sup>4</sup> რომელსაც მოსკოვში ოლია ოკუჯავა გალაკტიონის რვეულში რუსულად წერს. იგი აღწერს პოეტის ოთახს ქუთაისში. წერს, რომ ეს იყო ფართო ოთახი ფანჯრებზე ცისფერი ფარდებით, რომელშიც გამუდმებით უჩუმრად დაეხეტებოდა სევდა და თავის ნაზ და უტყვ მიძინებულ შუქს აღვრიდა სპარსი, ფრანგი, ბერძენი, ქართველი და სხვა ეროვნებების გარდასულ საუკუნეთა პოეტების წიგნებით დაფარულ საწერ მაგიდას... იქვე მსხვილი მწვანეყდიანი რვეული ამაცობდა ზღაპრული ლექსებით, რომელიც ახლახან დაიწერა ქართულად, მას სიყვარულითა და წუხილით ეპარებოდა იის ანარეკლის მსგავსი მოგონება დავიწყებული ოცნებისა. ქროდა ლენორის დაკარგვით გამოწვეული კაემანი... ტაბიძე „შავი მერნით, ქარიშხალივით... მისი შავი მოსასხამი ფრიალებს მისი შავი ბედივით“, ოლია ოკუჯავა წერს, რომ ეს ცნობილი ფრაზა არ ასვენებდა მას, როდესაც გალაკტიონ ტაბიძეს ხედავდა საქართველოში. სავარაუდოდ, არის ოლია ოკუჯავას წინასიტყვაობა გალაკტიონის ლექსების რუსული თარგმანების კრებულისთვის. 1917 წლის 29 იანვარს გალაკტიონი ქუთაისიდან მოსკოვში ბარათს უგზავნის ოლია ოკუჯავას, რომელშიც ატყობინებს, რომ აპირებს თავისი ლექსების რუსული თარგმანების წიგნად გამოცემას და ამიტომ ოლიამ მისთვის შესავალი წერილის დაწერა მანამდე უნდა მოასწროს (ქლმ, 24551-42); როგორც ჩანს, ოლია ოკუჯავას კრებულის წინასიტყვაობა გალაკტიონის მოსკოვში ჩასვლამდე არ დაუწერია, ასევე, არ

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-2, გვ. 21; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 20;

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-2, გვ. 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 19; ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-2, გვ. 8, 10, 19, 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 19, 20;

<sup>3</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-2, გვ. 6, 7, 13, 14, 16, 17, 19;

<sup>4</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-3, გვ. 1-3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 23, 24;

გამოცემულა გალაკტიონის რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებული, რომელსაც პოეტი ამზადებდა.

◊ 1921 წლით დათარიღებული უბის წიგნაკის ჩანაწერს იმის შესახებ, რომ კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენ გალაკტიონი ათარიღებს 25 მარტიდან 2 აპრილამდე. ჩანაწერი იწყება დაკვირვებით, რომ „ტფილისი ცოტათი გამოცვლილა“, შემდეგ ამას მოსდევს ასევე თურმეობითი „ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე“. თარიღი 25 მარტიდან 2 აპრილამდე და ეს სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ 25 მარტამდე გალაკტიონი თბილისში არ იმყოფებოდა, როგორც ჩანს, პოეტმა ბოლშევიკებს თავი აარიდა და წავიდა ჭყვიშში, სადაც სხვადასხვა წიგნებს კითხულობდა და მუშაობდა, ჩანაწერი კი 2 აპრილს არის გაკეთებული. ჭყვიშში მის ყოფნას ირიბად ადასტურებს 1948 წლის ერთი ჩანაწერი (დ-201), რომელშიც მოგვითხრობს ნიკოლოზ შენგელაიასთან შეხვედრის ეპიზოდს, როდესაც მშობლიური სოფლიდან თბილისში ბრუნდებოდა. ნიკოლოზ შენგელაია მას უყვებოდა, როგორ აპირებდნენ მის იძულებით წაყვანას სამხედრო სამსახურში და როგორ დააღწია თავი ხიდიდან წყალში გადახტომით.

◊ 1919 წლის 4 მაისს „დიდების ტამარში“ (ამჟამად დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა) გაიხსნა ქართველ მხატვართა გამოფენა „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება“.<sup>1</sup>

ამავე წლის 9 მაისს გაზეთში „საქართველო“ დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის წერილი „ქართველ მხატვართა სურათების



<sup>1</sup> გაზ. „ერთობა“, №95, გვ. 1; გაზ. „საქართველო“, №99, გვ. 2, 3; გაზ. „საქართველო“, №115, გვ. 2.

გამოფენა“, რომელშიც მიმოხილულია გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრები. გრიგოლ რობაქიძის ამ კრიტიკული მიმოხილვიდან ვიგებთ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი, რომელიც სტატიის ავტორს არ მოსწონს. გამოფენა 4 მაისს გაიხსნა, აქედან გამომდინარე პორტრეტი 1919 წლის 4 მაისამდე არის შექმნილი. წლების მანძილზე პორტრეტი დაკარგულად ითვლებოდა, ამის შესახებ თავად გალაკტიონი აღნიშნავს უბის წიგნაკში „ლ. გუდიაშვილის პორტრეტი ფერადი (დაკარგულია). 1919“ (დ-480-6). გალაკტიონის ამავე ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ლადო გუდიაშვილს ფანქრით ჰქონია დახატული გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთი პორტრეტი: „ლ. გუდიაშვილის (კარანდაშით) დაკარგულია. 1919.“ ამ ეტაპზე უცნობია, იყო თუ არა ეს პორტრეტი წარმოდგენილი მხატვართა გამოფენაზე, ვინაიდან გამოფენის კატალოგის მოძიება ვერ მოხერხდა, უცნობია ამ ნახატის ადგილსამყოფელიც. 2016 წელს ფერწერული ტილო „გალაკტიონ ტაბიძე და „ლურჯა ცხენები“, რომლის შესახებაც ცნობები თავად მხატვარსაც არ ჰქონდა, აღმოჩნდა მოსკოვში, ივეტა და თამაზ მანაშეროვების კერძო კოლექციაში და გამოიფინა მოსკოვში პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენაზე „ქართული ავანგარდი. 1900–1930-იანი წლები“. აღსანიშნავია, რომ ლადო გუდიაშვილმა გალაკტიონის კიდევ ერთი პორტრეტი შეასრულა, ეს არის მეგობრული შარჟი სათაურით „სწრაფი გრგვინვა-გრიალით / ჰქრიან ლურჯა ცხენები...“, რომელიც 1933 წელს ჟურნალის მნათობი მეხუთე ნომერში დაიბეჭდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკი საინვენტარო ნომრით დ-4, წარმოადგენს იისფერყდიან ცალხაზიან რვეულს, რომელშიც პოეტი გრაფიტის ფანქრით და იისფერი მელნით მუშაობს<sup>1</sup>. რვეული დათარიღებული არ არის, საარქივო გამოცემაში სავარაუდოდ არის დათარიღებულია 1917 წლით გალაკტიონის ოლია ოკუჯავასადმი მოსკოვში მიწერილი დეპეშის მისამართის - Владимира Долгорукого 10/4 (ამ მისამართზე ოლია ცხოვრობდა 1916 წლის ბოლოს და 1917 წელს) და გალაკტიონის მოსკოვში გამგზავრების ჩანაწერების

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 33-37.



მიხედვით, სადაც იგი 1917 წლის აპრილის ბოლოს გაემგზავრა. 1917 წლის 29 აპრილის გაზ. „სახალხო ფურცელი“ (N 849) იუწყება, რომ 29 აპრილს გალაკტიონი მონაწილეობს ვალერიან გუნიას სასცენო მოღვაწეობის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში. საყურადღებოა, რომ 30 აპრილს იგი დედას წერილს უგზავნის ელიზავეტპოლიდან (განჯიდან)<sup>1</sup>. სამწუხაროდ წერილის დედნის მოძიება ვერ მოხერხდა, იგი ნოდარ ტაბიძის არქივში ინახებოდა და მის მიერ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ თარიღი საეჭვოდ გვეჩვენება, რადგანაც გაზეთში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ 29 აპრილს გალაკტიონი ქუთაისშია, ხოლო 30 აპრილს იგი დედას წერს, რომ მესამე დღეა განჯაში იმყოფება. მიუხედავად ამ უზუსტობისა, შესაძლებელი გახდა უბის წიგნაკის ფართო დათარიღების დავიწროვება. პოეტს რვეულში ჩამოთვლილი აქვს რამდენიმე პერიოდული გამოცემის სახელწოდება, აქ რამდენიმეზე შევჩერდებით, ესენია: გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 23 მარტს, სადაც დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „დროშები ჩქარა“, ქუთაისში გამომავალი ყოველდღიური გაზეთი „გოლოს სოლდატა“ (ჯარისკაცის ხმა). ეს არის ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა გამოცემა. მისი დევიზი იყო: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. გაზეთის გამოცემა დაიწყო 1917 წლის მარტის შუა რიცხვებში და ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, რომლის პირველი ნომერი 1917 წლის 5 აპრილს გამოვიდა. აქედან გამომდინარე, გალაკტიონი ამ გაზეთებს, თავის ჩანაწერებში უფრო ადრე ვერ მოიხსენიებდა. ამის საფუძველზე ამ და მომდევნო ჩანაწერებს ვათარიღებთ 5 აპრილის შემდეგ 29 აპრილამდე<sup>2</sup>. საყურადღებოა პოეტის ჩანახატებიც. რვეულის პირველივე გვერდზე გამოსახულია მოქადაგე მღვდლის პორტრეტული ჩანახატი. ჩანახატის ქვემოთ ქართულად არის მიწერილი მათეს სახარება, ხოლო გულის არეზე არის რუსულად მიწერილი ნიკოლაი ნიკოლაევიჩ. მათეს სახარება ახალი

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 36; ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 36;

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 35;

აღთქმის პირველი წიგნია. წიგნის განსაკუთრებულობა იქიდან გამომდინარეობს, რომ სახარების ნაწილები აგებულია ძველი აღთქმის მესიანისტურ გზავნილებზე, რომელიც უნდა აღსრულდეს იესო ქრისტეს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მარტის შუა რიცხვებში, კერძოდ კი 14 მარტს, გაზეთში „საქართველო“ (#58, გვ. 1) დაიბეჭდა სტატია სათაურით: „საქართველოს თავისუფალი ეკლესია“, რომელშიც ნათქვამია, რომ 12 მარტს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში ქართველმა მღვდელმთავრებმა, სამღვდლო კრებულთა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს ქართველობამ გამოაცხადეს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა, საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველად ერთხმად არჩეულ იქნა გურია-ოდისის ეპისკოპოსი ლეონიდე და გაუქმდა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა. შედგა შესაბამისი ოქმი და ამის შესახებ ეუწყა რუსეთის დროებით მთავრობას. ამავე გაზეთში ნათქვამია, რომ კავკასიის მეფისნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელიც 7 მარტს რუსეთის მხედრობათა მთავარსარდლად დაინიშნა, თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა, მაგრამ 1917 წლის 11 მარტს რუსეთის დროებითი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ლვოვმა, ნიკოლოზ რომანოვს აუწყა, რომ ის უმაღლეს მთავარსარდლობიდან იქნა გადაყენებული ნიკოლოზ II-ის გადადგომასთან ერთად. საფიქრებელია, რომ გალაკტიონს ხელთ ჰქონდა გაზეთი სადაც მან საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ამბები წაიკითხა. ამის საფუძველზე რვეულის ჩანაწერებს 14 მარტიდან 29 აპრილამდე ვათარილებთ.<sup>1</sup>

◇ გალაკტიონი უბის წიგნაკში ხატავს მამაკაცის სახის გრაფიკულ ჩანახატს და აწერს სახელსა და გვარს, არკადი ბელოვოლენკო<sup>2</sup>. ეს პირი გალაკტიონის ჩანაწერებში კიდევ რამდენჯერმე არის მოხსენიებული, ამავე უბის წიგნაკში ინიციალებით და მინიშნებით რომ იგი მუშაობს „კუტაისკი ვესტნიკში“ (წყაროში გაზეთიც შემოკლებით და რუსულად

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 33; ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 36; ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 37;

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 33; გაზ. „კუტაისსკი ვესტი“, 1916, 24 იანვარი, №426, გვ. 3.

არის მოცემული), გარდა ამისა იგი მოხსენიებულია უთარილო ბიბლიოგრაფიაში (დ-465): ბელოვოლენკო არკადი - „ქუთაის. ფურც.“, 1914 წ., 1953 წლის უბის წიგნაკში (დ-303), სადაც მას მთარგმნელებთან ერთად მოიხსენიებს და 1958 წლის უბის წიგნაკში (დ-443) სხვა ავტორებთან ერთად, რომელთაც მისთვის ლექსი ან წერილი ჰქონიათ მიძღვნილი: ბელოვოლენკო არკადი - „Кут. листок“; ამ მწირი ცნობების საფუძველზე შეიძლება გვევარაუდა, რომ არკადი ბელოვოლენკო გალაკტიონის ნაცნობი იყო, რომელიც ქუთაისში ცხოვრობდა და იქაურ რუსულენოვან გაზეთებთან „კუტაისსკიი ლისტოკთან“ და „კუტაისსკიი ვესტნიკთან“ თანამშრომლობდა. 2002 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ლიტერატურული ჟურნალში „პოეზიის დღე“ (ქუთაისი, 2002. - 26 მაისი. N7, გვ. 6-7), დაიბეჭდა პეტრე ვაჭრიძის სტატია „გალაკტიონის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ რუსულად“, რომლიდანაც ირკვევა, რომ არკადი ბელოვოლენკო იყო პოეტი და მთარგმნელი და რომ 1916 წელს გაზეთში „კუტაისსკიი ვესტი“ („ქუთაისის ამბები“) მას უთარგმნია და გამოუქვეყნებია გალაკტიონის ლექსი „ჯვარი“<sup>1</sup>, ხოლო 1917 წელს ლექსი „დედაო ღვთისავ!“ („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“), რომელიც მან შეცვლილი სათაურით „პოეტის აღსარება“ გამოაქვეყნა ამავე გაზეთში. პეტრე ვაჭრიძის სტატიიდან ირკვევა, რომ არკადი ბელოვოლენკო 1911 წელს ქუთაისში გამომავალი რუსული ლიტერატურული ჟურნალის „სტრელი კოლხიდის“ ერთ-ერთი ძირითადი თანამშრომელი იყო. ჟურნალში მოთავსებულია ბელოვოლენკოს საკუთარი ლექსები და თარგმანები, კონკრეტულად კი ტიციან ტაბიძის „კოლხიდაში“, რომელსაც ახლავს მთარგმნელის შენიშვნა რუსულ ენაზე „ტ. ტაბიძის პატარა პოემები“ და თითოეული მათგანი დასათაურებულია: „1. ვოსპომინანია“ („მოგონებები“), 2. „პოლნოჩნი ჩას“ („შუალამის საათი“) და 3. „დემონ მოლჩანია“ („სიჩუმის ანგელოზი“). პეტრე ვაჭრიძე თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ „სტრელი კოლხიდის“ რედაქცია მათ, ვინც ჟურნალზე ხელს მთელი წლით მოაწერდა საჩუქრად პირდებოდა წიგნს „მოლოდაია გრუზია“ - („ახალგაზრდა საქართველო“) „ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლექსების კრებული“ არკადი ბელოვოლენკოს

---

<sup>1</sup> გაზ. „კუტაისსკიი ვესტი“, 1916, 6 იანვარი, №126, გვ. 3;

თარგმანებით. სამწუხაროდ კრებულის მოძიება ვერ მოხერხდა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ 1916-1917 წლებში არკადი ბელოვოლენკო გაზეთში „კუტაისსკიე ვესტი“ აქტიურად ბეჭდავდა ქართველი პოეტების, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის ზემოაღნიშნული ლექსების თარგმანებს<sup>1</sup>. სამწუხაროდ, არ არსებობს პოეტის არკადი ბელოვოლენკოს ბიოგრაფია. სტატიაში მოყვანილი ფაქტების გარდა ძიების შედეგად გაირკვა, რომ მისი რამდენიმე საკუთარი ლექსი 1907-1908 წლებში დაიბეჭდა პეტერბურგის სალიტერატურო-მხატვრულ და სამეცნიერო ჟურნალში „პრობუჟდენიე“. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში პუშკინის სახლში დაცულია არკადი ბელოვოლენკოს 2 წერილი წიგნის გამომცემელ მიხეილ ავერიანოვისადმი, რომელიც 1908 წლის, 20 აპრილს და 30 ივლისს არის გაგზავნილი (Ф. 428, оп. 1, ед. хр. 9). გარდა ამისა, მოხერხდა ქუთაისელი პოეტის გარდაცვალების თარიღის დადგენა: 1918 წლის 31 მარტს გაზეთში „სოციალ-დემოკრატი“ დაიბეჭდა ნეკროლოგი, რომელშიც მისი მშობლები და და-ძმა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ არკადი გრიგორის ძე ბელოვოლენკო ქალაქ პიატიგორსკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

◇ ქუთაისიდან მოსკოვში გამგზავრების წინ გალაკტიონი რვეულში წერს პერიოდული გამოცემებისა და პირების სიას რომლებთანაც მოსკოვში გამგზავრების წინ გამოსამშვიდობებელი წერილის გაგზავნას აპირებს<sup>2</sup>. ესენია გაზეთების „სოციალ-დემოკრატი“, „ერთობა“, „ჩვენი ქვეყანა“ „ალიონი“ და ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ რედაქციები, და კერძო პირები: ხარიტონ ვარდომილი, გრიგოლ ურატაძე, მაკრინე ადეიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, თევდორე ჩუდეცკი, კოტე მაცაშვილი და იოსებ კაკაბაძე. გალაკტიონი მოსკოვში 1917 წლის აპრილის ბოლოს გაემგზავრა, 30 აპრილს იგი დედას წერილს უგზავნის ელიზავეტპოლიდან (განჯიდან) (ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. 430). მიუხედავად იმისა, რომ წერილის დათარიღებაში ეჭვი შეგვაქვს, რადგანაც გაზეთის „სახალხო

---

<sup>1</sup> გაზ. „კუტაისსკიე ვესტი“, 1916, 24 იანვარი, №426, გვ. 3.

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 36;

ფურცელი", 1917 N 849 პუბლიკაციის მიხედვით 29 აპრილს ვალერიან გუნიას სასცენო მოღვაწეობის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობს, 10 მაისს გალაკტიონი უკვე მოსკოვშია, რის შესახებაც ვიგებთ ტიციან ტაბიძის ელენე ბაქრაძისადმი მიწერილი წერილიდან (ცისფერყანწელების მიმოწერა, წ. I, თბ., 2018, გვ. 77.), ამიტომ, ვფიქრობთ, ვინაიდან გასაგზავნი წერილების ნუსხა მან ქუთაისიდან გამგზავრებამდე შეადგინა, ის 1 მაისამდე დავათარილთ. ამავე რვეულის შემდეგ ფურცელზე გალაკტიონი წერს: „ბინის შოვა, წერილების დაგზავნა, აბანოში წასვლა“ და ასე შემდეგ. ჩანს, ეს ქუთაისიდან გამგზავრების შემდეგ განჯაში (ან მოსკოვში) ჩასვლის შემდეგ გასაკეთებელი საქმეების ნუსხაა. ამ ჩანაწერში ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიტყვებმა „წერილების დაგზავნა“. სამწუხაროდ, პოეტის არქივს მხოლოდ დედისადმი, მაკრინე ადვიშვილისადმი განჯიდან (ელისავეტპოლიდან) გაგზავნილი წერილი შემორჩა. ასევე, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გალაკტიონის არქივში შემორჩენილი დაუთარილებელი ჩანაწერი ცალხაზიან ფურცელზე, რომელიც ამავე რვეულიდან ამოხეულს ჰგავს (დ-487-4). ჩანაწერებში პოეტი ახსენებს განჯას, ტრამვაის და სასტუმროს განჯაში. აღწერს მატარებელში ომში მიმავალ ჯარისკაცებთან შეხვედრას, მათთან საუბარს და ადგილებსა და მოვლენებს ქუთაისსა და თბილისში<sup>1</sup>. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ჩანაწერებში იპყრობს იოსებ კაკაბაძის მისამართი: „ქუთ. მის. სააზნაურ-საადგ.-მამ. ბანკის ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას. იოსებ კაკაბაძეს“. ჩანს, რომ პოეტი სტიპენდიის ან სხვა შემწეობის მოპოვებას ცდილობს ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან, რის გამოც, ქუთაისიდან გამგზავრებამდე გამგეობის თავმჯდომარის, იოსებ კაკაბაძის სახელზე წერილის გაგზავნას გეგმავს. სამწუხაროდ, პოეტის არქივში ამ წერილების შავი პირები, დედისადმი, მაკრინე ადვიშვილისადმი გაგზავნილი წერილის გარდა, შემონახული არ არის.

◇ კრებული, სათაურით „ლექსები“ რომელსაც გალაკტიონი მოიხსენიებდა როგორც „ზარნიშინ წიგნს“, გამოიცა 1927 წლის 8 მარტამდე, თუმცა სახელმწიფო გამომცემლობას პოეტმა ის ჯერ კიდევ

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-4, გვ. 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 36;

1926 წლის 10 აგვისტოს ჩააბარა (გტცა, №188, გვ. 1), ხოლო 1927 წლის 24 იანვრით დათარიღებული განცხადებიდან ირკვევა, რომ მისი წიგნის ბეჭდვა დიდი ხნის დამთავრებულია, მაგრამ გასაყიდად არ გამოდის წინასიტყვაობის არქონის გამო. რამდენადაც მოკლე ხანში კარგ წინასიტყვაობას ვერავინ დაწერს, პოეტი ითხოვს, გასცენ განკარგულება, რომ წიგნი მის გარეშე გამოუშვან (ქლმ, 24551-106. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 93). კრებულში 650 ლექსი დაიბეჭდა. წიგნის ფორზაცზე აღნიშნულია: „გალაკტიონ ტაბიძე. ლექსები. სახელგამი. ტფილისი. ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1927. აღმასკომის პირველი სტამბა. მთავლიტი №18. ტირაჟი 2500“. კრებულს წინ უძღვის ლექსის --- („რა ამომრავებს კიპარისის ტანს...“) ავტოგრაფი, რომელიც დათარიღებულია 1923 წლით. ტფილისი, ხელმოწერილია: გალაკტიონ ტაბიძე. ამავე კრებულში ლექსი დაბეჭდილია სათაურით „ისევ ეფემერა“ და თარიღით 1922 წელი. სახელგამის რედაქტორებს არც სარჩევის სწორად შედგენით შეუწყუხებიათ თავი. კრებულში დაბეჭდილი უსათაურო ლექსები სარჩევში გატანილია სათაურებით: --- („წინანდალელი ნათელა...“) – „წინანდალელი ნათელა“, --- („დღეს მათი ფერში ნაირ-ნაირშია...“) – „დღეს მათი“, --- („როცა დაეცა შური ბინდისა...“) – „როცა დაეცა შური ბინდისა“, --- („ვეფხვი კასპიის პირად...“) – „ვეფხვი კასპიის პირად“, \*\*\* („სდგას ხეივანი სასახლის წინ. მთვარიან ღამით...“) – „სდგას ხეივანი“, --- („ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა...“) – „ჩვენი სერობა“, --- („გაგონდება თუ არა...“) – „გაგონდება თუ არა?“, „ეს წინად იყო“ – „ეს იყო წინად“, --- („ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი...“) – „ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი“, --- („კარს გაუღებენ მას წინაპრები...“) – „კარს გაუღებენ მას წინაპრები“, --- („აქ მარმარილოს მაღალი სვეტი...“) – „აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“, --- („ელვარე და ლომ-ფერი...“) – „ელვარე და ლომფერი“, --- („სადაც ტყეების ისმოდა დარდი...“) – სადაც ტყეების ისმოდა დარდი, --- („ჩვენი დღის ამბებს – ძალიან მწყრალი...“) – „ჩვენი დღის ამბებს“, --- („სხვები ჩხავიან როგორც ყვავები...“) – „სხვები ჩხავიან როგორც ყვავები“, --- („მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი...“) – „მიყვარდა ჰანგი“, --- („ზნეობის სიტყვა ყრმას თუ შეჭფერის...“) – „ზნეობის სიტყვა“, --- („ლეგენდარული შენი დიდება“) – „ლეგენდარული შენი დიდება“, --- („მალე ფერ-გადაშლილი...“) – „მალე ფერგადაშლილი“, --- („ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს...“) – „ორი ზღვა შეხვდა ერთი-მეორეს“, --- („როცა გარშემო ღამე

ბნელია...“) – „როცა გარშემო ღამე ბნელია“, ... („თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვამთისგრეხილი უხმო შორი...“) – „თეთრ თოვლის ქვეშ“, ... („დგება თეთრი დღეები“) – „დგება თეთრი დღეები“, ... („ხომალდს მიყვება თოვლის მადონა...“) – „ხომალდს მიჰყვება“, ... („ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს...“) – „ხალხი ირევა“, ... („ო, დღეს შემოდგომა...“) – „ო, დღეს შემოდგომა“, ... („ეს იყო ოქტომბრის დამლევს...“) – „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“, ... („ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას...“) – „ხშირად ვოცნებობ“, ... („აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე“) – „აჩრდილი ჩუმი“, ... („გემებდი ყველგან... მახრჩობდა სიცხე...“) – „გემებდი ყველგან“, ... („ის წაიყვანა ოცნებამ მისმა...“) – „ის წაიყვანა ოცნებამ მისმა“, ... („იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...“) – „იმ ვარდისფერ ატმებს“, ... („ველთა შორის გამოსიმა ხმაურობა მშვიდი, წყნარი...“) – „ველთა შორის გამოსიმა“, ... („მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა...“) – „მზეო თიბათვისა“, ... („გასაოცარი მისი შვენება...“) – „გასაოცარი მისი მშვენება“, ... („ამაო მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია...“) – „ამაო მთლად ცხოვრება“, ... („იქ, ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩქრიალებს...“) – „იქ, ნაკადული“, ... („ათრობდა ხალხის მწუხარება, სისხლის აუზი...“) – „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, ... („რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!..“) – „რა საჭიროა სიტყვები?“, ... („ცხრაას-ჩვიდმეტი. ჭიხვინებდა შავი მერანი...“) – „ცხრაას ჩვიდმეტი“, ... („მან მოიტაცა ველები თოვლის...“) – „მან გაიტაცა“, ... („ის, როგორც დენდი, შესული შავში...“) – „ის, როგორც დენდი“, ... („უცხო მხარეში მივსდევ კრეისერს...“) – „უცხო მხარეში“, ... („ვით ლოცვა – ედება საღამო მთის კალთებს...“) – „ვით ლოცვა, საღამო...“. ლექსის სათაური „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“ სარჩევში შემოკლებულია: „იმ ატმებს გაუმარჯოს“. სარჩევში ზოგი ლექსის სათაური გამოტანილია სხვადასხვა ცვლილებებით (განსხვავებულია პირის ნიშნები, სასვენი ნიშნები და ცალკეული ასოები, სათაურები გამოტანილია შემოკლებით, არის ამკარად კორექტურული შეცდომებიც): „გავსცდით ხანდაკს“ – „გავცდით ხანდაკს“, „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“ – „წიწამურში რომ მოკლეს ილია“, „მარმალილო“ – „მარმარილო“, „ის დირიჟორი“ – „ის, დირიჟორი“, „მუსიკა – უეცარი“ – „მუსიკა უეცარი“, „პროლოგი 100 ლექსის“ – „პროლოგი 100 ლექსისა“, „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ – „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“, „არდაბრუნება“ – „არდაბრუნება“, „გუმინ, მთელი დღე“ – „გუმინ მთელი

დღე“, „ღამე, რა მოგივიდა?“ – „ღამე რა მოგივიდა“, „ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი“ – „ეს იყო ძველი ნაცნობი აზრი“, „ბედს იქით!“ – „ბედს იქით“, „ბედს იქით!“ – „ბედს იქით“, „მივალ გადავკოცნი...“ – „მივალ, გადავკოცნი“, „ღელავდენ...“ „ღელავდენ“, „ღვინისფერო მდინარე!“ – „ღვინისფერო მდინარე“, „როდესაც მთვარით დაპყრობილვიქმენ“ – „როდესაც მთვარით დაპყრობილ ვიქენ“ „თქვენ გართობდათ“ – „თქვენ გათრობდათ“ „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“ – „მთვრალის ყოფნით“, „ლანდი – არა-ქვეყნიური“ – „ლანდი არაქვეყნიური“, „შენ თუ მოელი?“ – „შენ თუ მოელი“, „10 წლის წინად“ – „ათი წლის წინათ“, „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“ – „ხიდი რიალტო მთის მდინარეში“, „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ – „შემოდგომა უმანკო ჩასახ. სავანეში“, „გზაზე ფოთლები ჰყრია“ – „გზაზე ფოთლები ყრია“, „გულო, რა გემართება“ – „გულო, რა გემართება?“, „მღვრიე დაღლილი რასსა“ – „მღვრიე, დაღლილი რასსა“, „შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“ – „შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“, „ტყემ წამიყვანა!“ – „ტყემ წამიყვანა“ „არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება“ – „არც ერთ ეპოქას არა აქვს უფლება“, „ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი“ – „ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი“ „მაგრამ მე რა ვქნა“ – „მაგრამ მე რა ვქნა?“ „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“ – „შავით შემოსილხარ“, „გრძნობა რომელიც დაკარგულია“ – „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“, „შემდეგაც, მაინც“ – „შემდეგაც მაინც“, „მიცვალებულის ხსოვნა“ – „მიცვალებულის ხსოვნას“, „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“ – „ლაჟვარდ ცაზე“, „ქარებს ქარობა!“ – „ქარებს ქარობა“, „ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“ – „ვით გრიგალის შემდეგ ტყე ველი“, „არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“ – „არასდროს ისე არ მინატრია“, „როდესაც ყველას სძინავდა“ – „როდესაც ყველას სძინავს“, „რა მშვენიერი იყო ნამი...“ – „რა მშვენიერი იყო ნამი“, „ქუჩაზე“ – „ქუჩები“, „მაისმა ისევ მოიტანა ლაჟვარდი ზღვები“ – „მაისმა ისევ მოიტანა“, „რა ღრიანცელში ვიდოდა გემი“ – „ღრიანცელში ვიდოდა გემი“, „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“ – „ქარი არხევდა შობის ხეს“, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...“ – „ქარი ჰქრის“, „ჯონ რიდი“ – „ჯონ-რიდი“, „ცხრაას თვრამეტი“ – „ცხრაასთვრამეტი“, „არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი“ – „არასდროს ისე ბედი არ ყოფილა ცბიერი“, „ისევე ტყეში“ – „ისევე ტყეები“ (კორექტურული შეცდომა), „მშვიდობიანი სიმღერა დების“ –



„მშვიდობიანი სიმღერა გედის“ (კორექტურული შეცდომა), „ქარებმა კარი შემოაჯახეს“ – „ქარებმა კარი შემოგჯახეს“ (კორექტურული შეცდომა), „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს“ – „რა დამშვიდებით გადავცქერი“. ლექსების „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ და „ჩემო იარალი“ სათაურები ჩასმულია ბრჭყალებში, ხოლო სარჩევში გატანილია ბრჭყალების გარეშე. რიგ შემთხვევებში, ერთი სათაურით იბეჭდება რამდენიმე ლექსი (ასეთია 14 ლექსი, შეტანილია ლექსების საერთო რაოდენობაში), რომელიც ნუმერაციით ან ვარსკვლავებით არის გამოყოფილი, ესენია: „ეს მშობლიური ქარია“ („I. შავმა ნისლმა დანისლა...“, „II. ეს მშობლიური ქარია...“, „III. შუქი გაიშალა...“), „გზაში“ („I. ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას...“, „II. მინდვრები, მთები და ზღვა ყანები...“, „III. მწვანე ჭალებში აფრინდა მწყერი...“, „IV. და ერთად ერთი, ნაზი დარაჯი...“, „V. აქ მრავალია ცისფერი ფერი!..“), „რაც უფრო შორს ხარ“ \*\* („და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ...“), \*\* („დაიწვას გული უცნაურ ტრფობით...“), „შემოდგომა“ \*\* („I. ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს...“, „II. მოწყენილია მიდამო, თეთრი...“), უსათურო ლექსი „ირგვლივ ნისლი სუფევდა“ გაყოფილია ექვს სტროფად: \*\* („1. ირგვლივ ნისლი სუფევდა...“), \*\* (2. ყველაფერი ქოსის...), \*\* (3. და იქ, სადაც ცბიერნი...“), \*\* („4. მათთან ვისიც ცხოვრება...“), \*\* („5. და ცხოვრება გიყვარდა...“), \*\* (6. „იქნებ შურმა ანათო...“). წიგნის სარჩევში გამოტოვებულია ლექსები: „მე არა ერთხელ მქონია ფრთები...“ გვ. 91, „ხან უფსკრულები, ხან მწერვალები“ გვ. 92, „ძველი მოტივით“ გვ. 146, „შენი სადღეგრძელო“ გვ. 146, „Voiles“ გვ. 147, „მოვა, მაგრამ როდის?“ გვ. 147, „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!“) გვ. 149, „ცად აზიდულა ვით მარმარილო“ გვ. 164, „სიჩუმეა“ გვ. 165, „რა რიგ მწყურია“ გვ. 207, „ჩემი ვარსკვლავი“ გვ. 207, „თვალები“ გვ. 210, „შენ, ყოველთვის კარგი ხარ“ გვ. 211, „ქალმა დამწყევლა ღამაზმა“ გვ. 211, „წერილიდან მისდამი“ გვ. 239, „გვიანი ოცნება“ გვ. 278, „დღემ გაიარა!“ გვ. 279, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...“ გვ. 279, „მზის ჩასვლა“ გვ. 335, „საუბარი ედგარზე“ გვ. 335, „სიმღერავ, უხმე...“ გვ. 379, „მე და ზამბახი“ გვ. 395, „ყორანის ცრემლები“ გვ. 399, „სროლის ხმა მთაში“ გვ. 399, „ეს ლექსი“ გვ. 445, „ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი“ გვ. 450, „ბინდი ღამისა გაჰქრა“ გვ. 508. სათაურით „ოცნებათ რიგი“ სარჩევში შეცდომით არის გატანილი ლექსის „ატმის ყვავილების“ ბოლო სამი

სტროფი. ლექსების „ჩაჰკეტა კარი“ და „აწ კივილისთვის ირევიან“, სათაურები გაერთიანებულია.

◇ აკაკი ხინთიბიძის „მოგონება გალაკტიონზე“ და ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ამავე თემაზე<sup>1</sup>, რომლებშიც ისინი იგონებენ მწერალთა კავშირის სხდომას რომელიც ეხება რუსული ლიტერატურის გავლენას ქართულზე დაუთარილებელია. მოგონებებში ნათქვამია, რომ გალაკტიონმა სხდომაზე აღნიშნა რომ ცოტა ხნით ადრე გაზეთში წაიკითხა ცნობა, რომ რუს დრამატურგს დაუწერია კომედია „ალაზნის ველი“ და თვლის, რომ „ალაზნის ველი“ საკომედო თემა არ არის. დასასრულს ჩაულაპარაკებია, მარტო „პუმკინი-მუმკინი“ და „გოგოლი-მოგოლი“ არ გვიშველისო, რაც მისი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაბარების მიზეზი გახდა. მოგონების დათარიღების საშუალებას გვამღვეს პოეტის უბის წიგნაკის ჩანაწერი (დ-249, გვ. 10-11), რომელშიც მან სათაურით „უცნაური კომედია“ 1952 წლის 20 ნოემბრით დათარიღებული გაზეთიდან „იზვესტია“ („Известия“, №274 (11037)), ამოიწერა „ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მდივნის ამხ. ტ. გორბუნოვის წერილი: „ბელორუსიის ინტელიგენცია ხალხის სამსახურში“. წერილში ნათქვამია, რომ ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრი მოსკოვის დეკადისათვის სერიოზულად ემზადება და რომ იაკუბ კოლასის სახელობის დრამატულმა თეატრმა მოამზადა რამდენიმე პიესა და მათ შორის კონსტანტინ გუბარევიჩისა და იოსიფ დორსკის კომედია „ალაზნის ველი“. გალაკტიონის ჩანაწერიდან გამომდინარეობს, რომ გაზეთი მას 20 ნოემბრის შემდეგ უნდა წაეკითხა, ხოლო რევაზ კვერენჩილაძის წიგნში „საქართველოს მწერალთა კავშირი: 1917-1982“ აღნიშნულია, რომ 1952 წელს 27-28 ნოემბერს ჩატარდა ქართველ მწერალთა პლენუმი, საფიქრებელია, რომ გალაკტიონი სიტყვით სწორედ ამ პლენუმზე გამოვიდა. ამიტომ აღნიშნულ მოგონებას 1952 წლის 27 ნოემბრით ან შემდგომი პერიოდით ვათარიღებთ.

◇ თაბახის ფურცელზე წითელი ფანქრით გაკეთებული ჩანაწერი, რომელიც დასათაურებულია „საქ. ჩაი“, დათარიღებული არ არის<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ა. ხინთიბიძე, „მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ., 2009, გვ. 305-306. ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი, გტცა, №1436, გვ. 2-3.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-496, 11. გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 478.


ჩანაწერი იუმორისტული ხასიათისაა, პოეტი წერს, რომ იმის ნაცვლად, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო, ან ჩრდილოეთის პოლიუსი დაელაშქრა, იძულებულია საქართველოს ჩაის პლანტაციების აღსაწერად წავიდეს<sup>1</sup>. ჩანაწერის დათარიღების საშუალებას გვაძლევს გალაკტიონის მიერ ჩანაწერში დასახელებული გემის სახელწოდება. იგი წერს: „ვფიქრობდი ჩრდილოეთ პოლიუსის რომელიმე ექსპედიციასთან „მალიგინით“ გამგზავრებას“. ცინულმჭრელმა „მალიგინმა“ 1932 წლის 27 აგვისტოს მიაღწია უკიდურეს ჩრდილოეთში მყოფ კუნძულ რუდოლფს და მეტეოსადგურის ასაშენებლად საჭირო ნაწილები ჩაიტანა, საბჭოთა პრესა სიამაყით აღნიშნავდა, რომ რუდოლფის კუნძულის „ზამთრის სადგური“ მსოფლიოში ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს. ამის საფუძველზე ჩანაწერი 1932 წლის აგვისტოთი დავათარიღეთ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-71, 16. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 303.

◊ ოთარ ჭელიძე ერთგან იხსენებს გალაკტიონთან ერთად ჩარგალში ყოფნის ამბებს<sup>1</sup>. ტექსტიდან ჩანს, რომ საკმაოდ დიდი მასშტაბის ზეიშია, რომელსაც ესწრებიან: გიორგი ლეონიძე და გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებში ჩარგალში ყოფნის ამბები აღწერილია მხოლოდ 1955 წლის დღიურებში<sup>2</sup>. მათში ჩანს, რომ იმ წელს ჩარგალში ასვლამდე ღონისძიება ჩატარდა დუშეთშიც, რომელშიც მონაწილეობდნენ: გიორგი ლეონიძე, ბესარიონ ჟღენტი, ალექსანდრე გომიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ოთარ ჭელიძე, ანდრო თევზაძე და ნაზი კილასონია. დუშეთში ყოფნის თარიღად გალაკტიონს მითითებული აქვს 14 აგვისტო<sup>3</sup> და ჩანს ისიც, რომ იქვე ივანშემეს და დარჩნენ სასტუმროში. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ გალაკტიონს თითო ლექსი წაუკითხავს ორივეგან დუშეთშიც და ჩარგალშიც<sup>4</sup>. ნახსენებია დუშეთში წაკითხული ლექსის სათაურიც „ვიგონებ ყრმობას“<sup>5</sup>. ეს არის დასაწყისი პოემისა „საუბარი ლირიკის შესახებ“ (ვიგონებ ყრმობას; / შორს, ძლიერ შორს, ჭალების მიღმა...“<sup>6</sup>). ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს ვაჟა ფშაველას ცოლთან – თამარ დიდებაშვილთან შეხვედრას<sup>7</sup>. რამდენადაც 14 აგვისტოს დუშეთში დარჩნენ, 16 აგვისტოს ჩანაწერის მიხედვით კი გალაკტიონი უკვე წყნეთში იყო დაბრუნებული<sup>8</sup>, ჩარგალში 15 აგვისტოს უნდა ყოფილიყვნენ.

◊ გალაკტიონის ციფრულ არქივში არის ნუსხა იმ ობიექტებისა და პირებისა, რომლებიც მას ეხმარებიან წიგნის გავრცელებაში. ამ ნუსხისთვის სათაურად პოეტს აქვს „აგენტურა ჩემი წიგნის II



<sup>1</sup> ო. ჭელიძე, გალაკტიონი ჩარგალში, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ.81.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 346.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 165.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 164.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 164.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 166.

<sup>7</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 168.

<sup>8</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 173.

ტ.<sup>1</sup>“ გამომდინარე იქიდან, რომ ნუსხაში მოხსენიებულია იმ გაზეთის („აზრი“) რედაქცია, რომელიც გამოდიოდა 1914 წლის მარტიდან 11 ივლისის ჩათვლით, გალაკტიონის პირველი წიგნი კი 1914 წლის ივნისის ბოლოს გამოვიდა, აქ საუბარი არ უნდა იყოს 1914 წელს გამოცემულ ამ წიგნზე. მართალია, ეს რეალურად გალაკტიონის მიერ გამოქვეყნებული პირველი წიგნია, მაგრამ სხვა შემთხვევებიც, გვაქვს, როცა მის მიერ დასაბეჭდად მომზადებულ პირველ წიგნს, რომელზეც 1911 წელს ხელმოწერებიც კი იყო შეგროვილი, გალაკტიონი საკუთარი წიგნების ჩამონათვალში ითვალისწინებს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი წერილი, რომელიც ოლია ოკუჯავას ქუთაისიდან გაუგზავნა ჭიათურაში, დათარიღებულია 31 აგვისტოთი, მაგრამ წელი მითითებული არ არის<sup>2</sup>. ასეთ დროს ვცდილობთ ბარათში გადმოცემული ფაქტების დროის იდენტიფიცირებას. წერილში არის ნახსენები ქუთაისის თეატრში გამართული სალიტერატურო საღამო, რომელშიც გალაკტიონთან ერთად მონაწილეობდა ლადო მაჭავარიანი. რამდენადაც ინფორმაცია ასეთი საღამოების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში, ჩვენ კი ვიცოდით, რომ ოლია ოკუჯავა ჭიათურაში 1911-1915 წლებში მსახურობდა, გადავათვალიერეთ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები და ვიპოვეთ, რომ 1915 წლის 30 აგვისტოს გალაკტიონი და ლადო მაჭავარიანი, სხვა მწერლებთან ერთად, მართლაც მონაწილეობდნენ მსახიობ დავით ჩარკვიანის მიერ ავადმყოფ თამარ ივანიძის სასარგებლოდ ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ-დრამატულ საღამოში<sup>3</sup>. შესაბამისად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1915 წლის 31 აგვისტოს.

წერილის კითხვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია გალაკტიონის სიტყვებმა ოლიასადმი: „როგორც მაშინ გითხარი, ამ საღამოზე გამოსვლა მე არ მინდოდა - მაგრამ მიცემული მქონდა სიტყვა.“ დავინტერესდით, ვინ იყო ამ საღამოს ორგანიზატორი დავით ჩარკვიანი და რატომ ორჭოფობდა გალაკტიონი ამ საღამოზე გამოსვლასთან დაკავშირებით. გავარკვიეთ, რომ დავით ჩარკვიანი იყო

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N881, გვ. 1-3.

<sup>2</sup> ქლმ, ხ-24551/26.

<sup>3</sup> გაზ. „საქართველო“, 1915, 4 სექტემბერი, N85, გვ. 3; გაზ. „სამშობლო“, 1915, N164, გვ. 3;

ქუთაისელი მსახიობი და რეჟისორი. ასევე ქუთაისის თეატრის მსახიობი იყო მისი მეუღლე – დესპინე ივანიძე, რომელიც 1914 წელს 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. თამარ ივანიძის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი დავით ჩარკვიანის გარდაცვლილი მეუღლის დედა, და ან ახლო ნათესავი იქნებოდა. დავით ჩარკვიანი მოქიფე კაცი იყო, ხელგამლით ცხოვრობდა და ვალებში იყო ჩავარდნილი. ვალების გადასახდელად ჭიათურაში გასტროლები მოაწყო, მაგრამ მაყურებელი თეატრში არ მივიდა, ჩარკვიანი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თვითმკვლელობა სცადა. ამ ფაქტის გამო ხალხს ისე შეეცოდა, რომ ზოგმა ვალი აპატია, ჭიათურაში ფული შეუგროვეს, ქუთაისში კი, როგორც ვასილ კიკნაძე იგონებს<sup>1</sup>, საქველმოქმედო წარმოდგენები გამართეს მის სასარგებლოდ. შესაძლოა 30 აგვისტოს საქველმოქმედო საღამოც დავით ჩარკვიანის ვალების გასასტუმრებელი თანხის შესაგროვებლად იმართებოდა და არა ავადმყოფის დასახმარებლად და იმიტომაც არ უნდოდა გალაკტიონს მასზე წასვლა.

როდესაც წერილის დაწერის დროს ვაზუსტებთ, ამით, ფაქტობრივად, ვათარიღებთ მასში შემავალ სხვადასხვა ინფორმაციასაც. მაგალითად, ამ წერილის დათარიღებით გავარკვიეთ, რომ ოლია ოკუჯავა ქუთაისიდან ჭიათურაში 1915 წლის 30 აგვისტოს გამგზავრებულა მატარებლით, ამავე დღეს წასულან ქუთაისიდან ჭყვიშში გალაკტიონის დედა და ძმა, მოგვიანებით, ამავე დღეს თეატრში შეხვედრია გალაკტიონი ოლიას ძმას – მიხეილ ოკუჯავას და უსაუბრიათ, საღამოზე გალაკტიონს „მე და ღამე“ დავიწყებია და იქვე მაგიდაზე დადებულ ფურცელზე დაწერილი ვიღაცის ლექსი წაუკითხავს, ამავე საღამოს უჩხუბიათ შეზარხოშებულ გალაკტიონს და ლადო მაჭავარიანს გიმნაზიელებთან, 31 აგვისტოს კი სოფლიდან ჩამოსულ მიხეილ ბოჭორიშვილს ამ ჩხუბის გამო გალაკტიონისთვის უსაყვედურია.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც 1950 წლის 17 ენკენისთვის დათარიღებული რვეულის დასაწყისში წერია, ვკითხულობთ: „წელს:

---

<sup>1</sup> ვასილ კიკნაძე, სევდიანი ასოციაციები, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“ 2014, N3, გვ. 18-19.

ტიჩინა, ტიხონოვი, ფადეევი, ერენბურგი. გაისად: მე, კოლასი!<sup>1</sup>. რამდენადაც აქცენტი არის გაკეთებული ორ მომიჯნავე წელზე, ვცადეთ გაგვერკვია, ერთსა და იმავე წელს რითი უკავშირდებოდა ერთმანეთს პირველი ოთხი ავტორი და გალაკტიონ ტაბიძე და კოლასი და რომელ მომიჯნავე წლებზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. 1951 წელს პაველ ტიჩინას უსრულდებოდა დაბადებიდან 60 წელი, ნიკოლოზ ტიხონოვს – დაბადებიდან 55, ილია ერენბურგს –60 და ალექსანდრ ფადეევს –50; 1952 წელს კი გალაკტიონს (რამდენადაც საზოგადოებაც და თავადაც მისი დაბადების წლად 1892 წელს აღიარებდა) უსრულდებოდა 60 წლის იუბილე, იაკუბ კოლასს კი – 70. შესაბამისად, ამ ჩანაწერში საუბარი უნდა იყოს იუბილეებზე და იგი გაკეთებული უნდა იყოს 1951 წლის დასაწყისში.

◇ უბის წიგნაკში, 1950 წლის 1 ივნისის ჩანაწერების წინ პოეტს უწერია, რა უამბეს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ წრეში სტუდენტური კრებულის „ახალი სხივი“ განხილვის შესახებ (გალაკტიონს ეშლება სათაური და წერს „ახალი სხივი“ ნაცვლად აღმანახის სათაურისა „პირველი სხივი“)<sup>2</sup>. პოეტი, როგორც ჩანს, უკვე იცნობს ამ გამოცემას და არ იზიარებს, სავარაუდოდ, სიმონ ჩიქოვანის ნათქვამს, ამ ჟურნალში ერთადერთი შესანიშნავი ფიგურა არჩილ სულაკაურია და ისიც ჩვენგან არის გაგზავნილი (გულისხმობდა იმას, რომ სულაკაური მანამდე სხვა ჟურნალებსა და კრებულშიც იბეჭდებოდა). გალაკტიონის აზრით, არჩილ სულაკაური მშვენიერი ფიგურაა, მაგრამ ამ კრებულში არიან „არა ნაკლებ, თუ მეტად არა, დახვეწილი ლექსების ავტორები, მაგალითად, ბასილაიშვილი და სხვ.“ პოეტი ფიქრობს, რომ ზოგიერთები განზრახ ცდილობენ იმ ახალგაზრდა პოეტების დაკნინებას, რომლებიც პოეზიაში აგრძელებენ მის ხაზს. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ სტუდენტების აღმანახს მომხრეც ბევრი ჰყავს: სტუდენტობა, მოწინავე ინტელიგენცია და პრესა. პრესიდან გამოყოფს გაზეთებს „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. პოეტი იმდენად ინტერესდება ამ განხილვით, რომ სურვილი უჩნდება, ნახოს სტენოგრაფიული ჩანაწერი, თუ ასეთი არსებობს. ეთერ ბასილაიშვილს (ბასილაშვილს) აღმანახის ამ ნომერში გამოქვეყნებული ჰქონდა ხუთი

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 262; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 127.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-254, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 48.

ლექსი: „ბელადს“, „პუმკინს“, „ჩემი ძიძა“, „ქალაბიჭა“ და „ოცნებაო, გამიგონე“<sup>1</sup>. რამდენადაც სტუდენტური ალმანახის შესახებ რეცენზიების ბეჭდვა დაიწყო 1950 წლის 16 მაისს<sup>2</sup>, იგი, სავარაუდოდ, მაისის შუა რიცხვებამდე მაინც უნდა გამოსულიყო. გალაკტიონის მიერ იმის აღნიშვნა, რომ „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“ მხარს უჭერენ ამ ახალგაზრდულ კრებულს, მიანიშნებს იმაზე, რომ მას ამ გზაეთებში უკვე ჰქონდა წაკითხული ინფორმაცია ან გამოხმაურებები ამ კრებულის შესახებ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში, რომელიც 1950 წლით არის დათარიღებული, რუსულ ენაზე გაკეთებული ვრცელი ამონაწერებია და თავში მინიშნებულია, რომ გაკეთებულია გაზეთ „პრავდის“ იანვრის ნომრიდან<sup>3</sup>. ბუნებრივია, დავინტერესდით, რა სტატიაა ეს და მივაკვლიეთ, რომ ეს არის ბუბენოვის ვრცელი სტატია ვალენტინ კატაევის რომანზე „საბჭოთა ხელისუფლებისთვის“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდის“ 1950 წლის 16-17 იანვრის ნომრებში<sup>4</sup>. კატაევი ცნობილი მწერალი იყო და ბუბენოვი ამ სტატიაში მას იდეოლოგიური კუთხით აკრიტიკებდა, რის გამოც გაზეთი თავდაპირველად სტატიას არ უბეჭდავდა. ამიტომ ბუბენოვმა იგი პირადად სტალინს გადაუგზავნა რეაგირებისთვის. სტალინს არ მოეწონა, რომ კატაევის რომანში რაიკომის მდივანს „გავრიკი“ ერქვა, რაც თაღლითს ნიშნავს და წერილის დაბეჭდვაზე თანხმობა გასცა. შესაბამისად, ეს საკმაოდ სკანდალური წერილი იყო. რამდენადაც მისი ბეჭდვა 1950 წლის 17 იანვრის ნომერში დასრულდა, გალაკტიონის ჩანაწერს 17 იანვრით ან შემდგომი პერიოდით ვათარიღებთ.

◇ ამავე დღიურში არის ინფორმაცია ნიკო მარის მიერ 1924 წელს რუსულ ენაზე წაკითხული ლექციების ციკლის შესახებ სახელწოდებით „პირინეის გურია“<sup>5</sup>, რომელიც 1927 წელს წიგნადაც

---

<sup>1</sup> „პირველი სხივი“, 1950, N1, გვ. 9-13.

<sup>2</sup> Б. Коркия, Первый луч [Рецензия], Молодой сталинец, Тбилиси, 1950 16 мая, N58.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-249, 3-4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 7-8.

<sup>4</sup> Бубеннов М., О новом романе Валентина Катаева «За власть Советов», Правда. 1950. 16–17 янв.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-249, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 8.



გამოქვეყნდა<sup>1</sup>. ტექსტების თანმიმდევრობის შესაბამისად, ამ ჩანაწერსაც, წინას მსგავსად, 1950 წლის 17 იანვრის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ.

◇ გალაკტიონის ერთი წერილიდან ჩანს, რომ 1 ივლისამდე ის კოჯორში ისვენებს და მკურნალობს არკადი გოცირიძის მეთვალყურეობით<sup>2</sup>. ასეთი ფაქტი იყო 1947 წელს. და კოჯორში პოეტი ჯერ კიდევ 6 მაისს ავიდა<sup>3</sup>. შესაბამისად, ბარათი 1947 წლის 6 მაისიდან 1 ივლისამდე პერიოდით დავათარილებთ. უთარილო წერილის ადრესატ ვინმე ვანოს გალაკტიონი სწერს, რომ კოჯორში ძალიან კარგ პირობებში ცხოვრობდა და ისეთივე უნდა იმ ვანოსთანაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1947 წელს გალაკტიონი ივლისის თვეში ისვენებდა შოვში, ეს ვანო ან შოვის მკვიდრი ან შოვში მომუშავე პერსონალი უნდა ყოფილიყო.

◇ ერთ უთარილო წერილში სოსიკო ფანცხავა გალაკტიონს სთხოვს, რომ ბესიკს თავის საღამოზე წააკითხოს რაღაც ლექსი<sup>4</sup>. გალაკტიონის ჩანაწერებში სახელით ბესიკი მის თანამედროვეთაგან გვხვდება ერთადერთი პირი – ბესიკ ადეიშვილი და, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს საუბარი მის ლექსზე. საგულისხმოა, რომ სოსიკო ფანცხავა და ილია ადეიშვილი ხელმძღვანელობდნენ გალაკტიონის სახელობის ლიტერატურულ წრეს<sup>5</sup>, სადაც გალაკტიონთან შეხვედრა დაგეგმილი იყო 1957 წლის 4 მაისს. ვფიქრობთ, უთარილო წერილში ამ შეხვედრაზე უნდა იყოს საუბარი და იგი 1957 წლის 4 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულია ალექსანდრე მაჩხანელის, იგივე ც. ნატროშვილის 1946 წლის 20 აპრილის წერილი გალაკტიონისადმი<sup>6</sup>, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ადრესანტს დაწერილი აქვს გალაკტიონისადმი მიძღვნილი პოემის 30 თავი, იცნობს ყველაფერს, რაც პოეტს გამოუქვეყნებია და მასზე დაწერილა, მაგრამ სჭირდება მეტი ინფორმაცია ბიოგრაფიის შესახებ, რომ მოვლენები

---

<sup>1</sup> Марр, Николай Яковлевич. Из Пиренейской Гурии : (к вопросу о методе) / Н. Я. Марр. - Тифлис, 1927.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-87; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 70-71.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551.10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 13.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-475; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-355, გვ. 11; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 276-277.

<sup>6</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-484-ბ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 299.

ქრონოლოგიურად დაალაგოს. ყველგან ვემიეთ როგორც ალექსანდრე მაჩხანელის, ისე ც. ნატროშვილის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ვერაფერს მივაგენით. რამდენადაც წერილთან ერთად ის გალაკტიონს არ უგზავნის თავის დაწერილ თუნდაც ერთ სტროფს, ვერ ვიტყვით, ის მართლაც პოეტია თუ სახელოვან ადამიანთან გასაუბრების ამბიციით შეპყრობილი პირი.

◇ გალაკტიონის ერთ-ერთ დღიურში გაკეთებულია ჩანაწერები<sup>1</sup>, რომლებიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონს ახალგამოქვეყნებული აქვს წერილი „მემარჯვენე“ მწერლების შესახებ და ასევე ახალგამოქვეყნებულია ბენიტო ბუაჩიდის წერილი მის შესახებ. ორივე ასეთი წერილი გამოქვეყნდა 1930 წლის 26 აპრილს გაზეთში „კომუნისტი“<sup>2</sup>. ტექსტში ჩერქეზიშვილის გვარი მითითებული არ არის, მაგრამ ჩანს, რომ ქართულ გაზეთებს არ კითხულობს. გალაკტიონის არქივში მოხსენიებულ ჩერქეზიშვილთაგან ასეთი შეიძლება ყოფილიყო სოციალ-დემოკრატი ივანე ჩერქეზიშვილი. „ნუცად“ გალაკტიონის დღიურებსა და წერილებში იხსენიება ოლია ოკუჯავას უახლოესი მეგობარი და შემდეგ მისი ძმის, ნიკოლოზის მეუღლე ნინა გვახარია. ჩანაწერში ენთუზიასტად მოიხსენიება ბახტაძე და, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ილია იოსების ძე ბახტაძე. „ლ. მირიანაშვილი“ სახელის მხოლოდ ინიციალით არის მოხსენიებული, რომელიც არ ემთხვევა საარქივო დოკუმენტში ნახსენები სხვა არცერთი პირისას. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს სახელის გარეშე მოხსენიებული ის მირიანაშვილი, რომელზეც წერს: „ვიღაც მირიანაშვილი ყოფილა, სახალხო პოეტი ვარო, იძახის. დადის კურორტებზე და გამოსვლაზე 150-200 მანეთს იღებს“.<sup>3</sup>

◇ როდის ქორქიას მოგონების მიხედვით ია ეკალაძემ გალაკტიონს სახუმარო რუსული ლექსით მიმართა ოპერის თეატრში გამართულ საღამოზე<sup>4</sup>. 1922 წელს გალაკტიონის საღამო, რომლის ჩატარებაც დაგეგმილი იყო ოპერის თეატრში, არ შედგა, ია ეკალაძის გარდაცვალებამდე კი ამ დარბაზში პოეტის საღამო 1933 წლის 5 ივლისს

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-60. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 212.


<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი, გაზ. „კომუნისტი“ 1930, № 96, გვ. 3.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 474.

<sup>4</sup> რ. ქორქია, სამი მოგონება, გაზ. სახალხო განათლება, 3 დეკემბერი, N 98, გვ.4.

გაიმართა. შეცდომის თავიდან ასარიდებლად ამ თარიღით მოვნიშნავთ აღწერილი ამბის ზედა დროით ზღვარს.

◇ ელენე შერის წერილის თარიღად საარქივო გამოცემაში ამოკითხულია 1945 წლის 16 მარტი. ბარათის მიხედვით ამ ან მომდევნო დღეს უნდა ტარდებოდეს გალაკტიონის საღამო, მაგრამ 1945 წლის 16 მარტს ასეთი საღამო არ



ჩატარებულა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ დავაკვირდით ხელნაწერს და გაგვიჩნდა აზრი, რომ მესამე თვის ნაცვლად აქ შეიძლება ეწეროს მეშვიდე თვე ანუ ივლისი და 1945 წლის ნაცვლად 1948. 1948 წლის 17 ივლისს მართლაც ტარდებოდა შეხვედრა გალაკტიონთან პლეხანოვზე პიონერთა ბაღში. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ელენე შერვაშიძის წერილი 1948 წლის 16 ივლისს უნდა იყოს დაწერილი.

◇ 1930 წლის დღიურში გალაკტიონი წერს: „1. წიგნები ძველი და ახალი შუა-აზიაზე. 2. ქარტები. 3. ისტორიული მომენტების ხაზგასმა“, რასაც მოსდევს ამ თემაზე არსებული ლიტერატურის სია<sup>1</sup>. შუა აზიით პოეტის დაინტერესება განპირობებულია მისი მეუღლის – ოლია ოკუჯავას კონტრევოლუციური და ტროცკისტული საქმიანობისთვის შუა აზიაში გადასახლებით.<sup>2</sup> ოლია ოკუჯავა 1929 წლის 28 დეკემბრიდან მომდევნო დღეებში სისტემატურად უგზავნიდა წერილებს, რომლებითაც აცნობებდა გადაადგილების თარიღებსა და ადგილმდებარეობას. 1930 წლის 2 თებერვლით დათარიღებულ წერილში ურჩევს, როგორც პოეტმა, მიმართოს განათლების სახალხო კომისარიატს, რომ შუა აზიის ყოფის გასაცნობად იქ მოგზაურობის ნება დართონ და უზრუნველყონ თანხით<sup>3</sup>. ვფიქრობთ, ჩანაწერები შუა აზიის შესწავლასთან დაკავშირებით ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული, თუმცა, წერილის მიღებას შუა აზიიდან ერთი კვირა მაინც დასჭირდებოდა, ამის მიხედვით, საწყის თარიღად ვიღებთ 10 თებერვალს, ბოლო თარიღად კი 26 თებერვალს, მომდევნო ჩანაწერის თარიღის მიხედვით.

◇ 1930 წლის დღიურში იწერს მოსე გოგიბერიძესთან საუბარს: „1. ამისთანა პოემას სად ნახავ, კაცო, შენ. აქ კი არა, რუსეთში არაა. 2. ვინ დაგიწერს ამისთანა პოემას, სამსონიძე? მაშაშვილი? ეული? 3. სულ ლენინის პრინციპზეა ამეხებული... სტრიქონების შეერთებაო? ყოვლად შეუძლებელია. არ მოხერხდება... დაბეჭდვით თუ დაბეჭდავთ, პირველ ადგილას სჯობია, რა თქმა უნდა. თუ არა და ლექსი მექნება...“<sup>4</sup>. ამავე დღიურში აქვს ჩანაწერები პაციფიზმის შესახებ. ჟურნალის „მნათობი“ იანვრის ნომერში პირველ ადგილას, სრულად დაიბეჭდა პოემა „პაციფიზმი“, რომელსაც ეპიგრაფად აქვს ლენინის ციტატა პაციფიზმის შესახებ<sup>5</sup>. ამიტომ ჩანაწერში ნამდვილად ამ პოემაზე უნდა იყოს საუბარი. ჟურნალის გამოსვლა,

<sup>1</sup> ქლმ. დ-46, 21-22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 17-18.

<sup>2</sup> Постановление Особого Сопещания при Коллегии ОГПУ от 29 января 1930 года.

<sup>3</sup> ქლმ. 24551-372-ბ, 21-22; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>4</sup> ქლმ. დ-56, 34; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 196-197.

<sup>5</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1930, იანვარი, №1, გვ. 7-31.

როგორც წესი, იგვიანებდა და კონკრეტულად რა დროს გამოიცა, გაურკვეველია. სხვა დღიურის 3 მარტის ჩანაწერის მიხედვით, შალვა რადიანი აცნობებს, რომ დაბარებულია ცენტრალურ კომიტეტში, ძალიან მოსწონთ მისი პოემა „პაციფიზმი“ და ცალკე წიგნად გამოცემას აპირებენ<sup>1</sup>. შესაბამისად, 3 მარტამდე პოემა „მნათობში“ უკვე გამოქვეყნებული იყო.

◇ 1930 წლის დღიურში წერს: „გამოსარკვევია ორი საკითხი: 1. რაიმე სამსახურისა. როგორაა საქმე. ჯერ დავიწყებ „მნათობი“-ს შესახებ. მასალა მიცემულია, აწყობილია, დაბეჭდილია. სამჯერ ვიყავი ბარონთან, უარს ამბობს მოცემაზე, როდესაც გამოვაო. მე კი აუტანელი მდგომარეობა მაქვს. რა ვუყო, არ ვიცი. მჭ... 2. სამსახური“<sup>2</sup>. ტექსტი განთავსებულია ჩანაწერის „Колесная пара просрочена“. 21. X. 30. Д. Тифлис!“ შემდეგ. შესაბამისად, დაწერილია ან ამ რიცხვში, ან შემდეგ. ჟურნალისტვის „მნათობი“ იმ პერიოდში დასაბეჭდად გადაცემული ჰქონდა ლექსთა ციკლი „რევოლიუციონური საქართველო“. სხვა ჩანაწერის მიხედვით, „მნათობი“, რომელშიც დაიბეჭდა „რევოლიუციონური საქართველოს“ პირველი ნაწილი, გამოიცა 22 ოქტომბერს<sup>3</sup>, ამიტომ ტექსტს ვათარილებთ 21-22 ოქტომბრით.

◇ 1930 წლის დღიურში სათაურით „აკადემიური ჯგუფი“ წერს: „(მოდიოდენ: ს. აბაშელი, დუტუ მეგრელი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ს. ფაშალიშვილი), (ს. ფაშალიშვილი დადის მემარჯვენებთან, აკადემიურ ჯგუფში, საინტერესოა). Ихний кончен бал. პ. ინგოროყვას და ს. აბაშელს შეცდომაში? თუ რაშია ამ ავანტიურისტების საქმე. ეს აკადემიური ჯგუფი არის ფაქტიურად მემარჯვენე ჯგუფი. როგორ გვიან მივხვდი. გამოუყვანეს წირვა“<sup>4</sup>. 1930 წლის 15 ნოემბერს ჩატარებულ მწერალთა ფედერაციის საბჭოს მეოთხე პლენუმზე, სხვა მწერლებმა მოითხოვეს აკადემიური ასოციაციის, როგორც ხელისშემშლელის, დაშლა. პლენუმის დადგენილების საფუძველზე, აკადემიური მწერლობის ასოციაციის სახელით,

<sup>1</sup> ქლმ. დ-47, 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 24.

<sup>2</sup> ქლმ. დ-54, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 179.

<sup>3</sup> ქლმ. დ-53, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 112; ჟურნ. „მნათობი“, 1930, №8-9, გვ. 1-16.

<sup>4</sup> ქლმ. დ-54, 28; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 184.

ალექსანდრე აბაშელმა, ჯგუფი დაშლილად გამოაცხადა<sup>1</sup>. გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი ამ მოვლენას უნდა ეხმაურებოდეს და დაწერილი უნდა იყოს 15 ნოემბრის შემდეგ.

◇ 1930 წელს დღიურში წერს: „კომინტერნის ქ.; დიდი პლაკატი (წითელი მატერია): გალაკტიონ ტაბიძე მართავს საღამოს“<sup>2</sup>. კომინტერნის ქუჩაზე მდებარეობდა მბეჭდავთა კავშირის კლუბი, რის შესახებაც 1930 წლის სხვა ჩანაწერში ვკითხულობთ: „23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მბეჭდავთა კავშირის კლუბში (კომინტერნის ქ. №5) შესდგება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო საღამო“<sup>3</sup>. პირველი ჩანაწერი განთავსებულია იმავე დღიურში არსებული უთარილო განცხადების შემდეგ, რომელიც მიმართულია ცეკავშირის კულტურის განყოფილებისადმი წიგნის „პაციფიზმი“ შექმნის შესახებ. ამ განცხადების გაგზავნილი ვარიანტი თარიღდება 1930 წლის 9 ივნისით, მასზე არსებული რეზოლუციის მიხედვით<sup>4</sup>. შესაბამისად, აღნიშნულ ჩანაწერს ვათარილებთ 9 ივნისიდან 23 დეკემბრამდე პერიოდით.

◇ 1931 წლის დღიურში წერს „შენიშვნები ქართული პოეზიის შესახებ“<sup>5</sup>. ჩანაწერი განთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის კარნახით ოლია ოკუჯავას ჩაწერილი ტექსტის შემდეგ, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმ დღეს 10 წელი შესრულდა საქართველოს გასაბჭოებიდან – 1921 წლის 25 თებერვლიდან. შესაბამისად შენიშვნები პოეზიის შესახებ დაწერილია 1931 წლის 25 თებერვლის შემდეგ. ტექსტში აღნიშნულია: „მნათობის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა სუბტროპიკული პოემა, რომელშიდაც მედიაზეა ლაპარაკი. „მედეას საწამლავი“ – ყოფილა მწერალის გაგებით – სწორედ ის ჭაობები, რომლის ამოშრობაც დაწყებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ“. იგულისხმება ტიციან ტაბიძის ნაწარმოები „ახალი კოლხიდა“<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> სეა (ლხცსა), 38-1-210, ფ. 1-3; რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 126.

<sup>2</sup> ქლმ. დ-50, 42; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 72.

<sup>3</sup> ქლმ. დ-535-7, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 181.

<sup>4</sup> ქლმ. 24551-115-ბ, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 547.

<sup>5</sup> ქლმ. დ-65, 13-15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 246-248.

<sup>6</sup> ტ. ტაბიძე, „ახალი კოლხიდა“ (სუბტროპიკული პოემა), ჟურნ. „მნათობი“, 1931, იანვარ-თებერვალი, №1-2.

◇ 1932 წლის 16 დეკემბერს დღიურში წერს: „დავუშვი ერთი დიდი შეცდომა: შინელის შესახებ. არ უნდა გადამედეგა ჯერჯერობით ასეთი ნაბიჯი. მით უმეტეს, კალეს, როგორც ვატყობ, მთელ ამ მუშაობაში პირადი საქმეები უფრო აინტერესებს, ვინემ სამხედრო“<sup>1</sup>. რახან ჩანაწერში საუბარია კალე ბობოხიძეზე, რომელიც იყო სამხედრო მწერლების წრის ხელმძღვანელი, თვითონ კი ამავე წრის თავმჯდომარე, უნდა ნანობდეს II დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის, პლატონ მიროტაძისადმი გაგზავნილ განცხადებას: „ვინაიდან არა მაქვს საზამთრო პალატო და ფეხსაცმელი – გთხოვთ (თუ ეს მოსახერხებელი იქნება), მომეცეს მაზარა და ჩექმები“<sup>2</sup>. ვფიქრობთ, უთარილო განცხადება უნდა დათარიღდეს 1932 წლის 6 დეკემბრიდან, როდესაც გალაკტიონ ტაბიძე აირჩიეს სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრის თავმჯდომარედ, აღნიშნული ჩანაწერის თარიღამდე – 16 დეკემბრამდე.

◇ 1931 წლის მაგიდის კალენდარში, რომელშიც გაბნეულია 1931-1936 წლების გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას ზუსტთარიღიანი ან უთარილო ჩანაწერები, ოლია ოკუჯავა მხოლოდ 1934 წლის მითითებით წერს, რომ გალაკტიონმა სახელმწიფო გამომცემლობას გადასცა დასაბეჭდად ლექსები და პოემები<sup>3</sup>. საუბარია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების რვატომეულის მეორე ტომზე, რომელიც წარმოებას გადაეცა დასასტამბად 1934 წლის 20 ნოემბერს და გამოიცა 1935 წელს<sup>4</sup>. ჩანაწერი განთავსებულია კალენდრის 1 ოქტომბრის ფურცელზე და ეს თარიღი ხაზგასმულია ოლიას მიერ, გალაკტიონს კი ამ თარიღზე მიწერილი აქვს დღის დასახელება „კვირა“, ისე როგორც სხვა თარიღებზე, როდესაც აზუსტებს 1933 წლის დღეებს. შერეული თარიღების გამო, შესაძლებელია, გვევარაუდა, რომ პოეტმა მართლაც 1 ოქტომბერს გადასცა გამომცემლობას მომზადებული წიგნი, მაგრამ ამ ჩანაწერს მოსდევს ინფორმაცია, რომ იმავე დღეს რუსულ ლიტერატურულ გაზეთში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ტიხონოვისეული თარგმანი „Осень в траншеях“. რადგანაც თარგმანი

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-71, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 301-302.

<sup>2</sup> ქლმ. 24551-238; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 99.

<sup>3</sup> ქლმ. დ-73, 116; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 342.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი რვა ტომად, ტ. II, თბ., 1935.

გამოქვეყნდა გაზეთის 1934 წლის 26 სექტემბერის ნომერში<sup>1</sup>, ჩანაწერსაც ამ რიცხვითა და თვით ვათარიღებთ.

◇ 1940 წლის 9 ივლისამდე დღიურში წერს: „ნიაგში მოთავსებულია თოიძის კარიკ.“<sup>2</sup>. 1940 წლის ჟურნალში „ნიაგ“ (№6, ივნისი, გვ. 7) დაბეჭდილია კარიკატურა „ილბლიანი ავტორი“, დიალოგით: „– მაგ ავტორს სახელგამი, საბლიტგამი და ფედერაცია ერთად სცემენ. – ერთად სცემენ? – ისეთი რა დააშავა? – ახალი ნაწარმოები დაწერა“. თუმცა, გალაკტიონი ჩანაწერში არც ავტორის სახელს უთითებს (შესაძლოა, ყოფილიყო მოსე ან ირაკლი), არც ჟურნალის ნომერსა და შინაარსს. კარიკატურაზე ნამდვილად გამოსახულია გალაკტიონი, რადგან ამ დროისთვის „სახელგამი“ ბეჭდავდა მისი თხზულებების III ტომს, „საბლიტგამი“ – „ლირიკას“, „ფედერაცია“ კი – „აკაკი წერეთელს“. ჟურნალი უნდა გამოსულიყო 2 ივნისიდან 9 ივლისამდე, რადგან ბეჭდვის ნებართვა ხელმოწერილია 2 ივნისს, ჩანაწერი კი 9 ივლისამდეა გაკეთებული.

◇ ცალკეულ ფურცელზე უთარიღოდ წერს: „გამომცემლობამ „Заря Востока“ გამოსცა რესპუბლიკის სახალხო პოეტის და ორდენოსანის – გალაკტიონ ტაბიძის წიგნი რუსულ ენაზე. წიგნი შეიცავს ორასამდე გვერდს და შიგ მოთავსებულია სამოცდაათზე მეტი ლექსი. ეს წიგნი სახალხო პოეტისა, ყველაზე ვრცელია მოცულობით, ვინემ მისი წინანდელი ლექსები რუსულ ენაზე. მაგალითად: 1933 წლის გამოცემაში იყო 17 ლექსი, 1935 წლისაში – 37 ლექსი, მოსკოვის წლებანდელ გამოცემაშიც – 37“<sup>3</sup>. საუბარია 1938 წელს გამოცემულ რუსული ლექსების კრებულზე „რჩეული ლექსები“.<sup>4</sup> ჩანაწერს ვათარიღებთ 1938 წლის 16 აგვისტომდე, სხვა დღიურის 16 აგვისტოს ჩანაწერის მიხედვით: „ჩემი წიგნი (Галактион Табидзе. Избранные стихи. Изд. „Заря Востока“) დაიბეჭდა, თუმცა ჯერ წიგნის მაღაზიებში არ დაურიგებიათ... მოთავსებულია შიგ 71 ლექსი (1933 წლის გამოცემაში იყო 19 ლექსი, 1935 წლისაში - 37 ლექსი, მოსკოვის შარშანდელ გამოცემაშიაც - 37)“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „Литературная Газета“, 1934, №129, გვ. 3.

<sup>2</sup> ქლმ. დ-133, 6; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 73.

<sup>3</sup> ქლმ. დ-501, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 18.

<sup>4</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, Тбилиси, Заря Востока, 1938.

<sup>5</sup> ქლმ. დ-116, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XV, თბ., 2008, გვ. 457.



◇ 1931 წლის მაგიდის კალენდარში, რომელშიც იწერს სხვადასხვა წლის მოვლენებს, 1940 წლითაა დათარიღებული ჩანაწერი: „ყველა დღეებზე უფრო სამინელი დღე: დავკარგე პორტფელი ლექსებით (1500 სტრ.)... 2. გაიქცა ის. 3. ვარ უბედური წერილით ა. 4. ვარ ავით. კარგია среда (ოთხშაბ.)“<sup>1</sup>. ჩანაწერი განთავსებულია 4 თებერვლის, ოთხშაბათის ფურცელზე. 1940 წლის 4 თებერვალი ოთხშაბათ დღეს არ ემთხვევა. მესამე პირის ნაცვალსახელით მოხსენიებული გაქცეული პიროვნება, უნდა იყოს ოლგა დარიუსი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებს ნაცვალსახელით. ამ წლის 12 მარტის ჩანაწერიდან ჩანს, რომ უკვე ცუდი ურთიერთობა აქვთ და თავის გაზრდილ დიშვილთან, ლაინე ბარტლისთან ერთად, მისგან გადასვლას აპირებს<sup>2</sup>. ასევე ვვარაუდობთ, რომ ა-ს წერილში, რომლითაც უბედურია, უნდა იგულისხმებოდეს აბესალომ ტაბიძის 1940 წლის 2 დეკემბრის წერილი, რომლითაც ძმას აცნობებს, რომ ჭყვიშის ეზოს ნაწილი კოლმეურნეობას გადაეცა და შესაძლებელია მეორე ნაწილის დაკარგვაც, თუ ზომებს არ მიიღებენ<sup>3</sup>. ოთხპუნქტიან ჩანაწერში ყველა მოვლენა უარყოფითია, მაგრამ იქვე წერს, რომ ოთხშაბათი კარგი დღეა. ასეთივე ჩანაწერი გვხვდება 1932 წლის 23 ნოემბერს, როდესაც დღე აღმოჩნდა მოულოდნელი კომმარებით სავსე, მიუხედავად მარჩიელის ნათქვამისა, რომ ოთხშაბათი მისთვის რჩეული დღეა<sup>4</sup>. აბესალომის წერილი სამტრედიიდან მეორე დღეს ან მესამე დღეს უნდა მიეღო. 1940 წლის 4 დეკემბერი ემთხვევა ოთხშაბათ დღეს, ამიტომ ვფიქრობთ, რომ 1931 წლის კალენდრის ის ფურცელი აირჩია, რომელზეც რიცხვი და დღე ემთხვეოდა ამ მონაცემებს. ამიტომ ჩანაწერს ვათარიღებთ 1940 წლის 4 დეკემბრით.

◇ 1941 წლის 3 მარტს დღიურში წერს: „ყაუხჩიშვილი აღტაცებით ლაპარაკობდა აკადემიის სესიაზე, იქ ჩატარებულ მოხსენებებზე (აკადემიის გახსნაზე ვიყავი – მხოლოდ შემდეგ სხდომებს ვერ დავესწარი. ვნანობ)“<sup>5</sup>. საუბარია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესიის შესახებ, რომელიც გაიხსნა 1941 წლის

<sup>1</sup> ქლმ. დ-73, 24; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 325.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 6-7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 200-201.

<sup>3</sup> ქლმ. ბ-24551-332; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 172-173.

<sup>4</sup> ქლმ. დ-71, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 292.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 192.

27 თებერვალს და გაგრძელდა 2 მარტის ჩათვლით<sup>1</sup>. გალაკტიონ ტაბიძე სესიის პირველ სხდომას დაესწრებოდა 27 თებერვალს.

◇ 1941 წლის დღიურში წერს: „სოფიუმკამ ძველი წიგნის შესახებ შენიშნა: ო, რა მშვენიერი წიგნია! – უთუოდ წინად ვერცხლის „Застежки“ ჰქონდა... – ო, როგორი წვრილი ხელით ნაწერია. – შეხედეთ... პირველ ფურცლებზე დაღვენთილია თაფლის სანთლის ლაქები. უთუოდ ღამ-ღამობით გულმოდგინეთ კითხულობდნო...“<sup>2</sup> იდენტური ჩანაწერი გვხვდება სხვა დღიურის ჩანაწერში წიგნის „სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა სტოდიელთა წინამძღვარისა თვისთა მოწაფეთა მიმართ“ შესახებ<sup>3</sup>, რითაც დგინდება წიგნის სათაური, კუთვნილება და გადაწერის დრო: „ეს წიგნი ეკუთვნის მღვდლის სტეფანეს ძეს - ვასილს, ტაბიძეს“<sup>4</sup>, „ამზობენ, ეს წიგნი მე-XVII საუკუნისააო – ვინაიდან ამ საუკუნეში უმაღლეს მწერვალზე იყო ასული ქართული კალიგრაფიაო (ეს წიგნი, მართლაც, იშვიათი კალიგრაფიული ნაწარმოებია)“<sup>5</sup>. პირველი ჩანაწერი წითელი მელნითაა ნაწერი და მოთავსებულია პირველი აპრილის სატელეფონო საუბრის შემდეგ უცნობ გოგოსთან, რომელიც შესრულებულია ლურჯი მელნით. ვფიქრობთ, იმ დღესვე არ იქნება ჩაწერილი და საწყის თარიღად ვიღებთ 2 აპრილს. მეორე ჩანაწერი 6 აპრილითაა დათარიღებული, რომელსაც მოსდევს ჩანაწერი, რომელშიც 7 აპრილი მომავალ დროშია ნახსენები: „მარჯანიშვილის სახელობის თეატრი... ორის ნახევარზე, 7 აპრილს“<sup>6</sup>. ამიტომ ჩანაწერის ბოლო თარიღად ვგულისხმობთ 6 აპრილს.

◇ 1941 წლის 4 მარტს დღიურში აღნიშნავს: „გამოვიდა წიგნი: „Поэты Советской Грузии“ სერებრიაკოვის თარგმანი. „ზარია ვოსტოკას“ გამოცემა. 1941 წ.“<sup>7</sup>. შესაბამისად, კრებული 4 მარტამდე

<sup>1</sup> ბუკლეტი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესია, 1941 წლის 27 თებერვალი – 2 მარტი: მუშაობის გეგმა“, თბ. 1941.

<sup>2</sup> ქლმ. დ-145, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 237.

<sup>3</sup> ქლმ. დ-146, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 242.

<sup>4</sup> ქლმ. დ-146, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 241.

<sup>5</sup> ქლმ. დ-146, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 243.

<sup>6</sup> ქლმ. დ-145, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 237.

<sup>7</sup> ქლმ. დ-144, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 198.

უნდა გამოცემულიყო. წიგნში გამოქვეყნებულია გალაკტიონ ტაბიძის 3 ლექსის თარგმანი: „В Самой Радостной Стране“ არის უსათაურო ლექსის „ნამვის ხეებს ელვარება...“, „Революционная Грузия“ – უსათაურო ლექსის „საქართველოს კარებს გასცდა...“ და „Украина и Белоруссия“ ლექსის „ორი სამყარო“ თარგმანი.

♦ 1941 წლის 6 მარტის ჩანაწერის შემდეგ დღიურში აღნიშნავს: „სტრიქონების რიცხვი წამოღებული წიგნიდან... უნდა დაემატოს კიდევ 3543“.<sup>1</sup> სხვა დღიურში 8 აპრილს წერს: „წამოვიღე გადასათვალეებლად „ფედერაციიდან“ აკ. გაწერელისა და შ. დემეტრაძის მიერ შერჩეული მასალები – ჩემი წიგნისა – ძირითადად წიგნი კარგადაა. უნდა დაემატოს ახალი ლექსები“<sup>2</sup>. იგულისხმება გამომცემლობაში „ფედერაცია“ მიტანილი წიგნი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც გამოიცა 1942 წელს. სტრიქონების დათვლა უნდა დაეწყო მასალის გამომცემლობიდან წამოღების დღეს – 8 აპრილს ან შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 13 აპრილისა, რადგან მომდევნო ჩანაწერის მიხედვით, 14 აპრილს დილის 9 საათზე გორშია სადამოში მონაწილეობის მისაღებად. შესაბამისად, ჩანაწერი უნდა დათარიღდეს 8 აპრილიდან 14 აპრილამდე.

♦ 1942 წლის დღიურში წერს: „1. გოკიელის მუსიკა. 2. სერებრიაკოვის – მწერალი გრიმში. 3. ჩვენ გავიმარჯვებთ. 4. წითელ არმიელთა კრებული. 5. „Заря В“. ახალი წელი. 6. ახალი წლის ნომერი მნათობის. 7. გასაბჭოების ნომერი მნათობის. 8. კრეიტანის თარგმანი „წ. არმ“. 9. მირზოევის პლაკატი „ორდენოსანი საქართველო“. 10. ლექსი – ახალი ადამიანი“<sup>3</sup>. იგულისხმება: 1. ივანე გოკიელის მუსიკა გალაკტიონ ტაბიძის მიერ 1941 წელს დაწერილი ლექსისთვის „ლაშქრული“; 2. ლექსის „მწერალი გრიმში“ ბორის სერებრიაკოვისეული 1941 წლის თარგმნი; 3. 1941 წელს „სახელმწიფო გამომცემლობის“ დაბეჭდილი ლექსთა კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“; 5. გალაკტიონ ტაბიძის ესტონეთისადმი მიძღვნილი ლექსის „Eesti“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“, 1941, 1 იანვარი, N1; 6. ჟურნალის „მნათობი“ 1941

<sup>1</sup> ქლმ. დ-146, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 243.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 25; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 233.

<sup>3</sup> ქლმ. დ-145, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 238.

წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლენინის ხსოვნა“; 7. ჟურნალის „მნათობი“ საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში (1941 წელი, თებერვალი, N2) დაიბეჭდა ლექსი „საიუბილეო“; 8. გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელი არმია“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“, 23 თებერვალი, N46. ჩანაწერი მოთავსებულია 1942 წლის 11 თებერვლისა და 22 თებერვლის ჩანაწერებს შორის, შესაბამისად, თარიღდება ამ შუალედით.

♦ ფრაზა „საბჭოთა აჭარა – სადამო 25/IX-36“<sup>1</sup> დაწერილია 1942 წლის 22 თებერვლის შემდეგ. 1936 წლის დღიურში ჩანაწერის მიხედვით – „საბჭოთა აჭარა. ბათუმი 25/IX-36. სადამოთი რვა საათზე შეხვედრა მწერლებთან“<sup>2</sup> – ზუსტდება, რომ სადამო გაიმართა სწორედ ამ დროს ბათუმში.

♦ 1943 წლის უბის წიგნაკში, 22 ივნისის შემდეგ სათაურით „კავკასიონი“ წერს ლექსების სიას: „01. კავკასიის ჯარს. 02. გმირული ნანგრევები. 03. არაგვი. 4. ჯიხვი მთაზე - 77. 5. ლილე - 110... 12. ბოროტი ძერა... 13. აგროვეთ ძველი რკინეულობა.. 14. დილა მთებში. 15. ჩვენ ერთნი ვართ - თუმც სხვადასხვა... 20. აჰა, საცა დაიძვრის გემი. 21. წითელი ჯარი კავკასიონთან. 22. ორი არწივი (პოემიდან). 23. სად არის ევა? (პოემიდან)“<sup>3</sup>. ამ სათაურებით, „არაგვის“, „კავკასიის ჯარის“ და „გმირული ნანგრევების“ გარდა, ლექსები არ გამოქვეყნებულა. „კავკასიის ჯარს“ შემდგომ გამოცემებში ქვეყნდებოდა სათაურით „როგორც ძერანი“, „გმირული ნანგრევები“ – კი სათაურით „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“. „ჯიხვი მთაზე“ უნდა იყოს ვარიანტი 1947 წლით დათარიღებული ლექსისა „დაცვა ძველი ძეგლებისა“. ლექსი რომ უფრო ადრეა დაწერილი, გვაფიქრებინებს 1950 წლის 26 თებერვლის ჩანაწერი: „...13. დაცვა ძველი ძეგლებისა... ეს ლექსები ამოკრეფილია ძველი რვეულებიდან... რა დაშავდებოდა, რომ ყველა ეს ლექსები მოთავსებულნი ყოფილიყვენ, მაგ., III ტომში? რადიანის უტვინო თავმა ბევრი მავნო“<sup>4</sup>. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების III ტომი, შალვა რადიანის რედაქტორობით, გამოიცა 1940 წელს. „ლილე“,

<sup>1</sup> ქლმ. დ-145, 21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 240.

<sup>2</sup> ქლმ. დ-107, 33; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XV, თბ., 2008, გვ. 397.

<sup>3</sup> ქლმ. დ-158, 4, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 351.

<sup>4</sup> ქლმ. დ-251, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 50.

სავარაუდოდ, ვარიანტია 1941 წელს დაწერილი უსათაურო ლექსისა „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე...“. „ბოროტი ძერა“ და „აგროვეთ ძველი რკინეულობა“ უნდა იყოს პოემიდან „ამირანი“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1944 წელს<sup>1</sup>. „დილა მთებში“ ვარიანტია 1947 წელს გამოქვეყნებული ლექსისა „სვანის დაბრუნება“, რადგან ლიტერატურის მუზეუმში დაცული რამდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთზე გადამლილია სათაური „დილა მთებში“.<sup>2</sup> „ორი არწივი“ უნდა იყოს ასევე „სვანის დაბრუნების“ მე-11-13-ე სტროფები<sup>3</sup>. „ჩვენ ერთნი ვართ – თუმც სხვადასხვა“ 1932 წელს დაბეჭდილი ლექსის „ეროვნებათა მარში“<sup>4</sup> ვარიანტია. „სად არის ევა?“ უნდა იყოს 1949 წლის პოემიდან „გამოგონება“, „აჰა, საცაა დაიძვრის გემი“ კი – 1943 წლის 11 იანვარს დაწერილი ლექსის „აჭარის სილაჟვარდში“ ვარიანტი.

◇ 1941 წლის დღიურში რუსული წიგნისთვის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“<sup>5</sup> იწერს ნათარგმნი ლექსებისა და სხვა მასალების სიას: „Пантелеймон Петренко (ხელნაწერი თარგმანები. პატარა რვეული): ...Два берега (отрывок)... II. План Бебутова: Г. Табидзе. Избранное... XIV. 10. ფოტო ლენინგრადის (როსტრ. და სხვ.). მოგონება 1934 წლ. XV. ოლია. ნახ. პეტრენკოსი. XVI. ოლია და მე. ნახ. პეტრენკოსი... XIX. ექვსი დეკემბა 33 წ. გამ. ზაკვიზის წერილი. წერილები (პუშკინის გამო). XX. გორკის წერილი – პუშკინის გამო. XXI. სამი საინტერესო ამონაჭერი გაზეთებიდან, აზერბეიჯანსა და სომხეთში მოგზაურობაზე. XXII. ბრიკის ლექსი ჩემს შესახებ. XXIII. ლენინგრადის მოსაგონარი ფოტოები. XXV. მისაწვევი ბარათი ჩემს საღამოზე ლენინგრად. 1934... XXVII. ქრონიკა „წითელარმიელის“. 1932 წ. („ლიტ. ქრონიკა – შორს თავმჯდომარეობა“)... XXIX. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი „ეს იყო ოკტომბრის დამლევს“. ო. ო. (Подстр.)... XXXI. დავით კლდიაშვილის წერილის რუსული თარგმანი. XXXII. სანდრო შანშიაშვილის წერილის რუსული თარგმანი... XXXV. ბრიკის გეგმა – ჩემი ლექსების გამოცემისთვის - ფოლიანს... XXXVI. „Правда“

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ბათუმი, 1944, გვ. 151-194.

<sup>2</sup> ქლმ. ა-3898-3901.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები, ტ. IV, თბ., 1947, გვ. 167.

<sup>4</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1932, №3-4, გვ. 1.

<sup>5</sup> Галактион Табидзе, „Страна моя родная“: Стихи, Пер. с груз., Тб., Заря Востока, 1942.

1936 წ. 4 სექტ. ჩემის პორტრეტით“.<sup>1</sup> პეტრენკოს რვეულში უნდა იგულისხმებოდეს პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანების რვეული. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძეს რვეულებად ჰქონდა დალაგებული სხვადასხვა ტიპის მასალა, მათ შორის მოხსენიებულია პეტრენკოს რვეულიც.<sup>2</sup> ლექს „ორი ნაპირი“ ვერ მივაკვლიეთ. ამასთან დაკავშირებით, 1949 წლის დღიურში ინიშნავს: „ჩემი ლექსები, რომელიც ქართულ ენაზე არ მოიპოვებინ: 1. Два берега – П. Петрен.“<sup>3</sup> გარი ბებუთოვის გეგმაში „რჩეული ლექსები“ გულისხმობს 1933 წლის გამოცემას<sup>4</sup>, რის შესახებაც არსებობს ბებუთოვის იმავე წლის 8 სექტემბრის წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, რომ უგზავნის მათთან არსებულ თარგმანებს და სთხოვს დაათარილოს, დათანხმდეს ქრონოლოგიურ განლაგებაზე და გაუგზავნოს ელენე შერის თარგმანები<sup>5</sup>. ლენინგრადთან დაკავშირებულ ჩანაწერებში იგულისხმება 1934 წლის 17 ივნისს, ლენინგრადის ხელოვნების აკადემიასა და მეტყველების კულტურის ინსტიტუტში გამართული გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო<sup>6</sup>. პანტელეიმონ პეტრენკოს დახატული პორტრეტები ინახება ლიტერატურის მუზეუმში. ზაკვიზის წერილსა და ბორის ბრიკის გეგმაში წიგნის გამოცემისთვის იგულისხმება „ზაკვიზის“ რედაქტორისთვის – ფოლიანსთვის გაგზავნილი წიგნის გეგმა.<sup>7</sup> პუშკინის გამო მაქსიმ გორკის წერილში გულისხმობს 1934 წლის 20 სექტემბერს მწერლისგან მიღებულ წერილზე ალექსანდრე პუშკინის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტში არჩევის შესახებ<sup>8</sup>, წერილები (პუშკინის გამო). XX. გორკის წერილი – პუშკინის გამო. სომხეთსა და ბაქოში მოგზაურობის შესახებ იგულისხმება სხვა მწერლებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძის გამგზავრება ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესზე 1929

<sup>1</sup> ქლმ. დ-150, 5-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 279-281.

<sup>2</sup> ქლმ. დ-548; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 247.

<sup>3</sup> ქლმ. დ-248, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 566.

<sup>4</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, Тифлис : ЗабГИЗ, 1933.

<sup>5</sup> ქლმ. დ-24551-456, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 265.

<sup>6</sup> იოსებ მეგრელიძე, ჟურნ. „მნათობი“, 1973, №10, გვ. 133.

<sup>7</sup> ქლმ. ხ-24551-280; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 101-102.

<sup>8</sup> ქლმ. ხ-24551-ბ; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 263.

წელს. პოეტი მოგვიანებით – 1945 წლისა და 1952 წლის შემდეგ – 2 ავტობიოგრაფიაში (N20, N21) წერს: „1932 წ. – გალაკტიონი არჩეულია საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის (ცაკ-ის) წევრად. გალაკტიონი მოგზაურობს სომხეთში და აზერბაიჯანში“<sup>1</sup>. 1932 წელს მოგზაურობის ფაქტი სხვაგან არ გვხვდება. 1929 წლის მაისში სომხეთსა და ბაქოში მოგზაურობა ასახულია ჯგუფურ ფოტოებზე. ამავსე გვიდასტურებს 1929 წლით დათარიღებული დღიურები, რომლებშიც გადმოცემულია მოგზაურობის შთაბეჭდილებები<sup>2</sup> და ჟურნალის „ქართული მწერლობა“ 1929 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებული ბესარიონ ჟღენტის წერილი „ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული დაკავშირებისათვის“ (ქართველ მწერათა დელეგაციის მოქმედების ანგარიში),<sup>3</sup> რომელშიც აღნიშნულია, რომ ბაქოს რადიოსადგურმა მოაწყო გადაცემა ქართველ მწერალთა მონაწილეობით და სხვებთან ერთად ლექსები წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძემ. ბორის ბრიკის ლექსში გალაკტიონის შესახებ იგულისხმება 1933 წლის 29 ივნისს მიძღვნილი ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს, ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავ დღეს“.<sup>4</sup> „წითელარმიელის“ ლიტერატურულ ქრონიკაში – „შორს თავმჯდომარეობა“, უნდა იგულისხმებოდეს ქრონიკა ცენტრალური სამხედრო წრის დაფუძნებელი კრების დაარსებული ცენტრალური სამხედრო სალიტერატურო წრის შესახებ, რომლის თავმჯდომარედაც გალაკტიონი აირჩიეს და დახმარებას უწევდა არმიის საოლქო გაზეთის „წითელარმიელი“ რედაქციას. ლექსი „ეს იყო ოქტომბრის დამღევს“ სიტყვა-სიტყვით თარგმნა ოლია ოკუჯავამ, 1933 წლის რუსული გამოცემისთვის შემდეგი ჩანაწერის მიხედვით: „Планы работ для издательства, 1933 г., декабрь „პოდსტროჩნიკები“: 1. ოლია, 2. გ. ტ., 3. ვ. გაფრინდაშვილი, 4. ალი არსენიშვილი, 5. გ. აგარელი, 6. და... „ეს იყო ოქტომბრის დამღევს“.<sup>5</sup> დავით კლდიაშვილისა და სანდრო მანშიაშვილის წერილების თარგმანებში იგულისხმება

<sup>1</sup> კლმ. დ-659-45, 20, 21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 482, 491.

<sup>2</sup> კლმ. დ-141, დ-142; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 492-500.

<sup>3</sup> ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1929, №5 (მაისი), გვ. 63-74.

<sup>4</sup> კლმ. 25552-286. Б. Брик, „Г. В. Табидзе, в день 25-летия его творческой деятельности“.

<sup>5</sup> კლმ. დ-83, 2, 4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 421-422.

გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 20 წლისთავის აღსანიშნავად გამოცემულ ბიულეტენში „გალაკტიონი“<sup>1</sup> დაბეჭდილი დავით კლდიაშვილის სტატია „შვენება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის“ და ალექსანდრე შანშიაშვილის სტატია „დიდი ლირიკოსი“. რუსულ გაზეთში „პრავდა“, 1936 წლის 4 სექტემბერს დაიბეჭდა პოეტის პორტრეტი წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით“.<sup>2</sup> ტექსტი განთავსებულია ჩანაწერამდე: „დღეს შემისრულდა ორმოცდაათი წელი“.<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძე ორმოცდაათი წლის გახდა 1941 წლის 17 ნოემბერს, შესაბამისად, მანამდე არსებულ ყველა ჩანაწერს ვათარილებთ ამ დრომდე.

◇ 1941 წლის დღიურში რადიოსალამოსთვის ინიშნავს წასაკითხ ლექსებს: „თოვლის დიაგანალში“ უნდა იგულისხმებოდეს 1935 წელს დაწერილი ლექსი „წვიმის გრძელ-გრძელი დიაგანალი“, „გასტელოს ხსოვნაში“ – ლექსი „მფრინავი“; იქვე იწერს მუსიკალური განყოფილებისთვის საჭირო ტექსტებს: „1. ტექსტი დიმიტრი არაყიშვილისათვის. 2. ტექსტი თამარ შავერზაშვილისათვის. 3. ტექსტი ვალერი ჯვარიძის „მე და ღამე“. 4. ტექსტი მასსენეს მერისათვის. 5. ტექსტი ანდრია ბალანჩივაძისთვის (მიცემულია). 6. ტექსტი ცაგარეიშვილის. 7. ტექსტი ხოროსთვის, რომელიც გამოდის ყოველი ლექსის შემდეგ. 8. ტექსტი იშხნელებისათვის (დებისთ.) 9. ტექსტი გოკიელისათვის. 10. ტუსკია. ტუსკიასი - „მანონ ლესკო“. 9. გიორგი სვანიძე. 10. გაბიჩვაძე (ყვარელაშვილისათვის)“.<sup>4</sup> 1941 წლის დღიურის მარტის ჩანაწერის – დამზადებული უნდა იქნას რამდენიმე საგუნდო სიმღერა: 1. ცაგარეიშვილის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელზედაც გოკიელმა სთქვა – იშვიათი რამე არისო. 2. თამარ შავერზაშვილის: „მხარი მხარს“, ეს სიტყვები მე არ გადამიცია, არამედ პეტრე მირიანაშვილმა, მან სთქვა – ამაზე ძვირფასი სიტყვები მუსიკისთვის არ იქნებაო. 3. პოეზია უპირველეს ყოვლისა – მუსიკა არაყიშვილისა, პირველად შესრულებულ იქნა 1921 წ. „პოეზიის

<sup>1</sup> სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, ტფ. 1927, გვ. 1-3.

<sup>2</sup> გაზ. „Правда“, 1936, 4 სექტემბერი, №244, გვ. 1.

<sup>3</sup> ქლმ. დ-150, 19; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 291.

<sup>4</sup> ქლმ. დ-150, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 281-282.



დღეს<sup>1</sup> – მიხედვით, არაყიშვილის ტექსტში იგულისხმება „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, თამარ შავერზაშვილის – „მხარი მხარს!“, ვალერიან ცაგარეიშვილის – „მშობლიური ჩემო მიწავ!“. 1950 წლის ჩაწერის მიხედვის, დები იშხნელები ასრულებდნენ სიმღერას ლექსის „მერი“ ტექსტზე: „ო, მარგარიტავ (მერი). (დები იშხნელები) გიტარა“<sup>2</sup>. გიორგი სვანიძეს მუსიკა დაუწერია ლექსზე „Освобожденным братьям Западной Украины и Белоруссии“.<sup>3</sup> ამ ჩანაწერის მიხედვით 1941 წლით თარიღდება ცალკეულ ფურცელზე ჩაწერილი უთარილო ტექსტი: „1. ტექსტი დიმიტრი არაყიშვილისათვის. 2. ტექსტის შეცვლა შავერზაშვილისათვის. 3. ტექსტი ვალერი ჯვარიძისაგან (მე და ღამე). 4. ტექსტი ანდრია ბალანჩივაძისაგან. 5. ტექსტი მასენეს მუსიკისათვის. 6. ტექსტი თაქთაქიშვილისა. 7. ტექსტი ხოროსთვის, რომელიც გამოდის ყოველი ლექსის შემდეგ. 8. ტექსტი იშხნელებისათვის (დებისათვის). მგონია, თვითონ აქვთ რაღაც. 9. ტექსტი - გოკიელისათვის. 10. ტუსკია – მანონ ლესკო. 11. გაბიჩვაძე. 12. გიორგი სვანიძე“<sup>4</sup>.

◇ რუსული კრებული „კავკასია ურღვევია“<sup>5</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წლის 20 ნოემბერს, შესაბამისად, გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ. კრებულში დაიბეჭდა სემიონ ოლენდერის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დიდი არმია“ („Великая армия“). ლექსი ამ სახელწოდებით პირველად გამოქვეყნდა კრებულში „მშობლიური ჩემო მიწა“<sup>6</sup>, 1959 წლიდან კი ქვეყნდებოდა სათაურით „კავშირი გულთა შორის“<sup>7</sup>.

◇ პლაკატი „ხიშტით და კალმით“ №3 გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მრავალ ახალ წელს“ და რუსული პლაკატი „Штыком и пером“ ამავე ლექსის თარგმანით „Грядущим годам“, რომლებსაც 1944 აწერია, დაბეჭდილი უნდა იყოს 1944 წლის 1 იანვარს ან მომდევნო დღეებში, რადგან სხვა პოეტების №1, №2 და №4 პლაკატებიც ეძღვნება ახალ წელს.

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190-191.

<sup>2</sup> ქლმ. დ-261; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 118.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 191.

<sup>4</sup> ქლმ. დ-481-19, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 355.

<sup>5</sup> „Кавказ несокрушим“, М., Гослитиздат, 1942.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, „მშობლიური ჩემო მიწავ“, თბ. 1942, გვ. 42.

<sup>7</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1959, გვ. 159.

◇ 1944 წლის უბის წიგნაკში გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 23 თებერვლის პუბლიკაციის მითითების<sup>1</sup> შემდეგ 14 მარტის ჩანაწერამდე<sup>2</sup> იწერს ლექსს „Грядущим годам“<sup>3</sup>. შესაბამისად, ჩანაწერს ვათრილებთ ამ პერიოდამდე. თარგმანი შესრულებულია ლექსის „მამ, დიდება მზეს!“ („მრავალ ახალ წელს“) მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი, უმეტეს შემთხვევაში, ლექსების მთარგმნელებს აღნიშნავს, ამ კონკრეტული ლექსის მთარგმნელი არც აქ და არც სხვა ჩანაწერებში არ ჰყავს მითითებული. მხოლოდ ერთ-ერთ გვიანდელ, 1953 წლის შემდგომ ჩანაწერში ვკითხულობთ: „პლაკატები კარდონზე: 1. მრავალ ახალ წელს. 1944. რედ. ოთ. ეგაძე. მხატვარი შ. ბერიტაშვილი. „ხიშტით და კალმით“. №3. 2. „Грядущим годам“. მთარგმნელი უცნობია. მხ. ბერიტაშვილი. 1944, №3, „Штыком и пером“<sup>4</sup>. შესაძლებელია, ლექსი თვითონვე თარგმნა, რადგან გადაწერილს არ ჰგავს, თუნდაც ერთი სტრიქონის გადაშლის გამო, თან დაიბეჭდა ერთი და იმავე სერიისა და ნომრის პლაკატური გაზეთის „ხიშტით და კალმით“ ქართულ და რუსულ ვარიანტებზე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთარგმნელი არ ახსოვდეს.

◇ 1944 წელს ასათაურებს უბის წიგნაკს: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ (წიგნი მეორე), მედიცინა ქართულ პოეზიაში<sup>5</sup>. „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ (პირველი წიგნი), რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 ოქტომბერს, უკვე გამოცემული უნდა იყოს და, შესაბამისად, უბის წიგნაკის სათაურსა და მომდევნო ჩანაწერებს ვათარილებთ ამ პერიოდის შემდეგ. „ოქრო აჭარის ლაჟვარდის“ მეორე წიგნი არ გამოცემულა.

◇ 1944 წლის უბის წიგნაკში იწერს მოსკოვში გასამართ ქართველი მწერლებისა და ხელოვანების სადამოებში მონაწილეთა სიას.<sup>6</sup> მოსკოვში მწერლები ჩავიდნენ 9 მაისს<sup>7</sup>, შესაბამისად, ჩანაწერი ამ პერიოდამდე თარიღდება. ჩანაწერში არ არის აღნიშნული, რა მიზნითაა სია

<sup>1</sup> ქლმ. დ-159, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>2</sup> ქლმ. დ-159, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 361.

<sup>3</sup> ქლმ. დ-159, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>4</sup> ქლმ. დ-485-12, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 394.

<sup>5</sup> ქლმ. დ-162, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 365.

<sup>6</sup> ქლმ. დ-163, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 369.

<sup>7</sup> ლევან ასათიანის უბის წიგნაკის ჩანაწერი.

შედგენილი, მაგრამ მონაწილეთა შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ბესარიონ ჟღენტის სტატია „ქართული ლიტერატურა დიდი სამამულო ომის დღეებში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მაისის პირველ ნახევარში მოსკოვს ესტუმრებიან ქართველი მწერლები ომის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების წარსადგენად<sup>1</sup>. ასევე მონაწილეების შესახებ საუბარია რუსულ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოქვეყნებულ ქრონიკაში „ქართული ლიტერატურის საღამოები“.<sup>2</sup>

◇ მოსკოვში დაბეჭდილი ქართველ პოეტთა თარგმანების რუსული კრებული „გამარჯვება“<sup>3</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1944 წლის 17 აგვისტოს, შესაბამისად, გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ. კრებულში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ომის თემაზე დაწერილი 6 ლექსის თარგმანი<sup>4</sup> მიხეილ სვეტლოვის „О, родина, тебя люблю“ ნათარგმნია ლექსიდან „ჰე, მამულო!“, ნიკოლაი ტიხონოვის „Каждый имеет любовь свою“ – ლექსიდან „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, ვლადიმირ დერჟავინის „Земля родная моя!“ – ლექსიდან „მშობლიური ჩემო მიწავ“, სერგეი სპასკის „Как-же мне не дорожить тобою, о, Казбек?“ თარგმანია ლექსისა „სალამი XXVI“, რომელიც აერთიანებს ყაზბეგის თემაზე დაწერილ ორ ლექსს – „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“, ადელინა ადალისის „Привет участнику героической обороны Севастополя в июньские дни 1942 года“, ნათარგმნია ლექსიდან „სევასტოპოლის დამცველს“, სერგეი შერვინსკის „Присяга“ კი – ლექსიდან „ფიცი“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის დღიურში არსებული ბეჭდური მოსაწვევი გვაცნობებს: „შაბათს [23 დეკემბერს], 8 იანვარს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. №13) შესდგება ფრონტელთა ლექსების კითხვა. წაიკითხავს საქართველოს სახალხო პოეტი – გალაკტიონ ტაბიძე...“

---

<sup>1</sup> Б. Жгенти, „Грузинская литература в дни Великой Отечественной Войны“, გაზ. „Литература и Искусство“, 1944, 6 მაისი, №19, გვ. 2.

<sup>2</sup> „Вечера грузинской литературы“, გაზ. „Литература и Искусство“, 1944, 20 მაისი, №21, გვ. 1.

<sup>3</sup> Гамарджвеба“, Стихи грузинских поэтов, Советский Писатель, М., 1944.

<sup>4</sup> Гамарджвеба“, Стихи грузинских поэтов, Советский Писатель, М., 1944, გვ. 106-119.

ბრაგინი – Синие Кони. მესხიშვილი – Я и Ночь“.<sup>1</sup> მოსაწვევში 23 დეკემბერი პოეტს გადახაზული აქვს და თავზე მიწერილი აქვს 8 იანვარი. ეს ჩანაწერი დათარიღებული გვექონდა 1946 წლით, მაგრამ რადგან ამ წელს მეორე მსოფლიო ომი უკვე დამთავრებული იყო და მწერალთა კავშირში ფრონტზე მებრძოლთა ლექსების კითხვა აღარ იმართებოდა, მუდმივ კალენდარში მოვიძიეთ, რომ 23 დეკემბერი შაბათ დღეს 1944 წელს ემთხვეოდა. შესაბამისად, აღნიშნული საღამო გაიმართებოდა მომდევნო, 1945 წლის 8 იანვარს. ლექსების კითხვა რომ ნამდვილად შედგა, გვიდასტურებს სხვა დღიურის ჩანაწერი: „I. შესავალი სიტყვა ბ. ჟღენტისა. II. Чтение стихов. მესხიშვილის ძალ. კარგია. Брагин, Бодров, Р. Ивнев, Б. Серебряков“<sup>2</sup>.

◇ 1945 წლის დღიურში წერს: „1. უფრო სწრაფად მიდის დიდი წიგნის ბეჭდვა. 2. მწერალთა კავშირში მოწონებულ იქნა ცაგარელის თარგმანები. წინადადება მივეციტ დაემატებია. 3. „ზარია“-ს გადაეცა წიგნი. 4. „Новый мир“ მოითხოვს ლექსებს“<sup>3</sup>. დიდ წიგნში იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძის რჩეული, რომელიც გამოიცა 1945 წლის 2 აპრილის შემდეგ<sup>4</sup>. მომდევნო ორ პუნქტში საუბარია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გიორგი ცაგარლისეულ რუსულ თარგმანებზე წიგნისთვის „ლირიკა“, რომელიც დაბეჭდა გამომცემლობამ „ზარია ვოსტოკა“ 25 აგვისტოს შემდეგ<sup>5</sup>. მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის მიერ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გიორგი ცაგარლისეული რუსული თარგმანების განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ 8 მარტის ნომერში<sup>6</sup>. გაზეთი განხილვის დღესვე ვერ დაბეჭდავდა ამ ცნობას და, მაშასადამე, განხილვა გაიმართა 8 მარტამდე ერთი-ორი დღით ადრე, ამიტომ ჩანაწერს ვათარიღებთ 8 მარტამდე პერიოდით.

◇ 1945 წლის 2 აპრილს დღიურში წერს: „დილის 7 საათზე რადიომ გამოაცხადა, რომ გამოდის სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის

<sup>1</sup> ქლმ. დ-523-9, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 124-125.

<sup>2</sup> ქლმ. დ-167, 50-51; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 418-419.

<sup>3</sup> ქლმ. დ-165, 24; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 383.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>5</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>6</sup> „გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ლექსთა კრებული რუსულ ენაზე“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, 8 მარტი, №9, გვ. 1.

რჩეული ნაწერები!“<sup>1</sup> იგულისხმება სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 4000 ტირაჟით, შალვა რადიანის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით, გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რჩეული<sup>2</sup>, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წლის 14 მარტს, მაგრამ ამ ჩანაწერის მიხედვით წიგნი 2 აპრილს ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული, შესაბამისად, დაიბეჭდა ამ თარიღის შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „ლირიკა“<sup>3</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წლის 25 აგვისტოს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ. წიგნის მხატვარად მითითებულია სევერიან კეცხოველი, რომელსაც ეკუთვნის მხოლოდ ყდის გაფორმება. 1946 წლის დღიურშიც ვკითხულობთ: „ერთი სურათი არწივისა (ცაგარლის მიერ თარგმნილი ლექსების ყდაზე რომაა) უნდა გავაკეთებინო კეცხოველს“<sup>4</sup>. გამოცემაში მოთავსებული პორტრეტი კი შესრულებულია დავით ქუთათელაძის მიერ და დაცულია ლიტერატურის მუზეუმში.<sup>5</sup>

◇ 1945 წლის 22 ივლისის ჩანაწერის შემდეგ დღიურში ვკითხულობთ: „ქართული პოეზიის როლი. პ. შარია, ქიაჩელი, ჩიქოვანი. პროზა პოეზიას ჩამორჩებოდა. შარიას კარანდაში დაუვარდა – აბაშელი მივარდა ასალეზად. ლიტერატურული კრიტიკა. კ. ჭიჭინაძე, გრ. აბაშიძე, ი. გრიშაშ., ს. აბაშელი“<sup>6</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი მოსდევს 1945 წლის 22 ივლისის ჩანაწერს, ვფიქრობთ, რომ 1946 წელს მოწვეულ საქართველოს მწერალთა III ყრილობას ეხება, რასაც გვიდასტურებს მომდევნო ჩანაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყრილობაზე ვიღაცამ ისაუბრა „კესანეს“ შესახებ<sup>7</sup>. ასევე, შემდეგი ჩანაწერი გორში გამართული სადამოს შესახებ დათარიღებულია 1946 წლის 21 დეკემბრით. საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობა ჩატარდა 1946 წლის 7-11 სექტემბერს და მთავარი მომხსენებელი იყო

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 57; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 389.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>3</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>4</sup> ქლმ. დ-177, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 520.

<sup>5</sup> ქლმ. 1853-გრ. დავით ქუთათელაძე, გალაკტიონის პორტრეტი.

<sup>6</sup> ქლმ. დ-167, 48; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 418.

<sup>7</sup> ქლმ. დ-167, 48; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 418.

1943-1948 წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივანი – პეტრე შარია<sup>1</sup>. შესაბამისად, ამ და მომდევნო ჩანაწერს ვათარილებთ 7-11 სექტემბრით.

◇ 1945-1946 წლების დღიურში ვკითხულობთ: „შესავალი სიტყვა ბ. ჟღენტისა. II. Чтение стихов. მესხიშვილის ძალ. კარგია. Брагин, Бодров, Р. Ивнев, Б. Серебряков“.<sup>2</sup> აღნიშნულ დღიურში ჩანაწერები იწყება 1945 წლის ივნისიდან და გრძელდება 22 ივლისამდე. ამ თარიღის შემდეგ გვაქვს სავარაუდოდ 1946 წლის სექტემბრის ჩანაწერები და მოსდევს 1946 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული ჩანაწერები, რაც სავარაუდოდ, მოგვიანებით, ცარიელ ფურცლებზე უნდა ჩაეწერა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ დღიურში ჩაწერილი მომდევნო მოვლენები 1945 წლის უნდა იყოს შინაარსის მიხედვით და შიგადაშიგ თვითონვე აწერს 1945 წლის მაისის 10-სა და 16 რიცხვს. აღნიშნული ჩანაწერი უნდა ეხებოდეს მწერალთა სასახლეში გამართულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ლექსების კითხვას, რასაც გვიდასტურებს სხვა დღიურში არსებული ჩანაწერი<sup>3</sup>.

◇ 1946 წელს დღიურში სათაურით „მშობლიურო ჩემო მიწავ“ წერს: „1. ამ ლექსით გაიხსნა საქართველოს გასაბჭოების 20 წლის თავისადმი (1941, 25 თებერ.) მიძღვნილი დიდი კრებული „საბჭოთა საქართველოს“. 2. თარგმანი დაიბეჭდა „პრავდას“ ამავე წლის ერთერთ ნომერში ვლ. დერჟავინის თარგმანით. 3. უკრაინულად ითარგმნა იმავე წელს და დაიბეჭდა კიევიში გაზეთებში... 6. წაკითხულ იქნა ავტორის მიერ ოპერის თეატრში... 14. მოთავსებულია „ზარია ვოსტოკას“ წიგნში „როდინა“... 16. „წამყვანი როლი ითამაშა“ (ბესო ჟღენტის მოხსენება...). 20. Антология Груз. Поэтов“<sup>4</sup>. ტექსტი მოთავსებულია დღიურში ნინო კვირიკაძის 25 თებერვლის ჩანაწერამდე, შესაბამისად, დაწერილია ამ რიცხვამდე. პირველ კრებულში იგულისხმება გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“<sup>5</sup>; რუსულ გაზეთში „პრავდა“ ვლადიმირ

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1946, 18 სექტემბერი, №188, გვ. 3.

<sup>2</sup> კლმ. დ-167, 53; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 419-420.

<sup>3</sup> კლმ. დ-523-9, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 124-125.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 440-441.

<sup>5</sup> კრებ. „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, თბ., „ვედერაცია“, 1941, გვ. 1-6.

დერჟავინისეული თარგმანი დაიბეჭდა 1941 წლის 25 თებერვლის ნომერში<sup>1</sup>, უკრაინული გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლეცის“ ამავე დღის ნომერში – მიკოლა ნაჩიზინის თარგმანი.<sup>2</sup> პოეტმა ლექსი წაიკითხა 1943 წლის 29 ნოემბერს ოპერის თეატრში დაბადებიდან 50 წლისთავისა და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე<sup>3</sup>. ამავე საღამოზე ბესარიონ ჟღენტმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკისა<sup>4</sup>. „ზარია ვოსტოკას“ წიგნი „როდინა“<sup>5</sup> ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული, რადგან ხელმოწერილია დასაბეჭდად 1946 წლის 15 თებერვალს, მაგრამ ლექსი უკვე შესული იქნებოდა კრებულში. ქართველი პოეტების ანთოლოგიის გამოცემა რუსულ ენაზე, რომელშიც უნდა შესულიყო ეს ლექსი, დაიგეგმა ჯერ კიდევ 1941 წელს, მაგრამ დაიბეჭდა მოგვიანებით, 1949 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში სათაურით „საქართველოს პოეზია“<sup>6</sup>.

◇ 1946 წელს დღიურში წერს: „1. ბუნება სოფლის, სადაც დაიბადა გიორგი (სიმფონია). 2. გამოვლინება ამ ბუნებისა მთელ მის შემოქმედებაში. 3. ქუჩის სიმფონია (წინანდელი). 4. ქუჩის სიმფონია (რევოლიუციური). 5. ქუჩის სიმფონია (ინდუსტრიალური, კოლექტიური). 6. ქუჩის სიმფონია“<sup>7</sup>. გეგმა დაწერილია ლექსისთვის „გიორგობისთვის სიმფონია“, რაზეც მიგვანიშნებს როგორც მასში ხუთჯერ ნახსენები „სიმფონია“, ისე კახეთის ბუნების ასახვა და ჩანაწერის შემდეგ განთავსებული ამ ლექსის ერთი სტროფის ნამუშევარი ვარიანტი. ლექსი მიძღვნილია კახეთში, თელავის მაზრის სოფელ მერეში დაბადებული გიორგი ქუჩიშვილისადმი, რასაც

<sup>1</sup> „Страна родная моя“, გაზ. „Правда“, 1941, 25 თებერვალი, №55 (8463), გვ. 4.

<sup>2</sup> ქლმ. დ-145, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის საღამო, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 26 ნოემბერი, 1943, №6.

<sup>4</sup> ბ. ჟღენტი, „გალაკტიონ ტაბიძე“, ჟურნ. „მნათობი“, 1943, №9-10, გვ. 178.

<sup>5</sup> კრებ. „Родина“. Поэты Советской Грузии (1921-1946), თბ., 1946, გვ. 160-168.

<sup>6</sup> Пoesия Грузии, Антология, Ред. В. Гольцев и С. Чиковани; Примеч. В. Гольцева Груз. поэты в рус. переводах: (Краткая библиогр.) В. Гольцев, Ил.: И. Тоидзе, Москва ; Ленинград. Гослитиздат, 1949.

<sup>7</sup> ქლმ. დ-174, 31; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 472.

გვიდასტურებს ლექსში არსებული მიმართვა „გამოიხედე, გიორგი, გარედ“. 1946 წელს პოეტის მეგობარი მიმიედ დაავადდა, რამაც ძალიან იმოქმედა მასზე და რამდენიმე ლექსი მიუძღვნა: სავარაუდოდ, 9 ივნისამდე – ლექსი „გიორგის“, შემდეგ უნდა იყოს დაწერილი „გიორგობისთვის სიმფონია“ და „პოეტი – ტრიბუნი“, რომელშიც ასევე არის მიმართვა „გამოიხედე გარეთ, მგოსანო“ და შინაარსით ესადაგება გიორგი ქუჩიშვილის ცხოვრებას. აღნიშნული ჩანაწერი განთავსებულია 16 ივლისის ჩანაწერსა და 3 სექტემბრის ჩანაწერს შორის, ამიტომ ამ და სხვა მომდევნო ჩანაწერებს ვათარილებთ აღნიშნული შუალედით.

◇ 1946 წელს დღიურში იწერს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურის გამოცემლობის დირექტორისადმი, სოფია ხითაროვასადმი მიმართვას, რომელშიც სთხოვს, აცნობონ წიგნის გამოცემის საქმის მიმდინარეობის შესახებ, 1944 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით<sup>1</sup>. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანების წიგნი მოსკოვში 1944 წლიდან 1950 წლამდე არ გამოქვეყნებულა, 1950 წელს კი გამოქვეყნდა „რჩეული ლექსები“, იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით<sup>2</sup>.

◇ 1946 წელს დღიურში პუნქტებად წერს: 1. შარიას წიგნი. 2. პომორსკის შესახებ... არის თუ არა აკადემიაში ფლური? არ არის (ფლურს დიდი ეკონომია სჭირდება). 6. შეიძლება თუ არა კორექტურას გადავხედო? (გასწორებით არაფერს არ გავასწორებ, მაგრამ თავიდანვე სჯობია). 7. რომელ საათზეა ვერხოვსკის საღამო? 8. როდის გამოვა „მნათობი“? 9. 4 საათზე აკადემიაში და ზარიაში. პომორსკიმ და ვერხოვსკიმ უნდა თარგმნონ ჩემი ლექსები.<sup>3</sup> ტექსტი განთავსებულია 5 ნოემბრის ჩანაწერის შემდეგ, მაგრამ სხვა ჩანაწერის მიხედვით, 1946 წლის 10 ნოემბერს მწერალთა კავშირში პოეტი დასწრებია ლიტველი მწერლების დელეგაციასთან შეხვედრას, სადაც წიგნები დაურიგებია და პეტრე შარიასაც დაჰპირებია წიგნის ჩუქებას<sup>4</sup>. შესაბამისად, ეს და მომდევნო ჩანაწერები თარიღდება 10 ნოემბრის შემდეგ. 1946 წელს

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-174, 46-47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 480.

<sup>2</sup> Табидзе Г. В. Избранные стихи, пер. с груз, под ред. И. Поступальского, Москва, Гослитиздат, 1950.

<sup>3</sup> ქლმ. დ-174, 70; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 492.

<sup>4</sup> ქლმ. დ-637-3, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 488.



პოეტის არც ერთი კრებული არ გამოცემულა, 1945 წელს კი დაიბეჭდა „რჩეული“ და რუსული თარგმანების კრებული „ლირიკა“. ლიტველი მწერლებისთვის უნდა დაერიგებინა არა ქართული „რჩეული“, არამედ რუსული წიგნი და პეტრე შარიასაც უნდა დაჰპირებოდა ამ წიგნს.<sup>1</sup> კორექტურის გადახედვაში იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების IV ტომი<sup>2</sup>, რომელიც იმ პერიოდში მზადდებოდა გამოსაცემად და ხელმოწერილია დასაბეჭდად 28 იანვარს. რაც შეეხება „მნათობის“ გამოსვლას, სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში<sup>3</sup> დაიწყო ლექსების ციკლის „ზღვა ახმაურდა“ ბეჭდვა, მაგრამ ნომერი გამოიცა მოგვიანებით, 25 დეკემბრის შემდეგ.

◇ ლექსის „შემოდგომა“ ავტორისეული თარიღისა და მომდევნო ჩანაწერების მიხედვით 1946 წლით დათარიღებულ დღიურში მუშაობს ლექსზე და უსათაუროდ ცალ-ცალკე წერს სტროფებს<sup>4</sup>, რომლებიც გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლექსის „შენ გმირს უმღერდი“ ვარიანტებია. გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წლის 20 იანვარს, ლექსი კი გამოქვეყნდა გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ 25 იანვრის ნომერში<sup>5</sup>. ამიტომ დაწერილი უნდა იყოს 20 იანვრიდან 25 იანვრამდე.

◇ 1946 წელს დღიურში საბავშვო წიგნისთვის 17 პუნქტად წერს ლექსების სიას: „...3. გამარჯვება (9 მაისი)... 7. პიამა ნატროშვილი. 8. მფრინავი გასტელო... 10. პოეტის ძეგლი (ბავშვები მოვლენ)... 16. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი...“. ჩანაწერი მოთავსებულია 25 სექტემბრისა და 21 ოქტომბრის ჩანაწერებს შორის, შესაბამისად, თარიღდება ამ პერიოდით. ლექსებს არჩევს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის კრებულისთვის, რის შესახებაც იმავე წლის 1-15 ნოემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „საბლიტგამი“ მპირდება საბავშვო ლექსების კრებულის გამოცემას, კრებული კი მზად არა მაქვს: რა იქნება ერთ დღეს ჩავუჯდე და გავათავო ეგ საქმე? 3000

---

<sup>1</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი, IV, თბ., 1947.

<sup>3</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1946, სექტემბერი-ოქტომბერი, №9-10, გვ. 68-79.

<sup>4</sup> ქლმ. დ-174, 72; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 493-496.

<sup>5</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, 25 იანვარი, №4, გვ. 2.

სტრ.“<sup>1</sup>. თუმცა, „საბლიტგამს“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები ამ და მომდევნო უახლოეს წლებში არ გამოუცია. წიგნი გამოქვეყნდა 1953 წელს.<sup>2</sup> ლექსში „გამარჯვება“ იგულისხმება 1945 წლის 9 მაისს დაწერილი ლექსი „დილა გამარჯვებისა“, „პიამა ნატროშვილი“ – ჟურნალში „მნათობი“ 1943 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ომში მყოფ ქართველ ქალს“, „მფრინავი გასტელო“ – „მფრინავი“, „პოეტის ძეგლი“ – „სტანსები“, „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი...“ – „თეთრი ქარები“.

◇ 1946 წელს დღიურში შავად წერს ივანე ტუსკიასთვის, ხუხუტი ბლაჟბასთვის, დიმიტრი გულიასთვის და პისჩიკისთვის სოხუმში გასაგზავნად დეკემბრს იმის შესახებ, რომ ვერ მოასწრო მათი ნახვა და წიგნი ჩააბარა<sup>3</sup>. საუბარია აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდ კრებულზე „ზღვა ახმაურდა“.<sup>4</sup> ამავე დღიურის სხვა ჩანაწერის მიხედვით, სოხუმიდან თბილისში 24 სექტემბერს დაბრუნდა<sup>5</sup>. შესაბამისად, წიგნს გამოსაცემად ჩააბარებდა ამ თარიღამდე. წერილები მოთავსებულია 21 ოქტომბრის ჩანაწერის შემდეგ. ტუსკაძისადმი და გულიასადმი 25 ოქტომბრით დათარიღებული დეკემბრის პირები დაცულია პოეტის არქივში.<sup>6</sup> ამიტომ ბლაჟდასა და პისჩისკთან გაგზავნილ დეკემბრსაც ვათარიღებთ 22-25 ოქტომბრით.

◇ 1946 წლის დღიურის ჩანაწერში 15-20 ნოემბერს ვკითხულობთ: „როდის იყო უკანასკნელად მ. გორკი საქართველოში? როდის სთქვა მან თავისი ცნობილი ფრაზა: „Я говорил – человек звучит гордо... я могу добавить: Галактион – звучит гордо!.. Да, да... Галактион – звучит легендарно... именно легендарно и гордо“... სად იყო ეს? – აჰა, გამახსენდა! ბანკეტზე, რომელიც გაიმართა გორკის პატივსაცემად მწერალთა სასახლის იმ ოთახში... თავისი წიგნიც მომცა წარწერით: „Галактиону Табидзе, поэту с легендарной славой“... მეორე დღესაც შევხვდი მ.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-177, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 516.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, ლექსები, თბ., „საბლიტგამი“, 1953.

<sup>3</sup> ქლმ. დ-176, 40-43; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 512-513.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, „ზღვა ახმაურდა“ (პირველი წიგნი), სოხუმი, 1948.

<sup>5</sup> ქლმ. დ-176, 11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 507.

<sup>6</sup> ქლმ. ხ-24551-275; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 70, 541.

გორკის „ინტურისტი“-ში. მესამე დღეს მუშტაიდში დიდი საღამო იყო<sup>1</sup>. მაქსიმ გორკი თბილისში ჩავიდა 1928 წლის 21 ივლისს, მწერალთა სასახლეში ბანკეტი გაიმართა 24 ივლისს, 27 ივლისს კი გაიმართა თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო საღამო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში<sup>2</sup>. გალაკტიონის მისამართით მან წარმოთქვა ცნობილი ფრაზა თავისი პიესიდან „ფსკერზე“ – „ადამიანი ჟღერს ამაყად“ და დაამატა, რომ გალაკტიონის სახელი გაისმის ლეგენდარულად და საამაყოდ.

◇ 1946 წლის 15-20 ნოემბერს წერს: „ჩატარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის საღამოები. ცოტათი, რაღაც ძალიან გაუგებრად, წიაპურტყულა გრიშაშვილმა და მიწყნარდა“.<sup>3</sup> ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა რუსთაველის სახელობის თეატრში 18 ნოემბერს<sup>4</sup>.

◇ 1947 წლის 21 თებერვალს კომპოზიტორ მარიამ მაჭავარიანს ჩუქნის თავის „რჩეულს“ წარწერით: „ქ-ნ მარიამ მაჭავარიანს – ნიშნად აღტაცებისა მისი მუსიკალური ნიჭით, უუმშვენიერესი რომანსის მოსმენის შემდეგ, უღრმესი პატივისცემით, გ. ტაბიძე. 1947. 21 თებერვალი“<sup>5</sup>. შესაბამისად, რომანსი მოისმინა იმ დღესვე ან მანამდე. რაც შეეხება რომანსს, უნდა იგულისხმებოდეს მის ლექსზე „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ შექმნილი სიმღერა, რადგან სხვა გვიანდელ, 1958 წლის ჩანაწერში მითითებული აქვს: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი – მუს. მარიამ მაჭავარიანის“.<sup>6</sup> სიმღერა 1947 წელს რომ ნამდვილად დაწერილი იყო, გვიდასტურებს 1947 წლის რამდენიმე ჩანაწერი, მათ შორის, 1947 წლის 9 მარტამდე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასამართი საღამოების დეკადისთვის ვალერიან

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-177, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 518.

<sup>2</sup> რ. კვერენჩილაძე, საქართველოს მწერალთა კავშირი (1917-1982), თბ., 1943, გვ. 124.

<sup>3</sup> ქლმ. დ-177, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 520.

<sup>4</sup> რ. კვერენჩილაძე, საქართველოს მწერალთა კავშირი (1917-1982), თბ., 1943, გვ. 209.

<sup>5</sup> ქლმ. ტ-860, გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>6</sup> ქლმ. დ-398, 25; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 514.

ჯვარიძის მიერ მის ლექსებზე შესრულებული სიმღერების სია, რომელშიც აღნიშნულია ეს სიმღერაც<sup>1</sup>.

◇ დაუთარილებელ ცალკეულ ფურცელზე წერს: „1. გავზომავ ტყეში გასაყვან მესერის გზას. არავის ყურს არ ვუგდებ. 2. ოჰანას და კიდევ ვინმეს ორმოებს ამოვადებინებ... ხვალ, 29 მაისს.“<sup>2</sup>. ჩანაწერი ეხება წყნეთის აგარაკზე სახლის მშენებლობას და ვათრილებთ 1955 წლის 28 მაისით, ამავე წლის სხვა დღიურის მიხედვით, რომელშიც ნახსენებია ოჰანა და აღნიშნულია: „წყნეთის პრობლემა:...6. მესერი ტყის შიგნით, 7. მესერის შეღებვა...“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-155, 46-47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 328.

<sup>2</sup> ქლმ. დ-501, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 19-20.

<sup>3</sup> ქლმ. დ-331, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 55.

ლევან ბებურიშვილი

◇ საარქივო გამოცემის XV ტომში ვხვდებით პოეტის შემდეგ ჩანაწერს: „მუშაში 27/IV/36 თავდაცვით ამბებში მეც ვარ გამოცხადებული“<sup>1</sup>.



გაზეთის დასახელებულ ნომერში მსგავს ინფორმაციას ვერ

მივაკვლიეთ. ხელნაწერის შემოწმებისას გამოირკვა, რომ საარქივო გამოცემის შემდგენელთა მიერ ამოკითხული რიცხვი „27“ ასევე ძალიან ჰგავს „24“-ს. გადავწყვიტეთ, „მუშის“ 24 აპრილის ნომერში მოგვეძებნა ინფორმაცია და მართლაც, გალაკტიონის მიერ ჩაწერილი ცნობა სწორედ იქ აღმოჩნდა. გაზეთი „მუშა“ იტყობინება, რომ 20 აპრილს შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავდაცვითი ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელმაც ხელახლა დააკომპლექტა სექცია პლატონ მროვტაძის, არჩილ ჩაჩიბაიას, ალიო მაშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ვასილ გორგაძის და ალექსანდრე გომიაშვილის შემადგენლობით<sup>2</sup>.

◇ გალაკტიონისადმი მიძღვნილ ცნობილ ნაშრომში „უცნობი“ (2013, გვ. 530-531) ვახტანგ ჯავახაძე მოგვითხრობს პოეტის ბიოგრაფიის ერთ საინტერესო ფაქტზე. კერძოდ, 1912 წელს ქუთაისს სწვევია ვირტუოზი პოლონელი მევიოლინე ბრონისლავ გუბერმანი. მისი კონცერტი ქუთაისის თეატრში 7 აპრილს გამართულა. ღონისძიებას დასწრებია გალაკტიონიც, რომელიც იმდენად მოუხიბლავს გუბერმანის საშემსრულებლო ოსტატობას, რომ თავისი აღტაცება შეუწყვეტელი ოვაციით გამოუხატავს. ამის გამო წესრიგის დამცველი იძულებული გამხდარა, ახალგაზრდა პოეტი დაეკავებინა და დარბაზიდან გაეყვანა. ვახტანგ ჯავახაძის თქმით, ამ ფაქტს გამოუხმაურა გაზეთ „ზაკავკასუსკაია ჟიზნის“ 12 აპრილის ნომერი. პუბლიკაციის ავტორმა პოლიციელის მიერ ახალგაზრდა პოეტის დაკავება პიროვნების პირად ცხოვრებაში ჩარევის უხეშ ფაქტად

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 357.

<sup>2</sup> თავდაცვითი ლიტერატურა, გაზ. „მუშა“, 1936, №95 (24 აპრილი), გვ. 3.

მიიჩნია და აღნიშნა, რომ ადამიანებს პოლიციასთან შეუთანხმებლად უნდა შეეძლოთ ხელოვნებისადმი საკუთარი ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა. ეს წყარო ვახტანგ ჯავახიძის „უცნობზე“ მითითებით უცვლელად მეორდება მამუკა შელეგიას „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში“ (თბილისი, 2020, გვ. გვ. 65). პირველწყაროს გადამოწმებისას ჩვენ საერთოდ ვერ მივაგენით შესაბამისი დასახელების გაზეთს („Закавказская Жизнь“), ამიტომ გავაგრძელეთ წყაროს ძიება მსგავსი სახელწოდების პერიოდულ გამოცემებში. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ გამოხმაურება მართლაც დაბეჭდილია მითითებულ თვესა და რიცხვში, ოღონდაც არა გაზეთ „ზაკავკასისკაია ჟიზნიში“, არამედ გაზეთში „Закавказская речь“ (1912, №88, 17 აპრილი, გვ. 4).

◇ იოსებ ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ გალაკტიონ ტაბიძის ბიობიბლიოგრაფიაში (თბილისი, 1986) აღნუსხულია გალაკტიონის შემოქმედების ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურა. 188-ე ბიბლიოგრაფიულ ერთეულად მითითებულია შალვა რადიანის წერილი „ლირიკის დასაცავად“, რომელიც, ბიბლიოგრაფიის თანახმად, გამოქვეყნებულა ჟურნალ „დროშის“ 1938 წლის მე-5 ნომერში. წყაროს გადამოწმებისას, გამოცემის შესაბამის ნომერში წერილი არ აღმოჩნდა. ჟურნალის სხვადასხვა წლების კომპლექტების შემოწმების შემდეგ საბოლოოდ ხსენებულ პუბლიკაციას მივაკვლიეთ ჟურნალ „დროშის“ 1933 წლის მე-15-16 ნომერში.

◇ ამავე გამოცემაში მე-200 ბიბლიოგრაფიულ ერთეულად აღნიშნულია ვ. მაღლაფერიძის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ (გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“ 1941, 18 დეკემბერი). გაზეთის მითითებულ ნომერში შესაბამისი წერილი არ აღმოჩნდა. კვლევა-ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ სტატიის ავტორია არა „ვ.“ არამედ „ს.“ მაღლაფერიძე, ხოლო წერილი დაბეჭდილია გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ არა 1941 წლის 18 დეკემბრის, არამედ 1951 წლის 28 დეკემბრის ნომერში.

◇ ბიობიბლიოგრაფიის 1938 წლის მასალებში 9 ბიბლიოგრაფიული ერთეულია მითითებული. შემდგენელს გამორჩენილია აქვს კანდიდ ჩარკვიანის წერილი „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“ (ჟურნ. „მნათობი“ 1938 №1, გვ.

161), რომელშიც გალაკტიონის „ეპოქის“ შეფასებაა მოცემული. ცნობილი პარტიული ფუნქციონერი ნაწარმოებს სოციალისტური სამშობლოსადმი მიძღვნილ ჰიმნს უწოდებს და გალაკტიონს აქებს იმ გარდაქმნისათვის, რომელიც მან განიცადა სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში თორმეტ ტომად ზოგჯერ ვხვდებით ისეთ კონიექტურებს, რომელთაც არა ფილოლოგიური, არამედ პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძველი აქვს. მაგალითად, ხსენებული გამოცემის მეოთხე ტომში დაბეჭდილია ლექსი „**ახალგაზრდობა**“ (გვ. 170-171), რომელშიც შეპირისპირებულია საბჭოთა და ფაშისტური გერმანიის ახალგაზრდობა. ლექსი ასეთ სიტყვებით სრულდება:

„შენი ქარხნები, შენი ტყე-ველი / მსგავსი არ არის ქვეყნის ბებერის,

იყავ მედგარი და უძლეველი, / როგორც **ოქტომბრის** დროშას შეჭფერის“.

ჩვენამდე მოღწეულია ლექსის ორი ავტოგრაფი (დ-98, გვ. 1153-1554 და 4358). ბეჭდური სახით ნაწარმოები გამოქვეყნდა მხოლოდ ერთხელ კრებულში „სტალინურ თაობას“ (საქართველოს მწერლები კომკავშირის XX წლისთავს, 1938, გვ. 8). სამივე წყაროში ბოლო ტაეპი იკითხება ამგვარად: „იყავ მედგარი და უძლეველი, / როგორც **სტალინის** დროშას შეჭფერის“. ამავე წიგნში დაბეჭდილია ლექსი „**გამხიარული, ბუხარო!**“ (გვ. 150), რომელიც სრულდება სტრიქონებით:

„ოც წელს (ყოველ წელს) თრთის გული: მოზღვავედა ბავშვთა კრებული

და თავის გახარებული სიცოცხლით გადიკისკისა“.

პოეტის სიცოცხლეში ლექსი არაერთხელ გამოქვეყნდა (გაზ. „მუშა“, 1938, №300 გვ. 1; თხზულებანი, III, 1940, გვ. 41; რჩეული, 1944, გვ. 66; რჩეული 1954, გვ. 42). ყველა გამოცემაში ზემოთ ციტირებულ ტაეპებს ემატება კიდევ ორი სტრიქონი, რომელიც კონიუნქტურის გამო თორმეტტომეულის შემდგენლებს ტექსტისთვის მოუცილებიათ:

„ცხოვრება – მზის თანაბარი, გაცოცხლებული მთაბარი.

ვართ დიდი ცეცხლით გამთბარი – ტიტანის ჯულაშვილისა“.

◇ თორმეტტომეულის მეოთხე ტომში დაბეჭდილია ლექსი „სალამი ახალგაზრდობას“ (გვ. 175). ტექსტს თვითნებურად ამოკლებული აქვს ხელნაწერებსა და ნაბეჭდ გამოცემებში არსებული ერთი სტროფი:

„მიჰყევით ჩვენს დიდ მშობლიურ სტალინს / მიჰყევით სტალინს,  
მისით დიდების საქმეა სწავლა / და ცეცხლი სწავლის“  
(„კომუნისტი“, 1939, №200, გვ. 3).

◇ ამავე ტომში შემდგენელთა მიერაა „შესწორებული“ ლექსი „სახალწლო“ (გვ. 182). გალაკტიონის სიტყვები: „მივყვეთ დროშას სტალინისას, უძლეველსა და მაღალს“ დაბეჭდილია ამგვარი სახით: „მივყვეთ დროშას ოქტომბრისას, უძლეველსა და მაღალს“.

◇ სტრიქონები ამოკლებული აქვს ლექსს „ოქტომბრის სიმფონია“ (გვ. 183). ამოღებულია პირველნაბეჭდი ტექსტის 16-17 ტაეპები: „ოქტომბერი მავალი – საიმედო საჭეთი / ოქტომბერი ლენინის და სტალინის ნაჭედი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1939, №32, გვ. 1).

◇ 1938 წლის 23 დეკემბერს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ლექსებიდან „სტალინი“<sup>1</sup>. ეს ლექსი პოეტს არ შეუტანია თხზულებათა არც ერთ კრებულში. კონიუნქტურის გამო იგი არ დაუბეჭდავთ გალაკტიონის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში. ლექსის ხელნაწერი ვარიანტი „სამშობლოს იქით“ შეტანილია გალაკტიონის საარქივო გამოცემის მერვე ტომის იმ ნაწილში, რომელშიც მოთავსებულია კონიუნქტურის გამო აკადემიურ გამოცემაში გამოუქვეყნებელი ლექსები<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938, № 292, გვ. 3.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 555.



**პირველადი წყაროები**

◇ ერთ ჩანაწერში, რომელშიც გალაკტიონი იგონებს, როგორ შეუმოწმა ხმა ნიკო სულხანიშვილმა<sup>1</sup> და როგორ მიიღო თავის გუნდში, ფაქტი დათარიღებულია 1910 წლით. იქვე ჩანს, რომ პოეტი ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიის მოსწავლე უნდა ყოფილიყო („სდგანან ჩემი ამხანაგები, სემინარიელები, გიმნაზიელები“). შესაბამისად, იქვე ნათქვამი მისი ასაკი „თხუთმეტის“ სწორი არ უნდა იყოს. 1910 წლის გაზაფხულზე პოეტი უნდა ყოფილიყო 18 წლის. რამდენადაც მან თავისი დაბადების თარიღად 1892 წელი იცოდა, სავარაუდოდ, უნდა ეთქვა, რომ იყო 17 წლის. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ასაკი სწორად წერია და მოგონების წერისას ავტორს თარიღი შეეშალა, მაგრამ, რამდენადაც 1910 წელი ორჯერ წერია და იქვე ნახსენებია მისი სემინარიელი და გიმნაზიელი მეგობრები, ვფიქრობთ, ფაქტი მართლაც 1910 წელს უნდა მომხდარიყო და ასაკი წერია შეცდომით.



◇ საარქივო გამოცემაში 1938 წლით არის დათარიღებული 115-ე დღიურის ჩანაწერი „Заря-ს საწყობს არა აქვს არც ერთი ჩემი წიგნი.“<sup>2</sup> ჩანაწერის დასაწყისში გარკვევით იკითხება თარიღი 5/IV, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ციფრების შემდეგ მიწერილი გამოსახულება „38“-ს აღნიშნავს. ჩვენი ეჭვი გამოიწვია იმან, რომ 1938 წლის აპრილში „ზარია ვოსტოკას“ გალაკტიონის წიგნი ჯერ გამოცემული არ ჰქონდა და ალოგიკური იქნებოდა, როგორ უნდა გათავებულიყო ის საწყობში. მწერლის მიერვე 1938 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებული ჩანაწერიდან ცნობილი ხდება, რომ გალაკტიონმა „ზარია ვოსტოკას“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული მისი „რჩეული ლექსები“ პირადად ამ დღეს მიიღო, მაგრამ გასაყიდად ჯერ არ იყო გატანილი. შესაბამისად, ამ წიგნის მარაგი გამომცემლობაში 1938 წლის 5 აპრილამდე ვერ ამოიწურებოდა. ჩვენს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩანაწერში 1938 წელი ვერ



<sup>1</sup> ქლმ. დ-447, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 158-159.  
<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-115, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 456.

იქნება ნაგულისხმები, განამტკიცებს ამავე 115-ე უბის წიგნაკში ბევრად უფრო წინ, მესამე გვერდზე გაკეთებული ჩანაწერიც. აქ ჩამოთვლილია გამოცემები და მითითებულია წიგნების რაოდენობა. ამ ნუსხაში ვკითხულობთ: "Запр. В." - ს გამოცემა. 50<sup>1</sup>. ჩანაწერში არ არის ნათქვამი, რა მიზნით არის გაკეთებული ჩამონათვალი, მაგრამ, აშკარაა, რომ „ზარია ვოსტოკას“ მიერ გალაკტიონის „რჩული ლექსები“ რუსულ ენაზე უკვე გამოცემულია. ამ უბის წიგნაკის ჩანაწერების წლის განსაზღვრის მიზნით გადავამოწმეთ უბის წიგნაკის მომდევნო ჩანაწერის კიდევ ერთი ფრაზა „ჩარჩო დ. გველესიანის სურათისთვის შეკვეთილია.“<sup>2</sup> მწერლის არქივში მსგავსი ჩანაწერი ვიპოვეთ 1939 წლის 11 იანვრის დღიურში: „გველესიანის პორტრეტისთვის შევუკვეთე ჩარჩო“<sup>3</sup>. შესაბამისად, N115 დღიურის ჩანაწერები და მათ შორის ისინიც, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის ლექსების „ზარია ვოსტოკასეულ“ გამოცემას ეხება, 1939 წელს უნდა მიეკუთვნებოდეს და არა 1938-ს. სხვა ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ გამოცემაში აღმოჩნდა ხარვეზი, რამაც გამოიწვია გამომცემლობაში დარჩენილ ტირაჟში 4 ფურცლის შეცვლა და ხელახლა აკინძვა, ამას კი რამდენიმე თვე დასჭირდა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ წიგნი გამომცემლობას კარგა ხანს შემორჩა, მაგრამ, როგორც გალაკტიონის ჩანაწერიდან ირკვევა, 1939 წლის 5 აპრილისთვის უკვე გათავებული იყო.

◇ გალაკტიონი ერთგან საუბრობს თანამედროვე ქართული მწერლობის დაქვეითების მიზეზზე. იმის გამო, რომ მხოლოდ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა პოპულარობის მოპოვება არაფრად მიაჩნიათ მთელს საბჭოთა კავშირში პოპულარულობასთან შედარებით, ნაწარმოების შექმნისას ქართველი მწერლები ფიქრობენ რუსულენოვან მკითხველზე და არა ქართველზე. წერენ იმას, რაც რუსებს მოეწონებათ<sup>4</sup>. ამ კონტექსტში უარყოფით შეფასებას აძლევს პოეტი გიორგი



<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-115, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 454.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-115, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 454.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-122, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 547.

<sup>4</sup> ავტოგრაფული ჩანაწერი, გტცა N1257, გვ.25.

ნატროშვილის სტატიას გაზეთის „Заря Востока“ 11 იანვრის ნომერში. ჩანაწერი 1950 წლის მაისისაა. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს გაზეთის ამ წლის ნომერზე, მაგრამ სწორედ 11 იანვარს გაზეთი არ გამოსულა. 10 იანვარს გამოვიდა მეშვიდე ნომერი და 12 იანვარს – მერვე. კატალოგის მიხედვით დასახელებულ გაზეთში გიორგი ნატროშვილმა 1950 წელს სულ ორი სტატია გამოაქვეყნა. ერთი ეხებოდა გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს<sup>1</sup>, მეორე კი ქართველი პოეტების კრებულს იოსებ სტალინის შესახებ. პირველ სტატიას განსახილველ თემასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მეორეში კი სწორედ ქართულ პოეზიაზე და თარგმანებზეა საუბარი. იმის გამო, რომ გალაკტიონის თარგმნა რთულია, მისი ლექსი სტატიის ავტორის ყურადღებას ვერ იმსახურებს<sup>2</sup> და პუბლიკაციაში მხოლოდ გაკვრით არის მოხსენიებული. ამ სტატიაში პირდაპირ ჩანს, რომ ქართველ მწერალთა პოპულარობის გარანტი მრავალმილიონიანი რუსულენოვანი მკითხველია. განსახილველი ჩანაწერი მიწერილია მაისით

დათარიღებულ ტექსტებთან, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ის უფრო პატარა ასოებით არის ნაწერი, შინაარსით



აშკარად 11 ივნისის სტატიასთან არის კავშირში და იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ფურცლის შემდეგ 10 ივნისის ჩანაწერია, ვფიქრობთ, მაისის ჩანაწერის ბოლოს 11 ივნისის შემდეგ უნდა უნდა იყოს მიწერილი.

♦ კალენდარული კვლევით დადგენილი სავარაუდო თარიღების ბიოგრაფიულ ან ისტორიულ კონტექსტთან შესაბამისობის კვლევა და წინააღმდეგობრივ ვერსიათა გამორიცხვა ზოგჯერ დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გალაკტიონ

<sup>1</sup> Георгий Церетели, К 50-летию со дня смерти / Г. Натрошвили // Заря Востока. - Тбилиси, 1950. - 28 января..

<sup>2</sup> Поэты Грузии великому Сталину : [Рецензия] / Г. Натрошвили // Заря Востока. - Тбилиси, 1950. - 11 июня. - N123

ტაბიძის არქივში ნომრით 486-6 დაცულია ორმხრივად ნაწერი ორი ფურცელი ჩანაწერებით, რომლებიც მისი შემოქმედებითი საღამოს დაგეგმვასა და მონაწილეთა შერჩევას უკავშირდება. მესამე გვერდზე პოეტს შეუდგენია სახელდახელო კალენდარი 11 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით, ჩამოუწერია თარიღები და კვირის დღეები, მაგრამ თვე მიწერილი აქვს მხოლოდ ბოლო თარიღს – „29 კვირა“. მის გასწვრივ წერია „29 თებერვალი“. ეს თარიღი მხოლოდ ნაკიან წლებს აქვს და გალაკტიონის მოღვაწეობის პერიოდში იგი კვირა დღეს სულ ორჯერ ემთხვევა – 1920 და 1948 წლებში. ამის გარკვევის შემდეგ გადავედით კვლევის მეორე ეტაპზე და შევუდექით სავარაუდო თარიღების კონტექსტთან შესაბამისობის გარკვევას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ორი წლიდან არცერთი არ უნდა ყოფილიყო სწორი. ჩანაწერში ნახსენებია არაერთი ისეთი ჟურნალი და გაზეთი, რომლებმაც გამოსვლა 1920 წელზე გვიან დაიწყო, მაგ.: „ტარტაროზი“, „რემდასი“, „ჩირაღდანი“, „ჩვენი გზა“, „ხელოვნება“ და სხვ. შესაბამისად, პირველი სავარაუდო წელი გამოირიცხა, 1948 წელი კი ამ ჩანაწერის თარიღი ვერ იქნება, რადგან მონაწილეთა შორის დასახელებულთაგან 1948 წელს უკვე გარდაცვლილები იყვნენ პაოლო იაშვილი (1937), ვახტანგ ვაჩნაძე (1937) და ალი არსენიშვილი (1939).

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ როდესაც ავთენტურ წყაროს ასეთ ჩიხში შევყავართ, იქ შეცდომა თავად წყაროში უნდა ვეძიოთ. ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც ადამიანები არიან და მექანიკურ შეცდომებს ისინიც უშვებენ. დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ სად შეიძლება ვეძიოთ შეცდომა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. გალაკტიონი ხშირად ადგენდა თავისთვის ასეთ მოკლე კალენდრებს, სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ, რომ იქ და იმ დროს ბეჭდური კალენდარი არ ჰქონდა, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ პირველი თარიღი და კვირის დღე „11 ოთხშაბათი“ შეცდომით დაეწერა. ეს რომ ზუსტად არ სცოდნოდა, კალენდრის შედგენას არ დაიწყებდა. ვფიქრობთ, მას შეიძლებოდა შეშლოდა, თებერვალი 28-ით მთავრდებოდა თუ 29-ით. არავინ იმახსოვრებს იმას ზეპირად, თუ რომელი წლებია ნაკიანი. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მის მიერ შედგენილ სახელდახელო კალენდარში 29 თებერვალი არანაკიანი წლის თებერვლისთვის იყოს დამატებული.

რამდენადაც გალაკტიონის ამ ჩანაწერში ორი ისეთი ჟურნალი დასახელებული, რომელთა გამოსვლა 1925 წელს დაიწყო („ახალი

სოფელი“ და „საზღვარზე“), ჩანაწერი ამ წელზე ადრეული ვერ იქნება. გალაკტიონის მიერ შედგენილი თებერვლის კალენდრიდან 29 თებერვალს თუ გამოვრიცხავთ, სხვა თარიღები და კვირის დღეები ზუსტად მიჰყვება 1925 წლისას. მომდევნო წელი, როდესაც ასეთი წყობა მეორდება, არის 1931, მაგრამ ჩანაწერი ამ წელს გაკეთებული რომ იყოს, ნაკლებ სავარაუდოა ერთი პერიოდული გამოცემა ან ერთი პუბლიკაცია მაინც არ იყოს ნახსენები ისეთი, რომელიც 1925 წლის მომდევნო ექვსწლიან პერიოდს დაუკავშირდებოდა. ჩამონათვალში არსებული ჟურნალ-გაზეთებიდან რვის („ჩირაღდან“, „ჩვენი გზა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ახალი გზა“, „ხელოვნება“, „წითელი ვარსკვლავი“, მოწაფის ხმა“ და „ახალი სოფელი“) გამოცემა 1931 წლამდე შეწყდა და ჩანაწერი რომ ამ წელს იყოს გაკეთებული, უცნაური იქნებოდა, მწერალს თავისი შემოქმედებითი სადამოსთვის საგანგებოდ შეერჩია აუცილებლად ექვს წელზე მეტი ხნის წინანდელი პუბლიკაციები. რამდენადაც სახელდახელო კალენდარი ოთხშაბათი დღით – 11 თებერვლით იწყება და სადამოს მომზადებაზეა ორიენტირებული, ვფიქრობთ, იგი სწორედ ამ ან წინა დღეს – 1925 წლის 10/11 თებერვალს უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონს ერთი და იგივე ფაქტი – უვადო პასპორტის აღება ორი სხვადასხვა თარიღის – 1941 წლის 12 და 20 მარტის დღიურში აქვს შეტანილი, როგორც იმ დღეს მომხდარი ფაქტი.

12 მარტი:

20 მარტი:

ეს ის პასპორტია, რომელიც გალაკტიონმა დაკარგა და ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომ იმის გადამოწმების საშუალება არა გვაქვს, თუ რომელ დღეს გაიცა. ამიტომ ფაქტს ვათარიღებთ წყვეტილი თარიღით: „12, 20 მარტი“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ უხაზო რვეულის მეცხრე გვერდზე ჩაწერილ ლექსს „ეგ არის და გორის ციხე“ თარიღად მიწერილი აქვს „4 აპრილი“, მაგრამ ამავე გვერდზე ლექსის ზემოთ მოკლე ჩანაწერს გამოთქმის „ეგ არის და გორის ციხე“ შესახებ თარიღად აქვს „4 ივლისი 1948“ და ერთი ფურცლის გამოტოვებით, მე-11 გვერდზე გაკეთებულ ჩანაწერებთანაც იგივე თარიღია „1948 4 ივლისი“. შესაბამისად,

ვფიქრობთ, რომ ავტორს ლექსის ბოლოს შეეშალა და „აპრილი“ დაწერა „ივლისის“ ნაცვლად.

◇ გალაკტიონის 1948 წლის 29 ივლისის

ჩანაწერში აღწერილია სიტუაცია სახელმწიფო გამომცემლობაში. საარქივო გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება: „აგარელი და იაშვილი, ეს ძველი შლიყე და იაუ, იქვე იყვნენ“. გაკრული ხელით ნაწერ ამ დღიურში მართლა ძნელი ამოსაცნობია გერჰარტ ჰაუპტმანის პერსონაჟები შლიუკი და იაუ კომედიიდან „შლიუკი და იაუ“. როდესაც განვაგრძეთ ინფორმაციის ძიება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ცნობილი იყო ეს პიესა საქართველოში, აღმოვაჩინეთ ინფორმაცია, რომ 1912 წელს, როდესაც პიესის ავტორს ნობელის პრემია მიანიჭეს, ეს კომედია დაიდგა ქართულ თეატრში<sup>1</sup>. ჩვენთვის უცნობია, გალაკტიონ ტაბიძემ მოახერხა ამ სპექტაკლზე დასწრება თუ თავად პიესას გაეცნო. ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან თავად პიესაც 1912 წელს არის დაწერილი და იგი ნოემბერში ჰაუპტმანის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით დაიდგა კიდეც, გალაკტიონი მას 1912 წლის შემოდგომაზე ან უფრო გვიან უნდა გასცნობოდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც ჩანს, ეშლება ხოლმე თვეთა რიგობითი ციფრები. მაგალითად, 1950 წლის ერთ დღიურში ორი ჩანაწერია დათარიღებული ასე: 7. VI. 50, მაგრამ ორივეგან აშკარად ივლისის თვე იგულისხმება, რადგან 25 ივნისი წარსულ დროშია ნახსენები და ერთგან პირდაპირ წერია: „დღემდე, ე. ი. 7 ივლისამდე“<sup>2</sup>. შესაბამისად, მომდევნო ჩანაწერები, რომელებიც ასევე VI თვით არის დათარიღებული, მივაკუთვნეთ ივლისის თვეს.

◇ 1949 წლის 16 მაისის ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ უნდა მონახოს პუშკინის ფრაზაზე „Дар напрасный, дар случайный, жизнь, зачем ты мне дана?“ „პატიარს ავაკუმის“ ლექსი "Не напрасно, не случайно"<sup>3</sup> და ბესარიონ ბელინსკის წერილი. გალაკტიონის ხელწერის სპეციფიკას და ხშირ მექანიკურ შეცდომებს

<sup>1</sup> გერჰარტ ჰაუპტმანი საქართველოში, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, N69, 21 მარტი, გვ. 7.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-254, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 51.

<sup>3</sup> ქლმ. დ-233, გვ. 18; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 496, 497.



თუ გავითვალისწინებთ, აქ უნდა ეწეროს „პატრიარხ ავაკუმის“, მაგრამ პოეტს ეშლება არა მხოლოდ სიტყვის მართლწერა, არამედ ისიც, რომ პუშკინის ამ ფრაზის საპასუხოდ დაწერილი ლექსი ეკუთვნის მიტროპოლიტ ფილარეტს და არა ავაკუმს. ტექსტს სათაურად აქვს „Ответ святителя“:

„Не напрасно, не случайно  
Жизнь от Бога мне дана,  
Не без правды Им же тайно  
На печаль осуждена...“

რაც შეეხება ბესარიონ ბელინსკის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, ის მოცემული აქვს გიორგი პლებანოვს წიგნში „Литературные взгляды В. Г. Белинского“: „... поэт не может и не должен петь для себя и про себя. Но для кого же станет он петь там, где его никто не слушает и где его песням, предпочитают водевильные куплеты? В таком обществе остается одно из двух: или, оттолкнув от себя напрасный и случайный дар жизни, утолить жар сердца в ключе забвенья, т. е. поступить так, как поступил Чаттертон, или петь для самого себя и для немногих избранных, которым искусство дорого как искусство, а не как средство привлечь к себе милость чиновного покровителя или как лишний предмет для пустой болтовни салона“<sup>1</sup>.

♦ გალაკტიონ ტაბიძეს ერთ-ერთ დღიურში გაკეთებული აქვს ჩანაწერი ლენინგრადში ჩატარებული მწერალთა შეკრების შესახებ და თარიღად აწერია 1945 წლის 11 ოქტომბერი<sup>2</sup>, მაგრამ მასში გადმოცემული ფაქტები, გამოსვლა ჟურნალების „ზვეზდა“ და „ლენინგრადი“ შესახებ 1946 წელს მოხდა და ინფორმაციის გადამოწმებამ დაგვარწმუნა, რომ იგი ამოწერილია ჟურნალის „იზვესტია“ 1946 წლის 11 ოქტომბრის ნომრიდან. რამდენადაც ჩანაწერი მთავრდება იმავე მეღნიტით იმავე სტილში მიწერილი სიტყვებით: „რა ამბებია ლიტერატურის ამ სამი თვის განმავლობაში?“, ვფიქრობთ, ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს გაზეთის გამოსვლიდან სამი თვის შემდეგ და მას ვათარიღებთ 1847 წლის იანვრის დასაწყისით ან შემდგომი პერიოდით.

---

<sup>1</sup> Г. В. Плеханов, „Литературные взгляды В. Г. Белинского“, <https://nlr.ru/domplekhanova/dep/artupload/dp/article/40/NA41904.pdf>

<sup>2</sup> ქლმ. დ-155, 10-11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 320.

◇ ტექსტში, რომელიც განთავსებული 1946 წლის 7-11 სექტემბრის ჩანაწერებს შორის, მოხმობილია ერთი სტრიქონი პლაკატზე დატანილი ლექსიდან და შემდეგ ეს სტროფი ჩასწორებულია ასე:

„უზოგველი ნაღმია  
დაზოგვილი მანეთი,  
მტრის რიგების ამრევი,  
რომ ვერ სცნონ ერთმანეთი“.

ამ სტროფს კი მოსდევს სიტყვები: „ასე განა უკეთესი არ იქნებოდა? როგორია რუსული ტექსტი მაიაკოვსკისა?“. ავტორი, ფაქტობრივად, თავადვე მიგვანიშნებს, რომ პლაკატზე დატანილი სტროფი ვლადიმერ მაიაკოვსკის ეკუთვნის. გავარკვეით, რომ იგი ამოღებულია დიდი, 150-ტაეპიანი ლექსიდან «Не юбилейте» და ცოტა ვრცელ კონტექსტში იკითხება ასე:

„А для нас  
юбилей –  
ремонт в пути,  
постоял –  
и дальше гуди.  
Остановка для вас,  
для вас  
юбилей –  
а для нас  
подсчет рублей.  
Сбереженный рубль –  
сбереженный заряд,  
поражающий вражеский ряд“.

მაიაკოვსკის ამ სტროფის გალაკტიონისეული თარგმანი პოეტის საარქივო გამოცემის 22-ე ტომში არასწორად არის ამოკითხული. წერია „დაზოგვილი ნაკიბი“<sup>1</sup> უნდა ეწეროს „დაზოგვილი ნაღმია“<sup>2</sup>.

◇ დიდი ზომის ხვეულსამაგრიან ბლოკნოტში გალაკტიონ ტაბიძეს მრავალ სხვა მასალასთან ერთად ჩაწერილი აქვს მის შესახებ არსებული პუბლიკაციებისა და მოხსენებების ბიბლიოგრაფია, რომელიც 245

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 427.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-636, 4



ერთეულს მოიცავს<sup>1</sup>. პუბლიკაციათაგან ყველაზე გვიანდელია 1941 წელს გაზეთ კომუნისტის 99-ე ნომერში გამოქვეყნებული. რამდენადაც გაზეთის ეს ნომერი გამოვიდა 1941 წლის 27 აპრილს, ბიბლიოგრაფია ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. ბუნებრივია, ყურადღებით შევისწავლეთ დასახელებული წყაროები და მოვამზადეთ შესაბამისი ანოტაციები, მაგრამ წავაწყდით ძალიან ბევრ უზუსტობას, რომლებსაც ჩამოვწერთ უსხვაში მათი ნომრების მიხედვით:

2. შალვა რადიანის წერილის სათაურია არა „ლირიკა“, არამედ „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“ და ის დაიბეჭდა ლიტერატურული საქართველოს 1940 წლის არა 36-ე, არამედ 28-ე ნომერში.

3. საინფორმაციო წერილი „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მე-III ტომი“ დაიბეჭდა გაზეთის „კომუნისტი“ 1941 წლის არა მერვე ნომერში, არამედ მესამეში, საერთო ნუმერაციით ეს ნომერი არის 6008 და არა 6006 და პუბლიკაცია არის მეოთხე და არა მეორე გვერდზე.

4. „ქართველი მწერლები – საბჭოთა საქართველოს“ დაიბეჭდა ლიტერატურული საქართველოს 1941 წლის არა N47-ში, არამედ N9-ში.

10. არ არის მითითებული სტატიის „გალაკტიონ ტაბიძის იუბილეი“ გამოქვეყნების წელი და გაზეთ „კომუნისტის“, ერთიან ნუმერაციად მითითებულია 3895, 3695-ის ნაცვლად.

13. ჩამონათვალში არასწორად არის მითითებული გაზეთ „კომუნისტის“ ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა ინფორმაცია გალაკტიონის ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ. ეს არის 1936 წლის N68 (4527), მაგრამ თავად გაზეთს შეცდომით აწერია N63.

14 გაზეთ „კომუნისტის“ 1933 წლის 142-ე ნომერში სტატია „გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მუშაობის XXV წლისთავისთვის“ დაიბეჭდა მეოთხე და არა მეორე გვერდზე.

15. საინფორმაციო წერილი „გ. ტაბიძის საღამო“ დაიბეჭდა გაზეთის „კომუნისტი“ 1933 წლის არა 169-ე, არამედ 166-ე ნომერში.

20. ფელეტონი „გვეტამის ვირი ტიცვიანის ანგელოსით“ დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტის“ არა 1932 წლის N2-ში, არამედ 1923 წლის N23-ში.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი. ქლმ. დ-98, გვ. 120-127; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 283-293.

41. ჩამონათვალში პანტელეიმონ ჩხიკვაძის სტატიის სათაური მითითებული არ არის და არასწორად წერია გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ ნომერი. ეს წერილი, „ბოდვისა და ნატურალისტური ჭაობის წინააღმდეგ“ დაიბეჭდა გაზეთის მესამე და არა მერვე ნომერში.

47. გობრონ აგარელის რეცენზია გალაკტიონ ტაბიძის პოემაზე „ჯონ რიდი“ „მნათობში“ დაიბეჭდა არა 1924, არამედ 1925 წელს, პირველ ნომერში და თან კრიპტონიმით „გ. ა.“.

48. ჟურნალ „მნათობის“ ერთი წლის პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია გამოქვეყნდა ჟურნალის არა 1928 წლის მეორე და მესამე ნომერებში, არამედ 1929 წლის ნომერში 2-3.

50. შალვა რადიანის სტატია „რევოლიუციის პოეტი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟ. „მნათობში“, 1930, №4, მთლიანად ეძღვნება ვლადიმერ მაიაკოვსკის და გალაკტიონ ტაბიძე ნახსენებიც კი არ არის.

56. სტატიასთან „მწერლები წარმოებაში“ გაზეთი „კომუნისტი“ და ნომერი მითითებული არ არის. პოეტი, სავარაუდოდ, გულისხმობდა სტატიას „პროლეტარული მწერლები წარმოებაში“, რომელიც გამოქვეყნდა „კომუნისტში“ არა 1933 წელს, არამედ 1930-ის 236-ე ნომერში.

61. შალვა რადიანის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“ გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ 1940 წლის არა N3-ში, არამედ N7-ში.

102. ნუსხაში მითითებული არ იყო 1933 წელს რომელ პერიოდულ ორგანოში დაიბეჭდა სიმონ ხუნდაძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა“. აღმოჩნდა, რომ წერილი გამოქვეყნდა „სალიტერატურო გაზეთში“.

124. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1933 წლის N154-ში არ არის დაბეჭდილი ერემია ასტვაცატუროვის წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“. 1933 წელს ამ ავტორის სტატია „მოწინავე საბჭოთა მწერალი“ გამოქვეყნდა სალიტერატურო გაზეთის მე-14 ნომერში.

172. ნუსხაში მითითებული არ არის, საიდან არის ამოღებული ინფორმაცია შალვა რადიანის მოხსენების შესახებ „საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები“. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა „სალიტერატურო გაზეთში“, 1933, N16 (42), გვ. 4.

197. ინფორმაციასთან „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი“ მითითებულია „სალიტერატურო საქართველო“ ნომრის გარეშე.

ინფორმაცია გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1940, №36 (159).

207. სტატიის „სადამო მწერალთა სასახლეში“ პუბლიკაციის თარიღად მითითებულია 1941 წლის 21 იანვარი და გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ N4. რეალურად სტატიის სათაურია „ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამო მწერალთა კლუბში“ და იგი დაიბეჭდა არა 21, არამედ 24 იანვრის ნომერში.

236. ნუსხაში წყაროს მითითების გარეშე წერია საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობისათვის". ეს ყრილობა ჩატარდა 1928 წლის მარტში. 1930 წლამდე „სალიტერატურო გაზეთი“ არ გამოდიოდა. შესაბამისად, ინფორმაციის მოძიება ვცადეთ გაზეთში „კომუნისტი“. ყრილობის პროცესი მთელი კვირის განმავლობაში შუქდებოდა, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე პერსონალურად არცერთხელ არ არის ნახსენები. მწერლები და მათი მოსაზრებები ყრილობაზე შემოქმედებითი ჯგუფების სახით იყვნენ წარმოდგენილი: „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, „ქართული აკადემიური მწერლობა“, „მემარცხენეობის ჯგუფი“, „ცისფერი ყანწების ჯგუფი“ და „არიფიონის ჯგუფი“. რამდენადაც გალაკტიონ ტაბიძე იყო „არიფიონის“ წევრი, ვფიქრობთ, თავის მეორეულ ბიბლიოგრაფიაში (პუბლიკაციები მის შესახებ) შეიძლება შეეტანა ამ ყრილობაზე „არიფიონის“ სახელით გაკეთებული მოხსენების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია<sup>1</sup>.

242. გიორგი ნატროშვილის სტატიასთან „ჩვენი სამშობლო" მითითებულია მხოლოდ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. წერილი გამოქვეყნდა 1941, N25-26-ში.

245. ერთადერთი, რისი გარკვევაც ვერ შევძელით, არის ბოლო ჩაბაწერი. როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს სარედაქციო წერილი, მაგრამ სათაური შემოკლებული და დაუსრულებელია: „კოოპ. სახელ.“ და საერთოდ არ არის მითითებული არც წელი და არც პერიოდული ორგანო.

თითოეული ამ უზუსტობის გასარკვევად კატალოგებისა და პერიოდული გამოცემის არაერთი ნომრის თვალიერება გახდა საჭირო. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ამ ნუსხაში

---

<sup>1</sup> „სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა“, „კომუნისტი“, 1933, N57 (2100), გვ. 2.

შეტანილი აქვს არა მხოლოდ იმ ტექსტების სათაურები, რომლებიც დასახელებულ წყაროებში გამოქვეყნდა, არამედ ისეთებისაც, რომლებიც ბეჭდურ წყაროებში უბრალოდ დასახელებულია და, როგორც ჩანს, მას ჰქონდა ან ხელნაწერის ან მანქანაზე ნაბეჭდი სახით. შესაბამისად, ამ ნუსხაში შეტანილია არა მხოლოდ პუბლიკაციები, არამედ ის მასალაც, რომელიც მის შესახებ იყო დაწერილი და პოეტს ხელთ ჰქონდა. ინფორმაციის მოძიებას გვირთულებდა ისიც, რომ საგაზეთო პუბლიკაციებში ზოგიერთი პირი მითითებულია მისი არა ოფიციალური სახელის, არამედ ალერსობითის, ზოგან კი არა ქართული, არამედ რუსული დაწერილობის ინიციალით.

◇ ერთ უხაზო ფურცელზე გაკეთებულ ჩანაწერში მოცემულია განცხადების ტექსტი, რომლის მიხედვითაც გალაკტიონ ტაბიძე 28 იანვარს, კვირას გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილა-მეჯლისს<sup>1</sup>. გალაკტიონი ასეთ სადამოებ მართავდა ქუთაისში, მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ქუთაისში მოღვაწეობდა და თავად იოსებ გრიშაშვილი<sup>2</sup> და დიმიტრი უზნაძე<sup>3</sup> იშვიათად, მაგრამ მონაწილეობდნენ ქუთაისის ლიტერატურულ სადამოებში. სადამოს თბილისში გამართვის შემთხვევაში ყველა ხსენებული პირის ქუთაისიდან იქ ჩასვლა ნაკლებ სავარაუდო იქნებოდა, მაგრამ ორი მათგანი – ნოე ჩხიკვაძე (გარდ. 1920 წ. 24 მაისს) და პარმენ ცახელი (გარდ. 1919 13 აგვისტოს) ვერც ჩავიდოდნენ, რადგან გალაკტიონის საცხოვრებლად თბილისში გადასვლამდე გარდაიცვალნენ. შესაბამისად, განცხადება პარმენ ცახელის გარდაცვალებამდე, 1919 წლის 13 აგვისტომდე უნდა იყოს დაწერილი. გალაკტიონის პოეტური მოღვაწეობის დაწყებიდან 1919 წლის ამ თარიღამდე 28 იანვარი კვირას ემთხვეოდა მხოლოდ 1907 და 1918 წლებში. 1907 წელს გალაკტიონი სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ჯერ არაფერი ჰქონდა გამოქვეყნებული და საზოგადოება არ იცნობდა, რომ სადამო გამართა, 1918 წლის იანვარში კი მოსკოვში იმყოფებოდა. შესაბამისად, თარიღთან მითითებული კვირის დღე ცალსახად არასწორი უნდა იყოს. განცხადების პირველ ვერსიაში, რომელიც უფრო ადრეა იმავე

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა №696, გვ. 1.


<sup>2</sup> გაზ. „ცხოვრება“, 1912, 7 მარტი, №29, გვ. 2; გაზ. „კოლხიდა“, 1912, №52, გვ. 1.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა №89, გვ. 1.

ფურცელზე დაწერილი, თარიღი არც წერია. წერია „ზეგ“. როგორც ჩანს, პოეტმა თარიღი არ იცოდა და კალენდარიც ხელთ არ ჰქონდა, რომ გადაემოწმებინა. ვფიქრობთ, სწორედ ამის გამო დაუშვა შეცდომაც.

ფურცლის მეორე მხარეს<sup>1</sup> არის თავისი შეყვარებულის – რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილი ლექსი. რამდენადაც ლექსის შინაარსიდან ჩანს, რომ გალაკტიონის სიყვარული ცალმხრივია, მაგრამ არ იგრძნობა ახალი ურთიერთობის დასაწყისი, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის გაზაფხულამდე. რამდენადაც ამ ლექსის დაწერამდე გალაკტიონი იმავე ფურცელზე იმავე ფერის მელნით აპირებდა ლექსის დაწერას სათაურით „შემოდგომა“, ვფიქრობთ, ორივე ტექსტი დაწერილი უნდა იყოს იმ შემოდგომაზე, რომელიც 1912 წლის გაზაფხულს უსწრებდა წინ – 1911 წლის შემოდგომაზე.

დავუბრუნდეთ ფურცლის მეორე მხარეს. განცხადება ზემოდან არის გადაწერილი ტექსტზე, რომლის მიხედვითაც იმ დროისთვის ახალგამოსული და გაყიდვაში არსებული უნდა ყოფილიყო გალაკტიონ ტაბიძის წიგნი: „გამოვიდა და ისყიდება გ ტაბიძე“. გალაკტიონის პირველი წიგნი გამოვიდა 1914 წლის ივნისის ბოლოს და 26 იანვარს (28 იანვარზე წერია „ზეგ“) დაწერილი განცხადება ზემოდან ვერ იქნებოდა გადაწერილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „წიგნი“ პოეტის ის წიგნი




იგულისხმება, რომელიც 1912 წელს უნდა გამოსულიყო. 25 იანვრიდან გაზეთებში „ბათუმის გაზეთი“ და „თემი“ იბეჭდებოდა განცხადება ამ წიგნზე ხელმოწერებთან დაკავშირებით. ამ დროისათვის პოეტს უკვე შედგენილი ჰქონდა ხელმოწერის კვიტანციის შაბლონიც და, სავარაუდოა, რომ იმაზეც წინასწარ ფიქრობდა, როგორ გამოაქვეყნებდა წიგნის გამოსვლის შესახებ განცხადებას. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა №696, გვ. 2.

საჭირო თანხა ვერ შეგროვდა, წიგნი არ გამოსულა და გალაკტიონს ხელმოწერების თანხის უკან დაბრუნება მოუხდა. ამ ტექსტზე გადაწერილ განცხადებას რომ მივუბრუნდეთ, იგი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის 26 იანვარს და 28 იანვართან მიწერილი „კვირის“ ნაცვლად უნდა ეწეროს „შაბათი“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1916 წლის 15 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერი გაკეთებულია „ცისფერი ყანწების“ სადამოს შესახებ სტამბურად ამობეჭდილ მოსაწვევზე, რომელზეც იკითხება: „ქ. ქუთაისი. ქალაქის თეატრი. ხუთშაბათი, 16 თებერვალი, 1917 წ.“<sup>1</sup> წარმოუდგენელია, რომ გალაკტიონის ჩანაწერი წინ უსწრებდეს სტამბურად დაბეჭდილ ტექსტს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ალბათ ვიფიქრებდით, რომ წლის დაწერისას შეცდომა პოეტმა დაუშვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბეჭდური ტექსტი საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში. 1917



წელს 16 თებერვალი პარასკევ დღეზე მოდიოდა და არა ხუთშაბათზე. ესე იგი ნაბეჭდში წელი არასწორად არის მითითებული. საშუალება გვქონდა, ცალკე გადაგვემოწმებინა, რამდენად შეესაბამება გალაკტიონის მიერ გაკეთებული თარიღი – 1916 წლის 15 თებერვალი ჩანაწერის შინაარსს. ამ ჩანაწერში პოეტს მითითებული აქვს თარიღები და კვირის დღეები 29 თებერვლიდან 29 მარტის ჩათვლით და გასწვრივ მიწერილი აქვს, სად ტარდება სადამოები. ჩამონათვალში არის: ქუთაისი, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, სამტრედია, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ახალსენაკი, ფოთი, თბილისი. ყველა თარიღი ზუსტად ემთხვევა 1916 წლის კალენდარში მითითებულ კვირის დღეებს. რამდენადაც, ყოველმხრივ დასტურდება, რომ გალაკტიონს წელი არ

<sup>1</sup> ქლმ, დ-617-3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, 2008, გვ. 507.

ემლება და რამდენადაც ბეჭდური წარწერა ცალსახად უფრო ადრეული უნდა იყოს, მოსაწვევის ტექსტში 1917 წელი ცალსახად არასწორია, მაგრამ გასაოცარია ის, რომ ამ ბეჭდურ ტექსტში მითითებული 16 თებერვალი ხუთშაბათ დღეს არ ემთხვევა არც 1916 წელს. შესაბამისად, ჩანაწერში შეცდომით წერია არა მხოლოდ წელი, არამედ თარიღიც. ერთადერთი ლოგიკური ახსნა, რაც შეიძლება ამ ფაქტს მოემბნოს, არის ის, რომ ასოთამწყობმა ერთმანეთში აურია წლის ბოლო ციფრები და თარიღი: 1916 წლის 17 თებერვლის ნაცვლად დაწერა 1917 წლის 16 თებერვალი. თუ ეს ასეა, ეს მონაცემი მართლაც ემთხვევა 1916 წლის კალენდარს და ირკვევა, რომ ეს საღამო უნდა ჩატარებულიყო 1916 წლის 17 თებერვალს, ხუთშაბათ დღეს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა კვირის დღეც აეკრიფათ შეცდომით სტამბაში, მაგრამ, ვფიქრობთ, ციფრების ასეთი აღრევა უფრო მოსალოდნელია. შესაბამისად, „ცისფერი ყანწების“ საღამო 1916 წლის 17 თებერვალს უნდა გამართულიყო და 15 თებერვალს პოეტი ამასთან დაკავშირებით რაღაცეებს ინიშნავდა.

### მეორეული წყაროები

◇ ზოგჯერ ავთენტური წყაროებიდან ინფორმაციის გადმოტანა ან მისი ინტერპრეტირება არასწორად ხდება რომელიმე პუბლიკაციაში და შემდეგ ხდება ამ შეცდომის ტირაჟირება სხვადასხვა გამოცემაში. ნოდარ ტაბიძის წიგნში „გალაკტიონი“<sup>1</sup> 1918 წლის 14 იანვრით არის დათარიღებული პოეტის მიერ პეტერბურგიდან დედისთვის გაგზავნილი წერილი<sup>2</sup>. შემდეგ ამ ინფორმაციას დაეყრდნო „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის“ შემდგენელი მალუა შელეგია<sup>3</sup>, რომელსაც ხელი არ მიუწვდებოდა მწერლის ძმისწულის ოჯახში დაცულ არქივზე და პირდაპირ გაიმეორა წერილის თარიღი. როგორც ჩანს, საქმე უნდა გვექონდეს მექანიკურ შეცდომასთან,


---

<sup>1</sup> ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. 438-440.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის წერილი, გტცა, №1256, გვ. 1-2 რ., v.


<sup>3</sup> მალუა შელეგია, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, თბილისი 2020, გვ. 142.

რადგან ამ წერილზე მიწერილი თარიღი „1918 წ. 14 ივნისი (1 ივნ.)“სავსებით გარკვევით იკითხება. რამდენადაც ქვეყანა ახალ კალენდარულ სტილზე იმ დროს ორი თვის გადასულიც კი არ იყო, თარიღი მოცემულია როგორც ძველი, ისე ახალი სტილით და თვის სახელი ორივეგან მკაფიოდ ჩანს. წერილის ფრაზები: „რამდენი ხანია გადაწყვეტილი მაქვს აქედან წამოსვლა...“, „გადაწყვეტილი მაქვს, შემოდგომამდე მოვახერხო წამოსვლა“, „რამდენი უბედურება მე აქ გადავიტანე...“ ირიბად მიგვანიშნებს, რომ პოეტი მოსკოვში კარგა ხნის ჩასული უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოეტი მოსკოვში წინა, 1917 წლის მაისში უნდა ჩასულიყო. დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1918 წლის თებერვალში ის ესწრებოდა რუსი პოეტების კონკურსს, რომელზეც პოეტების მეფედ აირჩიეს იგორ სევერიანინი, იანვარში კი, სავარაუდოდ ჩააბარა სარეჟისორო კურსებზე (კურსები ხუთთვიანი იყო და 1918 წლის 25 ივნისს დაამთავრა). შესაბამისად, სავსებით სარწმუნოა, რომ მოსკოვიდან დედისთვის წერილი ამავე წლის 14 ივნისს გაეგზავნა.



◇ 1948 წლის 25 მაისის ჩანაწერში<sup>1</sup> ნახსენებია, რომ გალაკტიონი რადიოში უსმენდა ანატოლი ალხოვის ნაწარმოებებს<sup>2</sup>. გვარის ბოლო ასო ავტოგრაფში კარგად არ ჩანს და საარქივო გამოცემაში „რ“-დ არის ამოკითხული. გავარკვეით, რომ საუბარი უნდა იყოს პოეტ ანატოლი სერგეის ძე ოლხოვზე (Ольхон).

◇ გალაკტიონის გერის ქალიშვილთან – მარინე ფირცხალავასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოგონებაში დაბადების წლად სხვადასხვა თარიღი წერია, მაგრამ საქართველოს ეროვნულ არქივში არსებულ განცხადებაში, რომლითაც



გალაკტიონი ითხოვს მარინე ფირცხალავას მიღებას პირველი საშუალო

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-208, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 330.  
<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-208, გვ. 1. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 330.



სკოლის პირველ კლასში, მითითებულია მისი დაბადების ზუსტი თარიღი – 1951 წლის 26 აგვისტო.

◇ 2020 წელს გამოცემულ „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში“ 1910 წლის თარიღით არის შეტანილი ძმის – აბესალომ ტაბიძის წერილი გალაკტიონისადმი<sup>1</sup>, რომელშიც არაერთი საინტერესო ინფორმაციაა პოეტის შესახებ. იმის შიშით, რომ სექტემბერში ჯარში წასვლა მოუწევდა, გალაკტიონი აპირებდა ქუთაისში დარჩენას და სამხედრო მომზადების გავლას. უფროსი ძმა გააკვირვა მისმა ამ განზრახვამ, რადგან ჯერ გადაწყვეტილი არ იყო, ჯარში ნამდვილად გაიწვევდნენ თუ არა. შეიძლებოდა მანამდე მასწავლებლის ადგილი ემოვა, კენჭისყრის შედეგად ჯარში წასვლა არ შეხვედროდა ან ფიზიკურად დაეწუნათ სამხედრო სამსახურისთვის. ქუთაისში ცხოვრება ძვირი ჯდება და, ძმის აზრით, თუ იქ დარჩენას აპირებდა, ბარემ სემინარიისთვის მომზადება ჯობდა. წერილში ნახსენებია, რომ ქრისტიანული დღესასწაული – მირქმა, რომელიც 2 თებერვალს აღინიშნება, შაბათი დღეა. ჩვენ ეს თვე და რიცხვი გადავამოწმეთ მუდმივ კალენდარში და აღმოჩნდა, რომ 1910 წელს 2 თებერვალი სამშაბათი დღე იყო და, შესაბამისად, წერილი ამ წელს დაწერილი ვერ იქნება.

ზემოხსენებული თარიღი და კვირის დღე ერთმანეთს ემთხვევა 1908 წელს და ბარათის შინაარსიც ზუსტად ესადაგება ამ წლის ბიოგრაფიულ კონტექსტს. 3-4 თვეში გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ამთავრებდა და სემინარიისთვის მომზადების თემა სწორედ ამ პერიოდში იყო მისთვის აქტუალური. 1908 წლის იანვარში სასულიერო სასწავლებელში, გალაკტიონს ჰკითხეს, აპირებდა თუ არა სემინარიაში სწავლის გაგრძელებას და, რამდენადაც მისი ძმა სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა, გააფრთხილეს, რომ ორი ძმიდან ორივეს სწავლას მმართველობა არ დააფინანსებდა<sup>2</sup>. ამის შესახებ გალაკტიონმა 28 იანვარს მისწერა ძმას<sup>3</sup>, 6 თებერვალს კი აბესალომმა უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია არ იყო სწორი

---

<sup>1</sup> მამუკა შელეგია, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, თბილისი 2020, გვ. 48.


<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტვა 24551.6; გ. ტაბიძე, „თორმეტკომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 493.

<sup>3</sup> კლმ, №24551-6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 9.

და რომ მან იცოდა სემინარიის სტუდენტი ძმები, რომელთაგან თითოეული სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა. 28 იანვრის წერილში გალაკტიონი ამბობს, რომ ეს მის მიერ შობის შემდეგ ძმისთვის გაგზავნილი უკვე მეორე წერილია და პასუხი მისგან ჯერაც არ მიუღია. შესაბამისად, აბესალომის ის წერილი, რომელიც 6 თებერვლის ბარათის წინ გაუგზავნა და რომელშიც მირქმა მომავალ დროშია ნახსენები, დაწერილი უნდა იყოს 28 იანვრიდან 2 თებერვლამდე. აბესალომის 6 თებერვლის წერილში ნათქვამია, რომ ერთი კვირის წინ ის ავად იყო. სავარაუდოდ, 2 თებერვალს ამიტომაც ვერ ჩააკითხა ქუთაისში და სამომავლო გეგმებზე მსჯელობა ძმებმა წერილობით გააგრძელეს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი ჩანაწერი<sup>1</sup> კარზე მომდგარი გლახაკის შესახებ, რომელიც ეკლესიისთვის შესაწირს აგროვებდა, საარქივო გამოცემაში 1948 წლის 5 ივლისით არის დათარიღებული<sup>2</sup>, მაგრამ ეს სწორი ვერ იქნება.

გარდა იმისა, რომ ხელნაწერში



გარკვევით იკითხება

1945, იქვე არის მიწერილი კვირის დღეც „ხუთშაბათი“, რომელიც 1945 წლისას ემთხვევა და არა 1948 წლისას.

◇ პარმენ ლორიას მიერ 1947 წლის 16 ოქტომბერს გალაკტიონისთვის გაგზავნილი წერილიდან<sup>3</sup> ჩანს, რომ პოეტმა მას გაუგზავნა ლექსი გაზეთში გამოსაქვეყნებლად. გაზეთის სათაური მითითებული არ არის. წერილში ნახსენები ვინმე ანტონი, სავარაუდოდ, გაზეთის თანამშრომელია, მაგრამ არა რედაქტორი, რადგან ლორიას ვარაუდით ლექსი შეიძლება მის გარეშეც დაბეჭდილიყო („ანტონი ამჟამად აქ არ არის, ორ კვირაში გვეყოლება. შეიძლება ლექსი მანამდეც დაიბეჭდოს“). შესაბამისად, გაზეთის სათაურს რედაქტორის სახელით ვერ გადავამოწმებთ. მეორე მხრივ, რამდენადაც თავად პარმენ ლორია რეგულარულად ბეჭდავდა ლექსებს გაზეთში „საბჭოთა აჭარა“, ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდულ ორგანოზე უნდა ყოფილიყო საუბარი.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-209, გვ. 5.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 338.

<sup>3</sup> პარმენ ლორიას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 299-300;

◇ აბიზო (კუკური) თომადის მოგონებაში მოთხრობილია დიდი სამამულო ომის დაწყების წინ, ზაფხულში როგორ შეხვდა ის ქუჩაში გალაკტიონს, რომელსაც პლენხანოვის პროსპექტიდან საბჭოს ქუჩისკენ მიჰქონდა თავისი ბიუსტი. იაკობ ნიკოლაძეს გალაკტიონის ბიუსტი თაბაშირში მზად ჰქონდა 1939 წელს, მარმარილოში კი ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაკეთებული, ნიკოლოზ კანდელაკს პოეტის ბიუსტი 1950-იან წლებამდე არ დაუმთავრებია, მაგრამ სწორედ 1941 წელს შექმნა გალაკტიონის ბიუსტი მოქანდაკე ტიტე სიხარულიძემ. მოგვანებით მან ეს ბიუსტი პოეტის ჭყვიშის სახლმუზეუმს აჩუქა. შესაბამისად, მოგონებაში ამ ბიუსტზე უნდა იყოს საუბარი.

◇ ნინო კვიციანი 1949 წლის 22 მაისის ჩანაწერში ნათქვამია, რომ მცხეთიდან ის და გალაკტიონი ავიდნენ სარკვეთში და რომ აღმოჩენილ ადგილზე დიდი გეგმები დაისახა მომავალში<sup>1</sup>. საუბარი უნდა იყოს სოფელ სარკინეთზე (1949 წლის 12 ივლისამდე ერქვა დემირბულახი), სადაც 1940-იან წლებში გათხრების შედეგად მნიშვნელოვანი მასალა იქნა მოპოვებული.

◇ 2020 წელს მამუკა შელეგიას მიერ გამოცემულ გალაკტიონის მატინეში 1911 წლით არის შეტანილი რომანოზ ფანცხავას წერილი გალაკტიონისადმი<sup>2</sup>, რომლითაც აცნობებს, რომ 16 მაისს აპირებს საღამოს გამართვას ქართულ თეატრში და სთხოვს მონაწილეობის მიღებას. ტექსტის მიხედვით, 16 მაისი შაბათი დღეა. ბარათი 1911 წელს დაწერილი ვერ იქნება, რადგან ამ წელს 16 მაისი სამშაბათ დღეზე მოდიოდა. რამდენადაც ბარათიდან ჩანს, რომ გალაკტიონის ლექსებს უკვე იცნობს ქუთაისის საზოგადოება, იგი 1908 წელზე ადრე დაწერილი ვერ იქნება. 1908 წლის შემდეგ რომანოზის გარდაცვალებამდე, 1928 წლამდე, 16 მაისი შაბათ დღეს ემთხვევა 1909, 1915, 1920 და 1926 წლებში. რამდენადაც საღამო ქუთაისის თეატრში უნდა ჩატარებულიყო, 1920 და 1926 წლებში კი გალაკტიონი უკვე თბილისში ცხოვრობდა, სავარაუდოდ წლები ორამდე დავიყვანეთ – 1909 და 1915. ამ ორთაგან არჩევანის გაკეთებაში დაგვეხმარა გაზეთ „სამშობლოში“ 1915 წლის 15 მაისს გამოქვეყნებული განცხადება, რომლის მიხედვითაც მომდევნო დღეს ქუთაისის თეატრში უნდა

---

<sup>1</sup> ნ. კვიციანის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 516.

<sup>2</sup> მ. შელეგია, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე“, გვ. 54.

გამართულიყო სალიტერატურო დრამატული სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით. შესაბამისად, რომანოზ ფანცხავას წერილიც, დიდი ალბათობით, სწორედ ამ სადამოს ეხებოდა და, რამდენადაც ღონისძიება მომავალ დროშია მოხსენიებული, ბარათი 1915 წლის 16 მაისამდე პერიოდით დავათარილეთ.

◇ ნოდარ ტაბიძის წიგნში „გალაკტიონი“<sup>1</sup> კვითხულობთ, რომ 1915 წლის მარტის ბოლოს გალაკტიონი ქუთაისიდან გაუჭინარდა, ძმამ რამდენჯერმე მოიკითხა, მაგრამ ვერ გაიგო მისი ამბავი, სანამ 7 მაისს მისი დიასახლისის – მარია ხაჩატუროვას წერილი არ მიიღო, გალაკტიონი ოლიასთან არის ჭიათურაში, მეც არ გავუფრთხილებივარ, მაგრამ ჭიათურაში ჩემი და ცხოვრობს და იმან შემატყობინა, „აგერ ერთი თვეა აქ არისო“. ეს ინფორმაცია გადატანილია გალაკტიონ ტაბიძის „მატიანეშიც“<sup>2</sup> ნოდარ ტაბიძის არქივში ხაჩატუროვას ამ წერილს ვერ მივაგენით, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ წერილის მიხედვით გალაკტიონი ქუთაისიდან მარტის ბოლოს უნდა წასულიყო და 7 მაისამდე ჯერ კიდევ ჭიათურაში ყოფილიყო, ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება. გალაკტიონ ტაბიძე 1915 წლის 31 მარტს<sup>3</sup> და 28 აპრილს მონაწილეობას იღებდა ქუთაისის თეატრში გამართულ სადამოებში<sup>4</sup>, 25 აპრილს კი კოტე მაცაშვილს წერილი გაუგზავნა ქუთაისიდან<sup>5</sup>. შესაბამისად, თუ ამ ინფორმაციის ავთენტური წყარო არ გამოჩნდება, ინფორმაციას ვერ გავიზიარებთ. რაც შეეხება მაისის დასაწყისს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 11 მაისს გალაკტიონმა ოლიას წერილი უკვე ბათუმში გაუგზავნა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ იქ გამგზავრებამდე მისთვის ჭიათურაში ჩაეკითხა და ეს მომხდარიყო 7 მაისის წინა დღეებში, თუმც ამის შესახებ ინფორმაცია ავთენტურ წყაროებში არ შეგვხვებდრია.

◇ ნოდარ ტაბიძე წიგნში „გალაკტიონი“ წერს, რომ პოეტი 1911 წლის იანვარ-თებერვალში იყო ბათუმში და რომ იქ დაწერა ლექსი

<sup>1</sup> ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 414.

<sup>2</sup> მამუკა შელეგია, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, თბილისი, 2020, გვ. 106.

<sup>3</sup> გაზ. „ახალი კვალი“, 1915, 4 მაისი, #1, გვ. 3.

<sup>4</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 28 აპრილი, #52, გვ. 4.

<sup>5</sup> ქლმ, კოტე მაცაშვილის არქივი, N5587-ბ;

„არაჩვეულებრივი ზამთარი 1911 წელს“<sup>1</sup>. ვფიქრობთ, რომ ეს ვარაუდი მას გაუჩინა ლექსის სათაურმა და შინაარსმა, მაგრამ, 1911 წლის იანვარ-თებერვალში პოეტის ბათუმში ყოფნის ფაქტს არც პირადი მიმოწერა ადასტურებს და არც ჩანაწერები. ამიტომ, რადგან ლექსში 1911 წელია ნახსენები, ვფიქრობთ, რომ ის ან ამ ან ნებისმიერ მომდევნო წელს შეიძლება იყოს დაწერილი.

◇ მოგონებების მიხედვით ოლია ოკუჯავა ჭიათურაში მშობლებმა იმიტომ გაუშვეს, რომ გალაკტიონი არ მოსწონდათ სასიძოდ და მასთან დაემორებათ, მაგრამ, ოლია ოკუჯავას დღიურები სხვაზე მეტყველებს. ჯერ კიდევ 1910 წლის სექტემბრის დღიურებიდან ჩანს, რომ ის ჭიათურაშია<sup>2</sup>. რაც შეეხება გალაკტიონის გაცნობას, ამასთან დაკავშირებითაც, ვფიქრობთ, ოლიას დღიურები ყველაზე სანდო წყაროა. მისი თქმით, როდესაც მან პირველად შეამჩნია გალაკტიონი ქუთაისში და იკითხა მისი ვინაობა, უთხრეს, რომ ის არის პოეტი, რომელიც მასწავლებლად მუშაობდა და ახლახანს მიატოვა მასწავლებლობა. ეს უნდა ყოფილიყო 1911 წლის ზაფხული, რადგან ამ დრომდე გალაკტიონი მართლაც მუშაობდა მასწავლებლად სოფელ ფარცხნალში.

◇ 1951 წლის 20 იანვრის ჩანაწერში ნახსენებია ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ გამოქვეყნებული შალვა რადიანის წერილი „სოციალისტური რეალიზმი“<sup>3</sup>. რამდენადაც ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოდიოდა, ეჭვი გაგვიჩნა, რომ იგი უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალის 1950 წლის ნომერში და მართლაც ასე აღმოჩნდა, მაგრამ სტატიის სათაურია „მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის“<sup>4</sup>

◇ გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მოგონებაში<sup>5</sup> ნახსენებია გალაკტიონ ტაბიძის ჩასვლა ფარცხნალში და ნათქვამია,

<sup>1</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 204.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, ოლია ოკუჯავას დღიური, თბ., 2008, გვ. 335-337.


<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 272, გვ. 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 233-234.

<sup>4</sup> შალვა რადიანი, „მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის“, ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1950, №6, გვ. 35.

<sup>5</sup> ე. მითათიშვილი, „გალაკტიონის ცაცხვის ხე“, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1973, 24 ოქტ. №20, გვ. 4.

რომ ეს იანვარში მოხდა. გალაკტიონის ძმის, აბესალომის 1910 წლის 3 დეკემბრის წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ფარცხნალში ახალდანიშნულია მასწავლებლად<sup>1</sup>, ნოდარ ტაბიძის ცნობით კი სამასწავლებლო გამოცდები ჩააბარა 1910 წლის 15 ნოემბერს<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, თედო ჟორდანიას იგი ფარცხნალში მასწავლებლად 1910 წლის 15 ნოემბრის შემდეგ უნდა დაენიშნა და ფარცხნალშიც ნოემბრის მეორე ნახევარში უნდა ჩასულიყო. შესაბამისად, ეს ფაქტი იანვარში ვერ მოხდებოდა.

◇ წიგნში Марат Гизатулин, Булат Окуджава: «...От бабушки Елизаветы к прабабушке Элисабет» ვკითხულობთ: „Поработав в Чиатура, Вера Халваши и Оля Окуджава подкопили денег и поехали на учёбу в Москву, на Высшие женские курсы Герье. Но перед этим, 20 августа 1916 года, Галактион и Оля успели обвенчаться“<sup>3</sup>. გალაკტიონის მიერ 1921 წლის 24-25 მაისს გაკეთებული ჩანაწერიდან<sup>4</sup> ირკვევა, რომ ის და ოლია ამ დროისათვის არც ჯვარდაწერილები იყვნენ და არც ხელი ჰქონდათ მოწერილი. ადრე გალაკტიონს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მათ ჯვარი დაეწერათ, მაგრამ ჩანაწერის გაკეთების დროს ამაზე აღარ ფიქრობდა<sup>5</sup>. მათ ხელი მოაწერეს 1921 წლის 15 ოქტომბერს, მაგრამ ჯვარი არც მოგვიანებით დაუწერიათ<sup>6</sup>



ამავე ჩანაწერიდან ირკვევა ისიც, რომ ლექსში „მზეო თიბათვისა“ ნაცვალსახელით „იგი“ მოხსენიებული პირი, ვის მფარველობასაც სთხოვს პოეტი ღვთისმშობელს, არის ოლია ოკუჯავა.

◇ 1973 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში „გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე (ლიტერატურის სარეკომენდაციო სამიუზეო პოეტის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით)“

<sup>1</sup> პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ., 1997, გვ. 108.

<sup>2</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 184.

<sup>3</sup> <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

<sup>4</sup> ავტოგრაფული ჩანაწერი, გტცა 559, გვ. 1.

<sup>5</sup> ავტოგრაფული ჩანაწერი, გტცა 559, გვ. 2.

<sup>6</sup> ქორწინების მოწმობა, <https://archive.gov.ge/ge/galaktioni-1>

აღნიშნულია, თითქოს გალაკტიონი 1915 წელსაც იმყოფებოდა მოსკოვში და თითქოს 1917 წლის თებერვალში პეტროგრადში ყოფნისას დაწერა „დროები ჩქარა“, რაც არ დასტურდება<sup>1</sup>. კომინტერნის მეექვსე კონგრესი ჩატარდა არა 1929<sup>2</sup>, არამედ 1928 წელს 17 ივლისიდან 1 სექტემბრამდე.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უთარილო წერილი დედისადმი<sup>3</sup>, რომელიც მწერლის თხზულებათა საარქივი გამოცემაში მიახლოებით 1929 წლით არის დათარიღებული, აშკარად არის პასუხი დედის ასევე უთარილო წერილზე, რომელიც საარქივო გამოცემაში 1928 წლით არის დათარიღებული. შდრ. ამონარიდები დედის წერილიდან და მათზე გალაკტიონის პასუხები: „ურცხვენელათ გაგეტარებოთ თქვენი ახალგაზრდობა“ / „უცრხვენლად, როგორც შენ გინდა, გავატარებ ჩემს ახალგაზრდობას“; „ყოველ მინუტში, ტკბილათ საგონო, სანახავათ სანატრელო“ / „რატომ იწერები, რომ მე ყოველ წამში შენთვის სანატრელი ვარ“; „შენგან მოძულებით“, „შენგან მოძულებული“ / „ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის სთქვა: „შენგან მოძულებული“. ამ წერილში მაკრინე ადვიშვილი გალაკტიონს ჭყვიშში სასწრაფოდ ჩასვლას სთხოვს იმ მიზეზით, რომ ეს საჭიროა და მისთვისაც კარგია, მაგრამ მიზეზი დასახელებული არ არის. ორივე ეს წერილი ძალიან ემოციურია და სხვადასხვა წლებში დაწერილი ვერ იქნება, რადგან ასეთ წერილზე გალაკტიონი პასუხს დიდი ხნით არ დააგვიანებდა. დედის წერილში ვკითხულობთ: „თქვენმა რძალმა ტატიანამ მოგიკითხა.“. რამდენადაც გალაკტიონმა თავისი ძმის დაოჯახების ამბავი და ცოლის სახელი აბესალომის 1929 წლის 25 იანვრის წერილიდან გაიგო და, შესაბამისად, დედის წერილი 1929 წლის იანვრის ბოლოზე ადრეული ვერ იქნება. შესაბამისად, 1928 წელი გამოირიცხა.

რაც შეეხება გალაკტიონის უთარილო წერილს. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ პოეტი ოთხი წიგნის გამოცემაზე მუშაობს და ორი მათგანის გამოსვლას უახლოეს ხანებში ელოდება („სწორედ ახლა იბეჭდება, დედიკო, ჩემი ოთხი წიგნი. შეიძლება ორი მაინც მალე მოთავდეს.“). ასე

<sup>1</sup> გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე (ლიტერატურის სარეკომენდაციო სამიებელი პოეტის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით), თბ. 1973, გვ. 3.

<sup>2</sup> გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე (ლიტერატურის სარეკომენდაციო სამიებელი პოეტის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით), თბ. 1973, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ, 24551/3.

ახლო-ახლოს გალაკტიონის ორი წიგნი „ეპოქა“ და „პაციფიზმი“ გამოვიდა 1929 წლის ბოლოს და 1930 წლის დასაწყისში. პოეტის 1929 წლის 11 ოქტომბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მისი წიგნი „ეპოქა“ ორ კვირაში უნდა გამოსულიყო<sup>1</sup>. ზუსტად როდის გამოვიდა წიგნი უცნობია, მაგრამ 1930 წლის 1 და 4 იანვარს მასზე უკვე რეცენზიები დაიბეჭდა და, ბუნებრივია, რომ უკვე გამოსული იქნებოდა<sup>2</sup>. შესაბამისად, 1929 წლის 11 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე პოეტი დღე-დღეზე ელოდა წიგნის გამოსვლას და წერილიც ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება დედის უთაროლო წერილს, როგორც აღვნიშნეთ, ის გალაკტიონის წერილამდე ცოტა ხნით ადრე უნდა იყოს დაწერილი და ამ ქრონოლოგიაზე მისანიშნებლად, ვათარილებთ 1929 წლის 10 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძისთვის მიწერილი, 1936 წლის 23 ივნისით დათარიღებული ერთი წერილის ავტორად საარქივო გმოცემაში მითითებულია ლევ დანილოვი. ხელნაწერში, ვფიქრობთ, იკითხება „ლევ დემიდოვი“, მაგრამ დამატებითი ინფორმაცია მასზე ვერ მოვიპოვეთ.

◇ გალაკტიონის 1952 წლის ერთი განცხადების ადრესატად საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულში

მითითებულია მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მესხიშვილი<sup>3</sup>, რაც მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, რადგან 1941-1972 წლებში პრეზიდენტი იყო ნიკო მუსხელიშვილი და წყაროშიც ასე წერია.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ ჩანაწერში მინიშნებაა ვალერი ბრიუსოვის ლექსზე „Товарищам интеллигентам“. ჩანაწერში წერია გვარი ბრიუსოვი და სიტყვები: „Уэльс. Джек Лондон... другие“). ლექსში ვკითხულობთ:

<sup>1</sup> დღიურის ჩანაწერი, ქლმ, დ-38; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, „ლიტერატურის მატრიანე“, 2006, გვ. 468.

<sup>2</sup> „გალაქტიონ ტაბიძე: „ეპოქა“, ჟ. „დროშა“, 1933, N1, გვ. 14. დ. ბენაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე. ეპოქა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930, №3 (574) გვ. 4.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-195; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 122.



„Уэллс, Джек Лондон, Леру и сотни  
Других плели вам небылицы“.

ფურცელზე იქვე წერია ლევ ტროცკის გვარი და მოხმობილია ქართულად თარგმნილი ციტატა, სავარაუდოდ, ტროცკისავე პუბლიკაციიდან. ციტატაში საუბარია რომელიღაც მწერლის ენის ვულგარულობაზე. ლევ ტროცკის ლიტერატურის შესახებ არაერთი სტატია და წიგნი აქვს გამოქვეყნებული. ამიტომ ციტატის ქართული თარგმანით მის წყაროს ვერ მივაგენით და ზუსტი დრო ვერ გავარკვეით, მაგრამ რამდენადაც ბრიუსოვის ლექსი 1919 წლის მარტში გამოქვეყნდა, ამ ფურცლის ჩანაწერები ამაზე ადრეული ვერ იქნება.

◇ ოლია ოკუჯავას მიერ გალაკტიონისთვის სახლში დატოვებული ერთი პატარა წერილიდან, რომელიც თაბახის ფურცლის ნახევზეა დაწერილი და დათარიღებულია 28 მარტით<sup>1</sup>, ჩანს, რომ ადრესანტის დედა ავადმყოფობს და რომ 29 მარტი პარასკევია. საარქივო გამოცემაში წერილზე თვე არასწორად არის ამოკითხული და გამოცემაში იგი შეტანილია 28 აგვისტოს თარიღით<sup>2</sup>. ელისაბედ პერემუშევა-ოკუჯავა გარდაიცვალა 1935 წლის 4 აპრილს („...она умерла 4 апреля 1935-го. Бабушку Лизу похоронили на Вакинском кладбище в Тифлисе“.<sup>3</sup>), ამის წინა პერიოდში 29 მარტი პარასკევ დღეს ემთხვეოდა 1929 და 1935 წლებში. რამდენადაც წერილში ნათქვამია, რომ ოლიას დედა ავადმყოფობს, მეტი ალბათობაა, რომ ის დაწერილი იყოს 1935 წლის 28 მარტს.

◇ ოლია ოკუჯავას ერთ-ერთ დღიურში თარიღებს: 27 სექტემბერი და 30 სექტემბერი, მოსდევს 8 სექტემბერი. ვფიქრობთ, შეცდომაა და უნდა იყოს 8 ოქტომბერი<sup>4</sup>. შინაარსობრივი თვალსაზრისითაც ის უფრო ახლოსაა 1913 წლის ოქტომბრის დღიურებთან.

---

<sup>1</sup> ქლმ, 24551-73.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 211.

<sup>3</sup> <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

<sup>4</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 364.

◇ უბის წიგნაკში 1933 წლის 25 თებერვლით ათარიღებს ჩანაწერს: „ერევნისკენ. მივდივარ ნაირის ქვეყნაში. ძლივს არ მივუსწარი მატარებელს? კუპეში ვარ... 1 მარტს დავბრუნდი ტფილისში“. ასევე 1933 წლით ათარიღებს ბათუმში, აფხაზეთსა და სამტრედიაში ჩასვლას და იქიდან დაბრუნებას. 6 მარტს აღნიშნული აქვს, რომ სოხუმიდან გემით „ლენინი“ ბრუნდება ბათუმში ან ფოთში. 7 მარტის ჩანაწერის მიხედვით კი, მატარებლით უნდა ჩავიდეს სამტრედიიდან თბილისში<sup>1</sup>. ამ ჩანაწერებს მოსდევს უსათაურო ლექსები: „ტალღები გლეჯენ ერთი მეორეს...“ და „სახეს გადაჰკრავს მოგზაურთა...“. პირველს დაწერის ადგილად და თარიღად მიწერილი აქვს – გემი „ლენინი“, 6 მარტი, 1934 წელი, მეორეს კი – მატარებელი, 7 მარტი, 1934 წელი. ჩანაწერებიც და ლექსებიც შესრულებულია ერთი და იმავე წითელი ფანქრით. ასევე, გალაკტიონ ტაბიძის სხვადასხვათარიღიან კალენდარში ოლია ოკუჯავას ჩანაწერების მიხედვით, ერევანში წავიდა 1934 წლის 25 თებერვალს, თბილისში დაბრუნების შემდეგ კი გაემგზავრა ბათუმში, სოხუმსა და სამტრედიაში.<sup>2</sup> ამიტომ ვფიქრობთ, რომ 1933 წელს შეცდომით მიუთითებს და რეალურად დაწერილია 1934 წელს. ასევე, ბათუმის 4 მარტის ჩანაწერში შეცდომით აღნიშნავს, რომ იქ ჩავიდა 2 თებერვალს და არა 2 მარტს.

◇ 1946 წლის 3 სექტემბერს სათაურით „გეგმა ლიტერატურული მასალებისთვის“ დღიურში ვკითხულობთ: „3. ჯონ-რიდი“. 1921 წელი<sup>3</sup>. ავტორს თარიღი შეცდომით აქვს მითითებული, პოემა დაიწერა და გამოიცა 1924 წელს ჯერ ჟურნალში „მნათობი“<sup>4</sup>, შემდეგ კი – ცალკე წიგნად<sup>5</sup>.

◇ 1946 წლის დღიურში ჟურნალის „მნათობი“ შესახებ ჩანაწერებში აღნიშნავს: „1936 წ... ბ. ჟღენტი „შოთა რუსთაველი და სოციალისტუ-

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-76, 15-16, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 357-358.

<sup>2</sup> ქლმ. დ-73, 31-32, 35-36; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 326.

<sup>3</sup> ქლმ. დ-174, 40-41; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 477.

<sup>4</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1924, N4, გვ. 1-21.

<sup>5</sup> გალაკტიონ ტაბიძე, „ჯონ-რიდი“, თბ., 1924.

რი თანამედროვეება“ – ზერელე წერილია. ნახსენები ვარ მეც“<sup>1</sup>.  
ბესარიონ ჟღენტის აღნიშნული სტატია დაიბეჭდა „მნათობში“ არა  
1936, არამედ 1937 წელს.<sup>2</sup>

◇ 1946-1948 წლების დღიურში წერს: „ახალი მწერლების  
ანტოლოგია. 1948“<sup>3</sup>, რომელსაც მოსდევს ლექსი „წიგნის 381 გვერდი“. პოეტს ანთოლოგიის სათაური არასწორად აქვს მითითებული, ამ  
დასახელებით ანთოლოგია არ გამოცემული 1948 წელს. წლის  
დასაწყისში უნდა დაბეჭდილიყო „ქართული საბჭოთა პოეზიის  
ანთოლოგია“, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 1947 წლის 22  
ოქტომბერს და როგორც ცნობილია, წიგნები და ჟურნალები  
ხელმოწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ იბეჭდებოდა. ამ აზრს  
გვიმყარებს ის ფაქტი, რომ ანთოლოგიაში 381 გვერდია. კრებულში  
შევიდა გალაკტიონი ტაბიძის 10 ლექსი: „მშობლიურო ჩემო მხარევ“,  
„მოგონება სევასტოპოლზე“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ვისი  
არის ეს გუგუნი“, „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი“,  
„ქალაქი წყალქვეშ“, „ბოდთან ტრამვას უცდიდა მგზავრი“,  
„მწვერვალები ახალი მთების“, „წყალტუბოდან ქუთაისში...“, „ეს  
მშობლიური ქარია“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-179, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 527.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1937, დეკემბერი, №12, გვ. 97-111.

<sup>3</sup> ქლმ. დ-174, 79; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 499.

<sup>4</sup> ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1947, გვ. 283-298.

ამა თუ იმ ავტორის ნაწერებში, როგორც მხატვრულში, ისე დოკუმენტურში, ხშირად მინიშნებით არის ნახსენები სხვა ავტორები და ტექსტები, ციტატები კი მოხმობილია წყაროების მითითების გარეშე. ბუნებრივია, ასეთი ჩანაწერებიდან ინფორმაციის ამოსაღებად ამ ყველაფრის დაზუსტებაა საჭირო.

◇ 1930 წლის 8 ნოემბრის დღიურში<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე საუბრობს იმაზე, რომ წაიკითხა ოსკარ მარია გრაფის წიგნი, კერძოდ, მოთხრობა „მარტლი“ და ვრცლად მსჯელობს ამ ნაწარმოების შინაარსზე. ბუნებრივია, დავინტერესდით, როდის დაიწერა ეს ნაწარმოები და რა გამოცემაში შეიძლებოდა წაეკითხა იგი პოეტს. კრებული სიბნელე („finsternis“), რომელშიც შევიდა ეს მოთხრობა, გერმანულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს. 1930 წლამდე გრაფის მოთხრობები ქართულად წიგნად გამოცემული არ იყო. რუსულ ენაზე, მართალია, არსებობდა რამდენიმე წიგნი, მაგრამ მათში ეს მოთხრობა არ შედიოდა. ამ ავტორის 1926 წელს გამოცემულ წიგნში „კეთილ მოსაგონრად“ შედიოდა სულ სხვა მოთხრობები, რომლებიც გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული იყო 1922 წელს. შესაბამისად, გალაკტიონ ტაბიძეს ეს მოთხრობა შეიძლებოდა წაეკითხა რომელიმე ჟურნალში ან კრებულში.

◇ 1930 წლის 11 ნოემბრის ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე მის მიერ წაკითხული რამდენიმე საინტერესო უცხოელი ავტორისა და მათი ნაწარმოების დასახელების შემდეგ ავტორის გარეშე წერს „Я жгу Париж“. კვლევის შედეგად გავარკვეეთ, რომ საუბარი უნდა იყოს პოლონელი ავტორის – ბრუნო იასენსკის (ნამდვილი ვინაობა ვიქტორ იაკობის ძე ზისმანი) რევოლუციურ-უტოპიურ რომანზე, რომელიც გამოძახილია ფრანგი მწერლის პოლ მორანის ჰამფლეტისა „მე ვწვავ მოსკოვს“ და რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა 1928 წელს.

◇ 1930 წლის 7 ოქტომბრამდე გაკეთებული ჩანაწერებიდან<sup>2</sup> ჩანს, რომ პოეტი ბევრს ფიქრობდა პოეტთა ბრიგადების წარმოებასთან მიმაგრების მოსალოდნელ შედეგებზე, ზოგადად, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ბოლშევიკურ მმართველობასა და პოეზიაში საკუთარი

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 117, 118.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 378.

პოზიციების შენარჩუნებაზე. უცებ, ალალბედად გადამლილი წიგნიდან თვალში მოხვედრია თეოფილ გოტიეს ლექსის „ყვავილი, რომელსაც მოჰყავს გაზაფხული“ („Цветок, что делает весну“) სიტყვები: „Я знаю, знаю, вы велики,/ Когда октябрь, что в вас влюблён,/ Даёт вам красные туники /И роскошь золотых корон“<sup>1</sup>. პოეტს ენიშნა, რომ „ოქტომბრის“ მიერ ნაჩუქარი გვირგვინები დიდებულების განცდას აჩენს. გოტიესთან ეს სიტყვები მიემართება წაბლის ხეებს პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე, გალაკტიონმა კი სწორედ ალეგორიულ აზრთან დააკავშირა. ოქტომბრის რევოლუციამ ბევრს შეუქმნა გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ დიდებულებაზე.

გოტიეს ეს სიტყვები რამდენჯერმე აქვს პოეტს ჩაწერილი კიდეც ერთ ფურცელზე<sup>2</sup>, რომლის მეორე გვერდზე არის თავფურცელი ლიბრეტოსი სათაურით „აღმოსავლეთი“ და მიწერილია კომპოზიტორების გვარები. 1930 წლის 3 მარტის ჩანაწერიდან<sup>3</sup> ვიცით, რომ გალაკტიონს განზრახული ჰქონდა თავისი საღამოს ორგანიზებაში დახმარება ეთხოვა კომპოზიტორებისთვის. ამ ორ ჩანაწერში 3 კომპოზიტორის გვარი ერთმანეთს ემთხვევა, რაც ასევე მიგვანიშნებს 1930 წელზე. შესაბამისად, ლიბრეტოს შესახებ გაკეთებული ეს ჩანაწერიც და გოტიეს ფრაზის ამონაწერებიც დიდი ალბათობით 1930 წელს უნდა იყოს გაკეთებული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ავტოგრაფულ ესეში „რომანტიზმი“<sup>4</sup> და 1922 წლის 10 დეკემბერს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ გამოქვეყნებულ ღია წერილში ნიკო ნიკოლაძისადმი<sup>5</sup> საუბარია გრაფინია იზორაზე და ნახსენებია ჟონგლიორი. რამდენადაც გი დე მოჰასანის პიესა „გრაფინია დე რიუნის ღალატი“ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი (1927), ეს სახეები პოეტს ალექსანდრ ბლოკის პიესიდან „ვარდი და ჯვარი“ უნდა ჰქონოდა აღებული. შესაბამისად, ეს ტექსტი 1922 წლის 10 დეკემბრამდე უნდა წაეკითხა.

◇ 1950 წლის 19 თებერვალს გაკეთებულ ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს სენ-სიმონის მემუარებში ამოკითხულ ინფორმაციას, რომ

---

<sup>1</sup> თარგმანი ეკუთვნის ნიკოლაი გუმბილიოვს.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N103, გვ.1, 2.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 24.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, დ-645-10.

<sup>5</sup> „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №2, გვ. 1.

ბარონი ლოზენი ენის კიბოთი გარდაიცვალა. შესაბამისად, გალაკტიონს ეს მემუარები წავითხული უნდა ჰქონოდა. წიგნის *Луи де Сен-Симон, Мемуары: Избранные части "Подлинных воспоминаний герцога де "Сен-Симона о царствовании Людовика XIV и эпохе регентства"* პირველი ტომი რუსულ ენაზე გამოიცა 1934 წელს, მეორე კი 1936-ში. რამდენადაც ლოზენის ავადმყოფობის შესახებ საუბარია მეორე ტომში, პოეტს იგი შეიძლებოდა წაეკოხა 1936 წლიდან 1950 წლის 19 თებერვლამდე ნებისმიერ დროს.

◇ 1950 წლის 3 დეკემბერს გალაკტიონი უბის წიგნაკში აკეთებს ვრცელ ამონაწერს ჯეკ ლინდსის წიგნთან დაკავშირებით<sup>1</sup>. გავარკვეთ, რომ ეს არის ვ. რუბინის სტატია „ინგლისელი მწერლის საბჭოური დღიურები“<sup>2</sup> და ის ეხება ჯეკ ლინდსის წიგნს „მომავლის სამყარო“, რომელიც მან 1949 წელს საბჭოთა კავშირში ყოფნისა და პუშკინის საიუბილეო ღონისძიებებზე დასწრების შთაბეჭდილებებით დაწერა.

◇ 1950 წლის ერთ-ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაწერილი აქვს ყვავისა და არწივის იგავი, მაგრამ მითითებული არ აქვს წყარო<sup>3</sup>. კვლევამ გვაჩვენა, რომ ამ ტექსტის წყარო არის ალექსანდრ პუშკინის რომან „კაპიტნის ქალიშვილის“ ის ეპიზოდი, რომელშიც პროტაგონისტი პიოტრ გრინევი ემელიან პუგაჩოვს ურჩევს, დაემორჩილოს დედოფლის ნებას და დაწებდეს. სწორედ ამის საპასუხოდ უყვება პუგაჩოვი ამ კალმიკურ იგავს.

◇ 249-ე უბის წიგნაკში არის რუსულენოვანი ამონარიდი, რომელშიც ვიღაც მადლობას უხდის სტალინს იმისთვის, რომ ხალხს წერის უფლება მისცა<sup>4</sup>. მითითებულია „ლიტერატურნაია გაზეტას“ 25 იანვრის ნომერი. გაზეთის გადათვალისწინებით დადგინდა, რომ გაზეთის ამ ნომერში რამდენიმე წერილია გამოქვეყნებული გიორგი ლეონიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ეს სიტყვები კი არის ამონარიდი სტატიიდან

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, დ-261, 48-50; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ.104.

<sup>2</sup> Рубин В. Советские дневники английского писателя. — Новое время, М., 1950, № 45, стр. 29—32.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 249, გვ. 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ.11.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-249, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ.14.

„Творческий вечер Г. Н. Леонидзе“, რომელშიც ფრაზა ციტირებულია, როგორც გიორგი ლეონიძისა<sup>1</sup>.


◇ ერთ-ერთ დღიურში გალაკტიონს ჩაწერილი აქვს რამდენიმე გვერდის მოცულობის პროზაული მხატვრული ტექსტი, სათაურით „ცეცხლი“, რომეშიც მოთხრობილია, როგორ გადაარჩინა ძაღლმა ხანძრის დროს მეხანძრის ოჯახი. ქართულ ტექსტში შემორჩენილია რამდენიმე რუსული სიტყვა, რომლებიც ავტორმა, სავარაუდოდ, შემდგომი გადამოწმებისთვის დატოვა. სწორედ ეს მიგვანიშნებს, რომ ტექსტი პოეტის მიერ არის რუსულიდან თარგმნილი. ეს სიტყვებია „рукав“ და „клубами дыма“<sup>2</sup>. ნაწარმოების პროტაგონისტია ჰარტმანი. ეს მინიშნებები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინტერნეტში გვეპოვნა ეს ტექსტი. იგი რამდენჯერმე გამოქვეყნდა რუსულად ძაღლების შესახებ შედგენილ კრებულებში და მის ავტორად მითითებულია ლოიდ უილისი. ერთ-ერთი ასეთი კრებული გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1927 წელს სერიით Природа и животные, Собаки Антология классической прозы და მასში შეტანილია ჯეკ ლონდონის, ერნსტ სეტონ ტომფსონის, ჩარლზ რობერტსის, ალფრედ ედმუნდ ბრემის, ჯეკსტერ იგლის, ლეონ ფრაპიესა და გორდონ კასერლის ტექსტები. ლოიდ ვილისის ნოველას სათაურად აქვს „Пятнистый“.

---

<sup>1</sup> Творческий вечер Г. Н. Леонидзе, Лит. газета, 1950, №8, 25 Января, стр. 3.

<sup>2</sup> ქლმ, დ-123, 26-29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 578-581.

◇ 1921 წლის 2 აპრილით დათარიღებული ჩანაწერის შემდეგ რუსულად იწეს ლექსის სტროფს<sup>1</sup>. ჩანაწერი ფანქრით არის



გაკეთებული და დროთა განმავლობაში საკმაოდ გახუნებულია, ამის გამო საარქივო გამოცემაში გამოქვეყნებულ ტექსტში ზოგიერთი სიტყვის სავარაუდო წაკითხვა არის მოცემული. თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექსტის გამუქება და უფრო ზუსტად ამოკითხვა, შედეგად მცირეოდენი კვლევით დადგინდა, რომ პოეტმა უბის წიგნაკში ჩაიწერა ედგარ პოს ლექსის „ლეონენი“ ვალერი ბრიუსოვისეული თარგმანის პირველი სტროფი: „Леонени“ – имя дали серафимы ей, / Свет звезды лучистой взяли для ее очей, / Взял мрак ночей безлунных для волос глубокорунных, /И меня при песнях струнных обрुчили с ней.“.

◇ უბის წიგნაკში<sup>2</sup> წერს მეცხრამეტე საუკუნის რუსი პოეტის ივან აკსაკოვის ლექსის სტროფს, რომელშიც ნათქვამია, რომ საეკლესიო ზარი ქრისტიანებს მწუხრის ლოცვაზე უხმობს, ხვალ კვირაა და დასვენება სამუშაოსგან. სტროფი 1948 წლის 6 მაისს უნდა იყოს დაწერილი, რადგანაც ეს დღე მუდმივი კალენდრის მიხედვით შაბათია, ხოლო ჩანაწერი მოთავსებულია 6 მაისით დათარიღებული ჩანაწერის შემდეგ.

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 46. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 56;

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-204, გვ. 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 305.



◇ უბის წიგნაკში<sup>1</sup> რუსულად წერს: „Безконечно нудно буравит свою собственную душу (Надсон)“, ანუ „უსასრულოდ გულის წამღებად ბურღავს საკუთარ სულს (ნადსონი)“. ჩანაწერის ბოლოს მითითებულია რუსი პოეტის, სემიონ ნადსონის გვარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ციტატა გალაკტიონმა პოეტის რომელიღაც დახასიათებიდან ამოიწერა, მაგრამ აღნიშნული სტრიქონი გალაკტიონს ამოუწერია ოსიპ მანდელშტამის წერილიდან „თანამოსაუბრეზე“ („О собеседнике“), რომელშიც იგი ნადსონს არ ახსენებს და სრულიად სხვა პოეტების მაგალითი მოჰყავს. ამ სიტყვებს იგი იყენებს ურთიერთობების დახასიათებისთვის და წერს, რომ „ურთიერთობების გემო თანამოსაუბრეზე ჩვენი რეალური ცოდნის უკუპროპორციულია, და პირდაპირპროპორციულია საკუთარი თავით მისი დაინტერესების სურვილისა. აკუსტიკაზე ზრუნვა საჭირო არ არის, ის თავისით მოვა. უფრო მანძილზე ზრუნვაა საჭირო. მოსაწყენია მეზობლისთვის გადაჩურჩულება. უსასრულოდ, გულის წამღებად ბურღვა საკუთარი სულისა“ – „Бесконечно нудно буравить собственную душу“. გალაკტიონმა თავისებურად გაიაზრა ეს წინადადება და იგი ნადსონის შემოქმედებას მიუსადაგა. აღსანიშნავია, რომ მანდელშტამის სტატია მან ჟურნალის „აპოლონი“ 1913 წლის მეორე ნომერში წაიკითხა.

◇ უბის წიგნაკში იწერს რუსული ლექსის სტრიქონებს<sup>2</sup>, „Поэтом можешь ты не быть, / Но гражданином быть обязан“, მაგრამ არ უთითებს ამ სტრიქონების არც ავტორს და არც სათაურს, აღმოჩნდა, რომ ეს სტრიქონები არის ნიკოლაი ნეკრასოვის ლექსიდან „პოეტი და მოქალაქე“.

◇ უბის წიგნაკში რუსულ ენაზე იწერს ფრაზას იმის შესახებ, რომ ფრანგულ განყოფილებაში ახალი პოეზია იწყება ბოდლერით, დამყარებული ტრადიციის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც მას ტეოფილ გოტიე ხსნიდა, მაგრამ არ უთითებს ამ წინადადების ავტორს. ძიების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პოეტი კითხულობდა 1913 წლის ჟურნალის „აპოლონი“ მეორე ნომერში დაბეჭდილ ნიკოლაი

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 52.

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 55;

გუმლიოვის კრიტიკულ რეცენზიას „თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიაზე“, რომელიც კიევში, 1912 წელს გამოიცა.

◇ უბის წიგნაკში იწერს წინადადებას „სიკვდილი ოსკარ უაილდისა“<sup>1</sup>. პოეტს არ დაუტოვებია არანაირი მინიშნება, მაგრამ აღნიშნული ფრაზის ინტერნეტსივრცეში რუსულად მოძიების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პოეტი კითხულობდა 1912 წლის ჟურნალის „აპოლონი“ მეორე ნომერში დაბეჭდილ ალექსანდრ გიდონის წერილს „სიკვდილი ოსკარ უაილდისა“.

◇ უბის წიგნაკში დ-5 რუსულ ენაზე წაკითხული ფრანგი მწერლის ჟორის-კარლ *ჰიუისმანსის რომანიდან „ბუნების წინააღმდეგ“ (À rebours)*, იწერს მისთვის საინტერესო სახელებს, შედარებებს და ლექსიკონით თარგმნის უცნობ სიტყვებს. ამ ჩანაწერში დასახელებული არ არის არც რომანი, არც მისი ავტორი და არც თარგმანის ავტორი, თუმცა ამის გარკვევა სიტყვობრივი მასალის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.<sup>2</sup> რომანი არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, რუსულად კი გამოიცა 1906 წელს, თარგმნა მარია ალექსის ასულმა გოლოვკინამ, რომლის თარგმანსაც გამომცემლობები დღემდე აქვეყნებენ და რომელსაც გალაკტიონი 1921 წელსაც კითხულობდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. გალაკტიონის ჩანაწერში: „ბულდოგი – ჯიში ... ძაღლების, მოკლე თათები, დიდი თავი, ფართე გული და პრტყელი (тупой) ცხვირი“. რომანში: „Женщина-бульдог пришла в еще больший ужас“; გალაკტიონი: „აგონია“ – რომანში: „Страх, что болезнь вернется, что начнется мучительная агония“ და სხვა. თარგმნის ცალკეულ სიტყვებს და წინადადებებს. იწერს ძვირფასი ქვების და საღებავების სახელწოდებებს: „ლდაპის ლაზული – ლილა ქვა. ლურჯი (ლაჟვარდი) ფერის, რომლისგანაც მზადდება ულტრამარინი (ამოთხრილი Лазурон – მისგან შემზადებული ანუ თვისებითიანი ლაზური ფერადი)“. ამ ჩანაწერთან ახლოს არის პოეტის ერთი დაუთარიღებელი ლექსი, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით „თქვენ გართობდით“ 1927 წელს გამოცემულ კრებულში „ლექსები“, რომელსაც პოეტი „ზარნიშიან წიგნს“ უწოდებდა. ლექსში გვხვდება ასეთი

---

<sup>1</sup> კლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 34; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 55;

<sup>2</sup> კლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-5, გვ. 1-4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 38, 39;

სტრიქონები: „თქვენ გართობდათ ზღვათა გული და სული, / და თვალები გქონდათ მშვიდი, ზღვისფერი, / მოლაჟვარდე, როგორც



ლაფის-ლაზური, / ლაჟვარდებთან იდგა ლიუციფერი“. საფიქრებელია, რომ ამ ლექსის წერა მან დაახლოებით ამ ჩანაწერების გაკეთების პერიოდში დაიწყო. ამავე რომანიდან პოეტი ინიშნავს მხატვრების გუსტავ მოროსა და რუბენსის გვარებს. რომანის პროტოგონისტი დეზ ესენტი აღწერს გუსტავ მოროს 1876 წელს შექმნილ ორ ნაწარმოებს „იროდის წინ მოცეკვავე სალომეა“ და „L'Apparition – გამოცხადება (სალომეა)“. ამ აღწერილობებმა

გალაკტიონის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რომანიდან იწერს ნახატების აღწერილობის დეტალებს, ყვავილების სახელებს, ქალის სხეულის ფერებს: „ლოტოსი გრძელი. სახე პერგამენტივით ყვითელი. ცეცხლის გველები. Платье шевелилось на матовом теле – ჩაისვარდისფერი სხეულის კანი“ და სხვ. დეზ ესენტი ასევე ახსენებს რუბენსის ამავე თემაზე შექმნილ ტილოს. რუბენსს იგი „ხორცის გამომსახველს“ უწოდებს, რომელმაც სალომეა



„ფლამანდიურ დეკეულად“ აქცია. გალაკტიონმა ეს მოკლედ ჩაინიშნა – „ყსაბი რუბენსი“. ჰიუსმანსის გვარს გალაკტიონის ჩვენს ხელთ არსებულ ჩანაწერებში ვხვდებით მხოლოდ 1943 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში: „დემონი სიცილისა ილღიებში უხიციანებს მთელ დარბაზს იმ

გულის წასვლამდე, რომელსაც ჰიუსმანისი ღვთაებრივ ისტერიას უწოდებდა“ (დ-157). ერთ მოგონებაში კი წერს, რომ ტიციან ტაბიძემ, მის ძმას აბესალომს დეზ ესენტი შეარქვა, რადგანაც ის „ყველაფერს უკუღმა აკეთებდა“. (დ-144).

◇ უბის წიგნაკში დ-5 წერს თევდორე დოსტოევსკის მოთხრობის „სოფელი სტეფანჩიკოვო და მისი მოსახლეობა“, პერსონაჟის გრიგორი ვიდოპლიასოვის ერთერთ ფსევდონიმს ესბუჟეუტოვი. უბის წიგნაკში დასახელებული არ არის არც მოთხრობა, არც მისი ავტორი, თუმცა ამის გარკვევა მოთხრობის პერსონაჟის ფსევდონიმის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.<sup>1</sup>

◇ უბის წიგნაკში<sup>2</sup> წერს „სახელების შესახებ. „აპოლონი“, №2, 1913. ეს ისეა: მოულოდნელად რომ ვინმე შენს სახელს ამოიძახებს“. სხვა ინფორმაცია უბის წიგნაკში მოცემული არ არის. პირველ რიგში მოვიძიეთ რა გამოცემაა „აპოლონი“, აღმოჩნდა რომ ეს არის რუსული ილუსტრირებული ჟურნალი სახვითი ხელოვნების, მუსიკის, თეატრის და ლიტერატურის საკითხებზე, რომელიც 1909–1917 წლებში გამოიცემოდა სანკტ-პეტერბურგში. მოვიძიეთ 1913 წლის ჟურნალის №2, რომელშიც გამოქვეყნებული ყოფილა გეორგი ლუკომსკის წერილი „ახალი პეტერბურგი“. ნაშრომში მოხსენიებულია სხვადასხვა ავტორი, რომელთაც პეტერბურგის შესახებ აღტაცებული გამოხმაურებები აქვთ. მათ შორის ლუკომსკი ასახელებს გალაკტიონოვს, რომლის გვარმაც პოეტის ყურადღება მიიპყრო. ამ პერიოდში რამდენიმე გალაკტიონოვი მოღვაწეობდა, მცირეოდენი ძიების შემდეგ დადგინდა, რომ ეს უნდა იყოს მხატვარი სტეფანე გალაკტიონოვი, რომელსაც პეტერბურგის და მისი შემოგარენის ხედების შესრულებისთვის და გრავირებისთვის რუსეთის სამხატვრო აკადემიაში აკადემიკოსის წოდება მოუპოვებია. გარდა ამისა, ამ ჩანაწერის მეშვეობით შესაძლებელი გახდა გალაკტიონის სხვა ჩანაწერების, სხვადასხვა ნაწარმოებების სათაურების, ჟურნალიდან ამოწერილი ციტატების და მათი ავტორების დადგენაც.

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-5, გვ. 11, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 41;

<sup>2</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 43. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 56;

◇ უბის წიგნაკში ჩაწერილია ციმბირელი პოეტის დიმიტრი დავიდოვის პოპულარულ რომანსად ქცეული ლექსის დაუსრულებელ სტრიქონი „Славное море, священный...“<sup>1</sup>. გალაკტიონი არ მიუთითებს სტრიქონის ავტორის ვინაობას. 1848 წელს ვერხნეუდინის საოლქო სასწავლებლის ზედამხედველმა დიმიტრი დავიდოვმა დაწერა ლექსი „გაქცეულის ფიქრები ბაიკალზე“. იგი მიემდვნა კატორლიდან გამოქცეულებს. ავტორმა ლექსის შესახებ განმარტება გააკეთა გაზეთში „ოქროს საწმისი“ დაბეჭდილ ინტერვიუში: „გადასახლებაში ქარხნებიდან და დასახლებებიდან გაქცეულები არაჩვეულებრივი სიმამაცით უმკლავდებიან გზაში ბუნებრივ ზღუდეებს. ისინი მიდიან მთების ქედებით, ჭაობებით, ხის მორს ჩაბლაუჭებულები ცურვით გადადიან უზარმაზარი მდინარეების მეორე ნაპირზე, იყო შემთხვევები, როცა რისკავდნენ ბაიკალის გადაცურვას ზღვისპირას ნაპოვნის კასრებით“. 1850-იან წლებში გაჩნდა ამ ლექსის მუსიკა, რომელიც ნერჩენსკის მადაროების უცნობმა პატიმრებმა შეთხზეს, ამიტომაც სიმღერა ხალხურად ითვლება. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დროს, ეს სიმღერა მარსელიეზასთან ერთად რევოლუციის ერთერთ ჰიმნად იქცა და, როგორც ჩანს, გალაკტიონის ყურადღება მიიზიდა.

---

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-3, გვ. 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 24;

## მისტიფიკაციები, მითები და წყაროს „არარსებობა“, როგორც ინფორმაციის წყარო

მაია ნინიძე

ტექსტოლოგიური კვლევები ავთენტურ წყაროებსა და ფაქტობრივ მტკიცებულებებს ეყრდნობა და ამიტომ მაღალი სიზუსტისაა, მაგრამ თავად წყაროების გამოყენებისას ხშირად გვიხდება მათთვის კრიტიკული თვალთ შეხედვა და იმაზე დაფიქრება, რამდენად პირდაპირი და ზუსტი სახით არის არეკლილი რეალობა. გურამ რჩეულიშვილი ერთგან დღიურში წერს<sup>1</sup>: „დედაო ღვთისა, მზეო მარიამ, / როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, / ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია / და შორეული ცის სილაჟვარდე“ დავწერე დამოუკიდებლად გ. ტაბიძისა“. ჩვენ რომ წყაროებიდან ინფორმაციის ამოღებისას მათ წინდაწინ კრიტიკული თვალთ არ ვაფასებდეთ, ამ ჩანაწერის მიხედვით დავწერდით, რომ გურამ რჩეულიშვილმა ეს ლექსი გალაკტიონ ტაბიძისგან დამოუკიდებლად თავადაც დაწერა. რა თქმა უნდა, ეს აბსურდი და უდიდესი შეცდომა იქნებოდა. რეალურად, ქართველ პროზაიკოსს ერთი ასეთი თვისება ჰქონდა, როდესაც რაღაც ტექსტი ძალიან მოსწონდა, იმდენად იჭრებოდა მის არსებაში და ისეთ სიამოვნებას ანიჭებდა, თითქოს მისი დაწერილი ყოფილიყო, თითქოს თავად ყოფილიყო შემოქმედი. განხილული ჩანაწერი მისი ასეთი განცდის გამოვლინებაა და არა ფაქტი, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ. ვფიქრობთ, ეს მაგალითი კარგად ასახავს, რატომ არის საჭირო წყაროებიდან მატრიანეში ინფორმაციის გადატანამდე იმის გარკვევა, პირდაპირ ასახავს თუ არა იგი რეალობას, ხომ არ არის ხუმრობა, ირონია ან მისტიფიკაცია.

მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდში გალაკტიონი ხშირად მიმართავდა თავისი ცხოვრების ადრეული პერიოდის მისტიფიკაციას. როდესაც კომუნისტურ პარტიაში შესვლა შესთავაზეს, მოიგონა, რომ ის უკვე იყო ამ პარტიის წევრი და მეტი დამაჯერებლობისთვის მოსკოვის პარტიული არქივებიდან 1917 წლის საბუთების მოძიება ითხოვა. როდესაც მისი შემოქმედების ორად დაყოფა დაიწყეს –

---

<sup>1</sup> ქლმ, N32 400-ბ., გრცა, N415 1რ.; გურამ რჩეულიშვილი, თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, შემდგენელ-რედაქტორი – მარინე რჩეულიშვილი, ტ. 5, თბილისი, „საარი“, 2007, გვ.85.

რევოლუციამდელად და რევოლუციის შემდეგდროინდელად, პირველ პერიოდს პესიმისტური დაარქვეს და გაჩნდა იმ პერიოდის ლექსების „ჩამოფასების“ საშიშროება, გადაწყვიტა თავისი „რევოლუციური“ ბიოგრაფიის სათავეების 1905 წელში გადატანა და „რეალისტური“ ფაქტებით გამდიდრება. ვფიქრობთ, ასეთი მისტიფიკაციის შედეგი უნდა იყოს მის ჩანაწერებში გაჩენილი არაერთი დეტალი, რომლებიც მისსავე ადრეულ წყაროებში არ დასტურდება. ასეთებია, მაგალითად, რევოლუციონერ წითელიშვილთან და „ბამბურა მურასთან“ დაკავშირებული ისტორიები.

გალაკტიონი გვიანდელ ჩანაწერებში იგონებს, თითქოს სამტრედია-ვანში მოქმედი რევოლუციურ-პარტიზანული რაზმის მეთაურს – სამსონ წითელიშვილს 1905 წელს წააკითხა თავისი პიესა „წითელიშვილის რაზმი“, რომელიც რევოლუციონერს ძალიან მოეწონა<sup>1</sup>. ერთ-ერთ ჩანაწერში ნათქვამია ისიც, რომ ეს პიესა 1906 წელს ქუთაისში არქიელის გორაზე თავისი ნათლის – ანდრო წერეთლის სახლში თავადვე დადგა<sup>2</sup>. პოეტის ამ ჩანაწერებს ეყრდნობა გვიანდელი მეორეული წყაროებიც<sup>3</sup>. ერთადერთი წყარო, რომელშიც ეს წითელიშვილია ნახსენები და რეალურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩანს ნიკა აგიაშვილის პუბლიკაცია „ჩუმად, წარსულო, ჩუმად“<sup>4</sup>, რადგან მასში გადმოცემული ცალკეული ფაქტები ემთხვევა გალაკტიონის დედის, მაკრინე ადეიშვილის 1909 წლის 7 სექტემბრის წერილს თავისი ძმისშვილის, მიხაკო ადეიშვილისადმი. მოგონებაში საუბარია იმაზე, რომ იმ მაყრობის დროს, რომლის შემდეგაც გალაკტიონმა წითელიშვილი ნახა, მას თან ჰყავდა ნათხოვარი ცხენი, რომელმაც წისქვილის არხში გავლისას ფეხი დაიზიანა. გარდა იმისა, რომ გალაკტიონს ამის შემდეგ სულ ფეხით მოუხდა სიარული, ბუნებრივია, იძულებული გახდა ცხენის პატრონისთვის კომპენსაცია გადაეხადა. მაკრინე ადეიშვილი წერს: „იქ მაყურებში აგულავეს... კარგი მაყურობა გამოიწყეს... მე ქე დამლუპეს და დამაფსეს თუ მეტი არა ოცი ან

<sup>1</sup> ქლმ, დ-659-11. ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 281.

<sup>2</sup> ქლმ, დ-659-11. ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 281. ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2006, გვ. 467.

<sup>3</sup> ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 16.

<sup>4</sup> ნ. აგიაშვილი, „ჩუმად, წარსულო, ჩუმად“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1981, 16 იანვარი, N 3, გვ.12-13.

თუთხმეტი თუმნის ზარალი მაინც მომცეს“<sup>1</sup>. რამდენადაც ამ მოგონებაში საუბარია ქორწილის შემდეგ გალაკტიონის წითელიშვილთან ერთად მგზავრობაზე, მაგრამ არ ჩანს, რომ პოეტს უკვე ჰქონოდა დაწერილი პიესა ამ რევოლუციონერზე, ვფიქრობთ, სხვა წყაროებში აღწერილი ფაქტები, თითქოს 1905-1906 წლებში უკვე ჰქონდა პიესა სათაურით „წითელიშვილის რაზმი“, რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს.

გალაკტიონის ჩანაწერებში ასევე მოგვიანებით გაჩნდა და შემდეგ მოგონებებშიც განმეორდა პოემაში „ბამბურა მურა“ აღწერილი სიტუაცია, თითქოს გალაკტიონი და მისი მეგობრები 1905-1907 წლებში ქუთაისის ციხეში დატყვევებულ რევოლუციონერებს ინფორმაციის ადრესატებამდე მიტანაში ეხმარებოდნენ. მოგონების მიხედვით, რევოლუციონერები თავიანთ გზავნილებს ბარათებზე წერდნენ და პურის გუნდაში გახვეულს ფანჯრიდან აგდებდნენ. აქვე ნათქვამია, თითქოს, ერთხელ, გალაკტიონის მორიგეობის დროს, პატიმრების მიერ გადაგდებულ პურის გუნდას ძაღლმა სტაცა პირი და პოეტს დიდი ძალისხმევა დასჭირდა წერილის ხელში ჩასაგდებად. ბარათში რევოლუციონერი პატიმრები თავიანთ მეგობრებს იარაღის შეგზავნისა და ციხის გატეხის დროს უთანხმებდნენ. გალაკტიონი, თითქოს, მთელი ღამე მოუთმენლად ელოდა გათენებას, რომ ეს ამბავი არალეგალურ შტაბში მიეტანა<sup>2</sup>. რამდენადაც ამ ფაქტზე ირიბად მიმანიშნებელი რაიმე მტკიცებულება პოეტის ადრეულ ჩანაწერებში არ აღმოჩნდა, ისიც მისტიფიკაციად მივიჩნიეთ და მატთანეში არ შეგვიტანია.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გალაკტიონი ძალიან თავისუფლად ექცეოდა საკუთარი ლექსების დათარიღებას. როცა გამომცემლები სთხოვდნენ ტექსტთან თარიღი ყოფილიყო მითითებული, იქვე აწერდა იმ თარიღებს, რაც პირველად მოაფიქრებოდა. თუ მასალა წიგნში წლების მიხედვით უნდა დალაგებულიყო, უპრობლემოდ გადაჰქონდა ტექსტები სხვადასხვა წლის განყოფილებებიდან ისეთი წლების შესავსებად, რომლებშიც ბუნებრივად ცოტა მასალა ხვდებოდა. ამგვარი

---

<sup>1</sup> მაკრინე ადეიშვილის წერილი მიხაკო ადეიშვილისადმი, გტცა, №1527, გვ. 1-4.

<sup>2</sup> გ. ლიახვისპირელი, ერთია გალაკტიონი შეხვედრები ცხინვალში, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 342.



ცვლილებები რაიმე კონცეპტუალურ ფარულ ჩანაფიქრს არ უკავშირდებოდა და მხოლოდ პრაგმატული დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ როდესაც 1936 წელს ოლია ოკუჯავას დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში დაწერილ ლექსს „მერის თვალებით“ 1916 წელი მიაწერა<sup>1</sup>, ამას, აშკარად სხვა, უფრო ღრმა მიზეზი ჰქონდა. ცოლის გადასახლების შემდეგ პოეტს გამადიდებელი შუშით უყურებდნენ, რომ რაიმე საბაზი მის დასაპატიმრებლად გამოეძებნათ. ამიტომ თავისი განცდების თავისუფლად გამოხატვის უფლებას ვერ მისცემდა საკუთარ თავს. ეს იყო დრო, როდესაც კომუნისტები გადასახლებულების არასრულწლოვან შვილებსაც კი სთხოვდნენ მშობლების ღიად დაგმობას და მით უფრო ზრდასრულ ადამიანს არ მისცემდნენ საშუალებას, რომ ცოლის გადასახლებით განცდილი ტრაგედია საჯაროდ გამოეხატა.

ასევე მიზანდასახული იყო გალაკტიონის მიერ ადრეული თარიღების მიწერა ისეთი ლექსებისთვის, რომლებიც რევოლუციური შინაარსით „ამდიდრებდა“ მის ადრეულ წარსულს. ლექსს „პირველი მათის“<sup>2</sup> 1933 წლის პუბლიკაციაში პოეტმა დაურთო შენიშვნა, თითქოს ის პირველად წაიკითხა 1908 წელს გამართულ არალეგალურ საღამოზე. ეს ფაქტი ბევრს აეჭვებდა, მაგრამ გალაკტიონი ბოლომდე ამტკიცებდა, რომ ნამდვილად ასე იყო<sup>3</sup>. ლექსის 1908 წელს დაწერის ფაქტში ეჭვის შეტანის საშუალებას მაინც გვაძლევს ის, რომ ერთ ავტოგრაფში „1908“ „1905“-ად არის გადაკეთებული. აშკარაა, რომ რაღაც ეტაპზე ავტორი ლექსის კიდევ უფრო დაძველებას აპირებდა, ეს კი მისტიფიკაციაზე მიმანიშნებელია.

გალაკტიონის არქივზე მუშაობისას დავრწმუნდით, რომ გარკვეულ ვითარებაში წყაროს არარსებობა შეიძლება თავად იქცეს ინფორმაციის წყაროდ. როგორც ამბობენ, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივით ბევრი იყო „დაინტერესებული“. გალაკტიონს ერთი თვისება ჰქონდა – ბოროტებაზე ბოროტებით არავის პასუხობდა,

<sup>1</sup> მ. ნინიძე, არჩევანი ორი ალტერნატიული თარიღიდან, წიგნში: „გრაფემატული კვლევა“, თბ., 2025, გვ. 157-175.

<sup>2</sup> ქლმ, №1248; №3265; №5552; №4763; №5381; №2725; გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 37.

<sup>3</sup> ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი, გტცა N1446, გვ.1.

მაგრამ ყოველთვის ახდენდა იმის რეფლექსირებას, ვინ როგორ ექცეოდა და საკუთარ დამოკიდებულებას ყოველივე ამისადმი, დღიურებში იწერდა. ამიტომ ყველა, ვინც მის წინაშე დამნაშავე იყო, შიშობდა, რომ არქივში მათზე რაიმე არასასიამოვნო იქნებოდა ჩაწერილი. მართლაც ბევრის შესახებ არის იქ კრიტიკული აზრებიც, მწარე ირონიაც და ფუნაგორიებიც, მაგრამ დიდი ალბათობით, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა ზოგიერთებს არქივის „წმენდა“ რომ არ ჩაეტარებინათ.

ბუნებრივია, გალაკტიონის იდუმალებით მოცული გარდაცვალების მიზეზების ასახსნელად, ყველაზე მეტად უკანასკნელი დღეების ჩანაწერები დაგვეხმარებოდა, მაგრამ, პოეტმა რომელიც წლების განმავლობაში თითქმის ყოველი დღის ამბებს სკრუპულოზურად აღწერდა, მაინცადამაინც სიცოცხლის ბოლო პერიოდში „თქვა უარი“ ამ ჩვეულებაზე. უბის წიგნაკში მისი ბოლო თარიღიანი ხელნაწერი გარდაცვალებამდე თითქმის ერთი თვით ადრეა დაწერილი. ვერასოდეს გავიგებთ, ვინ რა ფურცლები გაიტანა პოეტის არქივიდან და რამდენი უბის წიგნაკია დაკარგული, მაგრამ იმ ბლოკნოტის მიხედვით, რომელიც გარდაცვლილ პოეტს საავადმყოფოს ხალათის ჯიბეში ჩადებული დარჩა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ არასასურველი ჩანაწერების განადგურებაზე ვილაცქებმა ნამდვილად იზრუნეს. ეს უბის წიგნაკი პოეტს თავისი გერის პატარა ქალიშვილმა – მარინე ფირცხალავამ აჩუქა ბავშვური წარწერით და გალაკტიონმაც იქვე მიუწერა ექსპრომტად ერთი სტროფი. შესაბამისად, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მას ამ სამახსოვრო უბის წიგნაკიდან ფურცლები თავად ამოეხია, არადა უბის წიგნაკს ფურცლები აკლია. ამ რუსულალფავიტინი ბლოკნოტიდან ამოხეულია პირველი და ასო „I“-ს შესაბამისი ფურცლები. ვინ იცის, იქნებ მათზე ისეთი რამ ეწერა, რაც მიგვანიშნებდა 1959 წლის 17 მარტს მომხდარის მიზეზებზე, პოეტის განწყობაზე ან მის უკანასკნელ ნებაზე. ასეთი „ნივთმტკიცება“ ვინმესთვის ბრალის დასადებად, რა თქმა უნდა, არ გამოდგება, მაგრამ რაღაც ისეთის არსებობაზე მიმანიშნებელი კი არის, რისი გახმაურებაც ვილაცას არ უნდოდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულებების



განადგურებით მოსუფთავებული კვალი თავად ხდება მტკიცებულება. ამ გადასახედიდან, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებ ნდობას იმსახურებდნენ გალაკტიონის გვერდით მყოფი ის ადამიანები, რომელთა შესახებაც მთელს არქივში ერთი უარყოფითი ჩანაწერიც კი არ მოიპოვება, არადა პოეტს არ უნდა გასჭირვებოდა მათი რეალური სახისა და მისდამი უსიყვარულობის დანახვა.

როდესაც ბართლომე პატარაიამ გალაკტიონს ვაჟა-ფშაველას ერთი უბის წიგნაკი აჩვენა და უთხრა, რომ მისმა ვაჟმა ვახტანგმა აჩუქა<sup>1</sup>, გალაკტიონი გაოგნებული დარჩა. არ უნდოდა წარმოედგინა, რომ დიდი შემოქმედის შვილს შეიძლებოდა ასე ვიღაცისთვის მიეცა ის, რაც კულტურული მემკვიდრეობა იყო და არა უბრალოდ კერძო საკუთრება. ალბათ მის ნაწერებსაც ასეთი ბედი რომ არ სწეოდა იმიტომ ცდილობდა მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობას, სადაც მისი ხელნაწერები უფრო დაცული იქნებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. სხვაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი „დანაკარგი“ კი ნამდვილად იკვეთება. როგორც პოეტის ჩანაწერებიდან არის ცნობილი, მას ჰქონდა თავისი პირველი წიგნის ხელნაწერი „მაკეტი“ 61 ლექსით, რომელთა უმეტესობა სხვა კრებულებში არ შეუტანია. მართალია, სახსრების უქონლობის გამო ამ წიგნის გამოცემას ხორცი ვერ შეასხა, მაგრამ ყველგან თავის პირველ წიგნად მოიხსენიებს<sup>2</sup>. ეს ხომ ერთი ფურცელი არ არის, რომ შემთხვევით დაკარგულიყო. ის ვერსად გაქრებოდა და იმედი გვაქვს, რომ აუცილებლად გამოჩნდება.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი: ქლმ, №423. გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 48.

<sup>2</sup> განცხადების ტექსტი, ქლმ, დ-572-10.

### ლევან ბებურიშვილი

◇ გალაკტიონის ჩანაწერებში ზოგჯერ ვხვდებით შემთხვევას, როდესაც პოეტი პირდაპირ არ ასახელებს იმ პირთა ვინაობას, რომელთაც ჩანაწერი ეხება. ზოგიერთი პირი ხანდახან მოხსენიებულია მხოლოდ სახელით, ან ინიციალით და პირთა ვინაობის დასადგენად აუცილებელი ხდება დამატებითი კვლევების წარმოება. ასე, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის 1935 წლის 22 აპრილით დათარიღებული ჩანაწერი ეხება ვიღაც პირის ავადმყოფობას<sup>1</sup>. პოეტი მიუთითებს, რომ ავადმყოფი ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიც იმყოფებოდა მისი დიასახლისი დესპინე 1907 წელს. აღწერილია ავადმყოფობის ნიშნები: სისხლჩაქცევა ტვინში, დამბლა და ფილტვების ანთება. მოყვანილია ექიმის სიტყვები, რომ ავადმყოფის გადარჩენის შემთხვევაში მისი ცხოვრება მაინც უბედურება იქნება. ამას მოსდევს ავადმყოფის მახლობელთა დიალოგი, რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობს. დასახელებულნი არიან საუბრის მონაწილენი: ვასია, ვალოდია და ოლია. ვასია ამბობს, რომ სჯობს ყველაფერი მალე დამთავრდეს, რაზეც ოლია მიუგებს: „არ უნდა ვიყოთ ეგოისტები“. ვალოდია კი ოხრავს: „საწყალი მამა!“

მოსაუბრეთა სახელები, აგრეთვე ის ფაქტი, რომ საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მიგვითითებს, რომ დიალოგის მონაწილეებად გვევლინებიან გალაკტიონის მეუღლე ოლია ოკუჯავა და მისი ძმები – ვასილი და ვალოდია. ცნობილია, რომ ოლია და მისი ძმები დედას რუსულ ენაზე მიმართავდნენ და „მამას“ ეძახდნენ. მაშასადამე, ვინაიდან ვალოდია ავადმყოფს „მამად“ მოიხსენიებს, ირკვევა, რომ გალაკტიონის ჩანაწერი ეხება მისი სიდედრის ელისაბედ პერემუშევას ავადმყოფობას.

◇ 1935 წლის 9 მაისით დათარიღებულ იუმორისტული ხასიათის ჩანაწერში<sup>2</sup> მოყვანილია დიალოგი ორ ადამიანს შორის. ერთი ეუბნება მეორეს, რომ ლექსი დაწერა და მიბეჭდვას აპირებს. მეორე ეკითხება: რას მიაბეჭდავ, მეგრელო? მეგრელი პასუხობს: „ხევსურის ძროხას“,

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 27.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 41.

პატენი, მივაბეჭდავ!“ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლექსის „ხევსურული ძროხა“ ავტორია სიმონ ჩიქოვანი, გალაკტიონის ირონიის ობიექტი სწორედ იგი უნდა იყოს.

◇ გალაკტიონის 1936 წლის 12 იანვრის ჩანაწერში<sup>1</sup> გადმოცემულია ვიღაც ლიტერატურის მოყვარულის სიტყვები: ისე დავარქვი საკუთარ შვილს ლია, რომ პოეტის ლექსი არ მქონია წაკითხული, ხოლო როცა პოეტი შემხვდა და გაიგო ჩემი შვილის სახელი, სიხარულით გადამეხვიაო. ჩანაწერი სრულდება ტაეპებით: „ლია, ლია, ლია, ლია, გაზაფხულის შრიალია“. ეს სიტყვები (მცირედი მოდიფიკაციით) გალაკტიონს ციტირებული აქვს იოსებ გრიშაშვილის ლექსიდან „ლია“. მამასადამე, გალაკტიონის ირონიული ჩანაწერის ადრესატია იოსებ გრიშაშვილი.

◇ 1935 წლის 6 ივნისით დათარიღებული ჩანაწერი ეხება ვინმე „ალაზანს“<sup>2</sup>. აღნიშნულია, რომ იგი ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსია, რომელსაც 18 წიგნი აქვს გამოცემული. გალაკტიონი ახასიათებს მას რბილი ხასიათის, ფხიზელ, ანგარიშიან პიროვნებად, რომელმაც კონგრესის შესახებ ყველაფერი იცის. როგორც ცნობილია, 1935 წლის ივნისში გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესში. აშკარაა, რომ პოეტის ჩანაწერი ეხება ამავე კონგრესის რომელიღაც მონაწილეს საბჭოთა მწერლებიდან. მართლაც, საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იყო ახალგაზრდა სომეხი ავტორი ვაჰრამ გაბუზიანი, რომელიც ვაჰრამ ალაზანის ფსევდონიმით აქვეყნებდა თხზულებებს. ე. ი. გალაკტიონის ჩანაწერი ეხება სომეხ მწერალს ვაჰრამ გაბუზიანს.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო ჩანაწერი<sup>3</sup> ეძღვნება რომელიღაც ქართველ დრამატურგს. პოეტი წერს: მას გვარიც ისეთი აქვს, რომ თავი „ზარია ვოსტოკაში“ აქვს შერგული, ხოლო კუდი მწერალთა კავშირამდე გაუდია. ეს დრამატურგი, გალაკტიონის თქმით, ასეთ სათაურებს იყენებს: „კალმის ნაეშმაკარი“, „ნასხვისარ-გაჩემებურებული“, ამიტომაც არაა გასაკვირი, ცოლადაც სხვისი ნაცოლარი რომ ჰყავსო. პოეტის მიერ ჩანიშნული სათაურები

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 38.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 92.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 243.

საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ირონიული ჩანაწერის ადრესატი. „კალმის ნაემშაკარი“ არის ქვესათაური შალვა დადიანის პიესისა „შენი ჭირიმე“ (გაზ. „იმერეთი“, 1913, №80, გვ. 1), ხოლო „ნახვისარ-გაჩემებურებული“ ამავე ავტორის ერთ-ერთი მინიატურის სახელწოდებაა (ჟურნ. „ლეილა“, 1917, №1, გვ. 12). მაშასადამე, გალაკტიონის ირონიული ჩანაწერი დრამატურგ შალვა დადიანს ეხება.

◇ 1938 წლის 27 მარტით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ დილით შეხვდა ელიზბარს, რომელმაც უთხრა, მალე დათბება და ქურქი აღარ დაგჭირდებაო, შემდეგ კი ჰკითხა: „სწერ? დაბეჭდე ერთი ორი ლექსი“. თანამოსაუბრე პოეტს ეპატიჟება რადიოკომიტეტის ბუფეტში, რაზეც გალაკტიონი თავაზიან უარს ეუბნება.<sup>1</sup> ჩანაწერში მოხსენიებული პირის იდენტიფიკაციისათვის თვალი გადავავლეთ პოეტის დღიურებს. მათში ფიგურირებს რამდენიმე ელიზბარი: ელიზბარ პოლუმორდვინოვი (ზედგენიძე), ელიზბარ ანანიაშვილი, ელიზბარ მაისურაძე, ელიზბარ ლაკირბაია, ელიზბარ ღამბაშიძე. გალაკტიონის თანამოსაუბრის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია ის დეტალი, რომ პოეტი და ელიზბარი ერთმანეთს შენობით ესაუბრებიან და ძველი ნაცნობები ჩანან (ამაზე მიუთითებს საუბრის უშუალო, შინაურული კილო, ბუფეტში დაპატიჟების ფორმა). ზემოჩამოთვლილ ელიზბართაგან ასეთი დამოკიდებულება გალაკტიონს მხოლოდ პროზაიკოს ელიზბარ პოლუმორდვინოვთან (ზედგენიძესთან) ჰქონდა (იხ. მაგ., მომდევნო წლის ჩანაწერი<sup>2</sup>. სხვა ზემოთ ნახსენებ პირებთან გალაკტიონს მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობა აკავშირებდა. მაშასადამე, პოეტის ჩანაწერში მოხსენიებული პირი ელიზბარ პოლუმორდვინოვი (ზედგენიძეა).

◇ 1936 წლის 19 და 20 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერებში<sup>3</sup> გალაკტიონი გადმოგვცემს ვინმე ვ. დ.-ს მიერ მოთხრობილ ამბებს. ტექსტები დღიურში მოქცეულია იმ ჩანაწერებს შორის, რომლებშიც ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის პაციენტთა მიერ მოყოლილი ამბებია გადმოცემული. ლოგიკურად, ვ. დ. ერთ-ერთი ავადმყოფის

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 129; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 294.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 129; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 532.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360-361, 364.

ინიციალები უნდა იყოს. ამავე დღიურის ერთ-ერთ გვერდზე პოეტს ჩამოწერილი აქვს იმ პირთა სია, რომლებიც მასთან ერთად მკურნალობდნენ.<sup>1</sup> ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთ პაციენტს შეესაბამება ინიციალები ვ. დ. ეს არის ვენერა დოლიძე. გალაკტიონის მიერ ჩანიშნული ამბების მთხრობელი სწორედ იგი უნდა იყოს. ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ მომდევნო ჩანაწერებში ვენერა დოლიძე უკვე სრულად, სახელითა და გვართაა მოხსენიებული.

◇ 1936 წლის 23 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში<sup>2</sup> გალაკტიონი ექიმ გოკიელის მონათხრობ ამბებს გადმოგვცემს. მთხრობელის იდენტიფიცირებისათვის არსებითია ის გარემოება, რომ გალაკტიონი 1936 წლის აპრილში ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში მკურნალობდა. ამ სამედიცინო მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში იყო ექიმი გაბრიელ გოკიელი (1869-1958).<sup>3</sup> გალაკტიონის ჩანაწერში მოხსენიებული ექიმი გოკიელი სწორედ იგი უნდა იყოს.

◇ 1936 წლის 29 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში სამკურნალოდ მყოფი გალაკტიონი აღნიშნავს, რომ კონიაშვილი ურჩევს, ახალ ათონში ან გაგრაში წავიდეს დასასვენებლად.<sup>4</sup> კონტექსტიდან ჩანს, რომ კონიაშვილი ან ექიმი უნდა იყოს, ან პაციენტი. უფრო ლოგიკურია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული რჩევა გალაკტიონისათვის ექიმს მიეცა. ძიების შედეგად გამოვარკვეეთ გალაკტიონისათვის რჩევის მიმცემის ვინაობა. პოეტის მიერ ხსენებული პირი არის ივანე კონიაშვილი (1889-1938), თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1928-1938), რომელმაც პირველმა დანერგა საქართველოში კურორტოლოგიური კვლევის ბიოქიმიური მეთოდები. ივანე კონიაშვილი საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა. რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-104; 61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 359.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 365.

<sup>3</sup> საქართველო: ენციკლოპედია: ტ. II, თბ., 2012, გვ. 80.

<sup>4</sup> ქლმ, დ-104; 8; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 378. პირთა

<sup>5</sup> თბილისი: ენციკლოპედია, თბ., 2002, გვ. 608.

◇ 1939 წლის 2 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი მიუთითებს, რომ მოეწონა შალვა ჭყონდიდელის სურათი, რომელიც მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის სახელოსნოში ნახა. შალვა ჭყონდიდელი ფიგურირებს იმავე წლის 3 იანვრის ჩანაწერშიც. პირის იდენტიფიკაციაში გვეხმარება 2 იანვრის ჩანაწერის ერთი პასაჟი. შალვა ჭყონდიდელში გალაკტიონი გულისხმობს დრამატურგ შალვა დადიანს, რომელსაც ეს მეტსახელი პოეტმა მისივე სიტყვების გამო შეარქვა, როდესაც დადიანმა საკუთრი თავი ჭყონდიდელს შეადარა.<sup>2</sup>

◇ 1939 წლის 4 იანვრის ჩანაწერში ნახსენებია ვინმე „ყოცია“, რომელსაც გალაკტიონი უნიჭო კაცად ახასიათებს<sup>3</sup>. პოეტის სხვა დღიურები გვეხმარება აღნიშნული პირის იდენტიფიკაციაში. ამ მეტსახელით გალაკტიონი მოიხსენიებს ალექსანდრე ქუთათელს.<sup>4</sup>

◇ გალაკტიონის 1938 დეკემბერისა და 1939 წლის იანვრის ჩანაწერებში ხშირად ფიგურირებს ვინმე ჩაჩავა, რომელსაც პოეტი არ ენდობა და თავის ფარულ მოწინააღმდეგედ მიაჩნია. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დასახელებული პიროვნება გალაკტიონს ძირითადად გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ხვდება და იგი ჩართულია გაზეთის სარედაქციო მუშაობაში. ამ ფაქტის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გალაკტიონი გულისხმობს პოეტსა და ჟურნალისტს ნიკოლოზ ჩაჩავას (1901-1974), რომელიც 1934 წლიდან „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომელი იყო.

◇ 1943 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღწერს, რომ იყო სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც ესაუბრა გამომცემლობის დირექტორ ნიკოლოზ კიკნაძეს და აუხსნა, რომ საჭირო იყო მისი თხზულებების აკადემიური კრებულის გამოცემა. იქვე დასახელებულია გამომცემლობის თანამშრომელი გობრონი, რომელსაც პოეტისათვის უთქვამს, რომ არ არის საჭირო ლექციების კითხვა აკადემიური გამოცემების შესახებ, რადგან ასეთ გამოცემების რამდენიმე სახეობა არსებობს. გამომცემლობიდან გამოსვლისას კი მას გალაკტიონისთვის გადაუცია პეტრე შარიას სიტყვები, რომ

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-122, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 534.

<sup>2</sup> ქლმ, დ-122, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 534.

<sup>3</sup> ქლმ, დ-122, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 539.

<sup>4</sup> იხ. მაგ., დ-270, გვ. 60.



გალაკტიონი პოეტია მთელი თავისი არსებით.<sup>1</sup> პოეტის თანამოსაუბრის იდენტიფიკაციისათვის მოვიძიეთ ის ჩანაწერები, სადაც სახელი გობრონი ფიგურირებდა. მაგალითად, ერთგან ერთადაა ნახსენები გობრონი და სახელმწიფო გამომცემლობა: „აგარელი გობრონი (სახელგამი)“.<sup>2</sup> აქედან ირკვევა, რომ გალაკტიონის ზემოაღნიშნული ჩანაწერში საუბარია პოეტ გობრონ აგარელზე (ციცქიშვილი), რომელიც წლების განმავლობაში სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი იყო.

◇ 1939 წლის 10 და 11 აგვისტოს ჩანაწერებში გალაკტიონი აღწერს, თუ როგორ შეხვდა კისლოვოდსკის სასტუმრო „ინტურისტში“ უშანგის, რომელსაც მისი ნახვა ძალიან გაუხარდა.<sup>3</sup> პირის იდენტიფიკაციაში გვეხმარება ჩანაწერის ორიოდე რეალია. კერძოდ, ირკვევა, რომ მას წაუკითხავს ლექსი გალაკტიონის 1933 წლის საიუბილეო სადამოზე (აქედან ჩანს, რომ იგი დეკლამატორია) და ასევე, უშანგის პოეტისათვის მოუყვლია „გიორგი სააკაძის“ შესახებ, რომელიც თურმე სულ შეუცვლიათ (ამჟამად, რომ ლიტერატურულ თხზულებზეა საუბარი, რომელიც ვიღაცას თავისებურად გადაუკეთებია). აღნიშნულის გათვალისწინებით ირკვევა, რომ გალაკტიონის თანამოსაუბრე არის მსახიობი და დრამატურგი უშანგი ჩხეიძე. მისი პიესა „გიორგი სააკაძე“ 1940 წლიდან იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში.

◇ 1939 წლის 11 აგვისტოს ჩანაწერში კისლოვოდსკი მყოფი გალაკტიონი გეგმავს იალბუზზე აიყვანოს ოლგა დარიუსი და ლაინე<sup>4</sup>. ჩანაწერში მოხსენიებული „ლაინეს“ იდენტიფიკაცია შესაძლებელია პოეტის საარქივო მასალების საფუძველზე. 1940 წელს გალაკტიონს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატში დაუწერია განცხადება, რომელშიც ითხოვს აბასთუმნის ტუბერკულოზის ინსტუტუტში მოათავსონ ლაინე ბარტელსი, რომელსაც პოეტი მოიხსენიებს სიტყვებით „ჩემი აღზრდილი“.<sup>5</sup> პოეტის არქივში ასევე დაცულია ლაინეს წერილები გალაკტიონისადმი, რომლებშიც იგი მადლობას უხდის მას გამოჩენილი ყურადღებისათვის და გალაკტიონთან ერთად

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-124, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 597.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 178.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-125, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 597.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-125, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 598.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 106.

მოიკითხავს „წიოწიას“ (ანუ ოლგა დარიუსს)<sup>1</sup>. მაშასადამე, ლაინე ბარტელსი იყო ნათესავი პოეტის მეორე მეუღლის ოლგა დარიუსისა, სავარაუდოდ – მისი დისშვილი.

◇ 1936 წლის 5 ივნისს გალაკტიონს დაუწერია ლექსი „ბეითალი ქალი – სახელად ვენერა“, რომელშიც ვხვდებით ასეთ ტაეპებს: „ამიერიდან ვენერას / უნდა დაერქვას ვერანა, / მერანი ვირად აქცია / და ვირი გაამერანა“.<sup>2</sup> პოეტის ერთი ჩანაწერი, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ ვის ეძღვნება ეს ლექსი. 1936 წელს გალაკტიონი მკურნალობდა ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში, სადაც სხვა პაციენტებთან ერთად მკურნალობის კურსს გადიოდა ვენერა დოლიძე. 1936 წლის 19 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში აღწერილია სოფელში ჩასული ვენერას მხიარული თავგადასავლები, რომელსაც სოფლელებმა მოუხერხებლობის გამო ვენერას მაგიერ „ვერანა“ შეარქვეს.<sup>3</sup> გალაკტიონის ლექსიც სწორედ დასახელებულ პირს უნდა ეძღვნებოდეს.

◇ 1935 წლის 8 ივლისის ჩანაწერში გალაკტიონი აღწერს მაიორ ბორის გორდონის მონათხრობს ამ უკანასკნელთან გრიგოლ რობაქიძის მეუღლის ვიზიტის შესახებ.<sup>4</sup> გრიგოლ რობაქიძის ცოლის სახელი წყაროში მითითებული არ არის. 1931 წლიდან გრიგოლ რობაქიძეს ცოლად ჰყავდა მსახიობი და მწერალი ელენე ფიალკინა და მასთან ერთად ცხოვრობდა ბერლინში.

◇ 467-ე უბის წიგნაკში პოეტს ჩაუწერია, რომ 1949 წლის 1 მაისს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საპირველმანისო ლექსს წაიკითხავდა სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და სიტყვა მას გადასცა.<sup>5</sup> 1944-1951 წლებში მწერალთა კავშირის სიმონ ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა. გალაკტიონის ჩანაწერშიც სწორედ იგი უნდა იყოს ნაგულისხმევი.

◇ 1952 წლის 28 აპრილით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი უარყოფითად ახასიათებს ვინმე მოწინიძეს, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში უტიფრად გამოვიდა და აკრიტიკებდა ძველ

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 290.

<sup>2</sup> ქლმ, დ-96, 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 116.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 362.

<sup>4</sup> ქლმ, დ-96, 37-42. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 105-107.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-467, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 233;

აკადემიკოსებს.<sup>1</sup> ამასთან, პოეტი გაკვირვებას გამოთქვამს, როგორ მიიღო ამ ადამიანმა თავის დროზე სტალინის პრემია. წარმოდგენილი ინფორმაცია პირის იდენტიფიკაციის საშუალებას გვაძლევს. გალაკტიონი უნდა წერდეს აკადემიკოს გიორგი მოწენიძეზე, რომელიც 1941 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში, 1950 წელს კი სტალინური პრემია მიიღო.

◇ ჩანაწერების ერთობლიობაში – „ეს თებერვალი. 1953“ – 1953 წლის თებერვალში მომხდარი ფაქტებია აღწერილი.<sup>2</sup> ერთ-ერთ ჩანაწერში პოეტი აღნიშნავს, ესტუმრა ცაგარელი, რომელსაც მან დაავალა მოსკოვში, „მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში“ გაეგზავნა თანხობის წერილი, რათა მისი რუსულენოვანი წიგნის რედაქტორად იგორ პოსტუპალსკი დაემტკიცებინათ. პირის იდენტიფიკაციის საშუალებას გვაძლევს ჩანაწერში აღწერილი კონტექსტი. ამკარაა, რომ ცაგარელში იგულისხმება გიორგი ცაგარელი, მთარგმნელი, რომელსაც რუსულ ლიტერატურულ წრეებთან მჭიდრო შეხება ჰქონდა და გალაკტიონის სხვა ჩანაწერებშიც ფიგურირებს.

◇ 1951 წლითაა დათარიღებული რუსულ ენაზე შედგენილი მოკლე წერილი ვინმე ნიკოლაი სემიონის-ძის სახელზე. გალაკტიონი სწერს ადრესანტს, რომ უგზავნის ნამდვილ კახურ ღვინოს.<sup>3</sup> წერილი მოკლე და ოფიციალური ხასიათისაა. პოეტის სხვა ჩანაწერებში ამ სახელითა და მამის სახელით ფიგურირებს მხოლოდ ერთი პირი – ნიკოლაი სემიონის-ძე ტიხონოვი, ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, რომელმაც გალაკტიონის არაერთი ლექსი თარგმნა. ლოგიკურია, რომ მადლიერების ნიშნად გალაკტიონს მისთვის ქართული ღვინის გაგზავნა დაეპირებინა.

◇ 1958 წლის 10 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში პოეტი ვრცლად საუბრობს ვინმე აგაბოს შესახებ, რომლის გარდაცვალებაც სოფლიდან შეუტყობინებიათ.<sup>4</sup> მოგონებიდან ჩანს, რომ აგაბო ოჯახის ახლობელი, ნათესავი უნდა ყოფილიყო, რადგანაც გალაკტიონი იგონებს, რომ ბავშვობაში ხშირად ატარებდა მასთან ზაფხულს, ისევე როგორც აგაბო

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-509, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 64-65.

<sup>2</sup> ქლმ, დ-580, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 419.

<sup>3</sup> ქლმ, დ-488, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 418.

<sup>4</sup> ქლმ, დ-641, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 111-113.

მათ ოჯახში. პოეტის სხვა ჩანაწერებში ამ სახელით მხოლოდ ერთი პირი ფიგურირებს – აგაბო ადვიშვილი. ეს მიუთითებს, რომ აგაბო პოეტის ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო დედის მხრიდან. ზემოთ ნახსენებ ჩანაწერში მითითებულია აგაბოს მამის სახელიც – კოზმანი. ამ სახელს ვხვდებით პოეტის მიერ შედგენილ დედის დედმამიშვილთა ჩამონათვალში.<sup>1</sup> მაშასადამე, კოზმანი გალაკტიონის ბიძა, ხოლო აგაბო და მისი დები – ასინეთი და ანტისა მისი ბიძაშვილები ყოფილან.

◇ 1953 წელს გაზეთ „კომუნარის“ 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია ხელმოუწერელი სტატია „ჩვენი ეპოქის დიდი მომღერალი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)“<sup>2</sup>. სტატიის ავტორის იდენტიფიკაცია შესაძლებელია შემდეგ ფაქტზე დაყრდნობით. იგივე წერილი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტშიც“ გამოქვეყნდა.<sup>3</sup> ავტორად მითითებულია დ. ჭეიშვილი. სტატიები იდენტურია. მაშასადამე, ზემოდასახელებული წერილის ავტორიც დ. ჭეიშვილი ყოფილა.

◇ 1956 წლის 4 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერში გადმოცემულია სატელეფონო საუბარი მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამართან, რომელსაც პოეტი თავისი მომავალი წიგნისა და სხვა საკითხების შესახებ ესაუბრება. პირის იდენტიფიკაციაში გვეხმარება იმავე პერიოდის (1955-1956 წწ) სხვა ჩანაწერები,<sup>4</sup> რომლებშიც ფიგურირებს მწერალთა კავშირის თანამშრომელი თამარ ანდლულაძე. ამ ჩანაწერებს ზემოდასახელებულ ჩანაწერთან აერთიანებს საერთო თემატიკა (გალაკტიონის კარადა მწერალთა კავშირში; მზადება მოსკოვში გასამართი ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისათვის; პოეტის რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნი და სხვ.). აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1956

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-16, 33; ქლმ, დ-336, 8.

<sup>2</sup> ჩვენი ეპოქის დიდი მომღერალი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო), გაზ. „კომუნარი“, 1956, №124 (16 ოქტომბერი), გვ. 2.

<sup>3</sup> დ. ჭეიშვილი, „ჩვენი ეპოქის დიდი მომღერალი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1953, №126 (13 ოქტომბერი), გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 27; გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-361, გვ. 22; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 319.

წლის 4 დეკემბრის ჩანაწერში ნახსენები თამარი მწერალთა კავშირის თანამშრომელი თამარ ანდღულაძეა.

◇ 104-ე დღიურში პოეტს ჩაუნიშნავს, რომ საავადმყოფოს ერთ-ერთი მოხუცი პაციენტი ექიმებს შარლატანებს უწოდებს, რადგან, იმის მაგივრად, რომ მტკივანი ფეხი მოურჩინონ, ილიაში ჩხირის გაჩხერით (სიცხის გასინჯვით) კმაყოფილდებიან<sup>1</sup>. დიდი ალბათობით, მოხუცში უნდა იგულისხმებოდეს მექუდე იოსებ (შაშუა) ჩაჩანიძე, რომელიც, როგორც გალაკტიონს ჩაუნიშნავს, 80 წლის იყო ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში მკურნალობის დროს. ამასთანავე, ექიმი მოხუცს „ოსტატად“ მოიხსენიებს, რაც შესაფერისი მიმართვაა მისი პროფესიის ადამიანისათვის.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-104; 50; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 362.

◇ 1955 წლის 30 მაისს გალაკტიონს ჩაუნიშნავს განცხადების ტექსტი. პოეტი განცხადებით მიმართავს ვინმე გიორგის და სთხოვს, ბუღალტერიამ გადაურიცხოს ჰონორარი, რომელსაც დიდი ხანია ელოდება. იქვე აღნიშნავს, რომ იმყოფება მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში და მისთვის ამ თანხის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია.<sup>1</sup> ამ ტექსტის ზემოთ, უბის წიგნაკის გვერდის დასაწყისში გადახაზულია „გ. შატბერაშვილი“. ვფიქრობთ, განცხადების ტექსტში ნახსენები გიორგი არ უნდა იყოს გიორგი შატბერაშვილი, თუნდაც იმის გამო, რომ შატბერაშვილი აღნიშნულ პერიოდში არ მუშაობდა არცერთ ისეთ უწყებაში, რომლის ბუღალტერიასაც გალაკტიონისთვის ჰონორარი უნდა გადაეხადა. საგულისხმოა ისიც, რომ ინიციალი და გვარი „გ. შატბერაშვილი“ მეღნიტა ჩაწერილი, განცხადების ტექსტი კი – ფანქრით. ფანქრითვეა გადახაზული ზემოთ დასახელებული ინიციალი და გვარი. ამდენად, გიორგი შატბერაშვილს ამ განცხადების ტექსტთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო. სავარაუდოდ, ის, ვისაც გალაკტიონი განცხადებით მიმართავს, უნდა იყოს გიორგი მერკვილაძე, სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი. ამ გამომცემლობამ 1955 წლის დასაწყისში დაგვიანებით გამოსცა პოეტის 1954 წლის „რჩეული“. როგორც ჩანს, წიგნის ჰონორარი მაისისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გალაკტიონს და სწორედ ამ თანხას ითხოვდა იგი გამომცემლობის დირექტორისაგან.

◇ 1957 წლის 18 იანვარს გალაკტიონი ეცნობა გაზეთ „კომუნისტს“, კითხულობს ბოლო, მეოთხე გვერდზე მოთავსებულ სამგლოვიარო ჩანაწერებს და უბის წიგნაკში ინიშნავს: „დღევანდელ (18 იანვრის) „კომუნისტში“ ასეთი სამგლოვიარო განცხადებაა: „მეუღლე მარიამ, შვილი ნორა იუწყებიან შაჰრუხ გიორგის ძე ჩარკვიანის გარდაცვალებას“. საწყალი შაჰრუხი! მე მას პირადათ ვიცნობდი: ერთ დროს აკტიურობდა კიდევ. კანდიდის ნათესავი იყო... რა მოუვიდა? კოლაუ? და ის...“.<sup>2</sup> ამ ჩანაწერში საინტერესოა ის, თუ რატომ ახსენდება გალაკტიონს პოეტ შაჰრუხ ჩარკვიანის გარდაცვალების ცნობის

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 28.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 7.

წაკითხვისას კოლაუ ნადირაძე. როგორც „ცისფერყანწელთა“ მიმოწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, შაჰრუხს განსაკუთრებული სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებდა კოლაუ ნადირაძესთან, იმდენად, რომ ამ ჯგუფის წევრები, თვით პაოლოც კი, კოლაუს ამბავს შაჰრუხისგან იგებდა ხოლმე.<sup>1</sup>

გალაკტიონის 1957 წლის 18 იანვრით დათარიღებული, ზემოთ ციტირებული ტექსტი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. იგი გვაძლევს საშუალებას, დავაზუსტოთ პოეტის 1933 წლის ჩანაწერში ნახსენები გაურკვეველი პირის ვინაობა. ამ ჩანაწერში ერთმანეთს ენაცვლება „შარუხა“ და „ჩარუხა“: „საერთოდ ეს ორი პიროვნება.. ეს ჩიანელი, ეს **ჩარუხაა თუ შარუხა**, საეჭვო ტიპებია. ჩემს იუბილეზე იყო ლაპარაკი, მოვიდა ეს **ჩარუხა** და დაიწყო ლაპარაკი კოსტაიდიზე... **შარუხა** ხვალიდან, რომელიც პროვოკატორია, არ ვნახო. **შარუხა** შეუძლებელს დამპირდა. რა უნდა მას. შარუხა ხვალიდან არ ვნახო. **შარუხა** არის პროვოკატორი. არ ვნახო“...<sup>2</sup> შარუხი გალაკტიონის კიდეც ორ, სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერშია ნახსენები<sup>3</sup>, ვფიქრობთ, ყველგან პოეტი შაჰრუხ (შალვა) ჩარკვიანი უნდა იგულისხმებოდეს.

◇ გალაკტიონის 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში ვკითხულობთ „იანელმა მომიტანა ს. აბაშელის წერილის ფოტოები. დიდებულია“. ჩანაწერი გაკეთებულია 1955 წლის 8 მარტს. აქ ნახსენები იანელი უნდა იყოს თეოფილე კეკელიძე, რომელიც თეო იანელის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაწარმოებებს. სავარაუდოდ, მას გალაკტიონისთვის უნდა მიეტანა ალექსანდრე აბაშელის 1915 წელს გამოქვეყნებული წერილის „ყვითელი ფოთოლი“<sup>4</sup> ფოტოები.

◇ გალაკტიონის ერთ-ერთ უბის წიგნაკში, 1955 წლის 8 მარტით დათარიღებული ჩანაწერების ბოლოს პოეტს ჩაუნიშნავს გვარი – ლემონჯავა.<sup>5</sup> გალაკტიონის იმავე უბის წიგნაკში არსებულ სხვა

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, „ცისფერყანწელები. მიმოწერა“, წიგნი I, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 191, 210, 212.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-79, გვ. 11.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-167, გვ. 39 და გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-225, გვ. 23.

<sup>4</sup> გაზ. „შადრევანი“, 1915, 19 იანვარი, N5.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 17.

ჩანაწერზე<sup>1</sup> დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოეტი გულისხმობს მხატვართა კავშირის პრეზიდენტის მდივანს – ვლადიმერ ლემონჯავას, რომელსაც მომდევნო დღეს – 9 მარტს შეხვდა და ესაუბრა კიდევ.<sup>2</sup>

◇ გალაკტიონი 1955 წლის უბის წიგნაკში ინიშნავს იმ მხატვართა სიას, რომლებმაც მისი პოეზიის სადამოს მოწყობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა<sup>3</sup>. სიაში დასახელებულ მხატვართა შორის არის გ. თავაძე. ვფიქრობთ, პოეტს ინიციალი არასწორად აქვს ჩანიშნული და აქ უნდა იგულისხმებოდეს იმ დროისათვის ცნობილი მხატვარი დიმიტრი თავაძე.

◇ 1956 წლის 30 იანვარს უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუწერია: „გივის - მუდამ წინსვლისა და გამარჯვების გულწრფელ სურვილებით უძღვნის ამ წიგნს გ. ტაბიძე. 1956, 30 იანვარი“<sup>4</sup>. ვფიქრობთ, პიროვნება, ვისაც სურს თავისი წიგნი აჩუქოს, გივი მიქაძე უნდა იყოს, რადგან გალაკტიონს მეცნიერებათა აკადემიაში ამ ადამიანთან გარკვეული კონტაქტი ჰქონდა, გარდა ამისა, გივი მიქაძემ = თავისი მოხსენების მოსასმენად მიიწვია პოეტი<sup>5</sup>, ხოლო 1954 წელს გამოსცა წიგნი „ქართული პოეტიკის ქრესტომათია“, რომელიც საინტერესო უნდა ყოფილიყო გალაკტიონისთვის. ეს ქრესტომათია, სავარაუდოდ, უსახსოვრა კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა პოეტს. წიგნი, რომლის ჩუქებაც გალაკტიონს აქვს განზრახული, 1954 წლის „რჩეული“ უნდა იყოს (ეს კრებული 1955 წლის დასაწყისში გამოვიდა დაგვიანებით). ვფიქრობთ, სწორედ ამ „რჩეულს“ აჩუქებდა გალაკტიონი გივი მიქაძეს, როგორც თავისი წიგნებიდან ყველაზე ახალს, რომლის სასაჩუქრე ეგზემპლარები, შესაძლოა, ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი.

◇ გალაკტიონის 1957 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში რუსულ ენაზე დაწერილი ეს სიტყვები იკითხება: „25 февр., 1957. „Грузии Советской“. Г. Табидзе. дунаев Вл. Ал.“<sup>6</sup>

დუნაევის ვინაობა, რომელიც წყაროში გვართათა და ინიციალებითაა მოხსენიებული, მარტივად დავადგინეთ, გაირკვა, რომ იგი საბჭოთა

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 17.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 17.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-331, გვ. 31.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 29.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 36.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 8.



კავშირის საერთაშორისო ჟურნალისტი ვლადიმირ დუნაევია, მაგრამ რატომ გაჩნდა მისი სახელი და გვარი გალაკტიონის უბის წიგნაკში? ამ საკითხის დაზუსტებაში ვლადიმირ დუნაევის ბიოგრაფიის გათვალისწინება გვეხმარება: რუსი ჟურნალისტი 1951-1963 წლებში მუშაობდა გაზეთის „ტრუდ“ („Труд“) საერთაშორისო განყოფილებაში. სრულიად ბუნებრივია ამგვარი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემის ჟურნალისტის სახელი და გვარი რომ ჩაენიშნა გალაკტიონს – ეს გაზეთი ხომ მთელს საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა. გასარკვევია, რას გულისხმობს ჩანაწერში ნახსენები „Грузии Советской“. ვფიქრობთ, ეს სიტყვები დაკავშირებული უნდა იყოს 1957 წლის 24 თებერვლის გაზეთთან „ზარია ვოსტოკა“, სადაც გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსის („...წინ, წინ, სამშობლო მხარევ!“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი სათაურით „Советской Грузии“.

როგორც ჩანს, გაზეთის „ტრუდ“ საერთაშორისო განყოფილების თანამშრომელმა, ჟურნალისტმა ვლადიმირ დუნაევმა წაიკითხა ეს თარგმანი და გადაწყვიტა იგივე ტექსტი თავის გაზეთშიც გამოექვეყნებინა და ამის შესახებ გალაკტიონს უთხრა ან შეატყობინა. საბოლოოდ, ეს გადაწყვეტილება არ შესრულდა, ლექსის თარგმანი რამდენიმე თვის შემდეგ მართლაც დაიბეჭდა განმეორებით, ოღონდ არა გაზეთში „ტრუდ“, არამედ – „სოვეტსკაია აზხაზიას“ 1957 წელის 2 ნოემბრის ნომერში.

◇ 1957 წლის 8 თებერვალს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „შეხვედრა საჯაიას ქალთან და ქეთო ქუჩუკაშვილთან. რევაზ მარგიანის ოინები (საჯაიას წიგნიდან ამოულია ლექსი ჩემს შესახებ)“.<sup>1</sup> ვინ არის „საჯაიას ქალი“, რომელიც შიო მღვიმელის ქალიშვილთან, ქეთევან ქუჩუკაშვილთან ერთად ხვდება პოეტს და ესაუბრება იმის თაობაზე, რომ ალექსანდრე საჯაიას 1955 წელს გამოცემული „რჩეულიდან“ მწერალ რევაზ მარგიანს ამოულია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი?

გალაკტიონის ჩანაწერებში არსებული სხვა, მსგავსი კონტექსტების გათვალისწინებით, „საჯაიას ქალი“ უნდა ნიშნავდეს ქალს, რომლის გვარიც საჯაიაა. ამის მიხედვით და იმდროინდელი სალიტერატურო საზოგადოების გათვალისწინებით, გალაკტიონის მიერ ნახსენები

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 28.

საჯაიას ქალი უნდა იყოს თამარ საჯაია, მთარგმნელი, რომელიც საბავშვო ჟურნალებში უცხოური ენებიდან ნათარგმნ, ადაპტირებულ მოთხრობებს აქვეყნებდა, ხოლო მოგვიანებით ალექსანდრე დიუმას „გრავი მონტე კრისტო“ თარგმნა.

ამავე ჩანაწერში გალაკტიონი გამოთქვამს აზრს, რომ რევაზ მარგიანი სისტემატურად გამოდის მის წინააღმდეგ: „ეს ტენდენცია ანდროს არ ჩაუტარებია, უმთავრესად რეზოს. ის სისტემატურად გამოდის ჩემს წინააღმდეგ“.<sup>1</sup> ვინ უნდა იყოს ანდრო, რომელიც გალაკტიონის მიმართ კეთილგანწყობილია, რევაზ მარგიანისგან განსხვავებით? იმდროინდელ სალიტერატურო საზოგადოებაში სახელი ანდრო არც ისე ხშირად გვხვდება. ვფიქრობთ, გალაკტიონის ჩანაწერში უნდა იგულისხმებოდეს ანდრო თევზაძე, რომელსაც 1953-1958 წლებში გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორის თანამდებობა ეკავა და მის კეთილგანწყობას ყველა მწერლისთვის, თვით გალაკტიონისთვისაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

◇ 1957 წლის 31 იანვარს გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „ბიო-ბიბლიოგრაფიის საკითხებზე – ვსაუბრობდით მე და ჯოჯუა. იგი შეადგენს ბიო-ბიბლიოგრაფიას ჩემს შესახებ“.<sup>2</sup> ვინ არის ჯოჯუა, ვისაც გალაკტიონის ბიო-ბიბლიოგრაფიის შედგენა გადაუწყვეტია და, როგორც ჩანაწერის მომდევნო მონაკვეთიდან ირკვევა, პრაქტიკულ რჩევებსაც აძლევს პოეტს, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამ მნიშვნელოვანი წიგნის გამოცემა?

გალაკტიონთან ჯოჯუას სახელი არ არის ნახსენები. მისი ვინაობის დაზუსტებაში გვეხმარება ამავე ჩანაწერში არსებული მინიშნება: „გამოდის წიგნი „მნათობის“ მთელი არსებობის განმავლობაში დაბეჭდილი მასალების. ჯოჯუა. ჩემი უამრავი მასალებია“<sup>3</sup>. დაახლოებით ამავე პერიოდში გამოიცა ჟურნალ „მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. წიგნის სრული სახელწოდებაა: „ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ მნათობის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1924-1954“. ამ ნაშრომის ავტორი გახლავთ ვლადიმირ ჯოჯუა. მართალია, ამ

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 28.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 25.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 25.

წიგნის გამოცემის თარიღად 1956 წელია მითითებული და გალაკტიონი კი 1957 წლის იანვრის ბოლოს აღნიშნავს, მალე გამოიცემაო, მაგრამ ეს ჩვენს ვარაუდს ხელს არ უშლის, რადგან, როგორც ჩანს, 1956 წლის ბოლოს წიგნის ბეჭდვა ვერ მოესწრო და 1957 წლის დასაწყისში გამოიცა, ხოლო წიგნის გამოცემის თარიღი დარჩა ის, რაც თავიდანვე ეწერა – 1956 წელი. ამდენად, ვფიქრობთ, რომ გალაკტიონის მიერ ნახსენები პიროვნება უნდა იყოს ბიბლიოგრაფი ვლადიმირ ჯოჯუა.

◇ 1955 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში კვითხულობთ: „კუხიანიძე ბართლომე. ქუთაისი, წერეთლის ქ., მუსიკალური სასწავლებელი. პედაგოგ სიმონ ბართლომეს ძე კუხიანიძეს. ტელეფონი? „მაღალ მთაზედა ავაგე“. თევდორაძე – ქუთაისელი სახელგამში“. ამ ჩანაწერის შინაარსს გასაგებს ხდის პოეტის სხვა უბის წიგნაკებში არსებული ტექსტები, სადაც იგივე პიროვნებაა ნახსენები: „კუხიანიძემ ეს ლექსი გუნდისთვის სიმღერად გააკეთა, მშვენიერი რამაა. ქუთაისში ჩემს სადამოუხე იმღერეს... 1945 წ.<sup>1</sup>; „შევუთვალეთ კუხიანიძეს, ვთხოვოთ ნოტები – „მაღალ მთაზედა“<sup>2</sup>; „მოინახოს „მაღალ მთაზედა ავაგე“ – საგუნდო სიმღერა კუხიანიძისა, ქუთაისში“<sup>3</sup>; „ნეტა ვინ იპოვის... სადაა კუხიანიძის „მაღალ მთაზედა ადვაგე?“<sup>4</sup> ამ კონტექსტების გათვალისწინებით ირკვევა, რომ გალაკტიონს უკვე თითქმის ათი წელია სურს, დაუკავშირდეს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს – სიმონ კუხიანიძეს, რომლის მამამ – ბართლომე კუხიანიძემ 1945 წელს მისი ლექსის „მაღალ მთაზედა ავაგე“ მიხედვით დაწერა საგუნდო სიმღერა. პოეტი აპირებს, ხმა მიაწვდინოს სიმონ კუხიანიძეს და გამოაგზავნინოს ამ სიმღერის ნოტები. მისი აზრით, ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში შესაძლებელია დაეხმაროს სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისელი თანამშრომელი – მელიტონ თევდორაძე.

◇ 1956 წლის 17 ივლისს გალაკტიონს უბის წიგნაკში ასეთი ფრაზა ჩაუწერია: „ერისთავი კოტე. 17/VII-56. კამოს ქ. 74. გამოფენა“.<sup>5</sup> კოტე ერისთავი, ვისი მისამართიც პოეტს ჩაუნიშნავს, მხატვარი იყო. რადგან

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-191, გვ. 4.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-218, გვ. 2.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-313, გვ. 8.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-322, გვ. 17.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-361, გვ. 21.

გალაკტიონი ამ პერიოდში საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობაზე ხშირად ფიქრობდა და ამავე თემაზე ესაუბრებოდა მხატვრებს, რომელთაგან დახმარებასა და მხარდაჭერას ელოდება, სავარაუდოა, კოტე ერისთავის მისამართიც სწორედ ამ მიზნით ჩაიწერა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ჩანაწერის ბოლო სიტყვა „გამოფენა“. აღსანიშნავია, რომ ამავე მხატვრის მისამართი გალაკტიონს ჯერ კიდევ 1943 წელს ჩაუნიშნავს სხვა უბის წიგნაკში: „კამოს ქ. №74. კოტე ერისთავი, მხატვარი“.<sup>1</sup>

◇ 1956 წელს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „კორნელი! შენ მიღალატე! არაფერია, გაიძულე, აასრულო შენი დანაპირები, ყოველი ძალით, ყოველი შესაძლებლობით. 17 ოკტ., 1956“. ვინ არის კორნელი, რომელსაც დანაპირების შეუსრულებლობის გამო ასე გაუნაწყენებია პოეტი? გალაკტიონის ჩანაწერებში სახელი კორნელი, ძირითადად, ორ პიროვნებას გულისხმობს: აკადემიკოს კორნელი კეკელიძესა და მხატვარ კორნელი სანაძეს. პოეტი ზოგჯერ ორივე მათგანს სახელითა და გვარით მოიხსენიებს, ზოგჯერ კი – ორივე მხოლოდ სახელით ჰყავს ნახსენები და კონტექსტის მიხედვით გასაგები ხდება, თუ რომელ კორნელის გულისხმობს.

ამ შემთხვევაში, 1956 წლის ოქტომბრის ჩანაწერების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი მხატვარ კორნელიზეა განაწყენებული. საინტერესოა 12 ოქტომბრის ჩანაწერი, საიდანაც ჩანს, რომ პოეტი ესაუბრა კორნელი სანაძეს, რომლისგანაც გაიგო, რომ ტილო მზად არის და მხატვარს უკვე შეუძლია დაიწყოს გალაკტიონის პორტრეტზე მუშაობა<sup>2</sup>, ამავე დღეს ნახატისთვის საჭირო ჩარჩოც კი გაუგზავნია პოეტს. საბოლოოდ, გაირკვა, რომ მხატვარმა უარი თქვა პორტრეტის დახატვაზე, რამაც გალაკტიონი გააბრაზა. თუ რა მოხდა კონკრეტულად, ამის შესახებ ვიგებთ კორნელი სანაძის მოგონებიდან „დღიურის ფურცლები“<sup>3</sup> სადაც იგი მოგვითხრობს, როგორ დაურეკა გალაკტიონმა სამკურნალო კომბინატიდან, როგორ სთხოვა: რკინიგზელთა სახლში შეხვედრას მიწყობენ და მინდა გთხოვო, რომ ჩემი პორტრეტი დახატო სახელდახელოდ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-155, გვ. 77.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-372, გვ. 19.

<sup>3</sup> კ. სანაძე, დღიურის ფურცლები, კრებ. „გალაკტიონოლოგია“, II, 2003, გვ. 273.

გალაკტიონს ძველი, უზარმაზარი ტილო გაუგზავნია მხატვრისთვის, რომლის ზომა სამ მეტრზე მეტი ყოფილა. გაოცებულ მხატვართან მალე საავადმყოფოდან გამოპარული გალაკტიონი მისულა და დაჟინებით მოუთხოვია ამ უზარმაზარ და თან უვარგის ტილოზე დაეხატა, დროც განუსაზღვრავს – ათ დღეში ნახატი მზად უნდა ყოფილიყო. მხატვარს უცდია, აეხსნა, რომ რიგიანი ნამუშევარი არ გამოუვიდოდა, მაგრამ მისმა განმარტებამ გალაკტიონი ვერ დაამშვიდა, გაბრაზებულმა კარი გაიჯახუნა და წავიდა. ამის შემდეგ თურმე დაემდურა კიდევ.

◇ 1956 წლის 29 ივნისის ერთ ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონი აღწერს წყნეთის სახლში მომხდარ ამბავს: პოეტი იმყოფება სახლის სარდაფში, ამ დროს ზემოთა სართულიდან ესმის მამაკაცის უხეში ხმა, რომელიც ემუქრება სახლში მყოფთ, ამბობს, რომ მათი არ ემინია და არც არასდროს შეშინებია. გალაკტიონი ადის სახლში, შედის კაბინეტში, თუმცა კაცი უპატივცემულობას იჩენს და, მისი მოლოდინის საპირისპიროდ, ფეხზეც კი არ წამოდგება სახლის პატრონის დანახვისას, პირიქით, მედიდურად ზის ტახტზე, უტიფრად, მოურიდებლად უყურებს გალაკტიონს და მისალმებაზე გაურკვეველად უპასუხებს რაღაცას. პოეტს აღიზიანებს ეს საქციელი და ჩანაწერში გაუნათლებელსა და უკულტუროს უწოდებს კაცს. წყაროში არ არის ნახსენები ამ ადამიანის არც სახელი, არც გვარი, თუმცა ტექსტში არის მინიშნება, რომელიც გვაძლევს საშუალებას, დაბეჯითებით ითქვას, რომ აქ გალაკტიონი გერის – ნუნუ ებანოიძის ქმარს, ვახტანგ (ვატა) ფირცხალავას გულისხმობს.

პოეტი ჩანაწერში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად ცუდი მეუღლე და უყურადღებო მამაა ეს უხეში ადამიანი, ვისაც საკუთარ ცოლ-შვილზე ზრუნვის უნარიც კი არ აქვს: „ექსპლოატატორი ცოლის მდგომარეობისა, ურცხვი, კრიჟანგი, შეშლილები ოჯახიდან – აქ, ჩემს სახლში – თავს იგდებს. რა უფლების ძალით? მისი ბავში უკვე ექვსი წლისაა – ექვსი წლის განმავლობაში იგი იზრდება ჩემთან, ჩემს ოჯახში, მოკლებული მამის ყოველგვარ ზრუნვას, ყოველგვარ მატერიალურ დახმარებას და ამის შემდეგ კიდევ ყოყოჩობს, თითქო რაღაც დიდი ვალი მქონდეს მისი“.<sup>2</sup> ბავშვი, რომელიც გალაკტიონის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 32-35.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 35.

სახლში დაბადებიდან იზრდებოდა და 1956 წლისთვის ექვსი წლის იყო, გალაკტიონის მესამე მეუღლის, ნინო კვირიკაძის შვილიშვილი მარინე (კაკინა) ფირცხალავაა.

◇ 1956 წლის 3 ივლისს გალაკტიონს უბის წიგნაკში ასეთი ფრაზა ჩაუწერია: „მხატ. გორდელაძე, იქვე იყო ბოჭორიშვილი – დამპირდნენ გამოფენაზე დახმარებას!“<sup>1</sup> გორდელაძე, რომელსაც მხოლოდ გვართ მოიხსენიებს პოეტი და სიტყვით „მხატ“ მის პროფესიაზეც მიგვანიშნებს, მხატვარი გიორგი გორდელაძეა (1912-1990). იგი 1944 წლიდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში, იყო გამორჩეული გრაფიკოს-ილუსტრატორი, 1933-1968 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა „სახელმწიფო გამომცემლობასთან“, როგორც ამ გამომცემლობის მთავარი მხატვარი. ის ხშირად იხსენიება გალაკტიონის ჩანაწერებში, მათ შორის, ისეთი მხატვრების გვერდით, როგორებიც არიან ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი. ერთგან პოეტს ასეთი ფრაზაც კი ჩაუწერია: „მხატვ. გორდელაძე! დიდებულია! დიდებულია!“<sup>2</sup>. ამდენად, კარგ ნაცნობთან – გიორგი გორდელაძესთან საუბარი და მისი პირობა, რომ გამოფენის მოწყობაში დაეხმარება პოეტს, სრულიად ბუნებრივი ჩანს.

ვინ უნდა იყოს ჩანაწერში ნახსენები ბოჭორიშვილი? გალაკტიონის დღიურებისა და მიმოწერის სრული კორპუსის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი სულ რამდენიმე ბოჭორიშვილს ახსენებს, მათ შორის კი მხატვარი არცერთი არ არის. გარდა ამისა, ვერ მოვიძიეთ 1950-იან წლებში მოღვაწე ისეთი მხატვრის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გვარად ბოჭორიშვილი იქნებოდა. პოეტის ჩანაწერზე კიდევ ერთხელ დაკვირვების შემდეგ გაჩნდა ვარაუდი, რომ „მხატ“ – მხატვარი მიემართება მხოლოდ და მხოლოდ გიორგი გორდელაძეს, არანაირად არ არის აუცილებელი, მეორე პიროვნებაც მხატვარი იყოს, მით უფრო, რომ გამოფენის მოსაწყობად, განსაკუთრებით საბჭოთა ეპოქაში, როდესაც ყოველ დეტალზე ოფიციალური ნებართვის მიღება იყო აუცილებელი, საჭირო გახლდათ არამხოლოდ უშუალოდ მხატვრების, არამედ – სრულიად სხვა სფეროების წარმომადგენელთა ჩარევადანხმარებაც.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 47.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-509-2, გვ. 1

ვფიქრობთ, ჩანაწერში ნახსენები მეორე პიროვნება უნდა იყოს ანგია ბოჭორიშვილი – მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, რომელიც არაერთხელ არის ნახსენები გალაკტიონის უბის წიგნაკებში – ხან სახელითა და გვართ, ხანაც მხოლოდ გვართ. მაგალითად, გვარი ბოჭორიშვილი მეცნიერებათა აკადემიას უკავშირდება და ნამდვილად ანგია ბოჭორიშვილს გულისხმობს 1957 წლის 28 მარტით დათარიღებულ ჩანაწერში, სადაც გალაკტიონი მოგვითხრობს, როგორ შეხვდა აკადემიის პრეზიდენტს – ნიკო მუსხელიშვილს და იქვე დასახელებული აკადემიკოს-მდივანი ანგია ბოჭორიშვილი, რომელიც გალაკტიონთან ამჯერადაც მხოლოდ გვართაა მოხსენიებული: „ამ დღეს გადავეცი ნ. მუსხელიშვილს ჩემი წიგნი „დიდი ოქტომბრის დრო- შით!“ მან გადასცა **ბოჭორიშვილს**. ვნახოთ, რა გამოვა „მანდედამა“.<sup>1</sup>

იმავე 1957 წლის 25 აპრილის ჩანაწერში ანგია ბოჭორიშვილი კვლავ მხოლოდ გვართაა მოხსენიებული, ისევ აკადემიასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც, რომ ამ ჩანაწერში გალაკტიონი გამოფენის (ცხადია, სხვა გამოფენის) შესახებაც საუბრობს: „1. სტენდები მზადდება, ხვალ უნდა მივსცე ტექსტები. 2. ვიყავი ჩემი სახელობის წრეში. 3. ვიყავი აკადემიაში (დ. ბენაშვილი და **ბოჭორიშვილი**). სტენდები გარედ, როგორც იყო...“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, „სახელმწიფო გამომცემლობაში“ ან მეცნიერებათა აკადემიაში გალაკტიონი გამოელაპარაკა მხატვარ გიორგი გორდელაძეს, რომელმაც იცოდა გალაკტიონის გეგმების შესახებ და მხატვარი დაჰპირდა, რომ გამოფენის მოწყობაში დაეხმარებოდა; როგორც პოეტი წერს, იქვე ყოფილა ანგია ბოჭორიშვილი. საფიქრებელია, რომ აკადემიკოს-მდივანმა მოისმინა მათი საუბარი და, თავის მხრივ, აღუთქვა გალაკტიონს, რომ გამოფენასთან დაკავშირებულ, საორგანიზაციო, ადმინისტრაციულ მხარეს მოაგვარებდა. ამგვარი დაპირება ანგია ბოჭორიშვილისგან გასაკვირი არ არის, რადგან იგი უშუალოდ ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენელთა მდივან-აკადემიკოსი იყო.

◇ 1956 წლით დათარიღებულ ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „3 აგვისტო. მწერალთა კავშირი: 1. კრეიტანის ცოლი. 2. ანჯაფარიძე. 3.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-379, გვ. 25.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-380, გვ. 17.

აბაშიძე ირაკლი“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, გალაკტიონი ჩამოწერს გეგმას, თუ რის გაკეთებას აპირებს 3 აგვისტოს, ასახელებს იმ პიროვნებებს, ვისაც უნდა შეხვდეს. რადგან ამ დროისათვის აქტიურად მუშაობს რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე, აგროვებს თარგმანებს, ამზადებს პწკარედებს, გასაგებია, რატომაც აპირებს დაელაპარაკოს მთარგმნელ გიორგი კრეიტანის ქვრივს – ამ მთარგმნელმა გალაკტიონის არაერთი ნაწარმოები თარგმნა, სავარაუდოდ, პოეტს სურს, თავისი ლექსების თარგმანების ტექსტები სთხოვოს გარდაცვლილი მთარგმნელის მეუღლეს.

დასაზუსტებელია, ვის გულისხმობს ჩანაწერში დასახელებული „ანჯაფარიძე“. გალაკტიონის დღიურების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, რომელიც ხშირად მონაწილეობდა პოეტის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. სავარაუდოა, რომ გალაკტიონი ამჯერადაც პოეზიის სადამოში მონაწილეობის თაობაზე უნდა დალაპარაკებოდა მსახიობს.

◇ 1955 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ 19 სექტემბერს, „გახსნებათა სადამოების“ ფარგლებში გაიმართება პარმენ ცახელის სადამო.<sup>2</sup> აქვე მიუთითებს: „სასიამოვნოა აკად. თვალჭრელიძის ამბავი, ის ყოველთვის ურად 1500 მანეთს აძლევს ცახელის ოჯახს“.<sup>3</sup> მსგავსი შინაარსის ჩანაწერი გვხვდება 1955 წლით დათარიღებულ კიდევ ერთ უბის წიგნაკში: „აკადემიკოსი თვალჭრელიძე ეხმარება თურმე, თვეში 1500 მანეთს აძლევს (სახლში მიუტანს თურმე). ეს ძალიან კარგი ამბავია, კარგის მხრივ ახასიათებს ამ უწყინარ აკადემიკოსს“.<sup>4</sup>

გალაკტიონის მიერ ნახსენები აკადემიკოსი თვალჭრელიძე ალექსანდრე თვალჭრელიძე (1881-1957) უნდა იყოს, ქართული გეოლოგიური სკოლის და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი. რა აკავშირებდა ალექსანდრე თვალჭრელიძეს პარმენ ცახელის (1866-1919) ოჯახთან? რატომ ეხმარებოდა ასე გულუხვად და რის გამო იწვევდა

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 62.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-345, გვ. 6

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-345, გვ. 6

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-345, გვ. 49



მისი საქციელი მხოლოდ მოწონებას და არა გაოცებას გალაკტიონის მხრივ? ეს საკითხი მარტივად აიხსნება თუ გავითვალისწინებთ, რომ პარმენ ცახელის ნამდვილი გვარი თვალჭრელიძე იყო. როგორც ჩანს, აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე ენათესავებოდა ცახელს და საკუთარ მოვალეობად მიიჩნევდა, დახმარებოდა გარდაცვლილი პოეტის ოჯახს.

◇ გალაკტიონის 1955 წლის 1 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერში კვითხულობთ: „ქუთაისის გაზეთი მივიღე მთლიანად. ჩემი ლექსია... ქუთაისის გაზეთიდან ამონაჭერი გამოგვიგზავნა ეთერიმ“<sup>1</sup>. ამ ჩანაწერის მიხედვით გაურკვეველია ვინ არის ეთერი, ვინც პოეტს გაზეთიდან ამოჭრილი ლექსი გაუგზავნა. რადგან რეგიონებში გამომავალი პერიოდული გამოცემები თბილისში არ იყიდებოდა, ბუნებრივია, გალაკტიონის მიერ ნახსენები გაზეთის ამონაჭერი ქუთაისიდან უნდა გამოეგზავნათ პოეტისთვის. სახელი ეთერი გალაკტიონის ჩანაწერებში არაერთხელ გვხვდება და სხვადასხვა პიროვნებას გულისხმობს. ამ პიროვნებათაგან ქუთაისში ცხოვრობდა მხოლოდ ერთი – გალაკტიონის მეუღლის, ნინო კვირიკაძის ბიძაშვილი ეთერ კვირიკაძე, რომლის მისამართი 1955 წლით დათარიღებულ სხვა უბის წიგნაკში აქვს ჩანიშნული პოეტს: „ქუთაისი. ფალიაშვილის ქ. 1 შესახვევი №1. ეთერი კვირიკაძეს“<sup>2</sup>, იმავე პიროვნების მისამართი მეორდება 1958 წლით დათარიღებულ რვეულშიც: „კვირიკაძე ეთერი – ქუთაისი, ფალიაშვილის I შესახვევი. სახლი №1“<sup>3</sup>.

რომელი პერიოდული გამოცემა მიიღო პოეტმა ქუთაისიდან? 1955 წელს ქუთაისში გამომავალი იმ გაზეთების აგვისტოს ნომრების გადასინჯვა, რომლებშიც ლიტერატურული მასალაც იბეჭდებოდა („სტალინელი“, „ლენინელი“, „სიმართლე“) უშედეგოდ დასრულდა, გაირკვა, რომ ამ პერიოდულ გამოცემებში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში გალაკტიონს ლექსი არ გამოუქვეყნებია. სავარაუდოდ, ნაწარმოები ისეთ გაზეთში დაიბეჭდა, რომლის შესახებ ინფორმაცია დღეს აღარ არის ხელმისაწვდომი.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 198

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 207

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 491

◇ გალაკტიონის 1958 წლის ჩანაწერებს შორის ერთი ასეთი ფრაზა იკითხება: „თევზაძესთან 20 აგვისტოს“.<sup>1</sup> ვინ უნდა იყოს თევზაძე, რომელთან შეხვედრასაც პოეტი 20 აგვისტოს გეგმავს? გალაკტიონი 1958 წლის ივლისსა და აგვისტოში მაქსიმალურად ცდილობს, მუდმივი საგამოფენო ფართის მოპოვებას, ასევე, ითხოვს, გამოუყონ დამატებითი ფართობი ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში, რომელსაც გამოიყენებს საგამოფენო პავილიონის მოსაწყობად. პოეტის აზრით, ეს პავილიონი უნდა აიგოს უსწრაფესად, ერთი თვის განმავლობაში. ფიქრობს, რომ ამის მოსაგვარებლად საჭირო იქნება ოფიციალური დადგენილება ფართობის გამოყოფის თაობაზე და ინჟინრის მიერ შედგენილი პავილიონის გეგმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ პიროვნება, ვისთან შეხვედრასაც გალაკტიონი გეგმავს იყოს ალექსანდრე თევზაძე – თბილისის მთავარი არქიტექტორი, ვისაც შეეძლო პოეტს ჩანაფიქრის განხორციელებაში დახმარებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1958 აგვისტო-სექტემბრის ჩანაწერებს შორი გვხვდება სახელი და გვარი ალექსანდრე თევზაძე: „დღეს: ტ. თ. დ. 1. გორსკი... 2. ხარაშვილი ლევან. 3. ობოლაძე.. 4. თევზაძე ალექსანდრე. 5. ჩოგოვაძე ალექსანდრე.“<sup>2</sup>

◇ 1958 წელს, როდესაც მოსკოვში იმყოფებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად, გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ჟორჟიკა მდივანს, როგორც ეს მითხრა ჭინჭილაიამ, გადავეცი მოსკოვის გაზეთებში დასაბეჭდათ 6 ლექსი - თარგმანები. დამპირდა. ვნახოთ, რა გამოვა“.<sup>3</sup> ჟორჟიკა მდივანი რუსეთში მოღვაწე ქართველი კინო-დრამატურგი გიორგი მდივანია. იგი იმ პერიოდისათვის იმდენაც ცნობილი იყო, რომ რუსულ გაზეთებში გალაკტიონის ლექსების გამოსაქვეყნებლად შუამდგომლობა მისთვის უმარტივესი იქნებოდა. მაგრამ ვინ არის ჭინჭილაია – ის, ვინც, პოეტს ურჩია, რომ დახმარებას გიორგი მდივანი გაუწევდა? ვფიქრობთ, ეს რჩევა პოეტისთვის ცნობილ კრიტიკოსს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს – სერგი ჭილაიას უნდა

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 537

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 540.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 497

მიეცა. ამას ადასტურებს გალაკტიონის ერთსტროფიანი სახუმარო ლექსი, რომელშიც სერგი ჭილაია და სიტყვა „ჭინჭილაია“ ერთად არის გამოყენებული: „რა კი დაგვისვეს /წინ ჭილაია, /მას ხელში მივსცეთ /ჭინჭილაია!“.

◇ გალაკტიონის 1955 წლის დათარიღებულ უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „ვანიდან ჩემთან იყო ნოე სანიკიძე (ვანი – ტობანიერი). ნოე სანიკიძე. 2 ენკენისთვე. 1955“.<sup>2</sup> ამ ჩანაწერის მიხედვით გაურკვეველია ვანიდან ჩამოსული სტუმრის ვინაობაც და მისი სტუმრობის მიზანიც.

სხვა რვეულში ამავე პიროვნების შესახებ გაკეთებული ჩანაწერი ამ ინფორმაციას ახალი დეტალებით ავსებს და იმ კითხვებზეც სცემს პასუხს, რომელსაც 2 სექტემბერს ჩანიშნული, ზემოთ ციტირებული ცნობა იწვევს: „ვანი - ტობანიერი. ნოე დიმიტრის ძე სანიკიძე. 1955, 2 სექტ. იყო ჩემთან ეს 80 წლის კაცი, რომელსაც თურმე წერა-კითხვა, როგორც თვითონ ამბობს, მამაჩემმა ასწავლა. ჩვენი რაიონი ძალზე ჩამორჩენილიაო და თქვენგან დახმარებას ელისო“.<sup>3</sup> ამკარაა, ხანდაზმული ნოე სანიკიძე საგანგებოდ ჩამოდის ვანიდან, რათა გალაკტიონს სთხოვოს, როგორმე ყურადღება მიაქციოს მშობლიურ მხარეს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ვანელებმა სახალხო პოეტისთვის თხოვნის გადასაცემად სწორედ გალაკტიონის მამის – ვასილ ტაბიძის მოსწავლე შეარჩიეს.

◇ 1957 წლის 14 დეკემბერს გალაკტიონის ბინაში, კერძოდ, პოეტის სამუშაო კაბინეტში დგამენ ტელეფონს. ამის შესახებ პოეტი წერს: „14 დეკემბერი. მარჯანიშვილის მოედანზე, სახლი 86/90 - ჩემს ოთახში დაიდგა ტელეფონი - 3-47-31.- რა მადლობელი ვარ, - სთქვა გოგიმ, აღტაცებულმა ახალთ-ახალი ტელეფონით“.<sup>4</sup> ვინ არის პოეტის მიერ ნახსენები გოგი? გალაკტიონის ჩანაწერების სრული კორპუსის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გოგი აქ გულისხმობს პოეტის თანამემწესა და ლიტერატურულ მდივანს – გიორგი ჩიქობავას. გალაკტიონი სხვა არაერთ ჩანაწერში გიორგი ჩიქობავას მოიხსენიებს, როგორც გოგი ჩიქობავას. მაგალითად, ვნახოთ

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-292, გვ. 37

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 201

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 183

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 480

დაახლოებით იმავე პერიოდის ჩანაწერი: „1957 წ., 9 დეკემბერი. გოგი ჩიქობავამ წაიღო შესასწორებლად II ტომი 9 დეკ. სადამოთი (პირველი ტომი გადახედული აქვს. მხოლოდ არ შეუდარებია მანქანაზე გადაბეჭდილი თვითონ ნაბეჭდ წიგნისთვის). მან სთქვა, რომ საქმე ძალიან კარგად მიდის. მართლაც, დაწყებულია საქმე კარგად. უნდა სისტემატიურად, ყოველდღიური მუშაობა“.<sup>1</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერს ახალი ტელეფონის შესახებ უბის წიგნაკში წინ უსწრებს გვერდი, სადაც კომენტარის გარეშე მითითებული გიორგი ჩიქობავას სახელი და გვარია, იქვე იკითხება ზუსტად იგივე ტელეფონის ნომერი.<sup>2</sup>

პოეტის ცხოვრების ბოლო წლებში გიორგი ჩიქობავა გალაკტიონის თანაშემწე იყო, დახმარებას უწევდა ლიტერატურასთან დაკავშირებული საქმიანობაში, იქნებოდა ეს ახალი გამოცემების მომზადება, გამომცემლობებთან ურთიერთობა თუ სხვა. 1966 წელს გიორგი ჩიქობავამ გამოსცა მოგონებების წიგნი „გალაკტიონის ახლო“, სადაც ეს ყოველივე დეტალურადაა აღწერილი. გასაკვირი არ არის, რომ გიორგი ჩიქობავა, როგორც პოეტის თანაშემწე, აღტაცებული ყოფილიყო გალაკტიონის კაბინეტში ტელეფონის დადგმით, რადგან ეს უშუალოდ მასაც გაუმარტივებდა არაერთი საქმის მოგვარებას.

◇ 1957 წლის 28 სექტემბერს გალაკტიონი იმყოფებოდა მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ცოტა ხნის წინ საკუთარი სამუშაო სივრცე, საწერი მაგიდა გამოუყვეს. იგი უბის წიგნაკში ინიშნავს: „ყოველდღე აკადემიაში: გაზეთები და ჟურნალები. აქ ახლო არიან: 1. ფატი. 2. ანგია. 3. გამეზარდაშვილი და სხვ.“<sup>3</sup> როგორც ვხედავთ, პოეტი აპირებს, ყოველ დღე იაროს აკადემიის სამკითხველო დარბაზში, გაეცნოს პერიოდულ პრესას. ასევე, იწერს იგი მისთვის მეტ-ნაკლებად ახლობელ ადამიანთა სახელებსაც, ვისთანაც აკადემიაში ყოფნისას ხშირად მოუწევს ურთიერთობა. გასაგებია, რომ ჩანაწერში ნახსენები ანგია – ანგია ბოჭორიშვილია, გამეზარდაშვილი – დავით გამეზარდაშვილი უნდა იყოს, მაგრამ გასარკვევია, ვის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-280, გვ. 8

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 480

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 424.

გულისხმობს სახელი ფატი, რომელიც იმავე დღეს გაკეთებულ სხვა ჩანაწერშიც არის ნახსენები: „ანგია ფატის გვერდით იშენებს, ე. ი. ამშვენებს, არემონტებს თავის მომავალ ოთახს. ფატის ოთახი ეხლა განსაკუთრებით კეთილმოწყობილი იქნება... ორშაბათს 12 საათზე ფატისთან ვარ. უკვე დაიწყება გალაკტიონოლოგიის საქმე.“<sup>1</sup>

ვფიქრობთ, პოეტის 1957 წლის 28 სექტემბრის ჩანაწერებში ნახსენები ფატი უნდა იყოს ფატი დიდია-პატარაია, გალაკტიონის ლექსების მთარგმნელის, ანდრო პატარაიას მეუღლე. ფატი დიდია აღნიშნულ პერიოდში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში, ხშირად ხვდებოდა გალაკტიონს და პოეტის შესახებ საინტერესო მოგონებებიც შემოგვინახა.<sup>2</sup> აქ რომ ნამდვილად ფატი დიდია იგულისხმება (და არა ფატი ნიშნიანიძე, რომელთანაც პოეტს ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა), ამას მოწმობს გალაკტიონის ამავე პერიოდის ერთი ჩანაწერი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მესამე სართული. 48 ოთახი. ფატი დიდია“.<sup>3</sup>

◇ 1957 წლის 2 ოქტომბერს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „ჩიხლადის ქალი ლიტ. მუზეუმში. დაუმზადებია მასალები“. ჩიხლადის ქალში იგულისხმება ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი ნინო ჩიხლაძე, რომელსაც, როგორც გალაკტიონის ფოტოარქივი მოწმობს, პოეტი შეხვედრია ამ ჩანაწერის გაკეთებამდე რამდენიმე დღით ადრე, 28 სექტემბერს და ფოტოც გადაუღია მასთან და ვანო კაკაბაძესთან.<sup>4</sup>

◇ გალაკტიონის 1958 წლის 15 ივლისით დათარიღებულ ჩანაწერში ორჯერ არის ნახსენები ვინმე **მუშკუდიანი**. პოეტი ჯერ მხოლოდ გვარსა და ტელეფონის ნომერს იწერს უბის წიგნაკში, შემდეგ კი ამ პიროვნების მიერ ნათქვამ ფრაზებსაც: „**1958**. 15 ივლისი. სამშაბათი. ...**მუშკუდიანი** - 3-18-10... **მუშკუდიანი**: - მე არ ვკისრულობო პასუხისმგებლობას. - ბევრი რამააო ისეთიო, რომლის გამოფენა არ შეიძლებაო. - მქონდა განათლების განყოფილებასთან საუბარიო. თავისთავზე არ ავიღებთო პასუხისმგებლობას. - მალე რემონტი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 433.

<sup>2</sup> იხ. კრებ. „გალაკტიონოლოგია“, VI, 2012, გვ. 197-251.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 480

<sup>4</sup> <http://galaktion.ge/?page=Photo&id=4671>

მექნებაო. - მალე რემონტის მერე კონფერენციაო. - მე რამდენიმე დღით მოგეცითო“.<sup>1</sup>

ვინ არის მუშკუდიანი? ამ კითხვაზე პასუხი პოეტის უახლოესი პერიოდის დღიურების გათვალისწინებით შეგვიძლია გავცეთ. როგორც უბის წიგნაკები ცხადყოფს, გალაკტიონი ამ დროისათვის აქტიურად ემზადება საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად, შესაბამისად, მისი ჩანაწერების დიდი ნაწილი სწორედ გამოფენის თემას ეხება. დღიურებიდან ირკვევა, რომ **მუშკუდიანი** უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული გამოფენის მოწყობის საკითხთან. დაახლოებით იმავე პერიოდში პოეტს ჩაუწერია:

„10 ივლისი. 1. ხელშეკრულების დადება სახელგამთან – (კულტურის მინისტრი დაელაპარაკა ნიკო შველიძეს). 2. **გაგრძელება გამოფენის საქმის: ამის შესახებ ცნობა მუშკუდიანს.** 3. ლიტფონდში 10 საათზე – რათა მივიღოთ ფლური“<sup>2</sup>.

პოეტის არქივში ასევე დაცულია ტექსტი, რომელშიც საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის გამოფენის მოსაწყობად მუშკუდიანს საგამოფენო დარბაზის დათმობას სთხოვს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი – ვანო (ივანე) კაკაბაძე: „ამხ. მუშკუდიანს. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექცია გთხოვთ საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენისთვის დაგვითმოდეთ შესაფერისი დარბაზი მ. წ. 9 ივლისიდან. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი /ვ. კაკაბაძე/<sup>3</sup>

გალაკტიონის საარქივო მასალის სრულ კორპუსში გვარის – „მუშკუდიანი“ – ძიებისას 1958 წლის ჩანაწერებს შორის ვნახეთ პოეტის მიერ ჩანიშნული ინფორმაცია, სადაც ამ გვართან ერთად სახელიც არის დაკონკრეტებული და პიროვნების სამუშაო ადგილიც. როგორც ირკვევა, ვალიკო მუშკუდიანი – სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კაბინეტის დირექტორი ყოფილა: „სტალინის სახელობის I საშუალო სკოლა. ჭიჭინაძის ქ. №№1. საქ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 525-526.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 530.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 527-528.

პედაგოგიური კაბინეტი. ბიბლიოთეკა მუშაობს 10.1. კაბინეტის დირექტორი – მუშკუდიანი ვალიკო. 2. წიგნსაცავის გამგე - თვალაბეიშვილი ლიუბა (ათის ნახევრიდან შვიდის...)<sup>1</sup>

ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერში დასახელებული მუშკუდიანი რომ ნამდვილად ვალიკო მუშკუდიანია, ამას ადასტურებს ის, რომ იმავე უბის წიგნაკში, სადაც მუშკუდიანის სახელი და თანამდებობაა მითითებული, ჩვენ მიერ ციტირებული ტექსტის წინა გვერდზე ასევე ნახსენებია გვარი „მუშკუდიანი“, ინიციალი „ვ.“ და სიტყვა „გამოფენა“, რაც ამტკიცებს, რომ პიროვნება, ვისგანაც საგამოფენო დარბაზის დათმობას ითხოვდა გალაკტიონი, ვალიკო მუშკუდიანი ყოფილა.

◇ 1957 წლის 8 თებერვალს გალაკტიონს უბის წიგნაკში ასეთი ფრაზა ჩაუნიშნავს: „ბასიასთან ვისაუბრე, აღშფოთებულია ბერძენიშვილით“.<sup>2</sup> აქ ნახსენები „ბასია“ ბესარიონ ჟღენტი უნდა იყოს, რომელსაც გალაკტიონი ხშირად უწოდებდა „ბესიას“. როგორც ჩანს, კრიტიკოსისთვის შერქმეული სახელი ამჯერად შეცდომით დაწერა (ბასია – ბესიას ნაცვლად), ხოლო ბერძენიშვილი, ვფიქრობთ, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილია. ვარაუდის მართებულობას ამტკიცებს გალაკტიონის სხვა ჩანაწერი, სადაც რამდენიმე პიროვნებასთან ერთად ბესარიონ ჟღენტი და ნიკო ბერძენიშვილიც არიან დასახელებულნი და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ირკვევა ისიც, რომ მათ შორის დაპირისპირების მიზეზი მსოფლმხედველობრივი პოზიცია იყო: „მე იდეალისტი არა ვარო, მე მარქსისტი ვარო - ამბობდა ნიკო ბერძენიშვილი. არის ორი მიმდინარეობა ისტორიულ მეცნიერებაში - მარქსისტული და იდეალისტურიო. ეს იყო აკადემიის წლიურ საანგარიშო სხდომაზე 28 მარტს, ხუთშაბათს, 1957 წ. მას თავს დაესხნენ: კ. გამსახურდია, ბ. ჟღენტი, გ. ლეონიძე (ინგოროყვას შტატი), თოფურია აკად. საინტერესოა ამ კრების სტენოგრამა. ვის ეძლევა და სხვ.“<sup>3</sup>

◇ 1957 წლის თერთმეტ თებერვალს გალაკტიონს მომდევნო დღეებში განსახორციელებელი გეგმა ჩაუნიშნავს: „გუგულისთან ათი დღის შემდეგ. თედორესთან ათი დღის შემდეგ. კულტურა - 4 დღის შემდეგ,

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-600, გვ. 12.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 29.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-379, გვ. 25.

ე. ი. 15 თებერვალს (ჩამოვა გუნია). თეატრალური მუზეუმი“.<sup>1</sup> ჩანაწერში ნახსენები გუგული, ვფიქრობთ, უნდა იყოს გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილი, ვინც 1939 წლიდან საქართველოს თეატრის მუზეუმის დირექტორი იყო. ამ ვარაუდის მართებულობაზე მეტყველებს ტექსტის ბოლო, მეოთხე სტრიქონში ნახსენები „თეატრალური მუზეუმი“. ხოლო თედორე, ვისთან შეხვედრასაც გეგმავს პოეტი, უნდა იყოს მხატვარი თედორე ჩუდეცი. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პოეტი მართლაც შეხვდა თედორეს, თუმცა, არა ზუსტად ათი დღის შემდეგ, არამედ – თებერვლის ბოლოს. ეს კარგად ჩანს ჩანაწერში, რომელიც 1957 წლის 27 თებერვლითაა დათარიღებული: „თედორე ჰყვება სტუდენტობის დროის ამბავს...“<sup>2</sup>

◇ 1957 წლის 15 თებერვალს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „იყვნენ აკადემიაში ინგოროყვა და სახელგამის ყოფილი დირექტორი... კუკუსა მესაუბრებოდა ბიბლიოგრაფიული წიგნის შესახებ.“<sup>3</sup> კუკუსას ვინაობას გალაკტიონის შესახებ არსებული ერთ-ერთი მოგონებიდან ვიგებთ. თედორე ჩუდეცის ქალიშვილი, ლონდა ჩუდეცაია აღნიშნავს, რომ პოეტი ბავშვობაში მას მოფერებით კუკუსას უწოდებდა ხოლმე.<sup>4</sup> მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლონდა ჩუდეცაია, როგორც ამავე მოგონებაშია ნათქვამი, 1950-იან წლებში აკადემიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა<sup>5</sup>. ჩვენი ვარაუდის მართებულობაზე მიგვანიშნებს გალაკტიონის ერთი ჩანაწერიც: „აკადემიის წიგნთ-საცავი (აკად.) აქვთ სტენდები - გამოფენისათვის. ტელეფონის ნომერია 3-36-48. აქ მუშაობს კუკუსა ჩუდეცი. შეიძლება მოეწყოს კარგი გამოფენა“.<sup>6</sup>

◇ 1957 წლის 28 მაისს, როდესაც რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი ღონისძიებისთვის ემზადებოდა, გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „დაბეჭდილია მოსაწვევი ბარათები რკინიგზელთათვის. ჩიო-ჩიო-სანი განაგრძობს თავის გდებას... ალფაიძე - ტელეფონი. ბახტაძე - ტელეფონი. ჩიო-ჩიო-სანი“... აქ დასახელებული ბახტაძე

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 44.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-379, გვ. 15

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 54.

<sup>4</sup> კრებ. „გალაკტიონოლოგია“, I, 2002, გვ. 247.

<sup>5</sup> კრებ. „გალაკტიონოლოგია“, I, 2002, გვ. 247.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-299, გვ. 1.



ჟურნალისტი ილია ბახტაძეა, ხოლო ალფაიძე – რკინიგზელთა სახლის კლუბის გამგე. ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ აპირებდა მათთან ტელეფონით გასაუბრებას პოეტი. მაგრამ ვინ უნდა იყოს ჩიო-ჩიო სანი, რომლის ქმედებებსაც ასე გაუღიზიანებია გალაკტიონი?

ამ კითხვაზე პასუხი პოეტის იმავე უბის წიგნაკშია, სხვა ჩანაწერში, სადაც პოეტი კვლავ რკინიგზელთა სახლში ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ ინიშნავს დეტალებს: „აქ საქმეში ჩაერევთან: გურგენიძე, ალფაიძე (პირველად), **ჩოგოვაძე - ჩიო** (მეორედ). არა სჩანს აკტივობა, ჯერჯერობით“<sup>1</sup>. კიდევ ერთი ჩანაწერის მიხედვით ირკვევა ჩოგოვადის სახელიც: „30-სათვის აკადემიაში შეხვედრათა - ფატისთან 5 საათზე - რკინისგზელების სახლში (კლუბი. **ალექსანდრე ჩოგოვაძე**)“<sup>2</sup> როგორც ჩანს, გალაკტიონმა ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორს, ალექსანდრე (სანდრო) ჩოგოვადეს მისი გვარიდან და სახელიდან გამომდინარე სახუმარო ზედმეტსახელი შეურჩია (**ჩოგოვაძე ალექსანდრე - ჩიო-ჩიო-სან**) და როცა გაღიზიანებული იყო მისი ქმედებების გამო, ასეც მოიხენიებდა ხოლმე უბის წიგნაკში. თუმცა, გარდა მოხსენიებისა, როგორც პოეტის ჩანაწერები ცხადყოფს, ალექსანდრე ჩოგოვადისთვის, რომლისგანაც ჩასატარებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით ვერავითარ აქტიურობას და ინიციატივას ვერ გრძნობდა, სახუმარო ლექსიც მიუძღვნია პოეტს: ჩიო-ჩიო-სანს, / ვერ ვჭვრეტ, არა სჩანს, / ან მოგკლავ და ან... /ჩიო-ჩიო-სან!<sup>3</sup>

---


<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 411.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 409.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 410.

ავტორთა, ადრესატთა და მთარგმნელთა იდენტიფიკაცია  
მაია ნინიძე

◇ გალაკტიონის ძმისწულის, ნოდარ ტაბიძის ოჯახში დაცულ პოეტის არქივში, რომლის გაციფრულებულ დოკუმენტებზეც ჩვენ ვმუშაობდით, ერთ პირად წერილს ბოლოში



გაკრული ხელით აქვს მიწერილი თარიღი და ფაქსიმილე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელრთვაში პირველი ინიციალი არის „კ“<sup>1</sup>. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ადრესანტმა ცოტა ხნით ადრე ყოველკვირეულ ჟურნალში „ცხოვრება და ხელოვნება“ გამოაქვეყნა მოთხრობა „სევდის ყვავილი“. ამ ჟურნალის კატალოგის გადათვალთვალებით გაირკვა, რომ ეს მოთხრობა გამოქვეყნდა ჟურნალის 1911 წლის 9 იანვრის ნომერში (N5). მოთხრობა ხელმოწერილია ფსევდონიმით „კ. ლიახვისპირელი“, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის. შესაბამისად, წერილიც კონსტანტინე გამსახურდიასია. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მეოცე საუკუნის ამ ორი დიდი ხელოვანის მიმოწერიდან ჩვენამდე არცერთ წერილს არ მოუღწევია და მათი ურთიერთობის შესახებ მხოლოდ მოგონებებიდან და მოკლე ჩანაწერებიდან იყო ცნობილი. რამდენადაც მოთხრობა 9 იანვარს დაიბეჭდა, წერილი კი მისი გამოქვეყნებიდან მოკლე დროში უნდა იყოს დაწერილი, ვვარაუდობთ, რომ თარიღში უნდა იკითხებოდეს 15 იანვარი.


◇ ტუტკუ გვარამიამ გალაკტიონს 1916 წელს მოსკოვში გადაუგზავნა ერთი მკითხველის წერილი, რომლის ხელმოწერიდან ძლივს ამოვიკითხეთ „აკაკი



<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N855, გვ. 1-2


პლებეიშვილი<sup>1</sup>. ეს არის მუშის, აკაკი სოლომონის ძე გაბრიჩიძის ფსევდონიმი.

◇ ციფრულ არქივში დაცულ ერთ ფურცელზე (გტცა N660) სათაურით „გმირი“ წერია ლექსის ერთი სტროფი: „შესდექი! ზვირთებს შეყვირა გმირმა, / ჩუმათ! ტალღებმა მისცეს პასუხი...“). სათაურის ქვეშ წერია მიძღვნა კონკრეტული პირისადმი. იმის გამო, რომ ტექსტი გადახაზულია, გარკვევით იკითხება მხოლოდ სახელის ინიციალი „მ“ და ის, რომ გვარი ბოლოვდება „შვილ“-ზე.



სხვადასხვა ვერსიების გადამოწმების შედეგად გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ „დაბოლოება „შვილი“-ს წინ შეიძლება ეწეროს მარცვლები „მარა“, მის წინ კი რაღაც ორი ასო, რომლებიც ქართული ანბანის ექვსხაზიანი ბადის შუა ორ ხაზს შორის უნდა იწერებოდეს. ასე გაჩნდა ვერსია გვარისა „თამარაშვილი“. გრაფემატული მახასიათებლების მიხედვით (გვხვდება ორკვლიანი „დ“) მხოლოდ იმის თქმა შეგვეძლო, რომ ტექსტი 1911 წელს ან შემდგომ პერიოდშია დაწერილი, მაგრამ ადრესატის იდენტიფიცირებამ ეს თარიღი დააზუსტა. ცნობილი ქართველი მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი დაიღუპა 1911 წლის 16 სექტემბერს სოფელ სანტა-მარინელასთან, ადრიატიკის ზღვაში. მან გადაარჩინა უცნობი პირი, რომელიც იხრჩობოდა და თავად ვეღარ შეძლო გამოცურვა. როგორც ვხდევთ, ლექსის დასაწყისიც თემატურად ამ ფაქტს ესადაგება. შესაბამისად, იგი უნდა დათარიღდეს 1911 წლის 16 სექტემბრის მომდევნო პერიოდით.

◇ საგულისხმოა, რომ პოეტის არქივში არის ერთი ლექსი, რომელსაც სათაურად აქვს 16 სექტემბერი „გრიგალმა გადაიარა... შეუსვენებმა, მქუხარემ...“<sup>2</sup>. მასში ზღვა და სან-მარინელასთან დატრიალებული ტრაგედია მინიშნებითაც არ არის ნახსენები. ტექსტს



<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N856, გვ. 1-2

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N1179, გვ.2.

უფრო ზოგად-ეგზისტენციალური ჟღერადობა აქვს, მაგრამ ნახსენებია „გრიგალი“, ქარიშხალი“, „ზვირთი“ და ცრემლები. ბუნებრივია, დავინტერესდით ლექსის დაწერის ზუსტი წლით. გრაფემატული დაკვირვებებით ხელნაწერ ტექსტში არის ზემოთ დამატებითხაზიანი „ლ“-ები, რომლებიც გალაკტიონთან 1909 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გვხვდება, მაგრამ არ არის გრაფემა „გ“-ს ის მოხაზულობა, რომელსაც მხოლოდ 1911 წლამდე იყენებდა. ამ ორი მახასიათებლის მიხედვით ხელნაწერი 1911 წლისა ან შემდეგდროინდელი უნდა იყოს. ფურცელზე არსებული ფაქსიმილეები გვეხმარება დროის ზედა ზღვრის დადგენაში. ასეთი ხელრთვები გვხვდება 1910-1915 წლების ინტერვალში. შესაბამისად, ტექსტი დაწერილი უნდა იყოს 1911-1915 წლებში რომელიმე 16 სექტემბრის გამოძახილით. რამდენადაც 1912-1915 წლებში გალაკტიონის ჩანაწერების მიხედვით 16 სექტემბერს რაიმე სხვა ფაქტი არ უკავშირდება, ვფიქრობთ ეს ლექსიც 1911 წლის 16 სექტემბერს მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამოძახილი უნდა იყოს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1930 წლის 19 ივლისის წერილის ადრესატი საარქივო გამოცემაში გარკვეული არ არის<sup>1</sup>. მიმართვაში წერია „ამხ. ვასო!“. პოეტი მაღლობას უხდის ადრესატს კეთილგანწყობისა და მისი საღამოს ჩასატარებლად თეატრის დათმობისთვის, მაგრამ აცნობებს, რომ საჩქაროდ გახდა სოხუმში წასასვლელი და სთხოვს, რომ 24 ივლისს დაგეგმილი საღამო შემოდგომისთვის გადაიტანონ. ბუნებრივია, დავინტერესდით წერილის ადრესატით, მით უფრო, რომ გალაკტიონი მას გამორჩეულ პიროვნებად მიიჩნევს. წერილში ნათქვამია: „ვეცდები, ვიპოვო შემთხვევა, პირადათ გითხრათ მაღლობა. ეს ჩემთვის მით უფრო სავალდებულოა, რომ ჩვენში თითქმის არ მოიპოება კაცი, რომელსაც თავის საქმედ მიაჩნდეს ჩვენი ხელოვნების საქმე, და არტისტიული თანაგრძნობით ეპყრობოდეს მას. სამწუხაროა ეს... მაგრამ ასეა“. წერილის შინაარსი ამ პირის იდენტიფიცირებისთვის დიდ ინფორმაციას არ იძლეოდა. ისიც კი არ ჩანს, რომელი თეატრის დათმობაზე არის საუბარი. ამიტომ თავიდან ამის გარკვევით დავიწყეთ. მართალია, სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ გალაკტიონს თავისი საღამო მალევე არ გაუმართავს, მაგრამ პირველი საღამო,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 62.

რომელიც ამის შემდეგ თეატრში გაიმართა იყო 1933 წლის 30 ივნისს და ეს მოხდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციით ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ უცნობმა ვასომ სამი წლის წინ სწორედ ოპერის თეატრის დარბაზი დაუთმო პოეტს, მაგრამ, რამდენადაც ალბათობა მეტი იყო, გადაწყვეტით პირველ რიგში ეს ვერსია გადაგვემოწმებია. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ჩანაწერებში 20-ზე მეტი ვასო იხსენიება. ზოგი იმთავითვე გამოვრიცხეთ, რადგან კონტექსტი, რომელშიც ის გვხვდებოდა ჩვენთვის საძიებელ სავარაუდო პირს არ შეესაბამებოდა (მაგალითად, ერთ „ვასოსთან“ პოეტს მიწერილი ჰქონდა, რომ ის მუშა იყო), ზოგი 1930 წელს უკვე გარდაცვლილი იყო (ვასო აბაშიძე), სხვები კი ჩამოვწერეთ და შევუდექით თითოეულის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის საინტერესო პერიოდის კვლევას. არაერთი უშედეგო ვარიანტის გადასინჯვის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ დრამატურგსა და მწერალს – ვსილ პატარაიას 1929-1931 წლებში ეკავა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის უფროსი ადმინისტრატორის თანამდებობა. ამის შემდეგ ისევ ჩავატარეთ საარქივო მასალების კორპუსული კვლევა და მივაგენით გალაკტიონ ტაბიძის მიერ 1929 წლის 6 მაისისთვის დაგეგმილ სალიტერატურო სადამოსთან დაკავშირებულ ჩანაწერს, რომელიც პოეტს ამ თარიღამდე 32 დღით ადრე (სავარაუდოდ, 4 აპრილს) გაუკეთებია. გალაკტიონს ჩანიშნული აქვს, რომ ამ გრანდიოზული სადამოსთვის დასჭირდება ოპერის თეატრის გეგმა.

რამდენადაც, როგორც წერილიდან ჩანს, სადამო შემოდგომამდე გადაიდო, პოეტს კიდევ უფრო დაწვრილებითი ახალი ჩანაწერი გაუკეთებია 5-6 ოქტომბრისთვის გადატანილი ღონისძიებისთვის („Нужен твердый план вечера. 5 и 6 октября.“) და ამჯერად თითოეულ აქტივობასთან შემსრულებლებიც ჰყავს მითითებული. სიტყვებიდან: „საკონფერანსიო განყოფილება - ვასო პატარაიას ხელმძღვანელობით.“ ჩანს, რომ ვასო პატარაია პოეტს არა მხოლოდ როგორც ადმინისტრატორი ეხმარებოდა, არამედ სადამოში მონაწილეობასაც აპირებდა და პოეტს მისი იმედი ჰქონდა, რადგან შემდეგ ჩანაწერში ვკითხულობთ: „პროგრამა საჭირო არაა, როდესაც იქნება კონფერანსიე.“ როგორც ვხედავთ, მრავალმხრივი კვლევით ერთ დასკვნამდე

---

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1933, №149, გვ. 4.

მივდივართ, რომ გალაკტიონის მიერ 1930 წლის 19 ივლისს გაგზავნილი წერილის ადრესატი ვასილ პატარაია.

◇ გალაკტიონის მიერ ჩერქეზული რომანის მოტივებზე დაწერილი ლექსი „მთებში“ ეძღვნება თავად „ნ. დ-ს ასულს“ (გტცა №198, გვ. 43) და ინიციალები ავტოგრაფში გაშიფრული არ არის, მაგრამ ამავე რვეულში ჩაწერილ ლექსს, რომელშიც ასევე მთის ბუნებაა აღწერილი, ქვეშ მიწერილი აქვს „ნინო დადიანის ასული“, ვფიქრობთ, შესაძლოა, ორივეგან იგულისხმებოდეს მწერალ შალვა დადიანისა და საზოგადო მოღვაწე მარიამ დადიანის ძმისშვილი, მწერლისა და ისტორიკოსის ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის შვილიშვილი – ნინო დადიანი, რომელიც ცოლად გაჰყვა რაფიელ (ფიდო) ნიკოლოზის ძე ყაზბეგს. საგულისხმოა, რომ ამავე რვეულში (გტცა N198) ჩაწერილ კიდევ ერთი ტექსტის დასაწყისს სათაურით „მოხვევის სიმღერა“ („ქალაუ, ვდნები, ვიწვები...“) ჯერ მიწერილი ჰქონდა „ნ. დადიანს“, რომელიც გადახაზულია და მიწერილი აქვს „ვუძღვნი რ-ს“. ვფიქრობთ, შესაძლოა, რომ ამ ქალბატონით ტერენტი გრანელის გარდა (ნინო დადიანისადმი მისი ტრფობის ამბავი ცნობილია), გალაკტიონიც ყოფილიყო მოხიბლული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცულ ერთ თაბახის ფურცელზე<sup>1</sup> ცალ მხარეს ხატია მეგობრული შარჟი, რომელზეც სილოვან ხუნდაძის თავი სიმელოტის გამო ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მთვარე, რომელსაც ის შეჰყურებს სიტყვებით: „მთვარე რაღაცას მაგონებს, მაგრამ რას?“. იქვე, გვერდის მეორე ნახევარზე ხატია გრძელ სკამზე ერთმანეთთან მჭიდროდ მსხდომი ქალბატონი და სასულიერო პირი, რომელსაც მისთვის ხელი აქვს მოხვეული. ქვეშ რუსულად მიწერილია, რომ სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილება. პირველ შარჟში მცირეოდენი წყენა ჩანს სილოვან ხუნდაძისადმი. ეს პირი გალაკტიონ ტაბიძის მიმოწერაში 1911 წლის თებერვლიდან იხსენიება, მაგრამ რაც შეეხება წყენას, იგი შეემლო გამოეწვია იმას, რომ სილოვან ხუნდაძემ გალაკტიონს ჩაუსწორა გამოსაქვეყნებლად მიტანილი ლექსები. ამის შესახებ გალაკტიონმა ძმის მიერ მიწერილი 1911 წლის 2 ივლისის წერილიდან გაიგო. შესაბამისად ორივე ჩანახატს, რომლებიც ერთ

---

<sup>1</sup> ჩანახატი, გტცა, №200, გვ. 1.

გვერდზეა მოთავსებული, ვათარილებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ მოკლე წერილში, რომელიც 1919 წლის 29 იანვრით არის დათარიღებული, ადრესატი „ტასოდ“ არის მოხსენიებული<sup>1</sup>. შინაარსის მიხედვით, პოეტი დილიდან ელოდება ადრესატის მასთან მისვლას საშვის ასაღებად, მაგრამ ამაოდ. მოგვიანებით უგზავნის წერილს, ეკითხება მიუსვლელობის მიზეზს და თან იმასაც დასძენს, რომ ადრესატს ბილეთი არც სჭირდება, რადგან მის მიერ „მოჯადოებული“ დარაჯები ისედაც შეუშვებენ. რამდენადაც გალაკტიონ ტაბიძე იმ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მდივნად მუშაობდა, საუბარი უნდა იყოს მთავრობის შენობაში შესასვლელ საშვზე. წერილის ტონის მიხედვით, ადრესატი ასაკოვანი და პატივცემული ქალბატონი უნდა იყოს. ამიტომ საარქივო გამოცემაში წერილის ადრესატად მითითებულია ანასტასია ციციშვილი<sup>2</sup>. ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ წერილის ადრესატი უნდა იყოს ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავის მეუღლე, იმხანად 55 წლის ანასტასია გიორგის ასული ციციშვილი.

◇ გალაკტიონის ლექსთან „დღემ გაიარა...“, რომელიც 1921 წლის 31 ივლისით არის დათარიღებული, ადრესატის ვინაობა აღნიშნული არ არის, მაგრამ მასში არის მიმართვა „მიშელ“<sup>3</sup> და თან მიშელის სატრფოდ ნახსენებია „ლოლა“. რამდენადაც „მიშელად“ პოეტი სხვაგანაც იხსენიებს მიხეილ ბოჭორიშვილს და ამ უკანასკნელის წერილებიდან ჩანს, რომ მის სატრფოს „ლოლა“ ერქვა, ლექსი მისდამი უნდა იყოს მიძღვნილი.

◇ 1941 წლის 18 აპრილს რუსულ გაზეთში „მაღალი სტალინეც“ დაბეჭდილ გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ნაწყვეტთან მთარგმნელად მითითებულია ვ. ვასილენკო. ამ მთარგმნელის სახელს ვერსად მივაგენით. ამავე წელს, ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულ მის სხვა თარგმანთან კი წავაწყდით ინფორმაციას, რომ ის იმჟამად იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, „ლიტერატურის მატთანე“, 2008, გვ. 60.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, გვ. 60-61.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. II, თბ., 1966, გვ. 344; გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. III, თბ., 2016, გვ. 315.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი<sup>1</sup>. შესაძლოა მას მთარგმნელობითი მოღვაწეობა აღარ გაუგრძელებია ან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ იმ ასობით ათასი ადამიანის რიცხვში მოჰყვავა, რომლებიც საქართველოდან გაიწვიეს.

◇ 1942 წლის 28 აპრილს რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაბეჭდილ გალაკტიონ ტაბიძის ლექსთან „ლენინგრადი“ მთარგმნელად მითითებულია დ. სტრელცოვი<sup>2</sup>. გალაკტიონის ერთ-ერთი ჩანაწერიდან გავარკვეით, რომ სახელის ინიციალში „დიმიტრი“ უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაგრამ ამ სახელისა და გვარის მთარგმნელსაც ვერ მივაგენით. სხვადასხვა ციფრულ ბაზებში ძიების შედეგად გავარკვეით, რომ 1940-იან წლებში ფსევდონიმით „დიმიტრი სტრელცოვი“ თავის თარგმანებს აქვეყნებდა ელიზბარ ანანიაშვილი.

◇ გალაკტიონის ერთ წერილს ვინმე ნიკოსადმი ადრესატის გვარი არ აწერია<sup>3</sup>, მაგრამ ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ ეს უნდა იყოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ნიკო კიკნაძე.

◇ გალაკტიონის რამდენიმე ლექსი არის მიძღვნილი „მ. ნ.“-სადმი<sup>4</sup> ანუ მაროსადმი, ერთ ავტოგრაფთან კი წერია და გადახაზულია „მ. ნაზარბეგოვის ქალი“<sup>5</sup>. ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს სწორედ მარო ნაზარბეგოვზე.

◇ გალაკტიონის მიერ 1947 წლით დათარიღებული ერთი წერილის ადრესატია ვინმე ტერენტი. გვარი მითითებული არ არის<sup>6</sup>. ამ წელს ტერენტი გრანელი გარდაცვლილია, გალაკტიონის საარქივო მასალებში კი არის მხოლოდ კიდევ ერთი ტერენტი – ტერენტი ვეფხვაძე, რომელსაც პოეტი პედაგოგად მოიხსენიებს. საუბარი უნდა იყოს პირველი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგ ტერენტი ვეფხვაძეზე. გალაკტიონის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ

---

<sup>1</sup> Герои : [Стихи] / Ираклий Абашидзе ; Перевел с грузинского студент филологического факультета Госунта В. Василенко // Молодой сталинец. - Тбилиси, 1941.

<sup>2</sup> Ленинград (Стихи) Галактион Табидзе, Перевел с грузинского Д. Стрельцов, Заря Востока, 1942, 28 апреля, N100.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-165; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 70.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა N75.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, გტცა N336, გვ. 14.

<sup>6</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-75; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 72.



სემინარიიდან იცნობდნენ. ამავე წერილში ნახსენებია „გილიარევესკის ლექსი“. სავარაუდოდ, გვარის დაწერილობაში შეცდომაა და საუბარი უნდა იყოს ვლადიმერ ალექსეის ძე გილიაროვესკოზე.

◇ ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონი წერს „აი, სათაურები მისი ნაწარმოების:“ და ჩამოწერს ათობით სათაურს, მაგრამ არ ახსენებს, ვის ნაწარმოებებზეა საუბარი<sup>1</sup>. რამდენადაც ტექსტების სათაურები არ გვეცნო და მივიჩნიეთ, რომ პოეტი მათ უმრავლესობას რუსულ ენაზე გაეცნობოდა, რამდენიმე სათაური ვთარგმნეთ და ვემბეთ ინტერნეტში. ორის („თამაში ცეცხლთან“ და „წითელი ოთახი“ ავტორი აღმოჩნდა შვედი მწერალი ავგუსტ სტრინბერგი.

◇ 1930 წლის 11 ნოემბრის ჩანაწერში<sup>2</sup> გალაკტიონი ასახელებს იმ ნაწარმოებებს, რომლებმაც გამოიწვია მისი დაინტერესება ბოჰემის თემით. რომანთან „მე ვწვავ პარიზს“ ავტორი მითითებული არ არის და გავარკვეით, რომ საუბარია ბრუნო იასენსკის რომანზე. ასევე არ იყო ავტორი მითითებული ტექსტთან „სატანის მეგობარი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ანდრეევის რომანის „მეფე შიმშილი“ სათაურად ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძეს „შიმშილი“ უწერია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ავტორის გარეშე მითითებული ტექსტის სათაურიც მიახლოებითი იყოს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, იგულისხმებოდეს პოლონელი მწერლის, სტანისლავ ჰშიბიშევესკის რომანი „სატანის შვილები“, რომელიც რუსულ ენაზე 1911 წელს უკვე იყო გამოცემული.

◇ 1949 წლის 15 აგვისტოს გალაკტიონმა დაწერა ლექსი „ხელიძესთან“<sup>3</sup>, რომელშიც ადრესატის მოსაცდელში ლოდინზეა საუბარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე დღიურში გაკეთებული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პოეტს იმ პერიოდში დაუსვენს ტუბერკულოზის დიაგნოზი და სჭირდებოდა საგზური სანატორიუმში, ლექსი უნდა ეძღვნებოდეს ჯერ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარ, შემდეგ კი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ალექსანდრე თადეოზის ძე ხელიძეს. ბუნებრივია, რომ მინისტრის

---


<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 204-205.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 117.


<sup>3</sup> ქლმ. დ-243, გვ. 8; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 539. შენიშვნისთვის:

მოსაცდელში პოეტს ბევრად დიდხანს დასჭირდებოდა ლოდინი, ვიდრე ნებისმიერ ექიმთან ვიზიტისას.

◇ გალაკტიონი ადრეულ ლექსებს ხშირად უძღვნის ვინმე „ელიკოს“. ორი ლექსის ავტოგრაფებთან



მითითებულია გვარიც „ელ. წერეთელი“. ეს ლექსებია: „მესიზმრება“ („ნუ მომაგონებ, ჩემო ღვთაებავ...“)<sup>1</sup> და „ვსწერ... მსურს ფიქრი და ნაღველი...“ ასევე ადრეულ ნაწერებში გვხვდება კიდევ ერთი ელიკო – ელენე გოდაბრელიძე. ჩვენ მიერ 1910 წლით დათარიღებულ ერთ დღიურში პოეტი ჯერ წერს სახელს „ელიკო“ და გვერდით რამდენჯერმე რუსულად უწერს „ელენე გოდაბრელიძე“<sup>2</sup>. ამ ელენე გოდაბრელიძეს უნდა ეძღვნებოდეს ლექსი „რომანსი“ („ჩემს წვრილას ქნარს შენ ყურს უგდებდი...“) მინაწერით „ელ. გ-ს“



. არის ისეთი ლექსებიც, რომლებთანაც მხოლოდ სახელი ელიკო წერია და წარმოუდგენელი იყო იმის გარკვევა, წერეთელს ეძღვნებოდა თუ გოდაბრელიძეს. ამ გამოცანაზე პასუხი გაგვცა 1907-1908 წლების ერთმა საერთო რვეულმა, რომელშიც პოეტს სუფთად გადაუწერია თავის ნაწარმოებები. ამ რვეულში 42-ე გვერდზე არის 1908 წლის 8 მარტის თარიღით გაკეთებული რუსული მინაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ ელენე გოდაბრელიძე იმჟამად ქალთა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლეა.



<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №420, გვ. 1. გტცა, №196, გვ. 15. გტცა, №8, გვ. 2.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №460, გვ. 2.

63-ე გვერდზე ზუსტად ამავე რიცხვით არის დათარიღებული ქართული ჩანაწერი „ელენა წერეთელი“<sup>1</sup>. შესაბამისად, ზემოხსენებულ ყველა შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს ერთსა და იმავე პიროვნებაზე. ეს რვეული, როგორც ჩანს, გალაკტიონმა მას გადაუწერა და 8 მარტს ჯერ რუსულად და შემდეგ ქართულად საკუთარი სახელი და გვარი თავად გოგონას უნდა მიეწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გალაკტიონმა ამავე პერიოდში დაწერა პოემა, რომლის პროტაგონისტია ახალგაზრდა მშვენიერი გოგონა ელენე, რომელიც მამამ ძალით გაათხოვა, ქმარი არ უყვარდა და სხვაზე იყო შეყვარებული<sup>2</sup>, შესაძლოა, ამ ორი გვარიდან ერთი მამისეული იყოს და მეორე – ქმრის. რამდენადაც გვარი წერეთელი ცოტა გვიანდელ ჩანაწერებში გვხვდება, ვფიქრობთ, რომ ელენე უნდა ყოფილიყო გოდაბრელიძე-წერეთლისა.

◇ მწერალთა კავშირის არქივში დაცულია განცხადება, რომლითაც „დ. პოლიკარპოვი“ მიმართავს „სიმონ ივანეს ძეს“ და ყურადღებას ამახვილებინებს, რომ გალაკტიონ ტაბიძის გამოსაცემად გამზადებულ წიგნში „ლირიკა“ თარგმანები უხარისხოა და ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში პოლიტიკური პოზიცია ორაზროვანი<sup>3</sup>. კვლევის შედეგად გავარკვეეთ, რომ წერილის ავტორია იმხანად საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი დიმიტრი პოლიკარპოვი და ადრესატი – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. საუბარია ლექსზე „რამდენიმე დღე პეტროგრადში“. ამ პირის სახელს უკავშირდება რუსი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ბორის პასტერნაკის წინააღმდეგ აგორებული რეპრესიული კამპანია.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N655, გვ. 42, 63.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N190, გვ. 1-11.

<sup>3</sup> ქლმ, მკს N15.

## ლექსების: „შენ ზღვის პირად...“ და „ალეები თოვლში“ ადრესატი მაია ნინიძე

პირად წერილებსა და დღიურებში დიდი რაოდენობით ინფორმაციაა ხოლმე დაცული როგორც მათი ავტორების, ისე ადრესატებისა და სხვა პირთა შესახებ, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ საარქივო მასალის დათარიღებას. ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვა ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტში ხშირად განსხვავებულ შინაარსს იძენს. გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას წერილებისა და დღიურების კვლევამ გაარკვია, რომ სწორედ ოლიას ეძღვნება გალაკტიონის ლექსები: „შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი...“, „მერის თვალებით“<sup>1</sup> და „ალეები“. შესაბამისად, დიდი ალბათობით, მასვე და არა მერი შერვაშიძეს ეძღვნება ამ ციკლის ყველა ლექსი. ასევე, ცალსახად დადასტურდა, რომ სწორედ ოლია ოკუჯავას მფარველობას ევედრება პოეტი ღვთისმშობელს ლექსში „მზეო თიბათვისა“.

გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი უთარილო წერილიდან ოლია ოკუჯავასადმი, ჩანს, რომ ოლია ქუთაისიდან ახალწასულია ჭიათურაში<sup>2</sup> („სხვა, მე ძლიერ მოწყენილათა ვარ მას მერე, რაც შენ წადი. ყველაფრის ხალისი დამეკარგა, ნამდვილმა "ხანდრამ" გარემომიცვა.“). ბარათიდან ასევე ირკვევა, რომ მისი წასვლის შემდეგ ეს გალაკტიონის პირველი წერილია, მაგრამ ოლიამ უკვე ორი წერილის გაგზავნა მოასწრო მისთვის. მას პოეტის მისამართი არასწორად სცოდნია და ამ წერილებმა გალაკტიონამდე მისვლა თითო კვირით დააგვიანა. ამიტომ გალაკტიონი ხელახლა სწერს თავის მისამართს: „ალექსანდროვის“ 3, გრიგოლ ხაჩატუროვის სახლი. სხვა საარქივო მასალებიდან შევეცადეთ იმის გარკვევას, თუ როდის ცხოვრობდა გალაკტიონი ამ მისამართზე. პოეტი 1915 წლის 25 აპრილს სწორედ ამ მისამართიდან უგზავნის წერილს კოტე მაყაშვილს (კოტე მაყაშვილის არქივი, N5587-ბ), და ამავე წლის 7 ივნისს ამავე მისამართზე იღებს ძმის, აბესალომის მიერ სოფლიდან გაგზავნილ წერილს. შესაბამისად, 1915 წლის 25 აპრილიდან 7 ივნისის ჩათვლით ამ სახლში ცხოვრობდა. ჩვენ მიერ 1915 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდით დათარიღებულ წერილში

<sup>1</sup> მ. ნინიძე, „არჩევანი ორი ალტერნატიული თარიღიდან“, წიგნში „გრაფიკული კვლევა“, თბ, 2025, გვ. 157.

<sup>2</sup> ქლმ, 24551/38.

ოლია ოკუპაციის დროს (ბ-24551/27) კვითხულობთ: „მე ისევ ძველ ბინაზე ვარ, ვერას გზით ვერ მოვახერხე გადადგომა, იქ კი სულ არ მიმიწევს გული“. რამდენადც ბარათიდან ჩანს, რომ დიდი ხანია უნდა ბინიდან გადასვლა, სექტემბრის ამ წერილშიც იმავე ბინაზე უნდა იყოს, საუბარი, რომელშიც ივნისში ცხოვრობდა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პოეტი 1915 წლის 20 სექტემბერსაც ხაჩატუროვის ბინაში ცხოვრობდა.

რამდენადაც გალაკტიონს ოლიასთან რეგულარული მიმოწერა ჰქონდა, მის ახალ ბინაში გადასვლის ამბავს ოლია მალევე გაიგებდა. უთარილო წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონის მიერ ამ ბარათით თავისი ზუსტი მისამართის გაგზავნამდე, ოლია ამ მისამართს შეცდომით წერდა („ადრესი მართალი არ იყო, ამიტომ მთელი თითო კვირა ეარნა სხვადასხვა ქუჩებში ჩემს წერილებს“). ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ წერილი გალაკტიონის ამ ბინაში ცხოვრების ჩვენთვის ნაცნობ ქვედა ზღვართან – 1915 წლის 25 აპრილთან უფრო ახლოს უნდა იყოს, ვიდრე სექტემბერთან. ბუნებრივია, დავინტერესდით, წერილის დაწერის ქვედა ზღვრის უფრო დაზუსტებითაც და ვიკვლიეთ 1915 წლის 25 აპრილამდე პერიოდის წერილები იმის გასარკვევად, თუ რა მისამართს უთითებდა მათზე პოეტი ან რა მისამართზე უგზავნიდნენ მას წერილებს. სამწუხაროდ, ამ პერიოდიდან დედისთვის გაგზავნილი წერილის ერთადერთი კონვერტია შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ 1914 წლის 13 თებერვალს პოეტი ცხოვრობდა პუშკინის ქუჩაზე ანდრო ჭიჭიშვილის სახლში<sup>1</sup>. შეიძლება თუ არა, რომ გალაკტიონი ალექსანდრეს ქუჩაზე 1914 წელსვე გადასულიყო? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან მის მიერ ოლიასთვის ჭიათურაში 1915 წლის 11 იანვარს გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ პოეტი იმ პერიოდში თავისი ქუთაისის ბინის მისამართზე ოლიას წერილებს უპრობლემოდ იღებდა („დავბრუნდი. დამხვდა შენი წერილები“). შესაბამისად, ახალ ბინაზე 1915 წლის 11 იანვრამდე ვერ გადავიდოდა. ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ამ დროიდან საადდგომო არდადეგებამდე – 4 აპრილამდე პერიოდში.

სხვა წერილებიდან ვიცით, რომ ქუთაისში არდადეგებზე ყოფნისას ოლია გალაკტიონს სახლშიც აკითხავდა და აქ ჩნდება კითხვა, თუ ის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის წერილი დედას, მაკრინე ადგიშვილს, გტცა, #804, 1-5.


ალექსანდრეს ქუჩაზე მის სახლში სააღდგომო არდადეგებზე ნამყოფი იქნებოდა, როგორ არ ეცოდინებოდა მისამართი. ბუნებრივია, რომ ის თავის ახალ ბინაზე პირველად გალაკტიონს მიეყვანა, ასეთ დროს კი ადამიანი დიდ ყურადღებას არ ანიჭებს ქუჩის ნომერს და შეიძლება არ დაამხასოვრდეს, თუნდაც ამის შემდეგ მარტოდაც არაერთხელ ყოფილიყო იქ ნამყოფი, მით უფრო, რომ საუკუნის დასაწყისში ქუთაისში ერთმანეთისაგან განსხვავებული საცხოვრებელი სახლები იდგა და არა თანამედროვე კორპუსები, რომლებიც ტყუპის ცალებივით გავს ერთმანეთს. გარდა ამისა, შენობებს დღესაც კი ყოველთვის არ აწერია ქუჩის სახელი და ნომერი და რა გასაკვირია, რომ მაშინაც ასე ყოფილიყო. ვფიქრობთ, გალაკტიონის სახლის ადგილმდებარეობის პრაქტიკულ ცოდნას უფრო შეიძლებოდა გამოეწვია ოლიას მხრიდან წერილზე გალაკტიონის ბინის მისამართში რაღაცის შეშლა, ვიდრე გალაკტიონის მიერ გაგზავნილი წერილის კონვერტიდან მისი მისამართის გადაწერას. ფაქტია, ამ მისამართიდან გაგზავნილი ერთი წერილი მაინც რომ ჰქონოდა ოლიას იმ დროს მიღებული, მისამართს იქიდან გადაწერდა და არ შეეშლებოდა. შესაბამისად, გალაკტიონი ალექსანდრეს ქუჩაზე საცხოვრებლად აპრილის დასაწყისში, 1915 წლის სააღდგომო არდადეგების დროს ან მისი დასრულების შემდეგ, ოლიას ჭიათურაში დაბრუნებისთანავე უნდა გადასულიყო და ოლიამ შეიძლება სიტყვიერად იცოდა, სად აპირებდა გადასვლას. ორსავე შემთხვევაში გალაკტიონის უთარილო ბარათი უნდა დაწერილიყო 1915 წლის ნააღდგომევს ოლიას ჭიათურაში დაბრინებიდან (4 აპრილის შემდეგ) სულ ცოტა ერთი კვირის შემდეგ (ჭიათურაში დაბრუნებულმა ოლიამ ორი წერილი გაუგზავნა, რომლებიც გალაკტიონმა თითო კვირის დაგვიანებით მიიღო) ანუ არა უადრეს 11 აპრილისა, ახალ ბინაში კი გალაკტიონი, შესაბამისად, 1915 წლის 11 იანვრიდან 11 აპრილამდე პერიოდში უნდა გადასულიყო<sup>1</sup>.

ამ წერილის დათარიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი საყურადღებო ინფორმაციის გამო. მასში ვკითხულობთ, რომ გალაკტიონს ლექსი დაუწერია, რომლის მიძღვნასაც აპირებდა ოლიასთვის და რომელიც, მისი თქმით, მალე დაიბეჭდებოდა („მე ერთი პატარა ლექსი დავსწერე, რომელიც მსურს, შენ მოგიძღვნა... მალე

---

<sup>1</sup> ქლმ, ხ-24551/38; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 35.

დავბეჭდავ“).



1915 წლის 11 აპრილის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი თანმიმდევრობით: 15 აპრილი: „მერი“ („შენ ზღვის პირად...“)<sup>1</sup>, 16 აპრილი: „ყოველ თეთრ ღამეს“<sup>2</sup> და 4 მაისი: „აკაკის ლანდი“<sup>3</sup>. ამის შემდეგ სექტემბრამდე (იხ. „ყვითელი ფოთოლი“<sup>4</sup>) მისი არცერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა. რამდენადაც გალაკტიონმა ოლიას შემდეგი წერილი 11 მაისს გაუგზავნა ბათუმში, უთარილო წერილი ამ რიცხვზე გვიანდელი ვერ იქნება. ლოგიკურია, რომ ჩვენთვის საინტერესო ინტერვალში გამოქვეყნებული სამი ლექსიდან „აკაკის ლანდი“ უნდა გამოვრიცხოთ, მაგრამ არც „ყოველ თეთრ ღამეს“ არის ისეთი ლექსი, პოეტს თავისი სატრფოსთვის რომ მიეძღვნა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ოლია ოკუჯავას უნდა ეძღვნებოდა ლექსი „მერი“ („შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი, / სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი...). საგულისხმოა, რომ ეს არის გალაკტიონის მიერ მერიზე გამოქვეყნებული პირველი ლექსი.

რატომ ზღვა? იყო თუ არა მერი ამ დროს ზღვაზე? ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ შემდეგ წერილს იმავე წლის 11 მაისს გალაკტიონი ოლიას უკვე ბათუმში უგზავნის და ზღვასთან „მოკითხვასაც“ კი აბარებს. უთარილო წერილის შინაარსში არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისიც ზღვაზე იყოს გაგზავნილი (თუმც თეორიულად ვერც ამას გამოვრიცხავთ), მაგრამ 11 მაისს ოლია ბათუმში თავისი დეიდის – მაკრინე ოკუჯავა-კიკვაძის ოჯახში იყო და იქ წასვლა, სავარაუდოდ, წინასწარვე ექნებოდა დაგეგმილი. ბუნებრივია, გალაკტიონს უსაზღვროდ ენდომებოდა მასთან ერთად გამგზავრება, რაც მისი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელს შესაძლებელს ხდის პოეზია. ვარაუდი იმის

<sup>1</sup> ჟურნ. „განთიადი“, 1915, 15 აპრილი, N8, გვ. 1.

<sup>2</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 16 აპრილი, #37, გვ. 3. 84

<sup>3</sup> გაზ. „ახალი კვალი“, 1915, 4 მაისი, #1

<sup>4</sup> ჟურნ. „განათლება“, 1915, სექტემბერი, VII, გვ. 485;

შესახებ, რომ „მერის“ ციკლის ლექსების შთაგონების წყარო გალაკტიონისთვის იყო ოლია ოკუჯავა და არა მერი შერვაშიძე არაერთ მეცნიერს აქვს გამოთქმული, მათ შორის მასთან ისეთ დაახლოებულ პირსაც, როგორც იყო ბენო ჩიქობავა<sup>1</sup>, მაგრამ ოლიასთვის მიწერილი ზემოთ განხილული წერილის დათარიღებამ ეს ვარაუდი საბოლოოდ განამტკიცა.


ლექსის ფრაზები: „შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი / მოულოდნელ სიყვარულად ვცანი“, „ამ ღიმილში კარგი, მშვენიერი / გამოკრთოდა სევდა-კაემანი“, „იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმდერი“. თუ ეს მართლაც ის ლექსია, რომელიც უთარილო წერილის დაწერამდე ცოტა ხნით ადრე შექმნა პოეტმა, ოლიას ქუთაისიდან გამგზავრების შემდეგ, შესაძლოა უკანასკნელი შეხვედრისას მან ოლიას ღიმილში მისდამი განსაკუთრებული სიყვარული ან საკუთარი ცხოვრების მისთვის დაკავშირების სურვილი ამოიკითხა. რაღაც ამდაგვარზევე მიგვანიშნებს უთარილო წერილის პასაჟი: „შენ რაღაც საიდუმლოებაზე მესაუბრები მეორე წერილში... მე კიდევაც ვგრძნობ, თუ რა უნდა იყოს შენი საიდუმლო... (ქალის საიდუმლო ყოველთვის ძლიერ გამჭვირვალეა).. და თუ ისეა, მე როგორც ვფიქრობ...“ პოეტი სწორედ ამ მრავალწერტილით დასრულებული სიტყვების შემდეგ უმხელს ოლიას, რომ ლექსი მიუძღვნა. ამ წერილში არსებული ინფორმაცია მასში ნახსენები ლექსისა და ზოგადად „მერის“ სახის ინტერპრეტაციების კიდევ ერთხელ გადახედვისკენ მოგვიწოდებს. ის ფაქტი, რომ ლექსის არც სათაურშია ოლიას სახელი და არც ოფიციალური „ძღვნა“ ახლავს, თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ეს ჩვეულებრივი სატრფიალო ლექსი არ არის და მასში მხოლოდ ერთი კონკრეტული ქალი არ მოიაზრება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მისი დაწერისას პოეტის შთაგონების ერთ-ერთი წყარო მაინც ოლია ოკუჯავა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, განსახილველი უთარილო ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1915 წლის 11 აპრილიდან ლექსის გამოქვეყნებამდე – 15 აპრილამდე პერიოდში.

---

<sup>1</sup> ბენედიქტე ჩიქობავა, ვინ არის მერი – გალაკტიონ ტაბიძის სატრფიალო პოეზიის გმირი ქალი?, ჟ. „მნათობი“, 1973, N7, გვ. 103.



1921 წლის 24 მაისს, მას შემდეგ, რაც გალაკტიონმა გაიგო, რომ ოლია ოკუჯავა მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა და სამი წლის უნახავ გალაკტიონს არ შეხმიანებია, დღიურში გააკეთა ვრცელი ჩანაწერი მათი ურთიერთობის შესახებ. აქ ის აღნიშნავს, რომ ამ ხანგრძლივი განშორების პერიოდში მან ერთ ჟურნალში დაბეჭდა ლექსი და მოჰყავს ტექსტი ლექსისა „მზეო თიბათვისა“: „მზეო თიბათვისა, მზეო ღვთისმშობელო... მზეო თიბათვისა ამას გევედრები“. ლექსის ციტირების შემდეგ პოეტი ასე აგრძელებს თავის ჩანაწერს: „იგი არის ტფილისში. მამასადაძე! ისმინა თუ არა ღვთისმშობელმა ჩემი ვედრება! აი, რა არის გამოსარკვევი. ეს ლექსი ხომ მას შეეხებოდა...“ შესაბამისად, ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ლექსში „მზეო თიბათვისა“ ნაცვალსახელით „იგი“ მოხსენიებული პირი, ვის შეწევნასა და მფარველობასაც სთხოვს პოეტი ღვთისმშობელს, ოლია ოკუჯავაა<sup>1</sup>.



### „ალგები თოვლში“


გალაკტიონის ერთ ცნობილ ლექსს ავტოგრაფში სათაურად აწერია „ალვის ხე“<sup>2</sup>, 1916 წლის 18 თებერვლამდე გამოქვეყნებულ კრებულში „სხივი“ კი – „ალგები თოვლში“ და ქვეშ მიწერილი აქვს 1915 წალვერი<sup>3</sup>. ლექსს ავტოგრაფში სათაურის რამდენიმე ვერსია აქვს გადახაზული, მაგრამ წელი ან დაწერის ადგილი აღნიშნული არსად არის. პირველი პუბლიკაციისა და ამ ავტოგრაფის შედარება გვარწმუნებს, რომ ავტოგრაფი უფრო ადრეულია, ვიდრე პუბლიკაცია, რადგან პუბლიკაციაში გათვალისწინებულია ავტოგრაფის სწორებები. მაგალითად, ბოლო სტროფში ავტოგრაფში თავდაპირველად მესამე ტაეპის დასაწყისში ეწერა „ჩვეულ“ და მეოთხე ტაეპის დასაწყისში „უჩვევ“, შემდეგ კი ავტორმა ეს სიტყვები გადახაზა და დაწერა პირიქით, მესამე ტაეპში „უჩვევ“ და მეოთხეში „ჩვეულ“, რაც პირდაპირ გადავიდა პირველ პუბლიკაციაში. შესაბამისად, ლექსის თავდაპირველი ვარიანტი დაწერილია 1916 წლის 18 თებერვლამდე.

<sup>1</sup> ავტოგრაფული ჩანაწერი, გტცა 559, გვ. 1.

<sup>2</sup> ქლმ, №5390; გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. II, თბ., 2016, გვ. 70.

<sup>3</sup> კრ. „სხივი“, 1916, გვ. 84.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსს პირველ პუბლიკაციაში მიწერილი აქვს 1915 წელი, წალვერი, წალვერში კი გალაკტიონი 1915 წლის ივნისში იმყოფებოდა, ტექსტის თავდაპირველი სათაურები „სახალწლო“, „ზამთრის ღამე“, „თოვლი“ და თავად ტექსტის თავდაპირველი ვარიანტის სახეებიც „თოვლიან ალვებს“, „ყინვის თასებით“, „თოვლი გუნდ-გუნდად დასცვივა ტოტებს“, „სიცივის მძინარებაში“ უფრო ზამთრის სურათზე მიგვანიშნებს. მასში ჯერ არ არის შეტანილი ისეთი სიმბოლისტური სახე, როგორცაა „ივლისისფერი ყინვა“ და არც ის ჩანს, რომ წალვერში გატარებულ ზაფხულთან აკავშირებდეს რამე. რამდენადაც ალტერნატიულ სათაურებშიც და ტექსტის თავდაპირველ ვერსიაშიც ყველაფერი ზამთარზე მიგვანიშნებს, ერთ-ერთი ალტერნატიული სათაური კი არის „სახალწლო“, ვფიქრობთ, რომ იგი 1916 წლის იანვრამდე უნდა იყოს დაწერილი. იმის შესახებ, თუ რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ლექსის ქვეშ მიწერილი ოლიასადმი მიძღვნის უცნაური ფორმა: „ო. ლიას“, ვიგებთ ოლია ოკუჯავას ამავე წლის 7 თებერვლის დღიურიდან. მართალია, დღიურს წელი არ აწერია, მაგრამ მომდევნო ჩანაწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ „თებერვალში“ 1916 წლის თებერვალი იგულისხმება<sup>1</sup>. მასში ვკითხულობთ: „Читаю: „посвящаю Лии“ и ты, Гал, и ты мне в своей тетради приписал Лиас.“ ჩანაწერში სწორედ ლექსის „ალვები თოვლში“ ავტოგრაფზე გაკეთებულ ზემოხსენებულ მინაწერზე უნდა იყოს საუბარი. ოლია ოკუჯავა წერდა გალაკტიონისადმი მიძღვილ მოთხრობას, რომლის პროტაგონისტ ქალს ერქვა ლია და, როგორც ჩანს, გალაკტიონის ეს მიძღვნა ალუზიაა ხსენებულ პერსონაჟზე. ოლიას მოთხრობის ხელნაწერს წინ უძღვის გალაკტიონისადმი ასეთი ძღვნა: „Безумные бесчисленные объятия и поцелуи шлю бесценному, тихому, но дикому сыну любви, моему Галону!“). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მოთხრობის პროტაგონისტზე არის ალუზია გალაკტიონის ლექსის მინაწერში, შეიძლება ითქვას, რომ ოლია ოკუჯავას ეს მოთხრობაც 1916 წლის იანვრამდე უნდა იყოს დაწერილი.



<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 434.

## ტექსტში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია თეა თვალავაძე

◇ 1932 წლის 25 ივნისს დღიურში წერს: „პლატონმა მისაყვედურა, თითქო მე მასზე ვლაპარაკობდი, როგორც ცინიკზე, ორი თვის წინად. ხელოვნების სასახლეში ადამიანი გაიყინება ფიზიკურადაც და სულიერადაც. არავითარი პერსპექტივა იქ არაა, რომ შექმნა რაიმე დიადი...“<sup>1</sup>. რადგან ხელოვნების სასახლეზეა საუბარი, უნდა იგულისხმებოდეს პლატონ კემელავა, რომელიც მწერალთა სასახლის კომენდანტი/დირექტორი იყო 1928-1939 წლებში.

◇ 1932 წლის 25 ნოემბერს დღიურში წერს: „შემხვდა „ანარია“-ს ავტორი, „მთები“-ს ავტორიც, „გურული სცენები“-ს ავტორი, „ექსპრესი“-ს ავტორი, „დაისები“-ს, „შარავანდედი“-ს, „ფერადფერადი ლექსები“-ს, „სილეო-რეანი“-ს, რედაქტორები და მდივნები, ქალები და კაცები...“<sup>2</sup> იგულისხმებიან: „იღვიძებენ მთების“ ავტორი – ელიზბარ პოლუმორდვინოვი, „გურული სცენები“-ს – აპოლონ წულაძე, „დაისების“ – ვალერიან გაფრინდაშვილი, „მიმქრალი შარავანდედის“ – ვასილ ბარნოვი, „ფერად-ფერადი ლექსების“ – გრიგოლ ცეცხლაძე, „სილეო-რეანი“ – შალვა კაშმაძე.

◇ 1940 წლის 29 მარტსა და 31 მარტს შორის განთავსებულ ჩანაწერში<sup>3</sup> მოხსენიებულია კიკნაძე სამუშაო ადგილით – ცენტრალური კომიტეტი (ცეკა). იმავე წლის 11 ივლისის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ დაურეკა კიკნაძეს, რომელიც ისევ უჩივის უქაღალდობას<sup>4</sup>. ორივე ჩანაწერში იგულისხმება ნიკოლოზ კიკნაძე (1885-1951) – რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე, ცეკასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი, „სახელგამის“ დირექტორი. ამ აზრს ამყარებს 1941 წლის 17 თებერვლის ჩანაწერი, რომ სახელგამის გეგმაში არ არის შეტანილი მისი ნაწარმოებების მეოთხე ტომი და ეს გადაწყვეტილება მიიღეს ირაკლი აბაშიძემ და ნიკო კიკნაძემ<sup>5</sup>, ასევე 1949 წლის ჩანაწერი „ნიკო კიკნაძე -

<sup>1</sup> ქლმ. დ-71, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 292.

<sup>2</sup> ქლმ. დ-71, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 293.

<sup>3</sup> ქლმ. დ-128, 32; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 26.

<sup>4</sup> ქლმ. დ-133, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>5</sup> ქლმ. დ-143, 21; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 173.

დირექტორი სახელგამისა – დიდ საქმეს აკეთებს: ადგენს გეგმას წიგნებისას, რომელიც 1949 წელს უნდა გამოვიდეს“<sup>1</sup>.

◇ 1940 წლის 10 აპრილის ჩანაწერში<sup>2</sup> აღნიშნულია, რომ საჭიროა ხელოვნების საქმეთა სამმართველოდან გაგუას ნებართვა. გალაკტიონს გვარი – გაგუა არასწორად აქვს მითითებული, რაც ცხადყო 10 აპრილის განცხადებამ (ქლმ. 24551-138-ბ) ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. გოგუასადმი, სადაც აცნობებს, რომ 19 მაისისთვის განზრახული აქვს სალიტერატურო სადამოს მოწყობა ოპერის თეატრში, რომ ეს დღე ჩანიშნულია და სთხოვს განკარგულებას. 1937-1944 წლებში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად მუშაობდა ჟურნალისტი ბენიამინ (ბენო) გოგუა (1904–1953). მაისურამე, რომელიც წყაროში გვართა და თანამდებობით – თეატრის (ოპერის) დირექტორი არის მოხსენიებული, ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

◇ 1940 წლის 12 აპრილის ჩანაწერში ახსენებს ქეთოს და პროკლეს. რამდენადაც საქმე ეხება ქართული ლიტერატურის XX საუკუნის ქრესტომათიაში დაშვებულ შეცდომას (ზორკილები/ბრძოლები), ამ წიგნის ერთ-ერთი შემდეგენელი კი არის პროკლე კეკელიძე, ჩანაწერში ის უნდა იგულისხმებოდეს, ქეთოში კი მთარგმნელი და შალვა რადიანის მეუღლე – ქეთევან ირემაძე, რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი სატელეფონო საუბარი ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესთან.

◇ 1940 წლის დღიურში<sup>3</sup> პირთა ჩამონათვალში მოხსენიებული ელიკო უნდა იყოს ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი, რომელთანაც გალაკტიონ ტაბიძეს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა. 1938 წლის დღიურში მას იხსენიებს გვარ-სახელით: „ელიკო ქართველიშვილი – ენგელსი, 52“, 1939 წლის დღიურში მხოლოდ სახელით: „მომესმა ქალის ხმა: – გალაკტიონ! გალაკტიონ! მოვიხედე. ელიკო! – აღარსად აღარ გაგიშვებ.. ეხლავე ჩემთან უნდა წამოხვიდე, ქეთო მაღალაშვილს შენი პორტრეტის დახატვა უნდა რამდენი ხანია“... ამ მოსაზრებას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი ამავე

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-238, 2, გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 522.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 36.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

პერიოდის თავის დღიურში აღწერს ქეთევან მაღალაშვილთან გალაკტიონ ტაბიძის მიყვანისა და პორტრეტის ხატვის პროცესს.

◇ 1940 წლის 12 აპრილის ჩანაწერში<sup>1</sup> პოეტი ვიდაცას ახსენებს მესამე პირში, მაგრამ არ ასახელებს, ვის: „აი, რას ნიშნავდაო ლომის ხმა ახალ მთვარესთან. ხალხის ხმას ნიშნავდაო. სად არის აქ ხალხის ხმა? საერთოდ: 1. არ მშორდება სადამოობით. 2. ძალიან აჭიანურებს ა. ც. 3. ცდილობს, შეანელოს ჩემი აკტივობა. 4. მეწინააღმდეგება ბევრ წვრილმანებში. საზოგადოთ, ფეხს არ იცვლის სახლიდან. მემუქრება ლირიკით და სხვ...“. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ეს პიროვნება გალაკტიონთან უნდა ცხოვრობდეს და მათ დამაბული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. 1940 წლის 12 მარტის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონს ოლგა დარიუსთან უკვე ცუდი ურთიერთობა აქვს და ის, თავის დისშვილთან ერთად, ცალკე გადასვლას აპირებს. გალაკტიონი იხსენებს, რომ ორი წლის მანძილზე მთელ თავის ჰონორარებს მათ ახარჯავდა და ახლა, კრიზისის მოახლოება იგრძნო და გარბის. შესაბამისად, ვფქრობთ, რომ 12 აპრილის ჩანაწერშიც ყველგან ოლგა დარიუსი იგულისხმება. ტექსტში მინიშნებითაა ნათქვამი, რომ ის გალაკტიონს „ლირიკით“ ემუქრება. რამდენადაც ოლგა დარიუსმა ქართული ცუდად იცოდა, მაგრამ კარგად ფლობდა რუსულს, ის გალაკტიონს ეხმარებოდა ხოლმე მისი თხზულებების რუსული თარგმანების გამოსაცემად მომზადებაში. 1940 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში გამოიცა პოეტის „რჩეული ლექსები“, მაგრამ სათაურით „Лирика“ პოეტის პირველი წიგნი რუსულ ენაზე მხოლოდ 1945 წელს გამოვიდა თბილისში. შესაძლოა, ამ წიგნისთვის მასალების მომზადება პოეტს 1940 წელს ჰქონოდა დაწყებული და ამაში ოლგა დარიუსის დახმარების იმედი ჰქონოდა. 1940 წლის 9 აპრილის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონმა გადაწყვიტა, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოსაცემად გამზადებული მისი წიგნისთვის „ლირიკა“ ან „რჩეული ლირიკა“ დაერქმია<sup>2</sup>. შესაძლებელია, სწორედ მაშინვე გადაწყვიტა ისიც, რომ ასეთივე კრებული გამოეცა რუსულ ენაზეც.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 39-40.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 35-36.

◇ 1940 წლის 14 აპრილიდან 17 მაისამდე წერს: „ილ. თავაძე – კანდელაკთან ჯერ არ შემითანხმებიაო“<sup>1</sup>. ამავე დღიურში იხსენიებს კოლია კანდელაკს, რომელიც მოქანდაკეა. ამ პერიოდის სხვა დღიურებში ნიკოლოზ კანდელაკსაც მხოლოდ გვართ ახსენებს. ილია თავაძეს მინდობილი ჰქონდა ოპერაში გალაკტიონ ტაბიძის სადამოს მოწყობა. ამიტომ ამ შემთხვევაში იგულისხმება პავლე კანდელაკი, რომელიც მოხსენიებული ჰყავს 1943 წლის დღიურში: „პავლე კანდელაკმა (ხელოვნების მთავარი სამმართველო) სიტყვა სიტყვით ასე მითხრა: ოპერის თეატრს დაგიტოვებთ, მხოლოდ ამაზედ მწერალთა კავშირმა, ორგანიზაციამ უნდა აღძრას შუამდგომლობაო“<sup>2</sup>. პავლე კანდელაკი (1900–1968) – მსახიობი, 1930 წლიდან მუშაობდა ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

◇ 1940 წლის 9 ივლისამდე დღიურში<sup>3</sup> აღნიშნავს, რომ ესტუმრა გიგო ზაზიშვილი მეგობართან ერთად და გადაიღეს სურათი. მეგობარში იგულისხმება მხატვარი მიხეილ ვადბოლსკი (1899–1990), ქართული ჰერალდიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტების ავტორი. გალაკტიონ ტაბიძეს 1940 წელს გიგო ზაზიშვილთან და მიხეილ ვადბოლსკისთან ერთად გადაღებული აქვს ორი ფოტო, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმში (ქლმ. 5976-224-ი).

◇ 1940 წლის 9 ივლისამდე დღიურში აღნიშნავს, რომ აღმოაჩინა ლ-ს პოემა<sup>4</sup>. უნდა იგულისხმებოდეს მიხაილ ლერმონტოვი, რომლის საიუბილეო კომისიის წევრად იყო მიწვეული, იმავე დღიურის 9 ივლისის ჩანაწერის მიხედვით.

◇ 1941 წლის 24 იანვარს წერს, რომ მოსწონს სარაჯიშვილის სურათი ცხენზე „ჩერკესკითა“ და ქუდით. უნდა იგულისხმებოდეს მომღერალი და მსახიობი ვანო სარაჯიშვილი (და არა დავით ან ალექსანდრე სარაჯიშვილები), რომელსაც პოეტი კარგად იცნობდა, სხვადასხვა წლის ჩანაწერებში და ლექსებში იხსენიებს, უძღვნის ლექსს „ოპერის თეატრთან“. სურათს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეიძლება იყოს კადრი ალექსანდრე ყაზბეგის რომანის მიხედვით

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-138, 9-10, 14. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 118.

<sup>2</sup> ქლმ. დ-157, 24. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>3</sup> ქლმ. დ-133, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 72.

<sup>4</sup> ქლმ. დ-133, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 73.

გადაღებული ფილმიდან „მამის მკვლეელი“, რომელშიც ვანო სარაჯიშვილი იაგოს როლს ასრულებს და აცვია ეროვნული ტანსაცმელი.

◇ 1941 წლის 25 იანვრის ჩანაწერში<sup>1</sup> ინიშნავს გვარებს: ბაჟანს და დავითაშვილს. შემდეგი დღის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირმა მიიღო მიწვევა 20 თებერვალს გასამართი მიკოლა ბაჟანის დაბადებიდან 50 წლის და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 30 წლის იუბილეზე. დავითაშვილი უნდა იყოს მიხეილი (1914-1991) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქტორი, რადგან იმავე ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მასალას დაჰპირდა „ზარია ვოსტოკას“. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს 1941 წლის სხვა დღიურის ჩანაწერი: „Заря Востока“ 15 იანვრის. წერილი მ. დავითაშვილის და კლიშე“.<sup>2</sup>

◇ 1941 წლის 17 თებერვლამდე დღიურში წერს: „მხატვარი ვეფხვამე. როგორი გამოვიდა სურათი? მივცე სურათი?“<sup>3</sup> უნდა იგულისხმებოდეს ივანე ვეფხვამის (1888-1971) შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი. იმავე წლის 2 მარტს სასიხარულო ამბების ჩამოთვლისას აღნიშნავს: „მესამე სიხარული: ეროვნულ გალერეაში არის ვეფხვამის „სურათი“<sup>4</sup>. 1943 წლის დღიურში იმ მხატვართა შორის, რომლებსაც მისი პორტრეტები დაუხატავთ, ახსენებს ი. ვეფხვამეს.

◇ 1941 წლის 3 მარტს დღიურში წერს: „უნივერსიტეტში. ვნახე პასუხის მგებელი რედაქტორი გაზეთის, რომელიც გამოვიდა გასაბჭოების XX წლის თავთან დაკავშირებით. მან მომცა გაზეთი, რომელმაც უდიდესი სიხარული მაგრძნობინა“<sup>5</sup>. იმ წლის 25 თებერვალს გამოიცა გაზეთი „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, რომელშიც დაიბეჭდა ლექსი „შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“<sup>6</sup>. გაზეთის რედაქტორი იმ დროს იყო ვარლამ მიქაძე.

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 11; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 167.

<sup>2</sup> ქლმ. დ-638, 12; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 481.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 21; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 173.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>6</sup> გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 1941, 25 თებერვალი, გვ. 1.

◇ 1941 წლის 4 მარტს დღიურში წერს: „მხატვარს სემიონოვს დაუხატავს ჩემი პორტრეტი – ისე, მეხსიერებით. ამბობენ, რომ საინტერესოაო“.<sup>1</sup> ქართულ წყაროებში ამ გვარით მხატვარი არ იძებნება. რუსული წყაროების მიხედვით, იმ პერიოდისთვის რამდენიმე მხატვარია სემიონოვის გვარით, მათ შორის: ივან სემიონოვი (1906–1982), რომელიც კარიკატურებს ხატავდა და გამოცემებს აფორმებდა; არსენი სემიონოვი (1911–1992), რომელიც 1939–1944 წლებში სამხედრო სამსახურს გადიოდა ბაიკალსა და მონღოლეთში. 1941 წელს ან მანამდე მათი ნაცნობობა გალაკტიონ ტაბიძესთან ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია. საქართველოს რევოლუციური მხატვრების ასოციაციის „სარმა“ მიერ 1930 წელს თბილისში გამართულ გამოფენის კატალოგში ქართველ მხატვრებთან ერთად დასახელებულია ბ. სემიონოვი<sup>2</sup>. ბორის ფიოდორის ძე სემიონოვი (1910–1990) – მხატვარი-გრაფიკოსი, ილუსტრატორი და ლიტერატორი, 1938–1941 წლებში ჟურნალის „ЧИЖ“ ხელმძღვანელი და სხვა ლიტერატურული ჟურნალების თანამშრომელი, ვფიქრობთ, კარგად იცნობდა გალაკტიონ ტაბიძესა და მის შემოქმედებას, შესაბამისად, პორტრეტის ავტორი ის უნდა იყოს.

◇ 1941 წლის 24 მარტს დღიურში წერს: ირაკლი აბაშიძე რაღაც ბოდიშს იხდიდა. ალიოს ძმა მოუკვდაო და იქითკენ მიემშურებოდა.<sup>3</sup> ვფიქრობთ, ალიო მაშაშვილი უნდა იგულისხმებოდეს და არა ალიო ადამია, რომელიც მეორე დღეს მწერალთა კავშირში სიტყვით გამოვიდა ბონდო კეშელავას საღამოზე და გალაკტიონ ტაბიძე სახელითა და გვარით იხსენიებს<sup>4</sup>.

◇ 1943 წლის დღიურში 6 ოქტომბერს წერს: „წიგნის საბოლოოდ გადახედვა... წიგნს გაბარებო სუფთას და უნდა დამიბრუნოთ ჭუჭყიანი. იმიტომ ნუ წაიღებ, რომ იმნაირადვე დამიბრუნოვო“<sup>5</sup>. იგულისხმება სახელგამის მიერ 1944 წლის 2 აპრილის შემდეგ გამოცემული „რჩეული“, რომლის რედაქტორი და წინასიტყვაობის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 198.

<sup>2</sup> Выставка картин Ассоциации революционных художников Грузии „САРМА“. Каталог, Тифлис, 1930.

<sup>3</sup> ქლმ. დ-144, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 213.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 13; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 213.

<sup>5</sup> ქლმ. დ-156, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 335.



ავტორი იყო შალვა რადიანი. შესაბამისად, წიგნს გადასახედად გადასცემდა შალვა რადიანი.

◇ 1945 წლის დღიურში 31 მარტს წერს: „დუთუმ მომიტანა წიგნაკები და გავატანე 100 მანეთი კაუნასელისთვის (დღეს მიდის)“<sup>1</sup>. დუთუ ებანოძე გალაკტიონ ტაბიძის გერია, რომელსაც გაატანა თანხა დისთვის – ნუნუ ებანოსთვის, რომელიც იმავე დღიურის 25 მარტის ჩანაწერის მიხედვით აცნობებს, რომ ესტონეთის ქალაქ კაუნასში მიემგზავრება<sup>2</sup>.

◇ 1945 წლის დღიურში 31 მარტს წერს: „ჩვენს საავადმყოფოში მესამე სართულიდან გადავარდა ავადმყოფი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი და ერთერთი ინსტიტუტის ლექტორი – ციციშვილი“<sup>3</sup>. იმავე დღიურში 29 მარტის შემდეგ აღნიშნავს: „რომელიც გადმოვარდა – Иван Георгиевич Цицишв...“<sup>4</sup> ბიბლიოთეკარი და ეთნოლოგი ივანე გიორგის ძე ციციშვილი, ინტერნეტწყაროების მიხედვით, გარდაცვლილია 1942 წელს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გალაკტიონის ჩანაწერები მასზე უნდა იყოს, თუნდაც თვითონ არ შესწრებოდა ამ ფაქტს და ვინმეს მონათხრობს იწერდეს, რადგან სახელის, მამის სახელისა და გვარის გარდა, ემთხვევა წყაროებში მითითებული პროფესიაც – ბიბლიოთეკარი.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 54; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 389.

<sup>2</sup> ქლმ. დ-165, 48; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 387.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 388.

<sup>4</sup> ქლმ. დ-165, 75; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 394.

მწერლის საარქივო წყაროებში პირები ხშირად სახელის გარეშე, მხოლოდ სახელით, გვართა და სახელის ინიციალით, ფსევდონიმით, ზოგჯერ კი რაიმე მინიშნებით არიან მოხსენიებული. თუ საქმე არ ეხება ძალზე ცნობილ პიროვნებებს ან გალაკტიონ ტაბიძის მიერ ხშირად მოხსენიებულ პირებს, მათ იდენტიფიცირებას საგანგებო კვლევა სჭირდება. ინფორმაციის შესაგროვებლად პირველ რიგში მივმართავთ ხოლმე კორპუსულ კვლევას, საჭიროების შემთხვევაში კი ვამატებთ სხვა მიმართულებებს და ვეძებთ დამატებით წყაროებს.

♦ 1941 წლის 24 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ვინახულე მიწათმოქმედების კომისარი. იგი დამპირდა კახაიას საქმის გაკეთებას<sup>1</sup>“. ჩანაწერიდან არ ჩანს, რა საქმესთან დაკავშირებით უწევს ამ პირს შუამდგომლობას გალაკტიონი, მაგრამ ეს ირკვევა რაიკომის მდივან ლევან გაბრიაძის სახელზე დაწერილი წერილიდან: „ჩემი შკოლის<sup>2</sup> ამხანაგმა გიორგი კახაიამ თქვენ გთხოვათ დახმარება მის საქმეში.. ვეტ-ექიმი... ხორცის საკონტროლო სადგურის გამგე ვეტ-ექიმი... ეხლა საქმე სასამართლოშია: თითქო ცემში სავეტერინარო პუნქტი მიეყიდოს... დროებით კი ათხოვა, ბაზრის დირექტორთან შეთანხმებით. გთხოვთ, ალადგინოთ სამსახურში.<sup>3</sup>“ როგორც ვხედავთ, გიორგი კახაიას ბრალად ედებოდა ხორცის საკონტროლო სადგურის სხვისთვის მიყიდვა, თავად კი ამტკიცებდა, რომ ბაზრის დირექტორის თანხმობით გასცა მხოლოდ დროებით სარგებლობის უფლება. მართალია, უბის წიგნაკში, რომელშიც ზემოხსენებული უთარილო ტექსტია 1947 და 1948 წლის ჩანაწერებიც არის, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს ჩანაწერი, რომელიც დასაწყისშივეა და, სხვებისგან განსხვავებით, სიმაღლემია განფენილი და არა სიგანეში, ბევრად ადრეული – 1941 წლისა იყოს, რადგან ასეთი რამ, ძველ უბის წიგნაკთან წლების შემდეგ მიბრუნება გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცული ავტოგრაფების მიხედვით, საკმაოდ ხშირია. რაც შეეხება ლევან გაბრიაძეს, მას ქუთაისის რაიკომის მდივნის თანამდებობა 1939 წლიდან ეკავა და 1941 წელს გალაკტიონს მართლაც შეიძლებოდა

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 214.

<sup>2</sup> საარქივო გამოცემაში „შკოლის ამხანაგის“ ნაცვლად ორივეგან წერია „შვილის ამხანაგი“.


<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-202, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 293.

მისთვის ამ თხოვნით მიემართა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა კახაიას 1941 წელსაც ჰქონოდა რაღაც პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც გალაკტიონ ტაბიძის ჩარევა გახდა საჭირო და 6-7 წლის შემდეგაც, მაგრამ, ეს მაინც ნაკლებ სავარაუდოა. უფრო საფიქრებელია, რომ ეს განცხადებაც, ლევან გაბრიადის სახელზე, 1941 წელს იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1930 წლის 16 ოქტომბრის ჩანაწერში რამდენჯერმეა ნახსენები კრეიტანი და ერთგან ჩანს, რომ ის მთარგმნელია. რამდენადაც გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი „ხელშეკრულება, დადებული ერთხელ არაგვთან“ თარგმნილია გიორგი კრეიტანის მიერ, კონტექსტიდან გამომდინარე, აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს. ამავე ჩანაწერში არ არის ნახსენები ჩამონათვალში მითითებული გვასალიას სახელი, მაგრამ მისი იდენტიფიცირება კომპლექსური კორპუსული კვლევით მოხერხდა. გალაკტიონ ტაბიძის 1923 წლის 22 თებერვლის დღიურში მითითებულია „გვასალია მ. (პრ. მწერ.)“, 1955 წლის 18 დეკემბრის შემდეგდროინდელ ჩანაწერში კი სრულად წერია „მოსე გვასალია“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1930 წლის 16 ოქტომბრის დღიურში და სხვაგანაც არაერთგან იხსენიება „ნ. ასლამაზიშვილი“ სახელის ინიციალით, მაგრამ სახელი არსად არ ჩანს. იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში გაზეთ „დროების“ სურათებიანი დამატების 1909 წლის მე-18 ნომრის მეორე გვერდზე ავტორის გვართან მიწერილია „ნიკო ასლამაზიშვილი“ „მუშა მწერალი“<sup>1</sup>. კონტექსტიდან გამომდინარე, გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებშიც ყველგან ეს პირი უნდა იგულისხმებოდეს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თანამოსაუბრე 1929 წლის 30 ივლისის ერთ-ერთი ჩანაწერის ტექსტში საარქივო გამოცემის მიხედვით არის ვ. წივწივაძე<sup>2</sup>. მართალია, გალაკტიონი იცნობდა ვასილ ბენედიქტეს მე წივწივაძეს ჯერ კიდევ ქუთაისის პერიოდიდან და



<sup>1</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი ტ. II, ნაწ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982, გვ. 168.

<sup>2</sup> დღიურის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 415, 417.

ოლიასთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ის „ვასიკო წიგწივამედ“ იხსენიება, მაგრამ ჩანაწერში ეს პირი ვერ იქნება ნაგულისხმევი, რადგან 1928 წელს იგი ხუთი წლით დააპატიმრეს. დღიურის ჩანაწერში წიგწივამის ინიციალი ისე წერია, რომ შეიძლება „კ“-დაც ამოვიკითხოთ, რადგან გალაკტიონ ტაბიძის 1928-1929 წლის ავტოგრაფებში არაერთგან გვხვდება კ-ს ზედა ნაწილის ისეთი რკალური მოყვანილობა, რომელიც მას „ვ“-ს ამსგავსებს. შესაბამისად, აქ უნდა იგულისხმებოდეს გალაკტიონის დღიურებში არაერთგან ნახსენები „კოწია წიგწივამე“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის დღიურებში არაერთგან არის მოხსენიებული გვარი „ლევით“, მაგრამ სახელი არასდროსაა მითითებული. მაგალითად, 1955 წლის 12 იანვარს გალაკტიონს კალენდარზე მიუწერია, რომ მწერალთა კავშირის წევრად მისაღებად რეკომენდაცია გაუწია ლევითს. რამდენადაც გვარი საქართველოსთვის იშვიათია, გამორიცხვის მეთოდით მივედით იმ დასკვნამდე, რომ საუბარია ჟურნალისტსა და პოეტ ავრელი ისაიას ძე ლევითზე, რომელიც რუსულად წერდა ლექსებსა და იგავარაკებს, 1954 წელს კი ამავე ენაზე ლექსად გამოსცა „აფხაზური ლეგენდები“.

◇ გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთ ჩანაწერში სათაურით „წერილები“ ჩამოთვლის მის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს. მათ შორის არის „P. Перадзе - Народный поэт“. კორპუსული კვლევისა და წყაროების გადამოწმების საშუალებით გავარკვიეთ, რომ საუბარი უნდა იყოს რუსუდან გიორგის ასულ ფერამეზე, რომელმაც 1938 წელს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში რუსულ ენაზე წიგნად გამოსცა თავისი ნარკვევი „სახალხო პოეტი“. რუსუდან ფერამე ქართული ლიტერატურის მკვლევარი იყო და 1954 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „აკაკი წერეთელი, როგორც კომედიოგრაფი“.

◇ გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას მიმოწერაში ხშირად სახელებით ან მეტსახელებით (საშა, ვასია, მიშა, კოლია, მანია, ვერა...) არიან მოხსენიებულნი ოლიას ოჯახის წევრები და მათი საერთო ნაცნობები. ამ პირთა ვინაობის გარკვევაში ძალიან დაგვეხმარა გიზო ზარნაძის წიგნი „გალაკტიონი, ოკუჯავეები და სხვები“<sup>1</sup> და მარატ

---

<sup>1</sup> გიზო ზარნაძე, გალაკტიონი, ოკუჯავეები და სხვები, თბილისი, მერანი, 2004.

გიზატულინის წიგნი<sup>1</sup> „ბულატ ოკუჯავა: „...ბებია ელიზავეტადან დიდ ბებია ელისაბედამდე“. ამ გამოცემების მიხედვით, ოლიას მამას – სტეფანე ვასილის ძე ოკუჯავასა და ელისაბედ (ლიზა) პავლეს ასულ პერემუშევას ჰყავდათ 6 ვაჟი: ვალოდია, მიხეილი (მიშა), შალვა, ნიკოლოზი (კოლია), ალექსანდრე (საშა) და ვასილი და სამი ქალიშვილი: ოლია, მარიამი (მანია) და ნინა, რომელიც ძალიან ადრე გარდაიცვალა. შალვას ცოლი იყო აშხენ ნალბანდიანი, ნიკოლოზის – ნინა გვახარია, მიხეილისა – ეკატერინე (კატია) ხალვაში. ოლიას ბებიას – სალომე პერემუშევას ელისაბედის გარდა ჰყავდა ორი ქალიშვილი: ფედოსია და მაკრინე. ფედოსია იყო ეპიფანე გიორგაძის ცოლი და მათ ჰყავდათ შვილი გრიგოლი. მაკრინე იყო მაქსიმე კიკვაძის ცოლი და მათ შვილებს ერქვათ ვასილი, გიორგი (გოგი) და კონსტანტინე. გალაკტიონისა და ოლიას მიმოწერაში ხშირად ნახსენები ვერა იყო ოლიას მეგობარი, გვარად ხალვაში, რომელმაც თავისთან აშოვნინა სამსახური ჭიათურაში და რომელთან ერთადაც წავიდა მოსკოვში სასწავლებლად. მოგვიანებით ვერას და კატია ცოლად გაჰყვა ოლიას ძმას – მიხეილს და კატიას გარდაცვალების შემდეგ ვერა ზრდიდა მის ვაჟს.

♦ 1935 წლის 9 მაისის ჩანაწერში<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძე ინტერესს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ წავიდა „ბ“ მოსკოვში და ხომ არ უკავშირდება ეს მის იმ წიგნს, რომელიც იმხანად გამოდიოდა მოსკოვში. ბუნებრივია, დავინტერესდით, რომელ წიგნზე უნდა ყოფილიყო საუბარი და ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო პირი, რომელიც ინიციალით „ბ“ არის წარმოდგენილი. 1935 წელს გალაკტიონ ტაბიძის არცერთი წიგნი არ გამოცემულა მოსკოვში, 1937 წელს კი გამოვიდა „რჩეული ლექსები“ ნიკოლოზ ტიხონოვის რედაქტორობით. შესაძლოა სწორედ ამ წიგნზე იყოს საუბარი. ზოგჯერ წიგნის გამოცემა წელზე მეტ ხანსაც ჭიანურდებოდა ხოლმე, მით უფრო, თუ ლექსების ნაწილი სათარგმნი იყო. რაც შეეხება ინიციალ „ბ“-ს, ვინ დადიოდა ხოლმე მოსკოვში ქართველი მწერლების, და, მათ შორის“ გალაკტიონის წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით, ჩანს 1939 წლის 3 იანვრის

---

<sup>1</sup> Марат Гизатулин, Булат Окуджава: «...От бабушки Елизаветы к прабабушке Элисабет», 2020, <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 40.

ჩანაწერიდან<sup>1</sup>. გალაკტიონი წერს, რომ მოსკოვიდან იმ დღეს ჩამოსულმა ბესო ჟღენტმა ბევრი ამბავი ჩამოიტანა, მათ შორის გალაკტიონის წიგნთან დაკავშირებითაც, აპრილში გამოვაო. მოსკოვში რომ ქართველი ავტორების, და მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის“ წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით სწორედ ბესო ჟღენტი დადიოდა, ამას მოწმობს ასევე 1939 წლის 8 იანვრის ჩანაწერიც<sup>2</sup>, რომლიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონის წინა რუსული გამოცემით ჟღენტი კმაყოფილი არ არის და იმედი აქვს, რომ ახალი გამოცემა უკეთესი იქნება. სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს მოსკოვში 1940 წელს გამოცემულ „რჩეულ ლექსებზე“. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ 1935 წელსაც, გალაკტიონის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით მოსკოვში საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ბესარიონ ჟღენტი იქნებოდა წასული.

◇ ასევე 1935 წლის 9 მაისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „რას აკეთებს ახალი თავმჯდომარე“? რამდენადაც 1935 წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე მალაქია ტიროშელიძე ჩაანაცვლა აკაკი თათარიშვილმა, ვფიქრობთ, აქ ის უნდა იგულისხმებოდეს.

◇ 1936 წლის 24 იანვრის ჩანაწერის<sup>3</sup> მიხედვით, საავადმყოფოში გალაკტიონ ტაბიძის სანახავად ერთად მივიდნენ გიორგი და დათიკო („იყვნენ გიორგი და დათიკო. გიორგიმ მოიტანა იები, დათიკომ პაპიროსი... ყოფილან შორაპანში“). ავადმყოფთან მოსანახულებლად ერთად მისული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ან ნათესავები, ან მეგობრები ან დიდი ხნის ნაცნობები და ამასთანავე ერთმანეთის ახლობლები. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ, ტექსტის მიხედვით, ისინი შორაპანშიც ერთად ყოფილან. გალაკტიონის საარქივო ჩანაწერებში ერთმანეთის გვერდიგვერდ არაერთგზის იხსენიებიან მწერლები: გიორგი ქუჩიშვილი და დავით თურდოსპირელი ანუ ძმები – გიორგი და დავით ანდუყაფარის ძე ჩხეიძეები. ამავე ჩანაწერებიდან ჩანს, რომ გალაკტიონი მათ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდან იცნობდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აქ ისინი უნდა იგულისხმებოდნენ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 536.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 545.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-94, 71; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 76-77.

◇ ამავე დღის ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძესთან საავადმყოფოში მოსანახულებლად მისულმა ბენიტო ბუაჩიძემ პოეტს უთხრა, რომ მინსკში მწერალთა მორიგ საკავშირო ყრილობაზე ქართული პოეზიის შესახებ მოხსენებას გააკეთებს მირსკი. დამატებითი წყაროების, მათ შორის 1936 წლის „Литературная газета“-ს ნომრების<sup>1</sup> მოშველიებით გავარკვეეთ, რომ 1936 წლის საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე პლენუმზე (10-16 თებერვალი) მართლაც გამოვიდა სიტყვით კრიტიკოსი დიმიტრი პეტრეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი და ამავე პლენუმზე ალექსეი ალექსანდრეს ძე სურკოვმა ის მსუბუქად გააკრიტიკა ახალგაზრდა პოეტებით ზედმეტი აღფრთოვანების გამო.

◇ ამავე ჩანაწერში სახელის გარეშეა ნახსენები ბებუთოვი „იყო ბებუთოვი. მან მთხოვა პუშკინზე წერილი. ჩემზე წერილი მალე იქნებოდა „ზარია ვოსტ.“-ში“. ბებუთოვისა და „ზარია ვოსტოკას“ ერთად ხსენება მიგვანიშნებს, რომ საუბარი უნდა იყოს გარეგინ ვლადიმერის ძე ბებუთოვზე, რომელიც 1934 წლიდან „ზარია ვოსტოკაში“ მუშაობდა.

◇ 1938 წლის 9 მაისის ჩანაწერს<sup>2</sup> ეტყობა, რომ პოეტი უკმაყოფილოა ვინმე მდივნიშვილით, რომელიც „ტელეფონს არ იძლევა“. პოეტის ჩანაწერებში ეს მდივნიშვილი სახელის გარეშე არაერთგან გვხვდება. ერთი ჩანაწერის მიხედვით მას შემთხვევით უზრუნველყოფა ევალება, სხვაგან კი გალაკტიონი განცხადებას წერს მის სახელზე, რომ მივლინებაში წასასვლელად თანხა გამოუწერონ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მას მწერალთა კავშირში სამეურნეო და საფინანსო საკითხების მოგვარება ევალებოდა.

◇ ნოდარ ტაბიძის მოგონებაში<sup>3</sup> საუბარია იმის შესახებ, როგორ ჩააბარა გალაკტიონმა სასულიერო სემინარიის მეორე კლასში გადასასვლელი გამოცდა სემინარიის რექტორს, მაგრამ მისი ვინაობა დასახელებული არ არის. სხვადასხვა წყაროებით გავარკვეეთ, რომ 1907 წლის 31 ივლისიდან 1911 წლის 21 იანვრამდე ამ თანამდებობაზე იყო არქიეპისკოპოსი პიმენი (პავლე გრიგოლის ძე პეგოვი).

---


<sup>1</sup> „Литературная газета“, N 11, 1936, 16 თებერვალი.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-94, 91. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 98.

<sup>3</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 155, 156.

◊ ნოდარ ტაბიძისავე ინფორმაციით, არქიმანდრიტი პიმენი კარგად ამჩნევდა გალაკტიონის ნიჭს, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ 1910 წელს მას სემინარიის სხვა მოსწავლესთან საუბარში უხსენებია იგი: თემას მოკლე დროში როგორ დაწერ, გალაკტიონ ტაბიძე ხომ არ ხარ, რომ უცებ შთაგონება მოგივიდესო. არქიმანდრიტ პიმენს გალაკტიონმა, როგორც ჩანს, თავი დაამახსოვრა თავისი გამორჩეული ნიჭით. სიმონ ტაბიძის მოგონების მიხედვით, გალაკტიონი რევოლუციური საქმიანობისთვის, არალეგალურ სტუდენტურ გაზეთში ლექსების გამოქვეყნებისთვის აითვალწუნეს და ბერძნულსა და ლათინურში არადამაკმაყოფილებელი დაუწერეს.

◊ მწერლის არქივში დაცულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში (დ-65) გადაშლილ მდგომარეობაში მომიჯნავე გვერდებზე წერია ლექსი „ძირს ცინიზმი“ და არის მელნით შესრულებული ჩანახატი: სქელტანიან წიგნს გარეკანის ზედა ნაწილში აწერია „აპოლონი“, ახატია დიდი ვირთხა და ქვედა მარჯვენა კუთხეში, ვირთხის გვერდით მიწერილია „1921“. წიგნიდან ცოტა მოშორებით ჩანს, თითქოს საიდანლაც გამოყოფილი, კიდევ ერთი ვირთხის თავი. იმის შესახებ, თუ როგორ განცდებს შეიძლება მიეცა მწერლისთვის ამ ლექსის დაწერის იმპულსი ან რაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ჩანახატი, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის დაახლოებით ამავე პერიოდის სხვა საარქივო მასალა. ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან მოლაქუცე და გალაკტიონის წინააღმდეგ ამხედრებულ ცინიკოსს, ალიო მაშაშვილს მიემართება ლექსი „ცინიკი“ (ქლმ, 2075-1). მასში გამარჯებულია ბოლშევიკური პარტიის აქტიური მხარდამჭერი პოეტის ლექსი „პასუხი მოგონებას“, რომელშიც ის ცდილობს ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული თავისი უდიდესი წუხილი გამოხატოს, მაგრამ ამას ისე უნიჭოდ და ისეთი უადგილო ლექსიკით აკეთებს, რომ ტრაგიკული განწყობის ნაცვლად პაროდიალს ქმნის. გალაკტიონის ლექსი მთავრდება სტროფით: „მართლაც, დამსეტყვა უსამართლობამ, / ბედი მხვდა მძიმე, აუწერელი./ ალიოების წინაშე





მანც / აპოლონი ვარ, ბელვედერელი.“ ვფიქრობთ, რომ გალაკტიონის ჩანახატში წიგნის გარეკანზე მიწერილ „აპოლონიში“ თავად პოეტი უნდა იგულისხმებოდეს, 1921 და ვირთხები, კი 1921 წლიდან საქართველოში ბოლშევიკების – მამაშვილებისა და მისთანათა გაბატონებას უნდა უკავშირდებოდეს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1941 წლის 12 თებერვლის ჩანაწერში კვითხულობთ: „ეს ეს არის მოვიდა ლენა. იგი ცრუმორწმუნეა“<sup>1</sup>. მწერლის საარქივო ჩანაწერებში სულ ორი ლენა იხსენიება, მსახიობი ელენე ყიფშიძე და ელენე სტურუა. როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ელენე ყიფშიძე გალაკტიონის გერის – ნუნუ ებანოიძის ახლო მეგობარი იყო და იგი 1950-იანი წლების ჩანაწერებში ძალიან ხშირად იხსენიება, მაგრამ 1941 წელს გალაკტიონი არათუ ელენე ყიფშიძეს, ნუნუ ებანოიძესაც არ იცნობდა. როგორც ამ პირის მოგონებებიდან ჩანს, დედამისი – ნინო კვირიკაძე და გალაკტიონი მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ ხელმეორედ მხოლოდ 1943 წელს შეხვდნენ. შესაბამისად, აქ მეტი ალბათობაა, რომ ლენა სტურუა იგულისხმებოდეს. ლენა სტურუა სახელითა და გვარით არქივში დაცული ჩანაწერებიდან ორში გვხვდება. 1945 წლის 26-29 ივნისისაში: „ტელეფონით დღეს ლენა სტურუამ მითხრა: თქვენ დიდი პოეტი ხართ, ისე დიდი, რომ მხოლოდ მომავალი თუ შესძლებს დაგაფასოთო“ და 1943 წლის ჩანაწერში: „ლენა სტურუა. 81-84.“<sup>2</sup>. ელენე ივანეს ასულ სტურუა იყო ბოლშევიკისა და სტალინის თანამებრძოლის, ივანე სტურუას ქალიშვილი და რეჟისორ რობერტ სტურუას მამიდა. ის სხვადასხვა წყაროში დოცენტად მოიხსენიება და ეკუთვნის ბიოგრაფიული ნარკვევი მამის შესახებ<sup>3</sup>. საგულისხმოა, რომ გალაკტიონის ჩანაწერებში არაერთგან ნახსენები რობერტ სტურუა არის ელენეს ძმა, მხატვარი რობერტ ივანეს ძე სტურუა და არა რეჟისორი რობერტ რობერტის ძე სტურუა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია, აქ ელენე სტურუა იგულისხმებოდეს, ნაკლებ სავარაუდოა მისი სტუმრობა გალაკტიონის სახლში. ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ აქ ვინმე ისეთი პირი იყოს ნაგულისხმევი,

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-143, 29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 178.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 374.

<sup>3</sup> ელენე სტურუა, ვანო სტურუა: ბიოგრაფიული ნარკვევი, საქ. კპ. ცეკასთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 1961.

რომელიც საარქივო ჩანაწერებში სხვაგან არ გვხვდება, მაგალითად, დამლაგებელი ქალი, მეზობელი ან სხვ.

◇ მიხეილ ქვლივიძის მოგონებაში საბჭოთა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაში გალაკტიონის მონაწილეობის შესახებ ნახსენებია საკავშირო გამგეობის მდივანი ვორონკოვი<sup>1</sup>. მართალია, მისი სახელი მითითებული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს კონსტანტინ ვასილის ძე ვორონკოვზე, რომელიც 1957 წელს ნამდვილად იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი<sup>2</sup>.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ განცხადებაში ლიტერატურულ-დრამატული სადამოს შესახებ<sup>3</sup>, ნახსენებია პიესა „ნაპოლეონის სიკვდილი“ და ავტორი მითითებული არ არის. ძველი თეატრალური აფიშებიდან მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ 1913 წელს ქუთაისის თეატრში იდგმებოდა ნადეჟდა ლუხმანოვას პიესა „ნაპოლეონის სიკვდილი“.

◇ სატირული ლექსი „რედაქტორი“ („ზოგიერთი რედაქტორი / უკან იხევს, როგორც ჯორი...“) პოეტმა გამოსაქვეყნებლად „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს გაუგზავნა და, სავარაუდოდ, მასვე ეძღვნება<sup>4</sup>. სახალხო გაზეთი გამოდიოდა 1909-1914 წლებში. 1911 წლის 18 მარტიდან მისი რედაქტორი იყო ნ. კურდღელაშვილი, ხოლო 1913 წლის 3 იანვრიდან – არისტო ჭუმბაძე. შესაბამისად, ლექსში ამ ორთაგან ერთ-ერთი იგულისხმება, მაგრამ უფრო პირველი, რადგან არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ 1912 წლის ამ რვეულში ჩაწერილ ლექსებს ერთმანეთისგან წელიწადზე მეტი აშორებდეს.

◇ 1948 წლის 29 ივლისის ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე მხოლოდ გვარებით ახსენებს მიახნიკოვს, აგარელსა და იაშვილს<sup>5</sup>. საარქივო მასალებისა და სხვა საინფორმაციო წყაროების კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საუბარი უნდა იყოს 1941-1947 წლებში რუსეთის

---

<sup>1</sup> მ. ქვლივიძე, გალაკტიონი მოსკოვში(მწერალთა ყრილობაზე და დეკადაზე), მოგონებანი გალაკტიონზე, გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 275.

<sup>2</sup> Протокол № 1 заседания бюро Оргкомитета Союза писателей РСФСР. 27 сентября 1957 г.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №97, გვ.1.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 79.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი. ქლმ. დ-213, გვ. 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 363.

სახელმწიფო გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ალექსანდრე სერგეის ძე მიასნიკოვზე. მართალია, მისი ბიოგრაფიის მიხედვით ის ძირითადად მოსკოვში მოღვაწეობდა, მაგრამ არ არის მითითებული, რას საქმიანობდა სწორედ 1948 წელს. უფრო მარტივი იყო აგარელის ვინაობის დადგენა, რადგან საარქივო მასალებში მხოლოდ გობრონ აგარელია ნახსენები, რომელიც, ბიოგრაფიის მიხედვით, 1930-1951 წლებში მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობაში. რაც შეეხება იაშვილს, პაოლო იაშვილის გარდა საარქივო მასალებში იხსენიება მიშა იაშვილი, რომლის შესახებაც მოთხრობილია თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროინდელი ერთი კურიოზული ისტორია<sup>1</sup>. რამდენადაც აგარელსაც გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ჩანაწერში ისინი განუყრელად ერთად მყოფები ჩანან, ვფიქრობთ, ჩანაწერში სწორედ ეს მიშა იაშვილი უნდა იგულისხმებოდეს.

◇ 1950 წლის 14 თებერვლის ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ შეხვდა არქიტექტორს, რომელსაც 1924 წელს ჟურნალ „მნათობის“ ყდა მოახატვინა<sup>2</sup>. ამ პირის ვინაობის დასადგენად მხატვრის გვარი ამოვიკითხეთ ჟურნალის 1924 წლის მეორე ნომრის ბოლო გვერდზე, ხოლო სახელი „ვლადიმერი“ გავარკვიეთ სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების მოშველიებით.

ყდები მხატვარი წილდხანისა.

◇ 1951 წლის 29 ოქტომბერს პოეტი დღიურში რუსულ ენაზე იწერს ნატაშა კორნეევას სახელსა და გვარს<sup>3</sup>. გავარკვიეთ, რომ ეს არის იმხანად გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილების გამგისა და მთარგმნელის ბორის კორნეევის შვილიშვილი. იქვე ქართულად წერია „თამარ ჩხაიძე“. რამდენადაც ეს სახელი და გვარი გალაკტიონის ჩანაწერებში ერთგან იხსენიება საბავშვო მწერალთა შორის, საუბარი უნდა იყოს საბავშვო მწერლზე, პოეტსა და მომღერალზე, რომელიც იბეჭდებოდა ფსევდონიმით „თამარ გურული“.

◇ ოლღა დარიუსის მიერ 1941 წლის 5 აპრილს გალაკტიონისთვის გაკეთებულ ჩანაწერში იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებიც სმამ


<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 29.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 20.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 267; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 162.

გააუბედურა, ნახსენებია პოპოვი<sup>1</sup>. გალაკტიონის საარქივო მასალებში ყველაზე ხშირად იხსენიება ბენიამინ პეტრეს ძე პოპოვი. გალაკტიონის მისი რამდენიმე რუსულენოვანი ამონაწერი აქვს გაკეთებული ლიტერატურის ფილოსოფიურ საკითხებზე<sup>2</sup> და იმაზე, რომ მომაკვდავ ადამიანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევენ<sup>3</sup>. ერთგან ბენიამინ პეტრეს ძე პოპოვთან მითითებულია „Заря“, რაც მიგვანიშნებს, რომ ის გაზეთთან „ზარია ვოსტოკა“ თანამშრომლობდა<sup>4</sup>. ერთგან გვარი პოპოვი ზომმერთან ერთად არის ნახსენები და ჩანს, რომ შუა აზიის შესახებ ბევრი ინფორმაცია აქვს<sup>5</sup>. აქაც ბენიამინ პოპოვი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სამოგზაუროდ გაემგზავრა შუა აზიაში. პოპოვი ზოგან მხოლოდ გვართ გვხვდება, მაგრამ როდესაც ის ვერჟბიციკისთან ერთად არის ნახსენები<sup>6</sup>, იქაც ბენიამინ პოპოვი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან თავად ვერჟბიციკის ერთი მოგონების მიხედვით, მას ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ბენიამინ პოპოვთან<sup>7</sup>. წყაროების მიხედვით ბენიამინ პოპოვი ბოჰემური ცხოვრების მოყვარული ჩანს და, ვფიქრობთ, რომ ოლღა დარიუსის ჩანაწერში ის უნდა იგულისხმებოდეს.

◇ 1941 წლის 20 აპრილს შედგენილ ასი პოეტის სიაში გალაკტიონ ტაბიძეს



მოხსენიებული ჰყავს ბეროშვილი<sup>8</sup>. სახელის ინიციალი, თითქოს, „კ“-ს ჰგავს, მაგრამ ამ ინიციალზე დაწყებული სახელით საარქივო მასალებში ბეროშვილი სხვაგან არ გვხვდება. მეორე მხრივ, გვხვდება ვანო ბეროშვილი<sup>9</sup>, რომელიც 1940-იან წლებში



<sup>1</sup> ქლმ. დ-144, 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 232.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 491.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 222.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 184.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 21.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 82, 83.

<sup>7</sup> Вержбицкий Н.К.: Встречи; Сергей Есенин. Интересные люди, <http://kuprin-lit.ru/kuprin/vospominaniya-o-kuprine/verzhbickij-vstrechi/interesnye-lyudi.htm>

<sup>8</sup> ქლმ. დ-144, 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 234-235.

<sup>9</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 125.

ინტენსიურად აქვეყნებდა ლექსებს „ი. ბეროშვილის“ ხელმოწერით (იგულისხმება „ივანე“ ბეროშვილი). თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე ხელნაწერში სახელებში გივი და სევერიან გვხვდება ასეთი „ვ“-ები, რომლებიც არანაკლებ გავს ასო „კ“-ს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბეროშვილის გვართანაც ინიციალი „ვ“-ა და ვანო ბეროშვილი იგულისხმება.

◇ გალაკტიონ ტაბიძე არაერთ ჩანაწერში ახსენებს მხატვარ ვავა გაბუნias<sup>1</sup>. ამკარაა, რომ სახელი შემოკლებულია, მაგრამ არასდროს უთითებს ამ პირის სრულ სახელს, ერთგან კი მხატვრების ჩამონათვალში გვხვდება სახელის გარეშე, მაგრამ ორმაგი გვართ „ბებუტოვა გაბუნია“<sup>2</sup>. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს პეტროგრადში დაბადებულ მხატვარ ვარვარა (ბარბარე) ბებუტოვა გაბუნიაზე, რომელიც, როგორც ჩანს, სახელის შემოკლებული ფორმით იყო ცნობილი.

◇ არა მხოლოდ გალაკტიონის ჩანაწერებში, ხშირად მეოცე საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში, ცნობილ პიროვნებებსაც კი ხშირად მეტსახელით ან მეტსახელის ინიციალით მოიხსენიებენ, რაც გვირთულებს პირთა იდენტიფიკაციას. მაგალითად, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე (შურა) დუდუჩავას ინიციალად წერენ ხოლმე „შ“-ს და არა „ა“-ს.

◇ 1941 წლის 2-6 აპრილის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი მამის ნაქონ XVII საუკუნის ხელნაწერ წიგნს ათვალთქვასთან ერთად და ამ წიგნზე საუბრობენ<sup>3</sup>. სახელი „სოფიუშკა“ საარქივო მასალებში კიდევ ერთგან არის მოხსენიებული რუსულად, 1940 წლის 19 სექტემბრის ჩანაწერში და ჩანს, რომ მას გალაკტიონმა მისცა 30 მანეთი<sup>4</sup>. ვფიქრობთ, ამ კონტექსტებიდან გამომდინარე, სოფიუშკა უნდა იყოს გალაკტიონის ბიძაშვილი, სოფიო იუსტინეს ასული ტაბიძე, რომლის მეუღლე – აბელ კიკვიძე 1938 წლიდან მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში და, შესაბამისად, 40-იან წლებში სოფიოც თბილისში ცხოვრობდა.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-404, გვ. 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 533.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 453.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-145, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 237

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-145, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 64.

◇ იოსებ მეგრელიძის მოგონებაში ნათქვამია, რომ 1934 წლის 17 ივნისს გალაკტიონის საიუბილეო საღამოზე ლენინგრადში გალაკტიონის თარგმანებს კითხულობდა „ა შვარცი“<sup>1</sup>. ლექსებს ასეთ საღამოებზე კითხულობდნენ ან თავად მთარგმნელები, ან საგანგებოდ მიწვეული მსახიობი დეკლამატორები. რამდენადაც მთარგმნელი შვარცი ამ პერიოდში არ გვხვდება, ლენინგრადში კი ამ პერიოდში მოღვაწეობდა მსახიობი და დეკლამატორი ანტონ ისაკის ძე შვარცი, აქ ის უნდა იყოს ნაგულისხმევი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1950 წლის 15 თებერვლის ჩანაწერი საარქივო გამოცემაში ასეა ამოკითხული: „ჯინჯილებიანი – ჩინოვნიკი. ტურგენევის რესპუბლიკანელი. ერთ დროს – ძალიან მოღუშული ფოტოები. შემდეგი პერიოდი – ყველა ფოტოებში ილიმებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ტრიუმფი ფოტოსი – ტურგენევის რესპუბლიკანელი (კლასიკოსი). ფოტო ლენინისა“<sup>2</sup>. დავინტერესდით, ვისზე შეიძლება იყოს საუბარი. ივან ტურგენევი 1860-იანი წლების დასაწყისში ოჯახთან ერთად ბადენ-ბადენში დასახლდა. მას არ



მოსწონდა ნაპოლეონ მესამის რეჟიმი და განსაკუთრებული სიმპატიები ჰქონდა თავდაპირველად რესპუბლიკური პარტიის ლიდერის, შემდეგ კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ლეონ გამბეტასადმი. ამის შესახებ იგი წერს პირად წერილებში და გამბეტასადმი მისი დამოკიდებულების კვლევას სამეცნიერო ნაშრომებიც ეძღვნება<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ტურგენევი ყვავილების გვირგვინი გაააგზავნა გარდაცვლილი

<sup>1</sup> ი. მეგრელიძე, გალაკტიონის იუბილე ლენინგრადში, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ. 1973, გვ. 238-239.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-250, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2008, გვ. 24.

<sup>3</sup> Н. П. Генералова, В. А. Лукина, Иван Тургенев и Леон Гамбетта, Русская классика. Сборник статей к 85-летию со дня рождения и 60-летию научной деятельности члена-корреспондента РАН Николая Николаевича Скатова, Санкт-Петербург, 2017.

გამბეტას ცხედრის შესამკობად და თავად შორიდან ადევნებდა თვალს ცერემონიალს, მისი სამძიმრის დეპუტა კი ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნდა. შესაბამისად, „ტურგენევის რესპუბლიკანელში“, რომელიც ჩანაწერში ორჯერ მეორდება, ლეონ გამბეტა უნდა იგულისხმებოდეს. ამიტომ, გაგვიჩნდა ეჭვი, რომ მომდევნო ფრაზა „ფოტო ლენინისა“ შეიძლებოდა არასწორად ყოფილიყო ამოკითხული და ნაგულისხმევი ყოფილიყო „ფოტო ლეონისა“. ეს ლოგიკურად მოგვეჩვენა, რამდენადაც ავტოგრაფი ერთი შეხედვით გვამლევდა სიტყვის ასე ამოკითხვის საშუალებასაც და რამდენადაც ლენინს და გამბეტას ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ, ლენინი გამბეტასა და ტურგენევის გარდაცვალების წელს მხოლოდ 12 წლისა იყო, გადავწყვიტეთ საკითხი უფრო ღრმად შეგვესწავლა. დღიურების ამა თუ იმ ფრაზაში გადმოცემული აზრის გაშიფრვა ძალიან რთული საქმეა, რადგან მასში პირდაპირ ხდება ავტორის ცნობიერების ნაკადის რეპრეზენტაცია, იმის გარკვევა კი, რამ რისი ასოციაცია გამოიწვია პოეტში და რა თემიდან რაზე გადაიყვანა, ძნელი ამოსაცნობია. მეცნიერებს აქ ერთადერთი გზა გვაქვს, კარგად გავაანალიზოთ ის, რაც ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი და შემდეგ გავაკეთოთ სავარაუდო დასკვნები.

რამდენადაც ხელთ გვექონდა გალაკტიონ ტაბიძის ხელწერის გრაფიმატული კვლევის ამსახველი მასალა, შევეცადეთ იმის გარკვევას, რომელი ამოკითხვა იყო ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ავტორის ხელწერის მიხედვით. ტექსტის ტრანსკრიპტის კეთებისას ძალიან ხშირად გვეხმარება ხოლმე კონტექსტი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როდესაც თავად კონტექსტია გასარკვევი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ხელწერის სტატისტიკური მონაცემები.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბუნებრივი იქნებოდა ეს გამოსახულება ამოგვეკითხა, როგორც „ეო“ (ორრკალიანი „ო“-თი), აღმოჩნდა, რომ ასოების „ეო“ გადაბმისას გალაკტიონი, ბევრი სხვა ავტორისგან განსხვავებით, ყველგან იყენებს კუთხოვან ო-ს. რაც შეეხება ასოების „ნი“ გადაბმას, ყველა პერიოდის, მათ შორის 1950-იანი წლების ჩანაწერებშიც ძალიან გავს

საკვლევი

ეო  ნი 

ფრაგმენტისას. შესაბამისად, გრაფემატულ კვლევას იქითკენ მივყავართ, რომ ავტოგრაფში მართლაც უნდა ეწეროს „ლენინი“ და არა „ლეონი“. ჩანაწერის კონტექსტთან ლენინის დაკავშირება შესაძლებელია ერთი შინაარსობრივი დეტალით. ის რასაც ამბობს პოეტი ლეონ გამბეტას შესახებ, რომ კარიერის დასაწყისში ფოტოებზე მოღუშული გამომეტყველება ჰქონდა, შემდეგ კი სულ იღიმოდა, გამბეტაზე ბევრად უფრო გამოკვეთილად შეიძლება ითქვას სწორედ ვლადიმერ ლენინზე. ამიტომ, ყველაზე ლოგიკურ მაფად, რასაც შეიძლებოდა გადაეყვანა გალაკტიონის აზრები გამბეტას თემიდან ლენინის თემაზე, ეს გვესახება. თან, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირში მცხოვრები პოეტისთვის ეს საკითხი, თავისი იდეალური აზრით (რატომ იყო ჯერ მოღუშული და შემდეგ მომღიმარი) ბევრად უფრო აქტუალური იქნებოდა, ვიდრე თითქმის საუკუნის წინ მცხოვრები ფრანგი პოლიტიკოსის სახეცვლილება.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე ახსენებს დიპლომატიურ ატაშედ მომუშავე მწერალ მელაძეს<sup>1</sup>. საუბარი უნდა იყოს გივი მელაძეზე, რომელიც 1946-1947 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდური სიტყვის განყოფილებაში.

◇ ფატი ნიშნიანიძის მოგონებიდან ირკვევა, რომ გალაკტიონმა საქართველოში მოიწვია და შემდეგ მეგზურობას უწევდა ანტონინ ზაპოტოცკის და მის მეუღლეს, რომლის სახელიც წყაროში მითითებული არ არის<sup>2</sup>. გავარკვეით, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იმჟამინდელ გენერალურ მდივანს 1910 წლიდან ცოლად ჰყავდა მარია ზაპოტოცკაია (1890-1981).

◇ გიორგი ჩიქობავას წიგნში აღწერილია, 1958 წლის 4 თებერვალს როგორ ცეკვავს გალაკტიონი საკუთარ სახლში ახალგაზრდებთან, თავის გერ ნუნუ ებანოძესა და ვინმე ზეინაბთან ერთად<sup>3</sup>. საარქივო მასალებში ზეინაბი ერთგან იხსენიება ისევ ნუნუსა და გალაკტიონის ძმიშვილ ნოდართან ერთად. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის ოჯახის ახლობელი უნდა იყოს. როგორც საარქივო მასალიდან გავარკვეით, ზეინაბი ერქვა გალაკტიონ ტაბიძის ბიძაშვილიშვილს, ზეინაბ სიმონის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-155, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 321.

<sup>2</sup> ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის რამდენიმე შეხვედრა საქართველოს მშრომელებთან, თბ, 1960, გვ.144.

<sup>3</sup> გ. ჩიქობავა, გალაკტიონის ახლო, თბ, 1966, გვ.11-15.



ასულ ტაბიძეს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დარჩა და 1998 წლამდე იქვე მუშაობდა. შესაბამისად, ზეინაბი 1958 წელსაც თბილისში იქნებოდა, მაგრამ გალაკტიონის გერს პოეტის ნათესავებთან დიდი სიახლოვე არ ჰქონდა და აქ უფრო სავარაუდოა, რომ იგულისხმებოდეს მისი მეგობარი ზეინაბი, რომელიც ნოდარ ტაბიძის ჩანაწერების მიხედვით, ხშირად სტუმრობდა მათ და თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

◇ ჟურნალში „ჩვენი თაობა“ 1938 წელს გამოქვეყნდა სტატია „მსოფლიო ომის პრობლემა გ. ტაბიძის პოეზიაში“, რომელსაც ხელს აწერს „ლ. დეისაძე“<sup>1</sup>. მე-20 საუკუნის შუა წლების ჟურნალ-გაზეთებში არაერთი სტატიაა გამოქვეყნებული ამ გვართა და ინიციალით, მაგრამ სახელი მითითებული არ არის. ეს სტატიები ძირითადად ეხება ქართულ, რუსულ და უცხოურ ლიტერატურას და ლიტერატურულ ურთიერთობებს. მათ შორის არის 1960-იან წლებში გამოქვეყნებული სტატიებიც „გალაკტიონ ტაბიძე და რიჰარდ ვაგნერი“, „ვ. ი. ლენინის სახე გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ წარმოსახვაში“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ტრადიციები გ. ტაბიძის შემოქმედებაში“. 1964 წელს ლევან საბას ძე დეისაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ახალგაზრდა მაქსიმ გორკის შემოქმედებითი განვითარების თბილისური პერიოდი“<sup>2</sup>. თუ გავითვალისწინებთ მის ინტერესს გალაკტიონის შემოქმედებისადმი, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებულ პუბლიკაციაშიც ინიციალში „ლ“ მისი სახელი მოიაზრება.

◇ 1948 წელს მოსკოვში გაკეთებულ ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ ევგენიევმა გალაკტიონს უთხრა, რამდენადაც 1935 წელს პარიზის კონგრესს ესწრებოდი, ამ თემაზე დაწერილი თქვენი ლექსებით ძალიან დაინტერესდებიან გაზეთები, განსაკუთრებით კი „ლიტერატურნაია გაზეტა“, ეს თემა ახლა ძალიან აქტუალურიაო<sup>3</sup>. გალაკტიონ ტაბიძის დღიურში ოლია ოკუჯავას მიერ გაკეთებულ 1934

---

<sup>1</sup> ლ. დეისაძე, „მსოფლიო ომის პრობლემა გ. ტაბიძის პოეზიაში“, ჟურნალი „ჩვენი თაობა“, 1938, №6 გვ. 38-52.

<sup>2</sup> რეფერატი დაცულია მისამართზე <http://eprints.iliauni.edu.ge/4785/>

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-223, გვ. 37; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 435.

წლის ჩანაწერში: „Преподнесли ему грамоту, академич. изд. Евгениева – Пушкина“ უნდა იგულისხმებოდეს რუსი ლიტერატურათმცოდნის, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორ ვლადისლავ ევგენის ძე ევგენიევ-მაქსიმოვის მიერ 1934 წელს გამოცემული წიგნი "Современник" в 40-50 гг. От Белинского до Чернышевского. С приложением статьи Д. Максимова "Современник" Пушкина (1836-1837 гг.)", მაგრამ არის თუ არა ეს ერთი და იგივე პიროვნება? გალაკტიონის ჩანაწერებში ორგან იხსენიება მსგავსი გვარი „ევგენოვი“. 1950 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ „ამ დღეს შეძენილ იქნა ავტომობილი (ევგენოვი, მერაბ კლიმიაშვილი, გივი გეგელაშვილი და მე ვიყავით).“<sup>1</sup> 1935 წლის ჩანაწერში კი წერია: „Серебрянский. Лит. изд. Евгенов, ин. изд.“<sup>2</sup>. მეორე ჩანაწერში უნდა იგულისხმებოდეს 1935 წელს გამომცემლობა „გოსლიტიზდატის“ ანუ სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მიერ გამოცემული მარკ სერებრიანსკის წიგნი „ლიტერატურა და სოციალიზმი“<sup>3</sup> და ვიქტორ მიკულინის წიგნი „20 გაკვეთილი ფოტოგრაფიაში“, რომელშიც ბოლო ორი გაკვეთილის ავტორი იყო სიმონ ვლადიმერის ძე ევგენოვი<sup>4</sup>. სიმონ ევგენოვი, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყო ქართული ლიტერატურით, რადგან 1949 წელს ჟურნალში „ნოვი მირ“ ორი სტატია გამოაქვეყნა ქართველი ავტორების: ალექსანდრე ჭეიშვილისა და ლეო ქიაჩელის რომანების შესახებ<sup>5</sup>. ქართული მწერლობით დაინტერესებული რუსი ლიტერატორები ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე საქართველოში. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ გალაკტიონის მიერ მანქანის შეძენის ფაქტსაც ის შეესწრო. სიმონ ევგენოვი ვლადისლავ ევგენიევ-მაქსიმოვისგან განსხვავებით, მოსკოვში

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 517.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 336.

<sup>3</sup> Серебрянский, Марк Исаакович, Литература и социализм [Текст] / М. Серебрянский. - Москва : Гослитиздат, 1935.

<sup>4</sup> Микулин, Виктор Петрович, 20 уроков фотографии [Текст] : Руководство для начинающих / В. П. Микулин. - 4-е изд., доп. - Москва : Кинофотоиздат, 1935.

<sup>5</sup> С. Евгенов. Роман о грузинском колхозе (А. Чейшвили. Лело. Роман. Перевод с грузинского Н. Г. Аккермана и А. С. Кочеткова). III 252 და С. Евгенов. Новый роман Л. Киачели (Лео Киачели. Человек гор. Перевод с грузинского Э. Ананиашвили). XI 231.

ცხოვრობდა. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური გაზეთის – „პრავდის“ რედაქციაში, სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობასა და მწერალთა კავშირის გამგეობაში, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ლიტერატურულ წრეებთან და კარგად იცნობდა მიმდინარე ზოგად ტენდენციებს. შესაბამისად, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ გალაკტიონს მოსკოვში ის შეხვედროდა და პარიზის და ზოგადად ევროპის თემით საბჭოთა გაზეთების დაინტერესების ტენდენციაზე მას ელაპარაკა. მართალია, ჩანაწერში წერია ევგენიევი და არა ევგენოვი, მაგრამ ასეთი უზუსტობები უბის წიგნაკებში საკმაოდ ხშირია.

◇ 1955 წლის 27 ივლისის დღიურში გალაკტიონი წერს: „სადგურზე შეგვხვდა მარშანია“<sup>1</sup>. მგზავრობის ჩანაწერებში მარშანია აღარ იხსენიება. პოეტის საარქივო მასალების კვლევამ გვაჩვენა, რომ მარშანიას სახელი რკინიგზის სადგურთან სხვაგანაც იკვეთება 1948 წლის ერთ ჩანაწერში, იქ, სადაც საუბარია, სად უნდა დარიგდეს აფიშები, ვკითხულობთ: „თბილისის სადგური (კიოსკში). მარშანიას საშუალებით“, სხვაგან გვხვდება ფრაზა „ქ. სადგურში (მარშანია)“. 1929 წლის 30 ივლისის ჩანაწერში, რომელშიც პოეტი წუხს, რომ მოიარა მაღაზიები და თავისი 1927 წლის გამოცემა ვერსად ნახა, ნათქვამია: „დღეს გამოვიარე მარშანიასთან (მოსკოვის სააგენტო), არც იმას აქვს“. ერთ-ერთი ჩანაწერიდან ირკვევა მარშანიას სავარაუდო სახელიც: „გერმანე მარშანიასთან ანგარიშისთვის“. საარქივო მასალიდან შეკრებილი ინფორმაციით ირკვევა, რომ გერმანე მარშანიას თბილისის რკინიგზის სადგურში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კიოსკი უნდა ჰქონოდა, რომელიც მოსკოვის სააგენტოს ეკუთვნოდა და რომელშიც იყიდებოდა ხოლმე გალაკტიონის წიგნები და პლაკატები. ეს ინფორმაცია დასტურდება გაზეთში „ერთობა“ 1920 წელს გამოქვეყნებული ერთი განცხადებითაც, რომლის ავტორი მკითხველებს აუწყებდა, რომ რკინიგზის სასურსათო მაღაზიაში დაკარგა საფულე და მპოვნელებს სთხოვდა, რომ ამ საფულეში არსებული საბუთები თბილისის სადგურში მდებარე წიგნების კიოსკის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 33; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 150.

გამგე გერმანე მარშანიასთან მიეტანათ<sup>1</sup>. ცალსახაა, რომ ზემოხსენებულ შემთხვევებშიც ყველგან ეს გერმანე მარშანია უნდა იგულისხმებოდეს.

◇ 1945 წლის ჩანაწერებში გალაკტიონ ტაბიძე არაერთგან ახსენებს ექიმ ქალ ხარაძეს<sup>2</sup>, ერთგან კი ის მოხსენიებულია ასეთ კონტექსტში „ექიმი ქალი ხარაძე - ბებტერევეთან ერთად მუშაობდა ლენინზე. კარგი ადამიანია. ელიზავეტა ერემეევნა“<sup>3</sup>. გავარკვიეთ, რომ საუბარი უნდა იყოს ქართველი მათემატიკოსის, არჩილ კირილეს ძე ხარაძის მეუღლეზე – ელისაბედ ერემიას ასულ ვოზდვიჟენსკაიაზე, იქვე ნახსენები ბებტერევი კი, რომელთან ერთადაც მას უმუშავია ლენინზე, უნდა იყოს ცნობილი რუსი ექიმი, აკადემიკოსი ვლადიმერ მიხეილის ძე ბებტერევი, რომელიც 1923 წელს მკურნალობდა პროლეტარიატის ბელად ვლადიმერ ლენინს. რატომ შეიძლება, რომ გალაკტიონს დღიურში ნაცვლად სიტყვისა „მკურნალობდა“ ჩაეწერა სიტყვა „მუშაობდა“. ბებტერევი იყო ექიმი, რომელმაც ლენინს დაუსვა „ტვინის სიფილისის“ დიაგნოზი და, რამდენადაც ეს ავადმყოფობა სამარცხვინოდ ითვლებოდა, ყველა, ვინც საქმის კურსში იყო, უმიშროების სამსახურის მკაცრი გაფრთხილების და მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. თავად ბებტერევი 1927 წელს მოკლეს. ის ამ დროს მიწვეული იყო საზღვარგარეთ ექიმთა საერთაშორისო კონგრესზე და არსებობს ეჭვი, რომ ხელმძღვანელობამ მისი ქვეყნიდან გაშვება ვერ გარისკა, რომ ეს ინფორმაცია არ გაეტანა და გამგზავრებამდე მოწამლეს. ბუნებრივია, იმას, რომ ექიმი ელისაბედ რუხაძე ბებტერევეთან მუშაობდა, გალაკტიონი პირადად მისგან გაიგებდა. შეიძლება მისგანვე გაეგო ისიც, რომ ბებტერევი ლენინს მკურნალობდა და, შესაძლოა, გაიგო ისიც, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ამიტომ თავის დღიურში თავი აარიდა სიტყვის „მკურნალობდა“ ჩაწერას. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ასეთი სიფრთხილე სავსებით ბუნებრივია.

◇ 1949 წლის 13 მარტის დღიურში გალაკტიონს ჩაწერილი აქვს ვინმე კაპანაძის მიერ მისთვის ნათქვამი სიტყვები, შენი ჯანმრთელად ყოფნა მთავარი, თორემ შენთან შედარებით ჩვენ ისეთივე უმნიშვნელოები

---

<sup>1</sup> დავკარგე საფულე, გაზ. „ერთობა“ 1920, 10 აგვისტო, N179, გვ. 1.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 42; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., გვ. 386.


<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 427.

ვართ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: „მინდორშია ქინძარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო“<sup>1</sup>. კაპანაძის სახელი წყაროში მითითებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ 23 მარტამდე პოეტი მკურნალობდა კარდეოლოგიის ინსტიტუტში 1936 წლის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ ვასიკო კაპანაძე ავადაა მიოკარდიტით<sup>2</sup>. მეორე შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს იმ ვასილ კაპანაძეზე, რომელიც გალაკტიონის დროს, 1904 წელს სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. რამდენადაც მასაც გული აწუხებდა, შესაძლოა 1949 წლის 13 მარტს ის და გალაკტიონი ერთმანეთს კარდეოლოგიის ინსტიტუტში შეხვედროდნენ და იქ ეთქვა მისთვის ეს სიტყვები.

◇ გალაკტიონის „საახალწლო ეპიგრამებიდან“ ერთი ეძღვნება „ბაბილინას“<sup>3</sup>. ლექსში არის ფრაზა: „მისმა ძმამაც ვერ მოწყესა / ნიჭიერი პოეტესა“. ბაბილინა ხოსიტაშვილი იყო ცნობილი მწერლის, იროდიონ ევდოშვილის (ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი იყო) და. შესაბამისად, აქ ის უნდა იგულისხმებოდეს, მით უფრო, რომ ერთი ეპიგრამა იროდიონსაც ეძღვნება. ეპიგრამაში, რომელიც „ემშაკს“ ეძღვნება, ნათქვამია: „სთქვი, გურულო ყოყლოჩინა, / მანდ ვინ გაგაბლალოჩინა“. აქ უნდა იგულისხმებოდეს ნესტორ კალანდაძე, რომელიც წარმოშობით გურული იყო და წერდა „ემშაკის“ ფსევდონიმით.

◇ გალაკტიონის 1907 წლის 25 თებერვლის დღიურის ჩანაწერში ნათქვამია, რომ იმ დღეს მოსწავლეები სულ აპ. მერკვილაძეს<sup>4</sup> და მის მეგობრებზე საუბრობდნენ. 1907 წლის თებერვალში პოლიციელებმა მოკლეს

აფრასიონ  
მერკვილაძე  
და მისი  
მეგობრები:  
დუგლაძე



და გაჩეჩილაძე. ინიციალი „აპ“, რომელიც რუსულ ჩანაწერშია, სწორედ აფრასიონს უნდა გულისხმობდეს. აფრასიონი თბილისის

<sup>1</sup> ქლმ. დ-231, გვ. 21; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 471.

<sup>2</sup> ქლმ, დ-104; 64; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №866, გვ. 1.

<sup>4</sup> დღიურის ჩანაწერი, გტცა, № 693, გვ. 59.

სემინარიიდან იყო გარიცხული არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის გამოშვებისთვის და 1905 წლიდან ხელმძღვანელობდა მებრძოლთა რაზმს. მისი ადგილსამყოფელი პოლიციას ვილაცამ შეატყობინა და აფრასიონის დებმა შემდეგ ამ გამცემზე შური იძიეს. აფრასიონზე თხზავდნენ ლექსებს და ლეგენდებს.

◇ გალაკტიონის ერთ-ერთი გვიანი ჩანაწერიდან ჩანს, რომ 1903 წელს დედასთან ერთად ქუთაისში ცხოვრებისას, ძროხა დაეკარგათ და შემდეგ ეპიფანემ აპოვნინა<sup>1</sup>. გალაკტიონის ახლო გარემოცვაში ეპიფანე ერქვა დეიდაშვილს, ეპიფანე რუსაძეს და, სავარაუდოდ, აქ მასზე უნდა იყოს საუბარი.

◇ 1949 წლის აგვისტოთი არის დათარიღებული პატარა ლექსი სათაურით „გოგის“:

„ხომალდზე, გინდ წელს მოიბი თოკი  
არ ჩამოგყვება [...] ზოგი,  
მე და შენ კი ზღვის არ გვეშინია,  
რას იტყვი ამის შესახებ, გოგი?“

ლექსი სხვა ფერის ფანქრით მოგვიანებით არის ნასწორები და ზოგიერთი ადგილი რთულად იკითხება. სახელი „გოგი“ ძირითადად „გიორგის“ შემოკლებული ფორმაა. გალაკტიონის სანაცნობო წრეში ბევრი გიორგი იყო, მაგრამ გალაკტიონის მიერ მრავლობით რიცხვში თავისი თავისა და ადრესატის ერთად მოხსენიება, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ სიახლოვესა და ხშირ კომუნიკაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს. 40-იანი წლების ბოლოს ასეთი პიროვნება, რომელიც პოეტის მდივან-რეფერენტის მოვალეობას ასრულებდა იყო გიორგი (გოგი) ჩიქობავა და ლექსიც მას უნდა ეძღვნებოდეს.

ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან 1937-1941 წლებში გალაკტიონისთვის გაგზავნილ წერილებში ის ხშირად ახსენებს პატარა ვასიკოს („... Как ребенок, как мой милый Васюк? Что с ним, перед выездом я узнала, что он болел, лежал в больнице. Умоляю тебя сообщить подробно о его здоровье.“, „Как здоровье моего милого мальчика, моего Васьки, мой милый Гал, ты ведь знаешь, что у меня не будет никакого покоя пока не узнаю о вашем здоровье.“, „Как здоровье Васьки, тети?“, „Я жажду знать как твое здоровье и Васьки“, „Хоть телеграфно сообщи о

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 264, გვ. 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.147.

твоем здоровьи, о здоровьи Васьки. Безумно хочется обнять вас“, „Гал, ведь столько пишу и никак не могу узнать, как здоровье Васьки, моего милого мальчика, так болит душа за вас.“, „Где ты, мой милый Василек и как?“, „Как и где мой милый Василек. Когда будет этот день счастливый, когда захотите мне хоть два слова черкнуть, чтоб видеть хоть почерк.“, „разбуженные мысли мои колыхнутся и мелькают в них образ твой, образ Василечка.“, „Когда, когда будет день, когда я получу какие либо вести о твоём здоровьи, о здоровьи Василька.“, „Как милый Василек, как бедная тетьа?“, „Неужели ни о тебе, ни о Васильке я не смогу ничего узнать?!“, „Где мой милый мальчик Василек? Уж сколько времени я ничего не знаю о вас“, „Сегодня ночью я видела во сне тебя и Васю и себя. Мы были в Тбилиси.“, „Как мои милые Маня и Василек, ведь я ничего не знаю о их здоровьи“, „Вася, ты помнишь меня, не забыл? А как твой дэви-поэт?“).

იმდენი სიტბო და ყურადღება წერილებში გამოთქმული ამ ვასიკოს მიმართ, რომ ის ძალიან ახლობელი უნდა ყოფილიყო. ვასილი ერქვა ოლიას უმცროს ძმას, რომელიც 1937 წელს 29 წლის იყო და მათ დეიდაშვილს, ვასილ კიკვაძეს, რომელიც ოლიას დაპატიმრებისას 32 წლის იყო. თეორიულად, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ოლიას ან ერთი ან მეორე პატარა ბიჭად მოეხსენიებინა, რადგან ისინი მასზე 20 და 17 წლით უმცროსები იყვნენ. ოლიას რამდენიმე წლის განმავლობაში არ ავიწყდება ის ფაქტი, რომ თბილისიდან მისი უკანასკნელი გამგზავრების დროს ეს ვასიკო ავად იყო და საავადმყოფოში იწვა. რამდენადაც 1937 წლის ნოემბერში, ოლიას თბილისიდან გაყვანის დროს ოლიას ძმაც და დეიდაშვილიც ორივე დაპატიმრებულები იყვნენ, აქ ისინი არ უნდა იგულისხმებოდნენ. ვასიკო ასევე ერქვა გალაკტიონის უფროს ძმისშვილს, რომელიც ოლიას თბილისიდან უკანასკნელად გასვლის დროს რვა წლისა იყო. თეორიულად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ოლიას ან ძმა ან დეიდაშვილი პატიმრობის დროს გამხდარიყო ავად და იქიდან გადაეყვანათ საავადმყოფოში, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ საავადმყოფოში წოლილიყო გალაკტიონის პატარა ძმისშვილი და ოლიას წერილებში მასზე იყოს საუბარი. შეიძლება ზოგან ერთი ვასიკო იგულისხმებოდეს და ზოგან სხვა, მაგალითად იქ, სადაც თავის დასთან, მანიასთან ერთად ახსენებს, შესაძლოა, საუბარი იყოს ვასილ ოკუჯავაზე და სწორედ ის

აინტერესებდეს, ისევ ციხეშია თუ გამოუშვეს. დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება მაინც ჭირს.

◇ 1958 წელს გაზეთში „კომუნისტი“ გალაკტიონ ტაბიძის ფოტოსთან გაკეთებულ მინაწერში ნახსენებია „ელმავალსამშენებლო ქარხნის გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა“<sup>1</sup> გაზეთში „კომუნისტი 1958 წელს გამოქვეყნდა გურამ ჩადუნელის ერთი სტატია<sup>2</sup>, რომლიდანაც ჩანს, რომ ის არის თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის მეთაური, მაგრამ სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

◇ გალაკტიონის ერთი უბის წიგნაკი მთლიანად ეძღვნება მისი თხზულებების მეხუთე ტომის რეცენზენტთან პოლემიკას. რეცენზენტის ვინაობა მითითებულია მხოლოდ ინიციალებით: „კ. ბ.“ და „პ. კ.“<sup>3</sup>. გალაკტიონის ტომს რეცენზირებისთვის გადასცემდნენ აუცილებლად პოეტსა და კრიტიკოსს. გალაკტიონის პოლემიკიდან კი ჩანს, რომ, მიუხედავად ამისა, ის საქმეში კარგად ვერ უნდა ერკვეოდეს და კარგი პროფესიონალი არ უნდა იყოს. იმ პირთაგან, რომლის ინიციალებიც ზემოთ მითითებულს ემთხვევა და სხვა მინიშნებებსაც ესადაგება, არის პოეტი და მთარგმნელი კალისტრატე (კალე) ბობოხიძე. რაც შეეხება ასოს „პ“ მისი ინიციალების წინ, მასში ოფიციალურად უნდა იგულისხმებოდეს „პატივცემული“. ამას მოწმობს ტექსტში არაერთგზის გამეორებული ფრაზაც „პატივცემული რეცენზენტი“. რამდენადაც თხზულებათა მეხუთე ტომზე წარმოებაში გადაცემის ნებართვა გაიცა 1951 წლის 6 ნოემბერს, გალაკტიონის ჩანაწერები კალე ბობოხიძის რეცენზიასთან დაკავშირებით დაწერილი უნდა იყოს 6 ნოემბრამდე.

◇ გალაკტიონის ერთ დღიურში ვრცლად არის აღწერილი აბანოში მომხდარი ინციდენტი ვინმე გიორგი სულუხიასთან<sup>4</sup>. აბანოში მისულ გალაკტიონს პატივისცემის ნიშნად ის ნომერი შესთავაზეს, რომლითაც

---

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1958, N300, გვ. 3.

<sup>2</sup> გურამ ჩადუნელი, ჩვენს ძმებთან, მეგობრებთან, მოსკოვი-თბილისი. თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადა. „კომუნისტი“, 1958. N288, გვ.1.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 274; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 251.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-49, 6-12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 35-37.



პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები სარგებლობდნენ და იქ მყოფმა გიორგი სულუხიამ (სავარაუდოდ, ოფიციალურად მისი გვარი იწერებოდა სხულუხია) სამინლად გააპროტესტა ეს და დაემუქრა. ბუნებრივია, დავინტერესდით ამ პირის ვინაობით. 1929 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ნომრებში (N250, N271) აღმოვაჩინეთ მისი გვარი იმ პირთა სიაში, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აგიტაცია-პროპაგანდის ბეჭდვითი განყოფილება იწვევდა მათთან გამოსაცხადებლად. ვინმე 1906 წელს დაბადებული თბილისელი გიორგი თეოდორეს ძე სხულუხია 1933 წელს პოლიტიკურ საფუძველზე იყო დაპატიმრებული და რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს<sup>1</sup>. ვფიქრობთ, ამ წყაროებში ერთსა და იმავე პირზე უნდა იყოს საუბარი. რამდენადაც 30-იანი წლების დასაწყისში ცისფერყანწელები პოლიტიკურად აქტიურები იყვნენ, შესაძლოა იგივე პირი იყოს გამოსახული 1932 წელს ბათუმში მათთან ერთად გადაღებულ ფოტოზე<sup>2</sup>.

◇ გალაკტიონის დღიურებში 13-ჯერ არის მოხსენიებული ვინმე „ნონიკაშვილი“ და ყველგან სახელის გარეშე. ერთ-ერთი ჩანაწერის კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს უნდა ყოფილიყო პოეტი და უნდა ჰქონოდა პოემა „ზოიაზე“<sup>3</sup>. რამდენადაც ვიცოდით, რომ გალაკტიონის დღიურებში ხშირად გვხვდება გვარებისა და სახელების გამარჯება-გადაკეთება, ეჭვი გაგვიჩნდა, ხომ არ იყო საუბარი იოსებ ნონეშვილზე და მართლაც, იოსებ ნონეშვილს 1942 წელს გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსი „სიმღერა საბჭოთა კავშირის გმირ ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, ზოია რუხაძეზე კი დაწერილი ჰქონდა პოემა. შესაბამისად, საარქივო მასალებში „ნონიკაშვილის“ ქვეშ ყველგან იგულისხმება იოსებ ნონეშვილი.

◇ გალაკტიონის ერთ-ერთი უთარილო წერილის ადრესატი ნიკო, რომელიც უნივერსიტეტში თანამდებობის პირი ჩანს, უნდა იყოს ნიკო კეცხოველი, იმავე წერილში მოხსენიებული ნაზი კალისტრატეს ასული კი – გალაკტიონის ცოლის, ნინო კვირიკაძის ძმისშვილი<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> <https://memorial.krsk.ru/Articles/KP/7/s24.htm>

<sup>2</sup> <https://niamorebi.ge/tabidze/ბათუმი-1932/>

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 294, გვ. 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 345.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ელმ, 24551-85; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 86.

◇ დეპეშის ადრესატი, რომლიდანაც ჩანს სახელი და მამის სახელი „რევაზ ნიკოლოზის ძე“, გაგზავნილი უნდა იყოს ოსი მწერლის რევაზ ასავეისათვის<sup>1</sup>. შინაარსიდან ჩანს, რომ მზადდება გალაკტიონის ლექსების ოსური თარგმანების წიგნი. სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ეს წიგნი 1954 წელს უნდა გამოცემულიყო<sup>2</sup>. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1954 წელს ან ადრე.

◇ ნინო კვირიკაძის ერთ ჩანაწერში ნახსენებია ფანცხავა, რომელმაც გალაკტიონს თავისი მისამართი დაუტოვა<sup>3</sup>. მართალია, სახელი მითითებული არ არის, მაგრამ ეს მისამართი გალაკტიონსაც აქვს უბის წიგნაკში ჩაწერილი იოსებ (სოსიკო) ფანცხავას სახელის გვერდით.

◇ ალექსანდრე შუშანაშვილის მოგონებებში გალაკტიონზე აღნიშნულია, რომ გარდაცვალების წინ ტახტზე დატოვებული სამედიცინო ხალათის ჯიბეში მას ედო ფურცელზე დაწერილი ლექსი ალექსეი ზაკომოდინის ხელმოწერით<sup>4</sup>. იმ პერიოდში ასეთი გვარის პოეტს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ლექსებს ბევრი არაპოეტიც წერდა და, შესაძლოა, ეს ლექსი ეკუთვნოდეს სტალინის ძველ ნაცნობს ალექსეი პეტრეს ძე ზაკომოდინს, რომელსაც საქართველოსთან ხანგრძლივი კავშირი ჰქონდა. იგი გალაკტიონისთვის შეიძლება გადაეცა რომელიმე პაციენტს.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონი ინიშნავს სამხატვრო აკადემიაში მომუშავე ინჟინერ ჩხიკვაძის ტელეფონის ნომერს<sup>5</sup>. ეს უნდა იყოს არქიტექტორი მიხეილ ჩხიკვაძე, რომელმაც 1929 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჩანაწერი სოხუმშია გაკეთებული და ჩხიკვაძეც 1952 წელს სოხუმში აშენებდა დრამატული თეატრის შენობას.

◇ უბის წიგნაკის ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც 1951 წლის 24 დეკემბრის ტექსტის გვერდითაა მოთავსებული და ისეთივე მელნითა და სტილითაა ნაწერი, საუბარია ოთარ კუპრავასა და ვილაცა ბაიამესა

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-277; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 89.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 299, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 365-367.

<sup>3</sup> ნ. კვირიკაძის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 518.

<sup>4</sup> ა. შუშანაშვილი, გალაკტიონის გარდაცვალება (საგამომიებო საქმის მიმოხილვა), მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 369.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 275, გვ. 7

თუ ბაიაშვილზე<sup>1</sup>. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკოსი ვასილ პეტრეს ძე ბაიაძე, რომელიც ასევე თარგმნიდა რუსულიდან. შესაბამისად, ამ ჩანაწერში, რომელიც ასევე 24 დეკემბერს უნდა იყოს გაკეთებული, იგულისხმება ვასილ ბაიაძე.

◇ 1944 წლის უბის წიგნაკში გალაკტიონი იწერს ვინმე დოცენტ მირზაშვილის მონათხრობს სვანეთის შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ეს პირი საწარმოში „ქართული ჩაი“ მუშაობს სპეციალობით და რომ ტყეში ბევრი სიარულით ფეხები აქვს დასივებული. ვიქტორ იოსების ძე მირზაშვილი იყო დენდროლოგი, რომელიც 1937 წლიდან იყო თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი.

◇ 1951 წლის 24 დეკემბრის ჩანაწერში სერგი ჭილაიასა და გიორგი ნატროშვილის მსგავსად მოხსენიებულნი არიან დიმიტრი და სირბილაძე. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალებში მოხსენიებულთაგან პედაგოგი ვარლამ დიმიტრი და პოეტი ლავროს დიმიტრი ამ კონტექსტს არ შეესაბამებიან, საუბარი უნდა იყოს უფრო ცნობილ და წარმატებულ ფიგურებზე, აკაკი და შოთა დიმიტრებიდან რომელიმეზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრაზა „რას იქს“ ირონიულ აქცენტს ატარებს, ვფიქრობთ, რომ უფრო საგულისხმოა აქ შოთა დიმიტრის მოაზრება, რომელთან დაკავშირებითაც 1950-იან წლებში არაერთი საყვედური აქვს პოეტს გამოთქმული. მაგალითად, 1951 წლის 17 ოქტომბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „შ. დიმიტრი - გამოჰყავს, როგორც ფიგურა. ოო!“<sup>2</sup> 1952 წლის 10 მარტს წერს: „აი, როგორ ისარგებლა შ. დიმიტრმა...“<sup>3</sup>. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ საუბარი იყოს შოთა დიმიტრზე. რაც შეეხება სირბილაძეს, საარქივო მასალებში ყველაზე ხშირად იხსენიებიან ვლადიმერ (ლადო) და ნიკოლოზ (კოლა) სირბილაძეები. რამდენადაც აქვე ნახსენებია გიორგი ნატროშვილი, რომელთან ერთადაც მუშაობდა ლადო სირბილაძე გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციაში, ვფიქრობთ, რომ აქ ის უნდა იგულისხმებოდეს. გალაკტიონს ხშირად ჰქონდა მასთან ურთიერთობა ქალაქის შოვნასთან დაკავშირებით<sup>4</sup> და შესაძლოა, აქაც ის იგულისხმებოდეს, თუ რას აკეთებს ქალაქთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.185.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.165.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 261.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2006, გვ. 26, 29, 422.

გალაკტიონ ტაბიძის მატთანზე მუშაობისას კორპუსული და კომპლექსური ტექსტოლოგიური კვლევით დავათარილეთ არაერთი დღიური, ჩანაწერი, პირადი და საქმიანი წერილი, გამოცემებზე მითითებული სტამბისთვის გადაცემის თარიღების მიხედვით კი გავარკვეეთ ჟურნალებისა და კრებულების გამოსვლის მიახლოებითი დრო.

◇ 1939 წლის 16 სექტემბერს გალაკტიონი დღიურში წერს, რომ წინა დღეს მიიღო წერილი.<sup>1</sup> ჩანაწერებში თითქმის ყოველთვის ასახელებს ადრესანტის ვინაობას, ამ შემთხვევაში კი არა, რადგან წერილი უნდა იყოს გადასახლებაში მყოფი ოლია ოკუჯავას გამოგზავნილი ვლადიმირიდან. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მაგრამ, შესაძლებელია, ეს იყოს ოლიას მიერ 3 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი<sup>2</sup> და ადრესატმა 15 სექტემბერს მიიღო.

◇ 1930 წელს დღიურში წერს განცხადებას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს, ახალი წიგნის დასაწერად მიეცეს მას რკინიგზით მოგზაურობის საშუალება<sup>3</sup>. მიმართვა განთავსებულია 10 ივნისის ჩანაწერის შემდეგ. იმავე წლის 26 თებერვლის განცხადების მიხედვით, ითხოვს ახალი წიგნის დასაწერად, ამიერკავკასიის რკინიგზით მოგზაურობის ნებართვას.<sup>4</sup> შესაბამისად, ჩანაწერი შესრულებულია 10 ივნისის შემდეგ და იგულისხმება ამიერკავკასიის რკინიგზით მოგზაურობა.

◇ 1931 წლის მაგიდის კალენდარში, ოლია ოკუჯავა მხოლოდ 1934 წლის და არა თვისა და თარიღის მითითებით წერს, რომ გალაკტიონს მწერალთა სასახლიდან აცნობეს მისთვის გამოგზავნილი მაქსიმ გორკის წერილის მიღება 1937 წელს ალექსანდრ პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად შემდგარ საიუბილეო კომიტეტში მისი არჩევის შესახებ<sup>5</sup>. მაქსიმ გორკის 20 სექტემბრის

<sup>1</sup> ქლმ. დ-73, 112; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 342.

<sup>2</sup> ქლმ. 24551-393; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 231-233.

<sup>3</sup> ქლმ. დ-51, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>4</sup> ქლმ. დ-46, 16, გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 18.

<sup>5</sup> ქლმ. დ-73, 113-115; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 341-342.

ოფიციალური წერილი დაცულია გალაკტიონ ტაბიძის არქივში<sup>1</sup>. წერილის მიღების თარიღს კი ვსაზღვრათ, იმავე დღიურში ოლია ოკუჯავას მომდევნო ჩანაწერის მიხედვით, რომელიც დავათარიღეთ 26 სექტემბრით გაზეთში „Литературная Газета“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ნიკოლაი ტიხონოვისეული თარგმანის „Осень в траншеях“ გამოქვეყნების დროით და შესაბამისად მაქსიმ გორკის წერილის მიღების თარიღი განვსაზღვრეთ 26 სექტემბრამდე.

◇ შერეულთარიღიანი დღიურის ერთ-ერთ ფურცელზე 1 სექტემბერს სიღნაღში წერს აგვისტო-სექტემბერის რომელი რიცხვებიდან რა ფრინველზე თუ კურდღელზე შეიძლება ნადირობა<sup>2</sup>. 1922 წლის დღიურში ჩვენთვის უცნობი პირის ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონ ტაბიძე სიღნაღში იმყოფება: „გალაკტიონ, მეყვარებით და პატივსაც გცემებთ როგორც პოეტს. ნ. ხუც. 30/VIII-1922 წ. ქ. სიღნაღი“<sup>3</sup>. სავარაუდოდ, ამ დღიურის მიხედვით 1922 წლით არის დათარიღებული ლექსი „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“, რომელსაც ავტორის მიერ მიწერილი აქვს „1 ენკენისთვე, სიღნაღი“ და გამოქვეყნებულია 1927 წლის ლექსების კრებულში.<sup>4</sup> სხვა ჩანაწერებში გალაკტიონ ტაბიძის სიღნაღში ყოფნის ფაქტი არ დასტურდება. ამიტომ ცანაწერს ვათარიღებთ 1922 წლის 1 სექტემბრით.

◇ 1930 წლის დღიურში წერს პოემის „კლასობრივი ბრძოლა“ 65 სტროფს<sup>5</sup>. ეს და მომდევნო ჩანაწერები განთავსებულია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 26 თებერვლის განცხადებამდე. შესაბამისად, ვათარიღებთ მანამდე პერიოდით.

◇ 1930 წლის დღიურში 3 მარტამდე აკეთებს ჩანაწერებს შუა აზიის შესახებ<sup>6</sup>. შესაბამისად, ჩანაწერებს ვათარიღებთ ამ რიცხვამდე.

◇ 1930 წლის დღიურში წერს: „სახელგამის ახალი გამოცემა. გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქა“. მოითხოვეთ ყველგან „ეპოქა“. გაზეთში

<sup>1</sup> ქლმ. ხ-24551-456-ბ; გ. ტაბიძე, სგ წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 267.

<sup>2</sup> ქლმ. დ-499, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 7.

<sup>3</sup> ქლმ. დ-11, 35; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 7. გვ. 107.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, ლექსები, თბ., 1927, გვ. 314.

<sup>5</sup> ქლმ. დ-46, 1, 3, 5-7, 10-11, 13-14; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 7-15.

<sup>6</sup> ქლმ. დ-47, 1-20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 19-21.

„კომუნისტი“ 1930 წლის 17 მაისს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის პოემას „ეპოქა“<sup>1</sup>. შესაბამისად, წიგნი გამოიცა და დღიურში ჩანაწერიც გაკეთდა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ცალკეულ ფურცელზე წერს პიესის „მდიდარი მემკვიდრის საიდუმლო“ მოქმედ პირებსა და მოკლე შინაარსს<sup>2</sup>. ვათარილებთ 1930 წლით, რადგან ტექსტის გვერდით მიწერილი აქვს „პოეტების კავშირი“. ამ ხელნაწერის გარდა „პოეტების კავშირი“ 1930 წლის ორ დღიურშია ნახსენები. ერთგან წერს: „უნდა დაარსდეს „პოეტების კავშირი“ ან „პოეტების ცეხი“, არ შეიძლება პოეზიის მთლიანად მწერლებისაგან ჩამოშორება“<sup>3</sup>. შესაბამისად, ამ ტექსტსაც ვათარილებთ 1930 წლით.

◇ 1931 წლის დღიურში წერს განცხადებების მონახაზებს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და მწერალთა კავშირის პრეზიდენტისადმი, განათლების სახალხო კომისარიატის სახელოვნო განყოფილებისა და განათლების სახალხო კომისრისადმი თავისი სადამოს მოწყობის თაობაზე.<sup>4</sup> განცხადებები განთავსებულია 1 ნოემბრის ჩანაწერამდე, შესაბამისად, ვათარილებთ ამ რიცხვამდე პერიოდით.

◇ 1932 წლის 31 დეკემბერს დღიურში ჩაწერილ უკანასკნელი დღეების მოვლენებს – „არ მინდა, მახსოვდეს უკანასკნელი დღეების კომმარები (სადამო რომ გადაიდო ქართულ კლუბში, ვინაიდან არავინ არ დამეხმარა... საშინელი კრიზისი რომ იყო და ხელი არავინ გამომიწოდა, რომ ისევე ავადა ვარ“<sup>5</sup> ვათარილებთ 17-31 დეკემბრით, რადგან 16 დეკემბრის ჩანაწერის შემდეგ პოეტს ამ თარიღამდე არაფერი ჩაუწერია.

◇ 1932 წლის 31 დეკემბერის ჩანაწერს – „მწერალთა პლენუმზე რომ გამოვედი სასტიკად გაბოროტებული, ყველა მწერლები რომ დავიმდურე“<sup>6</sup> – ვათარილებთ 25-31 დეკემბრით, რადგან საბჭოთა

---

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1930, 17 მაისი, №113, გვ. 4.

<sup>2</sup> ქლმ. დ-495-8, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 465-468.

<sup>3</sup> ქლმ. დ-53, გვ. 26. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 115.

<sup>4</sup> ქლმ. დ-65, 2-3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 238-239.

<sup>5</sup> ქლმ. დ-71, 15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 302.

<sup>6</sup> ქლმ. დ-71, 15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 302.

მწერლების კავშირის საბჭოს პირველი პლენუმი ამ დროს მიმდინარეობდა.

◇ 1932 წლის 31 დეკემბერს დღიურში აღნიშნავს: „საქართველოს ჩა“-მ ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მივლინებისთვის. ის ფული ხუთ დღეში გავაქრე და ვერსადაც წავედი<sup>1</sup>. 9 დეკემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მე მივიღე ოფიციალური ქაღალდი ფედერაციისაგან, რომ შევატყობინო მათ, თუ რა გავაკეთე მივლინებაში; მე მათ, იძულებული ვარ, ოფიციალურადვე ვუპასუხო, რომ ვიყავი ჩაის მეურნეობაში“<sup>2</sup>. შესაბამისად, მივლინების ფული უნდა მიეღო 9 დეკემბრამდე.

◇ 1932 წლის 31 დეკემბერს წერს: „რადიომ სამასი მანეთი მომცა ავანსად და ისიც უცებ გაჰქრა“<sup>3</sup>. 1932 წლის 24 მაისს განცხადებას უგზავნის ამიერ-კავკასიის რადიოგადაცემის სამხატვრო-სალიტერატურო სექციას: „ვინაიდან ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებით დადებული ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ სავსებით დამემთავრებია მასალა ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავად, გთხოვთ, ეს ვადა გაგრძელებული იქნას კიდევ“<sup>4</sup>. ვფიქრობთ, რომ რადიომ ამ ხელშეკრულებით მოსამზადებელი მასალისთვის მისცა ავანსად თანხა და ეს უნდა მომხდარიყო 24 მაისამდე.

◇ 1932 წლის 31 დეკემბერს დღიურში იწერს, იმ დრომდე ვის რა თანხა გამოართვა: „ასი ბარონს სალამოსათვის“<sup>5</sup>. უნდა იგულისხმებოდეს მწერალთა სასახლეში გასამართი შემოქმედებითი საღამო, რომელიც 6 დეკემბერს დაიგეგმა და 16 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ გადაიდო. ამიტომ ბარონ ბიბინეიშვილს 100 მანეთი უნდა მიეცა 7 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე.

◇ 1933 წლის 19 აპრილის ჩანაწერში აღნიშნავს: „თამარ შავერზაშვილმა დასწერა მარში გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებზე: „მხარი მხარს“. მარში იბეჭდება ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში“<sup>6</sup>. სიმღერის ნოტები დაიბეჭდა ჟურნალის „პიონერი“ თებერვლის

<sup>1</sup> ქლმ. დ-71, 15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 302.

<sup>2</sup> ქლმ. დ-71, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>3</sup> ქლმ. დ-71, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 303.

<sup>4</sup> ქლმ. 24551-119-ბ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 98.

<sup>5</sup> ქლმ. დ-71, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 303.

<sup>6</sup> ქლმ. დ-593-6, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 501.

ნომერში<sup>1</sup>, მაგრამ ჩანაწერის მიხედვით, 19 აპრილამდე ჟურნალი გამოცემული არ იყო და შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ 1933 წლის უბის წიგნაკში იეთიმ გურჯი უძღვნის ოთხ ლექსს<sup>2</sup>, რომლებიც ჩაწერილია ოპერის თეატრში გასამართი გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთვის პოეტის გამოსასვლელი სიტყვის ვარიანტამდე. რამდენადაც სადამო ოპერაში გაიმართა 5 ივლისს, ლექსებიც და სიტყვაც ჩაწერილი უნდა იყოს ამ თარიღამდე.

◇ უბის წიგნაკში წერს, რომ აინტერესებს, ვისგან შედგება სახელმწიფო კინომრეწველობის სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო და ინიშნავს ამასთან დაკავშირებულ საკითხებს<sup>3</sup>. შემდეგი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ იმყოფება ქუთაისში, „ქუთაისი, 1933, ენკენისთვე“<sup>4</sup>, სადაც ესწრება ქუთაისელი მწერლების პრეზიდიუმის კრებას. ჩანაწერში აღნიშნავს, რომ კრებაზე შედის დამსახურებული მსახიობი გრიგოლ ჩარკვიანი, რომელიც გადასცემს წერილს შემწეობის სიით და სთხოვს დახმარებას ტანსაცმლის შესაძენად. ჩანაწერის მიხედვით ჩანს, რომ სამახსოვროდ ინახავს ამ მიმართვას და, მართლაც, პოეტის არქივში ინახება გრიგოლ ჩარკვიანის ეს წერილი, რომელსაც თარიღად უზის 1933 წლის 15 სექტემბერი<sup>5</sup>. წერილის მიხედვით, დღიურში ამ პერიოდამდე არსებულ ჩანაწერებს ვათარილებთ 15 სექტემბრამდე, ქუთაისის მწერალთა პრეზიდიუმის სხდომას 15 სექტემბრით, შემდგომ ჩანაწერებს კი, ამ თარიღის მომდევნო პერიოდით.

◇ 1934 წლის უბის წიგნაკში წერს ავტობიოგრაფიის ფრაგმენტს<sup>6</sup>, რომელიც განთავსებულია ლენინგრადში 17 ივნისს ჩატარებული სადამოს შესახებ ჩანაწერამდე<sup>7</sup> და ამ პერიოდამდე ვათარილებთ, მომდევნო ჩანაწერებსა და ლექსებს კი 17 ივნისის შემდეგ.

◇ 1932-1935 წლების დღიურში სათაურით „უცვლელი ნაწილები“ წერს „და“ კავშირისა და „ცა“ ნაწილაკის რითმისთვის გამოყენების

---

<sup>1</sup> ჟურნ. „პიონერი“, 1933, თებერვალი, №2, გვ. 1 (0).

<sup>2</sup> ქლმ. დ-75, 3-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 350-352.

<sup>3</sup> ქლმ. დ-79, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 384-385.

<sup>4</sup> ქლმ. დ-78, 11-12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 379-380.

<sup>5</sup> ქლმ. 24551-401-ბ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 264.

<sup>6</sup> ქლმ. დ-85, 2-3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 425-426.

<sup>7</sup> ქლმ. დ-85, 17-18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 428-429.



შესახებ<sup>1</sup>. ეს და რამდენიმე ჩანაწერი მოთავსებულია 1935 წლის 21 ივნისით დათარიღებული უსათაურო ლექსის „ჩამავალო მზის ფერადო კიდევ...“ წინ, ამიტომ ვათარიღებთ ამ დრომდე.

◇ 1940 წლის დღიურის 9 აპრილს წერს: „ნინა საუბრობდა მასსისა და თეატრის დამოკიდებულების შესახებ. თეატრი ეხლა უშუალოდ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან მთავრობა არავითარ დოტაციას არ იძლევა: მარჯანიშვილის სახელობის თეატრს უფრო ესწრება ხალხი, ვიდრე რუსთაველის სახელობისას. „მა, როგორ ეგონათ“ – მარჯანიშვილი რომ ძალით ჩაჰკლესო? ფილარმონია დავათვალიერე – სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს. ცელმსი! ის შემხვდა ოპერის თეატრთან და ბევრი საკითხიც გადაწყდა... კორნელი სანაძე – 2 კვირის შემდეგ პორტრაიტი!! (ე. ი. 29 აპრ.). 19 მაისი! 19 მაისი! 19 მაისი! (ფიქსაცია ქმნილია). ვ. წულუკიძე, პ. კაკაბაძე – რაღაც გულჩახვეული ხალხია, გაურბიან ლირიკის შესახებ რაიმეს თქმას..“<sup>2</sup>. ამ ჩანაწერის შინაარსის მიხედვით 1940 წლის 9 აპრილით თარიღდება ცალკეულ ფურცელზე დაწერილი უთარილო ტექსტი: „– ნინა: მაშ, თეატრი როგორ ეგონათო. – ფილარმონია სავსებით სხვაგვარ შთაბეჭდილებას ახდენს. – ცელმსი!.. – კორნელი სანაძე!.. 19 მაისი. – ვ. წულიკიძე, პ. კაკაბაძე – ისინი გაურბიან ჩემთან ლირიკის შესახებ საუბარს...“<sup>3</sup>.

◇ 1940 წლის დღიური იწყება უთარილო ჩანაწერით ვლადიმირ მაიაკოვსკის საღამოს შესახებ: „მაიაკოვსკის საღამო ფილარმონიაში. საზოგადოება იკრიბება ძალიან ნელა. – ეს გალაკტიონია. – მე ვიცნობ, მხოლოდ თვითონ ვერა მცნობსო. – ღიმილით ამბობს ილ. თავაძე. დარბაზი ნახევრად ცარიელია. ღეჭვით ჰკითხულობს ა. მამაშვილი. მასში არის დიდი უზრდელობის ტონი. მამაშვილს არავინ ყურს არ უგდებს. სოციალისტური ლირიკის პოეტი. ბ. ჟღენტი: პუშკინის, ლერმონტოვის ტრადიცია“<sup>4</sup>. ჩანაწერის ნაწილი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება 1940 წლის 14 აპრილის დღიურში: „ფილარმონიაში შესდგა მაიაკოვსკის საღამო. საზოგადოება იკრიბებოდა ძალიან ნელა. – ეს გალაკტიონია, – გამაცნეს თავაძე. – მე

<sup>1</sup> ქლმ. დ-67, 1-2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 258-260.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 35-36.

<sup>3</sup> ქლმ. დ-483-9, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XX, თბ., 2008, გვ. 367.

<sup>4</sup> ქლმ. დ-138, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 116.

ვიცნობ, მხოლოდ თვითონ ვერა მცნობსო, – ღიმილით ამბობს ილ. თავაძე. დარბაზია ნახევრად ცარიელი. სულიერი განწყობილება – საპანაშვიდო. პატარა სურათი მაიაკოვსკის, დიდი სურათები ლენინის, სტალინის. ლექვით კითხულობს რაღაცას მამაშვილი, მას არავინ ყურს არ უგდებს. ბ. ჟღენტი: პუშკინიდან, ლერმონტოვიდან მოდისო. ახვლედიანი (პროფ.): არავინ წინაპარი არა ჰყავსო... უფერული საღამო. ვერავინ კარგად ვერ ჰკითხულობდა<sup>1</sup>. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ უთარილო ჩანაწერიც უნდა დათარიღდეს 1940 წლის 14 აპრილით.

◇ 1940 წლის 14 აპრილიდან 17 მაისამდე დათარიღებული ჩანაწერები<sup>2</sup> მოთავსებულია 14 აპრილს ფილარმონიაში გამართული ვლადიმირ მაიკოვსკის საღამოს შესახებ ჩანაწერსა (თარიღი ამ დღიურში არ არის აღნიშნული, მაგრამ იდენტურია 129-ე დღიურში არსებული 14 აპრილის ჩანაწერის<sup>3</sup>) და 17 მაისს დაწერილ უსათაურო ლექსს „ნათქვამია, როს დროების...“<sup>4</sup> შორის.

◇ 1940 წლის დღიურში<sup>5</sup> აღნიშნავს, რომ შეყვანილია მიხაილ ლერმონტოვის საიუბილეო კომიტეტში. ჩანაწერი განთავსებულია კალენდრის ივლისის ფურცლებზე, მომდევნო გვერდზე არსებული ჩანაწერი 9 ივლისითაა დათარიღებული. 9 ივნისის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ ვიტრინებში არ არის გამოფენილი მისი პოემა „აკაკი წერეთელი“ და უნივერსიტეტის გამოცემული წიგნი; პოემა სტამბას გადაეცა 29 მაისს, დასაბეჭდად კი ხელმოწერილია 31 მაისს; უნივერსიტეტის გამომცემლობის მომზადებული აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებული წარმოებას გადაეცა 10 მაისს, დასაბეჭდად კი ხელმოწერილია 16 ივნისს. ჩანაწერის მიხედვით, არ არის გამოცემული ჟურნალის „მნათობი“ N5-6, მაის-ივნისის ნომერი, სადაც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“. ჟურნალი წარმოებას გადაეცა 13 მაისს და ხელმოწერილია დასაბეჭდად 22 ივნისს. შესაბამისად, 9 ივნისამდე ვერც ერთი წიგნის გამოცემა და ვიტრინაში გამოფენა ვერ მოესწრებოდა. იმავე დღის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ არის ქრონიკა მისი წიგნის შესახებ,

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>2</sup> ქლმ. დ-138, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 116-120.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>4</sup> ქლმ. დ-138, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 121.

<sup>5</sup> ქლმ. დ-133, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 74.

რომელიც მოთავსებულია 3 ივლისის ნომერში; აქვე წერს: „მნათობის“ ბეჭდვა შეჩერებულია უქალაქობის გამო. ჩემი დაბეჭდ.“ ივლისხმება, „საბლიტგამის“ გამოცემული წიგნი „ლირიკა“, რომლის შესახებაც 11 ივლისს წერს, რომ დაბეჭდილია, იკინძება და 1 კვირაში გამოვა. მომდევნო გვერდის ჩანაწერების თარიღად მითითებული აქვს 9 ივლისი, ამდენად, ვფიქრობთ, რომ გალაკტიონ ტაბიძე ივლისის ნაცვლად შეცდომით წერს ივნისს და ამ გვერდზე არსებული სხვა ჩანაწერებიც 9 ივლისით უნდა დათარიღდეს.

◇ 1940 წლის 16 ივლისს ცნობარ-კალენდარში<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ მიიღო ჰონორარი „საბჭოთა აფხაზეთიდან“, „პიონერიდან“, „კომუნისტიდან“. იმავე კალენდარში წერს, რომ „კომუნისტიდან“ და „პიონერიდან“ ჰონორარი მიიღო 12 ივლისს. 13 ივლისის ჩანაწერში არ იხსენიებს „საბჭოთა აფხაზეთის“ ჰონორარს. შესაბამისად, უნდა მიეღო 14-16 ივლისს.

◇ 1940 წლის ივლისში დღიურში<sup>2</sup> წერს, რომ არ მიაღებინეს მონაწილეობა აკაკი წერეთლის საღამოში. იმავე დღიურის 9 ივლისის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირში ირაკლი აბაშიძემ ჰკითხა, ნაწყენი ხომ არ იყო აკაკის დღეებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩანაწერი უნდა დათარიღდეს 9 ივლისამდე. ამ გვერდზე არსებულ ყველა ჩანაწერს ვათრილებთ 9 ივლისამდე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საღამო ჩატარდა 23 ივნისს.

◇ 1940 წლის დღიურში 16 აპრილის შემდეგ ზუსტი თარიღის გარეშე აღნიშნავს განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის წერს: „ზაფხული გავატარე საგურამოში, დავიწყე მუშაობა ახალ პოემაზე (ომის ამბები). საგურამოში მოეწყო ჩემი საღამო. შემოდგომაზე დავბრუნდით ტფილისში“<sup>3</sup>. სხვა დღიურში აღნიშნავს, რომ საგურამოში წასვლა გადაწყდა 15 ივლისს<sup>4</sup>. საგურამოს საღამოზე წარმოთქმული სიტყვის თარიღია 12 სექტემბერი<sup>5</sup>. სავარაუდოდ, საღამო უნდა გამართულიყო თბილისში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე. შესაბამისად, საგურამოში უნდა ყოფილიყო 1940 წლის 15 ივლისიდან 13

<sup>1</sup> ქლმ. დ-133, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>2</sup> ქლმ. დ-133, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 72.

<sup>3</sup> ქლმ. დ-129, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>4</sup> ქლმ. დ-133, 10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>5</sup> ქლმ. დ-629-22, 1-2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 326-327.

სექტემბრამდე პერიოდში. რაც შეეხება პოემას, 1940 წელს ომის თემაზე დაწერა პოემა „ათას ცხრაას ორმოცი წელი“.

◇ 1940 წლის დღიურში უთარილოდ წერს, რომ ოლგა დარიუსის აღზრდილი გოგონა – ლაინე ავად გახდა ტუბერკულოზით<sup>1</sup>. ჩანაწერი თარიღდება 1 ოქტომბრამდე, გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში, ოლგა დარიუსის 1 ოქტომბრის ჩანაწერის მიხედვით იმის შესახებ, რომ ავადმყოფის მოსანახულებლად გაემგზავრნენ აბასთუმანში<sup>2</sup>.

◇ 1940 წლის დღიურში<sup>3</sup> წერს: „ბერიას სახელობის კლუბში მოეწყო ჩემი საღამო. სხვა ჩანაწერების<sup>4</sup> მიხედვით, ბერიას სახელობის კულტურის სახლში საღამო გაიმართა 1940 წლის 23 ნოემბერს.

◇ 1940 წლის დღიურში, რომლის მხოლოდ დასაწყისშია მითითებული ზუსტი თარიღი 22 ოქტომბერი, აკეთებს ჩანაწერს, ლავრენტი ბერიას სახელობის კლუბში მისი საღამოს მოწყობის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით<sup>5</sup>. ბერიას სახელობის კულტურის სახლში საღამო გაიმართა 1940 წლის 23 ნოემბერს. შესაბამისად, ჩანაწერი თარიღდება 22 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე, საღამოს გამართვამდე.

◇ 1941 წლის 10 თებერვლის შემდეგ წერს, რომ გაზეთში „კომუნისტი“ დაბეჭდილმა ლექსმა „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ დიდი ფურორი მოახდინა<sup>6</sup>. ლექსი დაიბეჭდა 2 თებერვალს<sup>7</sup>. იმავე ჩანაწერის სხვა პუნქტში აღნიშნავს, რომ 12 თებერვალს სომხურ ენაზე ნათარგმნი ლექსი გადასცა რადიომ. შესაბამისად, ლექსი დიდ მოწონებას გამოიწვევდა ამ პერიოდში.

◇ 1941 წლის დღიურში წერს საიუბილეო გამოფენის კომიტეტის შექმნის შესახებ<sup>8</sup>. ტექსტი მოსდევს უთარილო ჩანაწერს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბორის სერებრიაკოვს არტილერისტების სკოლის საღამოზე სთხოვეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „კონფერენციის

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-129, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>2</sup> ქლმ. დ-129, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>3</sup> ქლმ. დ-138, 31; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 128.

<sup>4</sup> ქლმ. დ-534-5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 173.

<sup>5</sup> ქლმ. დ-137, 29-30; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 115.

<sup>6</sup> ქლმ. დ-143, 25; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 174.

<sup>7</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1941, 2 თებერვალი, №27 (6032), გვ. 2.

<sup>8</sup> ქლმ. დ-143, 26; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 176.

პარტიულის პატივსაცემად“ წაკითხვა. მომდევნო ჩანაწერის<sup>1</sup> მიხედვით, საარტილერიო სკოლის საღამო გაიმართა 14 თებერვალს, შესაბამისად, გამოფენის კომიტეტის შექმნის შესახებ ტექსტი 14 თებერვლის შემდეგ არის დაწერილი.

◇ 1941 წლის დღიურში 13 თებერვლის ჩანაწერის შემდეგ წერს ლექს „სტალინს საქართველოსაგან“, რომელსაც ახლავს მინაწერი: „ლექსი წაკითხული იქნა ც. კ.-ას საღამოზე და მწერალთა კავშირის საღამოზე“.<sup>2</sup> იმავე დღიურში 21 თებერვალს აღნიშნავს: „გამოველი სალიტერატურო საღამოზე: 1. ც. კ.-ში. 2. პლექანოვის სახ. კლუბში. ორივეგან ტრიუმფით“<sup>3</sup>. ვფიქრობთ, ორივე საღამო ერთ დღეს არ გაიმართებოდა და რადგან პლექანოვის კლუბის საღამო 21 თებერვალს მოეწყო, ცენტრალურ კომიტეტში საღამო უნდა ჩატარებულიყო 14 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

◇ 1941 წლის დღიურში 23 თებერვალს წერს: „1. წითელ არმიელთა სახლში (სერებრიაკოვმა წაიკითხა). 2. მწერალთა საღამოზე. ორივეგან დამაკმაყოფილებლად“.<sup>4</sup> ჩანაწერი მოთავსებულია იმავე დღიურის 21 თებერვლის ჩანაწერის შემდეგ, შესაბამისად, საღამოები უნდა გამართულიყო 22-23 თებერვალს.

◇ 1941 წლის 1 მარტს დღიურში წერს: „სწორედ ოცი წლის წინად (1921 წ.) ჩემი ლექსის: „პოეზია უპირველეს ყოვლის“ სიტყვებზე დიმიტრი არაყიშვილმა დასწერა სიმღერა გუნდისთვის. მშვენიერი სიმღერა გამოვიდა. იგი შესრულებულ იქნა გუნდის მიერ მწერალთა სასახლეში – ტრადიციულ „პოეზიის დღის“ საღამოზე, აგრეთვე ჩემს საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრში – 15 წლის აღსანიშნავად“<sup>5</sup>. 1921 წელს დაწერილი სიმღერა შეიძლებოდა შესრულებულიყო იმავე 1921 ან 1922 წელსაც, რადგან პოეზიის დღე – 7 მაისი საქართველოში აღინიშნებოდა 1920 წლიდან, როდესაც დაარსდა ამავე სახელწოდების გაზეთი. მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. 1923 წლის გაზეთში „ტრიბუნა“ ვანო ბუთლიაშვილის სტატიაში „პოეზიის დღე“ აღნიშნულია, რომ 7 მაისს ხელოვანთა

<sup>1</sup> ქლმ. დ-143, 27; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 176.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 41; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 187.

<sup>3</sup> ქლმ. დ-143, 44; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 189.

<sup>4</sup> ქლმ. დ-143, 44; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190.

სასახლეში გამართულ საღამოზე შესრულდა „პოეზიის ჰიმნი“, რომლის სიტყვები ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს. ამავე გაზეთში 10 ივნისს ქვეყნდება 17 ივნისს რუსთაველის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს მომწყობი კომისიის განცხადება იმის შესახებ, რომ მომღერალთა გუნდი შეასრულებს „პოეზიის ჰიმნს“ გალაკტიონის სიტყვებზე, რომლის ავტორია დიმიტრი არაყიშვილი<sup>1</sup>. შესაბამისად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ დიმიტრი არაყიშვილის სიმღერა მწერალთა სასახლეში უნდა შესრულებულიყო 1923 წლის 7 მაისს.

◇ 1941 წლის 1 მარტს დღიურში წერს: „მეორე ჩემი ლექსი „მხარი მხარს“ ნოტებზე გადაიღო თამარ შავერზაშვილმა. იგი (მუსიკალური ტექსტი) დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში“.<sup>2</sup> 1933 წელს გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამოსთვის, რომელიც გაიმართა 1933 წლის 5 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, 19 აპრილამდე შესრულებულ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით პოეტი აღნიშნავს: „კომპოზიტორმა თამარ შავერზაშვილმა დასწერა მარში გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებზე: „მხარი მხარს“<sup>3</sup>. შესაბამისად, 19 აპრილამდე მუსიკა დაწერილი იყო.

◇ 1941 წლის 1 მარტს დღიურში წერს: „კომპ. ტუსკიას ეკუთვნის მუსიკა „მანონ ლესკო“<sup>4</sup>. ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“ პირველად დაიბეჭდა 1939 წელს. 1940 წლის 15 აპრილის ჩანაწერში ინიშნავს: „მანონ ლესკო – ტუსკიას მუსიკა“<sup>5</sup>. შესაბამისად, იონა ტუსკიას მუსიკა ამ ლექსისთვის უნდა დაწერილიყო 1940 წლის 15 აპრილამდე.

◇ 1941 წლის 1 მარტს დღიურში წერს: „ლექსი „Освобожденным братьям Западной Украины и Белоруссии“. რუსულად – გააკეთა კომპოზიტორმა გიორგი სვანიძემ“<sup>6</sup>. ბორის სერებრიაკოვის მიერ

<sup>1</sup> გაზ. „ტრიბუნა“, 1923, №492, გვ. 3.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 190.

<sup>3</sup> ქლმ. დ-593-6, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 501.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 191.

<sup>5</sup> ქლმ. დ-129, 17; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 191.

რუსულად ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „Украина и Белоруссия“ დაიბეჭდა კრებულში „საბჭოთა საქართველოს პოეტები“<sup>1</sup>. კრებული ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 თებერვალს. სავარაუდოდ, კომპოზიტორი ამ თარიღამდე ვერ გაეცნობოდა რუსულ ტექსტს და აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, 1 მარტს ლექსისთვის მუსიკა უკვე დაწერილი იყო. შესაბამისად, ლექსის მუსიკა დაიწერა 7 თებერვლის შემდეგ 1 მარტამდე.

◇ 1941 წლის დღიურში წერს: „24 იანვარს, 1941 წ. შეხვედრა მოეწყო „Заря Востока“-ს თანამშრომლებთან. იყო ყვავილები... პირველი საღამო ამ წელიწადში“<sup>2</sup>. გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ შეხვედრა გაიმართა 25 იანვარს.<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერს 2 გვერდის შემდეგ მოსდევს 25-26 იანვრის ჩანაწერები, სადაც ამ საღამოს შესახებ არაფერია ნათქვამი. ვფიქრობთ, რომ გალაკტიონი წინასწარ ვერ ჩაწერდა საღამოს შთაბეჭდილებას და პუბლიკაციაში შეცდომითაა თარიღი შეტანილი. ვფიქრობთ, შეხვედრა უნდა გამართულიყო 24 იანვარს.

◇ 1941 წლით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „1. ვინ იყო რაზმაძე ალექსანდრე სოლომონის ძე? ენციკლოპედიაში მოკლედაა აღნიშნული – როგორც კომპოზიტორი და მუსიკ. განყ. რედაქტორი გაზეთებში. გარდაიცვ. 1896 წ... 3. ვინ არის ელენე რუხაძე – რომელმაც ჩემს შესახებ უნდა ჩააბაროს ნაშრომი უნივერსიტეტში შ. რადიანს?... 6. 3-35-82 ჭავჭავაძის სახელობის სკოლა №3“<sup>4</sup>. 1941 წლის 31 მარტის დღიურში ვკითხულობთ, რომ სტუმრობს შალვა რადიანის მოსწავლე, ელენე რუხაძე<sup>5</sup> და ილია ჭავჭავაძის სახელობის III სკოლიდან აცნობებენ, რომ 15 მარტის შეხვედრასთან დაკავშირებით მოსწავლეები უმზადებენ ალბომს<sup>6</sup>. 145-ე დღიურის მომდევნო გვერდებზე ჩაწერილი აქვს კიევში, გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლცის“ რედაქტორთან

---

<sup>1</sup> კრებ. „Поэты Советской Грузии“, თბილისი, 1941, გვ. 107-108.

<sup>2</sup> ქლმ. დ-143, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 165.

<sup>3</sup> Встреча рабкоров с народным поэтом Грузии т. Галактионом Табидзе, გაზ. „Заря Востока“, 1941, 29 იანვარი, №23 (5249), გვ. 3.

<sup>4</sup> ქლმ. დ-145, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 235.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 223.

<sup>6</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

გასაგზავნი წერილი<sup>1</sup>, რომლის შესახებ სხვა დღიურში 1 აპრილს წერს, რომ ის გააგზავნა<sup>2</sup>, და ასევე პირველი აპრილის სატელეფონო საუბარი უცნობ გოგოსთან<sup>3</sup>, რომელსაც სხვა დღიურის 1 აპრილის ჩანაწერში იმეორებს<sup>4</sup>. შესაბამისად, ჩანაწერი შესრულებულია 31 მარტს ან 1 აპრილს.

◇ 1941 წლების დღიურში აღნიშნავს: „დოდო თოდრია – წიგნი და სურათი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი... ორის ნახევარზე, 7 აპრილს“<sup>5</sup>. ჩანაწერი მოსდევს, სავარაუდოდ, 2 აპრილიდან 6 აპრილამდე დათარიღებულ ტექსტს და რადგან 7 აპრილი მომავალ დროშია ნახსენები ჩანაწერს ვათარიღებთ 2 აპრილიდან 7 აპრილამდე.

◇ დღიურის ჩანაწერები „იდეა საღამოების“<sup>6</sup> და „იდეა სამაისო რეიდის“<sup>7</sup> დაწერილია 1942 წლის 14 აპრილის შემდეგ, მოსდევს მასწავლებლის სახლის ლიტერატურულ-პედაგოგიურ წრესთან 20 აპრილს გასამართი შეხვედრის შესახებ ტექსტი, რომელშიც საღამოს მოწყობის მოსამზადებელ თარიღებად აღნიშნულია 17-20 აპრილი. შესაბამისად, ჩანაწერი უნდა დათარიღდეს 15-16 აპრილით.

◇ 1942 წლის მასწავლებლის სახლის ლიტერატურულ-პედაგოგიურ წრესთან 20 აპრილს გასამართი შეხვედრისთვის, რომლის მოსამზადებელ თარიღებად აღნიშნული აქვს 17-20 აპრილი, იწერს თავისი ლექსების სტროფებს<sup>8</sup>. წინა ჩანაწერები დათარიღდა 15-16 აპრილით. შესაბამისად, აღნიშნული ტექსტები უნდა დათარიღდეს – 16-დან 19 აპრილამდე.

◇ 1943 წლის დღიურში წერს, რომ არის მოგონება, რომელიც კაცს არასდროს დაავიწყდება<sup>9</sup>. ჩანაწერი განთავსებულია 6 ოქტომბრის ჩანაწერის შემდეგ, შესაბამისად, ამის მიხედვით ვათარიღებთ.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-145, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>2</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 225.

<sup>3</sup> ქლმ. დ-145, 6; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>4</sup> ქლმ. დ-144, 20; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>5</sup> ქლმ. დ-145, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 237.

<sup>6</sup> ქლმ. დ-146, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 244.

<sup>7</sup> ქლმ. დ-146, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 244.

<sup>8</sup> ქლმ. დ-146, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 245.

<sup>9</sup> ქლმ. დ-156, 26-27; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 336.



◇ 1941 წლის დღიურში იგონებს ქუთაისში პოეტ ბეგლარ ახოსპირელთან პირველი შეხვედრისა და გუბერნატორის მიერ მათი დაპატიმრების ბრძანების გაცემის ამბავს,<sup>1</sup> რომელიც, სხვა ჩანაწერის მიხედვით, უნდა მომხდარიყო 1917 წლის იანვარში: „ეს მოხდა 1917 წელს [იანვარში], ოცდაათი წლის წინად, მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს, მე შემატყობინეს, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ განკარგულება იყო გაცემული ჩემი დაპატიმრების შესახებ. ეს განკარგულება მიეცა ქუთაისის პოლიციას, აგრეთვე ჟანდარმერიას – სისრულეში მოსაყვანად, რის შესახებაც მე ჩუმად მაცნობა გუბერნატორის მდივანმა – გვარად დადიანმა“.<sup>2</sup>

◇ უბის წიგნაკში, რომელიც დავათარილეთ 1944 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ, წერს: „მცხეთაში რომ ჩავედით, დიასამი ვიკითხე. მე თქვენ გეტყვით ძნელი მისაგნებია! ბავშმაც კი იცის, ვინ არის დიასამი. იგი უბრალო ქართველია: ექიმთაგანი, რომელიც ქვეყნის ყოველ სოფელში მოიპოება... გასაოცარია... მწერდა ერთხელ დიასამი, ჩემი მეგობარი ექიმი – ჩვენ არა გვგონია, იყოს სადმე კიდევ ისეთი ქვეყანა, სადაც ხალხური მედიცინა ისეთი მდიდარი და მრავალმხრივი იყოს, როგორც ეს ჩვენშია... დიასამს ლექსად მივწერე წერილი. აი, ის ლექსი: „თუმც ცოცხალი ვარ...“<sup>3</sup> ლექსი დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა II ტომში, რომელიც წარმოებას დასაბეჭდად გადაეცა 1934 წლის 20 ნოემბერს. პოეტის მცხეთაში ჩასვლას, დიასამის წერილს, ლექსს „თუმც ცოცხალი ვარ...“ და დიასამის მისვლას პოეტის სამკურნალოდ ვათარილებთ ამ პერიოდამდე.

◇ 1945 წლის სამაგიდო კალენდარში წერს: „გამოქვეყნდა ქრონიკა აფხაზეთის წიგნის (ლიტ. და ხ.). ქრონიკა აკაკის საღამო „ლიტ. ი ისკ.“. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი განთავსებულია 4 თებერვლის გვერდზე, თებერვლის ფურცლებზე შიგადაშიგ გვხვდება მარტით დათარიღებული ჩანაწერებიც, ამ კონკრეტულს კი მოსდევს 21 მარტის ჩანაწერი, ამიტომ ვათარილებთ 1945 წლის მარტამდე. აღსანიშნავია,

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-150, 21-23; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 292-294.

<sup>2</sup> ქლმ. დ-189, 41. გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 83.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-162, 3-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 365.

რომ კალენდის 19 მარტის გვერდზე წერს, რომ ამ რიცხვიდან იწყება სწორი ქრონოლოგია<sup>1</sup>, შესაბამისად, მანამდე თარიღები შერეულია.

◇ 1945 წლის სამაგიდო კალენდარში იწერს საავადმყოფოში საჭირო ნივთებისა და პროდუქტების სიას, სტაციონარული ავადმყოფებისთვის სავალდებულო შინაგანაწესს<sup>2</sup>. ჩანაწერები გვხვდება 20-24 თებერვლის გვერდებზე, მაგრამ რადგან თებერვლის ფურცლებზე შიგადაშიგ გვხვდება მარტით დათარიღებული ჩანაწერებიც, ამ ჩანაწერებს ვათარიღებთ პოეტის საავადმყოფოში დაწოლის რიცხვამდე – 29 მარტამდე.

◇ 1945 წლის 9 ივნისს ამირან გაბესკირია უწერს დღიურში: „გადატანილია 17 მაისისთვის გალაქტიონისადმი მიძღვნილი ლიტ. მუს. გადაცემა“<sup>3</sup>. თარიღი არასწორად არის მითითებული, უნდა იყოს 17 ივნისი, რასაც გვიდასტურებს ამირან გაბესკირიას 17 ივნისის ჩანაწერი იმავე დღიურში: „გალაქტიონისადმი მიძღვნილი ლიტ. მუს. გადაცემა“<sup>4</sup>. გადაცემა, გალაქტიონ ტაბიძის ჩანაწერის „რადიო“ მიხედვით, უნდა გამართულიყო 8 ივლისს.

◇ 1945 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებული ჩანაწერის შემდეგ წერს: „უნდა მოვაწყო ახალი ლექსების კითხვა: „ზღვის მოტივები“-დან“<sup>5</sup>. ეს და რამდენიმე მომდევნო ჩანაწერი განთავსებულია ზუსტი თარიღის მიუთითებლად იმავე დღიურში დაწერილი „მთავლიტისადმი“ მიმართვის შავ ვარიანტამდე: „გთხოვთ, მოგვცეთ ნებართვა, დავბეჭდოთ (სტამბის ხ.) გალაქტიონ ტაბიძის სურათი 2000 ცალი“<sup>6</sup>. ლიტერატურის მუზეუმში დაცული 1945 წლის 12 აგვისტოთა დათარიღებული დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადება „მთავლიტისადმი“: „გთხოვთ, მოგვცეთ ნებართვა, დავბეჭდოთ სტამბაში „ტეხნიკა და შრომა“ საქართველოს სახალხო პოეტის, საქ. სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის – გალაქტიონ ტაბიძის 2 ამასთანავე წარმოდგენილი სურათი – 4.000 ცალად, სალიტ.

<sup>1</sup> ქლმ. დ-165, 42; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 386.

<sup>2</sup> ქლმ. დ-165, 33-37; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 384-385.

<sup>3</sup> ქლმ. დ-165, 81; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 396.

<sup>4</sup> ქლმ. დ-165, 85; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 397.

<sup>5</sup> ქლმ. დ-168, 6-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 425-426.

<sup>6</sup> ქლმ. დ-168, 18; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 430.

საღამოსათვის“<sup>1</sup>. შესაბამისად 2 აგვისტოდან 12 აგვისტომდე არსებულ ჩანაწერებს ვათარილებთ ამ პერიოდით, „მთავლიტისადმი“ მიმართვას კი – 12 აგვისტოთი.

◇ 1945 წლის დღიურში წერს კავკასიაში არსებული ფრინველებისა და ცხოველების სიას,<sup>2</sup> რომელიც განთავსებულია ამავე დღიურში 14 დეკემბერს დაწერილ ლექსამდე „დინამო“. შესაბამისად, მანამდე ჩაწერილ ტექსტებს ვათარილებთ 14 დეკემბრამდე, მომდევნოებს კი – 14 დეკემბრის შემდეგ.

◇ 1946 წლის 1-15 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერში კვითხულობთ: „1 ამ თვეს მე ვფიქრობდი: ოცი დღეა, რაც ჩავაბარე წიგნი, მე-IV ტომი, სახელგამს... გავიდა კიდევ ერთი კვირა. წიგნზე არავითარი პასუხი არაა...“<sup>3</sup>. 1 ნოემბრამდე 20 დღით ადრე 12 ოქტომბერია, შესაბამისად, ამ დღეს აქვს ჩაბარებული სახელმწიფო გამომცემლობისთვის IV ტომი. 1 ნოემბრის შემდეგი ერთი კვირა უწევს 7 ნოემბერს, ამიტომ ამ და მის მომდევნო ჩანაწერებს 15 ნოემბრამდე, ვათარილებთ 7-15 ნოემბრით.

◇ 1946 წლის 15-20 ნოემბერს დღიურში წერს: „ლიტველი მწერლების ჩამოსვლა ჩემთვის სასარგებლო იყო. „ლიტერატურა და ხელოვნება“ კარგად გამოეხმაურა“<sup>4</sup>. ჩანაწერი მოსდევს ინფორმაციას რადიოში 17 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღის აღნიშვნის შესახებ<sup>5</sup>. შესაბამისად, ეს და მომდევნო ჩანაწერები თარიღდება 17-20 ნოემბრით. ლიტველი მწერლების დელეგაციასთან შეხვედრა კი საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა 1946 წლის 10 ნოემბერს.<sup>6</sup>

◇ 1946 წლის დღიურში წერს მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურის გამოცემლობის დირექტორთან, სოფია ხითაროვასთან გასაგზავნ მიმართვას<sup>7</sup>. ჩანაწერი განთავსებულია 1946 წლის 5 ნოემბრით დათარიღებული ლექსის „შემოდგომა“ შემდეგ, შესაბამისად, ეს და მომდევნო ჩანაწერები თარიღდება ამ პერიოდით.

---

<sup>1</sup> ქლმ. ხ-24551-150, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 110.

<sup>2</sup> ქლმ. დ-170, 2-3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 434.

<sup>3</sup> ქლმ. დ-177, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 514.

<sup>4</sup> ქლმ. დ-177, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 519.

<sup>5</sup> ქლმ. დ-177, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 519.

<sup>6</sup> ქლმ. დ-637-3, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 488.

<sup>7</sup> ქლმ. დ-174, 46-47; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 480.

◇ დღიურში წერს, რომ აპირებს 44 კვ. მეტრი გარაჟისა და 15 კვ. მეტრი სარდაფის აშენებას.<sup>1</sup> სხვა დღიურში ვკითხულობთ: „3. გარაჟის აშენება. 7. შეღებვა გარაჟის...“, რომელიც მოთავსებულია ჩანაწერამდე, სადაც საუბარია პოეტის სადამოს გამართვის შესახებ ოპერის თეატრში 1953 წლის 17 ნოემბერს.<sup>2</sup>

◇ შერეულთარილიანი დღიურის ერთ-ერთ ფურცელზე წერს: „[გალაკტიონოლოგია] ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენს ლიტერატურის მცოდნეობის ფრიად საჭირო, ახალ, ფართო მასისთვის სრულიად უცნობ დოკუმენტებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედების უფრო ღრმად, მიუდგომლად დახასიათებისათვის; „ლიტერატურული გაზეთსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გაშლილ ლიტერატურულ დისკუსიას... გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრე“.<sup>3</sup> 1955 წლის დღიურში ვკითხულობთ: „1. საკითხი სახელწოდებისა. „გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრე“... 9. „გალაკტიონოლოგია“ ბ. ჟღენტი...“<sup>4</sup>; ამავე წლის სხვა დღიურში წერს: „გალაკტიონოლოგია“. [გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრისთვის]<sup>5</sup>. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრეზე ჩანაწერები გვხვდება 1953 და 1954 წლებში, მაგრამ „გალაკტიონოლოგიის“ შესახებ ფიქრს აქტიურად იწყებს 1955 წლიდან. ასევე ჩანაწერში ნახსენები დისკუსია „ლიტერატურულ გაზეთში“ განპირობებული უნდა იყოს ლეონ ბეჟიტაშვილის მიერ 1955 წლის 27 აგვისტოს მწერალთა კავშირის თავჯდომარესა და „ლიტერატურული გაზეთის რედაქტორთან გაგზავნილი წერილით, რომელიც ჩაწერილია პოეტის დღიურში: „ლიტერატურნაია გაზეთა“-ს ა. წ. 20 აგვისტოს №99/3444 ნომერში მოთავსებულია წერილი „პოეტის დღის“ სათაურით, სადაც ნათქვამია, რომ მოსკოვის პოეტების სექციას მიუღია გადაწყვეტილება, მოაწყოს პოეტების და წიგნის მყიდველთა შეხვედრა... რა კარგი იქნებოდა, რომ თბილისშიც მომხდარიყო ასეთივე შეხვედრა!..

<sup>1</sup> ქლმ. დ-500, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 14.

<sup>2</sup> ქლმ. დ-479, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 327.

<sup>3</sup> ქლმ. დ-500, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 13.

<sup>4</sup> ქლმ. დ-300, 3; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 42.

<sup>5</sup> ქლმ. დ-301, 40; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 62.

წამიკითხია ხშირად გაზეთში, რომ მწერალთა კავშირი აწყობს ამა თუ იმ ნაწარმოების ირგვლივ დისკუსიას, ეს უფრო, ალბად, ლიტერატურის სპეციალისტებისთვისაა დანიშნული. წიგნის მაღაზიაში პოეტისა და მკითხველის შეხვედრა უფრო საინტერესო იქნება ფართო მასისთვის. მაგალითად, ძალიან მინდა სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან საუბარი...“<sup>1</sup> ამიტომ ჩანაწერს ვათარილებთ 1955 წლის 17 აგვისტოს შემდეგი პერიოდით.

◇ საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი, გამომცემლობის „ფედერაცია“ დაბეჭდილი კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“<sup>2</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წლის 7 თებერვალს, შესაბამისად, კრებული გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ გამომცემლობის „Заря Востока“ დაბეჭდილი კრებული „Поэты Советской Грузии“, რომელშიც შესულია გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსის თარგმანები – „В Самой Радостной Стране“, „Революционная Грузия“, „Украина и Белоруссия“<sup>3</sup> – ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წლის 7 თებერვალს, შესაბამისად, კრებული გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი, გამომცემლობის „საბლიტგამი“ დაბეჭდილი მხატვრული კრებული „XX წელი“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ახალი თბილისი“<sup>4</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 15 თებერვალს, შესაბამისად, კრებული გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის იანვრის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლენინის ხსოვნას“<sup>5</sup>, გამოიცა დაგვიანებით. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 თებერვალს, შესაბამისად, კრებული გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-342, 42-43; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 179-180.

<sup>2</sup> კრებ. „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, თბ., 1941, გვ. 1-6.

<sup>3</sup> კრებ. „Поэты Советской Грузии“, თბ., 1941, გვ. 100-108.

<sup>4</sup> კრებ. „XX წელი“, თბ., 1941, გვ. 17-28.

<sup>5</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, №1, გვ. 9-10.

◇ ჟურნალის „ოქტომბრელი“ 1941 წლის თებერვლის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ჩვენ“<sup>1</sup>, გამოიცა დაგვიანებით. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17 თებერვალს, შესაბამისად, კრებული გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის მარტის ნომერში იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პარიზის კომუნა“. ჟურნალი ხელმოწერილია 19 აპრილს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.<sup>2</sup>

◇ 1941 წლის 24 მარტს დღიურში აღნიშნავს, რომ ჟურნალისთვის „ოქტომბრელი“ დაწერილი ლექსი „გაზაფხული“ გადასცეს სტამბას<sup>3</sup>. ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალის „ოქტომბრელი“ მარტის ნომერში<sup>4</sup>, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 აპრილს, შესაბამისად, გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის №2 ხელმოწერილია დასაბეჭდად 9 აპრილს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „ოქტომბრელი“ 1941 წლის №5, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოდის მაისი“<sup>5</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26 მაისს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „ოქტომბრელი“ 1939 წლის იანვრის ნომერი, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სახალწლო“<sup>6</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 16 იანვარს, შესაბამისად, დაბეჭდილია ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „ოქტომბრელი“ 1939 წლის ნოემბრის ნომერი, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სიხარულით გავალ ხალხში“<sup>7</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 28 ნოემბერს, შესაბამისად, დაბეჭდილია ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1942 წლის სექტემბრის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსი – „მთის გულისცემა“,

---

<sup>1</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, 1941, №2, გვ. 2.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, მარტი, №3, გვ. 7-9.

<sup>3</sup> კლმ. დ-144, 14; გ. ტაბიძე, სვ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 214.

<sup>4</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, 1941, მარტი, №3, გვ. 1.

<sup>5</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, მაისი, 1941, №5, გვ. 1.

<sup>6</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, 1939, იანვარი, №1, გვ. 1.

<sup>7</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, 1940, ნოემბერი, №11, გვ. 1.

„გმირული ნანგრევები“, „კავკასიის ჯარს“<sup>1</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 3 ნოემბერს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1943 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში იბეჭდება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 29 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე წაკითხული ბესარიონ ჟღენტის მოხსენება „გალაქტიონ ტაბიძე“.<sup>2</sup> ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1944 წლის 3 იანვარს, შესაბამისად, გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1943 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში იბეჭდება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 29 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე წაკითხული ბესარიონ ჟღენტის მოხსენება „გალაქტიონ ტაბიძე“.<sup>3</sup> ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1944 წლის 3 იანვარს, შესაბამისად, გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1942 წლის იანვრის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ეს წელიწადი ახალი“, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წლის 27 იანვარს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ<sup>4</sup>.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წლის 17 აპრილს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ<sup>5</sup>.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წლის 19 მაისს, შესაბამისად გამოიცა ამ თარიღის შემდეგ

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“<sup>6</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1944 წლის 7 ოქტომბერს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1942, №9, გვ. 3-5.

<sup>2</sup> ბ. ჟღენტი, „გალაქტიონ ტაბიძე“, ჟურნ. „მნათობი“, 1943, №9-10, გვ. 162-181.

<sup>3</sup> ბ. ჟღენტი, „გალაქტიონ ტაბიძე“, ჟურნ. „მნათობი“, 1943, №9-10, გვ. 162-181.

<sup>4</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1942, N1, გვ. 5.

<sup>5</sup> Табидзе Г., Страна моя родная: Стихи, Пер. с груз., Заря Востока, Тб., 1942, გვ. 50.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, წიგნი პირველი, ბათუმი, 1944.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რჩეული<sup>1</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წლის 14 მარტს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „ლირიკა“<sup>2</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წლის 25 აგვისტოს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „მშობლიური ჩემო მიწავ“ ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წლის 17 აპრილს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ<sup>3</sup>.

◇ მეორე მსოფლიო ომის ამსახველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლაკატს „ხიშტით და კალმით“, №38, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დნეპროპეტროვსკი“ თარიღი არ აწერია. პლაკატი №32 დაბეჭდილია 1943 წლის 26 სექტემბერს, შესაბამისად, №38 გამოცემულია ამ თარიღის შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რჩეული<sup>4</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წლის 14 მარტს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1946 წლის №9-10, რომელშიც გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი „ზღვა ახმაურდა“<sup>5</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1946 წლის 13 დეკემბერს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1946 წლის №11, რომელშიც გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლის „ზღვა ახმაურდა“ გაგრძელება<sup>6</sup>, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1947 წლის 23 იანვარს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>2</sup> Табидзе Г. В., Лирика, Пер. с груз. Г. Цагарели, Тб., 1945.

<sup>3</sup> Табидзе Г., Страна моя родная: Стихи, Пер. с груз., Заря Востока, Тб., 1942, გვ. 50.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944.

<sup>5</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1946, №9-10, გვ. 68-80.

<sup>6</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1946, №11, გვ. 24-28.



◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების IV ტომი<sup>1</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1947 წლის 28 იანვარს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი „ზღვა ახმაურდა“<sup>2</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1947 წლის 25 დეკემბერს, შესაბამისად, გამოიცა მალევე, 1948 წლის დასაწყისში.

◇ საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის (საბლიტგამის) მიერ გამოცემული წიგნი „ლირიკა“ უნდა დაბეჭდილიყო 1940 წლის 18 ივლისის შემდეგ, გალაკტიონ ტაბიძის ამავე წლის 11 ივლისის ჩანაწერის მიხედვით: „დავურეკე საბლიტგამს: წიგნი დაბეჭდილია, იკინძება, სურათი აქვს, ერთ კვირაში გამოვაო“<sup>3</sup>.

◇ ჟურნალი „მნათობი“, რომელშიც დაბეჭდილია აკაკი გაწერელიას სტატია „გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა“<sup>4</sup> ხელმოწერილია დასაბეჭდად 1938 წლის 30 დეკემბერს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ. მანამდე კი, ეს სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“.<sup>5</sup>

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1939 წლის დეკემბრის ნომერი, ბესარიონ ჟღენტის ბიბლიოგრაფიით „ბელადს, ქართველ მწერალთა კრებული, მიძღვნილი დიდ სტალინისადმი“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გორი“, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1940 წლის 7 იანვარს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.<sup>6</sup>

◇ ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის თებერვლის ნომერი, ბესარიონ ჟღენტის ბიბლიოგრაფიით „საბჭოთა საქართველოს“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წლის 9 აპრილს, შესაბამისად, გამოიცა ამ თარიღის შემდეგ.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი, IV, თბ., 1947.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, „ზღვა ახმაურდა“ (პირველი წიგნი), სოხუმი, 1948.

<sup>3</sup> კლმ. დ-133, გვ. 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 76.

<sup>4</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1938, დეკემბერი, №12, გვ. 131-141.

<sup>5</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, 20 დეკემბერი, N31, გვ. 3.

<sup>6</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1939, დეკემბერი, №12, გვ. 153-154.

<sup>7</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1941, თებერვალი, №2, გვ. 162.

◇ უბის წიგნაკი დ-8 დათარიღებულია 1921 წლით<sup>1</sup>, მაგრამ ჩანაწერების შინაარსიდან გამომდინარე იგი 1921 წლის აპრილით თარიღდება, რადგანაც მასში გალაკტიონი აღწერს პოეზიის აკადემიის შექმნასთან დაკავშირებულ შეკრებას მწერალთა სასახლეში და პოეტების და მწერლების საუბარს ამ შეკრებაზე. პოეტების აკადემიის დაარსების შესახებ იგი წერს 1921 წლის 19-24 აპრილით დათარიღებულ უბის წიგნაკში დ-7. ამავე დროს, უბის წიგნაკში პოეტი მუშაობს ლიტერატურულ მანიფესტზე, რომელიც დაიბეჭდა 1921 წლის 7 მაისით დათარიღებულ გაზეთში „პოეზიის დღე“. აგრეთვე იწყებს მუშაობას ლექსზე „ავდრები“, რომელზეც ეღვრება მელანი, მაგრამ ცალკეული სიტყვების მიხედვით (კენგურუ, ორანგუტანგი) შესაძლებელია ამ ლექსის იდენტიფიკაცია. ლექსი არ დაბეჭდილა 1921 წლის გაზეთში „პოეზიის დღე“ და ამავე გაზეთში ერთი წლით გვიან გამოქვეყნდა (გაზ. „პოეზიის დღე“, 1922, 7 მაისი; გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 2016, გვ. 21). ამ ფაქტის გამო ჩანაწერების ნაწილს ვათარიღებთ 1921 წლის აპრილით ან შემდგომი პერიოდით.



<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის დღიური, ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 1-3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 68, 69. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 4-7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 69-72. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 74. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 75. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 11, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 75. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 75. ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-8, გვ. 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 75.

◇ უბის წიგნაკში<sup>1</sup> ჩაწერილი ლექსები და სხვა ჩანაწერები 1922 წლის 4 აგვისტოდან სექტემბრამდე თარიღდება. უბის წიგნაკში ჩაწერილი განცხადება საქართველოს სახალხო განათლების კომისრის სახელზე, დაწერილია განსხვავებული, ძალიან იშვიათი ღია ვარდისფერი ფანქრით. ამ უბის წიგნაკში ამ ფერის ფანქრით სხვა ჩანაწერები არ არის, ამავე დროს, უბის წიგნაკში დ-12, ამავე იშვიათი ფერის ფანქრით ნაწერი რამდენიმე ჩანაწერი დათარიღებულია 1922 წლის სექტემბრით.

◇ უბის წიგნაკში<sup>2</sup> ჩაწერილი ლექსები და სხვა ჩანაწერები 1922 წლის 4 აგვისტოდან სექტემბრამდე თარიღდება. აქ მოთავსებული განცხადება საქართველოს სახალხო განათლების კომისრის სახელზე, დაწერილია განსხვავებული, ძალიან იშვიათი ღია ვარდისფერი ფანქრით. ამ უბის წიგნაკში ამ ფერის ფანქრით სხვა ჩანაწერები არ არის, ამავე დროს, უბის წიგნაკში დ-12, ამავე იშვიათი ფერის ფანქრით ნაწერი რამდენიმე ჩანაწერი დათარიღებულია 1922 წლის სექტემბრით.

◇ 1922 წლის სექტემბერ-ოქტომბრით დათარიღებულ უბის წიგნაკში ნათქვამია, რომ ჟურნალში იქნება განცხადება „სოლეილდორ“<sup>3</sup>, მაგრამ არ არის აღნიშნული თუ რომელი ჟურნალი იგულისხმება, რა არის „სოლეილდორ“ და ვინ არის მისი მფლობელი. ცნობილია, რომ 3 დეკემბერს დაიწყო გამოსვლა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალმა“, რომლის ნაწილი დაეთმო რეკლამებს, მათ შორის მოთავსებულია „თბილისში საუკეთესო ყვავილების მაღაზიის „სოლეილდორის“

რეკლამაც.

განცხადებაში

მითითებულია

ყვავილების მაღაზიის

მისამართი, იგი ერევნის

მოედანზე



<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის დღიური, ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-11, გვ. 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 105, 106.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის დღიური, ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-11, გვ. 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 105, 106.

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძის დღიური, ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-12, გვ. 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 118.

მდებარეობდა (დღევანდელი თავისუფლების მოედანი). მიხეილ მამულაშვილი რომ ამ ყვავილების მაღაზიის მეპატრონეა, შევიტყვეთ მისი ერთი პუბლიკაციიდან, რომელიც მან 1909 წლის ა. „მოსავალის“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა სათაურით „ჩემი შრომის პირველი ნაბიჯი მცხეთაში“. სტატიაში ნათქვამია, რომ მან უკვე მეორე წელიწადია თბილისში, ერევნის მოედანზე თამამშვევის ქარვასლაში გახსნა ყვავილების მაღაზია „სოლეილდორ“, რომელშიც მცხეთაში, საკუთარ ბაღში მოყვანილი ყვავილებით ვაჭრობს. საინტერესოა გალაკტიონის 1922 წლის 6 მაისის ჩანაწერი, რომელშიც იგი გვიამბობს ამ მაღაზიის მეპატრონისა და მის ჟურნალში დაბეჭდილი განცხადების შესახებ: „წინაა პოეზიის დღე იყო ექვსი მაისი. „სოლეილდორი“ აგზავნიდა ყვავილებს მწერალთა კავშირში – თითოეული მწერლისთვის, თაიგულები და სხვ. სადაა ახლა ის კაცი? მე უფასოდ ვუბეჭდავდი განცხადებებს ჩემს ჟურნალში“ (დ-279).

◇ ჩანაწერი რომელშიც ტიციან ტაბიძეს და გაზეთის „ბარიკადი“ უკანასკნელი ნომერი არის მოხსენიებული<sup>1</sup> არ არის დათარიღებული, ხოლო უბის წიგნაკი, რომელშიც ეს ჩანაწერი არის გაკეთებული, დათარიღებულია 1922 წლით. 1922 წლის 7 იანვარს გამოიცა გაზეთ „ბარიკადის“ მეოთხე ნომერი, რომელშიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და რომლის ავტორად გალაკტიონს ჟურნალის რედაქტორი ტიციან ტაბიძე მიაჩნია. „ბიბლიოგრაფია“ ჟურნალის „ლომისი“ კრიტიკას ეძღვნება და მწერალთა კავშირის და პირადად გალაკტიონისადმი მიძღვნილი შეურაცხყოფელი გამონათქვამებითაა სავსე და, ცხადია, გალაკტიონის გაღიზიანება გამოიწვია. ეს ჩანაწერიც, რომელშიც გალაკტიონი ციტირებს ტიციანის ზოგ გამონათქვამს, მაგალით „ნადსონის მოტივების“ შესახებ, ამ თარიღის შემდეგაა გაკეთებული.

◇ უბის წიგნაკში<sup>2</sup> რუსულ ენაზე ამოწერილი აქვს ნაწყვეტი იური კოლპინსკის სტატიიდან „სკულპტურა საკავშირო სამხატვრო გამოფენაზე“ („Скульптура на всесоюзной художественной выставке“), რომელიც ჟურნალის „ისკუსტვო“ 1948 წლის მარტი-აპრილის ნომერში

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის დღიური, ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-10, გვ. 5. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 94, 95.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-212, გვ. 5. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 354.

დაიბეჭდა. სტატიაში ნათქვამია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სილოვან კაკაბაძის ექვიმაქვისგან შექმნილი გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტი, რომელიც გამოირჩეოდა გამომსახველობითი ლაკონურობით, საერთონაციონალური ამალეებული ტონუსით, რაც მას ჭეშმარიტად სადღესასწაულო იერს ანიჭებს. ამავე ჟურნალში იბეჭდება სილოვან კაკაბაძის სკულპტურის ფოტო. ვინაიდან საკავშირო გამოფენა მოსკოვში 1947 წლის 17 აგვისტოს გაიხსნა, სკულპტურა ამ თარიღამდე არის შესრულებული.

◇ წერს უსათაურო ლექსს „ნუ მორთავთ კისკისს...“, იქვე თარგმნის რუსულად და ასათაურებს „მინაწერი ტაციტუსის ხელნაწერზე“ (Надпись на летопись Тацита)<sup>1</sup>. გარდა ხელნაწერისა, რომელზეც ლექსის თარგმანია მოცემული, არსებობს ლექსის კიდევ ორი ვარიანტი (ქლმ 8519 და 824). პირველი მხოლოდ სასვენი ნიშნებით განირჩევა, დათარიღებულია 1908 წლით. ხოლო მეორე ავტოგრაფი უფრო ადრეული უნდა იყოს და შეიცავს განსხვავებულ სტრიქონებს, რომელიც ავტორის მიერ არის გადაშლილი. ამ ავტოგრაფში ვკითხულობთ: „ტაციტის 415 გვერდი“. „შენ მორთავ კისკისს / ტაციტის წიგნის / რომაელ მგოსნის / რაინდის პრისკის“. წაშლილი სტრიქონებიდან ირკვევა, რომ ტაციტუსის წიგნის 415-ე გვერდზე მოთხრობილია პოეტის და რაინდის პრისკის ამბავი, რომელიც არაფრით არ განირჩევა თანამედროვეობისგან. სავარაუდოდ საუბარია კორნელიუს ტაციტუსის წიგნის „მატიანე“ („Летопись“), რაზედაც ლექსის რუსული თარგმანის სათაური მიგვანიშნებს. აღსანიშნავია, რომ ლექსი გალაკტიონის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა და თუმცა ორივე არსებული ხელნაწერი 1908 წლით თარიღდება, ვვარაუდობთ, რომ ლექსი, ისევე, როგორც მისი თარგმანი ბევრად გვიან არის დაწერილი. თარგმანი რომ ავტორისეულია, ამაში გალაკტიონის ერთი გვიანდელი ჩანაწერი გვარწმუნებს. 1948 წლით დათარიღებულ საკანცელარიო რვეულში გალაკტიონი იწერს საკუთარი ლექსების თარგმანების სათაურებს და მთარგმნელების გვარებს. ამ სიაში 391-ე ნომრით წარმოდგენილია ხსენებული ლექსი: „391. Надпись на Анналах Тацита - пер. Туба-Тубаниэри.“ (დ-425, გვ. 28). ჩანაწერიდან ჩანს, რომ

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-656, 13. გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 329.

მთარგმნელი არის ვინმე ტუბა-ტუბანიერი, რომელსაც მისი სხვა ლექსებიც აქვს თარგმნილი. კორპუსული კვლევისა და წყაროების გადამოწმების საშუალებით გავარკვეეთ, რომ 1928 წელს, როდესაც გალაკტიონი არიფიონთან თანამშრომლობას აპირებს იგი იგონებს ახალ ფსევდონიმებს და იწერს: „არიფიონისათვის: ტობა ტობანიერი. [ტაბი ტაბიძე.]“ (დ-39) და „[ტუბა ტუბანიერი. ტობა ტობანიერი.] ბობა ტობანიერი. [ტობანიერი. რაიონი. ჰერე-ტობა-ტობა.] გალაკტიონი. [ტობა-ტობანიერი. გუგუ-ტობ.]1. ტობა-ტობანიერი. 2. გეო-გეომეტრია“, „ტობა ტობანიერი - როგორ დამოკიდებულებაში ხარ, პოეტო, ეხლანდელ მთავრობასთან.. - სრულიად არავითარში. - როგორ თუ არავითარში.“ (დ-29). გარდა ამ ფსევდონიმისა, ალმანახისთვის „არიფიონი“ გალაკტიონს შერჩეული აქვს ფსევდონიმი „რიმანელი“, ჩანს მას არ სურს ალმანახში გამოქვეყნებული ლექსების საკუთარი სახელით გამოქვეყნება (ავტოგრაფი, გტცა, №395, გვ. 1-3.). მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული კორპორაცია „არიფიონი“ 1927 წელს დაარსდა, ჟურნალის „არიფიონი“ პირველი და უკანასკნელი ნომერი დაიბეჭდა 1928 წლის მარტამდე, რადგანაც ჟურნალის „მნათობი“ №3 იბეჭდება გრიგოლ მუშიშვილის (გიორგი ხოფერია) ვრცელი მიმოხილვა, რომელიც ალმანახის „არიფიონი“ განხილვას ეძღვნება (გვ. 219). ალმანახში არც ფსევდონიმით და არც საკუთარი ხელმოწერით გალაკტიონის არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლექსს და მის თარგმანს 1928 წლით ვაათარიღებთ.

◇ 1973 წლით დათარიღებულ ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება მოგონება გალაკტიონ ტაბიძის მიერ კინოსტუდიასთან დადებული ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც მას უნდა დაეწერა ლექსი ილია ჭავჭავაძის ლექსის „გაზაფხულის მოტივებზე“, რომელიც უნდა წაეკითხა ილია ჭავჭავაძის საფლავთან ალექსანდრე ჯალიაშვილის ფილმისთვის „საბჭოთა საქართველო“<sup>1</sup>. მოგონებაში ნათქვამია, რომ კურორტიდან ახლადდაბრუნებულ პოეტს დათქმული ვადისთვის ლექსი მზად არ ჰქონდა და მან რეჟისორის ასისტენტის თვალწინ ექსპრომტად დაწერა ორტაეპიანი ლექსი „ტყის შრიალებს

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1973, №10, გვ. 3. გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-195, გვ. 4; გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 244.

ფოთოლი...“, აქვე დაბეჭდილია ავტოგრაფის ფოტო. ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, ლექსი გალაკტიონს ექსპრომტად არ დაუწერია. 1947 წლის აგვისტოში გალაკტიონი ისვენებდა შოვში, სადაც ჩამოვიდა „საბჭოთა საქართველოს“ გადამღები ჯგუფი და გალაკტიონი გადაიღო კინოქრონიკაში. ჯალიაშვილის თხოვნის შესაბამისად 24 აგვისტოს პოეტი იწყებს ლექსზე მუშაობას და წერს ლექსის ორ ვარიანტს სათაურით „წარწერა ილია ჭავჭავაძის წიგნზე“ და უსათაუროდ „ტყის შრიალებს ფოთოლი“. 25 აგვისტოს პოეტი ტოვებს შოვს და ქუთაისში მიემგზავრება. ხოლო 12 სექტემბერს მონაწილეობს მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი გამართულ ღონისძიებაში, რასაც იმ დღეს გადაღებული მრავალი ფოტო ადასტურებს. მას, რასაკვირველია, მზად ჰქონდა ლექსიც, თუმცა ამ დღის კინოქრონიკა გალაკტიონის მონაწილეობით დღემდე ცნობილი არ არის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჯალიაშვილთან შეხვედრის და ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს ვათარილებთ ლექსის დაწერამდე, ანუ 1947 წლის 24 აგვისტომდე.

◊ უბის წიგნაკის ჩანაწერიდან ჩანს, რომ 25 აგვისტოს გალაკტიონი მიემგზავრება შოვიდან, ხოლო უბის წიგნაკში ჩაწერილი ელვა-დეპემის 26 აგვისტოთი დათარიღებული შავ პირში აღნიშნულია, რომ ის გაჩერდა ქუთაისის სასტუმრო „ქუთაისში“<sup>1</sup>.

◊ უბის წიგნაკის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ ქრონიკაში დაიბეჭდა ცნობა ქუთაისში 26 აგვისტოს გალაკტიონთან ჩატარებული შეხვედრის შესახებ<sup>2</sup>, მაგრამ უცნობია გაზეთის გამოსვლის თარიღი, სავარაუდოდ, ეს მომდევნო დღეებში უნდა მომხდარიყო, მაგრამ გაზეთის ნომერი ვერ მოვიძიეთ, შესაბამისად ცნობას ვათარილებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით.

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-192, გვ. 7. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 197. გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-191, გვ. 27. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 189.

<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-192, გვ. 11. სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 199.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა საარქივო გამოცემის მერვე ტომში (გვ. 596-599) დაბეჭდილია ორი ლექსი: „ცინიკი“ და უსათაურო „უკანასკნელი პროლეტარული...“. ორივე ნაწარმოები მიმართულია ალიო მაშაშვილის წინააღმდეგ. ამ პოეტთან გარკვეული მიზეზების გამო გალაკტიონს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და დღიურებშიც არ იშურებდა მისადმი ირონიას. ლექსში „ცინიკი“ მაშაშვილის პიროვნებისა და პოეტური ტალანტის ზოგადი შეფასების გარდა გალაკტიონი აშკარად ნიშანში იღებს ადრესატის რომელიღაც პოეტურ ტექსტს და მასზე ქილიკობს. კერძოდ, გალაკტიონი წერს:

„ქვეყნად რაიმეს ინატრებს კაცი,  
მაგრამ რეგვენი თუა ან ბეცი,  
ის იტყვის: ჰოი, რისთვის ვარ კაცი  
და დაუმატებს: რად არ ვარ მხეცი!  
შეგახიო სიცოცხლე ტანზე!!  
ცოტა კი უნდა გქონდეს ნამუსი,  
რომ გაარჩიო, რაა სიცოცხლე  
და რაა მხოლოდ ტანისამოსი!...  
ვთქვათ: შეახიეს (გათავდეს დავა)  
სხვას რომელიმეს უქმად მოვლენილს,  
მაგრამ ლენინმა რა დააშავა?  
სიცოცხლეს ტანზე რად ახევთ ლენინს?“

ერთი სიტყვით, პოეტი დასცინის მაშაშვილს, რომელიც მხეცად ყოფნას და ვილაცისათვის ტანზე სიცოცხლის შეხევეს ნატრობს. ალიო მაშაშვილის თხზულებათა გადათვალთვლებისას, გამოირკვა, რომ გალაკტიონი ქილიკობს ალიო მაშაშვილის ლექსზე „პასუხი მოგონებას“ (ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1927, №1, გვ. 12-16.), რომელშიც ვკითხულობთ:

„რათ არ ვარ მხეცი, შეგახიო ტანზე სიცოცხლე,  
როგორც დავხიე დამანჭული შენი ბარათი“.

მამასადაძმე, ძიების პირველ ეტაპზე გალაკტიონის ლექსის დაწერის ქვედა ზღვრად გამოიკვეთა 1927 წლის იანვარი, ალიო მაშაშვილის ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღი. მაგრამ „ცინიკში“ თავი იჩინა ისეთმა რეალიებმა, რომლებმაც მოგვცა ლექსის დაწერის თარიღის



კიდევ უფრო მეტად დაზუსტების საშუალება. გალაკტიონის პამფლეტი ასეთი სტროფებით გრძელდება:

შემდეგ: როდის და სად გაგონილა,  
ან ვის მოსწრია კაცი ტანჯული,  
რომ დაენახოს სადმე ბარათი  
ან მიმანჯული, ან დამანჯული.  
ვთქვათ, შეცდომაა კორექტურული  
და „დამანჭულად“ იყო პირველი,  
დაჭმუჭუნის ნაცვლად მანჭავენ ქალაქს,  
აი, ამბავი გასაკვირველი!“

გალაკტიონი ქილიკობს მაშაშვილის სიტყვებზე: „დამანჯული ბარათი“. თავადვე აღნიშნავს, რომ შეიძლება აქ კორექტურაა და ავტორს „დამანჭული“ ეწერა, მაგრამ, „დამანჭული“ ბარათიც ენობრივი ლაფსუსიაო, – წერს პოეტი. არადა, „პროლეტარულ მწერლობაში“ დაბეჭდილ მაშაშვილის ლექსში სათანადო ადგილას იკითხება „**დამანჭული**“, მამასადამე, გალაკტიონი ნაწარმოებს გასცნობია სხვა წყაროდან, რომელშიც ეს სიტყვა შეცდომითაა დაბეჭდილი. მიების შემდეგ ამ წყაროსაც მივაგენით. 1928 წელს გაზეთ კომუნისტი“ (№3, 4 იანვარი) პ. კ-მეს ხელმოწერით გამოქვეყნდა რეცენზია კრებულზე „პროლეტარული პოეზიის ანთოლოგია“. რეცენზიის ავტორი მოკლედ ეხება წიგნში დაბეჭდილ ავტორთა ლექსებს. ა. მაშაშვილის შესახებ იგი წერს: „*ა. მაშაშვილი. მისი „ლენინ“ საუკეთესო ლექსად დარჩება ქართულ პოეზიას. ავტორს თავისუფლად ეხერხება პოეტური სახეების შექმნა:*

*„რათ არ ვარ მხეცი, შევახიო ტანზე სიცოცხლე,  
როგორც დავხიე დამანჯული შენი ბარათი“  
(იხ. „პასუხი მოგონებას“)<sup>1</sup>.*

იმ ფაქტს, რომ გალაკტიონის წყარო მითითებული რეცენზიაა, ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება. გალაკტიონი თავის ლექსში ბევრს ქილიკობს მაშაშვილზე, დასცინის, რადგან ვერ გაუგია, რატომ უნდა გასჩენოდა მას ლენინისათვის ტანზე სიცოცხლის შემოხვევის

---

<sup>1</sup> პ. კ-მე, პროლეტარული პოეზიის ანთოლოგია, გაზ. „კომუნისტი“ N3, 4 იანვარი, გვ. 4.

სურვილი, ანდა რატომ უნდა დაეხია ძვირფასი დოკუმენტი, „დიდი ბელადისაგან“ მიღებული „დამანჭული“ ბარათი. საქმე ისაა, რომ ზემოთ დამოწმებული რეცენზიიდან მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მაშაშვილის სიტყვები („რათ არ ვარ მხეცი, შეგახიო ტანზე სიცოცხლე, როგორც დავხიე დამანჯული შენი ბარათი“) ლენინს მიემართება, სინამდვილეში კი იგი არის ციტირებული არა ლენინისადმი მიძღვნილი ოდიდან („ლენინ“), არამედ ლექსიდან „პასუხი მოგონებას“. ამ უკანასკნელი ლექსის სათაური რეცენზენტს ფრჩხილებში მიუთითებია, მაგრამ გალაკტიონმა, როგორც ჩანს, ამას ყურადღება არ მიაქცია და ხსენებული ტაეპები მაშაშვილის ლექსის – „ლენინ“ – სიტყვებად ჩათვალა. ამ ფაქტის გათვალისწინების შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა ლექსის დაწერის ქვედა ზღვრად უკვე 1928 წლის 4 იანვარი მიგვეჩნია, რეცენზიის გამოქვეყნების თარიღი.

გალაკტიონის ლექსში ამავედროულად ისეთი რეალიებიც გამოჩნდა, რომლებმაც თარიღის კიდევ უფრო დაგვაზუსტებინა. ალიო მაშაშვილისადმი მიმართვიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა პასაჟებმა:

„რამდენი სიტყვაც არის ამ ლექსში,  
იმდენ სიყალბით ის არის სავსე -  
თითონ **წარსულის რომანტიკოსი**  
თავის შეცდომებს მე მახვევს თავზე.  
მაგრამ მონახე ერთი სახელი  
ყანწელებისგან დარჩენილ გემზე.  
შეიარაღდი **„კალმის მახვილით“**  
და იერიშით მოდიხარ ჩემზე:  
თუმც შენ იდეურ დისკანტით ამბობ:  
**„გებრძვით გულდაგულ!“** აბა, გამოდით,  
ცხოვრობს თავის მე-ს ვიწრო ნაჭუჭში  
თავისი სარკით, სკივრით, კამოდით“.

გალაკტიონი შეახსენებს ოპონენტს, როგორ გახდა იგი მისგან თავდასხმის ობიექტი, როგორ ადანაშაულებდა მას მაშაშვილი „წარსულის რომანტიკოსობაში“ და როგორ იქადდა მასთან „კალმის მახვილით“ გასწორებას. ამკარაა, რომ პოეტს მხედველობაში აქვს ალიო მაშაშვილის ლექსი „მწერლობის მიძიმე ინდუსტრია“ (სალიტერატურო გაზეთი, 1932, №1, გვ. 3). მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიტანთ

ლექსის პასაჟებს, რომლებთანაც აშკარაა გალაკტიონის „ცინიკის“ ინტერტექსტუალური გადაძახილი:

„...შეატრიალე

**კალმის მახვილი**

და გსურს დასძლიო წინააღმდეგობა...

...თვალი არ გიჭრის

და გრძნობ იმედის

სხივგაშლილობა რომ არ გიყნოსავს.

მზეს უმღერ, მაგრამ განწყობილებით

რჩები **წარსულის რომანტიკოსად...**

...დიდი ხანია

**გებრძვით გულდაგულ,**

გვსურს შეტაკება თვალდაგეშილებს...“

*ალიო მამაშვილი, „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“.*

ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გალაკტიონის ლექსი „ცინიკი“ საბოლოო სახეს ვერ მიიღებდა ალიო მამაშვილის ლექსის – „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“ – გამოქვეყნებამდე, ანუ 1932 წლის 21 იანვრამდე.

„ცინიკთან“ სახეობრივად და თემატურადაა დაკავშირებული უსათაურო და უთარილო ლექსი უკანასკნელი პროლეტარული...“, რომელიც ასევე ალიო მამაშვილის წინააღმდეგაა მიმართული. ამ ლექსში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ პროლეტარ მწერალთა უკანასკნელმა კრებამ დაამტკიცა მამაშვილის ობივატელობა, მისი ცინიკოსობა. ნაწარმოების ერთმა პასაჟმა ასევე მოგვცა მისი დაწერის თარიღის ქვედა ზღვრის დადგენის საშუალება. ლექსში ვკითხულობთ:

„მწერლობაშიო ვარ დიქტატორი,

ხა, ხა, ხა, ხა! ოჰ! ხედავთ საბრალოს!

ვინც ჩააგონებს ამ აზრს მანიაკს,

რაც მოხვდეს, თავის თავს დააბრალოს“.

გალაკტიონის სიტყვები შთაგონებული უნდა იყოს ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული ლექსით „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“, რომელშიც ალიო მამაშვილი ამაყად აცხადებდა:

---

<sup>1</sup> „სალიტერატურო გაზეთი, 1932, # 1, 21 იანვარი, გვ. 3)

„ლექსით ვამყარებთ  
ჩვენს დიქტატურას

ლიტერატურულ საქართველოში“.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე გალაკტიონის უთარილო ლექსების – „ცინიკი“ და „უკანასკნელი პროლეტარული...“ – დაწერის თარიღად შეგვიძლია განვსაზღვროთ – 1932 წლის 21 იანვრის შემდეგ.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო ლექსი დასათაურებულია, როგორც „საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახონიძის პატივსაცემად“<sup>1</sup>. მიძღვნის ადრესატის ვინაობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ლექსის დაწერის ქვედა ზღვარი. როგორც ჩანს, გალაკტიონს შეცდომით აქვს ჩანიშნული პიროვნების გვარი. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მინიჭებული ჰქონდა მიხეილ გახოკიძეს (1909-1973), რომელმაც ეს წოდება 1942 წლის 29 ივნისს მიიღო<sup>2</sup>. შესაბამისად, გალაკტიონის ლექსი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო ლექსი<sup>3</sup> უცნობ პირს ეძღვნება. ლექსში პოეტი მოაგონებს ადრესატს, როგორ ეთაყვანებოდა იგი მის პოეზიას, როგორ აღიარებდა გალაკტიონს ეპოქის უპირველეს პოეტად, რომელმაც დაჩრდილა ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედება. ლექსის ცალკეული ფრაზები მიგვანიშნებს, თუ ვინ უნდა იყოს გალაკტიონის მიმართვის ობიექტი. ნაწარმოებში ვხვდებით აშკარა ინტერტექსტუალურ გადაძახილს სანდრო შანშიაშვილის წერილთან „დიდი ლირიკი“ (სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, 1927), რომელშიც გალაკტიონის პოეზიის აპოლოგიაა მოცემული. მეტი დამაჯერებლობისათვის წარმოვადგენთ გალაკტიონის ლექსისა და შანშიაშვილის წერილის რამდენიმე ფრაზეოლოგიურ თანხვედრას:

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-124, 5-7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 589-593.

<sup>2</sup> საქართველო: ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997, გვ. 569

<sup>3</sup> ქლმ, დ-98, 117; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 275-277.

## გალაკტიონი:

მწერდა: „ძმაო გალაკტიონ!  
აწ ამასო ვფიქრობ უფრო:  
რომ გავიგო შენი გრძნობა,  
რომ შენს ლექსზე ვისაუბრო...  
წინანდელი შენი ტომი  
წაკითხული მქონდა თითქმის,  
სანამ ამ წიგნს გამოსცემდი,  
აღტაცებულს ძველი წიგნით  
ხშირად მქონდა საუბარი  
ჩვენს მწერლებთან, ისევ  
მიგნით -  
ვამბობდი, რომ შენ ხარ ჩვენი  
ეპოქისა - ახლით მქროლი,  
ლირიკოსი - (მომღერალი)  
და არცა გყავს ვინმე ტოლი  
შავ მანტიით, „ლურჯა  
ცხენით“  
გაბედვით და შეყვარებით.  
შენ მეოცე საუკუნე  
მოარღვიე ახალ ხედვით,  
შენით ძველი და ახალი  
დაიჩრდილა იდილია;  
ის ბესიკი, ალექსანდრე,  
ის აკაკი და ილია,  
ან ახლები სად არიან?..

როდის უნდა შეექმნა გალაკტიონს აღნიშნული ლექსი?  
ნაწარმოები მოთავსებულია იმ დღიურში, რომელშიც 1935-36 წლის  
მასალებია თავმოყრილი. უფრო ზუსტი დათარიღების საშუალებას კი  
შემდეგი გარემოება გვაძლევს: გალაკტიონის დაუმთავრებელ ლექსში  
ამკარად ისმის საყვედურის ტონი. პოეტი მოაგონებს ადრესატს, რომ

## ალექსანდრე შანშიაშვილი:

ძმაო გალაკტიონ!  
სანამ „სახელგამი“ შენს  
წიგნს გამოსცემდა,  
წაკითხული მქონდა შენი  
პირველი ტომი. ამ წიგნით  
უკვე აღტაცებული ვიყავ და  
ბევრჯელ მქონია ჩვენს  
ლიტერატორებთან საუბარი,  
რომ შენ ხარ ჩვენი ეპოქის  
დიდი ლირიკი და ტოლი არც  
გყავს. „ლურჯა ცხენებით“ შავს  
მანტიაში, როგორც გაბედულმა  
და შეყვარებულმა რაინდმა  
შემოარღვიე მეოცე საუკუნე.  
შენმა პოეზიამ დაჩრდილა  
ძველი და ახალი ლირიკოსები.  
სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე?  
სადღაა ილია ან აკაკი? ან და  
ახლები? გადაღმა დარჩნენ და  
შენ წინ მისდინარ ჟინჯლიან  
ჩირალდნებით. ჟურნალის თუ  
გაზეთის ფურცლებზე, ან  
წიგნად გამოუცია და  
უყვირნია: „ჰხედავთ, რა  
დაუმრეტელ პოეზიის წყაროს  
სათავე ვარო!“ ასეთი მეტიჩარა  
და ცრუ პოეტები ხომ მრავლად  
მოგვეპოვება...

იგი ადრე განსხვავებულად „ჭიკჭიკებდა“ და უმაღლეს შეფასებას აძლევდა გალაკტიონის შემოქმედებას. როდის შეიცვალა გალაკტიონისადმი შანშიაშვილის დამოკიდებულება? პერიოდული პრესიდან ვიგებთ, რომ 1936 წლის 5 აპრილს სანდრო შანშიაშვილი „ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი“ მიძღვნილი დისკუსიის ფარგლებში გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედების კრიტიკით გამოსულა, რის გამოც თვით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის აკაკი თათარიშვილის საყვედურიც კი დაუმსახურებია<sup>1</sup>. ამკარაა, რომ გალაკტიონის ლექსი სწორედ ამ ფაქტითაა შთაგონებული და შესაბამისად, იგი უნდა დათარიღდეს 1936 წლის 5 აპრილის შემდგომი პერიოდით.

◇ პოეტის დაუთარიღებელ ლექსთაგან ერთ-ერთია „მარტოობა“ (სგ, VIII, გვ. 300). ნაწარმოების ცალკეულ ტაეპთა მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს, დავადგინოთ ის სავარაუდო შუალედი, რომლის ფარგლებშიც იგი უნდა იყოს დაწერილი. ლექსში ვკითხულობთ:

„ორმოცდახუთ მაისიდან / ვისი, და ან რაისი,  
მე არ ვიცი, მხოლოდ დამრჩა / ერთად ერთი მაისი...“

კონტექსტიდან ამკარაა, რომ პოეტი გვესაუბრება მის მიერ განვლილ 45 მაისზე, ანუ იგი ლექსის დაწერის დროს 45 წლის იყო. გალაკტიონი დაიბადა 1891 წელს, შესაბამისად, ლექსი მარტივად შეგვიძლია დავათარილოთ 1936 წლით. მაგრამ აქ უსათუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავად პოეტს არ ჰქონდა ზუსტი ცნობა დაბადების თარიღის შესახებ და თავის ავტობიოგრაფიებში საკუთარი დაბადების წლად 1892 წელს უთითებდა. მაშასადამე, 45 წელი უნდა გადავითვალოთ 1892 წლიდან, ე. ი. მარტოობა“ უნდა დათარიღდეს 1937 წლით.

◇ უთარიღო ლექსი „ვიკტორ გიუგო“ (სგ, VIII, გვ. 306) სახელოვანი ფრანგი მწერლის ხსოვნას ეძღვნება. გალაკტიონი სიამოვნებით იგონებს საფრანგეთში ყოფნის დღეებს, როცა შესაძლებლობა მიეცა,

---

<sup>1</sup> დისკუსიის დღიური, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 4 (20 აპრილი) გვ. 1; ავ. თათარიშვილი, „ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისათვის“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 5 (28 აპრილი) გვ. 3.

მრავალ ღირსშესანიშნაობასთან ერთად მოენახულებინა ვიქტორ ჰიუგოს ძეგლიც:

„რომ მტერს პასუხი მიუგოს / ძალუმს მარტოდენ – ჰიუგოს.  
ძეგლი – პარიზში რომ ვნახე, არ მავიწყდება ის სახე“.

როგორც ცნობილია, გალაკტიონი პარიზში ერთადერთხელ, 1935 წლის ივნისში იმყოფებოდა, როცა მონაწილეობა მიიღო მწერალთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. სწორედ ამ დროს ჰქონდა მას შესაძლებლობა მოენახულებინა ჰიუგოს ძეგლი და ლექსში მოხსენიებული სხვა ღირსშესანიშნაობები (ნოტრდამი, პერლამუზი). მაშასადამე, ლექსის – „ვიქტორ ჰიუგო“ – დაწერის თარიღი უნდა განისაზღვროს ამგვარად – 1935 წლის ივნისის შემდეგ.

◇ უთარილო ლექსი „**ქობულეთი**“ (სგ, VIII, გვ. 352) აჭარელ მშრომლებს, მეჩაიეებს ეძღვნებათ. ლექსში ვხვდებით ერთ ისეთ რეალიას, რომელიც გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ მისი შექმნის თარიღის ქვედა ზღვარი. ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„სათხოვარი – ვინაც კი / მშრომელია ყოველი,  
რაიონის ერთგული / და მხნე სტახანოველი“.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში სტახანოვეური მოძრაობა დაიწყო 1935 წლის შემოდგომაზე, ამ ფაქტის გათვალისწინებით, ლექსი დავათარილეთ ასე – 1935 წლის შემდეგ.

◇ უთარილო იუმორისტული ლექსი „**საეკლესიო შაირები**“ (სგ, VIII, გვ. 393) გადმოგვცემს ახალ, საბჭოთა სინამდვილეში ეკლესიის მსახურთა ხვედრსა და ყოფას. ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ხალხმა ეკლესიისადმი ნდობა დაკარგა და „ჩვენი ღმერთი და ხატი ეხლა კოლექტივია“. კოლექტივიზაცია, საბჭოთა კავშირში განხორციელებული აგრარული რეფორმა, 1928 წლიდან დაიწყო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ლექსი 1928 წლის შემდეგაა დაწერილი.

◇ უთარილო ლექსი „**მაგრამ ის ჟღარუნი გაისმის სხვა ჩანგის...**“ (სგ, VIII, გვ. 423) ეძღვნება ესპანელ მშრომელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის. ლექსში დასახელებული პიროვნებები და ფაქტები საშუალებას გვაძლევს მიახლოებით დავათარილოთ იგი. ნაწარმოების დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ „ფრანკოს ესპანეთი სულმეხუთულია“. ფრანსისკო ფრანკო 1936 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ესპანეთის ნაციონალური არმიის გენერალსიმუსად და სახელმწიფოს მეთაურად. შესაბამისად, ლექსი მანამდე ვერ იქნება

დაწერილი. გალაკტიონი ასევე მიუთითებს, რომ ესპანეთში ახლა „დროშები ჩნდებიან ფალანგის“. როგორც ცნობილია, ფრანკომ 1937 წელს შეძლო გაერთიანებინა იდეოლოგიურად ერთმანეთისთვის მიუღებელი ნაციონალ-სინდიკალისტური ფალანგა. ე. ი. ლექსის დაწერის ქვედა ზღვარმა აიწია 1937 წლამდე. ნაწარმოების ბოლო სტროფში ნახსენებნი არიან მუსოლინი, რომის პაპი პიუს მეთორმეტე და აღნიშნულია, რომ „ესპანეთი ასეთ გარემოცვას ვერ შეურიგდება“. პიუს XII რომის პაპი გახდა 1939 წლის 2 მარტს. ხოლო მუსოლინი 1943 წლის 25 ივლისამდე იყო იტალიის მმართველი. ამ ფაქტების შეჯერების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსი „მაგრამ ის ჟღარ უნი გაისმის სხვა ჩანგის...“ დაწერილი უნდა იყოს 1939 წლის 2 მარტისა და 1943 წლის 25 ივლისის შუალედში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ფრანკომ გადამწყვეტი გამარჯვება 1939 წელს მოიპოვა მუსოლინის დახმარებით და ამასთანავე ლექსში არ მოგვეპოვება მინიშნება უკვე დაწყებული მეორე მსოფლიო ომის შესახებ, ვფიქრობთ, ნაწარმოები 1939, ან 1940 წელს უნდა იყოს დაწერილი.

◇ უთარილო, იუმორისტული ლექსი „ხევსურული ბუღა“ (სგ, VIII, გვ. 500) წარმოადგენს პაროდის სიმონ ჩიქოვანის ლექსისა „ხევსურული ძროხა“. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩიქოვანის ლექსი 1930 წელს გამოქვეყნდა, გალაკტიონის პაროდის დაწერის თარიღად უნდა მივიჩნიოთ – 1930 წელი ან შემდეგ.

◇ უთარილო და უსათაურო ლექსში „ჩვენი გულგამხარებელი...“ (სგ, VIII, გვ. 494) გალაკტიონი პოეტურ თვითდახასიათებას მიმართავს:

„ჩვენი გულგამხარებელი / გასწი, გაშალე მხარ-მკლავი,  
ანათებს გალაკტიონი – / აკადემიის ვარსკვლავი.“

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა 1944 წლის 22 თებერვალს. ლექსის დაწერის თარიღის ქვედა ზღვრად სწორედ 1944 წლის 22 თებერვალი უნდა მივიჩნიოთ.

◇ საარქივო გამოცემის მერვე ტომში დაბეჭდილია უთარილო ლექსი „მაისი და მშვიდობიანობა“ (სგ, VIII, გვ. 538), რომელშიც პოეტი ექომაგება იმპერიალისტებისაგან ჩაგრულ ერებს და იმედს გამოთქვამს, რომ კომუნისმი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში. ნაწარმოებში ვხვდებით ასეთ სტრიქონებს:

„იცის მაისმა – თავის შუბლში მიირტყამს ატომს,



ვინც სხვას აშინებს და მერე სთქვას: რისთვისო, რატომ?“

ამკარაა, რომ პოეტი გულისხმობს ატომურ ბომბს, რომლითაც „იმპერიალისტური“ სახელმწიფოები ცდილობენ დააშინონ საკუთარი მოწინააღმდეგენი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამერიკელების მიერ პირველად ატომური ბომბი ბრძოლაში გამოყენებულ იქნა 1945 წლის 6 აგვისტოს, ლექსიც ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ ატომურ ბომბს ახსენებს პოეტი ასევე უსათაურო ლექსში „**რომ ძმურ ხალხებს არ სურთ ომი**“ (სგ, VIII, გვ. 563). იგი დარწმუნებულია, რომ მოძმე ერები ატომურ ენერჯიას არა ნგრევისთვის, არამედ შენებისათვის გამოიყენებენ:

„რომ ძმურ ხალხებს არ სურთ ომი / რომ მშვიდობა მოგვარდეს.

გონს მოეგონ და ატომი / მშენებლობას მოხმარდეს“.

„ძმურ ხალხებში“ უნდა იგულისხმებოდნენ საბჭოთა კავშირის „მოძმე ერები“. ატომური იარაღი საბჭოთა სახელმწიფომ 1949 წლის 29 აგვისტოს გამოსცადა. ლექსში ასევე აღნიშნულია, რომ მსოფლიოში მშვიდობის გარანტია არის სტალინის გენია. მაშასადამე, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1949-1953 წლის შუალედში, სტალინის გარდაცვალებამდე.

◇ უთარილო ლექსში „**მაშ, გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ კონსტიტუციას**“ (სგ, VIII, გვ. 547) ვკითხულობთ:

„ფუძეა ყოვლის ოკტომბრის რევოლიუცია.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს სტალინურ კონსტიტუციას“.

როგორც ცნობილია, სტალინური კონსტიტუცია 1936 წლის 5 დეკემბერს შევიდა ძალაში, თუმცა მისი ქება-დიდება პრესაში იმავე წლის ზაფხულშივე დაიწყო. შესაბამისად, გალაკტიონის ლექსის დაწერის თარიღად უნდა მივიჩნიოთ – 1936 წელი ან შემდეგ.

◇ უთარილო ლექსის „**პოეზიის შემოსავლიანობა**“ (სგ, VIII, გვ. 603) ერთი რეალია საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ მისი დაწერის თარიღის ზედა ზღვარი. ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ამჟამად საფრანგეთში არის ერთადერთი პოეტია, რომელიც ერის რჩეულადაა მიჩნეული და იგი არის პოლ ვალერი. პოლ ვალერი 1945 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა. ლექსიც მანამდეა დაწერილი.

◇ უთარილო და უსათაურო ლექსს „**თუმცა ნაცნობებს ბევრს ვიგონებ ავალიანებს...**“ (სგ, VIII, გვ. 624) გალაკტიონი უძღვნის „ვ. იოსელიანის ხსოვნას“. ივანე (ვანო) იოსელიანი იყო პროზაიკოსი, გალაკტიონთან

დაახლოებული პიროვნება, რომელმაც 1920 წელს „არტისტული ყვავილები“ შესახებ გამოაქვეყნა რეცენზია სათაურით „გენიალური გალაკტიონი“. გალაკტიონის ერთ ჩანაწერში მითითებულია, რომ ივანე იოსელიანის დამკრძალავი კომიტეტი 1945 წლის 25 ივნისს შეიქმნა, შესაბამისად, გალაკტიონის ლექსიც 1945 წლის 25 ივნისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსში გალაკტიონი პოეტურ ინტერპრეტაციას მიმართავს გავრცელებული ფრთიანი გამოთქმისა „იოსელიანის პურმარილით ავალიანი შეიწყალესო“. როგორც ჩანს, გალაკტიონს ძლიერ მოსწონდა ეს ხალხური თქმა, რადგან იგი ხშირად ფიგურირებს მის ჩანაწერებში. ერთგან პოეტს უწერია „გალაკტიონის პურმარილით მაშაშვილი შეიწყალეს“, „მე საქმე გავაკეთე – და პრემიები იმათ იჯიბეს“ და სხვ.

◇ ერთსტროფიანი უთარილო და უსათაურო ეპიგრამა „**თუმც უავტოდ დამირჩი, ილო...**“ (სგ, VIII, გვ. 634) პოეტსა და დრამატურგს ილო მოსაშვილს ეძღვნება. გალაკტიონი ირონიით მიმართავს ადრესატს:

„ვით ძეგლი, ლომო, საშვილიშვილო,  
"ჩაძირულ ქვების" გაშალე ტილო“.

ილო მოსაშვილის დრამა „ჩაძირული ქვები“ 1949 წლის იანვარში გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ პირველ ნომერში და სცენაზეც ამავე წელს დაიდგა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, გალაკტიონის ლექსი შეგვიძლია დავათარილოთ ამგვარად: 1949 წელი, ან შემდეგ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „**სოციალისტურ შრომის და სწავლის...**“<sup>1</sup> პოეტს 12 დეკემბრით აქვს დათარიღებული. არ არის აღნიშნული ნაწარმოების შექმნის წელი, თუმცა ლექსის ცალკეული რეალიები გვაძლევს ზუსტი დათარიღების საშუალებას. კერძოდ, ნაწარმოების ლირიკული გმირი აღნიშნავს, რომ არჩევნებში სტალინს აძლევს ხმას. მამასადაძმე, უნდა იგულისხმებოდეს არჩევნები, რომელშიც „დიდი ბელადი“ პირადად იყრიდა კენჭს. როგორც ცნობილია, 1937 წლის 12 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, პირველი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში, რომელიც 1936 წლის კონსტიტუციის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-110, 61; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 424.

საფუძველზე შედგა და მასში სხვა პარტიულ ლიდერებთან ერთად პირადად იოსებ სტალინმაც იყარა კენჭი. ლექსი სწორედ ამ ფაქტის გამოძახილია და 1937 წლის 12 დეკემბრით უნდა დათარიღდეს.

◇ დაუთარიღებელ და უსათაურო ლექსში „აყვავილდა ყაყაჩო“ ნახსენებია ელისეის მინდვრები, რომელზეც „ჰყვავის ემიგრაცია“<sup>1</sup>. ამკარაა, რომ გალაკტიონი საფრანგეთის ქართულ ემიგრაციას გულისხმობს, რომელთან შეხვედრის შესაძლებლობაც პოეტს 1935 წლის ივნისში, პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესზე ყოფნისას ჰქონდა. ლექსიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ ამავე პერიოდით თარიღდება უსათაურო ლექსები „იმ დღეს რომ იყო კოხი და თქეში“<sup>2</sup> და „შენ ისვენებდი მრავალის მომსწრე“<sup>3</sup>, რომლებშიც ამკარაა პარიზის კონგრესისა და პარიზში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებების გამოძახილი.

◇ ლექსი „ოცნებათა შემოწმება“ მოთავსებულია იმ უბის წიგნაკში, რომელშიც ძირითადად თავმოყრილია 1935 წლის ლექსები და ჩანაწერები.<sup>4</sup> ნაწარმოები მოქცეულია დათარიღებულ ლექსებს შორის, რომელთაგან პირველი – „ჰანრი ბარბიუსს“, 1935 წლის 6 სექტემბერსაა დაწერილი, ხოლო მეორე – „გახსოვს სადამო უღრუბლო სახეთ“ კი იმავე წლის 23 დეკემბერს. ლოგიკურად, „ოცნებათა შემოწმება“ დროის დასახელებულ მონაკვეთში უნდა იყოს შექმნილი. ამავე მიდგომით შეგვიძლია დავათარიღოთ ხსენებულ ორ ლექსს შორის მოქცეული „სტრიქონები“, უსათაურო „ფარებიდან რომ გამოდიან თეთრი ბატკნები“, „მონმარტრზე სადაც სნეული...“, „ჟღერს ჩემი ბინა“...<sup>5</sup>

◇ ლექსი „გემი“ მოქცეულია 1935 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ ლექსს „გახსოვს სადამო უღრუბლო სახეთ“ და იმავე წლის 24 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერს შორის. სამივე ჩანაწერი მსგავსი ფანქრითაა შესრულებული. ლოგიკურად, ლექსი „გემი“ 1935 წლის 23 ან 24 დეკემბერის უნდა იყოს დაწერილი.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 41.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 41-42.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 44.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 45.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 48-50.

◇ იისფერი მელნით შესრულებული დაუთარილებელი ლექსები „საწყალ ვერლენის შხამი უმანკო...“, „ვიყავ სვანეთში... გულით ვერთობი“ და „იუმანიტე“ უბის წიგნაკში მოქცეულია 1935 წლის 27 დეკემბრის ჩანაწერსა და 1936 წლის 25 იანვრით დათარიღებულ ლექსს – „პოლონეთის არეზე...“ შორის, რაც გვაფიქრებინებს, რომ დასახლებული ლექსები დროის ხსენებულ შუალედში უნდა იყოს შექმნილი.

◇ ლექსი „ნაფარეული ბერლინში სურიცთან“ უბის წიგნაკში მოთავსებულია ორ დათარიღებულ მასალას, ლექსსა და ჩანაწერს შორის. ლექსი „შუქი დასაველთიდან და აღმოსავლეთიდან“ 1936 წლის 8 იანვრითაა დათარიღებული, ხოლო ჩანაწერი, რომელიც ავქსენტი ცაგარელს ეხება, იმავე წლის 9 იანვრით. ერთგვაროვანია საწერი საშუალებაც (იისფერი მელანი), ამასთანავე ლექსში – „ნაფარეული ბერლინში სურიცთან“ – აშკარაა პარიზში მოგზაურობის გამოძახილი და იგი თემატურად წინამორბედ ნაწარმოებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულის გათვალისწინებით იგი 1936 წლის 8 ან 9 იანვარს უნდა იყოს დაწერილი.

◇ დაუთარილებელ უსათაურო ლექსში „ცრემლი მახრჩობს... გულს ედება სევდა“<sup>1</sup> თვალსაჩინოა პოეტის დედის, მაკრინე ადვიშვილის გარდაცვალების გამოძახილი („ცრემლი მახრჩობს. გულს ედება სევდა... ამ ყოფაში არ მენახე ნეტა, ჩემო დედა, ჩემო კარგო დედა“). მაკრინე ადვიშვილი 1935 წლის მარტში გარდაიცვალა.<sup>2</sup> შესაბამისად, ლექსიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონს ხანდახან წესად აქვს, ბლოკნოტის ყდაზე მიუთითოს კონკრეტული თარიღი, როცა იწყებს მასში ჩანაწერების გაკეთებას. ასეთია, მაგალითად, 92-ე დღიური, რომელიც მფლობელის მიერ დათარიღებულია 1935 წლის მარტით. შესაბამისად, მასში წარმოდგენილი დაუთარილებელი ლექსები „ვინც მე მიყვარს...“, „სოფელი მუქთი სარკვა...“, „ვარდების გამარჯვება“ – 1935 წლის მარტით ან შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამ ლექსებში არ ჩნდება არც ერთი ისეთი რეალია, რომელიც 1935 წლის მარტზე უფრო ადრეულ პერიოდზე მიუთითებს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008.

<sup>2</sup> მ. ნინიძე, „კვლევები“, თბილისი, 2025.

◇ უსათაურო ლექსი „რა მეშველება“ მოქცეულია ორ დათარიღებულ მასალას, 1935 წლის 11 მარტის ჩანაწერსა და ამავე დროით დათარიღებულ ლექსს „მოგონებები“ შორის.<sup>1</sup> იდენტურია საწერი საშუალებაც – შავი ფანქარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული უსათაურო ლექსიც 1935 წლის 11 მარტს უნდა იყოს დაწერილი.

◇ „გაზაფხულის მდინარეები“ (თავდაპირველ ვარიანტში ლექსის სათაურია „პოეზია“)<sup>2</sup> მოქცეულია 1936 წლის 10 იანვრით დათარიღებულ ლექსსა და 19 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერს შორის. მსგავსია საწერი საშუალება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლექსი დროის ზემოთ დასახელებულ მონაკვეთში უნდა იყოს შექმნილი.

◇ ლექსები „პოეტი, ვინაც წრფელია გულით“, „გახსოვს შორი გზა...“, „ახალ ცხოვრებას“ მოქცეულია 20 და 23 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერებს შორის.<sup>3</sup> მსგავსია საწერი საშუალება, იისფერი მელანი. შესაბამისად, ლექსები დროის დასახელებულ შუალედში უნდა იყოს შექმნილი.

◇ 97-ე უბის წიგნაკში უმთავრესად თავმოყრილია პარიზში გამართულ ანტიფაშისტურ კონგრესთან დაკავშირებული ლექსები, შთაბეჭდილებები და ჩანაწერები. უბის წიგნაკში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ისეთ რეალიას, რომელიც მიგვანიშნებს უფრო ადრეულ პერიოდზე. უბის წიგნაკის პირველი დათარიღებული ჩანაწერი 1935 წლის 15 ივლისსაა გაკეთებული, შესაბამისად, ბლოკნოტში წარმოდგენილი ლექსები: „ვიყავ უცხო მოყმე ვინმე“,<sup>4</sup> „როგორ თავს არ გადააგდებს“,<sup>5</sup> „შუალამით მოკივარო ჭოტო“,<sup>6</sup> „თვით აღარ ვიცი...“,<sup>7</sup> „წახვალ, მაგრამ რით?...“<sup>8</sup> „კაცი, რომელიც დაჰყრის იარაღს...“<sup>9</sup>, „მსურს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 19.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 64.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 73-75.

<sup>4</sup> ქლმ, დ-97, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 131.

<sup>5</sup> ქლმ, დ-97, 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 131.

<sup>6</sup> ქლმ, დ-97, 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 132.

<sup>7</sup> ქლმ, დ-97, 87; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 142.

<sup>8</sup> ქლმ, დ-97, 84; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 141.

<sup>9</sup> ქლმ, დ-97, 68; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 138.

მოვიგონო ავადმყოფობა...“<sup>1</sup>, „მე ხომ აქ ვყოფილვარ, მე ხომ ეს მინახავს...“<sup>2</sup>, „ამ ბაღში ოცი წლის წინად...“<sup>3</sup> 1935 წლის 15 ივლისის მომდევნო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ 98-ე უბის წიგნაკის პირველ გვერდზე გაკეთებულია წარწერა: „G. Tabize. Paris. 1935“. მასში უმთავრესად თავმოყრილია პარიზის მწერალთა ანტიფაშისტური კონგრესის (1935 წლის ივნისი) შემდეგ შექმნილი ლექსები და ჩანაწერები, რომლებშიც თვალსაჩინოა ევროპაში მოგზაურობის გამოძახილი. უბის წიგნაკის მასალებში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ისეთ რეალიას, რაც შესაძლოა მიგვანიშნებდეს 1935 წლის ივნისის უფრო ადრეულ პერიოდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, უბის წიგნაკში არსებული შემდეგი დაუთარიღებელი მასალები: პოეტური ტექსტი „შესავალი“<sup>4</sup>, ლექსები: „რიჟრაჟია ჯერ ტრამვაი...“<sup>5</sup>, „ზედმეტი რიცხვი“<sup>6</sup>, „აგერ წინამძღვრიანთკარის...“<sup>7</sup>, „კრიზისისაგან თავის დაღწევა“<sup>8</sup>, „აუწერელი გარყვნილება და ფუფუნება...“<sup>9</sup>, „ეხლა, ძვირფასო მეგობრებო, გაიმბოთ მინდა...“<sup>10</sup>, „ისევ ერთად მივალთ მთვრალი...“<sup>11</sup>, „გალაკტიონის მარში“<sup>12</sup>, „ბრწყინავს დილა...“<sup>13</sup>, „სამშობლო“<sup>14</sup>, „ვერსალი ოქროში“<sup>15</sup>, „Tabes Dorsalis“<sup>16</sup>, „მზემ ისრები შემართა...“<sup>17</sup>, „პარიზი იმწაირია...“<sup>18</sup>,

<sup>1</sup> ქლმ, დ-97, 76; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 139.

<sup>2</sup> ქლმ, დ-97, 77; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 140.

<sup>3</sup> ქლმ, დ-97, 78; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 140.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 21-23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 167-170;

<sup>5</sup> ქლმ, დ-98, 22,24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 170-172.

<sup>6</sup> ქლმ, დ-98, 25-26; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 172-173.

<sup>7</sup> ქლმ, დ-98, 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 178-179.

<sup>8</sup> ქლმ, დ-98, 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 181-182.

<sup>9</sup> ქლმ, დ-98, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 183-184.

<sup>10</sup> ქლმ, დ-98, 32; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 184.

<sup>11</sup> ქლმ, დ-98, 34; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 184.

<sup>12</sup> ქლმ, დ-98, 34; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 185.

<sup>13</sup> ქლმ, დ-98, 35; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 187-188.

<sup>14</sup> ქლმ, დ-98, 35-36; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 188-190.

<sup>15</sup> ქლმ, დ-98, 37; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 191-192.

<sup>16</sup> ქლმ, დ-98, 38; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 192.

<sup>17</sup> ქლმ, დ-98, 39; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 193.

<sup>18</sup> ქლმ, დ-98, 40; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 193-194.

„ნოტრდამო, გული საგულეში არ დამეტია...“<sup>1</sup>, „შავი ზღვის პირად...“<sup>2</sup>, „დღეს შორ მთებში გრიგალი და ქარია...“<sup>3</sup>, „ალპიური ზონა“<sup>4</sup>, „პარიზიდან ბერლინამდე...“<sup>5</sup>, „ძმური სალამი საფრანგეთის...“<sup>6</sup>, „არის ჩემს გულში სიმღერა ერთი...“<sup>7</sup>, „ღვინოს ვერიდებოდი...“<sup>8</sup>, „ძირს მუქთახორა...“<sup>9</sup>, „გათენებიდან ბაზრად ჰყივიან...“<sup>10</sup>, „მე ქვეყნად ძეგლი მინახავს ბევრი...“<sup>11</sup>, „კიდევ რამდენს, კიდევ რამდენს...“<sup>12</sup>, „ჩვენს პოეტებს გაზაფხულზე...“<sup>13</sup>, „გამარჯვება, პარიზო...“<sup>14</sup>, „გულში მწუხარე ის მორევია...“<sup>15</sup>, „მე იდეა მაქვს სხვა განაზრახი...“<sup>16</sup>, „მილიონებში ხელის მრეველი“<sup>17</sup>, „რომ ქაოსიდან შექმნა წესრიგი...“<sup>18</sup>, „სალამო პარიზში...“<sup>19</sup>, „ჯურღმულეებში“<sup>20</sup>, „პოეზიის შემოსავლიანობა“<sup>21</sup>, „შეხვედრა გემზე...“<sup>22</sup>, „გათიშვა კულტურასა და მასსებს შორის“<sup>23</sup>,

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 41; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 41; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 194.

<sup>3</sup> ქლმ, დ-98, 42; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 195.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 43; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 195-196.

<sup>5</sup> ქლმ, დ-98, 44; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 196.

<sup>6</sup> ქლმ, დ-98, 45; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>7</sup> ქლმ, დ-98, 45; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>8</sup> ქლმ, დ-98, 46; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 197.

<sup>9</sup> ქლმ, დ-98, 46; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 197-198.

<sup>10</sup> ქლმ, დ-98, 47; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 198.

<sup>11</sup> ქლმ, დ-98, 48; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 199.

<sup>12</sup> ქლმ, დ-98, 48; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 199.

<sup>13</sup> ქლმ, დ-98, 49; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 199.

<sup>14</sup> ქლმ, დ-98, 50; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 199-200.

<sup>15</sup> ქლმ, დ-98, 51; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 201.

<sup>16</sup> ქლმ, დ-98, 51; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 201.

<sup>17</sup> ქლმ, დ-98, 52; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 201.

<sup>18</sup> ქლმ, დ-98, 52; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 202.

<sup>19</sup> ქლმ, დ-98, 53; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 202.

<sup>20</sup> ქლმ, დ-98, 54-55; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 203-205.

<sup>21</sup> ქლმ, დ-98, 56; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 209-210.

<sup>22</sup> ქლმ, დ-98, 57; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 212-215.

<sup>23</sup> ქლმ, დ-98, 58-61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 216-220.

„თქვენ იდეა გაქვთ სხვა განაზრახი...“<sup>1</sup>, „შეხვედრა ბერლინში“<sup>2</sup>, „პატარა დარიკო“<sup>3</sup>, „სიზარმაცეც... სიზარმაცეც...“<sup>4</sup>, „ნახტომი ვის სჩვევია ვეფხვისთანა...“<sup>5</sup>, „ყვავილებით მოხატულო...“<sup>6</sup>, „შოთა რუსთაველი“<sup>7</sup>, „ეიფელის კოშკზე“<sup>8</sup>, „რა საშინელი ტალღები...“<sup>9</sup>, „ცხოვრება არის ხმოვანი კინო...“<sup>10</sup>, პოემის – „ბამბურა მურა“ – მონაკვეთები<sup>11</sup>, ფედრუსის იგავ-არაკის – „ბატკანი და მგელი“ – თარგმანი<sup>12</sup> 1935 წლის ივნისის შემდეგი პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ ამავე უბის წიგნაკში ვხვდებით დაუთარიღებელ ლექსს „რუსთაველის სტრიქონების...“<sup>13</sup>, რომელშიც პოეტი სიხარულს გამოხატავს რუსთაველისა და აფხაზეთის შეხვედრის გამო. „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი (მთარგმნელი – დიმიტრი გულია) 1941 წელს გამოიცა, შესაბამისად, ლექსიც 1941 წლით ან მომდევნო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ დაუთარიღებელია ლექსი „მოვითხოვ სიტყვას...“<sup>14</sup>, რომელშიც ნახსენებია მიმდინარე წელს აღნიშნული ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავი და რუსთაველის 750 წლის იუბილე. ორივე მოვლენა 1937 წელს მოხდა, შესაბამისად, ლექსი 1937 წლით დათარიღდა.

◇ 1937 წლის 25 დეკემბრითაა დათარიღებული ლექსი „საბჭოთა ხალხის გმირული...“ მას მოსდევს მსგავსი ფანქრით დაწერილი დაუთარიღებელი: „უცხო კაპიტალის ქოფაკები...“<sup>15</sup>, „პრომეთეს

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 62; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 220-221.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 221-222.

<sup>3</sup> ქლმ, დ-98, 65; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 225-226.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 66; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>5</sup> ქლმ, დ-98, 66; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 226.

<sup>6</sup> ქლმ, დ-98, 67; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 227-228.

<sup>7</sup> ქლმ, დ-98, 72; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 231.

<sup>8</sup> ქლმ, დ-98, 77; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 236.

<sup>9</sup> ქლმ, დ-98, 80; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 237-238.

<sup>10</sup> ქლმ, დ-98, 82; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 238.

<sup>11</sup> ქლმ, დ-98, 113-114, 116, 118-119; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 270-275, 277-283.

<sup>12</sup> ქლმ, დ-98, 73; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 231-231.

<sup>13</sup> ქლმ, დ-98, 69; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 229.

<sup>14</sup> ქლმ, დ-98, 85; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 239-240.

<sup>15</sup> ქლმ, დ-98, 88; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 241-244.



ბედნიერება“<sup>1</sup>, „რა კარგია ტბა, მთაში ჩასმული...“<sup>2</sup> და „სოციალისტურ წმინდათა-წმინდა...“<sup>3</sup>, რომლებიც, ლოგიკურად, 1937 წლის 25 დეკემბრის მომდევნო პერიოდით დავათარილეთ.

◇ ლექსი „ნიავე, ია, ნარგიზი...“ 1938 წლის 30 მარტითაა დათარიღებული. მას მოსდევს მსგავსი ფანქრით დაწერილი ლექსი „ქართ სცადეს და ვერ გაანადგურეს...“<sup>4</sup>, მაშასადამე, იგი 1938 წლის 30 მარტის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ 101-ე უბის წიგნაკში დაუთარღებელი ლექსი „მსგავსად ზევთა და გლექჩერთა...“<sup>5</sup> უშუალოდ მოსდევს 1936 წლის 12 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერს. ორივე ჩანაწერი წითელი მელნიტაა შესრულებული, რის საფუძველზეც ზემოხსენებული ლექსი 1936 წლის 12 თებერვლის შემდეგ პერიოდით დათარიღდა.

◇ მიუხედავად იმისა, რომ 101-ე უბის წიგნაკში ჩანაწერების უმრავლესობა ერთგვაროვანი საწერი საშუალებითაა შესრულებული, დათარიღებას ართულებს ის ფაქტი, რომ ჩანაწერები ქრონოლოგიურად არათანმიმდევრულია. მაგალითად, 1936 წლის 12 მარტის შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერს მოსდევს იმავე წლის 14 თებერვლით დათარიღებული მასალა. ასეთ ვითარებაში დაუთარიღებელი მასალის მიახლოებით დათარიღება შესაძლებელია იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ისინი მწვანე მელნიტაა შესრულებული. ამ მელნიტით გალაკტიონი მუშაობს 1935 წლის ივნისის, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ (იხ. მაგ., 98-ე უბის წიგნაკი), შესაბამისად, 1935 წლის ივნისის შემდგომი პერიოდით დავათარილეთ მწვანე მელნიტით შესრულებული დაუთარიღებელი ლექსები: „როგორ სწოვდა ცოცხალ ბაგეს...“<sup>6</sup>, „დროს, რომელიც იყო, გაჰქრა...“<sup>7</sup>, „ახალი გზა ეკონება...“<sup>8</sup>, „დღეებს, ამხანაგო სტალინ...“<sup>9</sup>, ჩანაწერები ქართველ სტახანოველთა

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 89; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 244-245.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 90; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 245.

<sup>3</sup> ქლმ, დ-92, 92; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 246.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 94; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 247-248.

<sup>5</sup> ქლმ, დ-101; 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 326.

<sup>6</sup> ქლმ, დ-101; 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 327-328

<sup>7</sup> ქლმ, დ-101; 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 328.

<sup>8</sup> ქლმ, დ-101; 7-8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 329-330

<sup>9</sup> ქლმ, დ-101; 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 327.

წარმატებებზე და მათდამი მიძღვნილი ლექსები: „ქველაშვილმა აითვისა...“<sup>1</sup>, „გიორგაძე გრიგოლ, შრომის...“, „მიდის დღე-ღამ თავდადებით...“, „იცნობს ჭიათურის ტორცებს...“, „სალუქვაძემ საქმის ჟინი...“, „მათ გვიჩვენეს უდიდესი...“<sup>2</sup>, ასევე ლექსები: „მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს...“<sup>3</sup>, „საქართველოს გზას მრავალფერს...“<sup>4</sup>, „მტერს ეგონა, ჩვენი კარი...“<sup>5</sup>, „დიდო სტალინ, გვაბინადრებს...“<sup>6</sup>, „სიყვითლით და დაობებით...“<sup>7</sup>, „ახალმა დრომ მალარიით...“<sup>8</sup>, „მზემ ისრები შემართა...“<sup>9</sup>, „საქართველოს დიდება...“<sup>10</sup>, „შემოსილი მძიმე ღრუბლით, გერეოდა მარად მუმლი...“<sup>11</sup>, „სალამო პარიზში...“<sup>12</sup>, „ჰყვება უცნობი, თუ გერმანიის...“<sup>13</sup>, „მაშინ, ქიმერავ, სხვა გზა არ არის...“<sup>14</sup>, „დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“<sup>15</sup>.

◇ 103-ე უბის წიგნაკში დაუთარიღებელია ლექსები „ჩელიუსკინელების ხიდი“<sup>16</sup>, „კონსტიტუცია“<sup>17</sup> და „როცა ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“<sup>18</sup>. მათი დათარიღება პირობითად შეგვიძლია იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ისინი მოსდევს 1936 წლის 28 მარტით დათარიღებულ ჩანაწერს და ამ ლექსებში არ ჩნდება არც ერთი ისეთი რეალია, რომელიც უფრო ადრეულ პერიოდზე მიგვითითებდეს.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-101; 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 331-337.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 333-334.

<sup>3</sup> ქლმ, დ-101; 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 334.

<sup>4</sup> ქლმ, დ-101; 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 333-334.

<sup>5</sup> ქლმ, დ-101; 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 333-334.

<sup>6</sup> ქლმ, დ-101; 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 338-339.

<sup>7</sup> ქლმ, დ-101; 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 339.

<sup>8</sup> ქლმ, დ-101; 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 339-340.

<sup>9</sup> ქლმ, დ-101; 22; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 342.

<sup>10</sup> ქლმ, დ-101, გვ. 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 345.

<sup>11</sup> ქლმ, დ-101, გვ. 28-29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 345-346.

<sup>12</sup> ქლმ, დ-101, გვ. 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 346.

<sup>13</sup> ქლმ, დ-101, გვ. 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 346.

<sup>14</sup> ქლმ, დ-101, გვ. 34; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 347-348.

<sup>15</sup> ქლმ, დ-103; 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 352.

<sup>16</sup> ქლმ, დ-103; 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 352

<sup>17</sup> ქლმ, დ-103; 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 352-353.

◇ 98-ე დღიურში არსებული უთარიღო ლექსები: „**ვარსკვლავი ცისკრის...**“<sup>1</sup>, „**პირველი შეხვედრა**“<sup>2</sup>, „**ეს იყო სივრცე...**“<sup>3</sup> მოსდევს 1938 წლის 28 მარტით დათარიღებულ ჩანაწერს. ჩანაწერები და ლექსები ერთი და იმავე მელნიტაა შესრულებული, რაც საშუალებას გვაძლევს ზემოთჩამოთვლილი მასალები 1938 წლის 28 მარტის შემდგომი პერიოდით დავათარიღოთ.

◇ ამავე უბის წიგნაკში ჩაუწერია გალაკტიონს საკუთარი ლექსი „**აკაკის ლანდი**“<sup>4</sup> და შეუსწორებია ცალკეული ტაეპები. ლექსი წითელი მელნიტაა ჩაწერილი. დასახელებულ დღიურში წითელი მელნიტა გალაკტიონს სხვადასხვა დროს აქვს ნამუშევარი (1935 წ. ნოემბერში, 1942 წ. და სხვ.) ამიტომ „აკაკის ლანდის“ გადაწერის თარიღად მივუთითეთ 1935 წლის ივნისის შემდეგი პერიოდი, როცა გალაკტიონმა უბის წიგნაკში მასალების ჩაწერა დაიწყო.

◇ დაუთარიღებელია ერთსტროფიანი უსათაურო ლექსი „**ულევი, უანგარიშო...**“<sup>5</sup>. ლექსში თვალსაჩინოა პარიზში მოგზაურობის გამოძახილი, ამასთანავე, იგი შესრულებულია მწვანე მელნიტა, რომლითაც გალაკტიონი მუშაობს 1935 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ. ლექსი სწორედ აღნიშნული დროით დათარიღდა.

◇ 111-ე უბის წიგნაკში თავმოყრილია 1937 წლის ჩანაწერები და ლექსები. მათი ძირითადი ნაწილი ჩაწერილი შავი ფანქრით, რამდენიმე ჩანაწერი კი იისფერი ფანქრითაა გაკეთებული. შავი ფანქრით შესრულებული ჩანაწერებიდან ორია თარიღიანი. ისინი 1937 წლის მაისით არის დათარიღებული და თემატურადაც უკავშირდება ერთმანეთს – ასახავს პოეტის ყოფას სევასტოპოლში. შავი ფანქრით შესრულებულ პირველ თარიღიან ლექსს დაწერის დროდ 20 მაისი აქვს მითითებული. აღნიშნულის საფუძველზე უბის წიგნაკის წინა გვერდებზე არსებული ლექსები: „**როცა მიდის რუსი ქალი...**“<sup>6</sup>, „**ავტო-**

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 137; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 300.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 138,141; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 300-304.

<sup>3</sup> ქლმ, დ-98, 140; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 304-305.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 139; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 303-304.

<sup>5</sup> ქლმ, დ-98, 149; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 313.

<sup>6</sup> ქლმ, დ-111, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 435.

მოტო-ველო“<sup>1</sup>, „შენ მთელი ღამე, ზღვაო, ღელავდი...“<sup>2</sup>, „ერთჰანგა, ერთფერი...“<sup>3</sup>, „В городском саду...“<sup>4</sup>, „Кто смеет зренье иметь...“<sup>5</sup> 1937 წლის 20 მაისის წინარე პერიოდით დავათარილეთ.

◇ 111-ე უბის წიგნაკში შავი ფანქრით შესრულებულ ჩანაწერებში რამდენიმეგან ჩართულია იისფერი ფანქრით შესრულებული ტექსტები. ერთი მათგანი, „ოცნება“ 1937 წლის 11 ივნისითაა დათარიღებული. მას უშუალოდ მოსდევს ამავე ფანქრით დაწერილი უსათაურო სტრიქონები „შენ მთელი ღამე, ზღვაო, ღელავდი...“<sup>6</sup>. ამ გარემოებაზე დაყრდნობით ლექსი დავათარილეთ ამგვარად: „1937 წლის 11 ივნისი ან შემდეგ“.

◇ 112-ე დღიურში შავი ფანქრით შესრულებული ჩანაწერები და ლექსებია წარმოდგენილი. პირველ გვერდზე არსებული ჩანაწერი 1937 წლის 27 დეკემბრითაა დათარიღებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მისი მომდევნო ლექსები: „სარდაფს, სადაც იგი ჩავა...“<sup>7</sup>, „აფხაზეთს არის ქალაქი რიცა...“<sup>8</sup>, „გამომგონებელს...“<sup>9</sup>, გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ უსათაურო სახუმარო ლექსი რუსულ ენაზე<sup>10</sup> 1937 წლის 27 დეკემბრის მომდევნო პერიოდით დავათარილეთ.

◇ უთარილო და უსათაურო ლექსი „შენ უბინაო იყავი...“<sup>11</sup> მოთავსებულია 118-ე უბის წიგნაკის 30-31-ე გვერდებზე. მას წინ უსწრებს (გვ. 11-29) და მოსდევს (გვ. 32-45) თანმიმდევრული რიგით დანომრილი ამონაწერები პოემიდან „ეპოქა“, რომლებიც 1938 წლის 15 ოქტომბრითაა დათარიღებული. ესე იგი, ზემოხსენებული ლექსი ერთგვარად შეჭრილია პოემიდან ამოწერილ სტროფებში. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ პოეტმა ჯერ ლექსი დაწერა ბლოკნოტის უკანა,

<sup>1</sup> ქლმ, დ-111, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 436.

<sup>2</sup> ქლმ, დ-111, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 437.

<sup>3</sup> ქლმ, დ-111, 21; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 438.

<sup>4</sup> ქლმ, დ-111, 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 438.

<sup>5</sup> ქლმ, დ-111, 24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 438.

<sup>6</sup> ქლმ, დ-111, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 437.

<sup>7</sup> ქლმ, დ-112, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 442.

<sup>8</sup> ქლმ, დ-112, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 443.

<sup>9</sup> ქლმ, დ-112, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 443.

<sup>10</sup> ქლმ, დ-112, 12-13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 443-444.

<sup>11</sup> ქლმ, დ-118, 11-29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 480-494.

ცარიელ გვერდებზე, შემდეგ კი დაიწყო პოემის ტექსტის ამოწერა და როცა მივიდა შესაბამის ადგილას, სადაც ლექსი იყო ჩაწერილი, ბუნებრივად გაწყვიტა იქ პოემა და მომდევნო გვერდებზე გააგრძელა. ამ გარემოების გათვალისწინებით ლექსი „შენ უბინაო იყავი...“ 1938 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ დაუთარიღებელი ლექსი „სამშობლოს წინსვლა...“<sup>1</sup> 119-ე უბის წიგნაკში მოსდევს 1938 წლის 19 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად შავი ფანქრითაა შესრულებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით ლექსი 1938 წლის 19 ნოემბრის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ ლექსი „სამშობლოვ, სისხლით მსასოფარი...“<sup>2</sup> 119-ე უბის წიგნაკში მოსდევს 1938 წლის 19 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად შავი ფანქრითაა შესრულებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით ჩანაწერები 1938 წლის 19 ნოემბრის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ ლექსი „და ყოველ წუთს...“<sup>3</sup> 120-ე დღიურში მოსდევს 1938 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და სწორედ ამ პერიოდის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი.

◇ 123-ე დღიურში დაუთარიღებელი ლექსები: „ოთხი არაგვი“<sup>4</sup> „გახსოვს? ძაუგთან მომხდურთა ჯარმა...“<sup>5</sup> „ქობულეთი“<sup>6</sup> „მე მეგობრებს ვთხოვ...“<sup>7</sup> „სამხრეთ-ოსეთი“<sup>8</sup> „ლიახვი და მტკვარი. ლიახვის სათავესთან“<sup>9</sup> „მცხეთა“<sup>10</sup> „მცხეთის რაიონში“<sup>11</sup> „ჯვრის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-119, 46-47; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 507-508.

<sup>2</sup> ქლმ, დ-119, 62-63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 512.

<sup>3</sup> ქლმ, დ-120, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 516-517.

<sup>4</sup> ქლმ, დ-123, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 560.

<sup>5</sup> ქლმ, დ-123, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 560.

<sup>6</sup> ქლმ, დ-123, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 560.

<sup>7</sup> ქლმ, დ-123, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 561-562.

<sup>8</sup> ქლმ, დ-123, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 562-564.

<sup>9</sup> ქლმ, დ-123, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 565-568.

<sup>10</sup> ქლმ, დ-123, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 569-871.

<sup>11</sup> ქლმ, დ-123, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 571.

მონასტრის მშენებლები“,<sup>1</sup> „შენ რომ სურათი მთხოვე, ო, მერი...“<sup>2</sup> მოსდევს 1947 წლით დათარიღებულ, ამ ლექსებთან თემატურად დაკავშირებულ ჩანაწერს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი 1947 წელს ან მომდევნო პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

◇ 124-ე უბის წიგნაკში ვხვდებით ლექსს „საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახონიძის პატივსაცემად“, რომელიც 1942 წლის 29 ივნისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, რადგან მეზრდოლ მიხეილ გახოკიძეს სწორედ ამ დღეს მიენიჭა გმირის წოდება. ამ ლექსს უბის წიგნაკში მოსდევს მსგავსი ფაქტით ჩაწერილი ლექსები „ომმა შესცვალა ზეცა კრიალია...“<sup>3</sup> და „ჰე, მამულო!“<sup>4</sup>, რომლებიც ასევე 1942 წლის 29 ივნისის მომდევნო პერიოდით დავათარიღებთ.

◇ 127-ე უბის წიგნაკი თავად ავტორის მიერ დათარიღებულია 1939 წლის ოქტომბრით. აღნიშნულის საფუძველზე უბის წიგნაკში წარმოდგენილი ყველა დაუთარიღებელი მასალა: გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი სატირული ლექსები<sup>5</sup> და ლექსი „სამუდამოდ დაიღუპა...“<sup>6</sup> 1939 წლის ოქტომბრით ამ შემდეგი პერიოდით დათარიღდა.

◇ 93-ე დღიურის ყდა, ავტორის მიერ 1935 წლის 20 აპრილითაა დათარიღებული, შესაბამისად, მასში წარმოდგენილი ყველა მასალა ამ დროის შემდეგ უნდა იყოს ჩაწერილი, მათ შორის ლექსები „მკაცრი დრაკონი, *Tabes dorsalis*...“<sup>7</sup>, და „მე იდეა მაქვს სხვა განაზრახი...“<sup>8</sup>.

◇ ლურჯი მელნით გაუკეთებია გალაკტიონს ამონაწერები რუსულენოვანი წიგნიდან „დასავლეთევროპული ლიტერატურის ქრესტომათია, შუა საუკუნეების ლიტერატურა (IX-XVI სს.)“. დასახელებული სახელმძღვანელო 1938 წელს გამოიცა, შესაბამისად, ამონაწერებიც იმავე წელს, ან მომდევნო პერიოდშია გაკეთებული. წიგნიდან ამონაწერებს მოსდევს იმავე მელნით შესრულებული ლექსები „ლალავერი (სოფელი სვანეთში, რომელიც ეხლა აღარ

<sup>1</sup> ქლმ, დ-123, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 572-573.

<sup>2</sup> ქლმ, დ-123, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 573-574.

<sup>3</sup> ქლმ, დ-124, 13-14. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 594-595.

<sup>4</sup> ქლმ, დ-124, 15. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 596-597.

<sup>5</sup> ქლმ, დ-127, 8-9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 606-608.

<sup>6</sup> ქლმ, დ-127, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 608.

<sup>7</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 25-31.

არსებობს)<sup>1</sup>, „ჯიხვი“<sup>2</sup> და ხალხურ მოტივებზე შექმნილი „მოხევის ქალო თინაო“<sup>3</sup>. შესაბამისად, ეს ლექსებიც 1938 წლით ან მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 104-ე უბის წიგნაკი გალაკტიონს თავადვე დაუთარიღებია 1936 წლის აპრილით. მასში პოეტს მწვანე მელნით უმუშავია. ჩანაწერები მოიცავს 1-29 აპრილის პერიოდს. ზოგიერთი ჩანაწერი დათარიღებულია, ზოგი კი – დაუთარიღებელი. დღიურში არაა დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ზოგჯერ უფრო ადრეული თარიღის მქონე ჩანაწერი მოსდევს გვიანდელს, თუმცა ერთი რამ უეჭველია – ყველა დაუთარიღებელი ჩანაწერი გაკეთებულია 1-ლი აპრილის შემდეგ, როდესაც პოეტი წერას იწყებს დასახელებულ უბის წიგნაკში. აღნიშნულის გათვალისწინებით, 1936 წლის პირველი აპრილის მომდევნო პერიოდით დათარიღდა ლექსები „ანდრე მალრო“<sup>4</sup> და „ხმაურობს დოსტი...“<sup>5</sup>.

◇ 111-ე უბის წიგნაკში ერთი უთარიღო ჩანაწერი ასახავს პოეტის მზადებას სევასტოპოლიდან გასამგზავრებლად.<sup>6</sup> მისი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ჩანაწერის ერთი პუნქტი, რომელშიც პოეტი გეგმავს შეიძინოს 30 მაისის გაზეთი. მაშასადამე, ჩანაწერი უნდა გაკეთებულიყო 30 მაისის შემდეგ. ამავე პერიოდით დათარიღდა ამ ტექსტის მომდევნო ლექსი „Идем, посмотрим море...“<sup>7</sup>.

◇ 1938 წლის 6 სექტემბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ბორჯომში 6 სექტემბრამდე ჩადის. ამ ფაქტზე დაყრდნობით 6 სექტემბრის მომდევნო დაუთარიღებელი ლექსები: „ლაჟვარდის ცასთან...“<sup>8</sup>, „თერგი“<sup>9</sup> და „ყაზბეგი“<sup>10</sup>.

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 104; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 259-261.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 106; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 262-263.

<sup>3</sup> ქლმ, დ-98, 108; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 265.

<sup>4</sup> ქლმ, დ-104; 57; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 357.

<sup>5</sup> ქლმ, დ-104; 43; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 368.

<sup>6</sup> ქლმ, დ-111, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 440.

<sup>7</sup> ქლმ, დ-111, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 440.

<sup>8</sup> ქლმ, დ-117, 72; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 476.

<sup>9</sup> ქლმ, დ-117, 72; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 476.

<sup>10</sup> ქლმ, დ-117, 72; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 476.

◇ 119-ე უბის წიგნაკის დაუთარიღებელი ლექსები „**ვამ ბილეთი, კინტო ჯანი...**“<sup>1</sup> და „**სხვა სიმღერა სად არის...**“<sup>2</sup> დათარიღდა 1938 წლის 1 ნოემბრის მომდევნო პერიოდით იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ისინი მოსდევს 1 ნოემბერს მომხდარი ფაქტის ამსახველ ჩანაწერს.

◇ 1957 წლის 28-30 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერებს შორისაა მოქცეული ხარიტონ ვარდოშვილისა და გიორგი კაჭახიძისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექსი „**ერთს ჰქვია გიორგი, მეორეს ხარიტონ...**“<sup>3</sup> და ლექსი „**ვაშინგტონი**“<sup>4</sup>. იდენტურია საწერი საშუალება – ლურჯი მელანი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დასახელებული ტექსტები 28-30 ნოემბრის შუალედშია შექმნილი.

◇ დაუთარიღებელი სახუმარო ლექსი „**Банкет у Ариадны**“ მოთავსებულია იმ ფურცლის ქვედა ნაწილში, რომლის თავშიც ვხვდებით 1956 წლის 6 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერს.<sup>5</sup> ამ ფაქტის გათვალისწინებით ლექსი ხსენებული თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ მე-100 უბის წიგნაკში დაუთარიღებელია უსათაურო ლექსი „**სადაც გავა, გავად გავა...**“<sup>6</sup> ის მოქცეულია 1935 წლის 3 და 6 დეკემბრის ჩანაწერებს შორის (ყველა მათგანი წითელი მელნითაა შესრულებული) და სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ უთარიღოა გალაკტიონის ლექსი „**15 პოეტი**“, რომელშიც ავტორი იგონებს მეგობარ პოეტს ქუჩუ ქავთარაძეს, რომელთან ერთადაც თარგმნიდა კლასიკოს პოეტებს. ლექსის ერთი რეალია მისი დათარიღების საშუალებას გვაძლევს. ტექსტში ნათქვამია: „შემდეგ თვითმკვლელობა იყო ფშაველისა“. ამ სიტყვებში უნდა იგულისხმებოდეს პოეტ კიკნა ფშაველას (სიმონ ბადურაშვილი) თვითმკვლელობა. ცნობილია, რომ ახალგაზრდა პოეტმა 1916 წლის 13 ივლისს სოფელ ჟებოტაში გაურკვეველ ვითარებაში ჯერ მეგობარი გრიგოლ ხერხეულიძე გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თავიც

<sup>1</sup> ქლმ, დ-119, 29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 504.

<sup>2</sup> ქლმ, დ-119, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 504.

<sup>3</sup> ქლმ, დ-624, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 181.

<sup>4</sup> ქლმ, დ-624, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 182.

<sup>5</sup> ქლმ, დ-629, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 39.

<sup>6</sup> ქლმ, დ-100; 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 323.



მოიკლა. ამ ფაქტის გათვალისწინებით ლექსი 1916 წლის 13 ივლისის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ გიორგი კაჭახიძისადმი მიძღვნილი ეპიგრამა „...ხელში ნაჯახითა“ და ლექსი „ვაშინგტონი“<sup>1</sup> მოსდევს 1957 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერებს და იმავე საწერი საშუალებით (ლურჯი მელნითაა) შესრულებული. აღნიშნულის საფუძველზე ლექსები დათარიღდა 1957 წლის 28 ნოემბრის მომდევნო პერიოდით.

◇ 105-ე დღიურში დაუთარიღებელია ლექსი „ორდენოსანი საქართველო“.<sup>2</sup> ლექსში აღნიშნულია, რომ საქართველო „ატარებს ლენინის ორდენს“. ამ რეალიის გათვალისწინებით, იგი 1935 წლის 15 მარტის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამ დღეს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

◇ 106-ე დღიურში გალაკტიონს ჩაუწერია რუსულენოვანი ეპიგრამები პაოლო იაშვილის შესახებ.<sup>3</sup> დღიური თავად ავტორის მიერ დათარიღებულია 1936 წლის ივნისით. შესაბამისად, ჩანაწერი 1 ივნისის შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 107-ე უბის წიგნაკი გალაკტიონის მიერ დათარიღებულია 1936 წლის ივნის-ივლისით. შესაბამისად, დაუთარიღებელი ლექსები: „სდგამთა უქიმიერიონი...“<sup>4</sup>, „უკანასკნელი ლხინი“<sup>5</sup>, „მზის ამოსვლა“<sup>6</sup>, „ჩადიოდა მნათობი...“<sup>7</sup>, „კაცმა უნდა სწორებით...“<sup>8</sup>, „მოგონებები – თითქო მთებია...“<sup>9</sup> 1936 წლის 1 ივნისის შემდეგი პერიოდით დათარიღდა.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-624, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 181-182.

<sup>2</sup> ქლმ, დ-105; 1-6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 380-382.

<sup>3</sup> ქლმ, დ-106, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 387.

<sup>4</sup> ქლმ, დ-107, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 389-390.

<sup>5</sup> ქლმ, დ-107, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 390.

<sup>6</sup> ქლმ, დ-107, 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 391.

<sup>7</sup> ქლმ, დ-107, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 392.

<sup>8</sup> ქლმ, დ-107, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 392.

<sup>9</sup> ქლმ, დ-107, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 393.

◇ 107-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელი უსათაურო ლექსები „ესპანეთში ამჟამად...“<sup>1</sup>, „ვისაც არ ესმის სიტყვა ხალხური...“<sup>2</sup> მოსდევს 1936 წლის 18 სექტემბრის ჩანაწერს და მის მსგავსად, შავი ფანქრითაა შესრულებული. აღნიშნული გარემოების საფუძველზე ლექსები 1936 წლის 18 სექტემბრის მომდევნო პერიოდით დავათარილეთ.

◇ 107-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელი ლექსი „აი, ნამდვილი გმირთაგმირობა...“<sup>3</sup> მოსდევს 1936 წლის 8 ოქტომბრის ჩანაწერს და მსგავსი ფანქრითაა შესრულებული. ამის საფუძველზე ლექსი 1936 წლის 8 ოქტომბრის შემდგომი პერიოდით დათარილდა.

◇ 108-ე უბის წიგნაკში 1936 წლის 5 ნოემბრით დათარილებულ ჩანაწერს მოსდევს ლექსები „მოგონება საავადმყოფოში“<sup>4</sup>, „საღამოს სხივები ღრუბლებში დამრუდდა...“<sup>5</sup>, „რა კარგია ვარდებით...“<sup>6</sup>, რომლებიც 1936 წლის 5 ნოემბრის მომდევნო პერიოდით დათარილდა.

◇ 109-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელი ლექსი „საკაცე, ჩანთა, აირწინალი“<sup>7</sup> წინ უძღვის 1937 წლის 15 თებერვლით დათარილებულ ჩანაწერს და მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ 109-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელი ლექსები: „უცდენლად, როგორც ფოტო-კამერით...“<sup>8</sup>, „ო, მერამდენედ უნდა გითხრა კიდევ მაღლობა...“<sup>9</sup> ორსტრიქონედი „თბილისი იყო ის ქალი ქვრივი...“<sup>10</sup> მოსდევს 1937 წლის 15 თებერვლით დათარილებულ ჩანაწერს და მის მსგავსად შავი ფანქრითაა დაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლექსი 1937 წლის 15 თებერვლის მომდევნო პერიოდით დათარილდა.

◇ 110-ე უბის წიგნაკში ვხვდებით 1937 და 1938 წლით დათარილებულ მასალებს, რომელთა ჩაწერის პრინციპიც არათანმიმდევრულია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უადრესი მასალა 1937 წლის 12

---

<sup>1</sup> კლმ, დ-107, 24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 395.

<sup>2</sup> კლმ, დ-107, 26; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 395.

<sup>3</sup> კლმ, დ-107, 44,46; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 399-400.

<sup>4</sup> კლმ, დ-108, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 403-404.

<sup>5</sup> კლმ, დ-108, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 404.

<sup>6</sup> კლმ, დ-108, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 404-406.

<sup>7</sup> კლმ, დ-109, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 410-411.

<sup>8</sup> კლმ, დ-109, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 412-413.

<sup>9</sup> კლმ, დ-109, 14-15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 414-415.

<sup>10</sup> კლმ, დ-109, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 415.

თებერვლით თარიღდება და ჩანაწერები ერთნაირი, შავი ფანქრითაა გაკეთებული, დაუთარილებელი ლექსები: „ააფეთქა, როგორც ნაღმმა...“<sup>1</sup>, „გქონდათ, ლექსებო ძველო...“<sup>2</sup>, „ევროპაში რაც მტრობაა...“<sup>3</sup>, „ცად რონინია ღრუბელთა გროვის...“<sup>4</sup>, „უღევი, უანგარიშო...“<sup>5</sup>, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“<sup>6</sup>, „იყო ღრმა ფილოსოფოსი...“<sup>7</sup>, „მარჯვენა მკლავზე დაყრდნობილს გძინავს...“<sup>8</sup> დავათარილეთ ამგვარად: „1937 წელი ან შემდეგ“.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-110, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 419.

<sup>2</sup> ქლმ, დ-110, 25; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 421-422.

<sup>3</sup> ქლმ, დ-110, 59, 64; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 424, 425.

<sup>4</sup> ქლმ, დ-110, 55; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 426.

<sup>5</sup> ქლმ, დ-110, 53; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 426.

<sup>6</sup> ქლმ, დ-110, 48; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 427.

<sup>7</sup> ქლმ, დ-110, 40; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 429-430.

<sup>8</sup> ქლმ, დ-110, 37; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 429.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „**რამდენიმე დღე პეტროგრადში**“<sup>1</sup> ავტორის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში 1917 წლით არის დათარიღებული, მაგრამ ტექსტზე დაკვირვება მისი უფრო ზუსტად დათარიღების საშუალებასაც გვაძლევს. ლექსის ფრაზაში „მანც სად გაქრა წერეთელი, ჩხეიძეც გაქრა...“ უნდა იგულისხმებოდეს ის ფაქტი, რომ ესერო-მენშევიკები: კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი, რომლებიც 1917 წლის 6 სექტემბრამდე პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები იყვნენ, ამ საბჭოს მიერ ხელისუფლების შესახებ ბოლშევიკური რეზოლუციის მიღებისთანავე გადადგნენ და ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგიდან საქათველოში დაბრუნდნენ. მეორე ფრაზა: „მე, ნოემბერი და პეტროგრადი, ასეთი კარგი და უდაბური“, ისევე, როგორც „დაღწილი ზარები“ და ლექსის არაერთი სხვა პოეტური სახე, უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ იგი დაწერილია 1917 წლის ნოემბერში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაუდაბურებულ პეტროგრადში.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „**როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები**“ მწერლის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემაში 1917 წლით არის დათარიღებული, პოეტის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის მეორე ტომში კი – პირველი პუბლიკაციის მიხედვით, 1919 წლის მაისამდე პერიოდით. პირველი პუბლიკაციის მიხედვით ლექსს ვათარიღებთ იმ შემთხვევაში, როცა წყაროები უთარიღოა, ეჭვი შეგვაქვს მათთან მითითებულ თარიღებში და სხვა ხელჩასაჭიდიც არაფერი გვაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს პოეტის ჩანაწერი, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ლექსში 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრის რევოლუციამდე მიმდინარე ამბებია აღწერილი და რომ პოეტს ამ ლექსის დაწერის უშუალო იმპულსი მისცა მისმა მონაწილეობამ მოსკოვის მოსახლეობის აღწერაში („დაწერილია მოსკოვის მოსახლეობის აღწერით გამოწვეულ შთაბეჭდილების ქვეშ“)<sup>2</sup>. რამდენადაც ვიცით, რომ 1917 წლის 30 აპრილს პოეტი მოსკოვისკენ მიემგზავრებოდა და ელიზავეტოპოლში იყო შეყოვნებული, მოსკოვში 1917 წლის მაისში ჩავიდოდა.

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 2016, გვ. 151.

<sup>2</sup> ქლმ, დ-337, გვ. 5. სგ, XIX, გვ. 101.

შესაბამისად, აღწერაში მონაწილეობა 1917 წლის მაისიდან ოქტომბრამდე პერიოდში უნდა მიეღო და ლექსიც ამ დროს უნდა დაწერილიყო.

◇ ლექსი „მივარდნილი აივანი“ („ამპარტავანი თათარი ეზოში დადის მამალი...“)<sup>1</sup> 1937 და 1959 წლების გამოცემებში 1916 წლით არის დათარიღებული, მაგრამ ტექსტის შინაარსსა და განწყობას ამ წელთან არავითარი კავშირი არა აქვს და თან არსებობს თავად პოეტის ჩანაწერი, რომელშიც დასახელებულია ლექსის დაწერის წელი: „ამპარტავანი თათარი ეზოში დადის მამალი“ ლექსი დაწერილია 1918 წელს, თათარი შემოესია ბათუმს...“ შესაბამისად, ლექსს საფუძვლად უდევს 1918 წლის მოვლენები: ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით რუსეთს ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა ბათუმის ოლქი. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს 31 მარტს. რამდენადაც ლექსი ამ ისტორიული ფაქტის გამოძახილია, იგი 1918 წლის 31 მარტის შემდგომ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

◇ უსათაურო ლექსის („შუადღის სიცხეს არ უჩანს ბოლო...“) ავტოგრაფის<sup>2</sup> ქვედა შრე ნაწერია ქიმიური ფანქრით. ამავე ფანქრით არის მიწერილი თარიღად „24 ივლისი“ და ტექსტის ბოლოს – ფაქსიმილე. შემდეგ ყველა სტროფი ინტენსიურად არის ნასწორები იისფერი მელნით, ამავე მელნით არის მიწერილი თარიღის ზემოთ „ბათუმი 1918“, ტექსტის ბოლოს კი – „მშვიდობით, ზღვაო!“ და „Derniere“ (უკანასკნელი / უკანასკნელად). ამ მინაწერებში ზღვასთან განშორებით გამოწვეული ისეთი ემოციაა გამოხატული, რომ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მინაწერის „ბათუმი 1918“ სისწორეში. რაც შეეხება „24 ივლისს“, ეს პირველი შრის თარიღია და უნდობლობის საფუძველი აქაც არა გვაქვს, მით უფრო, რომ ლექსის ამ ფენის შინაარსიდანაც ჩანს, რომ „სიცხესა“ და „მხურვალეზაშია“ დაწერილი. მინაწერების თარიღების თანმიმდევრობიდან ირკვევა ისიც, რომ მეორე შრე, რომლის მინაწერშიც პოეტი ზღვას ემშვიდობება, 24 ივლისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. მართალია, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ამ პერიოდის ამსახველი მდიდარი მასალა არ მოგვეპოვება, რომ მოსკოვიდან თბილისისკენ მისი გადაადგილების

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 510-511.

<sup>2</sup> ქლმ ა-180

დრო ზუსტად გადავამოწმოთ, მაგრამ ზოგიერთი მონაცემი მაინც გვაქვს. მაგალითად, დანამდვილებით ვიცით, რომ 1918 წლის 14 ივნისს მოსკოვში იყო (დედისადმი მოსკოვიდან გაგზავნილი წერილი ასეა დათარიღებული)<sup>1</sup> და ივლისის დასაწყისშიც არ იყო ჯერ წამოსული, რადგან 4 ივლისს დაესწრო სრულიად რუსეთის საბჭოთა მეხუთე ყრილობის გახსნას და მოსკოვის აკადემიურ დიდ თეატრში იყო 6 ივლისსაც, როდესაც ვილჰელმ მირბახის მკვლელობის გამო სხდომა არ შედგა. ასევე ვიცით, რომ 1918 წლის 5 ოქტომბერს უკვე თბილისში იყო და მართავდა საკუთარ საღამოს<sup>2</sup>. ამიტომ მოსკოვიდან 6 ივლისზე ადრე ვერ გამოვიდოდა და თბილისში 5 ოქტომბერზე გვიან ვერ ჩავიდოდა. რამდენადაც მოსკოვიდან ბათუმში ჩასვლას იმ დროს 10 დღე მაინც დასჭირდებოდა, ლექსის დაწერის სავარაუდო ინტერვალთა ივლისის მეორე ნახევრიდან 5 ოქტომბრამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექსი ზაფხულის ხვატშია დაწერილი, მისი თარიღი ამ სავარაუდო ინტერვალის საწყის მონაცემთან, ივლისის მეორე ნახევართან უფრო ახლოს უნდა იყოს, ვიდრე დროის ზედა ზღვართან. შესაბამისად, ბათუმში დაწერილი ლექსის თარიღად 1918 წლის 24 ივლისი სავსებით დამაჯერებელი ჩანს.

♦ ტრადიციულად მწერლის თითოეული ავტოგრაფი თხზულებათა აკადემიური გამოცემის კრიტიკულ აპარატში ერთი ლიტერით აღინიშნება და ვარიანტული სხვაობებიც ამ სიმბოლოს ქვეშ ერთიანად აღინუსხება. ასეთი მიდგომა გვაკარგინებს იმ ინფორმაციას, რომელიც ამ ავტოგრაფის, როგორც სუბსტრატის სხვადასხვა შრეშია წარმოდგენილი. ამ შრეების მონაცემებს ძალიან კარგად იყენებენ ძველი ტექსტების მკვლევრები და მათ „ტექსტურ მოწმეებს“ ან უბრალოდ „მოწმეებს“ უწოდებენ, მაგრამ ამის გამოყენება არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი და უახლესი ტექსტების კვლევისთვისაც. გალაკტიონ ტაბიძე ერთ ფურცელზე ნაწერ საკუთარ ტექსტს ხშირად რამდენიმე წლის ინტერვლებით არაერთხელ უბრუნდებოდა და ასწორებდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტოგრაფი<sup>3</sup>, რომლის ქვედა შრე იასამნისფერი მეღნით არის ნაწერი და დროდ და ადგილად

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის წერილი, გტცა, №1-2 r., v.

<sup>2</sup> გაზ. „ერთობა“, 1918, №209-210, გვ. 1; იქვე, №211-213, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ ა-177

ამავე მეღწიით მითითებულია „1918 ოდესსა“. ამ ფურცელზე დაწერილ ლექსს, რომელიც ცნობილია სათაურით „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ ავტოგრაფის ქვედა შრეში სათაურად ჯერ ეწერა „ზღვასთან“, შემდეგ კი ავტორს გადაუხაზავს და იმავე მეღწიით დაუწერია „მიმავალ ხომალდს“. ამ მეღწიით ნაწერ შრეში ლექსი ოთხსტროფიანია და დაუსრულებლის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ბოლოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თარიღი და დაწერის ადგილიც კი აქვს მიწერილი.

გარკვეული დროის შემდეგ პოეტს ამ ავტოგრაფზე მუშაობა გაუგრძელებია გრაფიტის ფანქრით. ინტენსიურად არის ნასწორები ყოველი სტროფი, გადახაზულია წინა სათაური და აწერია ახალი „Ars Vivendi“ (ცხოვრების ხელოვნება). ამავე ავტოგრაფზე არის ჟოლოსფერი მეღწიით ნასწორები მესამე შრეც. ამჯერად ჩასწორებულია სულ ოთხი სიტყვა და მათ შორის, „სადმე კამჩატკა“ ჩანაცვლებულია სიტყვებით: „ის ირმიგალი“ და ამავე მეღწიით გადახაზულია თარიღი. იმის გამო, რომ ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში ავტოგრაფი ერთ წყაროდ აღიქმება და ყურადღება არ მახვილდება მის შრეებზე, სიტყვა „ირმიგალის“ მნიშვნელობასთან და მისი გამოყენების პერიოდთან დაკავშირებით კი არსებობს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, ეს სიტყვა გალაკტიონის შემოქმედებაში 1920-იანი წლებიდან ჩნდება<sup>1</sup>, მწერლის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის მეორე ტომში ავტოგრაფისეული თარიღი უგულვებელყოფილ იქნა და ლექსი დათარიღდა 1922 წლით. სავსებით ვიზიარებთ „ირმიგალთან“ დაკავშირებით ამ კვლევაში წარმოდგენილ ყველა არგუმენტს და მოსაზრებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მიღებული დასკვნები ამ კონკრეტული ლექსის გადათარიღების საფუძველს არ გვაძლევს, რადგან სიტყვა „ირმიგალი“ გვიანდელ შრეშია გამოყენებული და არა თავდაპირველში, ლექსის დაწერის დროსთან მიმართებით კი უნდა დავეყრდნოთ ავტოგრაფის პირველ შრეს.

ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს „მნათობში“. გალაკტიონ ტაბიძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ჟურნალის ერთ ნომერში ერთდროულად ასი ლექსის დაბეჭდვა და მათ შორის შეიტანა ეს ტექსტიც, სათაურით „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“. რამდენადაც ამ

---

<sup>1</sup> თეიმურაზ დოიაშვილი, „ირმიგალი“ – გალაკტიონ ტაბიძის ენიგმატური ლექსემა“, ჟ. „სჯანი“, 2018, N19, გვ. 14-23.

პუბლიკაციას პოეტი წარმოაჩენდა, როგორც თავის ახალ ლექსებს, საკუთარ წვლილს საბჭოთა პოეზიაში (1924 წელს მისი დაპატიმრების შემდეგ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეპრესიების თავიდან ასაცილებლად), ბუნებრივია, ის არ მიუთითებდა, რომ ლექსი საქართველოს გასაბჭოებამდე იყო დაწერილი. საგულისხმოა, რომ ამ ლექსის ავტოგრაფიც, ისევე, როგორც 24 ივლისს დაწერილი უსათაურო ლექსის („შუადღის სიცხეს არ უჩანს ბოლო...“) მეორე, უფრო გვიანდელი და სუფთა ავტოგრაფი, ნასწორებია ერთნაირი ჟოლოსფერი მელნით და ის უსათაურო ლექსიც, სათაურით „შუადღის გულმოდგინება“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ მნათობის იმავე ნომერში<sup>1</sup>. სავარაუდოდ, ამ ფერის მელნით ავტოგრაფებში შეტანილი სწორებები 1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ 100 ლექსის გამოქვეყნების წინა პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ჩნდება კითხვა, თუ გალაკტიონს ეს ორი ლექსი თბილისში ჩამოსვლამდე უკვე დაწერილი ჰქონდა, რატომ არ შეიტანა ისინი კრებულში „არტისტული ყვავილები“, რომელიც მალევე მიიტანა გამოსაცემად. ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ეს კრებული პოეტმა უკვე შედგენილი და გამომცემლობაში მისატანად გამზადებული ჩამოიტანა მოსკოვიდან („გალაკტიონი ბრუნდება საქართველოში, მას დასაბეჭდათ მზათ აქვს ახალი წიგნი<sup>2</sup>.“), ამ წიგნის კონცეფცია და სტრუქტურა კი ისეთი მთლიანი და შეკრულია, რომ საფიქრებელია, პოეტს აღარ სურვებოდა მისთვის რაიმეს დამატება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ლექსის ავტოგრაფთან მითითებული თარიღი „1918 ოდესა“ სავსებით დამაჯერებელი ჩანს. 1918 წელს გალაკტიონი მოსკოვიდან თბილისში ოდესისა და ბათუმის გავლით დაბრუნდა. უსათაურო ლექსს, რომელიც მოგვიანებით იბეჭდებოდა სათაურით „შუადღის გულმოდგინება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწერილი აქვს – „1918 წლის 24 ივლისი. ქ. ბათუმი“. შესაბამისად, მოსკოვიდან მომავალი პოეტი ბათუმში 24 ივლისს ან უფრო ადრე უნდა ჩასულიყო, ოდესიდან კი ორიოდე დღით ადრე მაინც უნდა გასულიყო, რომ დასახელებულ დროს ბათუმში მოხვედრილიყო. შესაბამისად, ლექსს ვათარიღებთ ასე: „1918, 22 ივლისი ან ადრე“. 1937 და 1959 წლის გამოცემებში ტექსტს თარიღად

---

<sup>1</sup> ქ. „მნათობი“, 1925, N10, გვ. 110.

<sup>2</sup> ავტობიოგრაფია 22




მითითებული აქვს „1916“, მაგრამ ეს გამოცემები დათარიღების თვალსაზრისით სრულიად არასანდოა.

◇ ლექსების დათარიღება შინაარსის მიხედვით იშვიათად ხერხდება, მაგრამ მაინც არის გამონაკლისი შემთხვევები. გალაკტიონის ლექსი „დაბადების დღე“ (გტცა №48, გვ. 1), შინაარსის მიხედვით, დაწერილი უნდა იყოს ავტორის მეოცე დაბადების დღეზე („მწარე ოცი წლის განმავლობაში...“), ანუ 1911 წლის 5 ნოემბერს, მაგრამ არის ერთი ასეთი გარემოება: თავის ავტობიოგრაფიებში პოეტი დაბადების თარიღად 1892 წელს მიუთითებდა, 1958 წლის 9 ივლისის ჩანაწერიდან კი ირკვევა, რომ მან წყნეთში შენახულ ძველ საბუთებში მიაკვლია 1908 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ გაცემულ ცნობას, რომლის მიხედვითაც ის დაიბადა არა 1892, არამედ 1891 წლის 5 ნოემბერს. ჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ასეთი ინფორმაცია მისთვის მოულოდნელი იყო. პოეტს არ ესიამოვნა ერთი წლით ადრე დაბერება და მარტივი გადაწყვეტილება მიიღო: „ეს მოწმობა უნდა იქნეს სულ მუდამ წყნეთში, და არასგზით - არასდროს - სხვაგან არ წაიღება.“ ეს ფაქტი მოწმობს, რომ საკუთარ დაბადების თარიღად მას 1892 წლის 5 ნოემბერი მიაჩნდა. ამას, ალბათ, ხელი შეუწყო იმან, რომ მისი დაბადების შესახებ ინფორმაცია 1892 წლის მეტრიკულ წიგნში იყო მოთავსებული. ჩანაწერები პირის დაბადებისა და ნათლობის შესახებ კეთდებოდა კონკრეტული წლის მეტრიკულ წიგნში. წელი გარეკანზე იყო ხოლმე მითითებული, შიგნით კი მხოლოდ თვე და რიცხვი აღინიშნებოდა. გალაკტიონ ტაბიძის მონაცემები შეტანილია 1892 წლის მეტრიკულ წიგნში, რადგან მისი ნათლობისას უკვე 1892 წელი იყო. დაბადების გრაფაში წერია 5 ნოემბერი, ნათლობისაში კი – 3 იანვარი. ბუნებრივია, აქერთი და იგივე წელი ვერ იქნება ნაგულისხმევი, რადგან ნებისმიერი წლის ნოემბერში დაბადებული ბავშვი იმავე წლის იანვარში ვერ მოინათლებოდა. მე-19 საუკუნის საქართველოში ბავშვებს დაბადებიდან 40 დღის შემდეგ ნათლავდნენ. აქედან გამომდინარე, ამ ჩანაწერს შეცდომასაც ვერ დავარქმევთ, რადგან მარტივი ლოგიკითაც კი ჩანს, რომ თუ 5 ნოემბერს დაბადებული ბავშვი



1892 წლის 3

იანვარს  
მოინათლა,  
დაბადების



წლად 1891 უნდა ვიგულისხმოთ და არა 1892. მიუხედავად ამ მარტივი ლოგიკისა, როგორც ჩანს, ამ ჩანაწერმა გარკვეული გაუგებრობა მანაც გამოიწვია. მეტრიკული ჩანაწერი სადღაც საბუთებში იყო შენახული და პოეტს 1958 წლის ივლისამდე თავადაც ეგონა, რომ 1892 წელს იყო დაბადებული. ამას მოწმობს, მაგალითად, 1948 წლის 17 მარტს მის მიერ შევსებული ანკეტაც, რომელშიც დაბადების წლად 1892 არის აღნიშნული<sup>1</sup>. შესაბამისად, ამ ლექსის დათარიღებისას ათვლის წერტილად უნდა ავიღოთ არა 1891, არამედ 1892 წლის 5 ნოემბერი და დავათარიღოთ 1912 წლის 5 ნოემბრით ან მომდევნო დღეებით.

♦ გალაკტიონ ტაბიძის მიერ თარგმნილი ვალერი ბრიუსოვის ლექსის Товарищам интеллигентам თარგმანი „ამხანაგ ინტელიგენტებს“ („ჯერ ისევ გუშინ შენ თავზე იდეე...“)<sup>2</sup> ზოგან 1918 ზოგან 1924 წლისად არის მიჩნეული. 1918 წელს თარგმანი ვერ შესრულდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ თავად ლექსი 1919 წლის თებერვალ-მარტში დაიწერა. მართალია, ბრიუსოვი 1924 წელს გარდაიცვალა, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ გალაკტიონმა მისი ეს ლექსი ავტორის გარდაცვალების შემდეგ თარგმნა და არა მანამდე. ამიტომ ყველაზე უტყუარად მივიჩნით ლექსის თარგმანის დათარიღება 1919 წლის მარტის შემდგომი პერიოდით. საგულისხმოა, რომ ავტოგრაფში<sup>3</sup>



<sup>1</sup> ქლმ, მკს N17-19, 21.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. II, 2005, გვ. 361.

<sup>3</sup> ქლმ, ა-2150.

იკვეთება ტექსტზე მუშაობის ოთხი შრე. ყველაზე ადრეული ღია იისფერი მელნით არის ნაწერი და შინაარსობრივად ზუსტად მიყვება ორიგინალის ტექსტს, მოიცავს ხუთ სტროფს და ერთ ტაეპს. ტექსტის ზემოთ პირველ ხაზზე წერია „ვალერი ბრიუსოვი“ (როგორც ავტორი) და მეორე ხაზზე – სათაური „ამხანაგ ინტელიგენტებს“, რაც ამკარად მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონს განზრახული ჰქონდა ამ ტექსტის თარგმნა. ვფიქრობთ, ავტორთან დიალოგში შესვლა და ლექსის ორიგინალურ ნაწარმოებად გადაკეთება უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ამიტომ ისიც სავსებით ლოგიკურია, რომ მეორე შრეში ავტორი მუქი იისფერი მელნით გადახაზავს ბრიუსოვის გვარსაც, მისი ლექსის სათაურსაც და აწერს: „**საფრთხოვებლა, ძეგლი ალექსანდრე მესამის, ოქტომბრის მოედანზე**“. ამ ეტაპზე მიმართვის ობიექტი ხდება არა ინტელიგენცია, არამედ, სავარაუდოდ, იმპერატორი ალექსანდრე მესამე<sup>1</sup> და იცვლება ხედვის კუთხეც. საუბარია არა უელსის, ჯეკ-ლონდონისა და ლერუს მიერ მოყოლილ „მომხიბლველ „ზღაპრებზე“, არამედ ბალმონტის, ბრიუსოვისა და ბელის „ძველ ზღაპრებზე“. საუბარია არა ევროპის („დაინგრეოდა ძველი ევროპა“), არამედ რუსეთის ნგრევაზე („დაინგრეოდა შენი რუსეთი!“). მესამე და მეოთხე შრეთაგან ერთი წითელი მელნით არის შესრულებული, მეორე კი გრაფიტის ფანქრით. რამდენადაც ეს ორი შრე არსად არ იკვეთება, ვერ ვადგენთ მათ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, მაგრამ ორივე ეტაპი ერთ მიზანს ემსახურება, თარგმანის საბოლოოდ გარდაქმნას ორიგინალურ ნაწარმოებად. წითელი მელნით ნასწორებია პირველი სტროფი, ფანქრით კი გადახაზულია მეორე და მეოთხე სტროფები და, ფაქტობრივად, ვალერი ბრიუსოვის ტექსტიდან უცვლელი სახით რჩება მხოლოდ მეხუთე სტროფი და ერთი ტაეპი<sup>2</sup>. ბრიუსოვის (გარდ. 1924) ხსენება კონსტანტინ ბალმონტისა (გარდ. 1942) და ანდრეი ბელის (გარდ. 1934) გვერდით და კონტექსტი მიგვანიშნებს, რომ ლექსი მის

---

<sup>1</sup> თემურ დოიაშვილი, ქართული პოსტსიმბოლისტური პოეზიის ისტორიიდან (გალაკტიონი და ვალერი ბრიუსოვი), წიგნში „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“, თბილისი, 2016, გვ. 193

<sup>2</sup> თემურ დოიაშვილი, ქართული პოსტსიმბოლისტური პოეზიის ისტორიიდან (გალაკტიონი და ვალერი ბრიუსოვი), წიგნში „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“, თბილისი, 2016, გვ. 192.

სიცოცხლეში უნდა იყოს გადაკეთებული. შესაბამისად, ვათარიღებთ მის გარდაცვალებამდე, 1924 წლის 9 ოქტომბრამდე პერიოდით.

◇ ლექსების დაწერის ზედა ზღვრის განსასაზღვრად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გალაკტიონ ტაბიძის მიერ შედგენილ ნუსხებს და თუ ეს ნუსხები თავად არ არის თარიღიანი, მნიშვნელოვანია მათი დათარიღება. მწერლის მიერ 1909 წლის აგვისტოთი დათარიღებულ ნუსხაში (გტცა №13, გვ. 1) არის შეტანილი და, შესაბამისად, ამ თარიღზე გვიან ვერ დაიწერებოდა ლექსები: „ჩემს იას“ (ვუძღვნი N-ს), „ჩვენება“, „მიშფოთავს სული... შავბნელ წყვდიადის...“, „მახსოვს, ვიდექი გარინდებული“, „ტყვილა ვემებდი მე შენს ალერსს“, ნაწყვეტი (კ. ტეტმაიერიდან), „სუმბული“, „სიმღერა“, „ოცნება“, „მწვავე გენია“ (ლამარტინიდან), „ჩამოკრეს ზარი“, „სდუმს არე-მარე.. ზეციდან მთვარე..“, „არ [გალხენს] სულო“, „სიცოცხლე და სიკვდილი“, „გვირგვინი“, „მუხამბაზი“, „შემოდგომა“, „სადამო შემოდგომისა“, „ღრუბელი“, „გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი“, „ჰე, გონდოლიერო!..“, „ნაპოლეონი“, „ბრბო უმეცარი შეუგნებელი“, „რა თბილი დღეა..“, „კოლხიდა“, „პოეტი“, „მაღალი წრის კაცი“ და პოემა „საბედისწერო ფიქრ[ი].

◇ პოეტის მიერ შედგენილი მეორე ნუსხა, რომელშიც მისი 211 ლექსია შეტანილი (გტცა, №196, გვ. 27-35), უთარიღოა, მაგრამ, რამდენადაც რვეულში ამ ნუსხის შემდეგ არის ლექსის „ზაფხულის ღამე“ (იგივე „გაზაფხულის ღამე“) შავი ავტოგრაფი, რომელიც 1910 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნდა, საშუალება გვძლევს, რომ ნუსხაში შემავალი ის 190 ლექსი, რომლებიც 1909 წლის სიაში არ შედიოდა, 1910 წლის 5 სექტემბრამდე პერიოდით დავათარიღოთ. ეს ლექსებია: „ტოროლამ ცისკენ გაინავარდა“, ნაწყვეტი იბსენის „ბრანდიდან“, „ღამის კაეშანს“ (მელოდია), „ჰიმნი“ (ჰე, ცაო, ცაო!), „მე ვსწერ.. ფიქრი და ნაღველი“, „ოჰ, თუ ზეცაშიც ნაზ სულს შვება არ ეღირსება“, „თვითმკვლელთ ყვავილი“, „სადამო“ („დისკო გადახრით დასავლეთით...“), „ქართველი ქალი“ (პოემა), „მეზღვაურის სიმღერა“ („მიჰქრის ნავი.. მივატოვეთ), „ოჰ, ქარიშხალო.. მე გაზაფხულზე..“, „ბოროტი სული“, „მზეს შევნატროდით (სასაფლაოზე), „ვისაც ცხოვრების უსამართლობამ“, „ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა“, „გაზაფხულის მზეს შესთამაშებს შენი არსება“ (მელოდია), „მელოდია“ („ნელი ნიავი ატოკებს...“), „შუალამისას“ („მუზას ვეძახდი

გადაკარგულს...“), „ჰეინედან“ (გავიქცეთ, სატროფოვ), „ჰეინედან (ციდან რისხვით მოგზავნილმა), „ფიჭვი მათ საფლავს“ (ჰეინედან), „ჰეინედან“ (პატიმრის სიმღერა), „ლოყით მომეპყარ ჩემსა ლოყაზე“ (ჰეინედან), „ჰეინედან“ (სამხრეთის მთათა პიტალო წვერზე), „ჰეინედან“ (მე დამესიზმრა ხელმწიფის ქალი), „ჰეინედან“ (მარტოდ და ოზლად, შორს, მინდორ-სოფლად), „ის აჟღერებდა ნაღვლიან სიმებს“, „ელენეს“ (ნაძვი გულ-საკლავ), „ოჰ, რა წარმტაცად, ტკბილად და ნაზად“, „ოჰ, ფერი.. მიყვარს შენი წარმტაცი“, „მშვიდობით“, „საფლავეზე“ („საფლავო, ოზლად მიტოვებულ...“), „ნუ თუ ის ჩრდილი, რომელიც მზეზე (მელოდია), „ჩემს ზევით ზეცა მხიარულობდა“ (მელოდია), „ქანცმილეული, ღონემიხდილი, ჩრდილად ქცეული“ (მელოდია), „დეე დამწველმა, სევდა-ნაღველმა საბედისწეროდ გაშაღონ ფრთები“, „ტურფავ, მომიახლოვდი, ნუთუ არ გაგონდები?“, „ნუღარ მაჩვენებ მხიარულ სახეს“, „განთიადი“ („აგერ ჩანელდა ცისა ტატნობზე...“), „სამი ხმა“ (1. საფლავეზე ვნახე, 2. ჰანგი ისმის 3. დღეს სასაფლაოს), „მსახიობ ქალს“ („ფარდა ახადეს.. სიჩუმეა..), „ნაპოლეონი“ („მე უკვდავი ვარ...“), „ნათელი სხივი განთიადისა ტყვილა ველოდი“, „დავასაფლავეთ“ („მშვიდი ღამეა ნიავი ნელი...“), „ალბომში შუტუს“ („ახ... მეც მიინდა, რომ ამ აცმად), „მსახიობ ქალს“ („როცა ფიქრებით დატყვევებული...“), „დემონის ხსოვნას“ („წაკითხული დემონის გასვ...“), „მწუხარება“, „ამონაკვნესი“ („ბრბო უმეცარი ჩემს სიმღერას...“), „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი..“, „სიმი შეირხა, ათრთოლდა ჩანგი“ („მგოსნის საფლავი...“), „რისთვის აენტო აღმოსავლეთი“, „სიმღერა“ („ჩემგან შორს მყოფს, გადახვეწილს...“), „მაისის ღამე“ („წარმტაცად ფშვენს...“), „ბრძოლაში ვეძებ“, „ნუ, ქარიშხალო, ნუ შემობრალებ“, „მგოსნის ანდერძი“ (დემონის ხსოვნას), „გაზაფხულდება?! (ჩემო კარგო, როდი მიინდა), „ი. ევლოშვილს“ (მგზავრო, ნუ ფიქრობ უბედობაზე), „სიმღერა“ („უფსკრულის პირს გაშლილიყო...“), „ალბომში“ („ოჰ, მეგობარო, შენს ალბომში მთელი ზღვა დრტვინავს, იქ ნაღვლიანი, შავფრთიანი დემონი ფრინავს...“), „გემი“ („საბრალო გემი უცებ კლდეზე გადაეჯახა...“), „გინახავთ ზევ, შავის ღრუბლებით“, „ნანინა..“ („იძინე ყრმაო უმფოთველად...“), „გაზაფხულის ყვავილები“ („ათას ფერად მოქარგული...“), „ვარდი მისთვის გადიშლება“, „პოეზია“ („კვნესა გასაჭირს არ შევუკრთები...“), „სახალწლო ფიქრი“ („კვლავ მარტოდ მარტო...“), „ცხოვრებასთან“ („დეე შავ-ბნელმა...“), „ქართული

მელოდია“ („ტყის სიღრმეში ღამ-ღამობით ნუ დადიხარ...“), „მუზა“ (შუალამისას მუზა {...}, „რისთვის?“ („სევდიანი და დაღვრემილი...“), „საფლავი“ („ნაზი პეპელა თავს დასციმციმებს...“), „პოეტი მარად თავისუფალი თავისუფლების მორევში დაჰქრის“, „ნინოს“, „სიმღერა“ („ცა ღრუბლით შებურვილია, ჩრდილოეთიდან ქრის ქარი...“), „მთა და ღრუბელი“ (იგავ-არაკი), „შუალამის ჟამი გაბრწყინებული“ (თავისუფლება), „მსურს კვლავ ახალი ვიწყო ცხოვრება!..“, „ჩამოკრა სიმებს და სევდიან ხმებს“, „მარტოობაში“ („ვემებდი ერთხელ მიგუახლოვდი...“), „სარკმელთან ვზივარ ცის ყვავილები...“, „მე შენს სამარეს, მშვიდს და მდუმარეს“, „მეგობარს“ („ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ ან რას მოელი...“), „ნუ მეუბნებით, რომ ის არ სცოცხლობს“, „მე მსურს“ („როცა ოცნება მომავლისკენ...“), „ლურჯი ჩიტი“, „სიმღერა“ („ბინდი ღამისა ჰქრება ისე, ვით მოჩვენება...“), „პოეტს“ („შენს სიმთა ჟღერას...“), „მამულიშვილო“ („მამულიშვილო, სამშობლო მხარე დიდი ხანია განსაცდ...“), „დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს, შავს მოჩვენებას...“, „შემოდგომისა ქარიშხალი დაძრწის, ზუზუნებს“, „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი“, „ნათელი დღისა, სევდა ღამისა“, „აჰა, ეს გული, აჰა, სიცოცხლეც“, „დავასაფლავეთ“ („ნაზი ყვავილი ობოლ საფლავსა...“), „ყვავილის გულზე ნამი თრთის“, „მზეო, როდესაც შენი სხივი მომხედება გულზე“, „მიყვარს, როცა ყვავილებით იმოსება არემარე“, „მგოსანი და ყაყაჩო“. „იასამანი“, „უთხარი“, „ღამის ფიქრები“ („მთვარე კაშკაშებს, მომხიბლავ ჰანგებს...“), „ატომთ გუნდი, მხიარული ცის კამარას ოდნავ ხაზავს“, „გამომეცხადე!“, „ექსპრომტი“, „ყაყაჩო“ („მითხარ ნამი გაზაფხულზე...“), „ნამი“ („რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე...“), „ნიაღვარი“ („როცა მზე მწვერვალს...“), „არწივი და სიყვარული“, „კორდიდან“ („სძინავს ღრმა ძილით მოქანცულ სოფელს...“), „ბიბლიურ ჰანგზე“ („ვიყავ მდიდარი, ვიყავი მწვრთნელი...“), „ია“ („მზის სხივს ელოდა, ცელქობდა, თრთოდა...“), „ყვავილები“ („ყვავილებისგან ვსწნავდი გვირგვინებს...“), „სააღდგომო ეპიგრამები“, „მე ვწერდი წყნარად ციურ ფრთებით ზეშთაგონება“, „ვფიცავ ცის ღმერთებს, ჩემში არ არი“. „გოდება“ („სადაც მარადჟამ ზღვის ციმციმ-კამკამს...“), „ალბომში“ („წუთთა შვენება თანდათან ჰქრება...“), „ენა“ („მე ყურს ვუგდებდი ბუნებისას იდუმალ ჩურჩულს...“), „ველი განთიადს, ველი მზის სხივებს“, „ერთ კოცნას ვსთხოვდი“, „მე მინდა შენი ნაზი ღიმილი“, „როცა ცის სივრცეს

მიმოებნევა“, „სიყვარული“ (ფანტაზია), „მგოსნის სიტყვებზე“, „მეგობარს“ („ისევ ის სევდა, ისევ კვნესა...“), „რომანსები“ („წყნარად მისცურავს ნარნარი მთვარე...“), „მისთვის მიყვარს“, „ამური“ („ასულო ტურფავ...“), „ქანდაკება“, „ქებათა ქება“, „პოეტს“ („და თუ კიდევ სულის სიღრმეს...“), „საათი“ (სატირა), „რითმები“, „ხმა ჩაიკმიდეთ, ვერაგებო!“, „წყვედიანი ფარავს დაფენილს სოფელს“, „ფანტაზია“ („ოცნება ტკბილი და ნეტარება...“), „არ ვნაღვლო ტურფავ“, „ზეცას გულდახშულს მე არ ვთხოვ შველას“, „გაზაფხულის მოტივები“, „ქარიშხალი“, „როცა სხვის საფლავს მე ვაცქერდები“, „ჭალადიდელის ხსოვნას“, „ჯვარი“, „სალამო“, „ოჰ, მეგობრებო, თქვენ არ იცით, რარიგ მსურს ბრძოლა...“, „შენი შვენება და სინარნარე“, „ოჰ, გევედრები, თუ კვლავ პატივს სცემ“, „პოეტი და მწუხარება“, „კოლხიდა“ („იქ ნაკადული მთის კალთიდან...“), „მოგონებებში გადაფრენილი“, „დემონი“ („შუადამისას ცის კალთებზე...“), „ახ, რისთვის მიყვარს ეგ სავსე ღამე...“, „ახალ ტალღას“, „გაზაფხულია.. მაისია“ („მგზნებარ სიმებს აციმციმებს...“), „ჩემო მადონნავ“, „რომანსი“ („მრავალთა დღეთა შავ-ბნელ წყვედიადში...“), „ღამის საიდუმლონი“, „ზამთრის საღამო“, „ფარვანა“, „ნუ მღერი“, „მაისის ღამე“ („არ იძვრის ქარი...“), „სქელი ღრუბელი“, „მთვარე კაშკაშებს“, „ვითარცა გედი“, „როცა ბულბული განთიადისას“, „რომანსი“, „ღამე“, „ნიავი“, „მომაკვდავი“, „ფიქრი“, „ვარდი კოკობი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „სასაფლაოზე“, „მწუხარება“, „პოეზია“, „მსახიობის დღიურიდან“, „მხოლოდ ბუნება“, „დემონი“, „კედლები“, „მხოლოდ შენ“ (დღიურიდან), „გაზაფხულია“, „სალამო“ (იდილია) „განცხრა დასავლით დღისა...“, „დატანჯულს და განაწვალებს საით აღვზნებ“, „შემოლილი“, „თვალეზი“. ნუსხაში 1909 წლის სიიდან მეორდება 21 ლექსი: „ჩვენება“, „მიშფოთავს სული შავ-ბნელ წყვედიადს“, „მახსოვს, ვიდექი გარინდებული“, „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს, შენსა სიყვარულს“, „ნაწყვეტი“ (კ. ტეტმაიერიდან), „სუმბული“ (ბუჩქის ძირს ფრთხილად გარინდული), „ოცნება“ (გადავფრინდები უცხო მხრეში), „ბოროტი გენია“ / „მწვავე გენია“ (ლამარტინიდან), „ჩამოკრეს ზარი, აი, კიდევ მოასვენებენ“, „არ გალხენს სულო“, „სიცოცხლე და სიკვდილი“ (მახსოვს ბილიკზედ), „გვირგვინი“, „მუხამბაზი“, „შემოდგომა“ (ვუძღვნი ...ს), „სალამო შემოდგომისა“, „ღრუბელი“ (ახ ნუ დაახშობ მზის სხივებს), „გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი, ჩემი ნატვრა“, „ჰე, გონდოლიერ..“.

„ნაპოლეონი“ (სიჩუმე არის დაურღვეველი), „ბრბო უმეცარი, შეუგნებელი [თრთოლით] თავს უხრის“, „კოლხიდა“ (იქ, სადაც მთები დარაჯად უდგან), „პოეტი“ („ეს ის ქნარია...“) და „მაღალი წრის კაცი“.

◇ ლექსის „მთვარე“ („ალვის ხეები შვილდისარს ხრიან...“) ავტოგრაფს<sup>1</sup> თარიღად მიწერილი აქვს 1918, მაგრამ ამ წლის სისწორეში დაეჭვების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ თარიღის ბოლო ციფრი გადაკეთებულია. ეს რომ ლექსის წერის რეალური დრო ყოფილიყო, ნაკლებ მოსალოდნელი იქნებოდა ასეთი შეცდომა. ბევრად უფრო საფიქრებელია, რომ ნაწარმოების შექმნის დროის ფალსკიფიკაციისას პოეტს ჯერ წლის ერთი ვერსია მიეწერა და შემდეგ მეორედ გადაეკეთებინა (სავარაუდოდ, 1917 წელი 1918-ად). საგულისხმოა ისიც, რომ ამავე გვერდზე არის 1920-იან წლებში დაწერილი ლექსების ავტოგრაფები. შესაბამისად, ავტოგრაფის ამ თარიღს ვერ ვენდობით და ტექსტს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

◇ 1913 წლის 2 აგვისტოს გაზეთ „განთიადში“, ავგუსტ ბებელის პორტრეტის ქვეშ გამოქვეყნდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსი „ირგვლივ, გარშემო...“<sup>2</sup>. გიგლა მებუკის ინფორმაციით<sup>3</sup> ამ ლექსის დაწერა გალაკტიონ ტაბიძეს გაზეთ „განთიადის“ რედაქციამ სთხოვა. ლექსის დათარიღებასთან დაკავშირებით გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ უცხოური წყაროების მიხედვით, ავგუსტ ბებელი გარდაიცვალა 1913 წლის 13 აგვისტოს და როგორ შეძლებდა ქართველი პოეტი მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსის დაწერას და გამოქვეყნებას მის გარდაცვალებამდე. საქმე ისაა, რომ შვეიცარია იმ დროს უკვე ახალ კალენდარულ სტილზე იყო გადასული და ბებელის გარდაცვალების დღეს ჩვენთან ჯერ კიდევ 31 ივლისი იყო. რამდენადაც საქართველოში ეს ინფორმაცია მხოლოდ 14 ანუ 1 აგვისტოს გახდებოდა ცნობილი, ლექსი კი 2 აგვისტოს უკვე გამოქვეყნებული იყო, პოეტს იგი 1 აგვისტოს ან 2-ში რედაქციაშივე უნდა დაეწერა.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 4232.

<sup>2</sup> გაზ. „განთიადი“, 1913, №2, გვ. 1.

<sup>3</sup> გიგლა მებუკე, „ჩანაწერები გალაკტიონ ტაბიძეზე“, თბ., 1982.



◇ გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსს „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი...“<sup>1</sup>, რომელიც ასევე ცნობილია სათაურით „ოფორტი“, დაწერის ადგილად მითითებული აქვს „პეტერბურგი“. რამდენადაც 1918 წლით დათარიღებული ლექსის „ათოვდა ზამთრის ბაღებს“<sup>2</sup> ალტერნატიული სათაურიდან „ათოვდა ზამთრის სასახლის ბაღებს“ ჩანს, რომ ისიც პეტერბურგშია დაწერილი, ამ ლექსსაც ვათარიღებთ 1918 წლის ზამთრით – იანვარ-თებერვლით. გაზეთის „პოეზიის დღე“ 1922 წლის პუბლიკაციასთან მიწერილი თარიღი „1915“ სწორი ვერ იქნება, რადგან ამ წელს გალაკტიონი პეტერბურგში არ ყოფილა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა 1937 და 1959 წლების გამოცემებში ლექსი „თოვლი“<sup>3</sup> დათარიღებულია 1916 წლით, მაგრამ ეს გამოცემები დათარიღების თვალსაზრისით სრულიად არასანდოა. ამ ლექსთან დაკავშირებით ბევრად უფრო სარწმუნოა გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 8 ოქტომბრის პუბლიკაცია<sup>4</sup>, რომელშიც ნათქვამია, რომ ლექსი „თოვლი“ გალაკტიონმა წაიკითხა იმავე წლის 5 ოქტომბერს გამართულ თავის საღამოზე. შესაბამისად, ლექსი 1918 წლის 5 ოქტომბრამდე უნდა დაწერილიყო.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი თოვლი“ ავტოგრაფზე<sup>5</sup> აღბეჭდილია ტექსტზე მუშაობის ორი შრე, რომლებსაც შეიძლება ერთმანეთისგან წლები აშორებდეს. ქვედა შრე ნაწერია წითელი მელნით, ზედა კი გრაფიტის ფანქრით. პირველი შრის ტექსტის სათაური იყო „პირველი თოვლი“ და მასში საუბარი იყო ტერენტი გრანელზე. ფრაზა „ქალები, როცა მას შენატრიან... რა არის მისი ახალი ტემა?“ მიგვანიშნებს, რომ ის უკვე პოპულარული პოეტი უნდა იყოს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ლექსის ეს ვარიანტი 1920 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამ დროიდან იკვეთება გალაკტიონ ტაბიძესთან მისი ურთიერთობაც. რაც შეეხება ძველი სათაურის გადახაზვას, მის შეცვლას ახლით „უბინაო ბავშვები“ და ტექსტის რედაქტირებას, ეს უნდა მომხდარიყო ჟურნალ „მნათობში“ მის გამოქვეყნებამდე და

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 2016, გვ.22.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. II, თბ., 2016, გვ. 77.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 2016, გვ. 61.

<sup>4</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, 8 ოქტ., №352, გვ. 3.

<sup>5</sup> ავტოგრაფი ქლმ, №2328; გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 2016, გვ. 149.

შესაბამისად, ვათარილებთ 1925 წლის 10 ნოემბრამდე პერიოდით. ასევე ვათარილებთ ჟურნალ „მნათობის“ 1925 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ იმ ლექსებსაც, რომელთა დაწერის ზუსტი დროის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

◇ ლექსის „ცხის ნანგრევებთან“<sup>1</sup> დაწერის დროსთან დაკავშირებით ორგვარი აზრია გამოთქმული. თხზულებათა თორმეტტომეულში იგი 1916 წელს მოსკოვში გამგზავრების წინ დაწერილად არის მიჩნეული, თხუთმეტტომეულის მესამე ტომში კი – უფრო გვიანდელად. რამდენადაც პოეტის განწყობა პირდაპირ ეხმიანება არა მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან და რიონთან გამომშვიდობებას, არამედ კავკასიონთანაც და სამშობლოსთან, ვფიქრობთ, იგი მართლაც მოსკოვში გამგზავრების წინ უნდა იყოს დაწერილი და მოგვიანებით გარედაქტირებული. ამიტომ ლექსის დაწერის თარიღად ვიღებთ 1916 წლის თებერვლამდე პერიოდს, გარედაქტირების დროდ, კი პერიოდს მის პირველ პუბლიკაციამდე 1927 წლის 24 იანვრამდე.

◇ გალაკტიონისთვის 1926 წლის 10 აგვისტოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მიცემული ხელწერილიდან ჩანს, რომ პოეტს წიგნი უკვე გადაცემული აქვს და იწყება მისი ზარნიშიანი წიგნის ბეჭდვა<sup>2</sup>. შესაბამისად, ამ წიგნში შეტანილი ყველა ლექსი 1926 წლის 10 აგვისტომდეა დაწერილი.

◇ ზარნიშიან წიგნში გამოსაქვეყნებლად მიტანილი შვიდი ლექსი: „ავჭალას იქით“, „ზაჰესთან“, „მცხეთამდე“, „მცხეთიდან“, „რამშვენიერი მინდვრებია“, „გავცდით ხანდაკს“ და „გორიდან“<sup>3</sup> თბილისიდან გორამდე იმავე მგზავრობას ასახავს, რომელიც აღწერილია დღიურებში<sup>4</sup>. როგორც ლექსის „მცხეთიდან“, ისე დღიურის ტექსტიდან („ხვალ იქნება დიდი მცხეთობა“, „ხვალ სვეტიცხოვლობა“) ჩანს, რომ ეს მგზავრობა ხდება მცხეთობის ანუ სვეტიცხოვლობის წინა დღეს, 13 ოქტომბერს. გასარკვევი დაგვრჩა წელი. რამდენადაც დღიურში ნახსენებია, რომ ახალგაზრდა ქალი კითხულობს „ჯაყოს ხიზნებს“, ის კი წიგნად პირველად 1925 წელს

<sup>1</sup> ავტოგრაფი ქლმ, №6450-6467; გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 2016, გვ. 172.

<sup>2</sup> გტცა, №188, გვ. 1.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, ლექსები, ტფ., 1927, გვ. 66-71.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2006, გვ. 511-513.

გამოვიდა, ეს ლექსები და ჩანაწერები 1925 წელზე ადრეული ვერ იქნება. ფრაზა „კათალიკოსი“, „ნესტორი წაბრძანდა“, რომელსაც მატარებელში მყოფი სასულიერო პირები ამბობენ, უნდა ეხებოდეს ეპისკოპოს ნესტორ ყუბანეიშვილს, რომელიც 1926 წელს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიიდან გადავიდა ჭყონდიდის (სამეგრელო-იმერეთი) ეპარქიაში. მისი და პატრიარქის გვერდიგვერდ მოხსენიება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სწორედ 1926 წლის დეკემბერში ნესტორი მონაწილეობდა ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ ქუთაისში გამართულ საეკლესიო კრებაში, შესაძლოა, გულისხმობდეს მის დაპირისპირებას კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან. შესაბამისად, ეს ჩანაწერები 1926 წლის 13 ოქტომბერს უნდა იყოს გაკეთებული, ხოლო რამდენადაც შვიდი ლექსის გამართვას გარკვეული დრო დასჭირდებოდა, მათ ვათარილებთ 13 ოქტომბრითა და შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის „**ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა...**“<sup>1</sup> და „**ალვის ხე**“<sup>2</sup> ავტოგრაფებთან და ლექსის „თეთრი ლანდებით“ პირველ პუბლიკაციასთან<sup>3</sup> მითითებულია, რომ ისინი დაიწერა წალვერში. დედისა და ძმისადმი პოეტის მიერ 1915 წლის 2 ივლისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იგი იმავე წლის 24 ივნისს გაემგზავრა ბაკურიანში, საიდანაც ხშირად დადიოდა წალვერში. ბუნებრივია, გალაკტიონი წალვერში სხვა დროსაც მოხვდებოდა, მაგრამ, რამდენადაც ზემოხსენებული სამივე ლექსი 1916 წლის 18 თებერვალს უკვე გამოქვეყნებული იყო კრებულში „სხივი“, ისინი სწორედ 1915 წლის 24 ივნისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის ლექსში „**ლოცვა**“ („კახორის მთაზე მოსჩანს ნანგრევი...“)<sup>4</sup> საუბარია კახორის მთასა და იქ მდებარე ეკლესიაზე. მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე კახორის მთაზე იყო თამარ მეფის დროს აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი ქლმ, № 6552; გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. II, თბ., 2016, გვ. 90.

<sup>2</sup> ავტოგრაფი ქლმ, №5390; გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. II, თბ., 2016, გვ. 70.

<sup>3</sup> კრ. „სხივი“, 1916, გვ. 84. გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. II, თბ., 2016, გვ. 15.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, №199, გვ. 4.

მშენებლობაშიც მოსახლეობას თავად შეუტანია წვლილი. ხალხი გრძელ რიგად ყოფილა გამწვრივებული და ერთმანეთს აწვდიდა საამშენებლო ქვებს. ამ ეკლესიის ნახვა ყველაზე დიდი ალბათობით გალაკტიონს შეეძლო სოფელ ფარცხნალში მასწავლებლად მუშაობის დროს და რამდენადაც იქ სამსახური 1910 წლის 22 ოქტომბერს დაიწყო, ლექსი ამ დროის შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ.

◇ ლექსი „სიცოცხლის ახლო“ გადათეთრებულია იმ ლექსებთან ერთად, რომლებიც გამოქვეყნდა 1914 წლის ივნისში<sup>1</sup>. ხელნაწერში იმ ორი ლექსის სათაურის გასწვრივ, რომლებიც ამ კრებულში არ დაბეჭდილა, ფანქრით პატარა წრეებია შემოვლებული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს ლექსიც კრებულის გამოქვეყნებამდე იყო დაწერილი და მასში დასაბეჭდად გადათეთრებული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში დაცულია პოემის „სახედისწერო ფიქრი“ ავტოგრაფი<sup>2</sup>. რამდენადაც ეს პოემა ავტორს ნახსენები აქვს 1909 წლის აგვისტოში შედგენილ ნუსხაში<sup>3</sup>, პოემის პირველი ვარიანტი ან ნაწილი მაინც ამ დრომდე უნდა ჰქონოდა დაწერილი, მაგრამ, რამდენადაც პოემის ავტოგრაფი, რომელშიც 17 თავია წარმოდგენილი, ძლიერ ნასწორებია, ვერ ვიტყვით, რომ 1909 წლის აგვისტოში ნაწარმოებზე მუშაობა დასრულებული ჰქონდა. იმ რვეულის ბოლო გვერდზე, რომელშიც არის ამ პოემის ავტოგრაფი ნახსენებია იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება „საქართველოს მწუხარება“, რომელიც ილია ჭავჭავაძის საფლავზე 1913 წლის 5 მაისს გაიხსნა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ პოემის ეს ვარიანტი ამ თარიღზე ადრე არ უნდა იყოს დაწერილი. ამავე პერიოდით ვათარიღებთ იმავე რვეულში პოემის ბოლოს ლექსს „რომლის თავდაპირველი სათაური იყო „წამების ჯვარი“ და სიტყვათა განმარტებებს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში დაცული ლექსების: „ფრთხილად, ფრთხილად, არ შემეხოთ...“, „არასდროს ისე არ მენატრება...“ და „სთვლემს ტყის ნაპირი...“ ავტოგრაფები მოთავსებულია იმავე ფურცელზე, რომელზეც არის განცხადება 1912

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა №48, გვ. 1.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, №199, გვ. 3, 5, 7, 9, 11, 13-16, 18-22.

<sup>3</sup> ჩანაწერი, გტცა №13, გვ. 1.

წლის 6 მაისის ლიტერატურული საღამოს შესახებ. შესაბამისად, ისინიც ამ თარიღზე ადრე უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში დაცულ ერთ საერთო რვეულში ჩაწერილი ჰენრიკ იბსენის პიესის „ბრანდი“ თარგმანის დასაწყისი<sup>1</sup> 1910 წლის 18 აპრილს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გალაკტიონი თარგმნიდა ამ ნაწარმოებს, ამ თარიღამდე პერიოდით დავათარიღეთ. ამის მიხედვით, ასევე 18 აპრილამდე დაწერილად მივიჩნით იმავე ფურცელზე დაწერილი ლექსები: „ახ, რა რიგ შევსცდი...“, „მზე“ („მზე სხივებად იფანტება...“), „რად შემიყვარდა“, „ბუჩქს ქვეშ“, „მესიზმრება“, „მადონა“ და „ღეზღემონა“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში დაცული პოემის „ბუნების შვილი“ („ოჰ, მეგობარო, არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება...“<sup>2</sup>) ბოლოს იკითხება, რომ იგი დაწერილია 9 მაისის ღამის 2 საათიდან 10 მაისის დღის 11 საათამდე, მაგრამ წელი მითითებული არ არის<sup>3</sup>. რვეულში ამ ტექსტიდან არაერთი ფურცლის შემდეგ ჩაწერილია 1910 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნებული ლექსის „ზაფხულის ღამე“ შავი ავტოგრაფი. შესაბამისად, პოემა, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 9-10 მაისს. მართალია, გვაქვს შემთხვევები, რომ გალაკტიონის უბის წიგნაკებსა და რვეულებში ერთმანეთისგან წლებით დამორებული ჩანაწერებიც გვხვდება, მაგრამ ამ რვეულში ძირითადად 1910 წლის ნაწერებია.

◇ ციფრულ არქივში ლექსების „პოეტი“ („ღამეა... ნისლი თავზე დასცქერის...“) და „სუსტო ფოთოლო“<sup>4</sup> შავი, ძალზე ნასწორები ვარიანტები იმავე ფურცლის ვერსოზე წერია, რომლის რექტოზეც არის 1910 წლის 3 სექტემბერს დაწერილი ლექსის „სიმღერა“ გადათეთრებული ტექსტი. შესაბამისად, ეს ლექსები 1910 წლის 3 სექტემბრის ან შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

◇ ცალხაზიან ხელნაწერ რვეულში 54-ე გვერდზე ჩაწერილია შავი ავტოგრაფი ლექსისა „ზაფხულის ღამე“, რომელიც 1910 წლის 5 სექტემბერს უკვე გამოქვეყნებული იყო. შესაბამისად, ამავე ფურცელზე

---

<sup>1</sup> გტცა, №196, გვ. 25.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №196, გვ. 8-15.

<sup>3</sup> გტცა, №196, გვ. 9-23.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა, №142, გვ. 1.

და მის წინ მოთავსებული ყველა ტექსტი 1910 წლის 5 სექტემბრამდე პერიოდით დავათარილეთ. მათ შორისაა: მოთხრობა „**ნია სარკმლიდან**“, პოემა „**ცივს სამარესთან**“ („მხოლოდ წამებას, კიცხვას ველოდი...“), პიესა, რომლის მოქმედი პირები არიან ნინო და მსახური ქალი, პიესა სათაურით „**სარეცელთან**“ („ის დღეს ჯვარს იწერს, ის ვინც მე მიყვარს...“), რომანის დასაწყისი სათაურით „**მომავლის შხამი**“, რითმების მაგალითები, ლექსები: „**ცელქო ნაკადო!**“ „**მზე**“ („მზე სხივებად იფანტება...“), „**ალავერდი**“ („გაჰქრა ბრძოლა და იმედი...“), „**რად შემიყვარდა**“, „**შემოდგომა**“ („ოჰ ჩუმად, ჩუმად დამაცა...“), „**ყვითელი ფოთოლი**“ („ბავშვი ვიყავი, ყვითელ ფოთოლს მეძახოდენ მე...“), „**რა, მარტოობა**“ („მარტოდ მარტო ვარ...“), „**მოგონება**“ („ღამეა, უხვად გაბრწყინებული...“), „**ელიკოს**“ („მესიზმრება სადმე ჩემს ჰანგს...“), „**შენ დამესიზმრე**“ („შენ დამესიზმრე, ვითომ ბურუსში...“), „**სამშობლო**“ („უცხო ღიმილი მაგ შენს სახეზე...“) „**წვიმის წვეთები**“ („წვეთმა სთქვა ტიალ მინდორზე...“) და „**ფოთოლი**“ („ქარიშხალს, გრძნეულს, საზარს იჭვნეულს...“)<sup>1</sup>.

◇ უსათაურო ლექსი „**შორს მოჩანს მიწა აზვირთებული...**“<sup>2</sup> დაწერილია იმ ფურცლის მეორე მხარეს, რომელზეც არის 1910 წლის 27 ოქტომბერს გამოქვეყნებული ლექსის „ტყეში“<sup>3</sup> ადრეული ვერსია. შესაბამისად, ისიც ამ თარიღამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ თეიმურაზ ჯანგულაშვილის მოგონებაში მოხმობილია გალაკტიონის ექსპრომტი, მიძღვნილი მწერალთა კავშირის ბულალტრის, სიმონ კახიანისადმი<sup>4</sup>:

„თქვენს კეთილ ხელში, ბატონო სიმონ,  
მთვარის სიმებმაც უნდა ისიმონ“.

ექსპრომტის წელი მითითებული არ არის, მაგრამ მწერლის არქივში დაცულია ამავე რითმებზე აგებული კიდევ ერთი მსგავსი ექსპრომტი სათაურით „სიმონს“:

თუ ჩანგს სიმი არ აქვს, სიმონ,  
ჩოთქი უნდა გაასიმონ...

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №196, გვ. 1- 55

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №155, გვ. 1.

<sup>3</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910, N142, 27 ოქტომბერი, გვ. 2 .

<sup>4</sup> თ. ჯანგულაშვილი, „ნახტომი ცისკენ“, ჟურნ. „ცისკარი“, 1992, №8, გვ. 105.

ამ სტროფის ზემოთ მწერალთა კლუბის ოთხი სიმონია დასახელებული „სიმონ კახიანი, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ წვერავა, სიმონ წეველი“. „ჩოთქის“ ხსენება, რა თქმა უნდა, ასოციაციურ კავშირს იწვევს ბულალტერ სიმონ კახიანთან, მაგრამ, ვფიქრობთ, ლექსი არა მას, არამედ „უსიმო ჩანგის“ მქონე სიმონებს უნდა მიემართებოდეს. დღიურის წინა ჩანაწერები 1953 წელს მიეკუთვნება და ის, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ, 14 ოქტომბრით არის დათარიღებული. რამდენადაც მთელს არქივში სიმონ კახიანი მხოლოდ ამ ჩანაწერშია ნახსენები, მისდამი მიძღვნილ ექსპრომტსაც, სავარაუდოდ, 1953 წლით ვათარიღებთ.

◇ რამდენადაც ავტოგრაფებში ხშირად მკვეთრად არის წარმოდგენილი რამდენიმე შრე, რომლებიც ნაწერია განსხვავებული საწერი საშუალებებითა და ხელწერით, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, თარიღის საწერი საშუალება და სტილი რომელ შრეს ეკუთვნის. ლექსი „**იფნის ნორჩ ხეებს...**“ უბის წიგნაკში ჩაწერილია<sup>1</sup> იმ წითელი ფანქრით, რომლითაც ამ უბის წიგნაკში გვიანდელი ჩანაწერებია გაკეთებული. ამ ლექსის წინაც და მის შემდეგაც სხვადასხვა გვერდზე ამ ფანქრით აღნიშნულია თარიღი 6.III.50<sup>2</sup>. რამდენადაც ამ წითელი ფანქრით ყველგან მხოლოდ ეს თარიღია მიწერილი, ლექსიც ამ დღეს უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის ლექსის „**ლენინგრადი**“ თავდაპირველი სათაურია „თეთრი ღამეები“ და შინაარსიდანაც ჩანს, რომ პოეტი პეტერბურგში თეთრი ღამეების დროს იმყოფებოდა<sup>3</sup>. რამდენადაც იმავე უბის წიგნაკში მომდევნო ლექსს მიწერილი აქვს 1934 ლენინგრადი, ეს ლექსიც 1934 წელს უნდა იყოს დაწერილი თეთრი ღამეების დროს ანუ 11 ივნისიდან 2 ივლისამდე.

◇ გალაკტიონის უსათაურო ლექსის „**აგერ წინამძღვრიანთკარის...**“ შავი ავტოგრაფი დღიურში ჩაწერილია 1940 წლის 9 და 10 სექტემბრით დათარიღებული ლექსების შემდეგ და ნაწერია ისეთივე იისფერი მელნით<sup>4</sup>. ამ უბის წიგნაკში სხვადასხვა წლების ნაწერებია, მაგრამ შიგადაშიგ შერეული თარიღიანი ტექსტებისა და საწერი საშუალების

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-251, 10.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-251, 3, 5, 6, 7, 12.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 431.

<sup>4</sup> ქლმ, დ-98, 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 178-179.

მიხედვით ხერხდება მათი დაჯგუფება. ამ პრინციპით ლექსი დავათარილეთ 1940 წლის 10 სექტემბრის შემდგომი პერიოდით.

◇ ლექსის „ოდისეი“ ავტოგრაფი<sup>1</sup> მოთავსებულია იმ ფურცელზე, რომლის მეორე გვერდზეც ისეთივე მელნით წერია ლექსი „წამი შემოქმედებისა“. ეს ნაწარმოები კი 1912 წლის 15 ნოემბრამდე სათაურით „შემოქმედება“ უკვე გამოქვეყნებული იყო. შესაბამისად, ამ ლექსსაც ვათარილებთ 1912 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდით.

◇ ლექსი „თაგვი“ გალაკტიონ ტაბიძემ გამოსაქვეყნებლად გაუგზავნა ვინმე „იოსებს“<sup>2</sup>. მსგავსი ტიპის სატირულ ლექსებში თითქმის ყოველთვის არის ადრესატზე მინიშნება. ვფიქრობთ, ლექსის ადრესატი უნდა იყოს შალვა შარაშიძე, რომლის შემოქმედებითი ფსევდონიმი იყო „თაგუნა“. იმ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთაგან, რომლებშიც ახალგაზრდა გალაკტიონი აქვეყნებდა ლექსებს, იოსები ერქვა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს – იოსებ იმედაშვილს. რამდენადაც გალაკტიონ ტაბიძე და შალვა შარაშიძე ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ლექსებს ერთდროულად აქვეყნებდნენ მხოლოდ 1914 წელს, ვფიქრობთ, ლექსი ამ დროს უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლია ოკუჯავასთვის მიძღვნილი ექსპრომტი „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს...“ მიწერილია ვისენტე დე პარედისის ფერწერული ტილოს „ბაირონი და შელი ჟენევის ტბაზე“ გამოსახულებიანი ღია ბარათის უკანა მხარეს და ავტოგრაფში დათარიღებულია 1917 წლით. რამდენადაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ასეთი ღია ბარათი პოეტს საქართველოში შეეძინა, ვფიქრობთ, იგი მოსკოვში ჩასვლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. დედისთვის 1917 წლის 30 აპრილის წერილიდან ჩანს, რომ იგი ელიზავეტოპოლშია და მატარებლით აპირებს მოსკოვში ჩასვლას. შესაბამისად, ლექსს ვათარილებთ 1917 წლის მაისით ან შემდგომი პერიოდით.

◇ ლექსი „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ პირველ პუბლიკაციაში დათარიღებულია 1917 წლით<sup>3</sup>, მაგრამ გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“ მარინეტის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ რეცენზიაში

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №128, გვ. 2, 3.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №169, გვ. 1.

<sup>3</sup> ჟურნ. „თოლაზულისის სარტყელი“, 1919, აპრილი, №1, გვ. 3 (ჟურნალი პაგინაციის გარეშე).



ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელის“ პირველ ნომერზე ნათქვამია, რომ თარიღი „1917 წელი“ სწორი არ უნდა იყოს, რადგან ლექსი ორიოდე თვის წინ დაწერილს ჰგავს<sup>1</sup>. ლექსის შინაარსი ჩვენც გვაფიქრებინებს, რომ გალაკტიონი უკვე თბილისში უნდა იყოს გადასული საცხოვრებლად („სასახლის ჩაქრება ჭაღები“) და „სასახლის მგოსნად“ ლექსში საკუთარ თავს უნდა მოიხსენიებდეს. ამიტომ ტექსტს პირველი პუბლიკაციის მიხედვით ვათარიღებთ 1919 წლის 30 მარტამდე პერიოდით.

◇ ლექსი „ლანდი“ („მენავე, ხედავ ჩვენს შორე-ახლოს...“) ავტოგრაფში გარედაქტირებულია და სათაურად მიწერილი აქვს „სურვილი უცხოეთში ყოფნის“. ასეთივე ფანქრით ფურცლის მეორე გვერდზე წერია კონსტანტინე გამსახურდიას 1925 წელს დაწერილი რომანის – „დიონისოს ღიმილი“ სათაური<sup>2</sup>. შესაბამისად, ავტოგრაფის ეს შრე 1925 წლის ან შემდეგდროინდელი უნდა იყოს. პოეტს ამავე ფურცელზე ორჯერ უწერია ფრაზა: „კომუნისტებს სუნთქვა უჭირთ / სიცხე აქვთ და ოფლი არა“, რაც ამავე დროს უნდა იყოს გაკეთებული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „ლადო მესხიშვილი“ გაზეთ „ერთობის“ პუბლიკაციაში მიწერილი აქვს 28 ნოემბერი<sup>3</sup>, მაგრამ პოეტის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ ის 1920 წლის 24 ნოემბერს არის დაწერილი<sup>4</sup>.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ 1916 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნდა ჟურნალში „ცისფერი ყანწები“<sup>5</sup>, მისი დაწერის ისტორია კი მოთხრობილია გიორგი ჩიქობავას წიგნში<sup>6</sup>. მართალია, თავად წიგნის ავტორი ამ ფაქტს ვერ შეესწრებოდა, მაგრამ, რამდენადაც იგი წლების განმავლობაში უწევდა გალაკტიონს პირად მდივნობას, ვფიქრობთ, რომ მის მიერ შეგროვილი მოგონებები სარწმუნო უნდა იყოს. ამ მოგონების მიხედვით გალაკტიონმა ლექსი ფოთში დაწერა, როდესაც იქ გიორგი ქუჩიშვილთან ერთად იმყოფებოდა და ადგილობრივ მუშებს ხვდებოდა. 1916 წელს გალაკტიონს ფოთში

<sup>1</sup> გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919, № 63.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №159, გვ. 1.

<sup>3</sup> გაზ. „ერთობა“, 1920, №272, გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2006, გვ. 102.

<sup>5</sup> ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, #1, გვ. 6

<sup>6</sup> გ. ჩიქობავა, გალაკტიონის ახლო, თბ, 1966, გვ.11-15.

რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა, მაგრამ 28 თებერვლამდე – არცერთი. შესაბამისად, ლექსი 1916 წელს ვერ დაიწერებოდა. არ დასტურდება ფოთში შეხვედრები არც 1915 წელს, 1914 წელს კი გიორგი ქუჩიშვილთან ერთად პოეტი მართლაც იმყოფებოდა ფოთში. ეს საღამო გაიმართა 13 ივლისს<sup>1</sup> და, როგორც მოგონებიდან ჩანს, ლექსი გალაკტიონმა პირველად სწორედ ამ შეხვედრაზე წაიკითხა, დაწერით კი 12-13 ივლისის ღამით უნდა დაეწერა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ზაფხულის ღამე“ (იგივე „გაზაფხულის ღამე“), რომლის თავდაპირველ ვარიანტსაც ერქვა „მაისის ღამე“ და ავტოგრაფში 15 მაისით არის დათარიღებული<sup>2</sup>, 1911 წელს ვერ იქნება დაწერილი, რადგან თარიღის გვერდით მიწერილია „თბილისი“, 1911 წლის მაისში კი გალაკტიონი ფარცხნალში მუშაობდა და თბილისში არ ყოფილა. რამდენადაც თბილისში სასწავლებლად გადავიდა 1908 წლის სექტემბერში, 1910 წლის აპრილში კი ჰყვიშში დაბრუნდა, თბილისში იმყოფებოდა მხოლოდ 1909 წლის მაისში. ფურცლის მეორე მხარეს პოეტს დაუწყია ლექსის წერა სათაურით „სარკმელთან“, რომელსაც უძღვნიდა სამსონ ფირცხალავას. რამდენადაც ჟურნალ „ფასკუნჯთან“ და მის რედაქტორ სამსონ ფირცხალავასთან ახლო ურთიერთობა პოეტს სწორედ 1909 წლის პირველ ნახევარში ჰქონდა (ლექსები გამოაქვეყნა ამ ჟურნალის 1909 წლის შემდეგ ნომერებში: №4, 5, 9, 12, 14, 17), ეს ფაქტიც იმაზე მიმანიშნებელია, რომ გრიშაშვილისადმი 15 მაისს მიძღვნილი ლექსიც 1909 წელს არის დაწერილი. ამავე ლექსის ავტოგრაფი<sup>3</sup> კი, რომელშიც გათვალისწინებულია შავ ავტოგრაფში შეტანილი სწორებები, გადაწერილი უნდა იყოს 1909 წლის მაისის შემდეგ. რაც შეეხება შავი ავტოგრაფის ფურცლის მეორე მხარეს დაწერილ ტექსტებს „ორგვარი ჰანგი“ და „სარკმელთან“, ისინი დაწერილი უნდა იყოს გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის შემდეგ და ვათარიღებთ 1909 წლის 15 მაისის შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ლექსის „ჩემი სურათი“ ავტოგრაფთან წერია „10 სექტემბერი“<sup>4</sup>. რამდენადაც გრაფემატული კვლევების საფუძველზე ამ

<sup>1</sup> გაზ. „იმერეთი“, 1914, 13 ივლისი, #104, გვ. 2.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ N34. გვ. 1.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №739, გვ. 1.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა, №738, გვ. 1.

მახასიათებლების მქონე ხელნაწერები თარიღდება 1909 წლიდან 1910 წლის სექტემბრამდე პერიოდით, 1910 წელს გამოვრიცხავთ და ტექსტს ვათარიღებთ 1909 წლის 10 სექტემბრით. იმავე ფურცელზე დაწერილ უსათაურო ტექსტთან („გვირგვინი ობოლ საფლავს ამშვენებს...“) კი, რომელიც არის გაგრძელება მომდევნო გვერდზე დაწერილი ლექსისა „პოეტი“ / „სიჩუმეში“ მიწერილი „11 სექტ“, შესაბამისად, უნდა იყოს 1909 წლის 11 სექტემბერი. ამავე გრაფიმატული მახასიათებლებით გამორჩეულ ხელნაწერთან, რომელშიც წარმოდგენილია ნაწყვეტი პოემიდან, რომლის პროტაგონისტია ლოლა<sup>1</sup>, მიწერილია 1910. შესაბამისად, ხელნაწერს ვათარიღებთ 1910 წლის სექტემბრამდე პერიოდით. ასევე ვათარიღებთ იმავე გვერდზე გაკეთებულ ჩანაწერებს და გეგმას მოხსენებისთვის თანამედროვე ქართველი ქალის შესახებ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის **საადდგომო ეპიგრამების** ავტოგრაფი გრაფიმატული კვლევით 1909 წლიდან 1910 წლის სექტემბრამდე პერიოდით დათარიღდა<sup>2</sup>, მაგრამ ალექსანდრე შანშიაშვილისადმი მიძღვნილი ეპიგრამიდან ჩანს, რომ მან დაიწყო სიკვდილის თემაზე წერა („ჰოი, სიკვდილო, არ დასარჩენო / მხოლოდ კიტასგან მოწონებულო, / ავო სულებო, მყრალო სულებო / სიკვდილზე მინდა აწ ვიბუღებულო“). თუ გავითვალისწინებთ, რომ 1909 წელს აღდგომა იყო 11 აპრილს, მანამდე კი ალექსანდრე აბაშელმა ორი ლექსი გამოაქვეყნა სიკვდილზე: 18 იანვარს „დროების“ სურათებიან დამატებაში „მოდო, სიკვდილო!“, 15 თებერვალს კი „დროებაში“ „ბედნიერება და სიკვდილი“, ვფიქრობთ, ეს ეპიგრამები 1909 წლის აღდგომამამდე ანუ 11 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ უთარიღოა გალაკტიონის **„სახალწლო მილოცვები ქუთათურებს“**<sup>3</sup>. ეპიგრამების ადრესატები არიან: სილოვან ხუნდაძე, ვასილ წერეთელი, გრიგოლ გველესიანი, ვარლამ რუხაძე, დავით მესხი (ფსევდ. სამშაბათელა და კვირიკე“), არისტო ჭუმბაძე (ფსევდ. სინდიოფალა), დ. ნიჟარაძე, გრიგოლ გიორგაძე, დავით კლდიაშვილი, ისიდორე კვიციანიძე, ლადო ბზვანელი, შალვა შარაშიძე (თაგუნა), ნესტორ კალანდაძე (ემშაკი), დავით აკოფაშვილი, ტრიფონ ჯაფარიძე,

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №770, გვ. 1.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №1169, გვ. 2. №1151, გვ. 1-2.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №565, გვ. 1-2.

ნინო ჩხეიძე, ლეო ნათაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, პარმენ ცახელი და სტეფანე ძიმისტარაშვილი (კორტოხა). სილოვან ხუნდაძისადმი მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ „კარგად ვიცი, რომ „კოლხიდამ“ / მალე ფეხი თუ არ ფშვიკა...“. რამდენადაც მილოცვები საახალწლოა, 1911 წელს კი გაზეთმა თებერვალში დაიწყო გამოსვლა, ეპიგრამები 1911 წლის დეკემბრის ბოლომდე არ უნდა იყოს დაწერილი. გაზეთმა სამი წელი იარსება, მაგრამ გალაკტიონი მასთან აქტიურად სწორედ 1911 წელს თანამშრომლობდა. შესაბამისად, ეპიგრამებს ვათარილებთ 1911 წლის დეკემბრის ბოლოთი.

◇ გალაკტიონის არაერთი ლექსი დავათარილეთ 1909 წლის აგვისტოში შედგენილი ლექსების ნუსხის მიხედვით<sup>1</sup>. ამ ლექსების დათარიღება კი დაგვეხმარა მათი ტექსტების ავტოგრაფების ფურცლებზე მოთავსებული სხვა ლექსების შავი ავტოგრაფების დათარიღებაში 1909 წლის აგვისტოთი ან ადრეული პერიოდით.

◇ გალაკტიონის არქივში ორ ვარიანტად არის დაცული მისი **ეპიგრამები**, რომელთა ადრესატები არიან: ილია ჩიქოვანი, ნესტორ კალანდაძე, დავით მესხი, არტემ ახნაზაროვი და ნიკოლოზ თათარაშვილი<sup>2</sup>. პირველ ავტოგრაფს აწერია „1912 ქუთაისი“ და იქვე არის მოკლე მინაწერი გრიგოლ დიასამიძისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ პოეტი ამ ეპიგრამების გამოქვეყნებას „თეში“ აპირებდა. ლექსები ნასწორები და დაუმთავრებელია და არ ჩანს, გაუგზავნა ისინი დიასამიძეს, თუ არა.

◇ გალაკტიონის უსათაურო ლექსი **„მითხარ კიდევ ლექსი...“**<sup>3</sup> ჩაწერილია ოლია ოკუჯავას რვეულში, რომელშიც მისი რუსული ნაწერებია. ოლიას ასეთი ჩანაწერები გაკეთებულია მისი მოსკოვში ყოფნის დროს და რამდენადაც ის და გალაკტიონი მოსკოვში ერთად პირველად 1916 წლის 14 სექტემბერს ჩავიდნენ, ვათარილებთ ამის შემდგომი პერიოდით.

დავით დავითულიანი გალაკტიონის ლექსს **„მწვერვალები ახალ მთების“** 1929 წელს დაწერილად მოიხსენიებს<sup>4</sup>, მაგრამ ლექსი

---

<sup>1</sup> ლექსების ნუსხა, გტცა №13, გვ. 1.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №648, გვ. 1. ავტოგრაფი, გტცა, №692, გვ. 1.

<sup>3</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 453.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის გამო, გაზ. ქუთაისი, 1979, 31 ოქტომბერი, N 208, გვ. 3.

ავტოგრაფში უთარიღოა<sup>1</sup>. ტექსტის შინაარსი და მასში სარგის ჯაფარიძის მოხსენიება აშკარად მიანიშნებს, რომ მას საფუძვლად უდევს მე-15 საუკუნის დასაწყისის რეალური ისტორია: რაჭველი ძმები ჯაფარიძეები სვანებს ბარში ჩასასვლელ გზას უკეტავდნენ, რის გამოც სვანებმა ისინი მოკლეს. ამის გამო ურთიერთობა კიდევ დაიძაბა და სარგის ჯაფარიძემ სვანებს ისე გადაუკეტა გზა, რომ 7 წლის განმავლობაში საერთოდ ვერ ჩადიოდნენ ბარში. მორიგება შედგა საქართველოს მეფის, ალექსანდრე პირველის 1413 წლის განჩინებით. დაზარალებულ ჯაფარიძეებს მეფემ სვანეთის მიწებიდან 5000 კმ<sup>2</sup>. 400 კომლი მიაკუთვნა. ეს ამბავი, შეიძლება, ზეპირ გადმოცემებშიც იყო შემორჩენილი, მაგრამ აქტუალური გახდებოდა ალექსანდრე მეფის განჩინების ქართულ ენაზე გამოქვეყნებისას. ეს პირველად მოხდა 1866 წელს ჟურნალში „ცისკარი“, 1925 წელს ტექსტი გამოაქვეყნა ე. გაბლიანმა, 1930 წელს – სერგი მაკალათიამ და 1941 წელს – პავლე ინგოროყვამ. რამდენადაც ლექსი 1930 წელს გამოქვეყნდა პოემაში „რევოლუციონური საქართველო“ ჟურნალის „მნათობი“ მეათე ნომერში, ვფიქრობთ, უფრო სავარაუდოა, რომ გალაკტიონი გაცნობოდა სერგი მაკალათიას 1930 წლის პუბლიკაციას. შესაბამისად, ლექსიც 1930 წელს უნდა იყოს დაწერილი. 1930 წლის 11 ნოემბრის დღიურიდან ჩანს, რომ „მნათობის“<sup>2</sup> ეს ნომერი ჯერ კიდევ არ არის გამოსული<sup>3</sup>. შესაბამისად, პუბლიკაციას ვათარიღებთ 1930 წლის 11 ნოემბრის შემდგომი პერიოდით, ლექსი კი უნდა დაწერილიყო ჟურნალისთვის მასალის გადაცემამდე. 1930 წლის 31 ოქტომბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონს პოემის „გაგრძელება“ ამ დროს ჯერ არ ჰქონდა ჟურნალისთვის გადაცემული<sup>4</sup>. შესაბამისად, ლექსიც უნდა დაწერილიყო 1930 წლის 31 ოქტომბრამდე.

პოემის „რევოლუციონური საქართველო“ ეს პუბლიკაცია ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ მასში ჩართულია მთელი წერილი გაზეთიდან „პრავდა“ XVI ყრილობის შესახებ. კერძოდ, სტატიაში საუბარია შოვინიზმზე და პოემაშიც, სტროფის შემდეგ:

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, ა-593.


<sup>2</sup> გ. ტაბიძე, რევოლუციონურ საქართველოს“, „მნათობი“, 1930, N10, გვ. 45.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 117.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 260.

„ნუ უყურებ,  
მოქალაქე,  
სხვების ცას მოკამარეს -  
შოვინისტი  
თავის კბილით  
ითხრის თავის სამარეს!“

ჩამატებულია ორი სტროფი სტატიის ტექსტზე გადასასვლელად:  
„სიტყვის საწყისს შეიცნობენ  
მისი დასასრულითა,  
ითქვა: სიტყვა სიტყვას გახსნის,



ფიქრით გასასროლითა.  
რაკი ასე ნაწყენი ხარ  
კუმტო, გულდასერილი...  
მე არ ვშიშობ წაგიკითხო  
აი ეს მთელი წერილი.“

საგულისხმოა, რომ ყრილობის შესახებ სტატიაზე გარდამავალი ამ ორი სტროფის ავტოგრაფი არ მოგვეპოვება. კომუნისტური ცენზურისგან გასაკვირი არაფერია და ისიც კი ვიფიქრეთ, მისი ნების გარეშე ხომ არ ჩაურთეს, მაგრამ ეს ორი სტროფი, მცირედენი ცვლილებით შეტანილია ცალკე წიგნად გამოცემულ პოემაშიც „ეპოქა“. გარდა

ამისა, ჟურნალის პუბლიკაციაში ბოლო ტაეპში დარღვეული იყო მარცვალთა რაოდენობა, რაც წიგნად გამოქვეყნებისას გასწორდა. ჩანაცვლებულია შემდეგი სიტყვები: კუმტი] ფიქრით; აი ეს ] პროზით. სტატიაში საუბარია ორი ტიპის შოვინიზმზე, დიდმპყრობელურსა და ადგილობრივზე. რამდენადაც ადგილობრივი პარტიული მუშაკები, როგორც რომის პაპზე უფრო კათოლიკები, ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი პატარა რესპუბლიკების შოვინიზმზე, ეს წერილი გალაკტიონ ტაბიძეს გარკვეულ ასპექტში საყურადღებოდ უნდა მოსჩვენებოდა. სტატიაში დაგმოზილია „სმენავებური“ იდეოლოგია – სწრაფვა დიდი რუსეთის

აღდგენისაკენ და ყურადღება გამახვილებულია დიდმპყრობელურ შოვინიზმზე. პუბლიკაციაში ისიც კი არის ნათქვამი, რომ არ შეიძლება, მაგალითად, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უკრაინიზაციის მტკიცედ გატარებისთვის და იმისათვის, რომ რუსული ენა იქ კარგავს იმ პრივილეგიურ მდგომარეობას, რომლითაც ცარიზმის დროს სარგებლობდა, ნაციონალიზმში დავდოთ ბრალი, როგორც ამას ზოგიერთები, მათ შორის, კომუნისტებიც კი აკეთებენ. სტატიაში ამ კომუნისტების ქცევა სახელდება ნაციონალიზმის პირდაპირ გამოვლინებად.

როგორც ჩანს, გალაკტიონმა სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ამ სტატიაზე ყურადღების გამახვილება და, მართლაც, ალბათ ბევრ ისეთ ადამიანს წააკითხა საკუთარ პოემაში ჩართული ეს ტექსტი, ვინც ჩვეულებრივ ვითარებაში არ წაიკითხავდა. ეს საკმაოდ თამამი, ნოვატორული ნაბიჯი იყო გალაკტიონისთვისაც კი და, ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ნერვიულობდა ჟურნალ „მნათობის“ ამ ნომრის გამოსვლაზე განსაკუთრებით. 1930 წლის 31 ოქტომბერს ის დღიურში წერს, რომ მისი მასალის „მნათობში“ გამოქვეყნებას პირველად შეექმნა პრობლემა და ვარაუდობს, რომ მოსალოდნელია, მისი დისკრედიტაცია<sup>1</sup>. იმავე წლის 7 ნოემბერს დღიურში წერს, რომ ჟურნალი „მნათობი“ ისევ იგვიანებს, 11 ნოემბერს კი წერს, რომ საშვიდნოემბროდაც ვერ მოესწრო „მნათობის“ გამოცემა<sup>2</sup>. მართალია, პოეტის ამ ნოვატორულ ნაბიჯს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საგანგებო გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ როცა ჟურნალი „მნათობი“ გადავიდა მწერალთა ფედერაციის გამგებლობაში კოტე გორდელაძე მას ამ ჟურნალის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობას დაჰპირდა.

◇ თხზულებათა თხუთმეტტომეულის მეხუთე ტომში ლექსის „პოეტი და ოქტომბერი“ სამეცნიერო აპარატში აღნიშნულია, რომ „ავტოგრაფის შინაარსობრივ მინიშნებათა მიხედვით (რემდენჯერმეა ნახსენები „რევოლუციონური საქართველოს მეათე და მეთერთმეტე წელი) ლექსი შეიძლება დათარიღდეს 1931-1932 წლებით“<sup>3</sup>. მეორე

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-53, გვ. 26; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ.115, 116.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 117.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 218.

მხრივ, 4 შემთხვევაში ფიგურირებს დროის ზუსტი მონაკვეთი – თერთმეტი წელი: „თერთმეტი წლის წინ მის შთამომავალს...“, „არამედ მხოლოდ თერთმეტი წელი...“, „არამედ რაღაც თერთმეტი წელი...“ და „თერთმეტი წლის წინ ვინ გამოითვლის...“. შესაბამისად, 1921 წლის 25 თებერვლიდან გასული უნდა იყოს 11 წელი. მართალია, ამავე ლექსში ერთგან ნახსენებია პიონერი, რომელიც ათი წლის წინად არის შობილი და რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდეგდროინდელი ვითარების შეპირისპირებისას გამოყენებულია ფრაზა „რაღაც ათი წლის წინად“, მაგრამ ეს შეიძლება იყოს რიცხვის 11 დამრგვალებული ფორმა. რამდენადაც ლექსის ყველაზე ვრცელი ვარიანტი წლის მითითების გარეშე დათარიღებულია 23 თებერვლით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1932 წლის 23 თებერვალს. ამას ადასტურებს ისიც, რომ ერთ-ერთი ავტოგრაფი მთავრდება რედაქტორისადმი მიმართვით, რომელშიც ნახსენებია ფრაზა „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“. ეს არის ალიო მაშაშვილის ლექსის სათაური, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამოქვეყნდა 1932 წლის 21 იანვარს<sup>1</sup>. შესაბამისად, ლექსი ამ თარიღზე ადრე დაწერილი არ უნდა იყოს. საგულისხმოა ისიც, რომ ამავე 1932 წლის 1 თებერვალს ალიო მაშაშვილის ხსენებული ლექსის წინააღმდეგ და გალაკტიონის დასაცავად გამოქვეყნდა ბენიტო ბუაჩიძის სტატია „მწერლობის მსუბუქი ინდუსტრია“<sup>2</sup>. შესაბამისად, ეს ფრაზა და საკითხი 1932 წლის თებერვალშიც აქტუალური იყო. რამდენადაც 1932 წლის 23 თებერვალს ჯერ კიდევ არ იყო სრულად გასული 11 წელი ქვეყნის გასაბჭოებიდან, პოეტს ორიოდე თვეც რომ ემუშავა ამ ლექსზე, ბუნებრივი იქნებოდა დროის პერიოდის დამრგვალება 10 წლამდე და ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ლექსის ჩანაფიქრი რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით გასჩენოდა, მაგრამ საიუბილეო თარიღამდე ვერ მოესწრო და მოგვიანებით გაეგრძელება. ამ დეტალებს ალბათ ვეღარ გავარკვევთ, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ლექსზე მუშაობა დაასრულა 1932 წლის 23 თებერვალს.

◇ თხზულებათა თხუთმეტტომეულის მეხუთე ტომში 1931-1932 წლებით არის დათარიღებული ლექსი „ოქტომბერის

<sup>1</sup> გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, N1, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, N2, გვ. 3.



გამარჯვებისთვის“. სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ, რომ ამ ლექსის ტექსტი შეტანილია ლექსის „ოქტომბრის სიმფონია“ ერთ-ერთ ვარიანტში და, შესაბამისად, ისევე არის დათარიღებული. რამდენადაც მატიანისთვის მნიშვნელოვანია დროის მეტი სიზუსტე, ორივე ლექსს ვათარიღებთ „ოქტომბრის სიმფონიის“ პირველი პუბლიკაციის დროის მიხედვით, 1932 წლის აპრილამდე პერიოდით.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პრესა“ ავტოგრაფებში უთარიღოა, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან ათი წელი უნდა იყოს გასული „განა ჯერ ისევ ათი წლის წინად,/ როს პირზე ეკრათ მარქსი, ბებელი,/ ბურჟუაზიის პრესა და ბინა /არ ჰქონდათ ჩვენში ხელუხლებელი?“. შესაბამისად, ლექსს ვათარიღებთ 1931 წლის 25 თებერვლის შემდგომი პერიოდით.

ლექსს „სიკვდილი უმუშევარისა“ ორ ავტოგრაფში მიწერილი აქვს 1931 წლის 18 ოქტომბერი (70-ა, გვ. 1793; №2910). შესაბამისად, მისი წერა მართლაც ამ დროს უნდა დაეწყო, მაგრამ სხვა ავტოგრაფში (ქლმ, №993) ჩამატებული ფრაზა „გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტყვიისას – რას? თვითმკვლელობას“ მოწმობს, რომ ეს ვარიანტი 1932 წლის 21 იანვარზე ადრე ვერ იქნება დაწერილი, როდესაც გამოქვეყნდა ალიო მაშაშვილის ლექსი, რომელზე ალუზიაც არის ის. ლექსის „სიკვდილი უმუშევარისა“ დასასრულს ნახსენებია კონგრესი: „წავალთ დროშებით, / წავალთ წიგნებით. / წავალთ მქუხარე / ჩვენი კონგრესით“ და რადგან ზმნა „წავალთ“ მომავალ დროშია, იგი პარიზში პოეტის გამგზავრებამდე უნდა იყოს დაწერილი. შესაბამისად, ლექსზე მუშაობის დაწყებას ვათარიღებთ 1931 წლის 18 ოქტომბრით, მის დასრულებას კი 1935 წლის 7 ივნისამდე პერიოდით.

◇ გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომში შეტანილია არაერთი მანამდე გამოუქვეყნებელი ლექსი. რამდენადაც ცნობილია, რომ 1935 წლის 12 იანვარს ეს წიგნი უკვე შეტანილი იყო იმ ჩამონათვალში, რომელსაც სახელმწიფო გამომცემლობა უახლოეს ხანებში დაბეჭდავდა<sup>1</sup>, ერთი თვის შემდეგ კი წიგნის ბეჭდვა უკვე მიმდინარეობდა, ვფიქრობთ, რომ მასში შეტანილი ყველა ლექსი 1935 წლის 12 იანვრამდე უნდა იყოს დაწერილი.

---

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურულ გაზეთი“, 1935, N2, გვ. 4.

◇ ცნობილია, რომ მწერლის რვატომეულის მესამე ტომი წარმოებას გადაეცა 1940 წლის 15 იანვარს<sup>1</sup>. შესაბამისად, მასში შეტანილ იმ ლექსებს, რომლებიც მანამდე არ იყო გამოქვეყნებული, ვათარიღებთ 1940 წლის 15 იანვრამდე პერიოდით.

◇ 1935 წელს მიღებული ევროპული შთაბეჭდილებების ამსახველ ზოგიერთ ლექსს გვიანდელ პუბლიკაციებში მიწერილი აქვს 1936<sup>2</sup>, მაგრამ, რამდენადაც კვლევით დადასტურდა ამ გამოცემების სრული არასანდოობა თარიღებთან მიმართებით, ამ ლექსებს ვათარიღებთ 1935 წლით, როდესაც გალაკტიონი ესწრებოდა პარიზის კონგრესს. 1936 წელი ნაკლებ სავარაუდოა იმიტომაც, რომ ყველა ეს ლექსი შეტანილია პოეტის თხზულებათა მესამე ტომში, რომელიც გამომცემლობას გადაეცა 1936 წლის 15 იანვარს.

◇ გალაკტიონის ლექსი „**უბის წიგნიდან**“ („საქართველოსთვის ახლა იწყება...“) წერია უბის წიგნაკში მისი თხზულებების მეხუთე ტომის რეცენზიასთან დაკავშირებით გაკეთებული კრიტიკული ჩანაწერების შემდეგ. რამდენადაც ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს არა უგვიანეს 1951 წლის 6 ნოემბრისა, ლექსის „უბის წიგნაკიდან“ ტექსტი – ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, მისი რედაქტირება კი შეიძლებოდა მომხდარიყო 1951 წელს ან შემდეგ.

◇ ლექსი „**გაუგზავნელი წერილი**“ („ეხლა, როდესაც ამ წერილსა ვსწერ...“) არის ლექსის „მე და ლამე“ პირვანდელი ვერსია და, შესაბამისად, უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც ეს უკანასკნელი 1913 წლის 16 ივნისს გამოქვეყნდა, ტექსტის „გაუგზავნელი წერილი“ ფურცლის უკანა გვერდზე გაკეთებული გრაფიკული ჩანახატი საფლავთან მდგარი ხალხისა, ანთებული სანთელი და სიტყვები „ქრისტე აღსდგა“ კი აღდგომის დღესასწაულზე მიგვანიშნებს, ეს უთარილო ტექსტი 1913 წლის აღდგომამდე უნდა იყოს დაწერილი, რომელიც იმ წელს 14 აპრილს იყო.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსის „**მამინ ტანჯვები სულს მიხუთავენ...**“ შავი, დაუსრულებელი ტექსტი<sup>3</sup> წერია ფურცელზე, რომელზეც სხვადასხვა ადგილას არის ლათინური ანბანით დიდი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი რვა ტომად, ტომი III, 1940, 364.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 157-164

<sup>3</sup> გტცა, №185, გვ. 1.

ასოთი მიწერილი სიტყვა „Baton“. ეს იყო მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ფსევდონიმი, რომლითაც იგი სტატიებს აქვეყნებდა 1906-1908 წლებში და შეიძლებოდა, ლექსი ამის შემდგომი პერიოდით დაგვეთარიღებინა, მაგრამ იმავე ფურცლის მეორე მხარეს გაკეთებული ჩანაწერი უფრო ზუსტი დათარიღების საშუალებას გვაძლევს. აქ არის შავი ავტოგრაფი სტატიის მონახაზისა სოფელ „ჭყვიშის“ მდგომარეობის შესახებ. იქვე, ისეთივე ფანქრით მიწერილია გალაკტიონის მამის გარდაცვალების თარიღი – „1891 26 თებ.“ და სიტყვები: „დღეს შესრულდება 18 წელი მას შემდეგ“. შესაბამისად, ფანქრით გაკეთებული ჩანაწერები სოფელ ჭყვიშის შესახებ გაკეთებული უნდა იყოს 1909 წლის 26 თებერვალს, მეორე მხარეს ფურცლის რექტოზე ჩაწერილი ლექსი კი დაწერილი უნდა იყოს უფრო ადრე.

◇ რამდენადაც გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ავტოგრაფების ცალკეულ სუბსტრატებში<sup>1</sup> ხშირად არის წარმოდგენილი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული (მათ შორის საწერი საშუალებითაც) რამდენიმე შრე, თუკი ამ შრეებიდან რომელიმეს დათარიღება ხერხდება, დანარჩენებს ვათარიღებთ ტექსტზე მუშაობის ქრონოლოგიის მიხედვით. მაგალითად, ლექსის „**ვარდი მისთვის გადიშლება**“ უთარიღო ვარიანტი<sup>2</sup> დავათარიღეთ 1909 წლის აგვისტომდე პერიოდით, რადგან პოეტის მიერ შედგენილ ნუსხაში, რომელიც 1909 წლის აგვისტოთი თარიღდება, იგი უსათაუროდ არის შეტანილი „ვარდი მისთვის გადიშლება...“. იმ ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზეც ლექსების სია წერია, პოეტს მელნით სუფთად გადაუწერია ეს ლექსი, მაგრამ შემდეგ უფრო მუქი მელნით უსწორებია მეოთხე სტროფი, უფრო გვიან კი ფანქრით სათაურად დაუწერია „ვარდი“ და პუნქტუაციის სწორება დაუწყია. ტექსტის ორივე შრის რედაქტირება 1909 წლის აგვისტოში ან შემდგომ პერიოდში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ რედაქტირების შრეებს ერთმანეთისაგან წლები აშორებდეს.

◇ იმავე ფურცელზე, რომელზეც წერია ლექსი „ვარდი“, მეორე სტრიქონის ტაპებს შორის პოეტი იწყებს ახალი ლექსის წერას: „შენ

---

<sup>1</sup> ვგულისხმობთ საწერ მასალას (რვეული, უბის წიგნაკი, ცალკეული ფურცელი), როგორც ობიექტს.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №195, გვ. 9-10.

კითხულობ ტვენს...” მეორე სტროფს აგრძელებს გვერდულად, ფურცლის მარცხენა ველზე. იქვე ფრჩხილებში წერია „მატარებლიდან“. ეს ლექსი 1928 წელს ჟურნალ „მნათობში“ დასაწყისით: „ორთქლმავალი სტვენს, შენ კითხულობ ტვენს... შევიდა პოემაში „ეპოქა“<sup>1</sup>“ ვფიქრობთ, გრაფიტის ფანქრით დაწერილი სათაური „ვარდი“ და ეს ლექსი უფრო ახლოს უნდა იყოს 1928 წელთან, ვიდრე 1909-თან. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სუბსტრატში წარმოდგენილი ხელნაწერის ყველა შრე ცალ-ცალკე იყოს განხილული და გაანალიზებული. „ეპოქა“ ჟურნალ „მნათობში“ 1928 წლის ივნისში გამოქვეყნდა. შესაბამისად, ახალი ლექსი დაწერა და ძველი ლექსის სათაურად „ვარდი“-ს მიწერა მანამდე უნდა მომდარეყო.

◇ ლექსი „N-ს“ („მინახავს ცეცხლი კვალდაფარული...“)<sup>2</sup> დაწერილი უნდა იყოს 1909-1910 წლებში, რადგან ასეთი მიძღვნები სწორედ ამ პერიოდში გვხვდება.

◇ ციფრულ არქივში დაცულ ორ ფურცელზე დაწერილია ორი ლექსი, ფელეტონი და რამდენიმე ეპიგრამა, რომლებშიც ნახსენებია იოსებ იმედაშვილი და მისი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ერთგან კი ასევე ნახსენებია ბუდუ მდივანი. შინაარსიდან ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე დამყარებული უნდა იყოს. რამდენადაც ამ ჟურნალის გამოცემა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ განახლდა მხოლოდ 1923 წელს, ამ ფურცლებზე მოთავსებული ტექსტები ამ ან მომდევნო წლებში უნდა იყოს დაწერილი.

◇ ლექსების დათარიღებაზე ბევრად უფრო რთულია მათი გარედაქტირების პერიოდის გარკვევა. თუ ამ გარედაქტირებული სახით ისინი სადმე გამოქვეყნდა, ვათარიღებთ ამ პუბლიკაციების მიხედვით, მაგრამ თუ არ გამოქვეყნებული, ერთადერთ გზად გვრჩება ავტოგრაფის შრეებისა და ფურცელზე გაკეთებული მინაწერების კვლევა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების „მგოსნის ფიქრები“ („ჩემო ფერიავ, დამიგდე ყური...“)<sup>3</sup> და „აი, გაიღო კიდეც კარები...“ მელწით ნაწერი ქვედა შრე გრაფემატული კვლევით 1911 წლის შემდგომი პერიოდით დავათარიღებთ, მაგრამ ავტორს მოგვიანებით ეს ლექსები

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1928, N5-6, გვ. 75.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N204.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა N372, გვ. 1-2.

სერიოზულად აქვს ნასწორები ფანქრით, შეტანილი აქვს რადიკალური ცვლილებები და მიწერილი აქვს ახალი სათაურები. პირველ შემთხვევაში „კრეისერების სიხარული“ და მეორეში – „მოსკოვი კანანადის მოლოდინში“. იმავე ფანქრით, რომლითაც არის ნასწორები ეს ლექსები, ფურცელზე წერია „რედაქტორ-გამომცემელი „გალაკტიონ ტაბიძე“. რამდენადაც ლექსებში შეტანილ ცვლილებებს ეტყობა საბჭოთა პერიოდის თვითცნაზურის კვალი, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ კი გალაკტიონი ჟურნალის („ლომისი“) რედაქტორად პირველად 1922 წლის 1 იანვრიდან იყო დანიშნული, სწორებებს ვათარიღებთ 1922 წლით ან შემდგომი პერიოდით.

◇ ციფრულ არქივში დაცულ ერთ ფურცელზე სხვადასხვა ტიპის ჩანაწერებია, რომლებიც მიგვანიშნებს რაღაც სამზადისზე<sup>1</sup>. ჩანაწერის მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს საიუბილეო მზადების წინ. მართალია, 1933 წელს გრანდიოზულად აღინიშნა პოეტის იუბილე, მაგრამ იმ დროს უკვე აღარ გამოდიოდა ჩანაწერში მითითებული გაზეთები „ლომისი“ და „ტრიბუნა“. შესაბამისად, ეს უნდა მომხდარიყო 1923 წელს, ივნისის დასაწყისში სანამ დაიწყებოდა პუბლიკაციები გაზეთებში მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის 15 წლის იუბილეს შესახებ.

◇ ლექსში „უშიშროების კომისიის სესიაზე“ ნახსენებია ბენეში. ედუარდ ბენეში ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა 1918 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ. რამდენადაც ლექსში საგარეო ურთიერთობებზეა საუბარი, ის ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამის მიხედვით დავათარიღეთ ამ ფურცელზე დაწერილი სხვა ტექსტებიც.

◇ გალაკტიონის ლექსთან „ღამის სერენადები“ გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, რომ ამ ლექსის გაგზავნას აპირებდა გრიგოლ დიასამიძისთვის გაზეთში „თემი“ გამოსაქვეყნებლად<sup>2</sup>. 1913 წლის სექტემბრის დასაწყისში გრიგოლ დიასამიძეზე იმედგაცრუებულმა გალაკტიონმა შეწყვიტა თანამშრომლობა ამ გაზეთთან და ლექსის დაწერის ზედა ზღვრად ეს თარიღი უნდა აგველო, მაგრამ, რამდენადაც

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N373, გვ.1-2.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N419, გვ. 1.

ლექსს ერთ-ერთ სათაურად ეწერა „ახალი წელი“, მას ვათარიღებთ 1913 წლის 1 იანვრამდე პერიოდით.

◇ რვეულში, რომელსაც გარეკანზე 1912 აწერია, გალაკტიონი ჩამოწერს საკუთარი ნაწარმოებების ნუსხას. აქ არის ლექსები: „წამების ბაღი“, „ოქროს საწმისი“, „ღამის სერენადები“, „ზღაპრული ხმები“, „ფარვანა“, „ყვითელი ფოთოლი“, „ალერსის ბაღი“, „საფლავთ ყვავილი“, „ბედი ღამისა გაჰქრა“, „სიმღერები“, „ზეფირის კოცნა“, „მთიები“, „ოდეს სტიროდე“, „მადრევანთან“, „იალქანი“, „ფოთლები ცვივა“, „უბსკრულთან“, ნოველები და პოემები: „ალვის ხეები“, „მეშვიდე ცა“, „მწყემსი“ და „ძველი კომპი“<sup>1</sup>. ამ სათაურებიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ 9, ხოლო 13 არის უცნობი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ პოეტს საკუთარი და ვინმე სხვისი ტექსტები ასე უკომენტაროდ ჩამოეწერა ერთად. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნაწილი ტექსტებისა ჩვენამდე მოღწეულია განსხვავებული სათაურებით, მაგალითად: „წამების ბაღი“ შესაძლოა იყოს ლექსი „წამების ჯვარზე“, „ოდეს სტიროდე“ – „სტიროდე“, „უბსკრულთან“ – „სიმღერა“ („უფსკრულის პირს გაშლილიყო...“). ჩვენამდე წარმოდგენილი სათაურებით ასევე არ მოუღწევია ლექსებს: „ოქროს საწმისი“, „ზღაპრული ხმები“, „ალერსის ბაღი“, „საფლავთ ყვავილი“, „ზეფირის კოცნა“, „მთიები“, „მადრევანთან“, „იალქანი“, „ფოთლები ცვივა“ და პოემას „მეშვიდე ცა“.

◇ ლექსი „ქუჩა“ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემაში 1927 წლამდე პერიოდით არის დათარიღებული<sup>2</sup>, მაგრამ პირველივე სტროფი: „ქუჩა პოეტად დარჩა / ოცდაათიან წლების, / გაცვეთილი აქვს ლანჩა, / დარჩა კანი და ძვლები.“ მიგვანიშნებს, რომ 30-იანი წლები უკვე გასული უნდა იყოს. შესაბამისად, მას ვათარიღებთ 1940 წლით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ლექსი „მშვიდობით“ („ასე, მშვიდობით; მიყვარდი ისე...“) გრაფემატული კვლევით 1911 წელს ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ფურცლის მეორე მხარეს წერია პოეტის ძმის, აბესალომის წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ თავად წერილის ავტორი მასწავლებლად მუშაობს და ეძებს სამსახურს ძმისთვის. აბესალომმა

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N450, გვ. 5.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. III, თბ., 2006, გვ. 257.

სემინარია 1912 წელს დაასრულა და, როგორც ჩანს, მასწავლებლად მუშაობა იმავე წლის სექტემბრიდან დაიწყო სოფელ ჭოკნარში<sup>1</sup>. შესაბამისად, ეს ბარათიც და გალაკტიონის ხსენებული ლექსიც 1912 წლის სექტემბერში ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ ლექსის „ოქროს ტყავები“ ავტოგრაფი ჩაწერილია ცალკე სათაურის გარეშე, საერთო სათაურით „ოქროს ლექსები“ („თითქოს სიუხვის გრძნობით მზავთავი“. თარიღი მითითებული არ არის. ამავე ფურცელზე ნახსენებია „ლომისი“ – ჟურნალი, რომელიც გალაკტიონის თანარედაქტორობით გამოდიოდა და რომელიც ამ სახელწოდებით იხსენიება 1921 წლის 2 დეკემბრიდან. ფურცელზე ასევე ნახსენებია „ოპერის თეატრის აღება“. შემოქმედებითი სადამოს ჩასატარებლად ოპერის თეატრის დაჯავშნაზე საუბარია გალაკტიონის 1921 წლის 2 აპრილის შემდეგდროინდელ ჩანაწერში. ლექსში ნახსენებია „ოქროს კალმები“. 1921 წლის 25 იანვარს მისი პოეტების მეფედ არჩევისას იოსებ იმედაშვილმა დაუწერა, რომ „ოქროს კალამს გალაკტიონ ტაბიძეს მიართმევს. რა თქმა უნდა, „ლომისის“, „ოპერის თეატრის აღებისა“ და „ოქროს კალმების“ ხსენება პოეტს სხვა დროსაც შეეძლო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა მომხდარიყო 1921 წელს ან შემდეგ.

◇ გალაკტიონის უთარილო „საადდგომო კუპლეტებიდან“ ჩანს, რომ ვალერიან გუნია გადასული უნდა იყოს ქუთაისიდან თბილისში „რა ქუთაისი სეზონს შემდეგ ობლად დასტოვე...“. რამდენადაც ცნობილია, რომ ვალერიან გუნია თბილისში 1911 წელს, სავარაუდოდ 20 ივნისამდე გადავიდა, რადგან მომდევნო დღეებში ის ხელმძღვანელობდა დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის ცერემონიას, ადდგომა კი გაზაფხულზეა ხოლმე, ეს ეპიგრამები 1912 წლის საადდგომოდ, 7 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი.

გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემისა და აკადემიური თხუთმეტტომეულის მეხუთე ტომის მიხედვით ლექსი



„ჩამავალი მზის ფერადო კიდევ“ ორ ავტოგრაფშია დათარიღებული, მაგრამ ექვსდღიანი სხვაობით – 21 და 27 აპრილი.


<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის 1912 წლის 20 ოქტომბრის წერილი, გტცა #1264; 1-2.

თუ დავაკვირდებით, როგორ წერდა პოეტი რიცხვ 7-ს, დიდი ალბათობით ორივეგან 21 აპრილი უნდა ეწეროს.



იმ ლექსების დასათარიღებლად, რომლებიც პირველად მწერლის თხზულებათა მეორე ტომში დაიბეჭდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ როდის დაასრულა პოეტმა ტომის მზადება და როდის გადასცა გამომცემლობას. ცნობილია, რომ მთავლიტმა ამ წიგნის სტამბისთვის გადაცემას ხელი მოაწერა 1935 წლის 5 მარტს, მაგრამ გალაკტიონის 20 თებერვლის წერილიდან გამომცემლობისადმი ჩანს, რომ წიგნი ამ დროსაც უკვე გადაცემული ჰქონდა ტომი<sup>1</sup>. ვფიქრობთ, რომ იმავე წლის 12 იანვარს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომელ წიგნებს გამოსცემს მალე „სახელმწიფო გამომცემლობა“<sup>2</sup> და ნუსხაში გალაკტიონის მეორე ტომის მითითება, იმაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ გამომცემლობას გალაკტიონისგან წიგნი უკვე მიღებული ჰქონდა 12 იანვარსაც. შესაბამისდ, მასში შეტანილი ის ლექსები, რომლებიც აქ პირველად დაიბეჭდა, შეგვიძლია ამ თარიღამდე პერიოდით დავათარილოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ 12 იანვრიდან 20 თებერვლამდე დაწერილი 6 ლექსიდან („არის ხანდახან მწარე...“, „შეხედე,“, „კომინტერნის ყრილობაზე“, „ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი...“, „ფერად-ფერადი“ და „მატარებლის ფანჯრიდან“) პოეტს ამ ტომში არცერთი არ შეუტანია.

◊ იმ დიდი, სქელი რვეულის შუაში, რომელშიც 1930-1932 წლების ნაწერებია, წერია უსათაურო ლექსი „**ეხლა კი მშიდობით! ნახვამდის!..**“, რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს თარიღი: 11 ნოემბერი, 1923 წელი<sup>3</sup>. დღიურში არ არის 1930 წელზე ადრეული არცერთი ჩანაწერი და, რამდენადაც ლექსის აქ წარმოდგენილი ორი ვარიანტიდან ერთი ძლიერ ნასწორებია და ასახავს მისი შექმნის პროცესს, ის 1923 წელს შექმნილი ვერ იქნება<sup>4</sup>, მაგრამ რომელია ნამდვილი თარიღი? ამ ლექსის



<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-135. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 64.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურულ გაზეთი“, 1935, N2, გვ. 4.

<sup>3</sup> ქლმ. დ-53, 38-39; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 124-126.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. II, თბ., 1966, გვ. 122.



სხვა ავტოგრაფი ან ბეჭდური წყარო არ მოგვეპოვება. ამიტომ ვაკვირდებით მოცემულ სუბსტრატს და მასში ამავე ფერის იისფერი მელნით ჩაწერილ სხვა ტექსტებს. შავი ხელნაწერი 39-ე გვერდზეა, მისი გადათეთრებული ვარიანტი კი 30-ზე. ამასაც ეტყობა, რომ ნაწერების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცული არ არის. ამ ტექსტების ახლოს, 42-ე გვერდზე არის 1932 წლის 26 იანვრის თარიღიანი ჩანაწერი, 43-ე გვერდზე შავი ავტოგრაფი ლექსისა „მასები უცდიან ლენინს...“, რომელიც პირველად 1932 წლის აპრილში გამოქვეყნდა სათაურით „ოქტომბრის სიმფონია“, 46-ე გვერდზე რევოლუციის 15 წლის საიუბილეო ანუ 1932 წლის ნოემბრის ლექსი. რამდენადაც არსებობს მექანიკური შეცდომის ერთი ძალიან გავრცელებული სახე, როდესაც ადამიანი წერისას ადგილებს უცვლის გვერდიგვერდ დასაწერ სიმბოლოებს, ვფიქრობთ, რომ ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1932 წლის 11 ნოემბერს რვეულის იმხანად ცარიელ ფურცლებზე. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შეესაბამებოდა 1932 წლის ამ პერიოდში პოეტის განწყობა ლექსის შინაარსს, მოგვყავს ამონარიდი 1932 წლის 9 ნოემბრის დღიურიდან, სადაც პოეტი ჩივის, რომ მწერალთა ფედერაცია მის გარიყვას და მწერლობისგან ჩამოშორებას ცდილობს<sup>1</sup>.

◇ ლექსი „ორკესტრის ხმაში ტყის ნაპირია...“ მე-11 გვერდზე იასამნისფერი მელნით არის ჩაწერილი რვეულში<sup>2</sup>, რომელშიც 1923-1924 წლების ჩანაწერებია. მე-12 გვერდზე წერია 1923 წლის 22 მაისით დათარიღებული ლექსი „შენ ემართლები მიმქრალ სახეებს...“, 95-ე გვერდზე არის განცხადების ტექსტი 17 ივნისს, კვირას დაგეგმილი გალაკტიონის სადამოს შესახებ რუსთაველის თეატრში, რომელშიც 1923 წელი იგულისხმება. ჩანაწერები რვეულში სხვადასხვა ფერის ფანქრებითა და მელნით არის შესრულებული. ასეთ ვითარებაში ტექსტის დასათარიღებლად განსაკუთრებით საყურადღებოა, რომელი წლის ჩანაწერებია შესრულებული ისეთივე საწერი საშუალებით. 31-ე გვერდზე ასევე იასამნისფერი მელნით არის ჩანაწერი ჟურნალის „კავკასიონი“ შესახებ და ჩანს, რომ გალაკტიონს რედკოლეგია ჯერ არ დაუტოვებია. რამდენადაც პოეტმა ჟურნალის სარედაქციო კოლეგია

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-71, 8; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, დ-18, 1391.

დატოვა 1924 წლის სექტემბერში, ეს კონკრეტული ჩანაწერი ასევე სექტემბრისა ან უფრო ადრეული უნდა იყოს. ამავე რვეულის 54-ე გვერდზე არის იასამნისფერი მელნით შესრულებული 1924 წლის ოქტომბრით დათარიღებული ჩანახატი ცილინდრიანი მსუქანი კაცისა. 56-ე გვერდზე კი არის განცხადების ტექსტი თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელზე ბინით დაკმაყოფილების თხოვნით. ასეთი განცხადება პოეტს 1924 წლის 19 იანვრამდე უნდა გაეკეთებინა, რადგან ამ რიცხვში იმავე ორგანიზაციას შუამდგომლობით მიმართა მწერალთა კავშირის საბჭომ<sup>1</sup>. რამდენადაც იასამნისფერი მელნით შესრულებული ჩანაწერები 1924 წლისაა, მაგრამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ არის განლაგებული რვეულში, მე-11 გვერდზე მოთავსებულ ლექსს უბრალოდ 1924 წლით ვათარიღებთ.

---

<sup>1</sup> ვ. ჯავახაძე, „უცნობი“, თბ. 2013, გვ. 274.

◇ გალაკტიონის უსათაურო ლექსი „მოწმეა რბევის და თარემის ხვადგურის“ ეძღვნება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ მომხდარ ცნობილ ფაქტს, ზესტაფონის მახლობლად, მატარებლის ვაგონებში მყოფი აჯანყებულებისა და აჯანყებულთა მომხრეების დახვრეტას. რადგან ეს ფაქტი 1924 წლის 30 აგვისტოს მოხდა, შესაბამისად, ლექსი 30 აგვისტოს შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ 1938 წელს ჟურნალ „მნათობის“ 11-ე ნომერში საერთო სათაურით „პრელუდიები“ გალაკტიონი აქვეყნებს ოთხ უსათაურო ლექსს<sup>1</sup>: „წყალტუბოდან ქუთაისში...“, „ნიავი, ია, ნარგიზი...“, „მე ხომ სხვა ვარ...“, „მთაგორების ზემო...“. ჟურნალის ამავე ნომერში, ცალკე, ამ ციკლისგან დამოუკიდებლად, იბეჭდება ლექსი „ოქტომბრის გემი“. როგორც ჟურნალისთვის დართული გამოსასვლელი ცნობებიდან ირკვევა, „მნათობის“ ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17 დეკემბერს. ამის გათვალისწინებით, ლექსი 17 დეკემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ 1941 წელს კრებულში „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“ გალაკტიონი აქვეყნებს ლექსს „მშობლიური ჩემო მიწავ!“<sup>2</sup>. ამ პუბლიკაციის თარიღის დაზუსტებაში გვეხმარება ის ფაქტი, რომ 1941 წლის 24 თებერვალს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“<sup>3</sup> ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის სტატია სათაურით „ქართველი მწერლები – საბჭოთა საქართველოს“, რომლიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს კრებული, რომელშიც გალაკტიონის ლექსი გამოქვეყნდა, ამ დროისათვის უკვე გამოცემულია.

◇ 1955 წლის უბის წიგნაკში იკითხება ლექსი სათაურით „მეგობარ პოეტს“ („თუ პოეზიის ხარ ფალავანი“).<sup>4</sup> ხელნაწერში ლექსის თარიღი თავდაპირველად იყო 1955, შემდეგ ავტორს გადაუსწორებია 1915-ად.

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „პრელუდიები“, „ოქტომბრის გემი“, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N11, ნოემბერი, გვ. 9-10.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, „მშობლიური ჩემო მიწავ“, კრებ. „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, გვ. 1.

<sup>3</sup> „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წელი, N9, გვ. 5.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 20.

ამ ლექსის მეორე სტროფში მეორდება პოემა „მშვიდობის წიგნის“ სტრიქონები, რომელზე მუშაობაც გალაკტიონმა 1956 წელს დაასრულა. ამდენად, ლექსიც ამ პერიოდში (1955 წ.) უნდა იყოს დაწერილი, მით უფრო, რომ მანამდე (1910-40-იან წლებში) მისი ტექსტი არსად ფიქსირდება.

◇ 1938 წლის 18 დეკემბერს გალაკტიონი ადგენს საიუბილეო ღონისძიებაზე წასაკითხი ლექსების სიას<sup>1</sup>. ნუსხაში შეტანილია ლექსი „პოეზიის ინტეგრალები“. ამდენად, ეს ლექსი 1938 წლის 18 დეკემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ 1938 წელს ჟურნალ „მნათობის“ 11-ე ნომერში გალაკტიონის რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა, მათ შორის – „ოქტომბრის გემი“.<sup>2</sup> როგორც ჟურნალისთვის დართული გამოსასვლელი ცნობებიდან ირკვევა, „მნათობის“ ეს ნომერი წარმოებას გადაეცა 1938 წლის 28 ნოემბერს. ამის გათვალისწინებით, მასში გამოქვეყნებული ლექსები 28 ნოემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რეკატომეულის მესამე ტომი წარმოებას გადაეცა 1940 წლის 15 იანვარს. პოეტის წინა წლებში გამოქვეყნებულ ლექსებთან ერთად ამ ტომში 116 ახალი ნაწარმოები (115 ლექსი და 1 პოემა) შევიდა. ყველა ის ლექსი, რომლებიც ამ კრებულში პირველად გამოქვეყნდა, 1940 წლის 15 იანვრამდე უნდა იყოს დაწერილი. ეს ნაწარმოებებია: „ეს წელიწადი“, „სადღაც, ყინულზე“, „სამშობლო“ („სამშობლოს გზას მრავალფერს“), „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“, „გამძლეობა“, „ქარი“, „ტბა ალპიურ ზონაზე“, “(„ჩამავლო მზის ფერადო კიდევ...“), „ავდარი“, „სადაც ალპებია, ველად“, „იერი“, „სანატორიუმში“, “(„ცაზე მიდის ერთად-ერთი...“), „მეზავრის სიმღერა“, „ფრაგმენტი“, „გამოცოცხლება“, “(„ზღვა წყნარია ნამეტანი“), „აღემატება ყოველგვარ ძალას“, „ალპები“, „მატარებლიდან“, „ზღვაზე“, „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, „გამონაკლისი“, „დიდი ქალაქი“, “(„ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი“), “(„აღბად, იმიტომ – ხომალდის აფრით...“), „ავტო-მოტო-ველო“, “(„ულრმეს, ურთულესს...“), „რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“, „მოგონება მშობლიურ მხარის“, „ფიქრები სამშობლოზე“, „ვეზუვი“,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-121, გვ. 7-8.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, „ოქტომბრის გემი“, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N11, ნოემბერი, გვ. 9-10.

“(„უცვლელად საერთო...“), „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე“, „უმუშევარი“, „(„ვერ გიხსნის გენიალობა...“), „ტირიფი“, „მოდის“, „პატარა პიერი“, „(„აგერ შემოდგომობის...“), „ვოლტერის ძეგლთან“, „ბარელიეფი, „მელანქოლიური მოსიმღერე“, „ხმოვანი კინო“, „რუსთაველი პარიზში“, „პუშკინი პარიზში“, „(„მზადა ვარ მარად“), „(„ვით მეომარმა“), „(„ვით პაპის-პაპა გოლიათია“), „(„რაც ბედმა გითხრა“), „მოხუცი მწიგნობარი“, „ლუმანიტე“, „ქალაქისაკენ“, „უცხოელი ბავშვი“, „ქუჩის მომღერალი“, „უბინაო დედა“, „მისტერია წვიმაში“, „(„სალამო, ჩვენს სუფრას...“), „მონ-პარნასი“, „(„მუქი ღრუბელთა შორის...“), „მონმარტრზე“, „ერთხელ დილით“, „(„ეხლა, ძვირფასო მოგონებავ...“), „ეიფელის კოშკზე“, „მკვლევების კაფე“, „ბანანები“, „ამ არე-მარეზე“, „რური“, „რეინი“, „უცხოელ პოეტს“, „ჰეინეს სტრიქონის გამო“, „მგელი და ცხვარი“, „ნეპოლში“, „აბისინელი ჯარისკაცი“, „იბარური“, „სევილია“, „გზა ბარსელონის და ვალენსის“, „გვადალკვივირი“, „Tabes Dorsalis“, „ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს“, „(„მეტყვი: როგორც ეს გრიგალი...“), „(„სადღაც დარჩა, შორს სტოკჰოლმი...“), „მუშის სიტყვა“, „რეიმსი“, „იოველიადა“, „ორი ძალა“, „(„შენ აღარ ხარ...“), „დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ“, „(„უცხოეთის გზიდან...“), „ძირს მუქთახორა“, „ამჰარა მხეცი“, „ევროპის უფერული დღე“, „ქიმერა“, „მე მახსოვს მისი სახე“, „(„აყვავილდა ყაყაჩო...“), „ვით ხეს ფოთლები“, „(„ბაღთან ძეგლია...“), „(„რა მშვენიერი და კარგი დღეა...“), „ორი მილიარდი“, „(„რა წარმტაცია...“), „(„დუმილი ფარავს...“), „(„ლანკაშირში ეხლაც დგას...“), „(„მე მახსოვს მუშა“), „(„უროებს, გრდემლებს“), „მისი ბუნება“, „პოეტი, ვინაც წრფელია გულით“, „ოქრო“, „(„და მაშინ, როცა...“), „კრიზისისაგან თავის დაღწევა“, „(„იქ, კუთხეში კი...“), „ევროპის დიპლომატი“, „ღრუბელი ამაოების“, „(„პარიზი. ეს ხმა“), „(„შენ გამოშორდი ავადმყოფ მხარეს“)) და პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“.

♦ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომი 1951 წლის 6 ნოემბერს გადაეცა წარმოებას. პოეტის წინა წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ერთად ამ ტომში შევიდა 28 ახალი ლექსი და 3 ახალი პოემა. ყველა ის ლექსი, რომლებიც ამ ტომში პირველად გამოქვეყნდა, 1951 წლის 6 ნოემბრამდე უნდა იყოს დაწერილი. ეს ნაწარმოებებია: ლექსები „სტალინის დროში“, „წითელი მოედანი“, „მშვიდობისათვის“, „ხალხის გენია, ხალხის ნიჭი“, „მეტეხის ხიდთან“, „მახათა“, „აღავსე, მზეო“, „სასწავლო წლის

დაწყება“, „ბავშვს ჩაემინა“, „ოთხი დრო“, „რუსთავი“, „აბესინელო“, „მეომრის დაბრუნება“, „ვეკვეთეთ მომხდურთ და გავიმარჯვებთ“, „ხელხვავი“, „ბავშვს ღიმილი არ უქრება“, „19 ოქტომბერი“, „ახალგაზრდებო“, „ამხანაგს“, „ნასაკირალთან“, „მორი ხმა ლოკომოტივის“, „შეხედეთ, მიწა“, „ავი მუსაიფი“, „მთიბველი ქალი“, „ძველი წისქვილის ქვა“, „იპატი“, „ხალხი და „მთავრობა“, „ინდოელების იყო მიტინგი“; პოემები: „ამბავი ერთი ღამისა“, „სინათლის ყვავილი“, „ქიტესა“.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომი სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ნებართვის საფუძველზე ხელმოწერილია დასაბეჭდად 1951 წლის 15 დეკემბერს. ტომში შეტანილია 50 ნაწარმოებიდან (43 ლექსი და 7 პოემა) პირველად იბეჭდება 28 ლექსი და 3 პოემა. სხვა ნაწარმოებები უკვე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესასა თუ პოეტის კრებულებში. რადგან წიგნის გამოცემის წელია 1952 (და არა 1951), ვფიქრობთ, გალაკტიონ ტაბიძის რვატომეულის მეხუთე ტომი უნდა დაბეჭდილიყო სწორედ 1952 წელს (იანვარში ან შემდეგ), მით უფრო, რომ წიგნის დასაბეჭდად ხელმოწერიდან (15 დეკემბრიდან) წლის ბოლომდე მცირე დრო – დაახლოებით ორი კვირა იყო დარჩენილი და მისი დაბეჭდვა 1951 წელს, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდებოდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომი 1957 წლის 4 მაისს გადაეცა წარმოებას, ხელმოწერილია დასაბეჭდად იმავე წლის 14 აგვისტოს. ტომში შეტანილია 90 ნაწარმოები. ამათგან პირველად იბეჭდება 35 ლექსი და ფრაგმენტები პოემიდან „მშვიდობის წიგნი“. სხვა ნაწარმოებები უკვე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესასა თუ პოეტის კრებულებში. ყველა ის ლექსი, რომლებიც ამ ტომში პირველად გამოქვეყნდა, 1957 წლის 4 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი. ეს ლექსებია: --- („რაც გადმოირღვა ზვირთები ვრცელი...“), --- („მოდღვნილი სულით და გულით...“), --- („იყო მდიდარი სახლის ერთი მდიდარი კუთხე...“), --- („ქალაქთა ბნელთა თვალუწვდენელ კალიედოსკოპს...“), --- („ქალიშვილი წიგნით! ჩვენს მშობლიურ გზაზე...“), --- („გვახსოვს ოქტომბრის დღეთა სიდიდე...“), --- („გაჰქრეს ბნელი ჟრამული, ის რუტინა უხუცესი...“), --- („ვთქვათ: მთად სამზეო და სანიავე აღმართე ძეგლი...“), --- („სალამო ხანს ქობულეთზე ზღვიდან მოდის მშვიდი დარი...“), --- („ზევიდან ბრწყინავს ცა წმინდა, ქვევით მთებია და ჭალა...“), --- („მათ საფლავებს ვინმე ქვეყნად თუ

იპოვის ნეტა?...“), „(„ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აპგვი...“), „(„მიანგრია რა მთა კლდეებით გადანარაგვი...“), „(„გემი ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს...“), „(„ისტორიულად, მედგარ ჭენებით ყოველ ჟამს, ყოველ საომარ დროში...“), „(„თბილისის მთანი კლდიანნი გადასახულან მტკვარზე...“), „(„სალამი ცისკრის ადამიანებს – ამ ზეცას, მიწას და ზღვას მზიანებს...“), „(„მოგზაურობდეთ, ქადაგებდეთ ქალაქად, სოფლად...“), „(„შავი ზღვის ნაპირს რომ ჩამოუვლის...“), „(„აურია, დაურია ხალხს ომებმა გზა და კვალი...“), „(„სალამო ხანად ელვარე რამა მოეფინება პროსპექტებს), „(„მუხებს ჩოხათ საქილეში ჩაუწყვიათ რკოები...“), „(„იფნის ბალიდან ნიაღვართ მკონი...“), „(„ზემოთიდან წამოსული ხმაურობენ, ვით მაყრები...“), „(„უსპეტაკესი ზეცა ლურჯი ბროლია მინის...“), „(„ამ შემოდგომის გზათა სიავით...“), „(„ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი, შენ მერცხალივით შემოიჭერი...“), „ტუია“, „(„გზები გაუვალი და გზები გავლილი...“), „(„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის...“), „(„მუხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე, წარსული აწმყო და დიდი ხვალე...“), „(„სუფთა სინდისი, სისპეტაკე და სიმკვეთრეა...“), „(„ურემს დიდის სიმწრის ალით მიათრევდა გზად ყევარი...“), „(„გიორგი! ეხლა მზრუნველს და მომვლელს...“), „(„ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...“).

◇ 1946 წელს ჟურნალ „მნათობი“ 9-10-ე ნომერში საერთო სათაურით „ზღვა ახმაურდა“ გალაკტიონი აქვეყნებს უსათაურო ლექსების ციკლს.<sup>1</sup> როგორც ჟურნალისთვის დართული გამოსასვლელი ცნობებიდან ირკვევა, „მნათობის“ ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 13 დეკემბერს. ამის გათვალისწინებით, ჟურნალი 13 დეკემბრის შემდეგ გამოქვეყნდებოდა.

◇ 1942 წლის 20 აპრილს გამომცემლობა „ფედერაცია“ გასცემს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური კრებულის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ წარმოებაში გადაცემის ნებართვას. კრებულში პირველად იბეჭდება ლექსები: „დიდი არმია“, „მფრინავი“, „რასაც სარაცინი წინად“, \*\*\* („ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად...“) და „მმებო“. სხვა ნაწარმოებები უკვე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესასა თუ პოეტის კრებულებში. ლექსები, რომლებიც ამ კრებულში პირველად ქვეყნდება, დაწერილი უნდა იყოს 1942 წლის 20 აპრილამდე.

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „ზღვა ახმაურდა“, ჟურნ. „მნათობი“, 1946, N9-10, გვ. 68-79

1943 წლის 11 თებერვალს სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გასცემს გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „მამულო, სიცოცხლეო“ ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას. წინა წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ერთად ამ ტომში შევიდა 3 ახალი ლექსი: „ომს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა“, „მთის გულისცემა“ და „მშობლიური მოწოდებით“. ეს ლექსები, რომლებიც ამ კრებულში პირველად ქვეყნდება, დაწერილი უნდა იყოს 1943 წლის 11 თებერვლამდე.

◇ 1944 წლის 7 ოქტომბერს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა გასცემს გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას. წიგნში შეტანილი 75 ნაწარმოებიდან პირველად იბეჭდება 28 ლექსი: „დასაწყისი“, „ვინ იყო ის?“, მზის ამოსვლა ზღვაზე“, „ბათუმი“, „რას ნიშნავს დღევანდელი დღე“, „ოცნება აჭარისწყალთან“, „მზის ფერადები“, „ის ადგილები“, „კაშკაშა მზის მხურვალეებით“, „სიმფონია მცენარეების“, „სიმფონია ფესვების“, „ბუნება-მოქანდაკე“, „მხარევე, გეთაყვა, ცა გაქვს ისეთი“, „ოქროს ნავს მიესაჭა-რა“, „ბოსტნიდან, სადაც კამა და ქინძი“, „ცხენი“, „ბობოქარ ტალღებს გასცქერის“, „დგება შემოდგომა“, „ქალი ლიმონებში“, „სხვა ყვავილები“, „გასწიე ფარდები“, „ჩვენი ძველი დროშები“, „სიძველენი“, „თამარი ზღვის პირად“, „შოთა რუსთაველი ზღვის პირად“, „აჭარის სილაჟვარდში“, „ორმოცი წლის წინ“, „დასასრული“ და 2 პოემა: „ძლეული სენი“ და „ხალხი – ამირანი“. ის ლექსები და პოემები, რომლებიც ამ კრებულში პირველად დაიბეჭდა, დაწერილი უნდა იყოს 1944 წლის 7 ოქტომბრამდე.



◇ წერს უსათაურო ლექსს „ნება მომეცით, ვიყო თქვენ ახლო...“ და პროზაულად თარგმნის თეოფილ გოტიეს ლექსს „იდუმალი ნათესავობა“ (პანთეისტური მადრიგალი)<sup>1</sup>. თარგმანი საარქივო გამოცემაში შეტანილია როგორც ორიგინალური სტატია და დათარიღებულია 1920-იანი წლებით. მაგრამ დავადგინეთ, რომ ლექსი გალაკტიონს უნდა ეთარგმნა თეოფილ გოტიეს კრებულის „მინანქრები და კამეები“ ნიკოლაი გუმილიოვის რუსული თარგმანიდან, რომელიც გამოიცა 1914 წელს და გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში დაცულ ამ წიგნში პოეტი ხაზს უსვამს და ნომრავს სტრიქონებს<sup>2</sup>. შესაბამისად, უსათაურო ლექსიც და თარგმანიც დაწერილი უნდა იყოს 1914 წელს ან შემდეგ.

◇ უსათაურო ლექსი „ქარი დასცხრა სიბოზოქრის...“<sup>3</sup> პირველად დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ თხზულებების თორმეტტომეულში მისი არქივიდან თარიღის გარეშე<sup>4</sup> და მას შემდეგ უთარიოდ ქვეყნდება. შინაარსის მიხედვით, ბოლო პერიოდს, 1950-იანი წლებს, აკუთვნებდნენ, მაგრამ გრაფემატული კვლევის შედეგად, ლექსის ფაქსიმილე მივამსგავსეთ 1925 წლის ლექსის „შემოდგომის ყვავილები“ ხელმოწერას და შევუდექით შემდგომ კვლევას. ამავე გვერდზე არსებული სხვა, გამოუქვეყნებელი ლექსის პირველი სტრიქონის „ხალხი მორთული და მოკაზმული“ ძიებით, დავადგინეთ, რომ ეს ფრაზა გვხვდება 1921 წლის დღიურის ჩანაწერში: „შეხედე, ხომალდები კიდევ მოვიდენ... გადმოდის მორთული და მოკაზმული ხალხი...“<sup>5</sup>. ამავე ტექსტში ფიგურირებს სახელი ევა, რომელიც პოემის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ პერსონაჟია. ამას გვიდასტურებს ჩანაწერის ფრაზა „– რა მშვენიერი ფეხები გქონია, ევა!“<sup>6</sup>, პოემაში კი ვკითხულობთ: „ზღვის პირად ორად გადაჭრილ ქუჩას / გზა აპობს შვიდი... ევას ფეხები ჰქონია მკრთალი“. იმავე ჩანაწერში

<sup>1</sup> ქლმ. დ-643-5, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 160-162.

<sup>2</sup> ქლმ. ტ-293, Теофиль Готье, „Эмали и камеи“, пер. Н. Гумилева, სანკტ-პეტერბურგი, 1914.

<sup>3</sup> ქლმ. ა-1642, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 268.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 9.

<sup>5</sup> ქლმ. დ-9, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 84.

<sup>6</sup> ქლმ. დ-9, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 82.

აღწერილია: „უეცრად ამოვარდა ძლიერი ქარი... მაღალმა ხეებმა რყევა დაიწყეს... რა გასაოცარი სიზმარი იყო.. ქარი რომ ბერავდა ყოველი მხრით... მესამე ქარი იყო როგორც ქარვა“... ლექსში საუბარია შავი ზღვიდან მობერილ მრისხანე ქარზე, რომელსაც პოეტი უცქერის როგორც ქარვას. პოემის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ წერა დასრულდა 1924 წელს. ვფიქრობთ, რომ ლექსი ფაქსიმილეს, აღნიშნული ჩანაწერისა და პოემის თარიღების მიხედვით, უნდა დავათარილოთ 1921-1925 წლებით.

◇ წერს ლექსს „**ლომი, კბილებში ხარით**“<sup>1</sup>. ლექსის ქვეშ მიწერილი აქვს სხვა ლექსის სათაური „არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“ 1928 წელს<sup>2</sup>. შესაბამისად, აღნიშნული ლექსიც დაწერილია არაუადრეს ამ წლისა ან შემდეგ.

◇ 1930 წელს 14 მაისს სოხუმში ელო ანდრონიკაშვილის მიერ ნაჩუქარ რვეულში წერს უსათაურო ლექსს „**ციდან ლეგიონი თეთრი ვარსკვლავების...**“<sup>3</sup>. ლექსი უმნიშვნელო ცვლილებებით პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების II ტომში სათაურით „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“<sup>4</sup>, გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეულში დაბეჭდილია თარიღით – 1921 წელი, ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცული 1944 წლის „რჩეულის“ პოეტის მიერ ნასწორები მაკეტის მიხედვით, რადგან ლექსს ეს თარიღი აქვს მიწერილი<sup>5</sup>. შემდგომ აკადემიურ გამოცემაში 1935 წლით არის დათარიღებული პირველი პუბლიკაციის მიხედვით<sup>6</sup>. ვფიქრობთ, ლექსი უნდა დათარიღდეს 1930 წლის 14 მაისის შემდგომი პერიოდით.

◇ 1930 წლის დღიურში წერს უსათაურო ლექსის „**მამ, აზიდე ჩირაღდან...**“ ორ ვარიანტს<sup>7</sup>. ლექსი განთავსებულია იმ ჩანაწერის შემდეგ, რომელშიც საუბარია, რომ ჟურნალისთვის „მნათობი“

<sup>1</sup> ქლმ. ა-1714, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 317.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1928, ნომბერი-დეკემბერი, №11-12, გვ. 5.

<sup>3</sup> ქლმ. დ-50, 31; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 67.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები, ტ. II, თბ., 1935, გვ. 601.

<sup>5</sup> ქლმ. 8776-ბ. გვ. 81.

<sup>6</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 96.

<sup>7</sup> ქლმ. დ-54, 11-12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 179-180.

დასაბეჭდად გადაცემული აქვს მასალა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოცემული<sup>1</sup>. იმ პერიოდში „მნათობში“ დასაბეჭდად გადაცემული ჰქონდა ლექსთა ციკლი „რევოლიუციონური საქართველო“. „მნათობის“ ეს ნომერი გამოიცა 22 ოქტომბერს<sup>2</sup>, ამიტომ ლექსი დაწერილი უნდა იყოს 22 ოქტომბრის შემდეგ. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თხზულებათა აკადემიურ თორმეტტომეულში უთარილოდ, პოეტის არქივში დაცული დაუთარილებელი ავტოგრაფის მიხედვით<sup>3</sup>. ვფიქრობთ, ლექსი უნდა დათარიღდეს 1930 წლის ოქტომბრის შემდგომი პერიოდით.

◇ 1930-1932 წლების დღიურში წერს უსათაურო ლექსს „არ რჩება ფრთები ყმაწვილურ სურვილს...“<sup>4</sup>. ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თხზულებების აკადემიური გამოცემის VII ტომში სათაურით „რამდენი დარჩა გაუგებრობა“ არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით<sup>5</sup> და დათარიღდა ამ დღიურის მიხედვით. მაგრამ რადგან ლექსი მოთავსებულია 1930 წლის 27 სექტემბრის ჩანაწერამდე, დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღამდე.

◇ 1930 წლის დღიურში წერს უსათაურო ლექსს „საღამო დავაგრილოთ...“<sup>6</sup>. ლექსი დაწერილია მწერალთა აკადემიური ჯგუფის შესახებ ჩანაწერის შემდეგ<sup>7</sup> და, სავარაუდოდ, უნდა დაეწერა 1930 წლის 15 ნოემბერს ჩატარებული მწერალთა ფედერაციის საბჭოს მეოთხე პლენუმის გადაწყვეტილებით, ამ ჯგუფის დაშლის შემდეგ<sup>8</sup>. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თხზულებათა აკადემიური გამოცემის VII ტომში უთარილოდ, არქივში დაცული უთარილო ხელნაწერის მიხედვით<sup>9</sup>.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-54, 11-12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 179-180.

<sup>2</sup> ქლმ. დ-53, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 112; ჟურნ. „მნათობი“, 1930, №8-9, გვ. 1-16.

<sup>3</sup> ქლმ. ა-1787 (496); გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 91.

<sup>4</sup> ქლმ. დ-53, 2; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 90.

<sup>5</sup> ქლმ. ა-4429, გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, გვ. 97.

<sup>6</sup> ქლმ. დ-54, 30; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 185.

<sup>7</sup> ქლმ. დ-54, 28; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 184.

<sup>8</sup> სეა (ლხცსა), 38-1-210, ფ. 1-3; რ. კვერენჩილაძე, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1982“, თბ., 1983, გვ. 126.

<sup>9</sup> ქლმ. ა-1768 (498); გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 77.

◇ 1931 წლის დღიურში წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ არმიასთან ვიბრძოლებთ ყველა...“<sup>1</sup>, რომელიც ჩაწერილია 4 ოქტომბრის ტექსტის შემდეგ. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა საარქივო გამოცემის VIII წიგნში უთარილოდ არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით<sup>2</sup>. ლექსი უნდა დათარიღდეს 1931 წლის 4 ოქტომბრის შემდგომი პერიოდით.

◇ 1932 წლის დღიურში წერს უსათაურო ლექსს „არ გეგონა, არ ელოდი...“<sup>3</sup>, რომელიც განთავსებულია 4 ოქტომბრისა და 11 ოქტომბრის ჩანაწერებს შორის. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თხზულებათა თორმეტტომეულის III ტომში, არქივში დაცული ერთ-ერთი ავტოგრაფზე არსებული პირობითი თარიღის მიხედვით – 192..<sup>4</sup>. ვფიქრობთ, ლექსი უნდა დათარიღდეს 1931 წლის 4-11 ოქტომბრით.

◇ 1932 წელს დღიურში 19 ნოემბრამდე წერს უსათაურო ლექსს „ზამთრის დღეები...“<sup>5</sup>. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თხზულებათა თორმეტტომეულის VII ტომში უთარილოდ, არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით<sup>6</sup>. ლექსი უნდა დათარიღდეს 1932 წლის 19 ნოემბრამდე პერიოდით.

◇ 1930-1932 წლების დღიურში წერს უსათაურო ლექსს „მენატრებოდა თეთრი ქალაღი...“<sup>7</sup>, რომელიც პირველი ვარიანტი უნდა იყოს ლექსისა „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“. სხვა ჩანაწერებთან ერთად ლექსი განთავსებულია მთვარის დაბნელების შესახებ 1931 წლის 26 სექტემბრის ჩანაწერის შემდეგ<sup>8</sup> და სავარაუდოდ, 26 სექტემბრის შემდეგ შეგვეძლო დაგვეთარიღებინა. მაგრამ ლექსი „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-64, 27-28; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 237.

<sup>2</sup> ქლმ. ა-1727 (5794); გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 326.

<sup>3</sup> ქლმ. დ-69, 3-4; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 280-281.

<sup>4</sup> ქლმ. ა-499 (70-ა., გვ. 1797); გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. III, თბ., 1966, გვ. 204.

<sup>5</sup> ქლმ. დ-71, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 288.

<sup>6</sup> ქლმ. ა-1640 (6373); გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 18.

<sup>7</sup> ქლმ. დ-53, 87; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 168-169.

<sup>8</sup> ქლმ. დ-53, 56-61; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 138-142.

გამოქვეყნდა ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა“ 1931 წლის ივნის-ივლისის ნომერში<sup>1</sup> და ლექსი დღიურში განთავსებულია დახურული გამანაწილებისადმი მიმართული 1931 წლის 23 ივლისის განცხადებამდე<sup>2</sup>. ამიტომ ლექსსა და განცხადებამდე არსებულ მომდევნო ჩანაწერებს ვათარილებთ 1931 წლის 23 ივლისამდე პერიოდით.

◇ 1932 წლის 16 ნოემბერს წერს ლექსს „ზამთარი“<sup>3</sup>. ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეულის VIII ტომში უთარილოდ და უსათაუროდ „ზამთარი, ზამთარი...“, არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით.<sup>4</sup> ვფიქრობთ, ლექსი უნდა დათარიღდეს 1932 წლის 16 ნოემბრით.

◇ 1932 წლის 17 ნოემბრამდე წერს ლექსს „ჰაეროპლანით“<sup>5</sup>. ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მისი ვარიანტი პირველად დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების თორმეტტომეულში VII ტომში სათაურით „ისმენდა ნევა ტყვიების ხმაურს“, სავარაუდო თარიღით – 1930-იანი წლები, არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით.<sup>6</sup> ვფიქრობთ, ლექსი უნდა დათარიღდეს 1932 წლის 17 ნოემბრამდე.

◇ 1932 წლის დღიურში წერს ლექსს „გაუშვი, ზენა ქარია“<sup>7</sup>. ლექსის თავდაპირველი სათაური „თანამედროვე პოეტის სიტყვარი“ გადაშლილია. ლექსი განთავსებულია 25 ივნისის ჩანაწერამდე და ვათარილებთ ამ პერიოდით. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მისი ვარიანტი პირველად დაიბეჭდა არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით, თხზულებების თორმეტტომეულის IV ტომში, სათაურით „აპლოდისმენტი“ და თარიღით – 1933 წელი<sup>8</sup>. არქივში დაცული 4 ვარიანტიდან ეს თარიღი არც ერთს არ ახლავს.

---

<sup>1</sup> ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931, №6-7, გვ. 41-42.

<sup>2</sup> ქლმ. დ-53, 91; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 172.

<sup>3</sup> ქლმ. დ-72, 9-10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 317-318.

<sup>4</sup> ქლმ. ა-1688 (913-914); გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 299.

<sup>5</sup> ქლმ. დ-72, 5-7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 311-312.

<sup>6</sup> ქლმ. ა-4724; გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, გვ. 40.

<sup>7</sup> ქლმ. დ-68, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 274-275.

<sup>8</sup> ქლმ. ა-634; გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. IV, თბ., 1966, გვ. 14.

◇ უბის წიგნაკის გარეკანზე წერს უსათაურო ლექსს „**ვინ სთქვა ფაბრიკა ცუდი ან კარგი...**“<sup>1</sup>. ეს და სხვა ლექსები განთავსებულია ოლია ოკუჯავას ჩანაწერამდე, რომელშიც ჩამოთვლილია ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გალაკტიონისთვის 1933 წლის 5 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლის აღსანიშნავ საიუბილეო სადამოზე საჩუქრად გადაცემული წიგნების სია<sup>2</sup>. შესაბამისად, ლექსები დაწერილია ამ თარიღამდე.

◇ 1933 წლის წერს უსათაურო ლექსს „**ბრწყინავს თეატრი, სინათლე ბადრი...**“<sup>3</sup>. ლექსი დაწერილია ოპერისა და ბალეტის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს გამართვის, 5 ივლისის შემდეგ და შესაბამისად, ვათარიღებთ ამგვარად. ლექსი შეტანილი აქვს 1935 წლის 6 სექტემბერს დაწერილი ლექსის „**ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე**“ პირველ ოთხ სტროფად.

◇ 1932-1935 წლების დღიურში წერს ლექსს „**ილია ერენბურგს**“<sup>4</sup>. გალაკტიონს ეს ლექსი რუსი პოეტისთვის – ილია ერენბურგისთვის უნდა მიემღვნა მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ საერთაშორისო კონგრესზე, რომლის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ილია ერენბურგი და ჩატარდა 1935 წლის 21-25 ივნისს პარიზში. ამას გვავარაუდებინებს სტრიქონები: „ჩვენ პარიზში ვართ. მხარე სხვისია, / ჩვენ არაფერი არ გვმართებს სხვისი...“. თუმცა, შესაძლებელია, ლექსი დაეწერა კონგრესის დასრულების შემდეგაც. ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მისი ვარიანტი პირველად დაიბეჭდა არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით, თხზულებების თორმეტტომეულის IV ტომში, სათაურით „ზღვა-ზღვა, მთა და მთა“ და სავარაუდო თარიღით – 1935 წელი<sup>5</sup>.

◇ 1932-1935 წლების დღიურში წერს ლექსს „**მალროს**“<sup>6</sup>. გალაკტიონს ეს ლექსი ფრანგი მწერლისა და პოლიტიკოსისთვის – ანდრე მალროსთვის უნდა მიემღვნა პარიზში 1935 წლის 21-25 ივნისს

<sup>1</sup> ქლმ. დ-78, 1; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>2</sup> ქლმ. დ-78, 11-12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 379-380.

<sup>3</sup> ქლმ. დ-75, 9-10; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 354-355.

<sup>4</sup> ქლმ. დ-67, 9-11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 262-264.

<sup>5</sup> ქლმ. ა-737; გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. IV, თბ., 1966, გვ. 113.

<sup>6</sup> ქლმ. დ-67, 12; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 264.

ჩატარებულ მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ საერთაშორისო კონგრესზე ან კონგრესის შემდეგ. ლექსის რედაქცია სათაურით „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“ პირველად დაიბეჭდა 1940 წელს, თხზულებების III ტომში.<sup>1</sup> ლექსი უნდა დათარიღდეს 1935 წლის ივნისით.

◇ 1936 წლის უბის წიგნაკში წერს ლექსს „იბარური“<sup>2</sup>. უბის წიგნაკზე გალაკტიონს თავიდან დაუწერია თარიღი – 1934 წელი, შემდეგ კი გადაუკეთებია 1936 წლად. ლექსი მოსდევს უბის წიგნაკში ჩაწერილ პირველ ლექსს „ლენინგრადში“, რომელსაც მიწერილი აქვს 1934 წელი და სხვა ავტოგრაფებისა და ლენინგრადში ყოფნის მიხედვითაც, დაწერილია 1934 წელს. მაგრამ უბის წიგნაკის ჩანაწერები რომ 1936 წლისაა, მიგვანიშნებს ჩანაწერი „На Рубеже“ – июль, 1936, მნათობი – თებერვ. 1936<sup>3</sup> და ლევანა პარიკმახერის შესახებ მონათხრობი, რომელსაც უზის ზუსტი თარიღი – 29/XI-36<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ პოეტის არქივში დაცულია „იბარურის“ ორი უთარიღო ავტოგრაფი (№797-ა, 4417 და 200-ა) და რადგან ლექსი ეძღვნება ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირს – დოლორეს იბარურს („პასიონარია“) და ეს ომი მიმდინარეობდა 1936-1939 წლებში, ხვა გამოცემებში დათარიღებულია ამ პერიოდით ან 1940 წლით, პირველი პუბლიკაციის მიხედვით<sup>5</sup>. უბის წიგნაკში ჩაწერილი ნასწორები ვარიანტის მიხედვით, რომელიც მეორდება ყველა პუბლიკაციაში, მაგრამ არსად არის მითითებული ეს წყარო, ლექსი უნდა დათარიღდეს 1936 წლის 29 ნოემბრამდე, რადგან განთავსებულია ამ თარიღის ტექსტამდე.

◇ ლექსი „წიგნი – მეგობარი“ ჩაწერილია 1940 წლის უბის წიგნაკში<sup>6</sup>, 24 მარტის ჩანაწერამდე, მუქი წითელი მელნით, ნასწორებია ღია წითელი და ლურჯი მელნით, მომდევნო ჩანაწერებიც მუქი და ღია წითელი მელნითაა ჩაწერილი ამავე თარიღამდე. შესაბამისად, ლექსი 24 მარტამდე უნდა იყოს დაწერილი და შემდეგ ნასწორები. აღსანიშნავია, რომ იმავე უბის წიგნაკში, 24 მარტამდე ჩაწერილ უსათაურო ლექსს წითელი მელნით „მყინვარისა არის წესი...“ თავზე

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები, ტ. III, თბ., 1940, გვ. 61.

<sup>2</sup> ქლმ. დ-86, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 432.

<sup>3</sup> ქლმ. დ-86, 9; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 433.

<sup>4</sup> ქლმ. დ-86, 22-26; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 437.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები, ტ. III, თბილისი, 1940, გვ. 193.

<sup>6</sup> ქლმ. დ-128, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 7-8.

აწერია 25 მაისს, რაც უფრო ვრცელ თარიღზე მიგვანიშნებს. ეს თარიღი, ისე როგორც „24 მარტი“ ღია წითელი მეღვინით არის მიწერილი. ლექსის პირველი და მე-5 სტროფები გამოქვეყნებულია სათაურით „წიგნები – ზღვაა“, სავარაუდო დათარიღებით – 1940 წელი გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების საარქივო გამოცემის VIII ტომში<sup>1</sup>, აკადემიური გამოცემის VII ტომის<sup>2</sup> მიხედვით; მე-2 და მე-3 სტროფების ვარიანტი მცირე ცვლილებებით, საარქივო გამოცემის VII წიგნშია გამოქვეყნებული, სათაურით „ცა გაქვს ისეთი“<sup>3</sup> სავარაუდოდ, დათარიღებულია 1944 წლით, ამ წელს გამოცემული კრებულის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“<sup>4</sup> მიხედვით. ვფიქრობთ, ორივე ლექსი უნდა დათარიღდეს 1940 წლით.

◇ 1941 წლის 12 მარტს დღიურში წერს: „ოკტომბრელისთვის უნდა დამზადდეს ლექსი 10 დღეში – **გაზაფხული!!!**“<sup>5</sup>. ლექსი უნდა დაეწერა 12 მარტიდან 22 მარტამდე, გამოქვეყნდა ჟურნალის „ოქტომბრელი“ მარტის ნომერში<sup>6</sup>, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 აპრილს.

◇ 1941-1942 წლების დღიურში წერს უსათაურო ლექსს „ხედავ, **გაშლილი სივრცეა წინა...**“<sup>7</sup>, რომელიც განთავსებულია, სავარაუდოდ, 2 აპრილიდან 7 აპრილამდე დათარიღებულ ჩანაწერსა და 1942 წლის პირველ ტექსტს შორის. ამიტომ ლექსს ვათარიღებთ 1941 წლის 2 აპრილიდან წლის ბოლომდე. ლექსი მცირე ცვლილებებით პირველად გამოქვეყნდა სათაურით „კავშირი გულთა“, ფართო თარიღით – 1941-1945 წლებით<sup>8</sup>.

◇ 1943 წლის დღიურში წერს ლექსს „**გვარდიის დროშა**“, უსათაურო ლექსებს – „**იმ ქურდსა, როგორც წესია...**“, „**არღვევს გარემოცვას საგვარდიო პოლკი...**“, „**არა სთქვა ჩიტირეკია – ის ქურდი, ვგონებ, ლეკია...**“, „**შეხედე, როგორ დაყურებს ქედებს...**“ და რამდენიმე ჩანაწერს

<sup>1</sup> ქლმ. ა-1584, გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2008, გვ. 129.

<sup>2</sup> ქლმ. ა-1584, გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 99.

<sup>3</sup> ქლმ. ა-984, , გ. ტაბიძე, სგ25 წიგნად, წ. VII, თბ., 2005, გვ. 264.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ბათუმი, 1944, გვ. 56.

<sup>5</sup> ქლმ. დ-144, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 201.

<sup>6</sup> ჟურნ. „ოქტომბრელი“, 1941, მარტი, №3, გვ. 1.

<sup>7</sup> ქლმ. დ-145, 10-11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 238.

<sup>8</sup> გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებები, ტ. IV, 1947, გვ. 279.



წერს 1 ოქტომბრის ჩანაწერამდე. შესაბამისად, ეს ლექსები და ჩანაწერები დავათარიღეთ 1943 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდით<sup>1</sup>.

◇ წერს ლექსს „ვიკტორ გიუგო“<sup>2</sup>. ლექსის ბოლო სტროფის „დღევანდელი დღის ეს კინო / რა კარგი არის, ო, ნინო“ მიხედვით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1943 წელს ან შემდეგ, რადგან ნინო კვირიკაძე გალაკტიონ ტაბიძემ ცოლად შეირთო 1943 წელს. ნამდვილად რომ ნინო კვირიკაძე იგულისხმება, გვიდასტურებს ლექსზე ცოლის ხელით მიწერილი: „სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“.

◇ 1944 წლის დღიურში 23 თებერვლის ჩანაწერამდე წერს ლექსს „იდიდე, სამშობლო! ერთა მეგობრობის...“<sup>3</sup>. ამიტომ ლექსს 1944 წლის 23 თებერვლამდე ვათარიღებთ.

◇ 1944 წლის დღიურში 23 თებერვლის ჩანაწერამდე წერს უსათაურო ლექსს „იდიდე, სამშობლო! ერთა მეგობრობის...“<sup>4</sup>. შესაბამისად, ლექსი 23 თებერვლამდე თარიღდება.

◇ უსათაურო ლექსი „რა ძვირფასია ყიჟინა გმირის...“<sup>5</sup> განთავსებულია უბის წიგნაკის ჩანაწერის შემდეგ, რომ რუსულ გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“ 1943 წლის 21 მაისს დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ყაზბეგი“ თარგმანი<sup>6</sup>. შესაბამისად, ლექსი დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღის შემდეგ.

◇ 1943 წლის უბის წიგნაკში, 22 ივნისის ჩანაწერის შემდეგ წერს უსათაურო ლექსს „მშობლიურ ჰანგებს დაუგდე ყური...“<sup>7</sup>. ლექსი ასევე უსათაუროდ „მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური...“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“ 1946 წელს.<sup>8</sup> ლიტერატურის მუზეუმში დაცული ორი ვარიანტი დათარიღებულია 1945 წლის 9 მაისით, მაგრამ

<sup>1</sup> ქლმ. დ-157, 2-23; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 336-349.

<sup>2</sup> ქლმ. ა-1696, გ. ტაბიძე, სგ, 25 წიგნად, წ. VIII, თბ., 2005, გვ. 306.

<sup>3</sup> ქლმ. დ-159, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>4</sup> ქლმ. დ-159, 5; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>5</sup> ქლმ. დ-163, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., გვ. 368-369.

<sup>6</sup> Г. Табидзе, „Казбек“, газ. „Комсомольская Правда“, пер. С. Спаский, 1944, 21 мая, №120, ст. 3.

<sup>7</sup> ქლმ. დ-158, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 351-352.

<sup>8</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1946, №9-10, გვ. 78-79.

ლექსი რეალურად დაწერილი უნდა იყოს 1943 წელს, რადგან ორი სხვა ავტოგრაფული ვარიანტიც, მათ შორის, ერთ-ერთი სათაურით „ბრიანსკის ტყეები“ ავტორს დათარიღებული აქვს 1943 წლით<sup>1</sup>.

◇ 1944 წლის უბის წიგნაკში რუსული გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 23 თებერვლის პუბლიკაციის მითითების<sup>2</sup> შემდეგ 14 მარტის ჩანაწერამდე<sup>3</sup> იწყებს უსათაურო ლექსის „**მიმადრენს ფრთები მოგონებათა...**“ წერას. ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. პირველად დაიბეჭდა ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფის მიხედვით<sup>4</sup> პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში უთარილოდ და უსათაუროდ „მიჰქრიან ზვირთნი მოგონებათა...“<sup>5</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ცალკეული სამი ავტოგრაფიდან არც ერთს თარიღი არ ახლავს, უბის წიგნაკში ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით უნდა დათარიღდეს 1944 წლით.

◇ 1945 წლის 2-12 აგვისტოს შუალედში დღიურში წერს უსათაურო ლექსს „**ზღვაზე ჰკვიან ფრინველები...**“<sup>6</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების თორმეტტომეულში სათაურით „ფრინველები ზღვას გაჰკვიან“<sup>7</sup>, ლიტერატურის მუზეუმში დაცული უთარილო ავტოგრაფის<sup>8</sup> მიხედვით და სავარაუდოდ, დათარიღდა 1940-იანი წლებით. ვფიქრობთ, რომ ლექსი უნდა დათარიღდეს 1945 წლით დღიურში არსებული ვარიანტის მიხედვით.

◇ 1945 წლის 2-12 აგვისტოს შუალედში დღიურში წერს ლექსს: „**ნუ გენანება ხმის გამეტება**“<sup>9</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების თორმეტტომეულში<sup>10</sup>, ლიტერატურის

---

<sup>1</sup> ქლმ. 45-ა, გვ. 1207, ქლმ. 7809-ა.

<sup>2</sup> ქლმ. დ-159, 7; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>3</sup> ქლმ. დ-159, 29; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 361.

<sup>4</sup> ქლმ. ა-1582 (2493, 5493, 2031).

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 46.

<sup>6</sup> ქლმ. დ-168, 14-15; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 428-429.

<sup>7</sup> გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ. 1972, გვ. 32.

<sup>8</sup> ქლმ. ა-1577 (5480).

<sup>9</sup> ქლმ. დ-168, 16; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 429-430.

<sup>10</sup> გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, თბ. 1972, გვ. 23.

მუზეუმში დაცული უთარილო ავტოგრაფის<sup>1</sup> მიხედვით და სავარაუდოდ, დათარიღდა 1940-იანი წლებით. ლექსი უნდა დათარიღდეს 1945 წლით დღიურში არსებული ვარიანტის მიხედვით.

◇ 1945 წლის 1 აპრილის შემდეგ დღიურში წერს უსათაურო ლექსს „ამ სიტყვით ვამთავრებ...“. ლექსი განთავსებულია 9 ივნისის ჩანაწერამდე, ამიტომ ვათარილებთ 1 აპრილიდან 9 ივნისამდე.

◇ დღიურში ჩაწერილი უსათაურო ლექსი „სინამდვილე და ოცნება“<sup>2</sup> განთავსებულია 1946 წლის 8 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერამდე. პირველად გამოქვეყნდა თბზულებების აკადემიური გამოცემის VII ტომში, რომელშიც შესულია პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, არქივში დაცული ლექსები.<sup>3</sup> ამ დღიურის მიხედვით, ლექსი უნდა დათარიღდეს 1946 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდით.

◇ დღიურში წერს უსათაურო ლექსს „მგოსნის ერთი ლექსი მთელმა...“<sup>4</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა თბზულებების აკადემიური გამოცემის VII ტომში, რომელშიც შესულია პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი და არქივში დაცული მასალები.<sup>5</sup> ამ დღიურის მიხედვით, გამოცემაში ლექსი, სავარაუდოდ, დათარიღებულია 1946 წლით. თუმცა, დღიურში ლექსი მოსდევს გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალების გამო დაწერილ ლექსს „შენ გმირს უმღერდი“, რომელიც პოეტის გარდაცვალების თარიღისა (20 იანვარი) და ლექსის გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოქვეყნების დროის (25 იანვარი) მიხედვით თარიღდება 1947 წლის 20-24 იანვრით. შესაბამისად, ეს ლექსიც უნდა დათარიღდეს ამ პერიოდით.

◇ დღიურში წერს პოემისთვის „სამი პალმა“ დასამატებელ სტრიქონებს<sup>6</sup>. დღიური 1946 წლით არის დათარიღებული, მაგრამ წინა რამდენიმე ჩანაწერი ჩვენ მიერ დათარიღდა 1947 წლით. ეს სტრიქონები და მომდევნო ჩანაწერები უნდა იყოს 1948 წლის დასაწყისში ჩაწერილი, რადგან მას მოსდევს ჩანაწერი: „ახალი მწერლების ანთოლოგია. 1948“

<sup>1</sup> ქლმ. ა-1576 (5521).

<sup>2</sup> ქლმ. დ-175, 11; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 501.

<sup>3</sup> ქლმ. ა-1534-2, გ. ტაბიძე, თბზ. 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 135.

<sup>4</sup> ქლმ. დ-174, 76; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 498.

<sup>5</sup> ქლმ. ა-1533-3, გ. ტაბიძე, თბზ. 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 121.

<sup>6</sup> ქლმ. დ-174, 78; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 498-499.

და ლექსი „წიგნის 381 გვერდი“, რომელიც დაწერილია 1947 წლის 22 ოქტომბრის შემდეგ ახალგამოცემული კრებულის „ახალი მწერლობის ანთოლოგიის“ გამო.

◇ დღიურში წერს ლექსს „პოეტს“<sup>1</sup>. ლექსი პირველად გამოქვეყნდა თბულებების აკადემიური გამოცემის VII ტომში, რომელშიც შესულია პოეტის სიცოცხლეში არდაბეჭდილი, არქივში დაცული მასალები.<sup>2</sup> ამ დღიურის მიხედვით, ლექსი სავარაუდოდ, დათარიღებულია 1946 წლით. ის განთავსებულია ერთ გვერდზე 1948 წლის დასაწყისში გამოცემული „ახალი პოეზიის ანთოლოგიის“ გამო დაწერილი ლექსის „წიგნის 382 გვერდი“ შემდეგ. შესაბამისად, ეს ლექსიც უნდა დათარიღდეს 1948 წლის დასაწყისით.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-174, 79; გ. ტაბიძე, სგ 25 წიგნად, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 499.

<sup>2</sup> ქლმ. ა-1533-2, გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 132.

### დედასთან – მაკრინე ადგიშვილთან მიმოწერა

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთი უთარილო წერილიდან გალაკტიონისადმი, რომელიც საარქივო გამოცემაში 1929 წლით არის დათარიღებული, ვიგებთ, რომ აბესალომ ტაბიძეს ვაჟი შეეძინა („აბესალომს ვაჟი შეეძინა“). წერილი დათარიღებულია ასე: „ძველით ეკენისთვის პირველს“, შესაბამისად, იგულისხმება ახალი სტილით 14 სექტემბერი. რამდენადაც შინაარსიდან ჩანს, რომ ბავშვი უკვე თვეზე მეტისაა („ერთი თვისა ბავში ავათ მყავდა... ეხლა უკეთესათ არის“), იგი უნდა დაბადებულიყო 14 აგვისტომდე. თავად აბესალომის წერილიდან გალაკტიონისადმი, რომელიც საარქივო გამოცემაში 1930 წლის აპრილით არის დათარიღებული<sup>1</sup>, ჩანს, რომ მისი პირველი ვაჟი – ვასილი 8 თვისაა. ეს ბარათი ადასტურებს იმას, რომ დედის წერილი გალაკტიონისადმი ნამდვილად 1929 წლის 14 სექტემბერს არის დაწერილი, ვასილ ტაბიძე კი 1929 წლის 14 აგვისტომდე უნდა დაბადებულიყო.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ დედისთვის გაგზავნილი ერთი წერილი<sup>2</sup>, რომელშიც ულოცავს უფროსი ვაჟის დაოჯახებას („გავიგე, რომ თქვენს ცხოვრებაში ცვლილება მომხდარა და ძალიან მიხარია: ჩემი სალამი ჯერ უცნობ ჩემს მეგობარ ქალს“) და რომელსაც 15 თებერვალი აწერია, საარქივო გამოცემაში 1928 წლით არის დათარიღებული, მაგრამ მმის, აბესალომ ტაბიძის მიერ პოეტისთვის 1929 წლის 25 იანვარს გაგზავნილი თარიღიანი წერილიდან ჩანს, რომ პირადად მისგან ცოლის მოყვანის ამბავს სწორედ ამ წერილიდან იგებს. წერილში ვკითხულობთ: „გაიგებდი უთუოდ, რომ მე ცოლი შევირთე. ქალი მასწავლებლობს ჩვენს სკოლაში“<sup>3</sup>. ამკარაა, რომ გალაკტიონის წერილი, რომელშიც აბესალომის მეუღლე „უცნობ“ ქალად არის მიხსენიებული, მმის 15 იანვრის ბარათის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი და იგი 1929 წლის 15 თებერვლით დავათარიღეთ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 161.

<sup>2</sup> ქლმ 24551/5.

<sup>3</sup> ხ-24551-317; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 160.

◇ ბაკურიანიდან ჭყვიშში დედისა და ძმისთვის გაგზავნილი წერილის<sup>1</sup> თარიღში რაღაც რიცხვის მონახაზი გადასწორებულია – ერთიანად. კონვერტზე დარტყმულ ორ ბეჭედში აშკარად იკითხება „2“ მეშვიდე თვე და 1915 წელი. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ გადასწორებული ციფრის ქვეშ იქნებოდა 30 ივნისის პირველი ციფრი სამიანი. ზოგადად, გამოცდილება გვაჩვენებს და ფსიქოლოგიურადაც უფრო ლოგიკურია, რომ ადამიანმა მიმდინარე დღის, წლისა თუ თვის თარიღის ნაცვლად წინა დღის, თვისა თუ წლის ციფრი დაწეროს, ვიდრე მომდევნოს. შესაბამისად, წერილი დავათარიღეთ 1915 წლის 1 ივლისით, 2 ივლისი კი გაგზავნის დროა.



◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი წერილიდან დედისადმი ჩანს, რომ გამოცდები 20 სექტემბერს ეწყება და რომ წერილი წინა დღეს არის დაწერილი („ხვალიდან მეწყება (20 სექ.)“<sup>2</sup>). ამავე წერილის ინფორმაციით გალაკტიონს ბინა 14 მანეთად აქვს ნაქირავები (ქუთაისიდან გაგზავნილი წერილებიდან ჩანდა, რომ მაქსიმუმ 7 მანეთად ქირაობდა ხოლმე. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1909-1910 წლებში გალაკტიონი და აბესალომი ორივე თბილისის სემინარიაში სწავლობდნენ, სიტყვები „წერილი აბესალომისთვის მინდოდა გამომეტანებინა, მაგრამ არ წამოიღო“, მიგვანიშნებს, რომ წერილი თბილისიდან უნდა იყოს გაგზავნილი და საუბარი უნდა იყოს თბილისის სემინარიის გამოცდებზე. 1910 წელზე მიუთითებს ამ და ერთი თვით ადრე ასევე თბილისიდან გაგზავნილი 1910 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებული წერილის<sup>3</sup> გრაფემატული კვლევაც.

◇ ერთ-ერთ უთარიღო წერილში დედისადმი, საუბარია სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მკვლელობასა და ამის გამო მოსწავლეთა დათხოვნაზე<sup>4</sup>. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი იპოლიტ ალექსეის ძე გრეკოვი მოკლეს 1906 წლის 27

<sup>1</sup> გტცა, #1235, 1-3.

<sup>2</sup> წერილის ავტოგრაფი, გტცა, N1238, გვ. 1-2.

<sup>3</sup> წერილის ავტოგრაფი, გტცა, N1237, გვ. 1-2.

<sup>4</sup> წერილის ავტოგრაფი, გტცა, N1240, გვ. 1.

მაისს. წერილის მიხედვით, გალაკტიონი მეორე დღეს, 28 მაისს დაუთხოვიათ. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1906 წლის 28 მაისის შემდეგ.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთი უთარილო წერილის მიხედვით, გალაკტიონს წელიწადნახევარში უნდა დაემთავრებინა სასულიერო სასწავლებელი („წელიწადნახევარი გჰირდება მაქანა. მერე შენც აბესალომთან იქნები“<sup>1</sup>). შესაბამისად, ამ დროს პოეტი უნდა ყოფილიყო მესამე კლასში (1906-1907). ასევე ჩანს, რომ გალაკტიონს პირდებიან მატერიალური დახმარების მიცემას. ეს ყველაფერი ემთხვევა 1907 წელს. რამდენადაც განცხადება დახმარების თხოვნით დაწერა 30 იანვარს, წერილი 1907 წლის 30 იანვრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ დედის კიდევ ერთი უთარილო წერილიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონ წელიწადნახევარში უნდა დაემთავრებინა სასულიერო სასწავლებელი („ამ წელიწადნახევარს არის შენი საქმე“). შესაბამისად, ამ დროსაც უნდა ყოფილიყო მესამე კლასში (1906-1907). ასევე ჩანს, რომ სასწავლო წელი მალე მთავრდება და ისიც, რომ გალაკტიონმა უკვე აიღო მატერიალური დახმარება<sup>2</sup>. როგორც წინა წერილის განხილვისას აღვნიშნეთ, ეს ყველაფერი ემთხვევა 1907 წელს. რამდენადაც იმ უთარილო წერილის მიხედვით, რომელიც ჩვენ 1907 წლის 30 იანვრის შემდეგომი პერიოდით დავათარილეთ, გალაკტიონს დახმარება ჯერ არ ჰქონდა აღებული, ამ წერილის მიხედვით კი უკვე აღებული ჰქონდა, ეს უფრო გვიანდელი უნდა იყოს. მისი დაწერის ზედა ზღვრის იდენტიფიცირებაში გვებმარება ფრაზა: „როგორც დაგითხოვონ ყველიერში“. რამდენადაც 1907 წელს ყველიერი იწყებოდა 26 თებერვალს, წერილი ამ დრომდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთ უთარილო წერილში სექტემბერი მომავალ დროშია ნახსენები<sup>3</sup>. ჩანს, რომ გალაკტიონს რაღაც სამსახური ჰქონდა, მაგრამ უკმაყოფილო იყო და დედა ურჩევს, რაიმე ახალი იშოვოს. ასევე ჩანს, რომ აბესალომს სასულიერო სასწავლებელი დასრულებული აქვს. გალაკტიონის სამსახურში უნდა იგულისხმებოდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობა, რაც

---

<sup>1</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, გტც 839, 1-3.

<sup>2</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, ქლმ, ხ. 24551/297; გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 141, 142.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-300. გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 142.

გალაკტიონისთვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან ჯარიდან დახსნა არ შეეძლო. ამ მონაცემების მიხედვით, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის სექტემბრამდე.

### **ძმასთან – აბესალომ (პროკლე) ტაბიძესთან მიმოწერა**

◇ გალაკტიონ ტაბიძის წერილი ძმისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ ადრესანტი ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ რედაქციაში მუშაობს და რომ იმჟამად ზამთარია („ამ ზამთარს ყველა უშეშოდ ატარებს, არის ყინვა და თოვლი...“), დათარიღებულია 1920 წლით<sup>1</sup>. რამდენადაც მწერალმა „სახალხო გვარდიელის“ რედაქციაში მუშაობა 1920 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყო, ძმა კი ამ წერილიდან იგებს მისი ხელფასისა და სამსახურის სხვა დეტალების შესახებ, წერილში 1920-1921 წლების ზამთარი უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ ამ ზამთრის სამი თვიდან რომელი? წერილი იწყება დღესასწაულების მილოცვით: „მოგილოცავ დღესასწაულებს“. ასე მრავლობით რიცხვში გალაკტიონ ტაბიძე ახსენებს ხოლმე შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს. მაგალითად, 1916 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ძველი კალენდარული სტილი მოქმედებდა, ოლია ოკუჯავას ამ დღესასწაულებს ულოცავს 28 დეკემბერს გაგზავნილი ღია ბარათით. 1920 წელს საქართველო უკვე იყენებდა ახალ კალენდარულ სტილს, რომლის მიხედვითაც შობა აღინიშნება 7 იანვარს, ნათლისღება კი – 19 იანვარს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილი უფრო 1921 წლის იანვარში უნდა იყოს დაწერილი, ვიდრე 1920 წლის დეკემბერში. რამდენადაც ეს მნიშვნელოვანი დღესასწაულები პოეტს შეეძლო მიელოცა მათ დადგომამდე ცოტა ხნით ადრეც და მათი გასვლის მომდევნო დღეებშიც, წერილს ვათარიღებთ იანვრის ბოლომდე პერიოდით, მაგრამ თარიღს ამაზე მეტად ვერ დავაკონკრეტებთ.

◇ აბესალომ ტაბიძის მიერ გალაკტიონისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ უთარიღო წერილში 27 მაისი მომავალ დროშია ნახსენები და თან ჩანს, რომ ის პარასკევ დღეს ემთხვევა<sup>2</sup>. ასეთ ვითარებაში ჩვენ თავდაპირველად, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ვსაზღვრავთ დროის ინტერვალს და შემდეგ მუდმივი კალენდრის გამოყენებით

<sup>1</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 480-481.

<sup>2</sup> გტცა 1278, 1-2.



ვადგენთ სავარაუდო წელს ან წლებს. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ იმ დროს გალაკტიონი მასწავლებლად მუშაობს, სავარაუდო ინტერვალი 1910-1911 წლებით შემოვსაზღვრეთ, მუდმივი კალენდრის მეშვეობით კი დავადგინეთ, რომ ამ ორთაგან 27 მაისი პარასკევს ემთხვევა 1911 წელს. შესაბამისად, ბარათი, რომელშიც 27 მაისი მომავალ დროშია ნახსენები, 1911 წლის 27 მაისამდე პერიოდით დავათარიღეთ.

◇ ბაკურიანიდან ძმისთვის, აბესალომ ტაბიძისთვის გაგზავნილი ერთი უთარიღო წერილიდან<sup>1</sup> ჩანს, აბესალომს გალაკტიონის მიერ 1915 წლის 2 ივლისს გაგზავნილი წერილი, რომელიც 3 ივლისს ჩავიდა სამტრედიაში (ეს თარიღი აღნიშნულია კონვერტზე), უკვე მიღებული აქვს, გალაკტიონისთვის ამის პასუხად უკვე ორი წერილი აქვს გაგზავნილი („შენი წერილები ბაკურიანში მივიღე“) და თან პოეტის მიერ ამ წერილების მიღებიდან კარგა ხანია გასული („ამდენი ხანი ვერ გიპასუხე დიდი ხნით სულიერად დაუმშვიდებლობის გამო“). ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს წერილი 1915 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე ვერ დაიწერებოდა.

◇ ძმისთვის, აბესალომ ტაბიძისთვის გაგზავნილი ერთი წერილის კონვერტზე გარკვევით იკითხება რიცხვად 10, ასევე იკითხება თვის აღმნიშვნელი ორნიშნა ციფრის მეორე ნიშნად 0, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ მეათე თვის მეორე ციფრი და გარკვევით ჩანს ბოლოში 30<sup>2</sup>, რაც მიანიშნებს 1930 წელზე. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1930 წლის 10 ოქტომბერს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი წერილიდან ძმისადმი ჩანს, რომ იგი ფარცხნალში მისი მასწავლებლობის დროს არის დაწერილი („მე მასწავლებლადა ვარ...“)<sup>3</sup> და მოთხრობილია ამბავი, რომელიც აღდგომა დღეს მოხდა. რამდენადაც 1911 წელს აღდგომა იყო ძველი სტილით 10 აპრილს, ბარათი მას შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის წერილიდან ძმისადმი, რომელიც 1907 წლით არის დათარიღებული ჩანს, რომ 22 სექტემბრის შემდეგ ის დაბრუნდა სოფელ ჭყვიშში („22 სექტემბერს გაფიცვა მოხდა... რის შემდეგაც ჩვენ

---

<sup>1</sup> 24551/12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ, 2008, გვ. 10.

<sup>2</sup> ქლმ, 24551-9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 12.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №811, გვ. 1.

დაგვიტხოვეს სინოდის განკარგულებამდე“, „იმავე დღეს სოფელში წავედი“) და „არ გასულა ორი დღე“, რომ ავად გახდა ყვავილით. დროს არ აკონკრეტებს, მაგრამ, სავარაუდოდ, სტუდენტების დატხოვა მეორე დღემდე, 23 სექტემბრამდე მაინც არ მოხდებოდა. შესაბამისად, პოეტი ავად უნდა გამხდარიყო 25 სექტემბრის შემდეგ, ხოლო უნდა მორჩენილიყო („ოცდა სამ დღეს გაგრძელდა“) 19 ოქტომბერს. წერილის მიხედვით იგი ქუთაისში დაბრუნების დღესვე, კვირასა დაწერილი. სიტყვები: „სწავლა ოცდა ორს ამ თვეს დაიწყო. მგონია ბევრი არ გამიცდენია“, მიგვანიშნებს, რომ ეს უნდა ყოფილიყო 22 ოქტომბრის მომდევნო კვირა, რომელიც 1907 წელს 28 ოქტომბერს ემთხვეოდა. კონვერტზე აწერია 1907 წლის 5 ნოემბერი და, როგორც ჩანს, გალაკტიონმა წერილის გაგზავნა მთელი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხა.

◇ თბილისიდან სამტრედიისში ძმისთვის გაგზავნილი ერთი დეპეშიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონი 29 რიცხვში ეწერება საავადმყოფოდან და უნდა, რომ ძმამ თბილისში ჩააკითხოს. პოეტი იმ დროს სრულიად მარტო რომ არ ყოფილიყო, აბესალომს სამტრედიიდან თბილისში საგანგებოდ ჩასვლას არ სთხოვდა. გალაკტიონს ხშირად უხდებოდა საავადმყოფოში მკურნალობა. როგორც გავარკვიეთ, ის ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის საავადმყოფოდან გამოეწერა 1936 წლის 29 აპრილს<sup>2</sup>. ასევე 29 აპრილს გამოეწერა საავადმყოფოდან 1945 წელსაც<sup>3</sup>. პირველ შემთხვევაში ოლია ოკუჯავა ჯერ დაპატიმრებული არ იყო, მეორე შემთხვევაში კი გალაკტიონთან უკვე ცხოვრობდა ნინო კვირიკამე. ამიტომ, ვფიქრობთ, დეპეშა არცერთ ამ თარიღში არ უნდა იყოს გაგზავნილი. არის კიდევ ერთი ვერსია – 1936 წლის ნოემბერი. მართალია, ინფორმაცია იმის შესახებ, ზუსტად 29-ში გამოეწერა თუ არა იმ დროს გალაკტიონი, არ მოგვეპოვება, მაგრამ ოლია ოკუჯავა ახალდაპატიმრებულია, პოეტი არა მხოლოდ ფიზიკურად, სულიერადაც ძალიან მძიმედ არის და მოგვეპოვება აბესალომ ტაბიძის მიერ 1936 წლის 18 ნოემბერს გაგზავნილი ბარათი. ის სწერს, რომ 24 ნოემბერს ისევ ჩააკითხავს და

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-99; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 89.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-104; 8; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 378.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 74; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., გვ. 394.

საღამომდე მასთან იქნება, ხოლო თუ 30 ნოემბრამდე დარჩება საავადმყოფოში, ჩაკითხავს და შინ გადასვლაში დაეხმარება<sup>1</sup>. სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ამ წერილის შემდეგ გალაკტიონს აბესალომისთვის ეცნობებია, რომ საავადმყოფოდან 29-ში ეწერება და არა 30-ში. წერილში ნახსენებია „რაბფაკი“. საგულისხმოა, რომ ე. წ. рабфак-ები ანუ მუშათა და გლეხთათვის განკუთვნილი სპეციალური ფაკულტეტები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლებისათვის ამზადებდნენ მათ, არსებობდა 1919-იანი წლებიდან 1940-იანი წლების დასაწყისამდე და ჩვენ მიერ დადგენილი თარიღი ამ ინტერვალში თავსდება.

◇ აბესალომის ერთი უთარილო წერილიდან გალაკტიონისადმი ჩანს, რომ მისი მისამართი სამტრედიაში არის „ბერიას ქუჩა N54“ და ასევე ირკვევა, რომ გალაკტიონი სადღაც არის წასული სამკურნალოდ და აბაზანების მისაღებად („მიხარია, რომ შენ მკურნალობა დაგიწყია“, „მადლობელი ვარ, რომ აბაზანებს ღებულობ და თავისთავზე ზრუნავ...“<sup>2</sup>). აბესალომის ეს მისამართი ფიგურირებს 1937-1938 წლების წერილებში, 1941 წლის წერილიდან კი ჩანს, რომ ის იმავე ქუჩაზე მდებარე სხვა სახლში გადავიდა (ბერიას ქუჩა N2“). 1941 წლამდე გალაკტიონი სამკურნალოდ და აბაზანების მისაღებად იმყოფებოდა ბორჯომში 1938 წლის 5 სექტემბრიდან<sup>3</sup>. წერილის მიხედვით, იმ თვის 18 რიცხვი, როდესაც აბესალომი თბილისში ჩავიდა და მისი ძმის მიერ გამოგზავნილი წერილი დახვდა, რომლიდანაც გაიგო, რომ მკურნალობდა და აბაზანებს იღებდა, იყო დასვენების დღე („ტელეფონი არ მუშაობს... გამოსასვლელი დღე იყო და რომ გადამეხადა, ვინ ჩაიბარებდა ფულს?“). 1938 წლის 18 სექტემბერი იყო დასვენების დღე, კვირა. შესაბამისად, ეს ფაქტიც 1938 წელსა და სექტემბრის თვეზე მიგვანიშნებს. წერილში ასევე ვკითხულობთ: „18 ამ თვეს თბილისში ჩავედი.... დღეს ჩამოვედი სამტრედიაში და ამ წერილს სამტრედიიდან გწერ...“. ტელეფონის თანხა აბესალომს იმიტომ ვერ უნდა გადაეხადა,

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი, ხ-24551-324; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 165-166.

<sup>2</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი, ხ-24551-340; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 179-180.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-117, 9; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 463.

რომ ორშაბათს არ დალოდებია და იმავე დღეს გაემგზავრა სამტრედიაში. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ის სკოლაში მსახურობდა, სექტემბრის თვეში კი სწავლა მიმდინარეობდა და ორშაბათს უკვე გაკვეთილებზე უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ეს უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1938 წლის 19 სექტემბერს. იგი შინაარსობრივ კავშირშია კიდევ ერთ წერილთან, რომელიც ავტორის მიერ 19 სექტემბრით არის დათარიღებული, მაგრამ წელი არ აწერია. დავაკვირდეთ, რა ქრონოლოგიურ მიმართებაშია ეს წერილები ერთმანეთთან. ჩვენ მიერ 1938 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ აბესალომს თბილისში სამსახური დაკარგული აქვს „მე წინანდელი ადგილი ჩემით ვიშოვე და იმისთვის არავინ შემე-წუხებია... თუ მოაგვარო საქმე, მიდებოქმე... თუ საჭიროდ დაინახო, იზრუნე ჩემ საქმეზედაც“. მეორე წერილში, რომელიც ავტორის მიერვე 19 სექტემბრით არის დათარიღებული, ჩანს, როგორ დაკარგა მან ეს სამსახური. სექტემბრის დასაწყისში უთანხმოება მოუვიდა ძმასთან, რომელიც მთელი კვირა გადაბმით სვამდა, 6 სექტემბერი დასვენების დღე იყო. ამიტომ თბილისის სკოლიდან კიდევ ერთი დღით გაითავისუფლა თავი, წავიდა სამტრედიაში და ორ დღეში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ შვილი დახვდა ავად, ძმაზე გაბრაზებას ესეც თან დაერთო და დეპეშა გააგზავნა თბილისში, რომ აღარ დაბრუნდებოდა და სხვა აეყვანათ მის ადგილზე. მართალია, მალე გადაიფიქრა და საპირისპირო შინაარსის დეპეშა და განცხადებაც გააგზავნა, მაგრამ უკვე გვიან იყო. აბესალომი ამაში გალაკტიონს ადანაშაულებს („ისე შეგვეძლო მოგვეწყო ცხოვრება, რომ ყველას შენატრებოდა... მეც ბინას შევიძენდი და ცოლ-შვილსაც ჩამოვიყვანდი. ასეთი იყო პერსპექტივი... თუ შუალამისას ვინმე ბინიდან არ გამომაგდებდა, ბინას უფრო ადრე ვიყიდდი და ცოლ-შვილსაც გადმოვიყვანდი“). შესაბამისად, ავტორის მიერ წლის მითითების გარეშე 19 სექტემბრით დათარიღებული წერილი ჩვენ მიერ 1938 წლის 19 სექტემბრით დათარიღებულზე ადრეა დაწერილი, მაგრამ ორივე ერთი წლისა ვერ იქნება, პირველში საერთოდ არ ჩანს 18 სექტემბერს (წერილის დაწერის წინა დღეს) თბილისში ჩასვლა: „დავრჩი ისევ სამტრედიაში. ვმუშაობ... რამდენიმე დღის წინად „ტონოს“ (თბილისის განათლების განყოფილების) გამგის – ამხ. გიორგაძის სახელზე განცხადება გამოვაგზავნე ადგილის შესახებ.“ შესაბამისად, 19 სექტემბრით დათარიღებული წერილი 1937

წლისა ან უფრო ადრეული უნდა იყოს. ამის დაზუსტებაში დაგვეხმარა მინიშნება იმაზე, რომ 6 სექტემბერი დასვენების დღე იყო. 1930-იან წლებში სწავლა საშუალო სკოლებში 6-დღიანი იყო და კვირაში მხოლოდ კვირა დღეს ისვენებდნენ. ეს კი ემთხვევა 1936 წელს. შესაბამისად, 19 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომელსაც წელი მითითებული არ აქვს, დაწერილი უნდა იყოს 1936 წლის 19 სექტემბერს. გასარკვევი რჩება წერილის ფრაზა: „შენ რომ თბილისიდან წამოდი, მე იმავე საღამოს გამოვემგზავრე სამტრედიისაკენ.“ სად იმყოფებოდა გალაკტიონი 1936 წლის 19 სექტემბრამდე პერიოდში? ამის გარკვევაში დაგვეხმარა პოეტის მიერ 1936 წლის 18 სექტემბერს გაკეთებული ჩანაწერი დღიურში, რომლიდანაც ჩანს, რომ იმ დროს ქობულეთში ისვენებდა<sup>1</sup>.

◇ ჩვენ მიერ 1936 წლის 19 სექტემბრით დათარიღებულ წერილში საუბარია ჭყვიშის მშობლიური სახლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგმაზე („სახლი გადაგიდგამსო უჩემოდო“) სახლის გადატანაზე საუბარია გალაკტიონის კიდევ ერთ უთაროლო წერილში, რომლიდანაც ჩანს, რომ აბესალომმა სახლი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანა, მაგრამ შიგ მაინც არ გადასულა საცხოვრებლად („სახლი გადმოტანილია, დადგმულია, თითქმის მოწყობილია.“). რამდენადაც გალაკტიონის ამ წერილის მიხედვით, სახლი კარგა ხნის აშენებულია და ზამთარი უკვე გასულია („ეს ზამთარი ისევ ძველ სახლში გაატარეთ“). შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1937 წლის მარტში ან შემდეგ.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთ წერილში, რომელსაც წელი არ აწერია და 13 ოქტომბრით არის დათარიღებული, ჩანს, რომ გალაკტიონი ბევრს სვამს და ცოლს ეჩხუბება („ასე ხვდებიან ქმარს?“). რამდენადაც აბესალომი მას იხსენიებს „ქალად“, არ აკონკრეტებს სახელს და თან დასძენს: „მაგი მალე მიგატოვებს, ან ახლა რა აჩერებს?“<sup>2</sup> ასეთი დამაბული ურთიერთობა კი გალაკტიონს ჰქონდა ოლგა დარიუსთან 1941 წელს, ვფიქრობთ, რომ წერილი ამ წლის 13 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-107, 22-23; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 395.

<sup>2</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 175.

◇ აბესალომ ტაბიძის 1947 წლის 23 ივლისის წერილიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონი თბილისიდან სადღაც არის წასული დასასვენებლად. გიგლა მებუკის მოგონებებიდან ირკვევა, რომ იმ დროს პოეტი შოვში იმყოფებოდა<sup>2</sup>.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი წერილიდან, რომელსაც წელი არ აწერია და დათარიღებულია 12 ივნისით, ჩანს, რომ გალაკტიონი და ნინა კვირიკაძე იმ დროს მოსკოვში იმყოფებიან და რომ პეტრე შარია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივნის თანამდებობაზე შეცვალა როსტომ შადურმა. ეს თანამდებობრივი ცვლილება მოხდა 1948 წელს და მართლაც, ამავე წლის წლის 18 მაისიდან გალაკტიონი და მისი მეუღლე მოსკოვში იმყოფებოდნენ. შესაბამისად, ბარათი 1948 წლის 12 ივნისს უნდა იყოს დაწერილი.

◇ აბესალომ ტაბიძის მიერ გალაკტიონისთვის გაგზავნილი ერთი წერილი 30 დეკემბრით არის დათარიღებული, მაგრამ წელი არ აწერია. წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონის დედა ცოცხალია და ჯანმრთელადაა, შესაბამისად, ბარათი 1935 წელზე ადრინდელი უნდა იყოს. ადრესანტის სიტყვები „ჩემს ცხოვრებაში სულ პატარა ცვლილება“, გვაფიქრებინებს, რომ საუბარი უნდა იყოს პირად ცხოვრებაზე. თუ გავითვალისწინებთ 1929 წლის 25 იანვრის აბესალომისავე წერილის სიტყვებს: „გაიგებდი, უთუოდ, რომ მე ცოლი შევირთე“, უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს მანამდე, 1928 წლის 30 დეკემბერს.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ მან და გალაკტიონმა ჯარიდან თავის დახსნა მოახერხეს, მაგრამ ვიღაცამ დაასმინა. ამიტომ აბესალომი წერილით სთხოვს, რომ ვინც იკითხავს, ყველას უთხრას, რომ ისიც და მისი ძმაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვეს ჯარიდან. სწერს, რომ სახლში ყოფნა უსაფრთხო არ არის და ურჩევს, რომელიმე ნათესავთან გადავიდეს. რამდენადაც რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის პერიოდში ჯარში გაწვევის პრობლემა გალაკტიონსა და მის ძმას პერიოდულად

---

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 176.

<sup>2</sup> გ. მებუკე, ჩანაწერები გალაკტიონ ტაბიძეზე, თბ, 1982, გვ. 60-61.

ჰკონდათა 1908 წლიდან 1917-ის იანვრის ჩათვლით<sup>1</sup>, წერილს ვათარილებთ ასე: 1917 წლის იანვრით ან უფრო ადრეული პერიოდით.

◇ აბესალომ ტაბიძის მიერ გალაკტიონისთვის სამტრედიიდან გაგზავნილი 11 აგვისტოთი დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ პოეტი მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად სადღაც ისვენებს. რამდენადაც ნინო კვირიკაძე და გალაკტიონი დაქორწინდნენ 1943 წელს, აბესალომი კი გარდაიცვალა 1948 წლის ოქტომბერში, წერილი შეიძლება დაწერილი იყოს 1943-1948 წლებში. ამ პერიოდში გალაკტიონი და ნინო კვირიკაძე აგვისტოს თვეში ერთად ისვენებდნენ შოვში 1947 წელს და ბარათი ამ წლის 11 აგვისტოს უნდა იყოს დაწერილი.

◇ აბესალომ ტაბიძის ორ წერილში: 1911 წლის 23 სექტემბრისაში<sup>2</sup> და უთარილოში<sup>3</sup> საუბარია ერთსა და იმავე თემებზე (რომ პოეტს ჯარში გაწვევა უწევს და სამასწავლებლო ინსტიტუტში ორ წელს ვერ ჩააბარებს, რომ სემინარიისთვის უნდა მოემზადოს და თან მასწავლებლის ადგილი ეძებოს და სხვ.). შესაბამისად, წერილები დროის მოკლე ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი. 23 თებერვლის წერილიდან ჩანს, რომ აბესალომმა ის გალაკტიონის 20 სექტემბრის წერილის მიღებისთანავე დაწერა, უთარილო წერილის მიხედვით კი აბესალომი მას სოფლიდან წამოსვლისა და ქუთაისში ჩასვლის შემდეგ არ შეხმიანებია („ადგილი რომელ რიცხვიდგან გაქვს. სოფელში წერილი გავაგზავნე შენ მაშინ სახლში იყავი თუ არა?). ამ წერილების შინაარსების მსგავსებას კარგად ხსნის 23 სექტემბრის ბარათის ერთი პასაჟი: „მე შენ წერილი კვირა ნახევარია, რაც გამოგიგზავნე დახურული და ყოველივე დაწვრილებით მოგწერე და მე ეხლა პასუხს ველოდი. ის კი არადა თურმე სულაც არ მივიღია... წერილი „კოლხიდის“ რედაქციაზე იყო შენდა გადმოსაცემად და მიკვირს, რამ დაჰკარგა“. ირკვევა, რომ აბესალომი გალაკტიონის 20 სექტემბრის წერილიდან, რომელიც თავისი 23 სექტემბრის წერილის დაწერამდე 5 წუთით ადრე მიიღო, მიხვდა, რომ ძმისთვის კვირანახევრის წინ გაგზავნილი თავისი ბარათი დაიკარგა და ამიტომაც მისწერა ყველაფერი ხელახლა.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის 1917 წლის 29 იანვრის წერილი ოლია ოკუჯავას. ქლმ, 24551-40; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008, გვ. 40.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა 1277, 1-5.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551/352-2.

შესაბამისად, უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 23 სექტემბრამდე კვირანახევრით ადრე. კვირანახევარი არის 10 ან თერთმეტი დღე, მაგრამ 10 დღე რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, ამ მრგვალ რიცხვს ასევე ახსენებდა წერილის ავტორი და უფრო სავარაუდოა, 11 დღე იგულისხმებოდეს. შესაბამისად, აბესალომის უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1911 წლის 12 (23 მინუს 11) სექტემბერს. ორივე წერილის მიხედვით გაზეთ „თემში“ მისვლას აბესალომი 26 სექტემბერს აპირებდა, მაგრამ 23 სექტემბრის (მასვე უწერია, რომ პარასკევი დღეა) წერილში თარიღს, რომელიც ძალიან ახლოა, სახელდებით არც კი ახსენებს („პასუხისთვის ორშაბათს უნდა მივიდე“), უთარილო წერილში კი, რომლის სავარაუდო თარიღი 12 სექტემბერია, თარიღი პირდაპირ არის დასახელებული (26 წავალ). აბესალომი იმ დროს სწავლობდა, გაკვეთილები ჰქონდა და 26 სექტემბერი შეარჩია იმიტომ, რომ ის სემინარიისთვის დასვენების დღე იყო: „პასუხისთვის ხვალ უნდა მივსულიყავ „თემში“, მაგრამ რადგან გაკვეთილებიც გვაქვს, 26 წავალ, ის დღე ჩვენთვის უქმეა“. შესაბამისად, უთარილო ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1911 წლის 12 სექტემბერს.

### **მეუღლესთან – ოლია ოკუჯავასთან მიმოწერა**

◇ ოლია ოკუჯავასთვის ჭიათურაში გაგზავნილი ერთი უთარილო წერილიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონი ახალჩასულია ქუთაისში და სასტუმროშია გაჩერებული. შესაბამისად, დიდხანს დარჩენას არ გეგმავს. მას სამხედრო სამსახურში გაწვევა უწევს და კენჭისყრაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, შედეგს კი მხოლოდ თვენახევარში გაიგებს. რაც შეეხება ოლიას, ფრაზები „თურმე, დიდებულად მოწყობილხარ [სოფელში] ჭიათურაში.“ და „ოლოლ, ვერ გეწვევი ჭიათურაში, სანამ არ განვთავისუფლდები. მაშინ კი ჩამოვალ.. და მერე როგორ ჩამოვალ? სულ ტრიუმფით...“ მიგვანიშნებს, რომ ოლია ჭიათურაში დიდი ხნის წასული არ ჩანს და გალაკტიონი მასთან ჯერ ნამყოფი არ უნდა იყოს. 1913 წლის 25 სექტემბერს ასევე ოლიასთვის გაგზავნილი თარიღიანი წერილიდან (ქლმ, 24551/20) ვიგებთ, რომ გალაკტიონი ქუთაისიდან მიემგზავრება და რომ მისი ჯარში გაწვევის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი („ოლოლ, თუ სალდათად წამიყვანეს... შენ გეწყინება,

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551/25.



არა?“. შესაბამისად, ეს ორი ბარათი მოკლე ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი და მათგან უთარილო წერილი უფრო ადრეული უნდა იყოს. შესაბამისად, იგი 1913 წლის 25 სექტემბრამდე პერიოდით დავათარილეთ. ასეთი დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ წერილის მიხედვით გალაკტიონი სასტუმროში „გურია“ არის გაჩერებული, 1913 წლის 24 სექტემბერს ქუთაისიდან ძმისთვის გაგზავნილ წერილშიც საუბარია ჯარიდან გათავისუფლების პრობლემასა და იმაზე, რომ სასტუმროს თანხის გადასახდელად ფულის სესხებას აპირებს და მის დაბრუნებაზე აბესალომის დახმარება სჭირდება<sup>1</sup>.

◇ ქუთაისიდან ჭიათურაში ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილი უთარილო წერილიდან<sup>2</sup>, რომელიც საარქივო გამოცემაშიც და 2020 წელს გამოცემულ „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეშიც“ 1914 წლით არის დათარიღებული, ჩანს, რომ პოეტი 20 სექტემბერს საღამოს გამართვას გეგმავს („საღამო მაქვს 20 ენკენისთვის“), რომელზეც ძალიან დიდ იმედებს ამყარებს. მწერლის თხზულებათა თორმეტტომეულის კომენტარებში ნათქვამია, რომ ეს საღამო არ შედგა და გადატანილ იქნა ჯერ 19, მერე 23 და ბოლოს 27 ნოემბრისთვის<sup>3</sup>. იგივე აზრია გამოთქმული საარქივო გამოცემის 24-ე ტომშიც. გალაკტიონის მოლოდინებიდან გამომდინარე, ეს არ უნდა ყოფილიყო რიგითი საღამო („თუ კარგად ჩაიარა, ხომ ძალიან არ დაჰყვებს ჩემს ბედს. კარგა ხნით უზრუნველყოფილი ვიქნები. თუ არა და მდგომარეობა ძველებური იქნება. რაც გამეხერხება, ვტრიალებ, მინდა, რამე გაკეთდეს.“). რამდენადაც წერილს წელი არ აწერია, ოლია ოკუჯავა კი ჭიათურაში რამდენიმე წელს იმყოფებოდა, გადავამოწმეთ 1914-ის მომიჯნავე წლებიც და აღმოვაჩინეთ, რომ 1915 წლის 20 სექტემბერს გალაკტიონ ტაბიძეს მართლაც ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი საღამო. ამ ღონისძიების შესახებ 13 სექტემბრიდან წერდნენ გაზეთები<sup>4</sup>. 16 სექტემბერს კი ია ეკალაძემ ასეთი მოწოდებაც კი დაბეჭდა „დავეხმაროთ მგოსანს“<sup>5</sup>. იგი წერდა გალაკტიონ ტაბიძის ნიჭიერებაზე

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა 814, გვ. 1-2.

<sup>2</sup> ქლმ, ხ-24551/27.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 727.

<sup>4</sup> გაზ. „სამშობლო“, 1915, #175, გვ. 1.

<sup>5</sup> ია ეკალაძე, „დავეხმაროთ მგოსანს“, გაზ. „სამშობლო“, 1915, #176, გვ. 3.

და იმაზე, თუ როგორ ხელმოკლეობას განიცდის ის და როგორ შეუძლია საზოგადოებას თავისი გაღებული გროშებით ცოტა ხნით მაინც დაავიწყოს პოეტს ლუკმა-პურისთვის ზრუნვა. 19 სექტემბერს გაზეთ სამშობლოში გამოქვეყნებული განცხადებიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ ეს უნდა ყოფილიყო კარგად ორგანიზებული სადამო, სახელწოდებით „საქართველოს ყვავილები“. მასზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო: პაოლო იაშვილის მოხსენება „სამშობლოს გარედ ომის დროს... იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი“; ერთმოქმედებიანი დრამა „სიკვდილი ნაპოლეონისა“, პოეზიისა და მუსიკალური განყოფილებები. გამოქვეყნდა უკვე ჩატარებული სადამოს ვრცელი მიმოხილვა<sup>2</sup>. განსახილველ უთარილო წერილში ვკითხულობთ: „მალე სახ. სათათბიროს არჩევნებიც მოხდება“ და ეს ფაქტიც ემთხვევა 1915 წლის სექტემბერს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს წერილი 1915 წლის 20 სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრეა დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი უთარილო მოკლე წერილიდან<sup>3</sup>, რომელსაც ის ოლია ოკუჯავას უგზავნის, ჩანს, რომ ორივენი იმჟამად ქუთაისში იმყოფებიან („სახლში სადამოს არ ვიქნები... ხვალ დილით მოხვალ? უსათუოდ მოდი“). წერილში ვკითხულობთ, „ქალაქში უნდა წავიდე გვარამიას სანახავად...“ გალაკტიონის ნაქირავები სახლი გორაზე იმდენად შორს იყო ქუთაისის ცენტრიდან, რომ იქიდან ცენტრში გასვლას პოეტი სხვა წერილებშიც ქალაქში წასვლას უწოდებს (შდრ. „ჩვენ ისევე ქალაქში დავბრუნდით შუალამისას“)<sup>4</sup>. ბარათში ნათქვამია, რომ იმავე სადამოს გალაკტიონი აპირებდა ტუტკუ გვარამიას ნახვას ჰონორართან დაკავშირებით დასალაპარაკებლად („უნდა შევიტყო, ფულს მამლევეს თუ არა.“). შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი პირველი კრებული გვარამიას უკვე გამოცემული უნდა ჰქონოდა. ეს მოხდა 1914 წლის ივნისის ბოლოს. შესაბამისად ბარათში ნახსენები სადამოც, რომელიც მომდევნო დღეს უნდა გამართულიყო ლანჩხუთში, ივნისის შემდეგდროინდელი უნდა იყოს. 1914 წლის 7 ივლისს მართლაც იყო დაგეგმილი სადამო ლანჩხუთში

---

<sup>1</sup> გაზ. „სამშობლო“, 19 სექტემბერი, #179, გვ. 1, 3.

<sup>2</sup> ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, #40, გვ. 14-15.

<sup>3</sup> ქლმ, N24551/59.

<sup>4</sup> ქლმ, ხ-24551/26

გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით<sup>1</sup>. შესაბამისად, ეს მოკლე ბარათი 6 ივლისს უნდა იყოს დაწერილი და ამ დათარიღებით დგინდება ისიც, რომ სწორედ ამ დროს მუშაობდა პოეტი ედგარ პოს ლექსის – „ყორანის“ თარგმანზე („ეხლა, ოლოლ, ვთარგმნი ედ. პოსს „ყორანს“). საგულისხმოა ოლია ოკუჯავას მოგონება, რომელიც 1917 წელს ჩაუწერია მას გალაკტიონის რვეულში. მასში აღწერილია, როგორ ესტუმრა ის ერთხელ გალაკტიონს ქუთაისში და როგორ ნახა მისი სამუშაო გარემო: წიგნებით მოფენილი მაგიდა, თავდაუხურავი სამელნე, მეღანშეუმშრალი კალამი და მწვანეყდიანი რვეული ახალდაწერილი ლექსებით. ოლიას თქმით, მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ უცებ ოთახში შემოფრინდებოდა ედგარ პოს ყორანი და გაბატონდებოდა ლენორის დაკარგვით გამოწვეული სევდა<sup>2</sup> (დ-3, 15). გალაკტიონის ახალდაწერილ ლექსებთან ედგარ პოს „ყორანისეული“ სახეების დაკავშირება მიგვანიშნებს, რომ ეს მოგონება შეიძლება სწორედ იმ პერიოდს ეხებოდეს, როდესაც გალაკტიონ ტაბიძე ამ ლექსს თარგმნიდა და ზემოხსენებულ უთარიღო წერილს წერდა.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი წერილიდან გალაკტიონისადმი, ჩანს, რომ საავადმყოფოშია დაწერილი და რომ გალაკტიონმა ოლია მათი განშორებიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ ნახა<sup>3</sup>. ოლია ოკუჯავას 1927 წლის 13 თებერვლის დღიურიდან ჩანს, რომ გალაკტიონი იმ დამით გაემგზავრა სოხუმში ბათუმის გავლით. შესაბამისად, მათი შემდეგი შეხვედრა 1927 წლის მაისის შუა რიცხვებში უნდა მომხდარიყო და ეს ბარათი ამის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი უთარიღო წერილი ოლია ოკუჯავასადმი მწერლის თხზულებათა საარქივო გამოცემაში კონვერტზე დარტყმული ბეჭდის მიხედვით დათარიღებულია 1914 წლის 6 იანვრით<sup>4</sup>, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ კონვერტზე ორჯერ არის ბეჭედი დარტყმული. ერთზე აწერია „9.1.14“, მეორეზე კი „-6.1.14“ და ორივე ბეჭედი ქუთაისშია დარტყმული. რამდენადაც თარიღის

<sup>1</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 4 ივლისი, #88, გვ. 1.

<sup>2</sup> Было такое ощущение, что вот-вот влетит в комнату Эдгаров Ворон,] [было ощущение от потери Лены] Веяло скорбью от потери Лены.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-408; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 185-186

<sup>4</sup> ქლმ, ხ-24551/21.

ციფრებს ფოსტის თანამშრომლები ყოველდღიურად სვამდნენ ბეჭდის ბუდეში, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ციფრს შემთხვევით ამოტრიალებულად დებდნენ. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ოლია ოკუჯავა ზესტაფონიდან ქუთაისში იყო ჩასული ცოტა ხნით და უკან დაბრუნდა („კვირობდა ჩემს ხშირ სტუმრობას“, „როდესაც შენ ჩამოხვალ, შეიძლება ისევ შევუერთდე“). ოლია იმ დროს მასწავლებლად მსახურობდა ჭიათურაში და არდადეგებზე ჩადიოდა ხოლმე ქუთაისში. ზამთრის არდადეგები საქართველოში ახალი კალენდარული სტილის შემოღებამდე იწყებოდა შობამდე (25 დეკემბრამდე) და გრძელდებოდა ნათლისღების (6 იანვრის) ჩათვლით. მართალია, გალაკტიონ ტაბიძის 1915 წლის 11 იანვრის წერილიდან (ქლმ, 24551/29) ვიგებთ, რომ 1915 წელს ოლია ჭიათურაში შესაძლოა ნათლისღების დღესვე გამგზავრებულიყო („იმ დღეს, შენ რომ წადი (ნათლიღება არ იყო?“), მაგრამ 1914 წლის წერილის სიტყვები „უკანასკნელად, როცა შენ მიემგზავრებოდი“ ნაკლებ სავარაუდოს ხდის, რომ ეს გამგზავრება წერილის დაწერის ან მის წინა დღეს მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში პოეტი გამოიყენებდა სიტყვებს „დღეს“ ან „გუშინ“ და ისედაც ნაკლებ საფიქრბელია, რომ გამგზავრებიდან ასე მალე გაეგზავნა მისთვის წერილი. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ფოსტის ორი ბეჭდიდან იმის თარიღია სწორი, რომელსაც აწერია 9 იანვარი და არა 6.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი მოკლე წერილი ოლია ოკუჯავასადმი ნაწერია პოეტის სავიზიტო ბარათზე, რომელზეც აწერია „ქუთაისი“<sup>1</sup>. შესაბამისად, იგი გალაკტიონის ქუთაისში ცხოვრების პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. შინაარსიდან ჩანს, რომ იმ დროს ოლია და გალაკტიონი ერთ ქალაქში არიან, ხშირად ურთიერთობენ, მაგრამ ერთ ბინაში არ ცხოვრობენ („გმადლობ რვეულებისთვის“, „ოთხ საათამდე სახლში ვიქნები. ოლია, თუ იმის გამო ვერ მოდიხარ, დაანებე თავი, მე დღეს ან ხვალ არაფერი მიჭირს“). ასევე ჩანს, რომ ზამთარია, რადგან გალაკტიონი ახალ რვეულებში თავისი ტექსტების გადაწერის დაწყებამდე ოთახში ღუმელის დანთებას აპირებს. გალაკტიონის და ოლიას ქორწინებამდე ასეთი ვითარება შეიძლებოდა ყოფილიყო 1914 ან 1915 წელს, როდესაც ჭიათურაში მასწავლებლად მომუშავე ოლია

---

<sup>1</sup> ქლმ, ხ-24551-58.

ზამთრის არდადეგებზე ჩადიოდა ქუთაისში. რამდენადაც ოლიას გალაკტიონისთვის რვეულები მიუტანია და ის დიდის ამბით იწყებს რაღაცის გადაწერას, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს 1914 წელი, როდესაც ის თავის პირველ წიგნს ამზადებდა გამოსაცემად. ინფორმაცია ამ წიგნზე ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებით გაზეთში გამოქვეყნდა 1914 წლის 18 თებერვალს. შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ გალაკტიონს მისი გადაწერა იანვარში დაეწყო. 1914 წლის [9] იანვარს ქუთაისიდან ჭიათურაში გალაკტიონის მიერ გაგზავნილი წერილი (ქლმ, ხ-24551/21) ასეთივე მიმართებით იწყება „ოლია“, დამშვიდობების ფრაზაში იქაც არის სიტყვები „მარადის შენი“ და თავად წერილში იქაც ნახსენებია გალაკტიონის „სულიერი განწყობილება“. მართალია, ეს უთარილო ბარათი უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე 9 იანვრისა, მაგრამ ამის მიზეზი სწორედ ისაა, რომ ოლია ქუთაისშია და ისინი ხშირად ნახულობენ ერთმანეთს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს მოკლე ბარათიც 1914 წელს უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ზამთრის არდადეგების დამთავრებამდე, 6 იანვრამდე.

◇ გალაკტიონის მიერ ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილი ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ ზამთარი მიიწურა („დგება გაზაფხული!“), გალაკტიონი კარგ ხასიათზეა („მე დღეს ბედნიერი ვარ!“), მაგრამ ოლია, როგორც ჩანს, რაღაცეებს საყვედურობს („მე არ მჯერა, რომ ჩემი სიტყვები შენ გაწყენინებდენ“, „შენ ყოველთვის - პასუხათ საომარ წერილებს გამოგზავნი..“). 1914 წლის დასაწყისში გალაკტიონი გამოსაცემად ამზადებდა თავის პირველ წიგნს და, ზოგადად, კარგ განწყობაზე იყო, ოლიას ამ პერიოდის წერილები და დღიურები კი სავსეა საყვედურებით. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილი 1914 წლის გაზაფხულამდე, მარტამდე უნდა იყოს დაწერილი<sup>1</sup>.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ ქუთაისიდან ჭიათურაში ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილ ერთ უთარილო წერილში ნახსენებია, როგორ გამოიძახა ერთხელ ოლიამ გალაკტიონი ყოველგვარი გადაუდებელი მიზეზის გარეშე ჭიათურაში დეპუტით<sup>2</sup>. გაზეთ „აზრში“ 1914 წლის 11 მარტს გალაკტიონ ტაბიძის მიერ გამოქვეყნებული

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 29-30.

<sup>2</sup> ქლმ 24551-46.

განცხადებიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ ჭიათურაში სასწრაფო გამოძახების გამო მას პოემა „შუანეთა“ გაზეთის რედაქციაში დარჩა და დაიკარგა. ოლია ოკუჯავას 1914 წლის 16 იანვრის წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონს პოემა სწორედ იმ პერიოდში დაუკარგავს („Узнай как арестовали и где твою „Шуанета“ и напиши все. Я не хочу, чтоб ты ее потерял“). შესაბამისად, წერილი, რომელშიც ჭიათურაში ეს გამგზავრებაა ნახსენები („გახსოვს, წინეთ რომ მომატყუე ტელეგრამით? ახლა ისე არ შეიძლება!“), 1914 წლის იანვარზე ადრეული ვერ იქნება. გარდა ამისა, უთარილო წერილიდან ჩანს, რომ პოეტი წიგნის გამოცემაზე მუშაობს („მერე კიდევ წიგნის საქმე“) და რომ კვირას გასამართი აქვს სალამო („ახლა კვირას მე თეატრში დიდი სალამო მაქვს და თუმცა თვითონ მე არ ვმუშაობ, მაგრამ მაინც მე ვარ ხელმძღვანელი, ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული.“). გალაკტიონის ლექსების პირველი კრებული 1914 წლის ივნისის ბოლოს გამოვიდა, ამ წლის 16 იანვრიდან ივნისის ბოლომდე კი ქუთაისის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით ლიტერატურული სალამო კვირა დღეს ჩატარდა მხოლოდ 23 მარტს<sup>2</sup> და საგულისხმოა, რომ 23 მარტსვე გაზეთ „აზრში“ გამოქვეყნდა განცხადება, რომ მოკლე ხანში გალაკტიონისა და იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობით სალამო გაიმართებოდა ჭიათურაშიც<sup>3</sup>. როგორც ჩანს, ეს ბარათი 1914 წლის 23 მარტის წინა დღეებშია დაწერილი. გალაკტიონი უკვე დანიშნულ სალამოს ვერ გადადებდა, მაგრამ ოლიას თხოვნიდან გამომდინარე, განიზრახა, რომ შემდეგი სალამო ჭიათურაში ჩატარებინა. რაც შეეხება წერილის დაწერის დროს, ფრაზა „ახლა კვირას“ პოეტს შეიძლებოდა გამოეყენებინა 23 მარტის მომცველი კვირის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით – 17-22 მარტს. ამ წერილის დათარიღებამ საშუალება მოგვცა დაგვეთარიღებინა მასში გადმოცემული ამბებიც. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონი სამი დღე სახლიდან არ გასულა და მხოლოდ წერილის დაწერის წინა ღამით გავიდა, ეს წინა ღამე უნდა ყოფილიყო 16-21 მარტის ინტერვალში, ხოლო ამის წინა სამი დღე, როდესაც მას წოლითი

---

<sup>1</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 11 მარტი, #9, გვ. 4.

<sup>2</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 9 მარტი, #8, გვ. 1.

<sup>3</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 23 მარტი, #20, გვ. 1.

რეჟიმი ჰქონდა ეტლიდან გადმოვარდნით მიღებული დაზიანებების გამო – 13-18 მარტის ინტერვალში.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ ოლია ოკუჯავასთვის თბილისიდან ბორჯომში გაგზავნილი ერთი უთარილო წერილიდან<sup>1</sup>, რომელიც პოეტის საარქივო გამოცემაში 1927 წლით არის დათარიღებული, ჩანს, რომ ზაფხულია („ტფილისში სიციხეებია“, „ჩვენ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ შემოდგომიდან. გაუმარჯოს მომავალ შემოდგომას!!!“) და ჩანს ისიც, რომ ოლია ბორჯომში არა უბრალოდ დასასვენებლად, არამედ სამკურნალოდ არის წასული („შენი ერთგული და უებარი მკურნალი“, „შენ დაბრუნდები - როგორც კაჟი“). წერილიდან ასევე ირკვევა, რომ განათლების სახალხო კომისარიატში გათავისუფლდა ლიტერატურული განყოფილების გამგის ადგილი. ეს თანამდებობა ბრეხნიჩევთან მის უთანხმოებამდე ეკავა აკაკი პაპავას. გალაკტიონს ძალიან უნდა ამ თანამდებობის დაკავება, მაგრამ არ იცნობს „მთელი ამ საქმეების გამგე“ თუმანოვს. ბარათის დაწერის დროის დასადგენად ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგი ისტორიული ფაქტების გათვალისწინება: აკაკი პაპავა ემიგრაციაში წავიდა 1922 წელს. ა. თუმანოვს განათლების სახალხო კომისრის თანამდებობა ეკავა 1921 წლის შემოდგომამდე, როდესაც დავით გამრეკელი დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა ამ თანამდებობაზე. იონა ბრეხნიჩევი 1921 წლის შემდეგ აღარ ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად შექმნილ სრულიად საკავშირო კომისიას. იგი გადაიყვანეს საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილ მოშიმშილეთა დახმარების კომისიაში. როგორც ვხედავთ, წერილში მოხსენიებულ მოვლენათა დროსთან დაკავშირებით მოძიებულ დამატებით ინფორმაციათა ერთობლიობა 1921 წელზე მიგვანიშნებს. გალაკტიონის სიტყვებიდან ჩანს, რომ მას გაუჭირდა მიხეილ ოკუჯავასთვის შუამდგომლობის თხოვნა („მინდოდა, მეთქვა მიშასთვის და ვერ გავბედე“) და ამჯობინა ოლიას დის - მანასთვის (მარიამი) და რძლის - ნინა გვახარიასთვის მიემართა, რომელიც მარიამ ორახელაშვილის მოადგილედ მსახურობდა. შესაძლოა, მიხეილთან ასეთი მორიდება გამოწვეული იყო იმით, რომ მას ამ დროს პირადი ტრაგედია ჰქონდა – 1921 წლის აპრილის ბოლოს

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551/47.

გარდაეცვალა მეუღლე – ეკატერინე ხალვაში-ოკუჯავა და დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი. რაც შეეხება წერილის ფრაზას „ჩემი წიგნები - ყველა დამიბრუნეს“. 1921 წლის 9 აპრილს გალაკტიონმა განცხადებით მიმართა რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს კავკასიის სამმართველოს გამგეს, სერგეი ბოგდატიევს, მის მიერ 1919 წელს გამოცემული ლექსების წიგნის ტირაჟიდან დარჩენილი 500 ეგზემპლარის მისთვის დაბრუნების ან გამოსყიდვის უფლების მინიჭების თხოვნით და წერილში, როგორც ჩანს, ამ წიგნების დაბრუნება იგულისხმება.

ბარათში ყურადღებას იქცევს მრავლობითი რიცხვის გამოყენება ფრაზებში: „ნუ მოგვაკლებ ჩვენ ასეთ წერილებს. ვიქნებით მუდამ მოხარულნი და მადლობას შევწირავთ ზეცას“. ვინ უნდა იგულისხმებოდეს აქ გალაკტიონთან ერთად, თუ არა ოლიას ოჯახის წევრები, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ გალაკტიონს მათთან რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში, როდესაც მიხეილ ოკუჯავა თბილისის რევოლუციურ კომიტეტის წევრი გახდა<sup>1</sup>, ის დედასთან, და-ძმასთან და ოჯახთან ერთად გადავიდა თბილისში საცხოვრებლად. ზოგიერთ წყაროში აღნიშნულია ისიც, რომ გალაკტიონი და ოლიაც გარკვეული დროით მათთან ერთად ცხოვრობდნენ<sup>2</sup>. შესაბამისად, ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბარათი 1921 წლის ზაფხულშია დაწერილი და, თუ გავითვალისწინებთ სიტყვებს „გამოიყენე ჯანმრთელობისთვის ეს თვეები. შემოდგომიდან დიდი და ინტენსიური მუშაობის დაწყება მოგვიხდება“, შემოდგომამდე ერთ თვეზე მეტი უნდა იყოს დარჩენილი. შესაბამისად, წერილს ვათარიღებთ 1921 წლის ივლისით ან უფრო ადრეული პერიოდით.

◇ ქუთაისიდან ჭიათურაში პოეტის მიერ ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილი ერთი უთარიღო წერილიდან<sup>3</sup> ჩანს, რომ გალაკტიონ ტაბიძე იმხანად ოპტიმისტურ განწყობაზეა („დღეს მე მთელი ქვეყანა მიყვარს.. დღეს ჩემს თვალში არ არსებობს არავისი დანაშაული და უბედურება. მე დღეს ბედნიერი ვარ!“), ოლია კი პესიმისტურზე (дальше я не могла с тобою искренно говорить боясь, чтобы мои чувства

<sup>1</sup> Советское строительство, „Правда Грузии“, 1921, 5 марта, №4, ст. 3.

<sup>2</sup> Марат Гизатулин, Булат Окуджава: «...От бабушки Елизаветы к прабабушке Элисабет», 2020, <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

<sup>3</sup> კლმ 24551/39; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 29-30.



и помыслы не были задеты) და გალაკტიონი ცდილობს მის დამშვიდებებს („ნუ თუ შენ ასე გესმის ადამიანის გულწრფელი სიტყვები?... არ მჯერა, რომ ჩემი სიტყვები შენ გაწყენინებდენ..“). სწორედ ასეთივე ვითარებაა 1914 წლის 18 და 28 თებერვლის წერილებში („უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებათ წარმოიდგინო, უნდა ჩაპკლა მწუხარება გულში“, „ჯერ შენ შეიგნე საკუთარი ბედნიერების ძლიერება და დაინახავ, რომ პირობების საძირკველი ფუყე ყოფილა.“). ამიტომ, რამდენადაც ბარათიდან ჩანს, რომ გაზაფხულის დასაწყისია, ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს 1914 წლის მარტის დასაწყისი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ უთარილო წერილში ოლია ოკუჯავასადმი<sup>1</sup> პოეტი იმავე „ჭორზე“ საუბრობს, რომელიც ნახსენებია ამ ადრესატისთვის გაგზავნილ 1914 წლის 5 სექტემბრის ბარათში. საქმე ეხება მისი და რაისა ჩიხლაძის ურთიერთობას. თარიღიან წერილში გალაკტიონი ჩქარობს და ძალიან მოკლედ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ ჭორისადმი, აქ კი უფრო ვრცლად წერს. შესაბამისად, ეს წერილი ქრონოლოგიურად ცოტა უფრო გვიანდელი უნდა იყოს და ვათარილებთ 1914 წლის 5 სექტემბრის შემდგომი პერიოდით.

◇ ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილ ერთ უთარილო წერილს ეტყობა, რომ გალაკტიონისა და ოლიას გაცნობიდან და დაახლოვებიდან (1912 ზაფხული) დიდი ხნის შემდეგ არ უნდა იყოს დაწერილი<sup>2</sup>. ბარათიდან ჩანს, რომ ის ფოთიდან ჭყვიშისკენ პოეტის მგზავრობის დროს სამტრედიის სადგურშია დაწერილი და გალაკტიონი სოფელში დარჩენას აპირებს („მივდივარ დედაჩემთან. მინდა, დავისვენო. ჩემი მეგობრები სოფელში მხოლოდ წიგნები იქნებიან და შენი წერილები“). ქუთაისიდან გამგზავრებამდე გალაკტიონმა მიიღო დედის წერილი, რომელშიც მაკრინე ადგილობრივი შვილს ჭყვიშში ჩასვლას და სექტემბრამდე დარჩებას სთხოვდა („ერთხანს სახლში მოდი და იყავი ეკენისთვემდი...“). ბუნებრივია, დედა მხოლოდ ერთი და ორი კვირით არ მიიწვევდა შვილს და ბარათი სექტემბრამდე კარგა ხნით ადრე, ზაფხულში უნდა იყოს დაწერილი. დედის ამავე წერილიდან ჩანს, რომ აბესალომი გალაკტიონისთვის ქუთაისში ჩაკითხვას უახლოეს ხანებში

---

<sup>1</sup> ქლმ, N24551/28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 27-28.

<sup>2</sup> 24551/61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 53.

აპირებდა („აბესალომ თუ შემოვიდეს ამ კვირაში, უთხარი, წერილი გამომიგზავნოს... შეიძლება ქუთაისში წავიდეო და თუ ვერ წავედი, შინ მოვალ და მერმეთ წავალო“). შესაბამისად, აბესალომი დედის მიერ წერილის გაგზავნის შემდეგ დაახლოებით ერთ კვირაში უნდა ჩასულიყო ქუთაისში. რამდენადაც მიხეილ ბოჭორიშვილისთვის 22 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ პოეტი ქუთაისიდან ჭყვიშში სწორედ ძმამ წაიყვანა („შევიშლებოდი რომ ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო და სულ ძალით არ წავეყვანე სოფელში“), გალაკტიონის ქუთაისიდან ჭყვიშში წასვლა და გზიდან ოლია ოკუჯავასთვის წერილის მიწერაც 1912 წლის სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრებას განამტკიცებს 22 ოქტომბერს მიხეილ ბოჭორიშვილისთვის მიწერილი სიტყვებიც, რომ ორი პოემა და 100-მდე პატარა ლექსი დაწერა. ფრაზები „ეხლა თავადივითა ვარ“ და „ვწერ დღე და ღამე განუწყვეტლად“ მიგვანიშნებს, რომ დროის ინტერვალი, რომელშიც ეს ყველაფერი შექმნა, სწორედ სამსახურისთვის თავის დანებებას და სოფელში ჩასვლას უნდა უკავშირდებოდეს. ბუნებრივია, პოეტი ჭყვიშში სექტემბრამდე ანუ დაახლოებით ორი თვით ადრე რომ არ ჩასულიყო, ამდენი რამის დაწერას ვერ მოასწრებდა.

◇ გალაკტიონის ერთი წერილიდან ოლია ოკუჯავასადმი, რომელიც დათარიღებულია 18 ივლისით<sup>1</sup>, ჩანს, რომ მისი „ჯონ რიდი“ ჟურნალში იბეჭდება და იმ დღეებში უნდა გამოვიდეს. რამდენადაც ეს პოემა 1924 წლის ივლისში გამოქვეყნდა ჟურნალში მნათობი, წერილს 1924 წლის 18 ივლისით ვათარიღებთ<sup>2</sup>, მის გაგრძელებას კი, რომელსაც 20 ივლისი აწერია, 1924 წლის 20 ივლისით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 1914 წლის 6 იანვრის წერილიდან ოლია ოკუჯავასადმი<sup>3</sup> ვიგებთ სხვა წერილის შესახებ, რომელიც გალაკტიონმა დედისგან მიიღო. ბარათში საუბარია დედასთან და ძმასთან დამაბული ურთიერთობის შესახებ. რამდენადაც პოეტი ამ ურთიერთობის გაფუჭებასთან დაკავშირებით ახსენებს „ოთხწელიწადნახევარს“, მისი განაწყენება შეიძლება უკავშირდებოდეს სემინარიაში მეორე კლასში გადასასვლელი გამოცდების პერიოდს, როდესაც ის იმდენად

---

<sup>1</sup> კლმ 24551/48; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ, 2008, გვ. 43.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 530.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 15-17.

სასოწარკვეთილი იყო, რომ თვითმკვლელობა სცადა. თუ გავითვალისწინებთ, როგორი საყვედურებით შეხვდნენ ოჯახის წევრები 1910 წლის იანვარში მის მიერ სემინარიის დატოვებას, გასაკვირი არ არის, რომ 1909 წლის სექტემბერშიც არ დაუჭერდნენ მხარს მის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას. რამდენადაც ოლიასადმი წერილი, რომელშიც ეს ამბებია აღწერილი 1914 წლის 6 იანვრით თარიღდება, დედის წერილი უფრო ადრეული უნდა იყოს.

◇ ოლია ოკუჯავას მიერ გალაკტიონისთვის კარასუბაზარიდან, იგივე ბელოგორსკიდან გაგზავნილი ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ ის ამ ქალაქში 23 მარტს ჩავიდა („23. III я пришла в Карасубазар“) და გლეხის სახლშია გაჩერებული<sup>1</sup>. სიტყვები: „დღეს ფოსტაში წავედი, გამეხარდა, მივიღე მამას ტელეგრამა“ მიგვანიშნებს, რომ ის ბელოგორსკში იმ დღის ჩასული არ არის. მეორე წერილიდან<sup>2</sup> ირკვევა, რომ გლეხის სახლიდან უკვე სამი დღის გადასულია („Я три дня пока кака живу здесь“). რამდენადაც ოლია 1929 წლის დეკემბერში გაიყვანეს თბილისიდან, სამარყანდში ჩასვლისას უკვე 1930 წლის იანვარი იყო და ამის შემდეგ კიდევ ბევრი იმგზავრა, პირველი წერილი 1930 წლის 24 მარტის შემდგომი პერიოდით დავათარილეთ და მათე – იმავე წლის 27 მარტის შემდგომი პერიოდით.

◇ ოლია ოკუჯავას მიერ გაგზავნილ ერთ დეპეშაში გალაკტიონისადმი, ნათქვამია, რომ 300 მიიღო და სთხოვს, მოახერხოს ჩასვლა<sup>3</sup>. რამდენადაც ოლია პირველი გადასახლებიდან უკან გამოემგზავრა 1930 წლის 30 ივლისს, ეს დეპეშა მანამდე უნდა იყოს გაგზავნილი.

◇ ოლიას ერთ-ერთი წერილიდან გალაკტიონისადმი, რომელიც დათარიღებულია 28 აგვისტოთი, ჩანს, რომ მომდევნო დღე პარასკევია. წერილის შინაარსი ახლოსაა 1930-იანი წლებისასთან, მაგრამ 1935 წელი, როგორც ეს ნავარაუდევია საარქივო გამოცემაში<sup>4</sup>, ვერ იქნება, რადგან 29 აგვისტო პარასკევს არ ემთხვევა. 1937 წლის აგვისტოში ოლია უკვე დაპატიმრებული და გადასახლებული იყო, მანამდე კი ყველაზე ახლო წელი, რომლის დროსაც 29 აგვისტო პარასკევს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 195.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 196-198.

<sup>3</sup> ოლია ოკუჯავას დეპეშა, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 196.

<sup>4</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 211.

ემთხვევა, არის 1929. შესაბამისად, წერილი 1929 წელს უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლია ოკუჯავას ერთ წერილში, რომელიც ბორჯომიდან არის გაგზავნილი და დათარიღებულია 28 აგვისტოთი<sup>1</sup>, ადრესანტი გალაკტიონს სთხოვს ერთი კვირით ჩასვლას ბორჯომში და სანატორიუმში დარჩენას. ოლია ოკუჯავა ბორჯომში ხშირად ჩადიოდა, იქ მის ძმას სახლიც ჰქონდა, მაგრამ ამ წერილიდან ჩანს, რომ ისინი უკვე განიცდიან მატერიალურ ხელმოკლეობას („Мы скоро выедем, денег нет уж и не хочется. На дороге у когонибудь займем“). შესაბამისად, მეტი ალბათობაა, რომ ეს ბარათი დაწერილი იყოს 1927 წელს. გალაკტიონის ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ამ წლის 30 აგვისტოს ის მართლაც იმყოფებოდა ბორჯომში<sup>2</sup>.

◇ ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილი ერთი წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ქალაქიდან გასულია, ოლია ოკუჯავა კი თბილისშია<sup>3</sup>. რამდენადაც ტექსტში ნახსენებია მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც 1920 წელს დაარსდა და 1934 წლის 11 თებერვალს გაუქმდა და ასევე საუბარია გაზაფხულის დადგომაზე, ბარათი 1933 გაზაფხულის დასაწყისში ან მანამდე უნდა იყოს დაწერილი. დავინტერესდით, 1920 წლიდან 1933-ის ჩათვლით რომელ წელს იყო ოლია ოკუჯავა თბილისში, გალაკტიონი კი სხვაგან. გალაკტიონის სიტყვები „აქ გაზაფხული დადგა. ველით წყალდიდობას.“ მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, იქ, სადაც ის არის, უფრო მალე დგება გაზაფხული. შესაბამისად, ეს არ უნდა იყოს რუსეთი. ყველაზე დამაბული ურთიერთობა ოლიას და გალაკტიონს ჰქონდათ 1927 წელს. 13 თებერვალს გალაკტიონი გაემგზავრა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სოხუმში და 1927 წლის მასამდე არ დაბრუნებულა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი 1927 წლის მარტში უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლია ოკუჯავას ერთ უთარილო წერილში საუბარია გალაკტიონის მიერ თავისი პოემის „შუანეთა“ დაპატიმრებაზე „Узнай как арестовали и где твою „Шуанета“ и напиши все. Я не хочу, чтоб ты ее потерял“<sup>4</sup>. ამ პოემის დაკარგვის შესახებ საუბარია გაზეთის „აზრი“ 1914 წლის 11

<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 211.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. გვ. 320, 321;

<sup>3</sup> ქლმ, 24551-57; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008, გვ. 54-55.

<sup>4</sup> ქლმ, 24551-357-1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 182-183.

მარტის პუბლიკაციაში<sup>1</sup>. შესაბამისად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1914 წელს, ოლია ოკუჯავას მიერ წლის გარეშე, 16 იანვრით დათარიღებულ დღიურთან ამ წერილის შინაარსობრივი თანხვედრა კი საშუალებას გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ მისი დაწერის დრო. 16 იანვრის დღიურში წერია: „...искала, может быть, думала, найду нечаянно им оставленную какую либо бумажку, писанную его рукою, чтоб читать, обнимать и целовать ее, но нигде ни клочка“, წერილში კი ვკითხულობთ: „Сегодня все время искала в книгах клочок бумаги на котором было бы написано твоею рукою, но ты так не позаботился об этом для меня. Ничего тобою не было оставлено.“. რამდენადაც წერილიდანაც და დღიურიდანაც ერთნაირად ჩანს, რომ ოლიამ და გალაკტიონმა წინა ღამე ერთად გაატარეს და პოეტი უკითხავდა თავის ლექსებს, ეს უნდა მომხდარიყო 15 იანვარს, დღიურიც და წერილიც კი დაწერილები უნდა იყოს 1914 წლის 16 იანვარს.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი ვრცელი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ ის დასასვენებლად უნდა იმყოფებოდეს რომელიღაც პოპულარულ კურორტზე, სადაც ასევე არიან კონსტანტინე გამსახურდია, იაკინთე ლისაშვილი, ბარონი ბიბინიეშვილი და სხვები<sup>2</sup>. ოლია გალაკტიონს სთავაზობს, რომ 2-3 აგვისტომდე საქმეები მოილიოს და ისიც ოლიასთან ჩავიდეს. სწერს, რომ 40 მანეთად მშვენიერ, კეთილმოწყობილ ბინას იშოვის ერთი თვით. წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონის წიგნი უკვე მზადაა და დაბეჭდვალაა დარჩენილი. „В какой стадии печатание твоей книги и как идет дело, приходится ли тебе много нервничать? Хорошо будет издано? Доволен ты?“. იქიდან გამომდინარე, რომ ოლია არაჩვეულებრივ ოპტიმისტურ ხასიათზეა და მატერიალურადაც, როგორც ჩანს, არ უჭირთ, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1930-იან წლებამდე. მართლაც, 1926 წლის 10 აგვისტოს გალაკტიონს გადაეცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობის ბლანკზე დაწერილი ხელწერილი, რომ დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის წიგნის ბეჭდვა<sup>3</sup>. საქმე ეხება ლექსების რჩეულ წიგნს, რომელიც რეალურად 1927 წელს

<sup>1</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 11 მარტი, #9, გვ. 4.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-359; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 217-218.

<sup>3</sup> გტცა, №188, გვ.1.

გამოვიდა. რამდენადაც ოლიას წერილში 2 აგვისტო მომავალ დროშია მოხსენიებული („Устрой все до 2-3-го/VIII“), იგი დაწერილი უნდა იყოს 1926 წლის 2 აგვისტომდე. ამ წელს მიხეილ ოკუჯავას მისცეს ორსართულიანი ხის სახლი წალვერის ფიჭვნარში და გალაკტიონს სწორედ 1926 წელს ოკუჯავებთან ერთად იქ ფოტოც აქვს გადაღებული<sup>1</sup>. შესაბამისად, წერილი წალვერიდან უნდა იყოს გაგზავნილი და, რამდენადაც 2 აგვისტო არც ისე ახლოს უნდა იყოს, რადგან გალაკტიონმა ამ რიცხვამდე საქმეები უნდა მოასწროს, უფრო კონკრეტულად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს ივლისის ბოლოს და გალაკტიონი მას ივლისის ბოლოს ან შემდეგ მიიღებდა.

◇ უთარილოა ოლია ოკუჯავას მიერ გალაკტიონისთვის ბორჯომიდან გაგზავნილი წერილები, რომლებიდანაც ჩანს, რომ პოეტი თბილისშია, თავად კი ბორჯომში მკურნალობს სანატორიუმში („ясным Боржомским утром... казалось, что вот вот будет снесен наш санаториум;“<sup>2</sup>), („Боржом, бывш. Михайловский дворец, в санаторий...“<sup>3</sup>). ოლია ოკუჯავას დღიურებისა და გალაკტიონ ტაბიძის 1924 წლის 18-20 ივლისის წერილების საფუძველზე, საუბარი უნდა იყოს 1924 წლის ივლისზე. მეორე წერილის ბოლოს მითითებულია ბორჯომის სანატორიუმის მისამართი. შესაბამისად, ეს წერილი ოლიას იქ ჩასვლის მერე მალევე უნდა გაეგზავნა გალაკტიონისთვის. რამდენადაც გალაკტიონის მიერ ბორჯომში გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 18 ივლისით, ოლიას ეს წერილები დაწერილი უნდა იყოს 18 ივლისამდე.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი უთარილო წერილი გალაკტიონისთვის გაგზავნილია ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე. წერილის ადრესატად მითითებულია ვალერიან გაფრინდაშვილი და მიწერილია, რომ უნდა გადაეცეს გალაკტიონ ტაბიძეს<sup>4</sup>. როგორც ჩანს, პოეტი იმ დროს

---

<sup>1</sup> Марат Гизатулин, Булат Окуджава: «...От бабушки Елизаветы к прабабушке Элисабет», 2020, <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-430; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 216.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-360; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 210.

<sup>4</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-361; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 183-184.

ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად ცხოვრობდა. რამდენადაც ბალახვანის ქუჩა არის მითითებული გალაკტიონის მისამართად 1911 წლის 18 აგვისტოს იოსებ გრიშაშვილისთვის გაგზავნილ წერილზე<sup>1</sup>, საფიქრებელია, რომ ეს ბარათიც იმავე პერიოდისა იყოს. როგორც ჩანს, იქ გალაკტიონი ცხოვრობდა ფარცხნალის სკოლის დახურვისა და იქ სამსახურის დაკარგვის შემდეგ. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ გაზაფხულია („весенних мечтающих отблесков“, „Весна, заключи меня в свои благоухающие объятия“), 1911 წლის გაზაფხულზე კი გალაკტიონი ჯერ კიდევ ფარცხნალში იყო, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის გაზაფხულზე<sup>2</sup>.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი უთარილო წერილი გალაკტიონისადმი<sup>3</sup> დაწერილია ისეთსავე ფურცელზე, ჩაის რეკლამის ანაბეჭდებით, როგორზეც წერია 1931 წლის 7 თებერვლით დათარიღებული წერილი<sup>4</sup>. შესაბამისად, მასაც ვათარილებთ 1931 წლის თებერვლით. ასეთსავე ფურცელზე წერია წლის მითითების გარეშე, 15 თებერვლით და 19 თებერვლით დათარიღებული წერილები, რომლებსაც ასევე ვათარილებთ 1931 წლის 15 და 19 თებერვლით<sup>5</sup>. ასეთსავე ფურცელზე დაწერილი ერთი წერილიდან კი ჩანს, რომ გალაკტიონს სახლში წვეთი ნავთი არა აქვს. რამდენადაც ეს წერილები მოკლე დროის ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი, 15 თებერვალს კი ოლიამ ნავთის დიდი მარაგი მოუტანა, იგი 1931 წლის 15 თებერვლამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ ოლია ავადმყოფობს, გალაკტიონი კი ბათუმსა და სოხუმში სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ ახალდაბრუნებულია („Целых 3 мес. ни одного слова не написал, приехал после развратно проведенных дней и продолжаешь то же. Здесь были из Батума и Сухумы и все про тебя

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 540.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-361; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 183-184.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-407; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 202-203.

<sup>4</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-373-ა; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 200-201.

<sup>5</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-413, ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 201-202.

რასაკვირველია, არ ვიცი, რა გეგმა ჰქონდათ. (პაპიაშვილი, 2008, გვ. 466-467). ოლია ოკუჯავას 1927 წლის 13 თებერვლის დღიურიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ამ მოგზაურობაში სწორედ იმ ღამით გაემგზავრა<sup>1</sup>. ასევე ცნობილია, რომ ამავე წლის 29 აპრილს ის ჯერ კიდევ ბათუმში იყო<sup>2</sup>, 30 აპრილს კი ოლიას ოპერაციას უკეთებდნენ. შესაბამისად, წერილი მაისის შუა რიცხვებში ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, როდესაც ოლია უკვე გამოწერილი იყო საავადმყოფოდან.

◇ ოლია ოკუჯავას კიდევ ერთი წერილიდან ჩანს, რომ ის ალექსანდრეს საავადმყოფოში წევს და ერთ კვირაში ოპერაცია უნდა გაუკეთონ<sup>3</sup>. რამდენადაც ოლიას 1927 წლის დღიურის მიხედვით ეს ოპერაცია 30 აპრილს იყო დანიშნული, წერილი 23 აპრილს უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლია ოკუჯავას ერთ უთარილო წერილს მისამართად მიწერილი აქვს საკნის ნომერი და, შესაბამისად, ციხიდან არის გაგზავნილი. შინაარსიდან ჩანს, რომ გალაკტიონს მისთვის უკვე შეგზავნილი აქვს ჩემოდანი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი („მივიღე ახალი ტუფლები... ჩემოდანიც დავიტოვე. ბელიო არაფერი არ მოიტანო მეტი...“<sup>4</sup>). ოლია ითხოვს საკვებს, ფულს, ოდეკალონსა და გალაკტიონის წიგნს. ფრაზიდან „აიღე ნახვა, აგვისტოს ერთი გეკუთვნის“ ჩანს, რომ აგვისტოს თვე უნდა იყოს, სავარაუდოდ, დასაწყისი. ოლია ოკუჯავას 10 წლით თავისუფლების აღკვეთის განაჩენი გამოუტანეს 1937 წლის 1 ივლისს<sup>5</sup>, იმავე წლის 5 დეკემბრიდან კი ის უკვე გადასახლებიდან აგზავნიდა წერილებს. შესაბამისად, ეს უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1937 წლის აგვისტოს დასაწყისში. მართალია, ოლია ოკუჯავა 1929 წელსაც დააპატიმრეს და წერილი შეიძლებოდა მაშინ ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ იმ დროს ოლიას ჰყავდა გალაკტიონზე

---

<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 466-467.

<sup>2</sup> ქვითარი, ქლმ, დ-565, 6.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-409; გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 184-185.

<sup>4</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-412; გ. ტაბიძე, სგ. წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 220.

<sup>5</sup> Сталинские списки из Грузии; БД "Жертвы политического террора в СССР"; Архив НИПЦ "Мемориал" (Москва)



მატერიალურად ბევრად უფრო შეძლებული ოჯახი, ძმები, და, დედა და თეთრეულიდან დაწყებული საკვებით დამთავრებული ყველაფრის მიტანას გალაკტიონს არ სთხოვდა, 1937 წელს კი დედა გარდაცვლილი ჰყავდა, ძმები კი დაპატიმრებული.

♦ ოლია ოკუჯავა ძალიან ხშირად უტოვებდა გალაკტიონს წერილებს, როდესაც ორივენი თბილისში იყვნენ, ოლია ცხოვრობდა დედასთან, მის ბინაში მიდიოდა და გალაკტიონი არ ხვდებოდა. ამათ რიცხვში არაერთი უთარილო წერილია, რომელშიც არაფერი ხელჩასაჭიდი არ არის მათი ზუსტი დათარიღებისათვის. ამიტომ ამ წერილებს<sup>1</sup> ვათარილებთ ოლიას დედის გარდაცვალებამდე, 1935 წლის 4 აპრილამდე პერიოდით.

♦ ოლია ოკუჯავას ერთი წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ცალკე ცხოვრობს და ოლია ცალკე, მაგრამ ეს უკანასკნელი მარტო არ არის. ოლია ჯერ ძმასთან ცხოვრობდა, 1935 წლის წლის 4 აპრილამდე კი დედასთან ერთად. ფრაზა „приходи вечером к нам“<sup>2</sup> მიგვანიშნებს, რომ წერილი 1935 წლის 4 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი.

♦ გალაკტიონის ერთი წერილიდან ჩანს, რომ მანამდე ის და ოლია ერთად ცხოვრობდნენ რაღაც პერიოდი და ამ წერილით ოლია ეუბნება, რომ მისი არყოფნის დროს მიაკითხოს სახლში და თავისი ნივთები წაიღოს. 1927 წლიდან გალაკტიონი ცხოვრობდა კრილოვის ქუჩაზე მდებარე ერთოთახიან ბინაში და ეს ფაქტი მანამდე უნდა მომხდარიყო.

♦ ოლია ოკუჯავას ერთი ბარათი, რომელიც მან სახლში დაუტოვა გალაკტიონს, დათარიღებულია 23 აპრილით<sup>3</sup>. შინაარსიდან ჩანს, რომ ოლია ესწრება რაღაც ლექციებს თბილისში სასამართლოს ქუჩაზე. ასე ერქვა ძმები ზუბალაშვილების ქუჩას 1895 წლიდან 1923 წლამდე, შემდეგ კი ტრიბუნალის ქუჩა დაერქვა. რამდენადაც ოლია საქართველოში 1921 წლის მაისში დაბრუნდა, ბარათი დაწერილი უნდა

---

<sup>1</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-411, 24551-416, 24551-417, 24551-422, 24551-424, , 24551-436; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 215-216, 218-220.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-358; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 214-215.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-414; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 189-190.

იყოს 1922 წლის 23 აპრილს, სანამ ამ ქუჩას „ტრიბუნალის ქუჩას“ დაარქმევდნენ. ასეთსავე ფურცელზე წერია სრულიად უთარილო კიდევ ერთი მოკლე ბარათი, რომლიდანაც ჩანს, რომ ოლია აბარებს გამოცდას საბჭოთა სავაჭრო სისტემაში ფასების შესახებ („Я иду на экзамен. Экзаменоваться будут по политике цен и советской торговле“). ვფიქრობთ, ეს გამოცდა სწორედ იმ კურსებს უნდა უკავშირდებოდეს, რომლებსაც ოლია გადიოდა 1922 წლის 23 აპრილს და მას ვათარილებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი დეპეშა კოკანდიდან არის გაგზავნილი. გეოგრაფიული განლაგების მიხედვით ოლიას ჯერ უზბეკეთი უნდა გაეგლო და შემდეგ ყირგიზეთის ქალაქი კოკანდი. რამდენადაც უზბეკეთიდან გაგზავნილ წერილს 1930 წლის 2 თებერვალი აწერია. კოკანდში ამ თარიღის შემდეგ უნდა ჩასულიყო.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი წერილი, რომელსაც თარიღად 28 აგვისტო აწერია, შინაარსის მიხედვით, კურორტიდან არის გაგზავნილი და გალაკტიონსაც თავისთან ეპატიჟება. ოლია წერს, რომ პანსიონატში 10 მანეთად შეუძლია ერთ კვირას დარჩეს („Можно в пансионате 10 руб. заплатить за неделю.“<sup>1</sup>). საგულისხმოა, რომ სანატორიუმის ზუსტად იგივე ფასებია მითითებული 1926 წლის ივლისის ბოლოს გაგზავნილ წერილშიც: „20 руб. стоит квартира с уборной, с освещением, водой и кипятком, на две недели,“<sup>2</sup> შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1926 წლის 28 აგვისტოთი.

◇ ოლია ოკუჯავას ერთ მოკლე წერილს, რომელშიც ნახსენებია, რომ ოლიას და მანია ჩამოვიდა მოსკოვიდან, აწერია 23 იანვარი<sup>3</sup>. რამდენადაც ვითარებისა და განწყობის მხრივ ამ წერილთან ახლოს მყოფი სხვა ბარათი დათარიღებულია 1932 წლის 12 ოქტომბრით<sup>4</sup> და მისი შინაარსიდან ჩანს, რომ მანია მოსკოვში მიემგზავრება, უთარილო ბარათს 1932 წლის 23 იანვრით ვათარილებთ.

---

<sup>1</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-856; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 211.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-359; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 216-218.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი, ქლმ, 24551-377; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 207.

<sup>4</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 204.

ღ ოლია ოკუჯავას 1934 წლის 6 მარტის წერილიდან ჩანს, რომ გალაკტიონი იმხანად იყო შავიზღვისპირეთსა და მშობლიურ სოფელში („...ты привези радостную душу свою, что побывала к берегам моря Черного, в родимой деревне и к тропическим растениям“). ამ ფაქტის შესახებ სხვა წყაროებში ინფორმაცია არ შეგვხვებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ოლია ოკუჯავას თარიღიანი წერილი სარწმუნო წყაროა.

ღ ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გაგზავნილ დეპეშაზე ჩანს ფოსტის თარიღი „22“. ამ ქალაქიდან გაგზავნილი წერილები დათარიღებულია 1939 წლის 23 ივლისით, 11 აგვისტოთი და 3 სექტემბრით, ასევე საგულისხმოა, რომ 1939 წლის 11 ოქტომბრის წერილში ახსენებს მის მიერ გაგზავნილ დეპეშას. რამდენადაც დეპეშაზე საუბარი წინა წერილებში არ არის, იგი გაგზავნილი უნდა იყოს 1939 წლის 22 სექტემბერს.

ღ ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილი ათობით წერილია ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ თუნდაც წინა გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილებისგან განსხვავებით, მათში აღწერილი არ არის, რა პირობებში ცხოვრობს ის. გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ სპეციალური სამსახურები წერილებს ამოწმებდნენ და ყველას არ აგზავნიდნენ. როგორც ჩანს, ოლია ამას გრძნობდა და 1939 წლის 23 ივლისის წერილში<sup>1</sup>, ვითომც შემთხვევით, ახსენა იმავე წლის 20 მაისისა და 14 ივნისის წერილები. ამ უკანასკნელი რიცხვის წერილი, რომელსაც ოლია 11 აგვისტოს წერილშიც ახსენებს გალაკტიონ ტაბიძის არქივში არ მოიპოვება და, როგორც ჩანს, მას არც მიუღია. როგორც 23 ივლისისა და 11 აგვისტოს წერილებიდან ჩანს, ოლია მათში წერდა თავისი ავადმყოფობის შესახებ. გარდა ამისა, 1940 წლის 15 თებერვალს<sup>2</sup> ის ახსენებს 1 თებერვალს გაგზავნილ წერილს, რომელიც არქივში ასევე არ არის. 1940 წლის 21 ივლისს<sup>3</sup> ახსენებს 15 ივნისის წერილს. 1940 წლის 31 ოქტომბრის წერილში<sup>4</sup> ახსენებს მის მიერ 15 სექტემბერს გაგზავნილ წერილს. არცერთი ეს წერილი გალაკტიონ ტაბიძის არქივში არ მოიპოვება და, როგორც ჩანს, მას არ მიუღია. ოლია გრძნობდა, მისი

---

<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 230-231.

<sup>2</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 234-235.

<sup>3</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 240.

<sup>4</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 240-241.

რომელი წერილები იქნებოდა უშიშროების სამსახურისთვის მიუღებელი და ვერ მიაღწევდა გალაკტიონამდე. ამიტომ მომდევნო წერილებში, ვფიქრობთ, საგანგებოდ ახსენებდა მათ. შეუძლებელია, რომ ამ სამსახურების ჩარევის გარეშე დაკარგულიყო სწორედ ის წერილები, რომლებსაც ოლია სხვა ბარათებში ახსენებდა და ინტერესდებოდა, მიიღო თუ არა ისინი გალაკტიონმა.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი წერილი დათარიღებულია 21 ივლისით და წელი არ აწერია, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ მან გალაკტიონისგან მანამდეც მიიღო 300 მანეთი („4 июля я получила опять триста“<sup>1</sup>). 1940 წლის 15 თებერვლის წერილშიც ნახსენებია 300 მანეთის მიღება: „Восьмого февраля я получила триста рублей.“ შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1940 წლის 21 ივლისს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი უთარილო წერილი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ოლგა დარიუსის მიერ გადაწერილი სახით,<sup>2</sup> პირდაპირი გამოძახილია ოლია ოკუჯავას მიერ 1940 წლის 30 მარტს გაგზავნილი წერილისა<sup>3</sup>. 1940 წლის 30 მარტის ჩათვლით ოლია ოკუჯავას მიერ გალაკტიონისთვის გაგზავნილი ყველა წერილი მოწმობს, რომ იმ ეტაპზე მას გალაკტიონისგან არცერთი წერილი არ ჰქონდა მიღებული: „Промчались 3 ½ года. Ответа все нет. О, писала ежемесячно по 2 закрытых письма. Прислала 2 телеграммы. Ответа нет... Да никак не смогла узнать доходили ли мои письма...“<sup>4</sup>. შესაბამისად, წერილი, რომელშიც ასახულია ოლიას 1940 წლის 30 მარტის ბარათში დასმული საკითხები, ამ თარიღზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ამ წერილში 14 ივნისი მომავალ დროშია მოხსენიებული („Эту вещь готовлю к юбилейным дням [к 14 июня] к столетию со дня рождения нашего великого поэта.“), მაგრამ ბარათის დაწერის ზედა ზღვრის უფრო დაკონკრეტებაც შეიძლება, რადგან შინაარსიდან ჩანს, რომ გალაკტიონს პოემაზე „აკაკი წერეთელი“ მუშაობა ჯერ არ დაუშთავრებია („В настоящее время работаю над поэмой „Памяти Акакия Церетели“), ის კი გამოქვეყნდა 1940 წლის 3

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 239-240.


<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 51-52.

<sup>3</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 237.

<sup>4</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 138-237.

ივნისს<sup>1</sup>. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1940 წლის 3 ივნისამდე, მაგრამ, რამდენადაც ოლიას 31 მაისის წერილიდან ჩანს, რომ მან 23 მაისს გალაკტიონის უკვე მეორე წერილი მიიღო („23/V эти милые строки вошли в мою обитель... это второе письмо получила 23/V“<sup>2</sup>), ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ის წერილი, რომელიც ოლიამ 1940 წლის 23 მაისს მიიღო და, თუ გავითვალისწინებთ, რომ წერილის ჩასვლას ერთ კვირაზე მეტი დასჭირდებოდა, იგი დაწერილი უნდა იყოს 1940 წლის მაისის მეორე ნახევრამდე.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ ოლია ოკუჯავასთვის გადასახლებაში გაგზავნილი უთარილო წერილის შავი პირის<sup>3</sup> შინაარსიდან ჩანს, რომ ოლიას მიწერილი უნდა ჰქონდეს ლევ მეის პოეზიით თავისი აღფრთოვანებისა და ავადმყოფობის შესახებ. ლევ მეიზე საუბარია 1939 წლის 20 მაისის წერილში, ავადმყოფობის გამო ვლადიმირის საავადმყოფოში გადაყვანაზე კი ჩვენამდე მოუღწეველი იმავე წლის 14 ივნისისა და 1939 წლის 23 ივლისის წერილებში. რამდენადაც წერილის მიხედვით 14 ივნისი ახალგაშული უნდა იყოს („недавно я 14 июня перевел“), ბარათს ვათარილებთ 1939 წლის 14 ივნისის შემდგომი პერიოდით. ოლია ოკუჯავას მომდევნო წერილებიდან თუ ვიმსჯელებთ, მას ეს ბარათი არ მიუღია, ისევე, როგორც მასში ნახსენები ამ წერილთან ერთად გაგზავნილი 300 და 1939 წლის 14 ივნისს გაგზავნილი 200 მანეთი (Сейчас я присылаю 300 рублей, недавно я (14 июня) перевел по телеграфу 200 рублей, получила ли ты?).



რამდენადაც ამ წერილში გალაკტიონი ოლიას სთხოვს, შეატყობინოს, რა სჭირდება, რომ გაუგზავნოს („Напиши, Оля, чем я могу облегчить твое настоящее положение. Напиши мне, можно ли тебе послать посылку и какие вещи тебе более всего нужны. Например: теплое платье, туфли, белье, вата, одеколон? Можно ли послать какую нибудь еду, хотя бы сахар, чай, кофе, какао, печенье, варенье, муку, постное масло, все то, что

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940 წ., 3 ივნისი, №16, გვ. 4.

<sup>2</sup> ოლია ოკუჯავას წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 138-139.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 49-50.

выдерживает дорогу. Может быть ты еще более полезное и разумное подкажешь. Я исполню все, что требуется“.), სწორედ მასზე უნდა იყოს საუბარი იმ წერილში, რომელიც ოლიას გაუგზავნა 1940 წლის მაისის მეორე ნახევრამდე<sup>1</sup> „*однажды я тебе написал длинное письмо. Возможно ты его не получила? Меня беспокоило твое здоровье и я надеялся тебе помочь, хотел послать посылку: продукты, теплую одежду и вообще ждал, что ты мне сама подкажешь, что я смогу для тебя сделать. Ответа я на это письмо не получил и после этого письма я ничего, кроме телеграмм тебе не посылал.*“ როგორც აღვნიშნეთ, ოლიას გალაკტიონის მიერ 1939 წლის 14 ივნისის შემდეგ გაგზავნილი პორველი წერილი არ მიუღია (1940 წლის 30 მარტის ჩათვლით მას ჯერ არცერთი წერილი არ ჰქონდა მიღებული) და, როგორც 1940 წლის 31 მაისის წერილიდან ჩანს, არც მისი დეკემბერი: „Я деньги получаю аккуратно телеграфно и это второе письмо получила 23/V, а телеграмм я никаких не получала.“

იმასთან დაკავშირებით, რომ ოლია უარის თქმას აპირებს გალაკტიონის გაგზავნილი ფულის აღებაზე, პოეტი სწერს: „*Разве моя забота может тебя позорить? Что могу я еще в своей беспомощности сделать?*“. მართალია, გალაკტიონი წერილების მიუწერლობას ხსნის იმით, რომ ზოგადად არ უყვარს წერილების წერა, მაგრამ რეალური მიზეზი ეს ვერ იქნებოდა. ამ წერილში ოლიასადმი ისეთი თანაგრძნობა ჩანს, რომ წარმოუდგენელია მას ცოლის დასამშვიდელად მოკლე წერილები მაინც არ გაეგზავნა. საქმე ისაა, რომ წერილების მიუწერლობის რეალურ მიზეზს ვერ სწერს. წერილის ბოლოს ერთხელ კიდევ ახსენებს მის მიერ გაგზავნილ დეკემბერს, რომლებიც ოლიას არ მიუღია. იმას, რომ ამ წერილში თითოეული სიტყვა თვითცენზურის წნეხშია გატარებული და ძალიან მოზომილია, მოწმობს ისიც, რომ გალაკტიონი საუბრობს სტალინისადმი მიძღვნილ თავის პოემაზე: „*Ко дню 60-ия я чувствовал тов. Сталина поэмой, в которой в поэтических образах показал его великую роль в освободительной борьбе человечества.*“ რატომ მისწერდა სტალინის ხელისუფლების მიერ გადასახლებულ და მის გამო ამ ტანჯვაში მყოფ მეუღლეს სტალინის ქებას, ეს რომ წერილის ადრესატამდე მისასვლელად აუცილებელი არ ყოფილიყო.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 51-52.

ისმის კითხვა, დაივიწყა გალაკტიონმა ოლია თუ სამნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ რატომ გაუგზავნა წერილი. ამ ორი წერილის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ ოლია მას არ დავიწყებია, მაგრამ, როგორც ჩანს, მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ მისთვის წერილები არ გაეგზავნა („о, ты поймешь, почему я на твои письма не отвечал. Я не мог знать, что делать. Это отчаяние и лишило меня всякой воли.“). მხოლოდ ორჯერ გარისკა. ერთხელ, როდესაც ოლიამ გადასახლებიდან მისწერა, რომ ავად იყო და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოლიას მომდევნო წერილებიდან სავსებით ცხადი იყო, ამ წერილის პასუხად გალაკტიონის მიერ გაგზავნილი წერილი მას არ მიუღია. მეორეჯერ ოლიასთვის წერილის გაგზავნა გალაკტიონმა გარისკა, როდესაც ოლიამ მოსწერა, იმდენად ვარ შენზე ნაწყენი წერილების გამოუგზავნელობის გამო, რომ შენს გამოგზავნილ ფულს აღარ მივიღებ, უარს ვიტყვიო. მაშინ გალაკტიონმა თავისი წერილით დაიყოლია ოლია, რომ ამ გადაწყვეტილებაზე უარი ეთქვა, ეს კი მისი არსებობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ფაქტია, რომ უშიშროების სამსახურები კითხულობდნენ ოლიას თითოეულ წერილს, ხედავდნენ, როგორ იტანჯებოდა იმ ფიქრებით, რომ გალაკტიონმა დაივიწყა. შეიძლება ასეთ არაადამიანურ ვითარებაში მისი მოქცევა კომუნისტური ხელისუფლების ერთგვარი შურისძიებაც კი იყო მათთვის საძულველი ტროცკის თანამოაზრე ქალზე.

რამდენადაც ირკვევა, რომ ოლია ოკუპავას 1940 წლის 30 მარტამდე გალაკტიონის არცერთი წერილი არ ჰქონდა მიღებული, ამავე წლის 31 მაისს კი სწერს, რომ 23 მაისს უკვე მეორე წერილი მიიღო, ვფიქრობთ, რომ მისთვის გალაკტიონის მიერ 1939 წლის 14 ივნისის შემდეგ გაგზავნილი წერილი ან თერთმეტი თვის დაგვიანებით უნდა მიეღო ან გალაკტიონს კიდევ ერთი წერილი უნდა გაეგზავნა მისთვის 1940 წლის 23 მაისამდე, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ოლია გადასახლებიდან არ დაბრუნებულა და ის ორი წერილიც კი, რომლებიც ხელთა გვაქვს, ჩვენამდე ვერ მოაღწევდა ერთი შავი ავტოგრაფი რომ არ იყოს და მეორე – ოლღა დარიუსის მიერ გაკეთებული ასლი.

## გალაკტიონის მიმოწერა სხვა პირებთან

◇ უთარილოა ქუთაისიდან თბილისში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის – იოსებ იმედაშვილისთვის გაგზავნილი წერილი<sup>1</sup>, რომელშიც გალაკტიონი ადრესატს სთხოვს, გაუგზავნოს მის ჟურნალთან თანამშრომლობის მოწმობა, რომ კულტურულ ღონისძიებებზე უფასო დასწრების საშუალება ჰქონდეს. გალაკტიონი თავის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში (დ-659-8) – ჟურნალთან „თეატრი და ცხოვრება“ მუდმივ თანამშრომლად მუშაობის ფაქტს წერს 1912 წლის გასწვრივ, მაგრამ ეს სწორი ვერ იქნება, რადგან 1911-1913 წლებში ამ ჟურნალის გამოცემა შეჩერებული იყო. წერილის დათარიღებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის 1910 წლის 27 სექტემბერს ტყიბულიდან ქუთაისში მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ გაგზავნილი წერილის კონვერტი, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძის მისამართად ზუსტად ის სახლი აწერია, რომელიც იოსებ იმედაშვილისთვის გაგზავნილ წერილშია მითითებული: „Месхетская ул., Месхетский пер., дом Павла Сагирашвили“. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ წელს გალაკტიონი ჭყვიშიდან ქუთაისში 1910 წლის 1 აგვისტოს ჩავიდა და სწორედ ამ წელს ჰქონდა დასახელებულ ჟურნალთან ყველაზე მჭიდრო კავშირი, იოსებ იმედაშვილისთვის გაგზავნილი წერილი 1910 წლის 1 აგვისტოს შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის უთარილო წერილში იოსებ გრიშაშვილისადმი (ქლმ, 24551/86), რომელიც ჭიათურიდან ქუთაისშია გაგზავნილი, ნათქვამია, რომ ის ორი კვირის განმავლობაში ავადმყოფობდა და ჭიათურაში იწვა ნაცნობის ბინაში. ბარათიდან ასევე ჩანს, რომ ის რაღაცას იყო დაპირებული იოსებ გრიშაშვილისთვის და ორიოდ დღეში, როდესაც ქუთაისში დაბრუნდება, ჰპირდება, რომ მოაგვარებს („შენ იმისი ნუ გეშინია! უსათუოდ ვეცდები და მოვახერხებ რამეს“). წერილიდან არ ჩანს მათ შორის რაიმე უთანხმოების კვალი. 1915 წლის 4 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა განცხადება<sup>2</sup>, რომლის მიხედვითაც მეორე დღეს ქუთაისის თეატრში გამართულ იოსებ გრიშაშვილის საღამოში მონაწილეობა უნდა მიეღო გალაკტიონ ტაბიძეს. ამის პასუხად გალაკტიონმა იმავე წლის 18 მარტს გაზეთში

---

<sup>1</sup> ქლმ N3470-დ.

<sup>2</sup> გაზეთი „სამშობლო“, 1915, 4 მარტი, #26, გვ. 2.



„თანამედროვე აზრი“ ამას შანტაჟი უწოდა<sup>1</sup>, რადგან იოსებ გრიშაშვილმა იცოდა, რომ 5 მარტს გალაკტიონი ქუთაისში არ იქნებოდა. იმავე გაზეთში 9 აპრილს გამოქვეყნდა იოსებ გრიშაშვილისა და პაოლო იაშვილის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელის ჩაწერა განცხადებაში პაოლო იაშვილის რჩევა იყო და ეფუძნებოდა არა შანტაჟს, არამედ მისდამი პატივისცემის გამოხატულებას. იოსებ გრიშაშვილი იქვე ამბობს, რომ როდესაც გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში ვერ ინახულეს, მის ნაცვლად განცხადებაში კონსტანტინე ჭიჭინაძე ჩაწერეს<sup>2</sup>. ერთი წლის შემდეგ, ზუსტად 9 აპრილს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ „დაგვიანებულ პასუხში“ გალაკტიონი აღნიშნავს, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძით მას ვერ ჩაანაცვლებდნენ, რადგან წინასწარ გაკეთებულ განცხადებაში ის და კონსტანტინე ჭიჭინაძე ერთად იყვნენ დასახელებულნი სადამოს მონაწილეებად.<sup>3</sup> ის ფაქტი, რომ გალაკტიონი ერთი წლის შემდეგაც უბრუნდება ამ თემას, კარგად ასახავს, რამდენად ნაწყენი იყო ის ამ ფაქტის გამო. ჭიათურაში გალაკტიონი ქუთაისიდან დადიოდა 1913-1915 წლებში, როდესაც იქ მსახურობდა მისი შეყვარებული – ოლია ოკუჯავა. შესაბამისად, გრიშაშვილისთვის ჭიათურიდან გაგზავნილი წერილიც ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ჩანს, სადამოს ორგანიზატორებმა იცოდნენ, რომ გალაკტიონი 5 მარტს ქუთაისში არ იქნებოდა, მაგრამ მისი სახელი მაინც გამოიყენეს ხალხის მისაზიდად და ამ ფაქტმა პოეტის გულისწყრომა ამიტომ გამოიწვია. შეიძლება ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც ის ავადმყოფი იწვა ჭიათურაში. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1916 წლის აპრილშიც კი მას იოსებ გრიშაშვილთან ეს წყენა ბოლომდე დავიწყებული არ ჰქონდა, ეს წერილი ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ ინტერვალში 1915 წლის 4 მარტის შემდეგ ვერ დაიწერებოდა. შესაბამისად, იგი დავათარილეთ 1915 წლის 4 მარტამდე პერიოდით.


---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 18 მარტი, #15, გვ. 4.

<sup>2</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 9 აპრილი, #31, გვ.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, „პასუხი დაგვიანებულ პასუხზე“, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, #40, გვ. 4.

◇ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემაში 1916 წლის 26 დეკემბრით არის დათარიღებული გალაკტიონის მიერ თბილისიდან მოსკოვში გაგზავნილი ერთი წერილი (ქლმ, 24551-37-1)<sup>1</sup>



და სამეცნიერო აპარატში მითითებულია, რომ დათარიღება



ემყარება საფოსტო ბეჭდის მონაცემს. საფოსტო ბეჭედზე ეს თარიღი ნახევრად წაშლილია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეთორმეტე თვეა, რადგან ორიანის ფეხი ჩანს და ასევე აშკარაა, რომ მის წინაგ რაღაც ციფრი ეწერა. ასეთ შემთხვევაში კი, როცა საქმე თვეების ნუმერაციას ეხება, ბუნებრივია, უნდა ვიგულისხმოთ ციფრი „12“. რაც შეეხება რიცხვის აღმნიშვნელ ციფრს. ისიც აშკარად ორნიშნაა, პირველ ციფრზე შეიძლება ამოვიცნოთ 2-ის თავი, მეორედან კი შემორჩენილია ქვედა რკალური ხაზი და მარცხნივ ზემოთ აღმავალი ხაზი, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ ეს ექვსიანია. მწერლის არქივში ამავე ნომრის ქვენომრით (24551-37-1) დაცულია ზუსტად ასეთსავე საფოსტო ბარათზე ნაწერი კიდევ ერთი წერილი დღესასწაულების (სავარაუდოდ, გასული შობის და მოახლოებული ახალი წლისა და ნათლისღების) მილოცვით, რომელზეც გარკვევით წერია „28.12.16“ და ამავე არქივში სხვა ნომრით (24551-34) დაცულია ასეთსავე საფოსტო ბარათზე ნაწერი წერილი ასეთივე მკვეთრად აღბეჭდილი თარიღით „28.12.16“. რატომ გაგვიჩნდა ეჭვი, რომ პირველ ბეჭედზე 26 არ უნდა ეწეროს? ალოგიკურად გვეჩვენება, რომ გალაკტიონ ტაბიძეს შობის (მაშინ 25 დეკემბერს აღინიშნებოდა) მეორე დღეს ოლიასთვის გაეგზავნა წერილი, რომელშიც დღესასწაულს არ მიულოცავდა და ეს დღესასწაულიდან სამი დღის შემდეგ, 28 დეკემბერს გაეკეთებინა. ასევე ვერ ავხსნით იმას, რომ 23 დეკემბერს მისი საავტორო საღამოს შესახებ ესაუბრა არა 26 დეკემბრის, არამედ 28 დეკემბრის წერილში. მოსკოვიდან ქუთაისში დაბრუნების შემდეგ გალაკტიონი კარგახანს სულ ასეთ ბარათებზე წერდა წერილებს, რამდენიმეს აგროვებდა და

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 38.

ერთად აგზავნიდა. მაგალითად, 30 ნოემბერს ოთხი ასეთი საფოსტო ბარათი აქვს გაგზავნილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იმ ბარათზეც, რომელზეც თარიღის მეორე ციფრი არ იკითხება, „28“ უნდა ეწეროს და ისიც 28 დეკემბერს უნდა იყოს გაგზავნილი. რამდენადაც ეს ბარათები სხვადასხვა მელნით არის ნაწერი, ისინი, სავარაუდოდ, სხვადასხვა დღეებშია დწერილი. ზუსტი დათარიღება ალბათ გაგვიჭირდება, მაგრამ რაც შეეხება თანმიმდევრობას, ამ ბარათებიდან ერთ-ერთი (24551-34) იწყება პირდაპირ ცუდად ჩატარებულ სალამოზე საუბრით და, ვფიქრობ, რომ ის 23 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გალაკტიონის სალამოს ჩატარების შემდეგ მალევე დაიწერებოდა. შემდეგ, ბუნებრივია, უნდა მოდიოდეს დღესასწაულის მილოცვა (24551-37) და ბოლოს ის ბარათი, რომელშიც ოჯახის მომავალ გეგმებზეა საუბარი (24551-37-1). პირველ ბარათს ვათარიღებთ 23-28 დეკემბრით, მეორეს 25-28 დეკემბრით, მესამეს კი 28 დეკემბრით. საარქივო გამოცემაში ამ ბარათების თანმიმდევრობის არევა გამოიწვია იმან, რომ ფოსტაში დასმულ ბეჭედზე ციფრი „8“ ნახევრად წაშლილი და გადღაბნილი იყო და ვიზუალურად „6“-ს უფრო გავდა. ფოსტაში დარტყმული ბეჭედების გამოსახულებებს რომ დავაკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ მათზე აღბეჭდილ ციფრებს ხშირად ახასიათებს სტანდარტული ფორმიდან გადახვევები. ეს გამოწვეული უნდა იყოს ფოსტის თანამშრომლის მიერ ბეჭდის ქალაღზე დადებიდან მის აღებამდე ხელის ზედმეტად განძრევით. კონვერტზე აღბეჭდილი თარიღის სიზუსტის დასადგენად სასურველია, რომ ყოველთვის გადამოწმდეს ბარათის შინაარსთან თარიღის შესაბამისობა.

◇ ვასილ გორგაძისთვის გაგზავნილ უთარიღო წერილში გალაკტიონ ტაბიძე წუხილს გამოთქვამს, რომ მასალა დროულად ვერ მიაწოდა კრებულ „არიფიონისთვის“ და იქვე დასძენს, რომ ათ დღეში აპირებს თბილისში ჩასვლას, მაგრამ თუ ჩქარობენ, ნუ დაუცდიან (გტცა, №793). წერილიდან ჩანს, რომ იგი 29 იანვარს არის დაწერილი. მართალია, წელი არ აწერია, მაგრამ საუბარია კრებულ „არიფიონის“ გამოცემაზე, რომელიც 1928 წელს გამოვიდა. ამ ჟურნალის მომზადებაზე 1927 წლიდან მუშაობდნენ, მაგრამ არა იანვრიდან, რადგან თავად ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონი“ 1927 წლის აპრილში შეიქმნა. შესაბამისად, ბარათი დავათარიღეთ 1928 წლის 29 იანვრით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი წერილიდან „ამხ. გაიოზისადმი<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონმა სამსახური დაკარგა და ათასგვარი სირთულებები დაეწყო ათი წლის წინ. გარდა ამისა, ამავე უბის წიგნაკში რამდენიმე ფურცლით ადრე არის ჩანაწერი „გასაბჭოების 10 წლის თავი“. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრიდან (1921) 10 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი და რამდენადაც წინა ჩანაწერი 21 იანვრით არის დათარიღებული, 1931 წლის 21 იანვრის შემდეგ.

◇ გალაკტიონის წერილი ივანე ტუსკაძისადმი დათარიღებულია 25 ოქტომბრით<sup>2</sup>. შინაარსიდან ჩანს, რომ პოეტს თავისი წიგნი ახალგადაცემული აქვს აფხაზეთის გამომცემლობისთვის. რამდენადაც წიგნი „ზღვა ახმაურდა“ 1948 წლის დასაწყისში გამოვიდა, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1947 წლის 25 ოქტომბერს.

◇ უთარილოა გალაკტიონ ტაბიძის წერილი მოსკოვის გამომცემლობის „სოვეტსკი პისატელ“ რედაქტორ მიხეილ კორნეევისადმი<sup>3</sup>. წერილიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილება გალაკტიონის რჩეული ლექსების გამოცემაზე გამომცემლობას ახალმიღებული აქვს და ჯერ მოლაპარაკება ხდება იმაზე, თუ ვინ იქნება წიგნის რედაქტორი. ასევე ჩანს, რომ ახალი წელი ახალდამდგარია („с наступившим новым годом“). გალაკტიონის 1957 წლის 6 ივნისის დღიურის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ამ გამომცემლობაში წერილი და დეკემბა აქვს გაგზავნილი და პასუხი არ მიუღია<sup>4</sup>. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1957 წლის იანვრის დასაწყისში.

◇ გალაკტიონს ორი დეკემბა აქვს გაგზავნილი სოხუმში მე-6 საამშენებლო ტრესტის მმართველის სახელზე. ერთ-ერთიდან ჩანს, რომ პოეტის იქაურ სახლზე დაცვა იყო მოხსნილი და ითხოვს ისევ დაყენებას. ამავე ტექსტში 25 ნოემბერი წარსულ დროშია ნახსენები („25 ноября в абхазское отделение грузинского коммунального банка перевел“)<sup>5</sup>. რამდენადაც გალაკტიონმა შეტყობინება იმის შესახებ, რომ მის

<sup>1</sup> ქლმ, დღიური N 61. გვ. 18-19. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 219.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-2759; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 69-70.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-268; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 79.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-362, გვ. 5; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 321.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-183; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 80.

სახლზე დაცვა მოხსნილი იყო მიიღო 1956 წლის 16 ივნისს<sup>1</sup>, უთარილო დეპეშა გაგზავნილი უნდა იყოს 1956 წლის 25 ნოემბრის შემდეგ. მეორე დეპეშაში<sup>2</sup> საუბარია 46 ათასის დავალიანებაზე, რომელიც გალაკტიონს აქვს მშენებლების მიმართ. დავალიანება ასევე ნახსენებია 1956 წლის 20 ივნისის განცხადებაში<sup>3</sup>. რამდენადაც უთარილო დეპეშაში გალაკტიონი უბრალოდ ადასტურებს დავალიანების ქონას, განცხადებაში კი ითხოვს ორი თვის ვადის მიცემას, ვფიქრობთ, დეპეშა უფრო ადრე უნდა იყოს გაგზავნილი.

◇ სოხუმის სასტუმრო რიწიდან გაგზავნილი ერთი უთარილო დეპეშის ადრესატია ჩიქობავა. რამდენადაც ვიცით, რომ ლექსების ბწყარედებს პოეტი ბენო ჩიქობავას აკეთებინებდა, დეპეშის ადრესატი ის უნდა იყოს. ტექსტიდან ჩანს, რომ უკვე გამოცემულია გალაკტიონის გიორგი ცაგარლის მიერ თარგმნილი ლექსების კრებული, ეს კი მოხდა 1945 წლის 25 აგვისტოს შემდეგ. სოხუმში სასტუმრო „რიწაში“ გალაკტიონი ისვენებდა 1950 წლის სექტემბერში. 1950 წლის დეკემბრის თვის გეგმაში მას ჩაწერილი აქვს ბენო ჩიქობავას მიერ შედგენილი კრებულის გადახედვა და მასალის რუსულ ენაზე მთარგმნელის მოძებნა<sup>4</sup>. როგორც ჩანს, 1950 წლის სექტემბერში სოხუმში წასვლამდე მან ბენო ჩიქობავას დაავალა მისი რუსულენოვანი ლექსების შეკრება. 22 სექტემბერს პოეტი ჯერ კიდევ თბილისში იყო და ესწრებოდა ეთერ შუმანიას დისერტაციას, 26 სექტემბერს კი უკვე სოხუმის სასტუმრო რიწაში იმყოფებოდა. შესაბამისად, დეპეშა გაგზავნილი უნდა იყოს 1950 წლის სექტემბრის ბოლოს ან შემდეგ.

◇ ალექსანდრა რიაბინინასთვის გაგზავნილ ერთ უთარილო დეპეშაში იმავე თემაზეა საუბარი, რაზეც 1956 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ გაგზავნილში<sup>5</sup>. ორივეგან ვკითხულობთ გალაკტიონის ავადმყოფობის გამო წიგნის მომზადების დაგვიანებაზე, მაგრამ თუ თარიღიანში პოეტი ადრესატს ჰპირდება წიგნის ოქტომბრის ბოლოს ჩაბარებას, უთარილოში ალუთქვამს, რომ დეკემბერში თავად ჩაუტანს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 21; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 295

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-167; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 80.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-359, გვ. 23; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 295.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 261, 64; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.112-113.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-372, გვ. 32; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>6</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-266; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 81.

შესაბამისად, მეორე დეპეშა გაგზავნილი უნდა იყოს 1956 წლის დეკემბრამდე.

◇ სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის უფროს რედაქტორ ანატოლი სტაროსტინისთვის მოსკოვში გაგზავნილი დეპეშა უთარილა<sup>1</sup>, მაგრამ ცნობილია, რომ გალაკტიონი 1956 წლის 24 დეკემბერს მოსკოვში შეხვდა<sup>2</sup> ამ პირს. რამდენადაც დეპეშა უფრო გვიანდელი უნდა იყოს და თბილისიდანაა გაგზავნილი, მას ვათარილებთ 1957 წლის დასაწყისით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ერთი მოკლე წერილი კოლაუ ნადირაძისადმი დაწერილია ძველი გრამატიკული და მართლწერის ფორმებით („ტფილისში ხართ!“, „უდიდეს პოეტს საქართველომასა“)³, რაც მიგვანიშნებს, რომ ის სიჭაბუკის წლებში უნდა იყოს დაწერილი. გალაკტიონი აქ კოლაუს უდიდეს პოეტს უწოდებს. ეს, არ უნდა მომხდარიყო მათი მოღვაწეობის გვიან ეტაპზე, როდესაც გალაკტიონს არა მხოლოდ ჯანსაღი ამბიციები ჰქონდა, არამედ ფაქტობრივი მონაცემებითაც ყოველთვის უსწრებდა კოლაუს. გალაკტიონმა პირველი ლექსი კოლაუზე ბევრად ადრე (შდრ. 1908 / 1916) დაბეჭდა და კოლაუს პირველი წიგნის გამოსვლის დროისთვის (1920) მას უკვე ორი წიგნი ჰქონდა გამოცემული. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს მათი მოღვაწეობის დასაწყისში. გალაკტიონი აქ, სავარაუდოდ, კოლაუს პოეტურ სიდიდეზე მსჯელობს გამოუქვეყნებელი ლექსებით, რომლებსაც ალბათ ამ უკანასკნელის მეგობრის – თავისი ბიძაშვილის, ტიციან ტაბიძისგან იცნობდა. გალაკტიონს თავის თბილისიდან განდევნილობაზე („განდევნილი პოეტის სალამი“) შეიძლება ემსჯელა 1910 წლის 18 იანვრის შემდეგ, ანუ როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა შეწყვიტა და სოფელში დაბრუნდა.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო წერილიდან ვინმე აკაკისადმი⁴ ჩანს, დღის წესრიგში დგას გალაკტიონის რუსული თარგმანების პირველი წიგნის გამოცემა მოსკოვში. რამდენადაც ეს ფაქტი 1937 წელს მოხდა წერილი ამავე წელს ან უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი.

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-190; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 83.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-374, გვ. 27; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 361.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-90; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 84.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-93; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 85.

გალაკტიონის 1953 წლის აგვისტოს ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ რუსულმა გამომცემლობამ „სოვეტსკი პისატელ“ გალაკტიონის ლექსების ახალი წიგნის შესადგენად მოითხოვა წინა წიგნი, „შედგენილი აკ. გაწერელიასა და შ. ბუაჩიძის მიერ“. მიუხედავად იმისა, რომ „სოვეტსკი პისატელ“-ის მიერ 1937 წელს გამოცემულ წიგნს არ აწერია, რომ ის გაწერელიას მიერ არის მომზადებული, როგორც ჩანს, ასე ყოფილა და წერილის ადრესატიც აკაკი გაწერელიაა.

◇ გალაკტიონის ერთი წერილიდან ალექსანდრე აბაშელისადმი, ჩანს, რომ აბაშელი რუსულად აპირებს გალაკტიონის ლექსის გამოცემას („უკანასკნელ ხანებში მე ლექსებს ხელს ვაწერ – გალაკტიონი. მე მგონია, ასე აჯობებს რუსულადაც.“)<sup>1</sup>. ფურცელზე გაკეთებული მინაწერი „დღეს ჩვენი წითელი არმიის დღეა“ მიგვანიშნებს, რომ წერილი 23 თებერვალს უნდა იყოს დაწერილი. გალაკტიონის ლექსი თებერვლის თვეში რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ გამოქვეყნდა 1936 წლის 25 თებერვალს. ეს იყო ლექსი „ვინა სთქვა? („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“<sup>2</sup>). ალექსანდრე აბაშელი თანამშრომლობდა ამ გაზეთთან და, როგორც ჩანს, 1936 წლის 23 თებერვალს პოეტმა მას მიაწოდა ლექსი.

◇ მიხეილ ჯავახიშვილისთვის სოხუმიდან თბილისში გაგავნილ ერთ დეპეშაზე მიწერილია: „ხუთშაბათი, 14 აპრილი“<sup>3</sup> და ჩანს, რომ გალაკტიონს ადრესატთან ერთად ხელი უნდა მოეწერა რაღაც დოკუმენტზე. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი შეიძლებოდა ყოფილიყო არიფიონელთა მანიფესტი, რომელიც ამავე დასახელების ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა 1928 წელს. ამ დოკუმენტზე მუშაობა 1927 წელს დაიწყო და 14 აპრილი ხუთშაბათ დღეს სწორედ ამ წელს ემთხვევა. შესაბამისად, დეპეშა გაგზავნილია 1927 წლის 14 აპრლს.

◇ გალაკტიონის მიერ სოხუმის ფოსტაში გაგზავნილი უთარილო დეპეშიდან<sup>4</sup> ჩანს, რომ თბილისიდან სოხუმში გალაკტიონის სახელზე 11 თებერვალს გადარიცხულა რაღაც თანხა და გალაკტიონი ითხოვს მის თბილისში დაბრუნებას თავისი ბინის მისამართზე. ამ ფაქტს ეხმიანება გალაკტიონის 1948 წლის 24 თებერვლის ჩანაწერი უბის

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-82; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 85-86.

<sup>2</sup> Я славлю новь (Стихотворение) Галактион Табидзе, Заря Востока, 1936. 25 февраля, N46, с.7.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-96; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 89.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-259; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 90.

წიგნაკში „სოხუმიდან ფული დაბრუნდა (ხელოვანი აკ-დან).“<sup>1</sup> შესაბამისად, დეპუმა გაგზავნილი უნდა იყოს 1948 წლის 11 თებერვლის შემდეგ.

◇ გალაკტიონის უთარილო განცხადებიდან განათლების სახალხო კომისრისადმი, ჩანს, რომ იგი არჩეულია მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ რედაქტორად<sup>2</sup>. რამდენადაც გალაკტიონი მწერალთა კავშირის ჟურნალის რედაქტორად აირჩიეს 1921 წლის 21 ნოემბერს, განცხადება ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ ერთ უთარილო წერილში კონსტანტინე ერისთავისადმი, საუბარია იმაზე, რომ გალაკტიონის ძმიშვილმა ვასიკომ, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, პირველი სემესტრის გამოცდები ჩააბარა, მაგრამ მეორე სემესტრისა ავადმყოფობის გამო – ვერა. გალაკტიონი ინსტიტუტის რექტორს წარუდგენს ავადმყოფობის ცნობას და ითხოვს მის პირველ კურსზე აღდგენას. არსებობს პოეტის 1946 წლის 6 სექტემბრის ჩანაწერები, რომლებიც ამ თემას ეხმიანება. მოკლე მინიშნებებიდან ჩანს, რომ კონსტანტინე ერისთავს უთქვამს, წელს ვერ მოხერხდება, ვერც იანვარშიო. მიღება გვიანააო. როგორც ჩანს, უთარილო წერილიც სწორედ ამ დროისა უნდა იყოს და ჩანაწერზე ცოტა ადრეული. შესაბამისად, მას ვათარილებთ 1946 წლის 6 სექტემბრამდე პერიოდით<sup>3</sup>.

◇ ოლგა დარიუსის უთარილო წერილიდან ჩანს, რომ მან მაისის თვეში ორი დღე გაატარა გალაკტიონთან ერთად<sup>4</sup>. კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს მათი ურთიერთობის დასაწყისი უნდა იყოს. 1939 წლის 29 მაისის დღიურის ჩანაწერში გალაკტიონი წერს<sup>5</sup>, როგორ აპირებდა ის საავადმყოფოში დაწოლას, მაგრამ როგორ აიღო ოლგა დარიუსმა თავის თავზე მასზე ზრუნვა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ დარიუსის წერილი ამ ფაქტის შემდეგ მალევე უნდა იყოს დაწერილი, 1939 წლის მაისის ბოლოს.

◇ ოლგა დარიუსის მეორე წერილიდან, რომელიც, როგორც შინაარსიდან ჩანს, 28 მაისს უნდა იყოს დაწერილი, ჩანს, რომ ის

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 272.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-253; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 91.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-282; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 137.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 236; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 244-245.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-122, 12; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 550.



გალაკტიონს უკვე ეხმარება, მაგრამ უფრო ოფიციალური ურთიერთობა აქვთ. შესაბამისად, ეს ბარათიც 1939 წელს უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლღა დარიუსის ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ მასა და გალაკტიონს შორის ურთიერთობა ძალიან დამაბულია<sup>1</sup>. პოეტის დღიურების ჩანაწერების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ურთიერთობა მათ ჰქონდათ 1941 წელს.

◇ უთარილოა უბის წიგნაკში ჩაწერილი დეპეშის ტექსტი, რომელიც გალაკტიონს ლენინგრადიდან უნდა გაეგზავნა დავით დემეტრაძისა და ბესარიონ ჟღენტისთვის. მას აინტერესებდა, გაეგო, იყო თუ არა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატთა სიაში<sup>2</sup>. ამავე ფურცელზე ჩაწერილია ოლია ოკუჯავასთვის 15 ივნისს გაგზავნილი ტექსტი<sup>3</sup> და, სავარაუდოდ, დემეტრაძისა და ჟღენტისთვისაც იმავე დღეს უნდა გაეგზავნა.

◇ კონკრეტულ პირებს შორის მიმოწერაში ძალზე ხშირად მეორდება თემები და მოვლენები. მათ განვითარებაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ბარათების თანმიმდევრობა და თუ რომელიმე მათგანი უთარილოა, ვახერხებთ მის მიახლოებით დათარიღებას. მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან გალაკტიონისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ უთარილო წერილში<sup>4</sup> ადრესანტი ამბობს, რომ თავისი ნაწარმოების – „მწუხრიშვილის“ შესწორებას და გადაწერას აპირებს, 1912 წლის 28 მაისით<sup>5</sup> დათარიღებული სხვა წერილიდან კი ჩანს, რომ ამ ტექსტის გადაკეთებას და გადაწერას უკვე შეუდგა. ამიტომ უთარილო ბარათი 1912 წლის 28 მაისამდე დროით დავათარიღეთ.

◇ გალაკტიონის წიგნის ხელმოწერებზეა საუბარი მიხეილ ბოჭორიშვილის ერთ უთარილო წერილში. ის ფაქტი, რომ ხელმომწერები უკვე ძალიან ღელავენ და ბოჭორიშვილს თანხის შეჭმას აბრალებენ<sup>6</sup> მიგვანიშნებს, რომ ეს წერილი ზემოთ განხილულ ორ ბარათზე ცოტა უფრო გვიანდელი უნდა იყოს. შესაბამისად, ბარათი 1912 წლის ივნისით ან შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ.

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 108; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 246-247.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-88; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 63-64.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 49.

<sup>4</sup> გტცა 842, 1-4

<sup>5</sup> ქლმ 24551-446-1

<sup>6</sup> გტცა, №841, 1.

◇ კიდევ ერთ უთარილო ბარათში მიხეილ ბოჭორიშვილი დიდ წყენას გამოხატავს გალაკტიონისადმი იმის გამო, რომ არ ეხმიანება<sup>1</sup>. ამ წერილში მეგობარი უკვე აღარ სთხოვს გალაკტიონს მისი წიგნების მიწოდებას ხელმომწერებისათვის, რადგან, როგორც ჩანს, უკვე იცის, რომ წიგნი აღარ გამოვა. ის ადრესატს მხოლოდ იმას სთხოვს, შეატყობინოს, რას აპირებს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, თადარიგი დაიჭიროს და ხელმომწერებს თავად დაუბრუნოს თანხა. რამდენადაც ეს მიხეილ ბოჭორიშვილის ბოლო წერილია, რომელიც ხელმომწერების ვალებს ეხება და, რამდენადაც ის ვერ იქნება გალაკტიონის 1912 წლის 22 ოქტომბრის წერილზე უფრო გვიანდელი, რომელშიც ის უდიდეს წუხილს გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით და, როგორც კი საშუალება მიეცემა, გასტუმრებას ჰპირდება, მას 22 ოქტომბრამდე პერიოდით ვათარილებთ.

◇ ასეთივე ვითარება გვქონდა მიხეილ ბოჭორიშვილის მეორე უთარილო წერილთან დაკავშირებით. იმ თარიღიან წერილში, რომელიც გალაკტიონმა 1911 წლის 7 მარტს მიიღო<sup>2</sup>, ადრესანტი სწერდა, რომ თორმეტმანეთიანი წიგნის ნაცვლად, რომლის შესახებაც ადრე სწერდა, ჰიპნოზის უფრო იაფიანი წიგნი („არა ის, რომელსაც წინად გწერდი, 12 მანეთიანს...“) მიუვიდა, უთარილო წერილში კი სწორედ იმ თორმეტმანეთიან წიგნზეა საუბარი („მე რომ გითხარი, ჰიპნოზის წიგნი გამოვიწერეთქო, მომივიდა წიგნი სათაურით „Личное влияние“, მაგრამ წარმოიდგინე, მხოლოდ პრესკურანტია... რუსეთისთვის ვყიდით 12 მანეთად და შემდეგ ხუთი თუმანი იქნებაო“)<sup>3</sup>. შესაბამისად, ეს უთარილო ბარათი 1911 წლის 7 მარტისაზე ადრეულია, მაგრამ, რამდენადაც შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ახალი წლის წინა დღეს არის დაწერილი („ხვალ ახალი წელია“), ზუსტად შეგვიძლია დავათარილოთ 1910 წლის 31 დეკემბრით. წერილის დაწერის თარიღს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ მასში ნახსენები კვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება“ 1910-1911 წლებში გამოდიოდა და მას რედაქტორობდა ნიკო ლორთქიფანიძე.

---

<sup>1</sup> გტცა, №854, 1-2.

<sup>2</sup> გტცა, №844, 1-5.

<sup>3</sup> გტცა, №852, 1-4.

◇ მიხეილ ბოჭორიშვილის კიდევ ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ იმ წელს 15 მაისი კვირა დღე იყო და ეს თარიღი წარსულ დროშია ნახსენები<sup>1</sup>. რამდენადაც წერილიდან ირკვევა, რომ ადრესანტი ისევ მასწავლებლად მუშაობს, ეს კი 1910-1911 წლებში ხდებოდა, 15 მაისი კი კვირა დღეს ემთხვევა 1911 წელს, ბარათი ამ წელს უნდა იყოს დაწერილი. შინაარსის მიხედვით, ადრესანტს გალაკტიონისთვის ორი კვირის მანძილზე წერილი არ გაუგზავნია („ეს მეორე კვირა გადის, შენთვის წერილი არ მომიწერია“). რამდენადაც წინა წერილი მეგობრისგან გალაკტიონმა 9 მაისს მიიღო, ეს უთარილო ბარათი, დაახლოებით, 23 მაისის შემდეგ უნდა მიეღო.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი წერილიდან გალაკტიონისადმი, ჩანს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დახურული იყო და სწავლა განახლდა<sup>2</sup>. ასეთი რამ გაფიცვების გამო მოხდა 1907 წლის დაახლოებით 23 სექტემბრიდან 28 ოქტომბრამდე. 28 ოქტომბერს გალაკტიონმა ძმას წერილი გაუგზავნა თბილისში და რამდენადაც აბესალომის წერილიდან ჩანს, რომ ის ჯერ არ მიუღია, მისი ბარათი დაწერილი უნდა იყოს ამ წერილის მიღებამდე, სავარაუდოდ, 29 ოქტომბრამდე.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი წერილიდან ძმისადმი ჩანს, რომ გალაკტიონი აპირებდა ჭყვიშში ჩასვლას და იმავე დღეს თბილისში გამგზავრებას. წერილში რაიმე ისეთი ფაქტი, რაც დაგვეხმარებოდა მის დათარიღებაში არ არის, მაგრამ ფურცელზე წერილის ბოლოს მიწერილია გალაკტიონის ლექსი („ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს...“)<sup>3</sup>, რომლის გრაფემატული კვლევა (გრაფემები „გ“ და „ლ“) გვამღევეს მისი დათარიღების საშუალებას 1909 წლამდე პერიოდით. გალაკტიონი თბილისში უნდა ჩასულიყო 1908 წლის 1 სექტემბრამდე. შესაბამისად, წერილიც ამ დრომდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი წერილიდან ჩანს, რომ ქუთაისში მყოფ აბესალომს შეხვდა მიხეილ ბოჭორიშვილი, რომელმაც სთხოვა, გალაკტიონს აუცილებლად მიეწოდებინა მისთვის გალაკტიონის წიგნი, რომელიც ხელმომწერებისთვის უნდა დაერიგებინა. ხმა იმის

---

<sup>1</sup> გტცა, №853, 1-4.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, N1268, გვ. 1-2.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა N1280, გვ.2.

შესახებ, თითქოს გალაკტიონის წიგნი გამოვიდა, გავრცელდა 1912 წლის ივნისში ან მომდევნო თვეებში<sup>1</sup>. შესაბამისად, აბესალომის წერილიც დაახლოებით ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის მოკლე წერილი ვლადიმერ ბოჭორიშვილისადმი, რომელიც დაწერილია ღია ბარათზე, უთარიღა, მაგრამ ის გაგზავნილია „ბათუმის გაზეთის“ რედაქციაში და შინაარსიდან ჩანს, რომ 28 აპრილი ჯერ არ დამდგარა. რამდენადაც ეს გაზეთი გამოდიოდა 1911 წლის ივლისიდან 1914 წლის ივლისამდე, ის შეიძლება დაწერილიყო 1912 წლის აპრილის პირველი ნახევრიდან (ჩანს, რომ 28 აპრილამდე დიდი დრო არ უნდა იყოს) 1914 წლის 28 აპრილამდე.

◇ ნინო გვეტაძის წერილს, რომლითაც ის გალაკტიონს აცნობებს, რომ ჟურნალ „მნათობის“ შემდეგი ნომერი უკვე გამოდის და მოსე გოგიბერიძე უთვლის, თუ სურს პოემის დაბჭდვა, სასწრაფოდ მიიტანოს სტამბაში<sup>2</sup>, თვე და რიცხვი – 31 ოქტომბერი მიწერილი აქვს, წელი კი – არა. გალაკტიონის პოემა „რევოლიუციონური საქართველო“ იბეჭდებოდა ჟურნალში „მნათობი“, მოსე გოგიბერიძის მეთვალყურეობით. ის 1930 წლის 23 სექტემბერს გალაკტიონს აცნობებს, რომ პოემა მოწონებულია და სთხოვს, მიიტანოს სტამბაში. პოემის დასაწყისი დაიბეჭდა მერვე-მეცხრე ნომერში, რომლის გამოსვლა, გალაკტიონის ჩანაწერის მიხედვით, დაგვიანდა და 22 ოქტომბერს გამოვიდა. წერილში საუბარი უნდა იყოს პოემის გაგრძელებაზე, რომელიც მომდევნო, მეათე ნომერში დაიბეჭდა და, შესაბამისად, ნინო გვეტაძის წერილი 1930 წლის 31 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი. ამავე ადრესანტის მეორე წერილი კი, რომლითაც ის პოეტს აცნობებს, რომ მეტს ვეღარ დაელოდებიან. თუ მეორე დღის თორმეტ საათამდე ვერ შეძლებს სტამბაში მისვლას, ჟურნალში „მნათობი“ მის პოემას საავტორო კორექტურის გარეშე დაბეჭდავენ<sup>3</sup>, შინაარსის მიხედვით, ამ წერილის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცული გრიგოლ ორახელაშვილის სამი წერილიდან ორი თარიღიანია, ერთი კი უთარიღო და საარქივო გამოცემაში დათარიღებულია 1945 წლის მაისით. ტექსტების

---

<sup>1</sup> გტცა, №841, 1.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 260.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 161.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უთაროლო ბარათი 1949 წლის 25 მაისს დაწერილზე ადრეული უნდა იყოს. ამ ბარათის მიხედვით ავტორს ნაშრომის თავი „ინდუსტრიალიზაცია“ ჯერ დაწყებული არა აქვს („ინდუსტრიალიზაციას“ ვერ ვიწყებ.<sup>1</sup>), 25 მაისით დათარიღებული წერილიდან კი ჩანს, რომ ეს თავი უკვე დაწერილი აქვს: „მე მიხდოდა თემები: სოც. ინდუსტრიალიზაცია, კულტ. რევოლუცია და სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია ერთად მომეტანა, მაგრამ მეორე აზრმა მიკარნახა: ეგებო ინდუსტრიალიზაციაში ზედმეტი რამე გამეპარა, რომლის მომდევნო თემებში გადატანა შეიძლება...“. ვერ ვიტყვით, რას ეყრდნობოდა წერილის დათარიღება 1945 წლის მაისით, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ის 1949 წლის 25 მაისზე ადრეა დაწერილი. რამდენადაც პოეტის 1948 წლის 8 მაისის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ბესო ჟღენტს გრიგოლ ორახელაშვილის ნაშრომის ნაწილზე (1949 წლის 25 მაისის და 3 დეკემბრის წერილებიდან ჩანს, რომ ნაშრომი დასრულებული არ იყო) უკვე რეცენზია აქვს დაწერილი, შესაძლოა, უთაროლო ბარათი 1949 წლის 25 მაისზე მთელი წლით ადრეც კი იყოს დაწერილი, მით უფრო, რომ ამ შუალედში ავტორს სამი თავის დაწერა მაინც მოუსწრია („ინდუსტრიალიზაცია“, „კულტურული რევოლუცია“, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“), მაგრამ შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა დროს მოანდომებდა ამის გაკეთებას. ამიტომ უთაროლო წერილს ვათარიღებთ 1949 წლამდე პერიოდით.

◇ გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ თანამშრომელ გიორგი ბებუთოვის 8 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ ის მუშაობს გალაკტიონის წიგნის გამოცემაზე<sup>2</sup>. მართალია, „ზარია ვოსტოკამ“ ეს წიგნი 1938 წელს გამოსცა, მაგრამ მასზე მუშაობა 1935 წელს იყო დაწყებული. ამას მოწმობს გალაკტიონის 1935 წლის 28 მაისის წერილი გიორგი ბებუთოვისადმი<sup>3</sup>. რამდენადაც გალაკტიონის წერილში საუბარია წიგნის სტრუქტურაზე, ბებუთოვისაში კი კონკრეტული ლექსების თარგმანებზე, უთაროლო წერილი 1935 წლის 28 მაისის შემდეგდროინდელი, იმავე წლის 8 სექტემბრისა უნდა იყოს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 312.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-456-ა; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 266.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 28745-10-11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 64.

◇ ნიკოლო მიწიშვილის წერილი გალაკტიონისადმი დაწერილია ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის შტამპიან ქალაქზე და მასში საუბარია გალაკტიონის წიგნის გამოცემაზე. გალაკტიონის პირველი წიგნი ამ გამომცემლობაში გამოიცა 1933 წელს. 19 აპრილს უკვე გადაწყვეტილი იყო მთარგმნელები, მხატვრები და წინასიტყვაობის ავტორი. შესაბამისად, ნიკოლო მიწიშვილის წერილი 1933 წლის 19 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი. ჯერ კიდევ 3 აპრილს უკვე გახმაურებული იყო<sup>1</sup> ის ფაქტი, რომ სრულდებოდა გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე და ნიკოლო მიწიშვილი მას სწორედ ამ თარიღს ულოცავს.

◇ ლიდა გასვიანის წერილში გალაკტიონისადმი<sup>2</sup> ჩანს, რომ გალაკტიონის თხზულებათა პირველი ტომი კარგახნის გამოცემული უნდა იყოს, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ გალაკტიონს მასალა არ წარუდგენია. ადრესანტი ითხოვს, რომ პოეტმა 19-20 ივნისისთვის მაინც წარადგინოს, რომ მიმდინარე წელს მოესწროს მისი გამოცემა. გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის გადაწყვეტილებისა და მისი პირველი ტომის მიმდინარე წელსვე გამოცემის გადაწყვეტილების შესახებ გამოცხადდა 1933 წლის 29 ივნისს<sup>3</sup>, მაგრამ რეალურად გამოვიდა 1937 წელს. პოეტის 1936 წლის 22 მარტის ჩანაწერიდან ჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ მუშაობს ამ ტომის მომზადებაზე<sup>4</sup>. რამდენადაც გამომცემლობის ტონი უთარილო წერილში ძალიან რადიკალურია, ვფიქრობთ, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1936 წლის 19 ივნისამდე.

◇ ლაინე ბარტელსის მიერ აბასთუმნიდან გაგზავნილი ერთი წერილი უთარილოა<sup>5</sup>, მაგრამ არსებობს გალაკტიონის 1941 წლის 31 მარტის ჩანაწერი უბის წიგნაკში<sup>6</sup>, რომელიც მოწმობს, რომ ბარათი იმ დღეს უნდა მიეღო.

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1933, #4, გვ. 157-158; გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-593, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 500.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-452; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 276-277.

<sup>3</sup> „გალაქტიონ ტაბიძის იუბილე“, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, N14 (40), გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-103; 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-483-ბ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 291.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 224.

◇ პოლიო აბრამიას მიერ გაგზავნილი ერთი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ სადღაც დიდი ზეიმით იმართება გალაკტიონის დაბადებიდან 50 წლის იუბილე<sup>1</sup>. საარქივო გამოცემაში წერილი პირობით არის დათარიღებული 1942 წლით, მაგრამ 1942 წელს გალაკტიონის დიდი იუბილე არ ჩატარებულა. 1943 წლის 29 ნოემბერს ერთად ჩატარდა დაბადებიდან 50 და ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან 35 წლისთავი. შესაბამისად, წერილი ამ თარიღამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ სოფიო ხითაროვას უთარილო წერილიდან<sup>2</sup> ჩანს, რომ ის არის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში გამომავალი გალაკტიონის ერთტომეულის რედაქტორი. წერილის დასაწყისში ის გალაკტიონს თავს წარუდგენს ამ წიგნის რედაქტორად. შესაბამისად, ეს საქმე მას დიდი ხნის ჩაბარებული არ უნდა ჰქონდეს. სოფიო ხითაროვასთან საქმიანი ურთიერთობა გალაკტიონს 1958 წლის მარტის ბოლოსაც ჰქონდა, მაგრამ წერილში გალაკტიონის არცერთი რუსულენოვანი გამოცემა არ არის ნახსენები. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ საუბარი უნდა იყოს პირველ წიგნზე და წერილი დაწერილი უნდა იყოს 1948 წელს 25 მაისის შემდეგ, რადგან გალაკტიონმა ამ დღეს ჩააბარა თავისი მასალები ალექსანდრა რიაბინინას, მან კი გადასცა სოფია ხითაროვას.<sup>3</sup>

◇ უთარილოა ილია კავკაზაგის წერილი გალაკტიონისადმი<sup>4</sup>, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი გალაკტიონს უგზავნის მისდამი მიძღვნილ ლექსს და სთავაზობს მის იუბილეზე სიტყვით გამოსვლას. ამ ავტორის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი 1953 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა<sup>5</sup>, იუბილე კი, რომელზეც კავკაზაგი სიტყვით გამოვიდა, ჩატარდა 1953 წლის 12 ოქტომბერს. შესაბამისად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1953 წლის 12 ოქტომბრამდე.

◇ ილია ხინველის უთარილო წერილში, თუ გავითვალისწინებთ მასში ციტირებულ ფრაზას „ხმოვან სიმღერას“, საუბარი უნდა იყოს ლექსზე „სალამი მაისს“, რომელიც ხსენებულ გაზეთში „კომუნისტი“

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-485; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 292-293.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-495-ა; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 330.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-206, გვ. 8; სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 315.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-470; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 332.

<sup>5</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1953, №202 (13 ოქტომბერი), გვ. 3.

გამოქვეყნდა 1941 წლის 1 მაისს. რამდენადაც წერილს აწერია 17 მაისი, გალაკტიონის მიერ მის მიღებას ვათარილებთ 1941 წლის 17 მაისით ან შემდგომი პერიოდით.

◇ დავით არსენიშვილის უთარილო წერილიდან ჩანს, რომ ის მიემგზავრება მოსკოვში და აპირებს მოლაპარაკებას იქაურ მწერალთა კავშირთან გალაკტიონის საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით<sup>1</sup>. 1930 წლის 10 ოქტომბერს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია, რომ დავით არსენიშვილი კარგი ორგანიზატორია და როდესმე ალბათ გამოადგება დიდი საღამოს მოწყობაში<sup>2</sup>. ამ ჩანაწერის გაკეთებისას პოეტს უკვე შეთანხმებული რომ ჰქონოდა მასთან საღამოს მოწყობაში დახმარება ან არსენიშვილს უკვე რომ ჰქონოდა მისთვის მოწყობილი საღამო, ასეთ ჩანაწერს არ გააკეთებდა. შესაბამისად, უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1930 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ. 1939 წლის 3 იანვრის ჩანაწერიდან<sup>3</sup>. ჩანს, რომ მოსკოვში აპირებდნენ გალაკტიონის საღამოს მოწყობას და ამის შესახებ გაზეთში ანონსიც კი ყოფილა. შესაბამისად, ყველაზე სავარაუდოა, რომ დავით არსენიშვილის წერილშიც ამ საღამოზე იყოს საუბარი და ის დაწერილი იყოს 1939 წლის 3 იანვრის შემდეგ.

◇ მიხეილ ქვლივიძის უთარილო წერილიდან ჩანს, რომ მისი წერის დროს ის მეათე კლასშია<sup>4</sup>. რამდენადაც ცნობილია, რომ მიხეილ ქვლივიძე დაიბადა 1925 წელს და სკოლაში 6 წლის ასაკში შევიდა, უთარილო წერილი დაწერილი უნდა იყოს 1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის ივნისამდე. რამდენადაც შინაარსის მიხედვით ადრესანტს მე-10 კლასის პროგრამა უკვე განვლილი უნდა ჰქონდეს („წელს, მე-10 კლასში მათმა საფუძვლიანად შესწავლამ...“), წერილს ვათარილებთ 1942 წლის ივნისამდე პერიოდით.

◇ შალვა რადიანი მოკლე უთარილო ბარათში გალაკტიონ ტაბიძეს სწერს: „მნათობი“-სთვის თქვენი პოემის გაგრძელება სასწრაფოდ მინდა. როგორმე დღეს მომაწოდე ხელოვნების სასახლეში“. პოემის „რევოლუციონური საქართველოს“ გაგრძელების ბეჭდვასთან დაკავშირებით ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მისვლას მოსე

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-496; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 333.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 103, 104.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 536.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-493-ა; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 334.



გოგიბერიძის დავალებით გალაკტიონს წერილობით ორჯერ სთხოვს ნინო გვეტაძე. პირველი წერილი 1930 წლის 31 ოქტომბრით არის დათარიღებული, მეორე კი ქრონოლოგიურად ოდნავ უფრო გვიანდელია. გვეტაძის პირველი წერილიდან ჩანს, რომ ჟურნალის ნომერი „უკვე გამოდის“, „ცდა აღარ შეიძლება არავითარ შემთხვევაში“, მეორეში კი ნათქვამია, რომ თუ გალაკტიონი მომდევნო დღის თერთმეტ საათამდე არ მივა, პოემა მისი კორექტურის გარეშე დაიბეჭდება. შალვა რადიანის უთარილო წერილშიც ამ პოემის გაგრძელების ტექსტზე უნდა იყოს საუბარი. მისი შინაარსიდანაც, როგორც ნინო გვეტაძის 31 ოქტომბრის წერილიდან, ჩანს, რომ გალაკტიონს პოემის გაგრძელების ტექსტი რედაქციაში ჯერ არ მიუტანია მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ ჟურნალი დღე-დღეზე გამოვა და ტექსტის მიტანის დაჩქარებასთან დაკავშირებით ზეწოლა ნაკლებად იგრძნობა. რადიანის სიტყვებს „სასწრაფოდ მიხდა“ ცოტათი ანეიტრალებს სიტყვა „როგორმე“, ნინო გვეტაძე კი უფრო კატეგორიულია: „ცდა აღარ შეიძლება არავითარ შემთხვევაში“. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ შალვა რადიანის წერილი 31 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი, ლოგიკურია, რომ პოემის გაგრძელების ტექსტი ადრესანტს მოეთხოვა მისი პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ. ამიტომ დროის ქვედა ზღვრად ვიღებთ 22 ოქტომბერს, როდესაც გამოვიდა პოემის პირველი ნაწილი.

ამ უთარილო წერილთან დაკავშირებით საინტერესოა გალაკტიონის ჩანაწერი დღიურში, რომელიც 31 ოქტომბრით არის დათარიღებული. ჩანაწერიდან ჩანს, თითქოს „მნათობში“ მისი ტექსტის ბეჭდვას პრობლემა შეექმნა „ჩემი მასალა "მნათობში" - პირველად არ მიდის“. 31 ოქტომბრის ეს ჩანაწერი აშკარად ნინო გვეტაძის მიერ ამავე დღეს გაგზავნილი წერილის მიღებამდეა გაკეთებული. ასე რომ არ იყოს, გალაკტიონს უკვე ეცოდინებოდა, რომ ჟურნალში მისი პოემის გაგრძელების ბეჭდვას პრობლემა არ შექმნია და ჟურნალიც უკვე იბეჭდება. 31 ოქტომბრამდე გალაკტიონი 10 დღე ავადმყოფობდა, დაკარგული ჰქონდა პალტო და ფეხსაცმელი და სახლიდან ვერ გადიოდა. რამდენადაც მას შალვა რადიანის წერილი სწორედ 22-დან 31 ოქტომბრამდე უნდა მიეღო, შესაძლოა ამ მიზეზების გამო ვერ მოახერხა რადიანისთვის პოემის გაგრძელების დროულად მიწოდება და დღიურში იმიტომ ჩაიწერა, რომ „მნათობის“ ამ ნომერში მისი

არაფერი დაიბეჭდებოდა. რამდენადაც პოემის გაგრძელება დაიბეჭდა „მნათობის“ მეათე ნომერში (გვ. 39-55), იმასთან დაკავშირებით კი, რომ ის ავტორისეული კორექტურის გარეშე გამოაქვეყნეს პოეტის ჩანაწერებში არაფერია ნათქვამი, ვფიქრობთ, პოეტმა რედაქციის თხოვნის შესრულება და რედაქციაში მისვლა შეძლო.

### **სხვათა მიმოწერა და ჩანაწერები**

◇ აბესალომ ტაბიძის ზოგიერთი წერილიდან დედისადმი ჩანს, რომ ის და გალაკტიონი ერთად სწავლობენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში<sup>1</sup>. 1906 წლის სექტემბერში აბესალომი უკვე თბილისის სემინარიის მოსწავლე იყო. ქუთაისის სასწავლებელი მას უნდა დაემთავრებია 1906 წლის ივნისამდე. შესაბამისად, წერილებსაც ვათარილებთ 1906 წლის ივნისამდე პერიოდით. მაკრინე ადგიშვილის ზოგიერთი წერილიდან აბესალომისადმი და აბესალომის წერილებიდან დედისადმი, ჩანს, რომ ის და გალაკტიონი ერთად არიან სასწავლებელში, მაგრამ არ ჩანს, ეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელია თუ თბილისის სემინარია. აბესალომ ტაბიძის 1910 წლის 7 აპრილის წერილიდან დედისადმი ჩანს, რომ მას და გალაკტიონს თბილისის სასულიერო სასწავლებელში მალე ეწყებათ გამოცდები და სააღდგომოდ სოფელში ვერ ჩავლენ<sup>2</sup>. ამის შემდეგ ძმებსა და დედას შორის მიმოწერა არ ჩანს, აპრილის ბოლოს კი გალაკტიონი ცოტა ხნით ჩადის სოფელში. შესაბამისად, ასეთ წერილებს ვათარილებთ 1910 წლის 7 აპრილამდე პერიოდით<sup>3</sup>.

◇ მაკრინე ადგიშვილის იმ წერილებს აბესალომისადმი, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის სემინარიაში სწავლობს, გალაკტიონი კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში<sup>4</sup>, ვათარილებთ 1906 წლის სექტემბრის შემდგომი პერიოდით.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთი წერილიდან აბესალომისა და გალაკტიონისადმი, ჩანს, რომ აბესალომი სემინარიის მესამე კლასშია.

---

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადგიშვილისადმი, გტცა, №1534, გვ. 1-3. აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადგიშვილისადმი, გტცა, №1558, გვ. 1-5.

<sup>2</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადგიშვილისადმი, გტცა, №1565, გვ. 1-3.

<sup>3</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი აბესალომ ტაბიძისადმი, გტცა, №1506, გვ. 1-4; №1508, გვ. 1-4.

<sup>4</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი აბესალომ ტაბიძისადმი, გტცა, №1520, გვ. 1-2.

რამდენადაც აბესალომი სემინარიის მოსწავლე გახა 1906 წლის სექტემბერში, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1909 წლის სექტემბრის შემდეგ<sup>1</sup>.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთი წერილიდან აბესალომისადმი, ჩანს, რომ ის და გალაკტიონი სხვადასხვა ქალაქებში არიან და აბესალომის იმ სასწავლებელში, სადაც იმჟამად სწავლობს, ახალგამოცვლილი უნდა იყოს რექტორი. 1906 წლის სექტემბრიდან 1908 წლის სექტემბრამდე აბესალომი სწავლობდა თბილისში, გალაკტიონი კი – ქუთაისში. 1907 წლის 31 ივლისს თბილისის სემინარიის რექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი პიმენი (პავლე გრიგოლის ძე პეგოვი). რამდენადაც წერილიდან ასევე ჩანს, რომ ის აღდგომამდე დიდი ხნით ადრე არ არის დაწერილი („აღდგომამდე ერთს წერილს კიდე ველოდები...“<sup>2</sup>), 1907 წლის 31 ივლისის შემდეგ პირველი აღდგომა კი იყო 1908 წლის 13 აპრილს, წერილი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთი წერილიდან აბესალომისადმი ირკვევა, რომ ადრესატს სასულიერო სემინარია უკვე დამთავრებული აქვს და უმაღლესში უნდა სწავლის გაგრძელება<sup>3</sup>. აბესალომმა სასულიერო სემინარია დაამთავრა 1912 წელს და, რამდენადაც კურსის დახურვა მასში ხდებოდა და გამოცდები უფრო გვიანაც გრძელდებოდა, ეს წერილი 1912 წლის მასით ან შემდგომი პერიოდით დავათარილეთ.

◇ მაკრინე ადგიშვილის ერთ წერილში ვკითხულობთ: „გალაკტიონი მოვიდა თვითონ შობას. ბავშვები შობის წინ შაბათს დაეთხოვა...“. გალაკტიონი სულ ერთ წელს მსახურობდა მასწავლებლად 1910 წლის შემოდგომიდან 1911 წლის შემოდგომამდე. შესაბამისად, წერილში საუბარი უნდა იყოს 1910 წლის 25 დეკემბერზე, თავად ბარათი კი ამის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც წერილის მიხედვით გალაკტიონმა ბავშვები შობის წინა შაბათს დაითხოვა, 1910 წელს კი 25 დეკემბერი უწევდა კვირა დღეს, ეს უნდა მომხდარიყო 24 დეკემბერს. წერილიდანვე ჩანს, რომ ის სოფლიდან წავიდა ნათლისღების შემდეგ ორშაბათს. ნათლისღება ძველი სტილით იყო 6 იანვარს, რომელიც 1911 წელს მოდიოდა ხუთშაბათზე. შესაბამისად, ის წასულა 10 იანვარს.


---

<sup>1</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი შვილებისადმი, გტცა, №1512, გვ. 1-4.

<sup>2</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი აბესალომ ტაბიძისადმი, გტცა, №1514, გვ. 1-3.

<sup>3</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი აბესალომ ტაბიძისადმი, გტცა, №1515, გვ. 1-4.

◇ აბესალომ ტაბიძის მიერ დედისთვის 24 სექტემბერს გაგზავნილ ერთ წერილზე კარგად არ იკითხება წელი 1908 არის თუ 1909<sup>1</sup>, მაგრამ არქივში მოიპოვება აბესალომ ტაბიძის მიერ 1909 წლის 21 სექტემბერს ჭყვიშიდან გაგზავნილი წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ ის დედასთან ერთად არის<sup>2</sup>. შესაბამისად, 1909 წელი გამოირიცხა და კონვერტზე უნდა იყოს აღნიშნული 08 ანუ 1908.



◇ აბესალომ ტაბიძის ერთი უთარილო წერილიდან დედისადმი ჩანს, რომ რთველი იმერეთში ჩავლილი არ უნდა იყოს („მალე მოისტველე“), მიმდინარე თვის ოცი რიცხვი გავლილი არ უნდა იყოს („თუ ოცამდის წამოვა“), მიმდინარე თვის 21 რიცხვი კი არის სამშაბათი. გალაკტიონი მშობლიურ სოფელში ახალნამყოფია და, სავარაუდოდ, იმჟამად უნდა იყოს ქუთაისში. აბესალომი ქუთაისში აპირებს ჩასვლას და მის ნახვას. რადგან აშკარად შემოდგომაა და აბესალომი თბილისში არ არის, ვფიქრობთ, წერილი მის მიერ სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ 1913 წელს ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. რთველი დასავლეთ საქართველოში სექტემბრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით შეიძლება ჩატარებულიყო, ამ წლების ამ თვეებიდან კი 21 რიცხვი სამშაბათს ემთხვევა 1914 წლის 21 ოქტომბერს. შესაბამისად, ბარათი 1914 წლის 20 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი. საგულისხმოა, რომ სხვა წლის 16 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში (წელი მითითებული არ არის, მაგრამ აბესალომი სტუდენტია), ის დედას ასევე ეკითხება რთველის შესახებ<sup>3</sup>.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთი უთარილო წერილიდან დედისადმი ჩანს, რომ სიცხეებია და გიორგობა ჯერ არ დამდგარა. გიორგობის დღესასწაული ნოემბერშიც აღინიშნება, მაგრამ აქ აშკარად ის იგულისხმება, რომელსაც იმ დროს 23 აპრილს ზეიმობდნენ. წერილში ნათქვამია, რომ გამოცდები შეიძლება 15-ში ან 20-ში დაეწყოს და 20 მაისამდე დაუმთავრდეს. ცხადია, რომ 15-შიც აპრილი უნდა იგულისხმებოდეს და, შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 15

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადგიშვილისადმი, გტცა, №1546, გვ. 1-2.

<sup>2</sup> პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ., 1997, გვ. 106, 107.

<sup>3</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადგიშვილისადმი, გტცა, №1584, გვ. 1-4.

აპრილამდე. რაც შეეხება წელს, ჩანს, რომ აბესალომს სწავლა ჯერ არ დაუმთავრებია, გალაკტიონი კი უკვე ქუთაისში მუშაობს. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის 15 აპრილამდე.

◇ აბესალომის მიერ დედისთვის გაგზავნილი ერთი წერილიდან, რომელსაც თარიღად აწერია „კვირა, 16 ოქტომბერი“<sup>1</sup> ჩანს, რომ გალაკტიონი ფარცხნალის სკოლიდან უკვე წასულია და რაღაც სხვა სამსახური აქვს ნაშოვნი ქუთაისში. 1911 წლიდან 16 ოქტომბერი კვირა დღეს ემთხვევა 1911 წლესვე და ბარათის დაწერის წელი ეს უნდა იყოს.

◇ გალაკტიონის ციფრულ არქივში დაცულია ვინმე ილია მ. თევზაძის წერილი მაკრინე ადეიშვილისდამი<sup>2</sup>. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ ადრესანტი ადრესატზე ბევრად ახალგაზრდაა და, როგორც ჩანს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან, საუბარი უნდა იყოს სოფელ მუხაყრუაში 1881 წელს დაბადებულ ილია მოსეს ძე თევზაძეზე, რომელიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. საგულისხმოა, რომ გალაკტიონის არქივში შემორჩენილია სოფელ მუხაყრუას ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით გავრცელებული საინფორმაციო ფურცელი, რომელიც მას, სავარაუდოდ, ილია თევზაძისგან ექნებოდა. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ მაკრინემ ამ ახალგაზრდას თავისი ვაჟი მოამზადებინდა გამოცდებისთვის, მან კი ვერ ჩააბარა, ჩვენ კი ვიცით, რომ 1903 წლის ზაფხულში გალაკტიონი ვერ გადავიდა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში და სექტემბრიდან იძულებული გახდა გაემიჯნებინა მესამე მოსამზადებელი კლასი, ვფიქრობთ, რომ ეს წერილი სწორედ 1903 წლის ზაფხულში ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ მაკრინე ადეიშვილის ერთი წერილიდან აბესალომისადმი<sup>3</sup> ჩანს, რომ აბესალომმა დედას მისწერა, გალაკტიონმა ორი ნიშნის მეტი ყველა გამოასწორა და იმ ორსაც მალე მიხედავსო. სწორედ ასეთი შინაარსისაა აბესალომის 1909 წლის 19 დეკემბრის წერილი დედისადმი<sup>4</sup>. შესაბამისად, დედის წერილს 19 დეკემბრის შემდგომი პერიოდით ვათარიღებთ.

---

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადეიშვილისადმი, გტცა, №1584, გვ. 1-4.

<sup>2</sup> ილია თევზაძის წერილი მაკრინე ადეიშვილისადმი, გტცა, №1633, გვ. 1-2.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, N 1297, გვ. 1-2.

<sup>4</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი მაკრინე ადეიშვილისადმი, გტცა, №1566, გვ. 1-3.

◇ აბესალომ ტაბიძის ერთ წერილში დედისადმი საუბარია იმაზე, რომ გალაკტიონი ჰყავდა ექიმ ჯაშთან, რომელმაც გასინჯა და თქვა, ფილტვები ჰქონია სუსტი, რძე უნდა სვას, სიგარეტის წევას თავი უნდა დაანებოს და ბევრი მეცადინეობაც არ შეიმღებო<sup>1</sup>. აბესალომისავე 1910 წლის 18 მაისის წერილშიც დედისადმი ნახსენებია გალაკტიონის ავადმყოფობა, მაგრამ ჩანს, რომ ის ჯერ კიდევ თბილისშია, ამ წერილის მიხედვით კი უკვე დედასთან არის. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვები: „რამდენიმე დღის შემდეგ წავიდეს ქუთაისში“. შესაბამისად, ეს უთარილო წერილი 18 მაისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N1577.

## განცხადებები და სხვა საქმიანი ქაღალდები

მაია ნინიძე

◇ გალაკტიონის უთარილო განცხადებიდან ამიერკავკასიის წიგნის გამომცემლობისადმი („закгиз“) ჩანს, რომ ის აპირებს რუსულ ენაზე თავისი თარგმანების წიგნის გამოცემას<sup>1</sup>. რამდენადაც ამ სახელწოდებით ორი ადრეული გამომცემლობის გაერთიენება ჩამოყალიბდა 1933 წლის დასაწყოსში, განცხადება უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ წიგნის გამოცემა უნდა მოსწრებულებიყო მწერალთა ყრილობადამდე. შესაბამისად, საუბარია გალაკტიონის 1933 წელს გამოცემულ წიგნზე<sup>2</sup> და 1934 წლის 17 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე მოსკოვში ჩატარებულ მწერალთა პირველ ყრილობაზე. რამდენადაც წიგნს გამოცემის წლად აწერია 1933, განცხადებაც ამ წელს უნდა იყოს დაწერილი.

◇ ერთ-ერთ მოგრძო წვრილ ფურცელზე გალაკტიონს მიწერილი აქვს, რომ კვირას, 17 ივნისს პეტრე გელეიშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე „გალაკტიონ ტაბიძე და მისი პოეზია“ და მეორე განყოფილებაში თავად გალაკტიონი წაიკითხავს ლექსებს<sup>3</sup>. მსგავს საღამოებში პოეტი 1910-იან წლებში იღებდა ხოლმე მონაწილეობას, 17 ივნისი კი კვირა დღეს ემთხვევა 1912 წელს. ასევე უნდა დათარიღდეს იმავე მეღნიტ ნაწერი პროზაული ტექსტი.

◇ გალაკტიონის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ კვირას, 13 ივლისს ის მონაწილეობას მიიღებს ფოთში გამართულ საღამოში<sup>4</sup>. მსგავსი განცხადება გამოქვეყნდა 1914 წელს გაზეთში „იმერეთი“<sup>5</sup>. 13 ივლისიც კვირა დღეს სწორედ ამ წელს ემთხვევა და ჩანაწერსაც შესაბამისად ამ წლის 13 ივლისით ვათარიღებთ. ამ ჩანაწერის დათარიღების მეშვეობით 1914 წლის 13 ივლისამდე პერიოდით დავათარიღეთ ფურცლის მეორე მხარეს დაწერილი უსათაურო ლექსი „შორის ქვეყნიდან მოგვიდის...“.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 101.

<sup>2</sup> Табидзе, Г. „Избранные стихи“, Тифлис, „Закгиз“, 1933.

<sup>3</sup> 1915 პაკეტში N24

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა N623, გვ. 1.

<sup>5</sup> გაზ. „იმერეთი“, 1914, 13 ივლისი, #104, გვ. 2.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულია განცხადება, რომლითაც ის ითხოვს ჟურნალში „მნათობი“ მუდმივ თანამშრომლად გადასვლას. ტექსტიდან ჩანს, რომ ამ თემაზე განცხადების ადრესატს ის მოსკოვში ყოფნის დროს ელაპარაკა<sup>1</sup>. მოსკოვში 1928 წლის 14 აგვისტოს გაკეთებული ჩანაწერიდან ჩანს, რომ ასეთი საუბარი მას იმ დროს ჰქონდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივან მიხეილ კახიანთან. შესაბამისად, განცხადების ადრესატი უნდა იყოს მიხეილ კახიანი. რამდენადაც ვიცით, რომ გალაკტიონი ამავე წლის 30 აგვისტოს ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა<sup>2</sup>, განცხადება სექტემბერში ან უფრო გვიან, თბილისში დაბრუნების შემდეგ უნდა დაეწერა. რაც შეეხება ამ განცხადების თხოვნის დაკმაყოფილებას და ჟურნალ მნათობში მუდმივ თანამშრომლად აყვანას, ეს 1929 წლის 22 მარტამდე არ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ დღის ჩანაწერში ნათქვამია, რომ „მნათობიდან“ თანხმობა ჯერ არ მიუღია<sup>3</sup>. შესაბამისად, 1929 წლის 22 მარტის შემდგომი პერიოდით უნდა დავათარილოთ ასევე განათლების მუშაკთა კავშირის სახელზე დაწერილი განცხადებაც, რომლიდანაც ჩანს, რომ ის უკვე ჟურნალ „მნათობის“ მუდმივი თანამშრომელია<sup>4</sup>.

◇ ერთ ფურცელზე გალაკტიონს დაწყებული აქვს ღია წერილის წერა ლადო სუხიშვილის სახელზე (გტცა N673). ლადო სუხიშვილი იყო რევოლუციონერი, რომელსაც 1923 წლიდან ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობა. შესაბამისად, ღია წერილიც ან 1923 წელს ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის ერთ განცხადებაში, რომელსაც 1945 წელი აწერია<sup>5</sup>, საუბარია „რჩეულზე“, რომლის გამოცემაც სამ წელს გაჭიანურდა. გალაკტიონის „რჩეულს“, რომელიც სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა გამოსცა, 1944 წელი აწერია, მაგრამ ირკვევა, რომ 1945 წლის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 94;

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, „ვერაფრით დამძალავდა ბედი...“, „თორმეტტომეული“, ტ. III, თბ., 1966, გვ. 185.

<sup>3</sup> ელმ, დ-624-1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 164-167.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 94.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, ელმ, 24551-151; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 110.



2 აპრილის შემდეგ უნდა იყოს გამოცემული<sup>1</sup>. შესაბამისად, ამ განცხადებაშიც ეს „რჩეული“ უნდა იგულისხმებოდეს და ისიც მისი გამოსვლის შემდეგ ანუ 1945 წლის 2 აპრილის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ გალაკტიონის 11 ივლისის განცხადებაში ბარონ ბიბინეიშვილისადმი, რომელშიც ის ითხოვს ჟურნალში „მნათობი“ მიტანილი მასალის ჰონორარს, წელი მითითებული არ არის და მოგვიანებით არის ჩამატებული ჟურნალის ნომერი „N7“. ბარონ ბიბინეიშვილი სახელგამის დირექტორი იყო 1933-1936 წლებში. ამ ინტერვალში კი გალაკტიონს „მნათობის“ N7-ში არაფერი გამოუქვეყნებია. ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს 1933 წელს ჟურნალის N5-ში გამოქვეყნებულ ლექსებზე<sup>2</sup>. ჰონორარები ხშირად იგვიანებდა და, როგორც ჩანს, მაისის ნომრის ჰონორარი 11 ივლისსაც არ ჰქონდა აღებული. შესაბამისა, განცხადება დაწერილი უნდა იყოს 1933 წლის 11 ივლისს. შესაძლოა, ჟურნალის ნომრად „7“ პოეტმა მოგვიანებით მიაწერა, რადგან განცხადება ივლისში იყო დაწერილი.

◇ გალაკტიონის უთარილო განცხადებიდან გამომცემლობისადმი „შრომა“ ჩანს, რომ ისინი გამოსცემენ მის წიგნს<sup>3</sup>. გალაკტიონის არცერთ გამოცემას არ აწერია ეს გამომცემლობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ან გამომცემლობამ სახელი შეიცვალა ან წიგნი შემდეგ გადაეცა სხვა გამომცემლობას. შესაბამისად, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ ვიცით, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი განცხადება ამავე გამომცემლობისადმი, რომელშიც გალაკტიონი ითხოვს მისი პირველი სამი წიგნის საფუძველზე რჩეულის გამოცემას. რამდენადაც ეს განცხადება დათარიღებულია 1929 წლის 4 თებერვლით, უთარილო განცხადება, შინაარსის მიხედვით, უფრო გვიანდელი უნდა იყოს<sup>4</sup>.

◇ გალაკტიონის ერთი განცხადებიდან სახელმწიფო გამომცემლობისადმი, ჩანს, რომ იქ იბეჭდებოდა მისი შემოქმედებითი საღამოს ბილეთები. სახელგამი დაარსდა 1921 წელს და გალაკტიონის პირველი საღამო ამის შემდეგ გაიმართა იმავე წლის 12 ივნისს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, რჩეული, თბ., 1944; გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-165, 57; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., გვ. 389.

<sup>2</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1933, #5, გვ. 112-113, 126-127.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-247; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 135.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-111; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 95.

შესაბამისად, წერილი შეიძლება დაწერილი იყოს 1921 წლის ივნისის დასაწყისში ან შემდეგ.

◇ გალაკტიონის ერთი მოკლე უთარილო ბარათიდან სახელმწიფო გამომცემლობისადმი, ჩანს, რომ მისი წიგნი მათ უკვე გამოცემული აქვთ<sup>1</sup>. ამ გამომცემლობაში გალაკტიონის არაერთი წიგნია დაბეჭდილი, მაგრამ პირველი გამოიცა 1927 წლის მარტში. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1927 მარტით ან შემდგომი პერიოდით.

◇ ზოგიერთ უთარილო წერილს გალაკტიონი ხელს აწერს, როგორც რესპუბლიკის სახალხო პოეტი. ეს წოდება მას მიენიჭა 1933 წლის 21 ივნისს<sup>2</sup>. შესაბამისად, ასეთ წერილებს ვათარილებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით, მაგრამ თუ ამასთანავე ის მოიხსენიება, როგორც ორდენოსანი, ვათარილებთ 1936 წლის 22 მარტის შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ორ უთარილო წერილში საუბარია 23 დეკემბერს მისი ლიტერატურული საღამოს შესახებ, მაგრამ წელი მითითებული არ არის<sup>3</sup>. სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ 23 დეკემბერს გალაკტიონის საღამო დაგეგმილი იყო 1938 წელს<sup>4</sup>.

◇ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსისთვის გაგზავნილი უთარილო განცხადებიდან ჩანს, რომ 8 ივნისს ამიერკავკასიის რკინიგზის კლუბში გაიმართა გალაკტიონის შემოქმედებითი საღამო და გამოფენა, ეს კი, სხვა წყაროების მიხედვით, მოხდა 1957 წელს<sup>5</sup>. წრილში ნახსენები 15 ივნისიც არის 1957 წლის 15 ივნისი.

◇ ლომბარდში წარსადგენი უთარილო მინდობილობა ნინო კვირიკაძის სახელზე, დაწერილი უნდა იყოს 1945 წლის 19 მარტის<sup>6</sup> შემდეგ. ამას ადასტურებს მინაწერში ელისაბედ ხარაძის მოხსენიება, რომელიც სწორედ ამ დროს მკურნალობდა პოეტს.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-242; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 136.

<sup>2</sup> „გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მუშაობის 25 წლის თავისთვის“, „კომუნისტი“, 1933, N153 (3709), გვ. 3.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551-241; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 136.

<sup>4</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, N31, გვ. 4.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-381, გვ. 9; სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 411.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-165, 42; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., გვ. 386.

◇ გალაკტიონ ტაბიძის განცხადება<sup>1</sup>, რომლითაც ითხოვს ჟურნალ „მნათობის“ მუდმივ თანამშრომლად გადაყვანას, უთარილოა, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ იგი მოსკოვის კომინტერნის კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ არის დაწერილი („როგორც მოსკოვში ყოფნის დროს მოგახსენეთ...“). რამდენადაც 1928 წლის 1 სექტემბერს კონგრესის შემდეგ გალაკტიონმა სხვა მონაწილეებთან ერთად მოიარა უკრაინა, დონბასი და ჩრდილოეთ კავკასია, ეს წერილი 1928 წლის სექტემბრის შუა რიცხვების შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩარიცხონ განათლების მუშაკთა კავშირის წევრად<sup>2</sup>, რამდენადაც პოეტი მასში მიუთითებს ჟურნალ „მნათობში“ თავის ხელფასს, ქრონოლოგიურად ეს უფრო გვიანდელი უნდა იყოს და ვათარილებთ 1928 წლის სექტემბრით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულ ერთ თაბახის ფურცელზე დიდი ასოებით წერია განცხადება, სალიტერატურო სადამოს შესახებ, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ქართველი პოეტები და მწერლები (გტცა, № 96). განცხადებაში წელი მითითებული არ არის, მაგრამ ჩანს, რომ 9 ივნისი შაბათი დღეა. რამდენადაც მონაწილეთა შორის დასახელებული არიან ის მწერლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ხოლმე ქუთაისში გამართულ სადამოებში, გავარკვიეთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან საცხოვრებლად თბილისში გადასვლამდე 9 ივნისი შაბათ დღეს ემთხვევა 1912 და 1918 წლებში. რამდენადაც 1918 წლის თებერვლიდან პოეტი პეტერბურგში იმყოფებოდა, გამოიკვეთა, რომ განცხადებაში უნდა იგულისხმებოდეს 1912 წლის 9 ივნისი.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულ რამდენიმე თაბახის ფურცელზე წერია ერთი და იგივე განცხადება, რომ გალაკტიონ ტაბიძე გამართავს სალიტერატურო სადამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ქართველი მწერალი ივანე გომართელი (გტცა, № 85, გვ. 1. № 88, გვ. 1, № 100, გვ. 3). განცხადებაში წელი მითითებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ 15 აპრილი არის კვირა. მონაწილეთა შორის დასახელებული არიან ის მწერლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ

---

<sup>1</sup> 24551-270; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 94.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 94.

ხოლმე ქუთაისში გამართულ საღამოებში. გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან საცხოვრებლად თბილისში გადასვლამდე 15 აპრილი კვირა დღეს ემთხვევა 1912 და 1918 წლებში. რამდენადაც 1918 წლის თებერვლიდან გალაკტიონ ტაბიძე პეტერბურგში იმყოფებოდა, განცხადებაში უნდა იგულისხმებოდეს 1912 წლის 15 აპრილი.

◇ არქივში დაცულ თაბახის ფურცელზე ქართულ და რუსულ ენებზე წერია განცხადება, რომ გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გაიმართება ლიტერატურულ-დრამატული საღამო, რომლის დროსაც წარდმოდგენილი იქნება ვასილ ბალანჩივადის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „კუდიანი ვარსკვლავი“ და მონაწილეობას მიიღებენ მწერლები (გტცა, № 84, გვ. 1). განცხადებაში წელი მითითებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ 3 ივნისი არის კვირა. მონაწილეთა შორის დასახელებული არიან ის მწერლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ხოლმე ქუთაისში გამართულ საღამოებში. გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან საცხოვრებლად თბილისში გადასვლამდე 3 ივნისი კვირა დღეს ემთხვევა 1912 და 1918 წლებში. რამდენადაც 1918 წლის ივნისში გალაკტიონ ტაბიძე პეტერბურგში იმყოფებოდა, განცხადებაში უნდა იგულისხმებოდეს 1912 წლის 3 ივნისი. ზუსტად ასეთივე ვითარებაა რუსულ ენაზე დაწერილ განცხადებასთან მიმართებითაც, რომელშიც საღამოს ჩატარების დროდ 10 ივნისი წერია<sup>1</sup>.

◇ რუსულ ენაზე დაწერილ განცხადებაში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქალაქის თეატრში მართავს ლიტერატურულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და სხვა ქართველი მწერლები (გტცა №59, გვ. 1). არ არის მითითებული არც წელი და არც ქალაქის სახელი. ნათქვამია მხოლოდ, რომ ეს უნდა მომხდარიყო 6 მაისს, კვირას. გალაკტიონ ტაბიძის მოღვაწეობის ქუთაისური პერიოდიდან, როდესაც ის ასეთ საღამოებში ღებულობდა მონაწილეობას, აკაკი წერეთლის გარდაცვალებამდე 6 მაისი კვირა დღეს ემთხვევა მხოლოდ 1912 წელს და მართლაც, „ბათუმის გაზეთში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია ადასტურებს<sup>2</sup>, რომ

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, № 77, გვ. 1.

<sup>2</sup> „ბათუმის გაზეთი“, 1912, №101, გვ. 1.

1912 წლის 6 მაისს, კვირას გალაკტიონ ტაბიძე მონაწილეობდა ლანჩხუთში გამართულ საღამოში. მონაწილეთა სიაში აკაკი წერეთელი დასახელებული აღარ არის. როგორც გალაკტიონ ტაბიძის მიერ გაკეთებული ჩანაწერი მოწმობს, მას სურვილი ჰქონდა, რომ საღამოში თავის სათაყვანებელ მხცოვან პოეტსაც მიეღო მონაწილეობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ მოხერხდა.

◇ არქივში დაცულ თაბახის ფურცლებზე დიდი ასოებით ერთგან ქართულად და ერთგან რუსულად დაწერილ განცხადებაში, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს ლექციას „სიმბოლიზმის ელემენტები თანამედროვე ფრანგულ, რუსულ და ქართულ პოეზიაში“ (გტცა, № 115, გვ. 1; № 123, გვ. 1) წელი მითითებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ 10 თებერვალი არის პარასკევი და თეატრის ადმინისტრატორად მითითებულია ვ. ურუშაძე. ცნობილია, რომ 1912 წელს ვასილ ოქროპირის ძე ურუშაძე მსახურობდა ქუთაისის დრამატული თეატრის ადმინისტრატორად და 10 თებერვლიც პარასკევ დღეს სწორედ ამ წელს ემთხვევა. შესაბამისად, ამ ლექციის წაკითხვას გალაკტიონი 1912 წლის 10 თებერვალს გეგმავდა.

◇ ერთ-ერთ საარქივო ჩანაწერში მოხსენიებული ფაქტების წლის განსაზღვრაში კალენდარულ მეთოდთან ერთად დაგვეხმარა სხვა, თარიღიანი ჩანაწერის მონაცემები. უთარილო ჩანაწერში არნიშნულია ივნისის რომელ რიცხვებში უნდა ყოფილიყო ანდრო თევზაძის, გრიგოლ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის საღამოები, ქართველი პოეტების შეხვედრა კოლმეურნეებთან და სხვ. (გტცა, №192, გვ. 1). ჩანაწერის მიხედვით ჩანს, რომ 17 ივნისი პარასკევია. ანდრო თევზაძის ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალებამდე ეს თარიღი პარასკევ დღეს ემთხვევა 1938, 1949 და 1955 წლებში, მაგრამ, როგორც 1955 წლის დღიურიდან (დ-514-14) ჩანს, ანდრო თევზაძის საღამო მართლაც იყო დაგეგმილი 1955 წლის 30 ივნისს. შესაბამისად, სხვა საღამოებიც ამავე წელს უნდა ჩატარებულიყო, ხოლო რაც შეეხება ჩანაწერის გაკეთების დროს, რამდენადაც ჩასატარებელი საღამოებიდან ყველაზე ადრეული 17 ივნისისაა, იგი ამ დრომდე უნდა იყოს გაკეთებული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 150-ე დღიურში მე-8 გვერდის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ პოეტი ემზადება რადიოგადაცემისთვის<sup>1</sup>, მე-13 გვერდზე კი არის 1942 წლის ახალი წლისადმი მიძღვნილი ლექსი<sup>2</sup>. 1941 წელს გალაკტიონ ტაბიძეს ხაზგრძლივი რადიოგადაცემა ჰქონდა 19 აპრილს<sup>3</sup>, მაგრამ აქ ეს გადაცემა ვერ იქნება ნაგულისხმევი, რადგან წასაკითხი ლექსების სიაში არის „გასტელოს ხსოვნას“, მფრინავი ნიკოლაი გასტელო კი დაიღუპა 1941 წლის 26 ივნისს. სამწუხაროდ გაზეთი „კომუნისტი“ ძალიან იშვიათად აქვეყნებდა რადიოგადაცემების პროგრამას და ზუსტი თარიღის გარკვევა ვერ ხერხდება. შესაბამისად, რადიოგადაცემისთვის მომზადებული მასალები და მის წინ გაკეთებული ჩანაწერები სავარაუდოდ დავათარიღეთ არა უგვიანეს 1941 წლის 26 ივნისით, საახალწლო ლექსის წინ მოთავსებულები – 1942 წლის იანვრამდე პერიოდით და მის შემდეგ განთავსებულები 1942 წლის იანვრით ან შემდგომი პერიოდით. ამავე რვეულის მე-19 გვერდზე პოეტი წერს, რომ ამ დღეს შეუსრულდა 50 წელი<sup>4</sup>. რამდენადაც მან ასე იცოდა, რომ 1892 წელს იყო დაბადებული, ამ ჩანაწერს ვათარიღებთ 1942 წლის 17 ნოემბრით, შემდგომ ჩანაწერებს კი – ამ თარიღის შემდგომი პერიოდით. ის ფაქტიც, რომ 1942 წლის იანვარში დაწერილი ლექსი ამ ჩანაწერამდეა მოთავსებული, იმაზე მეტყველებს, რომ გალაკტიონს დაბადების წლად 1892 წელი აქვს ნაგულისხმევი და არა 1891.

---

<sup>1</sup> ქლმ. დ-150, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 281-282.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-150, 13-16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 287-290.

<sup>3</sup> რადიოგადაცემა დღეს, გაზ. „კომუნისტი“, 1941, 19 აპრილი, N92 (6097), გვ. 4.

<sup>4</sup> ქლმ. დ-150, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 291.

ნათია სიხარულიძე

◇ გალაკტიონის ერთ-ერთ უბის წიგნაკში ჩაუწერია: „1956. ჩავიბარე: „აფეთქება“- თარგმ. სავლე აბულაძის (Взрыв). სულ 696 სტრიქონი“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ წელია (1956) მითითებული, თუმცა პოეტის ამავე პერიოდის ჩანაწერების მიხედვით, ვფიქრობთ, შესაძლებელია, დავაზუსტოთ, თუ როდის მიიღო ამ პოემის თარგმანი პოეტმა. იმავე წელს, 13 აგვისტოს ნინო კვირიკაძეს ჩაუნიშნავს ასეთი ინფორმაცია: „სათარგმნი პოემები წაიღო გ.-მა - 1956, 13. VIII“.<sup>2</sup> ჩანაწერში ჩამოთვლილია ის პოემები, რომლებიც გალაკტიონმა სათარგმნად წაიღო, მათ შორისაა „აფეთქება“. ბუნებრივია, 696 სტრიქონიანი პოემის თარგმნა ერთ ან ორ დღეში ვერ მოხერხდებოდა, გარკვეული დრო დასჭირდებოდა, სავარაუდოდ, ერთი კვირა მაინც. ამის გათვალისწინებით, მატიანეში ფაქტი პირობითად დავათარიღეთ ასე: „20 აგვისტოს შემდეგ“.

◇ გალაკტიონის ამ ჩანაწერს უბის წიგნაკში 1957 წლის 7 იანვარი აქვს მიწერილი: „ჯიბლაძის ქალს უნდა მოეცხო რევაზ მარგიანისთვის, რა უნდა მას ბავშვების რედაქტორად, რომლის რედაქტორია? აჰა, მოხვდა თუ არა? მისი წიგნიც არ იყო მოხსენებული (ხინთიბიძე)...“<sup>3</sup> ვფიქრობთ, თარიღი შეცდომით მიუთითა პოეტმა, რადგან იგი აქ მსჯელობს იმ ამბებზე, რომლებიც 7 თებერვალს მოხდა და არა 7 იანვარს. კერძოდ, ამავე უბის წიგნაკიდან აშკარად ჩანს, რომ 7 თებერვალს გალაკტიონი ესწრებოდა მეცნიერებათა აკადემიაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა სხდომას, მოისმინა ბესარიონ ჟღენტის, თინა ჯიბლაძის, აკაკი ხინთიბიძის მოხსენებები.<sup>4</sup> რადგანაც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერში გალაკტიონი ახსენებს იმ მეცნიერებს (თინა ჯიბლაძე, აკაკი ხინთიბიძე), რომელთაც 7 თებერვალს მოუსმინა და გარდა ამისა, ხელნაწერზე დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ 7 იანვარი მოგვიანებით არის მიწერილი, ამ ფაქტს ვათარიღებთ ასე: 7 თებერვალი ან შემდეგ.

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-361, გვ. 33.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-582-5, გვ.2.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 31.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 28.

◇ გალაკტიონის საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულის მეცხრამეტე ტომში ერთ-ერთ ჩანაწერთან მითითებულია თარიღი – 4 ოქტომბერი: „**4 ოკტომბერი**. შეხვედრები ასოთაძწყოებთან! I. წიგნები ხალხს! მხოლოდ ოქტომბრის წიგნით. ო, ო, ო, მხატვრების მობილიზაცია. ერთი ლექსი "წიგნები ხალხს".... უმთავრესია: საჭირო არაა ამ საქმეში ნერვიულობა. დამშვიდებით. წყნარად. ტილოები, ფანერები ხომ მზადაა (არის, დამჭირდება კიდევ). **ბ. სერებრიაკოვი**

**ტექსტს აღარ აბრუნებს: აი, ხათა. 24/II-57. სტურუა.** არის პორტრაიტი ჩუდეცკის. წიგნზე გამოსახული და ორიგინალური“...<sup>1</sup> როგორც ხელნაწერზე დაკვირვება ცხადყოფს „4 ოკტომბერი“ გვიანდელი მინაწერია (თან რეალურად აქ იკითხება არა „4 ოკტომბერი“, არამედ – 4 ოკტომბრისთვის, რაც ცვლის სათქმელის აზრს), ხოლო ტექსტის დაწერის რეალური თარიღი თვითონ



ტექსტშივეა მითითებული: „ბ. სერებრიაკოვი ტექსტს

აღარ აბრუნებს: აი, ხათა. 24/II-57. სტურუა“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ჩანაწერის წინა ფურცელზე 1957 წლის 25 თებერვლის ამბებია გადმოცემული.

◇ გალაკტიონის 1957 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში<sup>2</sup>, იანვარ-თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერებში იკითხება 29 ივლისით დათარიღებული ტექსტი<sup>3</sup>: „ჩარჩო თავის ადგილზეა!!! დალაქიც იქვეა! - „მინდა დღეს მოვითავო - ხვალ შვებულებაში მივდივარ“! (სამკ. კომბინატი: ჩარჩო თავის ადგილასაა! 29 ივლისი, 1957 წელი). სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა! ოჰო, სტამბა! უნივერსიტეტის! დღეს სწორედ იმ სტამბის წინ ვიდექი. მიხაროდა, რომ ახალი გზა გაჰყავთ“...

რა თქმა უნდა, ჩნდება ვარაუდი, რომ პოეტმა 29 იანვრის ნაცვლად 29 ივლისი დაწერა, მით უფრო, რომ ამ ჩანაწერს წინ 29 იანვრით დათარიღებული ტექსტი უსწრებს. თუმცა ჩანაწერის შინაარსიდან

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 386.  
<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 7-17  
<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-377, გვ. 15.



გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ავტორისეული თარიღი – 29 ივლისი სწორი იყოს. ვგულისხმობთ იმას, რომ პოეტის მიერ ჩანიშნული ფრაზა მომდევნო დღეს შვებულებაში გასვლის თაობაზე უფრო შეეფერება ივლისის ბოლოს, ვიდრე იანვრის (ახალი სამუშაო წლის) ბოლოს; გარდა ამისა, ნაკლებად მოსალოდნელია, ახალი გზის გაყვანა უნივერსიტეტის წინ ზამთარში დაეწყოთ, საამისოს ივლისი ბევრად უფრო შესაფერისი იქნებოდა. ამ გარემოებების გათვალისწინებით უბის წიგნაკის აღნიშნულ მონაკვეთს ვათარიღებთ 29 ივლისით, ისე, როგორც ეს ავტორს აქვს. ის ფაქტი, რომ უბის წიგნაკის ჩანაწერებს შორის დროის დიდი ინტერვალია (29 იანვარი - 29 ივლისი) პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან გალაკტიონის უბის წიგნაკებში ერთმანეთისგან წლებით დაშორებული ჩანაწერებიც გვხვდება.

◇ 1958 წლის უბის წიგნაკის მეორე-მესამე გვერდებზე არსებული ეს ჩანაწერი დაუთარიღებელია: „1. ლიტერატურული მუზეუმის მიერ გამოყოფილია უფროსი მეცნიერი მუშაკები, რომელთაც ევალემატ შეადგინონ გამოფენისათვის სახალხო პოეტის - გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების სტაციონალური გამოფენის თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმა (საგამოფენო ფართობის გათვალისწინებით).

ხელოვნების მუშაკთა სახლის მიერ დათმობილია გამოფენისათვის (გამოფენის ერთი ნაწილისთვის, სახელდობრ, სადეკადო ნაწილისათვის) ფართობი, მაგრამ საჭიროა მეტი ფართობი, რომ აისახოს სახალხო პოეტის 50 წლის შემოქმედება.

საჭიროა: 1. გამოიყოს ფართობი ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში საგამოფენო პავილიონის მოსაწყობად. პავილიონი - უნდა აიგოს დაკვრითი წესით ერთი თვის განმავლობაში. რა არის ამისათვის საჭირო? 1. დადგენილება ფართობის გამოყოფის შესახებ. 2. გეგმა პავილიონისა (ინჟინერის მიერ შედგენილი). ეს ფართობი გამოყოფილი ყოფილა კინო-თეატრისთვის. საჭიროა სხვა ფართობის გამონახვა“...<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 532.

შინაარსიდან გამომდინარე, ეს ჩანაწერები 1958 წლის ზაფხულს ან ადრეულ შემოდგომას უნდა განეკუთვნებოდეს, როდესაც გალაკტიონი აქტიურად ცდილობს საკუთარი შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენისათვის ფართის მოძიებას.



საგულისხმოა ისიც, რომ ამავე უბის წიგნაკში, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერებს წინ უძღვის თითქმის ცარიელი გვერდი, სადაც ორი თარიღია დაფიქსირებული: 12 ნოემბერი 15 სექტემბერი.

თარიღებიც და ტექსტიც ერთი და იმავე საწერი საშუალებით – ფანქრითაა შესრულებული, თითქმის იდენტურია ხელწერაც. ამავე ფანქრითაა ნაწერი უბის წიგნაკში არსებული სხვა ტექსტების უმრავლესობა, რომლებიც ივლისისა და აგვისტოს სხვადასხვა რიცხვებით თარიღდება და დღიურის მომდევნო გვერდებზეა გადანაწილებული. შინაარსობრივად ეს და მომდევნო ჩანაწერები ერთმანეთთან ახლოსაა: პოეტი კვლავ გამოფენის ორგანიზებაზე ზრუნავს.

ვფიქრობთ, შესაძლებელია, ამ უბის წიგნაკის ჩვენთვის საინტერესო, მეორე-მესამე გვერდებზე მოთავსებული ჩანაწერებიც ივლის-აგვისტოში შესრულებულად მივიჩნიოთ და ასეც დავათარილოთ. რაც შეეხება პირველ გვერდზე არსებულ თარიღებს (12 ნოემბერი 15 სექტემბერი), საფიქრებელია, რომ ისინი პოეტის მიერ დაგეგმილი გამოფენის ვადებს აღნიშნავდეს, ან კიდევ – იუბილემდე – 17 ნოემბრამდე აქტიური სამზადისის პერიოდი ჰქონდეს პოეტს თავისთვის მონიშნული.

♦ გალაკტიონის 1955 წლით დათარიღებული ჩანაწერების ერთ-ერთი რვეული (დ-327) პოეტის მიერ დასათაურებულია ასე: „ერთი ლექსის საღამო“. იქვეა მითითებული თარიღი 1955. 28 თებერვალი.<sup>1</sup> ამ რვეულში არსებული პირველი ჩანაწერი 9 იანვრით თარიღდება. აშკარაა, რომ რვეულის ტიტული („ერთი ლექსის საღამო“) უფრო გვიან არის გაკეთებული პოეტის მიერ ვიდრე პირველი ჩანაწერი – ამაზე ავტორისეული თარიღი „28 თებერვალი“ მიგვითითებს. ამ რვეულში

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-327, გვ. 1.

ჩაწერილი სხვა ტექსტები, რომელთა უმეტესობასაც ლექსის – „მეგლი ერთი ლექსისა“ ვარიანტებს წარმოადგენს, უთარიღოა. გალაკტიონის ნაწარმოების სათაურიდან და შინაარსიდანაც აშკარაა, რომ ლექსს კავშირი უნდა ჰქონდეს რვეულის პირველ გვერდზე პოეტის მიერ წარწერილ ტიტულთან. თუმცა შეუძლებელია, ზუსტად ითქვას, ჯერ ლექსის ვარიანტები დაწერა და შემდეგ წააწერა რვეულის პირველ გვერდზე პოეტმა ტიტული თუ – პირიქით.

ლექსის ვარიანტების დასათარიღებლად, ვფიქრობთ, საყურადღებოა ერთი ფაქტი: 1955 წლის 17 იანვარს გალაკტიონი მწერალთა კავშირის პოეტების სექციის სხდომაზე ერთხმად აირჩიეს ამ სექციის ბიუროს თავმჯდომარედ.<sup>1</sup> როგორც ჩანს, მან, როგორც თავმჯდომარემ, გადაწყვიტა მოეწყო „ერთი ლექსის საღამო“ და შესაბამისი ნაწარმოებიც დაწერა ამ საღამოსთვის. ამის გათვალისწინებით, ლექსის ვარიანტების (და ამ ვარიანტებთან იმავე ფერის კალმით მიწერილი ფრაგმენტული ჩანაწერების) საწყის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 18 იანვარი, ხოლო ბოლო თარიღად 28 თებერვალი და ასევე დავთარიღოთ: 18 იანვრიდან–28 თებერვლამდე.

◇ გალაკტიონის 1955 წლით დათარიღებული უბის წიგნაკის პირველივე გვერდზე დაწერია სათაური „პოეტების სექციის ბიურო“, შემდეგ პოეტების სახელები და გვარები ჩამოუწერია, მარჯვნივ – ტელეფონის ნომრებიც მიუწერია.<sup>2</sup> გალაკტიონი, როგორც ცნობილია, 1955 წლის 17 იანვარს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის სხდომაზე აირჩიეს ამ სექციის ბიუროს თავმჯდომარედ. ვფიქრობთ, აღნიშნული ბიუროს წევრი პოეტების ნომრები გალაკტიონს, როგორც სექციის თავმჯდომარეს, უნდა ჩაენიშნა ან 17 იანვარსვე, ან მომდევნო დღეებში, მწერალთა კავშირში ყოფნისას. ლოგიკურია, პოეტი ფიქრობდა, რომ მისთვის ეს ინფორმაცია საჭირო იქნებოდა, რადგან ხშირად მოუხდებოდა ურთიერთობა კოლეგა-პოეტებთან.

ამ ჩანაწერთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: გარდა ტელეფონის ნომრებისა აქ სხვა ტექსტიც იკითხება, როგორც მელნით შესრულებული, ისე – ფანქრით. მნიშვნელოვანია ასეთი დეტალიც: უბის წიგნაკის ამ გვერდზე ხელნაწერის ორი შრეა წარმოდგენილი. ავტოგრაფზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თავდაპირველად გალაკტიონს ჩანაწერი ფანქრით უნდა გაეკეთებინა, ხოლო შემდეგ – კალმით. პოეტის საარქივო გამოცემის მეცხრამეტე ტომში ორივე შრე ერთდროულადაა ამოკითხული, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 10.


<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 1.

გათვალსწინების გარეშე, რაც გაურკვეველს ხდის ტექსტის შინაარსს.<sup>1</sup> გარდა ამისა, აღნიშნულ ტომში პოეტების სახელების და გვარების გვერდით არ არის მიწერილი ტელეფონის ნომრები, რის გამოც ბუნდოვანი ხდება, თუ რატომ ჩამოწერა გალაკტიონმა ესა.

როგორც ითქვა, პირველი შრე, ფანქრით ნაწერი ტექსტი უფრო ადრინდელია, ხოლო კალმით ნაწერი – შედარებით გვიანდელი.

რადგან კალმით ნაწერი პირობითად ასე დავათარილეთ: „17 იანვარი ან შემდეგ“, ვფიქრობთ, მისაღებია ფანქრით ნაწერი დათარიღდეს ამგვარად: „17 იანვრამდე“. თუმცა ფანქრით შესრულებულ ტექსტზე დაკვირვება თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას გვაძლევს. აქ იკითხება:

„წმინდა შემოქმედებითი, წმინდა ლირიული ატმოსფერა. ატომის ენერ. შანშიაშვილზე. მასალის მანქანაზე დაბეჭდვა და ბიუროს წევრებისთვის დარიგება. ს. თვარამე. სექციებისათვის. კ. ლორთქიფანიძე. 1. პიესების ბეჭდვის



<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2005, გვ. 21.

საკითხი. 2. რუსულ ენაზე? იონა. ფანცხავა. შაბათს. გრიბოედოვის 15. ბინა 2“.<sup>1</sup>

ამ ფრაგმენტული ტექსტიდან, რომლის შინაარსზე ზუსტი მსჯელობაც შეუძლებელია, ერთი დასკვნის გამოტანა ნამდვილად შეიძლება: გალაკტიონი, სავარაუდოდ, უკვე არჩეულია მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარედ, იგი საუბრობს ამ სექციაში არსებულ ვითარებაზე, შემოქმედებით ატმოსფეროზე, ახსენებს სიტყვებს „სექცია“, „ბიურო“. უკვე აქვს მოძიებული გარკვეული მასალაც, რაც ბიუროს წევრებს უნდა გააცნოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, პირველი შრე – ფანქრით ნაწერი ტექსტი 1955 წლის 17 იანვრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ხოლო კალმით ნაწერი ასევე, 17 იანვრის შემდეგ, მაგრამ შედარებით უფრო გვიან.

ამ ჩანაწერების თარიღების კიდევ უფრო დაკონკრეტების და დიფერენცირების საშუალებას გვაძლევს ერთი დეტალი: უბის წიგნაკის იმავე გვერდზე, კალმით ირიბად მიწერილია რუსული ტექსტი: „Москва, гост. „Гранд-отель“. Ком. 526. Ираклий Абашидзе“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, პოეტს მოსკოვში მივლინებით მყოფი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის – ირაკლი აბაშიძის მისამართი ჩაუნიშნავს, საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირება, წერილის თუ დეპეშის გაგზავნა ან დარეკვა რომ შესძლებოდა. როგორც გალაკტიონის ამავე წლის იანვრის სხვა უბის წიგნაკში არსებული ჩანაწერები ცხადყოფს, 1955 წლის 25 იანვარს პოეტი ესწრებოდა მწერალთა კავშირის პლენუმს, სადაც სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე.<sup>3</sup> ამდენად, ცხადია, ირაკლი აბაშიძე მოსკოვში 1955 წლის 25 იანვრის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო და მელნით შესრულებული ჩანაწერები ასე დავათარიღეთ: „1955 წლის 25 იანვრის შემდეგ“, ხოლო ფანქრით ნაწერი ტექსტი ამგვარად დათარიღდა: „1955 წლის 17 იანვრიდან 25 იანვრამდე“.

გალაკტიონის ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს ისიც დავაზუსტოთ, რომ ირაკლი აბაშიძე მოსკოვში 19 მარტამდე დარჩა. 19

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 1.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 1.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-326, გვ. 20.

მარტს პოეტი უბის წიგნაში აკეთებს ჩანაწერს: ჩამოდის მოსკოვიდან ირაკლი. წავიდა შესახვედრად ჭილაია“.<sup>1</sup> ამის გათვალისწინებით, მეღნით შესრულებული ტექსტი დაწერილი უნდა იყოს 1955 წლის 26 იანვრიდან 19 მარტამდე. თუმცა, რადგან კოლეგა-პოეტების ტელეფონის ნომრებს, ისევე როგორც, ირაკლი აბაშიძის მისამართს გალაკტიონი სექციის თავმჯდომარედ არჩევიდან მალევე ჩაიწერდა გასაგები მიზეზები გამო, მეღნით შესრულებული ჩანაწერები საბოლოოდ ასე დათარიღდა: „**25 იანვრის შემდეგ**“.

რაც შეეხება ფანქრით შესრულებულ ნაწერს, როგორც ითქვა, იგი ამგვარად დათარიღდა: „**1955 წლის 17 იანვრიდან 25 იანვრამდე**“. ამ ტექსტში არის ერთი საყურადღებო მინიშნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დროის ეს **სავარაუდო შუალედი კიდევ უფრო დავავიწროვოთ**. ვგულისხმობთ ტექსტის ამ მონაკვეთს: „**იონა. ფანცხავა. შაბათს. გრიბოედოვის 15. ბინა 2**“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი აპირებს გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ ნაცნობთან მისვლას შაბათ დღეს. შაბათი დღე 1955 წლის 17 იანვრიდან 25 იანვრამდე იყო მხოლოდ 22 იანვარს. ამის გათვალისწინებით, **ფანქრით შესრულებული ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 17 იანვრიდან 22 იანვრამდე** (ანუ შაბათამდე).

გალაკტიონის საარქივო ჩანაწერების სრული კორპუსი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ისიც, თუ ვინ ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩის მითითებულ მისამართზე, ვისთან მისვლას აპირებდა გალაკტიონი 1955 წლის 22 იანვარს. ასევე გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩანიშნულ მისამართს წინ უსწრებს ორი სიტყვა: იონა. ფანცხავა. ირკვევა, რომ მითითებულ მისამართზე ცხოვრობდა სოსიკო ფანცხავა, გალაკტიონის სახელობის სალიტერატურო წრის ხელმძღვანელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1945 წელს აცნობა საკუთარი მისამართი გალაკტიონს პირადი წერილით: „**ძმაო გალაქტიონ, ვერ შეგხვდი. დიდი ხანია გემებ თბილისის ქუჩებსა და შენ დაწესებულებებში. ბოლოს მისამართი გავიგე და გიგზავნი ამ ბარათთან ერთად ბიცოლა ანეტას მო-**

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 21.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 1.

მართვას... მე ვცხოვრობ გრიბოედოვის ქ. №15, ს. ფანცხავას. იყავი კარგად და მხნედ. შენი სოსიკო ფანცხავა. 20. V. 1945 წ., თბილისი“.<sup>1</sup>

ხოლო სხვაგან გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „გრიბოედოვის ქ. №15. ბინა №2. მეორე სართული პოდიეზდიდან - სოსიკო ფანცხავა“.<sup>2</sup> პოეტის სხვა ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, თუ რის გამო აპირებდა გალაკტიონი სოსიკო ფანცხავასთან სტუმრობას: „8 საათზე - სოსიკო ფანცხავასთან. 1. საკითხი სახელწოდებისა. „გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრე“. 2. როგორია წრის შემადგენლობა. 3. აქვს თუ არა წრეს საკუთარი... 4. მწერალთა კავშირთან დაახლოების საკითხი. 5. აკაკი წერეთლის საღამოზე უნდა დაესწროს მთელი შემადგენლობა: მისაწვევი ბარათები მზად იქნება. 6. N. N. N. N. N. N. 7. მომავალი საღამოების ჩატარების საკითხი. „7 მომხსენებელი“. „შვიდტომეული“. 8. წრე. წრე. წრეს გადასული წრეში „შემავალს“...“<sup>3</sup> სოსიკო ფანცხავა, რომელიც გალაკტიონის სახელობის სალიტერატურო წრის ხელმძღვანელია, გარკვეული პერიოდის წინ პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებაში იყო ჩართული. გალაკტიონი ფიქრობს, რომ მან, როგორც პოეტების სექციის თავმჯდომარემ, ახლა კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს ფანცხავასთან. ამკარაა, რომ სწორედ ამის გამო გეგმავს მასთან ვიზიტს და სამომავლო გეგმებზე საუბარს.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონი კრიტიკოს გიორგი ხუხაშვილთან საუბრის შინაარსს გადმოგვცემს. პოეტი აღნიშნავს, რომ ხუხაშვილს სურს დაწეროს წერილი მის წიგნზე „რჩეული“.<sup>4</sup> ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს გალაკტიონ ტაბიძის 1954 წლის „რჩეული“, რომელიც, როგორც ცნობილია, 1955 წლის დასაწყისში გამოიცა (იხ. აქვე, გვ. ). ჩანაწერი უთარიღოა. იგი შესრულებულია ზუსტად იმავე მეღნიტა და ხელწერით, რომლითაც უბის წიგნაკის წინა გვერდზე არსებული ჩანაწერი, სადაც მწერალთა კავშირის წევრ პოეტთა სიას ინიშნავს გალაკტიონი.<sup>5</sup> ამის

---

<sup>1</sup> <http://galaktion.ge/?page=OfficialLetters&year=1955&p=1&id=6952>

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-300, გვ. 2.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-330, გვ. 3.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 9.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 8.

გათვალისწინებით, ეს ჩანაწერიც ისე დავათარიღეთ, როგორც აღნიშნული სია გვაქვს დათარიღებული: „1955. იანვარი ან შემდეგ“.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონი მსჯელობს სახელმწიფო გამომცემლობის საქმიანობის შესახებ: „სახელგამმა უნდა გააფართოვოს წიგნების გამოცემა, რაც განხორციელდება მკითხველის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე. ჯერ გამოიცემა რომელიმე მწერლის სარეკლამო ნიმუში და იმის მიხედვით, თუ როგორ მიიღებს მას მკითხველი, ახორციელებენ მის მასობრივ გამოშვებას“.<sup>1</sup> ჩანაწერი უთარიღა. იგი შესრულებულია ზუსტად იმავე მეღწიანა და ხელწერით, რომლითაც უბის წიგნაკის წინა გვერდზე არსებული ჩანაწერი, სადაც მწერალთა კავშირის წევრ პოეტთა სიას ინიშნავს გალაკტიონი.<sup>2</sup> ამის გათვალისწინებით, ეს ჩანაწერიც ისე დავათარიღეთ, როგორც აღნიშნული სია გვაქვს დათარიღებული: „1955. იანვარი ან შემდეგ“.

◇ გალაკტიონის ლექსის „დროშები ჩქარა“ სტრიქონები ჩაწერილია უბის წიგნაკის იმავე გვერდზე, რომელზეც პოეტს ჩაუნიშნავს, რომ 25 იანვარს, 4-დან 6 საათამდე უნდა შეხვდეს თბილისის 26 კომისრის რაიონის (ახლანდელი ავლაბარი) სკოლის მოსწავლეებს<sup>3</sup>. რადგან ორივე ჩანაწერი შესრულებულია ერთი და იმავე კალმითა და ხელწერით, შესაბამისად, ერთნაირადაც დავათარიღეთ: „25 იანვრამდე“.

◇ გალაკტიონის 1958 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „41 წლის თავი ოქტომბრის. 1. რადიოში ბარიტონს მიჰყავდა გადმოცემა. ნეტავი ვინ არის? 2. ჰიმნი რუსული და ქართ. ორკესტრი.“<sup>4</sup> როგორც ტექსტიდან ჩანს, პოეტი ისმენს რადიო-გადაცემას, რომელიც ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი აღინიშნებოდა 7 ნოემბერს, რის გამოც ჩანაწერს ასეც ვათარიღებთ. 7 ნოემბრით ვათარიღებთ ამავე ჩანაწერის მომდევნო გვერდზე არსებულ ტექსტს სათაურით „3 წლიანი გეგმა“.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 9.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 8.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-408, გვ. 1.



რადგან ეს ტექსტიც ზუსტად იმავე საწერი საშუალებით და ხელწერითაა შესრულებული.

◇ 1957 წლის 6 ივნისით დათარიღებულ ერთ რუსულ ჩანაწერში ჩანს, რომ გალაკტიონს აინტერესებს, მიიღო თუ არა ადრესატმა მის მიერ გაგზავნილი დეკემა და წერილი: „1. Интересно, получили ли мое письмо и телеграмму. 2. Между прочим телеграмма была оплачена. 3. Как обстоять. 4. Могу выслать (выслать 17 или 18 июня. Нужно было заказать „срочно“.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, პოეტი არ აზუსტებს, თუ ვის მისწერა წერილი. ამ ინფორმაციის დაკონკრეტების საშუალებას გვაძლევს გალაკტიონის ოფიციალური მიმოწერის გაცნობა. ირკვევა, რომ პოეტს აინტერესებს, მიიღეს თუ არა მის მიერ გაგზავნილი დეკემა და წერილი მოსკოვში, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“. ეს დაწესებულება პირდაპირ არის დასახელებული გალაკტიონის ოფიციალური წერილის მონახაზში და აქვეა ის კითხვებიც, რომლის გამოც მისწერა მან გამომცემლობას: „Москва. Издательство „Советский писатель“ Вызвать: 1. Главного бухгалтера издательства. 2. Сотрудницу издательства т. Эльрегистан. Запросы: 1. Пятого июня, народным поэтом Грузии Галактионом Табидзе Издательству „Советский писатель“ были посланы три экземпляра договора, подписанные автором, получили ли? Сколько следует гонорар, высчитали ли? 2. Выслан ли гонорар автору Галактиону Табидзе. 3. Нельзя ли срочно выслать следуемый гонорар автора, срочно, по телеграфу. 4. [Когда можно?]“...<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ეს ორი ტექსტი შინაარსობრივად აზუსტებს და ავსებს ერთმანეთს, გარდა ამისა, ერთმანეთს შეესაბამება თვე და რიცხვიც – ოფიციალური წერილის მონახაზის მიხედვით ჩანს, რომ გალაკტიონმა 5 ივნისს მისწერა გამომცემლობას, ხოლო დღიურში არსებული ჩანაწერი 6 ივნისითაა დათარიღებული და აღნიშნულია, რომ დეკემა უკვე გაგზავნილი აქვს. მიუხედავად ამისა, არის ერთი წინააღმდეგობა, რომლის ახსნაც მხოლოდ ხელნაწერზე დაკვირვებით და სხვა ფაქტების მოშველიებითაა შესაძლებელი: გალაკტიონის უბის წიგნაკში არსებული ჩანაწერი 1957 წლის ივნისითაა დათარიღებული,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-362, გვ. 5.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2005, გვ. 79.

ხოლო ოფიციალური წერილის მონახაზი – 1956 წლის 20 ივნისით. როგორც წერილის ავტორაფის შესწავლამ დაგვარწმუნა, 1956 წლის 20 ივნისი აქ თარიღი კი არ არის, არამედ – პოეტის მიერ გვიანდელი მინაწერი (ზედა, მარცხენა კუთხეში). შესაბამისად, თარიღის ცვლილება მეხსიერების ცდომილებით შეიძლება აიხსნას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა: 1956 წლის ზაფხული გალაკტიონმა რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნების მომზადებაში გაატარა, იგი მხოლოდ 1956 წლის ბოლოს, დეკემბერში ჩადის მოსკოვში და ცდილობს გამომცემლობებს შეუთანხმდეს, რათა მოახერხოს წიგნების დაბეჭდვა. ბუნებრივია, ხელშეკრულებებსა და ჰონორარზე საუბარი მას შემდეგ იქნებოდა ლოგიკური, რაც ამ გამომცემლობებთან მოლაპარაკება შედგებოდა და, რაც მთავარია, გამოსაცემი წიგნის მაკეტი იქნებოდა მზად. ასე რომ, ოფიციალური წერილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერს აზუსტებს, 1957 წლის ივნისით უნდა დავათარილოთ – კონკრეტულად, ასე: 1957. 20 ივნისამდე.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში პოეტი აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც იხსენებს თავის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან ფაქტებს: „1. I ყრილობა და სტალინი. 2. II ყრილობაზე სხვანაირი დამოკიდებულება. 3. III პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარედ არჩევა. 4. აკადემიური კრებული. 5. "პოემები". 6. 1915 წ.“<sup>1</sup> ჩანაწერი უთარიღოა, თუმცა, ხელწერის სპეციფიკიდან და მელნის ფერიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ იგი იმავე დროს უნდა იყოს შესრულებული, როცა ამავე გვერდზე ეს სტრიქონი ჩაინიშნა პოეტმა: „7 თებერვალს ოპერის თეატრში!“<sup>2</sup> ციტირებული სიტყვები 7 თებერვალს ოპერის თეატრში ჩასატარებელი საღამოს მოლოდინს გამოხატავს და, ცხადია, დაწერილია 7 თებერვლამდე. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერიც ასე დავათარიღეთ: „7 თებერვლამდე“.

აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მიებისა, ამ ფაქტებთან გალაკტიონის მიერ ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერის დასაწყისში ნახსენები პოეტის – პლატონ ლეჟავას (1881-1954) კავშირი ვერ დაზუსტდა, რის გამოც გაჩნდა ვარაუდი, რომ ჩაინიშნული სახელი და გვარი არ უკავშირდება ჩანაწერის ტექსტს. შესაძლებელია,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 4.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 4.

გალაკტიონი, როგორც პოეტების სექციის თავმჯდომარე, პლატონ ლეჟავას, აწ გარდაცვლილი პოეტის, ხსოვნის საღამოს ან რამე მსგავსი ღონისძიების მოწყობას აპირებდა და სწორედ ამიტომ ჩაიწერა მისი სახელი და გვარი.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონი ინიშნავს მწერალთა კავშირის წევრ პოეტთა სიას. ჩამონათვალში ცალკე ჯგუფებად გამოჰყოფს მისი აზრით ოდნავ საიმედო და ნეიტრალურ მწერლებს.<sup>1</sup> ჩანაწერი უთარიღოა, თუმცა ტექსტში არის მინიშნება გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოზე. კერძოდ, გალაკტიონი წერს, რომ მწერალთა კავშირში „თამარ ანდლულაძის სიის მიხედვით კი (1955 წ. იანვ.) 47 წევრია“.<sup>2</sup> როგორც ჩანს, სია, რომელზეც პოეტი საუბრობს, 1955 წლის იანვარში გადაუცია თამარ ანდლულაძეს მისთვის. შესაბამისად, ეს ჩანაწერიც იანვარში (ან შემდგომ, ახლო ხანში) უნდა გაეკეთებინა გალაკტიონს. ამის გათვალისწინებით, ფაქტი ასეც დავათარიღეთ: „1955. იანვარი ან შემდეგ“.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში გალაკტიონი აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც ჩამოთვლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას და მიუთითებს, რომ საბჭოს წევრებს უნდა გაეგზავნოს მისი წიგნები.<sup>3</sup> ჩანაწერი უთარიღოა. არც იმის დაზუსტება მოხერხდა, თუ როდის გაეგზავნა აღნიშნულ საბჭოს გალაკტიონის წიგნები (ან საერთოდ გაეგზავნა თუ არა). იმ უბის წიგნაკში, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერია გაკეთებული, ყველა თარიღიანი ტექსტი განეკუთვნება 1955 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდს. შესაბამისად, ჩანაწერი ასე დავათარიღეთ: „1955. აპრილამდე“.

◇ გალაკტიონის 1955 წლის ჩანაწერებს შორის ვკითხულობთ: „ქართული ხალხური ბალადა. გიორგი კალანდაძე. ქართული ბალადა. 1. არტისტი. 2. მომხსენებელი“.<sup>4</sup> ტექსტი დაუთარიღებელია, მისი შინაარსი კი – ბუნდოვანი. ამ ჩანაწერის სათქმელი ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ იმავე წლის სხვა უბის წიგნაკში ჩანიშნულ

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 8.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 8.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 15.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 16.

ინფორმაციას: „ორშაბათს, 4 აპრილს პოეტების სექციის ბიურო აწყობს ქართული ბალადის საღამოს. შესავალი სიტყვა-მიმართვა: სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. მოხსენება „ქართული ბალადა“ – გიორგი კალანდაძე“.<sup>1</sup> ეს ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერის დათარიღებაშიც გვეხმარება. აშკარაა, რომ გალაკტიონს გიორგი კალანდაძის სახელი და გვარი და მისი მოხსენების თემა 4 აპრილამდე უნდა ჩაენიშნა. შესაბამისად, ტექსტი ასეც დავათარიღეთ.

◇ 1955 წლის დასაწყისიდანვე მწერალთა კავშირი აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის ემზადება. ამ პროცესის ამსახველი ჩანაწერები გვხვდება გალაკტიონის უბის წიგნაკშიც. მაგალითად, ერთგან, 1955 წლის ჩანაწერებს შორის პოეტს ანბანური თანმიმდევრობით ჩაუნიშნავს იმ მწერლებისა და კრიტიკოსების სია, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ ღონისძიებაში.<sup>2</sup> ჩანაწერი უთარიღოა. აკაკი წერეთელი 8 თებერვალს გარდაიცვალა, შესაბამისად, მისი გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც 8 თებერვალს უნდა ჩატარებულყო. ამის გათვალისწინებით, გალაკტიონის ჩანაწერი დავათარიღეთ 1955 წლის იანვრით ანუ იმ პერიოდით, როდესაც აქტიური სამზადისი მიმდინარეობდა დასახელებული ღონისძიების ჩასატარებლად.

◇ 1955 წელს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „გეგმა: 1. ანტოლოგია პოეტების“. როგორც ჩანს, იგი, მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ხელმძღვანელი ფიქრობს ამ სექციის სამომავლო მუშაობაზე. აპირებს, მოამზადოს ანტოლოგია, რომელიც გააერთიანებს პოეტურ ნაწარმოებებს. ჩანაწერი უთარიღოა. იგი შესრულებულია ზუსტად იმავე მელნითა და ხელწერით, რომლითაც წინა და მომდევნო გვერდებზე არსებული სია აკაკის გარდაცვალებიდან ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილე მწერლებისა<sup>3</sup>. რადგან ეს სია 1955 წლის იანვრით ანუ იმ პერიოდით დავათარიღეთ, როდესაც აქტიური სამზადისი მიმდინარეობდა დასახელებული ღონისძიების ჩასატარებლად, ასევე ვათარიღებთ ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერსაც. ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-335, გვ. 13.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 23-24, 26.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 23-24, 26.

შესაძლებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ 1955 წლის 17 იანვარს გალაკტიონი სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის პოეტების სექციის შეკრებაზე და ერთხმად ირჩევენ ამ სექციის ბიუროს თავმჯდომარედ. სწორედ სექციის ბიუროს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ – ანუ 17 იანვრიდან იანვრის ბოლომდე უნდა გაეკეთებინა ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი პოეტს.

◇ 1955 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკში უცნობი პირი უწერს მეგრული ფოლკლორული ლექსის „ჭვინს, თუნს“ („წვიმს, თოვს“) სტრიქონებს. შემდეგ კი ამავე ლექსის მიხედვით გალაკტიონი თვითონ იწყებს უსათაურო ტექსტის „ფაზს მორიდება სხვისი როდი აქვს“ წერას. ორივე ტექსტი დაუთარიღებელია. ამ უბის წიგნაკში, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერებია გაკეთებული, ყველა თარიღიანი ტექსტი განეკუთვნება 1955 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდს. შესაბამისად, ჩანაწერი ასე დავათარიღეთ: „1955. აპრილამდე“.

◇ „ლეილა ლორთქიფანიძეს შეუძლია დასწეროს მონოგრაფია „ბავშვები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“<sup>1</sup>, – ვკითხულობთ გალაკტიონის 1955 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში. ამ ჩანაწერის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ გადაწყვიტა პოეტმა, რომ მკვლევარ ლეილა ლორთქიფანიძეს შეეძლო ამ ტიპის ნაშრომის შექმნა? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებელია გაეცეს თუ გავიხსენებთ, რომ ლეილა ლორთქიფანიძემ 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ცნობილი საბავშვო მწერლის – შიო მღვიმელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით უნდა გაეკეთებინა დასკვნა გალაკტიონს, რომ მკვლევარ ქალს შეეძლო დაეწერა მონოგრაფია „ბავშვები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. ტექსტი დაუთარიღებელია. ამ უბის წიგნაკში, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერებია გაკეთებული, ყველა თარიღიანი ტექსტი განეკუთვნება 1955 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდს. შესაბამისად, ჩანაწერი ასე დავათარიღეთ: „1955. აპრილამდე“.

◇ 1955 წელს გალაკტიონი ხვდება მცხეთის კულტურის სახლის თანამშრომელს დავით მამალაძეს, რომელიც სთხოვს, დაგეგმოს მცხეთაში პოეზიის საღამოს ჩატარება და უბის წიგნაკში უწერს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 36.

საკუთარ სახელსა და გვარს, ასევე, მცხეთის კულტურის სახლის მისამართს.<sup>1</sup> გალაკტიონი იქვე ინიშნავს ამავე დაწესებულების დირექტორის სახელსა და გვარსაც<sup>2</sup>. ორივე ჩანაწერი უთარილოა, თუმცა პოეტის მიერ ჩანიშნული ინფორმაცია იმავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს, რომელსაც უბის წიგნაკის იმ გვერდზევე გაკეთებული სხვა ჩანაწერი, სადაც მითითებულია ქრონოლოგიური ზღვარი – 28 იანვარი: „აკადემიაში – 28 იანვარს“<sup>3</sup>. ამის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ორივე ჩანაწერი გაკეთებულია 28 იანვრამდე და ასეც დავათარილეთ.

◇ 1955 წელს გალაკტიონი უბის წიგნაკში ინიშნავს რუსი პოეტისა და მთარგმნელის – ალექსანდრ მეჟიროვის გვარს, იმ სასტუმროს სახელსა და ტელეფონის ნომერს, რომელშიც თბილისში მყოფი მეჟიროვია დაბინავებული. სავარაუდოა, რომ პოეტი ფიქრობს საკუთარი ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ და სწორედ ამ მიზნით აპირებს დაუკავშირდეს რუს მთარგმნელს. ჩანაწერი დაუთარილებელია. პოეტის დღიურების სრული კორპუსის გათვალისწინებით ამ თარიღის დაკონკრეტება არ ხერხდება, რის გამოც, გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ ამ უბის წიგნაკში, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერებია გაკეთებული, ყველა თარიღიანი ტექსტი განეკუთვნება 1955 წლის იანვრიდან აპრილამდე პერიოდს და, შესაბამისად, ჩანაწერიც ასე დავათარილეთ: „1955. აპრილამდე“.

◇ 1956 წლის ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იხსენებს, რომ პაოლო იაშვილი მონადირეთა კავშირის წევრი იყო, მაგრამ როცა სანადიროდ მიდიოდა, ვერაფერს კლავდა<sup>4</sup>. ჩანაწერს მოსდევს 10 იანვრით დათარიღებული ჩანახატი<sup>5</sup>. მოგონებას წინ უსწრებს 20 იანვრით დათარიღებული ტექსტი. როგორც ჩანახატი, ისე ჩანაწერები შესრულებულია ერთი და იმავე ფერის მელნით. რადგან ქრონოლოგიური თანმიმდევრობა უბის წიგნაკში დაცული არ არის, შეუძლებელია ითქვას, ზუსტად როდის დაიწერა ეს მოგონება. ამის გამო ტექსტს ვათარილებთ იანვრით.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 36.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 36.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-328, გვ. 36.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 25.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 27.

◇ 1956 წელს გალაკტიონი უბის წიგნაკში ინიშნავს კარლ მარქსის სიტყვებს პოეზიის შესახებ<sup>1</sup>. ეს ჩანაწერი მოსდევს გალაკტიონის 1956 წლის იანვრით დათარიღებულ ტექსტებსა და ჩანახატებს და შესრულებულია იმავე ფერის მელნით. ამის გათვალისწინებით, ტექსტს იანვრით ვათარიღებთ.

◇ 1955 წელს გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „ჯერ არ მისცა მინისტრმა ის პუტიოვკა. 1. სამინისტროს ინსპექტორთან - ან 1. დაურევოს კალინინის რაიონის სოცფორუნველყოფას. 2. ქალაქი ხელმეორედ მინისტრთან ან... ის ქალი საქმის კურსშია“.<sup>2</sup> ამ ჩანაწერის შინაარსი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ დაახლოებით ამავე პერიოდის, კერძოდ, 1955 წლის 31 მარტის დღიურს, სადაც გალაკტიონი აღწერს, თუ როგორ მიდის შრომის სასახლეში, ცდილობს, დაელაპარაკოს შრომის მინისტრს ან მის მოადგილეს და სთხოვოს საგზური თავისი ბიძაშვილის – იოსებ ტაბიძისთვის.<sup>3</sup> როგორც ჩანს, მან შეიტყო, რომ იოსებ ტაბიძეს ჯერ კიდევ არ მიუღია ის საგზური, რომლის მოპოვების პროცესში თვითონაც იყო ჩართული და ინიშნავს, თუ რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რათა ამ საგზურის მიღება მოხერხდეს.<sup>4</sup> ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 31 მარტის შემდეგ. რადგან ტექსტი მოთავსებულია 1955 წლის მაისით დათარიღებულ ჩანაწერებს შორის, ამ ჩანაწერსაც მაისით ვათარიღებთ.

◇ 1955 წელს მძღოლისა და დამხმარე ქალის საუბრის მოსმენისას გალაკტიონის ყურადღება მიუქცევია „ატანა“ ზმნის უჩვეულო ფორმა „აიტანება“, რის გამოც უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს მათი დიალოგის ფრაგმენტი.<sup>5</sup> ჩანაწერი უთარიღოა, თუმცა მას უშუალოდ მოსდევს 29 მაისით დათარიღებული ტექსტი, რომელშიც პოეტი აღწერს, თუ როგორ გააწმენდინა წყნეთიდან დაბრუნების შემდეგ ფეხსაცმელი თბილისში.<sup>6</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ჩანაწერი ერთი და იმავე მელნითა და ხელწერითაა შესრულებული. რადგან ამ დროისათვის გალაკტიონი წყნეთის აგარაკის სარემონტო სამუშაოებით იყო

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-337, გვ. 31.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 4.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-336, გვ. 8.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 4.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 6.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 6.

დაკავებული, ცხადია, დიალოგი მას წყნეთში უნდა ჩაენიშნა, ან 28 მაისს, როდესაც იგი წყნეთში იმყოფებოდა, ან 29 მაისს, ასევე წყნეთში ყოფნისას, თბილისში დაბრუნებამდე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 29 მაისით დათარიღებული ჩანაწერი პოეტს ხაზით აქვს გამიჯნული წინა ტექსტისაგან (დიალოგისაგან). ეს გვაფიქრებინებს, რომ დიალოგი უნდა მოესმინა და ჩაენიშნა არა 29 მაისს, თბილისში დაბრუნებამდე, არამედ – წინა დღეს. ამის გათვალისწინებით, ჩანაწერი 28 მაისით დავათარიღეთ. იმავე 28 მაისს უნდა ეკუთვნოდეს უბის წიგნაკის მომდევნო გვერდებზე<sup>1</sup> არსებული ფრაგმენტული ჩანაწერები, სადაც პოეტს დამხმარეების და ადგილობრივი მოსახლეობის საუბრის ფრაგმენტები აქვს ჩანიშნული და აგრეთვე ისიც, თუ რა უნდა გაკეთდეს აგარაკის მოსაწესრიგებლად.

◇ 1955 წლის ერთ ჩანაწერში გალაკტიონი სინანულით აღნიშნავს, რომ თბილისში ცოტა დარჩა ისეთი ოჯახები, რომლებიც სუფთა ქართულით ლაპარაკობენ.<sup>2</sup> ჩანაწერი მოთავსებულია 1955 წლის მაისის თვით დათარიღებულ ტექსტებს შორის, ასევე, შესრულებულია იმავე მეღნითა და ხელწერით, როგორცაც აღნიშნული წლის მაისით დათარიღებული ჩანაწერების უმრავლესობა. ამის გათვალისწინებით, ტექსტს მაისით ვათარიღებთ.

◇ 1955 წელს გალაკტიონი უბის წიგნაკში, ფურცლის მარცხენა მხარეს ფანქრით ჩამოწერს სიტყვებს და შემდეგ ამ სიტყვების გამოყენებით წერს ტექსტს სიმონ ჩიქოვანის შესახებ. ყოველი სტრიქონი იწყება კავშირით „თუ“ და სრულდება მიმართვით „სიმონ“<sup>3</sup>. უბის წიგნაკის ამავე გვერდზე, უკვე დაწერილი ტექსტის საფუძველზე წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „თუ ჩანგს სიმი არ აქვს, სიმონ“.<sup>4</sup> ორივე ტექსტი მოთავსებულია 1955 წლის მაისის თვით დათარიღებულ ჩანაწერებს შორის, ასევე, შესრულებულია იმავე საწერი საშუალებებით და ხელწერით, როგორცაც აღნიშნული წლის მაისით დათარიღებული ჩანაწერების უმრავლესობა. ამის გათვალისწინებით, სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილ ამ ტექსტებს 1955 წლის მაისით ვათარიღებთ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 8, 10.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 22.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 22.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 22.



◇ 1955 წლის ერთ ჩანაწერში გალაკტიონი ინიშნავს გეგმის მონახაზს, რომლის მიხედვითაც სურს მოეწყოს ღონისძიება თემაზე „1905 წელი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.<sup>1</sup> ტექსტი ლურჯი მელნითაა დაწერილი. უბის წიგნაკის ამავე გვერდზე იკითხება ფანქრით დაწერილი ლექსი, რომლის საწყისში არსებული სტრიქონები 1905 წლის რევოლუციის თემას შეეხება და რომელიც 1955 წლის 29 მაისითაა დათარიღებული. ვფიქრობთ, ორივე ტექსტი ერთსა და იმავე დღეს უნდა იყოს დაწერილი.

◇ 1955 წელს გალაკტიონი აკეთებს ჩანაწერს სათაურით „სამი შოფერი“.<sup>2</sup> ტექსტი მოთავსებულია მაის-ივნისის ჩანაწერებს შორის, რის გამოც მას ასე ვათარიღებთ.

◇ 1955 წლის 20 ივნისს გალაკტიონის ხელმძღვანელობით მწერალთა კავშირის პოეტების სექცია ატარებს გრიგოლ ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს. ამის გათვალისწინებით, გრიგოლ ორბელიანთან<sup>3</sup> და, ზოგადად, ამ საღამოს მოწყობის გეგმებთან დაკავშირებით გაკეთებული ჩანაწერები<sup>4</sup> 20 ივნისამდე პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 1955 წელს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ფატი ნიშნიანიძე. ძალათი... რა საჭიროა ყოველივე ეს. რა საჭიროა პირველ პერიოდზე ამდენი ლაპარაკი?“. ამ ჩანაწერს წინ უძღვის იმავე წლის 9 ივლისის ამბების აღწერა. პოეტი მოგვითხრობს, როგორ გაემგზავრა ვახტანგ გურგენიძესთან, ფატი ნიშნიანიძესთან, ანდრო თევზაძესთან და ლავროსი კალანდაძესთან ერთად ვანში, სადაც შეხვედრაზე მოხსენება წაიკითხა ფატი ნიშნიანიძემ. სწორედ ამ მოხსენებას უნდა ეხებოდეს ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი. ამის გათვალისწინებით, ტექსტი 9 ივლისით დავათარიღეთ.

◇ 1955 წლის 28 ივლისის ჩანაწერის შემდეგ, რომელშიც გალაკტიონი სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის შესახებ გვიამბობს, უბის წიგნაკში იკითხება ფრაგმენტი პოემიდან „მშვიდობის წიგნი“, კონკრეტულად,

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 26-27.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-338, გვ. 33.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-339, გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-339, გვ. 5.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-339, გვ. 8-9.

ორ მთას შუა მდებარე სოფელ შუამთისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი.<sup>1</sup> ვფიქრობთ, პოეტს ეს ტექსტი უნდა ჩაეწერა 9 ივლისის ანუ ვანში ყოფნის შემდეგ. სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს, სამცხე-ჯავახეთში ყოფნისას, როდესაც თავის მოგზაურობებზე და უკვე ნანახ ადგილებზე ფიქრობდა.

◇ გალაკტიონის უბის წიგნაკში 1955 წლის 27-29 ივლისის ჩანაწერების შემდეგ, რომლებიც პოეტის ბორჯომსა და მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს, იკითხება ლექსი „ბორჯომის ხეობა“.<sup>2</sup> ნაწარმოების სათაურიდან და შინაარსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს ბორჯომში სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებით. გალაკტიონი ბორჯომში იმყოფებოდა 27 ივლისს, ამის გათვალისწინებით, ლექსი 27 ივლისზე ადრე ვერ დაიწერებოდა. „ბორჯომის ხეობას“ უბის წიგნაკში მოსდევს კიდევ ერთი ლექსი – „მესხეთ-ჯავახეთი“, რომელიც ავტორის მიერ 30 ივლისით არის დათარიღებული. ამის გათვალისწინებით, „ბორჯომის ხეობა“ ასე დავათარიღეთ: 27-დან 30 ივლისამდე.

◇ გალაკტიონის 1955 წლის ივლისისა და აგვისტოს ჩანაწერებს შორის იკითხება დაუთარიღებელი, უსათაურო სახუმარო ლექსი „რაკი შევიძინე“. რადგან უბის წიგნაკში არსებული ჩანაწერების უმრავლესობა ივლის-აგვისტოს განეკუთვნება, ლექსიც ასე დავათარიღეთ.

◇ მიხეილ მაღრაძისადმი მიძღვნილი სახუმარო ლექსი „მაღრაძე ჩვენი მნათობთ მნათობი“, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დაწერილი უნდა იყოს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში. რადგან პოეტი აგვისტოში თბილისში თითქმის არ იმყოფებოდა და, სავარაუდოდ, რედაქციაში მისვლისთვისაც ნაკლებად გამონახავდა დროს, ვფიქრობთ, ლექსი დაწერილი უნდა იყოს სექტემბრის დასაწყისში.

◇ 1955 წლის ივლისის ჩანაწერებთან ერთად გალაკტიონის უბის წიგნაკში იკითხება ლექსი „ვარძია“<sup>3</sup>, რომელიც პოეტს არ დაუთარიღებია. გალაკტიონი ვარძიაში იმყოფებოდა 30 ივლისს. ამის გათვალისწინებით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 30 ივლისს ან შემდეგ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 40.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 51.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ.62

ამ ლექსის შემდეგ უბის წიგნაკში კიდევ ერთი ნაწარმოებია: უსათაურო ლექსი „რაც კი აგვისტოთი“.<sup>1</sup> ნაწარმოები ეძღვნება აგვისტოს თვეს და შემოდგომის მოლოდინს. შინაარსიდან გამომდინარე ლექსი დაწერილი უნდა იყოს აგვისტოში. ამგვარი დათარიღება შეეფერება დღიურის თარიღიანი მასალის თანმიმდევრობასაც: ამ უბის წიგნაკში, ძირითადად, 1955 წლის ივლისითა და აგვისტოთი დათარიღებული ტექსტებია წარმოდგენილი.

◇ 1955 წელს გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს ვილაცის ნათქვამი ფრაზა, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელი უნდა დაერქვას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, მაგრამ უშუალოდ თბილისში და არა მის გარეთ.<sup>2</sup> ჩანაწერი გაკეთებულია წითელი ფერის ფანქრით და მოთავსებულია თარიღიანი ჩანაწერის – 22 აგვისტო. 1955 წელი – შემდეგ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი ფერის ფანქრით ნასწორებია უბის წიგნაკში არსებული თარიღიანი ლექსი „ერთი ფეხ-მტკივანი“<sup>3</sup>. ამ ლექსთან მითითებულია თარიღი – 16 აგვისტო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერიც აგვისტოში უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონი ჩამოთვლის იმ დაწესებულებებს, რომლებშიც 1955 წლის შემოდგომაზე საქართველოს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ ორგანიზებული შეხვედრები უნდა მოეწყოს.<sup>4</sup> ზუსტად ასეთივე ფერის ფანქრითა და ხელწერითაა შესრულებული გალაკტიონის მიერ 28 აგვისტოთი დათარიღებული ლექსი, რომელიც უბის წიგნაკში წინ უსწრებს ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერს. შესაბამისად, ჩანაწერი ასე დავათარიღეთ: 1955 წლის 28 აგვისტო ან შემდეგ.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-341, გვ. 63.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 30.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 23.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-342, გვ. 38, 40.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი დაუთარიღებელი ჩანაწერი (სგ, XXI, გვ. 117) ეხება ისიდორე ოდიშვილის წიგნს „წიწამურის ტრაგედია“. როგორც ჩანს, ავტორმა გალაკტიონს სთხოვა წერილობითი რეკომენდაცია ნაშრომის გამოსაქვეყნებლად. პოეტს მცირე რეცენზიის მონახაზი გაუკეთებია. იგი იწონებს მკვლევარის შრომას და აღნიშნავს, რომ ასეთი გამოკვლევების გამოცემა სადღეისოდ აუცილებელია. ისიდორე ოდიშვილის ნაშრომი 1953 წელს გამოქვეყნდა. წიგნზე თან დართული ტექნიკური ცნობიდან ვიგებთ, რომ იგი წარმოებას გადაეცა 1953 წლის 16 მარტს. შესაბამისად, გალაკტიონს რეკომენდაციის მონახაზი მანამდე უნდა გაეკეთებინა.

◇ უთარიღო ჩანაწერში „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (სგ, XXI, გვ. 412) გალაკტიონს შეუდგენია განცხადების ტექსტი (სავარაუდოდ, პრესაში გამოსაქვეყნებლად). პოეტი აღნიშნავს, რომ უკვე გამოვიდა ჟურნალის ცხრა ნომერი (რედაქციაში მეცხრე ნომრის მხოლოდ რამდენიმე ცალია დარჩენილი) და ფაქტობრივად უკვე მზადაა მეათე ნომერიც, რომელიც უფრო დიდი იქნება მოცულობით და ამასთანავე დასურათებული. როგორც ცნობილია, მეათე ნომრის გამოცემა გალაკტიონმა ფინანსური პრობლემების გამო ვეღარ მოახერხა. ჟურნალის მეცხრე ნომერი გამოიცა 1923 წლის 12 აგვისტოს. ხოლო ამავე წლის 11 ნოემბერს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა მცირე განცხადება, რომ იანვრიდან გამოვა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ ახალი შემადგენლობითა და შინაარსით“ („ტრიბუნა“ № 618, გვ. 4). მაშასადამე, გალაკტიონის ჩანაწერი უნდა დათარიღდეს 1923 წლის 12 აგვისტო – 11 ნოემბრის შუალედით.

◇ ერთ უთარიღო ჩანაწერში (სგ, XX, გვ. 276) გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მას დიდი იმედი აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მელიტონ ბალანჩივადის, რომ იგი მის მელოდიას დაამუშავებს ორკესტრისათვის, როიალისა და სოლოსათვის, ხოლო მელოდიას ყველაზე უკეთ, ფიქრობს, რომ შეასრულებს ნიკო ქუმსიაშვილი. ასევე მიუთითებს, რომ ნახევრად სერიოზულ და ნახევრად სახუმარო მოტივს, „ჩემი ქმარი სად წავიდა“ დაამუშავებს ანდრიუშა. ანდრიუშაში უნდა იგულისხმებოდეს კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივადე. ასე მოიხსენიებს მას პოეტი სხვა ჩანაწერში (დ. 122, 1939). ჩანაწერში მოხსენიებული პირის, მელიტონ

ბალანჩივადის ბიოგრაფია საშუალებას გვაძლევს მიახლოებით დავათარილოთ ჩანაწერი. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი 1937 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა. ჩანაწერი ამ თარიღის შემდეგ ვერ იქნება გაკეთებული. ამასთანავე, გალაკტიონი ბალანჩივადეს მოიხსენიებს, როგორც „რესპუბლიკის სახალხო არტისტს“. ეს წოდება კომპოზიტორს 1933 წელს მიენიჭა. მაშასადამე, ჩანაწერი უნდა გაკეთებულიყო 1933 – 1937 წლის 21 დეკემბრის შუალედში.

◇ უთარილო ჩანაწერში (სგ, XX, გვ. 437) „მცირე განმარტება“ პოეტი ეხმაურება ბესო ჟღენტის წერილს „პოეტი და რევოლუცია“, რომელში გამოხატული თვალსაზრისიც, რომ პოეტს არ შეუძლია „მომთხრობელობით“ ლექსზე, ანუ პოეტურ ეპოსზე წარმატებით მუშაობა, პრინციპულად მიუღებელია გალაკტიონისათვის. იგი ფიქრობს, რომ წერილი სუსტია და საქმე გვაქვს ერთგვარ ლიტერატურულ შეთქმულებასთან მის წინააღმდეგ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბესო ჟღენტის წერილი „პოეტი და რევოლუცია“ დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1940 წლის 6 ნოემბრის ნომერში, გალაკტიონის ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ-ერთ დღიურში (სგ, XX, გვ. 406) პოეტს გაუკეთებია ავტობიოგრაფიის მონახაზი, რომელშიც სხვა დამსახურებებთან ერთად აღნიშნულია, რომ ხუთი წლის განმავლობაში თითქმის უანგაროდ მუშაობს ჟურნალ „მნათობში“. „მნათობი“ 1924 წლის თებერვალში დაარსდა. გალაკტიონი იმთავითვე ითვლებოდა ჟურნალის თანამშრომლად. ამ ფაქტის გათვალისწინებით ჩანაწერი 1929 წლით დავათარილეთ.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო ჩანაწერი დასათაურებულია, როგორც „სალიტ. გაზეთის“ მე-2 ნომრის მიმოხ.“ (სგ, XV, გვ. 344). პოეტს აზრი ჩაუნიშნავს გაზეთში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალის შესახებ. კერძოდ, მას არ მოსწონს გაზეთის მეთაური წერილი, რომელსაც აფასებს მწერლებისათვის მუშტის ქნევად. ნახსენები აქვს ალი არსენიშვილის, ლევან ასათიანის, აკაკი გაწერელიას წერილები. აღუნიშნავს ილო მოსაშვილის წერილის სათაურიც – „გზა გამარჯვებისა“. ჩანაწერში ასევე ვხვდებით ალექსანდრე აბაშელის, დავით დემეტრაძის, აკაკი გაწერელიას პუბლიკაციების ლაკონიურ შეფასებას. ჩანაწერის დათარიღებისათვის პირველი მიმართულება,

ცხადია, მოგვცა გაზეთის სახელწოდებამ და მითითებულმა ნომერმა. „სალიტერატურო გაზეთი“ გამოიცემოდა 1930-1934 წლებში, შესაბამისად, საჭირო გახდა გაზეთის თითოეული წლის მეორე ნომრის შემოწმება. ჩვენდა გასაკვირად, 1930-1934 წლების „სალიტერატურო გაზეთის“ არც ერთ №2-ში გალაკტიონის მიერ მითითებულ ავტორთა პუბლიკაციები არ აღმოჩნდა. მასალებს ვეძებდით გაზეთის სხვა ნომრებშიც, თუმცა უშედეგოდ. ძიების პროცესში აშკარა გახდა, რომ გალაკტიონის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რომელიმე დეტალი არ იყო ზუსტი. შემდეგ ეტაპზე დავუშვით, რომ გალაკტიონს შესაძლოა არასწორად ჩაენიშნა გაზეთის სახელწოდება. მასალების ძიება განვაგრძეთ სხვა პერიოდულ გამოცემებში და საბოლოოდ მათ მივაკვლიეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. დასახელებული გაზეთის 1936 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილია ყველა ის მასალა (მეთაური წერილი, ალი არსენიშვილის, დავით დემეტრაძის, აკაკი გაწერელიას, ილო მოსაშვილის და სხვ. სტატიები), რომელთა მოკლე შეფასებებსაც ვხვდებით პოეტის ჩანაწერში. გალაკტიონის შეცდომა სრულიად გასაგები აღმოჩნდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 1930-34 წლებში „სალიტერატურო გაზეთის“ სახელწოდებით გამომავალი გამოცემა, 1935 წელს გადაკეთდა „ლიტერატურულ გაზეთად“, ხოლო 1936 წლიდან 1943 წლამდე გამოიცემოდა „ლიტერატურული საქართველოს“ სახელწოდებით. პოეტის ცნობიერებაში გაზეთის ძველი დასახელება იყო ჩაბეჭდილი, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ჩანაწერში გაზეთი ძველი სახელით მოიხსენია. „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის მე-2 ნომერი გამოსულა 12 მარტს. შესაბამისად, გალაკტიონის ჩანაწერი 1936 წლის 12 მარტის მომდევნო პერიოდით უნდა დავათარილოთ.

◇ ამავე ტიპის ლაფსუსთან გვაქვს საქმე პოეტის სხვა უთარილო ჩანაწერშიც (სგ, XXV, გვ. 502), რომელშიც იგი მიუთითებს, რომ გამოვიდა „სალიტერატურო გაზეთის“ ახალი ნომერი, რომელიც იხსნება მისი ლექსით „ლექსები სიხარულისა“. ამ საერთო სათაურით („ლექსები სიხარულისა“) გალაკტიონის სამი ლექსი – „საბჭოთა ხალხის გმირული...“, „ჰქუხდა ხმოვანი ქარი მრავალი...“ და „ფერი მზესა და ქარს...“ – დაიბეჭდა არა „სალიტერატურო გაზეთში“, არამედ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1938, №26). გაზეთის გამოსვლის

თარიღი (26 ნოემბერი) საშუალებას გვაძლევს პოეტის ჩანაწერი ამის შემდგომი პერიოდით დავათარილოთ.

◇ გალაკტიონის უთარილო ჩანაწერი „ბარიკადი, №4“ (სგ, XXII, გვ. 341) „ცისფერყანწელთა“ პერიოდულ ორგანოს ეხება. პოეტი საკმაოდ მკვახე სიტყვებით მოიხსენიებს მეთაური წერილის ავტორს, ტიციან ტაბიძეს, უწოდებს მას შურიანსა და ბოლმიანს, პროვოკატორს, რომელიც ვერ მოისვენებს, სანამ გალაკტიონ ტაბიძე არსებობს. გაზეთ „ბარიკადის“ მეოთხე ნომერი გამოიცა 1922 წლის 7 იანვარს. გალაკტიონის ჩანაწერიც ამ თარიღის შემდეგაა გაკეთებული.

◇ გალაკტიონის დაუთარილებელ ჩანაწერში (სგ, XXII, გვ. 285) მოყვანილია პოეტის დიალოგი ბენიტო ბუაჩიძესთან. გადმოცემულია ბუაჩიძის აზრი გალაკტიონის, როგორც ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველი „თანამგზავრის“ შესახებ, იმ ბრძოლის ირგვლივ, რომელსაც ნ. მიწიშვილი და ცისფერყანწელები გალაკტიონის წინააღმდეგ აწარმოებენ. ჩანაწერის დათარილება შესაძლებელი ხდება მასში გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე. უპირველს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ბენიტო ბუაჩიძე საუბარში ახსენებს გრიგოლ რობაქიძეს და ამბობს, რომ იგი ტყუილად ცდილობს, თავი საბჭოთა ლიტერატურის თანამგზავრად წარმოაჩინოს. როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს წავიდა ემიგრაციაში, მამასადაძე, ჩანაწერი მანამდეა გაკეთებული. ამასთანავე გალაკტიონის თანამოსაუბრე იმასაც მიუთითებს, რომ მათ შაბათს პლენუმი აქვთ და სურს, მათთან იყოს ყველა მემარცხენე. იგი ეუბნება გალაკტიონს, რომ კარგი იქნება რაიმე განცხადების შემოტანა პლენუმზე, რაზეც გალაკტიონი თანხმდება, თუმცა აღნიშნავს, რომ ერთი დღე ასეთი დიდი საქმისათვის საკმარისი არ არის. ამ ჩანაწერს დღიურში მოსდევს მონახაზი გალაკტიონის მიმართვისა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმისადმი. აშკარაა, რომ პლენუმში, რომელზედაც ბენიტო ბუაჩიძემ განცხადების გაკეთება შესთავაზა პოეტს, იგულისხმება საქართველოს პროლეტარ მწერალთა ასოციაციის პლენუმი. მიმართვაში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ „პროლეტარული რევოლუციის 12 წლის თავზე... ქართული ხელოვნების წინაშე დგას არა ერთ და ორი... საკითხი“. ამ დეტალიდან ნათელი ხდება, რომ ტექსტი 1929 წელსაა შედგენილი. ამ წელს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი გაიმართა 17 ნოემბერს (იხ. გაზ. „კომუნისტი“,

1929, №266, 19 ნოემბერი, გვ. 3). იმ ფაქტზე, რომ გალაკტიონის ჩანაწერი ნამდვილად ამ პლენუმს ეხება, მეტყველებს ღონისძიების პროგრამა, რომელშიც მთავარ საკითხად გამოტანილია „პროლეტარულ მწერალთა ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში“ („კომუნისტი“, 1929, №266, გვ. 3). „რეკონსტრუქციის პერიოდი“ საგანგებოდაა აქცენტირებული გალაკტიონის მიმართვაშიც“ (იხ. სგ, XXII, გვ. 285). ჩანაწერის ერთ დეტალი ბენიტო ბუაჩიძესთან შემდგარი საუბრის თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას გვაძლევს. ბუაჩიძე ამბობს, რომ პლენუმი შაბათს იწყება (სინამდვილეში იგი დაიწყო კვირა დღეს, 17 ნოემბერს) და გალაკტიონს სთავაზობს ღონისძიებაზე განაცხადის გაკეთებას. პოეტი პასუხობს, რომ ერთი დღე ასეთი დიდი საქმისათვის საკმარისი არ არის. ესე იგი, საუბარი იმართება მაშინ, როდესაც პლენუმის დაწყებამდე (შაბათამდე) დარჩენილია ერთი სრული დღე (ე. ი. გალაკტიონი გულისხმობს პარასკევს, რომ ეს ერთი დღე არ ეყოფა მიმართვის დასამუშავებლად). მამასადამე, პოეტსა და ბენიტო ბუაჩიძეს შორის საუბარი ხუთშაბათს, 1929 წლის 14 ნოემბერს უნდა შემდგარიყო.

◇ გალაკტიონის ერთი უთარილო ჩანაწერი ეხება პოეტ ვანლერ დაისელის წიგნს „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე“ (სგ, XXII, გვ. 293). გალაკტიონი აღნიშნავს ახალგაზრდა პოეტის წიგნის ღირსებასა და ნაკლს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასახელებული წიგნი 1929 წელს გამოიცა, გალაკტიონის ჩანაწერიც ამავე წელს, ან მის შემდეგაა გაკეთებული.

◇ ერთ უთარილო ჩანაწერში (სგ, XXII, გვ. 303) გალაკტიონი პროლეტარულ მწერლობასთან თავის დამოკიდებულებაზე საუბრობს. აღნიშნავს, რომ მათი ორგანო „დამკვრელი გაზეთი“ არათანმიმდევრულად ეპყრობა მას. მიუხედავად იმისა, რომ აქ მისი ლექსი გამოქვეყნდა, გაზეთში მასზე ძალიან ორაზროვანი შარჟიცაა დაბეჭდილი. „დამკვრელი გაზეთი“ იყო პროლეტარ მწერალთა ერთჯერადი გამოცემა, რომელიც 1930 წლის 18 მაისს დაიბეჭდა. აქ გამოქვეყნებულია გალაკტიონის ლექსი „პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე“ (გვ. 6). ლექსის გვერდითაა მოთავსებული შარჟი ქართველი მწერლებისა, რომლებიც ერთმანეთს ერკინებიან, გალაკტიონი კი მოწინააღმდეგეობას არ იღებს ჭიდილში და მოწყენილი ზის



განმარტოებით. ამ ფაქტების გათვალისწინებით, პოეტის ჩანაწერი უნდა დათარიღდეს 1930 წლის 18 მაისით, ან შემდეგი პერიოდით.

◇ ერთ უთარილო ჩანაწერში (სგ, XXII, გვ. 343) გალაკტიონი გულისტკივილით წერს, რომ გუშინ გარდაიცვალა ია ეკალაძე, რომელთანაც მას თბილი მოგონებები აკავშირებდა. ია ეკალაძე 1933 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა, შესაბამისად, გალაკტიონის ჩანაწერი 1933 წლის 12 ოქტომბერსაა გაკეთებული.

◇ გალაკტიონს ხანდახან წესად აქვს, ბლოკნოტის ყდაზე მიუთითოს კონკრეტული თარიღი, როცა იწყებს მასში ჩანაწერების გაკეთებას. ასეთია, მაგალითად, 92-ე დღიური, რომელიც მფლობელის მიერ დათარიღებულია 1935 წლის მარტით, შესაბამისად, მასში წარმოდგენილი დაუთარიღებელი ჩანაწერი „საშინელი ავადმყოფობის და სიკვდილიანობის წელია...“, სახუმარო ამბავი გიჟებსა და მათ ზედამხედველზე, ჩანაწერი თბილისის რესტორნებში გამეფებულ ატმოსფეროზე<sup>1</sup> – 1935 წლის მარტით ან შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამ ჩანაწერებში არ ჩნდება არც ერთი ისეთი რეალია, რომელიც 1935 წლის მარტზე უფრო ადრეულ პერიოდზე მიუთითებს.

◇ 97-ე უბის წიგნაკში უმთავრესად თავმოყრილია პარიზში გამართულ ანტიფაშისტურ კონგრესთან დაკავშირებული ლექსები, შთაბეჭდილებები და ჩანაწერები. უბის წიგნაკში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ისეთ რეალიას, რომელიც მიგვანიშნებს უფრო ადრეულ პერიოდზე. უბის წიგნაკის პირველი დათარიღებული ჩანაწერი 1935 წლის 15 ივლისსაა გაკეთებული, შესაბამისად, ბლოკნოტში წარმოდგენილი ყველა დაუთარიღებელი მასალა: ჩანაწერი პუშკინის ენის თაობაზე<sup>2</sup>, რუსი პოეტის ვიტალი ლაზარევის ლექსი თბილისზე<sup>3</sup>, ალექსანდრ შჩერბაკოვის სიტყვები კონგრესის არსისა და მნიშვნელობის შესახებ<sup>4</sup>, თეზისები პარიზის მწერალთა კონგრესის შესახებ<sup>5</sup> 1935 წლის 15 ივლისის მომდევნო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 13-16.

<sup>2</sup> ქლმ, დ-97, 54; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 136.

<sup>3</sup> ქლმ, დ-97, 32; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 133.

<sup>4</sup> ქლმ, დ-97, 81; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 140-141.

<sup>5</sup> ქლმ, დ-97, 13-27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 128-130.

◇ 98-ე უბის წიგნაკის პირველ გვერდზე გაკეთებულია წარწერა: „G. Tabize. Paris. 1935“. მასში უმთავრესად თავმოყრილია პარიზის მწერალთა ანტიფაშისტური კონგრესის (1935 წლის ივნისი) შემდეგ შექმნილი ლექსები და ჩანაწერები, რომლებშიც თვალსაჩინოა ევროპაში მოგზაურობის გამოძახილი. უბის წიგნაკის მასალებში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ისეთ რეალიას, რაც შესაძლოა მიგვანიშნებდეს 1935 წლის ივნისის უფრო ადრეულ პერიოდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, უბის წიგნაკში არსებული დაუთარიღებელი ჩანაწერი „მერი“<sup>1</sup> 1935 წლის ივნისის შემდეგი პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ მიუხედავად იმისა, რომ 101-ე უბის წიგნაკში ჩანაწერების უმრავლესობა ერთგვაროვანი საწერი საშუალებითაა შესრულებული, დათარიღებას ართულებს ის ფაქტი, რომ ჩანაწერები ქრონოლოგიურად არათანმიმდევრულია. მაგალითად, 1936 წლის 12 მარტის შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერს მოსდევს იმავე წლის 14 თებერვლით დათარიღებული მასალა. ასეთ ვითარებაში დაუთარიღებელი მასალის მიახლოებით დათარიღება შესაძლებელია იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ისინი მწვანე მელნითაა შესრულებული. ამ მელნით გალაკტიონი მუშაობს 1935 წლის ივნისის, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ (იხ. მაგ., 98-ე უბის წიგნაკი), შესაბამისად, მწვანე მელნით შესრულებული დაუთარიღებელი მიმართვა სტალინისადმი<sup>2</sup>, ჩანაწერი მდინარე რიონის კალაპოტის ცვლილებაზე<sup>3</sup>, ჩანაწერი „მეათე საუკუნის სამწიგნობრო ენა“<sup>4</sup>, ცალკეული ქართული სიტყვების არქაულ ფორმები და მათი რუსულ შესატყვისები<sup>5</sup>, ქართველ მხატვართა და კომპოზიტორთა სია<sup>6</sup>, ჩანაწერი პიანინოს შექმნის შესახებ<sup>7</sup>, 1935 წლის ივნისის შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 68; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 228-229.

<sup>2</sup> ქლმ, დ-101; 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 334.

<sup>3</sup> ქლმ, დ-101; 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 338.

<sup>4</sup> ქლმ, დ-101; 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 340-341.

<sup>5</sup> ქლმ, დ-101; 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 341.

<sup>6</sup> ქლმ, დ-101; 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 342.

<sup>7</sup> ქლმ, დ-101; 23; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 342.

◇ 98-ე დღიურში არსებული უთარილო ჩანაწერები: „ევროპა. პროლოგი“<sup>1</sup>, „ევროპა, აბა რად გინდა..“<sup>2</sup>, მოსდევს 1938 წლის 28 მარტით დათარიღებულ ჩანაწერს. ჩანაწერები ერთი და იმავე მელნითაა შესრულებული, რაც საშუალებას გვაძლევს ზემოთჩამოთვლილი მასალები 1938 წლის 28 მარტის შემდგომი პერიოდით დავათარილოთ.

◇ 112-ე დღიურში შავი ფანქრით შესრულებული ჩანაწერები და ლექსებია წარმოდგენილი. პირველ გვერდზე არსებული ჩანაწერი 1937 წლის 27 დეკემბრითაა დათარიღებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მისი მომდევნო ჩანაწერი თბილისზე<sup>3</sup>, 1937 წლის 27 დეკემბრის მომდევნო პერიოდით დავათარიღეთ.

◇ გალაკტიონის ჩანაწერი „ოცნება“<sup>4</sup> დათარიღებულია 11 ივნისით, თუმცა პოეტს წელი არ აქვს მითითებული. ჩანაწერი „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგაა მიმართული. გალაკტიონი მათ შესახებ იმოწმებს ლავრენტი ბერიას სიტყვებს, რომ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი თრობა ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე ნამდვილ ლოთობაში. იქვე გალაკტიონი იმასაც მიუთითებს, რომ ბერიას სიტყვებს დარბაზში სიცილი გამოუწვევია. ჩანაწერის დათარიღების საშუალებას გვაძლევს გალაკტიონის მიერ ბერიას მოსაზრების დამოწმება. 1937 წლის 15 მაისს ლავრენტი ბერიამ საქართველოს კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობაზე წარადგინა სპეციალური ანგარიში, რომელშიც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებსაც შეეხო. ამ გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ «„ცისფერი ყანწები“ გადატანით აზრით უნდა ყოფილიყო შემოქმედებით შეზარხოშების, შემოქმედებითი სიმთვრალის ნიშანი, მაგრამ ცხოვრებაში ეს დევიზი არაიშვიათად გამოიხატებოდა ლოთობასა და ქეიფში (სიცილი დარბაზში)“.<sup>5</sup> აშკარაა, რომ გალაკტიონი ბერიას ამ სიტყვებს ციტირებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გალაკტიონის ჩანაწერი უნდა გაკეთებული უნდა იყოს 1937 წლის 11 ივნისს ან შემდეგ.

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 135; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 298-299.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 136; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 299.

<sup>3</sup> ქლმ, დ-112, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 442.

<sup>4</sup> ქლმ, დ-110, 61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 437.

<sup>5</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება 1937 წლის 15 მაისს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 11 (20 მაისი), გვ. 5.

◇ 30-იანი წლების უბის წიგნაკის ერთი ჩანაწერი დასათაურებულია, როგორც „საიუბილეო კომიტეტის 26 აგვისტოს სხდომა“<sup>1</sup>. ჩანაწერის გაკეთების წელი არაა მითითებული. მასში აღწერილია მწერალთა კავშირის მზადება აკაკი წერეთლის იუბილისათვის, ჩამოთვლილია დაგეგმილი ღონისძიებები და საიუბილეო კომიტეტის წევრები. წევრთა შორის დასახელებულია გალაკტიონი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა 1940 წლის ივნისში, ჩანაწერი შეგვიძლია 1939 წლის 26 აგვისტოთი დავათარილოთ.

◇ ერთ დაუთარილებელ ჩანაწერში პოეტი აღნიშნავს, რომ ძალზე მოეწონა სტალინის სიტყვა წითელი არმიის კურსდამთავრებულთა გამოშვებაზე.<sup>2</sup> სტალინის დასახელებული სიტყვა 1935 წლის 6 მაისს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“, შესაბამისად ჩანაწერიც ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ დაუთარილებელ ჩანაწერში „დამარცხებანი“<sup>3</sup> გალაკტიონი ჩამოთვლის მის მიერ უკანასკნელ ხანს განცდილ წარუმატებლობებს, რომელთა შორისაც ასახელებს ასეთ ფაქტს: „კომუნისტმა არ დაბეჭდა „პარიზის კომუნა“. ლექსი „პარიზის კომუნა“ ავტორის მიერ 1941 წლის 17 მარტითაა დათარიღებული (იხ. ლექსის ავტოგრაფი №23356). ეს თარიღი სანდო ჩანს იმის გამო, რომ ნაწარმოები იმავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ მესამე, მარტის ნომერში.<sup>4</sup> ამასთანავე, 1941 წლის მარტში იზეიმეს პარიზის კომუნის 70 წლისთავი და ლოგიკურია, ამ მრგვალი თარიღის გამო გალაკტიონს ლექსი დაეწერა. შესაბამისად, ფაქტი – გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის უარი ლექსის გამოქვეყნებაზე – 1941 წლის 17 მარტის შემდეგ უნდა მომხდარიყო, ამავე თარიღის შემდეგ უნდა გაეკეთებინა პოეტს ჩანაწერიც, სათაურით „დამარცხებანი“.

◇ ერთ უბის წიგნაკში (დ-92) პირველ გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი დათარიღებულია 1935 წლის 11 მარტით. ლოგიკურად, დღიურში არსებული ყველა დაუთარილებელი მასალა: იუმორისტული ლექსები „მოიტა, ჩანახი...“ და „ამბობენ, რომ გრიშაშვილს...“, ჩანაწერი,

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-124, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 588.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-93, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 30.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-91, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 18.

<sup>4</sup> ჟურნ. "მნათობი", 1941, №3, გვ. 7-9.

რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ასეირნებდა ბავშვობისას პოეტს ქუთაისის ბაღში ახალგაზრდა ქალიშვილი, ამონაწერი აკაკის ლექსიდან „გამოცვლილი დრო“, იუმორისტული ჩანაწერი მეგრელებისა და გურულების შესახებ, ლექსები: „შენ რუსი ხარ...“, „რა ვქნა, რა მეშველება...“, „ამასწინად, კვირა დღეს...“, ამბავი მოთევზავე გურულის შესახებ<sup>1</sup> 1935 წლის 11 მარტის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს, ვინაიდან ამ მასალებში არ ვლინდება უფრო ადრეულ პერიოდზე მიმთითებელი რაიმე რეალია.

◇ 93-ე დღიურის ყდაზე წერია „1935 წ. 20 აპრილი“. შესაბამისად, მასში წარმოდგენილი ყველა მასალა ამ დროის შემდეგ უნდა იყოს ჩაწერილი, მათ შორის – ამონაწერი ლევ გუმილევსკის წიგნიდან „რუდოლფ დიზელი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, ანეკდოტი ხორცისმჭამელი თათრის შესახებ, ჩანაწერები ჯაჯუ ჯირჯიკიაზე, სამხედრო ექიმ მიხეილ იაშვილზე, გონებამახვილ მეგრელზე, ეროვნულ გაღერებაში გამოფენილ განცხადებაზე, მეგრელი დიაკვნისა და გურული გლეხის დიალოგი, პოეტის ბინის ტექნიკური მონაცემები.<sup>2</sup>

◇ ერთგან პოეტი სვამს რიტორულ კითხვას, უნდა ჩაუთვალოს თუ არა ღმერთმა ეს საშინელი წელი სიცოცხლის წლებში.<sup>3</sup> ჩანაწერის დათარიღება შეგვიძლია შემდეგ გარემოებაზე დაყრდნობით: 96-ე უბის წიგნაკში (რომელშიც ხსენებულ რიტორულ შეკითხვას ვხვდებით) პირველი ჩანაწერი 1935 წლის ივნისის შემდეგაა გაკეთებული. შესაბამისად, მასში არსებული ყველა დაუთარიღებელი ჩანაწერი 1935 წლის ივნისის მომდევნო პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ წელს პოეტს გარდაეცვალა დედა, რამაც უდიდესი ტკივილი მიაყენა.

◇ ლურჯი მელნით გაუკეთებია გალაკტიონს ამონაწერები რუსულენოვანი წიგნიდან „დასავლეთევროპული ლიტერატურის ქრესტომათია, შუა საუკუნეების ლიტერატურა (IX-XVI სს.)“. დასახელებული სახელმძღვანელო 1938 წელს გამოიცა, შესაბამისად, ამონაწერებიც იმავე წელს, ან მომდევნო პერიოდშია გაკეთებული.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 20-25.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 25-31.

<sup>3</sup> ქლმ, დ-96, 2 გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 94.

◇ იმავე უბის წიგნაკში გალაკტიონს შეუდგენია საკუთარ შემოქმედებაზე შექმნილი კრიტიკული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია<sup>1</sup>. სიაში არსებული უგვიანესი ბიბლიოგრაფიული ერთეული (არ. აკოფოვი, „გალაკტიონ ტაბიძეს“, გაზ. „სტალინელი“ №44, 1942) 1942 წლის 11 ოქტომბრით თარიღდება, შესაბამისად, ბიბლიოგრაფია პოეტს ამ თარიღის შემდეგ უნდა შეედგინა.

◇ უთარილო ჩანაწერი „1905 წლის რევოლუციის ხალხური ლექსიკონი“<sup>2</sup>, რომელშიც განმარტებულია რევოლუციასთან დაკავშირებული ხალხში გავრცელებული გამოთქმები, მოსდევს 1941 წლის 9 იანვრის ჩანაწერს და ამ გარემოების საფუძველზე შეიძლება დასახელებული თარიღის მომდევნო პერიოდით დათარიღდეს.

◇ მე-100 უბის წიგნაკში გალაკტიონს საფლავის ქვების პოეტური ეპიტაფიები ჩაუწერია.<sup>3</sup> უცნობია, თუ საიდან გადმოიწერა ეს ლექსები, თავად იმყოფებოდა რომელიმე სასაფლაოზე, თუ წერილობითი წყაროთი ისარგებლა. დასახელებულ უბის წიგნაკში 1935 წლის მასალებია თავმოყრილი. ჩანაწერები გაკეთებულია წითელი მელნით. ეპიტაფიები წინ უძღვის 3 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი 1935 წლის 3 დეკემბრამდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ ამავე უბის წიგნაკში დაუთარიღებელია ჩანაწერი ქართველ მწერალთა მიერ გალაკტიონისა და აკაკის შედარების შესახებ.<sup>4</sup> ის მოქცეულია 1935 3 და 6 დეკემბრის ჩანაწერებს შორის (ყველა მათგანი წითელი მელნითაა შესრულებული) და სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ 104-ე უბის წიგნაკი გალაკტიონს თავადვე დაუთარიღებია 1936 წლის აპრილით. მასში პოეტს მწვანე მელნით უმუშავია. ჩანაწერები მოიცავს 1-29 აპრილის პერიოდს. ზოგიერთი ჩანაწერი დათარიღებულია, ზოგი კი – დაუთარიღებელი. დღიურში არაა დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ზოგჯერ უფრო ადრეული თარიღის მქონე ჩანაწერი მოსდევს გვიანდელს, თუმცა ერთი რამ უეჭველია – ყველა დაუთარიღებელი ჩანაწერი გაკეთებულია 1-ლი

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-98, 120-127; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 283-293.

<sup>2</sup> ქლმ, დ-98, 146; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 311-312.

<sup>3</sup> ქლმ, დ-100; 2,4,6,8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 319-321.

<sup>4</sup> ქლმ, დ-100; 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 323.

აპრილის შემდეგ, როდესაც პოეტი წერას იწყებს დასახელებულ უბის წიგნაკში. აღნიშნულის გათვალისწინებით, 1936 წლის პირველი აპრილის მომდევნო პერიოდით დათარიღდა ჩანაწერები: სისხლის წნევის გაზომვის შესახებ<sup>1</sup>, „პარიზის კონგრესის დეკადა, ანუ დეკადა უცხოეთის თანამედროვე მწერლობის“<sup>2</sup>, ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის პაციენტების სია<sup>3</sup>, ჩანაწერი ქალების მოხერხებულობის შესახებ<sup>4</sup>, ღვინის სმის შედეგებზე<sup>5</sup>, ჩანაწერი საკუთარ სიგამხდრებზე<sup>6</sup>, პაციენტ ვენერა დოლიძის გამოცანები<sup>7</sup>.

◇ ამავე უბის წიგნაკში 1936 წლის 14 აპრილს პოეტს ჩაუწერია, რომ დაასრულა ანრი ალმერასის წიგნის – „მარკიზ დე სადი“ – კითხვა. ამ ჩანაწერს იმავე გვერდზე უშუალოდ მოსდევს ჩანაწერები ავადმყოფობის მონატრების,<sup>8</sup> მანეთის გაუფასურების,<sup>9</sup> ვასილ კაპანაძის ავადმყოფობის,<sup>10</sup> ჩაის ჭიქებით არყის სმის შესახებ.<sup>11</sup> ჩამოთვლილი ჩანაწერები 14 აპრილს ან შემდეგ დღეებში უნდა იყოს გაკეთებული.

◇ უთარილო ჩანაწერში „მცირე განმარტება“<sup>12</sup> პოეტი ეხმაურება ბესო ჟღენტის წერილს „პოეტი და რევოლუცია“, რომელში გამოხატული თვალსაზრისიც, რომ გალაკტიონს არ შეუძლია „მომთხრობელობით“ ლექსზე, ანუ პოეტურ ეპოსზე წარმატებით მუშაობა, პრინციპულად მიუღებელია მისთვის. იგი ფიქრობს, რომ წერილი სუსტია და საქმე გვაქვს ერთგვარ ლიტერატურულ შეთქმულებასთან მის წინააღმდეგ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბესო ჟღენტის წერილი „პოეტი და რევოლუცია“ დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1940

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-104; 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 353.

<sup>2</sup> ქლმ, დ-104; 59; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 357.

<sup>3</sup> ქლმ, დ-104; 61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 359.

<sup>4</sup> ქლმ, დ-104; 62; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 359.

<sup>5</sup> ქლმ, დ-104; 63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>6</sup> ქლმ, დ-104; 43; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 368.

<sup>7</sup> ქლმ, დ-104; 29; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 369.

<sup>8</sup> ქლმ, დ-104; 63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>9</sup> ქლმ, დ-104; 63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>10</sup> ქლმ, დ-104; 63; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>11</sup> ქლმ, დ-104; 64; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 360.

<sup>12</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 437

წლის 6 ნოემბრის ნომერში, გალაკტიონის ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ 111-ე უბის წიგნაკში თავმოყრილია 1937 წლის ჩანაწერები და ლექსები. მათი ძირითადი ნაწილი ჩაწერილი შავი ფანქრით, რამდენიმე ჩანაწერი კი იისფერი ფანქრითაა გაკეთებული. შავი ფანქრით შესრულებული ჩანაწერებიდან ორია თარიღიანი. ისინი 1937 წლის მაისით არის დათარიღებული და თემატურადაც უკავშირდება ერთმანეთს – ასახავენ პოეტის ყოფას სევასტოპოლში. შავი ფანქრით შესრულებულ პირველ თარიღიან ლექსს დაწერის დროდ 20 მაისი აქვს მითითებული. აღნიშნულის საფუძველზე უბის წიგნაკის წინა გვერდებზე არსებული ჩანაწერები: სტალინური კონსტიტუციის შესახებ<sup>1</sup>, ამონაწერი თეოფილ გოტიეს ლექსიდან<sup>2</sup>, ვიქტორ გოლცევისათვის გასაგზავნი დეპეშის მონახაზი<sup>3</sup>, ჩანაწერი დამსვენებელთა ჩაცმულობის შესახებ,<sup>4</sup> სახელმწიფო გამომცემლობაში გასაგზავნი დეპეშის მონახაზი,<sup>5</sup> ჩანაწერი სევასტოპოლის კლუბში არსებულ წრეებზე<sup>6</sup> 1937 წლის 20 მაისის წინარე პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 111-ე უბის წიგნაკში ერთი უთარილო ჩანაწერი ასახავს პოეტის მზადებას სევასტოპოლიდან გასამგზავრებლად.<sup>7</sup> მისი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ჩანაწერის ერთი პუნქტი, რომელშიც პოეტი გეგმავს შეიძინოს 30 მაისის გაზეთი. მაშასადამე, ჩანაწერი უნდა გაკეთებულიყო 30 მაისის შემდეგ. ამავე პერიოდით დათარიღდა ამ ტექსტის მომდევნო ჩანაწერი იტალიური წარმოშობის რუსი აკვარელისტის ლუიჯი პრემაცის ნახატების „ქუჩა თბილისში“, „კავკასიური ქალაქის ქუჩა“ შესახებ.<sup>8</sup>

◇ 113-ე უბის წიგნაკში დაუთარიღებელია ჩანაწერი ცნობილი სომეხი მუსიკოსისა და ფოლკლორისტის სოლომონ სოლომონიანის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-111, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 434.

<sup>2</sup> ქლმ, დ-111, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 435.

<sup>3</sup> ქლმ, დ-111, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 435.

<sup>4</sup> ქლმ, დ-111, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 436.

<sup>5</sup> ქლმ, დ-111, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 436.

<sup>6</sup> ქლმ, დ-111, 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 438.

<sup>7</sup> ქლმ, დ-111, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 440.

<sup>8</sup> ქლმ, დ-111, 32-33; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 440.



(კომიტასის) შესახებ.<sup>1</sup> ვინაიდან იგი წინ უძღვის 1938 წლის 10 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერს და იმავე საწერი საშუალებითაა შესრულებული, 1938 წლის 10 იანვრამდე პერიოდით დავათარიღეთ. ამავე გარემოებათა გათვალისწინებით 10 იანვრამდე უნდა ჩაეწერა პოეტს უბის წიგნაკში ელენე ქართველიშვილისა და ქეთევან მაღალაშვილის მისამართები,<sup>2</sup> რომლებიც წინ უძღვის ზემოთ დასახელებულ თარიღიან ჩანაწერს.

◇ 114-ე უბის წიგნაკში დაუთარიღებელია ჩანაწერი ოქროსთან დაკავშირებული სიტყვების შესახებ.<sup>3</sup> ვინაიდან იგი მოსდევს 1938 წლის 9 აპრილისას და მსგავსი მეღნიტაა შესრულებული, 1938 წლის 9 აპრილით ან მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 117-ე უბის წიგნაკის პირველ ფურცლებზე ვხვდებით რუსულენოვან ჩანაწერებს ივანე ტურგენევის შესახებ.<sup>4</sup> ჩანაწერი იწყება თავფურცელზე, რომელზეც პოეტს დაუწერია „გ. ტაბიძე. ბორჯომი. 1938“. ჩანაწერი ტურგენევის შესახებ გაკეთებულია ფურცლის ქვედა ნაწილში. აშკარაა, რომ პოეტმა ჯერ თავფურცელი გააფორმა, შემდეგ კი მინაწერები გააკეთა იქ, სადაც თავისუფალი ადგილები იყო მორჩენილი. უბის წიგნაკიდან ირკვევა, რომ პოეტი ბორჯომში 1938 წლის 6 სექტემბრამდე ჩავიდა. შესაბამისად, ჩანაწერი ტურგენევის შესახებ ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ 117-ე უბის წიგნაკში ძირითადად თავმოყრილია 1938 წლის სექტემბერში ბორჯომში ყოფნისას გაკეთებული ჩანაწერები. მათი უმრავლესობა შავი ფანქრითაა შესრულებული. პოეტს ჯერ რექტოებზე დაუწერია წერა, შემდეგ კი ვერსოებზე გაუგრძელებია. დაუთარიღებელი ჩანაწერი ბორჯომის რაიონში გავრცელებული მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველთა სახეობების შესახებ<sup>5</sup> უშუალოდ მოსდევს 28 სექტემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და მისი შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს.

◇ 1938 წლის 6 სექტემბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ბორჯომში 6 სექტემბრამდე ჩადის. ამ ფაქტზე დაყრდნობით 6

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-113, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 446.

<sup>2</sup> ქლმ, დ-113, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 445.

<sup>3</sup> ქლმ, დ-114, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 450.

<sup>4</sup> ქლმ, დ-117, 4-5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 460.

<sup>5</sup> ქლმ, დ-117, 4-5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 461-462.

სექტემბრის მომდევნო დაუთარილებელი ჩანაწერები: ასაკის მატებასთან ერთად სიმაღლის კლების თაობაზე<sup>1</sup>, ტურგენევისა და ფლობერის შესახებ,<sup>2</sup> ავადმყოფის უიღბლობაზე,<sup>3</sup> თვითმარქვია სახალხო პოეტზე<sup>4</sup>, 1938 წლის 6 სექტემბრის შემდეგი პერიოდით დათარიღდა. ამავე დროის შემდეგ უნდა ჩაეწერა პოეტს უბის წიგნაკში ციტატა ნიკოლაი გოგოლის მოთხრობიდან „პორტრეტი“<sup>5</sup>, ილია ჭავჭავაძის სიტყვები სინდისის შესახებ<sup>6</sup>, ასევე ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და მწერალთა კავშირის წევრთა ტელეფონის ნომრები.<sup>7</sup>

◇ ჩანაწერი ჩიტის სახეობის – მაცხიერას შესახებ<sup>8</sup> მოთავსებულია 15 სექტემბრით დათარიღებული ჩანაწერის შემდეგ, იმავე გვერდზე. ამ გარემოებაზე დაყრდნობით იგი დავათარიღეთ ამგვარად: 1938 წლის 15 სექტემბერი ან შემდეგ.

◇ 119-ე უბის წიგნაკში პოეტს გაუკეთებია თბილისში არსებული კლუბების ჩამონათვალი.<sup>9</sup> იგი 1938 წლის 6 ნოემბრის ჩანაწერს უსწრებს და მსგავსი ფანქრითაა შესრულებული, რის საფუძველზეც დასახელებული თარიღის წინარე პერიოდით დათარიღდა.

◇ 119-ე უბის წიგნაკის დაუთარილებელი ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ როგორ ისწავლა ფილარმონიის გუნდმა გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი სიმღერები,<sup>10</sup> დათარიღდა 1938 წლის 1 ნოემბრის მომდევნო პერიოდით იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ისინი მოსდევს 1 ნოემბერს მომხდარი ფაქტის ამსახველ ჩანაწერს.

◇ 120-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელი ჩანაწერი „საერთო ფრონტით“<sup>11</sup> უშუალოდ, იმავე გვერდზე მოსდევს 1938 წლის 12 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად წითელი

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-117, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 465.

<sup>2</sup> ქლმ, დ-117, 60; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 472-473.

<sup>3</sup> ქლმ, დ-117, 61; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 473.

<sup>4</sup> ქლმ, დ-117, 68; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 473.

<sup>5</sup> ქლმ, დ-117, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 465.

<sup>6</sup> ქლმ, დ-117, 66; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 474.

<sup>7</sup> ქლმ, დ-117, 33,35.; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 466-467.

<sup>8</sup> ქლმ, დ-117, 32; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 466.

<sup>9</sup> ქლმ, დ-119, 5 გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 496.

<sup>10</sup> ქლმ, დ-119, 26; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 503.

<sup>11</sup> ქლმ, დ-120, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 514.

ფანქრითაა შესრულებული. ამ გარემოების გათვალისწინებით ჩანაწერი დათარიღდა 1938 წლის 12 დეკემბრით ან მომდევნო პერიოდით.

◇ 120-ე უბის წიგნაკში პოეტს ჩაუწერია საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ჩამონათვალი<sup>1</sup>, ასევე გაუკეთებია ჩანაწერი მოხუცისა და თანამოსაუბრე ქალების შესახებ.<sup>2</sup> ჩანაწერები მოქცეულია 1938 წლის 12 და 14 დეკემბრით დათარიღებულ ტექსტებს შორის და სწორედ დასახელებულ დროით მონაკვეთში უნდა იყოს შექმნილი.

◇ დაუთარიღებელი ჩანაწერები „ჭყუშელების კოსტიუმი“<sup>3</sup> და ნანგრევების მხატვრული ასახვის შესახებ<sup>4</sup> 119-ე უბის წიგნაკში მოსდევს 1938 წლის 19 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად შავი ფანქრითაა შესრულებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით ჩანაწერები 1938 წლის 19 ნოემბრის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 120-ე უბის წიგნაკის დაუთარიღებელი ჩანაწერი, რომელშიც პოეტის მღელვარებაა გადმოცემული საიუბილეო საღამოს გამართვის წინ,<sup>5</sup> ასევე გაზეთ „კომუნისტისა“ და „მუშისათვის“ გადასაცემი ლექსების ჩამონათვალი<sup>6</sup>, ჩანაწერი თემატური საღამოების შესახებ<sup>7</sup>, 1908 წელს გამომავალი ჟურნალ-გაზეთების სია<sup>8</sup> მოსდევს 1938 წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ ტექსტს და მის მსგავსად ლურჯი მელნიტაა შესრულებული. აღნიშნულის საფუძველზე ჩანაწერი 1938 წლის 20 დეკემბრის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 123-ე უბის წიგნაკში პოეტს გაუკეთებია ჟურნალ „ოგონიკში“ 1945 წელს დაბეჭდილი ნახატებისა და სურათების ჩამონათვალი,<sup>9</sup> რომელიც სრულდება ჟურნალის 1945 წლის 21-ე ნომრის მიმოხილვით. იმ ფაქტის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-120, 6,8,10,11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 514-516.

<sup>2</sup> ქლმ, დ-120, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 516.

<sup>3</sup> ქლმ, დ-119, 59; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 511.

<sup>4</sup> ქლმ, დ-119, 65-66; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 513.

<sup>5</sup> ქლმ, დ-120, 28-30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 520.

<sup>6</sup> ქლმ, დ-120, 34-35; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 521-522.

<sup>7</sup> ქლმ, დ-120, 41. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 522.

<sup>8</sup> ქლმ, დ-120, 42-48. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 523-524.

<sup>9</sup> ქლმ, დ-123, 7. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 558.

გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნომერი 1945 წლის მაისში გამოიცა, ჩანაწერიც ამის შემდეგ პერიოდში უნდა იყოს გაკეთებული.

◇ 123-ე უბის წიგნაკში ჩანახატი „ცეცხლი“<sup>1</sup>, უსათაურო ლექსი „ჩემს წინ მრისხანე ნიაღვართ მკონი...“<sup>2</sup>, ამონაწერები რუსულენოვანი წიგნიდან „დასავლეთევროპული ლიტერატურის ქრესტომათია“<sup>3</sup>, ჩანაწერი „სვანეთი მე-XVI საუკუნეში“<sup>4</sup> მოსდევს 1939 წლის 27 ივლისით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად ლურჯი მელნითაა შესრულებული. ამის გათვალისწინებით ზემოდასახელებული მასალები 1939 წლის 27 ივლისის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 127-ე უბის წიგნაკი თავად ავტორის მიერ დათარიღებულია 1939 წლის ოქტომბრით. აღნიშნულის საფუძველზე უბის წიგნაკში წარმოდგენილი მოგონება იროდიონ ევდოშვილზე<sup>5</sup>, ქართული ასოებით ჩაწერილი გოეთეს გერმანულენოვანი ლექსი,<sup>6</sup> ციტატები ინგლისელი დრამატურგის თომას ოტუეის პიესიდან „გადარჩენილი ვენეცია, ანუ გამჟღავნებული შეთქმულება“<sup>7</sup>, მარტინ ლუთერის გერმანულენოვანი ციტატა<sup>8</sup> 1939 წლის ოქტომბრით ან შემდეგი პერიოდით დათარიღდა.

◇ 101-ე უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუნიშნავს, რომ უნდა შეიძინოს „На рубеже“-ს სამი ნომერი, 1936 წლის პირველი (15 იანვრის) ნომრიდან მოყოლებული.<sup>9</sup> ამ დასახელების გამოცემას 1936 წლის ჟურნალებსა და გაზეთებს შორის ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ ვივარაუდეთ, რომ გალაკტიონმა თავისებურად ჩაინიშნა რომელიღაც პერიოდული ორგანოს დასახელება. პოეტის სხვა დღიურებში არაერთგან ფიგურირებს გაზეთი „На рубеже востока“ (იხ. მაგ., დ-98, დ-150 და სხვ.), რომელიც პოეტს ზოგჯერ შემოკლებითაც – „На рубеже“

<sup>1</sup> ქლმ, დ-123, 26-29. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 578-581.

<sup>2</sup> ქლმ, დ-123, 25. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 581.

<sup>3</sup> ქლმ, დ-123, 21-24. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 583-585.

<sup>4</sup> ქლმ, დ-123, 18. გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 585-586.

<sup>5</sup> ქლმ, დ-127, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 608.

<sup>6</sup> ქლმ, დ-127, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 609.

<sup>7</sup> ქლმ, დ-127, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 609.

<sup>8</sup> ქლმ, დ-127, 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 611.

<sup>9</sup> ქლმ, დ-101; 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 341.

აქვს მითითებული. გაზეთი „На рубеже востока“ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოიცემოდა თბილისში 1933-1936 წლებში. გალაკტიონს რომ ნამდვილად ეს პერიოდული ორგანო აქვს მხედველობაში, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გაზეთის 1936 წლის პირველი ნომერი 15 იანვარს გამოიცა, როგორც ეს პოეტს უბის წიგნაკში აქვს მითითებული. გაზეთის 1936 წლის მესამე ნომერი, რომლის შექმნასაც ასევე გეგმავს გალაკტიონი, 31 იანვარს გამოვიდა, შესაბამისად, ჩანაწერიც 1936 წლის 31 იანვრის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ 424-ე უბის წიგნაკში თარიღის – „1934 წელი, აგვისტო“ – ქვემოთ გაკეთებულია რუსულენოვანი ჩანაწერები „სოციალისტური რეალიზმის“ შესახებ.<sup>1</sup> მოტანილია ამ საკითხზე მაქსიმ გორკის შეხედულებები. როგორც ცნობილია, სოციალისტური რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, იყო უმთავრესი თემა 1934 წელს აგვისტოში გამართული საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობისა. ამაზე მიუთითებს გალაკტიონის დათარიღებაც. ყრილობა 17 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. პოეტის ჩანაწერიც, რომელშიც ყრილობის ძირითადი დებულებებია გადმოცემული, 1934 აგვისტოს შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ 434-ე დღიურში გალაკტიონი ვრცელ ჩანაწერს უძღვნის იოსებ გრიშაშვილს.<sup>2</sup> მისი დათარიღება შემდეგ გარემოებაზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი. პოეტი ინიშნავს, რომ გაეცნოს ჯიბლადის წერილს, რომელშიც მოელის, რომ ბევრი სისულელე იქნება. კონტექსტიდან აშკარაა, რომ გალაკტიონს მხედველობაში აქვს გიორგი ჯიბლადის იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი სტატია. გ. ჯიბლადის წერილი „ლირიკის ოსტატი (ი. გრიშაშვილი)“ 1944 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტი“.<sup>3</sup> გალაკტიონის ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი.

◇ 467-ე უბის წიგნაკში პუნქტობრივად ჩამოწერილი გეგმა, რომელშიც პოეტი მიზნად ისახავს საკუთარი არქივის მოწესრიგებას, ხელნაწერების, წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, საქალაქდებების,

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-424, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 78.

<sup>2</sup> ქლმ, დ-434, 2-5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 112-113.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1944, №219.

ფოტოსურათების, აფიშების გადარჩევასა და დახარისხებას.<sup>1</sup> ჩანაწერს ზემოთ მიწერილი აქვს: „19-20/II.1955. არ მოხერხდა“. აშკარაა, რომ მინაწერი 20 თებერვლის შემდეგაა გაკეთებული და გულისხმობს იმას, რომ პოეტი ორი დღის, 19 და 20 თებერვლის განმავლობაში ცდილობდა დასახული მიზნის განხორციელებას, თუმცა ვერ მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა.

◇ 480-ე უბის წიგნაკში პოეტს შეუდგენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებაში წარსადგენი ანგარიშის მონახაზი.<sup>2</sup> ანგარიშში აღნიშნულია, რომ აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მისი წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრებული 1944 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ დაიბეჭდა, ანგარიშის ტექსტი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

◇ 480-ე უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუწერია მიმართვის მონახაზი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქართველი ინტელიგენციის სახელით მხარს უჭერს უმაღლესი ორგანოს წევრობის კანდიდატად ლავრენტი ბერიას დასახელებას.<sup>3</sup> იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბერია 1946 წლის 28 მარტს აირჩიეს პოლიტიბიუროს წევრად, დასახელებული ტექსტიც ამ დრომდე უნდა იყოს შექმნილი.

◇ 1957 წლის 28-30 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერებს შორისაა მოქცეული ჩანაწერი ნიკოლოზ მეორის იმერული მეტსახელების შესახებ<sup>4</sup>, იდენტურია საწერი საშუალება – ლურჯი მელანი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დასახელებული ტექსტები 28-30 ნოემბრის შუალედშია შექმნილი.

◇ გალაკტიონის ერთი უთარიღო ჩანაწერი გიორგი ლეონიძის მიერ მის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს ეხება.<sup>5</sup> ჩანაწერის დათარიღება შესაძლებელია ერთ რეალიაზე დაყრდნობით. პოეტი მიუთითებს, რომ როცა ეს ამბები ხდებოდა, ლეონიძე „მაშინ ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი“ იყო. გიორგი ლეონიძემ ეს

<sup>1</sup> ქლმ, დ-467, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 227-228.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-480, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 334.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-480, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 335;

<sup>4</sup> ქლმ, დ-624, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 181.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-625, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 187-189.

პოსტი 1953 წელს დატოვა, ასე რომ ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი.

◇ მწვანე მელნითაა შესრულებული პოეტის ჩანაწერები, რომლებშიც იგი გეგმავს კურორტზე სამკურნალოდ წასვლას, ადგილობრივი და რუსული გაზეთების გამოწერას ივნისის თვისათვის, საქალაქო სადგურზე წყალტუბოში გასამგზავრებელი ბილეთების შექმნას, გაზეთ „მუშაში“ დოკუმენტების დაკარგვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებას და სხვ.<sup>1</sup> გალაკტიონს ფურცელი ორ სვეტად გაუყვია. პირველი სვეტი ზემოხსენებულ ჩანაწერებს ეთმობა, მეორე სვეტის თავში კი წერია თარიღი „7.V.36 წ.“ შემდეგ სვეტი ცარიელია. როგორც ჩანს, პოეტი აპირებდა განეგრძო წერა, თუმცა რაღაც მიზეზის გამო შეჩერებულა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დასახელებული ჩანაწერები 1936 წლის 7 მაისამდე უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ჩანაწერების ამავე ციკლში ერთგან მითითებულია, რომ „გუშინ, 2 თებერვალს“ მისი თხოვნით ცაგარელმა მოსკოვში დეპეშა გაგზავნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ტექსტის წინა ჩანაწერები: ელიზბარ ანანიაშვილის მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ, ბორის შებუევის მიერ ბარელიეფის მომზადების თაობაზე, მარკ ზლატკინისათვის ინფორმაციის მიწოდების, ავთანდილ გუნიას სახელზე განცხადების დაწერის შესახებ, 3 თებერვლამდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ მომდევნო ჩანაწერებიდან ერთ-ერთში აღნიშნულია, რომ ანანიაშვილმა „ხვალ (9 თებერვალს)“ უნდა წარადგონოს წიგნი. აქედან გამომდინარე, ამ ტექსტის წინა ჩანაწერი ლექსის – „ოცნება სოხუმჰესთან“ – გასწორების შესახებ 8 თებერვალს, ან მანამდეა გაკეთებული. 11 თებერვლის ჩანაწერებს კი უსწრებს წინ ცნობები მოქანდაკე შებუევის მიერ ბარელიეფის ფოტოს გადაცემაზე თანხმობის, ამირან გაბესკირიას მომავალი რედაქტორობის შესახებ, რაც მოწმობს, რომ ისინი 11 თებერვლამდეა გაკეთებული.

◇ დაუთარილებელი ჩანაწერი დიმიტრი ბენაშვილის შესახებ, მოსდევს იმ ჩანაწერს, რომელშიც პოეტი აღნიშნავს, რომ 1940 წლის 10 სექტემბერს იგი იოსებ ნონეშვილს შეხვდა.<sup>2</sup> ორივე ჩანაწერი ერთი და

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-533, 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 171.

<sup>2</sup> ქლმ, დ-629, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 321.

იმავე საწერი საშუალებითაა შესრულებული, რაც მიუთითებს, რომ ისინი გაკეთებული უნდა იყოს 1940 წლის 10 სექტემბრის შემდეგ.

◇ ერთ დაუთარილებელ ჩანაწერში პოეტი მსჯელობს თავისი პოეტური ციკლების – „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“ – ბეჭდვისას დაკარგული მასალის შესახებ.<sup>1</sup> იგი მიუთითებს, რომ „ეპოქის“ მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შეტანილი მის თხზულებათა მეორე ტომში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასახელებული წიგნი 1935 წელს დაიბეჭდა, ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ უბის წიგნაკში გალაკტიონს ჩაუწერია გაზეთ „კომუნისტა“ და „მებრძოლში“ სამამულო ომის თემაზე გამოქვეყნებული ლექსების ჩამონათვალი.<sup>2</sup> სიაში არსებული ყველაზე გვიანდელი მასალა 1944 წლის 4 იანვრით არის დათარიღებული. შესაბამისად, პოეტის ჩამონათვალიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

◇ საკანცელარიო წიგნში ჩაუწერია პოეტს მისადმი მიძღვნილი ლექსებისა და პუბლიკაციების ავტორთა ჩამონათვალი.<sup>3</sup> ზოგიერთ გვარს გვერდით მიწერილი აქვს მასალის გამოქვეყნების თარიღი. სიაში ყველაზე გვიანდელი თარიღი 1952 წელია (იგი მიწერილი აქვს ზურაბ ქობულაძის მასალას). შესაბამისად ჩამონათვალიც 1952 წლის შემდეგ უნდა შეედგინა გალაკტიონს.

◇ საკანცელარიო წიგნში ამოუწერია გალაკტიონს საკუთარი თხზულებების ტომებიდან 1905 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი ლექსების ჩამონათვალი. ჩანაწერის დათარიღება შესაძლებელია შემდეგ ფაქტზე დაყრდნობით: ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლო წიგნი, რომლიდანაც პოეტს სათაურები ამოუწერია, არის თხზულებების მეშვიდე ტომი. იგი 1950 წელს გამოიცა. შესაბამისად ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ დეპეშის ბლანკზე გაუკეთებია პოეტს ჩანაწერი ლიტერატურული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობის შესახებ<sup>4</sup>. ფურცელი, რომელზეც მინაწერია გაკეთებული 1953 წლითაა დათარიღებული,

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-426, 5-6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 95-96.

<sup>2</sup> ქლმ, დ-427, 3-19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 100-103.

<sup>3</sup> ქლმ, დ-437, 1-9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 119-122.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-468, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 248.



შესაბამისად ჩანაწერიც ამ წელს, ან მის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ უთარილო ჩანაწერში პოეტი მიუთითებს, რომ „ზარია ვოსტოკა“ გამოსაცემად ამზადებს მის წიგნს, რომლის მთარგმნელიცაა ცაგარელი, ხოლო რედაქტორი – ელსნერი. შემდეგ გეგმავს, რა გააკეთოს წიგნის პოპულარიზაციისათვის.<sup>1</sup> ჩანაწერის რეალიების მიხედვით აშკარაა, რომ პოეტს მხედველობაში აქვს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ლირიკა“ (რედაქტორი – ვლადიმირ ელსნერი; მთარგმნელი – გიორგი ცაგარელი). წიგნი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1945 წლის 25 აგვისტოს. გალაკტიონის ჩანაწერიც ამ დრომდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ ერთ დაუთარილებელ ჩანაწერში გალაკტიონი აღწერს, თუ როგორ წარმოუდგენია შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღნიშვნა. ჩამოწერილია ღონისძიებათა ვრცელი ნუსხა.<sup>2</sup> პოეტის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე 1933 წელს შესრულდა, ლოგიკურად, ჩანაწერიც ამ დროის ახლო ხანებში უნდა იყოს გაკეთებული. ჩანაწერის რამდენიმე რეალია თარიღის უფრო მეტად დაზუსტების საშუალებას გვაძლევს. მასში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს სრულდება 10 წლისთავი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნიდან. ეს პოლიტიკური გაერთიანება 1922 წლის 5 დეკემბერს შეიქმნა. ამასთანავე გალაკტიონი საიუბულო ღონისძიებების ორგანიზატორად მოიაზრებს „საბჭოთა მწერლების ფედერაციას“. აღნიშნულმა გაერთიანებამ არსებობა 1932 წლის 23 აპრილის, ცნობილი ლიტერატურულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ ცნობილი პარტიული დადგენილების გამოცემის შემდეგ დაასრულა. შესაბამისად, პოეტის ჩანაწერიც 1932 წლის 23 აპრილამდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ 475-ე დღიურში არსებული ჩანაწერები შავი ფანქრითაა შესრულებული. 1955 წლის 22 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერს მოსდევს იმავე საწერი საშუალებით ჩაწერილი ტექსტები პოემის – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – და მწერალთა კავშირის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-440; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 133-134.

<sup>2</sup> ქლმ, დ-472, 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 293-296.

პოეტების სექციის სამომავლო გეგმების შესახებ.<sup>1</sup> ზემოსხენებულ გარემოებათა საფუძველზე ისინი 1955 წლის 22 იანვართ, ან მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ უთარიღო, რუსულ ენაზე გაკეთებული ჩანაწერი ეძღვნება კომუნისტური მანიფესტის თემის ასახვას გალაკტიონის პოეზიაში.<sup>2</sup> ჩანაწერის დათარიღების საშუალებას გვაძლევს ერთი დეტალი. პოეტი მიუთითებს, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლექსის – „ძველი და ახალი ხიდი“ – რუსული თარგმანი 1937 წელს დაიბეჭდა მის „რჩეულ ლექსებში“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩანაწერი 1937 წლის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ დაუთარიღებელია ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი სურათებისა და პლაკატების ჩამონათვალს.<sup>3</sup> ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი ერთეული 1953 წლის 9 მარტითაა დათარიღებული. შესაბამისად, ჩანაწერიც დასახელებული დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ სალიტერატურო მოღვაწეობის 20 წლისთავთან დაკავშირებით პოეტს მესამე პირში შეუდგენია ტექსტი, რომელშიც წარმოჩენილია მისი დამსახურებები ქართული ლიტერატურის წინაშე<sup>4</sup>. ჩანაწერში ნახსენებია ახლად გამოცემული „რჩეული“, რომელიც 1927 წელს დაიბეჭდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩანაწერი ამ, ან მომდევნო წელს უნდა იყოს შესრულებული.

◇ დაუთარიღებელია გალაკტიონის რუსულ ენაზე ნაწერი მოკლე დასკვნა კალე ბოზოხიდის პოემაზე „სერგო ორჯონიკიძე“, რომელსაც პოეტი დადებითად აფასებს. მიუთითებს პრესის პოზიტიურ გამოხმაურებებზეც.<sup>5</sup> დასახელებული პოემა 1938 წელს გამოქვეყნდა. გალაკტიონის ტექსტიც ამ წელს ან მომდევნო პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

◇ ერთი დაუთარიღებელი ჩანაწერი ტფილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტამარს ეხება.<sup>6</sup> პოეტი მიუთითებს, რომ

<sup>1</sup> ქლმ, დ-475, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 310-311.

<sup>2</sup> ქლმ, დ-483, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 362.

<sup>3</sup> ქლმ, დ-485, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 393-394.

<sup>4</sup> ქლმ, დ-488, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 415-416.

<sup>5</sup> ქლმ, დ-488, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 417-418.

<sup>6</sup> ქლმ, დ-489, 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 427.

ამ შენობის დარღვევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, ტაძრის დემონტაჟის სამუშაოები 1930 წლის 7 თებერვალს დაიწყო.<sup>1</sup> პოეტის ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ დაუთარილებელია გალაკტიონის მიერ შედგენილი საკუთარი ფოტოსურათებისა და მხატვართა მიერ დახატული პორტრეტების ჩამონათვალი.<sup>2</sup> სიაში წარმოდგენილი უკანასკნელი ფოტო 1938 წლითაა დათარიღებული. ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ მწერალთა კავშირის სახელით შეუდგენია პოეტს ტექსტი დაბადებიდან 60 და სალიტერატურო მოღვაწეობის დაწყებიდან 45 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მისი რჩეული ნაწერების გამოცემასთან დაკავშირებით, რომელშიც შევიდოდა უკვე გამოცემული 7 ტომიდან ამოკრეფილი მასალა.<sup>3</sup> იმის გათვალისწინებით, რომ პოეტს დაბადების წლად 1892 წელი მიაჩნდა, ტექსტი 1952 ან 1953 წელს უნდა იყოს შედგენილი.

◇ ერთ თაბახის ფურცელზე პოეტს ფანქრით შეუსრულებია ჩანაწერები გამოფენის მოწყობის თაობაზე, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს მიერ მწერლების სახლის სარდაფის მისაკუთრებისა და მოახლოებული საიუბილეო თარიღების შესახებ. ამ ჩანაწერთა დათარიღების საშუალებას იძლევა ერთი დეტალი. პოეტი მიუთითებს, რომ 1 იანვარს სრულდება 130 წელი შანდორ პეტეფის დაბადებიდან. უნგრელი პოეტი დაიბადა 1823 წელს, მისი დაბადებიდან 130 წლისთავი 1953 წლის 1 იანვარს შესრულდა. ლოგიკურად, ზემოთნახსენები ჩანაწერები 1953 წლის 1 იანვრამდე უნდა იყოს გაკეთებული.

◇ თაბახის ერთ ფურცელზეა შესრულებული ჩანაწერები იოსებ გრიშაშვილის საღამოს, ამ ღონისძიების აფიშის, მასთან ქუჩაში შეხვედრის შესახებ, ასევე – თბილისში გამეფებული უწესრიგობის, პარიკმახერთან ურთიერთობის თაობაზე, რაიხსტაგის ხანძარზე საბჭოთა პრესის გამოხმაურების, მეგობართა სიმცირისა და მიხეილ ჯავახიშვილთან შეხვედრის შესახებ<sup>4</sup>. ჩანაწერების შესრულების ქვედა

---

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1930, №31, გვ. 4.

<sup>2</sup> ქლმ, დ-492, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 445-446.

<sup>3</sup> ქლმ, დ-492, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 448.

<sup>4</sup> ქლმ, დ-495, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XX, თბ., 2008, გვ. 459-461.

ზღვარი შეგვიძლია დავადგინოთ რამდენიმე რეალის მიხედვით. მეორე ჩანაწერშივე, რომელიც 3 მარტითაა დათარიღებული, ნახსენებია ჟურნალ „როსტის“ 1933 წლის პირველი ნომერი, რომელიც იანვარში დაიბეჭდა. ერთ-ერთ მომდევნო ჩანაწერში კი აღნიშნულია, რომ რაიხსტაგის დაწვაზე საბჭოთა გაზეთების ტონი ირონიულია. ამკარაა, რომ ფაქტი ახლად არის მომხდარი. რაიხსტაგზე ხანძარი 1933 წლის 27 თებერვლის ღამეს გაჩნდა. მაშასადამე, ეს ჩანაწერები 1933 წელს არის შესრულებული, კერძოდ 3 მარტს და მის მომდევნო პერიოდში. გამონაკლისია იოსებ გრიშაშვილის სალამოსადმი მიძღვნილი ჩანაწერი, რომელიც უსწრებს 3 მარტით დათარიღებულ ტექსტს და მანამდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ დაუთარიღებელია გალაკტიონის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი სტატია „აკაკი წერეთელი – დიდი ქართველი პოეტი“, რომელშიც აკაკის პიროვნული და ლიტერატურული პორტრეტია წარმოჩენილი.<sup>1</sup> წერილის ერთი რეალია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მისი დაწერის ქვედა ზღვარი. ჩანაწერში პოეტი ახსენებს სამოციანელ გიორგი წერეთელს და რუს მკითხველს განუმარტავს, რომ იგი „ჩვენი მინისტრის“ ირაკლი წერეთლის მამა იყო. რუსული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო ფიგურა ირაკლი წერეთელი თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობის წევრი იყო. იგი ფოსტისა და ტელეგრაფის მონისტრის მოვალეობას ასრულებდა 1917 წლის 5 მაისიდან აგვისტოს ბოლომდე, ხოლო იმავე წლის 8 ივლისიდან 6 აგვისტომდე კი შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ითავსებდა. მაშასადამე გალაკტიონის სტატია დაწერილი უნდა იყოს 1917 წლის 5 მაისის შემდეგ, იმავე წლის სექტემბრამდე.

◇ დაუთარიღებელია პოეტის ჩანაწერები ქართველი მწერლების – ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამია გურიელის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, ჭოლა ლომთათიძის პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურებების შესახებ.<sup>2</sup> აღნიშნული ჩანაწერები ერთ რვეულშია თავმოყრილი და გალაკტიონოლოგიაში პირობითი სათაურით – „მვირფასი საფლავები“ – არის ცნობილი. ჩანაწერების

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-643, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 136-137.

<sup>2</sup> ქლმ, დ-644, 1-14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 138-155.

დათარიღების საშუალებას გვაზღვევს ტექსტის ერთი რეალია. პოეტი ერთგან მიუთითებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენება თბილისში დღესაც ბევრს ახსოვს, და ეს ფაქტი მოხდა ოცდაექვსი წლის წინად. ბარათაშვილის ნეშტი 1893 წელს გადმოსვენეს, შესაბამისად გალაკტიონის ჩანაწერებიც 26 წლის შემდეგ, ანუ 1919 წელს უნდა იყოს შესრულებული.

◇ დაუთარიღებელია გალაკტიონის შენიშვნები ვერა ბარდაველიძის წიგნზე „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“.<sup>1</sup> წიგნი 1939 წელს გამოიცა და ლოგიკურად, პოეტის ჩანაწერიც ამ ან მომდევნო წლებში უნდა იყოს გაკეთებული. ჩანაწერის ერთი რეალია თარიღის მეტად დაკონკრეტების შესაძლებლობას გვაძლევს. პოეტი მიუთითებს, რომ ეთნოგრაფიული ღირებულების მასალა იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“, რომლის თანამშრომელიც იგი იყო და რომელიც 15 წლის წინ დაარსდა. „მნათობი“ 1924 წელს გამოვიდა, შესაბამისად, გალაკტიონის ჩანაწერი 1939 წელს არის შესრულებული.

◇ რუსულ ენაზე შეუდგენია გალაკტიონს საინფორმაციო ტექსტი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ დაბეჭდილი მისი „რჩეული ლექსების“ შესახებ, რომელშიც წიგნის შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლებია წარმოდგენილი.<sup>2</sup> პოეტის სხვა ჩანაწერიდან ცნობილია, რომ საავტორო ეგზემპლარები მან 1938 წლის 16 აგვისტოს მიიღო.<sup>3</sup> შესაბამისად, ცნობაც ამ დროის შემდეგ უნდა შეედგინა.

◇ გალაკტიონს უთარგმნია დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომის „ვაგნერიანობის საკითხი“ (Der Fall Wagner) შესავალი ნაწილი.<sup>4</sup> თარგმანის დათარიღება შესაძლებელია მასზე არსებული მინაწერის მიხედვით. ძირითადი ტექსტი იისფერი მელნითაა შესრულებული. მას ახლავს ფანქრით მინაწერი, რომ მალე სრულდება 25 წელი ლიტერატურულ ასპარეზზე გალაკტიონის გამოსვლიდან. ეს საიუბილეო თარიღი 1933 წელს შესრულდა, შესაბამისად ნიცშეს თხზულების თარგმანი პოეტს ამ დრომდე უნდა განეხოციელებინა.

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-646, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 187-189.

<sup>2</sup> ქლმ, დ-647, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 207.

<sup>3</sup> ქლმ, დ-116, 1; საარქივო გამოცემა, წ. XV, თბ., 2008, გვ. 458.

<sup>4</sup> ქლმ, დ-648, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 207-212.

◇ დაუთარიღებელია ჩანაწერი, რომელშიც პოეტი აღნიშნავს, რომ მალე სრულდება 25 წელი მისი გამოსვლიდან ლიტერატურულ ასპარეზზე და განვლილ პოეტურ გზას ახასიათებს.<sup>1</sup> გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები 1933 წლის 5 ივლისს დაიწყო. შესაბამისად, ჩანაწერი ამ დრომდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ ვრცელი ჩანაწერი სახელწოდებით „ლირიკა“ წარმოადგენს პოემის „საუბარი ლირიკის შესახებ“ პროზაულ ტექსტს.<sup>2</sup> ამ ნაწარმოებს დაწერის თარიღად მითითებული აქვს 1940 წლის 25-27 იანვარი, შესაბამისად პროზაული ტექსტი პოეტს მანამდე უნდა დაემუშავებინა.

◇ უთარიღოა ჩანაწერი „კალე ბობოხიძე“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ წაიკითხა კალე ბობოხიძემ მწერალთა ვიწრო წრეში საკუთარი პოემა და როგორ ცდილობდნენ დამსწრე მწერლები ეიძულებინათ ბობოხიძე, მალე დაესრულებინა კითხვა.<sup>3</sup> ჩანაწერი მოსდევს 1941 წლით დათარიღებულ „პროზაულ ფრაგმენტებს“ და იმავე საწერი საშუალებით - წითელი მელნიტაა შესრულებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი 1941 წელს უნდა იყოს დაწერილი.

◇ დაუთარიღებელია პროზაული ტექსტი, სახელწოდებით „სამჭედლოში“, რომლის მთავარი პერსონაჟიცაა ახალგაზრდა მჭედელი რატი.<sup>4</sup> ტექსტის დათარიღების საშუალებას გვაძლევს ერთი რეალია. მასში ნახსენებია სსრკ-ფინეთის ომი და კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დაფუძნება. ეს უკანასკნელი ფაქტი 1940 წლის 31 მარტს მოხდა. ტექსტიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ხსენებულ ტექსტს მოსდევს მსგავსი მელნიტ შესრულებული „დილა მთებში“,<sup>5</sup> რომელიც ასევე დასახელებული თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ უთარიღოა უსათაურო პროზაული ტექსტი მეორე მსოფლიო ომის საწყის პერიოდში ევროპაში განვითარებული საბრძოლო მოვლენების შესახებ.<sup>6</sup> მასში ნახსენებია გერმანელთა მიერ სტრასბურგის აღების

<sup>1</sup> ქლმ, დ-648, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 212-213.

<sup>2</sup> ქლმ, დ-657, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 348-356

<sup>3</sup> ქლმ, დ-658, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 409-410.

<sup>4</sup> ქლმ, დ-658, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 410-429.

<sup>5</sup> ქლმ, დ-658, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 430-434.

<sup>6</sup> ქლმ, დ-658, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 443-449.

ფაქტი, რაც 1940 წლის 19 ივნისს მოხდა. ტექსტი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ დაუთარილებელია მოკლე ავტობიოგრაფიები ქართულ და რუსულ ენებზე.<sup>1</sup> მათში პოეტი ახსენებს უკანასკნელ ხანს გამოცემულ თხზულებათა მეექვსე ტომს. წიგნი 1949 წლის 30 ივნისის შემდეგ დაიბეჭდა. ავტობიოგრაფიაც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

◇ ასევე დაუთარილებელია ავტობიოგრაფია, რომელშიც ფაქტების ჩამონათვალი 1940 წლით მთავრდება.<sup>2</sup> აღნიშნულის საფუძველზე ტექსტი 1940 წლით ან მომდევნო პერიოდით დავათარილეთ.

◇ მსგავსი პრინციპის საფუძველზე 1945 წლით ან მომდევნო პერიოდით დათარიღდა ავტობიოგრაფია, რომელშიც ფაქტების ჩამონათვალი 1945 წლით წყდება.<sup>3</sup>

◇ ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში პოეტი მიუთითებს, რომ 1939 წელს იგი ბაქსანის ხეობით იალბუზზე ავიდა.<sup>4</sup> ფაქტის დათარიღების საშუალებას პოეტის სხვა ჩანაწერი იძლევა. 1939 წლის 11 აგვისტოს ჩანაწერში<sup>5</sup> გალაკტიონი გეგმავს იალბუზზე ასვლას და იმარაგებს საჭირო მასალებს. აღნიშნულის გათვალისწინებით იალბუზზე პოეტი 11 აგვისტოს შემდეგ უნდა ასულიყო.

◇ პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტური კონგრესისადმი მიძღვნილ ჩანაწერში პოეტი მიუთითებს, რომ ევროპაში ყოფნისას ნახა ადამიანთა მძიმე ექსპლოატაცია, ანარქია, მატერიალური და სულიერი კრიზისი.<sup>6</sup> ტექსტი წინ უძღვის 27 ივნისით დათარიღებულ ჩანაწერს და იმავე საშუალებით - წითელი მეღნითაა შესრულებული. აღნიშნულის საფუძველზე იგი დათარიღდა 27 ივნისამდე პერიოდით.

◇ ერთმანეთს მისდევს პოეტის მიერ წითელი მეღნითი შესრულებული ჩანაწერები პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის

<sup>1</sup> ქლმ, დ-659, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 450-453;

<sup>2</sup> ქლმ, დ-659, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 451-452.

<sup>3</sup> ქლმ, დ-659, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 456.

<sup>4</sup> ქლმ, დ-659, 20; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 484.

<sup>5</sup> ქლმ, დ-125, 1; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 598

<sup>6</sup> ქლმ, დ-660, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 518-521.

შესახებ. მათი შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი ღონისძიების დასრულების შემდეგაა გაკეთებული. თავად გალაკტიონის მოწმობით, კონგრესი 26 ივნისს დასრულდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩანაწერები: „კონგრესის დელეგატები“, „აკადემია“, „ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ“, „ანდრე მალრო“, „სიურეალიზმი“, „პიროვნების თავისუფლება“, „საერთო აზრი“, „პოეზიის შემოსავლიანობა“, „დეტექტიური რომანები“, „აფიშის ამბავი“, „უცხოეთის პრესა“, „ილია ერენბურგი“, „სტალინი“, „ვაიან კუტიურე“, „ანდრე ჟიდი მალროზე“, ასევე უსათაურო ჩანაწერები ანდრე ჟიდის, ჰაინრიხ მანის, ოლდოს ჰაქსლის, ჟულიე ბენდას, მიხაილ კოლცოვის, უილიამ ელლისის, მაიკლ გოლდის, ლიონ ფოიხტვანგერის, ტრისტან ტვარას, თომას მანის, გერმანული ანტიფაშისტური მწერლობის, მდინარე სენას, პარიზის კონგრესის რეზოლუციის შესახებ,<sup>1</sup> 1935 წლის 26 ივნისის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ 1934 წლით არის დათარიღებული გალაკტიონის წერილი დავით დუმბაძისადმი, რომელსაც პოეტი სთხოვს უზრუნველყოს მისთვის დატოვებული მასალების გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“ დაბეჭდვა.<sup>2</sup> წერილის უფრო ზუსტი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ჩანაწერი<sup>3</sup>, რომელშიც მოთხრობილია 1934 წელს ბათუმში ყოფნისა და იქ დავით დუმბაძესთან შეხვედრის ამბავი. იქვე პოეტი მიუთითებს, რომ ბათუმი 4 მარტს დატოვა. წერილი დავით დუმბაძისადმი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაგზავნილი.

◇ ერთ უთარიღო ჩანაწერში გალაკტიონი ეხება დირიჟორ ალექსანდრ გაუკს, რომელსაც ძალიან უარყოფითად ახასიათებს.<sup>4</sup> ჩანაწერიდან ამკარაა, რომ პოეტი დირიჟორთან პიროვნული ურთიერთობის გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობს. ალექსანდრ გაუკი ძირითადად ლენინგრადში მოღვაწეობდა, თუმცა მისი ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ 1941-1943 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ამავე პერიოდში ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, ხოლო 1953-1962 წლებში – საქართველოს

<sup>1</sup> ქლმ, დ-660, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 518-553.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 557.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-76, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 357.

<sup>4</sup> ქლმ, დ-640, 69; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 51.



სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ვინაიდან ალექსანდრ გაუკი საქართველოში თავდაპირველად 1941 წელს დასაქმებულა, გალაკტიონიც ამ დროის შემდეგ უნდა გასცნობოდა მას და ჩანაწერიც შემდეგ შეექმნა.

◇ ლურჯი მელნიტაა შესრულებული პოეტის უთარილო ჩანაწერი, რომელშიც 1954 წელს გამოცემული მისი „რჩეულისადმი“ მიძღვნილი ღონისძიების აუცილებლობაზეა საუბარი.<sup>1</sup> იმავე ფურცელზე ჩანაწერს მოსდევს 1955 წლის 21 მარტით დათარიღებული ტექსტი, რაც გვაფიქრებინებს, რომ პირველი ტექსტი დასახელებულ დრომდე უნდა იყოს ჩაწერილი.

◇ ერთი უთარილო ჩანაწერი პოეტსა და მთარგმნელს, გრიგოლ ცეცხლამეს ეხება. მასში გალაკტიონი მიუთითებს, რომ ეს მწირი ტალანტის მქონე პოეტი „ევგენი ონეგინს“ აფარებს თავს.<sup>2</sup> გალაკტიონი უნდა გულისხმობდეს პუშკინის პოემის ცეცხლამისეულ თარგმანს. გრიგოლ ცეცხლამის თარგმანი პირველად 1935 წელს გამოიცა. შესაბამისად, გალაკტიონის ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ უთარილოა გალაკტიონის ჩანაწერი კომპოზიტორ ალექსანდრე (სანდრო) კავსადის შესახებ<sup>3</sup>. გალაკტიონი მასზე წარსულ დროში საუბრობს და მიუთითებს, რომ იგი ერთადერთი კომპოზიტორი იყო, რომელიც ანგარიშს უწევდა ქართული სიტყვის მახვილს. სანდრო კავსაძე 1939 წელს გარდაიცვალა, მაშასადამე, ჩანაწერი ამ წლის შემდეგ არის გაკეთებული.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იგონებს ცნობილ ქირურგს გრიგოლ მუხამეს, რომლის პიროვნულ ღირსებასა და პროფესიონალიზმზეც საგანგებოდ საუბრობს.<sup>4</sup> ჩანაწერის შინაარსიდან აშკარაა, რომ გრიგოლ მუხამე ცოცხალი აღარ უნდა იყოს. მასზე წარსულ დროშია საუბარი.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-640, 93; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 66-67.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-640, 105; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 74-75.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-640, 128; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 85

<sup>4</sup> ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-641, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 125.

ცნობილი ქირურგი 1948 წლის 8 ოქტომბერს გარდაიცვალა. პოეტის ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულია ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის ნაშრომის „ლირიკის ფილოსოფია“ ერთი მონაკვეთის თარგმანი.<sup>1</sup> ეს ნაშრომი რუსულად ითარგმნა და გამოიცა მხოლოდ ერთხელ, 1923 წელს, შესაბამისად, გალაკტიონსაც უთუოდ ამ გამოცემით უნდა ესარგებლა. მაშასადამე, თარგმანი 1923 წელს ან მომდევნო პერიოდში შეუსრულებია.

◇ პოეტის საარქივო მასალებში ვხვდებით გეგმას პიესისა „გამომიგზავნე, ევროპა, ფული!“. ტექსტში ნახსენებია კოლექტივიზაციის მიმდინარე პროცესი.<sup>2</sup> ეს აგრარული რეფორმა საბჭოთა კავშირში 1929 წელს დაიწყო, შესაბამისად, ჩანაწერიც ამ წელს, ან მომდევნო პერიოდში უნდა იყოს შექმნილი.

◇ ერთმანეთს მისდევს პოეტის მიერ წითელი მეღნიტ შესრულებული ჩანაწერები პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის შესახებ. მათი შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი ღონისძიების დასრულების შემდეგაა გაკეთებული. თავად გალაკტიონის მოწმობით, კონგრესი 26 ივნისს დასრულდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩანაწერები: „ვაიან კუტიურე“, ასევე უსათაურო ჩანაწერები უილიამ ელლისის, მაიკლ გოლდის, ანრე მალროს, პოლ ელუარის, ანდრე შანსონის, ერნსტ ბლოხის, თომას მანის, შესახებ<sup>3</sup> 1935 წლის 26 ივნისის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულია პოეტის სიტყვა, რომელიც მას 1947 წელს შოვში მკითხველებთან შეხვედრისას უთქვამს.<sup>4</sup> ფაქტის დათარიღება შეგვიძლია იმის გათვალისწინებით, რომ გალაკტიონს შოვი უნდა დაეტოვებინა 24 ან 25 აგვისტოს,<sup>5</sup> ღონისძიებაც მანამდე უნდა გამართულიყო.

◇ პოეტის არქივში ასევე დაცულია სიტყვა, რომელიც მას მწერალთა კავშირში უთქვამს და რომელშიც იგი იგონებს სტალინთან შეხვედრას

<sup>1</sup> ქლმ, დ-648, 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 213-214.

<sup>2</sup> ქლმ, დ-655, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 213-214.

<sup>3</sup> ქლმ, დ-660, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 518-553.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის სიტყვის სტენოგრამა, ქლმ, დ-661, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 563-566.

<sup>5</sup> ნ. კობალაძე, „კვლევები“, თბ., 2025.

რევოლუციის პერიოდში.<sup>1</sup> გალაკტიონის გამოსვლის დათარიღება შესაძლებელია შემდეგ გარემოებაზე დაყრდნობით. თავის სიტყვაში პოეტი მიუთითებს, რომ ახლახან აირჩიეს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ბიუროს ხელმძღვანელად. სხვა ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ეს ფაქტი 1955 წლის 17 იანვარს მომხდარა.<sup>2</sup> შესაბამისად, ზემოხსენებული სიტყვით პოეტი ამ დროის შემდეგ უნდა გამოსულიყო.

◇ საარქივო მასალებში ვხვდებით შესავალი სიტყვის ტექსტს „ქართული ბალადის საღამოსათვის“.<sup>3</sup> ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი თავად გალაკტიონი იყო. პოეტის სხვა ჩანაწერიდან ირკვევა, რომ საღამო 1955 წლის 4 აპრილს გამართულა.<sup>4</sup> შესავალი სიტყვაც ამ პერიოდამდე უნდა იყოს შედგენილი.

◇ პოეტის ერთი ჩანაწერი ეხება ცნობილ კაფეს „ქიმერიონი“, რომლის ირგვლივაც, პოეტის თქმით დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ გარკვეულ წრეებს სურთ ამ დაწესებულების კულტურულ კერად წარმოჩენა, სადაც თურმე კონფერენციები და ლექციები იმართებოდა.<sup>5</sup> კაფე „ქიმერიონი“ 1919 წლის დეკემბერში გაიხსნა, შესაბამისად ჩანაწერი 1919 წლის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ უთარიღოა პოეტის ჩანაწერი „მნათობის პერიოდი. რევოლუციის პირველი დღეები“, რომელშიც მესამე პირში აღწერს, თუ როგორ შეხვდა რევოლუციის პირველ დღეებს და როგორ ეხმაურებოდა ამ მოვლენებს თავისი ლექსებით.<sup>6</sup> ჟურნალი „მნათობი“ 1924 წელს დაარსდა, შესაბამისად ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ უბის წიგნაკში პოეტს ამოუწერია სტროფები და ტაეპები ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან.<sup>7</sup> კვლევამ ცხადყო, რომ ყველა ამონაწერი გაკეთებულია აკაკი შანიძის წიგნიდან „ქართული ხალხური

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-661, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 570-572.

<sup>2</sup> ქლმ, დ-326, გვ. 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 10.

<sup>3</sup> ქლმ, დ-661, 12-13 ; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 583-586.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-335, გვ. 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 78.

<sup>5</sup> ქლმ, დ-640, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 18.

<sup>6</sup> ქლმ, დ-640, 13-16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 7.

<sup>7</sup> ქლმ, დ-418; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 25-32.

პოეზია. I. ხევსურული“. ეს წიგნი 1931 წელს გამოიცა, შესაბამისად ამონაწერებიც ამ წელს ან მომდევნო პერიოდში უნდა გაეკეთებინა პოეტს.

◇ 1938 წლის 1.VI-ით არის დათარიღებული პოეტის მიერ საგაზაფხულოდ მოსაგვარებელი საკითხების ვრცელი სია.<sup>1</sup> უცნაურია, რომ გალაკტიონს ივნისის დასაწყისში გადაუწყვეტია გაზაფხულისათვის მომზადება. ამასთანავე ჩამონათვალს გვერდით მიწერილი აქვს, რომელ დღეს უნდა შესრულდეს კონკრეტული ამოცანა. მაგ., „თეთრეულის სამრეცხველოში მიცემა 7/IV; ახალი საცვლები 8/IV“ და ა. შ. აშკარაა, რომ პოეტს არა მეექვსე (VI), არამედ მეოთხე (IV) თვის გეგმა ჩამოუწერია. 1938 წლის აპრილის სხვა ჩანაწერებიც მოწმობს, რომ ამ პერიოდში გალაკტიონი გეგმავს საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას.<sup>2</sup> მამასადაძმე, სიის თავში დასმული თარიღი „1.VI“ კალმისმიერი ლაფსუსია და სინამდვილეში გალაკტიონს განზრახული ჰქონდა დაეწერა „1.IV“. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პოეტის სხვა ჩანაწერებშიც ვხვდებით მსგავსი სახის ლაფსუსებს.

◇ ჩანაწერი, რომელშიც ასახულია მზადება მარჯანიშვილის თეატრში გასამართი სადამოსათვის, დათარიღებულია ასე: „შაბათი, 30 ოქტომბერი“.<sup>3</sup> ჩანაწერი გაკეთებულია 1944 წლის შემდეგ, რადგან ჩანს, რომ გალაკტიონი უკვე მეცნიერებათა აკადემიის წევრია. ჩანაწერში ფიგურირებენ ივანე გვინჩაძე, გრიგოლ ორახელაშვილი, სომონ ჩიქოვანი და სხვ. პოეტის სხვა ჩანაწერების და ამ რეალიების გათვალისწინებით<sup>4</sup> აშკარაა, რომ საუბარია 1948 წლის 9 ნოემბრის ღონისძიებაზე. შესაბამისად, ჩანაწერი 1948 წლის 30 ოქტომბრით დათარიღდა.

◇ გალაკტიონს ვრცელი ამონაწერები გაუკეთებია რუსულ ენაზე გამოცემული „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მე-11 ტომიდან,<sup>5</sup> რომელშიც მოთავსებულია გიორგი აბზიანიძის საენციკლოპედიო

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-502, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 23.

<sup>2</sup> იხ. მაგ., გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-114, 1; სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 447.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-503, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 27.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-222, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 424.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-503, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 30-32.

სტატია მის შესახებ. დასახელებული წიგნი 1939 წელს გამოიცა, შესაბამისად ამონაწერებიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ დაუთარილებელია „სალიტერატურო გაზეთისადმი“ გასაგზავნი წერილის მონახაზი, რომელშიც გალაკტიონი რომელიღაც კრიტიკულ წერილზე საუბრობს და მოუწიდებს რედაქციას შეასწოროს ის ადგილი, სადაც გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის ალიტერაციებზეა საუბარი.<sup>1</sup> ფანქრით დაწერილი ამ ტექსტის ქვემოთ ბლოკნოტის იმავე გვერდზე ვხვდებით 1940 წლით დათარიღებულ მეღმერთ შესრულებულ ტექსტს (ფილიპე მახარაძისადმი გადასაცემ წიგნზე გასაკეთებელი მიძღვნილი წარწერის მონახაზს. აშკარაა, რომ ეს საცდელი ვერსია მიძღვნილი წარწერისა „სალიტერატურო გაზეთისადმი“ გასაგზავნი წერილის მონახაზის შემდეგაა გაკეთებული, რადგან მიწერილია ფურცლის დარჩენილ, ცარიელ ნაწილზე. აღნიშნულის გათვალისწინებით წერილი „სალიტერატურო გაზეთისადმი“ 1940 წელს ან მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ უთარილოა ჩანაწერი, რომელიც რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის საჭიროებას ეხება.<sup>2</sup> მასში ნახსენებია ეგნატე ნონოშვილის ძეგლი (დაიდგა 1932 წელს), ასევე საუბარია ქართველ ხელოვანებზე – ვანო სარაჯიშვილზე, ზაქარია ფალიაშვილისა და კოტე მარჯანიშვილზე, რომელთაც, პოეტის თქმით, უყვარდათ ერთად გამოსვლა რუსთაველის გამზირზე და რომელთა ძეგლის დადგმის აუცილებლობაზეც მიუთითებს გალაკტიონი. კოტე მარჯანიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი 1933 წელს გარდაიცვალნენ, შესაბამისად ჩანაწერი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული. ტექსტიდან ასევე ჩანს, რომ გამზირზე ჯერ არ არის დადგმული რუსთაველის ძეგლი და ამის მოგვარებას გალაკტიონი უპირველეს ამოცანად მიიჩნევს. რუსთაველის მონუმენტი მისივე სახელობის გამზირზე 1942 წელს დაიდგა. შესაბამისად გალაკტიონის ჩანაწერი 1933-1942 წლების შუალედშია შექმნილი.

◇ ორი უთარილო ჩანაწერი ეხება მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ეგიდით გასამართ სამომავლო ღონისძიებებს.<sup>3</sup> გალაკტიონი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-507, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 53.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-509, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 66-67.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-513, 3, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 83, 85-86.

1955 წლის 17 იანვარს აირჩიეს ამ სექციის ხელმძღვანელად, შესაბამისად ჩანაწერებიც ამ დროის შემდეგ უნა იყოს გაკეთებული.

◇ უთარილოა ჩანაწერი, რომელშიც თავდაცვის დეკადის ფარგლებში 15-დან 25 ნოემბრამდე გასამართი ღონისძიებების შესახებაა საუბარი და რომელიც „ოსო-ავიაქიმის“ მიერ ეწყობა.<sup>1</sup> ეს აბრევიატურა ქართულად იმიფრება, როგორც „საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თავდაცვითი ორგანიზაცია“. იგი 1927 წელს დაარსდა და 1930 წლის 15-25 ნოემბერს მოაწყო თავდაცვის დეკადა.<sup>2</sup> გალაკტიონის ჩანაწერი სწორედ ამ მოვლენას ეძღვნება. იგი 1930 წლის 15 ნოემბრამდე უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთი და იმავე საწერი საშუალებით, წითელი ფანქრით, მიყოლებით არის შესრულებული გალაკტიონის ჩანაწერები ლევ ტოლსტოის მუსიკისადმი დამოკიდებულებაზე და ალექსანდრე ყაზბეგის რედაქციებთან ურთიერთობაზე. ამოწერილია ციტატა ილია ჭყონიას მოგონებიდან ალექსანდრე ყაზბეგზე, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ 1928 წლის №8-9-ში დაიბეჭდა. დასახელებული ნომერი სექტემბრის ბოლოს გამოიცა. გალაკტიონის ჩანაწერებიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ დაუთარილებელია პოეტის მიერ შედგენილი განცხადების ტექსტი, რომლის მიხედვითაც იგეგმება მისი თხზულებების 7 ტომის გამოსვლიდან 5 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება.<sup>3</sup> გალაკტიონის თხზულებათა მეშვიდე ტომი 1950 წელს გამოიცა. ლოგიკურად, ტექსტი 1955 წელს უნდა იყოს შედგენილი, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საღამოს ჩატარების თარიღად მითითებულია 7 მარტი, ორშაბათი დღე. 1955 წლის შვიდი მარტი ორშაბათი იყო.

◇ უთარილოა გალაკტიონის მიერ შედგენილი საინფორმაციო განცხადების ტექსტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო გამომცემლობა მალე გამოსცემს პოემას „ეპოქა“.<sup>4</sup> პოეტის სხვა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მან წიგნი დასაბეჭდად ჩააბარა 1929 წლის 28

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-519, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 107.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1930, №227, გვ. 3.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-526, 9; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 140.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-530, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 149.

ივლისის შემდეგ,<sup>1</sup> შესაბამისად, განცხადების ტექსტიც ამ დროის შემდეგ უნდა შეედგინა.

◇ უთარილოა ჩანაწერები, რომლებიც ერთსა და იმავე ფურცელზეა შესრულებული ერთი და იმავე საწერი საშუალებით (წითელი მელნით). ერთი მათგანი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებას ეხება, მეორე კი მოსაწვევი ბარათის ტექსტის მონახაზია, რომელიც იუწყება, რომ 23 ნოემბერ გაიმართება გალაკტიონის პოეზიის საღამო ბერიას სახელობის კლუბში. ეს ღონისძიება 1940 წლის 23 ნოემბერს ჩატარდა. ივანე ჯავახიშვილი კი იმავე წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა. დასახელებული ჩანაწერებიც დროის ამ შუალედშია შექმნილი.

◇ ერთ ჩანაწერში გალაკტიონი საკუთარ შემოქმედებაზე საუბრობს და თავისი პოეზიის მნიშვნელობის ხაზგასასმელად მიუთითებს, რომ მისი ლექსები ქართული მწერლობის უძველეს ნიმუშებთან ერთად დაბეჭდილია ნიკო მარის უკანასკნელ ხანს გამოცემულ შრომაში.<sup>2</sup> ცნობილი მეცნიერის მოხსენიებული ნაშრომის გამოცემის თარიღად გალაკტიონს 1926 წელი აქვს მითითებული. პოეტის ჩანაწერიც ამ დროის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

◇ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილთან შეხვედრაზე და მასთან გამართულ საინტერესო საუბარზე მოგვითხრობს გალაკტიონი ერთ უთარილო ჩანაწერში.<sup>3</sup> ფაქტის დათარიღების საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოება. კომპოზიტორის შეკითხვაზე, როგორაა პოეზიის საქმე, გალაკტიონი პასუხობს, რომ ემზადებიან მეორე საკავშირო ყრილობისათვის. საბჭოთა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობა 1954 წლის 15 დეკემბერს გაიხსნა მოსკოვში, შესაბამისად, პოეტისა და კოტე ფოცხვერაშვილის შეხვედრაც ამ დრომდე უნდა მომხდარიყო. ზემოთ ნახსენებ ტექსტს იმავე ფურცელზე მოსდევს იდენტური საწერი საშუალებით (შავი ფანქარი) შესრულებული ჩანაწერი, რომელშიც საუბარია მარკ ზლატკინთან შეხვედრაზე.<sup>4</sup> ეს ჩანაწერიც 1954 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდით დათარიღდა.

◇ გალაკტიონს შეუდგენია ჩამონათვალი ქართველი პოეტების იმ ლექსებისა, რომლებიც სამამულო ომის თემაზე შეიქმნა და

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 415, 417, 529.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-552, 12; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 279.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-554, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 288.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-554, 7; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 288.

გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1941-1943 წლებში.<sup>1</sup> უკანასკნელი ბიბლიოგრაფიული ერთეული (კ. ბობოხიძე, „სიმღერა ლ. პ. ბერიაზე“) 1943 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნებულა, შესაბამისად, ეს ჩამონათვალიც ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

◇ ერთმანეთის მიყოლებით, ერთი და იმავე საწერი საშუალებით (შავი ფანქრით) არის შესრულებული გალაკტიონის ჩანაწერები მწერალთა კავშირის მდივან სერგი ჭილაიას ფელეტონისა და მოახლოებული მწერალთა ყრილობის შესახებ. მეორე ჩანაწერში საუბარია საქართველოს საბჭოთა მწერლობის მეოთხე ყრილობაზე, რომელმაც უნდა შეაფასოს ქართული მწერლობის მიერ განვლილი გზა, მოყოლებული მესამე ყრილობიდან (1946 წ.).<sup>2</sup> ქართველ მწერალთა მეოთხე ყრილობა 1954 წლის 1 ივლისს გაიხსნა, შესაბამისად, ორივე ჩანაწერი ამ დრომდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ დაუთარიღებელია პოეტის ჩანაწერი, რომელიც ეხება ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო საღამოს.<sup>3</sup> ფურცელზე ჩამოწერილია ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა და გეგმა. დადგენილია, რომ გალაკტიონი 1922 წლის 3 მარტს აირჩიეს ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს საორგანიზაციო კომისიის წევრად.<sup>4</sup> ეს გეგმაც ამ დროის შემდეგ უნდა შეედგინა პოეტს.

◇ უთარიღოა ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს თხზულებათა მეხუთე ტომის მოსამზადებელი სამუშაოების გეგმას.<sup>5</sup> ჩანაწერში ნახსენებია უკვე გამოცემული მეოთხე ტომი. იმის გათვალისწინებით, რომ პოეტის თხზულებათა მეოთხე ტომი 1947 წლის 28 იანვრის შემდეგ დაიბეჭდა, ახალი წიგნის გეგმა ამ დროის შემდეგ უნდა შეედგინა პოეტს.

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-568, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 350.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-580, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 418-419.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-588, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 461-462.

<sup>4</sup> შ. ბარამიძე, „გენიალურ პოეტთა თანავარსკვლავედში“, საისტორიო მოამბე, 1993/1994 წწ., №65-66. გვ. 168.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-590, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 477-478.



◇ უთარილო ჩანაწერი „გალაკტიონის საღამოები“ შეიცავს პომპეზურ გეგმას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს გალაკტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი, რომელიც 520 თემატურ საღამოს მოიცავს და ასობით მსახიობის, მომღერლისა და პოეტის მონაწილეობას გულისხმობს. ჩანაწერში ერთ-ერთი საღამოს სავარაუდო თავმჯდომარედ ივანე ჯავახიშვილია ნაგარაუდები. ივანე ჯავახიშვილი 1940 წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა, მაშასადამე, ჩანაწერიც ამ დრომდე უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ უთარილო ჩანაწერში გალაკტიონი მსჯელობს, თუ როგორ უნდა იქნას ორგანიზებული მისი საიუბილეო ღონისძიება.<sup>1</sup> ტექსტის დაწერის ზედა ზღვრის დადგენის საშუალებას გვაძლევს ერთ დეტალი. ჩანაწერში ჩამოთვლილნი არიან „მომქმე რესპუბლიკების“ წარმომადგენელი მწერლები, რომელთაც გალაკტიონი მოიაზრებს საიუბილეო კომიტეტის წევრებად. მათ შორის დასახელებულია ბელორუსი მწერალი იაკუბ კოლასი, რომელიც 1956 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა. გალაკტიონის ჩანაწერი ამ დრომდე უნდა იყოს შექმნილი.

◇ უთარილო ჩანაწერში პოეტს ჩამოყალიბებული აქვს სამოქმედო გეგმა<sup>2</sup>. მისი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ერთი რეალია. კერძოდ, გალაკტიონი გეგმავს, რომ „ლიტერატურული გაზეთიდან“ ამოწეროს ლექსი „ხალხი“ და მიუმატოს გადასაბეჭდ მასალებს. ლექსი დასახელებულ გაზეთში 1956 წლის 21 სექტემბერს დაიბეჭდა, შესაბამისად ჩანაწერიც ამის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 105-ე დღიურის მერვე გვერდზე პოეტს ჩაუწერია „გალაკტიონ ტაბიძე, წყალტუბო, 1936 წ. მაისი“. ჩანაწერი გაკეთებულია მწვანე მელნით და მას მოსდევს ამავე მელნით შესრულებული ჩანაწერი დავით კლდიაშვილის შესახებ<sup>3</sup>, რომელიც, ლოგიკურად, 1936 წლის პირველი მაისის მომდევნო პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 106-ე დღიურში 1936 წლის 4 ივნისით დათარიღებულ ჩანაწერს იმავე გვერდზე უშუალოდ მოსდევს პოეტის ჩანაწერი, თუ როგორ გაეცნო იგი სურენ ავჩიანის წერილს,<sup>4</sup> ცნობა ჯაფარიძის სახელობის

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-601, 4; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 17.

<sup>2</sup> ქლმ, დ-619, 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 143.

<sup>3</sup> ქლმ, დ-105; 10; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 380-383.

<sup>4</sup> ქლმ, დ-106; 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 385.

ბიბლიოთეკაში ვარლამ ხუროძის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ<sup>1</sup>, ჩანაწერი მწერალთა ბიუსტების დამზადებაზე დაჯარიმების დაწესების თაობაზე<sup>2</sup>. ყველა ჩანაწერი მწვანე მელნითაა შესრულებული. ამ გარემოებაზე დაყრდნობით ზემოხსენებული ჩანაწერები 1936 წლის 4 ივნისის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 106-ე უბის წიგნაკში ვხვდებით რუსულენოვან ჩანაწერს საბჭოთა მწერლის დანიშნულების შესახებ.<sup>3</sup> იგი გაკეთებულია 1936 წლის 9 ივნისის ჩანაწერის შემდეგ. იდენტურია საწერი საშუალება – მწვანე მელანი. აღნიშნულის საფუძველზე ჩანაწერი 1936 წლის 9 ივნისის მომდევნო პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 107-ე უბის წიგნაკი გალაკტიონის მიერ დათარიღებულია 1936 წლის ივნის-ივლისით. შესაბამისად, დაუთარიღებელი ჩანაწერები: ძველ დროში არსებული ურთიერთობების შესახებ<sup>4</sup>, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლის გრიგოლ კალანდარიშვილის ტელეფონის ნომერის ამსახველი ჩანაწერი<sup>5</sup>, არაკი „მეწიქვილის შვილი“<sup>6</sup> 1936 წლის 1 ივნისის მომდევნო პერიოდით დავათარიღეთ.

◇ 110-ე უბის წიგნაკში ვხვდებით 1937 და 1938 წლით დათარიღებულ მასალებს, რომელთა ჩაწერის პრინციპიც არათანმიმდევრულია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უადრესი მასალა 1937 წლის 12 თებერვლით თარიღდება და ჩანაწერები ერთნაირი, შავი ფანქრითაა გაკეთებული, დაუთარიღებელი ჩანაწერები: ა. აბაშელის ტელეფონის ნომერი<sup>7</sup>, ჩანაწერი აღმართისა და დაღმართის მონაცვლეობაზე<sup>8</sup> ამონაწერები ენციკლოპედიებიდან სტუდიისა<sup>9</sup> და ათონის

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-106; 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 385.

<sup>2</sup> ქლმ, დ-106; 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 385.

<sup>3</sup> ქლმ, დ-106, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 387.

<sup>4</sup> ქლმ, დ-107, 6; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 389.

<sup>5</sup> ქლმ, დ-107, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 392.

<sup>6</sup> ქლმ, დ-107, 17-19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 393.

<sup>7</sup> ქლმ, დ-110, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 417.

<sup>8</sup> ქლმ, დ-110, 11; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 419.

<sup>9</sup> ქლმ, დ-110, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 419.

მონასტრების,<sup>1</sup> ღირსი თეოდოსი პეჩორელის შესახებ<sup>2</sup>, ამონაწერები ალიო მამაშვილის პოემიდან „მე და ბარათაშვილი“<sup>3</sup> თამარა ჩუჩულაშვილის ჩანაწერი<sup>4</sup>, ჩანაწერი აზერბაიჯანელების მიერ საუბარში ქართული სიტყვების გამოყენებაზე,<sup>5</sup> მოსკოვის ქიმიური ფაბრიკის მიერ გამოშვებული სამედიცინო პროდუქციის ანოტაციები<sup>6</sup>, ხალხური ლექსი „ზესტაფონო..“<sup>7</sup>, ჩანაწერები სიტყვა „ჭყვიშის“ მნიშვნელობისა<sup>8</sup> და ვეფხის ტყავის კეპების შესახებ<sup>9</sup>, გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ავტორთა სია<sup>10</sup>, ხალხურ ლექსი „საქმე თუ ვინმეს გიჭირდეს...“<sup>11</sup>, ჩანაწერი „დედა ენა“<sup>12</sup> დავათარილეთ ამგვარად: „1937 წელი ან შემდეგ“.

◇ 107-ე უბის წიგნაკში დაუთარილებელია პოეტის მიმართვა აჭარელი მშრომელებისა და მასწავლებლებისადმი,<sup>13</sup> ილარიონ ჟღენტის ტელეფონის ნომერი,<sup>14</sup> ჩანაწერი ჰორტენზიების შესახებ,<sup>15</sup> ჩანაწერი ქობულეთის სადგურში სასადილოში მომხდარი ფაქტის შესახებ<sup>16</sup> რომლებიც მოსდევს 1936 წლის 18 სექტემბრის ჩანაწერს და მის მსგავსად, შავი ფანქრითაა შესრულებული. აღნიშნული გარემოების საფუძველზე ჩანაწერი 1936 წლის 18 სექტემბრის მომდევნო პერიოდით დავათარილეთ.

◇ 108-ე უბის წიგნაკში პოეტს ჩაუწერია სამტრედიამი ძმასთან გასაგზავნი დეკემბის მონახაზი, რომელშიც სთხოვს, დაუყოვნებლივ

---

<sup>1</sup> კლმ, დ-110, 17-21; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 420-421.

<sup>2</sup> კლმ, დ-110, 14-15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 419-420

<sup>3</sup> კლმ, დ-110, 24; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 421.

<sup>4</sup> კლმ, დ-110, 28; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 421-422.

<sup>5</sup> კლმ, დ-110, 58; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 423-424.

<sup>6</sup> კლმ, დ-110, 64; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 423-424.

<sup>7</sup> კლმ, დ-110, 61-62; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 424-425.

<sup>8</sup> კლმ, დ-110, 58; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 425

<sup>9</sup> კლმ, დ-110, 54; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 426.

<sup>10</sup> კლმ, დ-110, 51; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 427.

<sup>11</sup> კლმ, დ-110, 54; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 428.

<sup>12</sup> კლმ, დ-110, 43; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 429.

<sup>13</sup> კლმ, დ-107, 25; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 395.

<sup>14</sup> კლმ, დ-107, 30; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 396.

<sup>15</sup> კლმ, დ-107, 31-32; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 396.

<sup>16</sup> კლმ, დ-107, 41; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 398.

ჩამოვიდეს, რადგან მიხაილოვსკის საავადმყოფოში მოხვდა.<sup>1</sup> ტექსტი უსწრებს 1936 წლის 27 ოქტომბრის ჩანაწერს და ამ დრომდე უნდა იყოს შესრულებული.

◇ 108-ე უბის წიგნაკში 1936 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერს მოსდევს დაუთარიღებელია ჩანაწერი თხზულებათა მესამე ტომის მასალების შესახებ<sup>2</sup>, რომელიც 1936 წლის 5 ნოემბრის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ 109-ე უბის წიგნაკში დაუთარიღებელი ჩანაწერი „მესამე ტომისათვის“<sup>3</sup> წინ უძღვის 1937 წლის 15 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერს (ორივე მსგავსი ფანქრითაა შესრულებული) და მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ 109-ე უბის წიგნაკში ციტატა აკაკის „თორნიკე ერისთავიდან“<sup>4</sup>, ჩანაწერები ალექსანდრე აბაშელისა<sup>5</sup> და თხზულებათა მესამე ტომის შესახებ<sup>6</sup> მოსდევს 1937 წლის 15 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერს და მის მსგავსად შავი ფანქრითაა ჩაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩანაწერი 1937 წლის 15 თებერვლის მომდევნო პერიოდით დათარიღდა.

◇ გალაკტიონის დეიდაშვილის ამბერკ ჯულაყიძის მოგონების მიხედვით, პოეტი მას საკუთარ ლექსებს უკითხავდა, როცა იგი 11 წლის იყო და სწავლობდა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში.<sup>7</sup> პირველ კლასში გალაკტიონი სწავლობდა 13 წლის ასაკიდან, 1904 წლიდან. შესაბამისად, მოგონებაში არასწორად უნდა იყოს მითითებული ან წელი, ან ასაკი. ამიტომ ვუთითებთ დროის ინტერვალს, რომელიც 11 წლის ასაკსაც მოიცავს და 1904 წელსაც (1902-1904 წწ).

◇ ვახტანგ გორგანელის მოგონების თანახმად, გალაკტიონს ლიტერატურული სადამო გაუმართეს გურჯაანში, ღონისძიებაზე

---

<sup>1</sup> ქლმ, დ-108, 5; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 401.

<sup>2</sup> ქლმ, დ-108, 14; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 403.

<sup>3</sup> ქლმ, დ-109, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 411

<sup>4</sup> ქლმ, დ-109, 13; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 414.

<sup>5</sup> ქლმ, დ-109, 16; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 415.

<sup>6</sup> ქლმ, დ-109, 19; გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 416.

<sup>7</sup> ჰოი, ბავშვობის დღეებო, „ახალი ქართული გაზეთი“, 1998, №98, 17 ნოემბერი, გვ. 8.

მიმავლებმა პროდუქტი იყიდეს სოფელ მანავთან, გალაკტიონსა და მოხუც გამყიდველს შორის კი საინტერესო საუბარი გაიმართა<sup>1</sup>. ვახტანგ გორგანელის მოგონებაში აღნიშნულია, რომ გურჯაანში მიმავალი გალაკტიონის მეგზურობა მას დაავალა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა. სიმონ ჩიქოვანი ამ თანამდებობას იკავებდა 1944–1951 წლებში. მოგონების მიხედვით, გალაკტიონის მეორე თანამგზავრია გიორგი ქუჩიშვილი, რომელიც 1947 წელს გარდაიცვალა. შესაბამისად, ფაქტი უნდა მომხდარიყო 1944-47 წლების შუალედში.

◇ თეიმურაზ ჯანგულაშვილის მოგონებაში აღწერილია, როგორ შეეკითხა მას გალაკტიონი, შემთხვევით ლექსებს ხომ არ წერო და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ შეაქო, ჩვენში ბევრი წერს ლექსებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული რიგიანად არ იციან, ლექსის წერა კი ძნელია, ძალზე ძნელიო.<sup>2</sup> მოგონებაში ნახსენებია „ლიტერატურული გაზეთი, რომელიც ჯერ 1934-1935 წლებში გამოდიოდა, შემდეგ კი განახლდა 1953 წელს. 1935 წელს თეიმურაზ ჯანგულაშვილი ჯერ კიდევ 12 წლის იქნებოდა, შესაბამისად, ეს შეხვედრა უნდა მომხდარიყო 1953 წლის 13 თებერვლის, გაზეთის განახლების შემდეგ.

◇ თამაზ ბიბილურის მოგონების მიხედვით, ზამთრის ერთ დღეს გალაკტიონი შეხვდა ახალგაზრდა მწერლების ჯგუფს (ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახიძე, თამაზ ბიბილური) და საინტერესო საუბარი გაუბა.<sup>3</sup> ფაქტის დათარიღება შესაძლებელია შემდეგ გარემოებაზე დაყრდნობით: მოგონების ავტორი ახალგაზრდა მწერლებს მოიხსენიებს, როგორც თანაჯგუფელებს. ჩამოთვლილმა ავტორებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაასრულეს 1956 წელს. შესაბამისად, სტუდენტები უნდა გამხდარიყვნენ 1951 წელს და ფაქტიც შემდეგ უნდა მომხდარიყო.

---

<sup>1</sup> ვ. გორგანელი, თითქოს გუშინ იყო, ჟურნ. „დროშა“ 1993, № 8-9, გვ. 20-21.

<sup>2</sup> თ. ჯანგულაშვილი, „ნახტომი ცისკენ“, ჟურნ. „ცისკარი“, 1992, №8, გვ. 103.

<sup>3</sup> თ. ბიბილური, ფრაგმენტები, ჟურნ. „კლდეკარი“ 1993, №1, გვ. 123-124.

მატიანეს შესადგენად ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის ოსაძიებლად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დღიურის ტიპის ჩანაწერებს. გალაკტიონ ტაბიძის არქივში ასეთი ჩანაწერები ძალიან დიდი რაოდენობითაა, მაგრამ მათ ახასიათებს ფრაგმენტულობა, აზრის დაუსრულებლობა და ბუნდოვანება. ამიტომ ყველაზე დიდი ძალისხმევა და კომპლექსური კორპუსული კვლევა დასჭირდა მათ საფუძველზე სრულყოფილი ანოტაციების ჩამოყალიბებას.

◇ გალაკტიონ ტაბიძე უბის წიგნაკის ერთ-ერთ უთარილო ჩანაწერში აღნიშნავს, რომ იმდღევანდელ კომუნისტში ვ. წულუკიძის წერილია „ხორვარდანი ჰაისტან“. სათაური პოეტს არასწორად ჩაუნიშნავს, მაგრამ კომუნისტის თანამშრომლის ვასო წულუკიძის სტატია „ხორჰუდანი ჰაისტან“ გამოქვეყნდა გაზეთის 1929 წლის 28 ივლისის ნომერში (N171, გვ. 3) და ამ ჩანაწერში გადმოცემული ფაქტებიც შესაბამისად დავათარილეთ.

◇ გალაკტიონის არქივში დაცულ ერთ ფურცელზე ხატია ადამიანის სახის კარიკატურული გამოსახულება, დიდი ყურებით, სქელი წარბებითა და ულვაშებით და ნახატის აქეთ-იქით წერია „გ. მუშიშვილი“ და „მარცხი“<sup>1</sup>. ეს ჩანაწერი უნდა ეხმიანებოდეს გრიგოლ მუშიშვილის დაპატიმრებას 1937 წლის 25 სექტემბერს და ამ ფაქტის მომდევნო დღეებში უნდა იყოს გაკეთებული. ამას ადასტურებს მეორე ჩანაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ მაქსიმ გორკის იუბილემდე 6 თვე არის დარჩენილი. 1937 წლის სექტემბრის ბოლოდან 1938 წლის მარტის ბოლომდე მართლაც 6 თვეა. შესაბამისად, ჩანაწერს ვათარილებთ 1937 წლის 25 სექტემბრის შემდგომი პერიოდით. ამავე პერიოდით დავათარილეთ თავად მაქსიმ გორკის იუბილის შესახებ გაკეთებული ჩანაწერიც და ის მინიშნებაც, რომ გალაკტიონს ამ ვადებში უნდა მოესწრო თემის დაწერა სათაურით „გორკი და ახალგაზრდობა“.


◇ ამავე რვეულის წინა ფურცელზე გალაკტიონს უწერია ძირიდან „ოქრო“ ნაწარმოები სიტყვები, გრამატიკული ფორმები და „ქრ“

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა №90, გვ. 4.

ბგერათშეერთების შემცველი სხვა სიტყვები<sup>1</sup>. რამდენადაც ეს ჩანაწერი ჩვენ მიერ 1937 წლის 25 სექტემბრის მომდევნო პერიოდით დავათარილებულეზზე წინ წერია და არ ვიცით, რამდენად უფრო ადრეულია, მას მიახლოებით ვათარილებთ 1937 წლის სექტემბრით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ერთი ჩანაწერი თავისი შემოქმედების შესახებ პუბლიკაციებზე<sup>2</sup> გაკეთებული უნდა იყოს 1911 წლის 26 აპრილის შემდეგ, რადგან მასში ნახსენებია აკაკი პაპავას 1911 წლის 26 აპრილის სტატია. რაც შეეხება მეორე გვერდზე ჩაწერილ თარგმანებს, გრაფიმატული მონაცემებით ისინიც 1911 წლით ან შემდგომი პერიოდით თარიღდება.

◇ ზოგჯერ ერთსა და იმავე რვეულში ან უბის წიგნაკში სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერებია. მაგალითად, 96-ე უბის წიგნაკში<sup>3</sup> 1935 წლის არაერთი ჩანაწერია. მათ შორის ზოგი თარიღიანია (მაგ. გვ. 6, 37, 64), ზოგი კი პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის მიმდინარე ამბებს ასახავს და, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ უთარილოა, ცალსახად 1935 წლისაა. როგორც ჩანს, უბის წიგნაკის თავისუფალ გვერდებზე და ფურცლის თავისუფალ ადგილებში არის გვიანი ჩანაწერებიც, მათ შორის, თარიღიანები: მაგალითად, 1936 წლისა (გვ. 10, 20, 23, 42, 59, 71, 73, 79) და 1938 წლისა (გვ. 16, 56). ასეთ ვითარებაში, ჩანაწერს, რომელიც სრულიად უთარილოა ან მხოლოდ თვე და რიცხვი აწერია,



მექანიკურად კონკრეტული წლით ვერ დავათარილებთ, აუცილებელი ხდება დამატებითი არგუმენტირება. ასე მაგალითად, ამ უბის წიგნაკის 45-ე გვერდზე არის 24 ივლისის ჩანაწერი ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის მოსმენით მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ეს ჩანაწერი გაკეთებულია შედარებით იშვიათად ხმარებული მწვანე მელნით, მაგრამ ამავე უბის წიგნაკში ამ მელნით შესრულებული არაერთი

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა №90, გვ. 1-2.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N21.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, ქლმ, დ-96.

თარიღიანი ჩანაწერია, როგორც ამ უთარილოს წინ (გვ. 10), ისე მის შემდეგ (59, 71, 79). შესაბამისად, ეს ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს 1936 წლის 24 ივლისს. მართალია, გალაკტიონი ამ დროს მოსკოვში არ იმყოფებოდა, მაგრამ რადიოთი გადმოიცემოდა ხოლმე როგორც მთელი კონცერტები, ისე ცალკეული ნომრები. როცა ჩანაწერი კონცერტიდან იყო ხოლმე გაკეთებული, ისმოდა ტაშის ხმაც. რაც შეეხება ამავე უბის წიგნაკში 31-ე გვერდზე ლურჯი მელნით გაკეთებულ ჩანაწერსა და ამავე მელნით აქვე გაკეთებულ სხვა ჩანაწერებს, ისინიც 1936 წლისაა. მე-20 და 23-ე გვერდებზე ორივეგან წერია 5.IV. 36. შესაბამისად, 31-ე გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი ცისფერყანწელების შესახებ 1936 წლის აპრილისა უნდა იყოს.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ უთარილო ჩანაწერში, რომელშიც საუბარია ჩინეთის მწერალთა დელეგაციის თბილისში ჩამოსვლაზე, ნახსენებია, რომ საქედის ინფორმაციით ისინი 30 ნოემბერს ჩამოვიდნენ<sup>1</sup>. საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტი“ 1951 წლის 2 დეკემბრის ნომერში<sup>2</sup> და პოეტს ამონაწერი იმავე დღეს ან შემდგომ შეემლო გაეკეთებინა, მაგრამ, რაც შეეხება ქართველ მწერლებთან შეხვედრას, ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტი“ 4 დეკემბრის ნომერში<sup>3</sup>, რაც დროის უფრო დაზუსტების საშუალებას გვაძლევს. შესაბამისად, ეს ჩანაწერი ამ დღეს ან მომდევნო პერიოდში უნდა იყოს გაკეთებული.

◇ გალაკტიონ ტაბიძის მიერ შედგენილ ერთ-ერთი შემოქმედებითი საღამოს განცხადებაში ნათქვამია, რომ მასში მონაწილეობას იღებს კარპეზ დონდუა<sup>4</sup>. რამდენადაც განცხადებიდან ჩანს, რომ ის სტუდენტია, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს 1911 წლისა, როდესაც იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო გარიცხეს და მცირეხნიანი პატიმრობა-გადასახლების შემდეგ დააბრუნეს ქუთაისში. დროის სავარაუდო ინტერვალის ზედა ზღვრად უნდა ავიღოთ 1914 წელი,

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 51; გ. ტაბიძე, სგ. წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 198-199.

<sup>2</sup> თბილისის ჩამოვიდა ჩინეთის ლიტერატურულ მოღვაწეთა დელეგაცია, გაზ. კომუნისტი“, 1951, 2 დეკემბერი, N283, გვ. 1..

<sup>3</sup> ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწენი სტუმრად ქართველ მწერლებთან, გაზ. კომუნისტი“, 1951, 4 დეკემბერი, N284, გვ. 3.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა №89, გვ. 1.



როდესაც იგი აღადგინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში და 1914 წლამდე იქ სწავლობდა და მოღვაწეობდა. შესაბამისად, ჩანაწერი 1911-1914 წლების ინტერვალში უნდა იყოს გაკეთებული.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში პოეტი მესამე პირში აღწერს თავის პირველ გამოჩენას ლიტერატურის ასპარეზზე და კრიტიკოსთა გამოხმაურებებს<sup>1</sup>. გრაფიტის ფანქრით გაკეთებულ ამ ჩანაწერს წინ უსწრებს ასეთივე ფანქრით ნაწერი ტექსტი, რომლიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონის პოეტების მეფედ არჩევის მომდევნო დღეც გასულია („გუშინ გალაკტიონი მეფედ აურჩევიათ – გვატყობინებს...“), ხოლო შემდეგ მოსდევს ჩანაწერი, რომელიც 1921 წლის 12 მარტით არის დათარიღებული. შესაბამისად, ჩანაწერს ვათარიღებთ ინტერვალით: 1921 წლის 27 იანვარი-12 მარტი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ტაბიძის ერთი საერთო რვეულის დასაწყისში სათაურის ქვეშ „არიფის შენიშვნები“ თანმიმდევრულად არის მოთავსებული

საარქივო გამოცემაში  
თარიღებით: 21, 23 და  
24 აგვისტო



გაკეთებული

ჩანაწერები<sup>2</sup>, მაგრამ ავტოგრაფში პირველი თარიღი აშკარად იწვევს ეჭვს. გადიდებულ გამოსახულებაზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ „აგვისტო“ გადაკეთებულია სიტყვად „ოკტომბერი“<sup>3</sup>. 21 რიცხვის ჩანაწერის ბოლო სიტყვები: „გადავწყვიტეთ, ზეგ ვიყვეთ კახეთში“ და 23 რიცხვის ჩანაწერის ფრაზა: „23 აგვისტოს... ვიყავით კახეთში“ მიგვანიშნებს, რომ ჩანაწერები რამდენიმე დღიანი ინტერვალის ფაქტებს ასახავს. რამდენადაც გურამ რჩეულიშვილის ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობიდან გამოცდილება გვექონდა, რომ დღიურში ავტორს შეიძლება რამდენჯერმეც კი ეშლებოდეს თვის სახელი<sup>4</sup>, გადავწყვიტეთ, გადაგვემოწმებინა, ხომ არ შეიძლება, რომ ამ

<sup>1</sup> ქლმ, დ-5, გვ. 31-32. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 47; 523.


<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 344-345.

<sup>3</sup> ქლმ, დ-29, გვ. 1-3.

<sup>4</sup> მია ნინიძე, ბიობიბლიოგრაფიული კვლევის ბონუსები და პარადოქსები, წიგნში „კვლევები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინანისთვის“, 2022, გამომც. „საჩინო“, გვ. 206

ჩანაწერებში ყველგან „ოქტომბერი“ მოიაზრებოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებო აღმოჩნდა „23 აგვისტოთი“ დათარიღებული ჩანაწერის ფრაზა: „ვიცინეთ, ვიმხიარულეთ, ვიმღერეთ, ვსვით მაჭარი“. ნაკლებ სავარაუდოა, რომ არიფიონელებს კახეთში მაჭარი აგვისტოს თვეში ესვათ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ გალაკტიონმა ამ ჩანაწერების გაკეთების შემდეგ შენიშნა, რომ „აგვისტო“ ეწერა „ოქტომბრის“ ნაცვლად, პირველ ჩანაწერთან გაასწორა, მაგრამ სხვაგან თავი აღარ შეუწუხებია, რამდენადაც ყველა ტექსტი დროის მოკლე მონაკვეთს ეხებოდა, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ დანარჩენი ორი ჩანაწერის ამბებიც ოქტომბერში ხდებოდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი უბის წიგნაკი იწყება თარიღით „1948 19-20 ნოემბერი“ და მასში მოსკოვში გაკეთებული ჩანაწერებია მოთავსებული<sup>1</sup>. ამ უბის წიგნაკის შემდეგი თარიღიანი ჩანაწერები მოთავსებულია 28-31 გვერდებზე. ეს არის კანდიდ ჩარკვიანისა და როსტომ შადურისთვის მოსკოვიდან გასაგზავნი დეკემბრის ტექსტები. ისინი რუსულად არის ნაწერი და ორსავეში არის თხოვნა, ნება დართონ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავი საღამოს ოპერის თეატრში ჩატარებაზე. პირველ ტექსტში საღამოს თარიღად წერია 20 დეკემბერი, მეორეში კი – 20 ნოემბერი<sup>2</sup>. ამ ჩანაწერების წინა ორ გვერდზე პოეტს შეუდგენია დეკემბრის თვის კალენდარი. როგორც ჩანს, შესაფერის დღეს არჩევდა საღამოსთვის. კალენდარში ჩამოწერილია თარიღები 1-დან 20-ის ჩათვლით და მიწერილია კვირის დღეები<sup>3</sup>. როგორც ჩანს, გალაკტიონი არჩევდა ორშაბათ დღეს დეკემბრის ბოლო დეკადაში. ამიტომ კალენდრის ჩამოწერა შეწყვიტა სიტყვებზე „20 ორშაბათი“ და ამ სახელდახელო კალენდრის გასწვრივ დიდი ასოებით მიაწერა „20 დეკემბერი“. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ განცხადებაში ორივეგან უნდა ყოფილიყო „20 დეკემბერი“. რამდენადაც საღამოს ჩატარებაზე ნებართვის მიღების შემდეგ მის მოსამზადებლად უამრავი სამუშაო



<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-223, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 429.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-223, გვ. 28-31; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 434.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-223, გვ. 26-27.

იქნებოდა შესასრულებელი, დეპეშები მოსკოვიდან 20 დეკემბრამდე კარგა ხნით ადრე უნდა გაეგზავნა. ლოგიკას რომ მივყევთ, პოეტს კალენდრის შედგენა ისეთი თარიღით უნდა დაეწყო, რომელიც ჯერ არ იყო დამდგარი, მაგრამ თარიღისა და კვირის დღის შესაბამისობაში ექვი რომ არ ეპარებოდა. რადგან კალენდარი 1 დეკემბრით იწყება, იგი ამ რიცხვამდე უნდა იყოს ჩაწერილი და თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი ეს გამოთვლა დეპეშებში თარიღის მისათითებლად სჭირდებოდა, კალენდარიც და დეპეშებიც 1 დეკემბრამდე უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც თვედ ერთგან მექანიკურად „ნომბერი“ დაწერა, უფრო სავარაუდოა, რომ ნომბრის ბოლო ყოფილიყო. მეორე დეპეშაში ნათქვამია, რომ თბილისში „ზეგ“ იქნება. შესაბამისად მის თბილისში დაბრუნებას ვათარიღებთ 3 დეკემბრამდე პერიოდით. რაც შეეხება ამ უბის წიგნაკში ზემოხსენებულ კალენდრამდე ჩაწერილ ტექსტებს, ყველას ვათარიღებთ 19-30 ნომბრით, ხოლო დეპეშების შემდეგ ჩაწერილებს, 2 დეკემბრამდე პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთი ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ის არის სოფელ ფარცხნალის სკოლის მასწავლებელი და საკონკურსოდ აგზავნის ლექსს „ირემი და ქალი“<sup>1</sup>. მიხეილ ბოჭორიშვილის 1911 წლის 18 აპრილის წერილიდან<sup>2</sup> ჩანს, რომ საუბარი უნდა იყოს გაზეთ „თემის“ მიერ გამოცხადებულ პოეზიის კონკურსზე, რომლისთვისაც ლექსები 1 ივნისამდე უნდა გადაეგზავნათ. შესაბამისად, გალაკტიონის ჩანაწერს ვათარიღებთ 1911 წლის 1 ივნისამდე პერიოდით.

◇ ერთ-ერთი უთარიღო ჩანაწერით, რომელიც რუსულ ენაზე<sup>3</sup> და წარმოადგენს განცხადების შავ პირს, გალაკტიონი იმერეთის სკოლების ხელმძღვანელობისგან ითხოვს აგვისტოს ხელფასის ანაზღაურებას. რამდენადაც მან მასწავლებლად მუშაობა ფარცხნალში 1910 წლის 22 ოქტომბერს დაიწყო, 1912 წელს კი სკოლა უკვე დახურული იყო, აგვისტოში 1911 წლის აგვისტო უნდა იგულისხმებოდეს და იგი აგვისტოს შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამავე ფურცელზე არის განცხადების მოკლე მონახაზი ლექსების წიგნზე ხელმოსაწერად, რომელიც გალაკტიონმა 1911 წლის 18 აგვისტომდე შეადგინა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ჩანაწერი, გტცა, №967, გვ. 2.

<sup>2</sup> მიხეილ ბოჭორიშვილის წერილი, გტცა, №845, 1-5.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №567, გვ. 2.

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 540.

შესაბამისად, ლექსები, რომლებიც ამავე ფურცლის რექტოზეა ნაწერი, 1911 წლის აგვისტოთი ან მანამდე პერიოდით დავათარილეთ.

◇ გალაკტიონ ტაბიძეს რითმების დიდი რაოდენობა აქვს ჩამოწერილი პეტერბურგის თამბაქოსა და ქაღალდის საბითუმო ვაჭრობის სავაჭრო სახლის სარეკლამო ფურცლებზე, რომლებსაც აწერია ТОРГОВЫЙ ДОМ «Г. С. СЕМЕНОВ» (ОПТОВАЯ ТОРГОВЛЯ ТАБАКОМ И БУМАГОЙ)<sup>1</sup>. ეს ამხანაგობა 1917 წლის 1 ივნისს გაუქმებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, 1918 წლის ივნისის ბოლოს პეტერბურგში ყოფნისას გალაკტიონს ხელში ჩაუვარდა ეს ფურცლები და საწერად გამოიყენა. არადამაჯერებელი იქნებოდა, რომ გაუქმებული ორგანიზაციის სარეკლამო ფურცლები წლების განმავლობაში შეენახა და შემდეგ გამოეყენებინა.

◇ გალაკტიონს ერთგან ჩაწერილი აქვს თავისი სიტყვის მონახაზი, რომლითაც უნდა გამოსულიყო ვაჟა-ფშაველას მისასალმებლად რაღაც საღამოზე. ფრაზა „ამას არც ვაჟა მიიღებს“<sup>2</sup> (იგულისხმება ზედმეტი ქება), აშკარად მოწმობს, რომ შეხვედრას ვაჟაც ესწრება. შესაბამისად, ჩანაწერს, ისევე, როგორც ამავე ფურცელზე ამ ტექსტის შემდეგ ჩაწერილ ტექსტებს, ვათარილებთ მისი გარდაცვალების დროის მიხედვით, 1915 წლის 27 ივნისამდე პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ უბის წიგნაკში 1951 წლის ჩანაწერებია<sup>3</sup>. თითქმის ყველა ფურცელი თავდაპირველად ფანქრით არის ნაწერი და ფანქრითვე არის ბოლოში გაკეთებული სარჩევი, მაგრამ, როგორც ჩანს, დღიურის შევსების შემდეგ მას თავიდან გადაუხედავს მთელი დღიურისთვის, რაღაცეები ჩაუსწორებია და რაღაცეები შეუვსია. პირველსავე გვერდზე ფანქრით წერია, რომ გალაკტიონმა 14 დეკემბერს თავი დაანება თამბაქოს მოწევას. იმავე გვერდზე მოთავსებული ასევე ფანქრით გაკეთებული მეორე ჩანაწერის მიხედვით, პირველი თოვლი მოვიდა კვირას, 16 დეკემბერს. საგანგებოდ გადავამოწმეთ წელი და 16 დეკემბერი ნამდვილად ემთხვეოდა კვირას. შესაბამისად, ამ უბის წიგნაკში ფანქრით გაკეთებული ყველა მომდევნო ჩანაწერი 16 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული. ლურჯი მეღწით უბის

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №575, გვ. 1-4.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №587, გვ. 1.

<sup>3</sup> ქლმ, დ-270.

წიგნაკის შუაში გაკეთებული ერთი ჩანაწერი 24 დეკემბრით არის დათარიღებული. შესაბამისად, ლურჯ მელანზე 24 დეკემბრამდე გადასულა, პირველ გვერდზე ამავე მელნით გაკეთებული ჩანაწერი კი ზუსტად მიუთითებს, რომ 26 დეკემბერს არის გაკეთებული: „26 დეკემბერს კიდევე ჰყრია ჩვენს ბაღში თოვლი, მოსული 16 დეკემბერს“. შესაბამისად, ლურჯი მელნის ყველაზე გვიანდელი კვალი 26 დეკემბერს ჩანს. ამავე მელნით გაკეთებული მეორე ჩანაწერიდან („მალე შედარებით ჯანმრთელი გაეწერება სახლში“) ჩანს, რომ ამ ჩანაწერებზე საავადმყოფოში წოლისას მუშაობდა. ფანქრით ნაწერ შრეს ვათარიღებთ 16 დეკემბრის შემდგომი პერიოდით, მელნით ნაწერს კი – 26 დეკემბრამდე პერიოდით.

◇ 1952 წლის ერთ-ერთ უბის წიგნაკში<sup>1</sup> განსხვავებული მელნით არის გაკეთებული ჩანაწერი 1954 წელს გალაკტიონის მოსკოვში ყოფნის პერიოდის შესახებ. რამდენადაც მოსკოვში უნდა ჩასულიყო 1954 წლის 15 დეკემბერს, ჩანაწერს ვათარიღებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით. ალექსი სურკოვის შესახებ ნათქვამი „1954 წ. გადამიხადა – მოსკოვში“ უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ იმ დროს ალექსეი სურკოვი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო და, როგორც ჩანს, მისი ხელი ერია იმაში, რომ გალაკტიონი პრეზიდენტის ნაცვლად ქანდარაზე აღმოჩნდა<sup>2</sup>.

◇ გალაკტიონის ერთ უბის წიგნაკში<sup>3</sup> ორიოდე ჩანაწერთან ზუსტი თარიღია მითითებული, მაგრამ წელი არსადაა აღნიშნული. ერთგან პოეტი ახსენებს პიერ ამპის წიგნს „Золотоискатели“, რომელიც 1924 წელს გამოიცა და ამით გავარკვევით, რომ უბის წიგნაკი 1924 წელზე ადრეული ვერ იქნებოდა, მაგრამ აქვე არის ნახსენები ცაკის მიერ გამოცემული საქართველოს რუკა, ეს კი მოხდა 1930 წელს. შესაბამისად, უბის წიგნაკში მითითებული თარიღები 1930 წელს უნდა შეესაბამებოდეს.



<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 280, გვ. 312; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 284.

<sup>2</sup> მ. ქვლივიძე, გალაკტიონი მოსკოვში(მწერალთა ყრილობაზე და დეკადაზე), მოგონებანი გალაკტიონზე, გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 275-276.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-49

◇ გალაკტიონის ჩანაწერები სათაურით „შინაური საქმეები გარეულ საქმეებზე“, რომლებშიც საუბარია გაზეთში „შინაური საქმეები“ თვითმკვლელი ქუჩუ ქავთარაძის (ფსევდ. „დემონი“) „გასამართლებაზე“, ბუნებრივია, დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 18 იანვრის შემდეგ.

◇ ცალხაზიანი ფურცლის რექტოზე გალაკტიონს დახატული აქვს საკუთარი პორტრეტი ილღიაში საქაღალდით, რომელზეც რუსულად აწერია „საქმე N16“. იქვე მიწერილია სიტყვები: „ქედს ნუ მოიხრი“, „დასთრგუნე ფიქრი“<sup>1</sup>. იმავე ფურცლის ვერსოზე წერია 1911 წლის 17 აგვისტოს დაწერილი ლექსი „ჰამლეტის ქნარით“. შესაბამისად, ეს ჩანახატი ლექსის დაწერის თარიღზე ადრეულია.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ დიდ საერთო რვეულში უამრავი ტექსტია ჩაწერილი<sup>2</sup>. მეორე გვერდზე არის მოკლე ნუსხა, რომელშიც პოეტის პუბლიკაციებია ჩამოთვლილი. სიაში ბოლო არის პოემის „მწყემსი“ პუბლიკაცია გაზეთში „თემი“. რამდენადაც ამ პოემის ბეჭდვა დასახელებულ გაზეთში დაიწყო 1911 წლის 31 ოქტომბერს, ვფიქრობთ, რომ ამ ჩანაწერის შემდეგ მოთავსებული ტექსტები ამ თარიღის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

◇ გალაკტიონის ერთ ჩანაწერში გადმოცემულია მისი საუბარი ძმისწულ ვასიკოსთან საავადმყოფოში<sup>3</sup>. 26 მარტის ჩანაწერში ნათქვამია, რომ ეს ცოტა ხნით ადრე მოხდა. სხვა ჩანაწერიდან ჩანს, რომ 1941 წლის 13 მარტს ვასიკო მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს თვალის დაზიანების გამო და საავადმყოფოში დააწვინეს<sup>4</sup>. შესაბამისად, ეს საუბარი უნდა მომხდარიყო 13 მარტს ან შემდეგ, როდესაც გალაკტიონი საავადმყოფოში ძმისწულის სანახავად იყო მისული.

◇ გალაკტიონის ერთი ჩანაწერიდან, რომელიც 5 მაისით არის დათარიღებული, ჩანს, რომ 5 ივნისს სურს ოპერის თეატრში საღამოს გამართვა და ნახსენებია ბენიტო ბუაჩიძის წერილი<sup>5</sup>. ბენიტო ბუაჩიძის

---

<sup>1</sup> გტცა, №165, გვ.1.

<sup>2</sup> გტცა, №198

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 216-217.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 8; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 203.

<sup>5</sup> ჩანაწერი, გტცა N265.

წერილი გალაკტიონის შესახებ ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ გამოქვეყნდა 1927 წლის შემოდგომაზე. რამდენადაც ჩანაწერი 5 მაისით არის დათარიღებული, ეს ვერ იქნებოდა 1928 წლის მაისზე ადრე. პოეზიის დღე სხვადასხვა წელს სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა და 1928 წელს ზუსტად 5 მაისს იყო.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში არის ერთი ბლოკნოტი, რომლის პირველსავე გვერდზე არის ჩანაწერი ბომბეის ფეიქრების აჯანყების შესახებ. ეს და მომდევნო რამდენიმე ტექსტი გადათეთრებულია გალაკტიონის N53 დღიურში 1931 წლის ჩანაწერების შემდეგ. ინდოეთში ფეიქართა აჯანყება 1928 წელს დაიწყო და 1929 წლის მარტში განახლდა. ამიტომ გადავწყვეტეთ, რომ წელი გადაგვემოწმებინა. ამ უბის წიგნაკის მესამე გვერდზე წერია „ხუთშაბათი 20 ივნისი 1929“, შემდეგ ჩანაწერში კი ნახსენებია საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმა ხარბინში (ჩინეთი), რომელიც მოხდა 1929 წლის 27 მაისს. რამდენადაც ეს ფაქტი მხოლოდ 31 მაისს გახმაურდა და გაზეთებში 1 ივნისამდე არ გამოქვეყნდებოდა, გალაკტიონის ჩანაწერიც ამ თარიღის შემდეგდროინდელი უნდა იყოს. შესაბამისად, იმავე საწერი საშუალებით, იმავე სტილში ამ ჩანაწერის წინ მოთავსებულ ტექსტებს ვათარიღებთ 1929 წლის 1 ივნისამდე პერიოდით, მის შემდეგ ჩაწერილებს კი 1929 წლის შემდეგი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ციფრულ არქივში არის ერთნაირ ფურცლებზე, ერთნაირი კალმით ერთ სტილში ნაწერი რამდენიმე პუბლიცისტური ტექსტი. მათ თვე და რიცხვი აწერია, მაგრამ წელი – არა. რამდენადაც ჩანაწერებში ჩანს გაზეთისადმი „კოლხიდა“ და მისი რედაქტორის სილოვან ხუნდაძესადმი ძალზე კრიტიკული დამოკიდებულება, ტექსტები გალაკტიონისა და სილოვანის უთანხმოებისა და გალაკტიონის „კოლხიდიდან წამოსვლის ანუ 1911 წლის 22 ნოემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. წერილებთან მიწერილი თარიღების თანმიმდევრობა ასეთია: 8 დეკემბერი, 1 იანვარი, 3 იანვარი და 15 ოქტომბერი. 1 იანვრის სტატიაში საუბარია გაზეთში „კოლხიდა“ კორექტურების კატასტროფულ სიმრავლეზე. რამდენადაც 1913 წლის 1 იანვარს „კოლხიდა“ დახურული იყო, 1 და 3 იანვრის წერილები დაწერილი უნდა იყოს 1912 წელს, მათ წინ მოთავსებული 8 დეკემბრისა კი – 1911 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გაზეთი არ გამოდიოდა

არც 1912 წლის და არც 1913 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ამ თვეებით დათარიღებული ტექსტები 1911 წლისა უნდა იყოს.

◇ გალაკტიონ ტაბიძეს თავის ჩანაწერში ხელოვნებისა და ნიჭის შესახებ ცოცხალ მაგალითებად მოჰყავს ცოცხალი პიროვნებები: ლინა კავალიერი, მერი შერვაშიძე, ლეონიდ სობინოვი, ენრიკო კარუზო და მატია ბატისტინი<sup>1</sup>. ამათგან ყველაზე ადრე გარდაიცვალა ენრიკო კარუზო და, შესაბამისად, ტექსტი დაწერილი უნდა იყოს მის გარდაცვალებამდე, 1921 წლის 2 აგვისტომდე.

◇ 1941 წლის მაგიდის კალენდარზე გაკეთებული პირველი ჩანაწერის მიხედვით, ვანო კაკაბაძე არის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი<sup>2</sup>. რამდენადაც ის ამ თანამდებობას იკავებდა 1956-1976 წლებში, ჩანაწერი 1956 წელს ან შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული. ამავე კალენდრის 20 თებერვლის ფურცელზე მიწერილია 1957 და ოთხშაბათი. 1957 წელს 20 თებერვალი მართლაც ოთხშაბათი დღე იყო. ასევე 1957 წელს ემთხვევა კალენდრის ბევრ სხვა ფურცელზე მიწერილი კვირის დღეებიც და, როგორც ჩანს, ზოგადად ამ სუბსტრატში გაკეთებული ყველა ჩანაწერი 1957 წლისაა.

◇ 1941 წლის 30 მარტის ჩანაწერის მიხედვით, გიორგი აბზიანიძეს დიდი ბრძოლა დასჭირდა გამოფენაზე გალაკტიონის სურათის დასაკიდებლად<sup>3</sup>. ნათქვამი არ არის, რა გამოფენაზეა საუბარი. ისეთი გამოფენა რომ ყოფილიყო, რომელზეც მხოლოდ მწერალთა პორტრეტები იქნებოდა წარმოდგენილი, გალაკტიონის სურათის დასაკიდებლად ბრძოლა არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოფენის მთავარი აქცენტი რაღაც სხვა უნდა ყოფილიყო. სწორედ მარტის თვეში თბილისში მოეწყო სამხატვრო გამოფენა, რომელიც მიემდგვნა საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების 20 წლისთავს. ამ ღონისძიების შესახებ 21 მარტს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „მოწინავე ადამიანების პორტრეტებიც“<sup>4</sup>. რამდენადაც მიმოხილვაში საუბარია იოსებ სტალინისა და ლავრენტი

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი გტცა, N331-1-5.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N402, გვ. 2, 4.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 18; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 223.

<sup>4</sup> საიუბილეო სამხატვრო გამოფენა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, 21 მარტი, N 12, გვ. 4.



ბერიას არაერთ პორტრეტზე, გასაგებია, რა ღირებულებებითაც ხდებოდა საექსპოზიციო ნახატების შერჩევა. ასეთ ვითარებაში არც არის გასაკვირი, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარიყო, გამოეფინათ გალაკტიონის პორტრეტი თუ არა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ გიორგი აბზიანიძეს ამ გამოფენის შესახებ უნდა ჰქონოდა საუბარი პოეტთან. უბის წიგნაკის ერთი ჩანაწერიდან ვიგებთ იმასაც, რომ თავად გალაკტიონი ამ გამოფენაზე 27 მარტს უკვე მეორედ ყოფილა<sup>1</sup>.

◇ გალაკტიონი ხშირად ცალკე მუშაობს რითმების მოფიქრებაზე და მთელ გვერდებს ავსებს ათასგვარი რითმებით. ასეთი ჩანაწერები ხშირად უთარილოა. ახალი რითმა იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის და ისე არ უყვარს მათი გამოორება ან როდესაც ვინმე სხვის მიკვლეულ რითმას იყენებს, რომ წარმოუდგენელია ამ ნუსხებში იყოს ისეთი რითმები, რომლებიც უკვე გამოყენებული აქვს. ერთ-ერთ ასეთ ნუსხაში, რომელშიც რითმები მის მიერვე არის დანომრილი და მათი ოდენობა 322-ია<sup>2</sup>, ერთ-ერთი სარიტმო წყვილია „ყვითელი – პრაქსიტელი“, რომელიც მან გამოიყენა 1923 წლის 7 იანვარს გამოქვეყნებულ ლექსში „ეფემერა“ („შეხედე, მშვიდი შენი დობილი...“)<sup>3</sup>. შესაბამისად, რითმების ეს ნუსხა 1923 წლის 7 იანვრამდე უნდა იყოს შედგენილი.

◇ ერთ ფურცელზე გაკეთებულ ჩანაწერში ნახსენებია „მნათობის“ რედაქცია და განსახვომი (განათლების სახალხო კომისარიატი). შესაბამისად, ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების დროს. რამდენადაც ჟურნალის „მნათობი“ გამოცემა განახლდა 1924 წელს, შეგვიძლია თარიღი უფრო დავაკონკრეტოთ – 1924 წელს ან შემდგომ.

◇ ერთი ვრცელი უთარილო ჩანაწერი თეორიული მსჯელობაა ხელოვნების შესახებ<sup>4</sup>. მასში გვხვდება ფრაზა „ძირს ყოველგვარი აპოლონიური თვლემა...“. ეს ფრაზა ასევე გვხვდება 39-ე დღიურში<sup>5</sup>: „ძირს ყოველგვარი აპოლ. თვლემა“. რამდენადაც ამ უკანასკნელ რვეულში ამ ტექსტამდე ჩაწერილია 1929 წლის 17 სექტემბრით

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ. დ-144, 17; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVI, თბ., 2008, გვ. 220.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N575, გვ.1-4.

<sup>3</sup> „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, 7 იანვარი, № 6, გვ. 1-2.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა N596.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, ქლმ, დ-39, გვ.7.

დათარიღებული ლექსი, ჩანაწერები აპოლონური თვლემის შესახებ ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ გალაკტიონის ერთი ჩანაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ ის მუშაობს ლიტერატურულ მანიფესტზე<sup>1</sup>, უბის წიგნაკში მოთავსებულია 1921 წლის 2 აპრილის ჩანაწერის შემდეგ, მაგრამ მანიფესტის გეგმა, რომელშიც ნახსენებია „Писательский интернационал“ გვადლევს ამ თარიღის უფრო დაკონკრეტების საშუალებას. მწერალთა პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1921 წლის 5 ოქტომბერს და შესაბამისად, ჩანაწერიც ამის შემდგომ უნდა იყოს გაკეთებული.

◇ უთარიღო ბლოკნოტში პირველ გვერდზე წერია ერთი სტროფი ლექსისა „გაჰქრენ ზაფხულის დღენი“<sup>2</sup>, რომელიც 1925 წლის 10 ნოემბრამდე გამოქვეყნდა ჟურნალში „მნათობი“<sup>3</sup>. მეორე გვერდზე წერია „100 ლექსი“, რაც ასევე მიგვანიშნებს, რომ 1925 წელი ან მომდევნო პერიოდი უნდა იყოს. ბლოკნოტის ბოლო გვერდზე ნახსენებია „ზაგესი“, რაც მიგვანიშნებს, რომ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური უკვე აშენებული უნდა იყოს. შესაბამისად, დროის ქვედა ზღვარი ორი წლით გადაინაცვლებს და ბლოკნოტის ჩანაწერებს ვათარიღებთ 1927 წლის 9 აპრილის შემდგომი პერიოდით.

◇ ვერტიკალურად გადაკეცილ ერთ თაბახის ფურცელზე გალაკტიონს სათაურით „აგენტები“ უწერია იმ დაწესებულებებისა და პირების სია, ვისაც მისი წიგნის გავრცელებაში უნდა მიეღო მონაწილეობა<sup>4</sup>. რამდენადაც პირველი წიგნის გამოცემა გალაკტიონს გადაწყვეტილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1911 წლის 18 აგვისტოს<sup>5</sup>, საგანგებო კვლევა გახდა საჭირო იმის გასარკვევად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი წიგნის გავრცელებაზეა საუბარი, იმისაზე, რომელიც 1911-1912 წლებში უნდა დაბეჭდილიყო, თუ იმისაზე, რომელიც 1914 წლის ივნისში გამოიცა. ამაში დაგვეხმარა ამავე ფურცელზე გაკეთებული ლექსების ნუსხა. ნუმერაციიდან ჩანს, რომ ნუსხაში 174 ლექსი იყო, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ფურცელმა, რომელზეც ჩამონათვალი იწყება

<sup>1</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, დ-6, გვ. 27; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 52;

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N616.

<sup>3</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1925, ოქტომბერი, #10, გვ. 97-119.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა N618, N619, გვ.2.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 540.

92 ნომრიდან, შესაბამისად, მხოლოდ 82 ლექსის სათაურია. ჩავატარეთ შედარებითი კვლევა 1914 წლის გამოცემის სარჩევთან. გაირკვა, რომ მხოლოდ 9 ლექსის სათაური ემთხვევა ზუსტად. 7 ლექსის სათაური – ნაწილობრივ და, შესაბამისად, ვერ ვიტყვით, იგივე ლექსი იგულისხმება თუ არა (ზოგადად, გალაკტიონი, წერის პროცესშიაც კი ერთსა და იმავე ფურცელზე ხშირად რამდენჯერმე ცვლიდა სათაურს). ნუსხაში 56 ისეთი ლექსია, რომელიც არ დაბეჭდილა 1914 წლის გამოცემაში, იქ კი 85 ისეთი ლექსია, რომელიც ამ ნუსხაში არ შედის. ნუსხაში არცერთი ისეთი ლექსი არ არის, რომელიც 1912 წლის შემდეგ არის დაწერილი, 12 ლექსის შესახებ კი დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1910 წელს და უფრო ადრეა შექმნილი („კოლხიდაში“, „ქნარი“ „ორთეოსი“, „არ გალხენს, სულო“, „ახალი გზის წინ“, „როცა ბულბული განთიადისას“, „მხოლოდ ბუნება“, „სიცოცხლე და სიკვდილი“, „გვირგვინი“, „ტყის სიღრმეში“, „სევდიანი დღე“ და „ლოდინი“). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ჩანაწერში ჩამოთვლილი წიგნის გამავრცელებელი აგენტები და ლექსების ნუსხა უკავშირდება არა 1914 წელს გამოცემულს, არამედ პოეტის იმ წიგნს, რომელიც 1911-1912 წლებში უნდა გამოცემულიყო, მაგრამ სახსრების ნაკლებობის გამო ვერ გამოიცა.

◇ საკუთარი წიგნის გავრცელებაში ჩართული ორგანიზაციების ჩამონათვალის გვერდით ერთ-ერთ ჩანაწერში ორჯერ არის ნახსენები, რომ გალაკტიონ ტაბიძე წაკითხავს ლექციას<sup>1</sup>. აქვე არის ფრაზა „40 ხელის მომწერი“, „ათი შაური“ და „გ. ტაბიძის სასარგებლოდ, რომელიც პარიჟში მიემგზავრება“. გალაკტიონი ლექციის წაკითხვას სიმბოლიზმის შესახებ აპირებდა 1912 წლის 10 თებერვალს. 1914 წელს ის და ოლია ოკუჯავა ფიქრობდნენ მოსკოვში წასვლაზე და პარიჟში გამგზავრება დღის წესრიგში არ მდგარა, გარდა ამისა, 40 ხელისმომწერი ძალიან ცოტაა და ამიტომ ვფიქრობთ, რომ საუბარი აქაც უნდა ეხებოდეს მისი პოეზიის 1911-1912 წლის განუხორციელებელ გამოცემას და არა 1914 წლისას. ამიტომ ჩანაწერს ვათარიღებთ 1911 წლის მეორე ნახევრით ან შემდგომი პერიოდით.


◇ ერთ ფურცელზე (ავტოგრაფი, გტცა N683) გალაკტიონს დახატული აქვს გაზეთების „ცხოვრება“, „მნათობი“ და „კოლხიდა“ საფლავები.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N620, გვ. 1-2.

რამდენადაც გაზეთის „ცხოვრება“ გამოცემა შეწყდა 1912 წლის მარტში, გაზეთის „კოლხიდა“ კი – 1913 წლის მაისში, „მნათობში“ უნდა იგულისხმებოდეს 1911 წელს ქუთაისში გამომავალი გაზეთი, რომლის გამოცემაც შეწყდა 1911 წლის ნოემბერში. იმის გამო, რომ ჩანახატის გაკეთების დროს სამივე გაზეთი დახურული უნდა ყოფილიყო, მიჯნად ვიღებთ 1913 წლის მაისს და ჩანაწერს ვათარილებთ ამის შემდგომი პერიოდით. ასევე ვათარილებთ ფურცლის მეორე მხარეს გაკეთებულ ჩანაწერსაც.

◇ გალაკტიონის ერთ უბის წიგნაკში ორი ჩანაწერია 17 აგვისტოთი დათარიღებული. ერთ მათგანთან წელიც არის მიწერილი, მაგრამ მეორე



ციფრი ისე წერია, რომ ცალსახად ვერ ვიტყვით, „1“ არის თუ „2“<sup>1</sup>. ამის გარკვევაში დაგვეხმარა უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერები. ერთ მათგანში ნახსენებია კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი, რომელიც 1924 წელს გამოსცა თომა ჩიქვანაია<sup>2</sup>. სხვა ჩანაწერში ნახსენებია ჩან კაიში<sup>3</sup>, რომელიც ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო 1927-1949 წლებში. შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩანაწერში მითითებული წელი არის 1927 და არა 1917. შესაბამისად ვათარილებთ უბის წიგნაკის სხვა ჩანაწერებსაც.

◇ ერთ საარქივო ფურცელზე ცალ მხარეს რუსულ ენაზე წერია ვასილი შულგინის წიგნისთვის „1920 წელი“ წამმდვარებული სერგეი პიონტოვსკისეული წინასიტყვაობის ანალიზი, მეორე გვერდზე კი იმავე გრაფიტის ფანქით არის დაწვრილებითი გეგმა ტექსტისა სათაურით „ასოთამწყობს ტფილისიდან მოაქვს პროკლამაციები“<sup>4</sup>, რომელშიც აღწერილია, როგორ ავრცელებდა მატარებლიდან ასოთამწყობი პროკლამაციებს. მართალია, შულგინის ეს წიგნი პირველად 1922 წელსაც გამოიცა, მაგრამ პიონტოვსკის

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა N704, გვ. 19.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა N704, გვ. 14.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა N704, გვ. 28.

<sup>4</sup> გტცა N1191, გვ.1-2.

წინასიტყვაობით, მხოლოდ 1926 წელს<sup>1</sup>. შესაბამისად, ორივე ჩანაწერს ვათარილებთ 1926 წლით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის ერთ ჩანაწერში საუბარია იმის შესახებ, რომ ზოგ ადამიანს წელიწადში 5 ან 6 ათასი აქვს შემოსავალი და მაინც ამბობს, რომ არ ჰყოფნის. ეს ჩანაწერი ვერ იქნება გაკეთებული 1947 წლის 29 დეკემბრამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირში მანეთის მსყიდველობითი უნარი ათჯერ შემცირდებოდა. ამის შემდეგ მართლაც შეიძლებოდა გაგვირვებოდა ვინმეს ნათქვამი, წელიწადში 5-6 ათასი არ მყოფნისო, რადგან მანამდე ასეთი ხელფასის ქონა მართლაც ძალიან დაბალ შემოსავალს ნიშნავდა.

◇ გალაკტიონ ტაბიძის 266-ე დღიური ნაწერია 1951 წლის მაგიდის კალენდარზე და უმრავლეს შემთხვევაში თარიღები მითითებული არ არის. ეს გვაფიქრებინებს, რომ, როგორც წესი, თარიღად უნდა მოვიანხროთ წლის ის დღე, რომლის ფურცელზეც არის გაკეთებული ჩანაწერი. ამ აზრს განამტკიცებს ის ფაქტი, რომ 16 იანვრის ფურცლის გვერდით, 15 იანვრის ფურცლის ვერსოზე ჩანაწერის თავში მიწერილია „თექვსმეტს“. როგორც ჩანს, 16 იანვრის ინფორმაცია ვერ დაიტია ერთმა ფურცელმა და ამ სიტყვით პოეტმა მიგვანიშნა, რომ ეს ინფორმაცია ეხება 16 იანვარს და არა 15-ს.

### **სხვა პირთა ჩანაწერები**

◇ ნინო კვირიკაძის ჩანაწერში, რომელიც 1945 წლის 15 მაისით არის დათარიღებული<sup>2</sup>, ნათქვამია, რომ გალაკტიონს დილის 8 საათზე ლაურეატობა მიულოცეს ი. ა. -ძემ და კ. ლ. -ძემ. ასეთი ინიციალები გალაკტიონის ნაცნობთაგან რამდენიმეს აქვს. ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველაზე მეტად სავარაუდო არის, რომ იგულისხმებოდეს ილია აგლაძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

◇ ოლია ოკუჯავას დღიურის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ აკაკი წერეთელი ახალგარდაცვლილია. შესაბამისად, იგი დაწერილი უნდა

---

<sup>1</sup> 1920 г.: Очерки/ В. В. Шульгин; С предисл. и примеч. С. Пионтковского. - Ленинград: Прибой, 1926.

<sup>2</sup> ნ. კვირიკაძის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 510.

იყოს 1915 წლის 26 იანვრის შემდეგ<sup>1</sup>, იმავე რვეულში ამ ტექსტის წინ გაკეთებული ჩანაწერები კი 1915 წლის 26 იანვრამდე<sup>2</sup>.

ღ ოლია ოკუჯავას ერთი ჩანაწერი, რომელშიც საუბარია ბორჯომში მის გამგზავრებასა და იქ ყოფნაზე, დათარიღებულია 23 ივლისით, მაგრამ წელი მიწერილი არ არის. ოლია ბორჯომში მრავალჯერ ისვენებდა, მაგრამ ამ წელს იგი მარტო გაემგზავრა სანატორიუმში და ოჯახის წევრებიდან სადგურზე აცილებდნენ: შალიკო, მანია და ვასია. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ოლიას დედა მწოლიარე ავადმყოფია („Бедная мама, как с тобою быть, ты так больна и в Тифлисе в постели“<sup>3</sup>). ჩანაწერიდან ჩანს, რომ ის ბორჯომში თუ კვირის არა, რამდენიმე დღის ჩასული მაინც უნდა იყოს. გალაკტიონ ტაბიძის 1924 წლის 18-20 ივლისის წერილებიდან ჩანს, რომ ოლიას დედა და ძმა მიშა ავადმყოფობდნენ და უკვე მომჯობინდნენ. ეს ინფორმაცია ემთხვევა 23 ივლისის დღიურის ჩანაწერის ვითარებას, როდესაც ოლიას გამცილებელთა შორის არ იყვნენ მისი ძმა მიშა და დედა. 1924 წელზე მიგვანიშნებს ასევე ის ფაქტი, რომ ოლია საუბრობს განათლების სახალხო კომისარ ანატოლი ლუნაჩარსკის ყოფნაზე ლიკანში. ამ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის ბორჯომში პირველად სწორედ 1924 წელს ჩავიდა. შესაბამისად, ოლია ოკუჯავას დღიური დაწერილი უნდა იყოს 1924 წლის 23 ივლისის და იგი ბორჯომში უნდა გამგზავრებულიყო გალაკტიონის მიერ ზემოხსენებული წერილის დაწერამდე, 18 ივლისამდე.

ღ ოლია ოკუჯავას დღიურის ორი ჩანაწერი, რომლებიც მოქცეულია 22 და 26 ივლისის ჩანაწერებს შორის<sup>4</sup>, დათარიღებულია 23 ივნისით და მიწერილი აქვს კვირის დღე „სამშაბათი“. რამდენადაც რიცხვების თანმიმდევრობა დაცულია, ვფიქრობთ, რომ ყველგან უნდა იყოს ან ივნისი და ან ივლისი. კალენდარული მონაცემების მიხედვით, თუ ივნისია, ეს შეიძლება იყოს 1915 წელი, ხოლო თუ ივლისი – 1913. უფრო გვიანდელი ვერ იქნება, რადგან ჩანს, რომ ოლია გალაკტიონთან ერთად მოსკოვში წასვლაზე ოცნებობს, ეს კი მოხდა 1916 წლის სექტემბერში. 26 ივლისის დღიურიდან ჩანს, რომ ოლია გალაკტიონით წინა წელსაც იყო

---

<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 390.

<sup>2</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 386-389.

<sup>3</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 491-494.

<sup>4</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 352-354

დაინტერესებული, მაგრამ პირადად ამ წელს გაუცვნია („ამ ზაფხულში კიდევ შეგხვთი... სააღდგომოთაც მეუბნებოდენ გაგაცნობო, მაგრამ არ მინდოდა... რომ გაგიცანი, მაშინაც ძალით მოხდა...“). შესაბამისად, დღიურები 1915 წელს დაწერილი ვერ იქნება. ისინი დაწერილი უნდა იყოს 1913 წლის ივლისში და ჩანაწერს 23 ივნისის ნაცვლად უნდა ეწეროს 23 ივლისი. 28 ივლისის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ოლია უკვე ორი კვირაა ბაკურიანში იმყოფება („Мое сердце разбито было в эти две недели“). შესაბამისად, იქ უნდა ჩასულიყო დაახლოებით 14 ივლისს.

◇ ოლია ოკუჯავას მეოთხე დღიური, რომლის ჩანაწერებიც სექტემბრით არის დათარიღებული და წელი არ აწერია<sup>2</sup>, ასევე 1913 წელს უნდა იყოს დაწერილი, რადგან ჩანს, რომ გალაკტიონს უკვე იცნობს, უყვარს, ერთად ფოტოც აქვთ გადაღებული და ოცნებობს მოსკოვში წასვლაზე.

◇ მეექვსე დღიურიც, რომელშიც 28 ოქტომბრისა და 29 ოქტომბრის ჩანაწერებია, 1913 წლისა უნდა იყოს, რადგან ჩანს, რომ წელიწადზე ცოტა მეტია გასული („1 год и больше“) ოლიასა და ვინმე სანდროს 15-დღიანი სიყვარულიდან და ოლიაზე შეყვარებული ბიჭის ჟენიას დაღუპვიდან („я причинила смерть одному хорошему человеку“).

◇ ოლია ოკუჯავას მეცხრე დღიურში 16 იანვრით დათარიღებული ჩანაწერი<sup>3</sup> ემთხვევა მისი წერილის შინაარსს გალაკტიონისადმი, რომელიც 1914 წლის 16 იანვრით არის დათარიღებული. შესაბამისად, ამ დღიურის ჩანაწერებს ვათარიღებთ 1914 წლით.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი დღიურიდან, რომელიც 8 მარტით არის დათარიღებული, ჩანს, რომ ორი წელია გასული მასზე შეყვარებული ჟენიას თვითმკვლელობიდან. ამ წერილის განწყობას ეხმიანება ოლიას 1914 წლის მარტის დასაწყისის წერილი<sup>4</sup>, რომელშიც ის წუხს, რომ გულწრფელად გადაუშალა გული გალაკტიონს, მან კი წყენად მიიღო. შესაბამისად, დღიური დაწერილი უნდა იყოს 1914 წლის 8 მარტს.

---

<sup>1</sup> ოლია ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 356.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 356-361.

<sup>3</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 376-377.

<sup>4</sup> ქლმ, გალაკტიონ ტაბიძის არქივი, N24551/39; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 29-30.

◇ ოლია ოკუჯავას მეთერთმეტე და მეთორმეტე დღიურების ჩანაწერებში<sup>1</sup> საუბარია აკაკი წერეთლის სხვიტორიდან გადასვენების ცერემონიალზე და შესაბამისად, ისინი 1915 წლისაა.

◇ ოლია ოკუჯავას 21-ე დღიურში 7 თებერვლის ჩანაწერში საუბარია გალაკტიონის მიერ თავის ლექსზე გაკეთებულ მინაწერზე „ო. ლიას“. რამდენადაც ეს ლექსი 1916 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა და ავტოგრაფი ამაზე გვიანდელი ვერ იქნება, ამ დღიურის 8, 10, 17, 20 თებერვლის ჩანაწერებიც 1916 წლისა უნდა იყოს. ისინი მომდევნო, 1917 წლისა ვერ იქნება, რადგან შინაარსიდან ჩანს, რომ გალაკტიონი და ოლია ტერიტორიულად შორს არ არიან ერთმანეთისგან („ты мне в своей тетради приписал лиас.“, „Оставь меня, я хочу молиться на любовь чистую“, „гиацинт, который хранила для тебя, уже склонил голову и вянет“, „обнимет меня крепко, страстно, как день тому назад“ „Ох, входит... Прощай одиночество...“). მეორე მხრივ, ამავე დღიურში გაკეთებული 28 თებერვლის ჩანაწერი აშკარად 1917 წლისაა, ისევე, როგორც მომდევნო ორი თარიღიანი ჩანაწერი, რადგან ჩანს, რომ ოლია მოსკოვშია, გალაკტიონი კი მასთან არ არის.

◇ ოლია ოკუჯავას ერთი დღიურიდან ჩანს, რომ მან წერილი მიიღო თავისი ძველი შეყვარებულისგან, სანდროსგან და უპასუხა. სხვა დღიურიდან ჩანს, რომ 1913 წლის 28 ოქტომბერს სანდროს წერილი უკვე მიღებული ჰქონდა<sup>2</sup>. შესაბამისად, ეს დღიურიც დაწერილი უნდა იყოს 1913 წლის 5 ნოემბერს და მომდევნო დღიურებიც აავე წლისა უნდა იყოს.

◇ ოლიას ერთი დღიურიდან, რომელიც 28 ივლისით, კვირა დღით არის დათარიღებული, ჩანს, რომ გალაკტიონს უკვე იცნობს. კალენდარული მონაცემების მიხედვით, მათი გაცნობიდან (1912) შედგომ პერიოდში ეს თარიღი შეიძლება ეკუთვნოდეს 1913, 1919, 1924, 1930 ან 1936 წელს. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ ოლია ოცნებობს მომდევნო წელს მოსკოვში წასვლაზე, ეს მისი და გალაკტიონის მოსკოვში გამგზავრებამდე, 1916 წლამდე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, ჩანაწერი 1913 წლის 28 ივლისს უნდა იყოს გაკეთებული.

---

<sup>1</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 386-393.

<sup>2</sup> ო. ოკუჯავას დღიური, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 368.



◇ ოლია ოკუჯავას დღიურის ერთი ჩანაწერიდან, რომელიც 17 იანვრით არის დათარიღებული, ჩანს, რომ ის და გალაკტიონი ერთმანეთისგან შორს არიან. სავარაუდოდ, ოლია მოსკოვში უნდა იყოს, გალაკტიონი კი – საქართველოში. ასეთი პერიოდი იყო 1917 წლის იანვარში. შესაბამისად, ჩანაწერი 1917 წლის 17 იანვრით უნდა დათარიღდეს.

◇ ოლია ოკუჯავას რუსულენოვან ანონიმურ განცხადებაში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი რუსეთში გასამგზავრებლად და განათლების გასაღრმავებლად გალაკტიონ ტაბიძისთვის 4 წლით სტიპენდიის დანიშვნის თხოვნით, ნათქვამია, რომ პოეტს მზად აქვს მეორე წიგნი. გარდა ამისა, 5 აპრილი მომავალ დროშია ნახსენები<sup>1</sup>. რამდენადაც ჩვენამდე მოღწეულია კიდევ ერთი განცხადება წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ, რომელიც 1915 წლის 25 მაისით არის დათარიღებული, ვფიქრობთ, ეს განცხადების შავი ვარიანტი უნდა იყოს და ის 1915 წლის 5 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი.

◇ ოლია ოკუჯავას დღიურებს, რომლებიც ხარებას და ბზობას არის დაწერილი, წელი არ აქვს მითითებული. ორივეს აწერია 25 მარტი, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ ეს დღე ამასთანავე ბზობის წინა შაბათია. ხარება უძრავი დღესასწაულია, მაგრამ, რამდენადაც იგი ოლია ოკუჯავას მოსკოვში ყოფნის პერიოდში ერთადერთხელ დაემთხვა ბზობის წინა შაბათს, ჩანაწერები 1917 წლის 25 მარტს უნდა იყოს გაკეთებული, თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვებიც „в свободной стране“.

◇ ოლია ოკუჯავას წინასიტყვაობა გალაკტიონის მეორე წიგნისთვის, რომელიც დაცულია მის არქივში, დაწერილი უნდა იყოს მოსკოვიდან გალაკტიონის დაბრუნების შემდეგ 1916 წელს, რადგან ერთ-ერთ წერილში პოეტი ოლიას შეახსენებს, რომ წინასიტყვაობაზე მუშაობა უნდა გააგრძელოს.

◇ გალაკტიონის ციფულ არქივში დაცულია „ცრემლის“ ფსევდონიმით სემინარიაში ყოფნისას მის მიერ გამოცემული ხელნაწერი ჟურნალი „ჩემი ბიბლიოთეკა“<sup>2</sup>, რომელშიც

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 394, 395.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №430, გვ. 1-7.

დახასიათებულია სემინარიის მოსწავლეთა „ტიპები“. რამდენადაც შინაარსიდან ჩანს, რომ ავტორი უკვე კარგად იცნობს სასწავლებლის ყოფას, ტექსტებს ვათარიღებთ 1908 წლის სექტემბრით ან შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ციფრულ არქივში დაცულ ერთ ფურცელზე ჩამოწერილია პეჩორინის ლიტერატურულ გასამართლებაში მონაწილე პირთა სია. გრაფემატული მახასიათებლების მიხედვით გალაკტიონის ხელწერა 1911 წლით ან შემდგომი წლებით თარიღდება, მაგრამ მონაწილეთა შორის არის რაისა ჩიხლაძე, რაც 1912 წლის შემდეგ ნაკლებ სავარაუდოა. ამიტომ ჩანაწერს ვათარიღებთ 1911-1912 წლებით.

მაია ნინიძე

პირადი და საქმიანი წერილებისა და ჩანაწერების დათარიღება დაგვეხმარა გალაკტიონის მრავალი ბიოგრაფიული დეტალის დათარიღებაში. ბუნებრივია, თუ წერილში რაღაც ფაქტი წარსულშია ნახსენები, ის ბარათის თარიღზე ადრეული პერიოდით უნდა დათარიღდეს, ხოლო თუ მომავლის გეგმებზეა საუბარი, ის წერილის დაწერამდე ვერ მოხდებოდა. შესაბამისად, ასეთი ტიპის დოკუმენტური ტექსტების დათარიღება საფუძვლად ედება ბიოგრაფიული ფაქტების დათარიღებას და ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის შესაქმნელად საუკეთესო გზაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მოგონებებში გადმოცემული ბიოგრაფიული ფაქტების კომპლექსური კვლევით გადამოწმება. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მოგონებებში, რომლებიც მომხდარი ფაქტებიდან დიდი ხნის შემდეგ იწერება, ბევრი რამ არის არეული.

◇ რამდენადაც 1913 წლის 25 სექტემბრამდე დაწერილი გალაკტიონის წერილიდან ჩანს, რომ ამ ბარათის დაწერამდე მან ორი კვირა მშობლიურ სოფელ ჭყვიშში გაატარა, შემდეგ კი სამხედრო სამსახურიდან უწყება მიიღო და „საჩქაროდ“ ჩავიდა ქუთაისში, სოფელში ჩასვლა 1913 წლის 11 სექტემბრამდე პერიოდით (ქუთაისიდან წერილის გაგზავნის დროს გამოვაკელით ორი კვირა) დავათარიღეთ, უწყების მიღება და ქუთაისში გამგზავრება კი 1913 წლის 24 სექტემბრამდე (ქუთაისიდან წერილის გაგზავნის დროს გამოვაკელით 1 დღე) პერიოდით, რადგან, წერილის მიხედვით, ჭყვიშიდან იმ დღეს არ გამგზავრებულა (საჩქაროთ გამოვეშურე ქუთაისიდან. დღეს ნუცა შემხვდა...). წერილიდან ჩანს, რომ ნინა გვახარიას წერილის დაწერის დღეს შეხვდა და ამიტომ ამ ფაქტსაც 1913 წლის 25 სექტემბრამდე პერიოდით ვათარიღებთ.

◇ 1928 წელს ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში“ დაიბეჭდა თენგიზ ჟღენტის წერილი „ზოგიერთი ეპიზოდები პარტ. მუშაობიდან 1905 წ. შემდეგ“<sup>1</sup>, რომელშიც საუბარია თუ როგორ მოაწყვეს ქუთაისში

<sup>1</sup> თ. ჟღენტი, „ზოგიერთი ეპიზოდები პარტ. მუშაობიდან 1905 წ. შემდეგ“, „რევოლუციის მატიანე“, 1928, #2 (19), გვ. 134-135.

სოციალ-დემოკრატების შეკრება და მიზნის შესანიღბად როგორ დაარქვეს მას გალაკტიონ ტაბიძის საღამო. პუბლიკაციაში საუბარია 1912-1913 წლებზე და საღამოს ჩატარების ზუსტი დრო მითითებული არ არის, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ მასში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მონაწილეობდნენ გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე და ია ეკალაძე. გაზეთ „მერცხალის“ პუბლიკაციის მიხედვით<sup>1</sup> ასეთი საღამო ქუთაისში ჩატარდა 1913 წლის 24 ნოემბერს. შესაბამისად, ია ეკალაძესთან ვიზიტი საღამოში მონაწილეობის თხოვნით ამ თარიღზე ადრე უნდა მომხდარიყო. თენგიზ ჟღენტს არასწორად ახსოვს ერთი ფაქტი. გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, ეს იყო ლიტერატურული საღამო, მაგრამ არა ერთპიროვნულად გალაკტიონისა. რაც შეეხება გალაკტიონის პერსონალურ საღამოს, ის ქუთაისში გაიმართა 1915 წლის 20 სექტემბერს, მაგრამ მასში დასახელებული ოთხი პოეტიდან მხოლოდ ერთი – ია ეკალაძე მონაწილეობდა და მანვე საგანგებო სტატია გამოაქვეყნა მოწოდებით, რომ ამ კონცერტზე მისვლით დახმარებოდნენ საყვარელ მგოსანს<sup>2</sup>. წარსულის ორი ფაქტიდან კომპილირებული მსგავსი ჰიბრიდული ინფორმაციები მოგონებებში ხშირად გვხვდება ხოლმე.

♦ არაერთი დოკუმენტით დასტურდება 1917-1918 წლებში გალაკტიონის ყოფნა რუსეთში, მაგრამ დაბრუნების თარიღი უცნობია. გერმანიის ყოფილი 200 ქართველი ტყვე, რომლებთან ერთადაც იმგზავრა გალაკტიონმა გემით, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ<sup>3</sup>, თბილისში 17 აგვისტოს ჩავიდა. ბათუმიდან თბილისში ჩასასვლელად, თუ სხვაგან არსად გაივლიდა, გალაკტიონსაც არ დასჭირდებოდა დიდი დრო, მაგრამ არავითარი წერილობითი ფაქტი არ მოგვეპოვება იმის დასადასტურებლად, რომ თბილისში 5 ოქტომბერზე ადრე ჩავიდა, ამ დროს მის თბილისში ყოფნას კი ადასტურებს მონაწილეობა საღამოში. რამდენადაც გემით დასავლეთ საქართველოში ჩავიდოდა, ვფიქრობთ, შეიძლება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში გაევილო დედასთან.

♦ გალაკტიონ ტაბიძის დედასთან უკანასკნელი შეხვედრის და დედის გარდაცვალების ამბების აღდგენაში დაგვეხმარა 1935 წლის 20

---

<sup>1</sup> გაზ. „მერცხალი“, N 96, გვ. 2.

<sup>2</sup> ია ეკალაძე, „დავეხმაროთ მგოსანს“, გაზ. „სამშობლო“, 1915, #176, გვ. 3.

<sup>3</sup> გაზ. „ერთობა“, 1918, №209-210, გვ. 1; იქვე, №211-213, გვ. 4;

თებერვლის განცხადება გამომცემლობისადმი, პოეტის ბიძაშვილის, სიმონ ტაბიძის მოგონება და პოეტის 1935 წლის 27 თებერვლის დღიური. განცხადებაში ნათქვამია, რომ გალაკტიონი ავადმყოფი დედის მოსანახულებლად იმავე დღეს, შესაბამისად, 20 თებერვალს მიდის; სიმონ ტაბიძის მოგონების მიხედვით ჭყვიშში დეპეშის მიღებიდან მეორე დღეს ჩავიდა. შესაბამისად, დეპეშა 20 თებერვალს უნდა მიეღო, ჭყვიშში კი 21 თებერვალს ჩასულიყო. ტიცინანის წერილი გაზეთ „კომუნისტის“ 25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა, რომელსაც პოეტი 26 თებერვალზე ადრე ვერ შეიძენდა და, რამდენადაც იგი ტიცინანის დედას წააკითხა, მასთან საუბარი 26 თებერვალს ან შემდეგ უნდა მომხდარიყო. ზუსტად არ ვიცით, რამდენი ხანი დაჰყო გალაკტიონმა სოფელში. მოგონებაში ნახსენებია „რამოდენიმე დღე“ ამიტომ დედის წამლების საშოვნელად თბილისში დაბრუნება თებერვლის ბოლოთი ან შემდგომი პერიოდით დავათარიღეთ, წამლებით უკან დაბრუნება და დედის გარდაცვალება და დაკრძალვა კი – მარტის დასაწყისით ან შემდგომი პერიოდით. ასევე დავათარიღეთ დედის გარდაცვალების შემდეგ ამ თემაზე დაწერილი ტექსტები.

◇ 1935 წლის 27 თებერვლის ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე იხსენებს თავის საუბარს ბიცოლასთან – ელისაბედ ფხაკაძესთან. ჩანაწერის შინაარსიდან ჩანს, რომ როცა პატარა იყო, გალაკტიონი ახალი წლის ღამეს ბიცოლა ელისაბედთან მეკვლედ მიიყვანეს და ფეხი ახალი წლის დილას აიდგა. რამდენადაც პოეტი 1891 წლის 5 ნოემბერს დაიბადა, ორი თვისა ფეხს ვერ აიდგამდა. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს 1892 წლის ახალი წლის ღამესა და 1893 წლის 1 იანვარზე. მოგონებიდან ჩანს, რომ ამის შემდეგ იუსტინეს ოჯახში გალაკტიონი ყოველ ახალ წელს მიდიოდა მეკვლედ და ვერცხლის აბაზიანებს ჩუქნიდნენ.

◇ სიმონ ტაბიძის მოგონებიდან გაზეთ „კოლხიდას“ რედაქციაში გალაკტიონთან მისვლის შესახებ, ჩანს, რომ იმ დღეს ჟანდარმებმა გაზეთი დახურეს. რამდენადაც გაზეთი „კოლხიდა“ ორჯერ დაიხურა, პირველად 1912 წლის შემოდგომაზე დროებით, მეორედ კი 1913 წლის მაისში საბოლოოდ, ფაქტი ან პირველ ან მეორე დროს უნდა მომხდარიყო. რამდენადაც მოგონებიდან მეტი კონკრეტულობა არ ჩანს და

---

<sup>1</sup> წყარო: ქლმ, დ-90; 1935 წლის 27 თებერვლის ჩანაწერი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2006, გვ. 11.

ამავე ფაქტის შესახებ სხვა მოგონებები არ არსებობს, იგი დავათარიღეთ წყვეტილი თარიღით 1912 წლის შემოდგომა, 1913 წლის მაისი.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, ის ადამ მიცკევიჩის პოეზიას გაეცნო 1904 წელს, როდესაც იყო თერთმეტი წლის<sup>1</sup>. რეალურად, თერთმეტი წლის გალაკტიონი იყო 1902 წლის 5 ნოემბრიდან 1903 წლის 5 ნოემბრამდე. შესაძლოა, უზუსტობა ასაკის მითითებაში გამოიწვია იმან, რომ მას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა თავისი დაბადების წლის შესახებ, ეგონა, რომ დაბადებული იყო 1992 წლის 5 ნოემბერს. ამის გათვალისწინებით, ადამ მიცკევიჩის პოეზიას უნდა გასცნობოდა 1904 წლის 5 ნოემბრამდე.

◇ გალაკტიონ ტაბიძის ყვავილით ავადმყოფობის ფაქტს პოეტის ბიძაშვილი სიმონ ტაბიძე და გალაკტიონის ძმისწული ნოდარ ტაბიძე სხვადასხვა დროით ათარიღებენ. ნოდარ ტაბიძის მტკიცებით, ეს მოხდა 1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში<sup>2</sup>, სიმონ ტაბიძის მოგონების მიხედვით კი – ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გალაკტიონის პირველ კლასში ყოფნისას, შემოდგომაზე<sup>3</sup>. სიმონი წერს, რომ როდესაც ის სკოლაში წავიდა, გალაკტიონი უკვე მეორე კლასში იყო, მაშინ კი, როცა ავად გახდა, სიმონი ჯერ სასწავლებლად წასული არ იყო და იდგა შემოდგომა (რთველი). შესაბამისად, ეს 1904 წლის შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო. საკითხს ნათელს ჰფენს გალაკტიონ ტაბიძის 1907 წლის 28 ოქტომბრის პირადი წერილი ძმისადმი<sup>4</sup>, რომელსაც, სავარაუდოდ, ეყრდნობოდა ნოდარ ტაბიძე. ბარათიდან ჩანს, რომ ის საოფელში ქუთაისიდან 23 სექტემბერს წავიდა და ორი დღეც კი არ იყო გასული რომ ავად გახდა. რამდენადაც 23-ში საღამომდე ვერ ჩავიდოდა, ავადმყოფობა კი, სიმონ ტაბიძის მოგონების მიხედვით, გავდიებთანავე იგრძნო, ეს უნდა მომხდარიყო 25 სექტემბერს. ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს პოეტის დედის წერილი მისი უფროსი ვაჟის – აბესალოსადმი, მაგრამ, რამდენადაც ბარათის მიხედვით გალაკტიონი ქუთაისიდან ჭყვიშში ჩასულია, მაგრამ მის ავადმყოფობაზე არაფერია ნათქვამი და დედა აბესალომს იმას სთხოვს,

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „თორმეტტომეული“, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 392.

<sup>2</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 124.

<sup>3</sup> სიმონ ტაბიძე, „მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე“, კრებ. „გალაკტიონოლოგია“, IX, თბ., 2022, გვ. 332.

<sup>4</sup> წერილის ავტოგრაფი, გტცა, N 820, გვ. 1-4.

მანჯგალაძეებთან არ გაიარო, ყვავილი აქვთო<sup>1</sup>, ბარათი გალაკტიონის სოფელში ჩასვლასა და მისი ავად გახდომის შუალედში – 24 სექტემბერს უნდა იყოს დაწერილი.

◇ პუბლიკაციაში „მოგონებანი გალაკტიონზე“ საუბარია იმაზე, რომ გალაკტიონმა და ნინო კვიციანი ერთად ნახეს ფილმი „რემბრანდტის ცხოვრება“<sup>2</sup>. გერმანელი რეჟისორის ჰანს შტაინჰოფის ეს ფილმი 1942 წელს არის გადაღებული, მაგრამ, რამდენადაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოვიდა მხოლოდ 1949 წლის 10 იანვრიდან, ეს ფაქტი ამ თარიღის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

◇ პოეტის არქივში დაცულია სცენისმოყვარეთა ლიგის პირველი სარეჟისორო კურსების დიპლომი, რომელიც გალაკტიონის სახელზე გაცემულია 1918 წლის 25 ივნისს<sup>3</sup>. შანიავსკის კურსები ხუთთვიანი იყო და, შესაბამისად, გალაკტიონ ტაბიძეს სწავლა 25 იანვარს უნდა დაეწყო. იმას, რომ ამ კურსების სემესტრი იანვარში იწყებოდა ხოლმე, მხარს უჭერს ოლია ოკუჯავასთვის 1916 წლის დეკემბერში გაგზავნილი წერილიც (ქლმ, 24551-37-1), რომელშიც ნათქვამია: „არ ვიცი, შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში ჩაწერა...“ 1917 წლის იანვარში გალაკტიონმა ამის გაკეთება ვერ შეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, მომდევნო წელს მოახერხა.

◇ გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა გარკვეულ დროს ცხოვრობდნენ ოლიას ძმის, მიხეილის დიდ ორსართულიან სახლში თბილისში, ფილიპე მახარაძის ქუჩის 9 ნომერში<sup>4</sup>. წყაროების მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო მიხეილის მეუღლის, ეკატერინე ხალვაშის გარდაცვალების (1923) შემდეგ. რამდენადაც წყაროებიდან ცნობილია, რომ ოლიას ძმის მიერ ამ სახლის მიღებისას პასკევიჩის ქუჩას ახალდარქმეული ჰქონდა ფილიპე მახარაძის სახელი („на недавно

---

<sup>1</sup> მაკრინე ადგიშვილის წერილი აბესალომ ტაბიძისადმი, გტცა, №1516, გვ. 1-2.

<sup>2</sup> ი. კუკავა, მეხსიერების არქივიდან, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 406.

<sup>3</sup> №021373-2-ბ., გვ. 1-2.

<sup>4</sup> Марат Гизатулин, Булат Окуджава: «...От бабушки Елизаветы к прабабушке Элисабет», 2020, <https://maxima-library.com/new-books-2/b/516722>

переименованной улице Паскевича“), ეს კი მოხდა 1924 წელს<sup>1</sup>, ოლიასა და გალაკტიონსაც ამ ბინაში 1924 წლიდან უნდა ეცხოვრათ.

◇ ბენიტო ბუაჩიძის წერილი გალაკტიონის შესახებ გამოქვეყნებულია ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა“ მერვე ნომერში<sup>2</sup>. ჟურნალის ამ ნომრის გამოსვლის თარიღი ჩვენთვის უცნობია. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ინფორმაციებით (№186, №298) ირკვევა, რომ წინა ნომერი გამოვიდა 18 აგვისტომდე, მომდევნო ორი ნომერი ერთად კი – 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, ეს ნომერი სექტემბერში ან ოქტომბერში უნდა გამოსულიყო.

◇ 1928 წლის ზაფხულში გალაკტიონ ტაბიძე იყო მოსკოვში და იქიდან ბორჯომში უგზავნიდა ოლია ოკუჯავას წერილებს. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის უნდა ჩასულიყო იგი მოსკოვში, გვაწვდის 12 აგვისტოს წერილი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ის უკვე კვირანახევარია არის მოსკოვში<sup>3</sup>. კვირანახევარში 10 დღე რომ იგულისხმებოდეს, პოეტი ალბათ ამ მრგვალ ციფრს გამოიყენებდა, მაგრამ, სავარაუდოა, რომ 7+4-ს ანუ 11 დღეს გულისხმობს. შესაბამისად, მოსკოვში უნდა ჩასულიყო პირველ აგვისტოს და ოლიასთვის დეპეშაც ამ დღეს გაეგზავნა („ჩამოსვლისთანავე მე და მანამ გამოვგზავნეთ ტელეგრამა“)

◇ ალექსანდრე გორგაძის მოგონებაში საუბარია მის შეხვედრაზე გალაკტიონთან ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა ყრილობაზე<sup>4</sup>. რამდენადაც მოგონებაში შემოდგომა მომავალ დროშია ნახსენები, 1910 წლის შემოდგომამდე კი გალაკტიონი მასწავლებლად არ მუშაობდა და ყრილობაშიც ვერ მიიღებდა მონაწილეობას, ფაქტი უნდა მომხდარიყო 1911 წლის შემოდგომამდე.

◇ როდის გაიცნო გალაკტიონმა ოლია ოკუჯავა ამის შესახებ ყველაზე სანდო წყარო უნდა იყოს ოლიას დღიური. მართალია, ჩანაწერს წელი არ აწერია, მაგრამ ჩანს, რომ ოლიამ ის პირველად დაინახა ზაფხულში, როდესაც ფარცხნალის სკოლიდან ახალწამოსული იყო. შესაბამისად,

---

<sup>1</sup> ო. ტყემელაშვილი, თბილისის ქუჩები: (მოკლე ისტორია), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986, გვ. 102.

<sup>2</sup> ბ. ბუაჩიძე, ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, აგვისტო-სექტემბერი, #8, გვ. 253.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 531.

<sup>4</sup> აღ. გორგაძე, „მამინ ახალგაზრდა იყო“, ჟურნ. „პიონერი“, 1963, №8, გვ. 19-20.



ეს უნდა ყოფილიყო 1911 წლის ზაფხული. რამდენადაც დღიურში ნათქვამია, რომ ეს ერთი წლის წინ მოხდა და დათარიღებულია 26 ივლისით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1912 წლის 26 ივლისს. ამავე დღიურში ოლია იხსენებს, რომ შობის დღესასწაულებზე (დეკემბრის ბოლო) ისევ დაინახა გალაკტიონი, ხოლო აღდგომის დღესასწაულებზე, აპრილის შუა რიცხვებში, ქუთაისში ყოფნისას რამდენჯერაც დაინახავდა, უკან დაედევნებოდა და ხმამაღლა ამოხდა რუსულად, ო, ეს ტაბიძეა. აქვეა საუბარი მათ გაცნობაზეც. შესაბამისად, ეს 1912 წლის 26 ივლისამდე უნდა მომხდარიყო.

◇ ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონი იხსენებს, როგორ ძალით გადაახდევინა ნოე ჩხიკვაძემ ალექსანდრე აბაშელს გალაკტიონისთვის ჰონორარი სალამოში მონაწილეობისთვის. წელი, როგორც ჩანს, ზუსტად არ ახსოვს და წერს „1913 თუ 1912“<sup>1</sup>. რამდენადაც სალამოში აკაკი წერეთელიც მონაწილეობდა, საუბარი უნდა იყოს 1911 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში ჩატარებულ სალამოზე, რომელშიც ნოე ჩხიკვაძეც მონაწილეობდა და საგაზეთო განცხადებაში ალექსანდრე აბაშელის გვარი (სავარაუდოდ, როგორც ორგანიზატორის, პირველი წერია)<sup>2</sup>.

◇ მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ გალაკტიონისთვის ტყიბულიდან 1911 წლის 12 თებერვალს<sup>3</sup> გაგზავნილ წერილში საუბარია გალაკტიონის მიერ მისთვის იანვრის ბოლოს გაგზავნილ წერილზე, რომელიც მან ქუთაისში ყოფნის გამო 9 თებერვლამდე ვერ წაიკითხა. შესაბამისად, წერილში გადმოცემულ მოვლენებს იანვრის ბოლომდე პერიოდით ვათარიღებთ.

◇ გალაკტიონ ტაბიძის დღიურებში ხშირად არის ნახსენები მისი მესამე მეუღლის – ნინო კვირიკაძის შვილიშვილი მარინე ფირცხალავა, რომელსაც პოეტი მოფერებით კაკინას ეძახდა. მარინე ფირცხალავას დაბადების წლად მოგონებებში 1955 წელს ასახელებენ, მაგრამ ეს სწორი ვერ იქნება. როგორც წესი, გვიან ჩაწერილ მოგონებებში წლები არასწორად არის ხოლმე მითითებული. მოგონებების მიხედვით, მარინე პირველ კლასში გალაკტიონმა წაიყვანა 1957 წლის 1

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 291, გვ. 1; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 322.

<sup>2</sup> AD-ens, „სალიტერატურო სალამო“, გაზ. „კოლხიდა“, 1911, №154, გვ. 3.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, N 851, გვ. 1-5.

სექტემბერს<sup>1</sup>. რამდენადაც 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაწყებითი განათლება იწყებოდა 7 წლიდან, იგი დაბადებული უნდა ყოფილიყო 1950 წლის 1 სექტემრამდე. ამის მიხედვით ვათარილებთ ამ პირთან დაკავშირებულ სხვა მოვლენებსაც.

♦ ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნში „ჩემი წუთისოფელი“<sup>2</sup> საუბარია იმაზე, რომ გალაკტიონმა თბილისში ვახტანგ კოტეტიშვილის მშობლების სახლში ექვსი თვე იცხოვრა. რამდენადაც შინაარსიდან ჩანს, რომ იმ დროს გალაკტიონი უკვე ცნობილი პოეტი იყო, ეს ვერ იქნებოდა მისი სემინარიაში სწავლის პერიოდში. ამის შემდეგ კი ასეთი ხანგრძლივი დროით, მეუღლის გარეშე თბილისში პირველად 1918 წლის ოქტომბრიდან იყო.

♦ 1938 წლის 28 მარტის ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე იხსენებს მაქსიმ გორკისთან პირველ შეხვედრას მოსკოვში „1917 წ. ზამთარში“<sup>3</sup>. ჩანაწერის მიხედვით ამ თავყრილობას უამრავი მეცნიერი ესწრებოდა და მასზე მოხდა რაღაც ორგანიზაციის შექმნის მხარდაჭერა. მაქსიმ გორკის ბიობიბლიოგრაფიაში<sup>4</sup> დაწვრილებით არის აღნუსხული 1917 წელს მისი მონაწილეობით გამართული შეხვედრები მეცნიერებთან. გალაკტიონის ჩანაწერის მიხედვით თავყრილობაზე მეცნიერთა „ასეთი სიჭარბით დასწრება ნიშნავდა მათ ერთსულოვან მისალმებას გორკის წინადადებისადმი, შეექმნათ მეცნიერთა ორგანიზაცია“. შესაბამისად, ეს ორგანიზაცია ჯერ არ იყო შექმნილი. ორგანიზაცია, რომლის შექმნაზეც გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერშია საუბარი, უნდა ყოფილიყო პოზიტიური მეცნიერებების განვითარებისა და გავრცელების თავისუფალი ასოციაცია (Свободная Ассоциация для развития и распространения положительных наук). 1917 წლის 30 მაისის საგაზეთო

---

<sup>1</sup> ნ. ებანოძე, მოგონებები გალაკტიონზე, ცხვედიანი, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 400-401.

<sup>2</sup> ვ. კოტეტიშვილი, წიგნიდან „ჩემი წუთისოფელი“, კრებ. „გალაკტიონლოგია“, IX, თბ., 2022, გვ. 351-352.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 296.

<sup>4</sup> Летопись Жизни и Творчества А. М. Горького (1917-1929), Москва, 1959, ст. 35. [https://biblio.imli.ru/images/abook/russliteratura/LGT\\_Gorkogo\\_3\\_1917-1929\\_1959.pdf](https://biblio.imli.ru/images/abook/russliteratura/LGT_Gorkogo_3_1917-1929_1959.pdf)

პუბლიკაციიდან<sup>1</sup> ჩანს, რომ ეს ასოციაცია ამ დღეს უკვე შექმნილი იყო, ამ თარიღამდე კი მაქსიმ გორვის მიერ ორგანიზებული დიდი შეხვედრა მეცნიერებთან მოსკოვში გაიმართა იმავე წლის 11 მაისს. გალაკტიონის მოგონება ჩაწერილია ამ მოვლენებიდან 21 წლის შემდეგ. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პოეტს ეშლება ამ შეკრების დრო. ის ჩატარდა არა „ზამთარში“, არამედ გაზაფხულზე (11 მაისს) და არა შრომის სასახლის დიდ დარბაზში, არამედ დიდი თეატრის დარბაზში. ღონისძიების ჩატარების ზუსტი დრო პოეტს შეიძლებოდა არ ხსომებოდა და „ზამთარი“ პირობითად დაეწერა, რადგან ის 1917 წლის მაის-ივლისის გარდა დეკემბერშიც იმყოფებოდა მოსკოვში.

◇ არსებობს გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის – ნინო კვირიკაძის ძმისშვილის – ეთერ კვირიკაძის მოგონება<sup>2</sup> იმის შესახებ, თუ როგორ სურდა გალაკტიონ ტაბიძეს ქუთაისში სახლის აშენება, რაზეც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის – გრიგოლ ნარსიასგან პირველი შეხვედრისას თანხმობა მიიღო, მაგრამ შემდეგ ვიღაც გავლენიანმა პირებმა ნარსიას აზრი შეაცვლევინეს და პოეტისთვის უარი ათქმევინეს. ეთერ კვირიკაძეს ფაქტის დრო კარგად არ ახსოვს და ვარაუდობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო 1947 წლის შემოდგომაზე. გალაკტიონ ტაბიძის 1945 წლის დღიურში 20 და 22 ივლისის ჩანაწერებს შორის არის ასეთი ტექსტი: „საქ. კ. პ. ბ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. გრ. ნარსიას. X საუკ. ქართულად თარგმნილ დიდაქტიკურ ძეგლშია: მენანდრემ მიიღო რა პირველმა ჰონორარი მეფისგან, უარი თქვა: „მძულს ნიჭი, რომელმან მაიძულოს მღვიძარებად“. „ნიჭში“ აქ მეფისგან ბოძებული წყალობა იგულისხმება, „მღვიძარების იძულებაში“ კი ის, რომ ამ წყალობის მიღების შემდეგ არავინ უწყოდა, რა დროს რას მოითხოვდა ხელისუფალი სანაცვლოდ მენანდრესგან. ის ფაქტი, რომ ამ უძველეს ამბავს გალაკტიონი სწერს პარტიულ ფუნქციონერს, მიგვანიშნებს, იმაზე, რომ მასზე იმედგაცრუებულია. რადგან ეს ჩანაწერი 1945 წლის 20 და 22 ივლისის ჩანაწერებს შორისაა, იგი 22 ივლისს ან მანამდე უნდა იყოს გაკეთებული და იმედგაცრუების ფაქტიც მანამდე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად,

---

<sup>1</sup> Свободная Ассоциация Положительных Наук, «Новая Жизнь» № 35,30 мая (12 июня) 1917 г.

<sup>2</sup> ქუთაისელებისგან გულნატკენი გალაკტიონ ტაბიძე, არტინფო, 28 აპრილი, 2020. <https://artinfo.ge/2020/04/quthaiselebisgan-gulnatkeni-galaktion-tabidze/>

ვფიქრობთ, რომ ეთერ კვირიკაძის მოგონებაც სწორედ ამ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

◇ აკაკი ხინთიბიძის ერთ მოგონებაში საუბარია კანდიდ ჩარკვიანისა და სერგი ჭილაიას მიერ წაკითხული მოხსენებების შესახებ<sup>1</sup>. ამ მოხსენებებში გაკრიტიკებული უნდა ყოფილიყო ვაჟა-ფშაველა, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი და უარყოფით კონტექსტში უნდა ყოფილიყო მოხსენიებული გალაკტიონ ტაბიძის მიერ გამოყენებული სიტყვა „მგზოვარი“ ლექსში „ჩემი სიმღერა“. სიმონ ჩიქოვანის ვაჟის მოგონებიდან ჩანს, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1951 წელს<sup>2</sup>, კერძოდ 10-11 იანვარს თბილისში გამართულ XX პარტიულ კონფერენციაზე<sup>3</sup>.

◇ აკაკი ხინთიბიძე ერთ-ერთ მოგონებაში, რომლის მიხედვითაც გალაკტიონმა სხარტი სატირით უპასუხა ალიო მაშაშვილის ამბიციურ ფრაზას „ლექსის ვეფხი და გრიგალი მე ვარ და გალაკტიონი“ მაშაშვილის გვარს პირდაპირ არ ასახელებს, მოიხსენიებს მას პოემის „მე და ბარათაშვილი“ ავტორად. რამდენადაც ეს პოემა პირველად გამოქვეყნდა მაშაშვილის ლექსების 1927 წლის კრებულში, ფაქტი ამ წელს ან უფრო გვიან უნდა მომხდარიყო.

◇ აკაკი ხინთიბიძის მოგონებებში ნახსენებია გალაკტიონის საღამო მარჯანიშვილის თეატრში, რომელზეც მთავარი მომხსენებელი არ მოვიდა და იონა ვაკელი იძულებული გახდა შესავალი სიტყვით გამოსულიყო<sup>4</sup>. აღწერილი ფაქტის დრო მითითებული არ არის, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცულია ერთი დღიური<sup>5</sup>, რომელშიც აღწერილია ჯერ ორჯონიკიძის კლუბში გამართული საღამო და შემდეგ – მარჯანიშვილის თეატრისა. ორჯონიკიძის კლუბში გამართული საღამოს ჩანაწერებში ნახსენებია 1948 წელი და მითითებული დღე და რიცხვიც – 12 სექტემბერი, კვირა, ამ წელს ემთხვევა. შესაბამისად, მარჯანიშვილის თეატრის საღამოც ამავე წელს, 12 სექტემბრის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო. გალაკტიონის ჩანაწერის ფრაზა: „ჩაჩავა (მოითხოვდა საღამოს გადადებას, ისევე, როგორც პატარაია. საღამოს

<sup>1</sup> ა. ხინთიბიძე, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 306-307.

<sup>2</sup> ნიკა ჩიქოვანი, „მოგონების მოგონება“, ჟ. „მნათობი“, 2003, N3-4, გვ. 26.

<sup>3</sup> გაიხსნა თბილისის XX პარტიული კონფერენცია, გაზ. „კომუნისტი“, 1951, 11 იანვარი, N9, გვ. 1.

<sup>4</sup> ა. ხინთიბიძე, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 313.

<sup>5</sup> ქლმ, დ-619.

გახსნა შეაგვიანა ამ გარემოებამ)“ და ერთ-ერთ მომხსენებლად იონა ვაკელის ხსენება მიგვანიშნებს, რომ აკაკი ხინთიბიძის მოგონებაში სწორედ ამ სადამოზეა საუბარი. შესაბამისად, ფაქტი დავათარიღეთ 1948 წლის 12 სექტემბრის მომდევნო პერიოდით.

◇ ნიკა აგიაშვილის ერთ-ერთ მოგონებაში საუბარია იმაზე, თუ როგორ მოაწყო გალაკტიონმა თავისი წყნეთის სახლის ღობეზე საკუთარი ლექსების პლაკატების გამოფენა<sup>1</sup>. მოგონებაში ნახსენებია, რომ იმ წელს ილია ჭავჭავაძის იუბილე იყო. გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცულია მისი 1953 წლის 3 ივლისის განცხადება, რომლიდანაც ჩანს, რომ წყნეთში მისი სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა<sup>2</sup>. შესაბამისად, მოგონებაში გადმოცემული ფაქტი ამ დრომდე ვერ მოხდებოდა. 1953 წლიდან გალაკტიონის გარდაცვალებამდე კი ილია ჭავჭავაძის იუბილე აღინიშნა მხოლოდ 1957 წელს. შესაბამისად, ეს ფაქტი ამ წელს უნდა მომხდარიყო.

◇ იპოლიტე ვართაგავა თავის მოგონებებში წერს, რომ გალაკტიონმა მას ქუთაისიდან თბილისში გაუგზავნა ამანათი თავისი პირველი წიგნის მასალებით და სთხოვა წინასიტყვაობის დაწერა<sup>3</sup>. რამდენადაც 1914 წლის 11 მაისს გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იპოლიტე ვართაგავა წერდა წინასიტყვაობას გალაკტიონის წიგნისთვის<sup>4</sup>, ეს მანამდე უნდა მომხდარიყო. ის ფაქტი, რომ იპოლიტე ვართაგავამ ვერ შეასრულა გალაკტიონის თხოვნა, დავათარიღეთ 11 მაისის შემდგომი პერიოდით, რადგან, როგორც ჩანს, 11 მაისს ეს ფაქტი ჯერ გარკვეული არ იყო. ამავე მოგონების მიხედვით, გალაკტიონმა იპოლიტე ვართაგავას ვასილ ბარნოვის იუბილეს დასრულების შემდეგ სთხოვა, იქ წაკითხული მოხსენება მის ჟურნალში გამოექვეყნებინა. მართლაც, იპოლიტე ვართაგავას წერილი ვასილ ბარნოვის შესახებ გამოქვეყნდა 1922 წლის 3 დეკემბერს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველ ნომერში. შესაბამისად, ვასილ ბარნოვის იუბილე ამ დრომდე უნდა ჩატარებულიყო.

---

<sup>1</sup> ნ. აგიაშვილი, სადღეგრძელო იყოს მისი და დიდებით ხსენება, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ.1973, გვ.176.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 126.

<sup>3</sup> იპ. ვართაგავა, დღეები წარსულიდან, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ.208.

<sup>4</sup> გაზ. „აზრი“, 1914, 11 მაისი, #50, გვ. 2.

◇ იპოლიტე ვართაგავას მოგონებებში ნახსენებია გალაკტიონის ძმის – აბესალომ ტაბიძის გარდაცვალება. ნოდარ ტაბიძის წიგნიდან ვიცოდით, რომ აბესალომ ტაბიძე გარდაიცვალა 1948 წლის 2 ოქტომბერს<sup>1</sup>, გაზეთ კომუნისტის მომდევნო დღეების ნომრებიდან კი გავარკვეით, რომ პანაშვიდები და გამოსვენება ყოფილა 3-7 ოქტომბერს გალაკტიონ ტაბიძის ბინიდან, მარჯანიშვილის 4 ნომრიდან. ასევე გავიგეთ, როდის გამოქვეყნდა გაზეთში გარდაცვლილის ოჯახისა და გალაკტიონის განცხადება და ვინ მიუსამძიმრა პოეტს გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებებით. იპოლიტე ვართაგავას ინფორმაციით ძმის გარდაცვალების შემდეგ ის გალაკტიონს ზამთარში შეხვდა. შესაბამისად, ფაქტი დავათარიღეთ 1948 წლის დეკემბრით.

◇ იპოლიტე ვართაგავას მოგონების მიხედვით, გალაკტიონმა მას სთხოვა რუსული პწკარედების გაკეთება მისი წიგნისთვის, რომელიც მოსკოვში უნდა გამოცემულიყო<sup>2</sup>. რამდენადაც გალაკტიონის პირველი წიგნი მოსკოვში 1937 წელს გამოვიდა<sup>3</sup>, ეს უნდა მომხდარიყო ან ამ წელს, ან შემდგომ პერიოდში.

◇ იპოლიტე ვართაგავა იგონებს გალაკტიონთან ფოტოს გადაღების ისტორიას<sup>4</sup>, გალაკტიონის 1957 წლის 1 ოქტომბრის ჩანაწერიდან კი ჩანს, რომ ეს იმ დღეს უნდა მომხდარიყო.<sup>5</sup>

◇ აკაკი ვასაძის ერთ-ერთ მოგონებაში ნახსენებია გალაკტიონის პოემა „ეპოქა“. შესაბამისად ის ამ პოემის გამოქვეყნების, 1928 წლის 16 ივნისის შემდეგდროინდელ ამბებს უნდა ასახავდეს.

◇ აკაკი ვასაძის მოგონებაში საუბარია შეხვედრაზე, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს მოუწყვეს ლენინგრადში. მოგონება დაწერილია 1972 წელს და ნათქვამია, რომ ეს მოხდა „ამ ორმოციოდე წლის წინათ“, შესაბამისად, 1932 წელს ან მომიჯნავე წლებში<sup>6</sup>. გალაკტიონის 1934

---

<sup>1</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 66.

<sup>2</sup> იპ. ვართაგავა, დღეები წარსულიდან, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 211.

<sup>3</sup> Галактин Табидзе, Избранные стихи, М., 1937.

<sup>4</sup> იპ. ვართაგავა, დღეები წარსულიდან, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 212.

<sup>5</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 426.

<sup>6</sup> ა. ვასაძე, სიცოცხლითაც და სიკვდილითაც, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ.216-217.

წელს დაწერილ ლექსს „იქ, იმ ბრინჯაოს გვერდით...“ მიწერილი აქვს ლენინგრადი<sup>1</sup>, კიდევ ერთი ჩანაწერიდან კი ჩანს, რომ მისი იქ ყოფნის დროს ნიკო მარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: „ლენინგრადში მე გადმომცეს აკად. ნ. ი. მარის შრომა: „იაფეთიური სემინარია“... ნება მომეცით, უღრმესი მადლობა ვუძღვნა მას, ჩემდამი ასეთი ყურადღებისათვის, სიამაყეს მსოფლიო მეცნიერებისასა და იდგეს კიდევ დიდხანს, როგორც მუხა“<sup>2</sup>. რამდენადაც ნიკო მარი გარდაიცვალა 1934 წლის 20 დეკემბერს, ეს ფაქტი მანამდე უნდა მომხდარიყო.

◇ ოთარ თაქთაქიშვილის მოგონებაში გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა მოსკოვში დათარიღებულია 1957 წლით<sup>3</sup>, მაგრამ ამ წელს გალაკტიონი მოსკოვში არ ყოფილა. სავარაუდოდ, ისინი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ერთმანეთს შეხვდებოდნენ 1958 წელს, როდესაც გალაკტიონი მოსკოვში ჩავიდა 21 მარტს. შესაბამისად, თაქთაქიშვილის მიერ აღწერილი ფაქტები დავათარიღეთ 1958 წლის 21 მარტის შემდგომი პერიოდით.

◇ შალვა რადიანის მოგონებაში საუბარია 1920 წელს გიორგი ქუჩიშვილთან ერთად ოზურგეთში ლიტერატურულ საღამოში გალაკტიონის მონაწილეობაზე<sup>4</sup>. ზუსტი თარიღი დგინდება გაზეთში „ერთობა“ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან<sup>5</sup>, რომლის მიხედვითაც ოზურგეთში საღამო 1920 წლის 25 სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო.

◇ შალვა რადიანი იგონებს იმ შემთხვევას, ტიციან ტაბიძის ლექსის ავტორად იოსებ გრიშაშვილმა გალაკტიონ ტაბიძე რომ მიუთითა, რადგან ტიციანის პოეტობის ამბავი არ იცოდა, მაგრამ არ აკონკრეტებს დროს. ჩვენ ფაქტის მეტი სიზუსტით დათარიღება შევძელით, რადგან ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ის ნომერი, რომელშიც შეცდომა გაიპარა, გამოვიდა 1909 წლის 6 დეკემბერს.

◇ შალვა რადიანი თავის მოგონებებში ჰყვება, როგორ მოეწონა აკაკი წერეთელს გალაკტიონის მიერ წაკითხული ლექსი „ყვითელი

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 432.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIV, თბ., 2008, გვ. 430.

<sup>3</sup> ო. თაქთაქიშვილი, შთაგონების უწყვეტი წყარო, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ.218.

<sup>4</sup> შ. რადიანი, ჩვენი გალაკტიონი, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 252-253.

<sup>5</sup> გაზ. „ერთობა“, 1920, №210, გვ. 3.

ფოთოლი“ და თარიღად მითითებულია 1914 წელი. ამ წელს გალაკტიონი აკაკი წერეთელთან ერთად მონაწილეობდა ორ ლიტერატურულ სადამოში, რომელთაგან პირველი გაიმართა 29 მაისს. შესაბამისად, ფაქტს ვათარილებთ 1914 წლის 29 მაისით ან შემდგომი პერიოდით.

◇ ელიზბარ უბილავას მოგონებაში ნახსენებია მისი ნარკვევი „ანდალალის სტუმრები“, რომელშიც გალაკტიონის სტროფაა ციტირებული<sup>1</sup>. ჩვენ ვიპოვეთ გაზეთ კომუნისტის ის ნომერი, რომელშიც ეს სტატიაა გამოქვეყნებული და შესაბამისად ფაქტი დავათარიღეთ 1957 წლის 27 იანვრით.

◇ ელიზბარ უბილავა იგონებს, როგორ წარადგინა გალაკტიონ ტაბიძემ „საბჭოთა საქართველოს“ რედაქციაში მისი ერთტომეულის მასალა<sup>2</sup>. რამდენადაც 1958 წლის 27 მაისის ჩანაწერის მიხედვით წიგნის მაკეტი და სარჩევი ჯერ მზად არ ჰქონდა,<sup>3</sup> ეს უფრო გვიან უნდა მომხდარიყო.

◇ პ. შამათავას მოგონებაში ნახსენებია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორგანო „ლენინის დროშა, მაგრამ წელი დაკონკრეტებული არ არის<sup>4</sup>. რამდენადაც ეს გაზეთი 1945 წლიდან გამოდიოდა, ფაქტებიც შესაბამისად დავათარიღეთ.

◇ მ. ჯიბუტი თავის მოგონებაში აღწერს იმ პერიოდს, როდესაც გალაკტიონი მწერალთა კავშირში პოეტების სექციას ხელმძღვანელობდა<sup>5</sup>, მაგრამ არ უთითებს დროს. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ჩანაწერის მიხედვით, ის ამ თანამდებობაზე აირჩიეს 1955 წლის 17 იანვარს<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> ე. უბილავა, „ანდალალის სტუმრები“, გაზ. „კომუნისტი“, 1957, 27 იანვარი, #10, გვ. 3.

<sup>2</sup> ე. უბილავა, ვინა თქვა შენი გარდაცვალება, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 283.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-398, გვ. 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 512.

<sup>4</sup> პ. შამათავა, დღე გამარჯვებით იწყება, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 291-292.

<sup>5</sup> მ. ჯიბუტი, ერთ ზაფხულს, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ., 1973, გვ. 315.

<sup>6</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-398, გვ. 15; გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 10.



◇ კლიმენტი გოგიავას ერთ მოგონებაში მოთხრობილია, როგორ დაუთმო მას გალაკტიონმა სოხუმის მატარებლის ბილეთი<sup>1</sup>. ტექსტიდან ჩანს, რომ გალაკტიონის სახლის მშენებლობა სოხუმში უკვე დაწყებული იყო და რომ იდგა ზაფხული. რამდენადაც სოხუმში სახლის მშენებლობა 1955 წლის 1 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, ეს ფაქტი ვერ მოხდებოდა 1956 წლის ზაფხულამდე და მას ამ დროით ან შემდგომი პერიოდით ვათარილებთ.

◇ კარლო კალანდაძე სტატიაში „ერთი ეპიზოდი ორი პოეტის ცხოვრებიდან“, გალაკტიონისა და გიორგი ქუჩიშვილის მიერ სამტრედიიაში ჩატარებული საღამოს თარიღად უთითებს 1922 წელს<sup>2</sup>, 1922 წელს ჩატარებული ასეთი გასვლითი საღამოს შესახებ სხვა წყაროებიდან არაფერია ცნობილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საუბარი უნდა იყოს 1920 წლის 21 სექტემბერს სამტრედიიაში ჩატარებულ საღამოზე, რომელშიც გალაკტიონთან ერთად სწორედ გიორგი ქუჩიშვილი მონაწილეობდა.

◇ ალექსანდრე ღლონტის მოგონებებიდან ჩანს, რომ ლექსის „ეგ არის და გორის ციხე“ დაწერამდე გალაკტიონს წაკითხული ჰქონდა მისი წიგნი „ქართული ზღაპრები და ლეგენდები“ და დაინტერესდა ორი ზღაპრის ეპილოგში გამოყენებული ამ ფრაზით „ეგ არის და გორის ციხე“<sup>3</sup>. რამდენადაც ლექსის ავტოგრაფი დათარიღებულია 1848 წლის 4 ივლისით, წიგნი მანამდე უნდა წაეკითხა და ალექსანდრე ღლონტთანაც ამ ფრაზის შესახებ მანამდე უნდა ესაუბრა.

◇ ციური ხეთერელის პუბლიკაციაში გადმოცემულია, როგორ აკვირდებიან გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე ლურჯი მონასტრის კარის ჩუქურთმებს. გალაკტიონსა და ლეონიძეს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდათ და საფიქრებელია, რომ ეს მომხდარიყო საქართველოს გასაბჭოებამდე. ნაკლებ სავარაუდოა, რომ გასაბჭოების შემდეგ მათ ასე თავისუფლად ევლოთ თბილისის ეკლესიებში. თან

---

<sup>1</sup> კ. გოგიავა, აფხაზეთის წვიმა მიყვარს, სადღეგრძელო იყოს მისი, თბ.1973, გვ.196-197.

<sup>2</sup> კ. კალანდაძე, ერთი ეპიზოდი ორი პოეტის ცხოვრებიდან, ჟ. თეატრალური მოამბე, 1973, N 5, გვ. 8-9.

<sup>3</sup> ალ. ღლონტი, შეხვედრები გალაკტიონთან, ჟ. დროშა, 1979, N 10, გვ. 7. ალ. ღლონტი, შეხვედრები გალაკტიონთან, მრავალკარი (ფილოლოგიური ეტიუდები), თბ., 1991, გვ. 153.

ლურჯ მონასტერში 1950-იან წლებში სამხერხაო იყო გახსნილი. შესაბამისად, ფაქტს ვათარილებთ 1921 წლის 25 თებერვლამდე პერიოდით<sup>1</sup>.

◇ ალექსანდრე ნატროშვილის პუბლიკაცია ეხება ალექსანდრე ყაზბეგის რუსული თარგმანების განხილვას მწერალთა კავშირში და ნახსენებია, როგორ მიეგება გალაკტიონს ბესო ჟღენტი. 1948 წელს გამოვიდა ალექსანდრე ყაზბეგის ორტომეული რუსულ ენაზე ბესო ჟღენტის წინასიტყვაობით. სავარაუდოდ, სხდომაზე სწორედ ამ თარგმანების განხილვა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ფაქტს მიახლოებით ვათარილებთ 1948 წლით.

◇ მკვლევარებს ყოველთვის არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ გადავამოწმოთ მოგონებებში გადმოცემული ფაქტების სიზუსტე, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მათში მოხსენიებული დრო ან რაღაც დეტალი ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება. მაგალითად, იოსებ ფანცხავას პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ გალაკტიონმა 1916 წელს ჟურნალში „თავისუფლება“ გამოსაქვეყნებლად მიიტანა თავისი ლექსი „ბედისწერა“<sup>2</sup>. აქ არც წელია სწორი და არც ჟურნალის დასახელება, რადგან გალაკტიონის ლექსი „ბედისწერა“ გამოქვეყნდა რომანოზ ფანცხავასავე რედაქტორობით გამომავალ არა ამ, არამედ სხვა ჟურნალში „განთიადი“ და რედაქტორს ლექსს 1916 წელს ვერ მიუტანდა, რადგან 1915 წლის 15 იანვარს უკვე გამოქვეყნდა.

◇ ციური ხეთერელის ერთ პუბლიკაციაში საუბარია ალექსი მაჭავარიანისა და გალაკტიონის ერთობლივ მუშაობაზე, მაგრამ თარიღი მითითებული არ არის<sup>3</sup>. მის დაზუსტებაში დაგვეხმარა პოეტის 1952 წლის 29 ივნისის დღიური, რომელშიც ვკითხულობთ: „მაჭავარიანი ალექსი. ამზადებს ორატორიას. იყო ჩემთან“.

◇ ნიკა აგიაშვილის მოგონებაში საუბარია ქართული ბალადისადმი მიძღვნილ საღამოებზე, რომლის ორგანიზატორი იყო გალაკტიონ

---

<sup>1</sup> ც. ხეთერელი, მოგონებების კრიალოსანი, გაზ. კომუნისტი, 1980, 8 მაისი, გვ. 4.

<sup>2</sup> ს. ფანცხავა, გალაკტიონი, გაზ. ალაზნის განთიადი, 1982, 7 დეკემბერი, N144, გვ.4.

<sup>3</sup> ც. ხეთერელი, გულო ჩემო მღელვარევ, გაზ. კომუნისტი, 1981, 15 აგვისტო, N 188, გვ.4.

ტაბიძე<sup>1</sup>. დროდ მითითებულია 1956 წელი, მაგრამ გალაკტიონის დღიურის ჩანაწერები მიგვანიშნებს, რომ საღამოები უნდა გამართულიყო 1955 წლის 4-10 აპრილს<sup>2</sup>

◇ მარიკა ბარათაშვილი ერთგან იგონებს გალაკტიონ ტაბიძის 50 წლის იუბილეს ოპერის თეატრში<sup>3</sup>, როდესაც პოეტმა თავისი ლექსი „მთაწმინდის მთვარე“ ბოლომდე ვერ წაიკითხა, მაგრამ ეს არ მომხდარა არც 1941 წელს, როდესაც მწერალს რეალურად შეუსრულდა 50 წელი და არც 1942 წელს, როდესაც მისი ბიოგრაფიების მიხედვით გახდა ნახევარი საუკუნის. ლაპარაკი იუბილეზე მართლაც 1941 წელს დაიწყო, მაგრამ რეალურად ჩატარდა 1943 წლის 29 ნოემბერს<sup>4</sup>.

◇ ინესა მერაბიშვილის მოგონებაში საუბარია გალაკტიონ ტაბიძის გერის – ნუნუ ებანოიძის სტუდენტობის პერიოდზე<sup>5</sup>, მაგრამ წელი მითითებული არ არის. რამდენადაც 1943 წელს, დედამისისა და გალაკტიონის დაქორწინებისას ნუნუ მეექვსე კლასში ანუ დაახლოებით 13 წლისა იყო და 1948 წლამდე სტუდენტი ვერ გახდებოდა, ფაქტი უნდა მომხდარიყო 1948 წელს ან შემდეგ. მართალია, ნუნუ ებანოიძის დაბადების თარიღად ერთგან 1924 წელიც გვხვდება<sup>6</sup>, მაგრამ, ნებისიერ შემთხვევაში 1948 წელს ის ნამდვილად იყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი და კალათბურთის ქალთა ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი<sup>7</sup>.

---

<sup>1</sup> ნ. აგიაშვილი, დავდგათ ერთი ლექსის ძეგლი, გაზ. თბილისი, 1982, 3 დეკემბერი, N 277, გვ.4.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XIX, თბ., 2008, გვ. 74.

<sup>3</sup> მ. ბარათაშვილი, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 98.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, სიტყვა წარმოთქმული საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50-ე და სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავზე 1943 წ. 29. XI. ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ჟურნ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1973, #3, გვ. 8.

<sup>5</sup> ინესა მერაბიშვილის მოგონება, კვირის პალიტრა, 14 თებერვალი, 2022.

<sup>6</sup> ნანა გაფრინდაშვილი, „ფასეულობაშეცვლილი სამყაროს იდეურ-ესთეტიკური გამოძახილი: გალაკტიონ ტაბიძის „პარალელური ტექსტები“, მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 43.

<sup>7</sup> ეთერ გელაშვილის მოგონება, „გალაკტიონის სიურპრიზი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 21 მაისი, N122, გვ. 8.

◇ არჩილ კორინთელის მოგონებაში გალაკტიონ ტაბიძის მიერ სახალხო სახლში 1919 წელს გამართულ საღამოსთან დაკავშირებით<sup>1</sup>, ზუსტი დრო არ არის მითითებული, მაგრამ ნათქვამია, რომ საღამო კვირას უნდა ჩატარებულიყო. 1919 წელს გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ქუჩიშვილის მონაწილეობით სახალხო სახლში დიდი საღამო მოეწყო 11 ივნისს და ეს იყო სამშაბათი<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ეს იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული ღონისძიება, რადგან მასში მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე და ამ საღამოს მონაწილეთა სიაში არსად არის ნახსენები გიორგი მაისურაძის მომღერალთა გუნდა. შესაბამისად, საუბარი არ უნდა იყოს ამ საღამოზე, მაგრამ, რამდენადაც მოგონებიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ტერენტი გრანელს და არჩილ კორინთელს უცებ ჰპირდება საღამოს მოწყობას „სახალხო სახლში“, 11 ივნისის საღამო მას უკვე ჩატარებული უნდა ჰქონდეს, და დარბაზის ადმინისტრაციასთან გარკვეული კონტაქტი უნდა ჰქონდეს დამყარებული. 11 ივნისის შემდეგ პირველი კვირა არის 16 ივნისი და მეორე საღამო, სავარაუდოდ, 16 ივნისს ან შემდგომ უნდა ჩატარებულიყო.

◇ გიგლა მებუკე გალაკტიონის პირველ სტუმრობას ხონში 1913 წლით ათარიღებს<sup>3</sup>, მაგრამ როგორც 1912 წლის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, 8 ივნისს პოეტს მონაწილეობა უნდა მიეღო ხონში გამართულ საღამოში. რამდენადაც 1916 წლამდე ხონში გალაკტიონის სხვა ჩასვლა არცერთი წყაროთი არ დასტურდება, ვფიქრობთ, გიგლა მებუკის მიერ აღწერილი პირველი სტუმრობა სწორედ 1912 წლის 8 ივნისს უნდა მომხდარიყო.

◇ ნოდარ ტაბიძის ერთ მოგონებაში საუბარია მოსკოვში მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ყოფნის დროს რესტორანში იაკუბ კოლასთან შეხვედრაზე<sup>4</sup>. არ არის დაკონკრეტებული არც წელი და არც ის, თუ რომელი ყრილობა იყო. პირველი ყრილობა 1934 წელს ჩატარდა, როდესაც ნოდარ ტაბიძე 3 წლის იყო და არც გალაკტიონი დასწრებია.

---

<sup>1</sup> ა. კორინთელი, ერთი მოგონება დიდ პოეტზე, გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1973, N115, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №546, გვ. 3. გაზ. „ერთობა“, 1919, №126, გვ. 1.

<sup>3</sup> გ. მებუკე, გ. ტაბიძე ხონში, გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1967, N110

<sup>4</sup> ნ. ტაბიძე, სად იწყებოდა ნადი გალაკტიონი, გაზ. თბილისი, 1982, 3 დეკემბერი, N 277, გვ.3.

შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს მეორე ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1954 წლის 15-26 დეკემბერს.

◇ შოთა როყვას სტატიაში<sup>1</sup> მოთხრობილია გალაკტიონის სტუმრობის შესახებ აჭარაში ანდრო თევზაძესთან ერთად. პუბლიკაციაში მითითებულია, რომ ეს მოხდა 1952 წელს, მაგრამ, ანდრო თევზაძესთან ერთად გალაკტიონის ბათუმში ყოფნის ფაქტი არა 1952, არამედ 1951 წლის დეკემბერში უფრო ვრცლად არის აღწერილი ფრიდონ ხალვაშის პუბლიკაციაში<sup>2</sup>.

◇ ნიკა აგიაშვილის ერთი მოგონებიდან გალაკტიონისა და ალექსანდრე ქუთათელის შესახებ<sup>3</sup>, ჩანს, რომ ეს უკანასკნელი უკვე ცნობილი რომანისტია. ალექსანდრე ქუთათელი ლექსებს და მოთხრობებს მანამდეც აქვეყნებდა, მაგრამ რომანისტი მისთვის შეიძლება იყოს ეწოდებინათ მხოლოდ რომანის „პირისპირ“ პუბლიკაციის დაწყების შემდეგ – 1942 წელს ან მომდევნო პერიოდში.

◇ როდიონ ქორქიას ერთ პუბლიკაციაში საუბარია გალაკტიონის სადამოხე ოპერის თეატრში<sup>4</sup> და ნათქვამია, რომ ეს მოხდა 1908 წელს. ამ დროს გალაკტიონ ტაბიძე სასულიერო სემინარიის მოსწავლე და დამწყები პოეტი იყო და სადამოს ოპერის თეატრში არავინ გაუმართავდა. ქუთაისშიც კი ინდივიდუალური სადამოების გამართვა მან დაიწყო 1911 წლიდან. თბილისის ოპერის თეატრში სადამო, რომლის მილოცვაც საგანგებოდ გამოაქვეყნა ია ეკალაძემ, უნდა ჩატარებულიყო 1922 წლის 25 ივნისს, მაგრამ ისიც არ ჩატარდა. შესაძლოა წლის დაწერილობაში იყოს მექანიკური შეცდომა და უნდა ეწეროს 1958 წელი. ამ წლის 29 დეკემბერს მართლაც გაიმართა გალაკტიონის სადამო ოპერის თეატრში.

◇ ნოდარ ტაბიძეს ერთ ხელნაწერში, რომელსაც წლის აღნიშვნის გარეშე 30 ივნისი აწერია. დაწვრილებით აქვს აღწერილი გალაკტიონის სადამო მარჯანიშვილის თეატრში<sup>5</sup>. ეს თარიღი სხვა არცერთ წყაროში

---

<sup>1</sup> შ. როყვა, პირველი შეხვედრა დიდ პოეტთან, გაზ. საბჭოთა აჭარა, 1982, 11 დეკემბერი, N 238, გვ. 4.

<sup>2</sup> ფ. ხალვაში, გალაკტიონთან ახლოს, მოგონებანი გალაკტიონზე, თბ., 2009, გვ. 104.

<sup>3</sup> ნ. აგიაშვილი, გალაკტიონის ირგვილივ, ჟ. ნიანგი, 1982, N 16, გვ. 4.

<sup>4</sup> რ. ქორქია, სამი მოგონება, გაზ. სახალხო განათლება, 3 დეკემბერი, N 98, გვ. 4.

<sup>5</sup> ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი, გტცა N1471, გვ. 1-5.

არ შეგვხვედრია მსგავს კონტექსტში, მაგრამ თავად გალაკტიონის 1952 წლის 19 მარტის ჩანაწერში ნახსენებია, რომ მასთან შინ მივიდა გერის, ნუნუ ებანოიძის მეგობარი, ელენე ყიფშიძე და შეატყობინა ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა მასთან შეხვედრის სურვილი. მართალია, იმხანად სადამო 5 მაისისთვის ჩაინიშნეს<sup>1</sup>, მაგრამ, როგორც ჩანს, ივნისისთვის გადაიდო. წყაროში აღწერილის მსგავსი სადამოს ჩატარებას მართლაც დიდი სამზადისი დასჭირდებოდა. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს 1952 წლის 6 ივნისის ჩანაწერიც, რომლიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონი მარჯანიშვილის თეატრის სადამოსთვის მასალების ჩასალაგებლად ყუთს ეძებს<sup>2</sup>. ამასვე მოწმობს 1952 წლის კიდევ ერთი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც პოეტი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 30 ივნისს დაგეგმილი თავისი სადამოსთვის წერს მწერალთა კავშირის და მეცნიერებათა აკადემიის იმ წევრების სიას, ვისაც ბილეთები უნდა გადასცეს<sup>3</sup>. შესაბამისად, ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ნამდვილად 1952 წლის 30 ივნისის ამბებს ასახავს.

◇ 1951 წლის 12 დეკემბრის შემდეგ უბის წიგნაკში გაკეთებულ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ იგი პირველად კინოფორზე აკაკი წერეთელთან ერთად გადაიღეს ქუთაისში და ფიქრობს, რომ ეს ფირი უნდა იყოს სახელმწიფო კინოწარმოებაში. სავარაუდოდ, პოეტი გულისხმობს ვასილ ამაშუკელის დოკუმენტურ ფილმს „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. დღეისათვის გავრცელებულ ვერსიაში ქუთაისის ეპიზოდი ძალიან მოკლეა და გალაკტიონი, თითქოს, არ ჩანს, მაგრამ, შესაძლოა, ის კადრები, რომლებზეც ის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი, იყო ასახული, არ შემორჩენილა ან იდენტიფიცირება ჭირს. რამდენადაც ქუთაისის კადრები დათარიღებულია 1912 წლის 21 ივლისით, გალაკტიონის ფირზე გადაღების ფაქტიც ასე დავათარიღეთ.

◇ გალაკტიონ ტაბიძე დღიურებში ორჯერ ახსენებს, რომ ფირზე აღბეჭდეს, როგორ იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ერთი ჩანაწერი გაკეთებულია 1951 წლის იანვრის დასაწყისში ამავე წლის მაგიდის კალენდარზე და, შესაბამისად, უფრო ადრეული ვერ იქნება. მასში

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 275, გვ. 6. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 262.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 280, გვ. 1. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 293.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 284, გვ. 3-9. გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 305-306.

ვკითხულობთ: „კინოებში მიდის ქრონიკა „არჩევნები“. მე გადაღებული ვარ თურმე შესანიშნავად, ხმის მიცემის დროს...“<sup>1</sup>. მეორე ჩანაწერის მიხედვით, რომელიც 1951 წლის დეკემბერშია გაკეთებული, იგი არჩევნებზე გადაიღეს 1949 წლის 17 დეკემბერს<sup>2</sup>. 1949 წლის 17 დეკემბერს თბილისში არჩევნები არ ჩატარებულა. საგულისხმოა, რომ 1951 წლის დასაწყისში გაკეთებულ ჩანაწერში სიტყვა „თურმე“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ფირის გადაღება ახალი ამბავი იყო. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს არა 1949, არამედ 1950 წლის 17 დეკემბერს ჩატარებულ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე<sup>3</sup>.

◇ 1951 წლის 12 დეკემბრის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერიდან ჩანს, რომ ერთი ვიდეოფირი გალაკტიონს გადაუღეს საკუთარი ბინის კაბინეტში<sup>4</sup>. რამდენადაც ცალკე კაბინეტი ჟორესის ქუჩაზე გადასვლამდე ვერ ექნებოდა, საუბარი უნდა იყოს 1935 წლის შემდგომ პერიოდზე. ამავე ჩანაწერში საუბარია ჯალიაშვილის ფილმზე „В лучах октября“. 1948 წლის 28 ივლისის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ჯალიაშვილის ფილმს საბოლოოდ დაერქვა „საბჭოთა საქართველო“ და მასში გალაკტიონ ტაბიძე გადაღებულია თივის თიბვის დროს. შესაბამისად, ფილმი 1948 წლის 28 ივლისამდე უნდა ყოფილიყო გადაღებული. რაც შეეხება აკადემიკოსებთან ერთად გადაღებულ კადრებს, ვათარიღებთ გალაკტიონ ტაბიძის აკადემიკოსად არჩევის (1944 წლის 22 თებერვალი) დროის შემდგომი პერიოდით.

◇ გალაკტიონის უსათაურო ლექსის „სანამ არ დამსხვრეულა ჩანგები და აფრები...“ ავტოგრაფს მიწერილი აქვს 22 იქტომბერი, სიღნაღი<sup>5</sup>. შევეცადეთ, გაგვერკვია, რომელი წლის 22 იქტომბერს იმყოფებოდა გალაკტიონი სიღნაღში. უკვე გვქონდა ინფორმაცია, რომ 1928 წლის 23 იქტომბერს ის იმყოფებოდა კახეთში, ილო მოსაშვილის სახლში, სადაც ტარდებოდა არიფიონელების შეკრება. რამდენადაც ილო მოსაშვილს სწორედ სიღნაღში, ვაქირში ჰქონდა სახლი, სადაც დღეს მისი

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 266, 3; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 151.

<sup>2</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 68; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ. 197.

<sup>3</sup> საყოველთაო სახალხო დღესასწაული, გაზ. კომუნისტი, 1950, N283, 18 დეკემბერი, გვ. 1.

<sup>4</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, 270, გვ. 68; გ. ტაბიძე, სგ, წ. XVIII, თბ., 2006, გვ.197.

<sup>5</sup> ავტოგრაფი, გტცა N1021, გვ.1.

სახლმუზეუმი, სავარაუდოა, რომ ლექსი სწორედ 1928 წლის 22 ოქტომბერს იყოს დაწერილი. არიფონის თემა ლექსშიც იკითხება: „არიფონისთანა ციხის არ ვარ მნახველი“.

◇ გალაკტიონისა და მისი ოჯახის მიმოწერიდან ჩანს, რომ ის გარკვეული დროით ცხოვრობდა თავისი დედის – ეკატერინესა და მისი ქმრის თადეოზ ნამიჭეიშვილის ბინაში, რომელიც იმხანად ნაქირავები ჰქონდა მის ბიძაშვილ სერაპიონ ადეიშვილს. ამ პერიოდის უთარილო წერილების დასათარიღებლად და ბიოგრაფიული დეტალების გასარკვევად ჩავატარეთ ტექსტების კორპუსული კვლევა. სერაპიონთან გალაკტიონის ყოფნა ნახსენებია 1906 წლის 22 და 27 აპრილის<sup>2</sup> და 27 ოქტომბრის წერილებში<sup>3</sup>. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ გალაკტიონს იქ 1906 წლიდან ეცხოვრა. დედისგან 1907 წლის 30 იანვრამდე<sup>4</sup> და 1907 წლის 26 თებერვლამდე მიღებულ წერილებში<sup>5</sup> და ძმისთვის 1907 წლის 11 მარტს<sup>6</sup> გაგზავნილ ბარათში გალაკტიონის დიასახლისად ყველგან მოხსენიებულია დესპინე. უფრო გვიან, დედისთვის 1908 წლის 13 იანვარს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ პოეტი იმ დროს გადავიდა ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში<sup>7</sup>. შესაბამისად, სერაპიონისგან გალაკტიონი 1907 წლის 30 იანვრამდე უნდა გადასულიყო. ზემოთ წარმოდგენილი ამონარიდებიდან შეკრებილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დედის და ძმის ერთობლივი წერილი ეკატერინე და თადეოზ ნამიჭეიშვილებისადმი<sup>8</sup>, რომლიდანაც ჩანს, რომ გალაკტიონი უკვე ცხოვრობდა სერაპიონის მიერ ნაქირავებ ბინაში ჯერ კიდევ ნოემბრიდან („შვა გიორგობის თვეს აქეთ არაფერი მიმიცია“) და რომელიც დაწერილია 26 დეკემბრის შემდეგ („შობის მეორე დღეს

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 315.

<sup>2</sup> ავტოგრაფები: გტცა N1283, N1559.

<sup>3</sup> აბესალომ ტაბიძის მიერ დედისთვის გაგზავნილი წერილის ავტოგრაფი, გტცა, N1556, გვ. 1-2.

<sup>4</sup> მაკრინე ადეიშვილის წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, გტცა 839, 1-3.

<sup>5</sup> მაკრინე ადეიშვილის წერილი გალაკტიონ ტაბიძისადმი, ქლმ, ხ. 24551/297. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 141, 142.

<sup>6</sup> გალაკტიონის წერილი აბესალომისადმი, ავტოგრაფი, გტცა 818, გვ. 1-4.


<sup>7</sup> ავტოგრაფი, ქლმ, 24551.1. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 7.

<sup>8</sup> ავტოგრაფი, გტცა N1526, გვ. 1-4.



ჩამოვედი“) ნათლისღებამდე („სანათლიღებოდ ქუთაისში ვიქნებო“, „ნათლისღების მეორე დღეს უნდა წავიყვანო...“) 1906-1907 წლების გასაყარზე უნდა იყოს დაწერილი, 1906 წლის 26 დეკემბრიდან 1907 წლის 6 იანვრამდე. შესაბამისად ვათარიღებთ წერილში აღწერილ თანადროულ ფაქტებსაც.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას განქორწინების მოწმობა, რომელიც დათარიღებულია 1927 წლის 30 სექტემბრით. მოწმობაზე არის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი. აქტის დამადასტურებელი ჩანაწერი გატარებულია და მინიჭებული აქვს ნომერი, მაგრამ გრაფები, რომლებშიც უნდა იყოს გალაკტიონისა და ოლიას ხელმოწერები, ცარიელია. ჩვენი დაეჭვება ამ დოკუმენტით ამის გარდა გამოიწვია იმანაც, რომ არსებობს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული 1927 წლის 22 სექტემბრის ოლია ოკუჯავას წერილი გალაკტიონისადმი<sup>1</sup>. მასში ნათქვამია, რომ გალაკტიონმა სმას და ქალებს გადააყოლა ყველაფერი. ამიტომ ოლიას ასე ცხოვრება აღარ შეუძლია და მათ ურთიერთობას აზრი აღარ აქვს. ამ წერილზე არის განრისხებული გალაკტიონის მინაწერიც: „Ты не женщина, а ведьма после этого“. ასეთ სიტუაციაში სულ არ იქნებოდა გასაკვირი, რომ მათ განქორწინება გადაეწყვიტათ, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ამ წერილისა და განქორწინების თარიღების შეუსაბამობა. ლოგიკური იქნებოდა, რომ განქორწინების თარიღი მოსდევდეს ამ წერილისას, მაგრამ ასე არ არის. მწერლის საარქივო გამოცემაში წერილის თარიღად მითითებულია 22 ოქტომბერი და ამაში თავდაპირველად ჩვენც არ შეგვპარვია ეჭვი (წარმოდგენილი გამოსახულების ზედა ნაწილში არის წერილის თარიღი, ქვედაში კი – განქორწინების მოწმობისა), მაგრამ როდესაც კარგად დავაკვირდით, შევნიშნეთ რიგობითი რიცხვითი ნიშნის „X“ წინ მელნის ანაბეჭდი ზუსტად იმ ადგილას, სადაც იქნებოდა ნიშანი „I“ თუ ოლია „IX“ თვის დაწერას აპირებდა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილის დაწერის თარიღი უნდა იყოს 22 სექტემბერი და არა 22 ოქტომბერი და



<sup>1</sup> გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 185-186.

განქორწინების მოწმობა შედგენილი უნდა იყოს ამ წერილის დაწერიდან რვა დღის შემდეგ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საბუთზე არ არის ოლიასა და გალაკტიონის ხელმოწერები. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მათი მოთხოვნით შესაბამის უწყებას საბუთი მოემზადებინა და საბოლოოდ მათ გადაეფიქრებინათ. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ რიცხვის შემდეგ ოლიასა და გალაკტიონის ურთიერთობა ჩვეულებრივ გრძელდებოდა. ახლობლები მათ ამ დღის შემდეგაც მეუღლეებად მოიხსენიებენ. მაგალითად, 1928 წლის 27 ივლისის წერილში გალაკტიონისადმი, მისი ძმა აბესალომი ცალკე მიმართავს ოლიას და სწერს, რომ, მიუხედავად მოუცლელობისა, რაკი ბედმა ასეთ დიდ კაცთან დააკავშირა, უნდა ეცადოს, რომ ცხოვრების გზა შეუმსუბუქოს. სთხოვს, აგვისტოს ბოლოს აუცილებლად ეწვიონ<sup>1</sup>. გალაკტიონსაც ძველებური ურთიერთობა აქვს ოლიას ოჯახთან. 1928 წლის 1 აგვისტოს ის მოსკოვში ხვდება ოლიას დას, მანიას და ერთად უგზავნიან დეპეშას ოლიას<sup>2</sup>. შესაბამისად, მართლაც სარქმუნო ჩანს, რომ ოლიასა და გალაკტიონს განქორწინება გადაეფიქრებინათ.

---

<sup>1</sup> აბესალომ ტაბიძის წერილი, ხ-24551-353. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 159-160.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 46, 47.

მაია ნინიძე

◇ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალის კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთ რვეულში ან უბის წიგნაკში ტექსტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ არის ჩაწერილი და სხვადასხვა ჩანაწერს შორის შეიძლება არაერთი წელი იყოს დაშორება, მაგრამ არის ისეთი რვეულები და უბის წიგნაკებიც, რომლებშიც თანმიმდევრობა დაცულია. ასეთ შემთხვევაში, სუბსტრატში დაცული თარიღიანი ტექსტები ძალიან გვეხმარება უთარიღოების დაწერის დროის ზედა ან ქვედა ზღვრის განსაზღვრაში. ერთ-ერთ რვეულში ფურცლის ვერსოზე ხელმოწერით „მარგარიტა გოტიე“ გალაკტიონს ჩაწერილი აქვს უსათაურო ლექსი „ყოფნის ზვირთთან აღარ ძალმიძს კვლავ შებმა...“ (გტცა, №198, გვ. 102), იმავე ფურცლის რექტოზე კი წერია იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებაზე (1912 წლის 1 ივნისი) დაწერილი ლექსი. შესაბამისად, ვერცერთი მათგანი ვერ იქნება 1912 წლის 1 ივნისზე ადრეული.

◇ პოეტის არქივში დიდი რაოდენობით ტექსტებია ნაწერი რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე. თუ რვეულში ჩაწერილი ტექსტების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ხშირად ვარკვევთ იმის მიხედვით, რომელი რომლის შემდეგ არის ჩაწერილი, ასეთ შემთხვევაში მსგავსი დასაყრდენი არ გვაქვს, მაგრამ აქაც გამოვინახეთ ერთი ხელჩასაჭიდი. პოეტის მოღვაწეობის პერიოდში გამომავალ რვეულებს საწერი ველის მოსანიშნად მარჯვენა კიდეში ჰქონდა ხოლმე ვერტიკალური ხაზი. რვეულიდან ამოხეულ ფურცელს ეს ხაზი მარჯვენა მხარეს აქვს თუ მარცხენა მხარეს, ამის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ რომელია მისი რექტო და რომელი – ვერსო, შესაბამისად, რომელ გვერდზე დაწერილი ტექსტია უფრო ადრეული. მართალია, ტექსტები ფურცლის რვეულიდან ამოხევის შემდეგაც შეიძლება იყოს ნაწერი, მაგრამ, დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ამოხეულ ფურცელზეც მექანიკურად, ჩვევისამებრ, ამავე თანმიმდევრობით ვწერთ ხოლმე, ჯერ რექტოზე (რომელსაც მარჯვნივ აქვს ვერტიკალური ხაზი) და შემდეგ ვერსოზე (რომელსაც ეს ხაზი მარცხნივ აქვს). ზოგჯერ შეიძლება რვეულს ეს ვერტიკალური ხაზიც არ ჰქონდეს, მაგრამ იმის

მიხედვით, რომელი მხარე აქვს ჩამოხეული და რომელი ჩამოჭრილი, მაინც ეტყობოდა, რომელია მისი რექტო და რომელი – ვერსო.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ ცალკეულ ფურცელზე რამდენიმე ლექსი ან ჩანაწერიც კი არის მოთავსებული და თუ ერთი მათგანი მაინც არის თარიღიანი, ეს სხვების მიახლოებითი დათარიღების საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ზღვაზე“ („შორს მოსჩანს ნისლი გაურკვეველი...“)<sup>1</sup> წერია იმ ფურცლის რექტოზე, რომლის ვერსოზეც 1915 წლის 26 იანვარს გარდაცვლილი აკაკი წერეთელი ცოცხალთა შორის იხსენიება. შესაბამისად, ის ამ თარიღზე გვიან ვერ იქნება დაწერილი. ლექსი „ნანა“ („ძილს მისცემია მალა ცის სივრცე...“)<sup>2</sup> წერია იმ ფურცლის რექტოზე, რომლის ვერსოზეც არის არა უგვიანეს 1928 წლის ივნისისა დაწერილი „ზამთრის ღამე“. შესაბამისად, ისიც არა უგვიანეს 1928 წლის ივნისისა უნდა იყოს დაწერილი. რუსულ ენაზე დაწერილი გეგმა თემისთვის „ახალი წელი სოფლად“, ისევე, როგორც ულვაშიანი და ცილინდრიანი კაცის ჩანახატი (წარწერით „ახალი წელიწადი“), რომელიც ხელის კვრით დევენის წელში მოხრილ და თავდახრილ ფიგურას (წარწერით „მური“<sup>3</sup>) მოთავსებულია იმ ფურცლის რექტოზე, რომლის ვერსოზეც წერია 1908 წლის 1 იანვარს დაწერილი „ახალი წელიწადი“. შესაბამისად, ეს რუსული ჩანაწერები და ჩანახატი 1908 წლის 1 იანვარზე გვიანდელი ვერ იქნება.

◇ ლექსები: „რთველი“ („მალლიდგან მწიფე მარცვლები...), „ქრისტე აღსდგა“, „ნუ, ნუ მტანჯავ მოლოდინში...“ და „მერცხლები“<sup>4</sup> მოთავსებულია იმ ფურცლის ვერსოზე, რომლის რექტოზეც 1905 წლის ნოემბერი წარსულ დროშია მოხსენიებული. შესაბამისად, ეს ლექსებიც ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

◇ ლექსები: „ყოველ დილით“, „დაფნა და ეკალი“, „მზე დასავლით ესვენება...“, „ქარიშხლის შემდეგ“, „ძველი ზღაპარი“ და „ოჰ, ვითარ გასურდა...“ წერია იმავე ფურცელზე, რომელზეც ლექსი „ჩემი ქნარი“<sup>5</sup>. რამდენადაც ეს უკანასკნელი 1914 წლის ივნისის გამოცემაში ამ

---

<sup>1</sup> გტცა, №162, გვ. 1.

<sup>2</sup> გტცა, №164, გვ. 1.

<sup>3</sup> გტცა, №160, გვ. 1

<sup>4</sup> გტცა №28, გვ. 3.

<sup>5</sup> გტცა №49, გვ. 1-2.

ხელნაწერში წარმოდგენილი საბოლოო სათაურით (ავტოგრაფის ქვედა შრეში სათაურად იყო „ჩემი სიმღერა“) არის გამოქვეყნებული, ამ ფურცელზე ნაწერი ლექსებიდან არცერთი არ უნდა იყოს 1914 წლის ივნისზე გვიანდელი.

♦ გალაკტიონის ერთ-ერთ სქელ რვეულში<sup>1</sup> მესამე გვერდზე არის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ნაწარმოებების ჩამონათვალი და მითითებულია პერიოდული ორგანოების სახელები. ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია პოემა „მწყემსის“ პუბლიკაცია გაზეთ „თემში“. რამდენადაც აქ პოემის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1911 წლის 31 ოქტომბერს, ჩანაწერი ამაზე ადრეული ვერ იქნება. (პოეტის შემდეგი პუბლიკაცია განხორციელდა ჟურნალში „განათლება“ 1911 წლის 11 დეკემბერს, მაგრამ ეს ნუსხაში შეტანილი არ არის). ზემოთქმულის საფუძველზე უნდა გვევარაუდა, რომ რვეულში ამ ჩანაწერის შემდეგ გვერდებზე შეტანილი ტექსტები ყველა ამ თარიღზე გვიანდელია, მაგრამ ასე არ არის. მომდევნო გვერდზე წერია ლექსი „ნიაღვარი“ („როცა მზე მწვერვალს...“), რომელიც 1910 წლის 4 ივლისს უკვე გამოქვეყნებული იყო<sup>2</sup>, მეხუთე გვერდზე კი – „სიჩუმე“ (არ იძვრის სიო...“), რომელიც 1910 წლის 5 სექტემბრამდე უკვე ჰქონდა შეტანილი თავისი ლექსების ნუსხაში<sup>3</sup>. შესაბამისად, იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ რვეულში თეთრად გადაწერილი ლექსების შექმნის დროზე რვეულში მათი განთავსების მიხედვით დასკვნას ვერ გავაკეთებთ. ამიტომ ვცდილობთ, რომ, როცა ეს შესაძლებელია, სხვა არგუმენტებს დავეყრდნობთ. მაგალითად, ქუჩუ ქავთარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს ვათარილებთ მისი გარდაცვალების დროის, 1910 წლის 18 იანვრის მიხედვით, რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილებს – 1912 წლის გაზაფხულით ან უფრო ადრეული პერიოდით<sup>4</sup>. პირველ ჩანაწერზე დაყრდნობით 1911 წლის 31 ოქტომბრის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ მხოლოდ იმ ტექსტებს, რომლებსაც რვეულში ეტყობა აქტიური მუშაობის კვალი.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198.

<sup>2</sup> ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №26, 4 ივლისი, გვ. 2.

<sup>3</sup> ლექსების ნუსხა, გტცა, №196, გვ. 37-49.

<sup>4</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 9, 139, 143

ამავე რვეულის 7-8 გვერდზე არის ახალი წლის თემაზე შექმნილი ეპიგრამები. შესაბამისად, მივიჩნით, რომ ისინი 1911 წლის მიწურულს ან 1912 წლის დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი. მომდევნო ფურცლების მასალა, დროის ახალ ნიშნულამდე, დავათარილეთ 1912 წლის იანვრით ან შემდგომი პერიოდით. შემდეგი თარიღი რვეულში არის „12 მაისი“, რომელიც წერია მე-14 გვერდზე. შესაბამისად, მისი მომდევნო ჩანაწერები დროის ახალ ნიშნულამდე დავათარილეთ 1912 წლის 12 მაისის შემდგომი პერიოდით. რვეულის 101-ე გვერდზე არის იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მისი გარდაცვალების, 1912 წლის 1 ივნისის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამიტომ რვეულში მის მომდევნო ტექსტებს 1912 წლის 1 ივნისის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ. 116-ე გვერდზე ნახსენებია ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტი „მადელენი“ ეს ფსევდონიმი გაუხსნელია, მაგრამ ვიცით, რომ ამ ფსევდონიმით სტატია „საარჩევნო პროვოკაცია“ გამოქვეყნდა 1912 წელს ჟურნალ „დეპუტატის არჩევანის“ მეორე ნომერში, რომელიც ოქტომბერში გამოვიდა. შესაბამისად, ამ ჩანაწერის მომდევნო ტექსტები დავათარილეთ 1912 წლის ოქტომბრის შემდგომი პერიოდით. 124-ე გვერდზე არის ლექსი „მაისი მოდის“, რაც სხვა თარიღების კონტექსტში მიგვანიშნებს, რომ ის 1913 წლის მაისის დადგომამდე უნდა იყოს დაწერილი. ამას ერთგვარად მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ამავე რვეულში 131-ე გვერდზე ჩაწერილი ლექსი „ქალი და ხელოვნება“ 1913 წლის 19 მაისს გამოქვეყნდა ჟურნალში „ოქროს ვერძი“ და, შესაბამისად, ამ თარიღზე გვიან ვერ იქნებოდა დაწერილი. შესაბამისად, 124-ე გვერდის შემდგომ ჩაწერილ ტექსტებს ვათარილებთ 1913 წლის მაისით ან შემდგომი პერიოდით. დროის შემდეგი მითითება არის 150-ე გვერდზე, სადაც მეცადინეობების შესახებ რუსულად წერია, რომ გაგრძელდება 28 ივნისამდე („до 28 июня“). შესაბამისად, ეს ჩანაწერი 1913 წლის 28 ივნისამდე უნდა იყოს გაკეთებული, მომდევნო ტექსტებს კი ვათარილებთ 1913 წლის 28 ივნისით ან შემდგომი პერიოდით. იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „უკვდავი მწუხარება“ („ეს მწუხარება შვებას არ მისცემს...“)<sup>1</sup> და ლექსი „ლექცია“ („ემპირიული სული ქმნის...“)<sup>2</sup>, როგორც მინაწერებიდან ჩანს, დაწერილებია გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში, სადაც გალაკტიონი მუშაობდა 1911 წლის 13 სექტემბრიდან 4 ნოემბრამდე. ამიტომ მათი უფრო ზუსტი, ამავე ინტერვალით დათარიღების საშუალება გვეძლევა, მაგრამ ამ რვეულში, სავარაუდოდ, 1913 წლის მაისში ან შემდეგ უნდა იყოს გადაწერილი.

---

<sup>1</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 118.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 132.

**„გრიმასები, რომ არ გიცნონ“**

გალაკტიონ ტაბიძე ყველაზე უფრო არტისტული ნატურაა ქართულ პოეზიაში. აქ არაფერს ვიტყვი მისი მეორე წიგნის შესახებ, რომელსაც „არტისტული ყვავილები“ უწოდეს და, როგორც გ. ბუაჩიძე წერს, „ასე განსაჯეთ, არტისტული ლექსებიც კი. დაისაჯა უმანკო ყვავილები, არტისტიზმს შეეგუნენ, თავის ქალას კი გაუმკლავდნენ“<sup>1</sup>. თავად სიტყვის ჯადოქარი, ფრაზის მუსიკალობას, იდუმალებასა და ელვარებას სიტყვის, საგნისა და მოვლენის იშვიათი განცდითა და არტისტული სიმძაფრით აღწევდა. გალაკტიონი სამყაროს, ცხოვრების პოეტურ განცდას ყოველთვის ავლენდა არტისტული ექსტაზით. ზოგადად, „ეს არტისტიზმი დამახასიათებელი თვისება იყო მე-20 საუკუნის დასაწყისისა და ოციანი წლების პოეტების ლექსებში, რომელთა პოეტურ ხილვებში თეატრალურ სახეებს, არტისტულ ყვავილებს დიდი ადგილი ეკავათ. გალაკტიონის ლექსებში თეატრალური „აქსესუარები“ განსაკუთრებულ ინტიმს იძენენ, მისი პოეტური განცდა და თეატრალური ილუზია აღქმულია როგორც მთლიანი პროცესი, „ანთებული! არტისტული ცხოვრება... ყოველთვის დიდი იმპულსის მატარებელი იყო გალაკტიონის პოეტური შთაგონებისა“<sup>2</sup>.

გ. ტაბიძის ცხოვრებაც და შემოქმედებაც რთული და ამოუცნობი ნიღაბია, „გამოუცნობი ქიმერა“ - თამაშის ხელოვნებაში ჩართული დიდი შემოქმედის პოეტური ხილვებით, ფანტაზიებითა და წარმოსახვებით, „სიზმარიან ჩვენებით“ მოცული საინტერესო ბიოგრაფია. წერდა კიდევ:

*„ჩემი როლი ნიღაბით იყო სული ნიღაბის,  
ვარ უცნობი ყველასთვის ასეთ სულისკვეთებით“<sup>3</sup>.*

<sup>1</sup> ბუაჩიძე გ., „წახნაგები“, თბ., 1983, გვ. 90-98.

<sup>2</sup> ლორთქიფანიძე ი., „გალაკტიონ ტაბიძე: ცხოვრების გზა და შემოქმედებითი ბიოგრაფია“, თბ., 1988, გვ. 166.

<sup>3</sup> ტაბიძე გ., ტ. II-III, თბ., 2016, გვ. 222.

გალაკტიონის ათასგვარ ნიღაბთა შორის ერთი ყველაზე სერიოზული მისი შეცვლილი ხმა იყო. „გრიმასები, რომ არ გიცნონ“ (ტაბიძე, სგ, წ. XXI, 2008: 393) - წერდა პოეტი. ძმის გარდაცვალების შემდეგ წვერი მოუშვა და უფრო სრულყო საკუთარი ნიღაბი. ნოდარ ტაბიძე იხსენებდა ერთ საინტერესო ფაქტს: „არასოდეს დამავიწყდება 1954 წლის დეკემბერი. გალაკტიონი და მე სასტუმრო „მოსკვაში“ ვზინდრობთ. კარზე მორიდებული კაკუნი ისმის. შემოდის მაღალი კაცი და გალაკტიონს გადაეხვევა. პოეტი დუმს.

– ნუთუ ვერ მიცანით, ვასილი ვარ, ოკუჯავა.

– ვასიოკ! - უცნაური ხმით ყვირის გალაკტიონი.

ნიღაბი სახიდან ჩამოცურდა და ნამსხვრევებად იქცა<sup>1</sup>.

რევაზ თვარაძე იგონებს ძველი ცენზორის ნამბობს: ერთხელ გაცეცხლებულმა გალაკტიონმა კვლავ ძველებური ბოხი ხმით შემომიტია და ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, უცბად კიდევ შევშინდიო<sup>2</sup>.

ელგუჯა მალრაძემ უამბო ვ. ჯავახაძეს: „1951 წლის მარტი იდგა. პლენანოვზე რომ სარდაფი-სასაუზმეა, იქ დავლიეთ გალაკტიონთან ერთად მე და ოთარ ჭელიძემ. ზედმეტი მოგვივიდა და ჩავთვლიმეთ. მალე უცნაურმა ხმამ გამომაფხიზლა. გალაკტიონი სრულიად სხვა ხმაზე ლაპარაკობდა, უფრო სწორად – ღმერთს ელაპარაკებოდა თუ ესაყვედურებოდა. გოცება რომ შემატყო, ძველი ხმა დაიბრუნა:

– თქვენ, როგორი ხმის ღირსიცა ხართ, იმ ხმაზე გელაპარაკებითო“<sup>3</sup>.

წვრილი პირველი ხმის პატრონი გალაკტიონი არ ყოფილა. საბუთად მისი ერთი უნიკალური ჩანაწერიც გამოდგება, რომლის მიხედვითაც ნიკო სულხანიშვილმა გუნდში მიიღო, ბანებში დააყენა და ცოტა ხანში ბარიტონად ჩამოყალიბება უწინასწარმეტყველა (დღიური - 447 - უთარილო): „ნ. სულხანიშვილი. 1910 წელი. ერთ-ერთი სახლის დარბაზი საპიორების ქუჩაზე. დარბაზის ფანჯრები ღიაა, მოსჩანს გაზაფხულის ხე, ფანჯარასთან წინ ვაზა ყვავილებით. დარბაზში უხვად შემოდის მზის სხივი. დარბაზის ერთ კუთხეში სდგას როიალი. როიალთან ზის ნიკო სულხანიშვილი. მას ხელები კლავიშებზე უდევს.

---

<sup>1</sup> ჯავახაძე ვ., „უცნობი“, თბ., 2020, გვ. 890.

<sup>2</sup> თვარაძე რ., „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, თბ., 2001, გვ. 267.

<sup>3</sup> ჯავახაძე ვ., დასახ. წიგნი, გვ. 890.



დიდი კომპოზიტორის სახე გამოხატავს შემოქმედებით ზეშთაგონებას. და მისი დიდი თვალეები ალტაცებით მომჩერებია. კომპოზიტორი ამოწმებს ჩემს ხმას. მე კი ვდგევარ იქვე, როიალის ახლო. ჩემს იქით, გვერდზე და სიღრმეში სდგანან ჩემი ამხანაგები, სემინარიელები, გიმნაზიელები. ისინი დაინტერესებული და გონიერი [სახეებით] თვალეებით იხედებიან. ისინი უცდიან, რა შედეგს მოიტანს გამოცდა.

– დავიწყოთ ხელახლა! – [ამბობს] მეუბნება ნიკო სულხანიშვილი, – აბა, აჰყევით.

ნიკო იღებს გამმას, სრულიად უბრალო გამმას. დო, რე, მი... მე ვყვები – ჯერ სრულიად უბრალოდ. შემდეგ გადადის ვარიაციებზე და ჩემი ხმა უმაღლესი ნოტიდან გადმოდის დაბალზე. დაბალიდან მაღალზე, და ასე შემდეგ, დიდხანს. კომპოზიტორი გულდასმით ამოწმებს ყოველივეს. უკანასკნელი აკორდი მისწყდა. გამოცდა დამთავრდა.

ყველა სულგანაბულია, მეც. ვუცდით სულხანიშვილის დასკვნას, უკანასკნელ განაჩენს. ის ცოტა ხანს სდუმს და შემდეგ დაჯერებით, [კატეგორიულად] ალტაცების იერით ხმაში, ამბობს:

– რა სუფთა ალტია, გასაოცრად ხავერდოვანი და [ძლიერი] წვრიალა ალტი! უნაზესი ლირიკაა! [ალტი, ჩვეულებრივად, შემდგომ, ბარიტონად იქცევა!] რამდენი წლისა ხართ?

– თხუთმეტის, ბატონო ნიკო.

– როდესაც ოცს წელს გადასცდებით, [ეს] თქვენი ალტიც ბარიტონად იქცევა. ჩვეულებრივად ასე ხდება. დარჩით ჩემს გუნდში, ვიმღეროთ ერთად, – ხალისიანად სთქვა მან და მხარზე ხელი დამკრა.

ასე გავხდი ნ. სულხანიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი, ეს იყო 1910 წელს“ (ტაბიძე, სგ, წ. X XX, 2008: 158-159). სხვათა შორის, მოგვიანებით პოეტი ასე გაიხსენებს: „ნიკოს ძალიან ვუყვარდი... საკმაოდ კარგი ხმა მქონდა ბავშვობაში“<sup>1</sup>.

როგორც ამბობენ, ზოგჯერ მთვრალს თამაშობდა: არყიან ჭიქას ხელისგულზე დაიპირქვავებდა და წვერ-ულვაშზე შეისხურებდა. მაგრამ, ალბათ, ყველაზე შემზარავი იყო გალაკტიონის მონაწილეობა

---

<sup>1</sup> ჩიქობავა გ., „გალაკტიონის ახლო“, თბ., 1966, გვ. 20.

„დიდ ეროვნულ ტრაგედიაში“, რომელშიც ბედისწერა აიძულებდა, „დასთანხმებოდა კომიკოსის როლს“<sup>1</sup>.

\* \* \*

პოეტის არტისტული პროფილის გამოსაკვეთად უადრესად მნიშვნელოვანია მისი სამსახიობო და სარეჟისორო „ვნებანი“. საერთოდ, გ. ტაბიძისა და დრამატული თეატრის შესახებ მის პირადს არქივზე დაყრდნობით ცოტა რამაა ცნობილი და, შესაბამისად, ინფორმაციაც სამეცნიერო ლიტერატურაში აშკარად დეფიციტურია. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ გალაკტიონი იყო ერთადერთი ქართველი პოეტი, რომელმაც 1918 წ. 25 ივნისს დაამთავრა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებული პირველი ხუთთვიანი სარეჟისორო (საინსტრუქტორო) კურსები და მიიღო მოწმობა №021373-2, დადასტურებული მასწავლებელთა ხელმოწერებითა და ლიგის გამგეობის ბეჭდით დამოწმებული.

### პირველი როლი

1905 წ. გალაკტიონს დაუწერია პიესა რევოლუციის შესახებ და ტიცინ ტაბიძესთან ერთად დაუდგამს კიდეც. თავად თამაშობდა ყაჩაღის როლს. უფრო დეტალურად ეს ამბავი მას ასე აქვს გადმოცემული 1925 წლით დათარიღებულ დღიურში: 1905 წ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი უფროს მოწაფეთა გამოსვლის გამო ერთი წლით დაიხურა. „მე მივდივარ სოფელში. ამავე წელს მე ვწერ უამრავ ლექსებს, მოთხრობებს და პიესას რევოლუციის შესახებ. პიესას მისივე რეჟისორობით შემდეგ ვდგამდით სახლში და [ტიცინი] თვითონ მე ძალიან მოხდენილად ვთამაშობდი ყაჩაღის როლს“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 193). ერთი გვიანდელი ჩანაწერის მიხედვით, 1906 წ. თავისი ნათლის – ანდრო წერეთლის სახლში, ქუთაისში, არქიელის გორაზე, დგამს პიესას „წითელიშვილის რაზმი“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 281).

გალაკტიონს პოეზიასთან ერთად არ ასვენებდა დრამატული თეატრის სიყვარული და აგრძელებდა პიესების წერას. ნოდარ ტაბიძის

---

<sup>1</sup> ჩხეიძე რ., „კომიკოსი ტრაგედიაში - გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ., 2012, გვ. 280.

ცნობით „1907 წელს რამდენიმე პიესა დაწერა, რომელთაგან ყველაზე ღირებულია ორმოქმედებიანი „სურათები ცხოვრებიდან“. სხვათა შორის, სცენაზეც წარმოადგინეს. გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „გუმინ, 30 მარტს, ჩემმა ამხანაგებმა გ. მიხელიძემ, ა. დედარიანმა, ვ. გოგოძემ, მ. ყიფშიძემ, პ. ჩარკვიანმა და სხვებმა წარმოადგინეს ჩემი „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. სპექტაკლი საშუალო დონისა იყო, ძალიან კარგი იქნებოდა, ამხანაგებს რომ არ ეცინათ როლების შესრულებისას და ეთამაშათ გენადი მიხელიძის მსგავსად“. ჩანს, სასწავლებელში გალაკტიონს მწერლად ცნობენ. მისი ნაწარმოებებით ინტერესდებიან, კითხულობენ, დგამენ... სურათები ცხოვრებიდან“ ურიგო შთაბეჭდილებას როდი ტოვებს. მდიდარი ვაჭრის – გაბრიელის სახე ნამდვილად დასამახსოვრებელია. ეს პერსონაჟი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მატარებელია. როგორც ა. თაური მიგვანიშნებს, პიესაში თანამედროვე ცხოვრების სურათებია წარმოჩენილი, კერძოდ, რევოლუციის ეპოქა ასახული. გაბრიელი არ თანაუგრძნობს სოციალ-დემოკრატებს. აღშფოთებულია მათი მოთხოვნით „ძირს თვითმპყრობელობაო“. „გაიძახიან ხელმწიფე არ გვინდა და ღმერთი არ გვინდაო. შეიგენით, შვილო, შეიგენით, რომ ხელმწიფე მიწიერი ღმერთია. აბა, მითხარით, რა იქნება უხელმწიფოდ, რა?!“ - ეუბნება გაბრიელი შვილებს: იასონსა და თამარს, რომლებიც აჯანყებულებს თანაუგრძნობენ. გაბრიელი ძველი ყაიდის კაცია. მისი აზროვნება და მსჯელობა ტიპურია“<sup>1</sup>.

1920-იან წლებში დაწერილ მე-14 ავტობიოგრაფიაში პოეტი გვიამბობს, რომ „1906 წ. საოჯახო საღამოებზე დგამდა „რევოლიუციონურ პიესებს“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 470).

1916 წ. 23 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონის დიდი საღამო: „...საღამო დაიწყო ბ. ალ. წერეთელის ლექციით: „ნეორომანტიზმი ქართულ უახლეს ლიტერატურაში“... ლექციის შემდეგ დაიწყო ბ-ნ ტაბიძის ლექსების კითხვა. ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა სურათი: სამი ასული, თეთრ მოსასხამში, ჭიანურით ხელში. შემდეგ ცოცხალ სურათად დადგმული იყო ლექსი „მერი“. თარებს ქვეშ ჯვარის საწერად გამოწყობილი დგას ასული და თეთრ სვეტს მიყრდნობილი, ნაბადში გახვეული მოჩანს თვით მოსანი.

---

<sup>1</sup> ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 136.

ჭიანური უკრავს და ლოჟიდან ლექსს „მერი“ კითხულობს პაოლო იაშვილი... შემდეგ ლ. ჯაფარიძემ და ვ. გაფრინდაშვილმა წაიკითხეს გ. ტაბიძის ლექსები: „მე და ღამე“, „ვერხვები“ და სხვ. უკანასკნელ განყოფილებაში თვითონ გალ. ტაბიძემ წაიკითხა თავისი ლექსები. საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით აჯილდოებდა მგოსანს. დებმა იშხნელებმა გიტარაზე იმღერეს გალ. ტაბიძის ლექსები. საერთოდ, საღამო ძლიერ საინტერესო იყო და მხოლოდ, სამწუხაროდ, ხალხი ცოტა დაესწრო შედარებით“ („ჩვენი მეგობარი“, N242, 1916:). გაზეთის ამ შენიშვნას თავად გალაკტიონიც ადასტურებს ოლია ოკუჯავასთვის 1916 წლის 28 დეკემბერს გაგზავნილ წერილში: „ოლია! ჩემი საღამო საცოდავად ჩატარდა. არავინ არ მოვიდა. მრცხვენია პირდაპირ“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008: 39).

ამ ამბიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, 1935 წელს, დღიურში ჩაუწერია: „ერთხელ ოპერის თეატრში – „მერი“ ცოცხალ სურათად დასდგეს. მერის - ახორციელებდა მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი. იგი იდგა პიედესტალზე. ანათებდა ბენგალის ცეცხლი. ქვევით ვიდექი მე და ვკითხულობდი მერის“ (ტაბიძე, სგ, წ. XV, 2008: 229). – ეს ჩანაწერი მცირე უზუსტობას შეიცავს. პოეტი „მერის“ ცოცხალ სურათებად დადგმას ქუთაისის თეატრის ნაცვლად ოპერის თეატრს მიაწერს; სხვა ნიუანსებიც ერევა, მაგრამ ფაქტია, რომ თავადაც მონაწილეობდა ამ ცოცხალ სურათებად დადგმულ წარმოდგენაში.

გალაკტიონი პიესების წერასთან ერთად ეტანება უცხოურ დრამატურგიას. როგორც ირკვევა, მას მიზანში ამოუღია ნორვეგიელი დრამატურგის, ნორვეგიული ნაციონალური თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჰენრიკ იბსენის, ე.წ. იდეათა დრამა, 1866 წ. დაწერილი „ბრანდი“. 1910 წ. 18 აპრილს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სათეატრო ამბებში ქვეყნდება ინფორმაცია, რომ გალაკტიონ ტაბიძე თარგმნის ჰენრიკ იბსენის პიესას „ბრანდი“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №16). ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა, რატომ აირჩია მან იბსენის ეს „პირქუში“ პიესა. მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ის უნდა იყოს, რომ გალაკტიონი ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა (1900-1908 წწ.) და შემდეგ – თბილისის სასულიერო სემინარიაში (1908-1910 წწ.). ამდენად, მისთვის განსაკუთრებულად ნაცნობი და ამაღელვებელი იყო სასულიერო წოდება. ბუნებრივია, იბსენის „ბრანდის“ პერსონაჟები მისთვის

ახლობელი გახდა და ასოციაციებსაც აღუძრავდა. თანაც, როცა პიესას თარგმნიდა, სემინარიის სტუდენტი იყო. ჰ. იბსენის ბრანდი თავისი ბუნებითა და მრწამსით მაქსიმალისტი მღვდელია, რომელსაც აქვს განსაკუთრებული რწმენა ადამიანების ნებისა და ცხოვრობს პრინციპით „ყველაფერი ან არაფერი“. შესაბამისად, მოუწოდებს თავის სამწყსოს, უარი თქვას სიცოცხლეზე, რათა სული იხსნას. ბრანდის მთავარი მიზანი სამყაროს ხსნაა, თუმცა მისი შეხედულებები მკაცრი და უსამართლოა. გალაკტიონი კონტრასტების მოყვარული ადამიანია და პიესაშიც სწორედ მოულოდნელი და მძაფრი ემოციების გამოვლენაა მისი სტიქია.

### **შინაევსკი**

გალაკტიონმა გადაწყვიტა მოსკოვში სწავლის გაგრძელება. მის ამ აკვიატებაში გადაზრდილ დიდ სურვილს რამდენიმე ობიექტური ფაქტორი განაპირობებდა: სასულიერო სემინარია არ დაუმთავრებია, ვერც გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. მოსკოვში ცოდნის დაუფლების სურვილს ისიც უღრმავებდა, რომ მისი უსაზღვრო სიყვარული ოლია ოკუჯავაც საბჭოეთის დედაქალაქში აპირებდა გამგზავრებას. იყო კიდევ ერთი ფაქტორიც, რომლის შესახებაც ასე სწერდა 1914 წ. 18 თებერვალის საღამოთი დათარიღებულ წერილში ოლიას: „მალე ზაფხულიც მოვა. ჩამოვლენ სტუდენტები და კურსისტკები რუსეთიდან, საზღვარ-გარეთიდან. ააჭრელებენ მთელ ქუთაისს. და პირდაპირ შხამით აგვესება ადამიანს გული მათი ცქერით. მეტისმეტათ შურიანი რომ არ ვიყო, შეიძლება მეპატიებია ყველასთვის მათი სტუდენტობა და ჯანდაბები, მაგრამ...“. პოეტის მიერ აღსარებასავით ნათქვამ ამ შურიანობას ასე განმარტავს ნ. ტაბიძე: „გალაკტიონის თანატოლები რუსეთის თუ უცხოეთის უნივერსიტეტებში ისმენენ ლექციებს, ამაცობენ კიდევ ამით და არცთუ იშიათად აღმაცერი შემოხედვით უმასპინძლდებიან „პროვინციელებს“ (ტაბიძე 2000: 415). გარდა ამისა, 1913 წლიდან მისი ტიტეც (ტიციან ტაბიძე) მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

„1915 წ. აპრილში გალაკტიონი ცდილობს მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად შინაევსკის სარეჟისორო კურსებზე სტიპენდიის მოპოვებას და წერილს სწერს კოტე მაყაშვილს“: „1918 წ. 25 ივნისი, გალაკტიონმა დაამთავრა შინაევსკის სარეჟისორო კურსები“;

„მოსკოვის შინაევსკის სარეჟისორო კურსის დამთავრების მოწმობა, 1918 წელი“ – ასეა ფორმულირებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის შექმნილ უნიკალურ ვებგვერდზე (<https://galaktion.ge/>). საქმე ისაა, რომ შინაევსკის სარეჟისორო კურსები ბუნებაში არ არსებობდა (აღარაფერს ვამბობ არასწორად დაწერილ გვარზე „შინაევსკი“, ნაცვლად „შანიავსკისა“). გალაკტიონის წერილებსა და დღიურებში, ზოგადად, შინაევსკის უნივერსიტეტზეა საუბარი და არა – ამ უნივერსიტეტის სარეჟისორო კურსებზე.

მივყვით მოვლენებს. ვნახოთ, რას სწერს პოეტი 1915 წლის 25 აპრილს კოტე მაყაშვილს:

„დიდად პატივცემულო ბ. კოტე!

ბოდიშს ვიხდი თქვენთან. ვიცი, რომ იმისთანა თხოვნისთვის, რომლითაც მე თქვენ მოგმართავთ, პირადათ თქვენთან მოლაპარაკება იყო საჭირო, მაგრამ ათასგვარი გარემოებები ხელს მიშლის თბილისში ჩამოსვლაზე.

საქმე ის არის, რომ მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა **შინაევსკის კურსებზე**. მაგრამ მე უღარიბესი მშობლების შვილი ვარ, ამიტომ მინდა, თხოვნა მივცე თბილისის სათ.-აზნ. ბანკს – სტიპენდიის დანიშვნის, ან ერთდროული დახმარების შესახებ“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008: 60).

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1915 წ. 25 მაისს, თხოვნა გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რომ ბავშვობიდანვე სურვილი აქვს უმაღლესი განათლების მიღებისა და ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია სტიპენდიის დანიშვნა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისაგან, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლება განათლების მიღება მოსკოვში, **შინაევსკის უნივერსიტეტში**. წერილის მიხედვით, მისი მთავარი თხოვნა ისაა, რომ ქ.შ.წ.კ.გ.-ს ქუთაისის განყოფილებამ გაითვალისწინოს მისი მდგომარეობა და უშუამდგომლოს თბილისის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე (სეა, ფ. 483, ს. 1679, ფ. 71).

შინაევსკის უნივერსიტეტში სწავლის დაწყება მისი მთავარი მიზანი რომაა, ამას ადასტურებს 1916 წ. 19 აგვისტოს ქუთაისიდან ვარლამ

ბურჯანაძისთვის გაგზავნილი წერილი. გალაკტიონი სთხოვს, დაეხმაროს, ყველას გააცნოს, როგორ საშინელ სიღარიბეში უხდება ცხოვრება და აცნობს საკუთარ სურვილს, რომ აპირებს წასვლას მოსკოვში **შანიავსკის უნივერსიტეტში** სასწავლად და უსამართლობა იქნება, სტიპენდია ვერ მიიღოს იმის გამო, რომ არავის იცნობს<sup>1</sup>.

რამდენიმე დღის შემდეგ, 24 აგვისტოს, პოეტი წერილს უგზავნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას. ისევ სთხოვს, შევიდნენ მის მდგომარეობაში და მისცენ სტიპენდია მოსკოვში **შანიავსკის უნივერსიტეტში** სწავლის გასაგრძელებლად<sup>2</sup>.

ამავე წლის დეკემბერში ოლია ოკუჯავასთვის გაგზავნილი წერილში ნათქვამია: „არ ვიცი, შეიძლება თუ არა იანვრიდან **შანიავსკის უნივერსიტეტში ჩაწერა**“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008: 38).

გვარი „შანიავსკი“ კიდევ ერთხელ გვხდება პოეტის პირადს არქივში: „ავტობიოგრაფია 23 – სწავლობდა ტომანიერის პირველდაწყებით სკოლაში, ქუთაისის სას. სასწავლებელში, თბ. სას. სემინარიაში და **მოსკოვის შანიავსკის უნივერსიტეტში**“. მიყვებით მოვლენებს: 1931 წლის შემდეგ დაწერილ მე-19 ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „1916 წელს პოეტი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც [მას იტაცებს] ის ეწაფება სხვადასხვა მუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში მეცადინეობას“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 474).

ცნობილი ფაქტია, რომ ოლია ოკუჯავა 1916 წლის აგვისტოში გაემგზავრა მოსკოვში უმაღლესი განათლების მისაღებად. მასთან ერთად გაემგზავრა გალაკტიონიც. 14 სექტემბერს უკვე მოსკოვში ჩავიდნენ და დაბინავდნენ ჯერ პოვარსკაიას ქუჩაზე (ამჟამად ვოროვსკის ქუჩა), შემდეგ – ბოლშაია ბრონნაიაზე, რომელიც მდებარეობდა გეორგიევსკის მოედანზე. ასე აუხდა პოეტს 1915 წ. კოტე მაყაშვილისთვის გაგზავნილ წერილში ნაოცნებარი, მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა შანიავსკის კურსებზეო.

## რატომ შანიავსკის უნივერსიტეტი?

---

<sup>1</sup> ტაბიძე გ., „თხზულებანი 12 ტომად“, ტ. 12, თბ., 1975, გვ. 554.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 555.

პასუხი მარტივია: პოლონელი არისტოკრატი ალფონს შანიავსკი (1837 – 1905 წწ.) რუსული არმიის გენერალი იყო, რომელსაც ერთი ფრიად უჩვეულო მიზანი ამოძრავებდა, როგორმე შეექმნა უფასო საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ყოველგვარი სამაგისტრო მოწმობების მოთხოვნის გარეშე ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც რუსებს, ასევე არარუსებს) თავისუფლად შეძლებოდათ სწავლა. შანიავსკის გარდაცვალების შემდეგ, მართლაც, მოხერხდა მისი ოცნების რეალობად ქცევა – 1908 წ. 2 ოქტომბერს ნაჟირავებ კორპუსში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი ორი აკადემიური განყოფილებით – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული. 1912 წლის 2 ოქტომბერს უნივერსიტეტმა უკვე ახალ შენობაში პირველი მსმენელები მიიღო. შანიავსკის გეგმის შესაბამისად, აპლიკანტებს არ მოეთხოვებოდათ სანდოობის, კლასის კუთვნილების, საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იღებდნენ ქალებს. აკადემიური კათედრა შედგებოდა სამი ციკლისაგან: საბუნებისმეტყველო-ისტორიული, სოციალურ-სამართლებრივი და ისტორიულ-ფილოსოფიური. ყველა მეცადინეობა ტარდებოდა საღამოს 17:00 საათიდან 22:00 საათამდე, რათა სწავლის საშუალება ჰქონოდა მათ, ვინც დღის განმავლობაში მუშაობდა. სამეცნიერო-პოპულარულ კურსებზე სწავლა შეეძლო საშუალო განათლების არმქონე პირებსაც 16 წლიდან. უნივერსიტეტში გაიხსნა სკოლამდელი განათლების, საბიბლიოთეკო მუშაობის, სკოლისგარეშე განათლებისა და თანამშრომლობის კურსები. სწავლა 2-4 წელი გრძელდებოდა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰქონდა ე. წ. მოკლევადიანი კურსები (2 კვირიდან 1 წლამდე). სწავლის საფასური დაბალი იყო (მაგალითად, 1915 წელს – 40 მანეთი წელიწადში აკადემიურ განყოფილებაზე და 6 მანეთი პოპულარულ სამეცნიერო განყოფილებაზე). რა თქმა უნდა, ასეთი პირობები ხელსაყრელი იყო გალაკტიონისათვის, რადგან მას არც სემინარია ჰქონდა დამთავრებული და არც – გიმნაზია. თანაც, სწავლასთან ერთად შეძლებდა მუშაობასაც, არც გადასახადი იყო დიდი. როგორც ჩანს, ეს პერიპეტეიები მისთვის კარგად იყო ცნობილი და თავიდანვე ამიტომაც აიღო ორიენტირი შანიავსკის უნივერსიტეტზე.

რას აკეთებდა 1916 წ. მოსკოვში მეუღლესთან ერთად სასწავლებლად ჩასული გალაკტიონი (მან ორ თვეზე მეტი დაჰყო მოსკოვში)? პოეტის



არქივში დაცულია ძმისთვის, აბესალომისთვის, გაგზავნილი 9 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც ამ დეტალებზე საუბრობს: „ჯერ არსად არ ვარ, რადგან იანვარში უნდა დავბრუნდე ისევ ქუთაისში. მანამდე აქ ვრჩები და ვმეცადინეობ ხან შანიავსკის უნივერსიტეტში, ხან სხვაგან“<sup>1</sup>. კონკრეტულად არც ამ წერილშია რამე დაზუსტებული, მათ შორის არც ის ვიცით, შანიავსკის უნივერსიტეტში, კერძოდ, რას ისმენდა ან კიდევ რომელ კურსებზე დადიოდა თავისუფალ მსმენელად. ცოტა მოგვიანებით, ისევ აბესალომისათვის 17 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ჩამოთვლის: „თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ ჩემს მუშაობასაც ვახერხებ. **კვითხულობ** ძალიან ბევრს. დავდივარ (რუმინანცევის) **მუზეუმში**, დავათვალიერე ტრეტიაკოვის გალერეა, ვიყავი ალექსანდრე III მუზეუმში... ვიყავი სამხატვრო **თეატრში** (ჩეხოვის თეატრი)! ვნახე იქაური საუკეთესო მსახიობი ქალი კნიპერი (ჩეხოვის ცოლი). უკეთეს თეატრს ვერ ნახავს კაცი თვალი. არსად ისე მხატვრულად და მომხიბვლელად არ დგამენ პიესებს - როგორც აქ. შესანიშნავ მომღერლებს, ლექტორებს, მსახიობებს, **ბევრს მოვუსმინე**“<sup>2</sup>.

24 ნოემბერს გალაკტიონი მოსკოვიდან სამშობლოში გამოემგზავრა. 29 ნოემბერს უკვე ქუთაისში იყო.

1917 წ. 28 ივნისითაა დათარიღებული მოსკოვიდან ჰყვივში დედისა და ძმისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც გამოთქვამს სურვილს, რომ „**ენკენისთვიდან შევეუდგები ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის შესწავლას უნივერსიტეტში**. ამასთანავე, კიდევ სხვებისაც“<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შანიავსკის უნივერსიტეტს გულისხმობს, თუმცა უცნობია, შეძლო თუ არა ამ სურვილის ასრულება და გამოძებნა თუ არა დრო ამისათვის.

მთავარ შეკითხვას, დაამთავრა თუ არა პოეტმა შანიავსკის სახელობის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი<sup>4</sup>, პასუხი ვერ გაცემა,

<sup>1</sup> ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 419.

<sup>2</sup> ტაბიძე ნ., დასახ. წიგნი, გვ. 423.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 425.

<sup>4</sup> 1917 წლის ოქტომბრის *რევოლუციის შემდეგ, 1918 წ., უნივერსიტეტი ნაციონალიზებულ იქნა და გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატს. დეკემბერში სამართლის პროფესორებს აკრძალათ ყველა იურიდიული დისციპლინის სწავლება. ერთმანეთის მიყოლებით დახურეს*

რადგან, ჯერ ერთი, ამისი დამადასტურებელი დოკუმენტი მას ვერ ექნებოდა, რადგან, დებულების მიხედვით, მოსკოვის ალფონს ლეონის ძე შანიავსკის სახელობის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს არ ეძლეოდათ დიპლომი და არ სარგებლობდნენ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მსგავსი უფლებებით და, მეორეც, ჯერჯერობით არსებული საარქივო მასალების მიხედვით ვერ ვიტყვით, კონკრეტულად რომელი მიმართულებით სწავლობდა ან რა საგნებს ისმენდა.

*შანიავსკის უნივერსიტეტის კურსებზე იკითხებოდა მრავალი დისციპლინა, მათ შორის ისწავლებოდა: მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, მექანიკა, ორგანული და არაორგანული ქიმია, ანალიტიკა, გეოლოგია, მინერალოგია, კრისტალოგრაფია, პალეონტოლოგია, ბოტანიკა, მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა, ზოოლოგია, ცხოველთა ფიზიოლოგია, პოლიტიკური ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ფინანსები, კოოპერაცია, სამართლის ზოგადი თეორია, რუსული სამართლის ისტორია, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართალი, რუსეთის ისტორია, ზოგადი ისტორია, ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფიის ისტორია. ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, სლავური ლიტერატურა, რუსული და დასავლური ლიტერატურის ისტორია, ხელოვნების ისტორია, სკოლის ისტორია, ინგლისური, ფრანგული, გერმანული ენები და ა.შ. თუმცა, არსად არ იძებნება არანაირი ინფორმაცია ე.წ. სარეჟისორო კურსების არსებობის შესახებ. ამიტომ, ძნელი სათქმელია კონკრეტულად რა ტიპის*

---

*ლაბორატორიები. 1919 წლის 24 ივლისის განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებულებით აკადემიური განყოფილება მოსკოვის უნივერსიტეტს შეუერთდა (1919 წ. ოქტომბერი); 1920 წლიდან კი შენობაში განთავსდა ი. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი, მოგვიანებით კი – სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლა. ამჟამად შენობაში რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი ფუნქციონირებს.*

განათლებას ეწაფებოდა გენიოსი პოეტი. ეს არ იკვეთება არც ოლია ოკუჯავას დღიურებსა და გალაკტიონთან მიმოწერაში.

### მჭედლოვის თეატრალური სტუდია

არსებობს რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის ერთი უაღრესად საინტერესო მოგონება, რომლის მიხედვითაც ერთხელ: „გალაკტიონს ანკეტა შეუვსია და კითხვაზე „თქვენი პროფესია“ დაუწერია: „რეჟისორი“. ამ პასუხმა გამაოცა, მაგრამ შესანიშნავმა პიროვნებამ საშა მიქელაძემ ამიხსნა, გალაკტიონი მოსკოვში მჭედლოვის თეატრალურ სტუდიაში სწავლობდაო<sup>1</sup>.

უნდა განვმარტოთ, რომ მჭედლოვი, იგივე ვახტანგ მჭედლიშვილი, რუსეთში მოღვაწე ქართველ რეჟისორთა შორის სრულიად გამორჩეული ფიგურა იყო. ის მოსკოვში ფილოლოგიის ფაკულტეტზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ თეატრის სიყვარულმა სძლია. მისი ამ გატაცების შესახებ ინფორმირებული ყოფილა დავით კლდიაშვილი, რომელსაც სარეკომენდაციო წერილით გაუგზავნია ა. სუმბათაშვილთან. „აღექსანდრე ივანეს ძემ არაჩვეულებრივი გულთბილობა და აღერსიანობა გამოიჩინა და შემდეგში, ჩემი მოსკოვური ცხოვრების დასაწყისში, ყოველმხრივ მიწყობდა ხელს“<sup>2</sup> – წერს ვ. მჭედლიშვილი თავის დღიურში. ცოტა ხანში, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის დახმარებით, უსიტყვო როლების შემსრულებელ მსახიობად მიიღეს მცირე თეატრში. ამავე დროს, ის მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებული სარეჟისორო კურსების მსმენელი გახდა და 1905 წლიდან, კურსების დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სამხატვრო თეატრში ჯერ რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ, – რეჟისორად. 1907 წ. სამხატვრო თეატრის ახალგაზრდული ძალებით მან დადგა ა. ჩეხოვის „თოლიას“ პირველი მოქმედება, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ვ. მჭედლიშვილი ვ. სტანისლავსკის მოწაფე იყო და მისი სისტემით ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას დრამატული ხელოვნების სკოლებში. მან მრავალი თვალსაჩინო მსახიობი თუ რეჟისორი

<sup>1</sup> ლორთქიფანიძე გ., „პროფესია – „რეჟისორი“, წიგნში „მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ., 2009, გვ. 145.

<sup>2</sup> „ვახტანგ მჭედლიშვილის მოგონებებიდან“, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, N3, 1976, გვ., 49.

აღუზარდა რუსულ სცენას (ნ. ხმელიოვი, ა. ბატალოვი, ა. ტარასოვა, მ. კედროვი, მ. იანშინი, მ. პრუდკინი, ი. სუდაკოვი, ო. ანდროვსკაია, კ. ელანსკაია); მოსკოვში დააარსა სამი სტუდია, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია იყო, რომელიც 1916 წ. გაფორმდა ზინაიდა გიპიუსის პიესით „მწვანე რგოლი“. ვახტანგ მჭედლიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, თეატრალური აღზრდის მეორე კერა – იმპროვიზაციის სტუდია 1921 წლის შემოდგომაზე, ხოლო მის მიერ დაარსებულმა ქართულმა დრამატულმა სტუდიამ მუშაობა 1923 წ. 8 ოქტომბერს დაიწყო. როცა ის თავის მესამე, უკვე ქართული სტუდიას აარსებდა, გამოცდები თბილისში ჩაატარა და მოსკოვში წასაყვანად შეარჩია: ელენე ციხისთავი, ნიკოლოზ გოდიაშვილი, გიორგი ჟურული, შალვა სოსლანი, გიორგი ბახტაძე, ალექსანდრე (საშა) მიქელაძე და გრიგოლ სულიაშვილი. სიაში შეტანილი იყვნენ თავისუფალი მსმენელები: ს. გოდიაშვილი, ვ. ანდროსოვა და ა. ჭუმბურიძე. შემდეგ მოსკოვში მათ შეუერთდნენ: შოთა აღსაბაძე, გიორგი ბახტაძე, იოსებ თუმანიშვილი, ტიტე შარაშიძე, მილიტა ზურმუხტაშვილი, თამარ თვალაშვილი, მედეა ქორელი, გიორგი როსება, გიორგი ჯავაშვილი. დებულების მიხედვით, სტუდია ამზადებდა მსახიობებს, მომღერლებს, რეჟისორებს, მხატვრებსა და თეატრალურ პედაგოგებს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> უფრო ვრცლად იხ.: ჯავაშვილი გ., „ვახტანგ მჭედლიშვილი“, თბ., 1965, გვ. 33-37; იაკაშვილი გ., „ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდია“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1973, N7. გვ. 82-87; ლაშხია ნ., „ვახტანგ მჭედლიშვილი – 90“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, N8. გვ. 48-54.

ბუნებრივია, დაისმის შეკითხვა, ამ სამი სტუდიიდან რომელში სწავლობდა გალაკტიონი. პირი, რომელმაც გიგა ლორთქიფანიძეს ინფორმაცია მიაწოდა, გალაკტიონი მჭედლოვის სტუდიაში სწავლობდაო, იყო ზემოხსენებული საშა (ალექსანდრე) მიქელაძე, თავად ვ. მჭედლიშვილის მიერ შერჩეული მოსკოვის ქართული დრამატული სტუდიისათვის. ამიტომ, მისი ნათქვამი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და არასანდო (საშა მიქელაძე ჯერ თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრს ხელმძღვანელობდა, შემდეგ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის რეჟისორი იყო, ბოლოს კი თეატრალური ინსტიტუტში ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას).



არანაირი დოკუმენტით არ დასტურდება, რომ, გალაკტიონმა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ხუთთვიანი სარეჟისორო კურსების გარდა (1918 წ.), უფრო ადრე ან შემდეგ კიდევ სადმე მიიღო სახელოვნებო განათლება. მხოლოდ ერთხელ გალაკტიონის 25-ტომიან პირადს არქივში, კერძოდ 23-ე ავტობიოგრაფიაში, გვხვდება ჩანაწერი, რომ ის სწავლობდა „მოსკოვის დრამ. კურსებზე“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 497). ჩვენთვის ცნობილია ვ. მჭედლიშვილის ქართული დრამატული კურსების ყველა წარმომადგენელი. თანაც, არსებობს ამ სტუდიადამთავრებულთა მოგონებანიც და არსად არავინ არ აღნიშნავს, რომ გალაკტიონი ქართულ სტუდიაში სწავლობდა. თანაც, ეს სტუდია მალე დაიხურა თავად ვ. მჭედლიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო 1924 წ. იმპროვიზაციის სტუდია 1921 წ. დაარსდა და მასში გალაკტიონი ვერ მიიღებდა მონაწილეობას თავისი სპეციფიკის გამო (ამ სტუდიაში მსახიობი თავად იყო დრამატურგი, რეჟისორი და შემსრულებელი. პიესა პირდაპირ სცენაზე იდგმებოდა და არ მეორდებოდა), თანაც ეს სტუდია რეჟისორებს არ ამზადებდა. რჩება ერთადერთი ვარიანტი: 1916 წ. დაარსებულ პირველ სტუდიასთან გალაკტიონის კავშირისა.

გალაკტიონი 1916 წ. პირველად ეწვია მოსკოვის სამხატვრო თეატრს და, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოხიბლული და სრულიად

აღფრთოვანებული იყო იმ შემოქმედებითი ხარისხითა და მაღალი თეატრალური კულტურით, რომელიც მას აქ დახვდა. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება მის დღიურებში სურვილი სარეჟისორო განათლების მიღებისა, მანამდე კი შანიავსკის უნივერსიტეტი ჰქონდა მიზანში ამოღებული. რადგან სწორედ ამავე პერიოდში, 1916 წ. ვ. მჭედლიშვილმა დააარსა თავისი სტუდია, **შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონმა მოისურვა და დაესწრო მეცადინეობებს**, თუმცა ეს მაინც ჩვენს ფრთხილ ვარაუდად რჩება, რადგან პოეტის დღიურებსა და ჩანაწერებში არსად არ მოიხსენიება მჭედლოვის სტუდია (ის მხოლოდ „დრამ. კურსებს“ ახსენებს), არც – ვახტანგ მჭედლიშვილი. ასევე, ვახტანგ მჭედლიშვილზე გამოქვეყნებულ წერილებსა და მოგონებში არსად ფიგურირებს გალაკტიონის სახელი. ვახტანგ მჭედლიშვილზე წერდა ტიციან ტაბიძე<sup>1</sup>, მსგავს ფაქტს არც ის ახსენებს. უფრო მეტიც, 1965 წ. გ. ჯავაშვილმა გამოსცა წიგნი „ვახტანგ მჭედლიშვილი“, რომელშიც გალაკტიონი ნახსენებიც კი არ არის. არადა, გალაკტიონი არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი, რომ მისი ხსენება ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდენტისა თუ მსმენელის კონტექსტში სულერთი ყოფილიყო. შესაძლოა, ეს ინფორმაცია ზეპირი გზით ვრცელდებოდა, რადგან გალაკტიონი მხოლოდ მსმენელი იყო და ისიც მცირე ხნით. ასე რომ, საშა მიქელაძის ცნობას, გალაკტიონი მჭედლოვის თეატრალურ სტუდიაში სწავლობდაო, ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთ. ფაქტი კი ერთია, 1918 წ. გალაკტიონმა ნამდვილად დაამთავრა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის ხუთთვიანი სარეჟისორო კურსები. სამწუხაროდ, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თარიღი არასწორადაა მითითებული: „გალაკტიონ ტაბიძეს მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული სარეჟისორო კურსები (1928)“<sup>2</sup>. 1918 წლის ნაცვლად 1928 წლის მითითებას კორექტურად ჩავთვლიდით, მაგრამ ცნობილი თეატრმცოდნე იმავეს ინერციით იმეორებს ყველა გამოცემაში: 1973 წ. ჟურნ. „მნათობში“ (N1) გამოქვეყნებულ წერილში „გალაკტიონ ტაბიძის თეატრალური სამყარო“ (გვ. 172); წიგნში „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“, 1983, გვ. 258 და, სულ ბოლოს, 2020 წ. გამოსულ ქრესტომათიაში „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“ – გალაკტიონ

<sup>1</sup> ტაბიძე ტ., „წერილები, ნარკვევები“, თბ., 1957, გვ. 182-184.

<sup>2</sup> კიკნაძე ვ., „პოეტური თეატრის სამყაროში“, თბ., 1990, გვ. 67.

ტაბიძის პოეზიის რეცეფცია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (1910-2010), წიგნი II, გვ. 153.

### სასცენო ხელოვნების მოყვარულთა მოსკოვის ლიგა

რა ვიცით მოსკოვის სასცენო ხელოვნების მოყვარულთა ლიგის შესახებ: ასეთი სახელწოდების ლიგა 1915 წ. ჩამოყალიბებულა, რომელიც აერთიანებდა სამოყვარულო წრეებს მათი მხატვრული დონის ამაღლების მიზნით. ლიგას ჰქონდა სამწლიანი კურსები. უფრო ადრე, 1897 წლიდან არსებობდა „მოსკოვის საშემსრულებლო ხელოვნების მოყვარულთა წრე“, რომელიც გახდა მოსკოვის სასცენო ხელოვნების მოყვარულთა ლიგის ნაწილი.

სასცენო ხელოვნების მოყვარულთა მოსკოვის ლიგამ გააერთიანა სხვადასხვა სამოყვარულო წრეები, დაისახა მათი მხატვრული დონის ამაღლების ამოცანა და ამისათვის ჩამოაყალიბა კურსები, მათ შორის – მოსკოვის პირველი სარეჟისორო (საინსტრუქტორო).

თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა წრის ხელმძღვანელობა ევალებოდა საბჭოს, რომლის თავმჯდომარე 1915-1917 წლებში იყო ვ. ა. ფილიპოვი, რომელიც გალაკტიონს უკითხავდა თეატრის ისტორიას და, რომლის ხელმოწერაც ამშვენებს მოწმობას. გალაკტიონთან ერთად ამ კურსებს ამთავრებს ოლია ოკუჯავაც<sup>1</sup>.

ჯერ კიდევ 1916 წ. მოსკოვში ოლია ოკუჯავასთან ერთად სასწავლებლად ჩასული გალაკტიონი გატაცებულია სასცენო ხელოვნებით და შესაძლებლობას არ უშვებს ნახოს თეატრალური სამყაროს დიდი საოცრება – მოსკოვის სამხატვრო თეატრი.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, პოეტი ვერ ფარავს თავის აღფრთოვანებას და ძმას, ახესალომს, სწერს: „ვიყავი სამხატვრო თეატრში (ჩეხოვის თეატრი)! ვნახე იქაური საუკეთესო მსახიობი ქალი კნიპერი (ჩეხოვის ცოლი). უკეთეს თეატრს ვერ ნახავს კაცი თვალი. არსად ისე მხატვრულად და მომხიბვლელად არ დგამენ პიესებს - როგორც აქ“<sup>2</sup>.

ეს იყო 1916 წელი. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიღებული დიდი შთაბეჭდილება გახდა მიზეზი

---

<sup>1</sup> „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან“, თბ., 1987, გვ. 8.

<sup>2</sup> ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 423.

// ბიძგი იმისა, რომ გალაკტიონს დაეწყო ფიქრი სარეჟისორო კარიერაზე.

უკვე 1917 წ. დეკემბერში მოსკოვში დაბრუნებული გ. ტაბიძე გადაწყვეტს, რომ სწავლა დაიწყოს მოსკოვის სასცენო ხელოვნების მოყვარულთა ლიგის მიერ დაარსებულ პირველ სარეჟისორო ხუთთვიანი კურსებზე. აქ ის დაეწაფა რეჟისორის პროფესიას, გაეცნო სასცენო ხელოვნების სპეციფიკას. ამისათვის მას მოუწია სპეციალური საგნების მოსმენა, კერძოდ:

- რეჟისურა – რეჟისორ ნიკოლოზ აკსაგორსკის კლასი;
- სცენის მოწყობა და არქიტექტურა, ყოფისა და ჩაცმულობის სტილის ისტორია – მხატვარ ევგენი კამხოლკინის კლასი;
- გრიმის თეორია და პრაქტიკა – სახელმწიფო თეატრის მსახიობის დ. ვ. გარინ-ვინდინგის კლასი;
- თეატრის ისტორია – ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ფილიპოვის კლასი;
- გამომეტყველებითი კითხვისა და დიქციის ხელოვნება – მსახიობ ო. რახმანინოვას კლასი;
- სახალხო თეატრების ორგანიზება – ვ. ი. ჩეტირკინის კლასი.

ნოდარ ტაბიძე ასეთ შეფასებას აძლევს ამ მოვლენას: „რაც მთავარია, სარეჟისორო კურსებზე ჩაირიცხა. გულმოდგინედაც მეცადინეობს. მართალია, აქ იკითხება დისციპლინები რეჟისურიდან დაწყებული გრიმის თეორიით და პრაქტიკით დამთავრებული, მაგრამ პროგრამები საკმაოდ შეკვეცილია. ერთსემესტრიანი კურსები, არსებითად, თეატრალური ხელოვნების მხოლოდ საფუძვლების ცოდნას აწვდის მსმენელებს. გალაკტიონი კმაყოფილია. ბოლოს და ბოლოს, რამდენადმე მაინც ისრულებს წადილს. **ხანდაზმული მგოსანი ტკბილად იგონებდა ამ სასწავლებლის ამბებს და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კურსების დამთავრების მოწმობას**“<sup>1</sup>.

პოეტის არქივში დაცულია ერთი უთარილო ჩანაწერი, რომელიც აშკარად მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის პერიოდს ასახავს და, სავარაუდოდ, 1918 წლის ადრეულ გაზაფხულზე, მარტში, უნდა იყოს დაწერილი, რადგან მასში მოხსენიებულია „ჩვენი დიდი რევოლიუცია“, პატარა ლიგა, გაზაფხულის დადგომა მოსკოვში, მალაია

<sup>1</sup> ტაბიძე ნ., დასახ. წიგნი, გვ. 435.



ბრონნაიაზე, რომ აქ თავი მოუყრიათ მომავალ სახალხო რეჟისორებს, რომლებიც გაცხარებით იკვლევენ პრინციპებს მომავალი სახალხო თეატრისთვის; რომ ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი სახალხო სარეჟისორო კურსები; ნახსენებია „მოხუცი მსახიობი გარინი“, რომელიც გრიმის თეორიასა და პრაქტიკას ასწავლიდა გალაკტიონს. რა თქმა უნდა, ადვილი მისახვედრია, რომ პოეტი საუბრობს იმ სარეჟისორო კურსების შესახებ, რომელზეც თავად სწავლობს: „მთელ რუსეთში [გაზაფხული დგება] **ჯერჯერობით ერთად ერთი სახალხო სარეჟისორო კურსებია**, [მისში ყველა ეს ხალხი კურსებს დაასრ. ახალგაზრდობა ისევ ხალხს დაუბრუნდება]. მათ გატაცებით უყვართ ხელოვნება – და ამ სიყვარულს ისინი რეალურ სხეულს მისცემენ, როდესაც ხალხს დაუბრუნდებიან; ჩვენთვის აქ საყურადღებოა მხოლოდ ეს მუშაობა.

ასეთია თანდათან სულიერი მუშაობა მომავალი ხელოვნებისთვის – მაგრამ აუცილებლად საჭიროა ცეცხლის შეკეთება“ (ტაბიძე, სგ, წ. XXII, 2008: 234-235).

შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ: 1918 წ. გალაკტიონმა სწავლა დაიწყო მოსკოვის სასცენო ხელოვნების მოყვარულთა ლიგის მიერ დაარსებულ პირველ სარეჟისორო ხუთთვიან კურსებზე და მიიღო ამავე კურსებზე დადგენილი საგნების მოსმენის მოწმობაც.

სარეჟისორო განათლების შესახებ საარქივო მასალებში (გალაკტიონის სამი ავტობიოგრაფიის მიხედვით) ასეთი ინფორმაცია მოიპოვება:

ავტობიოგრაფია 7 – „**ვამთავრებ სარეჟისორო ინსტიტუტს საუკეთესო ატესტატით**“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 459).

ავტობიოგრაფია 21 – „**გალაკტიონი მოსკოვის რეჟისორებისაგან იღებს ატესტატს რეჟისორობისას**“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 480).

ავტობიოგრაფია 22 – ამავე დროს პოეტი გატაცებულია თეატრალური სამუშაოებით. **ამთავრებს სარეჟისორო ინსტიტუტს, იღებს ატესტატს საუკეთესო რეჟისორობისას.** (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 21).

ავტობიოგრაფია 23 – სწავლობდა ტობანიერის პირველდაწყებით სკოლაში, ქუთაისის სას. სასწავლებელში, თბ. სას. სემინარიაში და მოსკოვის შანიავსკის უნივერსიტეტში, აგრეთვე მოსკოვის დრამ.

კურსებზე და **სარეჟისორო ინსტიტუტში**. (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 497).

არადა, არ ყოფილა არც ინსტიტუტი და არც – ატესტატი. გ. ტაბიძეს არ ჰქონია თეატრალური რეჟისორის დიპლომი (მოსკოვის სასცენო ხელოვნების მოყვარულთა ლიგის მიერ დაარსებული კურსები იძლეოდა მოწმობას) და არც ის კურსები იყო ექვსთვიანი. ამდენად, მსჯელობა, თითქოს გალაკტიონს „ეგდო თავისთვის უქმად მაგიდის უჯრაში რეჟისორის დიპლომი, ღვთისგანაც და კაცისგანაც მივიწყებული... დიპლომი ეგდო მაგიდაზე, დიპლომი ეგდო<sup>1</sup> მხოლოდ ფაქტის რომანტიზაციად შეიძლება მივიჩნიოთ. არადეფორმირებული რეალობა არის მხოლოდ მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებული პირველი სარეჟისორო 5-თვიანი კურსები და მისი მოწმობა. როგორც ვხედავთ, პოეტი 3 ავტობიოგრაფიაში სარეჟისორო ინსტიტუტს ახსენებს (სარეჟისორო ფაკულტეტი მოსკოვში 1924 წლამდე არ დაარსებულა, არაფერს ვამბობთ არარსებული სარეჟისორო ინსტიტუტის შესახებ). ეს ფაქტი შეგვიძლია მივიღოთ, როგორც დიდი პოეტის გამონაგონი ან მისეული ვარიაცია მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებული პირველი სარეჟისორო ხუთთვიანი კურსების სახელწოდებისა.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ პირველი როლი ყაჩაღისა წარმატებით ითამაშა და დრამატული თეატრიც განცდილი ჰქონდა, გალაკტიონმა მაინც სარეჟისორო განათლება აირჩია და არა – სამსახიობო. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის პირველი მარცხია, რომელიც განიცადა პროფესიულ სცენაზე გამოსვლისას და, რომელიც უკავშირდება ლექსის კითხვას. თავად ამ ფაქტს პოეტი ასე იგონებს *[1914 წლის სექტემბერი]*:

„არასდროს არ დამავიწყდება სალიტერატურო სადამო, რომელშიდაც პირველად გამოვდიოდი. ხუმრობა იყო? სცენაზე ლექსი უნდა წამეკითხა!

დილიდანვე რაღაც საშინელების გრძნობამ შემიპყრო... შიშმა სრულიად დამიმონა...

---

<sup>1</sup> ჩხეიძე რ., „კომიკოსი ტრაგედიაში - გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ., 2012, გვ. 5.

ერთიც ვნახოთ, დამავიწყდა ლექსი! მაშინ?.. საზოგადოება დაინტერესებულია „ახალგაზრდა [მგოსნებით] მგოსნით“, იგი გაფაციცებით თვალ-ყურს გადევნებს, მაგრამ იგი სრულიადაც არ შესწუხდება, თუ შენ ლექსი დაგავიწყდა და შუა ადგილას გაყინდი.. რომელიმე დაურიდებელი პირი შემდეგ საყვედურით გეტყვის:

– Публика страдала из-за вас!

მე ძალზე გავიზვიპირე ლექსი..

ამ დღეს სალიტერატურო საღამოში მონაწილეობას იღებდენ: აკაკი, პეტრე გელეიშვილი, პ. ცახელი, ვ. რუხაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ რუხაძე. იყვნენ სხვებიც.. საღამო[ზე] გელეიშვილის ლექციით დაიწყო... ლექციის შემდეგ აკაკიმ თავისი კლასიკური ლექსები წაიკითხა. აკაკის შემდეგ კი ჩემი რიგი იყო.

მე დავიწყე, მაგრამ ხმა მიკანკალებდა. უეცრად აკაკის დაჟინებული შემოხედვა ვიგრძენი... აკაკი მიცქეროდა და...

ლექსი დამავიწყდა, უნდა გავჩერებულყავი...

ცივმა ოფლმა დამასხა..

ბედათ იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა, ექსპრომტათ, ავადმყოფური თავგანწირულებით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს, რომლებშიდაც საერთოდ არა იყო რა, მაგრამ მე მსურდა სიტყვების [მუსიკით] კორიანტელით ამეხვია თვალი მაყურებლებისთვის. ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა. არც ერთს დამსწრეს არ შეუტყვია და არ უგრძვნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა.

საღამო გათავდა. მე დავიფიცე, რომ ამ დღიდან სალიტერატურო საღამოში არ გამოვალ.

„რა სიბრიყვეა, უკითხო ხალხს ლექსები. თუ ასე ძალიანა სურთ - იკითხოთ გაზეთებში...“ – ვვიქრობდი მე“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 120-121).

რეჟისორ გალაკტიონ ტაბიძის პირველი და უკანასკნელი სპექტაკლი სარეჟისორო კურსებზე სწავლა, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოითხოვდა სპექტაკლის დადგმას. ჩვენთვის უცნობია, თავად გალაკტიონმა შეარჩია პიესა თუ განაწილებით ერგო, მაგრამ მე-7 ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, რომ მას დაუდგამს ა. ოსტროვსკის პიესა „ტყე“: „ვამთავრებ სარეჟისორო ინსტიტუტს საუკეთესო ატესტატით. ვდგამ ოსტროვსკის პიესას „ტყე“-ს“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 459).

არავინ იცის, როგორი იყო გალაკტიონისეული ექსპლიკაცია ოსტროვსკის „ტყისა“, დრამატურგიული პირველწყაროს მისეული ანალიზი, პიესის ზემოცანისა და როლების გამჭოლ მოქმედებათა განსაზღვრა; ისიც უცნობია, როგორ დაყო პიესა სარეჟისორო მონაკვეთებად; როგორ განსაზღვრა მოვლენათა რიგი და მოქმედ პირთა ამოცანები. კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს მისი მუშაობა მსახიობებთან, სადადგმო კოლექტივთან, რანაირად წარმართა ჯერ სამაგიდო რეპეტიციები და მერე როგორ გადაინაცვლა სცენაზე... რა თქმა უნდა, მთელი პიესის დადგმა მას არ მოეთხოვებოდა, მაგრამ არ ვიცით, რომელი მოქმედება შეარჩია, როგორ დასვა აქცენტები (თუნდაც აქსიუმასა და პეტრეს სიყვარულში ან როგორი იყო ურთიერთობა ღარიბი პროვინციელი მსახიობი გენადი ნესჩასტლიევისა და გაიძვერა გურმიჟსკაიასი), როგორ გამოკვეთა მთავარი კონცეფცია; როგორი იყო მისი სპექტაკლის სცენოგრაფია, გამოიყენა თუ არა მუსიკა და, კერძოდ, როგორი/რომელი? – სამწუხაროდ, არაფერზე პასუხი არა გვაქვს. არ არსებობს არც ფოტოსურათი და ჯერჯერობით – არც პოეტის ჩანაწერები (ან სხვისი) ამ მოვლენის შესახებ. 1966 წელს გამოქვეყნდა გიორგი ჩიქობავას წიგნი „გალაკტიონის ახლო“, რომელშიც მრავალთა შორის ერთი საინტერესო მოგონებაა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიდა პოეტი თავის სადამოზე მარჯანიშვილის თეატრში და აუდიტორია როგორ მოელოდა მისგან ახალი ლექსების თქმას, მაგრამ შორეულ ფიქრებში წასულმა გალაკტიონმა ჯერ წყნარი ხმით, შემდეგ კი აღფრთოვანებით გაუზიარა დამსწრეთ თავისი აზრები თეატრალური ხელოვნების შესახებ, კერძოდ: „გაიხსენა პეტერბურგი, 1917 წელს დადგმული სპექტაკლი (პიესა „ტყე“), რომელიც მეტად მოსწონებია მაქსიმ გორკის<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, თარიღი 1917 წელი

---

<sup>1</sup> ჩიქობავა გ., „გალაკტიონის ახლო“, თბ., 1966, გვ. 141.

არაზუსტია, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, გალაკტიონმა სწავლა სარეჟისორო კურსებზე 1918 წ. დაიწყო, თანაც მოსკოვში და არა - პეტერბურგში.

1871 წელს გამოქვეყნდა ა. ოსტროვსკის „ტყე“ (კომედია 5 მოქმედებად), რომელმაც მას ოფიციალური აღიარება მოუტანა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ პიესით გალაკტიონის დაინტერესების მიზეზი: ალბათ, რუს მემამულეთა ცხოვრება უღრან ტყეში და ასეთ გარემოში ადამიანის ქცევის ფსიქოლოგია, ხასიათთა კონტრასტები, რომლებითაც ასე მდიდარია ეს კომედია. საარქივო მასალების მიხედვით, გალაკტიონი მხოლოდ ერთხელ, 1936 წ. 30/IV ახსენებს ოსტროვსკის: „დავამთავრე ნ. ოსტროვსკის წიგნი „Как закалялась сталь“. საჭირო წიგნია“ (ტაბიძე, სგ, წ. XV, 2008: 354).

ჯერ კიდევ 1897 წლის 10 სექტემბრის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა საინტერესო ინფორმაცია, რომ 8 სექტემბერს „ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებამ ავჭალის ქუჩაზე უფასო სასადილოს სადგომში გამართა წარმოდგენა რუსულად დაბალი წოდების მცხოვრებლებისათვის. სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს ოსტროვსკის კომედია „ტყე“, ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დაიშალა, რადგან საყურებელი ფასი ძალიან იაფი იყო (5 კაპ.). მაყურებლები, მცირე რიცხვის გარდა, სულ ღარიბებიდამ და მუშებიდამ იყვნენ“ (ცნობის ფურცელი, 1897, გვ. 2). ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისთვის ნაცნობი გახდა ოსტროვსკის პიესა. 1927 წ. გაზ. „კომუნისტი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა მეიერჰოლდის თეატრი და 10 მაისს ითამაშეს გახმაურებული სპექტაკლი „ტყე“; 1945 წ. 1 ივლისის „გაზ. „კომუნისტი“ გვაცნობს, რომ ა. გრიბოედოვის თეატრში ა. სმირანინმა დადგა ოსტროვსკის „ტყე“. მაშინ არავის გახსენებია, რომ ეს იყო ის პიესა, რომელიც გ. ტაბიძის პირველ და უკანასკნელ რეჟისორულ ნამუშევრად დარჩა სამყაროში.

### **დაწყებამდე დასრულებული კარიერა**

დაისმის შეკითხვა, რატომ შეწყვიტა გალაკტიონმა სარეჟისორო კარიერაზე ფიქრი, რატომ ერთხელ მაინც არსად გამოთქვა სურვილი დრამატულ თეატრში სპექტაკლის დადგმისა, რატომ მიივიწყა რეჟისორის მოწმობა?! მისი მდიდარი პირადი არქივი ამ ფაქტის შესახებ

დუმს. მხოლოდ ერთგან, **მე-19 ავტობიოგრაფიაში** [დაწერილია 1931 წლის შემდეგ], გაიხსენა და დაასახელა მიზეზი, რატომ არ მიეცა სარეჟისორო ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა: „1916 წელს პოეტი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც [მას იტაცებს] ის ეწაფება სხვადასხვა მუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში მეცადინეობს, [განსაკუთრებით მას იტაცებს თეატრალური ხელოვნება] განსაკუთრებით ღრმად სწავლობს თეატრალურ ხელოვნებას, [ვინაიდან [იცის] [სარეჟისორო ინსტიტუტიდან] **იღებს საუკეთესო რეჟისორის ატესტატს; [მაგრამ მეფის ჟანდარმერიის დევნა არ აძლევს საშუალებას [განაგრძოს] გამოიყენოს თავისი ცოდნა ამ დარგში** და იგი იძულებულია დაბრუნდეს საქართველოში, სადაც **ოცნებობს საკუთარი თეატრის შექმნაზე**, მაგრამ პოეტს სჭირდებოდა არა ატესტატი, არამედ ცოდნა - თეატრისა] და ოცნებობს თავისი საკუთარი თეატრის შექმნაზე. მაგრამ თეატრის შექმნის მაგიერ, საქართველოში დაბრუნებისას მას მიუსჯიან ორი თვის ციხეს გუბერნატორის პირადი [ფიზიკური] შეურაცხყოფისათვის. [გადის] ციხეში იგი არ ჯდება, იმალება“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 474-475). ამ ჩანაწერშიც ფაქტები არაზუსტია და არგუმენტად ვერ გამოდგება. 1920-იანი წლებით დათარიღებულ მე-14 ავტობიოგრაფიას თუ დავუჯერებთ, 1916 წ. დაუპატიმრებიათ. მოგვიანებით ამ თარიღმა 1917 წლისკენ გადაინაცვლა, მაგრამ ხუთთვიანი სარეჟისორო კურსები მან 1918 წლის ივნისში დაამთავრა და ერთი ან ორი წლით ადრე მომხდარი მოვლენა მისი სარეჟისორო კარიერის აწყობასთან არაფერ შუაშია.

როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, ხანდაზმული მგოსანი თურმე ტკბილად იგონებდა სარეჟისორო კურსებზე სწავლის პერიოდს და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კურსების დამთავრების მოწმობას, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველა გატაცებას, ყველა ოცნებასა თუ სურვილს პოეზია სძლევდა. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ გალაკტიონის სარეჟისორო გატაცებანი გატაცებადვე დარჩა.

ასე იყო სამგზის, როცა რომანის დაწერა მოინდომა: 1910 წ. დაიწყო რომანის წერა სათაურით „მომავლის შხამი“. შემდეგ ძველი სათაური გადახაზა და დააწერა – „ზვირთებში“. სათაურის ქვეშ ეწერა ჯერ ორგვერდიანი შესავალი საქართველოში ქალის როლის საშინელი დაკნინების შესახებ. იქვე გაგვაცნო მომავალი რომანის მოქმედი პირების სია: *ანდრო, მიტო, ბაბო, ტასიკო, მელანო, თედო* (ჩანაწერი,

გტცა, №196, გვ. 28-32. **შენიშვნა:** რვეულში ამ ტექსტიდან არაერთი ფურცლის შემდეგ ჩაწერილია 1910 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნებული ლექსის „ზაფხულის ღამე“ შავი ავტოგრაფი. შესაბამისად, ამ რომანის ფრაგმენტებიც უფრო ადრეული უნდა იყოს);

1912 წ. 12 მაისის შემდეგ დაუწყია რომანის ლექსად წერა. სათაურით „დალილა“ („იქ, სად მინდვრებს გადაწოლილს თვალიც კი ვერ გადასწვდება...“) (ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 100). **შენიშვნა:** ავტოგრაფში სათაური გადახაზულია და ალტერნატიული არ წერია;

1927 წ. 30 აგვისტოს ოლია ოკუჯავასთან ერთად ისვენებდა ბორჯომში. სწორედ აქ შეთანხმდნენ, რომ პირველი სექტემბრიდან დაიწყებდნენ რომანის წერას (გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2006, გვ. 320, 321). აქედან რეალობად ვერცერთი ვერ იქცა. *სავარაუდოდ, ასეთივე ბედი ეწია მის პიესებსაც:* „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“<sup>1</sup>, „სიკვდილის ანგელოსი“<sup>2</sup> და „ბინდი“<sup>3</sup>.

\* \* \*

გ. ტაბიძის ერთი დაუმთავრებელი ჩანაწერის (დღიური N24, 1927 წ.) სათაურია „კინოსათვის“, ისე კი კინოსცენარს უფრო ჰგავს. პოეტი თხზავს პერსონაჟის, იოველის, ხასიათის სხვადასხვა თვისებას, კერძოდ:

„იოველმა დახუჭა თვალები, მის თვალწინ ოცნებაში გაირბინა მთელმა მისმა ცხოვრებამ.

1. ძაღლის ლეკვი – ასე უწოდებდნენ მას დაბადებისას.
2. ბატი – უწოდებდნენ ცხოვრებაში შესვლისას.
3. მუტრუკი – უწოდებდნენ უფროსები სამსახურში.
4. ვირი – უწოდებდნენ ნაცნობ-მეგობრები.
5. პირუტყვი! – უწოდებდნენ სოციალისტები.
6. წურბელა – უწოდებდნენ გლეხები სოფელში.
7. რქიანი კაცი – უწოდებდნენ ცოლის თხოვის შემდეგ.

გამოვიდა ბოლოს და ბოლოს ცხოვრებაში. წამოეზარდა მუცელი და გახდა...

---

<sup>1</sup> ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 136.

<sup>2</sup> გაზ. „ცხოვრება“, 1912, №2, გვ. 2.

<sup>3</sup> ავტოგრაფი, გტცა, №198, გვ. 49-70.

8. იორკშირის ღორი.

1. ეხლა ის შედის... თავისსავე...“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 317).

რაოდენ საინტერესო პასაჟებია აქ ერთი ადამიანის ხასიათში თავმოყრილი!

პოეტის ასევე უაღრესად საინტერესო ჩანაწერია 1915 წლით დათარიღებული „ივანე ნაპოლეონად იქცა“, რომელიც ჟანრობრივად ვოდევილს წარმოადგენს და დეტალებში გვიჩვენებს გალაკტიონის სურვილს, დრამატურგის სიზუსტით აღწეროს სცენა და შეგვიყვანოს პერსონაჟის სულიერ სამყაროში. სანიმუშად ამ დაუმთავრებელი პიესის ეს პირველი სცენაც გამოდგება:

„სცენა 1, ფარდა აიხდება, სცენის სიღრმეში ძველმოდურ ტახტზე ნიფხავ-პერანგ სამარა წამოწოლილა ივანე და ყალიონს აბოლებს, თან ხვნეშის და ხანდახან აფურთხებს. სცენა ნელ-ნელა ბნელდება. ბოლოს, ივანე გამოფერთხავს ყალიონს. სცენა ამ დროს სრულიად დაბნელდება. ისმის ივანეს ხვრინვა. სიბნელეში კარის ჭრიალი ისმის. შემოდის თებროლე და ხმამალა ამბობს:

– კიდევაც დასძინებია. ღმერთო, ტკბილი სიზმრები ანახე ჩემს ივანეს! მე კი ეხლავე გავალ.

ისევ ისმის კარის ჭრიალი. ბოლოს სცენა თანდათან ნათდება. სიღრმეში ტახტიდან, რომელზედაც ივანე იწვა, დგება ნაპოლეონის სილუეტი, რომელიც შუა ოთახისკენ მიდის“ (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 269).

სცენა მთლიანადაა აგებული განათების კონტრასტზე და, რაც მთავარია, დასაწყისიდანვე, ყოველგვარი გაჭიანურებული ექსპოზიციის გარეშე, შემოდის მთავარი ინტრიგა – ნაპოლეონის სილუეტი.

დრამატული კოლიზიებით იყო აღსავსე დიდი პოეტის ცხოვრება და, ბუნებრივია, ეს თავს იჩენდა მის შემოქმედებაშიც. უაღრესად საინტერესო შემთვევად მიგვაჩნია საყოველთაოდ ცნობილი „მესაფლავეს“ დრამატული ვერსიაც. რატომ გაუჩნდა გალაკტიონს სურვილი, დრამატურგიულ ჩარჩოში მოექცია ის შინაგანი



კონფლიქტები, რომლებიც ასე თვალშისაცემად გამოხატა „მესაფლავეში“?!.

\*\*\*

გალაკტიონს ჰქონდა ერთი დიდი ოცნებაც, **ოცნება საკუთარი თეატრის შექმნისა**. ერთ რვეულში 1951 წლის ნოემბრით (გვ. 68) და ამავე წლის 16 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტიდან“ (გვ. 71) გაკეთებულ ჩანაწერებს შორის მოთავსებულია ავტორის მიერ ოთხ მუხლად ჩამოწერილი სურვილები და სამოქმედო გეგმა, რომლის მეორე მუხლში იკითხება: „მე მაქვს ატესტატი რეჟისორისა. კარგი იქნება, ჩამოყალიბდეს **ლირიკის თეატრი**, ან...“ (ტაბიძე, სგ, წ. XVIII, 2008: 214). კონკრეტულად როგორი სახის სათეატრო ესთეტიკასა და პრინციპებს გულისხმობდა ლირიკის თეატრში, ჩვენთვის უცნობია. ამის შესახებ მის პირადს არქივში არაფერია ნათქვამი.

როცა გალაკტიონი ლირიკის თეატრის შექმნაზე ოცნებობდა, ბუნებრივად გულისხმობდა საკუთარი პოეზიის თეატრს. საარქივო მასალებში მხოლოდ ორჯერ გვხვდება ჩაწერილი უაღრესად საინტერესო ფრაზა: „**გალაკტიონის თეატრი**“ (გ. ტაბიძე, სგ, წ. XXVI, თბ., 2008, გვ. 272; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIII, თბ., 2008, გვ. 63). ლირიკის თეატრი გალაკტიონის თეატრი რომ უნდა ყოფილიყო, მისი სახელი რომ უნდა რქმეოდა, არ არის ძნელი მისახვედრი. ფაქტია ისიც, რომ ასეთი თეატრის მთავარ პროტაგონისტად ან საკუთარ თავს მოიაზრებდა, ან ლექსის კითხვის ხელოვნებას (მხატვრული კითხვა) დაუფლებულ მსახიობებს.

### **მელოდეკლამაცია**

თავისი არსითა და ბუნებით დეკლამაცია არ არის სამსახიობო ხელოვნება, მაგრამ, როგორც ტრადიცია და მოცემულობა, მკითხველები, უმთავრესად, მაინც მსახიობები არიან. გალაკტიონ ტაბიძე სარეჟისორო კურსებზე ისმენდა გამომეტყველებითი კითხვისა და დიქციის ხელოვნებას, რომელსაც ცნობილი მსახიობი ო. რახმანიოვა ასწავლიდა. იცოდა ინტონაციის ფუნქცია და მისი ძირითადი ელემენტები; ლოგიკური მახვილის დატვირთვა,

---

<sup>1</sup> უფრო ვრცლად ამ საკითხის ირგვლივ იხ. კიკნაძე ვ., „პოეტური თეატრის სამყაროში“, თბ., 1990, გვ. 77-80.

ტიპობრივი სინტაქსური კონსტრუქციების ინტონაციური ნახაზის მნიშვნელობა. ამდენად, მას კითხვის ხელოვნების თეორიაც და პრაქტიკაც, მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა კარგად ჰქონდა შესწავლილი. ახლა მნელია იმის თქმა, თავად პოეტს რამდენად დაეხმარა ეს სკოლა საკუთარი ლექსების კითხვაში. რევაზ ინანიშვილი იგონებდა: „გამოვიდა გალაკტიონი და წაიკითხა ლექსები თავისებური აჩქარებით, თრთოლვით – „დროები ჩქარა“, „რევოლუციურ საქართველოს“ და სხვ. მე არც ასეთი შთამბეჭდავი წაკითხვა მომისმენია, არც ასეთი მშვენიერება მინახავს სცენაზე და არც ასეთი აღტაცებული დარბაზი. გალაკტიონი ერთდროულად დარბაზსაც მიმართავდა და ზეცასაც. როცა, ბოლოს, ირგვლივ შემოეხვიენენ, იგი, განათებული, ცრემლს ძლივს იკავებდა, ან უფრო – ვედარ იკავებდა“<sup>1</sup>.

წაკითხვა უყვარდა, ოღონდ წინასწარ ემზადებოდა, თან – მთელი სერიოზულობით. 1922 წლთ დათარიღებულ დღიურში ვკითხულობთ:

„შაბათს სალიტერატურო საღამო. ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი უნდა გავატარო სახლში (არაა საჭირო საზოგადოების ნახვა: საჭიროა დასვენება). სამი დღის განმავლობაში საჭიროა მეტი კონიაკი, для поднятия настроения, გოგლი-მოგლი პარასკევსა და შაბათს – ხმისთვის. მარილი – ხმისთვის, კვერცხი – ხმისთვის. ერთხელ და უკანასკნელად დარწმუნდებიან ყველანი, თუ რა დიდი ძალა ვარ მე“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 106-107).

როგორც ჩანს, მოსკოვში მიღებულმა გამოცდილებამ გალაკტიონს ჩამოუყალიბა მხატვრული კითხვის ხელოვნების ერთგვარი კონცეფცია. როგორც ცნობილია, სარეჟისორო კურსებზე სწავლისას მას გავლილი ჰქონდა გამომეტყველებითი კითხვისა და დიქციის ხელოვნება მსახიობ ო. რახმანინოვასთან და არაა გასაკვირი, რომ უკვე აღარ მოსწონდა ლექსის წამღერებით კითხვა – ასე გავრცელებული და დამკვიდრებული არამხოლოდ ჩვენში. 1928 წ. საერთო რვეულში ჩაუწერია: „თანამედროვე ლექსების კითხვამ (შეიძლება მეც მიმიძღვის ამაში ბრალი) ფაკტის წინაშე დაგვაყენა: **ლექსი იკითხება სიმღერითი ტონით. დამკვიდრებულია ყველგან ეს კითხვა**“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 376). 1914 წ. ქუთაისში გალაკტიონის საღამო გაიმართა.

---

<sup>1</sup> „რევაზ ინანიშვილი“ (ავტორ-შემდგენელი ლ. დათაშვილი), თბ., 2010, გვ. 7.

წაუკითხავს „ყვითელი ფოთოლი“, თანაც ზოგიერთ სტრიქონს ერთიანად დაძაბული წამღერებით ვკითხულობდიო. სადამოს თურმე აკაკიც დაესწრო, რომელსაც უთქვამს: „საოცარია, როდესაც ლექსებს კითხულობდით, მეგონა, რომ მღეროდით, ასე გაბმით, თითქოს სიმღერით, ძველად კითხულობდნენ ლექსს“. ამის შემდეგ თავი გავნაბე ლექსის სიმღერით კითხვასო – დასძენს გალაკტიონი<sup>1</sup>.

პოეტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა მხატვრული კითხვის შესახებ დაწერილი წიგნები, მათ შორის ლუდვიგ ეკარდის 1875 წ. სანქტ-პეტერბურგში დაბეჭდილი სახელმძღვანელო პოეტური ნაწარმოების კითხვის შესახებ; უფრო მეტიც, ეს საკითხი იმდენად ალღევდა და აწუხებდა კიდეც, რომ დაუკონსპექტებია 1927 წელს გამოცემული რუსული მეთოდოლოგიური ლიტერატურა „უსტნოე ი პისმენნოე სოლოვო უჩაშიხსია“. მოსწონს ის შეხედულება, რომ ხმამაღალი კითხვა ყვირილს არ უნდა დაემსგავსოს. მართალია, დეკლამაციას დიდ ყურადღებას აქცევდა, თუმცა მისი მიდგომა მაინც ის იყო, რომ პოეზია არ არის დეკლამაცია, რომ ლექსი უნდა იკითხებოდეს დინჯად, ყოველგვარი აფექტაციის გარეშეო, მაგრამ თავად რამდენად გამოსდიოდა საკუთარი თეორიის პრაქტიკული განხორციელება - ეს უკვე ცალკე საკითხია. მას, როგორც პროფესიით რეჟისორს, გავლილი ჰქონდა სასცენო მეტყველების კურსები და კარგად ესმოდა დიქციის მნიშვნელობა. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი ნერვიულობა და ღელვა იმის გამო, რომ ხმა დაკარგა: „სადღაა ჩემი დიდებული ტემბრი ხმისა? აუცილებლად უნდა დავიბრუნო სიტყვის სითამამე. უნდა გავისუფთავო ხმა. სიმტკიცე უნდა მივსცე“<sup>2</sup>. 1935 წელს რუსულ ენაზე წერს, რომ ზოგი პოეტი ხმას თავისუფლად არ გამოსცემს, თითქოს დახურული პირით მღერის, თავად კი ზოგჯერ არ ერიდება მკვეთრ, მაღალ, განმგმირავ ბგერებსაც კი. მისი რწმენით, პოეზია უნდა ჟღერდეს უფრო მშვიდად, ნელა და დიდებულად (ტაბიძე, სგ, წ. XV, თბ., 2008, გვ. 227-228).

ერთ-ერთ ჩანაწერში ერთმანეთისგან განასხვავებს დეკლამაციასა და მელოდეკლამაციას: „დეკლამაცია ჩემივე ლექსების; და ჩემი გამოსვლა; მელოდეკლამაცია“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 59). სხვაგან ზუსტად

---

<sup>1</sup> რადიანი შ., „ჩვენი გალაკტიონი“, ჟურნ. „ცისკარი“, 1967, N1, გვ. 114.

<sup>2</sup> ჯავახაძე ვ., „უცნობი“, თბ., 2020, გვ. 408.

მიუთითებს: „მელოდეკლამაცია: სიტყვები, არტისტები, მთავარია მუსიკა“ (ტაბიძე, სგ, წ. XV, 2008: 503) – ამაზე ზუსტად შეუძლებელია შეაფასო გალაკტიონის კითხვის მანერა. როგორც მის კითხვაში, ისე, ზოგადად, მის პოეზიაში უპირველესია კანტილენა. თავად რომ არაჩვეულებრივი სმენისა და მუსიკალური ნიჭის პატრონი იყო, ჩვენ მიერ მოხმობილმა მისმა ჩანაწერმაც დაადასტურა, როცა ნ. სულხანიშვილის გუნდს მიაშურა. ცნობილი ფაქტია ისიც, თუ როგორ მღეროდა გ. ქუჩიშვილთან ერთად რთულ გურულ სიმღერებს. ერთხელ შ. რადიანისთვის უთქვამს, ლექსის წერის დროს ვმღერი, ჯერ გონებაში მუსიკალურად ვმართავ ლექსს და მერე გადამაქვს ქაღალდზეო<sup>1</sup>. არც ისაა შემთხვევითი, თავის ძმიშვილს, ნოდარ ტაბიძეს რომ განუმარტა: „ჩემო ნოდარ, სიტყვას არა მხოლოდ აზრი და მუსიკა აქვს, არამედ - ფერი და, შენ წარმოიდგინე, სიმწიფეც“<sup>2</sup>.

პოეტის თანამედროვეთა მოგონებებში გაცოცხლებულია მისი ქორეოგრაფიული ტალანტიც, მაგალითად: 1955 წლის 15 აგვისტოს ჩარგალში იმყოფებოდა. ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, შემდეგ კონცერტი გაიმართა და, ბოლოს, ჭალაში სუფრაც გაშალეს. გალაკტიონი საცეკვაოდ გამოიწვიეს და მანაც იცეკვა. 1958 წლის 4 თებერვალს კი პოეტს ესტუმრა გოგი ჩიქობავა, რომელსაც სადილის შემდეგ ფორტეპიანოზე დაკვრა სთხოვეს. გალაკტიონმა კინტოური იცეკვა: „თეთრი ხელსახოცი ბაღდადივით გაშალა, ზეინაბი გაიყოლია და ერთი წრე შემოიარა. ბიძიკოებო, მაგი არ ვიცი კარგად, — ამბობდა სიცილით, თან ძმიძედ სუნთქავდა“. მერე უთქვამს, რომ ამ ცეკვას ყველაზე კარგად ლადო გუდიაშვილი ასრულებდა<sup>3</sup>.

რაც შეეხება გალაკტიონის სასიმღერო შესაძლებლობებს, მისი არქივი ამის შესახებ საინტერესო მასალებს შეიცავს, მაგალითად: იმავე 1955 წლის 15 აგვისტოს ჩარგალში დუშეთის რაიონის მომღერალთა გუნდთან ერთად ისე იმღერა „მრავალჯამიერი“, რომ მსმენელები დაატყვევა. ალექსანდრე გომიაშვილი ამბობს, „გალაკტიონს პირველი ხმა შეენის, რადგან პირველი პოეტიაო“<sup>4</sup>. ბავშობაში დედას სთხოვდა

---

<sup>1</sup> რადიანი შ., დასახ. წიგნი, გვ. 115.

<sup>2</sup> ჯავახიძე ვ., დასახ. წიგნი, გვ. 508.

<sup>3</sup> ჩიქობავა გ., დასახ. წიგნი, გვ. 19-20.

<sup>4</sup> იხ. გურგენიძე ვ., „მიწიერი გალაკტიონი“, წგნ. „მოგონებანი გალაკტიონზე“, თბ., 2009, გვ. 258-266; ჭელიძე ო., „გალაკტიონი ჩარგალში“, წგნ. „მოგონებანი

ჩონგურზე დაკვრას და მასთან და ძმასთან ერთად მღეროდა სიმღერებს: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, „სამი ქალი თივას თიბდა“, „სერზე მიდის სამი მგელი...“<sup>1</sup> და სხვ. სუფრაზე გ. ჩიქობავას ეტყვის: „ოდესმე გავიხსენებ იმ ძველ ქართულ სიმღერას, რომელსაც დედაჩემი მღეროდა და ვინმეს ნოტებზე გადავატანიებ... გაუმარჯოს მუსიკას, გაუმარჯოს ბეთჰოვენს – მუსიკის ღმერთს, გაუმარჯოს მოცარტს, ბახს, შოპენს და ჩვენი ერის სიამაყეს, ზაქარია ფალიაშვილს!<sup>2</sup>. დავით კასრაძესთან ერთად მოინახულებს გელათის მონასტერს. ეკლესიის კარი ღია ხვდებათ, შემოეგებებათ ბერი მათე კერესელიძე, რომელიც ტაძარს ათვალიერებინებთ. პოეტი აღფრთოვანებული შეჰყურებს მონასტერსა და მის შემოგარენს და უცებ სიმღერის სურვილი უჩნდება. სთხოვს დავით კასრაძეს, რომ „შენ ხარ ვენახი“ იგალობონ. პირველს კასრაძე ამბობს, მეორე ხმას მათე კერესელიძე და გალაკტიონი ცდილობს, ბანი მიაშველოს<sup>3</sup>. 1955 წლის 9 ივლისს ვანში ნადიმზე გიტარის თანხლებით მღერის სიმღერას „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ (ტაბიძე, ს.გ. წ. XIX, 2008: 143); ბედნიერი იყო იმიტაც, რომ ოდესღაც ვ. სარაჯიშვილთან ერთად უმღერია: „ერთხელ სარაჯიშვილმა / ზღვისპირ ჩემთან იმღერა“. ბოლო პერიოდში აღმოჩენილია ერთი უცნაური აუდიო ჩანაწერი, თუ როგორ მღერის ნასვამი გალაკტიონი თავის ლექსს „სახლი ტყის პირად“ (იხ. მისამართზე: <https://1tv.ge/radiomuseum/mgheris-galaktion-tabidze-sakhli-tvis-pirad/>). გემოვნებაც განსაკუთრებული ჰქონდა, უყვარდა ხალხური და კლასიკური მუსიკა. „დოლ-გარმონისა და ზურნა-დუდუკის ხმები პოეტის ბაგეზე გამქირდავ ღიმილსა და სატირულ თქმებს იწვევდა, სამიკიტნო მუსიკას ეძახდა. განსაკუთრებით ვერ იტანდა ბაიათის მოსმენას, უთუოდ სიცილი აუვარდებოდა და, თუ რადიო იყო ამაში

---

გალაკტიონზე“, თბ., 2009, გვ. 81; გურგენიძე ვ., „გალაკტიონი ფშავში“, თბ., 1994, გვ. 25-27; რატიანი ა., „მოგონებები გალაკტიონზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1996, № 9-10, გვ. 137.

<sup>1</sup> ტაბიძე ს., „მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე“, კრებ. „გალაკტიონოლოგია“, IX, თბ., 2022, გვ. 334.

<sup>2</sup> ჩიქობავა, დასახ. წიგნი, გვ. 21.

<sup>3</sup> კასრაძე დ., „პირველი შეხვედრა“, კრებ. „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ., 1973, გვ. 227-228.

„დამნაშავე“ — გამოთიშავდა“<sup>1</sup>. ტ. გრანელის თქმისა არ იყოს: „მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება“<sup>2</sup>. აკი თავადაც გაგვანდო, რომ ეძებდა „ნამდვილ რითმას ქართული მახვილებით, შეუდარებელი მუსიკალური რითმებით“. გ. ჩიქობავა იხსენებს, რომ ერთხელ სუფრაზე ნ. სულხანიშვილის „მაშ, გამარჯვება“ (ტექსტი ნ. ფაშალიშვილისა) წაიმღერა და მერე ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ კიაზოს არია „დამისხი, დამალევი“ მომხიბლავად დაამღერა და სადღეგრძელოც დაამთავრაო.

მუსიკალობა გალაკტიონის განსაკუთრებული ბუნებრივი მდგომარეობა იყო და ეს განაპირობებდა მისი ხმის განუმეორებელ ინტონაციას. მელოდეკლამაციის კლასიკურ ნიმუშად „მთაწმინდის მთვარის“ უჩვეულო რიტმულ-ინტონაციური მრავალფეროვნებით გამორჩეული მისეული კითხვა გამოდგება<sup>3</sup>, დაწყვეტილი ნერვით, აჩქარებით, სულმოუთქმელად, ერთი ამოსუნთქვით. კითხულობდა თითქოს მხოლოდ თავისთვის, თანაც ისეთი გზნებით, რომ ამ სამყაროს ვერ გრძნობდა, მოწყვეტილი იყო რეალობასა და მხოლოდ პოეზიის საუფლოდან აღავლენდა მთაწმინდის მთვარის სადიდებელს. უფრო მეტიც, ქართული ენის არმცოდნეს შეიძლება მუსიკალურ ნაწარმოებად აღექვა. მისი კითხვა, უფრო სწორედ მელოდეკლამაცია, ექვემდებარებოდა მკაცრად განსაზღვრულ პარტიტურას, რომელიც იწყებოდა მთრთოლვარე შესავლით, შედარებით დინჯი და მშვიდი ინტონაციით. ამ „უვერტიურაში“ შემოდინდა აღწერითი თხრობა, რომელიც გვამზადებდა რაღაც თავბრუდამხვევისთვის. შემდეგ („მთვარე თითქოს ზამზახია“...) იცვლებოდა კითხვის ტემპო-რიტმი და აღწერითი თხრობის ინტონაციები გაისმოდა; მომდევნო სტროფს („აქ ჩემს ახლოს აკაკის ლანდს“...) უკვე შევყავდით ახალ ემოციურ სინამდვილეში, ხოლო გაბმული მუსიკალური გამა იწყებოდა ტაეპით

---

<sup>1</sup> ჩიქობავა, იქვე, გვ. 144.

<sup>2</sup> გრანელი ტ., „გალაკტიონ ტაბიძის საღამოს გამო“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1969, 25 აპრილი, გვ. 4.

<sup>3</sup> ამ ლექსის ჩაწერის თარიღად ზოგი 1954 წ. უთითებს, ზოგიც - 1941 წ. ჩვენ ვერდნობით საქართველოს ეროვნული არქივის ცნობას, რომ პოეტმა ლექსი 1953 წლის 22 დეკემბერს ბათუმში თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლის საიუბილეო საღამოზე წაიკითხა. იხ. მისამართი: <https://archive.gov.ge/galaktioni-1>

„და მეც მოვკვდე სიმღერებში....“. აქ უკვე ერთმანეთს ერწყმოდა აზრი და ემოცია, მღელვარება და დამაბული რიტმი, რომელიც სრულდებოდა ფრაზით „რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“ და ლექსის კითხვა მთავრდებოდა მოულოდნელი მთრთოლვარე პაუზით, პოეტის მელოდიურ-ჰარმონიული საქცევით, კადანსით, რომელმაც უნდა დაამთავროს მუსიკალური ნაწარმოების ბოლო ფრაზა: „ჯერ არასდროს არ ყოფილა მთვარე ასე წყნარი“.

„1953 წლის 23 დეკემბრის ამ ჩანაწერს რომ უსმენ, აჩქარებული გულის ფეთქვა გესმის, გგონია, უკანასკნელად კითხულობს და ცდილობს როგორმე მოასწროს, შიშობს, ვაითუ სუნთქვა არ ეყოს ბოლომდე, – აკი ბოლო სტრიქონის წინ მოსალოდნელზე ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდება... გეჩვენება, ვეღარ დაამთავრაო, მაგრამ ერთხელ კიდევ ამოისუნთქავს, ყოველ სიტყვას გამოყოფს, დაყოვნებით წარმოთქვამს უკანასკნელ სტრიქონს, და კულისებში გაიჭრება... წაკითხვის შემდეგ უტირია კიდევ“<sup>1</sup>. მოგვიანებით გ. ლორთქიფანიძე იტყვის: „მხოლოდ გენიოსს შეუძლია ისე წაიკითხოს ლექსი, როგორც ის „მთაწმინდის მთვარეს“ კითხულობდა. ისეთი ნერვიული დამაბულობაა, რომ გეშინია არ გაწყდეს ნერვის ძაფი და არ შეეწიროს პოეტი ამ ლექსის კითხვას“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, გ. ტაბიძის ე.წ. მელოდეკლამაცია, მისი კითხვის მანერა იყო ერთგვარი საორიენტაციო ეპოქის მსახიობთათვის. არც ისაა შემთხვევითი, რომ მსახიობი აკაკი ვასაძე 1928 წ. თავის საესტრადო რეპერტუარში შეიტანს გალაკტიონის პოემა „ეპოქას“. პოეტი არაერთხელ დაესწრო მის გამოსვლას ოპერის თეატრში და მოეწონა კიდევ, კმაყოფილი დარჩა, მაგრამ თავად მსახიობი იყო უკმაყოფილო. ის ვერ ბედავდა ისეთი შედეგების საჯაროდ წაკითხვას, როგორებიცაა: „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“ და „მერი“. აკაკი ვასაძის მიზანია, როგორმე კიდევ ერთხელ მოისმინოს თავად გალაკტიონის მიერ წაკითხულ „მთაწმინდის მთვარე“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ლექსის ზუსტი ინტონაციის მიგნებას<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ჯავახაძე ვ., დასახ. წიგნი, გვ. 406.

<sup>2</sup> ლორთქიფანიძე ი., დასახ. წიგნი, გვ. 143.

<sup>3</sup> ვასაძე ა. „სიცოცხლითაც და სიკვდილითაც“. „სადღეგრძელო იყოს მისი“ [ქართველ მწერალთა წერილები და მოგონებები გალაკტიონზე], თბ., 1973, გვ. 215.

უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება გალაკტიონის მიერ 1946 წლის 7 დეკემბრის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველ გვერდზე შავი ფანქრით მინაწერი: „ძირითადი აზრით უნდა განასხვავო **შეგნებული კითხვის ხერხები**“. იქვე განსაზღვრავს, ზოგადად, კითხვის ოთხ სახეობას:

1. მოუთმენლად კითხვა (ჩქარა კითხვა სხვაა): უსარგებლოა, საზიანოა, თუთიყუშობაა. ეს სიზარმაცის ნიშანია, აზროვნების, ნებისყოფის საზიანოა, წიგნის უაზრო ფურცვლაა;
2. ყურადღებით კითხვა: ვფიქრობ სხვაზე. მცირე ტექსტები ვიკითხოთ 4-5 წუთი;
3. ნახტომებით კითხვა: არათანმიმდევრულად, გამოტოვებით, ზერელებდ. წავიკითხოთ ცოტა, საფუძვლიანად. ასუსტებს ნებისყოფას;
4. გაბმით კითხვა: დიაკვნისებური, შეუგნებელი. პასიურია. ჩქარა იღლები<sup>1</sup>.

საბედნიეროდ, გვაქვს იშვიათი შესაძლებლობა, გავეცნოთ პოეტის ვრცელ შეფასებას იმის შესახებ, თუ როგორ კითხულობდა მის ლექსებს რუსი მსახიობი ვასილ კაჩალოვი. ფაქტობრივად, ეს არის რეცენზია მხატვრული კითხვის ხელოვნების შესახებ. გალაკტიონი აღფრთოვანებულია იმით, რომ მსახიობს შეუძლია გულში ჩასწვდეს მსმენელს, გააბრუოს იშვიათი ლირიკულობით, დაარწმუნოს და გადაიყვანოს მთლიან მუსიკალობაში (ზუსტად ისე, როგორც თავად ახერხებდა „მთაწმინდის მთვარეში“). ის მოხიბლულია კაჩალოვის არტისტიული კითხვის მელოდიურობით, მისი უნარით, იგრძნოს მოახლოებული ფინალი ლექსისა, წარმოაჩინოს გრადაციები ხმაში და კითხვის დროს გამოავლინოს მთელი თავისი ინტელიგენტური სული (ტაბიძე, სგ, წ. XXIII, 2008: 109-111).

1919 წ. მარტში ჟურნალში „თეატრი და მუსიკა“ (№1, გვ. 19-20) გალაკტიონმა გამოაქვეყნა მცირე პიესა „თეატრები“<sup>2</sup> (რეჟისორის,

<sup>1</sup> ჯავახაძე ვ., დასახ. წიგნი, გვ. 407.

<sup>2</sup> 1930-იან წლებში გალაკტიონი წერს საინტერესო ჩანახატს სათაურით „\*\*\* კინო-რეჟისორი...“, რომელშიც საუბრობს დუგლას ფერბენკსისა (ამერიკელი მსახიობი, სცენარის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერი. United Artists-ის თანადამაარსებელი ჩარლი ჩაპლინთან, მერი პიკფორდსა და დევიდ უორკ გრიფიტთან ერთად) და კონრად ვეიდტის (გერმანელი თეატრისა და კინოს



ჰამლეტისა და ოფელიას პოლემიკა), რომელიც არ შესულა მის არცერთ აკადემიურ გამოცემაში. ეს ტექსტი უაღრესად საინტერესოა პოეტის სათეატრო ესთეტიკის დასადგენად. მასში განხილულია სინთეზური თეატრის პრინციპები, კერძოდ, რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ახალ დროში – რეჟისურის თეატრი თუ თეატრი მსახიობისა.

რადგან ტექსტი მცირე მოცულობისაა, წარმოვადგენთ მთლიანად:

### **თეატრები**

**რეჟისსორი** – პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის გამოცდილ რეჟისსორს.

**ჰამლეტი** – არა! პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის დახელოვნებულ მსახიობებს.

**რეჟისსორი** – თქვენო უმაღლესობავ!

**ჰამლეტი** – ასეა: მსახიობობა იბადება ზემთაგონებიდან და არ საჭიროებს არავითარ ტექნიკურ შენობას, უმაღლესი მიზანი თეატრისთვის არის სცენიური იმპროვიზაცია.

**რეჟისსორი** – თქენო უმაღლესობავ... ავტორი?

**ჰამლეტი** – გაერთიანება შემოქმედების დროს ავტორისა და აქტიორის იდეების: აი კიდეც უდიდესი მიზანი.

**ოფელია** – ჩემის აზრით ეს კითხვა (რეჟისსორი თუ ავტორი?) არ არსებობს. ეს მხოლოდ გაუგებრობაა.

**ჰამლეტი** – შეიძლება თქვენ აგვიხსნათ ეს გაუგებრობა?

**ოფელია** – სცენაზე ვარ და არ მახსოვს შემთხვევა, რომ პიესა ჩატარებულიყოს თეატრალურ მოწყობილობის გარეშე. ვერც ერთი მსახიობი მაშინ როლს ვერ შექმნიდა. თქვენო აღმატებულებავ! რა იქნებოდა ჰამლეტი, რომ არ ყოფილიყვნენ დეკორატორები, ბუტაფორები, კოსტიუმერები, სცენარიუსები ან სუფლიორები? რეჟისსორი მოწოდებულია...

---

მსახიობი, ყველაზე ცნობილია მისი სამსახიობო ნამუშევარი გერმანული კინოს ექსპრესიონიზმის ფილმებში) შესახებ და გამოკვეთს კინორეჟისორისთვის დამახასიათებელ რამდენიმე თვისებას: კინორეჟისსორი მიჩვეულია ზეკაცურ მბრძანებლობას; კინორეჟისსორს აქვს იმისი უფლება, რაც არა აქვს ჩვეულებრივ მომაკვდავს; განებივრებული და ჯიუტია; კინორეჟისსორს უფლება აქვს, მოისურვოს მხოლოდ.

**ჰამლეტი** – მოწოდებულია სცენარიუსებისა და დეკორატორებისთვის რეჟისსორი. აგრეთვე ჰამლეტისთვის.

**ოფელია** – ყველასათვის, თქვენო უმაღლესობავ! აი ოსკარ უაილდის სიტყვები წიგნიდან „ნილაბთა ჭემმარიტება“: „თვითეულ თეატრალურ ორგანიზაციაში გაყვანილი უნდა იყოს განაწილება შრომის და არა გონების. ფონი უნდა დარჩეს „ფონად, ფერები კი ეფექტს უნდა დაუმორჩილდეს. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც წარმოდგენას ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი პიროვნება. ხელოვნების განათება მრავალგვარია, მაგრამ მთავარი ძალა მხატვრული ეფექტისთვის მხოლოდ გაერთიანებაშია. ნამდვილი მხატვრული დადგმა ერთი შემოქმედის სულით უნდა იყოს გაჟღენთილი...“

**ჰამლეტი** – „ოფელია! წადი მონასტერში!

**ოფელია** – მე მინდა ვსთქვა, რომ უმთავრესი პიროვნება თეატრში არც რეჟისსორია და არც აქტიორი. ყველაზე უმთავრესი ისევ ჩვენი ძვირფასი თეატრია: უნდა ამაღლდეს იგი მაღალი ხელოვნებამდე! აი რას ვუსურვებთ მათ ყოველი ახალი სეზონის დასაწყისში“<sup>1</sup>.

პერიოდი, როდესაც გალაკტიონმა თავისი მცირე პიესა გამოაქვეყნა, დიდი სირთულეებით გამოირჩეოდა. თეატრი ღრმა კრიზისში იყო, ძველი ბენეფისური თეატრის ინერციით აგრძელებდა ცხოვრებას. უყურადღებოდ მიტოვებული ქართული დრამის საშველი არ ჩანდა. თანდათან პოზიციების გამაგრება დაიწყო პროფესიულმა რეჟისურამ. ევროპასა და რუსეთში კარგა ხნის დამთავრებული იყო პოლემიკა, – რომელია უპირატესი თეატრში: მსახიობი თუ რეჟისორი, ჩვენში კი – ახალი დაწყებული. რეჟისურის გააქტიურებამ მსახიობთა პროტესტი და შიში გამოიწვია. აქ საქმე ეხებოდა თეატრში პირველობას და ამის დათმობა მსახიობებს ეძნელებოდათ. შემთხვევით არ წერდა კოტე მარჯანიშვილი: მსახიობები „რეჟისორს ისე უყურებდნენ, როგორც მათი არტისტული თავისუფლების მოძალადეს, როგორც დესპოტს“<sup>2</sup>. გალაკტიონს თავისი კონცეფცია ჰქონდა და, როგორც ამ დიალოგიდან ირკვევა, ის სინთეზური თეატრის მომხრეა (შდრ. ლორთქიფანიძე 1988: 166). მისი პოზიცია ოფელიას პირითაა განმოვანებული „უმთავრესია

---

<sup>1</sup> ტაბიძე გ., „თეატრები“, ჟურნ. „თეატრი და მუსიკა“, 1919, №1, გვ. 19-20.

<sup>2</sup> მარჯანიშვილი კ., „მემუარები და წერილები“, თბ., 1947, გვ. 2.

ჩვენი ძვირფასი თეატრი“ – ეს კი იმთავითვე გამოირიცხავდა კამათს რეჟისორი თუ მსახიობი, რადგან ის არ შეესაბამებოდა თეატრის საუკეთესო ინტერესებს (შდრ. კიკნაძე 1990: 70-72). ამ პერიოდისთვის გალაკტიონს უკვე ნანახი ჰქონდა არაერთი სპექტაკლი ქართულ თეატრში და სრულიად აღფრთოვანებული იყოს მოსკოვის სამხატვრო თეატრის შედეგებზე. ჩეხოვის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებზე. გარდა ამისა, მას მოსკოვის სცენისმოყვარეთა ხუთთვიან კურსებზე მოსმენილი ჰქონდა ვლადიმერ ფილიპოვის ლექციები თეატრის ისტორიაში და თეორიულად კარგად ესმოდა რეჟისურის თეატრის უპირატესობისა, რომელიც თავის მხრივ ამკვიდრებდა სინთეზური, ანსამბლური თეატრის პრინციპებს.

ამ მცირე პიესით გადმოცემული გ. ტაბიძისეული კონცეფცია შეუმჩნეველი არ დარჩენია ნოდარ ტაბიძეს: „გალაკტიონი კარგად იცნობს ამ პერიოდის თეატრალურ კონცეფციებს. არ არის გამორიცხული, მაქს ჰერმანის თეორიასაც ჩაღრმავებოდეს. ამ დიდ მეცნიერს რუსეთშიც საკმაოდ ჰყავდა მიმდევარი და ალბათ მოსკოვის სარეჟისორო კურსებზეც ხშირად გაისმოდა მისი სახელი. რეჟისორული თეატრის კონცეფციით, სპექტაკლის წარმმართველი ფიგურაა რეჟისორი. უფრო მეტიც, იგი ავტორია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მსახიობის უდიდესი როლის უგულვებელყოფას, მაგრამ, გარკვეული აზრით, არტისტი მაინც დაქვემდებარებულ შემოქმედად წარმოჩნდება. თუ ამოვალთ იქიდან, რომ უპირველესია სასცენო პარტიტურის დადგენა, რათა ზუსტად მოხდეს გამომსახველი ფორმების შერჩევა, მაშინ ადვილი გასაგები გახდება რეჟისორული თეატრის აზრი. გალაკტიონი რეჟისორისკენ იხრება. ამიტომაც ესესხება ოსკარ უაილდს, რეჟისორი ერთი სურვილით უნდა მსჭვალავდეს მთელ სპექტაკლს, რათა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი მონოლითურ ნაწარმოებად აღიქმებოდეს. ოფელიას ბოლო სიტყვები ღრმა დაკვირვებას მოითხოვს. აქ ლიტერატურული ხერხია გამოყენებული, როცა უარყოფა მტკიცების ფარდია. „თეატრებში“ ირეკლება მოსკოვის სარეჟისორო კურსებზე განცდილი და ათვისებული. მთავარი მაინც ის არის, რომ იგი გაცხადება იმ კონცეფციის, გრძნობებისა, რომლებიც გალაკტიონს თეატრალურ სამყაროსთან აკავშირებდა“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ტაბიძე ნ., დასახ. წიგნი, გვ. 486.

გავა დრო და გალაკტიონი ამ პოლემიკას კვლავ შეეხმიანება კოტე მარჯანიშვილის ღვაწლის შეფასებისას. დღიური N189 დათარიღებულია 1947 წლის 1 ივნისით და საინტერესოა პოეტის თეატრალური ესთეტიკის შესაფასებლად, რადგან ის აქაც, ფაქტობრივად, ოფელიას პოზიციას იმეორებს: „მარჯანიშვილი გარდაიცვალა 1933 წ. 17 აპრ., მამსადადამე, მისი მუშაობა საქართველოში განისაზღვრება 10 წლით. მისი გარდაცვალების შემდეგაც – ჩვენი თეატრი მიდის მარჯანიშვილის მიერ გაკაფული გზით – რევოლიუციური რომანტიკის გზით, ემოციების გზით. აქ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვის უფრო ემყარებოდა მარჯანიშვილი თავის შემოქმედებით მუშაობაში: მსახიობსა თუ რეჟისსორს. აკაკი ვასაძე ამბობს, რომ „მარჯანიშვილმა შემოიტანა ქართული თეატრის მუშაობაში ჭემმარიტი, ნამდვილი პროფესიონალური კულტურა, მაღლა აიყვანა (высоко поднял) რეჟისსორის როლი“. შალვა ღამბაშიძე კი ამბობს, რომ „თავის თეატრალურ მუშაობაში ის (კ. მარჯანიშვილი) ყოველთვის გამოდიოდა იქიდან, რომ აქტიორი არის ცენტრალური ფიგურა სპექტაკლის“. ჩვენის აზრით, მთავარია აქ მათი შეერთება“ (ტაბიძე, სგ, წ. XVII, 2008: 55-56).

### **დიდი თეატრალი**

პროფესიით რეჟისორი გალაკტიონი დიდ თეატრალად დარჩა. ტრადიცია თეატრის სიყვარულისა და მასთან სიახლოვისა სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო არამხოლოდ ქართული სინამდვილისთვის: „მსოფლიო თეატრების ისტორიამ არ იცის წუთი, როცა თეატრს არ ეგრძნოს პოეზიის თანამგზავრობა და სიახლოვე“ (ჟღენტი 1926: 14). გალაკტიონის დღიურები და ჩანაწერები აღნუსხავს არაერთ ყოფითს დეტალს, მატერიალურ სიღუბჭირეს, გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებს, ათასგვარ უსიამოვნებებს და ასეთ ფონზე ეს მრავლისმთქმელი ჩანაწერი (25. II. 1946 წ.) ნათელს ჰფენს იმას, თუ რა ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში დრამატულ თეატრს: „სულ გვაქვს 400 მ.; 20 მ. – პაპიროსი; 20 მ. – თეატრი; 7 მ. – კინო“ (ტაბიძე, სგ, წ. XVI, 2008: 441).

გალაკტიონი ფსევდონტელიგენტი არ იყო და მოსაწვევების მოლოდინით არ იჯდა შინ. საკუთარი შემოსავლიდან უმურველად იღებდა დანაზოგს იმ დღესასწაულის, სიხარულის, ესთეტიკური

სიამოვნებისათვის, სასცენო ხელოვნებას რომ შეუძლია მოგანიჭოს. მას ხშირად სურდა, „უებრად“ დამტკბარიყო თეატრის სუნთქვით. 1930 წელს პოეტს დღიურში (N53) ჩაუწერია: „იწყება თეატრალური სეზონი. საჭიროა აბონემენტები: 1. ოპერის თეატრში, 2. რუსთაველის თეატრში, 3. მარჯანიშვილის თეატრში, 4. წ. ა. თეატრში, 5. ყველა კინო-თეატრებში (დ. არსენიშვილი კარგი ორგანიზატორია, როდისმე უნდა გამომადგეს დიდი საღამოს მოწყობაში).

N. B. გათავდა კიდეც ისე, რომ ერთი წარმოდგენაც არ მინახავს. 14 ივნისი“ (ტაბიძე, სგ, წ. XIV, 2008: 104).

გალაკტიონის მხედველობის მიღმა არ რჩება წვრილმანიც კი. ყველაფერი ეძლევა შეგრძნებებში, ყველაფერი მოქმედებს მის ნერვულ რიტმზე, ყველაფერი განიცდება და იძენს განსაზღვრულ ესთეტიკას, მაგალითად: პოეტი გვესაუბრება ფარდის იდუმალეებაზე: „კარგია, ფარდა (ხავერდის ფარდა) რომ დაეშვება. დარბაზში ბნელა. გაშუქდება ფარდის წინა მხარე მხოლოდ“; მოხიბლულია მსახიობთა ე.წ. „პაკლონზე“, მისი სიტყვებით კი ტაშისცემაზე, გამოსვლით: „გამოდის მომდერალი მსახიობი და თავის დაკვრით მადლობას უხდის საზოგადოებას. ძალიან გრაციოზული, ლამაზი თავის დაკვრა იციან მსახიობებმა“; „მომეწონა არტისტების ტაშისცემაზე გამოსვლა ფარდის დაშვების შემდეგ. ეს მთელი ხელოვნებაა: თავდაჭერილი, ამაყი, ამასთანავე ზრდილობიანი დიდად. ყოველთვის ასეა საჭირო, თორემ გამოდის ზოგი ტაშისცემის შემდეგ და მიწამდე თავს უკრავს დამსწრე საზოგადოებას (ეს შვენოდა ლადო მესხიშვილს, ის დიდად არტისტიულად უკრავდა თავს საზოგადოებას, აღტაცებულს გენიალური მსახიობის თამაშით... **ო, თავის დაკვრა მართლაც მთელი ხელოვნებაა!**“ (ტაბიძე, სგ, წ. XXII, 2008: 304).

1915 წ. 3 ოქტომბერს ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ 20 სექტემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო „საქართველოს ყვავილები“. თეატრი სავსე იყო ხალხით, საზოგადოება ყველა მონაწილეს ტაშით მიეგება და გალაკტიონ ტაბიძეს ყვავილები მიართვეს („თეატრი და ცხოვრება“ 1915: 14-15).

1920-იანი წლებით დათარიღებულ დღიურში (629-15) პოეტი ადასტურებს განსაკუთრებულ სიყვარულს ყვავილების მიმართ – ესეც ერთგვარი არტისტიული პოზაა: „ბავშვობიდანვე ჩემი ყვავილებისადმი

არაჩვეულებრივი სიყვარულის გრძნობა სავსებით კმაყოფილდებოდა იმ უამრავი ყვავილებით, რომელიც ახალგაზრდა ქალებს მოჰქონდათ ჩემთვის ჩემს სადამოებზე. მთელი თეატრი ხშირად წარმოადგენდა ერთ უზარმაზარ თაიგულს, და ახალგაზრდობის გრძნობით გამთბარი თეატრი პირდაპირ თვრებოდა ამ სურნელებით. ყვავილებით მორთული იყო ჩემი ბინა. და მე, ახალგაზრდას, ძლიერი გრძნობით მიყვარდა სიცოცხლე“ (ტაბიძე, სგ, წ. XXII, 2008: 319). პოეტურ სტრიქონებშიც გაგვიმხილა ეს განსაკუთრებული განცდა:

„კვლავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს,  
ღამეს, სითეთრეს, ვაზას, მაგიდებს“<sup>1</sup>.

### **„მარჯანიშვილის თეატრი ჩემს მხარეზეა“**

გალაკტიონს განსაკუთრებულად უყვარდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. გარდა იმისა, რომ პოეტი ამ თეატრის გვერდით ცხოვრობდა, ის დიდი თავყანისმცემელი იყო თავად კოტე მარჯანიშვილისა. 1947 წლის 1 ივნისს რვეულში გაუკეთებია ჩანაწერი, რომელშიც თეატრის ისტორიკოსის სიზუსტითა და სიღრმით აქვს შეფასებული მარჯანიშვილის ღვაწლი და დამსახურება დრამატული თეატრის ისტორიაში: „კოტე მარჯანიშვილმა 1919 წ. კიევში დასდგა „ცხვრის წყარო“ ლოპე-დე-ვეგასი. ეს იყო ერთ-ერთი იმ დადგმათაგანი, რომელთაგანაც ფაქტიურად იწყება ისტორია საბჭოთა რუსეთის თეატრისა. სწორედ უკრაინის დედაქალაქიდან დაიწყო განახლება რუსეთის თეატრმა, მიეცა მას ახალი სახე, ახალი იერი, დროის შესაფერი. და, რაც ამ დადგმით დამკვიდრდა, ეს იყო ახალი მიმართულება: კოტე მარჯანიშვილმა შეჰქმნა სპეკტაკლი, უზარმაზარი ემოციური ზეგავლენისა, სპეკტაკლი, მთლიანად გაქდენთილი რევოლიუციური რომანტიკით...“

1922 წელს მარჯანიშვილი დაბრუნდა საქართველოში. [25 წლის განმავლობაში იგი რუსეთის თეატრებში მუშაობდა. როცა საქართველოში დაბრუნდა] იგი უკვე 50 წლის კაცი იყო, და ჰქონდა უმდიდრესი თეატრალური გამოცდილება: 25 წლის განმავლობაში იგი რუსეთის თეატრებში მუშაობდა. ჩამოსვლისთანავე მან დასდგა

---

<sup>1</sup> ტაბიძე გ., ტ. II-III, თბ., 2016, გვ. 37.

„ცხვრის წყარო“ – [იმავე] და აქედან დაიწყო ქართული თეატრის ახალი გზა – გზა რევოლუციური რომანტიკის, გზა ემოციური ზეგავლენისა“ (ტაბიძე, სგ, წ. XVII, 2008: 55).

1955 წლის 12 იანვარს პოეტმა კალენდრის ფურცელზე გააკეთა მინაწერი, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი შალვა ღამბაშიძე უკმაყოფილოა მწერალთა ყრილობით, რადგან გალაკტიონი სათანადოდ არ წარმოაჩინესო. შალვა ღამბაშიძის სიტყვებიდან გამომდინარე, ბედნიერმა დაასკვნა: „მარჯანიშვილის თეატრი ჩემს მხარეზეა“ (ტაბიძე, სგ, წ. XIX, 2008: 8-9).

მარჯანიშვილის თეატრი თვითნაბადი ტალანტებით იყო გამორჩეული და მსახიობთა ასეთი თანავარკვლავედი, რა თქმა უნდა, გალაკტიონს გულგრილს ვერ დატოვებდა. რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე იგონებს: „გალაკტიონი ხშირად ესწრებოდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებს. უფრო მეტად კვირას დილის სპექტაკლებზე მოდიოდა. რატომ? – რას გაიგებ!<sup>1</sup> რამდენჯერმე ვნახე პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაზე“ ხმამაღლა იცინოდა. ერთხელ თეატრიდან გამოვიდა და ხმამაღლა იძახოდა: „რა ოხერია ეს შავგულიძე, რა ოხერია“. სიტყვა „ოხერს“ მოფერებით და შექებით ამბობდა. ერთხელ ბედნიერება მერგო და ჩემს სპექტაკლს დაესწრო. გადიოდა გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (პრემიერა გაიმართა 1952 წ. 20 ივნისს - ს.მ.). გვერდიდან ვუყურებდი გულგახეთქილი. ბევრი იცინა, ბედნიერი ვიყავი.

მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა დრამატურგ გენო ქელბაქიანის პიესა „შესაფერი ჯილდო“. სუსტი პიესა იყო, სპექტაკლიც. ვიცოდით, რომ სპექტაკლს ესწრებოდა გალაკტიონი და თეატრის წინ ვიდექით ავტორი და რამდენიმე მსახიობი. გამოვიდა თეატრიდან, მოვიდა

---

<sup>1</sup> თუმცა, ამას მაინც მოემბენება თავისი ახსნა: საღამოს წარმოდგენები და, მით უმეტეს, საპრემიერო ჩვენებები უფრო ხალხმრავალია და, შესაბამისად, მეტია რისკია, შეხვდე არცთუ სასურველ საზოგადოებას, გალაკტიონს ეს დისკომფორტს უქმნიდა; დილის სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასიც, ტრადიციულად, უფრო დაბალი იყო და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ამ გზით პოეტს ისედაც მწირი ბიუჯეტი დაეზოგა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დილის სპექტაკლებზე, ძირითადად, ბავშვები და ახალგაზრდები მოდიოდნენ. მათ გვერდით გალაკტიონი ნამდვილად არ იგრძნობდა თავს უხერხულად.

ჩვენთან და მოგვესალმა: გამარჯობათ, ბიძიებო. მერე გენო ქელბაქიანს მიმართა: „გენო, ძამიკო, ძალიან მომეწონა შენი პიესა“. გაკვირვებული ვუყურებდით. გენოს კინაღამ გული წაუვიდა. ასეთი შეფასება მიიღო და თანაც ვისგან? გალაკტიონისგან! მან კი განაგრძო: განსაკუთრებით ის ადგილი მომეწონა, ერთი სტუდენტი რომ ეუბნება მეორეს: თუ ძმა ხარ, გალაკტიონის წიგნი მომაწოდეო. - თვითონვე მოეწონა თავისი ხუმრობა, ჩაიკისკისა და ჩქარი ნაბიჯით გაგვშორდა<sup>1</sup>.

საარქივო მასალების მიხედვით, საინტერესოა გალაკტიონისა და მსახიობ ელენე ყიფშიძის ურთიერთობა, რომელიც 1952 წ. დაიწყო. „ელენე ყიფშიძე – ნუნუს კარგი მეგობარი“ – ჩაწერა დღიურში! (ტაბიძე, სგ, წ. XVIII, 2008: 94). როგორც ირკვევა, მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს განუზრახავთ დიდ პოეტთან შეხვედრა. სადამოს ორგანიზება დაევალა ელენე ყიფშიძეს, რომელიც ამ დროს 27 წლის იყო. პოეტი დადის და დაემებს მაქსიმ გორკის 71-ში მცხოვრებ მსახიობს ამავე ქუჩის 173 ნომერში, დეტალურად აღწერს ყოველივეს და არ ტოვებს ჩვეული უნდობლობა და შიში, საბჭოთა ტოტალიტარიზმმა რომ ჩაუნერგა. რა თქმა უნდა, პოეტის განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულება ადამიანთა მიმართ მსახვრალი დროის სულისკვეთებითა და ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიჰუმანური პოლიტიკით იყო განპირობებული, თუმცა გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორიც: „გალაკტიონის შემოქმედებაში და თვით მის ბუნებაში არის რაღაც ჰამლეტისებური. მის სულს ჰამლეტისებურად სტანჯავდა ეჭვი და და იგი სიკვდილამდე თან სდევდა მას“<sup>2</sup>.

### **სცენის დიდოსტატებისადმი მიძღვნილი ლექსები**

გალაკტიონისათვის მსახიობის პროფესია პატივისა და დიდების საქმე იყო. თეატრის სული, მისი იდუმალი ბუნება და სცენური ცხოვრების საიდუმლო ერთადაა თავმოყრილი მსახიობში. პოეტი თავის ლექსებში ხშირად გვიმხელს სიყვარულს მსახიობებისადმი, გატაცებულია მსახიობის ხელოვნებით, ეთაყვანება მას, უძღვნის ლექსებს, ჩანაწერებს, მათ შორის გამორჩეული სიყვარულით წერს სარა

---

<sup>1</sup> ლორთქიფანიძე ი., დასახ. წიგნი, გვ. 144.

<sup>2</sup> კიკნაძე ვ., დასახ. წიგნი, გვ. 76.



ბერნარის დაუდევარი ცხოვრების, მისი უჩვეულო და ეფექტურ გრიმის შესახებ. არც ისაა შემთხვევითი, თუ როგორ განიცადა დიდი მსახიობის გარდაცვალება (დღიური-637-5, 1923 წელი).

გალაკტიონის პირადი არქივი სავსეა ქართველ მსახიობთა სახელებით. 1922 წელს დღიურში (N12) ჩამოთვლილი ჰყავს ძველი და ახალი თეატრის მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ეფემია მესხი, ტასო აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ტასო ამირაჯიბი, აკაკი ვასაძე, ნიკო გოცირიძე, ნინა დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ელენე დონაური, შალვა დადიანი, უშანგი ჩხეიძე და სხვ. პოეტი ადგენს თავისი საღამოების გეგმებს, ჩამოთვლის გამომსვლელ მსახიობებს, მათ შორის: პიერ კობახიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, თამარ ჭავჭავაძეს, მერი დავითაშვილს, აკაკი ვასაძეს, აკაკი ხორავას, ვასო გომიაშვილს, ნინო ჩხეიძეს, ნინო დავითაშვილს, ვიქტორ ნინიძეს, ვასილ ბალანჩივაძეს, მედეა ჯაფარიძეს... ზოგჯერ შეეშლება და სერგო ზაქარიადის ნაცვლად ჩაწერს ვ. ზაქარიადეს, ან „ოთარ ჩხეიძე მისი ცოლით მედეა ჩახ.“, ამ არარსებულ მსახიობ ოთარ ჩხეიძეს ერთგან ჩაასწორებს და მიუთითებს „ნოდარ ჩხეიძე“ (ტაბიძე, სგ, წ. XXII, 2008: 2008: 345).

როგორც ჩანს, დრამატულ თეატრში ნანახი და განცდილი ღრმად აღიბეჭდებოდა გალაკტიონის სულზე და დიდხანს რჩებოდა მის მეხსიერებაში. 1914 წელს დღიურში ჩაწერა: „უცებ თეატრი დაბნეულა. აიხადა ფარდა. ყველა სმენად გადაიქცა. თამაშობდა მეხსიშვილი სულელი თომას როლს“ (ტაბიძე, სგ, წ. XIII, 2006: 10). გალაკტიონს გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა ვლადიმერ ალექსი-მეხსიშვილთან. სწორედ მისი გარდაცვალების დღეს დაწერილ ლექსში პირდაპირაა ნათქვამი:

„ასე სიკვდილი ელის გენიოსს,  
სასახლეები კი – ნაძირალებს“<sup>1</sup>.

გასაოცარი სიტბოთი და სიყვარულითაა აღსავსე 1958 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული ლექსი, რომელიც ვასო აბაშიძეს ეძღვნება. ერთგვარი სევდაც თან დაჰკრავს ამ სტრიქონებს, რომლებშიც ცოცხლდება თეატრალური შესახვევი და მსახიობის პატარა ბინა – იდუმალი და რომანტიკული:

---

<sup>1</sup> ტაბიძე გ., ტ. II-III, თბ., 2016, გვ. 35.

„მე მახსოვს მისი პატარა ბინა  
(იქ უფრო ადრე ვცხოვრობდი წინათ),  
რაღაც პატარა, რაღაც ფარული,  
ო, შესახვევი თეატრალური.

და უფრო ადრე ცხრაას რვა წელი.

გადაიშალნენ გზები სხვადასხვა.

ცხოვრებამ ბევრი წაიღო სასო,

რა კარგად მახსოვს ძვირფასი ვასო,

რა კარგად მახსოვს მგზნებარე რაშა,

რა კარგად მახსოვს მქუხარე ვაშა,

რა კარგად მახსოვს პატარა ბინა

და ორი თასი რომ გვედგა წინა“ (ტაბიძე, სგ, წ. VII, 2006: 85).

ზუსტად ამავე თარიღით გალაკტიონს ლექსი მიუძღვნია ტასო აბაშიძისადმიც. ქართული თეატრის ლეგენდარული მსახიობის, ნუცა ჩხეიძის, მედეას (ვიქტორ ბურენინისა და ალექსეი სუვორინის პიესაში „მედეა“) კი ისე მოუხიბლავს, რომ ლექსი მიუძღვნა მსახიობის ნათამაშებ როლს:

„ბენუარიდან ხედავდა თვალი,

რა საუცხოვო იყო მედეა.

ისეა თითქო დაღლილი თვალი,

შენი ალერსის მოიმედეა.

უმშვენიერეს და წმინდა ხმაში

ხეტიალობდა სულის ჩრდილები -

გამოსვლა იყო – მქუხარე ტაში,

ფარდა – ცრემლები და ყვავილები.

თეატრის შემდეგ ვიყავით ორი,

ეტლმა მადათოვს გაგვანაპირა...

სახეში გვცემდა ნიავის ტბორი

და წისქვილებში იბრძოდა მტკვარი“

(იხ. მისამართი: <https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2333>).

ბედნიერი იყო ტრაგიკოსი მსახიობიც, რომელმაც ასე მოხუხა და დაატყვევა დიდი პოეტი. გალაკტიონის პირადს არქივში დაცულია ნუცა ჩხეიძის მისალოცი წერილი დათარიღებული 1943 წლის 29 ნოემბრით (ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008: 293-294): „საქართველოს საამაყო მგოსანო! შენი მაღალი ნიჭით დამტკვარი ხალხი დღეს მადლობას გიმღერის შენ, ჩვენ საყვარელ პოეტს. მინდა ამ საერთო ხმას ჩემი ხმაც

შეუერთო. მსურს, დიდ ხანს იცოცხლო, რომ შენს ლექსებში კვლავ მოჰქარგო მარგალიტებით ჩვენი ფიქრები და გრძნობები ჩვენი ტურფა სამშობლოსადმი“.

გალაკტიონმა ლექსი მიუძღვნა პიერ კობახიძეს:

„ვუზაგნი ამ წიგნს შიშით და კრძალვით

ჩვენს ძვირფას პიერს, არტისტს სახალხოს,

მსურს მასში ჰპოვოს შეგნება ძველი

და ძველი იგი ამით ახალჰყოს“ (ტაბიძე, სგ. წ. XVII, 2008: 536).

პოეტის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა გენიალური უმანგი ჩხეიძე. 1939 წელს დღიურში (N125, კოსლოვოდსკი. 10 .VIII. 39.) გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „ინტურისტში“ შეხვდა უმანგი. ძალიან გაეხარდა. მომიყვა გიორგი სააკაძის შესახებ. სრულიად შესცვალესო, სთქვა (*იგულისხმება უ. ჩხეიძის პიესა „გიორგი სააკაძე“ - ს.მ.*) მე გავახსენე „მთაწმინდის მთვარე“, რომელიც მან ასე შესანიშნავად წაიკითხა ჩემს საიუბილეო საღამოზე 1933 წ. მან სთქვა: რას აშობთ? რა არის ჩემი კითხვა ამ გენიალური ლექსის შინაარსთანო. ექიმმა ქალმა ბუგაევსკაიამ მოთხრა: უმანგი ძალიან კარგად შეიძლება მალე შეიქნესო (ტაბიძე, სგ. წ. XV, 2008: 598). პოეტმა მას უძღვნა ერთსტროფიანი ლექსი, რომელსაც ერთგვარი სევდა დაჰკრავს იმის გამო, რომ დიდმა მსახიობმა ასე ნაადრევად შეწყვიტა სცენაზე თამაში:

„რა ხანია, აქ არ არის

მღელვარება ნანატრ მუხის.

არ გაიზნა ფერფლი ქარის

და ბურუსი იაღბუხის“ (ტაბიძე, სგ. წ. VIII, 2006: 83).

მართლაც, თეატრი გალაკტიონის „განუმეორებელი ფიქრი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე“<sup>1</sup>.

თუმცა, რაზეც უნდა ვწეროთ, რაც უნდა ვიკვლიოთ, ფაქტი ჯოჯუტად ერთს ღაღადებს: გალაკტიონს არ ჰქონია სხვა ფიქრი, სხვა სამყარო, გარდა იმ ერთისა; წერდა პიესებს (უმთავრესად, ლექსად), უნდოდა რომანიც შეეთხზა, ოცნებობდა საკუთარ ლირიკის თეატრზე - გალაკტიონის თეატრზე, ანტიერესებდა რეჟისურის ხელოვნება... და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ მსხვერპლად შეეწირა იმ „სასტიკი ბომონისათვის“, რომელსაც ემსახურა გზნებით, ვნებით, დიდი ადმაფრენით. 1920 წელს დაწერა ცნობილი ლექსი „პოეზია - უპირველეს ყოვლისა“, რომლითაც დაადასტურა საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების მავარი აზრი და მიზანი. მან საკუთარი სიცოცხლეც კი მხოლოდ „ერთი სიხარულის შეგნებისთვის“ მოაშხადა, იმ დემონის მსახურებად, რომელსაც პოეზია ერქვა.

<sup>1</sup> ლორთქიფანიძე ი., დასახ. წიგნი, გვ. 166.

გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალის კვლევისას ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ ლექსის შემოქმედებითი ისტორიისთვის საყურადღებო არაერთ ინფორმაციას, რომელთა კომპლექსურ კვლევასაც საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. 1948 წლის 12 იანვრის ჩანაწერში<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე აღნიშნავს, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენმა“ და „ზღვის მგელმა“ და დასძენს, რომ მისი ლექსი „ცხენთა შეჯიბრებაზე“ ამ ამერიკელი მწერლის გავლენით არის დაწერილი. „ცხენთა შეჯიბრებაზე“ არის 1922 წელს დაწერილი ლექსის „ეფემერა“ საწყისი ფრაზა: „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები / ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით...“ ბუნებრივია, დავინტერესდით ჯეკ ლონდონის კერძოდ რომელი ნაწარმოების და რომელი პასაჟის გავლენით შეიძლებოდა პოეტს დაეწერა ეს ლექსი. რამდენადაც გალაკტიონი ჩანაწერში ჯეკ ლონდონის ორ რომანს ასახელებს (თუმცა მათ მოთხრობებად იხსენიებს), უფრო მაღალი ალბათობით ლექსის წერისას გავლენაც ამათგან რომელიმეს უნდა მოეხდინა. სხვაგვარად, უცნაური იქნებოდა, რომ სწორედ ის ნაწარმოები არ დაესახელებინა, რომელიც კონკრეტული ტექსტის შექმნის შთაგონების წყარო გახდა. „ზღვის მგელში“ ვერ ვიპოვეთ ვერცერთი პასაჟი, რომელიც მსგავს კავშირში იქნებოდა „ეფემერასთან“. რაც შეეხება „მარტინ იდენს“, მოსალოდნელი იყო, რომ ლექსის დაწერის შთაგონების წყარო სწორედ ეს რომანი გამხდარიყო, რადგან, როგორც გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს, ვახტანგ ჯავახიძეს აქვს შენიშნული, „ეფემერა“ ერქვა რომანის პროტაგონისტის – მარტინ იდენის მეგობრის – როს ბრისენდენის პოემას<sup>2</sup>.

რამდენადაც „მარტინ იდენი“ (დაწერილია 1909 წ.) ქართულ ენაზე პირველად მხოლოდ 1934 წელს გამოქვეყნდა, 1922 წელს გალაკტიონ ტაბიძეს ხელთ უნდა ჰქონოდა იოსებ ალბინის ძე მავესკისეული 1912

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, სგ, წ. XVII, თბ., 2008, გვ. 283-284.

<sup>2</sup> ვ. ჯავახიძე, უცნობი, თბ., 2013, გვ. 736.

წელს გამოცემული, იმხანად ერთადერთი რუსული თარგმანი<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ეს წიგნი თბილისის ბიბლიოთეკებში არ აღმოჩნდა. ამიტომ კვლევისთვის მივმართეთ რომანის ორიგინალს და თანამედროვე თარგმანებს<sup>2</sup>. რომანის 28-ე თავში არის ერთი საგულისხმო ეპიზოდი – მარტინ იდენი გამოდის სოციალისტთა შეკრებაზე და საუბრობს ბუნებრივი გადარჩევის პრინციპზე. მარტინის აზრით, თუ არ იქნება ბუნებრივი გადარჩევა, თუ სუსტიც და ძლიერიც ერთნაირად მიიღებს, რაც სჭირდება და ხელი არ შეეშლება გამრავლებაში, ამით ადამიანებს წინსვლის მოტივაცია დაეკარგებათ და კაცობრიობის განვითარება შეფერხდება. ის აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სწორედ ბუნებრივი გადარჩევის პრინციპი არის პროგრესის საფუძველი.

ეპიზოდის მიხედვით, სოციალისტურ საზოგადოებაში სუსტები ცდილობენ ძლიერი პიროვნებების განადგურებას. ეს სუსტები იმდენად ბევრნი არიან, რომ ისინი ძლიერი პიროვნების ძირს დაგდებას მანამ ახერხებენ, ვიდრე ის „ცხენზე ამხედრდებოდეს“<sup>3</sup> ანუ კიდევ უფრო მეტ სიმაღლეს მიაღწევდეს. ცხენზე ამხედრებული ადამიანი რომანში გაცხადებულად არის სხვებისგან გამორჩეული, ძლიერი პიროვნების სახე, რომელსაც შეუძლია ცვლილებების მოტანა და ქვეყნის ამოყვანა ჭაობიდან<sup>4</sup>. მარტინის აზრით, მიუხედავად სუსტების მიდრეკილებისა ჭიანჭველებივით დაჯგუფდნენ, ძალები გააერთიანონ და ისე შეუტონ მათზე უპირატესს, ბუნება მათ მანც უკუაგდებს და რჩეულებს ამარჯვებინებს. მარტინი დარბაზში მყოფ სოციალისტებს უწოდებს მონებს, რომლებსაც სურთ დაარღვიონ

---

<sup>1</sup> Джэк Лондон, Полное собрание сочинений, Т. 4, Мартин Иден, Роман, Авториз. пер. с англ. И.А. Маевского, 1912.

<sup>2</sup> „მარტინ იდენის“ ინგლისური და რუსული ინტერნეტ რესურსები: <https://www.gutenberg.org/cache/epub/1056/pg1056-images.html#chap38>  
[https://www.100bestbooks.ru/read\\_book.php?item\\_id=63&page=38](https://www.100bestbooks.ru/read_book.php?item_id=63&page=38)

<sup>3</sup> „Их слишком много, и волей-неволей они повергнут наземь так называемую сильную личность еще прежде, чем она окажется на коне“. / „because the day is past for your man on horseback. The slaves won't stand for it. They are too many, and willy-nilly they'll drag down the would-be equestrian before ever he gets astride.“

<sup>4</sup> „I look only to the strong man, the man on horseback, to save the state from its own rotten futility“

ბუნებრივი გადარჩევის კანონი, რომელიც განვითარების მაპროვოცირებელია, მაგრამ ვერ იგონებენ ახალ კანონს, რომელიც ჩაანაცვლებდა მას და უზრუნველყოფდა საზოგადოების პროგრესს.

მარტინის დასკვნაა, რომ „მონების“ სახელმწიფო გადაშენებისთვის არის განწირული. სწორედ ამ მსჯელობას მოსდევს რომანში ის ფრაზა, რომელსაც შესძლოა უკავშირდებოდეს გალაკტიონის ლექსი. ნათქვამია, რომ საუკეთესო მორბენალი ცხენების გამოყვანისას ადამიანები ბუნების სწორედ ამ კანონს ბაძავენ<sup>1</sup>, ანუ ისინი ერთმანეთთან აჯვარებენ ყველაზე კარგი მონაცემების ცხენებს, რომ მათი ნაშიერები კიდევ უფრო საუკეთესოები გამოვიდეს. ბუნებრივია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციიდან ერთი წლის შემდეგ, ეს ტექსტი და მასში წარმოდგენილი პრობლემები საყურადღებო იქნებოდა გალაკტიონ ტაბიძისთვის. მისთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ სოციალისტური წყობის პირობებში მას არავინ მისცემდა ფრთების ბოლომდე გაშლის საშუალებას, რადგან რაც უფრო წინ წავიდოდა ის, მით უფრო გაუჭირდებოდათ სხვებს მისი დაწევა და მით უფრო დიდი ნაპრალი გაჩნდებოდა კომუნისტურ მასკულტურასა და მას შორის, ამას კი სოციალისტური წყობა არ დაუშვებდა.

გალაკტიონი ყოველთვის გამორჩეული იყო თავისი პოეტური ნიჭით და სწორედ ამიტომ ჰყავდა ბევრი მოშურნე. მართალია, ლექსი იწყება „ცხენთა შეჯიბრების“ ხსენებით, ქარივით ქროლვითა და ფრენით, მაგრამ ამ სახეებში არაერთგან იჭრება პარალელი პოეზიასთან: „მაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“, „ლექსთა შეჯიბრებაზე - მხოლოდ ინტერვალები“ „უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“). ლექსიდან ჩანს, რომ გალაკტიონმა კარგად იცის თავისი სიდიადე („ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია ჩემი გზა“, „ბედი - ქროლის გარეშე - ჩემთვის არაფერია“, „იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“, „ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები“),

---

<sup>1</sup> „Природа отвергает их, предпочитая личность исключительную. Из множества живых существ, которых она щедрой рукой бросает в мир, она отбирает только лучших. Ведь именно этим методом, подражая ей, люди выводят скаковых лошадей и первосортные огурцы“ / „Nature rejected them for the exceptional man. Out of the plentiful spawn of life she flung from her prolific hand she selected only the best. It was by the same method that men, aping her, bred race-horses and cucumbers.“

მაგრამ ის სწორედ იმ პრობლემის წინაშე დგას, რომელზეც არის საუბარი „მარტინ იდენში“. კომუნისტური საზოგადოება მიზნად ისახავს ყველას გათანასწოებას და ცდილობს, რომ გალაკტიონისნაირ გამორჩეულებს ქროლა შეაწყვეტინოს და აიძულოს მიწაზე დაშვება („ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები“). „ლურჯა ცხენები“, რომელიც ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციამდე, 1916 წელს დაიწერა, გალაკტიონის შემოქმედებისა და სიმბოლისტური პოეზიის სიმბოლოდ იქცა, 1922 წელს შექმნილი ამ „ეფემერით“ კი პოეტი თითქოს ამბობს, რომ არ აპირებს ლურჯა ცხენებით ქროლაზე უარის თქმას და საბჭოთა პოეტის სტანდარტებში ჩატევას. მას სჭირდება უკიდევანო სივრცე და დიდი გასაქანი.

იმას, რომ გალაკტიონმა „ეფემერა“ სწორედ „მარტინ იდენის“ გავლენით დაწერა, მოწმობს პოეტის არქივში დაცული ერთი უთარილო ფურცლის ტექსტი, რომლის წარმომავლობაც დღემდე უცნობი იყო, მაგრამ „მარტინ იდენტან“ შედარებამ გვაჩვენა, რომ მისგან უნდა იყოს ამოწერილი.<sup>1</sup> რამდენადაც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ტექსტის ზუსტად ის რუსული თარგმანი, რომლითაც გალაკტიონი სარგებლობდა, შესადარებლად თითოეულ პასაჟს ფრჩხილებში ვუწერთ ამონარიდს ორიგინალიდან.

„500 ან 600 სტრიქონი.

ფანტასტიური, უცნაური და არა ქვეყნიური, საშინელი და შეუძლებელი.

(It was a long poem of six or seven hundred lines, and it was a fantastic, amazing, unearthly thing. It was terrific, impossible)

ობრი ბერდსლეი (Beardsley-like margin decorations)

ქარი ექემერა (ephemera).

თქვენი ადამიანი – არის უკანასკნელი ეფემერათაგანი.

გაცოცხლებული არაორგანიული მატერიით.

ქმნილება ტემპერატურის, დამოკიდებული ტერმომეტრს. (...what of your *man*, who is... the vitalized inorganic, the latest of the ephemera, the creature of temperature strutting his little space on the thermometer. )

---

<sup>1</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, 627-26; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXII, თბ., 2008, გვ. 268, 269.

იქ გამოიხატება ადამიანი და უკანასკნელ საზღვართა სულიერი ძებნა, გამოზომვა სივრცეთა უფსკრულების უშორეს მზეებისა და ცისარტყელები სპექტრის საფუძველზე. ეს იყო უგონო ორგია გამოგონებისა, ორგია, რომელიც გრგვინავდა მომაკვდავი ადამიანის ტვინში, რომელიც იკავებდა ქვითინს და ცხოვრობდა თავისი შფოთიანად მცემარე, მაგრამ მომაკვდავი გულით. უდიდებულეს რითმებში ისმოდა პლანეტათა შეჯახება, ომები ვარსკვლავეთის რაზმისა, გაცივებული მზეები ერთმანეთს მივარდებიან, უცრად იელვებენ ბნელ სიცალიერეში ცეცხლის ღრუბლები, და ამ ქაოსის შიგნით, განუწყვეტლად გაისმის ნელი და ნაზი, როგორც ვერცხლის ზარის ხმა, სუსტი და საცოდავი ხმა ადამიანისა, როგორც უმნიშვნელო კვნესა მთელ ამ პლანეტების [კვნესაში] კვილში და ქვეყანათა მსხვრევის გრიალში. (It dealt with man and his soul-gropings in their ultimate terms, plumbing the abysses of space for the testimony of remotest suns and rainbow spectrums. It was a mad orgy of imagination, wassailing in the skull of a dying man who half sobbed under his breath and was quick with the wild flutter of fading heart-beats. The poem swung in majestic rhythm to the cool tumult of interstellar conflict, to the onset of starry hosts, to the impact of cold suns and the flaming up of nebulae in the darkened void; and through it all, unceasing and faint, like a silver shuttle, ran the frail, piping voice of man, a querulous chirp amid the screaming of planets and the crash of systems.) ეს ხმა ისმის როგორც სამგლოვიარო მარში, კოლოს მიერ შესრულებული სპილოების ღრიანცელში და დაჭრილი ლომების ღრიალში. (That questing, eternal, ever recurring, thin little wailing voice of man is still ringing in my ears. It is like the dead-march of a gnat amid the trumpeting of elephants and the roaring of lions.)

ეს ჭეშმარიტებაა გადარევაძღე მისული, ეს გენიაა. (It transcends genius. It is truth gone mad)

ესაა მისი გედის სიმღერა“. (I know that. It's my swan song.)

ამ ტექსტის შემდეგ იმავე გვერდზე ჩამოწერილი და დანომრილია ამავე ტექსტიდან ამოწერილი ფრაზები: 1. უკანასკნელი საზღვარი... 2. გაზომვა სივრცეთა უფსკრულების. 3. უშორესი მზეების და ცისარტყ. სპექტრი. 4. უგონო ორგია გამოგონებისა. 5. ორგია მომაკვდავი ადამიანის ტვინში. 6. ორგია იკავებს ქვითინს. 7. ცხოვრება შფოთიანი, მაგრამ მომაკვდავი გულით. 8. პლანეტათა შეჯახება. 9. ომები ვარ-



სკვლავეთის რაზმებისა. 10. გაცივებული მზეების შეჯახება. 11. ელვა ცეცხლის ღრუბლებისა. 12. ქაოსის შიგნით.

1. ვერცხლის ზარის ხმა. 2. ადამიანის ხმა. 3. უმნიშვნელო კვნესა პლანეტების კვილში. 4. უმნიშვნელო კვნესა ქვეყანათა მსხვრევის გრიალში. 5. სამგლოვიარო მარში შესრულებული კოლოს მიერ. 6. სპილოების და ლომების ღრიანცელი. 7. ჭეშმარიტება მისული შეშლამდე. 8. ეს გენია - 9. ესაა გედის სიმღერა. 10. ადამიანი არის უკანასკნელი ეფემერათაგანი. 11. ადამიანი - არაორგანული მატერია. 12. ადამიანი - ქმნილება ტემპერატურის.

1. ადამიანი დამოკიდებული ტერმომეტრს. 2. ობრი ბერდსლეი.“

რამდენადაც, გალაკტიონისავე თქმით, მას ამერიკელი მწერლის რომანი „ეფემერის“ დაწერამდე (არა უგვიანეს 1922 წლისა), უნდა წაეკითხა, ბუნებრივია, რომ პოეტს ფრაზები რომანის რუსული თარგმანიდან ჰქონდეს ამოკრეფილი და გადმოქართულებული. ჯეკ ლონდონის რომანში როს ბრისენდენიც და მისი პოემა „ეფემერაც“ გამორჩეულები, თითქმის გაიდეალიზირებულები არიან. რომანის ტექსტიდან ვიგებთ, რომ ეს არის პოემა ადამიანზე და მისი სულიერი ძიებების ძალისხმევაზე, მის აზრებზე, რომლებიც კოსმოსის უკიდუგანო წიაღში ეძებს შორეულ მზეებს და ცისარტყელის ფერებს. ეს არის მომაკვდავის წარმოსახვის აფეთქება, ტუბერკულოზით დაავადებული პოეტის უკანასკნელი ქმნილება, რომლის გამოქვეყნების სურვილი მას არც ჰქონია და ვერც მოესწრო, რადგან საწოლში მწოლარემ რევოლვერით მოიკლა თავი. პოემის დიდებულ რიტმში გრუხუნით ერკინებიან ერთმანეთს ცივი მანათობლები და ტრიალებს ვარსკვლავური მტვრის ქარბუქი, ეჯახებიან ჩამქრალი მზეები, შავ სიბნელეში ელავენ ახალი გალაქტიკები და ამ ყველაფერს ვერცხლისფერი ძაფივით გასდევს ადამიანის სუსტი ხმა. მარტინ იდენი იმდენად აღრთოვანებულია ამ პოემით, რომ მის გამოქვეყნებაზე უფრო მონდომებით ზრუნავს, ვიდრე საკუთარი ტექსტებისაზე. პოემის პირველივე წაკითხვისას იგი ამბობს, რომ ამ გენიალურმა ნაწარმოებმა მონუსხა და დაამუნჯა. ეს არის საუკუნეების ქმნილება. საინტერესოა პოემის პუბლიკაციის ამბავი. მას ჟურნალი დიდი სიამოვნებით იღებს დასაბეჭდად, მაღალ ჰონორარსაც ნიშნავს და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკოსის რეცენზიასაც წარუმძღვარებს, მაგრამ, როგორც შემდეგ ირკვევა, ეს ყველაფერი რედაქტორის მარკეტინგული სვლაა

ცხარე დისკუსიის ასაგორებლად, რომელსაც ამ გენიალური ქმნილების მიწასთან გასწორება მოსდევს. ჟურნალში დაბეჭდილ პოემას ყველა კითხულობს და ყველას უჩნდება მის შესახებ აზრის გამოთქმის სურვილი. ეფემერა პოლემიკის ცეცხლს ანთებს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მის წინააღმდეგ ტრიალდება. ჟურნალ-გაზეთები ივსება რეცენზიებით, რომლებშიც ისმება კითხვა, საერთოდ, შეიძლება, თუ არა, რომ ამას პოეზია ეწოდოს. სტატიების ავტორები ფუთფუთებენ, ხითხითებენ და წერენ პაროდებს, სასულიერო პირები ქადაგებენ „ეფემერას“ წინააღმდეგ, ერთ საეკლესიო მსახურს კი, რომელიც პოემის დაცვას ცდილობს, ღვთისმსახურებიდან განაყენებენ მკრეხელობისთვის. პერიოდიკაში ასეთი ხუმრობებიც კი იბეჭდება, „ეფემერას“ ხუთი ტაეპის წაკითხვა ისე გაგამხეცებს, რომ ხეიბარი სცემო, 10 ტაეპისა კი მას მდინარეში დასანთქავადაც გაგამეტებინებსო. ლიტერატურული ბრბო ნაწარმოებს და მის ავტორს ცეცხლოვანი მეტეორივით გადაუვლის, ჟურნალი კი პოემის ავტორის, ბრისენდენის სიკვდილსაც კი მარკეტინგისთვის იყენებს.

რამდენადაც გალაკტიონის პირველმა „ეფემერამ“ („ცხენთა შეჯიბრებაზე...“), რომელიც „მარტინ იდენის“ შთაგონებით აღმოჩნდა შექმნილი, ორ წელიწადში (1922-1923) სათავე დაუდო მსგავსი სათაურის მქონე ლექსების მთელ ჯგუფს („ისევ ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „საახალწლო ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“ და „ეფემერა“ („შეხედე, მშვიდი შენი დობილი...“), საჭიროდ მივიჩნიეთ, ცოტა ვრცლად შევხებოდით მარტინ იდენის მეგობრის – ბრისენდენის პოემას. „მარტინ იდენის“ ის პასაჟი, რომლიდანაც არის გაკეთებული გალაკტიონის უთარილო ამონაწერი, თანამედროვე ქართულ თარგმანში ასე იკითხება: sic! წარმოდგენილ ამონარიდში მუქად მოვნიშნეთ ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც გალაკტიონს ცალკე ფურცელზე ჰქონდა ამოწერილი „მარტინ იდენიდან“.

„ეფემერა« — მოკლე სათაურია, სულ ერთი სიტყვა. და ისიც შენ შთამაგონე. ხომ გახსოვს, რომ მეუბნებოდი — ადამიანი უკანასკნელი ეფემერიდია, გაცოცხლებული მატერია, ტემპერატურის წყალობით შექმნილი, რომელიც თერმომეტრის სკალაზე მიცოცავს და თავის პაწაწინა ადგილს ეძებსო...

ეს იყო ექვსას-შვიდას სტრიქონიანი მოგრძო პოემა — რაღაც ფანტასტიკური, საოცარი, არაამქვეყნიური ქმნილება; ძრწოლის

მომგვრელი, დაუჯერებელი რამ... აქ დახატული იყო ადამიანის დაუცხრომელი სული, მისი მარადიული სწრაფვა უსაზღვრო სივრცეების დაპყრობისა და შორეულ მზებთან მიახლოებისა. ეს იყო გიჟური ორგია წარმოსახვისა, მომაკვდავი ადამიანის წარმოსახვისა, რომელიც ძლივსღა სუნთქავდა, სულს ღაფავდა. პოემის ამალღებულ რიტმში ისმოდა ყრუ ზრიალი, მეტეორთა შეჯახებანი... წყვიდადით მოცულ, დანისლულ სივრცეებში დროდადრო ცეცხლოვანი გაელვება... და ამ კოსმოსურ აურზაურში, პლანეტების ზრიალსა და ნგრევაში ძლივს გაისმის ადამიანის სუსტი, გაუთავებელი კნავილი და წუწუნი... მომაკვდავი კოდოს წივილსა ჰგავს, სპილოებისა და ლომების ღრიალში არეულს... ჭემმარტი ხელოვნება შენ მაჩვენე. გენიოსი ხარ!

ეს ჩემი გედის სიმღერაა<sup>1</sup>.

რამდენადაც პოეტი ამ მასალას რუსულიდან თარგმნიდა, პარალელის სრული სურათის წარმოსაჩენად გავამუქეთ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებიც. რაც შეეხება ინგლისელ გრაფიკოსს, პოეტსა და წიგნების ილუსტრატორ ობრი ბერდსლეის, რომლის სახელი და გვარიც გალაკტიონს ორგან აქვს ამ ფურცელზე მიწერილი, ისიც ამავე რომანშია ნახსენები, როდესაც ნათქვამია, რომ ჟურნალში დაბეჭდილი პოემა „ეფემერა“ „რადაცნაირი სამკაულებით იყო მოხატული, ბერდსლეის სტილზე“.

„მარტინ იდენის“ ეს ეპიზოდები მრავალმხრივ უნდა ყოფილიყო საინტერესო გალაკტიონისათვის. აქ საუბარია გამორჩეულ პოეტზე, გენიოსზე, რომელსაც ლექსის ფორმა წარმოუდგენელ სიმალღეზე აჰყავს და ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სოციალისტებს და საზოგადოებას ასეთი გენიოსებისადმი. საგანგებო განსაზღვრას მოითხოვს სიტყვა „ეფემერა“, რომელიც ზოგიერთ თანამედროვე თარგმანში „ეფემერიდად“ არის გადმოტანილი, მაგრამ ორიგინალურ ინგლისურ ტექსტში ყველგან გამოყენებულია სიტყვა „ephemera“. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1912 წლის რუსული გამოცემა, რომელიც უნდა წაეკითხა გალაკტიონს, კვლევისთვის ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ, პოეტის ამონაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსული თარგმანის იმ ვარიანტში,

---

<sup>1</sup> ჯეკ ლონდონი, მარტინ იდენი, მთარგმნელი ანდრეაფარ ჭეიშვილი, გამომცემლობა «ნაკადული», 1988, გვ. 187.

რომელიც მას ჰქონდა, უახლესი თარგმანებისგან განსხვავებით, უნდა ყოფილიყო „Эфемера“ და არა „Эфемерида“.

ძველ ბერძნულში ephemeros ნიშნავდა მოკლევადიანს, ხანმოკლე სიცოცხლის მქონეს. ინგლისურში ephemera ნიშნავს არა მხოლოდ „ეფემერიდს“ (მედლეურა) – მწერს, რომელიც მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობს, არამედ ნებისმიერ რამეს, რომელსაც ხანმოკლე სიცოცხლე აქვს. ამავე სიტყვას ფართოდ იყენებენ პოლიგრაფიაშიც აფიშების, ბილეთებისა და ერთჯერადი მოხმარების სხვა ქალაქდების აღსანიშნად, რომლებიც მეორე დღეს აღარავის სჭირდება. საგულისხმოა ისიც, რომ ლათინურში ephemeris იმ ტიპის დღიურსაც ნიშნავს, რომელშიც ყოველდღიურად ინიშნავდნენ ასტრონომიული სხეულების ცაზე გადაადგილების ტრაექტორიებს. ამდენი განსხვავებული კონცეპტიდან სწორი არჩევანის გასაკეთებლად, გადაწყვეიტეთ დაკვირვებოდიით, რა კონტექსტებში ჩნდება იგი რომანში.

რომანის შინაარსის მიხედვით, მარტინ იდენი ადამიანს უკანასკნელ ეფემერას უწოდებს, რის საფუძველზეც შემდეგ მისი მეგობარი ამ სიტყვას ირჩევს თავისი პოემის სათაურად. რომანის წინა ეპიზოდებიდან არ ჩანს, რომ მარტინ იდენს ადამიანისთვის უკანასკნელი ეფემერა ეწოდებინოს, მაგრამ ჩანს, რომ ბრისენდენი კითხულობდა მის ნაწერებს და შეიძლებოდა ეს ფრაზა იქ ეპოვა. რამდენადაც „მარტინ იდენი“ ავტობიოგრაფიული რომანია და ბრისენდენის პროტოტიპიც რეალური პიროვნება – პოეტი ჯორჯ სტერლინგია (1869–1926), რომელსაც, როგორც გავარკვიეთ, მართლაც აქვს ლექსი „ეფემერა“<sup>1</sup>, გადაწყვეიტეთ გადაგვხედა ჯეკ ლონდონის პუბლიკაციებისთვის. აღმოჩნდა, რომ მის სტატიაში “ადამიანის დრეიფი” („The human drift“) რეალურად არის ასეთი პასაჟი „Man, the latest of the ephemera, is pitifully a creature of temperature, strutting his brief

---

<sup>1</sup> მართალია, ჯორჯ სტერლინგმა თავი 1929 წელს მოიკლა, „მარტინ იდენი“ კი 1909 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ 1907 წელს ჯორჯ სტერლინგის სახლში თავი მოიკლა ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ნორა მეი ფრენჩმა, რამაც, ბუნებრივია, შეძრა მისი უახლოესი გარემოცვა, რომელშიც იყვნენ ჯორჯ სტერლინგიც და ჯეკ ლონდონიც. მკვლევართა აზრით, ჯორჯ სტერლინგი არის ჯეკ ლონდონის რომანის „მთვარის ველი“ (“The valley of the moon”) პერსონაჟის – მარკ ჰოლის პროტოტიპიც.

day on the thermometer. Behind him is a past wherein it was too warm for him to exist. Ahead of him is a future wherein it will be too cold for him to exist“<sup>1</sup> ეპიზოდში საუბარია იმის შესახებ, რომ უკანასკნელი ეფემერის – ადამიანის სიკვდილი გარდაუვალია, რადგან მისი არსებობაც უკავშირდება გარკვეულ ტემპერატურას. იყო დრო, როდესაც ზედმეტად ცხელოდა მისი არსებობისთვის და იქნება დრო, როდესაც ზედმეტად ეცივება. სტატიის მომდევნო ეპიზოდში საუბარი გრძელდება იმაზე, რომ მარადიულობაში, რომელიც ჩვენი აღქმის შესაძლებლობებს სცდება, დედამიწასაც დროის პატარა მონაკვეთი უკავია, ადამიანს კი, რომელიც დედამიწაზე ცხოვრობს, ამ მცირე მონაკვეთის კიდევ უფრო მცირე მონაკვეთი. მისი მთელი მოგზაურობა პირველყოფილი ადამიანობიდან თანამედროვეობამდე, მხოლოდ ფანტომია, მოჩვენებაა, გაელვებაა ვარსკვლავებიანი ღამის განუსაზღვრელ ზედაპირზე. სიტყვა „ფანტომის“, „მოჩვენების“ ხსენება და ადამიანის განხილვა მარადიულობისა და უსასრულობის ფონზე, მიგვანიშნებს, რომ მწერი „ეფემერიდი“ აქ არაფერ შუაშია, ჯეკ ლონდონთან სიტყვა „ეფემერა“ უფრო ზოგადი მნიშვნელობით იხმარება და, უბრალოდ, ხანმოკლე სიცოცხლეზე მიანიშნებს. რომანის წაკითხვისას გრჩება პესიმისტური განცდა, რომ ადამიანის სიცოცხლეს ეფემერაა (უცებ გაიელვებს). შესაბამისად, კიდევ უფრო ეფემერულია პოეტის მიერ მოპოვებული სახელი და დიდება, ხოლო რაც შეეხება მის მიერ დაწერილ ტექსტებს, შეიძლება ითქვას, რომ ისიც ეფემერაა ამ სიტყვის პოლიგრაფიული გაგებით. გალაკტიონის შემოქმედებაში სიტყვა „ეფემერას“ მნიშვნელობა, ვფიქრობთ, თავდაპირველად ახლოს იქნებოდა ჯეკ ლონდონისეულ გაგებასთან, რამდენადაც თავად ამბობს, რომ „ცხენთა შეჯიბრებაზე...“ მისი გავლენით დაწერა, მაგრამ პოეზიაში და მით უფრო გალაკტიონისაში, სიტყვის მარტივად ახსნა ძნელია და მას შეიძლება სხვადასხვა ლექსში სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდეს შემენილი, მათ შორის ისეთიც, რომელიც არცერთ ლექსიკონში არ გვხვდება.

დავუბრუნდეთ ისევ პერსონაჟის პროტოტიპს, ჯორჯ სტერლინგს, რომლის პოემის სათაურითაც ისარგებლა გალაკტიონმა. რეალურად,

---

<sup>1</sup> The human drift, etext was prepared from the 1919 Mills and Boon edition by David Price. <http://www.fullbooks.com/The-Human-Drift1.html>

სტერლინგის „ეფემერა“ მოკლე ლექსია დაახლოებით ასეთი კოსმიური სურათით: „საშინლად ნათელი ცინულოვანი მუსიკა, სულიერი ყურისთვის გაუგონარი, დაძლევს გამოწვევას მარადიული მტრისას – დედამიწის მიღმიერ ხმებსა და მოთქმას. ოდესმე ქაოსის ზღვის შეხეთქება იქნება უფრო ახლოს და ვერავინ იტყვის რამდენად მალე გადმოუშვებს მისი მოქცევა ამ წარმავალ დედამიწაზე ტალღას, რომელიც შეასკდება გაყინულ მიცვალებულის დასასვენებელს. რაც არ უნდა მაღალი და რაც არ უნდა ძლიერი ავაშენოთ. გადაიტანს კიდევ უფრო მაღალს და ძლიერს. დადგება მისთვის მარჯვე დრო, როცა ხმაურიანი სიღრმეები გაშემდება დამთავრდება სიმღერა და საქმეც დასრულდება. ცოტა ხანში დაუკმაყოფილებელი შიმშილის გამო ჩამოღვენილი მზის ირგვლივ ფარვანასავით იფარფატებს სამყაროები“<sup>1</sup>.

ეს ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. იგი პირველად დაიბეჭდა 1923 წლის იანვარში ჟურნალში All's Well, 2003 წელს კი შეტანილ იქნა ჯორჯ სტერლინგის კრებულში „სატანის წყურვილი: ფანტასტიკისა და საშინელებათა ლექსები“<sup>23</sup>. „მარტინ იდენში“ საუბარია ბრისენდენის პოემაზე „ეფემერა“, მაგრამ მისი აღწერილობის ყველა დეტალი არ ემთხვევა ჯორჯ სტერლინგის ლექსისას. ამიტომ, არსებობს მოსაზრება, რომ შეიძლება ამ აღწერილობაში ამავე ავტორის სხვა ტექსტების დეტალებიც იყოს გამოყენებული. მკვლევარ ირინა ლუნინას აზრით ასეთი ტექსტია „ჯადოსნობის ღვინო“ (“A Wine of

---

<sup>1</sup> Unheard but of the spiritual ear, / Endures the challenge of the timeless Foe— / Beyond the terrestrial voices and their woe, / An icy music, mercilessly clear. / Ever the sea of Chaos beats more near, / Nor can one say how soon its tides shall flow / Above this earth whose transciences we know— / A surf that breaks upon a frozen bier. / However high, however strong we build, / Abides a higher and a stronger One, / In whose good time the clamorous deeps are stilled / And the song ended and the labor done. / A little while, their hunger unfulfilled, / The mothlike worlds flit 'round the guttering sun.

<sup>2</sup> გვინდა დიდი მადლიერება გამოვხატოთ ამ კრებულის წინასიტყვაობის ავტორის, სანანდ ტრიამბეკ ჯომის მიმართ, რომელმაც მოგვაწოდა ამ ლექსის ტექსტი და ინფორმაცია მისი პირველი პუბლიკაციის შესახებ.

<sup>3</sup> „The Thirst of Satan: Poems of Fantasy and Terror“.

Wizardry”<sup>1</sup>). ვერ უარვყოფთ მსგავსებას ვერც სტერლინგის კიდევ ერთ ცნობილ პოემასთან „მზეების მოწმობა“ („The Testimony of the Suns“). 1902 წელს ამბროზ ბირსი ამ პოემის შესახებ სტერლინგს სწერდა: „ასტრონომიის გრანდიოზული ფენომენი დღემდე არასოდეს ყოფილა ადეკვატურად ასახული პოეზიაში... გახადე ეს შენს მთავარ მიმართულებად. შენ იქნები ცათა პოეტი და მზეთა წინასწარმეტყველი“.<sup>2</sup>

ამ პოემასთან დაკავშირებით ბირსი ასევე სწერდა სტერლინგს: „უხილავი, გასააზრებლად და გადმოსაცემად მიუწვდომელი კოსმიური შეჯახებების ასეთი ცოცხალი წარმოჩენა წარმოსახვის ტრიუმფია“<sup>3</sup>. მაგრამ სტერლინგს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცა არ აინტერესებდა. იგი ამბროზ ბირსს საპასუხო წერილში უხსნიდა: „იმედი მაქვს, ინტელექტუალი მკითხველი მიმიხვდება, რომ ჩემი მიმართვა ვარსკვლავებისადმი მხოლოდ ალეგორიაა იმისა, თუ როგორ ეძებს ადამიანი სიცოცხლის საიდუმლოს ამ სამყაროში“<sup>4</sup>. პოემის მეორე ნაწილში სტერლინგს უნდა შემოეტანა „ადამიანური“ ელემენტი და ამბროზ ბირსს ემინოდა, რომ ეს შეასუსტებდა პირველი, კოსმიური ნაწილის გრანდიოზულობას, მაგრამ სტერლინგმა ეს შეძლო. ამის შესახებ ბირსი ავტორს სწერს: „შენ ეს შესძელი არაჩვეულებრივად, მიწაზე დაეშვი მარცხის გარეშე“<sup>5</sup>. პოემის ამ, მეორე ნაწილიდან ჩანს, რომ ვარსკვლავებზე დაკვირვებით ადამიანმა შეიძლება მხოლოდ ერთი რამ დაინახოს, მუდმივი ბრძოლა, შეჯახებები და საყოველთაო

---

<sup>1</sup> Лунина И.Е., Рецепция творческой личности Джорджа Стерлинга в творчестве Джека Лондона, Вестник Московского государственного областного университета, 2017, № 5, Серия: Русская филология, 136.

<sup>2</sup> „The tremendous phenomena of Astronomy have never had adequate poetic treatment... You must make it your domain. You shall be the poet of the skies, the prophet of the suns. (Bierce to Sterling, 15 March 1902)

<sup>3</sup> „The vibrant depiction of cosmic conflict, although occasionally obscure in sense and diction, is a triumph of the imagination“

<sup>4</sup> "I hope that it will be clear enough to the intellectual reader that my invocation to the stars is only an allegory of man's search of the universe for the secret of life" (Sterling to Bierce, 3 June 1902).

<sup>5</sup> "You did the trick excellently well-got down to earth again without accident" (Bierce to Sterling, 20 June 1902).

წარმავლობა. თუკი თავად ვარსკვლავებიც ერთ დღესაც გაქრებიან, როგორ უნდა ჰქონდეს ადამიანს იმის იმედი, რომ თავად შეძლებს დავიწყების თავიდან აცილებას?<sup>1</sup>. ვფიქრობთ, მოხმობილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ ჯეკ ლონდონის მიერ ბრისენდენის პოემის აღწერაში სწორედ სტერლინგის ნაწარმოებებია ნაგულისხმევი, მაგრამ, სავარაუდოდ, არა მხოლოდ ერთი.

გალაკტიონის მიერ ცალკე ფურცელზე გაკეთებულმა ამონაწერებმა მარტინ იდენიდან, დაგვარწმუნა, რომ მისი გავლენით დაწერილი უნდა იყოს არა მხოლოდ „ცხენთა შეჯიბრებაზე...“, არამედ კიდევ ერთი ლექსი „უკანასკნელი საზღვარი!..“, რომელსაც ავტოგრაფში ასევე „ეფემერა“ ერქვა. ამ ფურცელზე გაბმული ტექსტის შემდეგ ცალკე ამოწერილი ფრაზების ერთი ნაწილი პირდაპირ ემთხვევა ლექსის ტაეპებს. გთავაზობთ ამ ლექსის ტექსტს, რომელშიც გამუქებულია ჩანაწერში არსებული ფრაზები:

**უკანასკნელი საზღვარი! \_**

აი, რა ტანჯავს ჩემს სულს,

ოდეს ცას ღვარი

მოეფინება, როგორც ხანჯალს,

**უშორეს მზეთა**

**და ცისარტყელათ**

**მისტიურ სპეკტრის.**

**გაზომვა სივრცეთა**

**უფსკრულების...**

**უგონო ორგია**

**გამოგონებისა.**

**ცხოვრება**

**შფოთიანი.**

**ორგია**

**მომაკვდავი ადამიანის**

---

<sup>1</sup> S. T. Joshi, Introduction to the book “George Sterling, The Thirst of Satan: Poems of Fantasy and Terror”, New York: Hippocampus Press, [October] 2003. “The fundamental message of that second part appears to be the failure of the human mind to find any "meaning" in the stars aside from the notion of constant struggle, warfare, and ultimate transience. Since the stars themselves will one day perish, what hope can human beings have of staving off oblivion? „




ტვინში!

ორგია

იკავებს ქვითინს!

პლანეტათა შეჯახება.

„მარტინ იდენიდან“ გაკეთებულ ამონაწერთან განსაკუთრებით დიდი სიახლოვის გამო, ვფიქრობთ, ეს ლექსიც რომანის წაკითხვის უშუალო შთაბეჭდილებით უნდა იყოს დაწერილი. „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე...“) 1922 წლის 17 დეკემბერს უკვე გამოქვეყნებული იყო „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“<sup>1</sup> და, შესაბამისად, ამ დრომდე უნდა იყოს დაწერილი, ხოლო რაც შეეხება ლექსს „უკანასკნელი საზღვარი!..“, მის დათარიღებაში გვვხმარება ამ ტექსტის ერთადერთი ავტოგრაფის<sup>2</sup> შედარება პოეტის 1922 წლის უბის წიგნაკის ერთ-ერთ ჩანაწერთან<sup>3</sup> („ეფემერა. /ეფემერა... ეფემერა./ ეფემერა. მომეფერა./ეფემერა. ეფემერა./ მერე - მემერა“), რომელიც ზუსტად ისეთივე, შედარებით იშვიათი, მოყავისფრო მელნითაა გაკეთებული, როგორითაც არის ნაწერი ლექსი „უკანასკნელი საზღვარი...“. ლექსის ავტოგრაფის ფურცლის ფერი, ფაქტურა და ზომა ემთხვევა უბის წიგნაკისას და მასზე არის ძალიან იშვიათი ღია ვარდისფერი ისეთივე ფანქრის კვალი, რომლითაც ამ უბის წიგნაკში ორი ფურცლის



<sup>1</sup> „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე...“), გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1922, N3, 17 დეკემბერი, გვ.1.

<sup>2</sup> ავტოგრაფი, ქლმ, ა-405. გ. ტაბიძე, სგ, წ. III, თბ., 2008, გვ. 224.

<sup>3</sup> გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-11, გვ. 15. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 105.

შემდეგ ჩაწერილია განცხადება<sup>1</sup>. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ლექსის ფურცელი ამ უბის წიგნაკიდან უნდა იყოს ამოღებული და ყავისფერი მელნით შესრულებული ჩანაწერის თანადროული უნდა იყოს. რამდენადაც უბის წიგნაკის თარიღიანი ჩანაწერები მოიცავს ინტერვალს 1922 წლის 2 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ვფიქრობთ, ეს ლექსიც ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება „მარტინ იდენიდან“ ამონაწერებს, ისინი ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს ამ ლექსს.

„მარტინ იდენის“ შთაგონებით გალაკტიონის მიერ შექმნილ ამ ორ „ეფემერას“ არაერთი მსგავსი სახე აერთიანებს. ლექსის „უკანასკნელი საზღვარი“ დასაწყისში გადახაზული ფრაზა: „უკანასკნელი საზღვარი! აი რა სწყურია ჩემს სულს“ არეკლილია ლექსის „ცხენთა შეჯიბრებიაზე“ ფრაზებში: „უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი“ და „სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული, / სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“. ამ ლექსებში მეორდება ცალკეული სახეებიც. მზე ორივეგან მრავლობით რიცხვშია: „იყოს მზეთა ორგია“ / „უშორეს მზეთა“. თავის მხრივ, „ორგია“ მეორე ლექსშიც არაერთხელ გვხვდება: „უგონო ორგია გამოგონებისა“, „ორგია მომაკვდავი ადამიანის ტვინში! ორგია იკავებს ქვითინს!“ და, რაც მთავარია, ორივე ლექსის მოქმედების არეალი კოსმიურ სივრცეთა უფსკრულები და ეფემერული სახეებია.

როგორც კვლევამ ცხადჰყო, გარდა დასახელებული ტექსტებისა, ჯეკ ლონდონის რომანის გამოძახილი გვხვდება მსგავსი სათაურის მქონე კიდევ ერთ ლექსში „ისევ ეფემერა“, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ ხდება სიმაღლე დამღუპველი არა მხოლოდ ჩინარისთვის, არამედ პოეტისთვისაც:

„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,  
მარად და მარად ტყდება ჩინარი.  
როგორც ჩინარი \_ ისე პოეტი,  
მისთვის სიმაღლე არის წამება,  
არა ღიმილით და ალოეთი

---

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძის განცხადება განათლების კომისრის სახელზე, ქლმ, დ-11, გვ. 18. გ. ტაბიძე, სგ, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 105-106.

დაფარავს მტერთა ცილისწამება...”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარტინ იდენის გამოსვლაში სოციალისტების შეკრებაზე სწორედ იმაზე იყო ყურადღება გამახვილებული, თუ როგორ ცდილობენ მასები, წააქციონ ის, ვინც მათგან გამორჩეული, მათზე მაღალია. გალაკტიონის ამ ლექსის მიხედვით, ქარი არაფერს ავნებს დაბალ ხეებს. ის ცდილობს მაღალ ხეთა მწვერვალების მოდრეკას. ასე ხდება სიმაღლე „წამებად“ პოეტისთვისაც და სწორედ ამაზე რეკს „ზარების ზარი“:

„ის \_ მაღალია, დიდია მაინც!

მისთვის მოისმის ზარების ზარი:

ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,

მაინც მწვერვალებს ედება ქარი“.

გალაკტიონის „ეფემერების“ ციკლის ტექსტოლოგიური და კომპარატივისტული ასპექტების კვლევამ ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ კონტექსტში ამ ლექსების ზოგიერთი მხატვრული სახე უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა, რაც ხელს უწყობს მათ უკეთ გააზრებას როგორც ავტორის მთლიანი შემოქმედების, ისე იმჟამინდელი მსოფლიო ლიტერატურული მიმდინარეობების კონტექსტში.

## Summary<sup>1</sup>

Not long ago, historians viewed biography with skepticism. They considered that it did not have scientific legitimacy. Only since the 1980s biographical research became an accepted critical scholarly method of investigation. This newly emerged field of science defines itself in a dialogue with its neighboring disciplines — history, literary science, psychology, sociology, anthropology, philosophy, etc. Therefore, scholars find it necessary to give it a definition: what do the terms “biography” and “biographical method” mean? Ursula Apitzsch and Irini Siouti define biography as a theoretical concept, historical-empirical object, and complex methodological strategy. Hans Renders, Binne de Hoon and Jonne Hormsmo, in their book “The Biographical Turn. Lives in History,” present the biographical perspective as a scholarly research methodology, investigating theoretical consequences of this bottom-up perspective and illuminating its uses for different fields of study. They consider that biographical research derives its main principles from historiography and, like microhistory, is based on the study of sources and the principle of verifiability. Craig Kridel in “An Introduction to Biographical Research” declares that, “The scholarly chronicle is the most fundamental (and common) type of biographical research, with its focus on the historical portrayal of an individual life”.

Georgia has a rich tradition of writing and investigating personal biographies. Biobibliographies, called “life and work Chronologies” are very popular among Georgian readers and are frequently used by scholars, but the chronologies might be much more informative and scientifically reliable if their authors aimed not only in compiling information that was available at the time, but also in carrying out in-depth research. When creating biobibliographies of classic authors, scholars retrieve information mainly from

---

<sup>1</sup> note: This is the summary of two extensive collaborative investigations created in the framework of the project: “Biobibliographical Studies of Georgian Writers’ Lives and Works” (M. Ninidze, S. Metreveli and T. Tvalavadze), published in *Biography*, University of Hawai’i Press, Volume 46, Number 2, 2023 pp. 379-393. and “Georgia’s Greatest Modernist Poet Under The Soviet Totalitarian Regime” (M. Ninidze, N. Nishnianidze, L. Beburishvili) – in *Philological Researches*, No VIII, 2024, pp. 184-194.

written texts (handwritten and printed). Therefore, the most important issues to investigate at the very beginning of biobibliographical creation are textual. Handwritten sources often have ambiguous passages that may be misread. On the other hand, published texts may have undergone changes as a result of censorship intervention or the type-setters' mistakes. So, in order to write a true biography, authors should not simply copy information from both kinds of sources but invest time in checking and verifying them. Before attributing biographical facts retrieved from undated texts to the appropriate biographical and historical contexts, scholars have to date them, as well as identify authors of the texts, addressees, people mentioned, etc. Until recently, biobibliography creators in Georgia were historians with no expertise in textual scholarship. So, when they found information within biographical sources that needed further textual investigation, they either included them in their chronologies without such processing or simply excluded them from the work.

The "Objective Biography" is impossible in an absolute sense, but biographies based on fundamental research are certainly more reliable. The development of computer technologies, new methods, and comprehensive, interdisciplinary approaches have given rise to the prospect of improving biobibliographies by integrating biographical research with textual. Of course, not only biobibliography creators but authors of any other biographical genres also retrieve information from textual sources and all of them need textual scholarship approaches for their justification. Scholarly biobibliographies are focused on 'hard facts' (uncontroversial objective events) and chronological accuracy, and this integration is the most important for them. Biobibliographies written as a result of such interdisciplinary approach may become a wonderful basis for the creation of a great number of other biographical works on particular aspects, periods, or historical events.

In 2013, we developed an approach based on the integration of biobibliographical and textual investigations. It was decided to collect from all the sources we were processing not only verified and clarified facts about the author, but also incomplete, doubtful, vague and unclear issues, in order to better investigate and include them in the biobibliography. Consequently, the information that needed further investigation or verification would no longer remain outside the chronology, and the biobibliography would become more complete.

When authors of particular writers' biobibliographies prepare annotations about the creation of the texts whose autographs do not exist and which are published anonymously or under pen-names, they cannot do it without conducting authorship studies. When biobibliography creators prepare information about works translated by Georgian authors to be included in the appropriate chronicles, they need to refer to the authors of the texts, but the names are not always mentioned in the sources. In order to correctly identify them, special research is required.

Since the information in biobibliography is arranged in chronological order, it is extremely important to date the facts contained in each annotation. Dating the source helps us identify the time of the facts mentioned, and at least specify the upper limit of the time interval. Due to the variety of sources, Georgian scholars use completely different methods and approaches for this purpose. Personal letters provide especially important and diverse information about a writer's life and work. Generally, when two people have frequent correspondence, they write only a month's name and a number as the date, without indicating a year. In such cases, based on the content of the letter, scholars try to determine the approximate interval of years, and using the method of exclusion, specify the time of writing. For dating letters or to correct misdating, it is important to search for additional sources.

Sometimes a letter that only states the year, or whose approximate year can easily be determined by the content, mentions a holiday, particular event, someone's birth, wedding, or death. Information obtained from other historical or biographical sources about these events or people helps us to accurately date the texts. Very often a number of letters describe the same event at different stages of its development. When at least one of these letters is dated, it is possible to approximately determine their sequence. Sometimes letters are preserved in the archives and put in envelopes with seals on them, helping textual scholars tremendously in dating them correctly.

The integration of calendar data research and the method of exclusion is especially successful in dating letters. There are many cases when letters indicate the day of the week along with the month and number, but the year is not indicated. At first, based on the content of a letter, scholars determine the approximate time interval. Then, with the help of a perpetual calendar, they specify the years included in this interval with a given day of the week.

Finally, they apply the exclusion method. This is so effective that it even makes it possible to date a letter with maximum accuracy.

The history of the soviet period as well as its literature has not been properly studied. The adherents of the regime destroyed many documents and falsified facts. Galaktion Tabidze's works give very important evidence for objective analysis of what was reality, and for the typological studies of world modernism. A great number of his verses were inspired by foreign authors: Goethe, Heine, Byron, Baudelaire, Gautier, Whitman, etc. He was the first to translate Camões, Verlaine, and Longfellow into Georgian. Galaktion is not merely a good poet: he had a similar influence in Georgia as Eliot, Rilke, and Mallarmé had in theirs. There are only two figures in Georgia whose heritage is studied in special fields of science: Rustaveli and Galaktion. "Galaktionology" as a field of science is no less important for Georgian studies than Shakespearology for Great Britain, Goethe studies for Germany, Dante studies for Italy, etc. Therefore, Galaktion Tabidze's biobibliography consisting of investigated and scientifically confirmed facts about his life and works will make a good basis for in-depth analysis, and will be a great support for the further development of various aspects of biographical studies: thematic, internal existential, and professional, as well as contributing to the neighboring fields of science, such as microhistory, historiography, and literary studies, among others.

While working on Galaktion Tabidze's biobibliography, we decoded a number of pen names, identified particular persons who became the models of his poetic characters, and revealed numerous facts that gave him inspiration for writing his literary pieces. As biobibliography is not aimed at in depth literary analysis, we only give mention to such relationships and give way to the specialists of the corresponding field. Such scholarly biobibliography equipped with scientific apparatus will display a comprehensive image of the author, provide rich first-hand materials, stimulate new perspectives for Galaktion scholars, and be beneficial for the further development of not only Galaktionology, but of the microhistory of the period and the general studies of the soviet regime.

If information from non-authentic or non-academic sources is transferred into the chronologies without any investigation and verification, there may appear to be a lot of inaccuracies.

Romanoz Pantskhava's letter to Galaktion, dated 1911 in Mamuka Shelegia's book *Chronicle of Galaktion's Life and Work*, published in 2020, informs Galaktion that he is going to hold an evening at the Georgian Theater on May 16 and asks him to participate. The letter shows that May 16 is Saturday but it could not have been written in 1911, because May 16 was Tuesday that year. As it can be seen from the letter, the Kutaisi society is already familiar with Galaktion's poems. Thus, it cannot have been written earlier than 1908. After 1908 until Romanoz's death in 1928, May 16 fell on Saturday in 1909, 1915, 1920, and 1926. As the evening was supposed to be held in the Kutaisi theater, we reduced the probable years to two – 1909 and 1915. The announcement published in the newspaper *Samshoblo* on May 15, 1915, according to which the Literary drama evening with the participation of Galaktion Tabidze was to be held in the Kutaisi theater the next day, helped us to make a choice between these two years. Romanoz Pantskhava's letter was most probably related to the same evening, and since the event is mentioned in the future tense, we dated the letter to the period until May 16, 1915.

There are many separate sheets of paper in Galaktion Tabidze's archive torn out from single lined notebooks with a vertical margin line on the right side. It is easy to identify which side is recto and which is verso, meaning, to know which of them was written first. In the cases when there was some dating hint on either side of the paper, it helped us date texts written on both pages. e. g. on the verso side of the paper (GTDA N162), a list of Galaktion's contemporary Georgian poets is written. Among them is the name Akaki Tsereteli (died on January 26, 1915). The list could not be made later than that. This enabled us to date the poem, "At the seaside," written on the recto side of the paper within approximately the same period – before January 26, 1915. On the verso side of the paper (GTDA N164) is a poem "Winter Night," published in June 1928. We could also identify that another poem, "Lullaby," written on the recto side of the same sheet should be written before the date as well. Prosaic text about the new year in the countryside and the sketch below it written on a recto side of a separate sheet of paper (GTDA N160) are not dated, but on the verso side there is a poem dated January 1, 1908. So, the prosaic text and the sketch should be dated with the same date or the period before that.



When working on Galaktion Tabidze's autographs, we most effectively used the stage-stratal method of reading manuscripts. It helped us to identify the most struck out draft copies and different witnesses represented in one and the same holograph. For dating and identification of persons, the most helpful were digital corpus study and the method of exclusion.

Availability of archival material is of primary importance for biographical studies. A great part of Galaktion Tabidze's archival documents were kept in his brother's descendants' house and were absolutely inaccessible for scholars. The Association for Textual and Editorial Studies and Digital Humanities managed to get their consent to digitize the entire archive on the spot and make it accessible for scientific purposes. After digitization, they compiled a complete catalogue of 1689 units. Galaktion Tabidze's new biobibliography will be the first publication to represent a large number of unknown biographical facts retrieved from these archival materials. Digitization of the archive gave us unique research perspectives. To illustrate this, it suffices to say that according to the information retrieved from a single document of the digitized archive was enough to approximately date more than 100 poems. There was a list of 211 poems in this document under the title, "My Poems". We dated the poem, "Summer night," which followed the list and was not included in it, to September 5, 2010, and thus managed to identify the upper limit for the dating time interval for all undated poems included in the list. Every verified biographical piece of information is not just self-sufficient and existing by itself. but is a part of the data pull which enables us to find interconnections and generate absolutely new information, as we have done in the case of this list.

Creating a biobibliography of each particular author has its specific challenges. The difficulties with Galaktion Tabidze's life and work chronology are largely related to dating. There are many autographs of poems and diary entries in the writer's archive which cannot be dated based on their content. In addition, it is known that the great Georgian poet paid little attention to the accuracy of dates and even resorted to their falsification for censorship disorientation. Therefore, while working on the biobibliography of Galaktion Tabidze, we have close communication with the scholars who use the methods of graphematic analysis and a specially created computer program for manuscript dating. This cooperation is mutually beneficial. Working on the

biobibliography, we thoroughly examine the contents of the texts dated by means of the graphematic studies and investigate whether there is any piece of information that does not fit the biographical context of the estimated date. If there is no sign of inconsistency, we consider the dates identified by our colleagues, but if it turns out that the creation of this particular text in the year determined by graphematic studies cannot be true, our colleagues try to find out the reasons for the inaccuracy and continue to work on the further perfection of the computer program to achieve higher accuracy. We believe that biobibliographical studies should always consider methodological and technological innovations of digital humanities and, in particular, digital textual scholarship.

Investigation of the various sources and, especially, archival materials revealed lots of interesting facts about the influence of the Soviet totalitarian regime on Galaktion's life and works. After Georgia was annexed by Russia, Galaktion Tabidze realized that if he wanted to continue writing and publish his works he had to pay some tribute to the soviet poetry. In the second half of 1920-ies among his lyrical masterpieces appear poems glorifying the revolution, dedicated to the leaders of the proletariat – Vladimir Lenin, Joseph Stalin etc. His real feelings about the “tribute” is frankly expressed in one passage from his poem: “Saying one and seeing absolutely else / how will my heart endure this dual personality”.

Since 1921, alongside with opportunistic poems Galaktion wrote a great number of lyrical masterpieces with sincere feelings and emotions but after being edited for publication only little part of the sincerity remained explicit in them. Galaktion was a professional poet, he had no other occupation and therefore it was vitally important for him not only to write but to publish those written texts as well. That's why he felt some kind of self-realization even in those cases when his poems were published in deadly changed versions. Among hundreds of people praising his poetry, only few could guess what was conceived by him under some passages or how those poems might look like if there was no censorship and self-censorship. Still, Galaktion, who was used to being number one poet and to being recognized in the streets, could not live without the readers' permanent attention.

Among a hundred poems published by Galaktion in an issue of *Mnatobi* in 1925, one is named “The houses are smiling”. The poem evokes

only positive feelings: cosiness and peacefulness but as the autograph reveals the first copy of the text was absolutely different. Comparison of the words struck out in the autograph by the author himself with those ones, overwritten by him reveal the main essence of self-censorship. Here are some examples. On the left of the slash are given first variants and on the right – final ones: “The snake is fussing in the leaves” / “The wind is fussing in the roses”; The sun makes the days tasteless / Nothing makes the days tasteless anymore; “The houses are devastated” / “The houses are smiling”; “There are sighs, starvation and cold” / “Starvation and cold have disappeared”; “Little, hungry dogs control dark streets and lanes” / “Peaceful dogs devotedly defend streets”; “Nobody has a shelter and even hope is neighbourless” / Everybody found a shelter who was neighbourless”; “We had a fairy-tale of peace and the world dies calmly” / “A fairy-tale of the past disappeared and now it’s time for the world to calm down.” As the first and the second titles of the poem were “finis” (the end) and “The first Autumn”, its first version should be written in the first Autumn after Georgia’s occupation by the Bolshevik Russia, in 1921. If we didn’t consider the political situation of the period, we might think that the author changed his views but it would not be right – in that case the poet would simply write new poems and not remake the old ones. Galaktion had inexhaustible creative energy, he was one of the most prolific writers and it would be much easier for him to write something new than to overwrite each stanza of old poems. Therefore, we consider that the changes made in the texts are demonstrative and deliberately representing the traces of rough, forcible intervention.

The poem “The native ephemera” was dedicated to the ephemeral independence of Georgia (1918-1921). The author made fewer but more essential changes to make this poem publishable. He deleted the phrase: “Georgia in front of the threat” and words of dedication to the great patriot, a member of the National-democratic party main committee and a deputy member of the Georgian constituent assembly Shalva Amirejibi (1887-1943). For the censorship disorientation the author falsified the date, indicated that the poem was written in 1915, years before the Russian intervention. Galaktion could not remake in the similar way his symbolistic poems that were published before 1921. Therefore, he simply “forgot” most of them not to let the party leadership have more claims against him but in case of the

most well-known masterpieces of the period he had to look for some other ways of self-justification. The texts of some diaries reveal how consistently Galaktion worked to make the party propagandists think that his poems had nothing hostile towards the soviet order and that, on the contrary, were absolutely acceptable for them. One of the diary entries says: “Let’s try to give “Blue horses” realistic foundation”.

In 1936, working on the first volume of his collected works, Galaktion wrote in the diary that the whole material should be looked through to make corrections. In the same note he specifies what kind of corrections are meant. One of them is to cut out religious themes and images (angels, churches etc.). A good example of such corrections is the poem “Masons” in which Galaktion replaced the phrase: “Christ stood up, you can’t see secret strength under his arm” with this one: “People stood up, now you will see secret strength of his muscles (GTDA 353)”. In one of his diaries he painted a church in a jail cell and made the inscription “10 years since sovietization” (GTDA 61). The communists fought against all religions as their ideology was like a faith and didn’t leave space for other religions.

According to the above-mentioned diary entry another thing that Galaktion was going to replace in his poems was “nationalistic elements”. In this regard he has made changes not only in the texts but the titles too: the title “The Native language” was changed into “Revolutionary hyperbolic language” (GTDA №213) the title “A Georgian woman” into “A woman was fighting at the barricades” (GTDA №339). Even the names of the Georgian writers and public figures were replaced with those of the socialism ideologists, e. g. in the poem “Go, walk on!” the person to whose direction the poet appeals readers to walk is changed from Georgian writer Akaki Tsereteli (1840-1915) to Carl Marx (GTDA №359).

Besides this, changes are made in some situations and images represented in the poems, e. g. the title “Bouquet” is replaced with “The worker in thoughts before the machine” (GTDA №171), the address to a woman “Beauty” with the address to a machine; the phrase “tenderness of the shy flowers” with “The strength of your wheels”, “love” – with “brotherhood”, “faded feeling” – with “fighting feeling”, “secret whisper of nature” – with “Ambushed sound from the barricades”, “song of a giant mountain” with – “bitter song of grenades”, “weakened heart” – with “strengthened heart”;

words appealed to the nature “greatness of your beauty” are replaced with “greatness of 1917” (The year of the Russian revolutions), “secret whisper of the breeze” – with “The charm of fire and storm” (GTDA №213), “far away a nightingale is singing its tunes” – with “far away the factory is rattling” (GTDA №228). Pessimistic words are replaced with optimistic ones or with those, expressing fighting spirit. The phrase “pain and suffering” is replaced with “devoted fight”, (GTDA №346) “tears flow” – with “dews flow”, “cold-bloodedness” – with “warm-heartedness” (GTDA №210); “I know this boat will break” – with “O, this boat will never break”, “I can’t fight with the waves” – with “you can fight these waves” (GTDA №359). „being laughed at, condemned and humiliated – with “Another victory in the struggle” (GTDA №359). “suffering and groaning” – with „inspiration” (GTDA №366) etc.

In the poems of the period foreign names, places and entourage, are replaced with local ones: “gondolier” – with “boatman” (GTDA №344), “London” with “Mtatsminda” (a hill in Tbilisi, GTDA №355) etc. In order not to accentuate the author’s personality, the passages written in the first person singular are changed to either plural or second and third person singular: “I was moaning and complaining” is replaced with “What you were complaining for?”; “I couldn’t” – to “you couldn’t”, “caws above me” – to “runs after him cawing” (GTDA №345); “my consolation” – to “people’s consolation” (N363); “my yell and my song” – to “your favorite song”. GTDA №366), “Nobody can hurt me as I am strong” – to “again I felt what a great strength is in us” etc. If a poem represented something unpleasant, present tenses were replaced with the past: “I cannot” – with “you could not” (GTDA №345) everything negative connected with future was also replaced: “tomorrow’s bitter fate” is replaced with “tomorrow’s strong fate” (GTDA №205). In the pessimistic poem (GTDA №204), which was ending with the words of the lyrical hero that “he doesn’t care about anything” two lines were added saying that the lyrical hero doesn’t mind anything but “the fight together with the masses”.

The Soviet Union created favorable conditions only for those, who fully obeyed their rule. In his letter to the People’s Commissar for Education – Gaioz Devdariani in 1931 Galaktion describes his life with the words: “Unemployment, permanent persecution, homelessness, starvation and terrible cynicism” and adds: “such life might break not only me but even a giant” (Museum of Georgian Literature, D-61). Later on, he lived in

considerably better conditions, got a flat in Tbilisi and received a pension but always had problems in getting fees for publications, was denied to build a house in his native Kutaisi and could not finish building a cottage in Sukhumi. Galaktion lived in permanent tension and fear. His diary entries are full of wary comments on the people's behavior around him: Was Meladze's speech cynical? Why Benito spoke about my sketchiness? Are these the first steps against me? Why did the newspaper name only me? was this a provocation? If Meladze wanted to say something good about me, he would do it as soon as he opposed Mushishvili... It is betrayal... All the cards are exposed... The way how to defame someone... etc.

The last decade of Galaktion's life was designated in the Soviet literary policy as the period of the fight against the "bourgeois nationalism". It started in 1951 with the article "Against the Ideological Perversions in Literature" published in the communist party central newspaper "Pravda". It criticized Ukrainian poet Volodymyr Sosiura's poem "Love Ukraine" because the text did not specify, which Ukraine was to be loved – the Soviet one or the historical. As a result, the author was condemned for his "bourgeois nationalism". As a rule, the directive published in the central press was followed by corresponding steps in the republics. In Georgia the most damaging in this aspect were Communist Party first secretary Akaki Mgeladze's speech on the 15-th congress of Georgian Communist party on September 15, 1952 and Sergi Chilaia's article "About the remnants of nationalistic prejudice". Chilaia criticized Galaktion Tabidze for his poem "Ephemera" in which he says that there is not in him even a drop of blood "non-Georgian" and a thread of nerve – non-poetic. The Soviet critic declared that there can't exist Georgian blood and that it is nationalistic nonsense.

In 1954 on the 4-th congress of Georgian writers, delegates were chosen for the all-union congress and Georgia's best poet – Galaktion Tabidze's name was not in the list. In his main speech Karlo kaladze said that some of the Georgian poets, such as Galaktion Tabidze and Ioseb Grishashvili (1889-1965), still are under the influence of symbolism and recurrences of decadence. Galaktion was very upset, wrote a poetic reply and read it to the participants of the congress who made this decision. The poem was called "Clean Conscience". It said that for the clean conscience the sky is blue and snow is white but there are people who try to drag everything to darkness. By

using polysemantic word “ukhsenebloba” (On the one hand it means “not being mentioned” and on the other – “being a snake”) he refers to the fact that he was not mentioned among the delegates and that it was not a human decision – it was like a snake’s sting.

Galaktion Tabidze was extremely sensitive to every humiliating action, undeserved reproach, cynical remark, inattention and neglect. We are not aware of one particular fact that led him to the suicide but the whole environment around him was poisonous and it is difficult to understand why the poet, who for tens of years permanently kept a diary, in which spoke about all kinds of problems, made only “neutral” or positive entries in the last months and one more thing – who might tear to or more pages from his notepad that he left in the pocket of the hospital gown before his death and that was sealed by the police.

In the Soviet Union not only suicide but even pessimism was denounced as it was propagated that all the soviet people should be happy. Therefore, media didn’t announce Galaktion’s death immediately. They had to consult party leaders. It was decided not to speak about the reasons of his death. Investigators of his suicide made his family members to sign the document saying that Galaktion had suffered from nervous alcoholism for years and that his suicide should be caused by his addiction to spirits. After Galaktion’s death the government and all those colleagues that couldn’t get used to his priority during his life and always tried to diminish his virtue, pretended to be his most affectionate supporters and even admitted his genius.

# შინაარსი

წინასიტყვაობა.....	1
მოძიებული ინფორმაციის გადამოწმება.....	4
ინფორმაციის დაზუსტება .....	4
მაია წინიძე.....	4
თეა თვალავაძე.....	29
ნათია სიხარულიძე .....	87
ნანა კობალაძე.....	111
ინფორმაციის დაზუსტება მეორეული წყაროებიდან.....	115
თეა თვალავაძე.....	115
ინფორმაციის დაზუსტება და დათარიღება.....	118
ნათია სიხარულიძე .....	118
ლევან ბებურიშვილი .....	137
ნანა კობალაძე.....	145
მაია წინიძე.....	219
თეა თვალავაძე.....	227
წყაროებში არსებული უზუსტობები და შეცდომები .....	252
ლევან ბებურიშვილი .....	252
მაია წინიძე.....	256
თეა თვალავაძე.....	281
რას კითხულობს, იხსენებს ან ციტირებს .....	283
მაია წინიძე.....	283
ნანა კობალაძე.....	287
მისტიფიკაციები, მითები და წყაროს „არარსებობა“, როგორც ინფორმაციის წყარო.....	293



მაია წინიძე.....	293
პირთა იდენტიფიკაცია .....	299
ლევან ბებურიშვილი .....	299
ნათია სიხარულიძე .....	309
ავტორთა, ადრესატთა და მთარგმნელთა იდენტიფიკაცია .....	329
მაია წინიძე.....	329
ლექსების: „შენ ზღვის პირად...“ და „ალვები თოვლში“ ადრესატი	339
მაია წინიძე.....	339
ტექსტში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია.....	346
თეა თვალავაძე.....	346
მაია წინიძე.....	353
დათარიღება .....	379
თეა თვალავაძე.....	379
ნანა კობალაძე.....	401
ლექსები .....	407
ლევან ბებურიშვილი .....	407
მაია წინიძე.....	435
ნათია სიხარულიძე .....	474
თეა თვალავაძე.....	480
პირადი მიმორჩერა .....	492
მაია წინიძე.....	492
განცხადებები და სხვა საქმიანი ქაღალდები.....	550
მაია წინიძე.....	550
ჩანაწერები და დოკუმენტური ტექსტები .....	558
ნათია სიხარულიძე .....	558

ლევან ბებურიშვილი .....	579
მაია წინიძე.....	621
ბიოგრაფიული ფაქტები.....	642
მაია წინიძე.....	642
სუბსტრატზე დაკვირვების გამოყენება დათარიღებისთვის .....	666
მაია წინიძე.....	666
გალაკტიონ ტაბიძის არტისტული პროფილი .....	670
საბა მეტრეველი .....	670
ჯორჯ სტერლინგის „ეფემერადან“ გალაკტიონის „ეფემერებამდე“ ...	715
მაია წინიძე.....	715
Summary.....	731
შინაარსი.....	743